

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

●  
**პროგრამა «ლოგოსი»**

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

წიგნი გამოდის პროგრამის:

«ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში»

მხარდაჭერით

Η παρούσα έκδοση έγινε με τη συμβολή  
του προγράμματος

«Ελληνική Γλώσσα στα Σχολεία της Γεωργίας»



ლოგოსი  
თბილისი 2009



# ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია

რომაული ლიტერატურა  
(ძვ. წ. V ს. – ახ. წ. V ს.)

შეადგინა, წინათქმანი და  
საკუთარ სახელთა განმარტებანი დაურთო  
ეკატერინე კობახიძემ

წიგნი III

პასუხისმგებელი რედაქტორი: რისმაგ გორდემიანი

რედაქტორები: იამზე გაგუა  
თინათინ გიორგობიანი  
ეკატერინე კობახიძე

© პროგრამა „ლოგოსი“, 2009

ISBN 978-9941-401-43-5

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,  
თბილისი 0179

ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81

ელ. ფოსტა: [greekstudies@caucasus.net](mailto:greekstudies@caucasus.net)

# შინაარსი

## რესპუბლიკის პერიოდი

ტიტუს მაკიუს პლატუსი.....	9
ფსევდოლი.....	10
თარგმნა იამზე ვაგუამ	
პუბლიუს გერენციუს აფერი.....	59
საქურისი .....	60
თარგმნა მანანა ფხაკაძემ	
ტიტუს ლუკრეციუს კარუსი.....	117
საგანთა ბუნებისათვის.....	117
თარგმნა პანტელეიმონ ბერაძემ	
გაიუს ვალერიუს კატულუსი.....	139
ლექსები.....	139
თარგმნა მანანა ლარიბაშვილმა	
მარკუს ტულიუს ციცირონი .....	150
სექსტუს როსციუსის დასაცაეად .....	151
თარგმნა იამზე ვაგუამ	
პირველი სიტყვა კატილინას წინააღმდეგ.....	174
თარგმნა იამზე ვაგუამ	
მეორე სიტყვა კატილინას წინააღმდეგ.....	180
თარგმნა იამზე ვაგუამ	
მესამე სიტყვა კატილინას წინააღმდეგ.....	186
თარგმნა იამზე ვაგუამ	
მეოთხე სიტყვა კატილინას წინააღმდეგ.....	193
თარგმნა იამზე ვაგუამ	
სციპიონის სიზმარი .....	203
თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ	

გაიუს სალუსტიუს კრისპუსი.....	213
კატილინას შეთქმულება (ნაწყვეტი).....	214
<i>თარგმნა ალა ტრაპიძემ</i>	
კატილინას შეთქმულება (ნაწყვეტი).....	219
<i>თარგმნა გიორგი ქაჯაიამ</i>	
ომი იუგურთასთან (ნაწყვეტი).....	225
<i>თარგმნა გიორგი ქაჯაიამ</i>	
ნაწყვეტები „ისტორიებიდან“.....	230
<i>თარგმნა გიორგი ქაჯაიამ</i>	
წერილები იულიუს კეისარს სახელმწიფო მოწყობის შესახებ.....	232
<i>თარგმნა გიორგი ქაჯაიამ</i>	
გაიუს იულიუს კეისარი.....	234
კომენტარები გალებთან ომის შესახებ (წიგნი I).....	235
<i>თარგმნა რუსუდან ცანაუამ</i>	

## კლასიკური პერიოდი

სექსტუს პროპერციუსი.....	254
<i>თარგმნა იამზე გაგუამ</i>	
ალბიუს ტიბულუსი.....	257
<i>თარგმნა იამზე გაგუამ</i>	
პუბლიუს ვერგილიუს მარო.....	261
ენეიდა (ნაწილობრივ).....	262
<i>თარგმნა რომან მიმინოშვილმა</i>	
კეინტუს პორაციუს ულაკუსი.....	316
ოდები.....	317
<i>თარგმნა მანანა იმნაძემ</i>	
სატირა II,6.....	345
<i>თარგმნა იამზე გაგუამ</i>	
პოეტური ხელოვნება.....	348
<i>თარგმნა აკაკი ურუშაძემ</i>	

პუბლიუს ოვიდიუს ნაზო.....	361
გრუობანი (შერჩევით).....	362
<i>თარგმნა მანანა ლარიბაშვილმა</i>	
გრუობის ხელოვნება (II წიგნი).....	402
<i>თარგმნა იამზე გაგუამ</i>	
ჰეროიდები.....	406
I პენელოპე ულისეს.....	406
XII მედეა იასონს.....	408
XVI პარისი ელენეს.....	413
XVII ელენე პარისს.....	421
<i>თარგმნა იამზე გაგუამ</i>	
მეტამორფოზები (შერჩევით).....	427
<i>თარგმნა ნათელა მელამუილმა</i>	
<i>თარგმნა ნანა ტონიამ</i>	
ფასტები (II წიგნი).....	453
<i>თარგმნა იამზე გაგუამ</i>	
გიგუს ლიეიუსი.....	457
თხრობათა წიგნები დასაბამითგან ქალაქისა (წიგნი I)	
(ნაწყევტები).....	457
<i>თარგმნა გიორგი უგულაუამ</i>	

### კეისრების ეპოქა

მარკუს ანეუს ლუკანუსი.....	481
ფარსალია (ნაწყევტი).....	481
<i>თარგმნა იამზე გაგუამ</i>	
ლუკიუს ანეუს სენეკა.....	484
სიცოცხლის მსწრაფლმავლობისათვის.....	485
<i>თარგმნა ნათელა სოხაძემ</i>	
წერილები ლუცილიუსისადმი შესახებ მნეობისა.....	504
<i>თარგმნა ლალი კოჭლამაშაშვილმა</i>	

ტიტუს პეტრონიუს არბიტერი .....	515
სატირიკონი. ლხინი გრიმალქიოსთან .....	516
<i>თარგმნა ვიორგი ქაჯაიაშ</i>	
პლინიუს კეკილიუს სეკუნდუსი .....	544
წერილები .....	544
<i>თარგმნა დალი ქურიძემ</i>	
მარკუს ვალერიუს მარციალისი .....	553
ეპიგრამები .....	554
<i>თარგმნა თამარ კალატოშა</i>	
პუბლიუს (გაიუს) კორნელიუს ტაციტუსი .....	567
ანალები (ნაწყევტები) .....	568
ისტორია (ნაწყევტები) .....	583
<i>თარგმნა ალექსანდრე გამყრელიძემ</i>	
ლეკიმუს იუნიუს იუვენალისი .....	588
სატირები .....	588
<i>თარგმნა ეკატერინე კობახიძემ</i>	
გაიუს სევეტონიუს ტრანკვილუსი .....	593
თორმეტი კეისრის ცხოვრება. ნერონი .....	594
<i>თარგმნა მარინა გიორგაძემ</i>	
ლუკიუს აპულეიუსი .....	618
მეტამოროფოზები (ოქროს ვირი) .....	619
<i>რუსულიდან თარგმნა თამარ ყიფიანმა</i>	
<b>საკუთარ სახელთა განმარტებები .....</b>	<b>641</b>



# რესპუბლიკის პერიოდი

(ტვ. წ. V ს – I ს-ის I ნახევარი)



## ტიტუს მაკიუს პლავტუსი

(ტვ.წ. 254/250-184 წწ.)

რომაული კომედიის ფუძემდებლის, გიგუს მაკიუს პლავტუსის ცხოვრების შესახებ ცნობები საკმაოდ მწირია და სათუო.

პლავტუსი დაბადებულია უმბრიის ქალაქ სარსინამი, ხოლო გარდაცვლილა რომში, დაახლოებით სამოცდაათი წლის ასაკში.

რომში პლავტუსი სულ ახალგაზრდა ჩავიდა და მსახიობობას მიჰყო ხელი. მისი საგვარეულოს სახელი, მაკუსი, როგორც ფიქრობენ, მეგსახელი უნდა იყოს – იტალიური სახალხო თეატრის ნიღბების კომედიის „ატელანას“ ერთ-ერთი ცნობილი პერსონაჟის, ღორმუცელა და სულელი „მაკუსის“ მიხედვით შერქმეული.

როგორც ჩანს, მსახიობობამ პლავტუსს გარკვეული დოვლათის დაგროვება შეაძლებინა და მან ვაჭრობაშიც სცადა ბედი, თუმცა მალევე ხელმოყარული დარჩა. გაკოტრებული წისქვილში შეუდგა მუმობას და სწორედ მაშინ დაუწყია კომედიების წერაც.

პლავტუსს სულ 130 კომედიის შექმნას მიაწერენ, თუმცა ზოგიერთი წყარო მისი კალმოდან გამოსულად მხოლოდ 25-ს (ელიუს სტილო) ან 21-ს (ვარო) მიიჩნევს.

ჩვენამდე პლავტუსის 21-მა კომედია მოაღწია. მათგან ყველაზე ცნობილია: „ამფიგრიო“, „კომედია ქოთანზე“, „კომედია მარდახმაზე“, „კურკულიო“, „მოჩვენება“, „ფსევდოლუსი“, „სამი მონეტა“.

პლავტუსის თხზულებები წარმოადგენს როგორც სიგუაიის, ისე ხასიათების და ინტრიგის კომედიებს.

ამ უკანასკნელს მიეკუთვნება „ფსევდოლუსი“, რომელიც ანთოლოგიაში სრულადაა წარმოდგენილი.

პლავტუსის კომედიათაგან „ფსევდოლუსი“ ერთადერთია, რომლის თეატრში დადგმის ზუსტი თარიღია ცნობილი (ტვ.წ. 191 წ.).

ციცერონი მიიჩნევდა, რომ პლავტუსს თავადაც ძალიან მოსწონდა ეს კომედია.

რომაული ლიტერატურის ეს ერთ-ერთი უძველესი ნიმუში მიეკუთვნება „კომედია პალიატას“ ეანრს (ბერძნ. პალიუმ „მოსასხამი“). ამ ეანრის კომედიაში მსახიობებს ბერძნული სამოსი აცვიათ, ბერძნული სახელები ჰქვიათ, ბერძნულ გარემოში მოქმედებენ. ფაქტობრივად, პალიატა ბერძნული ახალი ატიკური კომედიის ლათინურ ინტერპრეტაციად გვევლინება.

კომედიის მთავარი პერსონაჟის, გაქნილი და ეშმაკი მონის, ფსევდოლუსის (ბერძნ. პსუდოს- „ტყუილი“, ლათ. დოლუს- „ცბიერება“) სახე ევროპულმა ლიტერატურამ არაერთგმის გადაამუშავა და სკაპენის (მოლიერი), გრუფალდინოს (გოლდონი), ფიგაროს (ბომარშე) მეტად სახასიათო გიჟაჟად ჩამოაყალიბა.

### თარგმანი:

პლავტუსი, ფსევდოლი, თარგმანი და შენიშვნები იამზე გაუასი, „ლოგოსი“, თბილისი, 2006.

# ფსევდოლი

## მოქმედი პირნი

ფსევდოლი <sup>1</sup> – მონა	ქარინი – კალიდორის მეგობარი
კალიდორი – ჭაბუკი	ბიჭი – ბალიონის მონა
ბალიონი – მაშვალი, ქალებით მოვაკრე	მზარეული
სიმონი – კალიდორის მამა	სიშია – პარაზიტი <sup>2</sup>
კალიფონი – მოხუცი, სიმონის მემობელი	შეგირდი მზარეულის
პარპაგი – მეომრის მსახური	მონა ბალიონის

მოქმედება ხდება ათენში.

დაიდგა მეგალებიურ ღღესასწაულებზე ქალაქის პრეტორის, მარკუს იუნიუსის, მარკუსის ძის დროს<sup>3</sup>.

## არგუმენტი<sup>4</sup>

თხუთმეტი მინა მეომარმა ფენიკიასთვის მისცა ბალიონს – მაშვალს თავის ბეჭედთან ერთად, ეინც მსგავსი ბეჭდით ხუთ მინასაც მისცემდა მაშვალს, მას გააგანდა ქალს მეომრისთვის. კალიდორს უნდა გამოიხსნას საგრფო მაშელისგან, ფულს ეძებს, შეელას მამამისის მონას სთხოვს – ფსევდოლს, მეომრის მსახურს – პარპაგს იგი დასცყუებს ბეჭედს და ხუთ მინასაც მოიხსნებს, ერთ გაიძეერას – ეითომ პარპაგს – გზაენის მაშვალთან ბეჭდით და ფულით, ასე, ამგვარად კალიდორი დაიხსნის საგრფოს.

## პ რ ო ლ ო გ ი<sup>5</sup>

მხრებში გასწორდით ან წამოღექით, უმჯობესია, სიენა ეთმობა კომედიას პლაეტუსისეულს.

## პირველი მოქმედება

### პირველი სცენა

ფსევდოლი – კალიდორი

ფსევდოლი – ხმას რად არ იღებ, რაღაც დიდი ჭირია შენს თავს, ბაგონო, გაგყობ. არ მინდა საქმით გადავიქანცოთ, მე – შეკითხვებით, შენ კი – პასუხით, მაგრამ, რა ექნა, თუ სხვა გზა არ არის, მე უნდა გკითხო, შენ მიპასუხო. რა მოხდა, უკვე რამდენი დღეა მკვლარი დადიხარ, წერილს აგარებ,

- აღბოვ ცრემლებით, დარდს არეის უმხელ.  
 მითხარი მაინც, რა დაგემართა?
- კალიდორი - უბედური ვარ.  
 ფსევდოლი - იუპიტერი  
 აღბათ არ გწყალობს.
- კალიდორი - იუპიტერი რა შუამია, ვენუსის გამო მე ვიტანჯები.  
 ფსევდოლი - იქნებ მიაბზო,  
 რაშია საქმე. შენი ფიქრების  
 მესაიდუმლედ ყოველთვის მთელიდი.
- კალიდორი - ახლაც ასეა.  
 ფსევდოლი - მითხარ, რა მოხდა.  
 საქმით, ფულით თუ რჩევით გიშველო.
- კალიდორი - აი, წერილი, თავად შეიგყობ,  
 რა დარდი მკლავს და რა სამზრუნაეი.  
 ფსევდოლი - კეთილი, მაგრამ, ნაწერს ეერ ვარჩეე.  
 კალიდორი - ვითომდა რატომ?  
 ფსევდოლი - ეს ასოები ერთმანეთს რატომ  
 მიგმასნებიან, შეილებს აჩენენ?
- კალიდორი - რა ხუმრობაა.  
 ფსევდოლი - არ გეწყინოს და სიბილას<sup>6</sup> მეგი  
 ამ წერილს ვერეინ ეერ წაიკითხაეს.
- კალიდორი - გულს რატომ მიკლავ, მშვენიერ ხელით გამოყვანილი ასოებია.  
 ფსევდოლი - ამ ნაჯღაბნს ნაწერს როგორ უწოლებ,  
 ბატისფეხური არის ნამდეილი.
- კალიდორი - საძაგელი ხარ,  
 ან წაიკითხე, ან დამიბრუნე.  
 ფსევდოლი - ჰო, წაეიკითხაე. აბა, გამხნეედი.  
 კალიდორი - მხნეობა სად მაქეს?  
 ფსევდოლი - უნდა მოუხზო.  
 კალიდორი - სულ ვაფრუმდები. გული საგულეს  
 აღარ მაქეს. იგი მაგ წერილშია.
- ფსევდოლი - შენს სატრფოს ვხედაე.  
 კალიდორი - ეაი, სად არის?  
 ფსევდოლი - აქ, შენს წერილში გამოგილი წეეს.  
 კალიდორი - ოჰ, შენ ღმერთებმა. . .  
 ფსევდოლი - წყალობა მომცენ.  
 კალიდორი - მზის ხეაგი მოლს რომ გაახზობს, უცებ  
 აბიბინებულს, მეც ისე დაეჰკნი.
- ფსევდოლი - მაყადე კითხეა.  
 კალიდორი - რომ არ კითხულობ?  
 ფსევდოლი - "მონრით შეკრული ცვილის ფირფიტით<sup>7</sup>  
 კალიდორს, სატრფოს საღამს უგზავნის  
 ფენიკია და ხსნას ელის მისგან,  
 გულდამწვარი და აცრემლებული."
- კალიდორი - ვაიმე, ფსევდოლ, ხსნას მთხოვეს,  
 მირჩიე, რა გაეუგზავნო?  
 ფსევდოლი - მითხარ, ხსნა რაა?  
 კალიდორი - ხსნა არის ეერცხლი.

- ფსევდოლი - ხის დაფის ნაცვლად მენ ვერცხლს უგზავნი?  
ნახე, რა საქმე წამოუწყია?
- კალიდორი - ჯერ ჩაიკითხე წერილი, ფული თუ რად  
მჭირდება, მიხედუბი მაშინ.
- ფსევდოლი - / კითხულობს/  
"ოც მინად <sup>8</sup> უცხო მხარეს გამყიდა  
მაშეაღმა ჩემმა, ერთ მაკედონულ  
მეომარს მიმცა, ჩემო ძვირფასო,  
და თან წასელის წინ თხუთმეტი მინა  
მას გამოართვა, ხუთი კი დარჩა.  
ამიგომ ბეჭდით ცეილზე დაადო  
თვისი ნიშანი. ვინც მსგავსი ნიშნით  
გამოცხადდება, მას გამაგანენ,  
დიონისობის<sup>9</sup> პირველსავე დღეს  
ეს უნდა მოხდეს. ასე შეთანხმდნენ.
- კალიდორი - ეს დღე ხვალ არის. ახლოა ჩემი  
აღსასრულის დღე, თუ არ მიშველი.
- ფსევდოლი - მაყადე კითხვა.
- კალიდორი - კარგი, იკითხე,  
ასე მგონია, ვსაუბრობ მასთან,  
შხამი შარბათთან ერთად შემასვი.
- ფსევდოლი - /ავრბელებს კითხვას/  
"გათაედა უკეე ჩენი ცხოვრება,  
ტროფობა, გართობა, ხუმრობა, ხეენა,  
საუბრები და ნამი ამბორი,  
ხან ენებიანი ტუჩებით კოცნა,  
გახელებული მკერდს ჩაკონება,  
გათაედა ჩენი ტკბილი განცხრომა,  
გაცრა, გათიშვა და მარგოობა  
გველის, ერთმანეთს თუ არ ვუშველეთ.  
და თუ გიყვარეარ, ახლა მიეხედუბი."
- კალიდორი - ხომ გულსაკლაეი წერილი არის?
- ფსევდოლი - მეგისმეგია.
- კალიდორი - მაშ, რად არ გირი?
- ფსევდოლი - შუშის თვალი მაქეს, ერთი ცრემლიც არ ჩამომეარდება.
- კალიდორი - კი მაგრამ, რაგომ?
- ფსევდოლი - ჩვენ, ყველა მოდგმით თეალმშრალანი ეართ.
- კალიდორი - მაშ, ვერ მიშველი?
- ფსევდოლი - რით დავცხმარო?
- კალიდორი - ეაი.
- ფსევდოლი - "ვაის" მთხოვ? "ვაის," ღმერთმანი, მოგკემ.
- კალიდორი - სესხს ვეჭებ, მაგრამ ფულს ვერ ეშოულობ,
- ფსევდოლი - ვაი!
- კალიდორი - გრომიც კი არ მაქეს.
- ფსევდოლი - ეაი!
- კალიდორი - ხვალ მიჰყავთ იგი.
- ფსევდოლი - ვაი!
- კალიდორი - ვაი მიშველის?

- ფსევდოლი - რაა მაქვს, გაძლევ.  
ეს განძი არის ჩემს სახლში მხოლოდ.
- კალიდორი - იქნებ მასხეხო დღეს ერთი დრაქმა,<sup>10</sup>  
ძლიერ მჭირდება, ხეალ დაგიბრუნებ.
- ფსევდოლი - არა მაქვს, ვფიყავ, თავს დაედებ მძეულად.  
დრაქმა რად გინდა?
- კალიდორი - თოკის საყიდლად.
- ფსევდოლი - თოკი რად გინდა?
- კალიდორი - თავს ვიხრჩობ, მორჩა,  
დღეს დაეიბნელებ დაღამებამდე.
- ფსევდოლი - დრაქმა რომ მოგცე, ვინ დამიბრუნებს?  
თუ მოგყუება გინდა ჩემი და  
თავს იხრჩობ, ფული რომ შეირჩინო?
- კალიდორი - არა, არ მინდა სიცოცხლე, თუკი  
მას წაიყვანენ და წამართმევენ.
- ფსევდოლი - იცოცხლებ, ბრიყუო, რაგომლა გირი?
- კალიდორი - მაშ, არ ვიტირო? ეერცხლს ვინ დაეძებს,  
იმედი გრომის შოენისაყ არ მაქვს.
- ფსევდოლი - ამ წერილით თუ ვიძსჯელებთ, მამინ  
წყლის ნაყუა არის შენი გირილი.  
სხეა არაფერი. ხომ არ გგონია,  
შენი ცრემლები ვერცხლად იქეევა?  
დაწყნარდი, მენდე, მეყვარებულ კაყს  
არ მიგატოეებ. დღესეე გაეკეაჭავ  
რაიმეს, ოღონდ, არ ეიყი როგორ.  
ეიყი, რომ ფული გექნება მალე,  
გაგიჩენ, წარბიყ მიმომწებს ამას.<sup>11</sup>
- კალიდორი - ასრულდეს ნეგაე შენი სიგყეები.
- ფსევდოლი - იყოდე, სიგყეას შუდამ ვასრულებ,  
ნახე, ქარიშხალს დავატრიალებ.
- კალიდორი - ჭაბუკი შენი იმედით ეცოცხლობ.
- ფსევდოლი - თუ დამშეიდლები, დღეს რომ მოგგეარო  
შენ შენი გურუა ან ოყი მინა?
- კალიდორი - რაღა თქმა უნდა.
- ფსევდოლი - მაშ, შემეხეეწე,  
როგორც წესია, ფულს დავპირდები,  
გიმოვი კიდეყ. აბა, დაიწყე.
- კალიდორი - ოყ მინა ვერცხლს ხომ დღეს ვერ მიბომებ?
- ფსევდოლი - მოგეემ. ახლა კი თავს ნუ მბებზრებ,  
ოღონდ იყოდე, არ გეწყინოს და  
მამამენს უნდა დაეყინელო ფული.
- კალიდორი - იქნებ დედასაყ, მოსიყეარულე  
შეილის გულისთეის. გიშეელის ღმერთი.
- ფსევდოლი - ამბზე დარდს ნუ გაიელებ ყურში.
- კალიდორი - ყურში თუ გულში?
- ფსევდოლი - ეგ გაცეეთილი  
გამოთქმა არის. ახლა მისმინეთ,  
მერე რომ არ თქეათ, არ ვიყოღითო,

ნაცნობს, მეგობარს, საჯაროდ ყველას  
ვიცხადებთ, ფრთხილად. მე დღეს არ მენდოთ.

- კალიდორი - ჩუ. ვევედრები.  
ფსევდოლი - მითხარ, რა მოხდა.  
კალიდორი - ხმა ისმის, კარი იღება მაშეღის.  
ფსევდოლი - წვიეში გადატყდეს ნეტაეი ფეხი.  
კალიდორი - თაეიე გამოჩნდა ფლიდის, გამოღის.

## მეორე სქენა

ბალიონი / მათრახით ხელში მონებთან ერთად/, ფსევდოლი, კალიდორი

- ბალიონი - /მონებს მიმართავს/  
გამოღით ჩქარა, თქვე უქნარებო,  
რა ჩემდა ჭირად გიყიდეთ, გარჩენთ.  
ფიქრად არ მოვღით არც ერთს არასდროს  
რაიმე საქმეს მოქკიღოთ ხელი.  
ხშირ-ხშირად თუ არ გაგიტყლაშუნეთ,  
სარგებელს თქვენგან ვერასდროს ვნახავ.  
თქვენნაირ ვირებს არ წაეწყდომიეარ,  
გვერდებს მათრახებს მორჩილად უშვეერთ.  
ცემით რომ მოგკლათ, მე ემარაღლები.  
მოღტის ატანა თქვენი ნიჭია.  
ერთი ფიქრი გაქეთ, იხელთოთ დრო და  
აწაჰნოთ რამე და გადამალოთ.  
ქურღობა, ჭამა, სმა და გაქცევა  
თქვენი საქმეა. მგელს უფრო ვანღობ  
ცხერებს მოსამწყემსად, ვიდრე თქვენ - ჩემს სახლს.  
კაცმა სახეზე რომ შემოგხედოთ,  
ცუღს ეერ იფიქრებს, უწყინარს ჰგაეხართ:  
ახლა კი ყვეღამ ყური დამიგღეთ  
და მოისმინეთ ბრძანება ჩემი.  
თუ მცონარობას არ მოეშეებით,  
თუ არ იფხიზღებთ, მამინ მე ვიცი,  
გვერდს აგიჭრეღებთ მათრახის ცემით.  
ისე ლამაზად, რომ მონაგონი  
იქნება მასთან კამჰანიური  
ჭრელი ფარღაგი, აღექსანდრიის  
ხალი ხატულა, მეღ რომ მხეცები  
ამოუქარგავთ ნაირნაირი.<sup>12</sup>  
ხომ მოგიჩინეთ მე გუშინ საქმე  
ყვეღას ცალ-ცალკე. უტიფარნი ხართ,  
უსაქმურობას მიეცით თაეი.  
კაცმა მოღტით თუ არ გამოგრეკათ,  
რაც გევეღებათ, ვერ გაიხსენებთ.  
თქვენ სიჯიუღით მომიღებთ ბოღოს,  
აბა, უყურეთ! მებეღეთ ერთი!  
სხეა რამისაკენ უჭირავთ თეაღი.

ყური დამიგდეთ, მიხედეთ საქმეს  
და ის აკეთეთ, მე რაც გითხარით.  
მოლგისთვის კი ხართ გაჩენილები,  
მაგრამ გაუძლებს კი თქვენი შურგი?

/სცემს/

რა? გტკივა განა? ამის ღირსია,  
ვისაც ბატონი შესძულებია.  
ჩემ წინ დამწკრივდით და რასაც გეტყვით,  
თქვენ, ყველამ კარგად დაიმახსოვრეთ.  
აბა, შენ სურას მოჰკიდე ხელი,  
წყალი მოიგა, მზარეულს ქვაბი  
რომ საესე კქონდეს. შენ, ცულით ხელში  
მეუფეობა გერგო შემების.

მონა

- ბლაგვია ცული.

ბალიონი

- მერე რა, იყოს.

თქვენც ბლაგვები ხართ ცემა-ტყეპისგან,  
მაგრამ ვიყენებ თქვენს შრომას მაინც.  
საქმეს მეუდექ შენ და იზრუნე  
რომ კრიალებდეს სახლი, ამისთვის  
ყველაფერი გაქვს. სწრაფად შინ შედი.  
შენ ბალიშები დაალაგე და  
შენ კი დაწმინდე ეერცხლის ჭურჭლები,  
ჩამოარიგე. ბამრიდან მოსულს  
ბრძანება დამხედეს შესრულებული.  
დანამეთ, ხეეტეთ, რეცხეთ, ამშრალეთ,  
ბზინეა გაქქონდეს ირგელივ ყველაფერს.  
დაბადების დღე არის დღეს ჩემი  
და ყველამ უნდა აღნიშნოს იგი.  
ღორის ბარკალი, ხორცი და ენა  
კარგად გარეცხეთ, გასაგვებია?  
დიდებულ სტუმრებს მოველი მე დღეს.  
დე, ყველამ ნახოს, რა შეძლებაა მქვს.  
სწრაფად შინ შედით და მოემზადეთ,  
მზარეულს ხელი არ შეეშალოს,  
როდესაც მოვა. მე კი ბამარში  
წავალ. თეგმეულს ვიმოვი რამეს.  
/ბიჭს მიმართავს/

ბიჭო, წინ წადი, მაგრამ გაფრთხილდი,  
საფულე ვინმემ არსად აგწაპნოს.  
მოიყა, რაღაც მინდოდა მეთქვა,  
შინ შეებრუნდები. აბა, ქალებო,  
მისმენთ, თუ არა? თქვენ გეუბნებით.  
გამოიპრანჭეთ, კობტად, ლამაზად,  
იმხიარულეთ, დრო გაატარეთ,  
ჩემს საპატიო, დიდებულ სტუმრებს  
დღეს შეეურჩიო უნდა ქალები.  
ახლა მიეხედები, ბედზე ვინ ფიქრობს  
და ვინ ჭამაზე, ძილზე და ფულზე.

დღესვე გადაეწყვეტ, ვინ გაეყილო ან  
 თაისუფლება ეის მივანიჭო.  
 ახლა იმრუნეთ, რომ საყვარლებმა  
 ბლომად მოგართვან თქვენ საჩუქრები.  
 მთელი წლის სარჩოს თუ არ მივიღებ  
 დღეს მე, ხეალ უკვე ქეჩაში გაგყრიო.  
 დაბადების დღეს ემეიმობ, გესმით?  
 სხეავან სად ნახავთ იმათ, ეისთვისაც  
 ხართ ნეტარება, სიცოცხლე, შეება.  
 ეისთვის შარბათი თქვენი მკერდია.  
 აბა, თქვენ იცით, ჩემი სახლის წინ  
 დადგეს საჩუქრის მომგანი რიგმი.  
 მაშ, რაგომ გაძლეეთ ყველაფერს, რასაც  
 თქვენ მოისურვებთ: კაბებს, ოქრო-ვერცხლს,  
 განა რაიმეს მიკეთებთ სახლში?  
 ლეინოს სევამ ხარბად, მუცელს იჭყიპაეთ  
 უსაქმურები და მე კი ამ დროს  
 მიშრება ხახა. მგონი ჯობია,  
 ცალ-ცალკე ყველა გამოვიძახო  
 და დაეარეგო, მერე რომ არ თქვან -  
 არ ეიოდო. შეგროვდით ყველა,  
 უპირველესად შენგან დაეიწყით  
 ჯერ, ჰედლია. ხორბლით მოვაჭრის  
 საყვარელი ხარ, ეისაც მთებივით  
 აქეს მარცვლეული შინ დაგვინული.  
 აქ მომიზიდოს ხორბალი მთელი  
 ოჯახისათვის, ერთი წლის სარჩო,  
 დაე, აეიესოთ ხორბლით ყველამდე,  
 რომ დაივიწყონ სახელი ჩემი,  
 მეფე იაზონ<sup>13</sup> მიწოდოს ყველამ.

- კალიდორი - გესმის, რას რომავს ეს უტიფარი?  
 სადამდე მიდის.
- ფსევდოლი - მართლაც, ურცხვობას  
 არ აქეს საზღვარი. ჩუმად, ვისმინოთ.
- ბალიონი - შენ, ესოდორა, ხასაე ყასბების,  
 რომლებიც მამვლებს მეტოქეობენ.  
 ჩვენ ფონს გავდივართ ტყუილი ფიცით,  
 ისინი მკლე ხორცს მოგაჩეჩებენ.  
 თუ დღეს მსუქანი საქონლის ხორციო  
 არ დაეამძიმე სამი კაუჭი,  
 ხეალ დირკასავით<sup>14</sup> შენ ჩამოგკიდებ  
 კაუჭზე: ვახსოვს, მევისის შეილებმა  
 რომ გამოაბეს ის ხარის რქაზე.  
 ხარის რქის ნაცულად კაუჭს მიგაბამ.
- კალიდორი - ამას რას ვისმენ? რისხვით ვინთები.
- ფსევდოლი - აქ, ჩვენთან ცხოვრობს ეს კაცი. ამას  
 ითმენს აგიკის<sup>15</sup> ახალგაზრდობა,  
 მამვლის ქალებზე შეყვარებულნი.



რატომ არ უნდათ რომ შეუტვირთოთ და მოიშორონ ასეთი ჭირი. თუმცა რას ვამბობ, სულელი ვარ და გამოუცდელი. მათ სიყვარული უბიძგებს, მაშელის მორჩილნი იყვნენ.

კალიდორი - ვაიმე, ჩუმაღ.

ფსევდოლი - მოხდა რაიმე?

კალიდორი - არ მესმის, შენი ბუბუკი მიშლის.

ფსევდოლი - კარგი, ვჩუმდები.

კალიდორი - არ შეგიძლია,

ისე გაჩუმდე, რომ სიგყვა არ თქვა?

ბალიონი - შენ, ქსიტილია, კარგად მისმინე, შენს მეგობრებს ხომ უხედა აქეთ მეთი,

თუ დღესეე ჩემთან არ მოიგანენ ბლომად გულებით მეთუნის მეთს,

მაშინ შენ ჩაგსევამ ხალთაგუდამი

და წაგაბრძანებ ისეთ ღუქანში,

ძილი რა არის, დაგაეიწყდება,

იქ დასვენებას ვერ ეღირსები.

ხელები თუ არა, რასაც ვგულისხმობ?

აი, შე გველო, მეთში ცურავენ

შენი კაცები, გამოიმეტო

იქნება ცოტა მეგობრებისთვის,

ნუ დაივიწყებ, მეთიან სადილს

მეც გაახლები სიამოვნებით.

თუმც შენ არ გიყვარს და გირჩეენია

ღეინო ჩახეთქო.

თუკი ყველაფერს არ შეასრულებთ,

რაც შე გითხარით, მაშინ მიფრთხილდით,

დავიმახსოვრებ, იცოდეთ ამას.

ხოლო თუ ვერცხლებს ჩამიჩხრიალებთ

გამოსახსნელად, ჩვენ მოერიგდებით.

საქმე ესაა, ფულის გადახდა

არ არის ძნელი.

შენ, ფენიკია, იცი, რას გეტყვი?

შენზე ბევრ ვინმეს უჭირავს თვალი,

თუ სანოვაგე არ შემომიევა

შენი კაცების მამულებიდან,

ხვალ, ფენიკია, ფენიკიური

ღველით წაგათრეე საროსკიპოში.

მესამე სცენა

კალიდორი, ფსევდოლი, ბალიონი

კალიდორი - ფსევდოლ, თუ გესმის, რას ლაპარაკობს.

ფსევდოლი - ძალიან კარგად მესმის, ბატონო.

- კალიდორი - მერე, რას მირჩიე, როგორ ვუშელო, რომ არ გავხადო ქვეყნის სათრევი.
- ფსევდოლი - შენ მშვიდად იყავ. შენს საზრუნავს და ჩემსასაც, შენღე, მარტო მიეხედაე. მე და მაშეალი დიდხანია ვიცნობთ ერთმანეთს, დაბადების დღეს უნდა მიეართეა მას საჩუქარი.
- კალიდორი - რა საჭიროა.
- ფსევდოლი - გიჯობს რაიმე სხვაზე იფიქრო.
- კალიდორი - რაზე ვიფიქრო?
- ფსევდოლი - კარგი, დამშვიდდი.
- კალიდორი - რომ ვიგანჯები?
- ფსევდოლი - აბა, გაკაედი.
- კალიდორი - არ შემიძლია.
- ფსევდოლი - თავს შეუძახე!
- კალიდორი - მიმონებს გრძნობა.
- ფსევდოლი - უმჯობესია, საქმეს მიხედო, განცდებს მოემეი, სისულელეა.
- კალიდორი - აბა, რას ამბობ, შეყვარებული მუდამ სულელურ ამბებზე ფიქრობს.
- ფსევდოლი - ნუ გაუკიე.
- კალიდორი - რაცა ეარ, ეს ეარ, თავს ნუ მახებრებ, მომეშვი, ფსევდოლ!
- ფსევდოლი - კარგი, ბატონო, აბა, ნახეამდის!
- კალიდორი - ოლონდ დარჩი და კრინტსაც არ დაეძრავ.
- ფსევდოლი - აი, ეს მომწონს!
- ბალიონი - მიდის დღე, ბიჭო, რაღას უდგახარ, ჩქარა იარე!
- კალიდორი - არ დაეუძახოთ?
- ფსევდოლი - მშვიდად, ნუ ჩქარობ.
- კალიდორი - ვაიმე, წაეა.
- ბალიონი - რა გკირს, ოხერო, ბიჭო, ასე რად მიიზღამნები?
- ფსევდოლი - მე უღლეურო, არ გესმის? ეი, გეძახით, აქეთ მოგვხედე, საქმეს მაინც მოგაცდენთ, თუმცა იჩქარი. დადექ, სათქმელი გვაქვს რაღაც შენთან.
- ბალიონი - რა მოხდა? ვინ ხარ? თავს ვინ მახებრებს?
- ფსევდოლი - მე შენი ძეელი მეგობარი ეარ.
- ბალიონი - ძეელი ჩახარდა წარსულს, ახალი მკირდება ახლა.
- ფსევდოლი - რას მედიდურობ?
- ბალიონი - მომეშვი ერთი!
- კალიდორი - დაიჭი, ჩქარა!
- ბალიონი - ბიჭო, იარე!
- ფსევდოლი - გზა გადაუქრათ!
- ბალიონი - იუპიტერმა დაე, მეგრისხოთ!

- ფსევდოლი - და შენც ასევე.  
 ბალიონი - წყელიმც იყავთ  
 თქვენ ორივენი. ბიჭო, მობრუნდი!
- ფსევდოლი - არ შეიძლება რაღაცა გითხრათ?  
 ბალიონი - თქვენთან არ მინდა მე ლაპარაკი.  
 ფსევდოლი - თუ საქმე ითხოვს? ეს შენც გეხება.  
 ბალიონი - თუ შეიძლება, გზა დამიკალეთ.  
 ფსევდოლი - არა, დაიცა!  
 ბალიონი - ჩამომეცალეთ!  
 კალიდორი - არა, მისმინე!  
 ბალიონი - ცარიელ სიგყეებს  
 რა თავში ვიხლი, ყურში არ ეუშვებ.
- კალიდორი - როდესაც მქონდა ფული, გაძლედი.  
 ბალიონი - მე ძეღს არა გთხოვ.  
 კალიდორი - მექნება, მოგყემ.  
 ბალიონი - წაიყვან, როცა გექნება, მაშინ.  
 კალიდორი - ეაი-ვაგლახით ფულს ეშოულობდი  
 და შენ გაძლედი.  
 ბალიონი - ამაოდ ხარჯავ  
 სიგყეებს, შე ბრიყვო, საქმეს მიხედე.
- ფსევდოლი - მეხედე მაინც, თუ ცნობ, ეინ არის?  
 ბალიონი - ვიცი ეინც იყო, ახლა ეინც არის,  
 თვითონ იყოღეს. წადით, მომშორდით!
- ფსევდოლი - ბალიონ, ერთი ამ ფულს დახედე.  
 ბალიონი - რაო? ფულიო? ეს სხვა საქმეა!  
 მსხვერპლს რომ ეუკლაედე იუკიგერს და  
 ხელი შიგანით მქონღეს მოთხერილი,  
 ფულის გულისთვის წამსეე დავაგღებ  
 მე საღეთო საქმეს, ხერიი ენახო,  
 ღეთისმოსაობა რა ჭირად მინდა.
- ფსევდოლი - თაყვანისცემას ვიღა დაეძებს  
 ამ თავხედს შიშიც არ აქვს ღმერთების.  
 ბალიონი - მოდი, ლაპარაკს გაეუბამ ამათ.  
 ჩემი საღამი საძაგელ მონას.  
 ფსევდოლი - ჩენც გიქასუხებთ. ღმერთი გწყალობღეს,  
 თუკი ღირსი ხარ, თუ არა, მაშინ  
 ღმერთმა სიკეთე ნურასღროს მოგყეს.  
 ბალიონი - როგორ ბრძანღები, ჩემო კალიდორ?  
 კალიდორი - როგორც შექფერის შეყვარებულ კაცს,  
 თანაც უფუღოს.  
 ბალიონი - შეგიბრაღლებდი,  
 ოჯახს რომ ამით გამოეკეებაედე.  
 ფსევდოლი - თავს ნუ ისაწყლებ, გიცნობთ, ეინცა ხარ,  
 იცი, რაც გეინდა.  
 ბალიონი - ღმერთმანი, ეხედები,  
 რა ჭირიყ მეღის.  
 ფსევდოლი - სწორედ ამისთვის  
 გეძახღით, ახლა ყური მოგვაქყარ.

- ბალიონი** – გისმენთ, ოღონდაც მოკლედ მითხარით,  
**ფსევდოლი** – მეგობარ ქალის გამოსასყიდად  
უნდა მოეცა ფული კალიდორს,  
დაგეჰირდა, მაგრამ რა ქნას, არა აქვს,  
ვერ გიმხელს, რადგან რცხევენია შენი.
- ბალიონი** – სირცხვილს ადვილად აიგანს კაცი,  
მაგრამ წყენას კი ვერ მოინელებს,  
მაგას რცხევენია, სიგყვა გაგება,  
მეც მწყინს, რომ ფული დღეს ვერ მივიღე.
- ფსევდოლი** – იმოვის, მოვეცემს. რამდენიმე დღე  
გეაყადე მხოლოდ. ამას შიში აქვს  
უფრო იმისი, რომ არ უმტრო და  
არ გაუყილო ქალი მას ჯიბრზე.
- ბალიონი** – მაგას დრო ჰქონდა, რომ ნდომებოდა,  
ფულსაც დროულად გაიმეტებდა.
- კალიდორი** – თუკი არ მქონდა?  
**ბალიონი** – მევახმისაგან  
აველო სესხი გრძელეადიანი.  
ან წაგეღლიგა მამამუნისთვის.
- ფსევდოლი** – მამას წაჰგლიჯოს, როგორ ასწავლი,  
თაუხელო, ასეთ უნამუსობას,  
რაგომ სწორ გმაზე არ დააყენებ?
- ბალიონი** – მამელის წესები ასეთი არის.  
**კალიდორი** – როგორ წაუვართვა მამას, მოხუცი  
ფხიზლობს ძალიან. ეგეც არ იყოს,  
სინდისი ამის ნებას არ მომცემს.
- ბალიონი** – ჰოდა, მაგ სინდისს ჩაეკარ ღამით,  
ეხედავ, არ გინდა შენ ფენიკია.  
რაკი ნამუსი გაწუხებს უფრო,  
მამას ვერ ბედავ, რომ უღალატო,  
იქნებ ისესხო ვინმესგან ფული.
- კალიდორი** – სესხი? ამ სიგყვამ დაკარგა ძალა.  
**ფსევდოლი** – შენ მევახმეებს არ იცნობ, ალბათ,  
გამოთერებიან სუფრასთან კარგად,  
ფულს არ იხდიან, იქით ითხოვენ.  
ხელმოჭერილნი გახდნენ ყველანი,  
უკვე არაუის არ ენდობიან.<sup>17</sup>
- კალიდორი** – რა გმას დაეადგე მე უბადრუკი,  
მკლავს სიყვარული და უფულობა.
- ბალიონი** – მამინ იმოვე მეთი ნისიად,  
მერე ნალდ ფულზე გაყიდე იგი,  
მენდე, გარწმუნებ, ორასი მინა  
მაინდ დაგრჩება, მეტი თუ არა.
- კალიდორი** – რაღა ექნა, როცა ახალგამრლობა  
ჩემი ხელს მიმლის, ოცდახუთი წლის  
კაცს ყველა უფრთხის, არ ენდობიან.
- ბალიონი** – მეც ეგ წესი მაქვს, მეც მიჭირს ნდობა.

- ფსევდოლი** – ნდობაზეც ძუნწობ? რა საწყენია!  
რა მოგვა განა მავ უნდობლობამ?
- ბალიონი** – ფულს მუდამ იხდის ის, ვისაც უყვარს,  
დაუნანებლად ხარჯავს და ხარჯავს.  
ვისაც არა აქვს, მან დაანებოს  
სიყვარულს თაჲი.
- კალიდორი** – არ გებრალეები?
- ბალიონი** – ამოდ ყბედობ, აღარ ეღერს შენი  
სიტყვები ჩემთვის. კარგად იყავი,  
აბა, იცოცხლე.
- ფსევდოლი** – ახლა არ ცოცხლობს?
- ბალიონი** – რაც მაგან მითხრა, მას შემდეგ ნაღდად  
მკედარია ჩემთვის. მაშეაღს ხეწნას რომ  
დაუწყებს კაცი, შეყვარებული,  
მისი ღრო უკვე წასული არის.  
შენ ჩემთან ვერცხლის ჩხრიალით მოდი,  
უფულობაზე წუწუნს უგულოდ  
მოვისმენ როგორც დედინაცუალი.
- ფსევდოლი** – დედინაცუალი? შენ რა, მამამისს  
გაპყევი ცოლად?
- ბალიონი** – ღმერთო, მიშეელე!
- ფსევდოლი** – გთხოვ დაგვეხმარო, ბალიონ, ამაღ  
თუ არ ენდობი, მე ღამიჯერე,  
სამი ღლე მომეც. მიწას გავხეთქ ან,  
მღვის ფსკერზე ჩავალ და ფულს მოგიტან.
- ბალიონი** – შენ დაგიჯერო?
- ფსევდოლი** – რატომაც არა?
- ბალიონი** – სისულელეა, ეს იგივეა,  
ქურდს დარაჯობა მიანდო განძის.
- კალიდორი** – მამ, ასე ცუდად მიხდი სიკეთეს?
- ბალიონი** – მაინც რა გინდა?
- კალიდორი** – ექვსი ღლე კიდეე  
მადროეე და ქალს ნუ გამიყიდი,  
შეყვარებულ კაცს ნუ გამიმეტებ.
- ბალიონი** – იქნება ექვსი თვე გირჩეენია?
- კალიდორი** – კეთილშობილო აღამიანო!
- ბალიონი** – არ გინდა უფრო რომ გაგახარო?
- კალიდორი** – კიდეე რას მეტყევი?
- ბალიონი** – რომ აღარ ვყიდი  
მე ფენიკიას.
- კალიდორი** – მართლა ასეა?
- ბალიონი** – ღმერთმანი, მართლა.
- კალიდორი** – ფსევდოლ, ყასაბთან  
ჩქარა, საკლავი იუპიტერს რომ  
შეეწირო მსხვერპლი. ეს არის ჩემი  
იუპიტერი.
- ბალიონი** – ბერი არ გინდა,  
ცხვარს დაგჯერდები.

- კალიდორი** - ჩქარა, რას დგახარ.  
მოიყვა ცხვარი, იუპიტერი  
ბრძანებს, ხომ გესმის?
- ფსევდოლი** - ვაერბივარ, მავრამ,  
ჯერ ქალაქგარეთ ხომ არ გაიქცე?
- კალიდორი** - იქ რაღა გინდა?
- ფსევდოლი** - ორი ყასაბი  
თავის ევენებით, თელის რომგებით  
აქეთკენ უნდა წამოვიყვანოთ,  
მსხვერპლი შეეწიროთ ჩენს სასიკეთოდ  
ამ იუპიტერს, რომ კმაყოფილი  
დაგვირჩეს იგი.
- ბალიონი** - ჯეარს უნდა აცვა. . .
- ფსევდოლი** - . . . ეგ ვაჭრუკანა იუპიტერი.
- ბალიონი** - ჩემი სიკვდილი მართლაც ხელს გაძლევს.
- კალიდორი** - ვითომდა რატომ?
- ბალიონი** - ახლავე გეტყვი.  
სანამ ცოცხალი ვიქნები, მანამ  
შენ არასოდეს იქნები ფრთხილი.  
/ ფსევდოლს/  
ჩემი სიკვდილი შენთვის ცუდია.
- ფსევდოლი** - ნეტავი რატომ?
- ბალიონი** - მე თუ მოეკვდები,  
ათენში შენზე წყალწაღებული  
არეინ დარჩება.
- კალიდორი** - იწამე ღმერთი  
და ახლა მაინც მითხარ ნამდვილი,  
ჰყიდი თუ არა შენ ფენიკიას?
- ბალიონი** - ღმერთმანი, არა. რადგან ის უკვე  
გაყიდულია.
- კალიდორი** - გაყიდე? როგორ?
- ბალიონი** - დედემობილა, უსამკაულოდ.
- კალიდორი** - შენ მეგობარი ჩემი გაყიდე?
- ბალიონი** - თანაც ოც მინად.
- კალიდორი** - როგორ? ოც მინად?
- ბალიონი** - ოთხჯერ ხუთ მინად. ერთ მაკედონელს  
მიეყიდე იგი. თხუთმეტი მინა  
უკვე წინასწარ გადამიხადა.
- კალიდორი** - ეს რა გავიგე?
- ბალიონი** - ვერცხლში გაეცვალე  
მე შენი საგროფო.
- კალიდორი** - როგორ გაბედე?
- ბალიონი** - გაბედე, რადგან ის ჩემი იყო.
- კალიდორი** - გაიქცე ფსევდოლ, ჩქარა მახვილი.
- ფსევდოლი** - მითხარ, მახვილი რისთვის გჭირდება?
- კალიდორი** - ამას მოეკლაე და თავსაც მოვიკლაე.
- ფსევდოლი** - უმჯობესია, თავი მოიკლა,  
ამას შიშნით გაძერება სული.

- კალიდორი – ასეთი უღეთო არსად მინახავს,  
მეფიცებოდა, შენ მოგყიდიო.
- ბალიონი – ეგ კი სწორია.
- კალიდორი – სიგყვა მომეცი.
- ბალიონი – ესეც სწორია.
- კალიდორი – შე უსინდისოე!
- ბალიონი – უსინდისო ვარ, მაგრამ ფულები  
კი დაეაგროვე. ბლომად მაქვს ვერცხლი.  
და როცა მინდა, მაშინ დაეხარჯავე.  
ლეთისნიერი და წარჩინებული  
შენ თუ ხარ, ფული რად არ გაქვს სახლში?
- კალიდორი – ფსევდოლ, მიდექი მეორე მხარეს  
და კარგა მაგრად ეს შეეახუროთ.
- ფსევდოლი – თავისუფლებაც რომ მომანიჭოს,  
ასე პრეტორსაც არ მიეუარდები.<sup>18</sup>
- კალიდორი – ლანძღვით აგვიკლებ, შე უტიფარო.
- ბალიონი – დიდი შაღლობა.
- კალიდორი – ბოროტმოქმედო!
- ბალიონი – მართალი არის.
- ფსევდოლი – გაგთათხო უნდა.
- ბალიონი – მიდი, რა გიშლის?
- კალიდორი – სამარხის ქურდო!
- ბალიონი – კო, ნამდვილად ვარ.
- ფსევდოლი – ძველო ყაჩაღო!
- ბალიონი – ნაღდად ასეა.
- კალიდორი – ორპირო, ფლიდო!
- ბალიონი – კი, გეთანხმები.
- ფსევდოლი – ბოროტო, მკელელო!
- ბალიონი – მიდი, განაჯრძე.
- კალიდორი – შე უწმინდურო!
- ბალიონი – ვარ. გამოვცყდები.
- ფსევდოლი – სრუ, მატყუარა!
- ბალიონი – ძველ ზღაპრებს ჰყვები.
- კალიდორი – კანონის მტერო!
- ბალიონი – ვარ და როგორი!
- ფსევდოლი – ჭაბუკთა ჭირო!
- ბალიონი – თანაც მძეინეარე.
- კალიდორი – შე ქურდ-ბაცაყაე!
- ბალიონი – ერიპა! ეგრე?
- ფსევდოლი – ლტოლვილო მონაე!
- ბალიონი – ოჰო, ესეც ვარ?
- კალიდორი – ხალხის მძარცველო!
- ბალიონი – სიმართლე გახლავთ.
- ფსევდოლი – დაუნდობელო!
- კალიდორი – შე ნაძირალაე!
- ფსევდოლი – შე მაჭანკალო!
- კალიდორი – ბილწო, ბინძურო!
- ბალიონი – მშვენიერად მღერით.

- კალიდორი - დედას და მამას ცემით სულსა ხდი.
- ბალიონი - დავხოცე უკვე. ასე ჯობია  
ლუკმის ყვედრებას. ხომ მართალია?
- ფსევდოლი - ტყუილად ეწვალობთ. უძირო კასრს ჩვენ  
რას ამოვაესებთ ლანძღვა-გინებით?
- ბალიონი - კიდევ ხომ არ გსურთ მითხრათ რაიმე?
- კალიდორი - შენ რა შეგარცხვენს?
- ბალიონი - შე ქარაფშუგავ  
და უმაქნისო, უეარგისი ხარ  
ფუჭ კაკალიეთ. ბეერი კი მლანძღვთ,  
მაგრამ შეგინდობთ და დარჩენილ ფულს  
თუ მეომარი დროზე არ მომცემს,  
მამინ მე ვიცი, რას გავაკეთებ.
- კალიდორი - რას გააკეთებ?
- ბალიონი - რას და პირს ვუტახ,  
ფულს თუ შენ მომცემ. მეტსაც გეტყვოდი,  
მაგრამ დრო არ მაქვს. უფულოდ აზრი  
არა აქვს თხოვნას. ჩემი გითხარი.  
ახლა შენ იცი.
- კალიდორი - მიღიხარ უკვე?
- ბალიონი - ბეერი საქმე მაქვს.
- ფსევდოლი - ცოტაც მაყადეთ.  
ეს კაცი მალე ჩემი იქნება  
და უნდა გაეფუცქვნა ისეთნაირად,  
როგორც თევზს აცლის ქერცულს მზარეული.  
სხვა გზა არ არის, ხალხმა გამწირა,  
არც ღმერთი მშველის. კალიდორ, ჩქარა!
- კალიდორი - მიბრძანებ რამეს?
- ფსევდოლი - ეს ციხე დღესვე  
უნდა ავიღო. ამისთვის გვინდა  
ვინმე ისეთი კაცი, ეშმაკი,  
ფრთხილი, ცბიერი და გამოცდილი,  
ვინც დაეალებას კარგად ასრულებს.  
ისეთი არაა, ფეხად რომ სძინავს.
- კალიდორი - კი მაგრამ, მითხარ, რა მოიფიქრე?
- ფსევდოლი - გაიგებ მერე. ორჯერ ვერ გეტყვი.  
დრო აღარ ითმენს, საქმეს მიეხედოთ.
- კალიდორი - ეგ მართალია.
- ფსევდოლი - ვინმე მიპოვე.
- კალიდორი - მეგობრები კი ბეერი მყავს, მაგრამ  
ერთგული მაინც ცოტაა მათში.
- ფსევდოლი - ეგ კარგად ვიცი. ამოარჩიე  
ჯერ რამდენიმე, მერე იმათგან  
ყველაზე უფრო სანდო დატოვე.
- კალიდორი - უკვე მივდივარ, მოგიყვან მალე.
- ფსევდოლი - მორჩი ლაპარაკს, ნუ ცდები, ჩქარა!
- /კალიდორი გადის/



## მეოთხე სანა

### ფსევდოლი

**ფსევდოლი** – წაიდა უკუე, მარგო ხარ, ფსევდოლ,  
ბატონის ვაჟი დაპირებებით  
ააესე, მაგრამ თუ შეუსრულებ?  
რას ფიქრობ, ნეტავ? ფული მენ არ გაქვს,  
რას გააკეთებ, ისიც არ იცი,  
როგორ დაიწყო, რით დაამთავრო  
ბადის მოქსოვა. თუმცა პოეტის  
ახევე არის. აიღებს ფურცელს,  
ფიქრს მერე იწყებს, რა თქვას ისეთი,  
რაც სხვას არ უთქვამს. მოგონილ ამბავს  
ისე მოგვითხრობს, როგორც ჭეშმარიტს.  
მეუ პოეტი ვარ და ოცი მინა  
არარსებული უნდა ვიპოვო.  
ჭაბუკს შეეპირდი, ფულს ვიმოვიდი,  
ამისთვის მოხუცს დაუადგი თვალი,  
მაგრამ მიმიხუდა, არ ვიცი, როგორ.  
ჯობს ენას კბილი რომ დაეაჭირო.  
სიმონი მოდის, ჩემი ბატონი,  
თან მემობელი მოპყევა გვერდით  
მას კალიფონი. ფულის სუნი მცემს.  
მგონი ვიპოვე მე საგანძური.  
მივაყურადებ ამათ საუბარს.

## მეხუთე სანა

### სიმონი, ფსევდოლი, კალიფონი

**სიმონი** – ქარიფანგია და მექალთანე  
ჭაბუკებისთვის ათენში თავკაცს  
რომ დაეძებდნენ, ჩემს ვაჟიშვილზე  
უკეთესს ვერსად ვერ იპოვნიდნენ  
მთელს ატიკაში. ქალაქში ყველას  
პირს აკერია მისი ამბავი.  
საგრფოს გულისთვის ფულს რომ დაეძებს.  
სხეებისგან ვიცი. თუმცა თავადაც  
ვამჩნევდი, მაგრამ არ ვამელავენებდი.

**ფსევდოლი** – ააწრიალა ბიჭმა ქვეყანა,  
ჩვენს საქმეს აწი რა ეშველება!  
გზები დაგვეხმო. ესეც გრძნობს, ნადავლს  
ვერ მივაკელიეთ ჩვენ, მეძებრებმა.

**კალიფონი** – კაცი, რომელიც სხვის ცოდვებს ეძებს  
ჩასაფრებული და მოყურადე,  
ენაჭარტალა. ყველა ღირსია  
თოკით დაპკიდონ, ეინც შენ გიამბო,

- რომ შენი ვაეი, შეყვარებული,  
თითქოს შენს ფულებს უგრიალბდეს.  
იქნებ ჰორია, არ არის სწორი,  
თუ მართალია, რა მოხდა, ყმაწვილ  
კაცს თუკი უნდა საგრფო დაიხსნას,  
უცხოა რამე და უჩვეულო?
- ფსევდოლი** – ყოჩად, მოხუცო!
- სიმონი** – ეს არ მოხდება!
- კალიფონი** – ვერაფერს იზამ. ჭაბუკობაში  
განა ამგვარად არ იქცეოდი?  
მამას თუ ვაეი სურს ღირსეული,  
თვით უნდა იყოს თაედაჭერილი.  
რაც შენ საქმენი ჩავიდენია,  
ყველას ეყოფა, რომ უწილადო.  
გიკვირს, რომ ვაეი შენ დაგემსგაეა?
- ფსევდოლი** – ქვეყნად ყოფილა კეთილი კაცი.  
ასეთი მამა ყველას რომ ჰყაედეს!
- სიმონი** – ვინ ლაპარაკობს? მგონი მონაა  
ჩემი, ფსევდოლი. ჯეარს უნდა აცვა  
ევ ბუნგისთაეი. წყეულმა შეილი  
სულ გამიგიეა, გადამირია.
- კალიფონი** – სისულელეა, ბრამმა შეგიპყრო.  
გიჯობს მიხვიდე მასთან და ტკბილად  
გაესაუბრო, ჭკუას მოუხმე,  
ეგებ გიშველოს და აიცილო  
უბედურება ნახევრად მაინც.
- სიმონი** – კარგი, გიჯერებ.
- ფსევდოლი** – ფსევდოლ, მოდიან,  
იფიქრე კარგად, რას ეტყვი მოხუცს.  
პირველ ყოელისა, სალაში ბატონს,  
შემდეგ თუ მომრჩა რამე – მემობელს.
- სიმონი** – სალაში ფსევდოლს, აქ რას აკეთებ?
- ფსევდოლი** – არაფერს, ედგაეარ.
- სიმონი** – რას იჯგიმები!
- კალიფონი** – გაბედულია, მე ეფიქრობ, ძალბე.
- ფსევდოლი** – ბრალი არა მაქეს, თამამად რატომ  
არ უნდა ეიყო, თან ჩემს ბატონთან?
- კალიფონი** – შენგან შევიტყოთ გვინდა ნამდვილი,  
რაც ყურმოკრულად ეიყით ჩვენ მხოლოდ.
- სიმონი** – ფსევდოლთან ისე საუბრობ, თითქოს  
სოკრატე იდგეს შენ წინ ნამდვილი.
- ფსევდოლი** – ეიყი, რომ გბულეარ და არ მენდობი.  
წყალწადებული გინდა, რომ ეიყო.  
ნახე, რა კაცი გაეხბე შენს ჯიბრმე!
- სიმონი** – ფსევდოლ, ყურები გამოიფხიეკ  
და მოისმინე ჩემი ნათქვამი.
- ფსევდოლი** – თქეი, თუმეა შენბე მე ნაწყენი ვარ.
- სიმონი** – მონა ბატონბე გაჯაერებული?

- ფსევდოლი** – რაა ამაში გასაოცარი?  
**სიმონი** – მაშ, შიში უნდა მქონდეს მე შენი, არ გამირისხდე და არ დამსაჯო, /შენ შენებური ხერხებით ოლონდ/, ასე არ არის?
- კალიფონი** – ფსევდოლი ნაღდად უნდა გაბრამდეს, რადგან არა გაქვს შენ მისი ნღობა.
- სიმონი** – რა ექნა, გაბრამდეს. არ ეუშლი, მე კი შურთხილად ვიქნები. რას იტყვი, რაღაც მინდა რომ გკითხო.
- ფსევდოლი** – მკითხე, რაც ვიცი, არ დაგიმაღავე და გიქასუხებ დელფოსელივით.
- სიმონი** – ყური დამიგდე. რადგან დამპირდი, მართალი მითხარ, ის ჩემი ეაეი ფლეიგისგმვა შეყვარებული?
- ფსევდოლი** – სიმართლე გახლავთ.  
**სიმონი** – ხომ არ უნდა რომ გამოისყიდოს?
- ფსევდოლი** – სწორედ ასეა.  
**სიმონი** – თაღლითობით და ხრიკებით გინდა, რომ გამომგყუო მე ოცი მინა?
- ფსევდოლი** – მე შენ დაგტყუო?  
**სიმონი** – ჩემს ეაეს რომ მისცე, სატრფო დაიხსნას. ასე არ არის?
- ფსევდოლი** – კი, ასე არის.  
**კალიფონი** – ხედავ, გამოგყდა!  
**სიმონი** – მე ხომ გითხარი.
- კალიფონი** – მახსოვს, მითხარი.  
**სიმონი** – თუ ეს იცოდი, რად მიმაღავედი?  
**ფსევდოლი** – ახლავე გეტყვი. არ მინდა ცუდი წესი დამჩემდეს – ბატონს ეუჩივლო ისეე ბატონთან.
- სიმონი** – წისქვილში არის ამის ადგილი.
- კალიფონი** – განა რაიმე ბრალი აქვს, სიმონ?
- სიმონი** – ძალიან დიდი.  
**ფსევდოლი** – მაცა, კალიფონ, თვითონ გაეარკვევ, დამნაშავე ვარ, მაგრამ გაიგე, ვაჟის ამბავი შენთვის რომ მეთქვა, წამსვე წისქვილში გამაგზავნიდი.
- სიმონი** – რომ მიმაღავედი, ხომ იცოდი, რომ წისქვილში წასვლას ვერ ასცდებოდი?
- ფსევდოლი** – კარგად ვიცოდი.  
**სიმონი** – რატომ არ მითხარ?  
**ფსევდოლი** – კალიდორს ჭირში შეელა უნდოდა, მენგან რომ საფრთხე გეელოდა, ის დღე

- ცოტა შორს იყო, დრო გვექონდა კიდევ.
- სიმონი - ახლა რას იზამ? როგორღა წამლღეც  
ფულებს, ხომ ვიცი თქვენი განზრახვა.  
თან ყველას ვეტყვი, სუსხად არ მოგყენ.
- ფსევდოლი - გვიცოცხლოს შენი თავი ღმერთებმა,  
ფულს სხეებს რად მოეთხოვთ, შენ თავად მოგვეცე.  
შენ გამოგართმევთ.
- სიმონი - მე გამოგართმევთ?
- ფსევდოლი - რატომაც არა.
- სიმონი - თეალი დამთხარე,  
თუ რამე მოგყე.
- ფსევდოლი - მოგვეცე, გაფრთხილებ.
- კალიფონი - თუკი წაართმევ ფულს, ღმერთებს ვფიცავ,  
დიდ და საოცარ საქმეს ჩაიდენ.
- ფსევდოლი - ასეც იქნება.
- სიმონი - თუ ვერ წამართმევ?
- ფსევდოლი - მათრახით მცემე, რომ წაგაღლიტო?
- სიმონი - იუპიტერი იყოს მოწმე, რომ  
არასდროს დაგსჯი.
- ფსევდოლი - დაიმახსოვრე.
- სიმონი - რადგან მაფრთხილებ, უნდა ვიფხიზლო.
- ფსევდოლი - კელაე გიმეორებ, ფრთხილად იყავი.  
დღეს ფულებს მომეცე შენივე ხელით.
- კალიფონი - ყოჩაღ, მაგ ქადილს თუ შეასრულებ.
- ფსევდოლი - თუ ეერა, შენი მონა ვიქნები.
- სიმონი - მამ, კარგი. ჩემი აღარ ხარ უკვე?
- ფსევდოლი - უფრო საოცარ რამესაც გეტყვით.
- კალიფონი - აბა, გვითხარი, ერთი სული მაქვს.
- სიმონი - მიდი. ყურს გიგდებ სიამოვნებით.
- ფსევდოლი - სანამ იერიშს წამოვიწყებდე,  
დიდი ომი მაქვს ჯერ მოსაგები.
- სიმონი - რომელი ომი?
- ფსევდოლი - ის ფლეიგისტის,  
ვისთვისაც შენი ვაჟი გიჟდება,  
რადაც ოინით, მოხერხებულად  
მემობელ მამეალს უნდა წაეართეა.
- სიმონი - როგორ, რა ხერხით?
- ფსევდოლი - ორსავე საქმეს  
დღეს მოეაგეარებ.
- სიმონი - რაც დაიქადნე,  
თუ შესრულებას დღეს მოახერხებ,  
აჯობებ მეფე აგათოკლესაც<sup>19</sup>  
შენ ეაეკაყობით. თუ ვერას გახდი,  
მამინ წისქვილში დღეს მე თავს გიკრავ.  
ხომ ხარ თანახმა?
- ფსევდოლი - ერთი დღე რაა,  
თუნდ სამუდამოდ. თუ მეეასრულებ,  
ვერცხლს გამოგართმევ მამელის მისაცემს.

- კალიფონი - სამართლიანად ითხოვს ფსევდოლი, უნდა დათანხმდე.
- სიმონი - კი, მართალია, კალიფონ, მაგრამ იცი, რას ეფიქრობ? რაიმე უნდებს ხომ არ მიწყობენ? პირი თუ შეკრეს, ფული დამცინელონ.
- ფსევდოლი - რას ამბობ, სიმონ, კაცი არ ვიყო, ასეთი რამე თუ ჩავედინო, და ჯერ-ჯერობით მოფიქრებული თუ მქონდეს რამე, აუჭრელდე რომგით, წიგნს დავემსგავსო, კალმით მოხატულს.
- სიმონი - აბა, გვითხარი, გულში რა გიდექს.
- ფსევდოლი - კალიფონ, ერთი დღე შემომწირე და ყველა საქმე გვერდზე გადადე.
- კალიფონი - სოფელში წასვლას რომ ვაპირებდი?
- ფსევდოლი - დღეს არა! იქნებ სხვა დროს წახვიდე.
- კალიფონი - კარგი, გიჯერებ. დაერჩები, ფსევდოლ, და გაეერთობი შენი ოინით, თუ არ მოგცემენ შეპირებულ ფულს, მაშინ იმ თანხას მე გადაგიხდი.
- სიმონი - სიგყვას არ გავტეხ.
- ფსევდოლი - თუ ფულს არ მომიცემ, ეფიყავ, აგიკლებ ყვირილითა და ლანძღვა-გინებით. აბა, ახლა კი სახლში წაბრძანდით და ეს ადგილი აქ, სამოქმედოდ მე დამიტოვეთ.
- კალიფონი - დე, ასე იყოს, ნება შენია.
- ფსევდოლი - შინიდან ფეხი არ მოიყვალეთ.
- კალიფონი - პირობას გაძლევ ასე მოვიქცე.
- სიმონი - ფორუმზე წაველ და მოვბრუნდები.
- ფსევდოლი - მალე დაბრუნდი. /მაყურებლებს/ ჩემში ეჭვი ხომ არ გეპარებათ. დაგპირდით, სეირს რომ განახებდით და ვაგაცურეთ. ფიქრობთ, ამბავი აქ დასრულდება. გგონიათ, ალბათ, სიგყვა გავტეხე. არა, ჩემს ნათქვამს მე შეეასრულებ. მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიქცე. სცენაზე ვინმე უნდა გამოჩნდეს, ახალი აზრი რომ ჩამავაგონოს, თუკი ვერ შეძლებს ამას, დაუთმოს სხვას მან ადგილი. ახლა შინ შევალ და მოვიფიქრებ, რა ვიმოქმედო. არ დაეყოვნდები. მალე გამოვალ. თქვენ კი ფლეიგისგს დაუგდეთ ყური.<sup>20</sup>

## მეორე მოქმედება

### პირველი სცენა

**ფსევდოლი** - ო, იუპიტერ, რასაც დავიწყებ, ბოლომდე მიმყავს მე ყველაფერი. გულში შიში არ შემეპარება. ვერუ ყოყმანს ვიტან. სიბრძივე არის, მხდალ გულს რომ ანდო დიდი საქმენი. საქმე დიდია იმის მიხედვით, როგორ აფასებ, როგორ აკეთებ. ჯერ მოვიკრიბო ძალები სრულად, ხრიკი, ოინი გაეაორკეცო, გაეასამკეცო / ჩემს წინაპართა სიქველე იმედს მისახავს გულში/, მტრებს, ვიცი, რომ ეძლევე, დაეაყრეინებ ფარ-ხმალს იოლად, მოხერხებულად. ახლა ბალიონს, ჩვენს საერთო მტერს, უნდა ვესროლო ქვა ბალისტიდან,<sup>21</sup> თვალი აღვენეთ, ქალაქს დაელაშქრაე და ჩემი ჯარით აქეთ წამოეალ. თუ გაეიმარჯვებ, შეეუშუბუქებ ცხოვრებას ყველას, მერე ლეგიონს უმაღვე ძეელი ციხისკენ დაეძრავ, ალყაში ჩავსეამ და ავიესებით ნადავლით უხეად მეცა და ჩემი მოლაშქრეები. მტერს თაემარს დავცემ მიეფანგ- მოეფანტაე, დაე იცოდნენ, რა მოდგმისა ვარ, რა დიდებული საქმის თაეკაცი. . . ჩემი გმირობა სალაპარაკოდ დიდხანს ექნებათ. ამას რას ხედაეს ჩემი თვალები? ეინ მოდის? ვილაე ხმლიანი კაცი. ნეტაე რა უნდა? განზე გაედგები, კარგი ოინი უნდა მოეუწყო.

### მეორე სცენა

**პარპატი - ფსევდოლი**

**პარპატი** - ეს არის, ალბათ, აქ მომასწავლა ჩემმა ბატონმა. ქალაქის კართან შემვიღე სახლი გადათეალე და ნახე მაშეალი, თული მიეცი

- წერილთან ერთად – ასე მიბრძანა.  
 ნეტავ, აქ ცხოვრობს, მართლა მაშვეალი?
- ფსევდოლი** – ღვთის ნებით ამ კაცს მალე ხელთ ვიგდებ, თუ ვინმემ უცებ არ მიღალაგა. ძველი ხრიკები ეერას მიშველის, საქმე სხვაგვარად შემოტრიალდა, ახლა ახალი ფანდი მჭირდება, სწრაფად რაიმე უნდა ვიღონო. ნახეთ, მეომრის მაცნეს რა ეუყო, გავასულელებ და გაეაბრიყვებ.
- პარპაგი** – კარებზე მაგრად დაეკაკუნებ და გამოვიხმობ ვინმეს სახლიდან.
- ფსევდოლი** – ამაოდ წვალობ, რას აბრაზუნებ! სახლის პატრონი, იყოღე, მე ვარ. აქ, შორი-ახლოს ვიყავი კართან.
- პარპაგი** – ბალიონი ხარ?
- ფსევდოლი** – ბალიონის ვარ.
- პარპაგი** – შენი სიტყვები როგორ გაეიგო?
- ფსევდოლი** – მე სანოეაგის გამგებელი ვარ.
- პარპაგი** – ეგყობა, შენ ხარ მსახურთუფროსი.
- ფსევდოლი** – მეტი, მე მისი მბრძანებელი ვარ.
- პარპაგი** – ეინ ხარ, მონა თუ თავისუფალი?
- ფსევდოლი** – ახლა ამ წუთში მონად ვმსახურობ.
- პარპაგი** – მეღეე გეგყობა. მიხედება კაცი, რომ შენ მონად ხარ დაბადებული
- ფსევდოლი** – შენს თავს მიხედო, უმჯობესია, და უკმეხობას მოეშვი, გირჩეე.
- პარპაგი** – როგორც ჩანს, დიდი გაიძვერაა.
- ფსევდოლი** – ეგყობა, ღმერთებს მართლაც ვუყვარვარ, რომ მომივლინეს ეს კაცი გრდემლად, მისი წყალობით ბეერ ხრიკს გამოეჭედ.
- პარპაგი** – ნეტავ ეიცოდე ეს რას ბუტბუტებს.
- ფსევდოლი** – მითხარ, ჭაბუკო. . .
- პარპაგი** – გისმენ, რა იყო?
- ფსევდოლი** – შენ მსახური ხარ მაკედონელის, რომელმაც ქალი იყიდა ჩვენგან, მაშვალს თხუთმეტი მინა მისცა და ხუთი კიღეე აქეს გადასახდელი?
- პარპაგი** – მე ვარ, მაგრამ შენ საიდან მიცნობ? არ მინახიხარ. შენთან არასდროს მისაუბრია, თვალის კი შენთვის არსად მომიკრავს, ათენშიც ღღემღე მე არ ეყოფილევარ. აქ პირველად ვარ.
- ფსევდოლი** – ეგყობა, მართლა უცხო მხრიდან ხარ, წასვლის წინ ფულის გადასახდელად ეს ღღე დაგვითქვა შენმა ბატონმა. ფული ჯერ არეის მოუტანია.
- პარპაგი** – აქა მაქეს ფული.

- ფსევდოლი** – შენ მოიგანე?  
**პარპაგი** – ჰო, რა თქმა უნდა!
- ფსევდოლი** – მერე, რას უცდი?  
**პარპაგი** – შენ უნდა მოგცე?  
**ფსევდოლი** – რატომაც არა!  
 ბატონისათვის მისაცემ ფულებს  
 ყველა მე მანდობს. შენ რას ყოყმანობ,  
 მოიგა, ჩქარა!
- პარპაგი** – უმენაესის,  
 იუპიტერის მდიდრულ საუნჯის  
 ხაზინადარიც რომ იყო, მაინც  
 გრომსაც ვერ განდობ.
- ფსევდოლი** – დაეუმინებას  
 ვერც კი მოასწრებ, ამ საქმეს ისე  
 სწრაფად მორჩები.
- პარპაგი** – ჯობს ჩემთან დარჩეს.  
**ფსევდოლი** – ვაი შენს პატრონს! სად გნახეს ნეტა  
 ასეთი ბრიყვი? პატიოსან კაცს  
 ჩირქს რომ მცხებ, იცი, ჩემი სიტყვების  
 სუყველას სჯერა.
- პარპაგი** – რა ვქნა, სჯეროდეთ.  
 სხვების არ ვიცი, მე არ გენდობი.
- ფსევდოლი** – შენ ისე მსჯელობ, თითქოს ვოცნებობ  
 შენს მოგყუებას დიდხანია.
- პარპაგი** – მართალი გითხრა, ეჭვით გიყურებ.  
 სახელი მაინც ვიციოდე შენი.
- ფსევდოლი** – /თავისთვის/ მამშვალს ჰყავს ერთი მონა სირუსი,  
 მეუ მას დავირქმევ. /პარპაგს/ სირუსი მქვია.
- პარპაგი** – მამ, სირუსი ხარ?  
**ფსევდოლი** – ჰო, სირუსი ვარ.
- პარპაგი** – ამდენ ლაყბობას ჯობია ბატონს  
 შენსას მოუხმო, თუ სახლში არის.  
 მასთან საქმე მაქვს, გამომავგზავნეს.
- ფსევდოლი** – შინ თუკი იყოს, დაეუძახებდი.  
 არ გირჩევენია ფული მე მომცე,  
 ვიდრე ელოდო ბატონის მოსვლას?
- პარპაგი** – იცი, რას გეტყვი? ჩემმა ბატონმა  
 აქ გამომგზავნა, რომ ფული მამშვალს  
 მიეცე პირადად, კი არ დაეკარგო.  
 ეიცი, შენ რისი მუცლის გვრემაც გაქვს,  
 შორს დაიჭირე შენი ბრჭყალები,  
 თუითონ ჩაეუთელი ბალიონს თანხას.
- ფსევდოლი** – მაგრამ მას ახლა არა სცალია,  
 სასამართლოზე არის წასული.
- პარპაგი** – ღმერთმა უშველოს, მეუ მაშინ მოვალ,  
 როდესაც იგი შინ დაბრუნდება.  
 აი, წერილი. გამომართვი და  
 მას გადაეცი. ეს ბეჭედი,



- ნიშანი შენი ბატონისათვის,  
რომ ამის მომგანს მან ქალი მისცეს.
- ფსევდოლი** – ეს ხომ მეც ვიცი. ბატონმა უთხრა,  
ვინც ფულს და ნიშანს მას მიუტანდა,  
თან მუსტად ასეთს, რაც მეომარმა  
ჩვენ დაგვიტოვა, ქალს მას ანდობდა.
- პარპაგი** – შენ ყველაფერი კარგად გცოდნია.
- ფსევდოლი** – როგორ არ ვიცი,  
**პარპაგი** – ძალიან კარგი.  
მაშ, ეს წერილი მას გადაეცი.
- ფსევდოლი** – კეთილი, მაგრამ, შენი სახელი?  
**პარპაგი** – პარპაგი მქვია.
- ფსევდოლი** – ეს ხომ მტაცებელს<sup>22</sup>  
ნიშნავს. არ მომწონს შენი სახელი,  
შინ არ შეხვიდე, რამეს აწაანი.
- პარპაგი** – ბრძოლიდან ცოცხლად მტერს მოვათრეველი  
და ამიტომაც მქვია პარპაგი.
- ფსევდოლი** – სახლიდან, ალბათ, სპილენძის ლარნაკს  
მიათრეე ჩუმაღ.
- პარპაგი** – არა, რას ამბობ!  
იცი, რასა გთხოვ?
- ფსევდოლი** – მითხარ, რა გინდა.
- პარპაგი** – მე გაუყუებები გზას ქალაქგარეთ,  
იცი, მესამე ღუქანი სად ღვას?  
კოჭლი, ბებერი, კასრივით მრგვალი  
ქრიმიდა არის იქ ერთი ქალი.
- ფსევდოლი** – მერე რა გინდა?  
**პარპაგი** – შენი ბატონი  
რომ დაბრუნდება, გამომიძახე.
- ფსევდოლი** – ნება შენია, სიამოვნებით.
- პარპაგი** – გზამ დამქანცა და იქ დაეისვენებ.
- ფსევდოლი** – სწორია შენი განზრახვა, მაგრამ  
დასაძახებლად რომ მოეალ, თაეი,  
იყოდე, დიდხანს არ მაძებნინო.
- პარპაგი** – ვისაუბმებ და თეალს მოვატყუებ,
- ფსევდოლი** – ძალიან კარგი.
- პარპაგი** – გინდა რაიმე?
- ფსევდოლი** – წადი, იძინე.
- პარპაგი** – აბა, წაეედი.
- ფსევდოლი** – პარპაგ, მისმინე! უთხარი, თბილი  
რამე დაგხურონ. კარგი იქნება  
ოფლს თუ მოიღენ.

მესამე სიენა

**ფსევდოლი**

- ფსევდოლი** – ღმერთმა მიშველა, რომ მომივლინა  
ეს კაცი მხსნელად და დამაყენა

კემმარიტ გზაზე. ვერ მიშველიდა  
ბენდიერების ქალღმერთიც ისე  
/თუნდაც სურვილი ჰქონოდა დიდი/  
როგორც ანაზღად მისხნა წერილმა,  
მეომრისაგან გამოგზავნილმა.  
აქ არის თითქმის ყველა სიმდიდრე,  
რაც მე მჭირდება: ხრიკი, ოინი  
და თვალთმაქცობა. აქ არის ვერცხლი,  
აქ არის საგრფო ბაგონის ვაქის.  
ახლა მოვიხევეკ სახელს დიდებულს  
და გამოჩნდება აქ ჩემი სიბრძნე.  
როგორ წამერთვა მაშელისთვის ქალი,  
მოფიქრებული მქონდა მე კარგად,  
რას ეიმოქმედებ, როგორ და რა გმით,  
აეწონ-დაეწონე მე ყველაფერი.  
რაც სურვილი მაქვს, ამისრულდება.  
მაგრამ ხომ ხდება, მოითათბირებს  
ბრძენი ასი და, გამარჯვება კი  
ქალღმერთ ფორტუნას ერგება წილად.  
ხშირად გონიერს ვუწოდებთ იმას,  
ვისაც მუდმივად უდიშის ბედი,  
ვინც წარმატებებს იოლად აღწევს.  
ასეთი კაცი, ბრძენია, ვფიქრობთ,  
ბრყიეებს ვეძახით, ვისი საქმენიც  
ცუდად მთავრდება. სულელები კი  
თავად ჩვენა ვართ, ვაკეთებთ რამეს,  
არ ვიცით, კარგი არის თუ ცუდი.  
უგუნურ საქმეს ვეშურებით და  
ამ დროს გონიერულს ხელიდან ვუშვებთ.  
ამ ფაქა-ფუცში, ტანჯვაში უცებ  
მოგეუპარება სიკვდილი ჩუმად. . .  
მეყოფა, ბეერი ვილაპარაკე,  
კმარა ამდენი ფილოსოფია.  
ო, გეციურნო, ახლა ისეთი  
რამ მომაფიქრდა, ოქროს ფასი აქვს.  
რა კარგი ვქენი მაშელის მსახურად  
რომ გაეცანი წერილის მომტანს,  
ახლა სამივეს ავიგდებ მასხრად:  
ბაგონს, მაშეალს და მეომრის მსახურს.  
აი, გამოჩნდა, ვისაც ველოდი  
და სიხარული გამიორკეცა.  
აქეთკენ მოდის. კალიდორია,  
ვილაც უცნობი კაცი მოჰყვება.

კალიდორი, ქარინი, ფსევდოლი

- კალიდორი - ყველაფერი ხომ გიაგბე უკვე,  
რაც თავს გადამხდა: ტკბილიც და მწარეც.  
იცი, რომ მიყვარს, ისიც იცი, რომ  
ეიგანჯები და მჭირდება ფული.
- ქარინი - დაეიმახსოვრე ეს უკვე კარგად.  
შენ ის მითხარი, მე რა უნდა ექნა.
- კალიდორი - ფსევდოლმა ბრძანა, რომ მიუყვანო  
ისეთი ეინმე, ჩემი ერთგულიც  
იყოს, ყოჩაღიც.
- ქარინი - შენ მოიხადე  
პირნათლად ეალი, მეგობარიც და  
კეთილმოსურნე შენ მასთან მიგყავს.  
ფსევდოლს არ ეიყნობ. ეინ არის, მითხარ.
- კალიდორი - ნალდი ეინმეა, ჩემი მხსნელია.  
დამპირდა, საქმეს მოგიგვარებო.  
ეს ხომ გიაგბე.
- ფსევდოლი - მოგესალმებით. . .
- კალიდორი - ეისი ხმა ისმის?
- ფსევდოლი - მეუფეე ჩემო და მბრძანებელო,  
შენი ფსევდოლი მოგესალმება.  
სამი ამბაეი უნდა გახარო,  
სამ-სამი ხრიკი, სამგვარი ხერხი  
და ცბიერება გავასამკეცე  
და გამოვგატე სამ ეინმეს იგი.  
ამ პაწაწინა წერილში არის  
ეს სიხარული, რაც მოგიგანე.
- კალიდორი - აი, ეს კაცი.
- ქარინი - ეს გაიძვერა  
ტრაგიკოსიეით არ ლაპარაკობს?
- ფსევდოლი - მომიახლოედი და სალმისათვის  
გამომიწოდე თამამად ხელი.
- კალიდორი - ფსევდოლ, მითხარი, როგორ მოგმართო,  
რა ხარ შენ ჩემთვის, ხსნა თუ იმედი?
- ფსევდოლი - ორივე ერთად.
- ქარინი - ხსნასა და იმედს  
ჩემი სალამი. გამოდის რამე?
- ფსევდოლი - ნუ გეშინიათ.
- კალიდორი - ეს მოგიგანე.
- ფსევდოლი - რა მომიგანე?
- კალიდორი - მოგიყვანე - თქო,  
მინდოდა მეთქვა
- ფსევდოლი - ეინ მომიყვანე?
- კალიდორი - ქარინი ჰქვია.

- ფსევდოლი** - ძალიან კარგი.
- ქარინი** - მე რას მიბრძანებ? რისთვის გვირდები?
- ფსევდოლი** - მადლობელი ვარ შენი ძალიან, მაგრამ არ მინდა რომ შეგაწუხო.
- ქარინი** - ასე რად ამბობ. მე არ ვწუხდები.
- ფსევდოლი** - ჰო, კარგი, დარჩი.
- კალიდორი** - ეს რაღა არის?
- ფსევდოლი** - ო! ეს წერილი სწორედ ახლახან მე დაეითრია. ბეჭედიც აქვს.
- კალიდორი** - ბეჭედი? ვისი?
- ფსევდოლი** - ეს წერილია მეომრისაგან გამოგზავნილი, მისმა მსახურმა აქ მოიტანა, ხუთი მინაც აქვს, ქალის წაყვანა უნდა. არ იცის, მშრალზე რომ დაესვი.
- კალიდორი** - კი მაგრამ, როგორ?
- ფსევდოლი** - ამ წარმოდგენას მაყურებლებიც თვალს ადევნებენ და მათ იციან მიზეზი კარგად. თქვენ კი გიაშობთ ცოტა ხნის შემდეგ.
- კალიდორი** - ახლა ჩვენ რა ვქნათ?
- ფსევდოლი** - სატრაფოს იხილავ თავისუფალს და ჩაიკარ გულში.
- კალიდორი** - მე? ნუთუ მართლა?
- ფსევდოლი** - სწორედ შენ. ამის პირობას გაძლევ, მხრებზე თუ თავი მახია, ოღონდ კაცი მჭირდება.
- ქარინი** - როგორი კაცი?
- ფსევდოლი** - ცბიერი, ფლიდი, უთქმელად მიხედეს, რას ფიქრობ, რა გსურს და იმოქმედოს თავისი ჭკუით. ოღონდ აქ არეინ უნდა იცნობდეს.
- ქარინი** - მონა რომ იყოს, თუ შეიძლება.
- ფსევდოლი** - თავისუფალ კაცს მონა სჯობია.
- ქარინი** - ეფიქრობ, მოგიყვან ასეთ ცბიერს და თაღლით კარისტელს<sup>23</sup> / მამაჩემმა რომ გამოგვიგზავნა/, სახლიდან ფეხი არ მოუყვლია. ათენში იგი პირველად არის. გუშინ მოვიდა.
- ფსევდოლი** - ძალიან კარგი. მაგრამ მჭირდება სესხად მე ხუთი მინა ვერცხლისა, ვალს გავისტუმრებ დღესვე. ფულს მომცემს ამისი მამა. ვიცი, შემპირდა.
- ქარინი** - სხვაგან ნუ ეძებ, ფულს მე გასესხებ.
- ფსევდოლი** - უბერიფასესო ადამიანო! ქლამიდა, ქუდი, მახელიც მინდა.
- ქარინი** - ყველაფერს მოგცემ.

- ფსევდოლი** - ო, მეციერნო,  
სიუხვის ღმერთი არის ქარინი?  
მაგრამ კარისტელს ვენდოთ, ჩაერიოთ?  
ნეტავ ამ საქმეს რა სუნი უღის?
- ქარინი** - საქმეს არ ვიცი, მონას კი უღის  
ნაღდად თხის სუნი იღლიებიდან.
- ფსევდოლი** - მაშინ ტუნიკა<sup>24</sup> ატაროს გრძელი  
სახელოებით. ენამწარეა?
- ქარინი** - წიწაკასავით.
- ფსევდოლი** - ტკბილი თუ არის?  
იქნებ დაგვჭირდეს,
- ქარინი** - თაფლით, მარბათით  
და ყურძნის წვენიტ კუჭი საესე აქეს,  
შეძლებს ღუქანი გახსნას მუეეღში.
- ფსევდოლი** - ო, ქარინ, ქარინ, რა კეიმაგი ხარ,  
სამაგიეროს მშენიერად მიხღი.  
მიოხხარ, იმ მონას რას ეძახიან?
- ქარინი** - სიმიო პქეია.
- ფსევდოლი** - რომ გაუჭირდეს,  
ღატრიულღება?
- ქარინი** - როგორც ციბრუგი.
- ფსევდოლი** - ხერხი თუ იცის?
- ქარინი** - ეერაგობაში  
ხერხიეით უჭრის ჭკუა-გონება.
- ფსევდოლი** - რომ დაიჭირონ?
- ქარინი** - გველთეემასავით  
გასხლგება სწრაფად.
- ფსევდოლი** - გამოქექილი  
არის ასეთი?
- ქარინი** - ხალხის თქმით, ასეთ  
კაცს თურმე ვერსად ვერ გამოქექავ.
- ფსევდოლი** - როგორც შენ ამბობ, კარგი ეინშეა.
- ქარინი** - საკმარისია შემოგხედოს და  
გეტყვის თვითონეე, მისგან რას იოხოე.  
მაგრამ რად გინდა?
- ფსევდოლი** - გეტყვი. მოეკამშაე,  
მიეცემ ხუთ მინას, ეითომ მეომრის  
მსახური არის. ასე, ამგეარად  
ქალს წამოიყეანს. აი, ეს არის  
მთელი ამბაეი. დანარჩენი კი  
როგორ მოიქეეს, მას შენ უოხარი.
- კალიღორი** - ახლა რას ვღგავართ?
- ფსევდოლი** - მონა, მორთული  
და მოკამშული მე მომიყეანეთ,  
ეაჭარ ესქინთან ეიქნები, სწრაფად!
- ქარინი** - ჩეენ შენშე სწრაფად ვიელით, მიგასწრებო.
- ფსევდოლი** - აბა, თქვენ იყით. აღრე ეეჭვობღი,  
ახლა კი მჯერა, რომ გაეიმარჯეებ,

გულიდან დარდი გადამეყარა.  
წინ წაუძღვები ლაშქარს სწორი გზით,  
დროშებით ხელში. კეთილ ნიშანსაც  
ვამჩნევ ამკარად. ჩიგები ფრენენ  
მარცხენა მხარეს.<sup>25</sup> მეც ეს მინდოდა.  
მტრებს დაემარცხებ, უეჭველია.  
ფორუმზე წაეალ. ეურჩევი სიმიას  
მაგრამ სინამდვილეში არ არიან: მათ უდგევარ კვლამი; მაგრამ ისე ვაწყობ, რომ მე არ  
დამყინონ, უფრო მეტიც, მათ დაეცინი და ამასთანავე მათ ნიჭს აღტაცებული ეადიდებ. 250

რასაც ამბობენ, ვაქებ; პირიქითაც, თუ რამეს უარყოფენ,

იმასაც ვაქებ; უარყოფს ვინმე, ეუარყოფ; ამტკიცებს:

ვამტკიცებ; ბოლოს და ბოლოს თავს ეუთხარი, ყველაფერში თავი მოუქონო.

ახლა ეს ყველაზე მომგებიანია“.

## პარმენო

ეფიყავ, გაქნილი ადამიანია! ბრიყვს პირდაპირ ვიქვს გახდის.

## გნათო

ამ ლაპარაკში ხორის ბაზრამდე მივედიო, 255

ჩემს შესახვედრად გახარებულები მორბიან სასუსნავების შემოქმედნი:

თემის გამყიდველები, ყასბები, მზარეულები, მეურინველები. მეთევზეები,

რომლებსაც ფულით თუ უფულოდ ხშირად ეადგებოდი და ახლაც ვადგები.

მესალმებიან, სუფრასთან მიხმობენ, მოსულას მილოცავენ.

საბრალო მშვიერმა როცა დაინახა, რომ მე ასეთ პატივში ვარ 260

და ასე იოლად ვმოულობ საარჩოს, ამ ადამიანმა თხოვნა დამიწყო,

რომ მისთვისაც ეს ყველაფერი მესწავლებინა: დაენიშნე მიმღევრები,

თუ შეიძლება, ფილოსოფოსების სწავლებებს მათი სახელი ერქვათ,

პარასიტებიც ასევე გნათოკებად უნდა იწოდებოდნენ.

პარმენო (თავისთვის)  
ხედავთ. რას აკეთებს მუქთა პური და მოცალეობა?

გნათო

რად

265

ვაყოენებ თაისთან ამის წაყვანას და  
მის სადილად მოხმობას? ნალელიან პარმენოს  
ხედავ კართან, მეტოქის მსახურს:  
საქმე მოგვარებულია. რასაკვირველია, მას  
არაად აგლებენ. ვიგინდარა,  
უეჭველად დაეცინებ.

პარმენო (თავისთვის)

პგონიათ,

ამ საჩუქრით თაისი მათი ვახდა.

გნათო

გულითადად გესალმება

270

პარმენოს გნათო, რა ხდება?

პარმენო

ელგაეარ.

გნათო

ეხედავ. ნუთუ აქ ეერ ხედავ, რისი ნახეაყ არ გსურს?

პარმენო

შენ [გხედავ].

გნათო

მჯერა. მაგრამ სხვა რას?

პარმენო

მაინც რას?

გნათო

მოწყენილი ხარ.

პარმენო

სრულიადაც არა.

გნათო

ნურც

იქნები.

(გოგონაზე უთითებს) მაგრამ ვერ ხედავ ამ მონაპოვარს?

პარმენო

ცული არ არის, ჰერაკლეს ეფიციე!

გნათო (თავისთვის)

კუჩიჩხინებ

აღამიანს.

პარმენო (თავისთვის)

როგორ ცდება.

გნათო

როგორ გგონია, თაისს ნაბოძები მოეწონება?

პარმენო

შენ ახლა იმას ამბობ, რომ ჩვენ აქედან გამოგვაგდეს:  
ოი, ყველაფერი იცვლება.

275

გნათო

მე შენ, პარმენო, სიმშვიდის მთელ ექვს თვეს გიბოძებ, არც წინ და უკან სირბილი მოგიხდება და არც გამთენიამდე უძილობა.

განა არ გაგაბედნიერებ?

პარმენო

მე, როგორ!

გნათო

ასეთი ვარ

მეგობრებისთვის.

პარმენო

ვაქებ.

გნათო

გაყოვნებ: ეგებ შენ სხვაგან გაგაგზავნენ.

280

პარმენო

არა.

გნათო

მაშინ ცოგა ღამეხმარე: მომიხერხე, რომ გოგონასთან მიმიშეან.

პარმენო

ეი, წალი: მოიყვანე იგი და შენთვის კარი გაიღება.

გნათო

გინდა შინიდან აქ ვინმეს დაუეძახო?

პარმენო

დაიცადე, ეს ორი დღეც გავიდეს:

ბედნიერმა ახლა ერთი თითით გააღე კარები,

მაღე კი ფეხებს ამაოდ დაუბრაახუნებ.

285

გნათო

შენ კიდეუ აქ დგახარ, პარმენო? ეი, შენ ახლა აქ დაგკოვეს მცველად,

რომ მემთხვევით ჯარისკაცისგან ქალისკენ ფარულად გამოქეულები შეაჩერო?

პარმენო

ხუმრობს: განა საოცარია, რომ ჯარისკაცს ის მოეწონა? –

მაგრამ ვხედავ, ბაგონის უმცროსი ეათი მოდის აქეთ.

მიკეირს, პირეოსიდან როგორ წამოვიდა; ის ხომ იქ ახლა ოფიციალური მცველია.

290

რალაცამა საქმე; აჩქარებით მოდის. არ ვიცი, ირგვლივ რაგომ იქეირება.

სცენა III

ქერვა პარმენო

ქერვა (თავისთვის, პარმენოს ვერ ამჩნევს)

დავიღუპე!

მე და ქალიშვილიც, რომელიც ჩემი თვალთახედვიდან დაეკარგე.

სად დაეკარგე, სად მოვიძიო, ვის დაუეკითხო, რა გზას დავადგე,

დაბნეული ვარ. ერთი იმედია: სადაც არ უნდა იყოს, დიდხანს ვერ

მეძლებს დამალვას.

295

ო, მშვენიერი სახე! ამოვძირკვავ ყველა ქალს ჩემი სულიდან:

მეზიმლება მათი ჩვეულებრივი სახეები.

პარმენო (თავისთვის)

აი

კიდევ სხვებიც!

არ ვიცი, რას ლაპარაკობენ სიყვარულზე: ო, უბედური მოხუცი კაცი!  
ამან თუ დაიწყო, თამამად და გართობად მოგეჩვენება შეილი მასთან  
შედარებით, თუნდაც სიგიჟეში გადავარდნილი.

300

ქერუა

ღე ღალუკონ ღმერთებმა მოხუცი, რომელმაც მე ღლეს დამაყოენა;  
და უფრო მეტად მე, რომელიც მას გაეუჩერდი; მაშინ მე ეს არაფრად ჩაეგადღე. მაგრამ აი  
პარმენო. გამარჯობა.

პარმენო

რაგომ ხარ დაღონებული? რამ

აგაღლევა? საიდან მოდიხარ?

ქერუა

მე? არ ვიცი, პერაკლეს ვფიცავ!

305

არ ვიცი, საიდან მოვდივარ, საით მივდივარ: არაფერი მახსოვს.

პარმენო

მიტხარი როგორ?

ქერუა

მიყვარს.

პარმენო

ეკ.

ქერუა

ახლა,

პარმენო, მიჩვენე, რა მაგარი ხარ.

გახსოვს, შენ მე ზშირად მშირდებოდი: „ქერუა, როცა შეიყვარებ: გაიგებ,

როგორ შემიძლია გამოგადგე“;

მე ხომ შენს ჯიხურში საჭმელი მამისგან უჩემრად მომქონდა.

310

პარმენო

ეი, სულელო.

ქერუა

პერაკლეს ვფიცავ, დადგა დრო. ახლა შეასრულე  
დანაპირები, საქმე მართლაც ღირს, რომ შენ ძალები მოიკრიბო.

ეს ქალიშვილი სულაც არ ჰგავს ჩვენ ქალიშვილებს, რომლებსაც დედები ასწავლიან მხრების

ჩამოწვევას, მკერდის გაკერას, რათა განწერწერგად გამოიყურებოდნენ, არ აჭმევენ,

თუ რომელიმე ნასუქია, რომ არ თქვან, მოკრივეაო:

315

და რაც არ უნდა ჯანსაღი იყოს, მრუნავენ, ლერწმად აქციონ:

აი, ასეთებს იყვარებენ.

პარმენო

შენი როგორია?

ქერუა

საოცარი

შესახედაობისაა.

პარმენო

რას ამბობ!

ქერუა

ბუნებრივი ფერის, მოქნილი სხეულის და საესე!



პარმენო  
რამდენი წლისაა?

ქერვა  
რამდენი წლისაა? თექვსმეტის.

პარმენო  
ყვავილია.

ქერვა  
მომიყვანე ან ძალით ან ფარულად ან  
თხოვნით: ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდ დაეუფლო.

პარმენო  
რაა? გოგონა ვისია?

ქერვა  
არ ვიცი, პერაკლეს ვფიცავ.

პარმენო  
საიდანაა?

ქერვა  
ასევე არ ვიცი.

პარმენო  
სად ცხოვრობს?

ქერვა  
არც ეს ვიცი.

პარმენო  
სად ნახე?

ქერვა  
გზაში.

პარმენო  
როგორ დაკარგე?

ქერვა  
როცა მოვდიოდი, ჩემს თავზე ებრამობდი,  
მგონი, ჩემნაირი აღამიანი არაეინაა, რომელსაც ყველა ბედნიერება საპირისპიროთი  
უცულება. 325  
ეს რა უბედურებაა? დავიღუპე.

პარმენო  
რა მოხდა?

ქერვა  
მეკითხები? ხომ იცი  
მამის ახლობელი და მისი კბილა არქიდემიდესი?

პარმენო  
როგორ არა.

ქერვა  
როცა

გოგონას მივღევი, ის შემომხედა.

პარმენო  
პერაკლეს ვფიცავ, უღროო ღროს.

ქერვა

ო, არა, პირიქით,

ნამდვილად საუბელუროდ;

ულროო დრო სხვაზე ითქმის, პარმენო.

330

იგი მე ბოლო ექვსი-შეიდი თვის მანძილზე  
სულ არ მენახა, თუ არა ახლა, როცა ყველაზე  
ნაკლებად მინდოდა და ნაკლებად საჭირო იყო.  
ეი, არ ვნახე, საოცრება არაა? რას იტყვი?

პარმენო

ვერაფერს.

ქერვა

შორიდანვე ჩემსკენ მორბის, მოხრილი, აკანკალებული,

335

ჩამოვარდნილი გუჩებით, ოხრავეს:

„ეი, ეი, შენ გეუბნები, ქერვა“ ამბობს. გაეჩერდი.

„იცი, მე შენგან რა მინდოდა?“ „თქვი“. „ხვალ ჩემი სამსჯავრო იქნება“. „მერე რა?“ „მინდა,

აუწყო მამას, ჩემი დამცველი

იყოს ღილით, არ დაიეიწყო.“

340

ვიდრე ამას ამბობს, დრო გადის. ეეკითხები: „ახლა რა გინდა“.

„არაფერი, მალლობთ“ - ამბობს. მიედიეარ. მივბრუნდი გოგონასკენ, რომელიც ამასობაში  
ჩვენი ქუჩისაკენ შემოგრიალდა.

პარმენო (თავისთვის)

ეს ისაა, რომელიც ძღვნად გადაეცა თაისს.

ქერვა

მიედიეარ, ალარაეინაა.

345

პარმენო

ახლდნენ გოგონას?

ქერვა

ღიახ: პარასიტი მსახურთან ერთად.

პარმენო (თავისთვის)

ისაა.

(ხმამალა)

მორჩი; ყველაფერი დამთავრდა.

ქერვა

რამე სხვაზე-

პარმენო

სწორედ ამაზე ვფიქრობ.

ქერვა

მითხარი, იცი, ვინ არის,

ან გინახავს?

პარმენო

ენახე, ეიცნობ, ეიცი, საით წაიყვანეს.

350

ქერვა

ეი, ჩემო პარმენო, მართლა იცნობ?

პარმენო

ეიცნობ.

ქერუა

და იცი,

სად არის?

პარმენო

კახპა თაისთან წაიყვანეს: მას ძღვენად გადასცეს.

ქერუა

ვის შეუძლია ასეთი საჩუქრის მიძღვნა?

პარმენო

ჯარისკაც თრასოს,

ფედრიას მეტოქეს.

ქერუა

მძიმე ხველრი ელის ძმას.

პარმენო

რომ იცოდე, თავად რა საჩუქარს უმზადებს, უფრო მეტსაც იტყოდი.

355

ქერუა

პერაკლეს ვფიცაე,

მაინც რას?

პარმენო

საჭურისს.

ქერუა

მითხარი,

იმ საშარცხეინო ადამიანს, ბებრუხანას, რომელიც გუმინ იყიდეს?

პარმენო

სწორედ იმას.

ქერუა

ნამდელილად ამ ადამიანს

საჩუქრიანად გამოაგდებენ შინიდან. მაგრამ ეს თაისი რომ ჩვენი მეზობელია, არ ვიცოდი.

პარმენო

არც თუ

ისე დიდი ხანია.

ქერუა

დავიღუპე, მე ის არასოდეს მინახავს!

360

მისმინე, მითხარი მე: მართლაც ლამაზია?

პარმენო

მართლაც.

ქერუა

მაგრამ ამ ჩვენსას ვერ შეედრება?

პარმენო

სრულიად სხვაა.

ქერუა

გემუდარები, პარმენო, დამეხმარე, რომ ჩემი ვახდეს.

პარმენო

მონდომებით დაგეხმარები, ხელს

შეგიწყობ: მეტი რა ექნა?

ქერუა

ახლა საით

მიდიხარ?

პარმენო

შინ, ეს მონები თაისთან უნდა წაიყვანო, ასე მიბრძანა

შენმა ძმამ.

ქერუა

ო, ბელნიერია ეს საჭურისი, იმ სახლში შეესვლება.

365

პარმენო

მერე რა?

ქერუა

მეკითხები? სრულყოფილ სილამაზეს ემსახურება, მუდამ შინ იხილავს, ილაპარაკებს, მასთან ერთად იცხოვრებს, ზოგჯერ მასთან ერთად მიირთმევს, მის გვერდითაც დაიძინებს.

პარმენო

ახლა შენც გინდა, ბელნიერი გახდე?

ქერუა

როგორ, პარმენო? მიპასუხე.

პარმენო

მის ტანსაცმელს ჩაიყვამ.

ქერუა

ტანსაცმელს? მერე რა?

370

პარმენო

მის მაგიერად შენ წაგიყვან.

ქერუა

გისმენ.

პარმენო

შენზე ვიგყვი, რომ ისაა.

ქერუა

გაუიგე.

პარმენო

შენ შესაძლებლობა გექნება ელაპარაკო: მასთან ერთად მიირთვა, მასთან ერთად იყო, შეეხო, ითამაშო, შორიახლოს დაიძინო;

ქალები შენ არ ვიცნობენ და არც არვინ იცის, როგორი ხარ.

გარდა ამისა შესახებლაობითა და ასაკით საჭურისად იოლად გახედალ.

375

ქერუა

შესანიშნავია: უკეთესი რჩევა არასდროს გამიგონია.

მოდი ახლავე შევიდეთ: გამომაწყვე, წამიყვანე, სასწრაფოდ გამიძეხი.

პარმენო

რაგომ წავიდე? ვიხუმრე.

ქერუა

რას სულელობ.

პარმენო

დავიდუპე. მე უბედურმა რა ვქენი!

საით მიზიძგებ? შენ მე უკვე ბოლო მომიდე. შენთვის ვაბობო, დაიწყადე.

ქერვა  
წავიღეთ.

პარმენო  
გაუყუყუეთ?

ქერვა  
კეთილი.

პარმენო  
ძალიან ხომ არ ჩქარობ? 380

ქერვა  
არა, რასაკვირველია: ნება მომეცი..

პარმენო  
მაგრად მომხედება

ამისთვის.

ქერვა  
ოი.

პარმენო  
სირსხვილია.

ქერვა  
რა არის სირსხვილი, გარყენილის სახლში შევიღე და იმ უმსგავსოებისთვის, რომლითაც ჩვენ  
და ჩვენს სიყმაწვილეს არცხვენს და ჩვენ მუდამ ყველანაირად ვეგანჯავს,  
ახლა სამაგიერო გადაეუხადო და ისეთნაირადვე მოვაგყუო,  
როგორადაც ჩვენ ვეაგყუებენ? 385

ან უკეთესია მამა მოეაგყუო?  
რომ გაიგებენ – სირსხვილიაო; ასე განსჯის ყველა და სამართლიანადაც.

პარმენო  
რა გაეწყობა? თუ მართლაც გასაკეთებელია, გააკეთე; ოღონდ მერე მე  
არაფერი გადამაბრალო.

ქერვა  
არ ვიზამ.

პარმენო  
მიბრძანებ კი?

ქერვა  
ვიბრძანებ?

ვიბრძანებ და გაიძულე:  
არასდროს გაეუქსევი პასუხისმგებლობას. მომყევი.

პარმენო  
ღმერთებმა ხელი

მოგვიმართონ. 390

III მოქმედება

სცენა I

თრასო გნათო პარმენო

თრასო  
თაისი ჩემი ნამდვილად დიდად მალღიერია?

გნათო  
ძალიან.

თრასო  
შენ ამბობ, ვახარებულია?

გნათო  
საჩუქრით კი არა, უფრო იმით, რომ შენგანაა:  
ეს ნამდვილად სერიოზულად ახარებს.

პარმენო (შეუმჩნევლად გამოდის)  
იქით ვაეხებოდა, რომ თუ შესაფერისი ღროა,  
წაეყვანო. მაგრამ აი, ჯარისკაციც.

თრასო  
მართლაც, ეს 395  
ნიჭია, ჩემი მაღლიერნი არიან ყველაფრით, რასაც ვაკეთებ.

გნათო  
პერაკლეს ვფიცავ. შეენიშნე.

თრასო  
თუნდაც მეფე, რაც არ უნდა გამეკეთებინა,  
მუდამ მე მემადლიერებოდა: სხვებს კი – არა.

გნათო  
ზოგისთვის დიდი ძალისხმევით მოდის დიდება,  
ზოგიერთისათვის, რომელთაც მახვილი გონი აქვთ, ხშირად სიგყვებით;  
როგორც შენთვის. 400

თრასო  
სწორია.

გნათო  
მამასადამე შენზე მეფე გიღვება...

თრასო  
და მერე როგორ.

გნათო  
რასაკვირველია.

თრასო  
მართლაც: ჯარს და მთელ გვემას მანლობს.

გნათო  
საკვირველია.

თრასო  
მაშინ როცა მას ადამიანთა ან საქმიანობის  
სიჭარბე მოძულდებოდა,  
და დასვენებას მოისურვებდა, თითქოსდა... ხომ გესმის?

გნათო  
მესმის: 405  
თითქოსდა სულიდან აძეებდა დარღს.

თრასო  
დაიცა.  
მაშინ შეინახედ მხოლოდ მე მიეყავდი თავისთან.

გნათო  
შენი ნათქვამით,  
მაგარი გემოვნებიანი კაცი ჩანს.

თრასო

ღიახაც, ასეთი კაცია:

ძალიან ცოტა ადამიანს წყალობს.

გნათო

მე მგონი,

საერთოდ არავის, თუ შენთან ერთად ატარებს დროს.

თრასო

ყველას შურს ჩემი, 410

შეფარვით მკებენენ: მე ეს არ მანაღლეებს:

ამასთანავე ძლიერ შურთ; მაგრამ ერთი მაინც ნამეგანი იყო,  
რომელიც ინდურ სპილოებს მეთაურობდა.

როცა დიდად მომაბეზრებდა თავს, ეუბნებოდი „მითხარი, გეთაყვა, მაგარი იმიტომ ხარ,  
რომ პირუტყვეზე მბრძანებლობ?“ 415

გნათო

მშვენიერად და გონივრულად ნათქვამია, პერაკლეს ეფიციე. ოი, ყელი გამოჭრა ადამიანს.  
მან რა?

თრასო

ღამუნჯადა.

გნათო

აბა, რა იქნებოდა?

პარმენო

ღმერთებო, რა უბედური და რა საძაგელია,

მეორე კი – უღირსი!

თრასო

გნათო,

როდოსელი როგორ მივბერტყე ნადიმზე, არასდროს მითქვამს შენთვის? 420

გნათო

არასდროს;

გემუდარები, მომიყევი.

(თავისთვის)

(ათასჯერ და მეტჯერ მომისმენია).

თრასო

იყო ერთი იქ ნადიმზე, რომელზეც ეთქვი, როდოსელი ყმაწვილი.

საყვარელთან ერთად ვიყავი: დაუწყო ქალს შეთამაშება და

ჩემი დაცინება. „რას აკეთებ“ ვუთხარი ადამიანს „უსირცხვილო?“ 425

მე კურდღელო, ხორცეულს რად ეძალები?“

გნათო

ჰაჰაჰა.

თრასო

როგორია?

გნათო

მუსგია, მშვენიერია, კარგია, უკეთესი არაფერია. ნუ დამიმაღავე,  
შენი ნათქვამია? მე ვიფიქრე, ძველია.

თრასო

გავიგია?

**გნათო**  
ხშირად, ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

**თრასო**  
ჩემია.

**გნათო**  
გულზე მოხედა ნათქვამი გამოუცდელ და თან თავისუფალ ყმაწვილს. 430  
პარმენო (თაისთვის)  
ღმერთებმა დაგლახერონ!

**გნათო**  
მითხარი, მან რა?

**თრასო**  
თავი მოუჭრა:  
სიცილით დაიხოცა ყველა, ვინც იქ იყო. ბოლოს ყველას ეშინოდა უკვე ჩემი.

**გნათო**  
სამართლიანადაც. სრულიად

**თრასო**  
მაგრამ მისმინე, თაისმა იეჭვიანა, რომ მე ვოგონა  
მიყვარს და მასთან უნდა ვიმართლო თავი?

**გნათო**  
არავითარ შემთხვევაში. 435  
პირიქით, უფრო მეტად გაუმარღვე ეჭვი.

**თრასო**  
რაგომ?

**გნათო**  
მეკითხები?  
იცი, თუ ოდესმე ახსენებს ფედრიას ან შეაქებს, რომ შენ  
ძალიან გაგალიშიანოს...

**თრასო**  
მესმის.

**გნათო**  
ასე რომ არ იყოს, მხოლოდ ერთადერთი ეს საშუალებაა:  
როგორც კი ფედრიას ახსენებს, შენ მყისვე 440  
პამფილაზე ჩამოუგდებ სიყვავს; თუ ის იტყვის „ფედრია ხომ  
არ მოვიწვიოთ ნადიმად,“ შენ საპასუხოდ –  
„პამფილა სასიძღვროდ ვიხმოთ“; თუ შეაქებს მის შესახებობას,  
შენ საწინააღმდეგოდ – პამფილასას. მოკლედ,  
შესაფერისად მიაგებ და გულსაც ატკენ. 445

**თრასო**  
თუ მართლაც ვეყვარები, მაშინ ეს გამოსავალი იქნება, გნათო.

**გნათო**  
შენ მიყემულს ელოდება და უყვარს მიღება,  
უკვე ღიღინა შენც უყვარხარ და უკვე ღიღი ხანია იოლია იმის გაკეთება,  
რაც გულს ატკენს; მუდამ ეშინია, რასაც ახლა თავად იღებს სარგებელს, ოდესმე მასზე  
გაბრაზებულმა სხვას არ მისცე. 450



თრასო

სწორი ხარ და მე ეს ამრადაც არ მომსვლია.

გნათო

სასაილოა; მართლაც არ დაფიქრდი, თორემ შენ ხომ სხვას უკეთესს მოიფიქრებდი, თრასო?

სცენა II

თაისი თრასო გნათო პარმენო პითიასი

თაისი

გაუიგე ჯარისკაცის ხმა და დაეინახე კიდეც. აი ისიც. გამარჯობა, ჩემო თრასო.

თრასო

ო, ჩემო თაის,

455

ჩემო სულიყო, როგორ ხარ? ხომ გიყვარვართ იმ დამკერელის გამო?

პარმენო (თავისთვის)

რა კარგია! როგორც

კი მოვიდა – თავი გამოამკლავა!

თაისი

ძალიან; შენი წყალობით.

გნათო

მამ წაეიდეთ სასადილოდ. რას ღვახარ?

პარმენო

აი სხეაც:

იგყვი, რომ ეს ადამიანის ნაშობია?

თაისი

როგორც გსურს, არაფერი

მაქვს საწინააღმდეგო.

460

პარმენო (თავისთვის)

მივალ და თავს მოვაჩვენებ, თითქოს ახლა გამოუედი.

(ხმამაღლა)

თაის, საით აპირებ წასვლას?

თაისი

ე, პარმენო:

მადლობთ; დღეს მიედივარ...

პარმენო

საით?

თაისი

როგორ, მას ვერ ხედავ?

პარმენო

ეხედავ და მეზიმღება. თუ გინდა, შენთვის ფელრიასაგან საჩუქარი მაქვს.

თრასო

რად ვღვავართ?

რატომ არ მიედივართ აქედან?

465

პარმენო

პერაკლეს ვფიქვავ, გემუღარები, ნება მომეცი, შენი თანხმობით

მივიღე თაისთან და რაყ გვინდა, ვუთხრა.

**თრასო**

მე მგონი, საჩუქრები შესანიშნავია ან ჩვენსას უტოლდება.

**პარმენო**

გოჩენებო. (მინ გასძახის) – ეი, უბრძანეთ მათ გამოიტანონ.

ვის ეუბრძანე. სწრაფად.

(მსახურ ქალს) მოდი შენ აქ:

470

პირდაპირ ეთიოპიიდანაა.

**თრასო**

სამ მინად ფასობს.

**გნათო**

არა მგონია.

**პარმენო**

სად ხარ, ღორუს? მომიახლოედი. აი ეს საჭურისი შენ,  
(გამოყავთ საჭურისად გადაცმული ქერა)  
შესახედლობით თავისუფალი იერისას ჰგავს, ნორჩი და ჯანსაღი!

**თაისი**

ღმერთები შეგვეწიონ, ლამაზია.

**პარმენო**

შენ რას იტყვი, გნათო?

განა რამე აქვს, რაც არ მოგწონს? ან შენ, თრასო?

475

დუმან: საკმარისად აქებენ. გამოცადე განათლებულობაში,

განეარჯიშში, მუსიკაში: რაც თავისუფალმა ყმაწვილმა უნდა იყოდეს, ყველაფერში  
დაოსტატებულია.

**თრასო**

მე იმ საჭურისს, თუ საჭირო იქნება, ფხიზელიც –

**პარმენო**

და ის, ვინც აგზაენის საჩუქარს, არ ითხოვს, რომ

480

მხოლოდ მისთვის იცოცხლო და ამ მიზნით სხვები გააძევო,

არც ბრძოლებზე ყვება, არც თავის ჭრილობებზე

ბაქი-ბუქობს, არც შენ გეწინააღმდეგება, რასაც მათი სჩადის;

როცა შენთვის ძნელი არ იქნება, როცა შენ გენდომება,

როცა დრო გექნება, საკმარისი იქნება, თუ მიიღებ.

485

**თრასო**

ცხადია, ამ მსახურის ბატონი უპოუარი და გაჭირვებულია.

**გნათო**

მართლაც, პერაკლეს ვფიცავ, კარგად ვიცი, ვერავეინ შეძლებდა მის ატანას,  
სხვა მონის შეტენა რომ შეძლებოდა.

**პარმენო**

გაჩუმდი, მგონი, უღირსზე უღირსი ხარ;

როცა ამ მლიქვნელის სულს გაეგე.

490

ცუცხლშიც გადაემეხები ლუკმის მოსაპოვებლად.

**თრასო**

არ წავიდე?

თაისი

ჯერ მათ შეეიყვან და თან რაც მინდა,  
ეუბრძანებ: შემდეგ მყისვე გამოგბრუნდები.

თრასო

მე წაეალ:

(გნათოს)

შენ გოგონას აქ დაელოდე.

პარმენო

მეგობარ ქალთან

ერთად პაგრონმა ქუჩაში არ უნდა იაროს.

495

თრასო

რა უნდა გელაპარაკო შენ? ბაგონის ალი-კეალი ხარ.

გნათო

პაპაპა.

თრასო

რა გაცინებს?

გნათო

რაც ახლახან თქვი;

და როდოსელზე ნათქვამიც გამახსენდა.

აი, თაისი გამოვიდა.

თრასო

წადი წინ, გაიქეცი, რომ შინ მზად იყოს

ყველაფერი.

გნათო

იქნება.

თაისი (ბრუნდება პითიასსა და ორ მსახურ ქალთან ერთად)

პითიას, ყურადღებით

500

მომისმინე, თუ ქრემესი შემთხვევით აქ მოვა,

პირველად თხოვე, რომ დარჩეს; თუ უღროს დროს მოვა,

ისევე მოვიდეს; თუ ესეც არ გამოვა, ჩემთან მოიყვანონ.

პითიასი

ასე ეიზამ.

თაისი

რა? სხვა რისი თქმა მინდოდა?

ჰო, გაუფრთხილდით იმ გოგონას:

შინ დარჩით.

505

თრასო

წავიდეთ.

თაისი (მსახურებს)

თქვენ მე მომყევით.

სცენა III

ქრემესი პითიასი

ქრემესი

მართლაც, რაც უფრო მეტად ვფიქრობ,

ეს თაისი მე ნამდვილად ბევრ ცუდს გადაამყრის:

როგორც ვნახე. ეშმაკურად უკვე მაშინ დამატრიალა,  
როცა პირველად თაეისთან მისვლა მიბრძანა.  
ვინმე მკითხა: „ის შენთანაა?“, მე ის არასდროს მინახავს.

როცა მივედი, მიზეზი იპოვა, რათა იქვე დაეცოდა:  
თქვა, რომ საღვთო საქმე გაასრულა და სერიოზული საქმე აქვს ჩემთან.  
უკვე მაშინ იყო ეჭვი, რომ ყველაფერს ბოროტად გამოიყენებდა. თავად  
ახლობელივით წამომიწვა გვერდით სუფრასთან, საუბარში ჩათრევას ცდილობდა. 515  
როცა არაფერი გამოუვიდა, ისღა დარჩა ეკითხა,  
რამდენი ხნის მკედარი მყავდა მამა და დედა.

ეუთხარი, უკვე დიდი ხანია-მეთქი. რაიმე სოფელი მქონდა თუ არა სუნიონთან  
და მლეიდან რამდენად დამორებული.

მეგონა მოეწონა: ვიფიქრე, წართმევა უნდა-მეთქი. 520  
ბოლოს, იქ პატარა და დამეღუპა თუ არა?

იყო თუ არა მასთან ერთად ვინმე? ჰქონდა რამე, როცა დაიღუპა?  
მეუბლია თუ არა ვინმეს მისი ცნობა. ამას რად კითხულობდა?  
იმიტომ ხომ არა, რომ ჩემი პატარა დაღუპულ დად გაესაღებინა  
თავი, რა თავხედობაა. 525

მაგრამ ის თუ ცოცხალია, ჩვიდმეტი წლის იქნება, უფრო მეტის არა: თაისი ცოგათი ჩემზე  
დიდიცაა. გამოგზავნა კიდევ ერთხელ, რომ მიესულიყაეი დასალაპარაკებლად, სერიოზულია.  
ან თქვას, რაც უნდა, ან ნუ გამიწყალა გული:  
არა, პერაკლეს ეფიცავ, მესამედ არ მივალ.  
(აკაკუნებს კარზე)

ეი, ეი, აქ არის ვინმე? 530

მე ქრემესი ვარ.

პითიასი

ძვირფასო მეგობარო!

ქრემესი

ვამბობ, ზაფანგს მიგებსო?

პითიასი

თაისმა ძალიან გთხოვა,

რომ ხვალ მოხვიდე.

ქრემესი

სოფელში მივლივარ.

პითიასი

კი ბატონო.

ქრემესი

ვამბობ, არ შემიძლია.

პითიასი

მაშინ შენ ჩვენთან აქ

დარჩი, ვიდრე თავად გამოჩნდება.

ქრემესი

სულაც არა.

პითიასი

რაგომ, ჩემო ქრემეს.

ქრემესი

დაიღუპე?

პითიასი

თუ შენ ასე გადაწყვიტე, კი ბატონო, წალი იქ, სადაც ის გოგონაა.

ქრემესი

მიედივარ.

პითიასი (შინ გასძახის)

წალი, ღორიას, სწრაფად და წაიყვანე ის ჯარისკაცთან.

IV სცენა

ანტიფო

ანტიფო

გუმინ ახალგაზრდების ჯაგარა ჯგუფი შევიყარეთ პირეოსში, რომ ამ დღეს საქეიფოდ ფულს ჩამოესულიყავით. ქერეა ამ საქმის მოთავედ აეირჩიეთ; მიეციეთ ბეჭდები, დაეთქვით ადგილი და დრო. 540

დრო გავიდა: ნათქვამ ადგილზე არაფერი მზად არ დაგვხვდა

თავად ქერეა არსადაა, არც ვიცი, რა ეთქვა ან რა ვიფიქრო.

ახლა მე სხვებმა დამავალეს, რომ იგი მოვძებნო

და სწორედ მის სანახავედ მიედივარ, თუ არის შინ. ვინ გამოვიდა თაისის სახლიდან? 545

ის არის თუ არა? თავად ისაა. რა კაცია? როგორი გამოწყობილი?

რა უბედურებაა? განციფურებას ეერ ვმალაე, ეერც გონს მოესულეარ;

განზე გავღებები, შორიდან მაინც გავიგებ, რა ხდება.

სცენა V

ქერეა ანტიფო

ქერეა

ვინ არის აქ? არაეინ. ვინ მომსდეს მე? არაეინ. შეიძლება უკვე

ეს ჩემი სიხარული გადმოეაფრქეიო? იუპიტერს ვფიცაე, 550

ახლა სიამოვნებით მოეკვდებოდი, რომ ეს შემეგრძნო,

რათა ცხოვრებამ ეს სიხარული სხვა მწუხარებით არ მომიწამლოს.

ნეტაე ვინმე ცნობისმოყვარე გამოჩნდეს ახლა, რომელსაე მე შევეეკითხებოდი,

საით მიედივარ, გავაბემრებდი, დაეგანჯაედი კითხვებით: რა მახარებს,

ან რად ვარ კმაყოფილი, საით მიედივარ, საიდან მოედივარ, სად ეიქნები, 555

საიდან ავიღე ეს განსაცმელი, რას ვეძებ, გონზე ვარ თუ გავგივდი!

ანტიფო (თავისთვის)

ახლა დაეელაპარაკები და ვასიამოვნებ, რაე ასე ძალიან უნდა.

(ხმამამღლა)

ქერეას, რა შეგემთხეა? სად მოძებნე ეს განსაცმელი?

რაგომ ხარ ასე გახარებული? რა ვინდა? გონზე ხარ? რას მომჩერებიხარ?

რად ღუმხარ?

ქერეა

ო, დღე სასწაულო! მეგობარო,

გამარჯობა:

560

შენზე უფრო მეტად არცერთი ადამიანის დანახეა არ გამიხარდებოდა.

ანტიფო

მომიყევი, რაშია საქმე.

ქერეა

პირიქით, პერაკლეს ეფიცაე, მე შეგვხეეწები, თუ მომისმენ.

იცი, ეინ შეიყვარა ძმამ?

ანტიფო

ვიცი: მგონი, თაისი.

ქერვა

სწორედ ის.

ანტიფო

ასე გავიხსენე.

ქერვა

დღეს ვიღაც ქალიშვილი მას საჩუქრად მიუძღვნეს: რა საჭიროა მე  
შენ ახლა მის სილამაზეზე  
ხმამალა გაუწყო ან ვიქო, ანტიფო, 565  
ხომ იცი, თავად მე როგორი ტრფიალი და დამფასებელი ვარ სილამაზის?  
მისით გავიყვებული ვარ.

ანტიფო

ოი, შენ?

ქერვა

ეიცი, თუ ნახაე,  
აღგაკებაში მოხვალ, რაღა ბევრი ვილაპარაკო? შემიყვარდა. საბედნიეროდ, მინ შემთხვევით  
აღმოჩნდა ვიღაც საჭურისი, რომელიც უყიდა ძმამ თაისს, მაგრამ ჯერ  
ვერ მოასწრო მისთვის გადაცემა.  
საიდუმლოდ მე პარმენომ, მსახურმა მირჩია, 570  
მეც ჩავეუქიდე.

ანტიფო

რას?

ქერვა

გაჩუმდი,

მალე გაიგებ:

რითა გაუცელო მასთან განსაცემელი და ვუბრძანო, მის ნაცელად მე წამიყვანოს.

ანტიფო

საჭურისის ნაცელად?

ქერვა

ასეა.

ანტიფო

შენ ბოლოს და ბოლოს ამ საქმიდან რა მოგებას მიიღებ?

ქერვა

მეკითხები? ეხედავდე, ვისმენდე, მასთან ერთად ვიყო, ანტიფო.  
ყოფა მიზეზი ან ცული გათელაა? მიეწოდები ქალს. 575  
როგორც კი ის მე მიმიღებს, გახარებული თავისკენ შინ შემიძღვება;  
ქალიშვილს მანდობს.

ანტიფო

ეის? შენ?

ქერვა

მე.

ანტიფო

ბოლოს და ბოლოს როგორც საიმედოდ დამცველს?

ქერეა

გამოაცხადა, არც ერთი კაცი არ მიმეშვა მასთან და ბრძანა, მე არ მოემორებოდი; შიდა ნაწილში მარგო დაერჩენილიყავი მასთან მარგოდ მარგოსთან. თანხმობის ნიშნად თავს ეუქნევი და მიწას დაეყურებდი მოკრძალებით.

580

ანტიფო

უსაბრალოესო.

ქერეა

„მე“ ამბობს „სადილად მიედივარ“.

მიპყავს თავის მსახური ქალები: მის ირგვლივ ცოგა ახალი მსახური რჩება. მყისვე ამზადებენ მას დასაბანად.

ვაქემებ, რომ იქქარონ. ეიდრე მზადებაა, ქალიშვილი მოსასვენებელში მის,

დროდადრო ათეალიერებს მოხატულ სურათს: იქ წარმოდგენილია ის ამბავი,

585

როგორ გაუგზავნა იუპიტერმა დანაეს ოდესღაც წიაღში ოქროს წვიმა.

მე თეთონაც დაეიწყე ამის ყურება, და იმიგომ რომ მსგავსი თამამით უკვე ოდესღაც

იუპიტერი გაერთო, ჩემი სულიც დიდად ხარობდა, თეად ღმერთი ადამიანად გადაიქცა და

სხვის ჰერქემე ჩააღწია ფარულად სადინარით და აცდუნა ქალი. და როგორმა ღმერთმა!

„რომელიც უდიდესი ხმით ცის თაღს აზანზარებს“.

590

მე საბრალო კაცუნამ ეს როგორ არ უნდა ჩავიღინო?

მე ამას მართლაც ჩავიდენ – და სიამოვნებითაც. ეიდრე ამას ჩემთვის უფიქრობდი,

ამასობაში ქალიშვილს დასაბანად უხმეს: წავიდა, დაიბანა, დაბრუნდა; შემდეგ იგი

საწოლზე დააწვინეს. უდგავარ და ველოდები, თუ რას მიბრძანებენ. მოდის

ერთი და მეუბნება, „იე, შენ, დორიას, აიღე ეს მარაო, დაუბერე, ჩვენ ამ დროს დავიბანთ;

595

როცა ჩვენ დავიბანთ, თუ გინდა, შენც დაიბანე“. მოწყენილი ვისმენ.

ანტიფო

ნეგა მენახა შენი ძალიან უსირცხვილო სახე,

რა პოზაში იქნებოდი – ასეთ ვირს მარაო რომ გეჭირა.

ქერეა

თქვეს ეს და შინიდან გაიკრიფნენ, წაეიდნენ დასაბანად, გნიასობდენ

ისე, როგორც ბატონების არყოფნისას სჩვევიათ ხოლმე.

600

ამასობაში ქალიშვილს ძილი ერევა. მე ცერად ვეცქირები

ფარულად მარაოდან; ამასთანავე ირგვლივ თვალს ვავლებ, ეხედავ, ყველაფერი წესრიგშია. კარს საკეგით ვკეგავ.

ანტიფო

მერე რა?

ქერეა

რა „მერე რა“, სულელო.

ანტიფო

ვაღიარებ, ასეა.

ქერეა

მე ხელიდან

გამეშვა ჩემთვის ასეთ მნიშვნელოვანი,

605

ამდენად ხანმოკლე, ამდენად საოცნებო, ამდენად მოულოდნელი შესაძლებლობა?

მაშინ, მართლაც, მე ის ვიქნებოდი, რათაც თავს ვასაღებდი.

ანტიფო

კარგი, პერაკლეს ვფიცავ, საკმარისია. მაგრამ ამ ნადიმთან დაკავშირებით რა გაკეთდა?

ქერეა

მზადაა.

ანტიფო

კარგია: სად? შინ?

ქერუა

ღიახ, აზაგ დისკუსთან.

ანტიფო

ძალიან შორსაა, უფრო სწრაფად წაივლიეთ: გამოიყვალე ტანსაცმელი.

610

ქერუა

სად გამოიყვალე? დაეილუპე, ახლა შინიდან გამომაძევეს: მეშინია, ძმა შიგნით ხომ არ არის; ამასთანავე მამაც სოფლიდან დაბრუნდა უკვე.

ანტიფო

წაივლიეთ ჩემთან, ყველაზე ახლოსაა, იქ გამოიყვლი.

ქერუა

კარგი,

მართალი ხარ.

წაივლიეთ; და ამავე დროს შენ რჩევას უნდა დაგეკითხო, შემდგომში როგორ დავეუფლო გოგონას.

ანტიფო

ასე იყოს.

#### IV მოქმედება

##### სცენა I

ღორიასი

ღმერთები შემეწიონ, რამდენადაც მე მას ვიცი, მეშინია, საბრალო, 615

ის დღეს გივივით სცენას მოუწყობს თაისს ან ძალას იხმარს.

როცა მოვიდა ის ყმაწვილი, ქრემესი, ქალიშვილის ძმა, ქალიშვილმა ჯარისკაცს მოსთხოვა, ბრძანება გაეცა, რომ ის დაეტოვებინათ: ჯარისკაცი განრისხდა, მაგრამ ვერ გაბედა უარის თქმა; უფრო მეტიც, თაისმა დაიყინა, რომ მოეწვია.

თაისი ქრემესის შეკავებას ცდილობდა, სურდა 620

მისი დის შესახებ ეკითხა, ამ საქმისთვის დრო ვერ გამოიხატა.

ჯარისკაცმა უხალისოდ მოიპატიჟა: დარჩა. ქალიშვილმა მყისვე მასთან ლაპარაკი დაიწყო;

ჯარისკაცმა მართლა იფიქრა, რომ მეტოქე დაუსეა ცხვირწინ და

მოინდომა მის წინააღმდეგ რამე გაეკეთებინა, ეწყენინებინა: „ეი“ თქვა „ბიჭო, კამფილა მოიწიე, რომ ჩვენ გავკვართოს!“. 625

თაისმა იყვირა: „არა: ნადიმზე ის?, არავითარ შემთხვევაში,“ ჯარისკაცმა წინააღმდეგობა გაუწია: შემდეგ კამათი დაიწყო.

ამასობაში ქალმა ჩუმად მოიხსნა ოქრო, მომცა მე წასაღებად.

იმის ნიშნად, რომ ვიცი, როგორც კი შეძლებს, იქიდან შეუმჩნევლად წავა.

##### სცენა II

ფედრია <ღორიასი>

ფედრია (თავისთვის)

როცა სოფლად მივდივოდი, გზაზე დავეიქრდი,

როგორც ხდება ხოლმე, როცა სული დამძიმებული გაქვს, 630

ერთიდან მეორეზე გადავედი და უარესად გავხდი.

რა ეთქვა? ვიდრე ვფიქრობდი, ვერ შევნიშნე, ისე ჩავუარე აგარაკს.

კარგა შორს გავცდი, როცა მივხვდი:

დაებრუნდი უკან, საკუთარ თავზე გავბრამდი.



როცა მიეუღი გმის გასაყართან, შეეჩერდი: 635  
 დაეწყე ჩემთვის ფიქრი „ო, აქ ორი დღე  
 მარტო დაერჩე, მის გარეშე? შემდეგ რა?  
 არაფერი. რა არაფერი? თუ შეხების საშუალება არ მექნა,  
 ეპ, და დანახაეაც არ შემეძლება? თუ ასე არ შეიძლება,  
 ისე ხომ შეიძლება. შორიდან სიყვარულში რა 640  
 ყრია. “ისეე ჩაეუარე აგარაკს, მაგრამ უკეე განზრახ,  
 რა ხდება, მოულოდნელად შემინებული პითიასი გამოდის?”

**სცენა III**  
**პითიასი დორიასი ფედრია**

პითიასი  
 სად ეიპონო ის უღირსი, საცოდავი და არამზადა?  
 ან სად ეეძებო? ეს დანაშაული იმდენად თავხედურია!

ფედრია

დაეიღუე:

შიშმა შემიპყრო.

პითიასი (თავისთვის)  
 დანაშაული დანაშაულზე, მას შემდეგ რაც შეურაცხყო ქალიშვილი, 645  
 საბრალო ქალს მთელი ტანსაცმელი შემოახია, თმები დააგლიჯა.

ფედრია (თავისთვის)  
 ოპ.

პითიასი (თავისთვის)  
 ახლა თუ მე იგი ხელში ჩამივარდება, საძაგელს  
 თვალებში ფრჩხილებით სიამონენებით ჩაეაფრინდება!

ფედრია (თავისთვის)  
 არ ვიცი, როცა შინ არ ვიყავი, ჩენთან რაღაც აირია.  
 (ხმამაღლა)  
 მიეუახლოვდება. საით? რაგომ ჩქარობ? ან ვის ეძებ, პითიას? 650

პითიასი  
 ო, ფედრია, მე? ვის ეეძებ? აქედან საით მიღიხარ შენი მშენიერი საჩუქრებით?

ფედრია

რაშია საქმე?

პითიასი  
 მე მეკითხები? ამ საჭურისმა ჩენ შავი დღე დაგეყენა!  
 იმან, ვინჯ ჯარისკაცმა საჩუქრად გადასცა, ქალიშვილი გააუჰატიურა.

ფედრია  
 რას ამბობ?

პითიასი  
 დაეიღუე.

ფედრია  
 მთერალი ხარ.

პითიასი  
 ნეტავ ჩემი აეის მსურველები იქნებოდნენ ასე! 655

**ღორიასი**  
ო, გემუდარები, ჩემო პითიას, ეს ხომ საკვირველია?

**ფედრია**  
გაგიჟდი: როგორ შეეძლო საჭურისს ამის გაკეთება?

**პითიასი**

მე არ ვიცი, ეინ არის;

მაგრამ რაე ჩაიღინა, გამოჩნდა. ქალიშვილი გირის, როცა ეკითხები,

ვერ ბელაფს რამის თქმას. ის კი, მაგარი კაცი, არსად ჩანს.

კიდევ ვეჭვობ, რომ შინიდან წასელისას

660

რალაც წერილმანი ხელს გააყოლა.

**ფედრია**

გაკვირვებას ვერ ვიშლი, ის დაფეხვილი შორს ვერ

შეძლებდა წასელას, შეიძლება, ჩვენთან შინ დაბრუნებულიყო.

**პითიასი**

ნახე, თუ შეიძლება.

**ფედრია**

ვუჩვენებ სეირს.

**ღორიასი**

დავიღუქე! ასეთი გაუგონარი დანაშაული, ჩემო, არც გამიგია.

**პითიასი**

მსმენია, საჭურისები ქალების დიდად მოყვარულები არიან,

665

მაგრამ არ შეუძლიათ; მე უბელურს კი არ გამახსენდა;

მაშინ მას სხვა ადგილას ჩავამწყვევდი, არც ქალიშვილს ვანდობდი.

**სცენა IV**

**ფედრია ღორუსი პითიასი ღორიასი**

**ფედრია**

გამოდი ვარეთ, ნაძირალა. მეწინააღმდეგები,

მორბენალო? გამოდი, საუბედუროდ ნაყიდო.

**ღორუსი**

გემუდარები.

**ფედრია**

ო,

შეხედე, როგორ იმანკება, სალახანა!

670

რაგომ დაბრუნდი აქ? რად შეიცვალე ტანსაცმელი?

რას ყეები? თუ ცოგა ხანს დავიგვიანებდი, პითიას,

შინ ვერ მოიხელთებდი, ის უკვე გასაქცევად ემზადებოდა.

**პითიასი**

გეთაყვა, დაიჭირე ის კაცი?

**ფედრია**

აბა არა?

**პითიასი**

კარგია.

**ღორიასი**

ნამდვილად კარგია.

პითიასი	სად არის?	
ფედრია	მეკითხები? ვერ	
ხელაე?		675
პითიასი	მითხარი ერთი, ვის?	
ფედრია	ის, ო, საკვირველება.	
პითიასი	ვინ არის ის კაცი?	
ფედრია	რომელიც ღღეს თქვენთან იქნა გამოგზავნილი.	
პითიასი	ის ჩვენ არცერთს არასდროს გვინახავს.	
ფედრია.		
ფედრია	არ უნახავს?	
პითიასი	გემუდარები, მენ დარწმუნებული ხარ, რომ ეს ჩვენთან მოყვანილი კაცია?	
ფედრია	სხვა არაეინ მყოლია.	
პითიასი	ო, ეს	680
მესადარებელი არაა იმასთან: ის იყო მესახედავად მშეენიერი და ღირსეული.		
ფედრია	აღრე ჳრელ ტანსაცმელში	
გამოწყობილი ასე გამოიყურებოდა.		
ახლა გაიხადა და საძაგლად გეჩვენება.		
პითიასი	გაჩერდი, გემუდარები: თითქოს ნამდვილად ცოგა განსხეაეებაა.	685
ჩვენთან ღღეს მოყვანილი ყმაწვილის ნახვას, მენ, ფედრია, ნამდვილად ისურებდი.		
ეს კი დამჳკნარი, დაჩამიჩებული, უღონო მოხუცია, სინდიოფალას ფერისა.		
ფედრია	რა სისულელეს ჩმახაე?	
გინდა მითხრა, მე არ ვიცი, რა ვიყიდე?		690
ეი, მენ მე არ ვიყიდე?		
ღორუსი	მიყიდე.	
პითიასი	ნება მომეცი, კვლავ	
მიპასუხოს.		

ფედრია  
კითხე.

პითიასი  
დღეს ჩვენთან მოხველი?

(დორუსი თავს აქნევს)

„უარყოფს“. ის სხვა, რომელიც მოიყვანა პარმენომ, თექვსმეტი წლის იყო,

ფედრია

პირველად, ეს  
695

მიბრძანე: ეს სამოსი საიდან გაქვს? დუმხარ?  
გაიძვერა ადამიანო, არ იტყვი?

დორუსი

ქერვა მოვიდა.

ფედრია  
ჩემი ძმა?

დორუსი

ასეა.

ფედრია

როდის?

დორუსი

დღეს.

ფედრია

დიდი ხნის წინ?

დორუსი

ახლახანს.

ფედრია

ვისთან ერთად?

დორუსი

პარმენოსთან ერთად.

ფედრია

აღრე იცნობდი მას?

დორუსი

არა

ფედრია

საიდან გაიგე, რომ ჩემი ძმაა?

დორუსი

პარმენო

700

მას ასე ეძახდა. მან მომცა მე ეს სამოსი.

ფედრია

დავილუკე.

დორუსი

ჩემი თვითონ ჩაიყვანა: შემდეგ ორივე ერთად გამოვიდა შინიდან.

პითიასი

დამიჯერე, რომ ფხიზელი ვარ და არ მომიტყუებიხარ შენ?  
მიხედი, რომ ქალიშვილი გაუკატეგურებულა?

ფედრია

ახლა ეი,

მხეცო, გჯერა იმის, რაც თქვა?

პითიასი

მისი დაჯერება რად მინდა? თავად საქმე მოწმობს. 705

ფედრია (ღორუსს ჩუმად)

ყოფა იქით გაიწიე: გესმის? ახლა კიდეე ყოფა: საკმარისია.

კიდეე მითხარი? ქერეამ გაგხალა შენ შენი სამოსი?

ღორუსი

ფაქტია.

ფედრია

და მან ჩაიყვა?

ღორუსი

ფაქტია.

ფედრია

და შენს ნაცულად ის

მოიყვანეს?

ღორუსი

ასეა.

ფედრია

ღიღო იუპიტერო. ო, უღირსო და თაყუბულო ადამიანო!

პითიასი

ეაი მე:

ახლაც არ გჯერა, როგორ სამარცხეინოდ დაგვცინეს ჩვენ?

710

ფედრია

შენ გჯერა, რასაც ის ამბობს.

(თაყისთეის)

რა ექნა, არ ვიცი.

(ღორუსს)

ეი, კვლავ უარყოფს.

(ხმამაღლა)

შემიძლია მე დღეს გაიძულო, სიპართლე

თქვა? ნახე ძმა ქერეა?

ღორუსი

არა.

ფედრია

არ შეუძლია ცემის გარეშე აღიაროს, ვხედავ:

(ღორუსს)

მომყევი.

(პითიასს)

ხან „კის“ ამბობს, ხან „არას“.

შემაველრე.

ღორუსი

გემულარები, ფედრია.

დორიასი

ოპ.

ფედრია (თავისთვის)

არ ვიცი, პირობისდა მიხედვით ღირსეულად როგორ წავიდე აქედან.

(დორუსს)

თუ შენ მე კიდევ დამცინებ, ავაზაკო, მოგკლავ.

(მიდის დორუსთან ერთად)

პითიასი

ვიცი, მე მოვკვდე, ეს პარმენოს ოინებია.

დორიასი

ასეა.

პითიასი

მოეძებნი და დღესვე სამაგიეროს მიეუბლა.

მაგრამ ახლა რას ფიქრობ, რა უნდა გააკეთო, დორუს?

დორიასი

ამ ქალიშვილის

შესახებ მეკითხები?

720

პითიასი

მამ, გაეზუმდე თუ ვთქვა?

დორიასი

შენ, თუ ჭკუა მოგეკითხება, იცი,

რომ არაფერი იცი არც საჭურისისა და არც ქალიშვილის შეცოდებაზე.

ამ საქმიდან და ყველაფრიდან თავს დაიბერენ და გოგონაც მადლობელი დაგიჩვენებ.

მხოლოდ ეს თქვი, რომ დორუსი გაქრა.

პითიასი

ასე ვიზამ.

დორიასი

მაგრამ ხედავ,

ქრემესს? მამ, თაისიყ გამოჩნდება.

პითიასი

რაგომ?

დორიასი

იმიტომ, რომ ესაა იქიდან გამოცედი და

მათ შორის უკვე დაიწყო კამათი.

725

პითიასი

შენ ეს ოქრო წაიღე. მე კი გავიგებ ქრემესისაგან, რა მოხდა.

სცენა V

ქრემესი პითიასი

ქრემესი

გაგაგა, პერაკლეს ვფიცავ, მომაგყუეს: დაულიე და ღვინო მომერიო.

ვიდრე წამოწოლილი ვიყავი, მეჩვენებოდა, რომ მე უხიბელი ვიყავი!

მას შემდეგ, რაც წამოვდექი, არც ფეხი მემორჩილება და არც თავი.

პითიასი  
ქრემესს.

ქრემესი

ვინ არის? ა, პითიასი: ოი, რამდენად უფრო მშვენიერი მეჩვენები მე შენ ახლა,  
ვიდრე აქამდე! 730

პითიასი

ნამდელილად, შენც ბევრად უფრო მხიარული ხარ.

ქრემესი

პერაკლეს ეფიკაე, ეს სიგყვა ჭეშმარიტია „კერესისა და ლიბერის გარეშე ვენუსი იყინება“.  
თაისი დიდი ხანია რაც მოვიდა?

პითიასი

უკვე წავიდა ჯარისკაცისაგან?

ქრემესი

დიდი ხანია, მთელი საუკუნეა. ერთმანეთს დაერივნენ.

პითიასი

არ უთქვამს, რომ შენ გაპყლოდი?

ქრემესი

არა, წასვლისას მხოლოდ თაეი დაბიქნია. 735

პითიასი

ეი, განა ეს საკმარისი არაა?

ქრემესი

არ ვიცი, ამით რას ამბობდა; ჯარისკაცმა  
მომიყვანა აზრზე და გამაგებინა; შინიდან გამომაგლო.  
აი ქალიც. გასაოცარია, როგორ გამოეასწარი?

## სცენა VI

თაისი ქრემესი პითიასი

თაისი

მჯერა, რომ ის წამიწამზე გამოჩნდება, რათა ჩემგან გამოიხსნას გოგონა: ერთი მოვიდეს!  
მაგრამ თუ მას თითს მაინც დააკარებს, მყისვე თვალებს დაეთხრი. 740  
მისი სისულელის და მალაღმარდოვანი სიგყეების გადაგანა შემძლია,  
ვიდრე ეს მხოლოდ სიგყეებია; მაგრამ თუ საქმემლე მიეა, იცემება.

ქრემესი

თაის, მე უკვე დიდი ხანია აქ ვარ.

თაისი

ო, ჩემო ქრემეს, სწორედ შენ გელოდებოდი.  
იცი, რომ ეს აყალ-მაყალი შენს გამო მოხდა? და ყველაფერი შენ გეხება?

ქრემესი

მე? როგორ?

თითქოსდა ამაზე ...

თაისი

იმიტომ რომ, ვიდრე ვცდილობდი შენთვის და  
დამებრუნებინა და ყველაფერი მომეწესრიგებინა, ბევრი მსგავსი რამ გადავიტანე.

ქრემესი

სად არის?

თაისი  
ჩემთან სახლში.

ქრემესი  
კმ.

თაისი  
რა არის? ისეა აღზრდილი, როგორც შენ დას ეკადრება.

ქრემესი  
რას ამბობ?

თაისი  
იმას, როგორც არის.

ქალს საჩუქრად გიძღვნი და ამისთვის შენგან საბლავს არ ვითხოვ.

ქრემესი  
ვალიარებ და ეაფასებ, თაის, მაღლობის ღირსი ხარ. 750

თაისი  
მართლაც უფროსი იდი, ვიდრე ქალს ჩემგან მიიღებ, არ მოგტაცონ.  
სწორედ ისაა, ეისი ძალით მოგტაცებასაც ახლა ჯარისკაცს ჩემგან ღამობდა.  
წადი, პითიას, შენ და გამოიგანე შინიდან მარდახშა გამოსაცნობებით.

ქრემესი  
ხედავ შენ მას, თაის...

პითიასი  
სად არის?

თაისი  
ყუთში:

საბაგელო, ღაიყადე.

ქრემესი  
ჯარისკაცს თან მოყავს შენსკენ ამხელა ჯარი? 755  
აგატა

თაისი  
ჩემო კეთილო, მშიშარა ხარ განა?

ქრემესი  
გაქრი:  
მე მშიშარა? მთელ ქვეყანაზე არაეინა ჩემზე მეტად გულადი.

თაისი  
ასე უნდა იყოს.

ქრემესი  
აპ, მემინია, შენ მე რა ადამიანი  
გგონივარ.

თაისი  
ღაუქრდი: ვისთან დაიჭირე საქმე, უცხოელთან, რომელსაც შენზე ნაკლები ძალა, ნაკლები  
ნაყნობი, ნაკლები მეგობრები ჰყავს აქ. 760

ქრემესი  
ვიცი. მაგრამ რაც შეგიძლია აიცილო, სისულელეა, დაუშვა.  
მე მირჩენია განუქერიგო, ვიდრე შური ეიძიო იმაზე, ვინც უსამართლობა ჩაიღინა.  
შენ წადი და ჩაკეტე კარი შიგნიდან, ვიდრე მე გაეიქევი ფორუმზე:  
მინდა მე აქ, ჩვენთან ხალხს მოუხებო.



თაისი

ღარჩი.

ქრემესი  
უკეთესია.

თაისი

ღარჩი.

ქრემესი

თავი გამანებუ: ახლავე მოვალ.

თაისი

ქრემეს, ჩვენ სხვები არაფერში გეჭირდება. 765

მას კი ასე უთხარი, ეს შენი დაა, რომელიც პატარა დაკარგე, ახლა იპოვნე. ნიშნები აჩვენე.  
პითიასი (უკან ბრუნდება)

აქ არის.

თაისი

აიღე.

თუ ძალას მიმართავს, სასამართლოში უხმე: გაიგე?

ქრემესი

კარგად.

თაისი

მშვიდად უთხარი.

ქრემესი

კი ბატონო.

თაისი

აიღე

მოსასხამი.

(თაეისთვის)

დავიღუქე, ჩემი დამცველი პატრონი თავად საჭიროებს დაცვას.

770

## სცენა VII

თრასო გნათო სანგა ქრემესი თაისი

თრასო

ენით უთქმელი ასეთი შეურაცხყოფა მოვითმინო, გნათო?

სიკუდილზე მეტი არაა. სიმალის, დონაქს, სირისკე, მომყევით.

პირველად სახლს შევეუტევე.

გნათო

სწორია.

თრასო

მერე ქალიშვილს

მოვიტაცებ.

გნათო

კარგი.

თრასო

საშინლად გაეტყვიპავ თაისს.

გნათო

შესანიშნავია.

თრასო

ამ რაზმით შუაში დაეცი, დონაქს;

შენ, სიმალიო. მარცხენა ფრთაზე: შენ, სირისკე, მარჯვენაზე.

775

სხეები აქეთ: სად არის ცენტგურიონი სანგა და ქურდების ჯგუფი?

სანგა (მზარეულზე)

აი ის,

აქაა.

თრასო

რა, უნითო? ღრუბლით გინდა იბრძოლო, ამისთვის დაატარებ?

სანგა

მე? გამიგია იმპერატორის სიქეელისა და ჯარისკაცთა ძალის შესახებ;

სისხლის გარეშე ვერ გადაერჩებით: როგორ მოეწმინდო ჭრილობა?

თრასო

სხეები სად არიან?

გნათო

ჯანდაბამი, რომელი „სხეები“? მხოლოდ სანიონი ყარაულობს შინ.

780

თრასო

შენ იქ განალაგე რაზმი; მე იქ ვიქნები წინა ხაზის უკან: იქიდან მოგვემ ნიშანს.

გნათო

ეს გონიერულია: ესენი გააწყო, თავად უსაფრთხო ადგილს ამოეფარა.

თრასო

პიროსიყ ასე მოიქცა.

ქრემესი

ხელაე, შენ, თაის, აქ რას აპირებს?

რჩევა – კარების ჩაკეტვა, ნამდვილად სწორია.

თაისი

შენ ეს ძალიან მაგარი კაცი გგონია, სინამდვილეში კი დიდი ვიგინდარაა:

785

არ შეგეშინდეს.

თრასო (გნათონს)

რა მგონია?

გნათო

ძალიან მინდა გქონოდა შურდული, რომ შენ აქედან, საფარიდან

მორს გესროლა და ისინი გაიქცეოდნენ.

თრასო

მაგრამ აი, თავად თაისს ეხელაე.

გნათო

მალე შეეუბნეთ?

თრასო

დაიცა:

გონიერი ვიდრე იარაღს აიღებს ხელში, ჯერ ყველაფერს მოსინჯავს.

ვინ იყის, ქალმა ეგებ ძალდაუტანებლად შეასრულოს ყველაფერი?

გნათო

ღმერთმანი, 790

რა გონიერებაა! შენთან მიახლოების შემდეგ უფრო განსწავლული მივიღივარ.

თრასო

თაის, ჯერ ეს მითხარი: როცა შენ ამ ქალიშვილს გჩუქნიდი, ხომ მითხარი, რომ ამ დღეებს მხოლოდ მე მომიძღვნიდი.

თაისი

მერე რა?

თრასო

ცხვირწინ შენი საყვარელი დამისეი და მე მეკითხები?

თაისი (თავისთვის)

რა ეუყო?

თრასო

და მასთან ერთად ჩემგან ფარულად გაიქეცი?

795

თაისი

მინდოდა.

თრასო

მამ, პამფილა დამიბრუნე, თუ არადა ძალით გამოგლიჯავე.

ქრემესი

დაგიბრუნო? აბა შეეხე, ყველასგან...?

გნათო

აჰ,

რას აკეთებ? გაჩერდი.

თრასო

შენ რა გინდა? მე ჩემსას არ შეეხებო?

ქრემესი

კი, მაგრამ შენია,

ქურდო?

გნათო

ფრთხილად იყავ: ახლა როგორ კაცს ეჩხუბები, არ იცი.

ქრემესი

არ წახვალ აქედან?

იცი კი შენ, რაშია საქმე? თუ დღეს აქ სცენებს გამართავე,

800

ისე ვიზამ, რომ ეს ადგილი, დღე და მე ყოველთვის გემახსოვრები.

გნათო

მეყოლები, ასეთი ადამიანი მოიკიდე შენს მგრად.

ქრემესი

თავს გაგიტეხაე შენ, თუ არ წახვალ.

გნათო

აი, ნამდვილი ძაღლი?

ყეფს!

თრასო

შენ ვინ ხარ? რა გინდა? რა საქმე

გაქვს მასთან?

ქრემესი

გაიგებ: ჯერ ერთი, გეუბნები, ის თავისუფალია.

თრასო

მართლა.

805

ქრემესი

აგიკელი მოქალაქეა.

თრასო

პა.

ქრემესი  
ჩემი დაა.

თრასო

ურსხეი.

ქრემესი

ჯარისკაცი, ახლა

ციხალებ შენ, რომ ქალიშვილზე ძალა არ გამოიყენო. (თაისს მიმართავს)

თაის, მე მივდივარ სოფრონასთან,

ძიძასთან, რომ მოვიყვანო და ეს ნიშნები ეაჩვენო.

თრასო

მე ხომ არ

ამიკრძალავ ჩემსას შეეეხო?

ქრემესი

რასაკვირველია, აგიკრძალავ.

(გაღის)

გნათო

გაიგე? აქ თაეი ქურდად გაიხადა: შენ ესეც გეყოფა.

თრასო

შენც ამასვე

ამბობ, თაის?

თაისი

მოძებნე,

ვინც გიპასუხებს. – (გაღის)

810

თრასო

ახლა რა გაეაკეთოთ?

გნათო

უკან დაებრუნდეთ: ქალი შენთან

მოვა და შეხებშიც ჩაგივარდება.

თრასო

ასე გგონია.

გნათო

რასაკვირველია.

ქალთა ხასიათს ვიცნობ:

არ უნდათ, როცა შენ გინდა, თუ შენ არ გინდა, უფრო მეტად სურთ.

თრასო

სწორია.

გნათო

ჯარი ხომ არ გავუშეა?

თრასო

როგორც გინდა.

გნათო

სანგა, როგორც ვაქეკაც ჯარისკაცს შეპყერის, სახლსა და კერაზეც უნდა იფიქრო.

815

სანგა

უკვე ღიღი ხანია ჩემი სული ქვაბებშია.

გნათო

მაგარი ხარ.

თრასო

თქვენ მე

მომყევეით.

## V მოქმედება

თაისი პითიასი

სცენა I

თაისი

დაიწყე, ყურუშსალო, ჩემთან ორამროენად ლაპარაკი?

„ვიციარ ვიცი, გავიგე, წაეიდა, მე იქ არ ვიყავი“.

არ მეტყვი ღიად, რა ხდება?

ქალიშვილი შემოხეული ტანსცმლით გირის, ღუმს;

საჭურისი წაეიდა: რატომ? რა მოხდა? ღუმხარ?

820

პითიასი

რა გითხრა მე საბრალომ? ამბობენ, საჭურისი არ იყო.

თაისი

მამ ვინ იყო?

პითიასი

ქერეა.

თაისი

რომელი ქერეა.

პითიასი

ამ ფედრიასის ყმაწვილი ძმა.

თაისი

რას ამბობ, შხამიანო?

პითიასი

და მაინც, ნამდვილად ვიცი

825

თაისი

რას ამბობ, ის ჩვენთან...? რატომ მოვიდა?

პითიასი

არ ვიცი.

მე მგონი, პამფილა შეუყვარდა.

თაისი

აი, დავიღუპე, საბრალო,

უბედური, თუ შენ რაც თქვი, მართალია.

ამიგომ ხომ არ გირის ქალიშვილი?

პითიასი

მგონი, ამიგომ.

თაისი

რას ამბობ,

სალახანა? წასვლისას მე რა ავიკრძალე?

830

პითიასი

რა უნდა მექნა? როგორც შენ მიბრძანე, მხოლოდ მას მივიანდე.

თაისი

ყურუმსალო, ცხვარი მგელს ჩააბარე. სირცხვილია.

როგორ მომატყუე. ეს ვინ მოდის?

პითიასი

ჩემო ქალბატონო, დაიცა, დაიცა, გემუღარები, გადაურჩით: ეს ის კაცია.

თაისი

სად არის?

პითიასისი

აი, მარცხნივ 835

ვერ ხედაე?

თაისი

ვხედაე.

პითიასისი

უბრძანე, შეიპყრონ, რაც შეიძლება

სწრაფად.

თაისი

სულელო, რა ვუქნათ?

პითიასისი

მეკითხები, რას ვუქნათ? შეხედე, გეთაყვა, ასე არ არის, როგორ იყურება, რა ურცხვი ჩანს, ასე არ არის, რა თვითდაჯერებულია.

## სცენა II

ქერუა თაისი პითიასი

ქერუა (თავისთვის)

ანგიფოსთან ორივე, დედაც და მამაც,

840

თითქოსდა განმრახ, მინ იყენენ, ვერაფრით შეეძლებლი შიგნით

შესულას, რომ არ დავენახეთ. ამასობაში

ვიდრე კარის წინ ვიდექი, ჩემს შესახვედრად ერთმა ნაცნობმა გამოიარა. როცა დავინახე,

ვაიქეცი რაც შეიძლება სწრაფად უკაცრიელ შესახვევში, იქიდან ისევე

როგორც შემებლო

845

სხვაში, იქიდან სხვაში: უუბედურესი, იმდენი

ვირბინე, რომ პაგრონი ვერ მიცნობდა.

მაგრამ ეს თაისი არაა, ვისაც ვხედავ? თავად ისაა.

არ ეიცი, რა ექნა. თუმცა მე რა? რას მიზამენ?

თაისი

მივიდეთ. კეთილო კაცო ღორუს, გამარჯობა: მითხარი,

850

გამოიქეცი?

ქერეას

ქალბატონო, უაქტია.

თაისი

მოგწონს შერე ეს?

ქრემესი

არა.

თაისი

გგონია, დაუსჯელად ჩაევიღის?

ქრემესი

ერთი ეს

დანამაული შემინდე: თუ სხვას დავეშვებ, მომკალი.

თაისი

ჩემმა დაუნდობლობამ ხომ არ შეგაშინა?

ქრემესი

არა.

თაისი

მამ

რამ?

ქრემესი

იმან შემამინა, რომ შენ არ დაგედანამაულებინე.

855

თაისი

რა გააკეთე?

ქრემესი

თითქმის არაფერი.

პითიასი

ეი, „თითქმის არაფერი“,

უსირცხვილო?

ცოტა რაღაცად გეჩვენება შენ, ქალიშვილი, თანაც მოქალაქე გააუპატიურო?

ქრემესი

მე მონად მივიჩნიე.

პითიასი

მონად! ძლივს ეიკაეებ თავს, რომ არ ჩაეაფრინდე თმებში,

ამ საკვირველებას: თანაც მოღის და დაგეცინის.

860

თაისი

აქედან წადი, გიყი ხარ?

პითიასი

რაგომ ასე? მართლაც ვალდებული

ვიქნებოდი, ეფიქრობ, ამ თაღლითის წინაშე, ამას თუ გაუკეთებდი;

განსაკუთრებით როცა თავად შენს მონად აღიარებს თავს.

თაისი

შევეშეთ ამას. უღირსი საქმე ჩაიდინე, ქერეას;

თუ მე ვიმსახურებ ასეთ შეურაცხყოფას,

865

შენ არ გეკადრება, რაც გააკეთე.

მართლაც, ახლა არ ვიცი, ამ ქალიშვილს

რა მოუხერხო: ყველა განმზახვა ისე ჩამიშალე, რომ

ველარ შევძლებ თავისიანებს გადაეცე. როგორც უნდა ყოფილიყო და როგორც უცდილობდი, რათა მათი ჭეშმარიტი წყალობა დამემსახურებინა, ქერეას.

870

ქერეა  
იბელ მაქეს, ამიერიდან ჩვენს შორის სულ კეთილგანწყობა იქნება, თაისს.  
ხშირად ასეთნაირი საქმის ასე თუ ისე ცუდი დასაწყისიდან დაახლოებისას ღიღი ერთობა მტკიცდება. ეგებ რომელიმე ღმერთმა ისურუა ასე?

875

თაისი  
მართლაც მეც ასე აღვიქვამ და მეც იგივე მსურს.

ქერეა  
რასაკვირველია, მეც გთხოვ. ერთი იყოღე, შეურაცხყოფის კი არა, სიყვარულის გამო ჩავიღინე.

თაისი

ვიცი,

და ნამდვილად ახლა უფრო მეტად გაპატიებ შენ.  
არც ისეთი არაადაპიანი ვარ, ქერეას,  
და არც ისეთი უბირი, რომ არ ვიყოღე, სიყვარული როგორი ძლიერია.

880

ქერეა  
შენ უკვე, თაის, მიყვარხარ ისე, როგორც მე ღმერთებს ვუყვარვარ.

პითიასი

ვეგრნობ, ქალბატონო, ნამდვილად, შენ ფრთხილად უნდა იყო.

ქერეა

ვერ გაზებდაუდი.

პითიასი

საერთოდ არ მჯერა შენი.

თაისი

მორჩი.

ქერეა

ახლა გემუდარები, შენ ამ საქმეში ჩემი დამხმარე გახდი.

885

შენ გამიწიე მუარველობა, მე გენდობი,

შენ ჩემ ქალბატონად ვიღებ, თაის და გემუდარები: მოვკედეები, თუ მას ცოლად არ ვითხოვ.

თაისი

მაგრამ თუ მამა...?

ქერეა

რა? ეი, ისურვებდა, ნამდვილად ვიცი,

ოღონდ მოქალაქე აღმოჩნდეს.

თაისი

არ გინდა ცოგა ხანი

890

დაიყალო, ახლა ქალიშვილის ძმა თეითონ მოუა აქ;  
დასაძახებლად მიღის ბიძის, რომელმაც ის პატარა გამოკვება:  
გამოცნობაში შენ თავადაც მიიღებ მონაწილეობას, ქერეას.

ქერეა

მე ნამდვილად დავრჩები.

თაისი

გინდა ამასობაში, ვიღრე მოუა,

აქ კარებთან დგომას შინ დაველოლოთ?

895



ქრემესი  
ძალიანაც მინდა.

პითიასი

გემუდარები, რა ჩაიფიქრე?

თაისი

მართლაც ასეთი რა?

პითიასი

მეკითხები? ამის შემდეგ უიქრობ,  
რომ შენ მას სახლში შეუშეებ?

თაისი

რაგომ არა?

პითიასი

დამიჯერე, კვლავ

რამეს გამოაჭენებს.

თაისი

გემუდარები, ჩუმაღ იყავი.

პითიასი

როგორც ჩანს, ჯერ მისი თავებულება არ გამოგიცდია.

900

ქერუა

მინდა მაგარი ვიყო, პითიას.

პითიასი

არ მჯერა, ქერუას,

არ ენლობა საიდუმლო.

ქერუა

პითიას, რაგომ

არ უნდა დამიყვა შენ მე.

პითიასი

ეფიყაე, არც შენ დაგიყავდი და არც შენ  
განდობდი რამეს დასაყავად: გაეთრიე.

თაისი

აი ძმაე.

ქერუა.

დავიღუპე, პერაკლეს ეფიყაე.

905

გემუდარები, შევიდეთ შიგნით, თაის: არ მინდა. ქუჩაში ამ ტანსაცმლით მნახოს.

თაისი

ბოლოს და ბოლოს

რაგომ? იმიტომ რომ სირცხვილია?

ქერუა

ასეა.

პითიასი

ასეა? ნამდვილად ქალიშვილია!

თაისი (ქერუას)

წინ წალი, მოგყეები.

პითიას, შენ აქ დარჩი და ქრემესი შიგნით შეიყვანე.

### სცენა III

#### პითიასი ქრემესი სოფრონა

პითიასი

რაა რა შეიძლება ახლა მომივიდეს მე თავში 910  
რითი გადაეუხადო ამ ყურუშსაღს, რომელმაც ჩვენ ეს ფარულად შემოგვაჩენა?

ქრემესი

ძიძა, უფრო

სწრაფად, გაიბძერი.

სოფრონა

ვინძრევი.

ქრემესი

უხედავ, მაგრამ წინ ვერ იწეე, ადგილად არ იძვრი.

პითიასი

უკვე უჩვენე ძიძას გამოსაყენო ნიშნები?

ქრემესი

ყველაფერი.

პითიასი

რა თქვა, ჩემო კარგო, გამოიყნო?

ქრემესი

ახსოვს.

915

პითიასი

კარგი ამბავი მოიგანე: მომწონს ეს ქალიშვილი.

შედი შიგნით: ქალბატონი დიდი ხანია თქვენ შინ გელოდებათ. – (ქრემესი და სოფრონა გადიან)

უხედავ, მოდის პატიოსანი კაცი პარმენო:

ხედავ, როგორი უღარდელია! თუ ღმერთები შემეწევიან,  
ნამდვილად შემიძლია, დაგვანჯო იგი. 920

შევაღ შეგნით, გავიგებ გამოცნობის ამბავს:

მერე დაებრუნდები და ამ ვიგინდარას დაეამინებ.

### სცენა IV

#### პარმენო პითიასი

პარმენო

ენახავ, ქერუა რასა იქმს, აქ საქმეები როგორ მიდის.

თუ საქმე ოსტატურად მოაკვარაბჭინა, ღმერთებია მოწმე,  
პარმენო მართლაც დიდ ქებას დაიმსახურებს. 925

არაფერს ვიგყვი იმაზე, რომ მე მას უმძიმესსა

და სასურველ სიყვარულში ხელი მოეუშართე,

ხარბი შეძებისაგან ქალიშვილი, რომელიც უყვარდა,

მას უხლაფოროთოდ ვარგუნე.

მე ჩემს ჭეშმარიტ დამსახურებაზე ვფიქრობ, 930

როგორ შეუძლია ყმაწვილ კაცს დროულად გაიგოს

შეძავის თვისებები და მზე, შეიყნოს და

სამარადგამოდ შეიძლოს. ვიდრე ისინი

გარეთ არიან, ვერაფერს ნახავ უკეთესს,

უფრო მეტად მორთულ-მოკამშულს, უფრო მეტად დახვეწილს, 935

საყვარელთან ერთად სადილობისას მხოლოდ ჩაროზს მიირთმევენ.  
შინ კი სიბინძურე, ჭკუჭყი, სიდუხჭირე, მხოლოდ თავის მოჭრა და საჭმელზე დახარბება,  
წინა ღამის შავი პურის შესანსეულა –  
ყველაფერი ამის ცოდნა – ხსნაა ყმაწვილებისთვის. 940

**პითიასი (თავისთვის)**  
ფუიყავ, შენი ნათქვამისა და ნაქნარის გამო, სალახანა,  
შურს ვიძიებ, დაცინვისთვის დაუსჯელად არ გაგიშვებთ.  
(ხმამაღლა)

ღვთის გულისათვის, საძაგელი საქციელი! ო, უბედური ყმაწვილი!  
ო, უღირსი პარმენო, რომელმაც იგი აქ მოიყვანა!

**პარმენო**

რა არის?

**პითიასი**  
მე უბედური: რომ არ დავენახეთ, მე უბედური აქეთ გამოვიქეცი შინიდან. 945  
ამბობენ, საშინლად დასჯიან მას!

**პარმენო (თავისთვის)**

ო, იუპიტერ,

რა მღელვარებაა? ნუთუ დაეიდუქე? მივალ. (ხმამაღლა) რა ხდება, პითიას?  
რას ამბობ? ვის დასჯიან?

**პითიასი**

მეკითხები, უთაეხედესო?

დალუქე ის ყმაწვილი, რომელიც საჭურისის ნაცვლად მოიყვანე,  
როცა ჩვენს გაყურებას ცდილობდი.

**პარმენო**

ეს როგორ? რა მოხდა? მითხარი ერთი. 950

**პითიასი**

გეგყვი: ის ქალიშვილი, რომელიც თაისს დღეს  
საჩუქრად გადასცეს, იცი, რომ ქალიშვილია? და მისი ძმა მართლაც რომ გამორჩეულია?

**პარმენო**

არ ვიცი.

**პითიასი**

ასე კია: ქალიშვილი მან, უბედურმა გააუპატიურა. როცა ეს ძმამ გაიგო,  
ის კი უმკაცრესია.–

**პარმენო**

რა გააკეთა?

**პითიასი**

პირველ რიგში შეკრა იგი საყოდავად.

**პარმენო**

აი ასე.

955

შეკრა?

**პითიასი**

თუმცა თაისი კი ითხოვდა, რომ ეს არ გაეკეთებინა.

**პარმენო**

რას ამბობ?

პითიასი

ახლა კი იმუქრება, რომ იმას გარყვნილივით მოექცევა:  
მაგრამ როგორ – მე არასდროს მინახავს და არც მენდომებოდა.

პარმენო

რა უტიფრობაა, როგორ ბედავს ასეთ

თაქებლობას?

პითიასი

როგორ „ასეთს“?

პარმენო

შენთვის ეს ყველაზე მეტია?

ვის უნახავს ოდესმე გარყვნილი მეძავის სახლში ვინმე შეეპყროთ? 960

პითიასი

არ ვიცი.

პარმენო

პითიას, ცხადი რომ

ვახდეს:

ვამბობ, ვაცხადებ თქვენს გასაგონად: ის პატრონის ვაყიშვილია.

პითიასი

აი,

მითხარი ერთი, ის არის?

პარმენო

თაისი შიანს ნუ მიაყენებს,

თუმცა შევალ მე იქ შიგნით.

პითიასი

ნახე, პარმენო,

რას შერები, მას ვერ უშეელი და შენც დაიღუპები; რადგან ფიქრობენ,  
შენი ხელი ურევია მომხდარში. 965

პარმენო

მამ რა უნდა ვქნა, უბედურმა?

რა დაეიწყო? მაგრამ აი ესედაე, სოფლიდან ბრუნდება მოხუცი. ეუთხრა ეს თუ არა?  
ვეცყვი მას, რაჲ იქნება, იქნება; თუმცა მე ღიდი უბედურება  
ვიცი დამატყლება თავს; მაგრამ ყმაწვილს უნდა დაეხმარო.

პითიასი

გესმის.

მე შიგნით შევალ: შენ კი რაჲ მოხდა, ყველაფერი დაწვრილებით მოუყევი. 970

სცენა V

მოხუცი პარმენო

მოხუცი (თავისთვის)

ახლომდებარე სოფლიდან სარგებლის მეტს არაფერს ვიღებ:

არც სოფელი და არც ქალაქი არასდროს მომძულებია.

როცა მომბემრდება, ვიყვლი ადგილს.

მაგრამ ეს ჩვენი პარმენო არაა? მართლაც თავად ისაა.

(ხმაბაღლა)

ვის ელოდები, პარმენო, აქ კარებთან?

975

**პარმენო**

ვის არის? ა, მიხარია, რომ ჯანმრთელად დაბრუნდი, ბატონო.

**მოხუცი**

ვის ელოდები?

**პარმენო**

დავიღუპე: ენა დამება შიშისაგან.

**მოხუცი**

ე, რა არის? ის? რატომ კანკალებ? ხომ

კარგად ხარ? მითხარი.

**პარმენო**

ბატონო, პირველად მინდოდა შენ განგესაჯა ის, როგორც არის:  
რაც მოხდა, ჩემი ბრალი არ არის.

980

**მოხუცი**

რა?

**პარმენო**

სწორედ დროულად შემეკითხე: მე უნდა მომეყოლა. იყიდა ფედრიამ ვილაც საჭურისი  
და მას საჩუქრად მიუძღვნა.

**მოხუცი**

ვის?

**პარმენო**

თაისს.

**მოხუცი**

იყიდა? ნამდვილად დავიღუპე. რამდენად?

**პარმენო**

ოც მინად.

**მოხუცი**

დავიღუპე.

**პარმენო**

ქერვას ვილაც არფაზე დამკერელი შეუყვარდა.

985

**მოხუცი**

რაო? შეუყვარდა? მას უკუე გაეგება რამე მეძავებში?  
ქალაქში ჩამოვიდა? უბედურება უბედურებაზეა!

**პარმენო**

ბატონო, ნუ მიყურებ მე ასე: მე არ წამიქმებიია.

**მოხუცი**

შენ ამბობ, რომ თავი გაგანებო. შენ, სალახანა,  
თუ გადამირჩები! მაგრამ ჯერ კარგად გამაგებინე

990

**პარმენო**

ის საჭურისის ნაცელად თაისთან მიიყვანეს.

**მოხუცი**

საჭურისის ნაცელად?

**პარმენო**

ასეა. შემდეგ იგი

გარყენილების გამო შეიპყრეს და შეკრეს.

მობუცი

დავილუქე

პარმენო  
შეხედე მეძავეების თავხელობას

მობუცი

კიდეუ ხომ არ დარჩა რამე

უბელურება და ღომანა. რომელმეუ არაფერი გითქეამს?

995

პარმენო

ყველაფერი ეთქეი.

მობუცი

ეაყოვნებ აქ, შიგნით

შევიტრები –

პარმენო

უეჭველია, რომ მე ამ საქმის გამო დიდი უბელურება მეწევა;  
არადა მე ეს უნდა გაეაკეთო და მახარებს, რომ  
ჩემს გამო რაღაც ეკულს გადაეყრებიან.  
მართლაც, უკეე დიდი ხანია ეტებდა მობუცი მიმეშს,  
რომ ამ საქმეზე რამე მინიშნება გაეკეთებინა. ახლა იპოვა.

1000

სცენა VI

პითიასი პარმენო

პითიასი

თუმცა, უკეე დიდი ხანია ასეთი სიამოვნება  
არ ჭანმიყლია, ჩვენთან შემინებული მობუცი მოვიდა.  
მზოლოდ მე მეყინება; ვიცი, რისი ეშინია.

პარმენო (თავისთვის)  
მაგრამ რა სჭირს?

პითიასი (თავისთვის)

ახლა მიეღივარ, პარმენოს უნდა შეხეხედე,  
მაგრამ მოთხარი ერთი, სადაა?

1005

პარმენო (თავისთვის)

ის მე მეძებს.

პითიასი

აი იმასაც უხედავ:

მეეუახლოვდები.

პარმენო

რა არის? სულელო? რა გინდა შენ? რას იყინი? აბა?

პითიასი

დავილუქე:

უკეე დამლალა, საბრალო, შენზე სიცილმა.

პარმენო

რაგომ?

პითიასი

მეკითხები?

მართლაც, არასდროს არ მინახავს, უფრო სულელი აღამიანი და ეერც ვნახავ. აპ,

არ შემიძლია არ ვთქვა, რა თავმესაქციევი მოგვივლინე  
მე ვფიქრობდი, რომ უპირველეს ყოვლისა. გონიერი და მჭეერმეცხველი ადამიანი ხარ.  
და რა? ვთქვი და მყისვე დამიჯერე შენ?  
შენ ხომ აცდუნე, ხომ გააკეთებინე ყმაწვილს,  
და საბრალო თან მამასთანაც დაასმინე?  
გვონია, ეამებოდა, როცა მამამ იგი იმ ტანსაცმელში გამოწყობილი დაინახა?  
რა არის? ხედავ, რომ ილუპები?

1010

1015

პარმენო

ა, რა თქვი, უბედურო? მაგყუარა ხარ? თანაც იყინი?  
სახალისოა, სახეში რომ დაგეცინი, მზაკეარო?

პითიასი

ძალიან.

პარმენო

ამაზე პასუხი არ უნდა ავო!

პითიასი

მართლა?

პარმენო

ეუისაჲ.

გადაეუხდი.

პითიასი

დამიჯერე,

პარმენო, შენი მუქარა სხვა დროს იყოს.

1020

ახლა კი ჩამოგვიდებენ, რომ სულელ ყმაწვილს სამარცხვინო საქმით სახელს უხევეჭ და ამავე  
დროს ასმენ: ორივეს მაგალითად გამოდგები.

პარმენო

დავიღუპე.

პითიასი

ამ საჩუქრისთვის დამსახურებული სამღაური:

მივდივარ.

(მიდის)

პარმენო

მე კი ჩემივე დასმენით უბედური თითქოსდა თავივეთ დღეს დავიღუპე

სცენა VII

გნათო თრასო პარმენო

გნათო

ახლა რა? რა იმედით ან როგორ მივდივართ იქით? რას აპირებ, თრასო?

1025

თრასო

მე? თაისის ჩაებარდები და გაეაკეთებ, რასაც მიბრძანებს.

გნათო

რას?

თაისი

პერკულესი ხომ ემსახურებოდა ომფალეს, მე ნაკლები ვარ?

გნათო

კარგი მაგალითია.

(ო. ნეგაე მენახა, სანდალს რომ გირგყამს თავში)  
შავრამ მისი კარი ჭრიდალეს.

თაისი

დავიდუქე: ეს რა უბედურებაა?

იგი არასდროს მინახავს: როგორ სწრაფად გამოეარდა?

1030

სცენა VIII

ქერუა პარმენო გნათო თრასო

ო, მამულიმიელინო. დღეს ჩემზე ბედნიერი არის ვინმე?

ფეიცაე, არაინ: მართლაც. მთელი თავისი ძალა ღმერთებმა პირდაპირ

მე გარდმოგივლინეს; უეცრად ამდენი სიკეთე ჩემზე.

პარმენო

რა ახარებს?

ქერუა

ო, ჩემო პარმენო, ყველა ჩემ სიამოვნებათა გამომგონებელი, წამომწყებო,

შემქმნელი, იყი, რა მახარებს?

1035

იყი, ჩემი პამულია მიქალაქე რომ აღმოჩნდა?

პარმენო

გაგიგე.

ქერუა

იყი,

ჩემი საცოლვა?

პარმენო

ბედნიერებაა, ღმერთი შეგეწიოს.

გნათო

გაიგე შენ, რას ამბობს ის?

ქერუა

შავრამ ჩემი ფედრიას

ძმისთვისაც მიხარია, სიყვარულის ამბები მოუგვარდა:

ერთი ოჯახი ვართ,

თაისი მამის მფარველობას მიენდო და მისი კლიენტი გახდა.

პარმენო

თაისი მთლიანად ძმისაა?

ქერუა

რასაკვირველია. 1040

პარმენო

უკვე სხვა რამეც გვახარებს: ჯარისკაცს შინიდან გააგდებენ.

ქერუა

შენ ძმას ახლავე გააგებინე ეს.

პარმენო

შინ შევიხედავ. –

(მიდის)

თრასო

გნათო, უკეობ, რომ მე ახლა სამარადქამოდ დავიდე?



გნათო

ეფიქრობ. უეჭველია.

ქერვა

პირველად რა

გავიხსენო ან

ვინ შევაქო ყველაზე მეტად?

ის ხომ არა, ვინც მე მირჩია, რა გამეკეთებინა, ან საკუთარი თავი, რომელმაც გაბედული რამ

1045

ჩავიფიქრე, ან ბედი, რომელმაც წარმართა და

ყველა საქმეს დროულად ერთ ღღეში მოუყარა თავი,

ან მამა კეთილგანწყობისა და შემწყნარებლობისათვის? ო, იუპიტერ, გემუღარები, შეგვარჩინე ჩვენ ეს სიკეთე!

სცენა IX

ფედრია ქერვა თრასო გნათო

ფედრია

ღმერთების შეწვენა, დაუჯერებელია, რაც პარმენომ მითხრა. სად არის ჩემი ძმა?

ქერვა

აი ის. 1050

ფედრია

მიხარია.

ქერვა

განა არ მჯერა. არაუინაა, ძმაო,

შენს თაისზე უფრო ღირსეული, რომ გიყვარდეს: მთელი ჩენი ოჯახის მფარველია.

ფედრია

მე მიქებ

მას?

თრასო (გნათოს)

დავიღუპე, რაც უფრო ნაკლებია იმედი, მით უფრო მიყვარს.

გემუღარები, გნათო, შენი იმედი მაქვს.

გნათ.

რა ექნა?

თრასო

მიღწიე

თხოვნიტ, საჩუქრით, რომ თაისთან ბოლოს და ბოლოს რამენაირად მოეხედე. 1055

გნათო

ძნელია.

თრასო

თუ მართლაც მოინდომებ, გიცნობ შენ. თუ ამას გააკეთებ, ჯილდოდ

ჩემგან ნებისმიერი საჩუქარი ისურვე: რაც გინდა, მიიღებ.

გნათო

ასეა?

თრასო

ასე იქნება.

გნათ.

თუ ამას გაეკეთებ, ვითხოვ, რომ ჩემთვის შენი სახლის კარი ღია იყოს, იქნები შენ თუ არ იქნები, დაუპატიებელისთვისაც კი ყოველთვის იყოს ადგილი.

თრასო

ასე იქნება.

გნათ.

მოვემზადები.

ფელრია

აქ ვისი ხმა მესმის? ო, თრასო.

1060

თრასო

გამარჯობა.

ფელრია

შეიძლება შენ არ იცი, აქ რა მოხდა?

თრასო

ვიცი.

ფელრია

მაშ ამ მხარეში

როგორ გამოჩნდი?

თრასო

თქვენი იმელი მაქვს.

ფელრია

იცი, რამდენად საიმედო ვარ? ჯარისკაცი, გიცხადებ, თუ დაგინახავ ქუჩაში ამის შემდეგ, რაც არ უნდა მითხრა "სხევას ვეძებდი, გზადა ვარ": იყოლე, ვერ გადაარჩები.

გნათ.

ასე როგორ შეიძლება

1065

ფელრია

გითხარი.

თრასო

არ ვიცი ასეთი ამბავები –

ფელრია

ასეა.

გნათო

ჯერ ცოტა მომისმინე: რას გეგყვი, თუ მოგვწონება, გააკეთებ?

ქერეა

გისმენ.

გნათ.

ცოტა იქით გაიწიე,

თრასო.

პირველი, მე მინდა ორივე დაგარწმუნოთ, რომ რასაც ვაკეთებ, ყველაზე მეტად ჩემთვის ვაკეთებ და თუ თქვენც წაგაღებებათ, სისულელე არ უნდა ჩაიდინოთ.

1070

**ფედრია**  
რა ხდება?

**გნათო**  
ვფიქრობ, ჯარისკაცი მეტოქედ უნდა მიიღო.

**ფედრია**  
უნდა მივიღო? ეი,

**გნათო**  
დაფიქრდი: თაისთან ერთად შენ, ფედრია, მართლაც სიამბგობილობით ცხოვრობ, მაგრამ რომ აძლიო, ამდენი არ გაქვს, თაისს კი ბეერის მიღება ჭირდება. 1075  
ხარჯგაუწვეველ სიყვარულს რომ ეწიო, მასზე უფრო გამოსადეგი შენთვის არეინ იქნება. მისაცემიც აქვს და უფრო უხვადაც არაეინ გაცემს. სულელია, რეგენია, ბრიყვი, დღედაღამ ხერინავს: ნუ გემინია, მას ქალი ვერ შეიყვარებს: ადვილად გააგვებს, როცა მოისურვებ. 1080

**ქერეა**  
რა ექნათ?

**გნათო**  
გარდა ამისა, ყველაზე მნიშვნელოვანი, საერთოდ არაეინ იღებს სტუმრებს მასზე უკეთესად და უფრო ხელგამშლილად.

**ქერეა**  
ო, საოცრება, ეს ადამიანი ჩვენთვის მისწრებაა.

**ფედრია**  
მეც ასე ვფიქრობ.

**გნათო**  
სწორია. ერთ რამეს გთხოვთ, მეც თქვენთან მიგულეთ: უკვე საკმაოდ დიდხანს ეატრიალებ ამ ქვას.

**ფედრია**  
ვიღებთ 1085

**ქერეა**  
და სიამოვნებითაც.

**გნათო**  
მადლობის ნიშნად, ფედრია და შენ, ქერეა, ჭიქას აეწეე ამის გადასანსლაველ და დასაციინად.

**ქერეა**  
კარგი.

**თრასო**  
მშვილად აკეთე.

**გნათო**  
თრასო, თუ გინდა, მოგვიახლოვი.

**თრასო**  
ერთი მითხარი,

როგორაა საქმეები?

გნათო

როგორ? ისინი მენ არ გიცნობენ: მას შემდეგ, რაც შენი თავი გაეცანა, შენი ნამოქმედარი და სიქეველნი შეეუქე. მივაღწიე... 1090

თათისი

კარგად მოიქეცი: დიდად მაღლიერი ვარ.

სადაც არ უნდა ვიყო, ყველას ძალიან ვუყვარვარ.

გნათო

გითხარო, რომ ამამი აგიკური დახეწილობას ვერ შენიშნავდით?

პითიასი

ბერს არ ველოდით. მოდით ჩვენთან.

მომღერალი

კარგად იყავით და

ტაში დაუკარით!

### შენიშვნები

სტრ. 9. მენანდროსი – ძვ. წ. IV საუკუნის კომედიოგრაფოსი, „ახალი ატიკური კომედიის ვარსკვლავი“.

სტრ. 9. „მოჩენება“ – მენანდროსის კომედია

სტრ. 10. „კანიძი“ – მენანდროსის კომედია

სტრ. 21. „მიღწია, რომ მისთვის ეზვენებინათ“ – როგორც ჩანს, ლაპარაკია ლუკინუს ლანუენისზე, ტერენციუსის მეტოქეზე და მუდმივ ოპონენტზე, რომელიც მას ყოველთვის აკრიტიკებდა.

სტრ. 25. ნეიუსი – ძვ. წ. III ს-ის რომაელი დრამატურგი.

სტრ. 25. პლატუსი – ძვ. წ. III ს. რომაელი კომედიოგრაფოსი.

სტრ. 491. ცეცხლში გადაეშვები ლუკმის მოსაპოვებლად – საუბარია კონონზე, რომელმაც მიცალებულთან ერთად სამსხვერპლო შესაწირსაც წაეღვნენ. იქიდან ლუკმის აღება ყველაზე დიდ უზნეობად ითვლებოდა.

სტრ. 541. მიუკეცი: ბეჭდები – ბეჭდებს აძლევდნენ ნაღმის მომწყობს იმის ნიშნად, რომ შერე შეინახები დანახარჯს გადაიხდიდნენ.

სტრ. 584. როგორ გაუკაბესა თუისიკერმა დანაკს ოდისდაც წიაღში ოქროს წყობა – ცნობილი მითი, როგორ ჩააღწია ოქროს წვიმის სახით მეესმა (იუპიტერმა) სარკოფაგში ჩამწყვდეულ დანაესთან და გაანაყოფიერა იგი.

სტრ. 732. კერესი – უძველესი იტალიური და რომაული ხოთონური ნაყოფიერების ქალღმერთი, მოგვიანებით ბერძნულ დემეტრესთან გაიგივებული.

ლიბერი ნაყოფიერების, უმეტესწილად მეღვინეობის ღვთაება, ბერძნულ დიონისესთან გაიგივებული

ვენუსი – სიყვარულის ქალღმერთი, ბერძნულ აფროდიტესთან გაიგივებული.

„კერესისა და ლიბერის გარეშე ვენუსი იყინება“ – „სმისა და ჭამის გარეშე სიყვარული იყინება.“

სტრ. 776. ცენგურიონი სანვა – ცენგურიონის (კენგურიონის) ანუ ასეულის მეთაური. ტერენციუსი ბერძნული საომარი ტერმინების ნაცვლად რომაულს მიმართავს.

სტრ. 777. ღრუბლით გინდა იბრძოლო – მზარეულს ხელში უჭირავს მაგიდის გადასაწმენდი ღრუბელი.

სტრ. 783. პიროსი – ეპიროსის მეფე (ძვ. წ. 319-272), რომაელების მძევნივარ მეტოქე.

სტრ. 809. თაყი ქურდად გაიხადა – სხვისი მონა ქალი ძალით მიითვისა.

სტრ. 1027. პერკულესი ხომ ემსახურებოდა ომფალეს – დელფოს ორაკულით ჰერაკლე მკვლელობის გამო დროებით ლიდის დელოფალ ომფალეს მონა უნდა გამზდარყო.

*თარგმნა მანანა ფხაკაძემ*

# ტიტუს ლუკრეციუს კარუსი

(დაახლ. ძვ.წ. 96-55 წწ.)

მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებებში გამორჩეული თხზულების „საგანთა ბუნების შესახებ“ ავტორის ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ მუსტი ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

გვიანდელი ავტორები (პიერონიმუსი, დონატუს ელიუსი – ახ.წ. IV ს.) მისი დაბადების და გარდაცვალების სხვადასხვა თარიღს გვთავაზობენ.

პიერონიმუსი აღნიშნავს, რომ სულიერად დაეაღებულმა ლუკრეციუსმა თავი მოიკლა. სიგიჟე, ქრისტიანი მწერლის აზრით, მას „საგრეთალო წამლის“ დალევისას შეეყარა.

პიერონიმუსისვე თქმით, ფილოსოფიური პოემა ლუკრეციუსს შემლილობის პერიოდებს შორის, საღ ჭკუაზე მყოფს დაუწერია.

ეპიკურელთა ფილოსოფიის მიმდევარი ლუკრეციუსი თავის დაუსრულებელ პოემაში შეეცადა გადმოეცა ბერძენი ფილოსოფოსის მოძღვრების მთავარი არსი მაგერიის მუღმი-ეობასა და მის აგომისგურ აგებულებაზე. აქვეა მოცემული მაგერიის მუღმივი მოძრაობისა და ცელილებების შესახებ წარმოდგენები და ეპიკურეს შემეცნების თეორია. ლუკრეციუსი პოემაში გვთავაზობს საკუთარ შეხედულებებსაც სამყაროს წარმომობაზე, ციელიზმაციის ისგორიასა და კულტურამე. პოეტი ესწრაფვის ადამიანების გათავისუფლებას რელიგიური ცრურწმენებისაგან, უმენაესი ძალებისა და სიკედილის წინაშე მიშისაგან.

ანთოლოგიაში წარმოდგენილია ფრაგმენტები პოემის ექვსივე წიგნიდან, სადაც თხზულების დედაარსია მოცემული.

## თარგმანი:

ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, თარგმანი პანგელეიმონ ბერაძისა, თბილისი, 1958 წ.

## საგანთა ბუნებისათვის

### წიგნი პირველი

- შენ, ენეადთა წინაპარო, დედაო ვენუს,  
კაცთა და ღმერთთა სანატრელო, სიცოცხლით ავსებ  
მსრბოლ ვარსკვლავიან ცის ქვეშეთში ზომალდიან ზღვას  
და ნაყოფიერ დედამიწას, ყოველი არსი
- 5 შენით სულდგმულობს, იბადება და სჭერეტს მზის ნათელს.  
როს გამოჩნდები, ღვთაებრივო, ქარი ჩადგება,  
იფანტებიან ცით ღრუბელნი და ტურფა ველი  
ვარდ-ყვავილებად გეფინება, ტალღა გილიმის  
და მოკაშკაშე ცის ტატნობი სხივს შემოგაფრქვევს;
- 10 როს თვალს გაახელს გაზაფხულის სისხამი დილა,  
დაკბერს ნიავი – ფავონიუს მაცოცხლებელი,  
ფრინველნი ცისა შენის ძალით გულშემსჭვალულნი,  
ყოვლის უსწრაფეს შენს გამოსელას მოესალმინან.  
და გალაღებულ ჯოგს, მიდენილს სამოერისაკენ,  
15 წყალთმდინარება გადულაზავს, შენკენ მოილტვის  
შენის უშხით და მძაფრი ნდომით წაქეზებული.  
და ბოლოს ზღვასა, მაღალ მთებსა, ჩქარ მდინარეში.  
ფოთლით დაფარულ სირთ ბუდეში, მწვანე ველზედაც –  
ყველგან და ყველას შენ აღაგზნებ მძაფრ ტრფილებით,

20 გულს აუჩქროლებ შთამომავლის წარმოსაშობად.  
 რადგან შენ მართავ ერთადერთი საგანთ ბუნებას,  
 შენს უნებურად ცისქვეშეთში არრა იშობა,  
 არლა იქნება არც მოლხენა, არც ნეტარება,  
 შენი შეწვევით ვიმედოვნებ წერას ამ ლექსთა  
 25 საგანთ ბუნების საიდუმლოს გადმოსაცემად,  
 და ეს ყოველი მსურს მიუუძღვნა ჩვენს მემკვიდრეს,  
 შენგან ყოველმხრივ სრულ სიკეთით რომ შემკობილა.  
 თქმას მიაინიჭე სილამაზე დაუჭკნობელი  
 და ამავე დროს მღელვარება სასტიკი ომისა  
 30 ზღვასა და ხმელზე, გვეედრები, სრულად შესწყვიტე.  
 შენ ძალგამს მხოლოდ ამო ზავით ანებიერებდე  
 მოკვდავთა მოდგმას. ომის საქმეს აბჯარასხმული  
 განაგებს მარსი, შენს წილში ბინის მძებნელი,  
 მარად ენებული უკურნებელ ტრფობის ჭრილობით.  
 35 შენკენ, ღვთაებავ, მობრუნებულს ყელმოდერებით,  
 ტრფობით მომზირალს, შენის ჭკრეტით მოჯადოებულს,  
 და განმზადებულს დასანთქმელად შენი სულთქმისა,  
 ასე ამრიგად წამოწოლილს, წმიდა სხეულით  
 გარს შემოეჭდე, უტკბეს სიტყვებს წასწურჩულებდე.  
 40 სთხოვდე, ღიადო, ზავს სანუკვარს რომაელთათვის.  
 რადგან სამშობლოს განსაცდელის მძიმე დროუამსა,  
 მშვიდ მუშაობას ჩვენც ვერ შევძლებთ, ვერც მემიუსის  
 მე სასახელო ქვეყნის საქმეს ვერ უღალატებს.  
 50 ყურნი მომაპყარ, ზრუნვათაგან გათავისუფლდი,  
 და შეისმინე ჭეშმარიტი სიბრძნის მოძღვრება,  
 რომ ჯილდო იგი, ალალ გულით მოწოდებული,  
 არ იყოს შენგან განუსჯელად უკუგდებული.  
 ვიწყებ მსჯელობას ღმრთის და ზეცის უმაღლეს არსთა  
 55 რაობისათვის და საგანთა პირველ საწყისზე,  
 ბუნება ვითარ შობს და ჰკეებავს ყოველსა საგანს,  
 იგივე ბუნება ვით გარდაქმნის მას დაშლის შემდეგ.  
 მას – მატერიას, საგანთ შემქმნელ მცირე სხეულებს,  
 მისი არსების კვლევის მიზნით, ჩვენ ვუწოდებდით  
 60 საგანთა თესლებს, და მივიჩნევთ მათ საწყისებად,  
 იმ სხეულებად, რომლისგანაც იშვის ყოველი.  
 რის ყველას თვალწინ, სამარცხვინო ცხოვრება კაცთა  
 პბორგავდა ქვეყნად კირთებს ქვეშე რელიგიისა  
 და ღმერთი, ზეცის წიაღიდან გადმომხედვარე  
 65 თავზარდამცემი, სასტიკ სახით აფრთხოვდა მოკვდავთ, –  
 პირველად ელინს შეუმართავს თამამად თვალი  
 და გაუბედავს მას პირველად ღმერთებთან ბრძოლა.  
 ვერ შეუცვლია მისთვის ფერი ვერც ღმერთთა რისხვას,  
 ვერც ელვა-გრგვინვას ზეცით ნატყორცნს. ისევ უმძაფრეს  
 70 თავგამოდებით ჰკეებთბია, რომ მას პირველად  
 დაცაელეწა მტკიცედ ხშული ბუნების კარი.  
 ესრეთ დასძლია უტებ სულის ცხოველმა ძალამ,  
 შესძლო გასცლოდა დედამიწის ცეცხლოვან ზღუდეს,

- 75      გადაელაზა გონების გზით სივრცე უსაზღვრო  
და გამარჯვებულს ყოველივე ემცნო იქედან.  
ემცნო თუ არსი თვითეული სადით იწყება,  
რა საზღვარს აღწევს და ვითარი ელის მას ბოლო;  
ესრეთ დაეცა რელიგია ფეხქვეშ თელილი,  
ჩვენ კი უსაზღვრო გამარჯვებამ ცად აგვამაღლა.
- 80      ამ შემთხვევაში ის მაშინებს, რომ არ იფიქრო  
მაცდურ სწავლისკენ, ყალბი გზისკენ, მოგიწოდებდ  
ანდა ბოროტი რამ ცდუნება გულს განმეზრახოს.  
თვით რელიგია შობს ბოროტს და საზარელ საქმეთ.  
ვით ავლიდეს ის სამსხვერპლო არტემიდესი
- 85      იყო სასირცხოდ იფანასეს სისხლით შესერილი,  
დანაელ სარდლებს, რჩეულ ვაჟკაცთ რომ დაუღვრია,  
ოდეს ქალწულის თმები შეპკრეს წმიდა საბელით  
და ბოლოები ჩამოუშვეს ორთავ დაწვებზე.  
რა მოკრა თვალი სამსხვერპლოს წინ მშობელს მწუხარეს
- 90      და დაინახა ვით ძალადნენ მსახურნი დანას.  
თან ცრემლს აფრქვევდნენ მის მნახველი მოქალაქენი.  
შიშით მუნჯქმნილი ძირს დაეცა მუხლმოკეითილი.  
და საწყალობელს ვერ უშველა ჟამს განსაცდელის, –  
მამის სახელი რომ პირველმა აჩუქა მეფეს.
- 95      ათროლებულსა ხელთ იყრობენ მოქალაქენი  
და მიჰყავთ იგი სამსხვერპლოსკენ. მიტომ კი არა –  
ქორწილის შემდეგ დააბრუნონ მაყრულის მღვრით.  
არამედ მისთვის, ქალწულობის უბიწო ჟამსა,  
შეუბრალებლად მამის ხელით განგმირულიყო,
- 100      რომ გზა გახსნოდა ბედნიერი იმათ გემთკრებულს.  
ამგვარ საქმისთვის აქეზებდა ხალხს რელიგია!  
შენც ხომ ყოველთვის შეგიძლია ჩვენ ჩამოგვშორდე  
დამარცხებული მისანთ ნათქვამ საშიშ სიტყვებით.  
მართლაცდა რამდენ სისულელეს მოიგონებენ,
- 105      რომლითაც ძალუძთ ადგირიონ ცხოვრების გზანი,  
სულის სიმშვიდე ფუჭი შიშით სრულად მოგტაცონ.  
მართალიცაა, რომ სცოდნოდათ ადამიანებს,  
ექნება ბოლო იმათ ტანჯვას, რამენაირად  
ქურუმთ ყბედობას, რელიგიას თავს დააღწევენ.
- 110      დღეს კი სადღაა მასთან ბრძოლის რაიმე ღონე,  
რადგან უფროხიან მუღმივ სასჯელს სიკვდილის შემდეგ,  
რაკი არ არის გარკვეული ბუნება სულის,  
დაბადებითვე თან დაჰყვება, თუ მოდის შემდგომ,  
კვდება თუ არა ჩვენთანავე აღსასრულის ჟამს,
- 115      ან თუ მიიღტვის ორკის ტბათა წყვედიად უდაბნოს,  
ან სხვა ცხოველში გადინაცვლებს ღეთიურ განგებით,  
ვით მოგვითხრობდა ენიუსი, მან ხომ პირველად  
ქელიკონიდან მოიტანა გვირგვინი მწვანე,  
იტალთა შორის დიდსახელის მომპოვებელმა.
- 120      და ვით გვამცნევდა ენიუსი უჭკნობ ლექსებით.

რომ არსებობსო უცხო მხარე აქერუსიის,  
 სად წარსდგებიან არა სულნი, არცა სხეულნი,  
 მარტოდ სახება ფერშემკრთალი განსაცვიფრებლად.  
 გვამცნევს, ჰომეროს მოვიდაო სხივშემოსილი  
 125 და შეუწყვეტლად ცრემლთა მღვრელი მომითხრობდაო  
 საგანთ საწყისთა წარმოშობას წილადობილად.  
 და ამიტომაც ხამს ვარკვიოთ, აზრით განვჭვრიტოთ  
 არსნი ციურნი, მიმოქცევა მზისა და მთვარის  
 130 თუ ვით სწარმოებს, ანდა ძალა რომელი მართავს  
 ამქვეყნად ყოველს. თანვე ისიც უნდა ვიკვლიოთ,  
 რისგან შექმნილა ჩვენი აზრი და ჩვენი სული.  
 ანდა რის გამო გვაფრთხობს ზოგჯერ ფუჭი ზმანება  
 მძიმე ავადმყოფთ დღის სიციხადით, ანდა ძილის დროს  
 თითქოს თვალნათლივ ვხედავდეთ ჩვენ და ხმაც გვესმოდეს  
 135 აწ გარდაცვლილთა, რომელთ ძვლები მიწას ჩაუკრავს.

თავს არ ვიტყუებ, ბერძენთ ბნელი სწავლა-მოდვრების  
 ძნელი იქნება გადმოტანა ლათინურ ლექსით.  
 რაც მთავარია, მომიხდება სიტყვათა ძებნა  
 და ღარიბ ენით გადმოცემა ახალ მცნებათა.  
 140 სიკეთე შენი და სიამე შენთან უტკბესი  
 მეგობრობისა ძალას მმატებს, რომ გადავლახო  
 ყველა სიძნელე, ღამეები თეთრად ვათიო,  
 საჭირო სიტყვის და გამოთქმის მოსაპოვებლად,  
 რომ შენი აზრი, ნათელ სხივით გაბრწყინებული,  
 145 ღრმად ჩასწვდებოდეს საგანთ არსის იღუმალობას.

ასე, სიბნელეს აზროვნების და უგნურებას  
 ვედარ გაფანტავს ვერც მზის სხივი, ვერც დღის ნათელი,  
 მხოლოდ შესწავლა თვით ბუნების კანონებისა,  
 რომლის ძირითად დებულებად მიჩნეული გვაქვს:  
 150 არარაისგან თითონ ღმერთიც ვერარას შექმნის  
 და იმის გამო იპყრობს შიში ყოველსა მოკვდავს,  
 რადგან ბევრს რასმე ხედავს იგი ზეცად და ქვეყნად,  
 რომელთ მიზეზის გამოცნობას ვერ მისწვდომია  
 და ფიქრობს, ვითომც ღმერთი იყოს ყოვლის მოქმედი.  
 155 უკეთუ ნათლად წარმოვიდგენთ, რომ არარაისგან  
 არრა შექმნილა, რასაც ვეძებთ უმალ მივსწვდებით,  
 თუ ვით იქმნება საგანი რამ, ვით წარმოიშვის  
 და რარიგ ჩნდება ყოველივე ღმერთთა გარეშე.

მართლაცდა, თუ რამ წარმოიშვის არარაისგან,  
 160 ყოველი არსი უთესლოდაც შეიქმნებოდა,  
 ვსთქვათ, რომ შეიქმნან ზღვისგან კაცნი და ხმელეთისგან  
 ფოროჯა თევზნი და ფრინველნი, ცით ჩამოცვივდეს  
 წვრილი თუ მსხვილი საქონელი, ველურნი მხეცნი  
 იშვან უდაბნოს, გამოუცნობ რადაც მიზეზით; <...>



215 <...> ესეც იცოდე, რომ ბუნება პირველ საწყისად დაშლის ყოველსა და არარას არა სპობს სრულად, რადგან მთლიანად რომ კვდებოდეს არსი ყოველი, თვალთა ხედვიდან დაღუპვის დროს მსწრაფლ გაქრებოდა. არ იქნებოდა რამე ძალის საჭიროება.

220 რომლის გათიშვა მის ნაწილთა ევალებოდეს. მარადი თესლით მატერია რადგან შექმნილა თუგინდ რომ დარტყმით უცხო ძალამ იგი დაგლიჯოს, ანდა ცალიერ შუაგულიდან ნგრევა დაუწყოს, სულერთი არის, მას ბუნება მაინც არ მოსპობს. <...>

<...> საგანთა არსნი კი არ ქრება, არამედ ყოველს მოელის დაშლა სხეულებად მატერიისა.

250 მამა ეთერის მოვლენილი წვიმა როს მოდის, ის დაინთქმება დედამიწის მშობლიურ წიაღს; ჯეჯილი ბზინავს წამოშლილი, იმკობა მწვანით ხეთა ტოტები, ხეც ზრდას იწყებს, ნაყოფს მოისხამს. საზრდოობს იმით მოდგმა კაცთა, ცხოველთა მოდგმაც.

255 ქალაქს ახარებს ჟრიაბული ცელქ ბავშვთა გუნდის, ტყეს, ხშირფოთლიანს კი ჭიკჭიკი დაფრენილ ბარტყთა, დასუქებული ცხერისა ფარა მსუყე საძოვარს წამოწოლილა ნებიერად, რძის თეთრი წვეთი სავესე ჯიქნიდან გამოფონავს, ბატკნებიც იქვე

260 სუსტი ფეხებით რბილ მდელოზე ხტიან, ცელქობენ, თაებრუდასხმულნი დამათრობელ რძისა სიმსუყით. ბუნებას არრა ეკარგება, თუმცა ასე სჩანს, რადგანაც იგი ქმნის ერთს რასმე მეორისაგან, ერთის სიკვდილით შეიქმნება არსი მეორე. <...>

<...> და ყოველ მხრიდან ხომ სიმკვრივე არ ავსებს სხეულს;

330 სიტალიერე ყოველ მათგანს მოუპოვება. ამის შეგნება ბევრ საქმეში გამოგადგება და ხელს არ მიჰყოფ უნაყოფო კვლევა-ძიებას არსთა ბუნების, ჩემგან თქმულით დაეჭვებული.

335 ამად გვჭირდება ვაღიაროთ სიტალიერე, ხომ უიმისოდ მოძრაობას ვერ შეიძლებდა საგანი სრულად, რადგან იგი, რაც მას შეპფერის: წინაღმდეგობა, ვერ დათმობა, მარად ბორკილად შეიქნებოდა; ვერცრა წინსვლას ვეღარ შესძლებდა, საგანთ საწყისებს მოძრაობის ბიძგს არ მისცემდა.

340 მართლაცდა, ცასა, ხმელეთსა და ზღვისა სივრცეში მრავალნაირად წარმართულნი მოძრაობანი გვეშლება თვალწინ, და თვინიერ სიტალიერის, არ იქნებოდა რამ ნასახი მოძრაობისა.

345 ვერცრა ოდესმე საიდანმე შეიქმნებოდა და მატერია დარჩებოდა მყარშენივთული. <...>

- 925 <...> ახლა დანარჩენს გულისყურით უსმინე ისევ, თავს არ ვიტყუებ. ძნელი არის ეს ყოველივე, მაგრამ გულს მივსებს სიხარულით ქების იმედი, მუზათა ტრფობა სულს მოიცავს უნაზეს გრძნობით და მით ტყვექმნილი თამამ აზრით მივეშურები გზას პიერიდთა, ჯერ არვისგან რომ არ თელილა, აღმაფრთოვანებს, რომ პირველი დავეწაფები ხელუხლებ წყაროს: იქ მშვენიერ ტურფა ყვავილთა დიად გვირგვინით მოვირთვები, ჯერ არ ნახულით, 930 რომლით აქამდე მუზას არვინ არ შეუმკია. ჯერ ერთი, მიტომ, რომ მე ვარკვევ დიად საკითხებს: ადამიანი უნდა ეიხსნა რელიგიისგან. შემდეგ, მიტომაც რომ ძნელ საკითხს უბრწყინვალესი ლექსით გადმოვცემ, შთაგონებულს მუზების ეშხით. 935 და ხერხი იგი, ვფიქრობ, არის ჭკუასთან ახლო: როცა მკურნალი აწვდის ბალებს საზარ აბზინდას, ფიალას, პირის გარეშემო წაუსვამს ხოლმე ყვითელი თაფლის საამურს და უტკბილეს სითხეს, ბავშვის ასაკი მიაძიტი, სწრაფად ტყუვდება 940 და მისი ბაგე, სიტკბოს რომ გრძნობს, დაეწაფება მწარე აბზინდას საზიზღ სითხეს და შეცდომის გზით, ასე ამრიგად, ჯანმრთელობა კვლავ უბრუნდება. მეც აგრევე ვქმენ: ჩემი სწავლა მოეჩვენებათ საქმის არ მცოდნეთ მეტად მძიმედ: უბრალოთათვის 945 სამულველია და მიტომაც მე მოვისურვე პიერიდების ტკბილი ენით გაუწყო სწავლა, რომ შევანელო იგი უტკბეს მუზათა თაფლით. მე ვგონებ ამ გზით მაინც შევძლებ, რომ მოვიზიდო ლექსებისადმი შენი სმენა, ვიდრე შეიტყობ საგანთ ბუნებას და კანონებს მისი არსების ხომ გამცნე კიდევ, სრულად მჭიდრო მყარნი სხეულნი საგანთ საწყისთა ვითარ რბიან, მარადფამიერ. ეხლა გაესინჯოთ, მათ სიმრავლეს კიდევ-საზღვარი 955 აქვს თუ არა აქვს. რაკი ვპოვეთ სიტალიერე, აგრეთვე სივრცე, რომ ადგილი სხეულთ შექმნისთვის. განსაზღვრულია მისი არსი მთლიანობაში, თუ უსაზღვარო, ღრმა უფსკრულით დანთქმულა იგი.
- 960 არც ერთი მხრიდან აღსასრული არ აქვს მსოფლიოს, თუ მას უარვეყოფთ, მაშინ უნდა ჰქონდეს მას ზღვარი, მაგრამ საზღვარი არარას აქვს, თუ იმის მიღმა არ იპოება კიდევ იგი დასასრულისა, რომლის მიჯნამდე ჩვენსა გრძნობას ძალუძს მიღწევა. ხამს ვაღიაროთ, რომ არ არის მსოფლიოს მიღმა არცა ნაპირი, ზღვარი რამე, ან განაკიდე. 965 და ამიტომაც რა ნაწილშიც იმყოფებოდე. ან რა ადგილას, სულ ერთია, მაინც ყოველმხრივ უსასრულომდე განფენილად დარჩება იგი.

- 970 გარდა ამისა, თუ დაუშვებთ, რომ აქვს საზღვარი მთლიანად სივრცეს და თუ ვინმე სრბოლით მიმწვდომი მის განაკიდეს სტყორცნის ისარს, რაც ძალ-ღონე აქვს, რა გეზით იყო წარმართული, იმავე გზა-კვალით კვლავ განაგრძობდა ხანგრძლივ სრბოლას შეუწყვეტელად. განა რამ ძალა იმის სრბოლას დააბრკოლებდა?
- 975 ამ ორ აზრთაგან შენ უნდა სცნო ერთიც, მეორეც. აი ამათგან შენ ორივე გზად გელობება და გაიძულებს აღიარო უსასრულობა. ანდა აბრკოლებს და ხელს უშლის რამ იმის წინსვლას, რომ არ მივიდეს ეს ისარი დანიშნულ საზღვარს, ან თუ კვლავად სრბის, ჩანს, არ იყო კიდით ნატყორცნი.
- 980 არ მოგეშვები არასოდეს და შენ საცა კი მსოფლიოს კიდეს აღმინიშნავ – ისარზე გკითხავ. ბოლოს გამოვა, რომ ვერ შესძლებ საზღვარის დათქმას, ნატყორცნის სრბოლა გაგრძელდება დაუსრულებლივ. <--->

### წიგნი მეორე

- სასიამოა, როს გრიგალით აღბორვილ ზღვაზე. ნაპირას მდგარი გასცქეროდე სხვათა გასაჭირს, მიტომ კი არა, სხვის ტანჯვაში სიტკბოს კპოვებდე. განსაცდელისგან რომ შორსა ხარ, იგი გახარებს.
- 6 სასიამოა დიდთა ბრძოლით, შეჯახებათა
- 5 ჭვრეტა ვრცელ ველით, როს შენ არ ხარ თვით მონაწილე, მაგრამ არრაა უამესი, სიმშვიდით მისწედე სინათლის ტაძარს, ბრძენთა ცოდნით მტკიცედ ანაგებს, სადით შენ ძალგიძს გადმოხელო ყოველთა კაცთა,
- 10 ცდომით, ტორტმანით, ვით ეძებენ ცხოვრების სწორ გზას. სურთ ერთურთს სძლიონ ნიჭითა თუ გეარიშვილობით, დღისით და ღამით უწყვეტ შრომით ვითარ ილტვიან, რომ მიადწიონ ზღვა სიმდიდრეს, მაღალ უფლებას. პოი საბრალო კაცთა მოდგმავ, შავბნელო გულო!
- 15 რარიგ წყედიადსა და საფრთხეში მოგიქცევია შენი ცხოვრების წუთიერი დრო-ჟამთა სრბოლა. ნუთუ ვერ ხედავ, მასლა ითხოვს ბუნება შენგან, ტკივილი რამე სხეულმა რომ არ განიცადოს, და სული შენი ნებივრობდეს უშიშ-უზრუნველ,
- 20 მაშასადამე, ჩვენს ბუნებას მცირე რამ უნდა, ის, რაც კი ტანჯვას განარიდებს მის არსებისგან. სიამოვნების მინიჭება ბევრს რასმე ძალუძს, რადგან საამოს თვით ბუნება როდი გვიმალაკს, თუნდა არ გედგას სასახლეში ოქროს ქანდაკნი
- 25 ლამაზ ჭაბუკთა, ხელთამპყრობნი ჟინფილ-ჩირაღდნის, ღამის ზეიმთა ნათელ შუქის მიმომფენელად. ვთქვათ, არც ბრწყინვალეებს შენი სახლი ოქრო და ვერცხლით, არც მოოჭვილ ჭერთა ქვეშე ჟღერს ჩანგ-ებანი, მის ნაცვლად ძალგიძს ღბილ მდებლოზე წამოწოლილსა.

30 გრილ წყაროს პირას, მაღალ ხეთა ჩრდილნარის ქვეშე,  
 სულ მცირედითაც დაიამო სული და გული,  
 თუ, მით უმეტეს, დარიც დგას და წლის დროც ისეთი,  
 მწვანეთა შორის უხვად რომ ჰქენს ვარდსა და ყვავილს.  
 ციების სიცხე განა უმალ შორდება სხეულს,  
 35 რომ ძოწეული მეწამული ლოგინად გეგოს,  
 ვიდრე პლებეურ სარეცელზე განისვენებდე?  
 რაკ, ჩვენს სხეულს არრას კმატებს არცა დიდება,  
 სახელოვნება, ან მეფური ძალაუფლება,  
 ხამს ვაღიაროთ, რომ სულისთვის ყველა ფუჭია.  
 40 განა, როდესაც ხედავ ველზე შენს ლეგიონებს  
 მიმოქროლვართ, თვალწინ გიდგას ბრძოლის სურათი,  
 ჯარიც თან ახლავს მარჯაფა და ცხენოსანთ რაზმიც,  
 თანაბარ ძალის და თანაბრად შეუპოვარი,  
 43ა ან შენ გემთკრებულს რომ გასცქერი მიმონავარდეს,  
 თუ გაგიფანტავს იგი ძრწოლას ღმერთთა წინაშე,  
 45 ანდა ზარხდობა სტოვებს შენს სულს? სიკვდილის შიში  
 შორდება შენს გულს? გველინება სულის მშვიდობა?  
 თუ ეს ყოველი სასაცილოდ მოგეჩვენება,  
 სინამდვილეში შიში, ზრუნვა, კაცთმოდგმას რომ სდევს,  
 არ ეპუება საჭურველის ზარდამცემ ჟღარუნს  
 50 და უმეტესად ის თავს იჩენს მეფეთა კარზე,  
 თუ მას არ აკრთობს ელვარება მბრწყინავ ოქროსი,  
 არც თვალისმომჭრელ ძოწეულის დაეღაჟა ფერი,  
 კვლავ რა ეჭვი გაქვს, რომ გონებას ძალუძს აქ შველა,  
 ცხოვრება ჩვენი ბნელ წყვდიაღით როს დაფარულა. <...>

<...> რომ ვხედავთ მართლაც, როს მზის სხივი შემონანათებს  
 115 და ჩვენ ოთახის ბინდბუნდს გაკვეთს თავის ნათელით.  
 ნაწილაკები, ნახავ, კვეთენ ცალიერ სივრცეს  
 და მოკიაფე სხივთა შორის მოსრიალეთა  
 ომი აქვთ თითქოს, უსასრულო ბრძოლა-ჭიდილი,  
 ბოლო არ უჩანს მათ რაზმების შეჯახებათა,  
 120 ხან შენაერთთა და ხან ისევ უკუქცეულთა.  
 ძაღვის დაასვენა შენ აქედან, საგანთ საწყისნი  
 ცალიერ სივრცეს შეუწყვეტლად ვით მოძრაობენ,  
 უეჭველია, დიდ საქმეთა შესაცნობელად  
 მცირე საქმენი კვლავ გვიჩვენებს სამაგალითოს.  
 125 და მით უმეტეს საჭიროა თვალნი მიაპყრო  
 იმ სხეულთ ქროლვას, მზის სხივებში რომ შეგინიშნავს:  
 ასეთ ჯგუფებში მატერიის მოძრაობისა  
 უნდა განჭვრიტო დაფარული იდუმალობა,  
 მრავალი ფერფლი ფარულ ბიძგიტ – ძაღვის შენიშნო –  
 130 მარად რომ იცვლის მოძრაობის მიმართულებას,  
 აქვთ და იქით და ყოველმხრივ მიმოიქცევა,  
 მაშ, საწყისთაგან სრბოლა იგი მომდინარეობს.  
 თავდაპირველად ნივთთ საწყისნი თვისით იძვრიან  
 და მასთან ერთად თანმიმყოლნი მცირე ნაწილნი,

- 135 მიახლებულნი საწყისების პირველად ძალას,  
მათი ფარული ბიძგებისგან ღტოლვას იწყებენ.  
შემდეგ თითონევე აღძვრენ უფრო მოზრდილ ნაწილებს.  
მაშ, საწყისთაგან მოძრაობა მოდის ამგვარად.  
შემდეგ ის აღწევს ჩვენთა გრძნობათ და ბოლოს ხდება
- 140 თვალდასანახი მზის სხივებზე მცირე ფერფლებში.  
თუმც ჩვენ ვერ ვამჩნევთ თვით იმ ბიძგებს, რომლით იძვრიან. <...>

<...> ვისწრაფვი მეტად. განგიმარტო ეს მოვლენანი,  
ვით ნიეთთ საწყისნი ქვე მიჰქრიან სიცალიერეს  
საკუთარ წონით, განუსაზღვრელ დროის ნაკვეთში  
და განუსაზღვრელ ადგილიდან ოდნავ ირიბად,  
220 ისე ოდნავად, რომ გადახრას მას ძლივს ეუწოდებთ.  
თუმცა თვინიერ ამ გადახრის სულ ყოველივე  
წვიმის წვეთისებრ რომ განელიდეს სიცალიერეს,  
ქმნადი ჯახება, საწყისთ ხვდომაც არ იქნებოდა  
და თვით ბუნებაც ვერ შესძლებდა რისამე შექმნას.

225 თუ ვინ ირწმუნებს, უმძიმესნი საგანთ საწყისნი  
ცალიერ სიერცის უსწრაფესად გადამლახველნი,  
თავს ატყდებიან უფრო მსუბუქთ, ეჯახებიან  
და წარმოშობენ ბიძგთა წყებას ქმნად მოძრაობის,  
ის სწორ აზრისგან დიდად არის დაშორებული,

230 რადგან ყოველი, რაც წყალს განვლის, ან მსუბუქ ჰაერს,  
წონისდაგვარად მოასწრაფებს თავის დაცემას,  
რაკი სუსტია თვით ბუნება წყლის და ჰაერის,  
ყველა სხეულებს თანაბრად ვერ დააბრკოლებს  
და უსწრაფესად უმძიმესნი დასძლევენ იმათ.

235 განა ოდესმე და რითიმე სიცალიერე  
დააბრკოლებდა მოძრაობას რაიმე საგნის;  
სიცალიერე თვის ბუნებით მარადჟამ უთმობს,  
მიტომ ყოველი, რაც გაივლის სიცალიერეს,  
არათანაბარ წონისაც კი, სრბის ერთ სისწრაფით,

240 და ამის გამო მსუბუქ საგანთ არ ძალუძთ ზემოთ  
დაატყდნენ მძიმეს და ბიძგებსაც ვერ წარმოშობენ,  
რომ მით შესცვალონ მოძრაობა, შექმნან საგნები.  
კვლავ ვიმეორებ, უცილოა მცირე გადახრა  
სხეულებისთვის იმზომ მცირე, იგი ირიბად

245 არ მოგვეჩვენოს, წინააღმდეგ სად აზროვნების.  
ეს რომ ასეა, ცხადად ძალგვიძს მასში დავრწმუნდეთ.  
სიმძიმის გამო, რამდენადაც შეინიშნება,  
მაღლით მომავალს აღარ ძალუძს პირდაპირ ეარდნა,  
მაგრამ სწორ გზიდან ვითარ უხვევს ის ამ სრბოლის დროს,

250 ამის გარჩევას ვერ შესძლებდა ვგონებ ვერავინ. <...>

<...> არ უნდა იყოს არავისთვის გასაკვირველი,  
რომ ნიეთთ საწყისნი, შეუწყვეტლად მიმოქცეულნი,  
310 მთლიანობაში უმოძრაოდ გვეჩვენებიან.

- იმ სხეულთ გარდა, რომელთ ძალუძთ თვით იმოქმედონ.  
 თუმცაღა არსთა საწყისების რთული ბუნება  
 და შორებია ჩვენს გრძნობათა მიწვდომის საზღვარს.  
 მაინც არსებობს მოძრაობა ჩვენგან ფარულად.  
 315 მომხდარა ზოგჯერ მოვლენა რამ თვალით საჩინო,  
 შორი მანძილით დაფარული, ვერ დაგვინახავს.  
 ხშირია, როცა მთის კალთაზე ხუჭუჭა ცხვრები  
 მსუყე საძოვრით მოხიბლულნი ზღაზვნით დადიან  
 და სძოვენ ბალახს გაბრწყინებულს აღმასებრ ნამით,  
 320 ბატკნებიც ხტანი გამამდარნი, ირქინებიან.  
 და ეს შორიდან ისე რიგად მოგვეჩვენება,  
 თითქოს თეთრი რამ უმოძრაო მწვანე ქედს აჩნდეს.  
 ან როს სირბილით შეიყრება ლეგიონები  
 და მოედანზე გაიშლება სურათი ბრძოლის;  
 325 მათი საჭურვლის ელვარება თვით ცამდე აღწევს,  
 სპილენძი ბრწყინავს მოედანზე, ქვეითი ჯარის  
 ფეხის ხმა ისმის, მთებსაც შესძრავს ბრძოლის ყიჟინი,  
 გამოძახილი ავარდება ვარსკვლავებამდე,  
 მხედარნი ჰქრიან აქეთ-იქეთ ბრძოლის ვრცელ ველზე.  
 330 მათი თქარუნით შეირყევა გარემო სრულად,  
 მაგრამ მაინც კი იპოვება მთებზე მწვერვალი,  
 სადით ყოველი უძრავ შუქად მოგვეჩვენება. <...>

### წიგნი მესამე

- უკუნ წყვილიადით ვინც აღმართე სეეტი ბრწყინვალე,  
 შენ, ვინც პირველად კაცთა ყოფას გზა გაუნათე,  
 მე შენ მოგვეები სიქადულო ბერძენთა ტომის  
 და ნატერფალის ფერხთა შენთა ვარ მიმდევარი;  
 5 მიტომ კი არა, გაჯიბრებას ვეპირებოდე,  
 ებედაე მოგბამო, სიყვარულით, განა მერცხალი  
 გედთან მოვიდეს? განა ვაცი – ბევრიც ეცადოს –  
 შესძლებს ჯირითში ბედაურის თავის დასწრებას?  
 შენ ხარ, მამაო, აღმომჩენი საგანთა არსის  
 10 და იმ შენ სწავლას მამობრივსა – ქარტას აღნუსხულს,  
 ვითა ფუტკარნი ჰკრებენ სიტკობს ველს ყვაეილოვანს,  
 აგრეთვე ჩვენცა იმ ოქროთქმას შენსას შევიტკობთ.  
 დიაღაც ოქროს – მარადიულ არსების ღირსსა.  
 რა ერთხელ გვესმა შენი აზრით შთავგონებული  
 15 საგანთ ბუნების შუქმომფენი გრძნეული სიტყვა,  
 გადაგვეყარა გულით შიში, ქვეყნის ზღუდენი  
 უმალ დაემხო, ვჭვრეტთ სიერცეში საგანთა გზა-კვალს,  
 გამოჩანს ღმერთთა სამყოფელი – მყუდრო საგანე,  
 სად არ მძვინვარებს ქარიშხალი, არცა შავღრუბლით  
 20 ეშვება თქეში, არცა თოვლი ყინულად ქმნილი  
 იფრქვევა მაღლით, იქეთერი მარად უღრუბლო  
 ცის სილაყვარდეს მიმოაფრქვევს ნათელ ღიმილსა,  
 ბუნება აწვდის უხვად ყოველს სურვილისამებრ

25 და იმ სიმშვიდეს ღვთაებრივსა ვერრა დაარღვევს.  
 აქერუსიის იქ არა სწანს ბნელი უფსკრული  
 და დედამიწა ყოვლის ხილვას აღარ აბრკოლებს,  
 რაც კი რამ ზღება ფერხთა ქვეშე უკუნეთ სიერცეს.  
 აღმაფრთოვანებს ეს ყოველი, გრძნეული ძრწოლა  
 გამივლის გულში. შენმა ძლევამ სრულად ბუნების  
 იღუმალობა აზრს საწედომად რომ გაღუშალა.

რაკი გასწავლე, როგორია თვითონ ბუნება  
 საგანთ საწყისთა. ერთურთისგან ვითარ სხვაობენ,  
 თავისდათაჲდ ვით ილტვიან მარადი სრბოლით,  
 35 და რარიგ ძალუძთ წარმოშობა საგანთ სიმრავლის,  
 ეხლა კი ღროა, ჩემის ფიქრით, ბუნება გონის.  
 მასთან სულისა, ლექსის სიტყვით გამოგიძღვანო,  
 რომ შორს განაგლო ფუჭი შიში აქერონტისა,  
 კაცთა ცხოვრების შემარყევი ძირფესვიანად.  
 უკუნ წყვიდადით, შავ სიკვდილით ყოვლის მმოსველი,  
 40 გამომწირველი მშვიდი ყოფის ნათელ სიამის.  
 ფიქრობენ, თუმცა, ზოგნი კაცნი, ჭირი, ეაგლახი  
 უფრო საზარი იყოს თითქოს უკუნ ტარტარზე,  
 რომ სული, ვითომც, სისხლისაგან იყოს შექმნილი.  
 46 ან ქარისაგან – ისე, როგორც მოესურვებათ,  
 44 და რომ არავის არ სჭირდება ეს ჩვენი სწავლა,  
 45 ასე მსჯელობა შედეგია სულზეაუგობისა.  
 47 ვიდრე თვით საგნის შესწავლისგან აზრი დასკვნილი.  
 თვის სამშობლოდან ოტებულნი, შორს განდევნილნი,  
 თვისთა ნათესაეთ მოკვეთილნი მძიმე ცოდვისთვის,  
 50 მრავალ ტანჯვათა შენამთხვევენი ცოცხლობენ მაინც.  
 საცა კი მიუღენ, უბედურნი, აღაპს იხდიან,  
 შავ ზვარაკს და კელენ და ქვესკნელის შესწირვენ მანებს,  
 ბედის სიმწარე ვერ ამალღებს იმათ სულს მდაბალს,  
 უმეტეს ლტოლვით რელიგიას ეტანებიან,  
 55 მძიმე განსაცდელს, უბედობას როს შეემთხვევა,  
 მაშინლა ძალგიძს გასაჭირით კაცის გამოცდა,  
 რადგანაც მაშინ აღმოხდება გულის სიღრმიდან  
 ხმა ჭეშმარიტი, ნიღაბს იხსნის და არსი რჩება.  
 ბოლოს სიხარბე და დიდების ბრმა ტრფიალება  
 60 საბრალო მოკვდავთ ყოველ საზღვარს რომ გადააცდენს  
 და გახდის მონად ენითუთქმელ ბოროტებათა,  
 დღიან-ღამიან უწყვეტ შრომით სურთ მიაღწიონ  
 მაღალ უფლებას, და ცხოვრების ამ სატკივარსა  
 სიკვდილის შიში კიდევ უფრო აღიზიანებს,  
 65 რადგან სირცხვილი, სიუაგლახე სიღარიბისა  
 კეთილ ცხოვრების სიტკბოს სრულად დაშორებოდეს, –  
 ასე ჰგონებენ და მას სახვენ სიკვდილის კარად.  
 ამ ყალბი შიშით შეპყრობილნი მარად ცდილობენ,  
 რომ სიღარიბეს რითაც ძალუძთ თავი არიდონ.  
 70 მიტომაცაა, მოძმეთ სისხლით ხეჭუნ სიმდიდრეს,

ხარბად წაჰკლევდნენ, დაურთავენ სიკვდილზე სიკვდილს,  
 ღვიძლი ძმის კუბოს ბოროტეულ სიამით სდევნენ,  
 თვისთა ნათესავთ ტაბლად ჯდომას დაზარებულნი.  
 გულის მომწყვლელსა შურსაც იწყევს ზოგჯერ ეს შიში.  
 75 იმის თვალის წინ ხედავს – ერთი განდიდებული,  
 მეორე დაღის ელვარების სხივშეფრქვეული,  
 თვით კი ჩამხრჩველა წყვილია და წუმპე-წვირეში.  
 ზოგიც თავსა სდებს ქანდაკის და სახელისათვის,  
 80 ზოგჯერაც მიჰყავს სიკვდილის შიშს კაცი იქამდე.  
 შესზარებია ეს სიცოცხლეც, სინათლის სხივიც,  
 და გულმოკლული თვით ისწრაფვის სიკვდილის წიაღს,  
 იმის არ მცოდნე, რომ შიშია ამ სევდის წყარო,  
 განდევნის სირცხვილს, მეგობრობის მტკიცე ჯაჭვს ამსხვრევს,  
 სრულად შებღალავს სათნობას, წმიდათა წმიდას,  
 85 თვით სამშობლოსაც, ძვირფას მშობლებს დალატობს კაცი.  
 აქერუსიის უკუნ წყვილია რომ განერიდოს.  
 ისე ვით ბაღნი, ბნელ წყვილია შიშით რომ თრთიან,  
 აგრეთვე ჩვენცა დღის ნათელზე ვუფროთხით ზოგ რასმე,  
 რაიც არ არის საშიშარი იმის უმეტეს,  
 90 რასაც ბაღლები დაუფროთხია ღამის წყვილია ში,  
 აი, ეს შიში ხამს დაუძლიოთ, ბნელი გაეფანტოთ,  
 არა მზის სხივით, ანდა კიდეც დღისა სინათლით,  
 ბუნების აზრთა და კანონთა ღრმა დაუფლებით. <...>

<...> წარმოვიდგინოთ, ბუნებაშეც ხმა ამოიღო,  
 მიმართა უცებ ვინმე ჩვენგანს ამ საყვედურით:  
 „რა მოგივიდა, სთქვი მოკვდაო, რად მისციემიხარ  
 მძიმე კაეშანს, სიკვდილისად რად სტირ და ოხრავე?  
 935 შენი ცხოვრება შენს გემოზედ გიტარებია,  
 თუკი ყოველი უსარგებლოდ და უშედეგოდ  
 ისე არ გაჰქრა, როგორც გასდის ჭურჭელს გაბზარულს,  
 რად არ მიღიხარ კმაყოფილი ვით სტუმარს ფერობს,  
 მშვიდ მოსვენებას, შე სულელო, რად არ ეძლევი?  
 940 თუკი სიამე რაც კი გქონდა, გაგიქრა სრულად,  
 სიცოცხლეც გიმძიმს, რაღად გინდა კვლავ მიემატოს,  
 თუ უნაყოფოდ დაგეკარგვის სრულად ყოველი?  
 განა არ გიჯობს დაასრულო ზრუნეაც, ცხოვრებაც.  
 არაფერი მაქვს მოსაგონი ამის უმჯობეს  
 945 შენდა საამოდ, ყოველივე რჩება რაც იყო.  
 ეთქვათ, წელთ სიმრავლემ შენ სახსრები ვერ მოგიდუნა,  
 ვერც შევისუსტა, როგორც იყავ, დარჩი ისევე.  
 ეთქვათ, რომ სიცოცხლით კაცთა მოდგმას გადააჭარბე  
 და კიდეც მეტაც, დაგიიწყა სიკვდილმა სრულად“.  
 950 რა გაქვს სათქმელი, ჩვენ ბუნებამ წარმოვიდგინა  
 თავის სარჩელი დასაცაყად ჭეშმარიტ საქმის?

955 თუ წელთ სიმრავლით მიღწეული მოხუცი ჩივის  
 952 და მეტისმეტად თავს გვაბრალებს სიკვდილის ძლოდ,



- ახი არ არის, რომ შეჰყვიროს იმას ბუნებაში:  
 „შესწყვიტე ცრემლი, ყბედო გლახავ, მოეშიე წუწუნს,  
 956 სიცოცხლის სიტკბო ხომ იგემე, ეხლა დაეარდნის  
 ის გენატრება, რაც არ არის? აწმყო შეგზარდა?  
 უქმად გაგიქრა დღენი შენი წარსულ ცხოვრების?  
 აი, უეცრად თავს წაგადგა უკვე სიკვდილი,  
 960 ვიდრე შესძლებდი კმაყოფილი ცხოვრებით წასვლას.  
 რაც კი არ ფერობს შენს ასაკსა თავი ანებე,  
 მშვიდად დაუთმო შთამომავალს ადგილი გიჯობს“.  
 სამართლიანად გლანძღავს, გათრევს – ვფიქრობ ბუნება.  
 ძველი ემხოზა, მარად ახალს უთმობს ის ადგილს,  
 965 ერთიმეორით კვლავ აღდგება უცილობელად,  
 არრა იკარგვის წყვილიადოვან ტარტარის უფსკრულს.  
 საზრდოდ სჭირდება მატერია მოდგმასა ახალს,  
 ოდეს ცხოვრება მათი განვლის, შენ მოგყვებიან,  
 ვით შენ დაეცი, კვლავ ისინიც წაიქცევიან.  
 970 ასე იქმნება ყოველივე ერთი მეორით,  
 ერთს არ ეკუთვნის ეს ცხოვრება, არამედ ბევრსა.  
 აბა, განსჭვრიტე მარადიულ ჟამთა სრბოლაში  
 თუ რა მცირედ ჩანს ჩვენ შობამდე დრო გარდასული.  
 ამით ბუნება ვით სარკეში ისე გვისახავს  
 975 იმ მომავალსა, რაც ჩვენ სიკვდილს შემდეგ მოჰყვება.  
 შიშის აღმძვრელი, სამწუხარო რა გესახება,  
 თუ სიწყნარეა ძილზე მეტად დამამშვილები? <...>
- <...> ბოლოს ესოდენ ეჭვის, შიშის, საფრთხის განცდასა  
 რა გვაიძულებს, ეს სიცოცხლე რამ შეგვაყვარა?  
 ხომ გარკვეული აქვს საზღვარი კაცთა ცხოვრებას.  
 უეჭველ სიკვდილს ვერა კაცი ვეღარ ასცდება.  
 1080 გარდა ამისა, ხომ იმავე წრეში ვართ ისევე,  
 ხანგრძლივ სიცოცხლით ვერ განვიცდით ახალ სიამეს.  
 როს არ გვაქვს რამე, ჩვენს სურვილსა გვინდა ვეწიოთ,  
 ოდეს მივალწევთ, მაშინ კიდევ სხვისკენ ვისწრაფით,  
 მიტომ ვერ ვიკლავთ ვერასოდეს ცხოვრების წყურვილს;  
 1085 იმის დარდში ვართ, რას გვიმზადებს ჩვენ ბედისწერა,  
 რა ბედსა შეგვყრის, რაგვარ ბოლოს წინაშე ვდგევართ?  
 რა ძალა შეგვწევს ამ ცხოვრების გახანგრძლივებით  
 სიკვდილს წავართვათ სულ მცირედი ჟამის ნაწილიც,  
 რომ უფრო ნაკლებ ხანსა დავჰყოთ არარაობას.  
 1090 რამდენსაც გინდა მოდგმას სძლიო ხანგრძლივ ცხოვრებით,  
 მარად სიკვდილსა ვერასოდეს თავს ვერ წაართმევ.  
 არყოფნა ყველას ერთნაირად მოგველის მაინც,  
 ვინც დაასრულა თვის ცხოვრება დღევანდელ დღესა,  
 ან თვით და წლებით ჩვენზე ადრე მიცვალებული.

წიგნი მეხუთე

<...> აი, ვენუს და გაზაფხული ეშურებიან.

- წინ უძღვის ზეფირ - ფრთაშესხმული ვენუსის მაცნე -  
 მის კვალს სდევს ფლორა - ღვიძლი ღედა - და გზად ფენს ყვავილს  
 740 ფერთა მშვენიებით, ნაზ სურნელით ყოვლის აღმაქვს.  
 და ამის შემდეგ სიცხის ბული, მასთან ცერერა  
 სულ მთლად მტვრიანი, აქეილოცა ცხუნვით მქროლვარე,  
 მერე დადგება შემოდევი ბახუსის სტვირით,  
 მოჰყვება ამას სხვა ქართ ქროლვა, სულ სხვა ავდრები,  
 745 გრგვინვით მქუხარე ვოლტურნიუს, მოვლევ ავსტრიც.  
 შემდეგ იწყება თოვლი, მოდის ბოროტი სუსხი,  
 ზამთარი დგება - სიცივისგან კბილს აკაწკაწებს. <...>
- 925 <...> თვით კაცთა მოდგმა გაშლილ ველზე რომ ბინადრობდა,  
 მაგარი იყო, მაგარ მიწით წარმონაშობი.  
 ძელებიც მაგარი, მტკიცე ჰქონდათ - უფრო მოზრდილიც,  
 კუნთებიც მკვერივი და ძარღვებიც მტკიცედ შეკრული;  
 მათ არ აკრთობდა ზამთრის სუსხი, ზაფხულის სიცხე,  
 930 ანდა რამ საზრდო შეუჩევეი, სხეულის სენი.  
 ბევრჯერ მობრუნდა ცის ტატნობზე ბორბალი მზისა,  
 კაცი კი მხეცებრ აღმა-დაღმა ეხეტებოდა,  
 ნაცადი ხელით მოხრილ სახნისს არვინ მართავდა,  
 არვინ იცოდა რკინით მიწის დამუშავება,  
 935 არც ნორჩ ხეხილთა გაშენება, დარგვა თუ მოვლა,  
 არც ვინ აცლიდა ხეს სასხლევეთ გამხმარ ტოტებსა.  
 მზისა და წვიმის შემწეობით რაც მოდიოდა,  
 ან თითონ მიწა რასაც ზრდიდა, მას სჯერდებოდნენ.  
 ხშირად რკოიან მუხის ძირას შიმშილს იკლავდნენ,  
 940 და რაც ამჟამად ზამთრის პირად სიმწიფეს იწყებს  
 წითლად ღაჟღაჟა დახუნძული ხე უნაბისა,  
 დიდიც და ჭარბად მსხმოიარე იყო იმ დროსა.  
 სიჭაბუკის ჟამს მიწა ჭარბად აწვდიდა საზრდოს,  
 თუმცკი ხენეშსა, იმ უბადრუკ მოკვდავთა მოდგმას.  
 945 წყაროთა წყალნი, მღინარენი უკლავდნენ წყურვილს.  
 მაღალ მთებიდან მომჩქეფარე წყვალკარდნილები  
 ნადირთა ჯოგებს მოწყურებულს თვისთან იკრებდნენ.  
 ტყე-ტყედ სრბოლის დროს აწყდებოდნენ ნიმფათა ბომონს,  
 ეგულეებოდათ იმისაგან გამომდინარე  
 950 ანკარა წყარო, კლდეს ნამიანს გარს რომ უვლიდა,  
 იქ, სიპის ხავსზე დაჯდებოდა ნაწილი ცვარად,  
 ზოლო ნაწილიც დაბლობისკენ ეშურებოდა.  
 ცეცხლის მოხმარა არ იცოდნენ, არც მისი რიგი,  
 არცა სხეულზე მიფარება ნადირთა ტყავის,  
 955 ტყეთა თუ მთების ქვაბს, ან ჭალას თავს აფარებდნენ,  
 ხეთა ტოტებით იმაღავდნენ დაკორძილ ტანსა  
 წვიმის, ქარის და ავდრისგან თავდასაღწევად.  
 არრა იცოდნენ რა საერთო კეთილდღეობის,  
 არრა მისდევდნენ რჩევას რასმე, არცა კანონებს.  
 960 და რასაც ბედი დაეღას რასმე ხელთ ჩაუგდებდა,  
 მას სჯერდებოდნენ თავისთავზე მხოლოდ მზრუნველნი.

და ვენუს ტყეში ტრფიალთ სხეულს შეაერთებდა.  
 ქალს ტრფიალებად საპასუხო აღძრავდა გრძნობა,  
 ანდა ვაჟიკაცის ძალა, ნდომა სრულად უძლევია,  
 965 ან საჩუქარი, რკო, თუნდ მსხალი ან სხვა რამ ხილი.  
 ხელის და ფეხის უტეხ ძალას დანდობილები  
 სდევნიდნენ ტყეში დაბუდებულ გარეულ მხეცებს.  
 975 სატყორცნი ქვებით და კეტებით თავს დაესხმოდნენ,  
 968 ზოგსა ხოცვიდნენ და ზოგს თვითვე ეძალებოდნენ,  
 უხეშ სხეულით ტახს ჯაგრიანს მიმსგავსებულნი,  
 970 ღამის შემსწრენი შიშვლად მიწას დაეყრებოდნენ,  
 ტანს იფარვიდნენ ფოთლებით და ხეთა ტოტებით,  
 როდი უხმობდნენ მზეს და ნათელს ძალუმ ღრიალით,  
 ღამის წყველიადში უტეხ შიშით შეშფოთებულნი,  
 არამედ მშვიდად მძინარენი ელოდებოდნენ,  
 976 ვიდრე მზის სხივი ცას ვარდისფრად გააშუქებდა.  
 ბაეშვობიდანე იმ აზრს კარგად შეჩვეულიყვნენ,  
 რომ თავის დროზე ბნელს ნათელი შეენაცვლება  
 და ამიტომაც არც ეჭვობდნენ, არც შიში ქქონდათ,  
 980 რომ ეს ქვეყანა არ მოეცვა ბნელს მარადიულს  
 და მზეს როგორმე სხივისნობა არ მოკლებოდა.  
 იმ საცოდავთა ისლა ქქონდათ დიდ საზრუნავად,  
 ეელურნი მხეცნი მყუდროებას ხშირად უფრთხობდნენ,  
 სადგომს სტოვებდნენ, ქვაბისაგან გარბოდნენ სწრაფად,  
 985 თუ დალანდავდნენ მძვინვარ ღომს ან ტახს გახელებულს  
 და უკუნ ღამეს შენაძრწოლი სტოვებდნენ უმალ,  
 ფოთლების საწოლს შმაგ სტუმრების საიავაროდ.

არა-უხშირეს, ვიდრე ახლა, მოკვდავთა მოდგმა  
 ცხოვრების ნათელს გლოვა-სევდით ეთხოვებოდა,  
 990 თუმცალა მაშინ მარტოხელა ადამიანი  
 მძვინვარე მხეცსა ცოცხალ კერძად უვარდებოდა,  
 მთასა და ტყეებს მთლად შესძრავდა მისი ღრიალი,  
 რა გრძნობდა ცოცხლად დაინთქმოდა ცოცხალ სამარეს,  
 სულ დაგლეჯილი თუ შესძლებდი თავის დაღწევას.  
 995 მთრთოლვარე ხელით დამფარველი საშიშ ჭირილობის,  
 მოთქმა-გოდებით საცოდავი ორკს მოუხმობდა,  
 ვიდრე სიცოცხლეს მოუღებდა მწვავე ტკივილი  
 სრულად უსუსურს, არ-მცოდნესა წყლულთ მკურნალობის.  
 მაგრამ დროშის ქვეშ მდგარ ათასსა მებრძოლ ვაჟიკაცსა  
 1000 ერთი დღე როდი მოიდნობდა, ან ზღვის ტალღები  
 როდი აღწედა კლდეს დაფარულს ნავს, მეზღვაურთაც.  
 ყალყზე ამდგარი ზღვა სულ უქმად იფოფრებოდა  
 და ბოლოს რისხვას უშედეგოს შესწყვეტდა ისევ,  
 აღარ ძაღედვა ზღვას მომხიბვლელ მაცდურებითა  
 1005 ვისმე შეცდენა მღიმიარ ტალღის მისანდობელად,  
 რა ბნელს მოეცვა საიდუმლო ნაოსნობისა,  
 საზრდოს სიმწირე სხეულს მეტად მოადუნებდა.  
 ეხლა კი სხვაა – ზედმეტობა ჰკლავს ადამიანს,

- 1010 არაფრის მცოდნე მიაშიტად სმიდნენ საწამლავს.  
 ეხლა კი ღიღის ოსტატობით სწამლავენ სხვებსა.
- 1012 რაკი ქოხები, ტყაი, ცეცხლი კაცთ მოიპოვეს,  
 რა ცოლი ქმარსა შეუერთდა ერთგულ მეუღლედ  
 და სცნო ორივემ ის კანონი ქორწინებისა,  
 მათგან ნაშობიც დაინახეს შთამომავალი,  
 მაშინ პირველად კაცთა მოდგმამ იწყო მოღობობა.
- 1015 მცივანა გახდა კაცთა ტანი სითბოს ნაჩუქი,  
 აღარ შეეძლო ღია ცის ქვეშ სუნსხის ატანა,  
 ვენუსმაც ძალა შეუსუსტა, თანაც ბავშვები  
 ალერსით მშობლის უჯათ ზნესა შეარბილებდნენ,  
 თანაც მეზობლებს დაუმოყვრდნენ სიამტკბილობით.
- 1020 არც სხვას ჩაგვიდნენ და არც თვითონ იჩაგრებოდნენ,  
 პატივისცემით ეპყრობოდნენ ქალსა და ბავშვებს,  
 ხელით, ყმუილით ანიშნებდნენ თავისებურად,  
 რომ საჭიროა სიბრალული უძღურისადმი,  
 ერთსულოვნებას თუმც ყოველთვის ველარ აღწევდნენ.
- 1025 მაგრამ მაინც კი ამ პირობას მეტი იცაუდა:  
 ეს რომ არა და, გაწყდებოდა კაცის ხსენება,  
 ვერც შეიძლებდნენ შთამომავლის დღემდე მოყვანას.
- 1030 მრავალფერობა მეტყველების ბუნებამ შექმნა,  
 ბუნებით არის ენა ბევრგვარ ბგერას რომ იტყვის,  
 საჭიროებამ მიუწოდა საგნებს სახელი,  
 როგორც მცირე ბაღს აიძულებს უენობა  
 მიმართოს ხოლმე ჩვეულებრივ რამ მოძრაობას  
 და საგანს რასმე მის წინ მყოფსა თითით უჩვენოს.  
 გრძნობს ხომ ყოველი რა მხრივ უნდა წარმართოს ძალა.  
 თუმცაღა რქები ხბოს ჯერ კიდევ არ ამოსვლია.
- 1035 ის კიდევ მაინც იბღვირება, რქენას აპირებს,  
 სწორედ ისევე ლეკვი ლომის, გინდა ჯიქისა,  
 კლანჭის ტოტების და კბილების მოხმარას ცდილობს.  
 ძლივს და აჩნია თუმცკი ჯერეთ კბილი და კლანჭი.  
 გარდა ამისა, ვხედავთ აკი ფრთოსანთა მოდგმას  
 ფრთების ფრიალით როგორ ითხოვს მომეშველეთო.  
 სიგიფე არის თქმა იმისა, საგნებს სახელი  
 ვისმე მიეცეს და ხალხს შემდეგ მისგან ესწავლოს –  
 როგორ შესძლებდა ერთი ყველა სიტყვების შექმნას  
 გამოკვეთილსა სხვადასხვაგვარ ბგერებისაგან
- 1045 და სულ ვერაფერს ვერ შექმნიდნენ სხვები იმავე დროს.  
 მართლაცდა, თუკი ერთურთს შორის არ მეტყველებდნენ,  
 რით იცნო კაცმა სარგებლობა სიტყვათ ხმარების,  
 ანდა რა ძალამ დაუსახა იმას პირველად  
 ის მოესურვა და სცოდნოდა, რაც სჭირდებოდა?  
 ერთი ყოველთა იძულებას ხომ ვერ შესძლებდა,  
 მისგან ესწავლათ ყველა საგნის სახელწოდება.  
 ხომ მუნჯს ვერასგზით ვერ ასწავლი როგორ მოიქცეს,

- რა ჩაიდინოს; უქმი არის სულ ყოველივე.  
 1055 ვერ აიტანდა, რომ მის ყურებს ტყუილუბრალოდ  
 ხმა გაუგონი, სრულად უქმი დაძალებოდა.  
 ანდა რა არის აქ ესოდენ გასაკვირველი,  
 თუ კაცთა მოდგმამ ხმას და ენას მიმადლებულმა  
 სიტყვით აღნიშნა თვითეული საგანი, გრძნობა.  
 1060 პირუტყვთა ჯიში ან თვით მხეცნი ველურად მყოფნი  
 თუ გამოსცემენ სხვადასხვაგვარ ხმოვანებასა,  
 აღძრულსა შიშით თუ ტკივილით ან სიხარულით,  
 ვით მაგალითი სულ უბრალო მას გვიდასტურებს:  
 ხომ გაბრაზებულ მოლოსურ ძაღლს კბილდაკრეჭილსა  
 1065 ვეება ხახით ჯერ ყმული ამოსდის ხოლმე,  
 სხვა ხმა დასცდება სიბრაზისგან შეკრულ კრიჭასა,  
 ვიდრეღა ყეფა მთლად მიდამოს გააყრუებდეს.  
 ანდა, როდესაც ლეკვებს ენით ნაზად გალოკვენ,  
 თანაც ფეხებით აგორებენ, პირსაც ავლებენ  
 1070 ვითომც კბენენო და კბილს ოდნავ თუ აკარებენ,  
 მაშინ სხვაგვარად წკმუტუნებენ და ღავრავებენ,  
 ვიდრე ყმუიან, როცა მარტო შინ დარჩენილნი,  
 ან წკაქწკაქებენ ცემის შიშით მუცელსმხოზავნი.  
 ბოლოს, ბევრგვარად გაისმის ხომ ცხენთა ჭიხვინი,  
 როცა უღაყი ახალგაზრდა ჭაკთა მდევარი,  
 1075 ფროლოსან ღმერთისგან ღებ-ნაკრავი გაშმაგებულა.  
 ან როს ბრძოლის დროს ნესტოებით ქშენა ამოდის,  
 ან როს ჭიხვინებს მთელ სხეულით ათრთოლებული?  
 და ამის გარდა ფრინველთ მოდგმა მრავალნაირი,  
 ქორი, სონღული და ზღვის იხვნიც წყალთა სივრცეზე  
 1080 მიუცილებელ საზრდოს ძებნას როცა იწყებენ,  
 მაშინ სრულიად თავისებურ ხმას გამოსცემენ,  
 ვიდრე საჭმლისთვის დავის დროს თუ ბრძოლა – ომის ვამს.  
 ამინდთან ერთად სცელიან ხოლმე ხრინწიან ჩხავილს  
 დღევრძელთა მოდგმა, ყვაეთა გუნდი სმენად საზარო  
 1985 ყავყავ-ყრანტალით რომ იწყებენ საფარის ძებნას,  
 და წვიმა-ქარბუქს მოუხმობენ ანაზღეულად.  
 სხვადასხვა გრძნობა თუკი ცხოველთ იძულებულს ჰყოფს,  
 იმ უენოსაც, რომ გამოსცეს სხვადასხვა ხმები,  
 მაშინ რაოდენ უპრიანი ყოფილა კაცთა  
 1090 სხვადასხვა სიტყვა რომ შეარქვან სხვადასხვა საგანს! <...>

### წიგნი მეექვსე

- <...> სენმა ამგვარმა და სიკვდილის საზარო სუნთქვამ  
 1140 კეკროპთა ველი მუნჯ სამარედ გარდააქცია,  
 ქუჩა – უდაბნოდ და ქალაქი – უკაცრიელად.  
 ის შავი ჭირი მოსულიყო ეგვიპტის სიღრმით.  
 ზღვა და ხმელეთი გადმოეკლო, ჰაერთა სივრცე,  
 და თავს დასხმოდა ბოლოს მოდგმას პანდიონისა,  
 რომ ყველა ჭირის და სიკვდილის პირში ჩაეგდო.

- 1145 პირველად მისგან თავს იპყრობდა უზომო სიცხე, ორთავე თვალით წითლდებოდა. ცეცხლებრ ელავდა, ჩაშავებულსა ყელის სიდრმეს სდიოდა სისხლი და გზები ხმისა იარებით ვიწროვდებოდა. აზრის მოციქულს – ენას სისხლი სდიოდა სქელი.
- 1150 მოდუნებული ძლივს იძვროდა, ხაოს იღებდა. შემდეგ, ყელიდან სენის ძალა მკერდში ჩასული გულს დასუსტებულს მიადწევდა განაბოლოდროს, ფამფალს იწყებდა შერყეული სიცოცხლის ფუძე. სუნთქვას პირიდან მოჰყვებოდა მყარალი რამ სუნი,
- 1155 დიდი ხნის მკვდარსა ჩვეულებრივ რომ ასდის ხოლმე. სულის სიმტკიცე ადამიანს ეკარგებოდა, დავარდნილიყო, მიღწეული სიკვდილის მიჯნას და აუტანელ ამ ვაებას ენით უთქმელსა კენესა-ჩივილი გულმომწყველელი ზედ დაერთვოდა;
- 1160 დლიან-ღამიან გადაბმული სლოკინი სრულად ძარღვსა და ასოს ერთიანად გაუოგნებდა, ილაჯს უწყვეტდა, ქანცს აცლიდა, მოასავებდა, სულ ვერ შესძლებდი შეგენიშნა, რომ დიდი სიცხე დაუფლებოდა ზედაპირსა მისი სხეულის,
- 1165 შეხებით იგი მხოლოდ თბილად გვეჩვენებოდა. თუმც დაძწერის მსგავსად სხეულს აჯდა წითელი თვლები, როგორც პყრობილსა საღმრთო ცეცხლის მსგავსი რამ სენით. შინაგან კია – მოსდებოდა ცეცხლი ძვლებამდე, ხურდა მუცელი, აღდებოდა ისე ვით ქურა,
- 1170 მსუბუქ სამოსსაც ვერ იტანდა სნეულის ტანი ნიავისა და რამ სიგრილის მხოლოდ მნატერელი. ციე მდინარეში დასიცხულნი შიშვლად ხტებოდნენ ამო სიგრილეს მის ტალღებში რომ ჩახვეოდნენ,
- 1178 ზოგიც თავდაღმა ეშვებოდა ჭათა სიდრმეში,
- 1174 პირდაღებული აწყვდებოდა ზოგიც მის კიდეს
- 1175 წყურვილით სხეულგაფიცულნი წყლისკენ ილტვოდნენ, მცირე რამ ცვარად თავსხმა-თქეში ერევენებოდათ, სულ არ ცხებოდა სენი, საწყლად ეყარნენ კაცნი, შიშით მუნჯქმნილნი ბუტბუტებდნენ მკურნალნი ჩუმაღ,
- 1180 საბრალო სხეულთ, სიცხით დამწვართ როცა ხედადნენ, ანთებულ თვალებს მიღგამკრთალნი რომ აცეცებდნენ. სხვაც ამის გარდა ბევრი იყო სიკვდილის ნიში: აზრის აღრევა, სევდა-შიშის მონაცვლეობა, წარბთა შეჭმუხვნა, არეული, გიჟური ხედვა,
- 1185 ყურში ჩადგომა ხმაურის და უწყვეტ შხუილის, სუნთქვა ხან ხშირი და ხან კიდევ დაყოვნებული, კისრის გარშემო წებოსებურ ოფლის მოდენა, ნახველი – თხელი, მწუთხე, ფერად ზაფრანისებრი, ძლივს მომავალი ყელისაგან უმძიმეს ხველით, ხელის ძარღვების გაკალება, თანაც კანკალი, თავით ფეხამდე შეციება მთელი სხეულის. შემდეგ, რა მოვა ჟამი იგი აღსასრულისა

- 1195 შეიწროვდება ნესტოები, ცხვირიც წვრილდება,  
ცვივდება თვალი, საფეთქელი, ბაგეც ცივდება,  
პირი ეღება, ეჭიმება კანი შუბლისა,  
დაუყოვნებლივ მთლად სხეული გაუშვდება.  
ასე, მერვე დღეს უბნელდება ნათელი მზისა,  
ანდა მეცხრე დღე არსებობის ჩაუქრობს ლამპარს.  
1200 თუ კიდევ მაინც ვინმე სიკვდილს გადურჩებოდა,  
აუტანელი წყლულებანი, შავი საღტობა  
განა ბოლო დროს მიიყვანდა აღსასრულამდე:  
ხან ეწყებოდა საშინელი თავის ტკივილი,  
დახშულ ნესტოდან მოდიოდა წამხდარი სისხლი,  
სტოვებდა შემდეგ კაცის სხეულს ღონეც და ძალაც.  
1205 თუკი როგორმე შეიწყვეტდა ცხვირით სისხლდენას,  
მაინც ის სენი ძარღვს და ასოს ჩაუდგებოდა:  
ზოგჯერ აღწევდა თვით სასირცხოვო ასობამდე,  
სიკვდილის მიჯნის მოახლებით ზარდაცემულნი  
სასქესო ასოს ბასრი რკინით აჭრიდნენ ხოლმე.  
1210 ზოგჯერ ისხებდნენ ხელსაც, ფეხსაც – ეცოცხლათ ოღონდ.  
ზოგიც კარგაედა ნაწილობრივ მხედველობასაც,  
აი, სანამდე მიჰყავს კაცი სიკვდილის შიშსა!  
მეხსიერება დაქარგვოდა ზოგს იმ ზომამდე,  
აზრს გადამდგარნი თავის ცნობას ვერ ახერხებდნენ.  
1215 ცხედარს ცხედარი მიეყარათ დაუპარხავი,  
ხოლო ფრინველთა ანუ მხეცთა გროვა-გუნდები  
შორ-შორ უტევდნენ მყრალი სუნით შეშფოთებულნი,  
რა პირს გაქარავდნენ – სულთმობრძენი სიკვდილს ხედებოდნენ.  
1220 თუმცა ფრთოსანნი არა ჩანდნენ იმ შავ დღეებში,  
არცა მძვინვარე ის მხეცები ტყეს არ სტოვებდნენ,  
რადგან იმათაც მუსრს ავლებდა ჭირი საზარო.  
განსაკუთრებით ძალთა მოდგმა – კაცთა ერთგული,  
საშინელ ტანჯვით შუა ქუჩას ღაფავდა სულსა  
იმ სასიკვდილო შავი ჭირით დღემოლებული.  
1226 ჭირის მკურნალად აღარ იყო ერთი რამ ხერხი;  
რადგან თუკი ერთს წამლად რგებდა სუფთა პაერი,  
მისი ღრმად სუნთქვა, მისი ქროლვა, გაშლილ ცის ჭვრეტა,  
სხვისთვის ამასვე სასიკვდილო მოქქონდა ენება.  
1230 ერთი რამ იყო სამწუხარო და სავეალალო;  
თუკი ხედავდა ვინმე – სენი გადამედოო –,  
რაკი იცოდა სასიკვდილოდ განწირულიყო,  
გადიწურავდა სრულად იმედს, გულს გაიტეხდა  
და აღსასრულის მომლოდინე დღეს იმოკლებდა.  
1235 უბედურება არ წყდებოდა არც ერთი წუთით,  
გადადიოდა ხარბი სენი კაციდან კაცზე,  
1245 ვით ცხვრის ფარაში ან გრძელრქიან ხართა ჯოგებში.  
ეს უმატებდა გლოვას კიდევ ახალ გლოვასა;  
ვისაც ავადმყოფ ნათესავის ნახვას უშლიდა  
ხარბი სურვილი სიცოცხლისა, შიში სიკვდილის,  
1240 ავი სიკვდილი იმას უმაღ უღებდა ბოლოს

- მარტოდ გდებულსა, მოძულებულს, განუკითხველსა.  
ხოლო ნათესაეთ შეელა-ხსნისთვის თავდადებულსა  
იდნობდა სენი, მძიმე შრომა და გულის ხეთქვა,  
გამოწვეული ავადმყოფის მოთქმა-გოდებით.  
ბოლო ამგვარი კეთილთ უჩნდა საუმჯობესოდ.
- 1225 უჭირისუფლოდ და უტირლად ჰყრიდნენ ცხედართა,  
1225 და მათ ძელებს ფლავდნენ ყველგან – საცა მოუხდებოდათ,  
1225 წინაპართ რჩევას წმიდათ-წმიდას არვინ იცავდა.  
ვინ-ვის გასწრებით იჩქაროდნენ თვისთა დამარხვას,  
1247 ტირილით, ოხვრით მიღწეულნი შინ ბრუნდებოდნენ,  
სევდა ბევრ მათგანს ჩააგდებდა ლოგინად, სპობდა.  
1250 ვერა ჰპობდი იმ შავ დროსა სრულად ვერავის  
სენით, სიკვდილით, ანდა სევდით შეუშფოთველსა.  
და მაშინ უკვე არცა მწყემსნი უდგნენ ნახირსა,  
არც გუთნისდედა მტკიცე ხელით მართავდა გუთანს.  
შეჭირვებულნი ძირს ეყარნენ ვიწრო ქოხებში,  
1255 სიკვდილს ელოდნენ სიღატაკით, სენით ძლეულნი.  
შვილთა ცხედრებზე მშობელთ ცხედარს ნახავდი ზოგჯერ,  
ზოგჯერ იმასაც შეხვდებოდი, რომ თვით შვილები  
თავის დედა-მამის ცხედარს ზედან სიკვდილს ებრძოდნენ.  
ცოტა სიავე როდი მოჰყვა აგრეთვე იმას,  
1260 რომ ველებიდან მოაშურა ყოველის მხრიდან  
საშინელ სენით შეპყრობილმა სოფელეთ სიმრავლემ.  
აივსო სრულად მოედნები, სახლი თუ კუთხე,  
და ერთად შეყრილთ უმაღ სპობდა ჭირი მძვინვარე;  
ბევრიც წყურვილით გათანგული ქუჩაში ეგდო,  
1265 ბევრიც წყაროსკენ მიდენილი ძირს ეცემოდა,  
სუნთქვა ეკვროდათ, სანატრელ წყალს რა პირს დაჰყოფდნენ.  
ბევრსაც ნახავდი ხალხთა კრების ჩვეულ ადგილას,  
გემებზე გდებულთ, სულთმობრძაეთა და ცოცხალმკვდართა  
საშინელ ჭუჭყში და ძონძებში გამოხვეულებს.  
1270 მუნი იდნობდა, საცოდავად გაძვალტყავებულთ,  
საზარ იარით თითქმის ცოცხალ ლეშად ქცეულთა.  
ბოლოს არ დარჩა არცა ღმერთთა საკურთხეველნი,  
მკვდართა ცხედრებით ბოროტ სიკვდილს რომ არ აევსო.  
ღმერთთა ტამარებიც საესე იყო სრულად გვაშებით,  
1275 სადაც მსახურთა მისცეს ხალხსა თავშესაფარი,  
დაკარგულიყო ღმერთთა რიდი და სასოება,  
მომხდურმა ჭირმა და ვარამმა მოსრა ყოველი,  
ქალაქს დაეგდო ძველი წესი დასაფლავების,  
რომელსაც ხალხი ოდიდანვე ურყევად სცივდა.  
1280 ძრწოლას შეეპყრო სულყველანი, შიშს და ზარხდომას,  
და თვითული მკვდარს მარხვიდა, როგორც შეეძლო.  
სიჩქარე, თანაც სიღარიბე რას არ შერებოდა?  
თვისთა ნათესაეთ იმ კოცონსა სხვისთვის განამზადს  
ზედ დაუდებდნენ განწირული მოთქმა-გოდებით,  
1285 ცეცხლს უკიდებდნენ სისხლის დაღვრად განმზადებულნი,  
ვიდრე დასთმობდნენ კოცონიდან მკვდრის ჩამოღებას.



## შენიშვნები

პოემის სათაურის შესახებ. საგანთა ბუნებისათვის – *De rerum natura*. ლუკრეციუსის პოემის ხელნაწერთან მხოლოდ ერთსა აქვს ეს სათაური: *De physica rerum origine vel effecta* „საგანთა ფიზიკურ საწყისებზე ანუ წარმოშობაზე“. სათაური *De rerum natura* პირველად გვხვდება გრამატიკოს პრობუსთან (პირველი საუკუნე ჩვენი წელთაღრიცხვისა). სათაური *De rerum natura* უნდა იყოს ადებული თვით პოემიდან, სადაც ეს გამოთქმა გვხვდება პირველი წიგნის 25 სტრიქონში და კიდევ ბევრგან.

### წიგნი პირველი

შესავალი პოემისა (1-43) მიძღვნილია ვენუსისადმი. ერთი შეხედვით ეს შესავალი თითქოს უხერხულობას იწვევს, მაგერიალისტი, ათვისტი პოეტი ქალღმერთ ვენუსს მიმართავს. საქმე ის არის, რომ პოეტს ეს მიმართვა ეჭირება, ჯერ ერთი, პოემის გრადიციული დასაწყისის გაფორმებისათვის; ხომ ცნობილია რომ ყველა ძველი ღრობის პოემის დასაწყისში მიმართავს პოემის ქალღმერთს. მუშის ამგვარი მიმართვის გარეშე პოემის დაწყება წარმოუდგენელი იქნებოდა. და რაკი მიმართვა აუცილებელი იყო, ვისთვის უნდა მიემართა ლუკრეციუსს, რომელსაც განზრახული ჰქონდა ბუნების შესახებ პოემის დაწერა, თუ არა ვენუსისათვის, ვენუსი ხომ სიყვარულის ქალღმერთია. ამიგომ პოეტის არჩევანი სრულია მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს თვით პოემის თეალსამრისით, რადგან სიყვარულის ქალღმერთი ვენუსი ლუკრეციუსისათვის წარმოადგენს ბუნების შემოქმედი ძალების განსახიერებას. მეორეც ერთი, ვენუსის დასახელებამ საშუალება მისცა პოეტს ესოდენ შესანიშნავი სურათი დაეხატა ვენუსის ეშხით დამთურალი ბუნებისა. მესამე სახუთი პოემის დასაწყისში ვენუსის გამოყვანისა ის უნდა ყოფილიყო, რომ ვენუსთან ერთად მას საშუალება ეძლეოდა ომის ღმერთი არესიყ დაეხატებინა. ჯერ კიდევ პომპროსის „ოღისეიდან“ (VIII სიმღერა) არის ცნობილი ამბავი, თუ როგორ დაიჭირა უხილავი ბადით თავისი მეუღლე ვენუსი და არესი ეულებანმა (პუფესგომ). არესის დასახელებას კი ლუკრეციუსისათვის უღიფესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან მისთვის, როგორც ბუნებისა და ადამიანის მოყვარისათვის, რა იქნებოდა იმაზე სანუკუარი, რომ ერთხელ კიდევ მესუსურეა, ერთხელ კიდევ მიეწოდებინა რომაელთათვის, ხელი აეღოთ მშათა სისხლისმღერელ ომებზე.

1 „მენ ენადათა წინაპარო“. ქალღმერთ ვენუსისა და გროელ გმირ ანტიმესაგან წარმოიშვა ენასი, რომლის თავგადასავალი მოთხრობილია ვერგილიუსის „ენეიდაში“.

11 ფაფონიუსი – დასავლეთის თბილი ქარის სახელია, ბერძნულად მას მეფირს უწოდებდნენ ხოლმე.

26 აქ მოხსენიებული ლუკრეციუსის მეგობარი გაიუს მემიუსი დასახელებულია ციყერონის გრაქტაგმი „ბრუტუსი“ როგორც ორაგორი. მემიუსს აგრეთვე ეროტიკული მინაარსის ლექსებიც უწერია.

55 აქ მომდევნო სტრიქონებში ლუკრეციუსი ჩამოთვლის იმ გერმინებს, რომლებითაც ის აღნიშნავს მაგერიასა და აგომებს. გერმინი აგომი ლუკრეციუსთან არსად გვხვდება. ლუკრეციუსი მას ასეთი გერმინებით აღნიშნავს: *genitalia corpora, semina rerum, corpora prima, exordia rerum, radices, elementa, corpora, corpuscula* და *figurae*. ჩვენ თარგმანში უცდილობდით რაც შეიძლება ახლოს მიედევნებოდათ ლუკრეციუსის გერმინოლოგიას.

62 სტრიქონი და მისი მომდევნო ლექსები შეიყავს ეპიკურეს ხოგბას.

„ეპიკურე... იყო ნამდვილი განმანათლებელი ანტიკურობისა, იგი ამკარად ესხმოდა თავს ანტიკურ რელიგიას, და იქედანვე მომდინარეობდა რომაელების ათეიზმი... ამიგომ არის, რომ ლუკრეციუსი ხოგბას ასხამს მას ვითარცა გმირს, რომელმაც პირველად დაამხო ღმერთები და გათვალა რელიგია, ამიგომაც არის, რომ ეკლესიის ყველა მამას პუტარქედან ლუთერამდე ეპიკურე ღმერთების მოწინააღმდეგე ფილოსოფოსად აყვავდა მინერალ“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, გ. IV, გვ. 121).

66 პირველად ელინს აღუმართავს თამამად თვალი, ეს პირველი ელინი არის ეპიკურე.

84 და მომდევნო ლექსები. აქ მოყვანილია იმის მაგალითი, თუ რელიგია რა ბოროტ და დანაშაულებრივ საქმეებს სწადის. ბერძენთა სარდალი ავაგემნონი, ძე აგრევისა თავის ასულს იფიგენიას (იფიანასეს) მსხვერპლად შეწირავს. ეს თემა ბერძნულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ბევრგან გვხვდება. ვანსაკუთრებით აღსანიშნავია ევრიპიდეს ტრაგედია „იფიგენია აელისში“. აუღილი ბეოგისი ქალაქია, რომლის ნაესადგურში შეჩერდა ბერძენთა გემთკრებული, როცა გროას სალაშქროდ მიემგზავრებოდნენ.

117 ქელიკონი (მთა ბეოგიაში). იგი ითულება მუშათა სავანედ. ენიუსი აქ მოხსენიებულია როგორც პირველი სიხალის შემგანი, მას მიეწერება რომის პოემიაში ჰემგამეტარის სამომის პირველად გამოყვება.

121 აქერუსის მხარე – ქვესენელის სამეფო. სხვაგან ამ გერმინის ნაცულად ლუკრეციუსთან გვხვდება აქერონტი (ქვესენელის სამყაროს ერთ-ერთი მდინარის სახელია), ორკოსის მხარე.

221 მამა ეთერი – აქ სიგყვა ეთერი ნახმარია „ციხს“ ნაცულად.

329-417 სიყალიერის არსებობის დამტკიცებას შეეხება. სიყალიერის არსებობის დასამტკიცებლად მას მოჰყავს სამი სახუთი: 1) სიყალიერის გარეშე წარმოუდგენელია მოძრაობა

(335-345). 2) ყველა საგანთა სხეული ნასერეგებიანია (346-369) და 3) სიცალიერის არსებობით უნდა აიხსნას ხედრითი წონის სხეაობა საგნებში (358-369). ამ მსჯელობათა დასკვნითი ნაწილი (384-397) საკმაოდ ბუნდოვანია.

926 პიერაუბი. ლუკრეციუსი უწოდებს პიერიდებს მუმებს. მუმების ასეთი წოდება პირველად ჰესიოდესთან (VIII-VII სს. ბერძენი პოეტი) გვხვდება. პიერია ადვილია მაკედონიაში, იგი ძველთაგანვე მუბათა საუანედ ითვლებოდა.

#### წიგნი მეორე

20 მამასადაბე. ჩვენს ბუნებას მცირე რამ უნდა. ლუკრეციუსი როცა სხეულებრივი ბუნების შესახებ (corporea natura) ლაპარაკობს, გულისხმობს არა მხოლოდ სხეულს, არამედ მთლიანად ადამიანს, ამიტომ ჩვენ corporea natura-ას ვთარგმნიო – „ჩვენი ბუნება“.

216-293 გადახრა (clinamen) აგომებისა. ეს ჰიპოთეზა აგომთა შეუმჩნეველი, ოდნავი გადახრის შესახებ ეპიკურეს ეკუთვნის. ამით განსხვავდება უმთავრესად მისი აგომიზმი ლეკიპუსა და ღემოკრიტეს აგომიზმისაგან.

325 და შემდ. ლუკრეციუსი აქ პომპროსს მიბაძავს. (იხ. ილიადა, II, 457).

ლუკრეციუსი იარაღის სინონიმად „სპილენძს“ ხმარობს, რომ ამით თავის პოემას არქაულობის სურნელება მიანიჭოს. მის დროს სპილენძი მხოლოდ ღეთისმსახურების წესის აღსრულებისას იხმარებოდა.

#### წიგნი მესამე

12 ოქროს თქმა (aurea dicta) – ასე უწოდებდნენ ხოლმე პითაგორას ბრძნულ გამონათქვამებს.

36 ან „ეხლა კი დროა, ჩემის ფიქრით, ბუნება გონის, მასთან სულისა ლექსის სიგჟით გამოგიმეღაუნო“.

ლუკრეციუსი ასხვავებს გონსა (animus) და სულს (anima), თუმცა მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირს გულისხმობს.

52 „შეე გეარაკს დაკეულენ და ქვესკნელის შესწირვენ მანებს“. შავი ფერის საკლავი განკუთვნილი იყო ქვესკნელის ღმერთებისათვის.

#### წიგნი მეხუთე

1063 მოლოსური ძაღლები. მოლოსთა ქვეყნიდან – ეპირიდან – ისინი ცნობილი იყვნენ როგორც საყარაულო ძაღლები.

#### წიგნი მეექვსე

1138-1285 „ათენის ჳირი“ გავრცელდა პელოპონესის ომის დროს, 430 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

*თარგმნა პანტელეიმონ ბერაძემ*

# ბაიუს ვალერიუს კატულუსი

(ძე.წ. 87-54)

კატულუსი იგალიის ჩრდილოეთში, ქალაქ ვერონაშია დაბადებული. მისი ბიოგრაფიის შესახებ მცირე ცნობები გვაქვს, ცნობილია, რომ იგი, როგორც წარჩინებული და შეძლებული ოჯახის მემკვიდრე, ძე.წ. 60 წელს რომში გაგზავნეს რიგორიკის შესასწავლად. თუმცა, ვალერიუსების გვარს ამ თვალსაზრისით არ გაუმართლა – ახალგაზრდა გაიუსმა იურისგის და პოლიტიკოსის კარიერას პოეგობა ამჯობინა.

რომში კატულუსი დაუახლოვდა „ახალ პოეტებს“ – ციკერონის თქმით, „ნეო-ტერიკოსებს“, რომელთა ლიტერატურული პრინციპები ალექსანდრიელ პოეტთა ესთეტიკას ეფუძნებოდა. ახალგაზრდა ვერონელის გარდა ამ ლიტერატურული დაჯგუფებიდან პელეიუს კინას (კინას) და ლიკინიუს (ლიკინიუს) კალეუსის სახელებია ცნობილი, თუმცა კატულუსი თანამოკალმეებს ნიჭით ბევრად აღემატებოდა.

კატულუსმა საკმაოდ მდიდარი პოეტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა, ლექსების გარდა დაწერილი აქვს ეპილონი, პოემები („აგისი“, „პელეუსის და თეგისის ქორწილი“, „ბერენიკეს ნაწნაი“), თუმცა მსოფლიო ლიტერატურაში მას იცნობენ როგორც ლესბიას სატრფოს, მისადმი ბრწყინვალე ლექსების მიმძღვნელს.

კატულუსმა თავის სატრფოს ეს სახელი ბერძენი პოეტი ქალის, სააფოს მშობლიური კუნძულის, ლესბოსის მიხედვით შეარქვა. ლესბიას ნამდვილი სახელი, როგორც დღესაა მიჩნეული, ყოფილა კლოდია (აპულეიუსი, აპოლოგია. 10). კლოდია სახალხო გრიბუნს, კლოდიუს პულხერს დად ერგებოდა. ეს გათხოვილი ლამაზმანი რომში განთქმული იყო სკანდალური სასიყვარულო თავგადასახელებით.

კატულუსის ლექსებმა, რომელთაც რომაულ ლიტერატურაში ლირიკული ეანრი დააფუძნეს, პოეტს სიციცხლეშივე მოუხვეჭეს უდიდესი აღიარება. პროპერციუსი კატულუსის ლესბიას პოპულარობით მშვენიერ ელენეს ადარებდა.

## თარგმანი:

კატულუსი, 33 ლექსი, თარგმანი, წინასიტყვაობა და მენიშვნები მანანა დარიბაშვილისა, ლოგოსი, თბილისი, 2003.

## ლექსები

1

ვის გაუუმზადე ეს პატარა ახალი წიგნი,  
თავშესაქცევი, პემზით ნახეხ-ნაპრიალები?  
შენ, კორნელიუს! შენ, რომელსაც საქმედ მიგაჩნდა  
ჩემი უსაქმო შლეგობანი. ლექსით ლაღობა.  
თავად კი სამი დიდი წიგნით – ღმერთო მალალო!  
იუპიტერო! – გადმოშალე ქვეყნის წარსული  
ოდიდან დღემდე! რომაელთა შორის პირველმა!  
პოდა, მიიღე სამახსოვროდ ჩემი წიგნუკა,  
ნუ დამიძრახავ – ავია თუ კარგი, ეს არის!  
ქალწულო მუზავ, შენ იყავი მფარველი მისი,  
მრავალ თაობას გასცდენოდეს, იყოს დღეგრძელი!

2

ბელურავ, სატრფოს თვალსაჩინო და სიყვარულო,  
უბეზე ჰყავხარ მიკრული და გეფლურტულება.

ხან თითს მოგიტანს ნისკარტთან და ისე გახელებს,  
აიფოფრები შენც მაშინვე ჩაუნისკარტებ,  
ასე ერთობა, დღიდან დღემდე შენ შემოგხარის,  
ჩემი მიჯნური ნებიერად შენთან ფოფინებს,  
და ავიწყდება ყველა დარდი და საზრუნავი  
(ისიც მგონია, სურვილს იკლავს თამაშ-თამაშით).  
ჩემო ჩიორავ, მეც შემეძლოს ასე გართობა,  
ჟინს მოვიკლავდი, გულის დარდებს გადავიყრიდი!

### 3

იგლოვეთ მწარედ, კენუსნო და კუბიდონებო!  
ვინც სილამაზის იცის ყადრი, იგლოვოს ყველამ!  
მოკვდა ბელურა, ჩემი სატრფოს ჩიორა მოკვდა!  
მისი ნუგეში, სიხარული მოუწყინარი.  
ის ჩემს ქალბატონს თვალისჩინზე მეტად უყვარდა,  
გული სიამით ევსებოდა, თაფლად ეფინა.  
მასაც უყვარდა ქალბატონი, ყველას ერჩია,  
მიეტკობოდა, როგორც დედას პატარა გოგო,  
მუხლებზე ეჯდა, მიმოხტოდა, შეჰფართქალებდა,  
შესჰედურტულებდა, გამუდმებით ილტვოდა მისკენ...  
ახლა კი, ვაგლახ, ბნელი გზებით მიემართება  
იქ, საიდანაც უკან მოსვლა არ გვიწერია...  
წყულიმც იყავ, უღმობელო, ბოროტო ორკუს,  
შავო და ბნელო, სილამაზის დამარბეველო,  
მეც ხომ მომტაცე ჩემი ნაზი ბელურა ბოლოს!  
ო, უბედობავ! ო, საბრალო პატარა ჩიტო!  
ეს რა მოგვწიე, შეუშუბდა ცრემლით უპენი,  
ორივე თვალი დაიწითლა ჩემმა ლამაზმა!

### 5

სიცოცხლე ჩვენდა, სიყვარული ჩვენდა, ლესბია!  
დაე, წამითაც ნუ შეგვაკრთობს, რაში გვეხება  
ბებრუხანების ბუზღუნნი და მიეთ-მოეთი!  
მზეს შეუძლია დილით აღჩნდეს, ღამით ჩავიდეს,  
მზეს შეუძლია, მაგრამ როცა ჩვენი ვარსკვლავი  
ერთხელ ჩაქრება, სამუდამო ძილს მივნივდებით...  
ასჯერ მაკოცე, ათასჯერ და კიდევ ათასჯერ!  
ასს კიდევ ასი მივაღვენოთ, ათასს – ათასი,  
შეუჩერებლივ, დაუცხრომლად, შეუსვენებლად,  
და მერე, როცა დავაგროვებთ უამრავს ათასს,  
თავიდან დავყვეთ, სათვალავი ისე დავკარგოთ,  
რომ თვლა აებნეთ შურნეულებს, რიცხვით მჩხიბაევებს,  
თავგზა აებნეთ – ველარ შეძლონ ჩვენი გათვალვა!

### 6

ჩემო ფლავიუს, გულისვარდი შევიძენია!  
მერე როგორი! ვერც ნატიფი, ვერც თვალსასური!  
კატულუსისგან აბა ისე რას დამალავდი!

თქმაც გერცხვინება, ვერავისთან გაგიმხელია,  
ამძუნებული ბოზანდარას გკლავს სიყვარული.  
ცხადზე ცხადია, ღამღამობით მარტო აღარ ხარ,  
როგორ დამალავ, რას დამალავ – აქ ეს ლოგინი,  
ეს სირიული ნელსურნელი, ეს ვარდყვავილი,  
გირლიანდები, ბალიშები მიყრილ-მოყრილი!  
საწოლიც როგორ მორყეულა! კენესის, ქანაობს,  
რა ამბებს ჰყვება, რა ჭრიალით მრავლისმეტყველით!  
რადას დამალავ, მაგ სანახავს სად გაექცევი.  
ზედ შენი შმაგი ღამეების კვალი ატყვია,  
თავდაც ხელ-ფეხს ძლივს მიათრევ ბანცალ-ბანცალით...  
მითხარი, რაც გჭირს, ყველაფერი – ავიც და კარგიც!  
სირცხვილს ჩამოგბან! შენს სიყვარულს ცაში ავიტან!  
სამყაროს მოუფენ საღალღობო ჩემი ლექსებით!

## 7

შენს რამდენ კოცნას დაეჯერდები, მკითხავ, ლესბია,  
რამდენი კოცნა დამაოკებს, დამაშოშმინებს.  
გეტყვი: დათვალე კირენეში ლიბიის ქვიშა,  
საღეთო ბალახი სადაც ხარობს, ლაზერპიცია,  
ბატოსის წმინდა სამარიდან მოკიდებული  
იუბიტერის მოჩახჩახე სამისნოს ბჭემდე.  
გეტყვი: დათვალე ჩუმ ღამეში რამდენი მნათიც  
ანთია ცაზე და ჩვენს მალულ სიყვარულს უჭვრეტს.  
ეგებ მაშინლა დაცხრეს ოდნავ წყურვილი მძაფრი,  
გახელებული კატულუსის შმაგი წადილი.  
იმდენი მკოცნე, სათვალავი აებნეს კოცნას,  
აჰმა ენებმა ვერ მიაგნონ გასათვალავად.

## 8

ჰოი, კატულუს, შე საბრალო, თავს ნუ იბრიყვებ,  
სამარადისოდ გარდასულა, რაც გარდასულა,  
უწინ შენთვისაც ანათებდა მზე სვენათელი...  
შენც ბედნიერი დაჰყვებოდი სატრფოს მხარდამხარ,  
გიყვარდა იგი ისე ძლიერ, როგორც არავინ,  
იყო სიამე, სიხარული, სიცილ-ღაღობა,  
რაც შენ გინდოდა, შენს სატრფოსაც ის ახარებდა,  
უწინ შენთვისაც ანათებდა მზე სვენათელი...  
დღეს აღარა ხარ სანუკვარი, ის დრო წავიდა,  
კედში ნუ დასდევ საბრალობლად, ნუ ეძალები,  
ჯობს, დაითმინო, იდექ მტკიცედ, იყავ ურყევი!  
მშვიდობით, ჩემო სიყვარულო, შენი კატულუს  
კლდეზე სალია, არც იფიქრებს გამოდევნებას.  
შენ კი, ბედშაეო, რა მოგელის მერე, ვინ იცის,  
გული რამდენჯერ გეტკინება მერე, ვინ იცის,  
რას იზამ, როცა სიმარტოვის სევდა შეგიძყრობს,  
ვის შეეყრები, „მშვენიეროს“ ვინ დაგიძახებს.

ვინ შეგიყვარებს, ვის დაუწყებ ტუჩებზე კბენას...  
ეპა, კატულუს, იყავ მტკიცე, იყავ ურყევი!

9

ო, ვერანიუს, ჩემს უამრავ მეგობარს შორის  
ათასი მილით ახლობელო და სანუკუარო!  
დღეს დაუბრუნდი შენს მშობლიურ სახლს და პენატებს,  
შენს მოხუც დედას, და ერთგული ძმებიც იხილე.  
დაბრუნებულხარ, რა კარგია! რა გავიხარე!  
მოხველ მშვიდობით, რამდენ რამეს მეტყვი, ვინ იცის,  
იბერიელთა ცხოვრებაზე, უცხო ტომებზე...  
ისე ვით წინათ, საყვარელო, გულში ჩაგიკრავ,  
გადაგეხევი, თვალებსა და ყელს დაგიკოცნი.  
ო, ბედნიერო! თუ სადმე ხართ, ყველას მოგმართავთ,  
დღეს სიყვარულში ვინ შეიძლებს, ტოლი დამიდოს?!

11

ჩემო ფურიუს, აერელიუს, ვიცი, მზადა ხართ,  
გაქყეეთ კატულუსს უკიდურეს ინდოთ საზღვრამდეც.  
სად ხანგრძლივ ექოდ ეხეთქება კლდოვან ნაპირებს  
მღელვარე ტალღა...  
ხვალ ჰირკანებთან რომ წავიდე, ან არაბებთან,  
ანდა სკეითებთან, ან მოისარ პართიელებთან,  
ან სადაც შვიდი შესართავით მწვანე ნილოსი  
ზღვის ნაპირს ამღვრევს...  
თუ გადავივლი მაღალ ალპებს, თან გამომყვებით,  
იქ, სადაც დიდმა კეისარმა ნიშანი დასცა,  
გალიის რაინს მივადგები, ან საზარელ ზღვას,  
ან შორ ბრიტანებს,  
მზად ხართ, ბოლომდე ჩემი ხვედრი გაიზიაროთ  
და დაითმინოთ, რასაც ზეცა წილად მარჯუნებს.  
მაშ, გადაეცით ჩემს სანუკუარს ორიოდ სიტყვა  
გულისმომკვლელი.  
ილაღოს თავის საყვარლებთან, დრო გაატაროს,  
ათასი ერთად შეიყვაროს, გულში ჩაიკრას.  
რა სიყვარული? სიყვარულით განა ვინ უყვარს,  
შიგანს კი აცლის...  
უთხარით, ჩემზე ნურც იფიქრებს, ჯობს, დამივიწყოს,  
დღე, დამივიწყოს, სიყვარული ჩემი განქარდა,  
მან ის მოაშთო, როგორც ველის მშვენიერ შროშანს  
სახნისი მოკვეთს...

13

მინდა, ფაბულუს, ერთი კარგად ჩემსას გავახშმო,  
ღმერთმა მოგეხედოს, ხვალ იქნება თუ ზეგ იქნება!  
ოლონდ შენზეა, ჩემო კარგო, საჭმელ-სასმელი,  
ღვინოც, ხორაგიც, ხუმრობაც და კაი გუნებაც.

თუ კარგ გოგოსაც მოაყოლებ, დიდად მაამებ.  
აი, ამგვარად დამშვენებულს თუკი გიხილავ,  
არ დაგამადლი, ერთ კარგ ქეიფს გაგაწეინებ!  
თორემ კატულუსს ჯიბეს უვსებს აბლაბუდები.  
ამის სანაცლოდ ჩემს კეთილ გულს შემოგაგებებ.  
ანდა სხვა რამეს – უფრო ფაქიზს, უფრო საამურს,  
საოცარ სურნელს, ჩემს გულისსწორს რომ უწილადეს  
დედა ვენუსმა და პატარა კუპიდონებმა.  
რაწამს დაყნოსავ, უმაღ ღმერთებს შეევედრები:  
ჰოი ღმერთებო! ერთ დიდ ცხვირად გადამაქციეთ!

31

კუნძულთა თვალო, ო, სირმით, ყველა ხმელთაგან  
უძვირფასესო, რომელიც კი ნუბტუნს უპყრია,  
ანკარა ტბების და უსაზღვრო ზღვების მეუფეს!  
ო, რა კარგია, რომ დაებრუნდი, რომ ისევ გხვდავ.  
კვლავ ძველებურად... ეს თინია, ეს ბითინია  
გაქრნენ თვალთაგან, მოვედი და უცვლელი დამხვდი!  
განა რა არის უკეთესი, გზას რომ მოილევე,  
მოხვალ, მგზავრობის მძიმე უღელს შვებით მოიხსნი,  
შინ შეაბიჯებ და შენს ლარებს მიეახლები!  
ნანატრ საწოლზე დამაშვრალი სხეულს რომ გაშლი,  
უკეთეს ჯილდოს ვერ ინატრებ ამ წვალეებისთვის...  
ჩემო სირმით, გაიხარე პატრონის ხილვით!  
თქვენც, ტბის ტალღებო, გაილაღეთ, თქვენც გესალმებით,  
ყველა სიცილი მომაგებთ, რაც შინ დავტოვე!

32

გთხოვ, ჩემო ტკბილო იფსიტილა, ჩემო ნუგბარო,  
ჩემო პატარა სიხარულო მომჯადოებო,  
მო, დამპატივე, ნაშუადღევს შენთან გაეჩნდები,  
ოღონდ, იცოდე, სხვას არ უხმო, მარტო დამიხვდი,  
არ დამახვედრო სტუმარი და კარი დახშული.  
ფეხს ნუ მოიცვლი, არსად წასვლა არ მოინებო,  
და მოემზადე: უნდა ცხრაჯერ გესიყვარულო,  
ცხრაჯერ ზედიზედ, თუ შენივე ნებაც იქნება.  
მაშ, დამეც ნება და სასწრაფოდ მიხმე, ძვირფასო,  
ენწეარ გულაღმა, გამაძლარი, ეშხზე მოსული,  
ენწეარ გულაღმა და საბანი გახერტას ლამობს...

38

კორნიფიციუს, შენს კატულუსს გული უტირის,  
ვფიცავ პერკულესს, ცუდად არის, გული უტირის,  
და რაც დრო გადის, სიმძიმელი უათკეცდება.  
რატომ არ მიხვალ, ალერსიან სიტყვას არ ეტყვი,  
არ ანუგეშებ, იქნებ ცოტა გულზე მოეშვას,  
მწყინს, საყვარელო, მეგობრობა ნუთუ ეს არის?!

მითხარი რამე, სულერთია, თუნდაც მჭმუნვარე,  
ისე მწუხარე, ვით ცრემლები სიმონიდესი.

41

ამ ბოზანდარა ამეანამ, თავხედმა გოგომ,  
ათი ათასი ერთ ღამეში, გესმით, რა მთხოვა?  
ამ გრძელცხვირამ და მათხოჯუნამ რა მომინდომა!  
ფორმიანელი ბედოვლათის გულის მურაზმა!  
ხალხო, სადა ხართ? არავინ ჰყავს ამას პატრონი?  
უხმეთ ახლობლებს, ექიმებიც დროზე მოჰგვარონ,  
რამე უშველონ, სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოს,  
ეგებ სარკეშიც ჩაახედოთ, ნახოს, რასა ჰგავს!

42

მოდით, მოჯარდით, იამბებო, ახლა მჭირდებით,  
მოდით უკლებლივ, რამდენიც ხართ – ბევრნი, ცოტანი,  
ამ ბოზანდარამ გადაწყვიტა, მასხრად ამიგდოს,  
ჩემი ლექსები გაიტაცა, დასტა-ფურცლები!  
შერჩეს? გაეჩუმდე? ნუთუ გული მოგიტმენტ ამას?  
თავს დაუარეთ, წაესიეთ, უკან წაჰგლიჯეთ!  
როგორ ვიცნოთო, მეკითხებით? რა კითხვა უნდა!  
გალური ძუკნის დაკრეჭილი ღიმილით იცნობთ,  
ურცხვი მიმოხრით, როსკიპული სიცილ-ჭახჭახით.  
გარს შემოერთყით, ყველამ ერთად ყურში ჩაჰყვირეთ:  
„კახპავ, შე კახპავ, დაგვიბრუნე ჩვენი ფურცლები,  
კახპავ, ახლავე დაგვიბრუნე ჩვენი ფურცლები!“  
ძალდად არ გაგდებთ? ო, ეგ ბილწი, ეგ ზნეწამხდარი!  
არა, ასეთი უტიფარი ჯერ არ მინახავს!  
საქვეყნოდ მიედგეთ, შუა ხალხში გამოვჭენოთ,  
ეგებ სიწითლემ გამოჟონოს ძუკნა სახეზე.  
აბა, ხელახლა, უფრო მჭახედ, უფრო ხმამაღლა:  
„კახპავ, შე კახპავ, დაგვიბრუნე ჩვენი ფურცლები,  
კახპავ, ახლავე დაგვიბრუნე ჩვენი ფურცლები!“  
არ გაჭრა? წარბიც არ შეხარა? ასეც ვიცოდი!  
უნდა სხვა ვცადოთ, უნდა თავი მოვისხვაფეროთ,  
მივეთილისმოთ, ეგებ გაჭრას ქათინაურმა:  
„სათნო ასულო, დაგვიბრუნო ვინძლო ფურცლები!“

43

სალამი შენდა, გოგოცუნავ, ჩემო გრძელცხვირა!  
თვალნი არ შეენი და ტან-ფეხიც ვერ აშოლტილი,  
თითნი ვერ თლილნი, ბაგე-კბილნი არ უდორბლონი,  
ვერც ზიბლიანო, ვერც დახეუწით ენახმიანო,  
ფორმიანელი ბედოვლათის გულის მურაზო!  
შენზე ყბედობდა პროვინცია, ლამაზიო?!  
ნუთუ შენა ხარ, ჩვენს ლესბიას ვინც შეგადარეს?!  
ჰოი, დროებაე, უბადრუკო და უმეცარო!



ისეუ მოვიდა გაზაფხული თბილი ქარებით,  
 ისეუ აჯობა ზეფიროსის საამო ქროლუამ  
 ზამთრის ქარიშხლებს, ისეუ დათბა, ისეუ განათდა...  
 ეპა, კატულუს, მივატოვოთ ფრიგიის ველნი,  
 ცხელი ნიკეის მოელვარე ვრცელი ყანები,  
 ჭრელი აზიის მივაშუროთ ლამაზ ქალაქებს!  
 ხომ ხედავ, გულიც განქარებით გზისკენ გეწევა.  
 უკვე ფეხებიც აგიცეკვდნენ სახეტილოდ...  
 მშვიდობით, ჩემო მეგობრებო, კეთილად გეელოთ,  
 სახლიდან ერთად გამოსულებს გზაც ერთი გვქონდა,  
 შინ კი ყველანი ჩვენეული გზით დავბრუნდებით!

ენამზეობით ყველა კაცზე აღმატებულო,  
 გამორჩეულო რომულუსის მემკვიდრეთ შორის,  
 ვინც იყო, არის, ან იქნება, მარკუს ტულიუს!  
 შენ კატულუსი დიდ მადლობას თაყვანით გიძღვნის,  
 პოეტთა შორის დღეს ყველაზე კინი და მცირე.  
 პოეტთა შორის იმდარადვე კინი და მცირე,  
 როგორც შენა ხარ ვაქილთაგან უდიადესი.

გუშინ მე და შენ, ლიცინიუს, მოცალედ მყოფნი  
 თამაშს შეეყვით - ტაბელებზე წყვილად შეწნული  
 სახელდახელო სტრიქონები ჩამოვალექსეთ.  
 ვწერდით და ვწერდით რიგრიგობით, ტაბელებს ვცვლიდით,  
 ხან იმ საზომით გამოვანასკვეთ, ხან ამ საზომით,  
 რარიგ აგვაგზნო ცალკე ღვინომ, ცალკე ლექსობამ...  
 და წამოვედი მოხიბლული შენით, ძვირფასო,  
 შენმა ჭკუამ და სინატიფემ სული შემიძრა.  
 შინ მოვიწყინე, საჭმელს პირი ვერ დავაკარე,  
 ვერც დავიძინე, ვერ მოვხუჭე საბრალომ თვალი,  
 და მთელი ღამე ვიწრიალე ასე ლოგინში,  
 მალე მინდოდა გათენება, დილა მეხილა,  
 რომ შენთან ყოფნით და საუბრით გული მეჯერა.  
 და ბოლოს, როცა ნაწამები ჩემი სხეული  
 ნახვერადმკვდარი, დაქანცული, საწოლს მივაგდე,  
 ეს სტრიქონები შენზე ფიქრმა დამაწერინა,  
 რათა გაგეგო, რომ შეგეგმნო, როგორ ვიწვალე!  
 მაგრამ გაფრთხილდი, მეგობრობა არ წამიხდინო,  
 და არ დამცინო, ქედმაღლურად ნუ შემომხედავ,  
 რომ ნემესილამ არ მოგაგოს მერე სასჯელი,  
 არ განარისხო უღმობელი იგი ქალღმერთი!

მე მეჩვენება, რომ ღმერთების თანასწორია,  
 ან თუკი ითქმის, ღმერთებზედაც აღმატებული.

ვინც გვერდით გიზის, შემოგცქერის, წამისწამ ისმენს  
შენს ხმას და სიცილს...

მე კი. ლესბია, დაგინახავ საბრალობელი  
და უმალ აზრი შეკარგება, ძალა მერთმევა,  
ვდგავარ უძწო და გახსნილი ბაგეებიდან  
ხმა არ ამომდის...

ენა მიშრება, ტანზე ცეცხლი შემომენთება,  
ყურში გუგუნი ჩამდგომია, სასმენელს მიხშობს,  
თვალთ მიბნელდება, შავი ნისლი წამეფარება,  
ღამის უკუნი...

მოცალეობით იტანჯები ასე, კატულუს,  
უქმად ყოფნისგან ხარ ასეთი აბორგებული,  
მოცალეობამ თვით მეფენი, თვით სამეფონი  
მიწით აღგავა...

58

ეპა. ცელიუს. გეყურება? ჩვენი ლესბია,  
ჰო, ის ლესბია, კატულუსს რომ ასე უყვარდა,  
ქვეყნიერებას ვინც ერჩია, სულსაც ერჩია,  
ახლა შარაზე გამომდგარა, და ვაი ჩვენს თავს,  
დიდი რემუსის გაგვიტყავა შთამომავლები!

85

მძულხარ და მიყვარხარ ერთად! როგორო, მავანი მეტყვის,  
ან მე განათუ ვიცი. ვგრძნობ და ჯვარს ვეცვა ღამის!

86

კვინტიას მიქებენ ხშირად – თეთრია, მაღალი, თხელი,  
ნაკეთად ყოველი ნაკეთი, რა ვთქვა, თავადაც მომწონს.  
ერთიან შეხედავ, ნატრობ, ცოტათი ეშხიც რომ მისცა!  
რაგინდ ტანადი ჩანდეს, მაინც ვერ იტყვი ღამაზს.  
ლესბია ერთია ქვეყნად, ვინც სრული მშვენებით ბრწყინავს,  
ყველა ღამაზის ხიბლი ერთმა წარსტაცა ვენუსს!

## შენიშვნები

I

წიგნის პირველი ლექსი ეძღვნება პოეტის თანამემამულეს, კორნელიუს ნეპოტს.

*შენ კორნელიუს* – კორნელიუს ნეპოტი (დაახ. 110-32 ჩ. წ-მდე), რომაელი მწერალი, წარმომო-  
ბით, ისევე როგორც კატულუსი, ევრონელი იყო. მისი ნაწერების მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია  
ჩვენამდე.

*თავად კი სამი დიდი წიგნით* – იგულისხმება ნეპოტის ისტორიული თხზულება „ქრონიკა“, სადაც,  
პირველად ლათინურ ენაზე, სინქრონულად იყო გადმოცემული მსოფლიო ისტორიის მოვლენები.

ქემბით ნახევ-ნაპირიანები – წიგნი პაპირუსის გრაგნილზე იწერებოდა და მის კიდევს სილა-  
მაზისთვის ქემბით ხეხაედნენ.

2-3

ამ ლექსებში კატულუსი შეუარვით გამოხატავს თავის სწრაფას ლესბიასადმი. „mea puella“-ში („ჩემი  
გოგონა“) რომ ლესბია იგულისხმება, ამას ვეიდასტურებს მარციალი (Mart. 7, 14, 3f) „amica Catulli Lesbia,  
delicii passeris orba sui“ (კატულუსის სატრფო დააობლა თავისი საყვარელი ბელურას სიკვდილმა).

ბელურა (passer) მიიჩნეოდა აფროდიტეს წმინდა ფრინველად. იგი იყო ასევე რომაელი ქალბა-  
გონების საყვარელი ჩიტი. passer ამავე დროს საალერსო სიტყვეც იყო.

ორკუსი – ჰადესის, ქეესკნელის ერთ-ერთი სახელწოდება.

5

ეს ლექსი ყველაზე პოპულარული ლექსია კატულუსის სასიყვარულო ლირიკაში. როგორ ჩანს, იმ დროს არის დაწერილი, როცა დაიწერა III, VII ლექსები (დაახლოებით 62-60 წლებში, როგორც ამას იუნგულაუსენი ვარაუდობს), გეიხაგაუს ხალისიან, აუმღერეველ განწყობილებას, როცა კატულუსს ბედნიერი სიყვარულის ხანა ედგა.

6

ეს ლექსი მიემართება კატულუსის ჩვენთვის უცნობ მეგობარს, ვინმე ფლაიუსს. ისინი ერთხანს, როგორც ჩანს, გვერდიგვერდ, მომიჯნავე ოთახებში ცხოვრობდნენ.

7

კატულუსის ლექსებს მორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსია. გამოირჩევა უაღრესი ექსპრესიულობით; აქ პოეტი ბედნიერების მწვერვალზეა და თავის სასიხარულო განცდებს გადმოგვცემს. ლექსი მთავრდება ცრურწმენის გამომხატველი შელოკით: „ვინმემ ჩენი ბედნიერი სიყვარული არ გათვალის“.

*კირენე* – ქალაქი და დიდი ნახსადგური ლიბიაში.

*ლაბრატია* – სამკურნალო მცენარე, რომელიც აგრეთვე სიღვიონის სახელით იყო ცნობილი. მისი კულტივირება ანგიკურ ხანაში შეწყდა და დღეს იგი სრულიად გამქარაღია.

*იუპიტერის სამისნო* – უფრო მუსტად ეგვიპტური ღმერთის, ამონის გაძარი, ამ ღვთაებას ბერძნები – ზევსთან, ხოლო რომაელები იუპიტერთან აიგივებდნენ.

*ბატოსი* – ქალაქი კირენეს ლეგენდარული დამაარსებელი.

8

ლექსი წარმოადგენს გაწიბილებული მიჯნურის მონოლოგს. ლესბიასგან გამომდინარე გაუცხოება იწვევს პოეტში უკუგანწყობას – სიყვარულის უარყოფას. თუმცა აქ გამოხატულია პოეტის უნდობლობა ლესბიასადმი, მაგრამ ჯერ კიდევ არ ისმის პოეტის განრისხებული თუ სარკასტული ხმა. ლექსი მაინც თბილი განწყობითაა განმსჭვალული და, ამდენად, დაწერილი უნდა იყოს კატულუსის სასიყვარულო ურთიერთობის პირველ ხანებში.

9

ლექსი წარმოადგენს გულითად მისალმებას, რომელსაც პოეტი უძღვნის თავის საყვარელ მეგობარს – ვერონიუსს. იგი იყო სამოგზაუროდ წასული თავის მეგობართან, ფაბულუსთან ერთად. მინ მშვიდობით დაბრუნებულ ვერონიუსს კატულუსი ეგებება აღფრთოვანებული ლექსით.

11

ითვლება, რომ მე-11 ლექსი არის კატულუსის სიყვარულის დამასრულებელი აქორდი. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ეს ლექსი, ისევე როგორც ლესბიას ციკლის პირველი ლექსი (51), დაწერილია საპოეზო საზომით. ივარაუდება, რომ მოგზაურობიდან დაბრუნებულ კატულუსს ლესბიამ მიაგება ახლობლები: აერელიუსი და ფურიუსი, რათა მათ ქალი ძველ შეყვარებულთან შერიგებინათ. მთელი ლექსი გაუღებელია მუყარული ირონიით, მეოთხე სტროფიდან ამკარად იგრძნობა სარკაზმი. გეოგრაფიული სახელების დაუსრულებელი ჩამოთვლაც აძლიერებს ლექსის პაროდულ-ირონიულ ინტონაციას.

*პირკანები* – გომი, რომელიც სახლობდა კასპიის ზღვის სანაპიროს ვაკეობაზე.

*პართიელები* – პართიელთა სამეფო მდებარეობდა მდინარეებს ტიგროს-ევფრატსა და ინდს შორის. პართიელები ცნობილი იყვნენ, როგორც უებრო ცხენოსნები და მშვილდოსნები.

13

სახუმარო ლექსი, იუმორით აღსავსე მიპატივება პოეტისა: ეს მიპატივება, რომლის აღრესაცაც მეგობარი ფაბულუსია, ადრეული ლექსების რიგს უნდა განეკუთვნებოდეს; შეაბის მიხედვით, ესაზნეთიდან ფაბულუსის დაბრუნების შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

31

ლექსი დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით 46 და 49 წლებში ჩ.წ. აღ-მდე. პოეტი მიიჩქარის ვერონიუსთან თავის მამულში, სოფლის პატარა სახლში. იგი აღფრთოვანებულია მშობლიური მხარის ხილვით, ესიყვარულება ნაცნობ ადგილებს, მამისეულ ვილას, რომელიც მშვენიერი გზის ნაპირას მდებარეობდა.

*სირმიო* – (ახლანდელი სერმიონე) ვიწრო კლდოვანი კონცხი, რომელიც შეჭრილია ბენაკის (ახლანდელი ვარდა) ტბაში ოთხი კილომეტრის მანძილზე. ეს ადგილი ისეა შეჭრილი წყალში, რომ აღიქმება ნახევარკუნძულად ან თითქმის კუნძულად. ამ კონცხზე არის ანგიკური ნაგებობა

(უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში), რომელსაც ხალხი დღესაც კატულუსის ვილას უწოდებს. თუმცა იგი იმპერატორთა ხანას განეკუთვნება.

*თინია* – ბოსფორის მახლობლად მდებარე მხარის ძველი სახელწოდება. ეს მხარე ჩვ.წ. აღ-მდე III საუკუნეში მეურწყა ბითინური ტომის მიერ დაუქმებულ ბითინიის სამეფოს და შემდგომ უკვე პოეტური აზრითა იწოდებოდა ასე.

ლექსის ბოლო სტრიქონი იწვევს დიდ დაეას კატულუსის მკვლევართა შორის. ეესტვალის აზრით, ეს სტრიქონი ასე უნდა წაეიკითხოთ: „ყველაფერმა, რასაც სახლში გაყინება შეუძლია, გაყინეთ!“ რიხტერი ასეთ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „მხიარულების ყველა კეთილი სული, იყინეთ!“

ტრადიციულად კი ამ სტრიქონში ასეთ შინაარსს დებენ: „შემომაგებეთ ვგ სიცილი – მშობლიური ხბები, რაც კი სახლში არსებობს“.

32

ლექსის დაწერის დრო გაურკვეველია; საღალღობო-თავმესაქევეი ლექსი, რომელიც ეძღვნება ენბე იუსტიციას. ბიუხელური ამ სახელს *ipsa*-ს (თვით, თვითონ, თავად) კნინობით ფორმად მიიჩნევს. თუკი *ipsa*-ს სიტყვა *domina*-ს (ქალბატონს) დაუკავშირებთ (როგორც ბიუხელური და სხვები) და „პატარა ქალბატონის“ მნიშვნელობას მივანიჭებთ, მაშინ, ეს გმა ლესბიამდე მიგვიყვანს; მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, ეს მოსაზრება არ არის მართებული; იუსტიცია უნდა იყოს ბერძნული სახელი; სკალეგერი აღნიშნავს, რომ *Hypsithila* იმავე ტიპის კნინობითია, როგორც 45,13-ში *Septumila*.

38

*კენეტუს კორნიფიციუსი* – ორატორი, პოეტი, რომელიც გაერთიანებული იყო ნეოტერიკოს-პოეტთა წრეში, იყო კატულუსის ახლო მეგობარი.

*სიმონიდე კოსელი* (VI-V ს. ჩვ.წ. აღ-მდე) ცნობილი ძეგლებრძენი პოეტი, მან სახელი გაითქვა ნაღვლიანი ელგეებით, ანუ „თრენებით“ (სამგლოვიარო სიმღერები).

41

ეგყობა, პოეტი მასხრად იღებს რომელიღაც პროვინციულ ლამაზმანს; მას, როგორც ჩანს, ვარ-მიყვარდა ფორმიანელი ბელოელათი (ასე უწოდებს მას პოეტი), ანუ მამურა – რომაელი მხედარი; იგი წარმოშობით იტალიის ქალაქ ფორმიიდან იყო. მამურა მეტად დაახლოებული ყოფილა კეისართან, იგი გალიაში მეთაურობდა მესანგრეთა რაზმს, ხშირად იღებდა მონაწილეობას კეისრის ბრძოლებში და დიდი სიმდიდრეც დააგროვა.

42

ლექსი დაწერილია იტალიური ფოლკლორული საღალღობო სიმღერების ყაიდაზე. მთელი ლექსის მანძილზე გაათათხულ-გაქილიკებული ლესბია ბოლოს სარკასტულ-ირონიულ მიმართვას იმსახურებს: „უიწო ქალწულო!“

*იამბი* – სალექსო სამომი, რომელიც კატულუსს განსაკუთრებით მოსწონდა და ემარჯვებოდა. იამბით არის გაწყობილი მისი სატრფიალო ლირიკის დიდი ნაწილი. მაგრამ ვადატანითი მნიშვნელობით იამბი ვესლიანი ლექსის სინონიმით იყო და აქაც სწორედ ამ მნიშვნელობით არის ნახმარი.

43

ფორმიანელი ბელოელათი – მინიშნებაა კელაე მამურამე.

*ten provincia narrat esse bellam?* – როგორც მკვლევარები მიიჩნევენ, „პროვინციაში“ კატულუსის მშობლიური ვერონა იგულისხმება.

46

ამ ლექსში პოეტს ვადმოცემული აქვს ის აღმაფრენა და აღტაცება, მოგზაურობის დროს რომ დაუფლდება. მან ბითინიის დედაქალაქში – ნიკეაში დატოვა მემიუსი, რომლის ამაღამიაც იყო, და სამშობლოსაკენ გასწია; გზად კი მოინახულა მცირე ამიის ძველისძველი ცნობილი ქალაქები.

49

ლექსი ეძღვნება ცნობილ ორატორს, მწერალსა და სამოვადო მოღვაწეს – მარკუს ტულიუს ციციროსს. ამ ლექსმა კატულუსის მკვლევართა შორის დიდი დავა გამოიწვია. ნაწილი მას სრული სერიოზულობით აღიქვამს და თვლის, რომ ლექსში პოეტი თავს იკინნებს, ციციროსს კი განადიდებს და გულითად მადლობას უძღვნის. სხვანი მიიჩნევენ, რომ ეს გამეიადებული მადლობა და ხუთჯერ მე-ღობედ აღმატებული ხარისხის ხმარება (რომელიც სწორედ ციციროსის სტილს გვახსენებს) იმის მანიშნებელია, რომ ლექსი სერიოზულად აღსაქმელი არ არის და ირონიული ხასიათისაა. უპირველესი არგუმენტი ის არის, რომ აქ პოეტი საკუთარ თავს უუდღეს პოეტად მოიხსენიებს (*pessimus poeta*), მაგრამ თუკი კატულუსის ლექსებს ვადახედავთ, თვალნათლივია, რომ ის მოკრძალებულობა და უარყოფითი თვითშეფასება, რაც აქ არის მოცემული, სხვა ლექსებისთვის არ არის დამახასიათებელი. პირიქით იგი საკმაოდ მაღალი აზრისაა საკუთარ თავზე და ამას დაუფრავად გამოხატავს სხვაგან

(1, 10; 40; 68, 41, 78<sup>ა</sup>), აქედან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ ლექსი ირონიულია; არც კატელუსი თვლის თავს უცუდე სოკრატე და შესაბამისად არც ციკერონია *optimus patronus*, ანუ საუკეთესო „ვაქილთა“ შორის (როგორც ამ ლექსშია ნათქვამი).

რაგომ უნდა მოსდომებოდა პოეტს ირონიული ლექსის დაწერა ციკერონის მისამართით?

ზოგის ეარაუდით, შესაძლოა, იგი ციკერონზე გაგულისებულყო თავისი მეგობრის კალეუსის გამო, რადგან ციკერონი ამკარა ანტიპათიას გამოხატავდა კალეუსის, როგორც ალექსანდრიულ პოეტთა ერთ-ერთი მიმდევრის მიმართ. შესაძლოა, კატელუსის არაკეთილგანწყობა ციკერონის მიმართ გამოეწვია ერთ ფაქტს: ციკერონმა დაიცვა პოეტისთვის საჭელეელი ეაგინიუსი და მის დასაცავად წარმოთქმულ სიგყვამი ნახსენები *pessimus poeta* თითქოს კატელუსს მიემართებოდა და ეს მან იყოღ.

თუკი ამ ლექსს სერიოზული ტონით დაწერილად ჩავთვლით, წამოიჭრება კითხვა – რაგომ უძღვნის ასეთ მადლობას პოეტი ციკერონს. აქაც რამდენიმე არგუმენტი არსებობს: ზოგიერთის აზრით, იგი მადლობელია ციკერონისა, რადგან ორაგორი თავის ცნობილ სიგყვამი – *pro Caelio*, თავს დაესხა კატელუსის მოღალატე საგროფოს კლოდიუსისა და განაქიქა იგი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იგი მადლობელია ციკერონისა, რომელმაც დაიცვა კატელუსის მეგობარი კორნელიუსი.

და მაინც, ეს საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის და ლექსი საკამათოდ რჩება. ყველაზე საეარაუდოა, რომ მადლობა და ქება ირონიას არ შეიცავს, ხოლო ბოლო სამი სტრიქონი შესუმრებით *pessimus poeta*-ს ამბავს უქარაგმებს ადრესატს.

## 50

რომში ჩასული კატელუსი დაუახლოვდა პოეტთა წრეს, იქ ბერი მკვლავარი შეიძინა, მათ შორის ყველაზე ახლობელი იყო ლიცინიუს კალეუსი. მასთან ურთიერთობა კატელუსის იუმორს, მის გონებას ახლებურად ახალისებდა. კალეუსიც კატელუსივით თერთმეტმარცელიან ლექსებს და ზოგჯერ ეპიგრამებსაც წერდა. მის შემოქმედებას ჩვენამდე თითქმის არ მოუღწევია, ფრაგმენტების სახით მოღწეულია ერთი ეპილიონი იომე და ერთი ეპითალამიოსი. ამ ფრაგმენტთა მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კალეუსის სოგმია კატელუსის სოგმიასთან ღიდ მსგავსებას ამქლადენებს, ამიგომაც არ არის გასაკვირი, რომ ორიენი, როგორც ერთი ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი (ნეოტერიკოსები), ხშირად გვერდივეერდ იხსენებთან (Hor. sat. 1, 10, 19; Prop. 1, 25, 4; 34, 87ff. Ov. am. 3, 9, 624 trist. 2, 431; Plin. epp. 1, 16, 5, 4, 27, 4; Gell. 19, 9, 7:).

ლექსი წარმოადგენს მიმართვას ლიცინიუს კალეუსისადმი. მეგობრები ერთად შეიყრებიან და ეჯიბრებიან ერთმანეთს სოგტურ იმპროვიზაციებში. ამ შესვედრამ კატელუსი ისე ალაურთოვანა, რომ მეორე დღეს ლექსი დააწერიღ.

*tabella* – ცელით დაფარული დაფა, რომელმედაც რომაელები წვეტიანი ჯობით (სტილუსით) წერდენ.

*ludere* – მსუბუქი, გასართობი ლექსების თხზვა.

*Poema* – ჰაგარა ლექსი.

*ნემუსიღა* – მურისგების ქალღმერთი.

## 51

ეს არის საჰფოს ცნობილი სასიყვარულო ლექსის თავისუფალი თარგმანი. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ლექსი, შესაძლოა, ლესბიას არც მიემართებოდეს; საჰფოს ლექსს რომაელი სოგტი თარგმნის, მაგრამ რაღაცას აქლებს და რაღაცას უმაგებს; ასე მაგალითად, საჰფოს მე-4 სტროფი კატელუსს გამოგოვებული აქვს, საზაგიეროდ მიმაგებული აქვს ლექსის ბოლოს თავისი სტროფი. ზოგთა ეარაუდით, ეს სტროფი ნაწილია კატელუსის რომელიღაც სხვა ლექსისა.

## 58

*ეელიუსი* – კატელუსის თანამემამულე, ე.ი. წარმომობით ეერიონელი. თითქოსღა სწორედ მან შეუწყო ხელი კატელუსის დაახლოებას ლესბიასთან.

ლექსი დაწერიღია ჩე.წ. აღ-მდე 56 წელს, კატელუსის მოგბარობიდან დაბრუნების შემდეგ.

*რემუსი* – რომის ლეგენდარული ფუქმედებელი, ითვლებოღა რომაელთა მამამთაეარდ.

## 85

ლექსი დაწერიღია აუმღვრეველი განწყობილებით; იუნგლკლუსენის მიხედვით, იგი დაახლოებით იმ დროს უნდა იყოს დაწერილი (ჩე.წ. აღ-მდე 62-60 წლები), როცა III-VII ლექსები დაიწერა.

„ჯეარს ვეუვა ლამის“ – ეს გამოთქმა დენდიდან მომდინარეობს და მთარგმნელისეული ანაქრონიზმი არ არის. ჯეარზე გაკერა რომის იმპერიამი გავრცელებული სასჯელი იყო.

## 86

*კეინგია* – მკვლევართათვის უცნობია.

*თარგმნა მანანა ღარიბა შვიღმა*

## მარკუს ტულიუს ციცირონი

(ტ.წ. 106-43)

ციცერონი რომის მახლობელ ქალაქში, არპინუმშია დაბადებული, მხედართა წრიდან გამოსულ ოჯახში. მამამ მარკუსსა და მის ძმას კარგი განათლება მისცა — ციცირონმა საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა, ლიტერატურა და ფილოსოფია, დაეფულა ორატორულ ხელოვნებას. ამ უკანასკნელში მას ცნობილი რიტორი აპოლონიოს მილო აყარჯიმებდა.

განსწავლული ყმაწვილი საზოგადოებრივ ასპარეზზე სულ ახალგაზრდა გამოვიდა. თავდაპირველად იგი მკვერმეცხველების „ამიური“ სტილის მიმდევარი იყო, თუმცა საბოლოოდ მისი სტილი „ამიურსა“ და „ატიკურს“ შორის შუალედურ რგოლად ჩამოყალიბდა.

მისი პირველივე სიტყვა „სექსტუს როსციუსის დასაცავად“ იმდენად სკანდალური და თამამი აღმოჩნდა, რომ ციცირონი ძმასთან ერთად მცირე ამიასა და საბერძნეთში გაემგზავრა, რათა რომს გარიღებოდა.

ამ სიტყვაში, რომელიც ანთოლოგიაში სრულადაა მოცემული და 80 წელსაა დაწერილი, ახალგაზრდა ციცირონი ცდილობს გაამართლოს ადამიანი, რომელსაც ცილს სწამებდნენ მამის მკვლელობაში. ამ ბრალდებას სექსტუს როსციუსს ნათესაეები უყენებდნენ, რათა ამ გზით ხელში ჩაეგდოთ მისი მდიდარი მემკვიდრეობა. დაინტერესებულ პირთა შორის რომის საკმაოდ გავლენიანი ადამიანებიც იყვნენ, რომელნიც ციცირონმა დაუფარავად ამხილა სამსჯავროს წინაშე.

ერთი წლის შემდეგ ციცირონი რომს კვლავ დაუბრუნდა. ტ.წ. 76 წ. ნიჭიერი ადვოკატი სიცილიაში მიაღწინეს კვესტორად. ტ.წ. 69 წ. იგი ედილის თანამდებობაზეა, ხოლო ტ.წ. 66 წელს კი — პრეტორის.

ტ.წ. 63 წ. ციცირონი კონსულად აირჩიეს. იმავე წელს მან გამოაშკარავა ლუციუს კატილინას შეთქმულება, რომელიც რომაული სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. კატილინას მამხილებელი სიტყვებით ციცირონმა სახელი გაითქვა როგორც ბრწყინვალე ორატორმა, მას სენატმა მაღლობა უძღვნა რესპუბლიკის გადარჩენისათვის და მიანიჭა საპატიო ტიტული — „სამშობლოს მამა“ (Pater patriae).

ანთოლოგიაში ციცირონის მიერ კატილინას წინააღმდეგ წარმოთქმული ოთხივე სიტყვაა მოცემული, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა.

რამდენიმე წლის შემდეგ, ტ.წ. 58 წელს ციცირონი ამ შეთქმულების გამოაშკარავების გამო სასამართლოს გარეშე მოქალაქეთა სიკვდილით დასჯისთვის რომიდან გააძევეს.

თუმცა, უკვე მომდევნო წელს იგი გრიუზფით დაბრუნდა რომში და კვლავ გამოჩნდა საზოგადოებრივ სარბიელზე, შეთხზა არაერთი ორატორული, ფილოსოფიური და პოლიტიკური ხასიათის გრაქტაგი. ამ პერიოდში შექმნა მან ვრცელი ფილოსოფიური გრაქტაგი „რესპუბლიკის შესახებ“, რომლიდანაც ანთოლოგიაში ერთი ნაწყვეტი, სათაურით „სიციპიონის სიმშარი“ არის მოცემული.

სამოქალაქო ომის დროს, რომელიც კეისარსა და პომპეიუსს შორის მიმდინარეობდა, ციცირონი უკანასკნელს მიემხრო.

იულიუს კეისრის მკვლელობის შემდეგ (ტ.წ. 44 წელს) ციცირონმა მარკუს ანტონიუსის წინააღმდეგ მიმართა თავისი გამოსვლები. მოგვიანებით პროსკრიპციების დროს სწორედ ანტონიუსმა გასცა ციცირონის მოკელის ბრძანება.

მკვლელებმა ციცირონს თავი და ხელები მოჰკვეთეს და ანტონიუსს მიართვეს.

მართალია, ციცირონის ცხოვრება გრაგიკულად დასრულდა, მაგრამ მისმა შემოქმედებამ — ჩვენამდე მოღწეულმა 58-მდე სიტყვამ, 800 წერილმა, რიტორიკულმა და ფილოსოფიურმა გრაქტაგებმა — წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო ლიტერატურაში.

რამი. მის თხზულებებს შუა საუკუნეებში სწავლობდნენ საეკლესიო მწერლები, მისი ნაწარმოებების ენა და სტილი აღორძინების ეპოქაში საფუძვლად დაედო ე.წ. „ახალ ლათინურ ენას“, რომელმაც ევროპული ლიტერატურის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა.

**თარგმანები:**

ციცერონი, სიტყვები, თარგმნა, შესაქალი წერილი და მენიშენები დაურთო ი. ვაგუამ, ლოგოსი, თბილისი, 2005.

სეიპონის სიმბარი, წიგნი: ბაჩანა ბრეგვაძე, II, ახალი თარგმანები, გვ. 124-143, ნეკერი, თბილისი, 2006.

## სექსტუს როსციუსის დასასაყად

I. ვგრძნობ თქვენს გაცუებას, ბაგონო მსაჯულნო; როგორ გავებდე წამოდგომა აქ, სადაც მშვიდად სხედან ცნობილი ორაგორები და გამოჩენილი პიროვნებები, რომელთაც ვერც ნიჭით, ვერც სახელით, ვერც ასაკით მივედრები. ყველამ, ვისაც აქ ხედავთ,<sup>1</sup> კარგად იცის, როსციუსი უდანამაულოა, მისი საქმე განუკითხავად არის დამძიმებული ცრუ ბრალდებებით და სიმართლის აღსადგენად ხმის ამოდებაა საჭირო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავს ქომაგად დაუდგეს ბრალდებულს, თუმცა ვალდებულნი არიან დაეხმარონ, დუმის არჩევენ, საფრთხე რომ განირიღონ თავიდან. ჩანს, მე ვყოფილვარ ყველაზე უშიშარი? ან იქნებ სხვამე მეტად მევალება როსციუსის გამოსარჩლება? სრულიადაც არა! არც სახელის მოხვეჭას ვარ ესოდენ დახარბებული, ეს საქმე ვინმესთვის წამეგლიჯა ხელიდან. მაშ, რაგომ გამოვიდე თავი ასე ძალიან? ახლავე მოგახსენებთ.

აქ დამწერე საზოგადოებიდან რომელიმე ცნობილ პიროვნებას რომ ენებებინა როსციუსის დაცვა, ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამსაც უნდა შეხებოდა; სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა ბრალდებულის ცხოვრების წარმოჩენა და მისი უდანამაულობის მტკიცება. ეს კი თავისთავად ძალზე სახიფათოა, უნებურად შედეგი რამ არ წამოგდეს, სხვაგვარად არ გაიგონ ნათქვამი და ამან მითქმა-მოთქმა არ გამოიწვიოს. ბრძენსა და გონიერ კაცს ერთ წინდაუხედავ სიტყვას არ შეარჩენენ, მე კი ამის შიში არა მაქვს; შემძილია თავისუფლად ვილაპარაკო, არც თანამდებობა მმლუდავს და არც ასაკი; ჩემს სითამამეს ახალგაზრდობას დააბრალდებენ და იოლად მომიტყევენ. თუმცა არა მარტო პატივებს გადაუეჩიეთ, დანამაულის ძიებაც აღარ ხდება ჩვენს ქვეყანაში კარგა ხანია. დარწმუნებული ვარ, როსციუსის დაცვა შესთავაზეს ვინმეს, მაგრამ ეგყობა, მაინცდამაინც არ მისძალევიან და ალბათ მანაც ადვილად დაიძერინა თავი ამ მძიმე მოვალეობისაგან. მე კი ისეთმა ღირსეულმა ადამიანებმა მთხოვეს, ვისაც პატივს ვცემ, ვის მეგობრობასა და ჩემდამი კეთილგანწყობილებას დიდად ეაფასებ და ვისი სურვილიც ჩემთვის კანონია.

II. ამგვარად აღმოჩნდი დამცველის როლში. ნიჭიერებით კი არ გამომარჩიეს. არა, სწორედ იმიტომ, რომ ყველაზე ჩვეულებრივი ვარ და ამდენად საფრთხევ ნაკლებად მემუქრება. როცა ეს საქმე მომანდეს, ჩემში როსციუსის ძლიერი მფარველი როლი დაინახეს; მთლად მიუსაფარი რომ არ დარჩენილიყო ბედურული, მე დამაკისრეს მისი დაცვა. ალბათ ვიკვირთ, ასე რამ დააფრთხო, რამ შეამოთა ეს ღირსეული ეაქცაეები, რომ ვერ გავებდავთ თანამოქალაქის გამოსარჩლება, რასაც ადრე თავისუფლად ახერხებდნენ. ეგყობა, ხეირიანად არც კი იცით ეს ამბავი, რადგან ბრალმდებლებმა ისე მიაფუჩიეს სინამდვილე, ისე გაბერეს, გააუკუღმართეს, რომ კაცი მგყუანსა და მართალს ძნელად გაარჩევს. მაინც რა მოხდა ასეთი?

სექსტუს როსციუსის მამის ქონება 600 000 სესტერციუმად<sup>2</sup> შეფასებული, ბრწყინვალე და უმაჰაყესი ვაჟკაცის სულას<sup>3</sup> ხელმწიფობით (მე მის სახელს დიდი მოწიწებით მოვიხსენიებ) 200000 სესტერციუმად შეისყიდა ჩვენს ქალაქში სიმდიდრით ცნობილმა კაცმა ლუციუს კორნელიუს ქრისოგონმა<sup>4</sup>, რაც თავად აღიარა. ახლა მას სურს, მსაჯულნო, რომ კანონიერად ცნოთ მის მიერ უპატიოსნოდ მითვისებული სიმდიდრე. რაკი როსციუსის ვაჟი ცოცხალია, ეს ცხადია, ხელს უშლის ამ სურვილის შესრულებაში. მას იმედი აქვს, რომ თქვენ გაუნებლბთ მიშს და გაუქარწყლებთ ეჭვებს, დღენიდავ რომ არ ასვენებს. კარგად ესმის, უსამართლო-

ბაა, შეილს მამის ქონებაში შეეყოლო, ამიგომ ხელს აძლევს, როსციუსი სცნოთ დამნაშაველ და დასაჯოთ, რომ ქრისოგონმა თავისუფლად იპარპაშოს, ლაღად იცხოვროს იმ ქონების ხარკზე, რასაც უნამუსოდ ეპოგინება. თუ თქვენ მიგაჩნიათ, ბაგონებო, რომ მას ამის ნება აქვს. თუ უჩვეულოდ არ ვჩევენებათ მისი სურვილი, მაშინ მეც მომპაყარით ყური; ჩემი თხოვნა მის კადნიერ წადილთან შედარებით უფრო სამართლიანია.

III. ნუთუ არ უნდა იკმაროს სხვისი ქონება და ფულები, სიოცსლეს რაღად უმწარებს, ვისაც ყველაფერი წაართვა. თქვენი ვალია, მსაჯულებო, შეაჩეროთ ეს ბოროტება, წინ აღუდგეთ თავებობას, უდანაშაულო ჭაბუკს შეუმსუბუქოთ მწუხარება და საფრთხისაგან დაიკავთ ისიც და ჩვენც. თუ როსციუსს ვინმე ამხელს სულ მცირე დანაშაულშიც კი, თუ რაიმე საეჭვოს ღანახავთ მის საქციელში, რის გამოც შეიძლებოდა მისი სამსჯავრომე მოხმობა, მაშინ თავს არ შეიწუხებ გამოსარჩლებით, დაე, იგი ამ ბრალმდებლებს ჩაუვარდეს ხელში. უკეთუ უბრალო აღმოჩნდება, ვირწმუნებ, ეს ბრძოლა მის წინააღმდეგ მამამისის ქონების ხელში ჩასაგდებად წამოიწყებს. როსციუსის დასჯა გაუმაძღარ ადამიანებს მსუყე ლუკმის დაკარგვის მიშს გაუქარწყლებს. ხედაეთ, სადამდე მიღის მათი თავებობა, რომ ბილწი ბრახევის შესრულებას თქვენი განაჩენის შემწეობით აპირებენ. ავაზაკობითა და ბოროტებით მოპოვებული ქონების კანონიერი მეპატრონე სურთ ვახდნენ. სადაც სამართალია, ამ გლადიატორებსა და კაცისმკვლელებს რიდი და მოწიწება უნდა ჰქონდეთ თქვენი, ესოდენ გამორჩეული პიროვნებებისა, ვინც ღირსეულად ატარებთ სენაგორთა საპაგიო წოდებას, ვისაც წოლად გვხვდათ, ვითარცა ყველაზე მკაცრსა და მიუკერძოებლებს, ამ სხდომის წარმართვა; ნაცულად ამისა, ეს ყაჩაღები, არა მარტო სასაჯელის აცილებას ვთხოვენ, არამედ სურთ ამ სასამართლო დარბაზიდან თქვენი წყალობით გაზარეუბულები და გამდიდრებულები გამოვიდნენ.

IV. აი, ამ სამინულებებზე მინდოდა შესაბრა რიხიანად, მკაცრად და გაბედულად, მაგრამ ვერძობო მიზანს ვერ მივაღწევ, ამის მიზეზი ის ვახლავთ, რომ მკვერმეტყველების ნიჭი მაკლია, მკაცრი გონი ჩემი ასაკისათვის შეუფერებელია, თამამი სიცივის ნებას დღევანდელი ვითარება არ მაძლევს; თანაუ ჩემი თანდაყოლილი სიმორცხვე მზოჭავს, მოწინააღმდეგეთა ძალა და გაელენა ერთგვარად მთრგუნავს, ხოლო საფრთხე, რომელიც როსციუსს ემუქრება, მეც მიშს მინერგავს. ამიგომ, უმორჩილესად ვთხოვთ, ბაგონებო, კეთილი ყურით ისმინეთ ჩემი ნათქვამი. თქვენი სიბრძნისა და პატიოსნების მომიმედვე ვიკისურ ისეთი გვირით, რაც ჩემს ძალღონეს აღემატება. თუ მას ნაწილობრივ მაინც შემომსუბუქებთ, ჩემდათავად არაფერს დავიმურებ, ბოლომდე ვიდიო ეს მძიმე ჭაპანი, თუ მხარში არ ამომიღებებით – ეს, ცხადია, არ მოხდება – სულით არ დავეცემი და ჩემს დაწყებულ საქმეს არ მივატოვებ. თუ ამას ვერ შევძლებ, მიჯობს მოვალეობის ამ მძიმე უღელმა ქვემ დამიგანოს, ვიდრე სულმდაბლობამ თუ სხვა უკეთურმა აზრმა ხელი ამადებინოს ჩემს განმრახვამე.

შენცა ვთხოვ, მარკუს ფანიუს, გულისხმიერებას ნუ მოგვაკლებ ნურც ჩვენ, ნურც რე სპუბლიკას; შენ ხომ ბურჯად იდექი წლების მანძილზე აქ, როცა მუდმივ სასამართლო სხდომებს განაგებდი.

V. ხომ ხედავ, რამდენმა ხალხმა მოიყარა თავი; იცი ალბათ, რასაც მოითხოვენ – დამნაშავეთა სასტიკად დასჯას. დღეს პირველად ვიკრძებივით მკვლელობის საქმის განსახილველად. მანამდე ხომ არაეის ეყალა ამ ამბებისათვის; რამდენი ბოროტება შერჩათ კაცისმკვლელებს. იმედი მაქვს ახლა მაინც, შენი პრეტორობის დროს, ბოლო მოელება ყოველდღიურ სისხლისღვრას და ავისმზრახველნი მართლმსაჯულებას ვერ დაემალებიან.

ხომ გინახავთ ბრალმდებლები ხმის ჩახლეჩამდე რომ გააკყვირიან სასამართლოზე, დამნაშავე რომ ახხილონ; ჩვენც ასე გვმართებს ახლა მოქცევა, თავი რომ დავიცავთ. გვედრებით, ფანიუს, მოსამართლენო, თქვენც მოგმართათ: მთელი სიმკაცრით დასაჯეთ ბოროტმოქმედნი; ღაგამი ამოსდეთ გათავებულ არაკაცებს; გახსოვდეთ, თუ ახლა სიმკიცეს არ გამოიჩენთ, წინ არ აღუდგებით დამნაშავეთა სურვილს, ბოროტებას, უმნეობას, მაშინ აქვე, ფორუმზე, შესს გრიბუნალთან დაიდურება სისხლი, მარკუს ფანიუს, სადმე შორს კი არა, თქვენს თვალწინ, ამ სავარძლებთან დაგრიალდება უბედურება, მსაჯულნო. აი, რისი სურვილი აქვთ ამ ავაზაკებს; აი, ამ უფლების მოპოვებას ესწრაფვიან. სხვაგვარად როგორ



აფხსნათ ის გარემოება, რომ თავს იცავს როსიუსი, უკიდურეს გაჭირებებაში ჩაყარდნილი ადამიანი, ვისაც მამისეული ქონებიდან არაფერი შეარჩინეს, მისი სიმდიდრის მიმგაცეხელი კი ბრალმდებლის როლშია. ადანამაულებენ ისინი, ვისაც სექსტუს როსიუსის სიკედილმა ბედნიერება მოუგანა, თავს იმართლებს ის, ვინც მამის დალუქვამ გააღატაკა და ღიდ განსაედელში ჩააგდო. ვინც ამ მკელელობამე ოცენობდა, იგი შეიღს დებს ბრალს. სასამართლოს წინამე უნდა პასუხი აგებინოს მას, ვინც ამალის გარეშე მოსვლა ვერ გაბედა აქ, იმის შიშით, ჩვენს თვალწინ არ ჩაექოლათ. რაღა ბეერი გავაგრძელო, მომჩივანნი ისინი არიან, ვის დასჯასაც ხალხი მოითხოვს, თავს იცავს ის, ვინც ბოროგებასა და მუხანათობას ძლიეს ვადაურჩა. კარგად რომ დაგარწმუნოთ ამ უმწეო ადამიანთა თავხედობაში, გავაცნოთ ქვეყნის გასაჭირი, უდანამაულო ჭაბუკის სიბრალულით კიდევ უფრო აგივსოთ გული, წერილად გაამბობთ ყოველივეს.

VI. როსიუსის მამა ამერიელი<sup>7</sup> გახლდათ. იგი განთქმული იყო სიმდიდრითა და ოჯახისმვილობით არა მარგო თავის ქალაქში, არამედ მეგობელ მუნიციპიებშიც. მის სტუმართმოყვარეობას<sup>7</sup> აფასებდნენ და პატივს სცემდნენ საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებები. მის ახლობლებად ითვლებოდნენ ღიდგეაროვანი და გაელენიანი ადამიანები. თავს ნებას მიეცემ, პატივისცემით მოვიხსენიო ისინი: მეტელესები, სუპიონები, სერვილიუსები<sup>8</sup>. მამისეული ქონებიდან როსიუსს ამ ადამიანთა კეთილგანწყობილება შემორჩა მხოლოდ, სხეას ყველაფერს გულდრძო ნათესაეები დაეპატრონნენ და ახლა უდანამაულო ვაეის პატიოსნებას მეგობრები და მოკეთეები იცავენ. განსვენებული მუღამ მხარში ეღვა წარჩინებულთ უკანასკნელი არეულობის დროს, როცა კეთილშობილ მოქალაქეთა ღირსებასა და სიოცხლებს საფრთხე დაემუქრა, მათ დასააცავად ყველაფერი იღონა, გამოიყენა თავისი გაუმტა, გამოიჩინა სიმტკიცე და მეუპოერობა. როსიუსს მიაჩნდა, რომ თავი არ უნდა დაეშოგა იმ მოქალაქეთა ღირსების შესანარჩუნებლად, ვისი წყალობითაც თავად პატივსაცემ ადამიანთა რიგებს ეკუთვნოდა. ეს ბრძოლა კეთილშობილთა გამარჯვებით დამთაერდა; როცა ხმალი ქარქაშში ჩავაგეთ, დიწყო პროსკრიპციების<sup>9</sup> შედგენა, მოწინააღმდეგეებთან ანგარიშწორება, დატუსაღება; ამ დროს როსიუსი თამამად დააბიჯებდა რომში, ფორუმე ყველას თვალწინ გრიალებდა, რათა დაენახათ, რომ იმარებდა გამარჯვებულთა სიხარულს და არა იმიგომ, რომ რაიმე საფრთხეს გრძნობდა მათგან.

როსიუსს ორი კაცი მგრობდა ოღითგანვე; ორივე ამერიელი გახლდათ, ორივე როსიუსია. ერთ მათგანს, როგორც ყური მოეკარი, განსვენებულის სამი საუკეთესო მამული მოუთვისებია, მეორეს კი – აქ ხედაეთ ბრალმდებლის სავარძელში მოკალათებულს. ეს მგრობა ძალზე აფიქრებდა როსიუსს, მაგრამ სამწუხაროდ მისი თავიდან ასაცილებლად არაფერი უღონია, თორემ ახლა ცოცხალი იქნებოდა. მართლაც და მეტი სიფრთხილე ქმართებდა, მსაჯულნო. ერთი ამ აეამაკთავანი გიგუს როსიუსს კაპიტონია, მეორე, ვინც აქ გვესწრება, გიგუს როსიუსს მავნუსია<sup>10</sup>. კაპიტონი ცნობილი გლადიატორია, ასპარეზობაში გამარჯვებული; იგი წვრთნიდა ამ მავნუსს, რომელიც დღემდე ახალბედად ითვლებოდა, ახლა კი, რამდენადაც ვიცი, ბეერად ვადააჭარბა თავის მასწავლებელს ბოროგებასა და ეერავობაში. VII. თავად განსაჯეთ, როცა სექსტუს როსიუსი, მკელელობაში ეჭვიგანნილი, ამერიამი, თავის მამულში იყო და მამის სურვილისამებრ სამეურნეო საქმეებს განაგებდა, ცხოერობდა ისე, როგორც სოფელ კაცს შეეფერება; ეს გიგუს როსიუსი რომში ბრძანდებოდა. ყველამ იცის, ქალაქიდან ფეხი არ მოუეღია, მამინაც, როცა სექსტუს როსიუსი პალაციუმის<sup>11</sup> აბანოებთან მოკლეს, განსვენებული საღილობიდან შინ ბრუნდებოდა. განა საკითხავია, ვინ შეიძლება იყოს ბოროგების მოთაე? მაგრამ, რაკი ეს მხოლოდ ვარაუღია და ამას დასაბუთება სჭირდება, მანამდე, მოღით ბრალდებულ<sup>12</sup> დამნაშაეთთა თანამომიარედ დე მოკაემირედ ჩავთვალთ.

როსიუსის მკელელობის ამბაე ამერიამი ყველაზე უწინ ერთმა ბოგანო ლიბერტინმა, ამ გიგუს როსიუსის კლიენტმა და ახლობელმა მალიუს გლაციუმამ<sup>12</sup> ჩაიგანა, მაგრამ მოკლულის ვაეის სახლში კი არ მოვიდა, არამედ გიგუს კაპიტონთან, სექსტუს როსიუსის მგერთან. მკელელობა დამის პირეული საათისათვის მოღდა; ეს მალემსრბოლი გამთენიისხანს უკვე ამერიამი იყო. ათი საათი იქროლა ეგლით, 50 მიღი შეუსვენებლივ ირბინა, რომ

სექსტუს როსციუსის მგრისათვის სასურველი ამბავი ეხარებინა და საბუთად ჭრილობიდან ამოღებული მახვილი ეჩვენებინა, რომელსაც სისხლი ჯერ არ შემრობოდა. ოთხი დღის შემდეგ ამ მკვლელობის შესახებ ლუციუს სულას ბანაკში, ვოლაგერესთან<sup>13</sup> აუწყეს ქრისოგონს; როსციუსის საარაკო სიმღიდრეზე ჩამოუადეს სიგყვა, იმ მამულებზე, ტიბრის გაყოლებამე რომ არის ჩამწკრივებული, ცამეტ სხედასხვა ადგილას, არც ის დაეიწყებოთ, მოესხებინათ, რა უმწყო, უსუსური მემკვიდრე დარჩა; დააჯერეს, რომ სადაც სექსტუს როსციუსის, ასეთი შესანიშნავი, ცნობილი პიროვნების მოკვლა არ გასჭირვებიათ, ამ სოფელი, უბირი ბიჭის მოშორება, რომელსაც რომში არავინ იცნობდა, არ იქნებოდა ძნელი. რაღა ბევრი გაფავრებოდა და, შეიკრა უღეთოთა კაემირი.

VIII. თუმცა პროსკრიპციები კარგა ხნის შედგენილი იყო; ხალხს შიშმა უკვე გადაუარა, საფრთხეგამოვლილი მოქალაქენი თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. ამ დროს როსციუსი, კეთილშობილთა დამცველი და ქომაგი, შავ სიებში შეიგანეს. მისი სიმღიდრე ქრისოგონმა მისაკურთხა; სამი საუკეთესო მამული კაპიტონმა მიითვისა, დანარჩენი 600000 სესტერციუმის ქონება 200000 სესტერციუმად ამ გიგუს როსციუსმა შეისყიდა, როგორც თავად ამბობს, ქრისოგონის ნებართვით. ამის თაობაზე დარწმუნებული ვარ, სულამ არაფერი იცოდა. ან რა გასაკვირია, ასეთ ვითარებაში რამე გამოჩინებოდა, ჯერ იყო და რა გაჭირვება არ გამოვიარეთ, ახლა არის და კიდევ არ ვიცი, რა მოგველის; ომის საკითხი იქნება თუ მავნისა, ყველა ამ ერთი კაცის გადასაწყვეტია, ყველა მას შესცქერის, ყველაფერს ის განაგებს, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება არა აქვს და როგორ გინდა, რომ მისი მშვერალ გან მიწვდეს. მას კი მუდამ უთვალთვალებენ, ოდნავ გვერდზე რომ მიიხედოს, დროს იხელთებენ და ბოროტების ჩადენას არ დაახანებენ. მართალია, სულას „ნეტარად“<sup>14</sup> უხმობენ და საესხებით სამართლიანად, მაგრამ რაც არ უნდა ბედნიერი იყო, არ შეიძლება ასეთ მრავალრიცხოვან ოჯახში ერთი უღირსი მანინ არ გამოგერიოს. ან მონა, ან ამაგი. ამასობაში გიგუს როსციუსი, ეს ვითომდა პატიოსანი კაცი, ქრისოგონის ერთგული და მონა-მორჩილი, ამერიამი ჩადის, ისაკურთხებს როსციუსის მამულს; მის საბრალე ვაჟს, მწუხარებით განადგურებულს, ხეირიანად მამის დაგირების და დასაფლავების ნებას არ აძლევს. მიშველ-გიგელს გააძევეს შინიდან, მოწყვეტს მშობლიურ კერასა და პენატებს<sup>15</sup>, თვითონ კი მისი დიდებული სახლ-კარის მფლობელი ხდება. სიდუხჭირეში გამრდილი კაცი სხვისი ქონებით უკებ გამდიდრებული, ჩვეულებრივ თავხედდება. ასე დამმართა ამ უკეთურსაც; ბევრი რამ თავის სახლში გამიდა დაუფარავად, უფრო მეტი – მალულად; თავის დამქაშებსაც უწილადა ბლომად. რაც მორჩა, საჯაროდ გაყიდა.

IX. ამ ამბავმა ამერიელები ისე შეაშფოთა, მთელს ქალაქში მარი და გლოვა ისმოდა. წარმოიდგინეთ, რა უბედურება არ დაგრიალდა მათ თვალწინ; ბრწყინვალე თანამოქალაქის ამბარზენი მკვლელობა, დეენა და ბარცეა მისი მემკვიდრისა, რომელსაც ამ მუხანათმა ყაჩაღებმა მამის საფლავისაკენ მისასვლელი ბილიკი არ დაუგოვეს, ქონება სამარცხვინოდ გაუყიდეს, დაიგაცეს, მიითვისეს, გააჩუქეს, მოიპარეს. კაცი არ დარჩენილა ამერიამი, არ ენაგროს, ნეტავი დამწვარიყო როსციუსის სახლ-კარი, ოღონდ არ ენახა, როგორ დაიბღინებოდა მის ემო-გარემოში გიგუს როსციუსი. და აი, დეკურიონებმა<sup>16</sup> უმალ გადაწყვიტეს, ათი კაცი შეერჩიათ სულასთან გასამგზავრებლად, რომლებსაც უნდა მოესხებინათ, როგორი პიროვნება იყო როსციუსი, დაეჩვილათ ავაზაკთა მიერ ჩადენილ უსამართლობასა და ბოროტებამე და ეთხოვათ მისთვის, აღედგინა განსვენებულის სახელი და ღირსება, ხოლო მისი უღანამაულო ეაეისათვის მემკვიდრეობა დაებრუნებინათ. ვითოვთ გაეცნოთ ამ გადაწყვეტილებას. [დეკურიონთა გადაწყვეტილება]. ელჩები მიდიან ბანაკში. გამორჩევა ის, რაც აღრე მოგახსენეთ, რომ სულამ ამ ბოროტებისა და საჩოთირო ამბის თაობაზე არაფერი იცოდა. შეშინებული ქრისოგონი მამინევე მიიჭრა ელჩებთან, ცნობილი პიროვნებები მიუვგავენ თხოვნით, სულას ყურამდე არ მიეტანათ ეს საქმე, სანაყველოდ ყველაფერში დახმარებას პირდებოდა; მას სიკვდილი ერჩია ამ ამბის განმარტებას. შუაკაცები ძველი თაობის ადამიანები იყვნენ, შეურყვინელი და უმწიკვლო; სხვებიც ასეთივე ეცონათ, ამბოგმ იოლად ირწმუნეს ეს დაპირება, რომ როსციუსის სახელს პროსკრიპციებიდან ამოშლიდნენ, შეიღს კი მამულს დაუბრუნებდნენ. როცა გიგუს როსციუს კაპიტონ-

მაც, რომელიც იმ ათ წარგზავნილთა შორის იყო, კვერი დაუკრა, რომ ყველაფერი მოგ-  
ეარდებოდა, ელჩები აღარ გააკოტნენ და საჩივარი არ აღუძრავთ. ამის შემდეგ ჯერ იყო  
და საქმე ერთი დღით გადადეს, მერე – ორით, თანდათან გააჭიანურეს, გაწელეს ვადა; ესეც  
არ იკმარეს და მასხრადაც აიგდეს მომჩივნები, ბოლოს კი სექსტუს როსციუსის სიციცხლეს  
დაემუქრნენ. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მიხვდნენ, რომ სანამ მემკვიდრე ცოცხალი  
იყო, სხვის ქონებას ასე იოლად მათ არაფერ დაანებებდა.

X. სექსტუს როსციუსმა, საფრთხე რომ იგრძნო, მოკეთების რჩევით რომს მიაშურა და  
მამამისის ძველ მეგობართან, ცეცილიასთან (ღრმა პატივისცემით მოეხსენიებ მის სახელს),  
ნეპოტის ქალიშვილთან, ბალეარის დასთან<sup>17</sup> მივიდა. ყველას კარგად მოგვხსენებთ, ბა-  
ტონო მსაჯულნო, რა სამაგალითო პიროვნებაა ეს ქალი, ერთგული დამცველი ძველი  
ადათებისა. მან უმწუო, მინიდან გაძეებული, თავისი მამულებიდან დევნილი, ყაჩაღთა მახ-  
ვილსა და მუქარას გამოქცეული სექსტუს როსციუსი თბილად მიიღო, შეიფარა დაჩაგრული  
და სასომხილი. მისი მეურვეობის, მუყაითობისა და თავგამოდების წყალობით ბრალდე-  
ბული სიკვდილსა და პროსკრიპციებს გადაურჩა და თქვენს წინამე დგას განაჩენის  
მოლოდინში. როცა ეს ბედოვლათები მიხვდნენ, როსციუსს ასე იოლად ვერ გაუსწორდე-  
ბოდნენ, რადგან მის სიციცხლეს მამის ახლობლები უფრთხილდებოდნენ, გაუგონარ  
თავხედობას მიმართეს: გადაწყვიტეს მისთვის მამისმკვლელობა დაებრალეზინათ, დაესმი-  
ნათ სასამართლოში, ეპონათ ვინმე ძველი თაღლითი ბრალმდებელი, ცილისწამების  
ოსტატი. თუმცა როსციუსს ვერავითარი სამხილი ვერ მოუძებნეს, მაგრამ იმედოვნებდნენ,  
რაკი სასამართლო კარგა ხანია უმოქმედოდ იყო, ეს პირველი სამსჯავრო სიმკაცრეს გა-  
მოიჩინდა და დანამაულში ეკვიტანის ხალხის სურვილით დასჯიდა. იმასაც ფიქრობდნენ,  
ქრისოგონის შიშით როსციუსის დაეცას ვერაფერ გაბედებდა, კრინტასაც ვერ დაძრავდნენ  
ბოროტმოქმედთა კავშირზე და მამულების გაყიდვის თაობაზე. მამისმკვლელობა ისეთი  
სამინელი ბრალდებაა, შიშით სიკვყვას ვერაფერ შეაწედა ბრალდებულს. ეს ყველაფერი  
გაითვალისწინეს და როსციუსი თქვენ მოგიგდეს დასასჯელად, რაკი თვითონ ვერ მოახ-  
ერხეს მისი მოშორება, თუმცა დიდად მოწადინებული იყვნენ.

XI. ბატონებო, რა გმას დავადგე, ვის შეეჩივლო, რით დავიწყო, ან ვის მივმართო? ვის  
შევედრო, უკედავ დმერთებს, რომაელ ხალხს, თუ თქვენ, მსაჯულნო, ვის ხელთაც არის  
ძალაუფლება. კეთილშობილ მოქალაქეს მუხანათურად კლავენ, სახლ-კარსა და ქონებას  
სტაკებენ, ისაკუთრებენ, მისი შვილის სიციცხლეს საფრთხეში აგდებენ, უსაფრდებიან, თავს  
ესხმინან, მახვილს უღერებენ. კიდევ რა ვერაგობა შეიძლება კაცმა მოიფიქროს? ამასაც არ  
სჯერდებიან, გაუგონარი დანამაული სურთ დააბრალონ როსციუსს, რომლის ფულებით  
მისსავე წინააღმდეგ მოისყიდეს ბრალმდებლები და მოწმეები. სხვა რა გმა დარჩენია  
როსციუსსო, ფიქრობენ, ან გიგუს როსციუსს უნდა გაუშვიროს კისერი, ან გყავის გუდამი  
გამომწყვდეულმა სამარცხვინოდ უნდა დაასრულოს თავისი სიციცხლე. მათი ვარაუდით,  
ბრალდებული ქომავს ვერ იშოვიდა. მართლაც ასე მოხდა. მაგრამ მოიძებნა კაცი, ვინც  
მზადაა, ნათელი მოაფინოს მის საქმეს, კეთილსინდისიერად დაიცვას იგი. ეს კი ბუერს ნიშ-  
ნავს. ასეთი მოვალეობა მე ვიკისრე, მსაჯულნო. იქნებ ჩემმა ახალგაზრდობამ გამაბედინა  
ასეთი ნაბიჯის გადადგმა. არ ვიცი, მაგრამ ვფიქვავ დმერთებს, რადგან გადაწყვიტივ, უკან  
არ დავიხიანო, თუნდაც დიდი სხვათი და სამინელეობა დამაგყდეს თავს, ყველაფერს დაუფარა-  
ვად მოვიტასენებთ, უფრო მეტიც, გაბედულად, უშიშრად, შეუპოვრად ვილაპარაკებ. ვერაფე-  
თარი ძალა, ბატონებო, წინ ვერ ვადამელობება, არაფერს დავერიდები, ჩემს მოვალეობას  
პირნათლად შევასრულებ. ან კი რომელ ჭკუათამყოფელს შეუძლია მშვიდად და გულგრი-  
ლად უყუროს ამ ამბებს და ხმა არ ამოიღოს; კაცს მამა მოუკალით, მემდეგ პროსკრიპ-  
ციებში შეიგანეთ, შვილი სახლიდან გააძევეთ, მის ქონებას დაეპატრონეთ, კიდევ რალა  
გინდათ ამ საბრალსგან? იქნებ მახვილითა და შუბებით შეიარაღებულნი სხედხართ  
საეარძლებში, რომ აქვე მოულოთ მას ბოლო?

XII. მაგონდება, ერთი თავმებელადებული კაცი ცხოვრობდა ჩვენში, გაიუს ფიმბრია<sup>18</sup>,  
რომლის საოცარ თავხედობაზე ყველა აღშფოთებით ლაპარაკობდა მისივე მსგავსი  
არამზადების გარდა. ვახსოვთ, მისი წყალობით გაიუს მარიუსის დაკრძალვაზე დაჭრეს

კვინგუს სეველა<sup>19</sup>, ფრიად თელსაჩინო, სათნო, დიდებული პიროვნება, რომლის ქებას აქ არ მოყვები. ამის დრო ახლა არ არის. ერთს მოგახსენებთ მხოლოდ. რომაელმა ხალხმა კარგად იცის, თუ რა დამსახურება მიუძღვის მას ქვეყნის წინაშე. ფიბრიამ როცა მეიგყო, შეიძლება დაჭრილი სეველა გადარჩენილიყო, სასამართლოში უჩივლა მას. როცა პკითხეს, რა უნდა დააბრალო ისეთ კაცს, რომლის ღირსებების ჩამოთვლას ძნელად თუ შეძლებს ვინმეო, ასე თავებედურად უპასუხა: კარგად რად არ მიუშვირა მახვილს კისერიო. რომაელებს სეველას მეკვლელობაზე ამამრმენი არაფერი უნახავთ. ისინი დათრგუნა და გაანადგურა ამ კაცის სიკვდილმა. სეველა იმ ხალხმა გაიმეგა, ვისი გადარჩენისა და შემორიგებისათვის თავად იბრძოდა. ფიბრიას სიგყეები და მისი მოქმედება ხომ არ გაგონებთ დღევანდელ ამბავს? რამი ადანამაულებთ სექსტუს როსციუსს? იმაში, რომ ხელიდან გავისხლგათ და სიკვდილი არ ისურუა? სეველას მეკვლეობას საშინელ ბოროტებად მიიჩნევთ, აქ რაც მზადდება ქრისოგონის მეოხებით, ვითომ მოსათმენია? ეს ღმერთების სახელით ხდება. როსციუსის დაცვას ორაგორობის იშვიათი ნიჭი არ სჭირდება, მის გამო-სარჩლებას დიდი ჯაფა და ენერგია არ უნდა. ხელის გულზე გადაგიშლით მთელს ამბავს, ბაგონო მსაჯულნო, რომ იოლად ჩაწვდეთ საქმის ნამდვილ არსს და იმასაც მიხედეთ, რამე უნდა ვისაუბრო მე და როგორ უნდა მოიქცეთ თქვენ.

XIII. ჩემი აზრით, საქმეს სამი გარემოება ართულებს: მოწინააღმდეგეთა ვაუგონარი სითამამე, მათი ძლიერი გავლენა და ცილისმწამებლური ბრალდება, რომლის შეითთხენა ერუციუსმა იკისრა; თავებედური მოქმედების გეგმა როსციუსს დაავალეს, ქრისოგონმა კი თავისი გავლენის გამოყენება სცადა. თითოეულ მათგანზე დაწერილებით შეეჩერდები, თუმცა ჩემი საქმე უშუალოდ ბრალდების საკითხია, დანარჩენი ორის განსჯას თქვენს მოვალეობად თვლის რომაელი ხალხი, მსაჯულებო. მე ბრალდების თაობაზე უნდა ვისაუბრო, ვეცადო დაგიმგკიყოთ, რომ იგი ცილისმწამებაა მხოლოდ. თქვენ კი, ბაგონებო, უნდა ალაგმოთ თავებელობა, მოთოკოთ ბოროტგანმრახვის მოთავენი, შეანელოთ მათი განუზომელი ძალა, რომელიც ესოდენ საშიშია მოქალაქეთათვის.

სექსტუს როსციუსს მამის მეკვლეობას აბრალებენ. ო, უკვდავო ღმერთებო, ნეგავი მალე გამოშმეურდეს ეს ამამრმენი დანამაული, რომლის ბადალი ბოროტება ქვეყნად არ მეგულება. ბრძენ ადამიანებს ერთი ლამაზი გამოთქმა აქეთ: მამის გული შვილის ერთმა კუმგმა გამოხელვამაც შეიძლება დაკოდოსო. თუ ეს ასეა, წარმოიდგინეთ, რა სასჯელი უნდა მიეზღოს მას, ვინც ხელს აღმართავს თავის მშობელზე. ეს ისეთი იშვიათი, საშინელი და შემამრწუნებელი აკაკობაა, რისი მოსმენაც არა თუ ეხამუშება ყურს, არამედ უბედურების მომასწავებელ ნიშნადაც ითვლება. ასეთ დანამაულს რომ აბრალებ, ერუციუს, რა მგკიყეები მოგაქვს საამისოდ? ნუთუ არ არის საჭორო, ორიოდე სიგყვა ითქვას ბრალდებულის თავებელობაზე, მის მხეკურ ბუნებაზე, მანიკერებაზე, სიმშაგებზე, უგიფრობაზე, რამაც ასეთი საშინელება ჩაადენინა. არაფერი ამდაგვარი შენ როსციუსზე არ ვითქვამს, რითაც შეიძლებოდა მისი გამგყუნება.

XIV. როსციუსმა მოკლა ღვიძლი მამა. მერე და ვინ არის ეს მეკვლევი? ვიგინდარების მიერ წაქეზებული ბედოვლათი შვილი? ორმოც წელს გადაცილებული კაცი, თავებედი, მეკვლეობაში ნაყად ძველი ყაჩაღი? მსგავსი არაფერი მოგისმენია ბრალმდებლებისაგან. იქნებ ხელგამოილობამ, დროსგარეგამ, განცხრომით ცხოერებაზე, დიდმა ეალებმა ჩაადენინა ეს ბოროტება. მაგრამ ერუციუსის თქმით, როსციუსი თითქმის არასდროს უნახავთ ლხინში; ვალზე არ პქონია, მის განცხრომაზე და ვნებებზე ლაპარაკი მედმეგია; თავად ბრალმდებელმა ადნიშნა, მუდამ სოფელში იყო და მიწას ჩიქნიდაო. სოფლის მეურნეობა იმდენ ჯაფასა და შრომას მოითხოვს, ვნებებისათვის დროს არ უგოეებს გლექსკაცს. მამ რამ გაავიგა როსციუსი, რა იყო მისი გაუგონარი ბოროტების მიზემი? მამამისს არ უყვარდაო, გვიმგკიყებს ბრალმდებელი. რაგომ? ამას ხომ მრავალი სარწმუნო და დამაჯერებელი საბუთი სჭირდება. უმიმემოდ ვერც შვილი გაიმეგებს მამას, და ვერც მშობელი – საკუთარ პირმშოს უსაფუტვლოდ. ისეე შვილს დაეუბრუნდეთ. იქნება პქონდა რაიმე ნაკლი, რის გამოც მამა ვერ იგანდა. მსგავსი რამ მისთვის არ შეუნიშნავთ. ჩანს, მამა ყოფილა შლეგი; ანა, ღვიძლ შვილს ვინ აითუალისწუნებს უბრალოდ. მაგრამ ყველამ იცის, როგორი მშვიდი

ბუნების იყო განსვენებული. მაშ, თუ მამა არ იყო დამთხვეული, შვილს არ შეიძულებდა, თუ არც შეილი იყო მწედაცემული, მამის მოკვლას გულში არ გაივლებდა.

XV. არ ვიცი, რატომ არ უყვარდაო – აღნიშნავს ბრალმდებელი, მაგრამ მეორე ვაფი რომ ცოცხალი ჰყავდა, იგი გვერდიდან არ მოუშორებია, ეს კი სოფელში გამოკეცაო. აი, ამ ერთადერთ მიზეზს ეკიდება ერუციუსი. მეც ამასვე მოვიშველიებ ბრალდების გასაბათილებლად. რაკი მას უკეთესი სამხილის მოძებნა არ ძალუძს, მეც მიჭირს მისი უამრო, უსუსური მტკიცების უარყოფა. დაფიქრდი, ერუციუს, რას ამბობ. ნუთუ ასეთი მშვენიერი, ნაყოფიერი მამულები როსციუსმა თავის ვაჟს იმისთვის უბოძა, დაესაჯა იგი? მამა ყოველთვის ცდილობს, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტში, რომ შეილი სოფლის მეურნეობაში გაიწაფოს, მამულის მოელაპატრონობა ისწავლოს. მენ მიგაჩნია, როსციუსმა შეილი სოფელში გააგლო სამუშაოდ, სადაც იგი თავს ირჩენდა მხოლოდ და უნებართვოდ ხელს ვერაფერს ახლებდა? მაგრამ ყველამ იცის, როსციუსი მამის სიციუხლეში მამულებიდან შიღებულ შემოსავალს სურვილისამებრ იყენებდა. ეს, მენი ამრით განდევნა, გაძევება? ხელავე, ერუციუს, როგორ დამორდი ჭემმარიგებას? ჩვეულებრივი ამბავი უჩვეულოდ გეჩვენება, სიკეთე სიძულვილში გერევა; თუ მამა შეილს პატივისცემის ნიშნად რაიმეს დაუთმობს, მენ ფიქრობ, ამას დასჯის მიზნით აკეთებს? განა არ იცი, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ სამხილი არ გაგაჩნია და ამიგომაც მეც მეურჩები, ყველას ამრს ეწინააღმდეგები; არც ბუნების კანონებს ემორჩილები და არც ადათ-წესები მიგაჩნია რაიმედ.

XVI. მამ ასე, ორი ვაფიდან როსციუსს ერთი მუდამ თან ახლდა, მეორე კი სოფელში ჰყავდა გამეხებული. ეს არის და ეს შენი ბრალდების ქვაკუთხედი. გთხოვ, ერუციუს, რასაც ახლა გეგყვი, საწყყნად ნუ მიიღებ. უბრალოდ ერთი რამ მინდა მოგაგონო. თუ მენ ბედმა დაგჩაგრა და არ იცი, ვინ იყო მამამენი<sup>21</sup>, ვერ მიხვდები როგორია მამამეილური სიყვარული. მაგრამ, რაკი ბუნებამ შენც ვაფილადა ადამიანური თვისებები, განათლებული, მწერლობის გრფილი კაცი ხარ, გაიხსენე ცეცილიუსის<sup>21</sup> კომედიიდან მოხუცი. ვითომ მას ნაკლებად უყვარს ვაფი ეგგისი, რომელიც სოფელში ჰყავს გაგდებული, რომ დასაჯოს და მეორე შეილს ქერესტატუსს (მე მგონი ასე ჰქვია მას) უფრო პატივს სცემს და ქალაქში აცხოვრებს? უჰ, რა შორს გაუგოე – გაიკვირებ შენ. მართლაც და, განა გამიძინელებოდა ნიმუშად მომეყვანა რომელიმე მემობელი, ან ჩემი გრიბის წვერი, ვინც სიამოვნებით ამუშაებს შეილს სოფლად, მაგრამ მოვერიდე კონკრეტული პიროვნების დასახელებას სასამართლოზე, ეგებ არ ესიამოვნოთ, ეჩოთიროთ აქ მოხსენიება, თანაც თქვენთვის სწორედ ეს ეგგისია უფრო ცნობილი და რა მნიშვნელობა აქვს, კომედიის გმირს მოვიყვან მაგალითად თუ ვეიის<sup>22</sup> მცხოვრებს. პოეტების მიერ მოგონილ სახეებში ხომ ჩენი ხასიათი და ყოველდღიური ყოფა ჩანს. მოდი, თვალი გაუსწორე სინამდვილეს და დარწმუნდები, ოჯახის უფროსი რა საქმიანობას თელის თავისი შეილისათვის სასიკეთოდ არა მარტო უმბრიაში და მის შემოგარენში, არამედ აქაც, ძველ მუნიციპალიტეტში. მამინ მიხედები, სამხილის უქონლობამ გაიძულა სექსტუს როსციუსისათვის დანაშაულად ის ჩაგეთვალა, რაც სინამდვილეში მისი ღირსებაა.

XVII. ერთი რამეც არის გასათვალისწინებელი. შეილს ვერ აიძულებ, თუ თავადაც არ სურს, მიწას შეალიოს ძალ-ღონე. მე ვიცნობ ბევრს, ვისაც სოფლად ცხოვრება, საქმიანობა სამარცხვინოდ და სათაკილოდ კი არ მიაჩნია, არამედ საპაგიო და სასიამოვნო შრომად. ასეთებს ალბათ თქვენც მრავალს გაიხსენებთ. მენ როგორ ფიქრობ, ერუციუს, სექსტუს როსციუსი მუყაითი მეურნეა? როგორც მისი ახლობლებისაგან, უპატიოსნესი ადამიანებისაგან მსმენია, მან კარგად იცის თავისი საქმე, რასაც შენ ვერ დაიციხნი. ქრისოგონს პკონია, რადგან მამულები აღარ დარჩა, როსციუსმა თავისი საქმიანობა უნდა დაივიწყოს და მიატგოვოს, რაც სამწუხარო და დასანანი იქნებოდა, მაგრამ საბრალო მზადაა, უსიგყვოდ დაითმინოს ეს უბედურება, ოღონდაც თქვენი წყალობით, მსაჯულებო, თავი გადაირჩინოს და პატიოსანი კაცის სახელი დაიბრუნოს. იმის აგანა კი, როცა მისივე ნაყოფიერი მამულების გამო, რომელსაც ძალ-ღონე შეალია, უბედურებაში ახვევენ, ძალიან ძნელია. თითქოს არ კმაროდეს მისი ოფლით მონაგარს რომ სხვები ითვისებენ და მას დანაშაულად მუყაით შრომას უთვლიან.

XVIII. რა სასაცილო იქნებოდა ბრალმდებლის როლში, ერუციუს, ძველად რომ გეცხოვრა, როცა ვუთინისდელებს კონსულებადაც კი ირჩევდნენ. შენ თუ სათაპილოდ მიგაჩნია, გლები იდგეს ხელისუფლების სათავეში, მაშინ აგილიუსმუ<sup>23</sup> რაღას იგყოდი; იგი ხნულში მდგარი იხილეს მასთან წარგვანებებმა, თავისი ხელით თესავდა მარცელეულს. შენ ალბათ მას პატივად და უდიდს ადამიანად ჩათვლიდი. ღმერთმანი, ჩვენი წინაპრები სულ სხვაგვარი მებედულებისანი იყვნენ ამგვარ ვაჟაკებზე, რომელთაც ჩვენი ღარიბი და სუსტი ქვეყანა უბლიერეს და უმდიდრეს სახელმწიფოდ აქციეს; ამას თავიანთ მინდვრებში მუყაითი შრომით მიაღწიეს, სხვისი მამულების დაგაცებით კი არა. მათ სიქველეს და გარჯას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ასე განიერო ქვეყანა, გამრავლდა ხალხით, ქალაქებით, ასე გაიზარდა რომელთა დიდება. ნუ ფიქრობთ, თითქოს ვინმეს მოქმედება მინდა განვსაჯო და მასთან შესადარებლად მოვიყენო ეს მაგალითი. უბრალოდ მინდა დარწმუნდეთ, ჩვენს წინაპრებს შორის იყვნენ ისეთი გამორჩეული, ჩინებული ადამიანები, რომლებსაც სახელმწიფოს მართვაც ხელაწიფებოდათ, მაგრამ მინდვრად მუშაობასაც არ არიდებდნენ თავს. იმ კაცს რაღას უმგუნებთ, ვინც სოფელში დამკვიდრდა, თავი გლებად მიაჩნდა და სიამოვნებით შრომობდა მიწაზე, რადგან იცოდა, ამ სასარგებლო საქმიანობით მამის სურვილსაც ასრულებდა. რადგან სოფელში საცხოვრებლად გაიმეტა, ამით ხსნი, ერუციუს, მამის სამინელ სიძულვილს შეილისადმი? იქნებ დაგემატებინა რაიმე შენი მოსაზრების განსამტკიცებლად. რაგომაც არაო, რისიანად მასსუხო მენ. მამას განზრახული ჰქონდა, არ მიეცა შეილისთვის მემკვიდრეობაო. ეს უკვე სხვა ამბავია. ეს გამოდგება მიზეზად, თორემ აქამდე რასაც ამბობდი, შენც დამეთანხმები, ძალიან უსუსური საბუთი იყო. ლხინში მამასთან ერთად არასდროს უნახავთო. როგორ უნდა ენახათ, თუ რომში არ ჩადიოდა. სტუმრად არავინ ეპატივებოდა ქალაქშიო. რა გასაკვირია, იქ არ ცხოვრობდა და როგორღა მიიწვევდნენ.

XIX. ხომ ხვდები, რა სისულელეებს ამბობ. მოდი, ისევ იმ ერთადერთ მიზეზს დაუბრუნდეთ. რომელიც ჰემმარიც საძხილად გამოდგება. მამას უნდოდა შეილისათვის მემკვიდრეობის წართმევაო. არ გეკითხები, რაგომ დაიჭინა ეს მამამ. მაგრამ შენ თუ იცი, უნდა დაასახელო მიზეზი, შენი მოვალეობა ხომ ეს არის, შენ ხომ ბრალმდებელი ხარ და სამინელი ბოროტება უნდა ამხილო. ამიგომ შენ აქ უნდა გესაუბრა როსციუსის ვაჟის ბიწიერებაზე, თუ რა შესცოდა ისეთი, რამაც ასე გააყოფა მშობელი მამა, რომ გულის სიღრმიდან ამოიგლიჯა პირმშოს სიყვარული. უარი თქვა მის მამობაზე. ფიქრობ, ასეთი რამ მსოფლიოდ შეილის სამინელ, ამამრმენ საქციელს შეუძლო გამოეწვია. რაგომ დუმხარ ამამე? კარგი, რახან ასეა, არც მე ჩავიდგები ჯიბრში. მაგრამ, რაკი მიზეზს ვერ ასახელებ, ცხადია, სათქმელიც არაფერი გაქვს. შეილისთვის მემკვიდრეობის წართმევა სურდაო, რომ ბრძანებ, ამას აუცილებლად სჭირდება დასაბუთება. გაქვს ამის მტკიცების საფუძველი? არა, რაიმე მანინ მოიგონე თავის დასაპერენად, თორემ ხომ ყველა მიხვდება, რა სურვილიც გამოძრავებს – აბუჩად აივლო საბრალო როსციუსი და ფეხქვეშ გათელო აქ დამსწრე პატიოსან ადამიანთა ღირსება. კიდევ ერთხელ გეკითხები, ერუციუს, რაგომ უნდოდა მემკვიდრეობის წართმევა? არ ვიციო – ამბობ. ხომ არ წაართვა. არა. რამ შეუშალა ხელი? არც ამამე მამლევ პასუხს. – ასე ფიქრობდაო. მაგრამ ვის გაანდო თავისი სეამიადი. – არავის. რას ჰგავს ეს. ასეთ მძიმე ბრალდებას უყენებ ადამიანს და არამეთუ ვერ ასაბუთებ, არამედ არც ცდილობ ამას. ნეთუ ამას კანონების, სასამართლოს უგულებელყოფა არ ჰქვია და შენი უფლებების ბოროტად გამოყენება საკუთარი ანგარებისა და გამორჩენისათვის? ყველამ კარგად ვიცი, ერუციუს, როსციუსს მენტან არავითარი შუღლი არ ჰქონია; იმასაც ვხვდებით, რაგომ აცხადებ თავს მის მგრად. როსციუსის ქონება გზიბლავს, ხომ მართალია? ასე როგორ დაგიმონა სისხარებე, რომ არც რემიუსის<sup>24</sup> კანონი ჩაავლე რამედ და არც კეთილშობილ მოქალაქეთა აზრი.

XX. რაც უფრო მეტი იქნება დანაშაულის მხილებათა რიცხვი, მით უკეთესი ქვეყნისათვის. იქნებ თავხელობა მართლმსაჯულების შიმშა შეაჩეროს. მაგრამ ბრალმდებლებმა აბუჩად არ უნდა აივლონ ადამიანები. როცა უდანაშაულოს ბრალს დებენ ეკვის საფუძველზე, შემძიბია შევუნდო ბრალმდებელს, თუ იგი ცილს არ სწამებს, არ დასცინის, თუ ხელჩასაჭიდი საძხილი აქვს და ცდილობს დაასაბუთოს თავისი მოსაზრება. თუ ბრალმდებლები

ბლომად გეყოლება, ეჭვმიტანილ, მაგრამ მართალ კაცს, იმედია, გაათავისუფლებენ, ნამდვილ დამნაშავეს კი, თუ ბრალდება არ დაუმტკიცდა, არ დასჯიან. სჯობს, ბოროტმოქმედი თავისუფლად დადიოდეს, ვიდრე უდანაშაულო დასაჯოს. მოგეხსენებათ, კაპიტოლიუმში რა პატივში ჰყავთ ძაღლები და ბაგები<sup>25</sup>. მათი შენახვისათვის სახელმწიფო იღებს ხარჯებს. ეს ცხოველები გარკვეულ სამსახურს უწევენ ადამიანებს იმით, რომ საჭიროების დროს განგაშს ასგებენ ხოლმე. მართალია, ნამდვილი ქერდის გამოცნობა არ ძალუძთ, მაგრამ ღამით, ვინმე კაპიტოლიუმს რომ მიუახლოვდეს, მაშინვე შეგვაგყობინებენ. ცხადია, მოგჯერ ცდებიან, მაინც ფრიად სასარგებლო საქმეს გვიკეთებენ. მაგრამ თუ ღლისით, ღმერთების თაყვანსაცემად მისულთ ძაღლები ყვეთი მივარდებიან, კანჭებს გადაუმტკერებენ, რადგან უდროოდ დროს იჩენენ სიფრთხილეს. ბევრი ბრალმდებელი ამგვარად იქცევა. მოგი თქვენებანი აყიყინებულ ბაგს გვაიკონებს, რომელსაც ენების მოგანა არ შეუძლია; ზოგიც ავი ძაღლივით ჰყვფს და იღრინება კიდევ. ვიცი, გასამრჯელოს გულისთვის აკეთებთ ამას, მაგრამ იმას მაინც დაეხებით თავს, ვინც ამას იმსახურებს. ხალხს სიამოვნებს ამგვარი სანახაობა. კეთილი, თუ დამნაშავედ მიგაჩნიათ ვინმე, ეჭვმიტანილს უყუფო, რამდენიც გენებოთ. მაგრამ თუ ვინმეს მაშისმკვლელობას აბრალებთ და ვერ ასაბუთებთ ამას, რაგომ ან, როგორ ჩაიღინა ასეთი უშპიძისი ცოდვა და მხოლოდ უაზროდ აყმუკვლებით, წვიტებს არ დაგელეწავენ, მაგრამ ამ პატიოსან მსაჯულთა ამბავი რომ ვიცი, „ი“ ასოს ისე ლამაზად ამოვმანათვეენ შუბლზე, რომ მის გამო სიტყვა კალენდის ხსენებაზე კი გაგაეროლებთ და სამუდამოდ გაგიტრებათ ცილისწამების ხალისი<sup>26</sup>.

XXI. გულმოწყალე ბრალმდებელი, ერთი მითხარი, როსიკუსს სჭირდება ვითომ დამცველი? არის აქ რაიმე საეჭვო? ეშინოდა მეშევიდრეობა არ დაეკარგაო, რომ გეიცხადებ, რაგომ ვერ გვისაბუთებ ამას? მამამისს სურდა ესო, გვეუბნები. რითი ამტკიცებ ამას? ვერაფრით. ისიც არ იცი, მამამ ვისთან ერთად გადაწყვიტა, ვის გაანდო ეს აზრი; თქვენ საიდან გაგიჩნდათ ასეთი ეჭვი, ესეც არ არის ნათელი. ასეთი უსუსური ბრალდება, ერუციუსს, ააშკარავეს შენს ფიქრებს: „რაც ვიკისრე, ვიცი; რა ვთქვა ახლა, ეს კი არ ვიცი. ქრისოგონმა დამარწმუნა, როსიკუსის დატეას ვერაფერს გაბედავდა, რომ კრინგსაც ვერაფერს დაძრავდა მამულების გაყიდვაზე“. აი, ერუციუს, ამან გაგაბედინა სიერუსის თქმა. დარწმუნებული ვარ, რომ გეოდნოდა, მოპასუხე გეყოლებოდა, ხმას არ ამოიღებდი.

თუ მიაქციეთ ყურადღება, მსაჯულებო, როგორ აუღელეებლად, ღინჯად წარმოთქვა სიტყვა ბრალმდებელმა; როგორ წამოღვა მშეიდად და თვალის მოავლო იქვე მსხდომთ, დაჯერებულმა იმაში, რომ როსიკუსს დამცველი არ ეყოლებოდა; მაგრამ ყასილად მაინც იკითხა, ვინ აპირებდა ბრალმდებლის გამოსარჩლებას. ჩემსკენ არც მოუხედავს, რადგან დამცველის როლში წინათ არასოდეს გამოვსულვარ. როცა დარწმუნდა, როსიკუსის გამოსარჩლებისათვის არაფერი იწუხებდა თავს, ვისაც ეს ევალებოდა და ვისაც ეს შეეძლო, გათამამდა. შუა სიტყვის დროს ხან აღვებოდა, ხან დაჯდებოდა; ერთი ორჯერ მონასაც მოუხმო, ალბათ სადილი შეუკეთა. საერთოდ ისე თავისუფლად იქცეოდა, თითქოს მარგო ყოფილიყო, თქვენს აქ ყოფნას არადა აგდებდა.

XXII. დაამთავრა სათქმელი თუ არა, დაჯდა. შემდეგ მე წამოვდექი; ეგყობა, შვებით ამოისუნთქა; ჩემი არ ეშინოდა. დავიწყე ლაპარაკი; იგი ყურადღებას არ მიაქცედა, შევამჩნიე, გვერდით მსხდომთ ექილიკებოდა, ერთობოდა... სანამ ქრისოგონის სახელი არ ეახსენე. ახლა კი იკადრა ჩემსკენ მოხედვა, წელში გასწორდა, სახეზე გაოცება გამოეხატა. მივხვდი, მიზანში მოვარგყი. მეორედ, შესამედაც რომ ეახსენე ეს სახელი, სხვებიც აჩოქოლდნენ, დაიწყეს წინ და უკან სირბილი. ალბათ ქრისოგონთან აფრინეს ვინმე, რომ ეცნობებინათ, როგორ აირია ყველაფერი, გამოჩნდა კაცი, ვინც მის წინააღმდეგ ხმა ამოიღო, უშიშრად ამხილა ბოროტმოქმედთა კაეშირი, სამშეომე გამოიგანა მამულების გაყიდვის ამბავი და მსაჯულთა ყურადღება მიიპყრო. გამოტყვდი, ერუციუს, რომ შეცდი. ხედავ, როგორ შეგრიადდა საქმე. როსიკუსის გამართლებებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევიცა, იმას მაინც მივადწიეთ, ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი ეუწოდეთ, თაღლითთა საქციელი გამოვამაშკარავეთ. შენ გეგონა, როსიკუსს გასწირავენ. ვისაც მისი დალუპვა ჰქონდა დავალებული, სწორედ ისინი გამოექომაგებიან მას. შენი ნაქები სიბრძნე და ცბიერება ვეღარ გიშველის. აღიარე, ხომ ფიქრობდი, აქ სამსაჯურო კი არა, სასაკლაო მოეწყობოდა.

მამ. ასე. დღეს მამისმკვლელობის საქმეს ვარჩევთ. ბრალმძებელი კი ვერ გვისახბუთებს, რაგომ მოკლა მამა შეილმა. მაშინ. როდესაც სულ მყირე ვადაცდომასაც არ დავაბრალებთ კაცს ხელაღებით. სანამ საეულდაეულოდ არ გამოიკვლევთ ყველა წერილმანს სი-მართლის დასადგენად, ერუეყუსი საჭიროდ არ ცნობს, ასეთი უმძიმესი დანაშაულის გა-მომწევეი მიზეზი დაასახელოს. არა და, რამდენი რამის გამოჩხრეკაა საჭირო, აწონ-დაწონვა, მოწმეთა ჩვენების შეჯერება. არც ბრალმძებლის ნიჭმა და თავგამოდებამ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. ბრალმძებლის ცხოვრება ღრმად უნდა შევისწავლოთ, მისხალ-მისხალ, თუ რა უკეთებია, თუ რამ თავხედობა, უზნებობა ჩაუდენია ოდესმე. თუ ეს დადასტურდა, შემდეგ ბოროტების სათავე უნდა ექმებოთ, კვალდაკვალ მივყევთ, რა ვი-თარებაში მოხდა დანაშაული. თუ ასე არ მივიღეთ საქმეს, თუ ასე არ გამოვაამჟიარავეთ, ასეთ უმძიმეს ცოდვას კაცს ვერ დავაბრალებთ. ასეთი ბოროტების წარმოდგენაც კი ძალზე ძნელია, იძუენად ღრმა, სათუთია მამამეილური სიყვარული. მშობელს ვინც დღეს დაუბ-ნელებს, ვისი წყალობითაც თავად იხილა მშის შუქი, მას შეიძლება ადამიანის სახით მოე-ღენილი ურჩხული ეწუროთ, რომელიც თავისი სიმშავით მხეცზე უარესია, რადგან ამ უკანასკნელს ბუნებამ უბობა ნიჭი თავისიანის დანდობისა.

XXIII. მინდა ერთი, არცთუ შორეული ამბავი გავისენო, ბაგონებო. გიგვს ცელიუსი, გარაციენელი<sup>27</sup>, საკმაოდ ცნობილი პიროვნება, როგორ იპოვეს გამთენიისხანს ოთახში ყელგამოღარული, სადაც წინა ღლით ნაგავსმევეს შევიდა თავის ორ მოზრდილ ვაჟთან ერთად მისასვენებლად. სამხილის უქონლობის გამო ეჭვი ვერავისზე მიიგანეს; ვერც მონა და ვერ ამაგი ვერ დადანაშაულებს. ამიგომ ეაყებს დაღეს ბრალი. სხვაგვარად როგორ მო-ქუეუოყენენ, როცა შეილენი ამტკიებდნენ, არაფერი ვაგვიგიათო. მართლაც, როგორ შეი-პარა მეკლელი ოთახში ისე, რომ ორმა ჭაბუკმა ვერაფერი იგრძნო და ვერ უშველა მამას? ამგვარად ეაყებზე ეჭვი მიიგანეს. მიუხედავად ამისა, ისინი ვაათავისუფლეს ამ ბრალდების-აგან მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ მძინარენი იპოვეს ოთახში, კარები კი ღია იყო. ყველამ ირწმუნა მათი უდანაშაულობა, რადგან ასეთი საშინელი ბოროტების ჩამდენი კაცი, მამისმკვლეელი, ვერაფრით მოახერხებს ასე უეცრად დაძინებას; ის კი არა და, მთელი ცხოვრება დაკარგავს სიმშვიდეს.

XXIV. გავისენოთ, რას გვიამბობენ პოეტები, რა გამუდმებით სღენიან ფურიები ღელისმკვლელებს, რომლებიც მამის სისხლის ასაღებად იბრძვიან<sup>28</sup>. მშობელზე ხელის აღ-მართუა, თუნდაც შურისძიების მიზნით, გაუპართლებელია. ასეა, ბაგონებო. სისხლით ნათე-საობა ბერს ნიშნავს, მას განუზომელი ძალა აქვს. იგი ღიდ მოვალეობას გვაკისრებს. ეს არის უანგარო, უუაქიმესი გრძობა, რომელიც გულის სიდრმემდე შეგძრავს; მან შეიძლება თავზე ხელი აგაღდინოს და გაუგონარი სიმშავე ჩავადენინოს. ნუ გგონიათ, გრავედლებში აღწერილი ამბები ნამდვილია. თითქოს უღეთო და ბოროტმოქმედ ადამიანებს ფურიები ანთებული ჩირაღდნებით დასღვენ, მოსვენებას არ აძლევენ; ამ უკეთურებს თავიანთი ცოდვა და სიმშავე უფრო აფორიაქებს, საკუთარი დანაშაული ავიყებს, ჩადენილი ბოროტე-ბის შეენობა და გაამრება აძრწუნებს. აი, ესენი არიან უწმინდურთა მუღმივი ფურიები, რომლებიც ღღენიდაგ ღღენიან ბოროტ შეილებს და მათ დასჯას მოითხოვენ. მშობლის სასიკედილოდ გამეგება შეილის მიერ, უმძიმესი ცოდვაა, რომლის დაჯერებაც კი არ შეიძლება, თუ ამის საუფუძელს დამნაშავის ცხოვრება არ იძლევა. თუ კაცი უგიფარი არის, თავხელი, თავქარიანი, შფოთისთავი, უზნეო, ქარაფშუგა, ვისი სახელიც მრავალჯერ ამოს-ვრულია ლაფში, თუ ამის გამო მამისგან მოძულეებულია, თუ ეშინია, მამამ არ დასჯოს, თუ ცულ მეგობრებში გრიალებს, თუ ჰყავს მონები, რომლებიც მშად არიან ბილწი ზრახვების განხორციელებაში დაეხმარონ, თუ ხელსაყრელი შემთხვევა დაუღება ამ საშინელი ბორო-ტების ჩასადენად, მაშინ შეიძლება ეჭვი შეიგანოთ მასში. მოკლედ, მსაჯულებმა მამის სისხლით ხელმეღებილი შეილი უნდა დაინახონ, რომ ირწმუნონ ასეთი გაუგონარი დანა-შაული. სანამ საშხილი არა გვაქვს, ასეთ ბოროტებას ვერავის დავაბრალებთ, ხოლო როცა ჭეშმარიტებას მივაკვლევთ, მაშინ უქკაცრესი სასჯელი უნდა მიეუზღაოთ დამნაშავეს.

XXV. რომაელებს რომ ბაღალი არ ჰყოლიათ სიმამაკეში, ამას მრავალი ბრძოლა ადასტურებს. სიბრძნეშიაც რომ ვერავინ სჯობნის, ამას ისიც მოწმობს, თუ როგორი



უჩუელო სასჯელი მოიფიქრეს გაუგონარი ავაბაკობისათვის. ამის მიხედვით თქვენ შეგიძლიათ განსაჯოთ, თუ როგორ გამოირჩეოდნენ ჩვენი წინაპრები სხვა ბრძენ ხალხებს შორის. მოგეხსენებათ, რა გონიერულად იყო მოწყობილი ათენთა ძლიერი სახელმწიფო. გადმოცემის თანახმად ამ ქვეყნის მმართველთა შორის უპირველესი იყო სოლონ<sup>29</sup>, რომლის კანონები ახლაც ძალაშია. როცა მას ჰკითხეს, რატომ არ დააწესა სასჯელი მშობლის მკვლელობისათვის, ასეთი პასუხი გასცა: ამის ჩამდენი კაცი არ მეგულებო. ამბობენ, სწორადაც მოიქცა. ასეთი კანონი იმიტომ არ გამოისცა, ვინმეს არ გასჩენოდა სურვილი ამ საშინელი ცოდვის ჩადენისა. აბა, ახლა შეადარეთ ჩვენი წინაპრების წინდახედულება. მათი აზრით თავმებელადებული კაცი ყველაფერს იკადრებს. ერთხელაც იქნება და არას დავიდეთ წმიდათა-წმიდა გრძნობას და ხელს აღმართავს ღვიძლ მამამე. ამიტომ ისეთი სასჯელი მოიგონეს, რომელსაც გამოუსწორებელი ბოროტმოქმედიც კი უნდა შეეშინებინა, ვისაც მშობლისადმი რიდი და პატივისცემა ბუნებამ ვერ ჩაუნერგა. მშობლის მკვლელს ტყაის გულში ჩასვამდნენ ცოცხლად და მდინარეში გადაისროდნენ.

XXVI. აი, რა საოცარი სიბრძნე გამოიჩინეს, მსაჯულებო. მშობლის მკვლელს საზოგადოების ხორცმეგად თელიდნენ და მის ამომანთვას ცდილობდნენ. იგი არც ცამ უნდა მიიღოს, არც მიწამ და წყალმა, არც მშვე უნდა იხილოს ასეთი ბოროტი, ვინც ღვიძლ დედას ან მამას, მისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელს, გაიმეგებს სასიკვდილოდ. იგი ჩვენს საერთო მშობელს – ბუნებას – სიკვდილის შემდეგაც ვერ უნდა მიეკაროს. ასეთ უკეთურს მხეცებსაც არ გადაუგდებენ საჯიჯგნად, რათა უწმინდური სხეულის შეხებით კიდევ უფრო არ გაზმადნენ; მდინარეში არ გადაისვრიან მიშველ ვეფს, რომ წყალი არ წაიბილწოს და არ დაკარგოს უნარი ცოდვების განწმენდისა. მიწა მიცვალებულისაა, ცოცხალი ადამიანის – პაერი, ნაპირი – ტალღით გამოირიყვით. მამისმკვლელები სანამ ცოცხალი არიან, ისე ცხოვრობენ, თავისუფლად სუნთქევენ კი არ შეუძლიათ, მოკვდიან და მათ ძელებს მიწას არ მიაბარებენ, მდინარე აღმა-დაღმა აგარებს, მაგრამ ვერ განწმენდს მათ ლემს, ბოლოს სადმე საღ კლდეზე შეაღწევენ; იქაც ვერ პოევენ განსასვენებელს.

მამ, ერუციუს, ასეთ ბოროტებაში ბრალს ღებ როსციუსს, მიგმი კი არ გსურს მსაჯულებს მოახსენო. აქ რომ ქრისოგონი იყოს მსაჯულად და ის ვაებაგონები, ბრალდებულის ქონებას ეინც დაეპატრონენ, მაშინაც კი გმართებდა სიფრთხილევ, რომ დამაჯერებელი სამხილი წარმოგედგინა დამნაშავეის წინააღმდეგ. მენ, ეგყობა, ვერ გრძნობ, რა ხდება აქ; ან კარგად ვერ შეგიცნია ეს მსაჯულები. კაცს ასეთ მკვლელობას ხელაღებით აბრალევენსაბუთოდ, თანაც ასეთი ბრძენი ადამიანების თეაღწინ, ვისაც კარგად მოეხსენება, რომ უმიგემოდ საერთოდ არაფერი ხდება ქვეყნად.

XXVII. მიგმის დასახელება არ შეგიძლია. კარგი, ასე იყოს. თუმცა თავი ჯამარჯვებულად უნდა ჩავთვალო, როსციუსის უდანაშაულობაში დაჯერებულმა, მაინც უარს ვაცხადებ ჩემს უფლებებზე (რასაც სხვა დროს არ ვაეკეთებდი) და ჩემს რიგს დავითმობ; პასუხი გამეცი არა იმაზე, რატომ მოკლა, არამედ – როგორ მოკლა. მამ, ასე. გეკითხები, ერუციუს, მაინც როგორ მოახერხა ეს? გითმობ მოპასუხის როლს; გინდა სიგყვა შემაწყეეგინე, გინდა კითხვაზე კითხვით მიპასუხე, თანახმა ვარ, ოღონდ მითხარი, როგორ მოკლა მამა? თვითონ ჩასცა მახვილი, თუ სხვას დაავალა ეს საქმე? თუ თავად მოკლაო, ამგეციებ, რომში რომ არ ყოფილა? თუ სხვები დაეხმარნენ, ვინ იყვნენ ისინი? მონები? თავისუფალი მოქალაქენი? სადაური იყვნენ მკვლელები, ამერიელები? კერძოდ ვინ? დაასახელე. თუ რომის მცხოვრებნი იყვნენ, როსციუსი საიდან იცნობდა მათ? იგი ხომ ქალაქში იშვიათად ჩადიოდა და სამ დღეზე მეტ ხანს არ ჩერდებოდა. სად იოვა მკვლელები? ვის ესაუბრა ამაზე, რას შეპირდა ამის საზღაურად? საჩუქრები დაურიგა? ვის მისცა, ვისი ხელით, რა დაუჯდა მათი მოქრთამეა? ჰქონდა ამის საშუალება? საიდან? განა ასე ძირის-ძირამდე არ უნდა ამოვიცნოთ ბოროტების სათავე? აბა, გაიხსენე, ერუციუს, როგორ დავგისურათე როსციუსის ცხოვრება; იყო თავისთვის სოფლად, ქალაქში არ ჩადიოდა, ხმის გამეცემი არაეინ ჰყავდაო. ჯერ-ჯერობით არ მინდა როსციუსის უდანაშაულობის მგეციება დავიწყო. ერთს მოგახსენებთ მხოლოდ: სოფელში ცხოვრება ისე მძიმე და დამქანცველია, რომ კაცს ავკაცობისათვის დრო არ რჩება. როგორც ყველა ჯიშის მუენარე თავის შესაფერის ნიადაგზე ხარობს,

ასევე ყველა დანამაულს თავისი ხელისმემწყობი პირობები, დრო და ადგილი სჭირდება გამოსავლენად. ქალაქი ფუფუნებისა და ვანცხრომის ბუდეა, სადაც სიხარბე და გაუმაძღრობა ბაგონობს. რაც თავისთავად თავხედობის წყაროა; ეს ყოველივე ბოროტების სათავეა. სოფლად ცხოვრება, მენ რომ უხეშს უწოდებ, ერუციუს, კაცს მომჭირნეობას, სიბეჯითესა და სამართლიანობას ასწავლის.

XXVIII. ამავე აღარ ვაგვარებულეს საუბარს. ერთი რამ გამაგებინე მხოლოდ. ასეთი ავაზაკობა როგორ ჩაიდინა ისე. რომ მკვლელობის ადგილას არ ყოფილა. ან როგორ დაფარა კვალი საგულდაგულოდ, როგორც მენ უწოდებ, ასეთმა უკარებამ? შეიძლება კაცმა ცრუ ბრალდება მოიგონოს, მაგრამ ისე ამტკიცოს, მსაჯულებო, მართლაც გაგვიჩნდეს ეჭვი დანამაულის არსებობისა. თუ როსციუსის საქმეში, მის უდანამაულობაში ვინმეს ეჭვი შეეპარება, მზად ეარ, მეც მათ შევეუერთდე. სექსტუს როსციუსი რომში მოკლეს, როცა მისი შვილი ამერიამი იყო. ვთქვათ და, წერილი გაუგზავნა რომელიმე ყაჩაღს, მაგრამ ვის? რომში არავის იცნობდა. მოიხბო ალბათ, ვინმე ვინ? როდის? იქნებ შიკრიკი გაგზავნა. მერე და ვინ და ვისთან? ვინმე წააქემა დაპირებებით, საჩუქრებით? წარმოუდგენელია. ამის გაუიქრებაუ კი შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მაინც ვიხილავთ საქმეს მამისმკვლელობის თაობაზე.

იქნებ მონებს მოაკლევინა მამა? ო, უკედავო ღმერთებო! დახეთ ამ უბედურებას. როსციუსს იმის ნებაუ არა აქვს (რაც ყველა უდანამაულოსათვის დასაშვებია), მოიხმოს თავისი მონები და თავი იმართლოს სასამართლოზე. ასეთი სიმდიდრის პატრონს ერთი პირისუარეშიც არ შეარჩინეს. თქვენ წაჰგვარეთ მას მონები, თქვენ, ვინც მას ბრალს დებთ. ახლა უბელიუს სეპიონისა და მარკუს მეგელუსს<sup>30</sup> მსურს მიემართო. რამდენჯერ გთხოვთ სექსტუს როსციუსმა შუამდგომლობა თავის მგრებთან, მისთვის მამის ორი მონა რომ დაეგოვებინათ. ხომ გახსოვთ, გიგუს როსციუსმა უარი თქვა. ხომ ასეა? სად არიან ეს მონები? ქრისოგონს ახლავან. მას დიდ პატივში ჰყავს ისინი. გთხოვთ, მსაჯულებო, დაეკითხოთ მონები, ამასვე გვეუბრებათ ეს საბრალო ბრალდებულიც. რა მოხდა? რაგომ ამბობთ უარს, ბაგონებო? ნუთუ კიდევ საეჭვოა, ვინ მოკლა როსციუსი? მან, ვინც მამის სიკვდილის შემდეგ გაჭირვებაში და უბედურებაში ჩაეარდა, ვისაც იმის ნებაუ არა აქვს, საჩივარი აღძრას მკვლელების წინააღმდეგ. თუ მან, ვინც მამულები მიისაკუთრა, ვინც თავს არიდებს სასამართლოს, ვინც მკვლელობაში გაწაფულია და თავს ამით ირჩენს? ძალზე სამწუხაროა ასეთი უსამართლობა უდანამაულო ბრალდებულის მიმართ, მაგრამ ყველაზე საეალალო ის გახლავთ, რომ შვილს უფლება არა აქვს, დაკითხოს მამის მონები, განაჩენის გამოგანამდე მაინც მათ ბაგონად იგრძნოს თავი. ამ საკითხებს მოგვიანებით ისევ მიუბრუნდები. ახლა, ჩემი ფიქრით, რაკი გაეაქარწყლეს ბრალდებულის მიმართ გამოთქმული უსაფუძვლო ეჭვები, ნება მიბოძეთ, დაპირებისამებრ როსციუსის თავხედობაზე მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა.

XXIX. ახლა მენთან მაქვს საქმე, ერუციუს! უნდა ვაგვარკვიოთ, ეს ბოროტება სექსტუს როსციუსმა როგორ ჩაიდინა. თავად არ მოუკლავსო, ამას აღიარებ. მაშ, ვინმე დაესმარა? ვინ? აზაგი? კეთილი, მაგრამ რაგომ არ გვაძლევს პასუხს, სად ან როგორ იპოვა მკვლელი, ვისი საშუალებით გაიწიო, რა შესთავაზა გასამრჯელოდ ან როგორ ენდო. მე გიმტკიცებთ, იგი არ არის დამნაშავე; უფრო მეტიც, ვერ ჩაიდენდა ამ ბოროტებას. უკვე რამდენი წელია ქალაქში არ ყოფილა, მამულიდან ფეხი არ გაუდგამს უმიზეზოდ. ერთი გზა დაგრჩენია, ერუციუს, დაასახელო მონები, რომლებიც როსციუსმა წააქეზა. ეს არის შენი ნეუსაყუდელი, სადაც თავი უნდა შეაფარო, რაკი სხვა ეჭვები გაგიქარწყლეს. მაგრამ აქ ისეთ კლდეს შეენარცხები, მენს ბრალდებებს სულ ნამსხვრევვევად აქევეს და შენვე გადმოგაყარის თავზე. ახლა რაღას იცევის ჩენი ბრალმდებელი, რაღას მოიგონებს კიდევ. დრო იყო ისეთიო – აესხადებს იგი – კაცის მოკვლისათვის არავის სჯიდნენ, მკვლელებიც ბლომად იყენენ, ასე რომ, როსციუსს თავისუფლად შეეძლო ასეთი ბოროტების ჩადენაო. ზოგჯერ მგონია, ერუციუს, ორი კურდღლის დაჭერას ცდილობ. ჩვენ სასამართლოთი გვაშინებ და ვინც მოგისყიდა, იმის დადანამაულებასაც არ ერიდები. კაცს განუკითხავად კლავენარო, რომ ამბობ, რაგომ არ ავეიხსნი, ვის კლავდნენ, ვისი ბრძანებით ხლებოდა ეს. ხომ არ ვაგვიწყდება, ვისი ნებით მოხვედო აქ; ვინც ჩამორთმეული მიწები ჩამოგორივიათ. მერე რაო? იკითხავ ალბათ. განა არ ვიციო, მკვლელებიცა და მამულების დამნაწილებლებიც ერთი და იგივე ხალხია.

ისინი კბილებამდე შეიარაღებულნი დაძრწობდნენ რომში, სისხლსა და ნადავლში ცურავდნენ და ახლა იმხანად გაბატონებულ სისასტიკესა და უსამართლობას სექსტუს როსციუსს აბრალებენ. რომში რომ მკვლელთა ბანდები დათარეზობდნენ, რომელთა წამქეშებლები ეს ვაებატონები ბრძანდებიან, თურმე ესეუ ბრალდებულის დანამაული ყოფილა. არა და, ამ საბრალოს წარმოდგენაც არ ჰქონდა ქალაქში დაგრიანებულ ამბებზე, რადგან, ერუციუსის თქმით, სოფელს არ გასცილებია.

ემიზომ, ბატონებო, თავი არ შეგაწყინოთ; არ გვეგონოთ, ეჭვი შემაქვს თქვენს გონიერებაში და ამიგომ გიმტკიცებთ ასე დაბეჯითებით მას, რაც თავისთავად ეხადია. ერუციუსის ყველა ბრალდება, ჩემი აზრით, გავაბათილეთ. იმედია, არ მომთხოვთ დღემდე გაუგონარი დანამაულის, სახელმწიფო ხაზინის ძარცვის საქმის გარჩევას. ერუციუსს რომ ეუსმენდი, მოგჯერ მტყვენებოდა, ხომ არ შეეშალა და სხვა დანამაულს ხომ არ განიხილავს, იქნებ საბრალდებულო სიგყვები აერია შემთხვევით – მეთქი; იმიგომ, რომ ხეირიანად არც მამისმკვლელობაზე ულაპარაკია, არც ბრალდებულის მოქმედება გაურჩევია დაწერილვით. უბრალოდ, ადგა და როსციუსი დამნამაუედ გამოაცხადა. თუ ამისთვის ლიგონი სიგყვები კმარა, მამინ მეუ ეაცხადებ, რომ მისი ეჭვები უსაფუძვლოა, თუ მოწმეებზე დადგა ჯერი, აქაც უკეთესად გვაქვს საქმე, ვიდრე მას ჰგონია.

XXX. ახლა იმ საკითხებს მსურს შევეხო, რაც მაინცდამაინც არ მსიამოვნებს, მაგრამ მოეალე ეარ მათზე ვისაუბრო. მე რომ ბრალდებულის საქმიანობა მიმიდაედეს, ისეთ ცნობილ პიროვნებას დაეცხმოდით თავს, ვისი წყალობითაც სახელს მოვიხევეჭდი. მაგრამ სანამ უფლება მაქვს ჩემი სურვილის მიხედვით ვიმოქმედო, ამას არ გავაკეთებ. რადგან ჩემი აზრით, ის არის ღირსეული პიროვნება, ვინც წარმატებას თავისი სიქველის მეოხებით მოიპოვებს და არა ის, ვინც სხვისი მწუხარებისა და მარცხის წყალობით აღმუდებდა. მოდი შევთანხმდეთ: ნუ ეიმტყრეთ თავს არარსებული დანამაულის გამოვლინებაზე; ბოროტება იქ ეეჭვებით, სადაც არის და სადაც შეიძლება მიეაკელოთ. თავედაც კარვად მოგვხსენება, ერუციუს, დანამაულის დამტკიცებას მრავალი საეჭვო შემთხვევის განხილვა სჭირდება. მაგრამ პირადად მე ყველაფერს არ შევეხები; ეეცლები არ დაეწრილმანდე, ზედმეტი არ ეილაპარაკო, მოგ რამეზე თავს შევიკაეებ. მერწმუნეთ, ამასაც უხალისოდ ეაკეთებ, აუცილვბლობის გამო. მხოლოდ იმაზე ვისაუბრებ, რაც ჩემს საქმესთან უშუალოდ არის დაკავშირებული და რაც როსციუსის გამოსახსენლად არის საჭირო.

შენ ეერაფერი სამხილი წარმომიდგინე სექსტუს როსციუსის წინააღმდეგ, ერუციუს. მე კი მაქვს საფუძველი, ბრალი დაედო გიგუს როსციუსს. დიახ! დიახ! შენთან მაქვს საქმე, გიგუს როსციუსს! ბრალდებელთა შორის რომ გამოჭიშულხარ, ამით ხომ ამკარად აღიარებ, რომ ჩენი მტერი ხარ. კაპიტონზე მოგვიანებით ვისაუბრებ. ეიცი, მოწმედ აპირებს გამოსელას. აი, მამინ გამოვამბურებთ მის საგმირო საქმეებს, რომელთა შესახებ მე ყველაფერი ვიცი. რომაელები ყველაზე სამართლიან და გონიერ მსაჯულად ლუციუს კასიუსს<sup>31</sup> თვლიდნენ. მას სასამართლოზე ერთი კითხვის დასმა უყვარდა: „მერე და ვის აძლევს ეს ხელს?“ ცხოვრება ასეთია, თუ ბოროტმოქმედს გამორჩენისა და წარმატების იმედი არა აქვს, დანამაულს არ ჩაიდენს. განაჩენის მომლოდინენი მიშით თრთოდნენ ლუციუს კასიუსის წინაშე; ედილობდნენ მათი საქმე იმ დროს არ გავრჩიათ, როცა კასიუსი იყო სასამართლოს თავმჯდომარე. გაურბოდნენ ამ მკაცრ მსაჯულს. თუმცა იყოდნენ, ჰემმარიტებას არასდროს უღალატებდა. მე თუ მკითხავთ, უარს არ ვიგყოდი დამეცვა როსციუსი ლუციუს კასიუსის მსაჯულთა წინაშე, სადაც თავმჯდომარე ეს შეუვალი პიროვნება იქნებოდა, თუმცა მისი სახელის გაგონება დღესაც აშფოთებთ ბრალდებულთ, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ სასამართლო სხდომას ღირსეული პიროვნება უძღვება, ბოროტმოქმედთა შეურიგებელი მტერი და უღანაშულოთა ქომაგი.

XXXI. მამინდელ დროს რომ დენახათ, როგორ წაართვეს ჩემს ბრალდებულს აურაცხელი სიმდიდრე და რა გასაჭირში ჩაავდეს მისმა მტრებმა, ვისთვის იყო ეს ხელსაყრელი – არ იკითხავდნენ მსაჯულები. ეჭვიბიანილნი ამკარად ისინი იქნებოდნენ, ვინც სხვის ნადაულს დააცხრნენ და არა ის, ვინც გაღარიბდა. გაიხსენე, გიგუს როსციუს, რა ლაგაკი იყავი უწინ, ამასთანავე ხარბი და თავხედი; ისიც არ დაგავიწყდეს, სექსტუს როსციუსს რომ

ვერ იგანდი. ნუთუ ამის შემდეგ კიდევ საჭიროა მიზეზის ძებნა? რამ გიბიძგა ასეთი სამინილი დანამაჟულისაკენ? ნუთუ ვინმეს ძალუმს ამის უარყოფა? როსციუსის საბრალლო ვაჟი თავისი სიღუბნის დაფარვას თუმცა ძალიან ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს. მენ კი არც მალაე მენს სიხარბეს. ნათესავის, თანამოქალაქის ქონებას რომ დააპატრონებოდი, სრულიად უცხო ადამიანს შეუამხანაგავდი. მენს თავხედობას რომ არა აქვს სამანი, ეს იქი-დანაჟ ჩანს, სხვას რომ ყველაფერს თავი დაეანებოთ, მენი თანამშრომლებიდან მხოლოდ მენ ვაბედე აქ ურცხვად მოსვლა. იმის ნაცეალად, დაიმალო, ბრალმდებლებთან ერთად მოი-კალათე და უგიფრად უჩვენებ სახეს ყველას. სხვა რაღა დაგრჩენია, უნდა აღიარო, რომ სექსუსს როსციუსი გბულდა, ქონებას ედავებოდი. როგორ ფიქრობთ, მსაჯულებო, კიდევ გეკვებათ რაიმე? რომელია ბოროტმოქმედი, ვინც როსციუსის სიკვდილმა გაამდიდრა, თუ ის, ვინც გააღარიბა? ვინც, სიმდიდრეზე დახარბებული, აუგად იხსენიებს ნათესავეებს, თუ ის, ვისაც თვალი არასდროს გაუბოღდა სხვისი ქონებისაკენ და მუდამ თავისი შრომით ირჩენდა თავს. გეკითხებით, ვინ არის მკვლეელი, ვინც ჩამორთმეული ქონების შემსყიდ-ველთა შორის თავხედობით გამოირჩევა, თუ ის, ვისაც ფორუმზე და სასამართლოზე ყოფნა ეწოთირება; მსაჯულთა სავარძლების დანახვაც კი აკრთობს და საერთოდ ქალაქურ ცხოვრებას ვინც ვერ ეგუება. როგორ ფიქრობთ, ბატონებო, მამას მტრად გაუხდებოდა ასეთი შვილი?

XXXII. მენ რომ ამდენი სამხილი გეპოვნა, ერუციუს, კაცი ვერ შეგაჩერებდა, იმდენს ილაპარაკებდი; დრო არ გეყოფოდა; რამდენიმე დღეს თითოეული წერილმანის განხილვას მონადრომბდი; სიტყვები არ შემოგვლეოდა. მართალი ვითხრათ, არც მე ვარ უენო. თავს კი არ ეიქებ, მაგრამ არა მგონია, მენ ჩემზე მკვერმტყველი იყო. მაგრამ დამცველთა უმარმა-მარ არმიამი მე არ ვჩანვარ, მენ კი კანეს ბრძოლამ ჩინებული ბრალმდებლის სახელი მოგიხვეჭა. მრავალი ხოცვა-ჟლეტა გვინახავს ტრასიმენის<sup>32</sup> ტბასთან, უფრო მეტი – სერ-ვილიუსთან. ვინ არ დაჭრილა იქ ფრიგიული მახვილით?<sup>33</sup>

არ ვიცი, რომელი ერთი მოვიგონო: კურციუსები, მარიუსები, ისინი, ვისაც ასაკმა ხელი ააღებინა ბრძოლაზე; ბოლოს თვით მოხუცი პრიამოსი – ანგისტიუსი მინდა დაეასახელო, ვისაც არა მარგო ასაკმა, არამედ კანონმაჟ ააღებინა ხელი პაექრობამზე<sup>34</sup>; რომელი ერთი ჩამოეთვალო. ზოგის სახელი ვიცი, ზოგი მათგანის – არა, რომლებიც დაუნდობლად ამხ-ელდენ კაისმკვლელებს, საშალის ოსტაგებს. მე რომ მკითხოს კაცმა, ნეტავი ცოცხალი იყოს ყველა. ძაღლების სიმრავლე დიხახე აუცილებელია, მით უფრო ახლა, საღარაჯო და გასაფრთხილებელი როცა ბევრია, თვალყურის დევნებაც ცოტას როდი სჭირდება. ომიანო-ბისა და არეულობის გამს, როცა იმპერატორებს უამრავი სამრუნავი ჰქონდათ, ბევრმა ის-არგებლა ამით და საკუთარი ჭრილობების მოშუშება დაიწყო. ისინი ყველაფერში ურეედნენ ხელს, ყველგან ცხვირს ჰყოფდნენ, თითქოს ქვეყანა ჩალით ყოფილიყო დახურული. ერთ-ნაირად გაელიტეს ყველა, ბრალმდებლებიცა და მსაჯულებიც; ერთი რამ მიკიერს, სავარძლები როგორ არ გადაწვეს სასამართლო დარბაზში, მართლმსაჯულების კვალი რომ გამქრალიყო. საბედნიეროდ შემოგვრჩენ მონუმენტი მათი უზნეობისა; ყველას ხომ ვერ ამოხოცაენდენ, ამის დიდი წადილიე რომ ჰქონდათ. სანამ ადამიანთა ჯილაგი იარსებებს, ბრალმდებლებიც იქნებიან; სანამ სახელმწიფო არის, მართლმსაჯულებაც უნდა იყოს. როგორც აღრე მოგახსენეთ, ერუციუსს რომ ხელჩასაჭიდი მიზეზი ჰქონოდა, დაუსრულებლიე ილაპარაკებდა. ამას მეუ მოვახერხებდი, მსაჯულებო, მაგრამ ხომ გაგაცანით ჩემი განზრახვა – მინდა ვისაუბრო უშუალოდ საქმეზე, დანარჩენზე კი – მოკლედ. ამით მსურს დაგარწმუნოთ, რომ ვინმეს დადანამაჟულება კი არ არის ჩემი მოვალეობა, არამედ ბრალდებულის დაცვა.

XXXIII. მამ, ასე. ბოროტების გამოშვევე მიზეზებზე მემოთ მოგახსენეთ, ახლა ვნახოთ, მეძლო თუ არა გიგუს როსციუსს ამ სამინილი განზრახვის განხორციელება. სად მოკლეს სექსუსს როსციუსი? რომში. მენ, გიგუს როსციუსს, სად იყავი ამ დროს? რომში. ამას რა კავშირი აქვს საქმესთან? ჩემს ვარდა რომში უამრავი ვინმე იყო – მიპასუხებ მენ. არა, მენ ვერ მიზიხედი. მე იმას კი არ ვკითხულობ, ვინ მოკლა როსციუსი, ვის შეეძლო-მეთქი მისი მოკლა: რომში მუდმივად მცხოვრებ კაცს, თუ მას, ვინც ძალზე იშვიათად ჩადიოდა იქ-ახლა სხვა საკითხსაც შევეხობთ. ერუციუსის ნათქვამს გავიხსენებ. იმ დროს მკვლელები

თავისუფლად დათარეშობდნენ და განუსჯელად მუსრაედნენ ხალხსო. მაინც ვინ იყვნენ ამ ბანდის წევრები? მე მგონია, ისინი ან ჩამორთმეული მამულების მემსყიდველები არიან, ან მათ მიერ დაქირავებული მკვლელები. თუ შენც ფიქრობ, რომ ისინი სხვისი ქონების დაპაგრონების მსურველი არიან, გახსოვდეს, შენც მათ რიცხვს ეკუთვინი. განა შენ ჩვენი ფულეებით არ გამდიდრდი? ან იქნებ, რბილად რომ ეთქვათ, ხანჯლის გრიალში გაწაფული ვაგბაგონები არიან ამ ბრბოს წარმომადგენლები? თუ მეთანხმები, ბარებ ისიც მოგვახსენე, ვისი კლიენტები არიან, ვინ მფარველობს მათ? კარგად გაიხსენე, შენი მოკავშირენი ხომ არ არიან ისინი? თუ უარის თქმას აპირებ, ჯერ შევადართო ერთმანეთს შენი და როსციუსის პასუხები. შენ ამბობ: მერე რა, რომ რომიდან ფეხი არ მომიცვლიათ. როსციუსი – „მე ხომ იმხანად სულაც არ ეყოფილვარ რომში“. შენ – „არ ვებალავ, სხვებივით მეც შევისყიდე ჩამორთმეული ქონება“. როსციუსი – „მე ხომ, შენი სიგყევით, უბირი გლეხი ვარ, სოფლელი“. შენ – „მკვლელების წრეში თუ ვგრიალე, ეს არ ნიშნავს, მეც ასეთივე ვარ“. როსციუსი – „მე ხომ არც ერთ მკვლელს არ ვივინობ, ამიგომ უფრო შორსა ვარ ასეთი დანაშაულისაგან“. ესა და კიდევ სხვა მრავალი მიზეზი გვაფიქრებინებს, რომ შენ გქონდა შანსი ამ ბოროტების ჩადენისა. მაგრამ ამჯერად ამაზე არაფერს ვიგყვი, იმიგომ კი არა, ვერიღებოდ შენს დადანაშაულებას. არა, როსციუსის მკვლელობის მსგავსი მაგალითების მოყვანიტო (რაც ნათელი მოჰქონდა ჩვენს საქმეს), სიგყვა ძალიან რომ არ გამიგრძელდეს.

XXXIV. ახლა მოკლედ დანარჩენ ამბებზეც შევხები, როსციუსის მკვლელობის შემდგომ, რომ დააგრიალე. ეს ისე გახმაურებული და ცნობილია ყველასათვის, დიდად არ მეხალისება მათი გახსენება. შენ ისეთი ჯურის ადამიანი ხარ, ერუციუს, ვშიშობ, ვინმე შენდამი უნდობლობა არ დამწამოს; თითქოს შენს გასამგყუნებლად არაფერს ვერიღებოდე. ამიგომ, შინდა ლმობიერება გამოვიჩინო, ამასთანავე ჩემს მოვალეობასაც არ ეულალაგო, მაგრამ ეერ ვახერხებ, რადგან შენი თავებლობა მახსენდება უმალ. შენი თანამშრახველნი ბოროტების ჩადენისთანავე გაიქცნენ და შიიძალნენ; სასამართლოს არც მოჰკარებინან. აქაოდა, აქ როსციუსის დანაშაული განიხილება და არა – ჩვენს მიერ ნადაელის შიგაუკებისაო. შენ გეყო გამბედაობა და ბრალმდებელთა შორის შიიკალათე. მეგიც, სიგყვით გამობხედი. მაგრამ რას შიილწიე ამით? ვერაფერს, ვარდა იმისა, რომ ყველასათვის ცნობილი გახდა შენი თავებლობა და უგიფრობა. როსციუსის მკვლელობის ამბავი ვინ ჩაიგანა შირეულად ამერიამი? აკი მოგახსენეთ, გლავიამ-მეთქი. იგი ხომ შენი მეგობარი და კლიენგია. რაგომ ვაუწყა სწორედ შენ, თუ ეს ცნობა შენთვის სისიამოვნო არ იქნებოდა? თუ მასზე არ ოცნებობდი, თუ შის ქონებაზე არ გეჭირა თვალი? თუ კაცისმკვლელებთან არ ვითათბირია ამამე? თუ მათ ჯილდოს არ შეჰპირებინარ? თუ საერთოდ არ ვარეულხარ ამ ბოროტებაში? შალიუსმა თავისი სურვილიტ მუწყა ესო. რაგომ? იქნებ იგი ამერიამი შემთხვევით მოხვდა და სხვათაშორის ვიამბო რომის ამბები? გეითხები: რა ესაქმებოდა მას ამერიამი? მე რა ვიცი, გულთმისანი ხომ არ ვარო – შიიასუხებ შენ. ახლა ისეთ კითხვებს დავსვამ, რაც ნათელს მოჰქონს ყველაფერს. გიგუს როსციუსთან რა შიარბენინებდა, როცა ამერიამი შქონდა სექსტუს როსციუსს სახლი, იქ იყენე შისი ცოლ-შვილი, ახლობლები, ნათესავები, მოკეთენი. რითი ახსნათ ეს ყველაფერი? შირეულად რადა გიგუს როსციუს კაპიგონს აუწყა ეს შემშარავი ამბავი შენმა კლიენგმა, მაცნემ შენი ბოროტი შრახებებისა? განსვენებული იმ დროს მოკლეს, როცა საშობობა ვადასული იყო; გამთენიისხანს ამერიამი უკეე ყველაფერი იცოდნენ. ასე სწრაფად როგორ შიიარბინა? რას შიივწროთ შისი ასეთი სულსწრაფობა? ნუ შიიშობ, გლავიამ. არ ვკითხვობ, ვინ მოკლა-მეთქი. არც შენს ვაჩხრეკას ვაპირებ, მახვილი ხომ არა ვაქვს თან. ჩემი ამრით, ეს სხვისი მოვალეობაა. რაკი ვავარკვიე, ვისი რჩევით არის მოკლული, ადარ ვეძებ ჯერჯერობით, ვინ არის მკვლელი. ერთი რამ ძალზე საყურადღებოა; იგი შენს აშკარა დანაშაულზე ღალადებს. გლავიამ ეს ამბავი ვისგან ან როდის შიიგყო? ასე სწრაფად როგორ ვაიგო? დავუშვათ, მაშინვე მოჰკრა ყური, რა საჭირო იყო იმავე ღამეს წამოსულიყო? ეთქვათ და, საქმე შქონდა ამერიამი, რადა შინცდამაინც ღამით გამოემგზავრა და სულმოუთქმელად ირბინა?

XXXV. რა დიდი გულთამხილობა სჭირდება სიშართლის დადგენას? საშხილი არაა საკმარისი? არ გეჩვენებათ, ბაგონებო, თითქოს თვალნათლივ ხედავდეთ, რაც აქ შიიში-

ნეთ? განა ასე არ არის, მსაჯულებო? ნეთუ თეაღწინ არ დაგიდგათ სექსტუს როსციუსი, სალილობიდან შინ მიმავალი, რომელიც ვერ გრძნობს მოსალოდნელ სიფათსა და უბედურებას. ხომ ცხადად ხედავთ, როგორ ვერაგულად ეხსმიან თავს? გლაეციას თუ ამჩნევთ აქვე? ავერ გიგუს როსციუსი, ვინც თავისი ხელით ჩასვა ეგლში ეს აეკომედონგი<sup>35</sup> სამინელი ბოროტებისა და უწმინდური გამარჯვების მაუწყებლად? თან რომ ევედრებოდა, თვალი არ მოეხუჭა მთელი ღამე და სასწრაფოდ მიეხარებინა ეს ამბავი კაპიტონისათვის. ვითომ მას რაგომ უნდა შეეგყო ეს სხვაზე აღრე? არ ვიცი. ერთი რამ ნათელია ჩემთვის, სექსტუს როსციუსის ქონების ნაწილი სწორედ გიგუს როსციუს კაპიტონის ხელშია ამჟამად. ცამეტი მამულიდან სამი, ყველაზე საუკეთესო, მისი კუთვნილებაა. კაპიტონისათვის ასეთი დანაშაული უცხო როდია; ბევრჯერ გამოუჩენია თავი ამგვარ საქმეებში, მაგრამ ასე უხვად არასდროს დაუსაჩუქრებიათ. კაცის მოკელაში ვინ შეედრება; ვინდა მახელილს ჩასცემს ვერაგულად. ვინდა მხამს შეასმევს. მეგსაც გეცყვით, არაფრად ჩაავლო წინაპართა ჩვეულება და გიბრძნი ჩაავლო სამოცს მიგანებული კაცი<sup>36</sup>. ამას დაწვრილებით მამინ გიამბობთ, როცა აქ მოწმედ გამოვა. ვიცი, ამას აპირებს. ოღონდაც მოვიდეს, გამალოს თავისი გრაგნილი და ერუციუსის მიერ მისთვის საგანგებოდ შეთხზული სიგყვა წავეციკითხოს. ამბობენ, სექსტუს როსციუსს დაქაღანებია, სასამართლოზე მოწმედ გამოვალ და ყველაფერს ვიგყვიო. აი, მესმის მკაცრი, მიუკერძოებელი მოწმე. ამ უწმინდესი კაცის ჩვენებას თქვენც სიამოვნებით მოისმენთ, მსაჯულებო, ირწმუნებთ მის ჟიეს და დაეთანხმებით. ალბათ გავვიძინელებოდა ამ უკეთურთა გამომგურება. თავიანთი სიხარბე, თავხედობა და ველური ეინი რომ არ ამხელდეს მათ.

XXXVI. ერთმა მათიგანმა<sup>37</sup> მკელელობის შემდეგ სასწრაფოდ აფრინა მაცნე თავის მოკავშირესთან და თანამზრახველთან. ასე რომ, ძალიანაც რომ უარზე დადგენ, არაფერი გამოუვათ. ვიცი, ვინ არის მკელელი, დანაშაული გამოამკარავებულია. მეორე ავაბაკი<sup>38</sup>, თუ ღმერთები ინებებენ, მოწმედაც გამოვა. უენაურია, თითქოს მის სიგყვეს ვინმე ენლობდეს, სექსტუს როსციუსის წინააღმდეგ აპირებს ჩვენების მიცემას, იმის ნაცულად, რომ პასუხი ავოს თავის საქციელზე. ჩვენი წინაპრების მიერ დადგენილ წესს თუ გავითვალისწინებთ, რაგინდ უზნიშნელო, წვრილმანი საქმე ირჩიოდეს, უმენავსი ხელისუფლების წარმომადგენელსაც არ შეუძლია თავის თავს მოწმედ დაუდგეს. სიკიბონ აფრიკელიც კი, ვისი მდესახელი ამკარად მეგყველებს ქვეყნის წინაშე მის დამსახურებაზე, ვინც ღელამიწის მესამელი დაიმორჩილა, არ იყარებდა მოწმედ გამოსულას, თუ საქმე მასაც შეეხებოდა. თუმცა ვერ ვიგყვი იმას, ასეთი აღმზიანის ჩვენებას ვინმე საეჭვოდ გახდიდა-მითქი. ღლეს კი რა გვიჭირს? ხედავთ, როგორ გაუკუღმართდა ყველაფერი? საქმე ქონების მითვისებას და მკელელობას ეხება, მოწმედ გამოსულას კი აპირებს ჩამორთმეული ქონების შემსყიდველი, ავაბაკი, ვინც გარეულია როსციუსის მკელელობაში და ვინც მისი მამულების მეპატრონეა ამჟამად.

აბა, ახლა გვიბრძანე, დიდებულო ვაეკაყო! გაქვს რაიმე სათქმელი? გაფრთხილდი; იყოღე. თავი არ წაავო. დამიჯერე, აქ ძალზე მნიშვნელოვანი საქმე ირჩევა; შენც ხარ მასში გარეული. რაბდენი თავხედობა, ბოროტება, უმნეობა ჩაგიდენია ერუციუსის ჩაგონებით. ერთი დიდი სისულელე თავად მოიფიქრე, აქ რომ გამოგვეჭიმე. ვის სჭირდება უცყვი ბრალმდებელი! ან სად გავიგია, მოწმე მამხილებელიც იყოს. აქამდე თქვენს სიხარბეს ასე ამკარად არ ამქლავნებთ. ახლა კი არაფერს ერიდებით. ნეტავი რის თქმას აპირებ, ან ვინ მოგისმენს? შენ და შენი თანამზრახველები ისე იქცევით, თითქოს საკუთარ თავს მგრობდეთ და ჩვენს სასიკეთოდ ირჯებოდეთ.

XXXVII. დაეუბრუნდეთ, ბაგონებო, სექსტუს როსციუსის ამბავს. მისი მკელელობიდან ოთხი ღლის შემდეგ სულას ბანაკში, ეოლაგერასთან ქრისოგონს აუწყეს ყოველივე. საკითხავია, ვინ აფრინა მასთან მაცნე? უეჭველია, მან, ვინც ამერიამი გაგმანა მიკრიკი. ქრისოგონი სასწრაფოდ დაგრიალდა როსციუსის მამულების გასაყიდად. თუმცა როსციუსი თვალთაყ არ უნახავს, არც მისი ქონების თაობაზე იყოღა რამე. მამ ვინ ჩაავლონა ხსენის მამულები დაენაწილებინა? ამის პასუხად, დარწმუნებული ვარ, მსაჯულებო, ასე იგყვიოთ: „ალბათ ვინმემ უთხრა, მუნიციპიების მესოვრება, ან რომელიმე მეგობრებმა. განა ცოგაა მათ შორის ენაჭარგალა და მამბეღარა?“ მაგრამ ეს ხომ ვარაუდი იქნება. ასე ხომ მეუ

შეიძლება ვიმსჯელო: როსციუსების ჩადენილია ეს საქმე, ქრისოგონს ისინი დიდი ხანია იცნობენ. მართალია, ადრე სხვა პაგრონები ჰყავდა, რომელთაზე სტუმართმოყვარეობა აკაეშირებდათ, მაგრამ მათ გაუორგულდნენ და ქრისოგონს მიეკედლნენ, მისი კლიენტები გახლნენ.

დაწერილებით გეცოდით ყოველივეს, მაგრამ რა საჭიროა. თავადაც ვერ უარყოფენ, რომ მათი ჩაგონებით დაადგა თვალი ქრისოგონმა სექსუს როსციუსის ქონებას. თავად რომ იხილოთ, ამ ცნობის საბლაურად ვინ მიიღო ჯილდო მამულები, მაშინაც ვერ მიხვდებით, ვინ იყო ამ საქმის აებან-ჩაებანი? მაინც ვის უწილა ქრისოგონმა განსვენებულის მამულები? როსციუსებს, კაპიტონსა და მაგნუსს. კიდევ ვის? სხვას არავის, ბაგონებო! ხომ ნათელია, ვისი წყალობით მიაკვლია მან ამ ნადავლს?

ახლა ქრისოგონის მსჯელობის მიხედვით როსციუსების საქციელი განვიხილოთ. თუ ისინი დიდად არ გარჯილან, რატომ დასაჩუქრა ასე გულუხვად ქრისოგონმა? თუ მხოლოდ მკვლელობის ამბავი აუწყეს და სხვათაშორის მამულებზე ჩამოუგდეს სიციცვა, ხომ შეიძლებოდა ამ ცნობისათვის მადლობა ეთქვა მათთვის; თუ მაინცდამაინც დასაჩუქრება სურდა, პატივისცემის ნიშნად მცირე საბოძარიც იკმარებდა. რა საჭირო იყო, სამი ნაყოფიერი მამული კაპიტონს რომ უბოძა, დანარჩენი კი მაგნუსთან ერთად გაინაწილა? ნუთუ არ არის ნათელი, რომ როსციუსებს ნადავლის ნაწილი ქრისოგონმა იმიტომ დაუთმო, რომ მათ დროულად შეაგყობინეს ამბავი?

XXXVIII. კაპიტონი სულასთან გაგზავნილ ელჩებს შორისაც ვერა. მის ვერაგულ ბუნებას აქედანაც იოლად ამოიცნობთ; თუ გვრაც ვერ დარწმუნებულხართ, ბაგონო მსაჯულნო, რომ მას არც სამართალი სწამს, არც მოვალეობა, ყველაფერი შეუძლია ფეხქვეშ გათელოს; თუ თქვენ მისი ავკაცობისა არ გჯერათ, რა ექნა, გეგონოთ პატიოსანი კაცი. ჰოდა, ამ კეთილშობილმა პიროვნებამ დაუშალა ელჩებს სულასთან მისვლა. მერე კი ქრისოგონს გაუშვილა მათი თათბირი. ამ უკანასკნელს აუხსნა, რა საშიში იქნებოდა მისთვის ამ ამბის გახმაურება, რადგან ქონების გაყიდვა გაჭიანურდებოდა, ქრისოგონი დაზარალდებოდა და თავად კაპიტონიც საფრთხეში ჩაეარდებოდა. ასე თვალთმაქცობდა, აცყუებდა ელჩებს, ცრუ იმედებს აძლევდა, თავის თანამშრახველს კი მალევე აფრთხილებდა, აქებებდა, ხელი შეეშალათ ელჩებისათვის, თავის წილზე ხშირ-ხშირად ესაუბრებოდა, თანამოქალაქეების შესაყოვნებლად ახალ-ახალ მიმგებებს იგონებდა; ესენიც ენდნენ და გაბრიყვებულები სულას ვერ შეხვდნენ. ამის შემოწმება არ არის ძნელი, თუ ელჩებს მოიხმობთ და დაჰკითხავთ. ასე რომ, ნაცულად იმისა, წარმატებით დაესრულებინათ თავიანთი მისია, კაპიტონის მომიტევი მინ დაბრუნდნენ.

წინათ ასეთ რამეს რომ ჩაიდენდა კაცი, დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებდა ქონების გამოძალვის ან გამოჩენის მიზნით, უმნეოაო, მასზე იცყოდნენ. თუნდაც წვრილ-მან საქმეში გამოვლენილი დაუდევრობაც კი ღიდ სირცხვილად ითვლებოდა. კაცის გაწბილება ქურდობის გოლფას დანაშაულად მიაჩნდათ. ასეც არის. მე გგონია, ისეთ საქმეს, რომლის გაკეთება ჩვენ თავად არ ძალგვიძს, მეგობარს ვანდობთ. მისი დახმარების იმედი გვაქვს. და თუ იგი ჩვენს დნობას არ გაამართლებს, ამით იგი უგულებელყოფს სამოვალეობრივი ცხოვრების წესებს, ილაშქრებს ისეთი ადამიანური თვისებების წინააღმდეგ, როგორც არის ურთიერთმხარდაჭერა და თანადგომა. აბა, ერთი კაცი ყველა საქმეს ხომ ვერ გაწვდება. ამიტომ გვჭირდება მშველელი და თანამომარე. მეგობრობა ხომ სხვისი კეთილდღეობისათვის უანგარო სამსახურს ნიშნავს. რად უნდა დაივალო რამე, თუ უგულისყუროდ მოეკიდები, ან თუ უორგულებ მეგობარს, მენ რომ ხეირი ნახო. რად თვალთმაქცობ, დახმარების ნაცულად ხელს რად მიშლი ფარულად? მომეგვი, სხვების შემწეობით გავაკეთებ ჩემს საქმეს. მოვალეობის გეირთს რად იღებ, თუ გარება გიჭირს. ეს ჭკპანი მათთვის არის მსუბუქი, ვინც ჯაბანი არ არის.

XXXIX. ამიტომ ასეთი საქციელი მძიმე დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ორ უწმინდეს გრძნობას შეურაცხყოფს: მეგობრობასა და რწმენას. მეგობრის სჯერა კაცს, მას ენდობა, მისი ერთგულების იმედი აქვს. მხოლოდ მნედაცემული უღალატებს მეგობარს და ამით საფრთხეში ჩააგდებს მას, ვინც ირწმუნა მისი ფიცი. ასე არ არის განა? კაცი, რომელიც

უკლისყუროდ მოეკიდება მცირე დავალებასაც კი, უნდა დაისაჯოს ისე, რომ სირცხვილით თავი ვერ გამოყოფს ხალხში. ახლა მითხარი, რას იმსახურებს ის, ვისაც განსვენებულის პაგ-იოსან სახელსა და მისი მემკიდრის ქონების პაგრონობას ანდობენ და ის მკვლარსაც უღა-ლატებს და ცოცხალსაც. შეიძლება ასეთ ადამიანს წესიერი კაცის სახელი ჰქონდეს? აქვს მას ამ ქვეყნად არსებობის უფლება? დაუღვერობის გამო ძალზე უმნიშვნელო დავალების მესურსულებლობისათვის დამნაშავეს პაგიუს აპყრიან. სადაც სამართალია, ასეთ დროს პასუხი იმას კი არ უნდა მოჰქითხო, ვინც არ შეასრულა დავალება, არამედ იმას, ვინც დაავალა, ვინც ნდობა გამოუცხადა. რა სასჯელი უნდა მიეზღოს, რა განაჩენს იმსახურებს ის, ვისაც ასეთ მნიშვნელოვან საქმეს ანდობენ და ის, თავისი დაუღვერობით პირადად ეინ-მუს კი არ მოუგანს მიანს, არამედ შეარცხენს, ლაფში ამოსვრის ელჩობის წმინდა სახელს. სექსტუს როსციუსს თავად რომ ეთხოვა კაპიტონისათვის თავისი საქმის მოგვარება, ქრისოგონთან შეამდგომლობა და ნება მიეცა ემოქმედა თავისუფლად, თუ კაპიტონი ამაზე დათანხმდებოდა, მაშინაც კი მართებდა სინდისიერად მოქცევა. მაგრამ თუ ოდნავ მაინც ხელს მოითბობდა ამ საქმით, როგორ მიგაჩნიათ, ხომ უნდა დაესაჯა იგი სამედიაცორო სასამართლოს, აყუარა პაგიუს და თუ რამ მიითვისა, აქმულებინა, უკანვე დაებრუნებინა. სექსტუს როსციუსის საქმე ხომ ლეკურიონებმა დააეალეს მას და არა როსციუსმა. კაპიტონი კი როგორ მოიქცა? მცირე მოგვებს როდი დასჯერდა, მთელს ქონებას დააცხრა; სამი საუ-კეთესო მამული მიითვისა, თავისი ფიცი დაივიწყა; აბუჩად აიგდო ლეკურიონთა და მუ-ნიციპიის მოქალაქეთა სურვილი.

XL ახლა ისიც მოისმინეთ, ბატონებო, შემდეგ რა ჩაიდინა და დარწმუნდებით, იგი არაერთარ ავკაცობაზე არ იტყვის უარს, საკუთარ თავსაც არ დაინდობს და ლაფში ამოს-ვრის თავის სახელს. ამხანაგის გაწბილება, თუნდაც უმნიშვნელო საქმეში, დიდი უმნეობაა, ისეთივე უმნეობა, როგორიც ის დანაშაული, რაზეც გემოთ მოგახსენეთ. რადგან კაცი როცა თანამდგომს იპოვის, გულდაკერებულია და თუ იგი გასწირავს და მოაგყუებს, ვიდას უნდა ენდოს მერე, ვისი იმედი უნდა ჰქონდეს? ეს ისეთი მოულოდნელი დარტყმაა, რომელსაც ვერაფრით აიცილებ; უცხო ადამიანს შეიძლება გული არ გაუხსნა, მეგობარს კი აუ-ცილებლად გაანდობ მენს ხეამიადს; მასთან თუ ფრთხილად იქნები, თუ მოერიდები, მაშინ არც გციოდნია ფსი ამ წმინდა გრძობისა. ჩვენი წინაპრების აზრით ამხანაგის მოღალატე კეთილშობილი მოქალაქეთა რიგებიდან უნდა ამოერიცხათ. გიგუს როსციუსმა არა მარტო ერთი მოკაემირო მოაგყუა და ფულები დასციხლა (რაც თავისთავად მძიმე დანაშაულია, მაგრამ მაინც მოსათემენია), არამედ ცხრა დიდებული პიროვნება, რომელთადაც ერთად იყისრა ელჩობის წმინდა მოვალეობა, გააცურა, გაასულელა, უმტრო, ვერაგულად მოექცა, მოწინააღმდეგესთან გასცა. ისინი არ ელოდნენ მოკაემირისაგან ასეთ მუხანათობას, ენდო-ბოდნენ მის სიგყვას. ამ ჩინებულ ადამიანებს საყვედურებით იკლებენ, სათანადო სიფხიმლე და წინდახედულობა რომ ვერ გამოიჩინეს და ვერ მიუხვდნენ მზაკერობას კაპიტონს. ეს გაიძვერა მოღალატე, აქეთ-იქით რომ დაძვრებოდა და ელჩების თათბირს ქრისოგონს აყ-ნობდა, ბოლოს დაუფარავად მიემხრო მას. ახლა ჩვენ გვაშინებს, გათამამებული იმით, რომ ვერაგობისათვის ასე უხვად დაჯილდოვდა როსციუსის მამულებით. მის მიერ ჩადენილ მრავალ ავკაცობას ეს ახალი დანაშაულიც დაერთო, განსჯის საგნად რომ ვაქციეთ ახლა. სადაც ვერაგობა, სიხარბე, თავხედობა, გაუმადლობა და უმნეობაა, იქ ყოველთვის დანა-შაული იმალება. თუმცა ბოროტება ისეთია, თავის თავს თვითონვე გამოამჟღავნებს. ამიტომ არ ღირს ამ თავგასული ადამიანის სხვა ბიწიერებაც გამოვამჟღეროთ, რათა დაერწმუნ-დეთ. რომ მისი ხელი როსციუსის საქმეში ურევია. სიმართლე თავის გზას იპოვის. ჭემ-მარიტება მალე დადგინდება. თქვენ რას იტყვოდით, მსაჯულებო? ნეთუ ფიქრობთ, რომ გლა-ლიაგორთა მწვრთნელმა მახვილზე ხელი აიღო; ან მოსწავლე ჩამორჩება მას ხელოვნე-ბაში? ორივე ხარბი, უტიფარი, მნედაცემული და თავხედი. გყუი ძმებივით ჰგვანან ერთ-მანეთს.

XLI. მასწავლებლის პაგიოსნებაში ხომ დარწმუნდით, ახლა მისი შეგირდის სამართალ-საც ვაუკანით. როგორც ადრე მოგახსენეთ, ამ მკვლელობის თაობაზე ორი მონის დაკითხვა იყო საჭირო. მაგრამ მენ, გიგუს როსციუს, უარი თქვი. რატომ? უკანონობად მიგაჩნდა ეს



მოთხოვნა, ბრალდებულის ბედი არ გალევებდა თუ იმ ადამიანებს არ სცემდი პატივს, რომლებიც ითხოვდნენ მონების მოხმობას სასამართლოზე? ესენი ხომ უკეთილშობილესი, ჩინებული პიროვნებები არიან. ხომ დაგისახელეთ ისინი. მათ ისე უმწიკლოდ იცხოვრეს, კაცი არ მეგულება ამ ადამიანებზე აუვის მთქმელი. მერედა ეს გამოექომაგნენ ისინი? საბრალო, გაუბედურებულ კაცს. ვინც ჯვარს ეცმებოდა, ოღონდ მამამისის საქმე რიგიანად გამოექელიათ. მათ მოთხოვნაზე შენი უარი ნიშნავდა იმას, რომ ამ ბოროტებაში გედო წილი. მამ რა მიზეზით აეხსნათ შენი საქციელი? მონებმა ხომ თვითონ იხილეს, როგორ მოკლეს სექსტუს როსციუსი. მათ არც ბრალს ედებ, არც ვამართლებ. საეჭვო მხოლოდ ის არის, რატომ არ რთავთ ნებას, გამოცხადდნენ სასამართლოზე. თქვენ ისეთ პატივში გყავთ ისინი, უთუოდ გემინიათ მათი. ალბათ ისეთი რამე იყიან, რისი გამხელაც თქვენ ხელს არ გაძლევთ. მონების დაკითხვა თავიანთი ბატონის საქმეზე უკანონობააო – გაიძახით. კეთილი. მაგრამ მათი ბატონი აღარ არის სექსტუს როსციუსი. იგი ბრალდებულია. იმ მონების პატრონი თქვენ ბრძანდებით. ახლა ისინი ქრისოგონთან არიანო – გვიპასუხებთ. გასაგებია. ჩანს, ისე მოეწონა მათი სიბრძნე, დახეწილი ქცევები, რომ ვერ შეეღია; თავისთან უნდა ჰყავდეს იმ მხიარულ, ყველანაირ ხელოვნებაში გაწაფულ ყმაწვილებთან ერთად, დიდებულ ოჯახებში რომ შეარჩია საგანგებოდ. ალბათ არ უნდა ამ ვლესუკების, ამერიელი მიწისმუშების გვერდიდან მოცილება. არა, ბატონებო! ქრისოგონი მათი განათლებით, გონიერებით, ან მუყაითობით და პატიოსნებით როდი მოიხიბლა. აქ სულ სხვა ამბავია. ეს მათი საიდუმლოა, რომელსაც რაც უფრო გულმოდგინედ მალავენ, მით უფრო ამკარავდება.

XLII. მამ, რას ნიშნავს ყოველივე? ქრისოგონს არ სურს მონების დაკითხვა, რომ მის მიერ ჩადენილი ბოროტება არ გამომქლავდეს? არა, მთლად ასე არ არის საქმე. ყველა ერთნაირი როლია. ამგვარი ჰქვი ქრისოგონის მიმართ არც მქონდა და არც ახლა მაქვს. გახსოვთ, სექსტუს როსციუსის საქმე ნაწილებად რომ დავეყავი: ცილისწამება, რომლის დასაბუთება ერუციუსს მქონდა მინდობილი და თავხედური განზრახვა, რომლის განხორციელება როსციუსებმა იკისრეს. ყოველგვარი მკვლელობა, ავკაცობა, დანაშაული როსციუსებს უნდა მიეაწეროთ. რაც შეეხება ქრისოგონს, მისი სახელი და გავლენა დიდად გვიმლის ხელს დამნაშავეთა გამოამკარავებაში. ამიგომ, მსაჯულებო, უნდა შეასუსტოთ მისი ძალა და პასუხიც აგებინოთ თავის საქციელზე. ამის უფლება თქვენ გაქვთ, ბატონებო. ჩემი ამრით, ვინც მომხრეა მკვლელობის თაობაზე მოწმეთა დაკითხვისა, მას ჰქმნარიგების დადგენა სურს, ვინც წინააღმდეგია, იგი აღიარებს თავის მონაწილეობას ამ ბოროტებაში, თუმცა ვერ ბედავს ამის გამხელას. იმთავითვე მოგახსენეთ, მსაჯულებო, ამ ვერაგული დანაშაულის თაობაზე ბევრს არ ვილაპარაკებდი და მხოლოდ მის გამომწვევ მიზეზს შეეხებოდი, რადგან ეს საქმე ბევრ სხვა საკითხს წამოჭრიდა, რისი დაწვრილებით განხილვა არ გამიჭირდებოდა, მაგრამ არავითარი ხალისი არა მაქვს ზედმეტად ვაეჭიბო ჩემი სიტყვა; რაც უშუალოდ საქმესთან არის დაკავშირებული, მასზე ვისაუბრებ ცოტას, ხოლო რაც საეჭვოა და მრავალ მტკიუებას საჭიროებს, ის თქვენი ნიჭისა და გონებისათვის მომინდვია, ბატონებო.

XLIII. ახლა ქრისოგონზე, ამ მართლაც „ოქროსკამე“<sup>39</sup> მოგახსენებთ, რომელიც მოკავშირეთა სულისჩამდგმელი და მფარველია. მასზე საუბრის დაწყება მიჭირს, არც ვაჩუმება შემიძლია. თუ არაფერი ვთქვი, მაშინ ჩემს დასკვნებს ძალა ეკარგება. თუ ხმას ამოვიღებ, მარგო ის კი არ იგრძნობს თავს შეურაცხყოფილად, არამედ სხვებიც. ქონების ჩამორთმევასა და გაყიდვაზე ბევრს ვერაფერს ვიგყვი, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. სექსტუს როსციუსის მამულები ქრისოგონმა შეისყიდა. აი, აქედან დაევიწყეთ. როგორ მოხდა ეს? რა იყო ამის მიზეზი? ამით იმის თქმას არ ვაპირებ, რამდენად უზნეობაა უდანაშაულო ადამიანის მამულების გაყიდვა. არ ვიცი რამდენად გამართლებულია ამის განცხადება და როგორ ჩამომართმეთ ამას, მაგრამ სექსტუს როსციუსი არ გახლდათ ისეთი გამოჩენილი პიროვნება, რომ მის ბელს ძლიერ შეეეფოთებინეთ; მე უფრო ერთი ჰქმნარიგების დადგენა მსურს: რომელი კანონის ძალით გაიყიდა მისი მამულები: ვალერიუსის თუ კორნელიუსის. ახლაც არ ვიცი, რომელი მათგანი მიუსადაგეს სექსტუს როსციუსს. რადგან

ამ კანონთა თანახმად იმ კაცის მამულების გაყიდვა შეიძლება, ვინც საპროსკრიპციო სიებშია შეტანილი (მათი როსიუსის გვარი არ არის მოხსენიებული), ან იმათი, ვინც მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოკლეს (მაგრამ როსიუსი სულას დამცველთა შორის იყო). როცა ბრძოლა დამთავრდა და მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყო, ნასამზრალი, შინისაკენ გულარხინად მიმავალი კაცი მოულოდნელად მოკლეს რომში. თუ ამ მკვლელობის გამართლება შეიძლება, ვაღიარებ, რომ მისი ქონების გაყიდვაც შესაძლებელი იყო. სოლო თუ მისი მკვლელობა ყოველგვარი კანონის (ძველისა და ახლისა) დარღვევაა, მაშინ გუკითხებით, რა უფლებით გაიყიდა განსვენებულის მამულები.

XLIV. ალბათ ესურს იყოღ, ერუციუს, ვის დასახელებას ვაპირებ. შენ რომ გგონია, იმისას არა. აკი იმთავითვე მოგახსენეთ, სულაზე რასაც ვფიქრობდი. იგი თავისი არაჩვეულებრივი სიჭეულთით მუდამ გამორჩეოდა. მე ქრისოგონს ვადანაშაულებ. მან შეითხზნა ყველაფერი; თითქოს სექსტუს როსიუსი უღირსი მოქალაქე იყო, რომ იგი მოწინააღმდეგეთა შორის გრიალებდა და სწორედ იქ მოკლეს. ქრისოგონმა სულასთან მისასუელი გზა მოუჭრა ელჩებს, რომელთაც სიმართლის მოხსენება სურდათ ამ საქმის თაობაზე. ერთ რამეზე მაქვს ეჭვი, განსვენებულის ქონება სულაც არ გაყიდულა საჯაროდ. ამის გამორკვევა არ არის ძნელი, თუკი მსაჯულები ამას იხებებენ, მე გგონია, კანონის თანახმად პროსკრიპციებისა და მამულების გაყიდვის ვადა იენისის კალენდა იყო. როსიუსის მკვლელობა და მისი ქონების გაყიდვა რამდენიმე თვის შემდეგ მოხდა. გამოდის, რომ განსვენებულის გვარი პროსკრიპციებში ან არ არის შეტანილი და ეს გაიძვერა თვალში ნაქარს გეაყრის, ან თუ სიებში მოხსენიებულია სექსტუს როსიუსი, სიყალბე ჩაუდენიათ და გვიან შეგვანიათ, რომ მისი ქონების გაყიდვა კანონიერად ყვნოთ. მგონი, შეეცდი, მსაჯულებო, და ნაადრევად წამოვიწყე ამ თემამე საუბარი, იმის ნაცულად როსიუსის სიყოყნულე გამოვიხსნა, მისა საქმეებს გამოვიღვენე. ამ საბრალოს კი არც ქონებისა და არც უხუცესის დარდი აქვს. მეს ერთი სურვილი აქვს მხოლოდ: უსაფუძლო ეჭვები და ბრალდება მოიშოროს და სხვა ვასაჭირს იოლად გაუძლებს, სხვას არ შეაწუხებს. ეთხოვთ, ბატონებო, მომისმინოთ; სათქმელი კიდევ დამრჩა ცოტა. ხან ჩემი სახელით ვილაპარაკებ, ხან როსიუსის ნაცულად; დაიწყებ იმაზე საუბრით, რისი მოთმენაც შეუძლებელია; რაც ყველა ჩვენგანს შეეხება, თუ დროულად არ მივიღებთ მომებს. ამას ჩემი გულისტკივილი და მწუხარება მალაპარაკებს; როსიუსის ცხოვრებას, მის საქმეს შემდგომ ვატყობთ; მის სათქმელს ჩემი სიგყვის დასასრულს მოგახსენებთ.

XLV. მამ, თავს ვანებებ ბრალდებულს და ქრისოგონს ეეკითხები: რატომ გაყიდეს იმ პატიოსანი მოქალაქის მამულები, რომელიც არც მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოუკლათ და პროსკრიპციებშიც არ იყო შეტანილი მისი სახელი. ეს ხომ უკანონობაა. რატომ გაყიდეს მამულები მას შემდეგ, როცა ამ კანონმა შეწყვიტა მოქმედება. რატომ გაყიდეს ასე იაფად? ქრისოგონს სურს, როგორც გათავებულულ აზაგებს სჩვევიათ, თავის პატრონს გადააბრალოს ყველაფერი, მაგრამ ეერაფერს ვახდება. ვინ არ იყის, რამდენი რამ დაუშალეს სულას, როცა მას მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა გადასაწყვეტი, ამ დროს მისი სახელით ბევრი უსამართლობა ჩაიდინეს; ზოგის თაობაზე მან არაფერი იცოდა, ზოგიც კი მისი სურვილის ვარემე მოხდა. მერე? შეიძლება გაეამართლოთ ასეთი უყურადღებობა? არა, მაგრამ იგი გარდაუვალია, ბატონებო! როცა იუპიგერი, უზენაესი და უძლიერესი ღვთაება, ცის, მიწისა და ზღეების მფლობელი, ძლიერ ქარიშხალს, ჰაანაქებას, საშინელ ყინვებს მოაუღენს ამ ქვეყნად, მუსრს ავლებს ადამიანებს, ანგრევს ქალაქებს, ანადგურებს ნათესებს – ჩვენ ამას ბუნების ძალებს ვაბრალებთ და არა ღვთის ნებას. ხოლო ბუნების სიკეთეს: შუქს, ჰაერს, ურომლისოდაც ვერ ვიარსებებთ, იუპიგერის წყალობად მივიჩნევთ. რა ვასააკირია, მსაჯულებო, ლუციუს სულას, რესპუბლიკის ერთადერთ მმართველს, ვის მამაცობას, ვის მიერ შემოღებულ კანონებსაც უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენი ქვეყნის ძლიერებას, რაიმე გამორჩევი; თუ ღვთაებრივი ძალა ვერ წედება ყველაფერს, ადამიანთა გონება როგორ შეძლებს ამას.

ყველაფერს რომ მოვეშვით, ვინ არ იყის, რაც მოხდა, რაც ახლა სდება. ამის მოთავე და სულისჩაბდგმელი მხოლოდ ქრისოგონია. მისი სურვილით აღძრეს როსიუსის საქმე; მისი

გული რომ მოეგო, იმიტომ დათანხმდა ერუციუსი ბრალმდებლის როლი ეკისრა. ეს ხომ თავად აღიარა...

XLVI<sup>40</sup>... მეორე შენთან პალაციუმიდან მობრძანდება, თავისი სახლიდან. მას მშვენიერი აგარაკიცა აქვს მოსასვენებლად; ვარდა ამისა, რამდენიმე დიდებული მამული ქალაქთან ახლოს; ახლა სახლს არ იკითხავთ? კორინთული და დელოსური ლარნაკებით აქვს მორთული; არც ავგეპსა<sup>41</sup> აკლია, ამასწინათ რომ შეიძინა მლაპრულ ფასად. როცა მას ჰყილდნენ და ფასი ხმამაღლა გამოაცხადეს, გამელელს ეგონა, მამული იყიდებო. ეს არაფერი; იყით, რამდენი ვერცხლის ნივთი, ხალიჩები, სურათები, მარმარილოს ქანდაკებები აქვს მინ?. იმდენი, რამდენი ნაალაფები შეიძლება ერთმა სახლმა დაიგოს. ეს ოდესღაც დიდებულთა ქონება იყო, ომის დროს რომ დაიგაცეს. მსახურებსა და მონებს ნულარ იკითხავთ, უამრავი ჰყავს, თანაც რჩეული და მრავალ ხელოვნებაში დაოსტატებული. მზარეულებზე, ხაბაზებზე, მეგახტრევენებზე აღარას ვამბობ; მემუსიკენიც ბლომად ჰყავს; რა საკრავის, რა სიმღერის ხმა არ გამოდის მისი სახლიდან. ღამე თანამეინახებთან ერთად დროს აგარებს და ხმაურით იკლებს იქაურობას. ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი ფული სჭირდება ასეთ ხელგამლილ ცხოვრებას, ამდენი წვეულების გადახდას, ასეთ მდიდრულ სახლქარს, თუ შეიძლება მას სახლი ეწოდოს. ის უფრო უწმინდურთა თავმესაფარია და თავქარიანთა სკოლა. თავად ქრისოგონი კოხგად თმადეარცხნილი, გამოპრანჭული დასეირნობს ფორუმზე გოგოსანთა მრავალრიცხოვანი ამალით. ხომ ამჩნევთ, როგორ ზემოდან უყურებს ყველას. თავისზე უკეთესი, უძლიერესი, უბედნიერესი ქვეყნად არავინ ეგულება. გიაბობოდით მის მიზნებსა და სურვილებზე, მაგრამ ვიმიობ, ვინზე ბრძიყვამ კეთილმოზილ მოქალაქეთა წინააღმდეგ გამოსვლად არ ჩამითეალოს ეს. მე მგონი, მათდამი მგრობას ვერაინ დამწამებს იმის გამო, რომ რაც არ მომწონს აქეთ მხარეს, ხმამაღლა ვაღიარო.

XLVII. ვინც მე მიცნობს, იცის, მუდამ ეედლოზბდი ორად გათიმულ მოქალაქეთა შერიგებას. მაგრამ, რაკი ეს არ მოხერხდა, რამდენადაც შემძლო, მხარი დაუჭირე მათ, რომელთა გამარჯვება გულით მეწადა და გაიმარჯვეს კიდეც ყველამ კარგად დაინახა, რომ მდაბალინ მათზე აღმატებულთ ექიმპებოდნენ, უტიფარნი — ღირსეულთ. მხოლოდ უზნეო ადამიანები არ შეუერთდნენ მათ, რომელთა გადარჩენას რესპუბლიკის ღირსების შენარჩუნება და ქვეყნის გარეთ მისი გაელენის გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. დიდად სასიხარულოა, მსაჯულებო, რომ ყველას თავისი პატივი და ღირსება დაუბრუნდა. ყოველივე ამას ღმერთების ნებით, რომაელი ხალხის ძალისხმევით, ნეგარი ლუკიუს სულას ბრძნული გადაწყვეტილებით, მისი წინამძლოლობით მივაღწიეთ. ეფიქრობ, სამართლიანად დაისაჯნენ, ვინც მთელი არსებით წინ აღუდგნენ რომაელი ხალხის სურვილს. მისასაღმებელია, რომ ღირსეულად დააფასეს ისინი, ვინც ქვეყნის კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ. მათი სურვილი ხომ ამ გამარჯვების მოპოვება იყო. გამოვიგყდებით, რომ მუდამ მათ თანავუგრძნობდი. მაგრამ თუ იარალი მხოლოდ იმისთვის აისხეს, რომ მნედაცმული ადამიანები სხვის ქონებას დახარბებოდნენ, სხვისი ფულებით გამდიდრებულყვენ; თუ ასეთ არამზადებს საყვედურსაც ვერ შეეკადრებთ, სიგყვას ვერ დაეძრავთ მათ ვასაკიცხად, მაშინ ასეთი ბრძოლის მიზანი რომაელი ხალხის აღორძინება და ფეხზე დადგომა კი არ ყოფილა, არამედ მისი დაცემა და დაძაბუნება. მაგრამ მართლა ასე ხომ არ არის, ბაცონებო! თუ თქვენ მათ თავგადასულობას შეაჩერებთ, ამით კეთილმოზილთა ღირსება კი არ შეილახება, არამედ ამაღლდება.

XLVIII. ვისაც ამეამინდელი ვითარება არ მოსწონს რესპუბლიკაში, მისი აზრით, ქრისოგონს მეგისმეგი უფლებები აქვს მინიჭებული; ვინც ღღევანდელი ღლით კმაყოფილია, მას რომ ჰკითხოთ, ქრისოგონისათვის ამდენის ნება არავის მიუციაო — გეცყით. ახლა მხოლოდ სულელს ან უტიფარს შეუძლია თქვას: „ჩემთვის რომ ნება მოეცათ“... მათ ასე ვუპასუხებდი: „ვინ ვიმლის, თქვი, რაც ვინდა“. ამას გაეაკეთებდიო... გააკეთე, ნება გეძლევა. ასე დავადგენდიო... დაადგინე, ოლონდ მართებული გადაწყვეტილება მიიღე. ყველა დაცე თანხმება. ასეთ განაჩენს გამოვიგანდიო... ყველა მხარში ამოვიდგება, თუ კანონიერად განსჯი. იყო დრო, როცა ერთი კაცის ხელში იყო ძალაუფლება, ამას ვითარება მოითხოვდა, შემდეგ მანვე დააწესა მოხელეთა არჩევა; კანონებიც შემოიღო; ყველას დაუბრუნა თავისი

სახელი და ღირსება. და შეუნარჩუნებს კიდევაც მას, ვინც ამას მოისურვებს. ხოლო თუ ისინი ამგვარ მკვლევლობებს, მარცვა-გულჯას არ მოიშლიან, ან ასეთი საქმეების ხელისშემწყობნი იქნებიან. მაშინ... არ მინდა ცუდი რამ წამომცდეს, ენამ არ მიყვილოს, ერთ რამეს კი ვიგყობი: თუ ჩვენი ხელისუფლების შესევეური სიმამაცეს არ გამოიჩინენ, თუ გულმოწყალენი და კეთილგონიერნი არ იქნებიან, სჯობს თანამდებობა მათზე ღირსეულთ დაუთმონ, ვინც ამ თვისებებით არიან გამორჩეულნი. ამიტომ ნუ მოეჩვენებათ ცუდად გაბედულად ნათქვამი სიმართლე, ქრისოგონზე აუცი მათ შეურაცხყოფას არ ნიშნავს. დაფიქრდნენ კარგად, ნუთუ სამარცხვინო და დამამცირებელი არაა ის, რომ მხედართა წრის წარმატება ვერ აიგანო და მონის ბატონობას შეეგუო? იგი უწინ სხვა ფორმით ვლინდებოდა, ახლა როგორ სახესაც მიიღებს, მალე დარწმუნდებით. ეს ბატონობა თქვენს ერთგულებას, ფიქს, განაჩენს, ყოველივე წმინდას და სელმუხებელს ემუქრება. ნუთუ ქრისოგონი აქაც იმედოვნებს თავისი გავლენის გამოყენებას? რა საშინელებაა, რა უბედურებაა! ასეთი გულსტკივილით იმიტომ კი არ ვლაპარაკობ, თითქოს მართლაც დიდ ეინმედ მიმანდეს იგი, არა! ერთი რამ მაწუხებს ძალიან. როგორ გაბედა გულში იმის გავლება, რომ თქვენს შორის, ასეთ ღირსეულ ვაკეაყებში იყოფიდა თანამშრახველს, ვინც უდანამაულო კაცის გაწირვაში დაეხმარებოდა.

XLIX. ამიტომ იბრძოდნენ დიდებულები ხმალამოდებულები ძალაუფლების დასაბრუნებლად, რომ მონებსა და აზაგებს თავისუფლად მიეთვისებინათ კეთილშობილთა ქონება, სიმღღრე და სიოცხლე გაემწარებინათ ჩვენთვის? თუ ასეა, უნდა ვაღიარო, შეემცდარეარ, მათ რომ თანავეურძნობდი; თუმცა იარაღით ხელში არასოდეს ემდგარეარ მათ გვერდით. ხოლო თუ ეს გამარჯვება რესპუბლიკის საკეთილდღეოდ მოვიმოვეთ, მაშინ ჩემი სიტყვა სასიამოვნოდ უნდა დაურჩეს ყველა დიდებულს; თუ ვინმეს ქრისოგონის დადანამაულება პირად და საერთო საქმის შეურაცხყოფად მიაჩნია, ჩანს, ვერაფერში გარკვეულა, საკუთარი თავიე ვერ შეუცნია. საქმისთვის უკეთესია, თუ ყველა არამზადას, ქრისოგონის ყველა თანამშრახველს მოეცილებთ და ბრძოლას გამოუეცხადებთ.

რაც ახლა მოგასხენით, ადრეც აღენიშნე, ჩემი პირადი ამრი გახლავით; ქვეყნის ბედობაზე ფიქრმა, წუხილმა და გარეწართა უსამართლობამ მაიძულა ამის თქმა. რაც მეუბნება როსციუსს, ის არავის ღებს ბრალს, არავის ადანამაულებს, მამისეულ ქონებას არ მისტირის. ეს გულმართალი გლეხი, სოფელში გამრდილი კაცი, თელის, რომ რასაც თქვენ სულას მიაწერთ, ის ხალხის ნება-სურეილით მოხდა კანონიერად და სამართლიანად. მას სურს, იგი უდანამაულოდ სცნოს; და თუ ბრალდებისაგან თავს დაიხსნის, თანახმაა, თავისი სიმღღრეც დათმოს. შენც თხოვნით მოგმართავს, ქრისოგონ. მამამისის ქონებიდან ხელი ხომ არაფრისთვის უხლია, არაფერში მოუტყუებხარ, ყველაფერი მოგცა, მოგიტვალა, ავიწონა, სამოსიე კი გაიხადა; ბეჭედიე წაიძრო თითიდან; შიშველ-ტიტველი წამოვიდა შინიდან. იმისი ნება მაინც მიეცით უდანამაულო კაცს, მეგობართა დახმარებით სიოცხლე შეინარჩუნოს.

L. ჩემს ქონებას მენ დაეპაგრონე, მე სხვისი მოწყალეებით ვირჩენ თავს. არ ვწუწუნებ, რაც მოხდა, მოხდა; მენთვის ღიაა ჩემი სახლის კარები, ჩემთვის კი დახშულია. რა ექნა, უნდა ავიგანო. არე ერთი მონა აღარ შემომრჩა, ამასაც ვითმენ. მეგი რა გსურს? რას ეძებ? რას მებრძვი? რამი შევიშალე ხელი? ქონების გულისათვის თუ გინდა კაცი სიკედლის პირას მიიყვანო, ერთი ხომ უკეე შეიწირე, კიდეე რა გინდა? ჩემთან მგრობა? რა გაქვს სამგრო კათან, ვისაც, სანამ გაიცინობდი, მანამდე წართვი ქონება. თუ შიში არ გასვენებს? ვისი გემინია? მისი, ვისაც ხმა არ ამოულია თავის დასაცავად, ცილისწამებისათვის საკადრისი პასუხი რომ გაეცა? თუ მამაჩემის ქონების გამო მიცილებ თავიდან, ჩანს, სხვაზე მეგად მენა ხარ მეწუხებული, პროსკრიპციებში შეგანილთა ქონება ოდესმე მათ შეილებს ხომ არ დაუბრუნდებო. თუმცა ამის შიში მენ ყველაზე ნაკლებე გმართებს.

დიდი უსამართლობაა, ქრისოგონ, თუ სქესუს როსციუსის ქონების შეუნარჩუნებას ამ საბრალის დლაუპით იმედოვნებ, ვიდრე სულას კანონებით. როსციუსს ხომ მენთვის არაფერი დაუშაებია, მასთან სამგრო არაფერი გაქვს. მამ, რას ერჩი? მამის სახლიდან სამახსოროდაე არაფერი წამოულია, არ გადაუმაღავს, ყველაფერი მოგცა, სულის გარდა.

მაშ რად არ ინდობ? რა ცოფი შეგეყარა? რამ გაგიქევა ასე გული? რა ეელურმა თინმა აგიგანა? რომელი თავმებულადებული ყაჩადი მოინდომებს ნადელის ხელში ჩასაგდებად სისხლში გაისვაროს ხელი, როცა ნებით უთმობენ მას. იცი, რომ როსციუსს აღარაფერი აქვს, არავითარი სიავე შენს მიმართ გულში არ უღვეს, იოლად დაგმორჩილდა, შენთან მგრობას არ აპირებს და მაინც ებრძვი; რად უნდა გემიწოდეს მისი ის რად უნდა გტულდეს, წასართმევი ხომ არაფერი დარჩენია. იქნებ ის არ მოგწონს, ჩამულ-დახურულს რომ ხელად აქ, სასამართლოზე. შენ ხომ ისე გამოავლე მამამისის სახლიდან მიშველ-ტიგველი, ცალღები რომ გამორიყავს ღონემიხდილ კაცს. იქნებ არ იცი, ვინ შემოსა, ვინ დააპურა? ცეცილიამ, ბალეარისის ქალიშვილმა, ნეპოგის დამ, ჩინებულმა აღამიანმა. ამ შესანიშნავი ქალის მამას, ბიძებსა და ძმას ვინ არ იცნობს. თავადაც გამოირჩევა ღირსებებითა და სიქველით.

LI. იქნებ როსციუსისადმი ეს თავგამოდება გერჩენება მძიმე დანაშაულად? მენდე, ყველას რომ მოეყარა აქ თავი, ვისაც მამამისთან მეგობრობა და სტუმართმოყვარეობა აკავშირებდა, და ბრალდებულის თავისუფლად გამოსარჩლება გაეებდა, როსციუსს ბევრი დამტყველი ეყოლებოდა. ახლა კი ისე იცავენ, მისი მტრებისათვის ეს მძიმე ასაგანი არ უნდა იყოს; ვერც იმას დაიწუწუნებენ, სიმრავლით დაგვჯაბნესო. როსციუსის საქმის მოგვარება შინ ცეცილიამ იკისრა, ფორუმსა და სასამართლოზე – მარკუს მესალამ<sup>2</sup>. ამას თავადაც ხედავთ, ბაგონებო! სიგვეითაც შექმლო აქ გამოსვლა, მაგრამ ჯერ ჭაბუკია და გამოცდილება აკლია. რადგან ახალგაზრდობა და ამასთანავე მოკრძალება (რაც აგრერიგად ამკობს მის ასაკს) ხელს უშლის, ამიგომ მე მომანდო ეს საქმე. იცოდა, სიამოვნებით დავთანხმდებოდი, ვალდებულები ვიყავი, მისთვის ანგარიში გამეწია. თავად მან ყველაფერი იღონა, არაფერი დაიმურა, არც ძალა და არც გაელენა. მოთმინებით, დიჯად მოაგვარა ყველაფერი და მტაცებელთაგან გამოიხსნა სექსტუს როსციუსი, რათა მისი ბედი სასამართლოს შესევეურთათვის მიენდო. აი, ასეთ კეთილშობილ აღამიანთა დასაცაეად აისხეს მოქალაქეებმა იარალი, რომ მათთვის ძველი უფლებები დაებრუნებინათ. რადგან ისინი მუდამ ეცდებიან, მესალას მსგავსად უღანაშაულო არავეს დააჩაგვრინონ, უსამართლობას შეუგონ, თავიანთი ძალა ვინმეს გასანადგურებლად კი არ გამოიყენონ, არამედ მართალ კაცს ქომაგად დაუდგნენ. თუ ყველა წარჩინებული ასე მოიქცევა, სხვისადმი მგრობას გულში არ ჩაიდებს, თავადაც სიძულვილს აიცილებს და რესპუბლიკასაც იხსნის საფრთხისაგან.

LII. თუ ქრისოგონთან ვერაფერს გავხდებით, რათა იკმაროს ჩვენი ქონება, ოღონდ სიციცხლეს ნუ გამოგვასალმებს, თუ იმას ვერ ჩავაგონებთ, დასჯერდეს ჩვენს აელადილებას და მშის შუქს ნუ დავკინებულვით, თუ ვერ გაძლება ჩვენი სისხლითა და ფულებით, სხვა გზა არ არის, მსაჯულებო, სექსტუს როსციუსი თქვენ უნდა მოგვდნოთ, თქვენი სიკეთისა და გულმოწყალების კნდა ირწმუნოს. ასეთივე იმედით შემოგვქერით მთელი რესპუბლიკა. თუ ეს თვისებები კიდე შემოგვრჩათ, მამინ გადაერჩებით. ხოლო: თუ ჩვენში გაბატონებულმა სისასტიკემ და დაუნდობლობამ თქვენც გაგაუხემათ, რასაც ძნელად ვირწმუნებ, გათაებულია საქმე. უპოვებია მხეცებს შევერიოთ და იქ დავსარულოთ ჩვენი სიციცხლე, ვიდრე ამ გაიძვერათა ბრბოში ვიგრივლოთ. თქვენ განა იმისთვის შეიკრიბეთ აქ, იმისთვის გენდოთ ხალხი, რომ ვერ შეძლოთ ყაჩაღთა და მძარცველთა აღაგმვა? გამოცდილი სარდლები ისე განალაგებენ ჯარს, რომ იმ ადგილას, სადაც შესაძლებელია უკუქეულმა მტერმა თავს უშველოს, მეომრებს ჩაუსაფრებენ, რომ იოლად გაუსწორდნენ მათ. ასევე იქევიან ეს ვაებაგონები. მათ თქვენი იმედი აქვთ, მსაჯულებო. თუ ვინმე ხელიდან დაუხსლგებათ, თქვენ დააკავებთ მას. დმერთები არ ინებებენ იმას, ბაგონებო, რომ წინაპართა მიერ დაწესებული სათათბირო მომხვეჭელთა ქომაგად გადაიქცეს. ნუთუ ვერ ხედავთ, რა ხდება აქ? ამ გაიძვერებს სურთ, სექსტუს როსციუსს სიკვედილის განაჩენი გამოუტანონ და ამით დააკანონონ ქონებაჩამორთმეულთა შვილების დალუქვა. კიდე ვერ ხელებით, ვინ არის ბოროტმოქმედი? თუ ერთ მხარეს დგას სხვისი მამულების მიმთვისებელი, ყაჩადი, რომელიც ამავე ღროს ბრალმდებელიცაა, მეორე მხარეს კი ხედავთ გაჭირებულ, ნათესავეების ამარა დარჩენილ ბრალდებულს, ვისი ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ მამის ქონება მძარცველებს დაუთმო.

LIII. თუ თქვენ ამ ავაზაკებს ხელს გაუმართავთ და იმათ შეილებს დასჯიო, ვისაც მა-  
მულები წაართვეს, ფრთხილად იყავით, ახალი, უფრო სასტიკი პროსკრიპციების დაწყება  
არ დაგებარალონ. პირველი იმათ წინააღმდეგ იყო მიმართული, ვისაც იარაღის ტარება  
შეეძლო; სენაგმა მაინც შეიკავა თავი მკაცრი გადაწყვეტილებისაგან, რომ წინაპართა  
ჩვეულებისათვის არ ელაღებინა, ახლა კი, ბრძოლა გაუმართოს იმათ შეილებს, არ ინდობენ  
არც აკეანში მწოლარე ჩვილებს; თუ თქვენ მედგრად არ დადგებით და სამართალს არ  
ბიაგებებთ ეერავ ბოროტმშრასველთ, ნახაეთ, რა ღღეში ჩაეარდება ჩვენი რესპუბლიკა.

თქვენ, ბაგონებო, ბრძენსა და გაელენიან ადამიანებს, შეგიძლიათ იფიქროთ რესპუ-  
ბლიკის სატკივარზე; ყველა თქვენგანმა იცის, რომ რომელი ხალხი, რომელიც გა-  
მოირჩეოდა შემწყნარებლობით მტრების მიმართაც კი, ახლა შინაომებში იხრჩობა. ეს  
ბოროტება თქვენ უნდა მოაყილოთ ქვეყანას; ნუ დაუშვებთ, რომ კიდევ დიდ ხანს  
გაგრძელდეს ეს უბედურება. ამ სამინელმა სისხლისღვრამ არა მარტო მუსრი გაავლო  
ჩვენს ხალხს, არამედ თვით გულმონწყალე ადამიანებსაც წაართვა ნიჭი თანაღმობისა.  
თითქოს გულქეანი არა ვართ, მაგრამ ყოველდღიურად ამდენი უბედურების მოსმენამ და  
ყურებამ მოგვიდუნა უნარი სხვისი ჭირის გამიარებისა.

## პირველი სიტყვა კატილინას წინააღმდეგ

1. ბოლოს და ბოლოს, სანამ უნდა ისარგებლო ბოროტად ჩვენი მოთმინებით, კატილინა?  
კიდევ დიდხანს უნდა მოვიხაროთ თავი შენი სიმშაგის წინაშე? სანამ უნდა იყოყოჩო შენი  
აულაგბავი თავხედობით? ნუთუ არ ავაღელვეს არც პალატიუმის<sup>43</sup> დამის დარაჯებმა, არც  
ქალაქის მეყელებმა, არც ხალხის შფოთმა, არც კეთილშობილ მოქალაქეთა თავყრილობამ,  
არც სენაგის სხლომათა ამ უმტკიყესმა ადვილმა<sup>44</sup>, არც აქ მყოფთა სახეებმა და მშერამ?

ო, რა დრო დავევიდე! რას მოვეწუარით! სენაგმა იცის ეს, კონსული ხედავს ამას, ის კი  
ცოცხალია. უფრო მეტიც, სენაგმიაც დაბრძანდება, მონაწილეობს სახელმწიფო თათბირში,  
შეათვალისწინებს თითოეულ ჩვენგანს და სასიკვდილოდ გაიბეგებს, ვისაც თვალს დაადგამს.  
ჩვენ კი, ლომგულ ვაქაეთ, გვეგონია, სახელმწიფოსათვის დიდ რამეს ვაკეთებთ, თუ მის  
რისხვებსა და მახვილს დაუესხლებებით. კარგა ხანია, კატილინა, შენ თვითონ უნდა დას-  
ჯილიყავ სიკვდილით კონსულის ბრძანებით. შენს თავზე უნდა დაგრიადლებულიყო მთელი  
ეს უბედურება, ჩვენთვის რომ ამზადდებო. თუ უბრწყინვალესმა პუბლიუს სციპიონმა<sup>45</sup>, ქუ-  
რმთუხუყესმა, თავად ისურვა გიბერიუს გრაკყუსის სიკვდილში ხელი გაერიო, რომელმაც  
სახელმწიფო წესწყობილების უმნიშვნელო შეეცლა სყადა, ჩვენ, კონსულებმა რაგომ უნდა  
მოუუთმინოთ კატილინას, ვისაც მთელი ქვეყნის ცეცხლითა და მახვილით განადგურება  
სწადია? აღარაფერს ვამბობ მორეულ წარსულზე, გაიუს სერვილიუს აპალამ<sup>46</sup> თავისი  
ხელით რომ მოკლა სპურიუს მელიუსი, ვისაც სახელმწიფო გადაგრიადლების წადილი  
ქონდა. იყო ოდესღაც ამ სახელმწიფოში ისეთი სიმტკიყე, რომელიც გულად ვაქაყეს  
ძალას მაგებდა, სახელმწიფოსათვის სამიში მოქალაქე მოეთინიერიებინათ და უმრისხანეს  
მტერზე უფრო დაესაჯათ. ჩვენც ვაქაყეს, კატილინა, სენაგის დადგენილება შენს წი-  
ნააღმდეგ იგი მკაცრი და მძიმეა. არა, სახელმწიფოს არც ღირსეული სენაგორები აყლია,  
არც მათი თათბირები. ჩვენ, ვადიარებ, ჩვენ, კონსულები არ ეეარავიერთ.

II. ოდესღაც სენაგის დადგენილებით კონსულ ლუციუს ოპიმიუსს დაეეადა სახელმწიფოს  
უსაფრთხოებაზე ბრუნვა. ერთ ღამესაც არ გაუელიო ამის შემდეგ, რომ მოკლულ იქნა აჯან-  
ყების მზადებამი ვევიტიგანილი გაიუს გრაკყუსი<sup>47</sup>, წარჩინებული მამის, პაპის, წინაპრების  
ნამიერი. მოკლულ იქნა ყოფილი კონსული მარკუს ჟულიუსი<sup>48</sup>, შეილებითურთ. სენაგის  
ამგვარივე დადგენილებით სახელმწიფოს ბედი მიენლოთ კონსულებს: გაიუს მარიუსსა და  
ლუციუს ვალერიუსს<sup>49</sup>. განა ამის შემდეგ ერთი ღლითაც კი დაყოენდა სახელმწიფო განაჩე-  
ნის შესრულება – სახალხო გრიბუნის, ლუციუს საგურინუსისა<sup>50</sup> და პრეტორის, გაიუს სერ-  
ვილიუსის სიკვდილით დასჯა? ჩვენ კი, აი, უყვე მეოც დღეა ვითმენთ, როგორ ჩლუნგდება  
აქამდე მახვილივით შემართული სენაგის ღირსება. ჩვენც ხომ ვაქაყეს, კატილინა, სენაგის  
ამგვარივე დადგენილება შენი დაუყოენებლივ სიკვდილით დასჯის თაობაზე, თუმცა იგი

ქარქაშში ჩაგებული მახვილივით გაბულებშია ჩაკეტილი. მენ კი ცოცხლობ და იმის ნაცუ-  
ლად, ხელი აიღო თავხედურ განმრახებაზე, მის განხორციელებაზე ფიქრობ. ბაგონო სენა-  
გორნო, თან მინდა მისი შეწყნარება, თან ვერთხილობ, დაუდევრობა არ გამოვიჩინო სახ-  
ელმწიფოს ასეთი ძნელბედობის ეპოს. მაგრამ აი, უკვე თვითონვე ეკიცხავ თავს უნებისყო-  
ფობისა და უუნარობისათვის.

რომაელი ხალხის შესამუსრავად იგალიამი, ეგრურიის ხეობაში მგერია დაბანაკებული.  
დღითი დღე იზრდება მისი რიცხვი. ბანაკის უფროსსა და სარდალს არა მარგო ქალაქის  
კედლებში, სენაგმიც ვხედავთ. ის ყოველ წუთს ელოდება, ციხე მიგნიდან გაგეხოს. მე რომ  
შენი შეპყრობა და სიკედილით დასჯა ებრძანო, კაგილინა, დარწმუნებული ვარ, ყველა  
კეთილშობილი მოქალაქე საქმის ასე დაყოვნებას უფრო მისაყვედურებს, ვიდრე ვინმე  
სისასტიკეს დამწამებდეს. კარგა ხანია ასეც უნდა მოუქუეუღოყავ, მაგრამ გარკვეული  
მიზეზის გამო ჯერ კიდევ თავს ვიკაეებ. მენ მხოლოდ მაშინ დაისჯები სიკედილით, როცა  
შეუძლებელი გახდება შენი მსგავსი ადამიანის მოძებნა, ისეთი უტიფრისა და უწმინდურისა,  
ვინც იცყვის, რომ მე უსამართლოდ დაგსაჯე. მენ მანამ იცოცხლებ, სანამ ჯერ კიდევ  
იარსებებს თუნდაც ერთი ვინმე, ვინც შეძლებს შენს გამოსარჩლებას. იცოცხლებ, მაგრამ  
ისე, ვით ახლა, ჩემი მრავალი ერთგული მცველებით გარშემორტყმული, რათა ვერ გაბედო  
სახელმწიფოზე ხელის აღმართვა. ას თვალს მოგიჩენ, ას ყურს გამოვისხამ, როგორც ეს  
აქამდე ხდებოდა ისე, რომ შენ ეერაფერს შეიგყო.

III. აბა, რაღას ელოდები კიდევ, კაგილინა, თუ არც ღამეს შეუძლია წყვიდალით შეპბუ-  
როს უწმინდურთა თათბირი, არც საკუთარი სახლის კედლებს ძალუმს მთანთქბს  
შეთქმულთა სიგყეები; თუ ყველაფერი უკვე ნათელია, თუ ყოველივე ამკარაა? მერწმუნე,  
კაგილინა, დაივიწყე ხოცვა და ხანძარი. გზა მოკროლი გაქვს ყველგან. ყოველი შენი  
განმრახვა დღესათით ნათელია ჩვენთვის. მოდი, ერთად გავიხსენოთ ყოველივე. ხომ  
გახსოვს, ნოემბრის კალენდებამდე თორმეტი დღით ადრე სენაგმი განვაესხადე, რომ გან-  
სამღერულ დღეს, სახელდობრ, ნოემბრის კალენდებამდე ექვსი დღით ადრე, შენი  
თავხედური განმრახვის თანამოსაქმე და ხელისშემწყობი გაიუს მანლიუსი<sup>1</sup> იარაღს  
აიღებდა ხელში. ხომ არ შევემდარევარ, კაგილინა, არც იმაში, რომ ეს საშინელი და დაუ-  
ჯერებელი ამბავი უნდა მომხდარიყო და რაც უფრო საოცარია, არც დროში მოგყუებულ-  
ვარ. სენაგს ისიც ხომ მოეახსენე, რომ ნოემბრის კალენდებამდე ხუთი დღით ადრე შენ ოპ-  
ტიმაგების ელეგა გქონდა ჩაფიქრებული. მაშინ მრავალი წარჩინებული მოქალაქე გაიქცა  
რომიდან უფრო იმ მიზნით, შენს ბოროტ განმრახებას რომ აღდგომოდნენ წინ, ვიდრე თავის  
გადასარჩენად. ნუთუ შეგიძლია უარყო, იმ დღეს ჩემი მცველებით, ჩემი სიფხიბლის წყალო-  
ბით რომ ვერ მოახერხე სახელმწიფოზე ხელის აღმართვა, და იმას რომ ამბობდი, მარ-  
თალია, ზოგიერთები წაივინენ, მაგრამ იმათი სისხლითაც გაიძლებდი გულს, ვინც ქალაქში  
დავრჩით?

მემდებ, როცა გადაწყვიტე ნოემბრის კალენდების დროს, ღამით იერიშით აველო პრე-  
ნესტე<sup>2</sup>, ნუთუ ვერ იგრძენი, რომ ეს კოლონია ჩემი ბრძანების თანახმად, ჩემი მცველებითა  
და ღამის გუშაგებით იყო გამაგრებული? შენ ვერაფერს მოისამრებ, ეერაფერს წამოიწყებ,  
ვერაფერს მოახერხებ, მე რომ არ შევიგყო, არ ვიგრძნო, არ დაეინახო.

IV. მოდი, გავიხსენოთ გუშინდელი ღამეც და შენ უმალ მიხვდები, რომ მე უფრო მეგს  
ფიქრობ სახელმწიფოს ხსნისათვის, ვიდრე შენ მის დასაღუქად. მე კარგად ვიცი, შენ იმ  
ღამით მჭედლების ქუჩით გაემურე, რაღა დასამალია, მარკუს ლეკას<sup>3</sup> სახლში. ბევრი  
მოვიდა იქ შენი მოკაემირე, მომხრე შენი ავი ზრახვებისა. შეგიძლია უარყო ყოველივე?  
რაგომ სღუმხარ? რაკი უარზე ხარ, მე გამხილებ. მე ხომ აქაც ვხედავ ზოგიერთს, ვინც შენ-  
თან ერთად იყო.

ო, უკვდავო ღმერთებო! რა ხალხში ვართ, სად ვცხოვრობთ? ეს რა სახელმწიფოა, რა  
ქალაქია? აქ არიან, ბაგონო სენაგორნო, ჩვენს რიგებში; აქ არიან, ამ უწმინდესსა და უმ-  
კაცრეს სათათბიროში ისინი, ვისაც ჩენი გაკლეგა სურს, ვისაც ამ ქალაქისა და მთელი  
ქვეყნის მოსაპობა განუმრახავს. მე კი, კონსული, ეუსქერი მათ, ვეკითხები კიდევაც ამრს  
სახელმწიფო საქმეების თაობაზე და სიგყითაც კი ვერ ღამიკოდავს ისინი, ვინც დიდი ხანია

მახვილით განგვირვის ღირსნი არიან. მამ ასე, კატილინა, იმ ღამით ლეკასთან ბრძანდებოდი. დაანაწილე იგალა. დაადგინე, ვინ საით გაეგმაერებოდა. აირჩიე, ვინ წაგეყვანათან და ვინ დაგეტოვებინა რომში. შეათვალაიერე, ქალაქის რომელი უბნები გადაგწევა. ყველა დააჯერე, რომ შენ მალე დაგოვებდი ქალაქს. როგორც განაცხადე, ერთი რამ გიშლიდა ხელს მხოლოდ – რომ მე ცოცხალი ვარ. ორი რომაელი მხედარიც იპოვე, რომლებმაც იკისრეს ეს სადარღებელი მოუმორებინათ შენთვის. შეგპირდნენ, რომ იმავე ღამეს, კამთინიხსანს, მე ჩემს საწოლში ამომხდიდნენ სულს<sup>54</sup>. ყოველივე ეს უმაღლესი შევიგყვე, როგორც კი თქვენი თათბირი დასრულდა. კიდევ უფრო გავაძლიერე მცველების რაზმი, გავამაგრე ჩემი სახლი, არ მივიღე შენი მოგმავნილები, ვითომდაც დილის საღამის მოსახსენებლად მოსულნი<sup>55</sup>, რადგან მოვიდნენ სწორედ ისინი, ვის შესახებაც ვაუწყე ბევრ კეთილშობილ მოქალაქეს, თანაც მოვიდნენ მუსკად იმ დროს, როცა ვეარაუღობდი.

V. რაკი ასეა, კატილინა, მიყვევი შენს სურვილს, გაეცალე ქალაქს, ღიაა ჭიშკარი, გაემგაგრე. მანლიუსის ბანაკი კარგა ხანია მოუთმენლად გელოდება შენ, სასურველ მბრძანებელს. წაიყვანე შენი მოკავშირენი, ყველა თუ არა, რაც შეიძლება მეტი, გაწმინდე ქალაქი. ღიდ ურვას ამბილენ, ჩვენს შორის თუ კედელს აღმართავ. ჩვენთან ღიდხანს ვერ იბოვინებ, ამას ვერ ავიგან, ვერ დაუშვებ, ნებას არ მოვცემ.

ღიდი მადლობა უნდა უქაღვინათ უკედავ ღმერთებს, თვით იუპიტერ სტატორს, ამ ქალაქის ოდინდელ მფარველს, რომ რამდენჯერმე ავიცილეთ სახელმწიფოსათვის ესოდენ სამიში, დამღუპელი და სამინელი სენი. ამიერიდან მანინ ნუ დაუშვებთ, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობას მუდამ ეს კაცი ემუქრებოდეს. სანამ შენ, კატილინა, მე, კონსულ დესიგნატს<sup>56</sup>, ხიფათს მიმზადებდი, მე ჩემი წინდახედულება მიფარაულა და არა სახალხო მცველები. ასევე, როცა შენ კონსულთა უკანასკნელი საარჩევნო კრების დროს მოიწადინე ჩემი, კონსულისა, და შენი მეტოქეების მოკვლა მარსის ველზე<sup>57</sup>, მე ჩემი მეგობრების, მათი ღამქრის წყალობით მოვახერხე ჩამემალა შენი უტიფარი ცდა ისე, რომ ხალხი არც შემიწუხებია. რამდენჯერაც კი წინ ვაღამელობე, რამდენჯერაც კი ამიმხედრდი, არ შეგეპუე; თუმცა ვიცოდი, სახელმწიფოსათვის ღიდი უბედურება იქნებოდა ჩემი სიკედილი. ახლა კი, შენ უკვე ამკარად ემუქრები სახელმწიფოს, უკედავი ღმერთების გაძრვებს, ქალაქის შენობებს, მოქალაქეთა სიცოცხლებს, ცინდა მოსირას მთელი იგალა.

რაკი მე ჯერ ვერ ვხედავ ისე მოვიქცე, რასაც ჩემი უპირველესი მოვალეობა და წინაპართა ანდრძი მიკარნახებს, ამიგომ სულ სხვა მომებს მივმართავ, ნაკლებად მეკაცრს, მაგრამ ქვეყნის კეთილდღეობისათვის უფრო სასარგებლოს. მე რომ შენი სიკედილით დასჯა ებრძანო, ხომ უენებელნი დარჩებიან დანარჩენი შეთქმულნი, ხოლო შენ თუ თავად გავემორღები, რასაც ღიდი ხანია გირჩევ, თუ ქალაქს გაეცლება მრავალი შენი თანამოსაქმე, ბევრ სამიმ ნაძირალას მოიმორებს სახელმწიფო.

რა მოხდა, კატილინა, რაგომ ყოყმანობ შეასრულო ჩემი ბრძანება? აკი თავად გსურდა წასელა? მე, კონსული, გირჩევ ქალაქის მგერს, დაგოვო იგი. გაინგერესებს, ხომ არ გაძევებ? არა, არ გიბრძანებ წასელას. სჯობს, თვითონ გავეცეცალო.

VI. მანინ რა დაგერჩენია ამ ქალაქში, კატილინა? ამ თავაშეებულ შეთქმულთა გარდა ეერავის მოიძიებ, შენი რომ არ ემინოდეს და არ სძულდე. შენს ოჯახს, შენს ცხოვრებას რა სამარცხენი დაღი არ ადევს. რამდენი ჩირქი არ მოსცხებია შენს სახელს. რა უტიფრობა არ უნახავს შენს თვალებს, რა სიბილწეში არ გაგისვრია ხელი, გარყენილების რომელ წუშპეში არ გიბანაეია? რამდენი ყმაწვილი გაგიბამს მახეში, რა ხერხებით არ გიცდუნებია, მახვილი შეგიჩრებია ხელში სააკაკოდ და გმა გაგიჩრადლენებია მისთვის მრუმობისაკენ. მერე კიდევ, პირველი ცოლის სიკედილით გმა გაიკაფე ახალი ქორწინებისაკენ. განა ამით ერთ გაუგონარ ბოროტებას მეთორე არ დაურთე?<sup>58</sup> მაგრამ ამას მოვეშვით, ვინმემ არ იოქროს, რომ შენს სახელმწიფოში ასეთი უჩვეულო ვერაგობა დაუსჯელი რჩება. ხმას არ ეძლე არც შენს სრულ გაკორებაზე, მალე რომ მოხდება<sup>59</sup>, ამას უახლოეს დღებში შეიგყობ. აღარ მინდა ვილაპარაკო შენი პირადი ცხოვრების ბიჭიერებაზე, ოჯახურ გასაჭირზე და სხვა სისამაგლებზე. ამჯერად იმის თაობაზე მოგახსენებ, რაც უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოს ბედ-ღიბალსა და ჩვენს სიცოცხლეს.



როგორ შევიძლია, კაგილინა, მშვიდად უყურო ამ მგეს, ისუნთქო ამ პაერთო, როცა არაინ მეგულება ისეთი, არ იყოდეს, როგორ იდექი მენ იარადით ხელში სახალხო კრებაზე იანერის კალენდების წინა დღეს, ლეიიდუსისა და გულუსის<sup>60</sup> კონსულობის დროს, როგორ შეაგულიანე ბანდა კონსულებისა და სახელმწიფოს მესევეურთა გასაუღეგად. გონიერებამ ან შიშმა კი არ აგაღებინა ხელი ამ ბოროტ განმრახვესა და სიშმაგემე. არა, ბედისწერამ იხსნა რომაელი ხალხი. მაგრამ არ გამოედევენები ამას. ეს ხომ ისედაც ცნობილია. შემდეგაც არა ერთხელ ჩაგიდენია მსგავსი რამ. რამდენჯერ სცაღე ჩემი მოკვლა მაშინ, როცა კონსული დესიგნატი ვიყაი და მაშინაც, უკვე კონსულად რომ ვითვლებოდი. რამდენჯერ ავირიდე შენი თავდასხმა, რამდენჯერ დაეისხენი თავი თითქოსდა გამოუვადი მდგომარეობიდან, მხოლოდ და მხოლოდ სხეულის სისხარგით. უკეთ რომ ვთქვათ, ხელიდან დავისხლგი.

არაფერი გამოვდის, ეერაფერს აღწევ, ეერაფერს ახერხებ ჩემგან დაფარულად. მაინც არ გინდა ხელი აიღო შენს საწაღელზე. რამდენჯერ ხელიდან გამოუვლეკით შენთვის ეს მახვილი, რამდენჯერ შემთხვევით გაგსხლგომია და ხელიდან გაგვარდნია. მაინც არ იცილებ. არ ვიცი, რა წესით აკურთხე, რომელ ღმერთებს აღუთქვი<sup>61</sup>, რომ მაინცა და მაინც კონსულს უნდა ჩასცე იგი გულში.

VII. აბა, რაღა არის შენი ცხოვრება? მინდა ისე მოგმართო, რომ სიძულელი კი არ მალაპარაკებდეს, რისი უფლებაც მაქვს, არამედ სიბრაღული, რასაც შენ არ იმსახურებ. აი, ახლახან შემოხვედი სენაგში. ეინ მოვესალმა ამოდენა საკრებულოდან, ან მეგობართაგან, ან ახლობელთაგან? ვის დაპმართნია ასეთი რამ? რაღა მაინცადამაინც სიგყვიერ შეურაცხყოფას ელოდები, როცა სასიკიკად ხარ დასჯილი ღუმლის განაჩენით? რაგომ გათავისუფლდა შენი შემოკლებისთანავე შენს ახლომხალ მიერხები, რაგომ მიაგოვა ადგილები ყველა კონსულარს, რომლებიც შენ არა ერთხელ ვაწირე სასიკედლოდ?

როგორ ფიქრობ, შეიძლება ეს მოითმინო? მონებსაც რომ ასე შინებოდით ჩემი, როგორც შენი ეშინია ყველა მოქალაქეს, ღმერთმანი, საკუთარ სახლს დაეტოვებდი. შენ კი ფიქრად არ მოგდის, გაეცალო ქალაქს. ჩემთვის რომ ასე მკაცრად და სიძულელით შემოეხედით მოქალაქეებს, თუნდაც უსაფუძელოდ, ეირჩევი, სულაც არ დაენახებოდი მათ, ეიდრე მათი მგრული მგერა ამეგანა. შენ იცი შენი დანაშაული, იცი შენდაში მიმღი სამართლიანია, რომ შენ იგი დიდი ხანია დამსახურე, მაინც ეერ გადაგიწყვეტია, მათ თვალთახედვას გაეცალო, ვის გრძნობებსა და აზრებს შეურაცხყოფ. შენი რომ ასე შინებოდით და სძულეობი მშობლებს, რომ ეერ მოგეხერხებინა მათი დამოშმინება, მე ეფიქრობ, მათ თვალებს არ დაენახებოდი. ახლა კი სამშობლოს, ჩვენს საერთო მშობელს, შესძულეობისარ და ეშინია შენი, რადგან დარწმუნებულია, კარგა ხანია მხოლოდ მის დაღაგზე ფიქრობ. ნუთუ არად აგდებ მის ნება-სურვილს, არ სცემ პატივს, არც მისი ძალის რიდი ვაქვს? შენ იგი მოგმართავს და თავისი ღუმლით აი, რას ვაუწყებს:

„რამდენი წელია უშენოდ არავითარი აკეაცობა და სისაძაგლე არ მომხდარა. მხოლოდ შენ შეგრჩა მოქალაქეთა მკვლელობა, მოკავშირეთა დეენა და ძარცვა. მხოლოდ შენ ცუოფნიდა თავხედობა, არა მარგო აბუჩად აგეგლო კანონები და სასამართლონი, არამედ მიწასთან გაგესწორებინა და დავენგრია. ყველა შენი წინანდელი დანაშაული, თუმცა მოსათმენი არ იყო, მაინც ავიგანე, როგორც შემეძლო. ახლა კი, როცა დღენიდაგ ძრწოლაში ვარ მარგოოდენ შენს გამო, ოდნავ ხმაურს ვავიგონებ თუ არა, კაგილინასაგან ეელი საფრთხეს; ვგრძნობ, რომ რა უბედურებაც არ უნდა დამაგყდეს თავს, ყველგან შენი ხელი იქნება გარეული; ამის აგანა უკვე აღარ შემიძლია. ამიგომ წადი, განმარდიე ეს მიმი, თუ ის საუფუძელიანია, რომ არ გამათავოს, ხოლო თუ უსაფუძელოა, მიმისაგან მაინც მოვისკერი...“

VIII. სამშობლოს რომ ასე მოემართა შენთვის, ნუთუ არ უნდა დამორჩილებოდი მას, თუნდაც ძალა არ ეხმარა შენს წინააღმდეგ? ის რაღა იყო, თავად რომ ისურვე შინაურ პატიმრობაში ყოფნა? ეჭვების გასაფანგავად მანიუს ლეიიდუსთან<sup>62</sup> დარჩენის სურვილი რომ გამოთქვი? მან რომ არ მიგდო, ჩემთანაც კი ვაბუდე მოსვლა და თავმესაფრის თხოვნა. მეუ უარი ვითხარი, რადგან ისედაც დაძაბული ვარ, რომ შენთან ერთად მიხდება ამ ქალაქში ცხოვრება, როგორღა ვიქნებოდი უშიშრად შენთან ერთად ერთ ჭერქვეშ? ამის

შემდეგ კინგუს მეტელუსმა მიაკითხე ალბათ იფიქრე, ის უფრო მარჯვება, მენ რომ და გიცვას. უფრო გამჭრიახი, მენი მრასეანი რომ ამოიყნოს და მეგად გამბედავი, შენი ალაგ- მება რომ შეძლოს. მაგრამ განა შორს არის საპყრობილისა და ბორკილებისაგან ის, ვინც თავი შინა პატიმრობის ღირსად ცნო?

თუკი ასეა, კატილინა, რაღას ყოყმანობ? თუ არ შევიძლია მშვიდად გამოეთხოვო ამ წუთისოფელს? გაემგზავრე სხვა ქვეყნად და შენი სიციხსლე, მრავალგზის რომ გადარჩენია სამართლიან და კანონიერ სასჯელს, ლგოლელობასა და მარგობაში დაასრულე. სენაგს მოახსენე – მოიხსოვ და ირწმუნები, თუ იგი მოიწონებს გადაწყვეტილებას გაძევების თაობაზე. დაემორჩილები. არა, ამაში სენაგს არ გავრევე, ეს მე არ მჩვევია. ისე, ეველები მიგახედრო, კატილინა, რას ფიქრობენ სენაგორები შენზე. გაეცალე ქალაქს, იხსენი სამ- შობლო განსაუდელისაგან, დაგოვე იგი, როგორც მოკვეთილმა. ამ სიგყვის წარმოთქმას ელოდები? რა მოხდა, კატილინა, რამ მიიპყრო შენი ყურადღება? მათი ღუმელი ხომ არ გაქვებს? ითმენენ, სდუმან. რას ელოდები, ხმამაღლა წარმოთქვან თავიანთი გადაწყ- ვეტილება, რაც მათ ღუმელით გამოხატეს? მე რომ ასეთი რამ კეთილშობილი ჭაბუკისათვის – პუბლიუს სესტიუსისათვის ან მარკუს მარცელუსისათვის<sup>64</sup> გამებედა, აქ, ამ ტაძარში, სენაგს ჩემზე. კონსულზე, აღმართავდა ხელს და საესეებით სამართლიანადაც, ხოლო როცა მენს წინააღმდეგ ვილაშქრებ, კატილინა, ისინი მშვიდად არიან. ამით თანხმობას მიცხადე- ბენ. როცა მოთმინებით სხედან, განაჩენი გამოაქეთ; როცა ჩუმად არიან, ყვირიან; და არა მარგო ისინი, რომელთა ღირსებას შენთვის ფსაი აქვს, სიციხსლეს კი არაად ავლებენ, არა- მელ ასევე ფიქრობენ ის რომელი მხედრები, ღიდად პატივსაცემი და ღირსეული ვაქცაყები, აგრეთვე სხვა გულადი მოქალაქენი, სენაგს რომ შემორგყმიან გარს. მოისმინე ალბათ მათი ხმები. მიხვდი, რა სურთ, ნახე, რა ბეერნი არიან. მე ძლიეს ვახერხებ მათ შეჩერებას, იარაღით არ ატყუწონ. მაგრამ ადვილად დაეაშომშინებ, მიგაცილებენ კიდევეც ქალაქის კარიბჭემდე, თუ რომს, რომლის დაღუპეა გწადია, გაეცლები<sup>65</sup>.

IX. თუმცა რას ეამბობ? შენ რა გაგვებს? რა გამოგასწორებს? შენ გაქცევაზე იფიქრებ? ლგოლეული ვახლები? ო, ასეთი რამ რომ შენთვის უკედავ ღმერთებს ჩაეგონებინათ! თუმცა, კარგად ვიცე, თუ ჩემი სიგყვები ავალელებს და შენი ნებით წახვალ, სიძულელიის როგორი ქარიშხალი დამაგყდება თავს, თუ ახლა არა, როცა შენი ავკაცობა ჯერ კიდე არ დავიწყნით, მომავალში მაინც. მაგრამ არაფერია, თუ ეს მხოლოდ ჩემი პირადი უბედურება იქნება და სახელმწიფოს არა დაუმავედება. მაგრამ სად შენ და სად ცოდვების მონანიება! შეუძლებელია, შენ კანონიერმა სასჯელმა შეგამოთოს და დაემორჩილო სახელმწიფოს, როცა მას ასე უჭირს. შენ ხომ ისეთი არა ხარ, კატილინა, სირცხვილის გრძნობამ უტიფრო- ბაზე ავალბინოს ხელი, შიშმა – ბორგებაზე და გონიერებამ – სიშმაგებზე. ამიგომ, რამ- დენჯერ ვითხრა, წადი, თუ გსურს სიძულელიის ცეცხლი აანთო, როგორც შენ ამბობ, შენი პირადი მგრის – ჩემს წინააღმდეგ შენი ნებით გაგვეცალე. თუმცა ერთი რამ ცხადია, ძნელი იქნება გაუძლო ხალხის მითქმა-მოთქმას, თუ შენ მართლა ასე მოიქცევი, გამიჭირდება. ავიგანო სიძულელი, თუ შენ კონსულის ბრძანებით იქნები გაძევებული. ხოლო თუ გსურს, ჩემს სახელსა და ღიდაბაზე იმრუნო, წადი, თან წაიყვანე ავაბაკთა ბრბო, შიდი მანლიუსთან, აამხედრე უკეთურნი, ჩამოშორდი კეთილშობილ მოქალაქეებს, იარადი აღ- მართე სახელმწიფოზე, იყოყოჩე უტიფარი ძარცვა-გლეჯით, რომ ყველა დარწმუნდეს, მე კი არ გამოიდეენიხარ უცხოებთან, შენიანებმა გიხმეს. მაგრამ ჩემი წაქეშება რად გინდა? განა არ ვიცე, შეიარაღებული რაბში უკეე გაგმავნილი გყავს და აგრელიუსის ფორუმზე<sup>66</sup> აელოდება? ისიც შევიგყვე, ის ვერცხლის არწივი<sup>67</sup>, შენ რომ საკურთხეველი მოუწყვე შინ ვაკაყობისათვის, იქ გაავგებე. იგი უბედურებას შეგამთხვევს, უთუოდ, შენცა და შენს თანა- მოსაქმეთ. როგორ შეველიე მას ამვენ ხანს? შენ ხომ, ჩვეულებრივ, მასზე ლოცულობ, როცა მეკელელობისათვის ემშაადები. მის სამსხვერპლოს შეხებული შენი ბილწი მარჯვენა რამ- დენჯერ აღგიმართავს მოქალაქეთა საეულეცად!

X. ბოლოს ხომ მაინც უნდა გაემურო იქითკენ, საითკენაც შენი თავხედური და შმაგი სურვილი გეწევა. შენ ხომ ეს საქმე გკვირს კი არა, განუშომელ ნეგარებას განიჭებს. ასეთი უგუნურებისათვის შენ ბუნებად გმობა, სურვილებმა გაგწაფა და ბედმა კალთა გადა-

გაფარა. მშვიდობა არასოდეს გინაგრიო, მუდამ ომი გწყურდა და ისიც მხოლოდ უღვთო. შეყარე ბრბო ქონებადაკარგულ, უიმედო, ცხოვრებაზე ხელაღებული არამზადებისაგან. ო, როგორ ისიამოვნებ, როცა თქვენს შორის აღარ იხილავ, აღარ მოუსმენ არც ერთ პატიოსან მოქალაქეს. ასეთი ცხოვრებისათვის შენ მომზადებული ხარ. რა არ გადაიტანე ამისათვის: მიწაზე გდება – არა მარტო ენებების დასაყრდენად, არამედ სააეკაყოლად, ღამის ტყევა – არა მხოლოდ მძინარე ქმრების სადარაჯოდ, არამედ უნდითა ქონების სათვალთვალოდ. აი, ახლა შეგიძლია გამოამქლავო ის შენი ნაქები ამგანობა<sup>68</sup>, შიმში, სიცივისა და ყოველგვარ გასაჭირში რომ გამოიბრძმედა. ყველა ეს უბედურება მალე დაგაცვდება თავს და ეფიქრობ, ვეღარ გაუძლებ. მე ერთს მივალწიე მხოლოდ – კონსულობას ჩამოგამორე, რადგან უმჯობესია, სახელმწიფოზე მიიგანო იერიში როგორც მტერმა, ვიდრე კონსულმა შეარყიო მისი ძლიერება. მაშინ შენს აეკაყოლას ავაზაკური თარეში შეიძლება ეწოდოს და არა ომი.

XI. ახლა კი, ბატონო სენაგორნო, მსურს სამშობლოს სამართლიანი საყვედური ავიცილო და თავი ვიმართლო. ამბობ, ვთხოვთ კარგად მომისმინოთ და რასაც მოგახსენებთ, ღრმად ჩაიბეჭდოთ გულში. თუ ჩემი სამშობლო, რომელიც ჩემთვის სიცოცხლეზე ძვირფასია და მთელი იგალია, თუ მთელი სახელმწიფო ასე მომმართავს: „მარკუს გულიუსო, რას შერები? ნუთუ შენ მას, ვინც მგრად შეიყანი, ვინც მომავალი ომის სარდლად გამოაცხადე, რომელსაც შენ კარგად იცი, მგრის ბანაკი როგორც მთავარსარდალს ისე ელოდება, ბოროტების წამომწყებს, შეთქმულების მეთაურს, მონათა და უკეთურ მოქალაქეთა წამქმბებულს ნებას მისცემ ქალაქიდან გავიდეს? ქალაქიდან უშვებ, რომ ქალაქზე წამოვიდეს იერიშით? რატომ არ ბრძანებ, ბოროტები დააღონ, წაიყვანონ მოსაკედინებლად, მიუყენონ სასჯელის უმაღლესი ზომა, რა გაბრკოლებს? წინაპართა ჩვეულება ხომ არა? მაგრამ რამდენჯერ დაუსჯიათ სამიში მოქალაქენი კერძო პირებსაც კი. თუ მოქალაქეთა დასჯის შესახებ არსებული კანონები გაფიქრებს?“<sup>69</sup> ჩვენს ქალაქში ხომ არასდროს სარგებლობდნენ მოქალაქეობრივი უფლებებით, ვინც სახელმწიფოს გაეთიშებოდა. იქნებ გემინია, შთამომავლობამ არ შეგვისხოს სიძულვილით? თუ შენ, ასე აღიარებული კაცი, არა დიდგვაროვანი წინაპრებით, არამედ პირადი ღირსებების წყალობით<sup>70</sup>, აღარ იბრუნებ თანამოქალაქეთა კეთილდღეობაზე, ზიზღით, თუ რაღაც სხვა საფრთხით შეშინებული, ამით გამოხატავდი მადლიერებას რომელი ხალხისადმი, ვინც შენ მმართველობის ყველა საფეხური ატარა და უმაღლეს თანამდებობას მიგაღწევინა? მაგრამ თუ მანინადადამინც სიძულვილის უნდა გემინოდეს, რა უფრო საფრთხილოა: უსუსურობითა და უმოქმედობით, თუ სიმკაცრითა და გამბედაობით გამოწვეული სიძულვილი. თუ იგალიას ომი მოაოხრებს, თუ ქალაქები დაინგრევა, თუ სახლები გადაიბუება, ნუთუ ფიქრობ, რომ სიძულვილის ცეცხლი შენ არ მოგედება?“

XII. მე მოკლედ ასე უკუასახებდი სამშობლოს ამ უწმინდეს სიყვეებს და მათ, ვინც ამავე აზრებს იზიარებს: მე რომ კატილინას სიკვდილით დასჯა საუკეთესო გადაწყვეტილებად მიმანდეს, ბატონო სენაგორნო, ერთ საათსაც არ ეაცოცხლებდი ამ გლადიატორს. მართლაც, თუ უსათნოესმა მოქალაქეებმა და ღირსეულმა ვაეკაცებმა საგურნიუსის, გრაქუსების, ფლავუსისა და კილევ იმათზე აღრე სხვათა სისხლის დაღვრით არა თუ არ გაიტყუეს სახელი, არამედ, პირიქით, დიდებას მიადწიეს, მე რატომ უნდა მეშინოდეს, რომ შთამომავლობა ზიზღით მომიხსენიებს, თუ მოქალაქეთა მელეგელს მოვკლავ? რაგინდ დიდი სიძულვილი მელიოდეს, მე მუდამ იმ აზრისა ვარ, რომ სიმამაცით გამოწვეული სიძულვილი საამაყო კი არის. მაგრამ ჩვენს შორის ისეთებიც არიან, ვინც ვერ ამჩნევს, რა საფრთხე გველის, ან თავი ისე უჭირავს, ვითორც ვერ ამჩნევს. ისინი თავისი შემწყყნარებლობით იმედს უღვივებდნენ კატილინას, არ სჯეროდათ შეთქმულების არსებობა და ამით კილევ უფრო გააძლიერეს იგი. მათი ღირსების გავლენით ბევრი მოქალაქე, არა მარტო ბოროტი, არამედ გამოუცდელიც, თუ კატილინას დავსჯიდი, ჩემზე იტყოდა, რომ სასტიკი გირანგივით მოვიქციე. მაგრამ როცა ის მანლიუსის ბანაკში მივა, საითქენაც მიემურება, ვფიქრობ, არაგინ გამოჩნდება ისეთი ჭკუათხელი, შეთქმულების არსებობა არ დაიჯეროს, არც არავინ – ისეთი უგიფარი, უარყოს იგი. მე ვიცი, მარტო კატილინას დაღუპვითაც კი სახელმწიფო

მკირე ხნით მოისვენებდა, მაგრამ არა სამუდამოდ. ხოლო თუ იგი გაგვეცლება, თან წაიყვანს თავის თანამშრომლებს და იქ შეუერთდება ყოველი მხრიდან თავმოყრილ დანარჩენ კატორღელებს, სახელმწიფო ამ იარას არა თუ მოიშუშებდა, არამედ ძირფესვიანად აღმოფხვრიდა ყოველგვარ ჭირს.

XIII. უკვე კარგა ხანია, ბაგონო სენაგორნო, მეთქმულების ხრიკები და საფრთხე თავს დავეგვრიალებს, მას შეჩვეულები ვართ. მაგრამ რატომღაც ყველა დანაშაულმა, მძინეარებამ და თავხედობამ მთელი სისრულით ჩვენი კონსულობის დროს იჩინა თავი, თუმცა იგი ადრეც არსებობდა. ამ ავაზაკურ ბრბოს მარტო კატილინაც რომ ჩამოშორდებოდეს, შეიძლება ცოტა ხნით მოგვეჩვენოს, რომ გაეთავისუფლდით მიმისა და დარდისაგან. მაგრამ არა. სამიშროება კვლავ დარჩება. იგი ღრმად გაიდგამს ფესვებს სახელმწიფოში, ძეალსა და რბილში გაუჯდება. თუ მისმედ დასწეულებული, ციებ-ციხელებით გათანგული ავადმყოფი ცივ წყალს დაეწაფება. პირველად შეებას იგრძნობს, მაგრამ შემდეგ უფრო გაიგანჯება. ასევე, სახელმწიფოს სენს თუ კატილინას დასჯით შეეპასუბეხებით, შემდეგ უფრო გამწვავდება, თუ მისი ბომბრენი ცოცხლები დარჩებიან. ამიგომ, დაე, გაგვეცალონ უღირსნი, გაეცალონ კეთილშობილ მოქალაქეებს. ერთად შეგროვდნენ, როგორც არა ერთსულ მიოქქვამს. დაე, კეღელი გემიჯნაედეს მათგან. ხელი აიღონ განმზარახებზე, კონსულს საკუთარ სახლში მოუსწრაფონ სიეცხლე. ნუ ეხვევიან გარს ქალაქის პრეტორის გრიბუნალს, ნუ შემორტყვიან მახვილით ხელში კურიას, ნუ იმარაგებენ ქალაქის გადასახუგავად ცეცხლიან ისრებსა და ჩირაღდნებს. დაე, ყველა მათგანს შუბლზე ეწეროს, რასაც ფიქრობს სახელმწიფოზე. სიგყვას გაძღვეთ, ბაგონო სენაგორნო, თუ ჩვენ, კონსულები, სიფხიზლეს არ დაეკარგავთ, თქვენ - ღირსებას, რომაელი მხედრები - სიმამაყეს, ყველა კეთილშობილი მოქალაქე - ერთსულოვნებას, კატილინას წასელის შემდეგ მის ყოველ განმზარახვას ნათელი მოეფინება, გამოამკარაედება, ჩაიფუშება, დაისჯება.

აი, ასეთი წინასწარი ნიშნები ვეაქვს, კატილინა, სახელმწიფოს ხსნისათვის, შენს დასაღუპავად და ყველა შენი თანამშრომლების გასაწირად, ვინც შენთან ბოროტებითა და მეუღელობითა დაკავშირებული. მამ, ჩაები უღმობელ და უღეთო ომში. შენ გვედრები, იუპიტერო, ვისი ქანდაკებაც იმ დროიდან დგას, როცა რომულუსმა დააარსა ეს ქალაქი. გვედრებით ამ ქალაქისა და სახელმწიფოს მფარველს, დაიცაე კატილინასა და მისი თანამშრომლებისაგან შენი და სხვა ღმერთების საკურთხელები, ქალაქის კედლები და ნაგებობანი, მოქალაქეთა სიეცხლე და ქონება. კეთილშობილ მოქალაქეთა მტრები კი, სამშობლოს მოღალატენი, იგალიის დამრბენი, ერთმანეთთან უღეთო და დანაშაულებრივი კავშირით შეერთებულნი, მკედრებიცა და ცოცხლებიც, საუკუნო საგანჯველს მიეცი.

## მეორე სიტყვა კატილინას წინააღმდეგ

1. როგორც იქნა, კვირიგებო, ვაეაძვეთ კატილინა, ბოროტების ამომნთხევი, თავხედობით გამძინეარებული; ვაეაძვეთ თუ ვაეუშვით, სამშობლოს უმოწყალოდ დაღუპვის მოსურნე. თქვენცა და ამ ქალაქს ცეცხლითა და მახვილით რომ ეშუქრებოდა. იქნებ თავისივე ნებით წასულს გმა დაეულოცეთ. წაეიდა, ვაგემორდა, გაიქცა, ვაგვისხლგა. ეს საოცარი ურჩხული მფოთს ვეღარ აუტეხს შიგნიდან ქალაქის კედლებს. ცხადია, დავამარცხეთ შინა ომის ეს ერთი მოთავეც. ვეღარ დავეგვრიალებს სანჯალს ფერდებში, ვერც ფორუმზე იმიშვლებს მას, ვერ კურიამი, ვერც მარსის ეელზე და რაც მთავარია, საკუთარ ჭერქვეშ უშიშრად ვიქნებით. მოეწყვიტეთ ამ ადგილს და ვაეაძვეთ ქალაქიდან. უკვე ხელს არაფერი შეგვიშლის ვებრძოლოთ მას, როგორც ნამღვილ მტერს. უეჭველია, ვაეანადგურეთ და ბრწყინვალედ ვაეიმარჯვებთ მასზე, როცა ფარული მტრობიდან ამკარა ყარალობისაკენ ეუბიძგეთ. როგორ ფიქრობთ, არ უნდა იყოს ბოლმამორეული და დამწუხრებული, რომ ვერ იმიშვლა სისხლიანი მახვილი, რისი ოცნებაც ქონდა? ჩვენ ცოცხლები ვართ, თვითონ კი ვაეძვებული; რომ მოქალაქენი უვენებელი, ქალაქი კი ურყვეად მდგარი დაგოვა? წეეს ახლა იგი, კვირიგებო, დამარცხებული. გრძნობს, რომ მიგდებული და დანარცხებულია. მაგრამ

მანც მოაულებს მზერას ამ ქალაქს, ვერ მოუხელებია, რომ მის ბრჭყალებს დაუსხლტა იგი. ქალაქმა კი, მე მგონია, მოისვენა, რომ ასეთი ჭირი ამოანთხია და შორს მოისროლა.

II. მაგრამ თუ არსებობენ ისეთი ადამიანები, როგორც სასურველია იყოს ყველა, რომლებიც დამადანამაულებენ სწორედ იმაში, რომ ასე ებობოქრობ და ეგვიმობ ჩემი სიგყვიით, ასეთი სამიში მგერი კი არ შეეიყარო, უფრო მეტიც, გაუემეი კიდეეე, ეს ჩემი კი არა, კვირიტებო, ვარემოების ბრალია. დიდი ხანია, საჭირო იყო კატილინას უმკაცრესად დასჯა, უნდა მომეკლა იგი. ამას მოითხოვდა ჩემგან წინაპართა ადამი, კონსულის უფლებები და ამასვე მავალეზდა სახელმწიფოც. მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რამდენი არ დაიჯერებდა იმას, რასაც მოგახსენებდით, რამდენი დაიცავდა კიდეეე, რამდენი უტიფარი თანავგონობასაც გაუწევდა. მე რომ დარწმუნებული ეყოფილიყავი, რომ მისი დალუქვა თქვენ ყოველგვარ საფრთხეს აგაცდენდით, დიდი ხნით ადრე დაესჯიდი სიკვდილით, თუნდაც ამისთვის შეეძლებოდი ვინმეს, ან საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩამეგდო.

ასლა კი, რაც არის არის, საითკენაც არ უნდა იხრებოდეს თქვენი ფიქრი და გონება, დაამებამდე ვმართებთ განაჩენის გამოგანა. ხომ ხედავთ, რა ძნელი საქმე გაკისრიათ. მწარედ ცლებით, თუ ფიქრობთ, რომ ცოტანი არიან ამ საქმეში ჩათრეულნი. თქვენ რომ გგონიათ, იმაზე უფრო შორს არის განთესილი ეს ბოროტება. იგი არა მარტო იგალიას მოედო, არამედ ალაბებზეც გადავიდა და მეუმჩნეველად გადაცოცდა. ასლა კი უკვე პროვინციებიც დაიკავა. არამე და არამე არ შეიძლება დაყოვნება და მეღავათები. ამით მას ვერ ამოვიძირკვავთ რაც გნებათ მოიფიქრეთ, ოღონდ სასწრაფოდ უნდა დაისაჯონ ისინი.

IV. ჯერჯერობით, როგორც ხედავთ, ორი ამრი გამოითქვა: ერთი – დეციმუს სილანუსისა<sup>110</sup>, ვინც ფიქრობს, რომ ქვეყნის განადგურების მოთავენი სიკვდილით უნდა დაისაჯონ, მეორე – გაიუს კეისრისა, რომელიც უარყოფს სიკვდილით დასჯას, გვთავაზობს სხვა მკაცრ სასჯელს. ორივე მათგანი, თუ მათ ავგოროიგესა და საქმის სირთულეს მივლდებთ მხედველობაში, უსასტიკეს სასჯელს ითვალისწინებს. ერთი მათგანი ფიქრობს, რომ ვინც ყველა ჩვენგანი და რომელი ხალხი სასიკვდილოდ გასწირა, ერთი წუთითაც არ უნდა დატკბეს სიცოცხლით, არ უნდა ისუნთქოს ჩვენთან ერთად. ის მოგვავგონებს, რომ რესპუბლიკაში ხშირად დასჯილან ამგვარად. მეორე ფიქრობს, რომ უკვდავ ღმერთებს სიკვდილი დასჯის სახედ არ დაუდგენიათ. სიკვდილი ბუნების კანონზომიერებაა, ან შეება განჯვისა და უბედურების შემდეგ ამიგომაკ გონიერნი მას უხალისოდ არასოდეს არ ხედებიან, მამაცი კი – ხშირად სიამოვნებითაც. ხოლო ბოროტები, თანაც სამუდამო, გაუგონარი ბოროტების უმადეს სასჯელად ითვლება. კეისარი ბრძანებს დამნაშავეების მუნიციპიებში დანაწილებას. თუ ეს საქმე ბრძანებით უნდა შესრულდეს, უსამართლობაა, თუ თხოვნით – სამხელაა. მაგრამ ისე გადაწყვიტეთ, როგორც გინებოთ. მე ყველაფერზე თანახმა ვარ, რადგან იმედი მაქვს, ვიპოვი ისეთებს, ვინც უარს არ იტყვიან, თავისი ღირსუბნათვის მეუფერებლად არ მიიჩნევენ იმის შესრულებას, რასაც თქვენ დაადგენთ საერთო კეთილდღეო-

ბისათვის. კეისარი ამას თან ურთავს მუნიციპალიტეტის მკაცრ სასჯელს; თუ რომელიმე დამნაშავეთაგანი ბორკილებიდან თავის დაძვრენას შეძლებს, იგი ხელიდან წასულ ადამიანთა შესაფერისად დასჯას მოითხოვს, რომ არანაირად არ მოხერხდეს სასჯელის შემსუბუქება, არც სენაგისა და არც რომაული ხალხის ჩარევით. კეისარი იმედსაც არ უტოვებს მათ – ერთადერთ ნუგეშს უბედურებაში ჩაეარდნილი კაცისათვის. გარდა ამისა, ითხოვს მათი ქონების კონფისკაციას. ოდენ სიციხესაც არ ართმევს ბოროტმშობლებს. ესეც რომ წაერთმია, ერთი ტკივილით მოუღებდა ბოლოს მრავალ სატყეივარს, სულიერსა და ხორციელსაც. ძველად ჩვენმა წინაპრებმა უკეთურ ადამიანთა დასამინებლად ისეთი სასჯელი მოიგონეს უწმინდურთათვის საიქიომი, რომ მიმით შეკურობილებს მასთან შედარებით სიკვდილი არარაობად მოჩვენებოდათ.

V. ახლა კი, ბაგონო სენაგორნო, მე ვიცი, რომელია ჩემთვის ხელსაყრელი. თუ კეისრის აზრს მივეწოდები – მან ის გმა აირჩია, რომელიც ხალხისათვის სასიკეთოდ ითვლება რესპუბლიკაში, რადგან კეისარი ამ აზრის შემომგანი და დამცველია – შეიძლება ნაკლებ სამიმოც იყო ჩემთვის პოპულარების თავდასხმა. ხოლო თუ მეორე აზრს გავიზიარებ, არ ვიცი, შეიძლება მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდე. მაგრამ ჩემი საფრთხე რა მოსაგანია; დაე, გაიმარჯვოს იმ გადაწყვეტილებამ, რომელიც რესპუბლიკის კეთილდღეობას უფრო გამოადგება, კეისრის არჩევანი მისი პირადი ღირსებისა და წინაპართა ღირსების შესაფერისია. იგი გვიდასტურებს რესპუბლიკისადმი მის მუდმივ კეთილგანწყობილებას. რა საგრძნობი განსხვავებაა კრებამე გამოსულ მოგიერთ ორაგორთა თავქარიანობასა და ჭეშმარიტად ხალხისათვის თავდადებულ, მის კეთილდღეობაზე მზრუნავ ადამიანთა გაბედულებას შორის. მე ვხედავ, რომ დღეს აქ არ არის მოგიერთი იმათგანი, ვინც პოპულარების წარმომადგენლად თელის თავს. ალბათ იმიტომ, ხმა არ მისიეს რომაელ მოქალაქეთა სიკვილით დასჯის გადაწყვეტილებას. თუმცა, მესამე დღეა, მათ დააპატიმრეს ეს მოქალაქეები, დამეთანხმნენ დღესასწაულების გამართვაზე, გუშინ კი მაღალი ჯილდოები ჩამოურიგეს მსტოვრებს. მაგრამ ვინ ვერ მიხვდება, მთელი ამ საქმის თაობაზე რა განაჩენი გამოაქვთ მათ, რომლებმაც გადაწყვიტეს ბრალდებულთა დაპატიმრება, ატყაობით შეეგებნენ მას, ვისაც ამ საქმის გამოძიება ჰქონდა დაკისრებული და რომლებმაც დააჯილდოვეს მსტოვრები.

ესაღია, გაიუს კეისარმა იცის, რომ სემპრონიუსის კანონი მხოლოდ რომაელ მოქალაქეებს ეხება. რესპუბლიკის მტრები კი რომის მოქალაქეებად არ ითვლებიან. მან ისიც იცის, რომ თავად სემპრონიუსის კანონის დამწესებელს ხალხის ნებით როდი დააგყდა თავს სასჯელი რესპუბლიკისათვის<sup>11</sup>. მას მიაჩნია, რომ მართალია, პუბლიუს ლენგულუსი მდიდარი და გულუსვია, მაგრამ ვინც რომაელ მოქალაქეთა გაუბედურება განიზრახა, ქალაქის უმოწყალოდ და შეუბრალებლად დაღუპვა მოიფიქრა, მას არც შეიძლება პოპულარი ეწოდოს. ამრიგად, ეს გულმოწყალე და ლმობიერი კაცი არ ყოყმანობს, პუბლიუს ლენგულუსი სამუდამო ჯურღმულში ჩააგდოს და ბორკილები დაადოს. მომავლისათვის კი ადგენს, არავინ შეძლოს ამ სასჯელის შემსუბუქება, ვერავინ გაბედოს რომაელი ხალხის დაღუპვაში გაერიოს და პოპულარი ერქვას. კეისარი ამას უმატებს ქონების კონფისკაციას, რომ სულიერ და ხორციელ გვემას თან ერთვოდეს გაჭირვება და სიღუბნით.

VI. თუ თქვენ კეისარს მიემხრობით, მისი სახით თანამდგომი მეყოლება კრებამე სიგყვით გამოსვლის დროს; ხალხის რჩეული და უსაყვარლესი ადამიანი ჩემს გვერდით იქნება. თუ სილანუსის აზრს გაიზიარებთ, ავიღებ მოვასხერხებთ მეცა და თქვენც, სიმკაცრის საყვედური ავიცილივით. მე მიმაჩნია, რომ ეს სიმკაცრე უფრო ლმობიერია. თუმცა, ბაგონო სენაგორნო, რა სიმკაცრეა დააპარაკი, როცა ასეთი გაუგონარი ბოროტებაა. მაგრამ მე ჩემი გრძობებიდან ამოვივარ. მე მინდა თქვენთან ერთად დაეტყუა რესპუბლიკის კეთილდღეობით, რადგან მიმაჩნია, რომ ამ საკითხში მე უფრო მეუპოვარი ვარ; არა, სიმკაცრე კი არა (ვინ შეიძლება ჩემზე გულმოწყალე იყოს?), არაჩვეულებრივი ადამიანობა და სიბრალული მამოძრავებს. მე მგონია, თვალნათლივ ვხედავ, ყოველისმთაანმთქავი ხანძრით როგორ იფერულება მთელი ქვეყნიერების მნათობი, ყველა გომთა ბურჯი: ფიქრებში გაშიეღვებს დანგრეული სამშობლო, დაუმარხავ მოქალაქეთა გვაშები. თვალწინ წარმო-

მიდგება თქვენი ხოცვის დროს აღტკინებული ცეთეგუსი, მისი ზარდამცემი სიშმაგე. ასე შესახება მე ლენგულუსის მმართველობა (რომელსაც, როგორც თავად აღიარა, თურმე ბუდი უშაღებდა). მათთან ერთად ვხედავ მეწამულ სამოსში გახვეულ გაბინიუსსაც: ეხედავ, როგორ მოეშურება თავისი ლაშქრით კატილინა: მმარაგებს დედათა მწუხარებას, ქალწულთა და ყრმათა ლგოლვა. ეესგას ქალწულთა დენა; და რადგანაც ყოველივე ეს ჩემში საბრალო და საწყალობელ ხატებას ქმნის, ამიგომ მკაცრი და შეუბრალებელი ვიქნები იმათ მიმართ, ვინც ამის მოსურნე იყო. აი, გვითხებო: თუ ოჯახის მამა, რომელსაც მონამ შეიღები დაუბოცა, მეუღლეს ყელი გამოღადრა, სახლი გადაუბუგა, მკაცრ სასჯელს არ გაბოუგანს დამნაშავეს, როგორი იქნება იგი? გულმოწყალე და ლმობიერი, თუ არაადამიანური ბუნების და სასტიკი? მე ველური და გულქვა მგონია ის, ვინც საკუთარ გკივილსა და მწუხარებას დამნაშავეს განჯვითა და უბედურებით არ დაიყურებს. ჩვენ თანაგრძობას დაეიმსახურებთ, თუ უმკაცრესად მოვეყრობით იმ ადამიანებს, ვისაც ჩვენი, ჩვენი ცოლშვილის ამოუღება სურდა, ჩვენი სახლების, ჩვენი საერთო კერის – რესპუბლიკის განადგურება ეწადა; ვინც ცდილობდა ამ ქალაქის ადგილას, მის ნახანძრალზე ალობროგების გომები დაესახლებინა. მაგრამ თუ მათ მეწყალებას მოვიწოდებთ, ავი ენები არ დაგვიწოდოს, ბრალს დავგდებს მთელი სამშობლოსა და მოქალაქეთა დაღუქვამი.

ნუთუ არ უნდა მომწონდეს ის ამბავი, რომ აი, უკვე შესამე დღეს ლუციუს კეისარმა<sup>12</sup>, რომელიც რესპუბლიკაში გამორჩეულ და უმამაყეს კაცად ითვლება, საკმაოდ მტკიცედ განაცხადა, რომ თავისი დის, უბრწყინვალესი ქალის, ქმარი სიკვდილით უნდა დაისაჯოსო (დამნაშავე იქვე იყო და თავად მოისმინა ყოველივე), როცა მან მოიწონა კონსულის ბრძანებით თავისი პაპისა<sup>13</sup> და მისი მკირეწლოვანი ვაჟის (მამის მიერ ელჩად გაგზავნილის) ციხეში მოკვლა. გვაგონებს დღევანდელი დანამაული იმ ამბებს? განა მათ რესპუბლიკის დაღუქვა ჰქონდათ განზრახული? მაშინ რესპუბლიკაში ასეთი აზრი გარჩადა, გამოითქვა სურვილი მიწების დარეგებისა. ამიგომ ამას მოჰყვა ურთიერთშეხლა. ამ დროს ლენგულუსის პაპა, ბრწყინვალე ვაჟაკი, შეიარაღებული დაედევნა გრაქუსს, რათა რესპუბლიკას რაიმე ხიჯათი არ შემთხვეოდა. მძიმედ აღიჭრა ამ ბრძოლაში. ეს ლენგულუსი კი რესპუბლიკის ძირის გამოსათხრელად გაღებს ეპატიებას, მონებს აქემებს, კატილინას იხმობს, ცეთეგუსს ჩვენს ამოუღებას ავალებს, დანარჩენი მოქალაქეების ამოხოცვას კი – გაბინიუსს, კასიუსს – ქალაქის გაღაბუგვას, კატილინას – მთელი იგალიის განადგურებასა და ძარყვას.

მე მგონია, თქვენ იმის კი არ უნდა გეშინოდეთ, რომ ამ უდიდესი და გაუგონარი აუკაცობის მკაცრად დასჯით სასტიკი ადამიანების სახელი არ გაითქვიათ, არამედ უფრო იმას უნდა ერიდოდთ, რომ თუ სასჯელს შეუმსუბუქებთ, ამით შეუბრალებლობა არ გამოიჩინოთ სამშობლოს წინაშე, ვიდრე შეუწყნარებელი მგრის მიმართ გამოგანილი მკაცრი განაჩენით.

VII. მე ვერ დაეფარავ, ბაგონო სენატორნო, იმას, რაც მოვისმინე. როგორც ყერი მოეკარი, ხმები დაღის ასეთი (ეგყობა ამას ის აერყელებს, ვისაც ეშინია); მყავს თუ არა საკმაო დაცვა იმის შესასრულებლად, რაც თქვენ დაადგინეთ. ყველაფერი გათვალისწინებულია, ბაგონო სენატორნო, გამომწული და მომზადებულია, რომ ჩემი გულმოდგინებით, უდიდესი მრუნებით, უფრო კი რომაელი ხალხის მეყადინეობით, შევინარჩუნოთ ეს შესანიშნავი ხელისუფლება, დაეიცვათ საყოველთაო კეთილდღეობა. ყველანი აქ არიან, ყველა რანგისა და ასაკის ადამიანები. საესეა ფორუმი, მისი შემოგარენი, გაძარი. საესეა ფორუმისა და გაძრის შესასულელები. ქალაქის დაარსებიდან ეს პირველი შემთხვევაა, როცა ყველა ერთი აზრითაა შეყრობილი, იმათ გარდა, ვინც დასაღუქვად არის განწირული და მიაჩნია, რომ ცალცალკე სიკვდილს ერთად დაიხოცონ სჯობია. ამ ადამიანებს დიდი სიამოვნებით გაერიყავი, მოვაცილებდი სხვებს. მე მგონია, უკეთურ მოქალაქეთა რიყებს კი არა, მგერთა რიგებს უნდა მივაკუთვნოთ ისინი. სხვები კი... უკედავო ღმერთებო! რა ბევრნი არიან ისინი, როგორი მონდომებულნი, როგორ გაბედულად იზიარებენ სასიკეთო და საკეთილდღეო წინადადებებს, ღირს კი აქ რომაელი მხედრები მოვიგონოთ? მართალია, ისინი წარმომავლობით თქვენ ვერ გაგიგოლდებიან, თქვენზე დაბალი რანგი-

სანი არიან, მაგრამ სამშობლოს სიყვარულში კი მეტოქეობას ვაგვიწევს. რახანია, თქვენთან განხეთქილებებში მყოფნი, დღევანდელმა დღემ და ამ შემთხვევამ თქვენთან შესათანხმებლად და შესაკავშირებლად აქ მოიყვანა. თუ ამ კავშირს, ჩემი კონსულობის დროს განმტკიცებულს, მუდამ შევინარჩუნებთ რესპუბლიკაში, გარწმუნებთ, არაერთი შინაური თუ საშოქალაქო ჭირი არ დააგყდება თავს არც ერთ უბანს. ქალაქის დაცვის ასეთივე სურვილით გამოცხადდნენ სახალხო გრიბუნებიც, უმამაცესი ვაჟაკები. მოვიდნენ გადამწერლებიც. მათ შემთხვევით მოიყარეს აქ თავი, სახაზინო საქმეების მოსაგვარებლად. ვხედავ, არ დალოდებიან კენჭისყრას და საერთო კეთილდღეობაზე ფიქრს აქეთკენ წამოუყვანია. ურიცხვი ხალხი მოვიდა აქ: თავისუფალი მოქალაქეები, მდაბიონიც, ვინ შეიძლება იყოს ისეთი, ვისთვისაც ძვირფასი, სასიამოვნო და ჭეშმარიტად სანუკვარი არ იყოს ეს ტაძრები, ქალაქის სანახები. თავისუფლების შეგრძნება, ეს მშის შეუქი და ჩვენი დელასამშობლო.

VIII. ერთ რამესაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, ბატონო სენატორნო. უნდა დაეინახოთ თავისუფალ მოქალაქეთა გულმოდგინება, ვინც უბედობის ეაშს სახელმწიფოს მხარში ედგნენ. ისინი ხმაძალა აუხადებენ, რომ აქ არის მათი სამშობლო. აქ დაბადებულნი კი, საკმაოდ მაღალი წრის წარმომადგენლები, თელიან, რომ ეს მათი მშობლიური კი არა, მგრული ქალაქია. მაგრამ რაგომ ვამახვილებ ყურადღებას იმ ადამიანებზე, იმ ფენის წარმომადგენლებზე, რომლებიც საკუთარმა ქონებამ, ერთიანმა რესპუბლიკამ და ბოლოს თავისუფლებამ, რაც ასე სანუკვარია, წააქეზა სამშობლოს კეთილდღეობა დაეკეთა. ვერ იპოვით მონას, რომლისთვისაც მონობის პირობები ასე თუ ისე ასაგანია, ვისაც არ აშუოთებს მოქალაქეთა თავბედობა, ვისაც არ უნდოდეს აქ დგომა, ვინაც საერთო კეთილდღეობისათვის არ გაიღებს თავის წილს, რამდენიც შეუძლია და რისი უფლებაც აქვს.

ამიგომ, თუ რომელიმე თქვენგანს ეუცხოვა აქ მოსმენილი ამაბაი - რომ ლენგულუსის კაცი დუქანთან გაქცეულა იმ იმედით, რომ შეძლებდა გაჭირვებულთაგან ან გამოუცდელთაგან ვინმე შეეცდინა - ეს მართალია. იყო ასეთი ცდა. მაგრამ არაეინ აღმოჩნდა ისეთი, ბედით დაჩაგრული, ან სულწასული და უგოფარი, ვისაც არ სურდა შეენარჩუნებინა თავისი სკამი, სამუშაო ადგილი, ყოველდღიური შემოსავალი, საძინებელი, თავისი საწოლი, და საერთოდ, მშვიდი ცხოვრება. მართლაც, ვინც დუქნებში გრიალებენ, მათი უმეტესი ნაწილი, უფრო სწორად კი მთელი მათი მოდგმა, მშვიდობიან ცხოვრებას ელგვის. მათი საქმიანობა, საშუალება, მოგება იმაზე დამოკიდებული, რომ მეგი მოქალაქენი მიიზიდონ, ამის პირობას კი მშვიდობიანი დრო ქმნის. თუ დუქნების დაკეცვა მათ შემოსავალს ამცირებს, რაღა მოუვათ, თუ დუქნები დაიწევა?

რადგან ასეა, ბატონო სენატორნო, თქვენ არ მოგაკლდებათ რომაელი ხალხის დაცვა. თქვენც უნდა გაითვალისწინოთ, რომ რომაელ ხალხს თქვენი ხელი არ მოაკლდეს.

IX. თქვენ ვყავთ კონსული, რომელმაც თქვენს გადასარჩენად, და არა საკუთარი სიციოცხლისათვის, მრავალი ჭირი და უბედურება დაითმინა, სიკედილის ბრჭყალებს გადაურჩა. თქვენ, ყველა ფენის წარმომადგენლები, ფიქრით, სურვილით, ვაჟაკობით, წადილით, სიგყეებით ეთანხმებით რესპუბლიკის გადარჩენას. თქვენ გიწვდით თავის მავედრებელ ხელს ჩვენი საერთო დელასამშობლო, უგუნურ შეთქმულთა მიერ ჩირადღნებითა და მუბებით გარშემორტყმული. იგი თქვენ განდობთ თავის თავს, ყველა მოქალაქის სიციოცხლეს, ციხესიმაგრეებს, კაპიგოლიუმს, პენატთა გამოსახულებებს, ეესგას სამმარადისო, ჩაუქრობელ ცეცხლს, ყველა ღმერთის ტაძრებსა და საკურთხევლებს, ქალაქის ზღუდეებსა და სახლებს. ვარდა ამისა, დღეს თქვენ უნდა გადაწყვიტოთ თქვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი, თქვენი ცოლ-შვილის, მოქალაქეთა ქონების, სახლის, კერის ბედი. თქვენს გვერდით არის თქვენზე გადაცებული, თავდავიწყებული სარდალი, რომელსაც ბედი ყოველთვის როდი გიწყალობებთ. თქვენთან არიან ყველა ფენის წარმომადგენლები, მთელი რომაელი ხალხი, რომელთაც დღეს ერთი პირი აქვთ, რაც პირველი შემთხვევაა. წარმოიდგინეთ, ერთ დამეში როგორ უნდა განადგურებულიყო ამდენი გარჯით მოპოვებული ხელისუფლება. ასეთი მამაცობით განმტკიცებული თავისუფლება, ღმერთთა შემწეობით დაგროვილი და გამრავლებული ასეთი სიმდიდრე. დღეს მოქალაქეებმა ის უნდა გააკეთონ, რის შესრულებას კი არა, გაფიქრებასაც ვერ შეძლებდნენ სხვა დროს. ყოველივე ეს იმისთვის კი არ

მოგახსენეთ, რომ თქვენ ავალელოთ; შემართება თქვენ არ გაკლიათ, ამაში მჯობნით კიდევ, არამედ იმიტომ, რომ კონსულის უფლება მავალებს პირველმა, ამოვილო ხმა რე-სუბლიკაში და მინდა ივრძნოთ, რომ ჩემს მოვალეობას ვასრულებ.

X. ახლა კი, სანამ კენჭისყრაზე გადავიდოდე, ბატონო სენატორნო, მცირეოდენს საკუთარ თავზე მოგახსენებთ. რამდენადაც ღიღია შეთქმულთა ლაშქარი (თქვენც ხელავით, რა ურიცხვია იგი), იმდენად ბევრი არიან ისინი, ვინც მე მტრად მოვიკიდე, მაგრამ ჩემი ამრით, ეს ლაშქარი სამარცხინო, უძლური, საშიზღარი და დამარცხებულა. თუ იგი ოდესმე რომელიმე მათვანის სიმშავითა და ავკაცობით წაქეზებული იმძლავრებს, გადაამეტებს თქვენსა და რესპუბლიკის ავტორიტეტს, ბატონო სენატორნო, მე მაინც არ დავინანებ ჩემს საქციელს და ჩემს გადაწყვეტილებებს, რადგან შეიძლება ისინი სიკედილითაც კი მემუქრებოდნენ. მაგრამ რა, სიკედილი ხომ ყველას ელოდება, იმ დიდ პატივს კი, სიცოცხლეში რომ მარგუნეთ თქვენი დადგენილებით, ვერავინ ეღირსება. თქვენ ხომ სხვებს მადლობა მოახსენეთ გმირობისათვის, მე ერთადერთს კი – რესპუბლიკის ხსნისათვის.

იდიდოს სეპიონმა, რომლის სიმამაცემ და სწორმა გადაწყვეტილებამ აიძულა პანიბალი აფრიკაში დაბრუნებულიყო და მიეგოვებინა იგალია. განსაკუთრებული ხოტბის ღირსია მეორე აფრიკელიც, ვინც ორი ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქალაქი: კართაგენი და ნუმანია მიწასთან გაასწორა. მუდამ გამორჩეული იყოს ლუციუს პაულუსის<sup>114</sup> სახელი, რომელმაც თავისი გრიუმფალური ეგლი ოდესდაც უძლიერესი და საქვეყნოდ ცნობილი მეფე პერსეთი დაამშვენა. სამარადისო დიდება მარიუსს, რომელმაც ორჯერ იხსნა ალყაშემორტყმული იგალია მონობის სამიმროებისაგან. ყველაზე მეტად კი პომპეუსის ქება გვმართებს, რომლის სიმამაცემ და გმირობამ იმ ქვეყნებსა და სამღერებს მიაღწია, რომელსაც მზე აწვლენს თავის სხივებს. ამით გვერდით ჩემს სახელსაც მოიხსენიებენ ქებით, თუ რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან საქმედ ჩავთვლით არა მარტო პროვინციების გაშლას (რომ უფრო შორს დავიდოთ საზღვარი), არამედ ზრუნვას იმისათვის, ვინც აქ არ არიან, შეეუნარჩუნოთ სამშობლო, როცა გამარჯვებულები დაბრუნდებიან.

კაცმა რომ თქვას, უფრო ადვილიც კია გარეზე მტრის ძლევა, ვიდრე შინაურისა, რადგან უცხო გომს ან დაიმორჩილებ, ან მონად აქცევ, ან წყალობით შემოიერთებ. იმ გონწართმეულ მოქალაქეებს კი, ვინც თუნდაც ერთხელ მოგვევლინა სამშობლოს მტრად, რესპუბლიკის დაღუპვას რომ არ დააცლი, ვერც სიკეთით, ვერც ძალით ვერ მიიმხრობ.

ამიტომ ვხედავ, რომ უკვე ჩაებები უკეთურ მოქალაქეებთან სამეჯდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ადვილად მოვიგერიებთ მეცა და ჩემიანებიც, თქვენი და ყველა კეთილშობილ მოქალაქეთა შემწეობით, ესოდენ ღიღი საფრთხის მოგონებით, რომელიც მუდამ დარჩება არა მარტო იმ ხალხში, ვინც თავი დაიხსნა, არამედ ყველა გომის მესსიერებასა და სიტყვეშიც.

ვემშარიაგად, ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს თქვენს კავშირს რომაულ მხედრებთან<sup>115</sup>, ვერ დაარღვევს კეთილშობილ მოქალაქეთა ერთსულენებას.

XI. რადგან ასეა, ბატონო სენატორნო, ხელისუფლებისათვის, ლაშქრისათვის, პროვინციებისათვის (რომელმედაც უარი ვთქვი), გრიუმფებისათვის, სხვა ბრწყინვალე დიდებისათვის (რომელმედაც არ მიფიქრია, რადგან თქვენი და ქალაქის დაცვა იყო საჭირო), კლიენტებისათვის, პროვინციებში დაწესებული სტუმართმოყვარეობისათვის, რომელსაც ვიცავ, არ ვიშურებ ქალაქში არსებულ არავითარ სამუალებას და იმდენსავე ენერგიას ვანდომებ, რამდენსაც – მის მოპოვებას; მაშ, ამ საქმეებისათვის, ჩემი და ყველა თქვენგანის მუყაითობისათვის, რესპუბლიკის დასახსნელად გაწეული გარჯისათვის, სხვას არაფერს ვითხოვ, გარდა იმისა, რომ ღრმად ჩაიბეჭდოთ გულში მთელი ეს დრო თუ არა, ჩემი კონსულობის ხანა მაინც. ეს ხსოვნა სანამ არ წაიშლება თქვენს გულებში, მე უმტკიცესი ზღუდე მექნება შემორტყმული. თუ ჩემი იმედი გაუკლებდა და უკეთურნი ძალ-ღონეს მოიკრებენ და გაიმარჯვებენ, მაშინ თქვენთვის მომინდვია ჩემი უმცროსი ძე. მას საქმარო დაცვა ყოვლად იმისათვის, რომ თავი გადაიარჩინოს და ღირსებაც შეინარჩუნოს. თუ, რა თქმა უნდა, ვაის-სუნებთ, რომ იგი იმ კაცის შვილია, ვინც თავი არ დაზოგა და ყველაფერი შეგინარჩუნა. ამიტომ, ბატონო სენატორნო, გაბედულად და კეთილსინდისიერად შეასრულეთ, რაც

დაადგინეთ თქვენი და რომაელი ხალხის, თქვენი ცოლ-შვილის ხსენისათვის, გაძრების, სალოცავების, საკურთხევლების, კურიის, მთელი იტალიის გადარჩენისათვის, რესპუბლიკის ერთიანობისათვის. თქვენი კონსული უყოყმანოდ დაემორჩილება თქვენს გადაწყვეტილებას და სანამ პირში სული უდგას, დაიცავს და შეასრულებს თქვენს დადგენილებას.

## შენიშვნები

### სექსტუს როსციუსის დასაცავად

- <sup>1</sup> იგულისხმებიან ადვოკატები.
- <sup>2</sup> სესტერციუმი, რომაული ფული.
- <sup>3</sup> ლუციუს კორნელიუს სულა, დიქტატორი, 82-79წ.
- <sup>4</sup> ლუციუს კორნელიუს ქრისოგონი, სულასთან დაახლოებული პირი. გაამატებული.
- <sup>5</sup> მარკუს ფანიუსი, პრეტორი, 80წ.
- <sup>6</sup> ამერია, მუნიციპალიური ქალაქი უმბრიაში.
- <sup>7</sup> სტუმართმოყვარეობის (ჰოსპიტატიუმი) წესით სხედასხეა გვარი შეიძლებოდა დაკავშირებოდა ერთმანეთს. ისინი ვალდებული იყვნენ საჭიროების დროს გარკვეული სამსახური გაეწიათ ერთმანეთისათვის.
- <sup>8</sup> მეტელუსი, სერვილიუსი, სეპიონი - ცნობილი რომაული გვარები.
- <sup>9</sup> პროსკრიპციები, მოქალაქის კანონგარეშე გამოცხადება და მისი ქონების კონფისკაცია და შემდგომ სისხლიანი ანგარიშსწორება მოწინააღმდეგეებთან.
- <sup>10</sup> ტიტუს როსციუს მავნუსი, როგორც მოწმე. უნდა გამოსულიყო ბრალმდებლისა და დამტყველის შემდეგ.
- <sup>11</sup> პალატიუმი, ერთ-ერთი იმ შეიღობორცეთაგანი, რომელმედღაც გაშენებული იყო რომი.
- <sup>12</sup> გლაუცია, ლიბერტინი.
- <sup>13</sup> ეოლატერე, ციხე-ქალაქი ეტრურიაში.
- <sup>14</sup> სულას ეპითეტი იყო „ნეგარი“ (felix).
- <sup>15</sup> პენატები, ოჯახის მფარველი ღვთაებები.
- <sup>16</sup> დეკურიონი, მუნიციპალური სენატის წევრი.
- <sup>17</sup> კინტუს ცეცილიუს მეტელუს ბალუარიკი, კონსული ძე.წ. 123. კინტუს მეტელუს ნეპოტი. კონსული ძე.წ. 98.
- <sup>18</sup> გაიუს ფლავიუს ფიბრია, კონსულ ლუციუს ვალერიუს ფლავიუსის ლეგატი 86წ.
- <sup>19</sup> კინტუს მუციუს სეპეოლა, ორატორი და იურისტი, ციკერონის მასწავლებელი; კონსული ძე.წ. 95. იგი მოკლეს მარიუსის მომხრეებმა 82წ.
- <sup>20</sup> ციკერონი გესლიანად გადაუკრავს სიციუსს ერუციუსს მის მდაბიო წარმომავლობაზე.
- <sup>21</sup> ცეცილიუს სტაციუსი, რომაელი კომედიოგრაფი, დაიბადა ძე.წ. 106წ.
- <sup>22</sup> ეეი, ქალაქი ეტრურიაში.
- <sup>23</sup> გაიუს ატილიუს რეგულუსი, კონსული ძე.წ. 257 და 250.
- <sup>24</sup> რემიუსის კანონი, მიმართული იყო ცრუ ბრალდების წინააღმდეგ. დამნაშავე კარგავდა მოქალაქის უფლებას. მას მუბღმე ამომანთაუნდენ ასო „კ“ (კალუმნატორ - ცილისმწამებელი).
- <sup>25</sup> გადმოცემის თანახმად ბატემა კაპიტოლიუმზე ყიყინი ატეხეს, გააღვიძეს მცველები და იხსნეს რომი გალთა თავდასხმისაგან ძე.წ. 390.
- <sup>26</sup> კალენდე „კ“ ასოთი იწყება.
- <sup>27</sup> ტიტუს ცეცილიუს გარაციუნელზე ცნობები არ მოგვეპოვება.
- <sup>28</sup> ფურიები, რისხვის ქალღმერთები, რომლებიც დენილდენ ორესტეს დედის მკვლელობისათვის.
- <sup>29</sup> სოლონი, ცნობილი ათენელი კანონმდებელი ძე.წ. VI ს.
- <sup>30</sup> მარკუს ცეცილიუს მეტელუსი, ძე.წ. 69წ. პრეტორი.
- <sup>31</sup> ლუციუს კასიუს ლონგინუს რაილია, სახალხო გრიბუნი ძე.წ. 137; კონსული 127წ. ავტორი კანონისა ფარული კენჭისყრის შესახებ.
- <sup>32</sup> ბრძოლები კანესთან და გრასინენის გახსთან ძე.წ. 216, სადაც პანიბალმა მძიმე დარცხვა მიაყენა რომაელებს.
- <sup>33</sup> კინტუს ენიუსი, „ქეტორის ფარი“, ფრაგმენტი 167.
- <sup>34</sup> სამოცი წლის მოხუცებს არ ჰქონდათ უფლება მონაწილეობა მიეღოთ ომში და კენჭისყრაში.
- <sup>35</sup> ავტომედონტი, აქილეუსის მეტელე.
- <sup>36</sup> სამოცს მიტანებულ ადამიანს არ უმეზღენ ხიდზე, სადაც უნდა გაეუღო, მონაწილეობა რომ მიეღო კენჭისყრაზე. არის მეორე ახსნა ამ ადგილისა. უძველესი ჩვეულების თანახმად, ამ ასაკის კაცს ტიბრში ისროდნენ.

- 37 იგულისხმება გიგუს როსიუს მავნისი.  
 38 იგულისხმება გიგუს როსიუს კაპიტონი.  
 39 ქრისოგონი ბერძნულად „ოქროშობილს“ ნიშნავს.  
 40 ადგილი აკლია.  
 41 აეტექსა. თვითმადელარა წყლის ან ღვინისათვის.  
 42 მარკუს ვალერიუს მესალა. კონსული ძვ.წ. 61.

## I სიგვეა

- 43 პალაიუმში, ერთ-ერთი იმ შეიღობრეთავანი, რომელმაც გაშენდა რომი.  
 44 პალაიუმის ბორცვზე იღვა იუპიტერ სტატიორის ტაძარი, რომელსაც განსაკუთრებული დაცვა ჰქაუდა. აქ მოიწვია ციკერონმა სენატის სხდომა.  
 45 უბლიუს სეპიონ ნამიკა, უმაღლესი ქერუმი, რომელმაც გაილაშქრა გიბერიუს გრაკუსის წინააღმდეგ. თავდასხმა მოაწყო მასზე, რომლის დროს გიბერიუსი მოკლეს 133 წ. ძვ.წ.  
 46 გაიუს სერვილიუს აპალა. ცხენოსანთა ჯარის მეთაური დიქტატორ ცინცინატუსის დროს. მან მოკლა სპურიუს მელიუსი, რომელმაც შიმშილობის დროს თითქმის მუქთად დაურიგა ხალხს პური. სპურიუსს ბრალი დასდეს, თითქოს ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურდა. ცინცინატუსმა იგი სენატში გამოიძახა, მაგრამ სპურიუსი არ გამოცხადდა. იგი მოკლეს 439 წ. ძვ.წ.  
 47 გაიუს ვრაქუსი, სახალხო გრიბონი, რომელიც ძმის, გიბერიუსის მოკვლის შემდეგ იბრძოდა აგრარული რეფორმის გასაგარებლად. კონსულმა ლეციუს ომიმიუსმა თავდასხმა მოაწყო გაიუსსა და მის მომხრეებზე და ამოხოცა ისინი ძვ.წ. 122 წ.  
 48 მარკუს ფულიუს ფლაკუსი, გაიუს ვრაქუსის მოკავშირე, რომელიც გაიუსთან ერთად მოკლეს.  
 49 გაიუს მარიუსი, ცნობილი სამოგადო მოღვაწე, დემოკრატიული პარტიის მეთაური, შეიღვმის კონსული, რომელმაც დაამარცხა იუგურთა ძვ.წ. 106 წ. გაიმარჯვა ტეგონებზე ძვ.წ. 107 წ. და კიბრებზე ძვ.წ. 101 წ. იყო სულას მოწინააღმდეგე. ვალერიუს ფლაკუსი მარიუსის სიკედილის შემდეგ აირჩიეს კონსულად ძვ.წ. 86 წ. იყო მარიუსის მომხრე, მითრიდატესთან ლაშქრობის დროს მოკლა მაკედონიაში თავისმა ლეგატმა გაიუს ფლაკიუს ფიმბრიამ.  
 50 გაიუს სერვილიუსი, მარიუსის მომხრე, პრეტორი, მოკლეს ძვ.წ. 100 წ. ლეციუს სატურნიუსი, სახალხო გრიბონი მარიუსის მეექვსე კონსულობის დროს ძვ.წ. 100 წ. სატურნიუსის კონკურენტი მოკლულ იქნა ხალხის მიერ. სატურნიუსი იბრძოდა კანონების გასაგარებლად, რომლის თანახმად მარიუსის ყოფილ ჯარისკაცებს უფლება ეძლეოდათ შეეძინათ მიწები აფრიკაში, ხოლო ქალაქის მოსახლეობას – იაფად ყვიდა პური. გლაყიამ, სატურნიუსის მოკავშირემ, მოაკლევინა თავისივე კონკურენტი გაიუს მემუსი, აღშფოთებულმა ოპტიმატებმა სატურნიუსი და გლაყიამ ჩაქოლეს.  
 51 გაიუს მანლიუსი, ცენტურიონი, კატილინას მოკავშირე.  
 52 პრენესტე. რომთან ახლოს მდებარე ქალაქი.  
 53 მარკუს პორციუს ლეკა, კატილინას თანამზრახველი.  
 54 იგულისხმებიან: გაიუს კორნელიუსი და ლუციუს ვარგენტუსი.  
 55 დილის საღმის მოსახსენებლად, ჩვეულება, რომლის თანახმად ცნობილ პიროვნებას ეწვეოდა ხოლმე მეგობარი ან კლიენტი დილით, ადრე.  
 56 კონსული დესიგნატი, კონსულად არჩეული, რომელიც ჯერ კიდევ არ შედგომია თავისი მოვალეობის შესრულებას.  
 57 მარსის ველი, სადაც იკრიბებოდნენ კომიციები.  
 58 ცოლის სიკედილით, სალუსტიუსის გადმოცემით კატილინამ უღამამესი ქალის ავრელია ორესტილას გულისათვის მოაკლევინა პირველი ცოლი. ბოროტი ხმები იმასაც ამბობდნენ, რომ კატილინამ ამ ქალის გულისათვის მოკლა საკუთარი ვაჟი. რამდენად შეესაბამებოდა ეს ხმები სიმართლეს, არ არის ცნობილი. ციკერონი ცდილობს უკიდურესად ბილწ და მანკიერ პიროვნებად წარმოაჩინოს კატილინა.  
 59 ვალების გადახდის ჩვეულებრივი ვადა იყო კალენდები, უკანასკნელი კი – იღები. ამის შემდეგ შეუვალე კარგავდა ქონებას.  
 60 ლეიქუსისა და გულუსის კონსულობის დროს, ე.ი. ძვ.წ. 66 წ., როცა კატილინამ მოინდომა მეთქულეობის ვით მიეღწია უმაღლესი თანამდებობისათვის, მასში გარეული იყო იულიუს კეისარი და 65 წ. ცენზორი კრასუსი. ეს შეთქმულება ჩაიშალა, რადგან მასში სენატორთა ნაწილიც იყო ჩათრეული, იგი არ გაახმაურეს. როგორც ჩანს, კატილინა ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა. თუ სალუსტიუსს ენდობით, მას სულას პროსკრიპციების დროს შინაურებიც არ დაუნდვია: ძმა და სძუე ბერიუს უსამართლობა ჩაუდენია კატილინას აფრიკაში პრეტორად ყოფნის დროსაც. ყოველივე ამან ხელი შეუშალა მას საკონსული არჩევნების დროს, როგორც 66 წ., ასევე 63 წ.  
 61 მახვილი, რომლითაც მსხვერპლის შეწირვა ხდებოდა, რომელიმე ღმერთისადმი იყო მიძღვნილი.  
 62 მანიუს ემილიუს ლეპიდუსი, კონსული 66 წ. კატილინას მოწინააღმდეგე.



- 63 კენგუს ცეცილიუს მეგელუსი, 63წ. პრეტორი, 60წ. კონსული. მარკუს მეგელუსის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. იგი პრეტორი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, კაცილინას თანამშრომელი და მოკავშირე იყო.
- 64 პუბლიუს სესტიუსი, კვესტორი, რომელიც შემდგომ ციყერონმა დააბრუნა გაძევებიდან. მარკუს მარცელუსი, 63წ. კვესტორი, 51წ. კონსული.
- 65 როცა უმაღლესი თანამდებობის წარმომადგენელი რომიდან გადიოდა, პატივისცემის ნიშნად, კლიენტები და მეგობრები ქალაქის კარიბჭემდე მიაყვავებდნენ ხოლმე. ციყერონი აქ ირონიას მიმართავს. შენ ოღონდ დატოვე რომი და ჩვენ გაგაცილებთ კიდევაცო – მიმართავს კაცილინას.
- 66 აერელიუსის ფორუმი მდებარეობდა აერელიუსის გზაზე, რომელიც რომიდან ეტრურისაკენ მიემართებოდა.
- 67 ვერცხლის არწივი, ლეგიონის ნიშანი, რომელიც მიუძღოდა წინ მარიუსის ლაშქარს კიბრებთან ბრძოლის დროს.
- 68 სალუსტიუსის გადმოცემის თანახმად, კაცილინა ფიმიკურად ძლიერი, ამტანი პიროვნება ყოფილა.
- 69 კანონები მოქალაქეთა დასჯის შესახებ, სემპრონიუსის კანონის მიხედვით მოქალაქეთა სიკვდილით დასჯა მხოლოდ კომიციებს შეეძლოთ.
- 70 ციყერონი იყო ე.წ. „ახალი კაცი“ (Homo novus), რომელმაც პირადი ღირსებებით მიაღწია უმაღლეს თანამდებობას.

## II სიკვება

- 71 პრეტექსტამოსხმული. პრეტექსტა, გოგა, რომელსაც მეწამული ფერის მოლი დაკვეებოდა. მას ატარებდნენ: ა) უმაღლესი თანამდებობის პირნი, მოსამართლენი, ბ) უმაღლესი ქურუმი, ც) ეაეები 17 წლამდე.
- 72 გალიას რომაელები ორ ნაწილად აყოფდნენ: ციზალპიურ (ჩრდილოეთ იტალიის მხარე) და ტრანსალპიურ (ახლანდელი საფრანგეთისა და ბელგიის ნაწილი).
- 73 კენგუს მეგელუს ცელერი ციყერონმა გაგზავნა პიკენუმში (ცენტრალურ იტალიაში) ჯარის შესაგროვებლად.
- 74 პრეტორის ედიქტი. პრეტორის ბრძანება. ციყერონს მხედველობაში აქვს მეულის დასჯა ეალის გადაუხდლობის შემთხვევაში, რომელიც ე.წ. „თორმეტი დაფის კანონით“ იყო გათვალისწინებული. თუ მეუალე 30 დღის განმავლობაში კრედიტორს არ გადაუხდიდა თანხას, იგი მისი მონა ხდებოდა დროებით, სანამ ეალს გადაიხდიდა. ამის თაობაზე პრეტორს შეეძლო გამოექვეყნებინა ედიქტი.
- 75 ენეუს პომპეუსი, პირველი ტრიუმვირატის წევრი, რომელმაც გაიმარჯვა მითრიდატესთან ომში. შემდეგში კეისრის მოწინააღმდეგე.
- 76 მასილია, ქალაქი გალიის სანაპიროზე (ახლანდელი მარსელი). კაცილინამ ხმა დაავლო, ეითომცდა მასილიას მიემგზავრებოდა და არა ეტრურიაში.
- 77 ახალი ტაბულების გამოკერა გულისხმობდა ეალების კასაციას. ასეთ შემთხვევაში მეუალენი თავისუფლებოდნენ მთლიანად ან ნაწილობრივ ეალებისაგან და დგებოდა ე.წ. „ახალი ტაბულები“, ახალი დაეთრები. სააუქციონო ტაბულებში კი აღწერილი უნდა ყოფილიყო მეუალის ქონება, რომლის ბაკონ-პატრონი კრედიტორი ხდებოდა.
- 78 კაცილინას ლაშქარში შედიოდნენ მონებიცა და ელაღიაგორებიც.
- 79 სულამ გამარჯვების შემდეგ უხვად დაასაჩუქრა თავისი მომხრეები. დააარსა კოლონიები ლაციუმსა და კამპანიაში, რომლებშიც დაასახლა 100000 ჯარისკაცი.
- 80 პროსკრიპციები, პიროვნების კანონგარეშე გამოცხადება და მისი ქონების კონფისკაცია.
- 81 ტუნიკა, ყოველდღიური ტანსაცმელი, რომლის ზემოთ ქალები იცვამდნენ სტოლას, კაცები – ტოგას. სახელობიანი ტუნიკა ნაში ქსოვილისაგან იყო დამზადებული. უტოგოდ ტუნიკას უბრალო ხალხი ატარებდა.
- 82 პრეტორის კოპორტა, ძირითადად მცველებისაგან შემდგარი ლაშქარი, რომელიც მხედართმთავარს ახლდა.
- 83 მუნიციპიები, რომის მოკავშირე ქალაქები.
- 84 თანამდებობის პირნი ტოგას იცვამდნენ მშვილობიანობის დროს.

## III სიკვება

- 85 პუბლიუს ლენტულუსი, ძე.წ. 71წ. კონსული, 63წ. პრეტორი.
- 86 ეულტურციუსი, კაცილინას შეთქმულების მონაწილე, რომელიც სალუსტიუსის გადმოცემით სენატმა უხვად დაასაჩუქრა.
- 87 ლუციუს ვალერიუს ფლავუსი, ამიის პროპრეტორი. გაიუს პომპიენუსი ძე.წ. 63წ. პრეტორი.
- 88 ამ ხილზე გადადიოდა გზა ეტრურისაკენ.

- 89 პრეფექტურები, რომის მოკავშირე ქალაქები, რომელთაც რომის პრეფექტი განაგებდა. რეატი, საბინთა ქალაქი.
- 90 მესამე ვიცილია. დამე თორმეტი საათიდან დღის თორმეტ საათამდე ოთხ ვიცილიად იყოფოდა. თითოეული სამ-სამ საათს შეიცავდა.
- 91 კიზირიუს გაბინუსი, კატილინას თანამშრომელი.
- 92 ლუციუს სტატილიუსი, გაიუს ცეთეგუსი, კატილინას თანამშრომელი.
- 93 ლუციუს კასიუსი, კონსულობის ერთ-ერთი კანდიდატი ძვ.წ. 63წ.
- 94 სიბილას წიგნები, წინასწარმეტყველებანი, რომლებიც ქურუმებს მენახული პქონდათ გაძარში და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავდნენ მას. სიბილას წიგნების თანახმად, რომის მმართველები იქნებოდნენ ზედმედ CCC (კკკ). ლენტულუსი, ცინა და სულა კორნელიუსების (ცნობილი რომაული გვარის) წარმომადგენლები იყვნენ. ამიტომ ლენტულუსი ვარაუდობდა, რომ პირველი ორი CC-ში ცინა და სულა იგულისხმებოდნენ, მესამე კი თავად უნდა ყოფილიყო.
- 95 სატურნალიები, უძველესი რომაული დღესასწაული, რომელიც იწყებოდა 17 დეკემბერს და გრძელდებოდა რამდენიმე დღეს. ეს დრო ხელს აძლევდა შეთქმულებს, რადგან ხალხი ამ დღეებში მზიარულობდა; ამდენად სიფხიზლე მოდუნებულ იყო. ასე რომ შეთქმულების მონაწილეებს შეეძლოთ შეუმჩნეველად განეხორციელებინათ თავიანთი გეგმები.
- 96 წერილი გასანთლელ ფირფიტებზე იწერებოდა, რომლებსაც შემდეგ კრავდნენ მონრებით. ეკანძს სანთლით ამაგრებდნენ და მფლობელის ბეჭედს ადებდნენ.
- 97 პუბლიუს კორნელიუს ლენტულუსი, ძვ.წ. 162წ. კონსული.
- 98 პრინციპსებად სენატში ითვლებოდნენ ისინი, ვისაც პირველებს ეკითხებოდნენ ამრს: კონსულარები, კონსულ-დესიგნატები--
- 99 გაიუს ანტონიუსი, კონსული ციცირონთან ერთად 63წ.
- 100 კოტა და გორკეატუსი, კონსულები 63წ.
- 101 პუბლიუს სულპიცუსი, სახალხო ტრიბუნი 88წ. მარიუსის მომხრე, მოკლეს 88წ., როცა სულამ დიქტატურა ხელში ჩაიგდო.
- 102 გნეუს ოქტავიუსი, სულას მოკავშირე. მან გააძევა რომიდან ცინა.
- 103 ლუციუს კორნელიუს ცინა, კონსული 86წ. 87წ. მარიუსთან ერთად აირჩიეს კონსულად.
- 104 მანათობელი ვარსკვლავები. მას შემდეგ, რაც მარიუსმა და ცინამ გაიმარჯვეს, სასტიკად გაუსწორდნენ სულას მომხრეებს. მათ შორის ბევრ გამოჩენილ პიროვნებას: კონსულ ოქტავიუსს, ცნობილ ორატორსა და იურისტს მარკუს ანტონიუსს--
- 105 მარკუს ლეპიდუსი, კონსული, 78წ.
- 106 იგულისხმება გნეუს პომპეუსი.

#### IV სიგყვა

- 107 საკონსულო აუსპიცები, საკონსულო კომიციები მარსის ეელზე იკრიბებოდა, რასაც წინ უსწრებდა აუსპიცები (მისნობანი). ამ რიტუალს საზეიმო ელფური ჰქონდა.
- 108 იგულისხმება კეინტუს ტულიუს ციცირონი.
- 109 მემიუს გაიუსი მოკლეს საკონსულო არჩევნების დროს, სატურნინუსის კონსულობის დროს.
- 110 ლეციუს სილანუსი, ვისაც პირველს მისცა სიგყვა ციცირონმა, მოითხოვდა კატილინას სიკვდილი დასჯას.
- 111 სემპრონიუსის კანონის მიხედვით მოქალაქის დასჯა მხოლოდ ხალხს უნდა გადაეწყვიტა.
- 112 ლუციუს იულიუს კეისარი, კონსული 64წ.
- 113 იგულისხმება გაიუს გრაქუსის მოკავშირე ფლავუსი, რომელიც შეიღთან ერთად მოკლეს.
- 114 პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელი (უფროსი), რომელმაც დაამარცხა ჰანიბალი. მეორე აფრიკელი პუბლიუს კორნელიუს სციპიონი (უმცროსი), რომელმაც კართაგენი დაანგრია. ემილიუს პაულუსმა დაამარცხა მაკედონიის მეფე პერსე.
- 115 ციცირონი რესპუბლიკის ძლიერებას სენატისა და რომაულ მხედართა წრის კავშირში ხედავდა.

*თარგმნა იამზე გავუამ*

## სციპიონის სიზმარი\*

სციპიონი.<sup>1</sup> როდესაც აფრიკაში ჩავედი კონსულ მანიუს მანილიუსის<sup>2</sup> ხელქვეითად და, როგორც მოგესხენებათ, მეოთხე ლეგიონის სამხედრო გრიხუნად,<sup>3</sup> ყველაზე მეტად მეფე მასინისას<sup>4</sup> ნახვა მსურდა, რომელსაც, საესებით საუფიქლიანად, ახლო მეგობრობა აკავშირებდა ჩვენს ოჯახთან. როგორც კი ვეწვიე, ბერიკაცი<sup>5</sup> გადამხეხია და თვალზე ცრემლი მოადგა; მერე მეცას ახელა და თქვა: „მადლობას ვწირავ მაღალ მზეს და ზეცის დანარჩენ მკვიდრთაც, რადგანაც, ვიდრე ამ ქვეყანას დაუტყვევებდე, საშუალება მომცეს ჩემს სამეფოში და იმ ჭერქვეშ მხილა პუბლიუს კორნელიუს სციპიონი,<sup>6</sup> ვისი სახელის ხსენებაც კი მხნეობას მშაგებს. ჩემს სულში ხომ არასოდეს წაშლილა იმ დიდებული და უძლეველი კაცის ხსოვნა“. შემდეგ მისი სამეფოს ამბავი ეკითხე, მან ჩვენი რესპუბლიკის ეთარება გამომიკითხა და მთელი ეს დღე გულითად საუბარში გაეაგარეთ.

მას შემდეგ რაც მეფურად მიმასპინძლა, გვიან ღამეზე შეყვებით საუბარს. ბერიკაცი მხოლოდ პუბლიუს კორნელიუს აფრიკელზე ლაპარაკობდა და არა მარტო მის საქმეებს, მისსავე სიგყვებასაც იხსენებდა. ბოლოს, როცა გამომშვიდობებისა და მოსვენების ემშა მოაწია, მგზავრობითა და ღამის თევით დაღლილს უფრო ღრმად ჩამეძინა, ვიდრე მჩვეოდა. ძილში, ეგყობა, იმის შედეგად, რაზედაც ვსაუბრობდით (აკი სიფხიბლეში ნათქვამი და ნაფიქრალი რაღაც იმდაგვარს იწევენ ძილში, რასაც ენიუსი წერს ჰომეროსზე, ვისზედაც, ალბათ, სიფხიბლეში ხშირად ფიქრობდა და ლაპარაკობდა<sup>7</sup>), – „აფრიკელი“ გამომეცხადა, რომელსაც მისი გამოსახულების მიხედვით უკეთ ვიწვინობდი, ვიდრე მისი ნამდვილი სახით.<sup>8</sup> როცა ვიყანი, ვინც იყო, შიშმა ამიგანა, მაგრამ მან მითხრა: „მხნედ იყავ, სციპიონ,<sup>9</sup> განღვენე შიში და დაიხსოვ, რასაც გეცყვი.

თუ ხედავ იმ ქალაქს, მე რომ ეაიძულე დამორჩილებოდა რომაელ ხალხს, მაგრამ ახლა უწინდებურად ომის გზას ირჩევს, რადგანაც მშვიდად ყოფნა არ შეუძლია!<sup>10</sup> (ამასთან, ის მაღალი და ვარსკვლავებით მოჭვდილი, ნათელი და სხივმუხინარე ადგილიდან<sup>11</sup> მიჩვენებდა კართაგენს). ახლა კი შენ ღამის უბრალო ჯარისკაცად მოვლენილხარ აქაურობას,<sup>12</sup> რათა იერიში მიიგანო ამ ქალაქზე. ორ წელიწადში, როგორც კონსული,<sup>13</sup> მიწასთან გაასწორებ მას და კიდევაც დაიმსახურებ იმ მეტასახელს, რომელიც დღემდე მეშეკვიდრობით გრვებია ჩემგან.<sup>14</sup> კართაგენის დაქვევის შემდეგ რაც შენი გრიუფით დავვირვეინდება,<sup>15</sup> ცენზორი გახლები და ლევაგად ეწვევი ვევიტეს, სირიას, ამიასა და საბერძნეთს, მერე კი, შენდა დაუსწრებლად, მეორედაც ავირჩევენ კონსულად, უსასტიკეს ომს მოიგებ და ნაყარტუგად აქვევ ნუმანიას. მაგრამ როდესაც ეგლით შევრიალდები კაპიტოლიუმში,<sup>16</sup> ჩემი შეილიმვილის მრასებით ამტკვებულს კპოვებ რესპუბლიკას.<sup>17</sup>

და აქ შენ, აფრიკელო, უნდა უჩვენო სამშობლოს შენი სიმამაის, სიბრძნისა და ვონიერების ნათელი. მაგრამ მე თითქოს ორმაგ გზას ვხედავ, ბედისწერის მიერ საიმდროისოდ განსაზღვრულს. როცა შენს სიყოცხლეში რვაჯერ იხილავ ცის ერთსა და იმავე წერტილში მშის შეიდ მოქცევას, და როცა ეს ორი რიცხვი, სხვადასხვა მიზმის ძალით, სრულ რიცხვად მიჩნეული, თავისი ბუნებრივი სვლით გაასრულებს ბედისწერის მიერ შენთვის დასაზღვრული წლების სათვალავს,<sup>18</sup> მხოლოდ შენკენ, მხოლოდ შენი სახელისკენ მოიქცევა მთელი ქალაქი: სენატიც და ყველა კეთილი მოქალაქეც, მოკავშირეებიც და ლათინებიც; შენკენ მშირალნი მხოლოდ შენ მივიჩნევენ სახელმწიფოს კეთილდღეობის ერთადერთ მხსნელად, და შენ, დიქტატორმა, უნდა ადადგინო საზოგადოებრივი წესრიგი, თუკი შეძლებ თავი დააღწიო შენი ახლობლების უკეთურ ხელს“.<sup>19</sup>

აქ ლელიუსს<sup>20</sup> სიმწრის ყვირილი აღმოხდა და დანარჩენებმაც ერთხმად ამოიგვინეს, მაგრამ სციპიონმა ალერსიანი ღიმილით შეაჩერა ისინი: „გვედრებით, ნუ გამოალეიძებთ; ყური მიგდეთ და ბოლომდე მოისმინეთ ჩემი სათქმელი“.

„მაგრამ ესეც უნდა იყოდე, სციპიონ, – განაგრძო აფრიკელმა, – რათა უფრო მხნედ ემსახურო რესპუბლიკას: ყველას, ვინც დაიცვა სამშობლო, შეეწია მის კეთილდღეობას და განაერყო მისი საზღვრები, გარკვეული ადგილი აქვს მიჩენილი ცაში, მარადიული სიყოცხლისა და უხრწნელი ნეტარებით ტკობის ადგილი. რადგან არაფერი ისეთ სიამეს

არა ჯვრის უმენავს ღვთაებას, სამყაროსა და ყოველივე იმის გამრიგეს, რაც ხდება დედამიწაზე, როგორც სამართლით მეკრულ-შედღებებულ კაცთა ერთობა, რასაც სახელმწიფოს ეწოდებოდა ჩვენ, რომლის მმართველნიც და მფარველნიც, აქედან წასვლის შემდეგ აქაურობასვე უბრუნდებიან.“

მამინ მე, შემრწუნებულმა არა იმდენად სიკვდილის შიშით, რამდენადაც ჩემი ახლობლების მშაკერობით,<sup>21</sup> ვკითხუ: „შენ თვითონ, მამაჩემი პაეღუსი<sup>22</sup> და სხვები, ვინც მეკრებად მიგვანდა. ცოცხლები თუ ხართ-მეთქი?“ – „რა თქმა უნდა; – მომიგო მან, – ყველანი ცოცხლები ვართ, სხეულის ბორკილებიდან, როგორც პირქუში დილეგიდან, თავდახსნილი და თავისუფალი; სიკვდილი კი ისაა, რასაც თქვენ სიცოცხლეს უწოდებთ.“<sup>23</sup> ნუთუ ვერ ხედავ მამამენ პაეღუსს,<sup>24</sup> რომელიც გეიახლოვდება?“ მისი დანახვისას დაპაღუსით წამომივიდა ცრემლები, ის კი გადამეხვია, გადამკოცნა და თავისი ალერსით შემომრო ცრემლი.

როცა გირილი მეწყვიციე და ხმის ამოღება შევძელი, მამაჩემს ვკითხუ: „მითხარი, უწმინდესო და ყოელის მჯობო, თუკი სიცოცხლე სწორედ ესაა, როგორც აფრიკელისაგან შევიტყუე, მამინ რაღას ვეღივარ ამ წყულ ქვეყნად, რაგომ არ მოვეშურები თქვენკენ?“ – „არა, – თქვა მან, – სანამ ღვთაება, ვისიყა ეს გაძარი,<sup>25</sup> რომელსაც ხედავ, არ გაგათავისუფლებს შენი სხეულის გყვეობისაგან, მანამდე არ გაგეხსნება მეყის კარი. ადამიანები ხომ იმისათვის არიან დაბადებულნი, რომ არ მიაგოვონ დედამიწად სახელდებული ბურთი, ამ გაძრის შუამი რომ ხედავ; მათი სული კი იმ მარადიული ცეცხლოვანი სფეროებიდან იღებს დასაბამს, თქვენ მიერ ვარსკვლავებად და მნათობებად რომ იწოდებიან. ეს მრავალია, ღვთაებრივ გონთან წილნაყარი და ღვთაების მიერვე გასულიერებული სფეროები განსაკეფრებული სისწრაფით ასრულებენ თავიანთ წრებრუნებას. ასე რომ, შენ, პუბლიუს, ისევე, როგორც ყველა ღვთისმოსაემაც, სხეულის დილეგში უნდა ამყოფოთ თქვენი სული და მისი ნებართვის ვარემე, ვინც ეს სული გიბოძათ, არ დაუგევოთ ადამიანური სიცოცხლე და, ამრიგად, არ უღალატოთ ღმერთის მიერ დაკისრებულ მოვალეობას.“<sup>26</sup>

ხოლო მე, სეპიონ, ისევე აღასრულე სამართლიანობა და მოიხადე შენი ვალი, როგორც აქ მყოფმა პაპამენმა და მე, შენმა მშობელმა, მოვიხადეთ. ეს ვალი დიღია მშობლებისა და ახლობლების მიმართ, სამშობლოს მიმართ კი – უღიადესი.<sup>27</sup> მხოლოდ ამნაირი სიცოცხლე თუ მიგიყვანს მეყის კარად, იმ ხალხის ხომღში, ვინც უკვე დაასრულა თავისი სიცოცხლე და ახლა, სხეულისაგან თავდახსნილი, იმ ადგილას სახლობს, რომელსაც ხედავ (სხიყისკროვანსა და ვარსკვლავათა შორის ნათლის მფრქვეველ რკალზე მანიშნა), რომელსაც თქვენ, ბერძნების მსგავსად, გაღაქიკას უწოდებთ“.

იქიდან, სადაც ვიყავი და თვალს ვერ ვწყვეტიდი ამ საოყარ სანახაობას, ყველაფერი მომუნსხველად და გამოგებულად მეჩვენებოდა. ასე ღამამი და ამხელა ვარსკვლავები არასოდეს დავგინახავს ჩვენი საცხოყრისიდან. მათ შორის ყველაზე უმყირესი, რომელიც ყველაზე შორსაა ციდან და ყველაზე ახლოს – ჩვენთან, ნასუსხები სინათლით ნათობდა.<sup>28</sup> ვარსკვლავათა ეს გიგანტური სფეროები თავიანთი სიდიდით განუზომლად აღემატებოდნენ დედამიწას, რომელიც მათან შედარებით, ისე პაგარა მომეჩვენა, რომ სიბრალულიც კი ვიგრძენი ჩვენი ქვეყნის მიმართ, პაწაწინა წერტილად რომ ამნდა დედამიწის მეღაპირს.

ვიდრე ასე ღვინებით ვუქტერდი დედამიწას, აფრიკელმა თქვა: „როდემდე იქნება შენი ამრი მიქეული დედამიწისკენ? ნუთუ ვერ ხედავ ამ ღვთაებრივ გაძარს, სადაც მოსულსარ? ყველაფერი მეკრულია ცხრა წრით, ან უკეთ რომ ვთქვათ, სფეროთი, რომელთაგანაც ერთერთი, ყველა დანარჩენის მომეყელი, გარეთა ციური სფეროა,<sup>29</sup> ესაა უმენავსი ღმერთი, რომელიც მოიყავს ყველა დანარჩენს. სწორედ მასზე არიან მიმაგრებული უძრავი ვარსკვლავები, მარადიულად რომ ბრუნავენ. მის ქვემოთ კი მეიღი სფეროა, რომელთა უკუქეყითი მოძრაობა საპირისპიროა ციური სფეროს მოძრაობისა. ერთერთი სფეროს მულობელია პღანეგა, რომელსაც საგურნს უწოდებენ დედამიწაზე. მისი მომდევნოა ვარსკვლავი იუპიტერად სახელდებული, რომელსაც ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მოაქვს კაცთათვის. უფრო ქვემოთ – წითლად მბრწყინავი და დედამიწისათვის თავმარღამ-ციმი ვარსკვლავი, რომელსაც თქვენ მარსს უწოდებთ. კიდეც უფრო ქვემოთ, დაახლოებით

შუა ადგილი მზეს უჭირავს, დანარჩენ მნათობთა მეუფეს, მზრძანებელსა და მთავარს, სამყაროს გონსა და გამრიგეს, იმდენად ღიადს, რომ თავისი სხივებით აესებს და ანათებს ყველაფერს. მისი თანმსლები არიან, ერთის მხრივ, ენერა, მეორეს მხრივ კი, შერკური. და ბოლოს, სულ ქვემოთა წრეზე მიმოიქცევა მზის სხივებით განათებული მთვარე. მის ქვემოთ კი სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რაც მოკლავია და ხრწნადი, სულელების გამოკლებით, რომლებიც ღმერთმა უბოძა კაცთა მოღვმას. ხოლო მთვარის შემოთ ყველაფერი მარადიულია. რაც შეეხება ღედამიწას, ანუ მეცხრე სფეროს და სამყაროს ცენტრს, ის უძრავად დგას ყველაზე დაბლა, და ყველაფერი, რასაც წონა აქვს, მისკენ მიილგვის საკუთარი სიმძიმის ძალით“.<sup>30</sup>

ყოველივე ამის მიმართ განცეიფრებით მშირალმა გონს მოგებისთანავე ეკითხუ: „კი მაგრამ, ეს რა ბგერებია, ასე ხმამაღალი და საამო, თაეიანთი ეღერადობით რომ აესებენ სასმენელს ჩემსას?“ – „ეს ბგერები, – მომიგო მან, – არათანაბარი შუალედებით დაყოფილნი, მაგრამ მაინც გარკვეული თანაფარდობებით განლაგებულნი, სფეროთა შმაგი ბრუნვისაგან იღებენ დასაბამს, რაც მაღალ და დაბალ ბგერათა შერეუა-შეხამების შედეგად სხედასხეუანიარ პარმონიულ თანახმიერებას იწვევს. ეს უზარმაზარი სხეულები ჩემად ხომ ვერ იმოძრაებენ, და თვით ბუნება აწესებს იმას, რომ კიდურა სფეროთაგან ზოგი უფრო ხმამაღლა, ზოგი კი უფრო ხმადაბლა ეღერდეს. სწორედ ამ მიზმის ძალით, აი, ის უმენაესი, უძრავ ვარსკვლავთა მგეირთეული და უფრო სწრაფად მოძრაეი გეუა უფრო მაღალ და მკვეთრ ბგერებს გამოსცემს, მთვარის ყველაზე დაბალი სფერო კი, პირიქით, – დაბალს.“<sup>31</sup> რივით მეცხრე ღედამიწა ხომ ყოველთეის სამყაროს შუამია, ერთსა და იმავე ადგილას. დანარჩენი რვა გზა კი, რომელთაგანაც ორი გოლძალია,<sup>32</sup> ერთმანეთისაგან შუალედებით დაყოფილ შეიდ ბგერას გამოსცემს,<sup>33</sup> ხოლო ეს რიხეი თითქმის ყველა საგნის კვანძია. სიშხეითა თუ სიმღერით მათი მიზამების შეღვევად, ცოლნით ნათელეფენილმა ხალხმა, ისევე, როგორც ყველა მაღალმა სულმა, ადამიანურ სიოცხლეში ეღეაებრივ საგანთა შემეუნებას რომ მიელგეოდა, ღირსეულად ღადმსახურა კვლავ დაბრუნებოდა იმ ადგილს, სადაც ჩენა ეართ ამჟამად.<sup>34</sup> ვისი სასმენელიც ამ ბგერებითაა საესე, აღარაფერი ეყურება, რადგანაც თქენში არ არსებობს უფრო ჩღუნეი გრძნობა, ვიდრე სმენაა. ხომ მოგესხენებათ, რომ იმ ადგილის ბინადართათეის, რომელსაც კატადუქა<sup>35</sup> უხმობენ, სადაც ნილოსი ცაღამიღული მთებიდან ღრიალით ეშვება დაბლა, გამაყრუებელ ხმაურს მთლიანად დაუხმავს სმენა. სამყაროს შმაგი წრებრუნეით გამოწვეული ბგერების ხმიანობა იმდენად მაღალია, რომ ადამიანისთეის ისევე შეუძლებელია მისი აღქმა, როგორც შეუძლებელია თვალეი გაუსწორო მზეს, რომლის სხივებსაც ეწირება მაგ თქენი მგერის სიბასრე“.

მიუხედავად იმისა, რომ გაოგნებული მიგჩერებოდი ყოველივე ამას, მაინც ღედამიწისკენ გამიბოღა მგერა. მაშინ აფრიკელმა თქვა: „როგორც უხედავ, კაცთა საცხოვრისს და სამკეიდროს ეერასღიდებით ვერ წყევტ თვალს. თუ ისე პატარა გეჩენება, როგორიეა სინამღელიეში, გამუღმებით უმბირე ეიურ სხეულებს, ღედამიწას კი მიზლით აქეიე ზურგი. მართლაცდა, რა სახელი შეიძლება მოგიხევეჭოს კაცთა მითქმა-მოთქმამ, ან რა სანუეკარი ღიდება? ხომ ხედავ, ღედამიწა მხოლოდ აქა-იქ, ალაგ-ალაგაა დასახლებული, და ყველა ამ პატარა ადგილს, თითქოს ღაქებად რომ აგყეია მიწის ზეღაპირს, ერთმანეთისაგან ერციელი უღაბნოები ჰყოფს: ასე რომ, ღედამიწის მკეიდრნი არა მარგო ერთმანეთისაგან გათიმულგანცალკეეებულნი და განმხოლოებულნი არიან, არამედ ურთიერთსაპირისპირო სარგყლებში“<sup>36</sup> მიმოფანგულნიც, რის გამოც ერთიმეორის ანგიმოღებად გვეელინებიან. მერედა, რა ღიდებას უნდა მოელოდეთ მათგან?

იმასაც ხედავ, რომ ეს ღედამიწა გარშემორგყმული და შემოვარსულია სარგყლებით, რომელთაგანაც ორი, ერთმანეთისაგან ყველაზე მეგად ღამორებული და, ორივე მხრივ, თხემის ზეის თაღს მიბჭენილი, ყინულითაა ღაფარული,<sup>37</sup> შუათანა, ყველაზე ფართო სარგყელი კი – მზის მცხუნეარებით გაღახრუკული.<sup>38</sup> ორი სარგყელი დასახლებულია. მათგან ერთ-ერთს, კერძოდ, აბზხრეთ სარგყელს, რომლის მკეიდრნიც თქენი ანგიმოღები არიან, არაეითარი საურთო არა აქვს თქენს მოღვმასთან. რაც შეეხება მეორე – ჩრდილოეთისაკენ მიქეულ სარგყელს, სადაც თქვენ სახლობთ, დაუეიერი, რა უხადრუკი ნაწილი გი-

კირავთ მისი. მთელი ეს მიწა, თქვენი საცხოვრისი, ორსავე თხემთან რომ ვიწროვდება, გვერდულად კი განიერდება, არსებითად, მხოლოდ პატარა კუნძულია, იმ ვრცელი მღვით გარემოცული, რომელსაც თქვენ, დედამიწის მეციდრნი, ატლანტიკას, დიდ მღვასა თუ ოკეანეს უწოდებთ; მაგრამ ისიც კი რა პატარაა ესოდენ შთამბეჭდავ სახელთან შედარებით. მერედა, როგორ გვონია, ამ დასასლებული და კაცთათვის ცნობილი მიწა-წყლიდან ვინდ მენი და ვინდ რომელიმე თქვენგანის სახელი შეძლებდა ფრენით გადავლებოდა თავს კავკასიას, ან ეურეთ გადავლახა განგი?<sup>39</sup> ამომავალი თუ ჩამავალი მზის რომელ ქვეყანაში, ან ჩრდილოეთის თუ სამხრეთის რომელ მხარეში, ვის, რომელ მოკვდავს შეიძლება ოდესმე მაინც სმენოდა შენი სახელი? ხოლო თუ მათ გამოვრიცხავთ, რა თქმა უნდა, შეგიძლია შენივე თვალით დაინახო, რაოდენ ვიწრო ფარგლებით იზღუდება იმისი გავრცელების არე. რასაც თქვენ დიდებად სახავთ. ისინი კი, ჩვენ რომ გვადილებენ, როგორ გვონია, რამდენ ხანს განგვადილებენ კიდევ?

თუმცა შთამომავლობამ კიდევაც რომ მოისურვოს მომავალ თაობებს გადასცეს ჩვენი დიდების ხსოვნა, სულერთია, მოვიგვიშე ხანძრებში დედამიწის დანთქმისა თუ ყოვლისწამლეკი წარღვენების გამო, გარდუვალად რომ მეორდება იან დროის გარკვეულ მუალედთა შემდეგ,<sup>40</sup> – მაინც ვერ ვეღირსებთ არამეთუ სამარადისო, თვით მეგნაკლებად ხანგრძლივ დიდებას. მაშ, რა მნიშვნელობა აქვს, რას იგყვიან შენზე მომავალი თაობები, როცა უფრო ადრე შობილთ არც კი უხსენებხართ ოდესმე? არადა, ეს უკანასკნელნი ხომ არანაკლებ მრავალრიცხოვანნი, მეტიც, უფრო ღირსეულნიც კი იყვნენ; მით უმეტეს, რომ თვით მათ შორისაც კი, ვისაც, საერთოდ, შეიძლებოდა სმენოდა ჩვენი სახელი, ერთ წელზე მეტხანსაც არაეის შეუნახავს ჩვენი ხსოვნა. მართლაცადა, ადამიანები ხომ, ხალხური ჩვეულების მიხედვით, მზის, ე.ი. ერთადერთი პლანეტის მოქცევით განსაზღვრავენ წელს, თუმცა სინამდვილეში წლის ცვალებად უნდა მიგვეჩნია მხოლოდ ის დრო, როცა, ხანგრძლივი მუალედების შემდეგ ყველა მნათობი ხელახლა უბრუნდება მოძრაობის საწყის წერტილს და, ამრიგად, მთელი ცის თალი კვლავ თავის ოდინდელ იერს იღებს. გამიჭირდება თუ შეუძლება, ადამიანთა რამდენ თაობას მოიცავს ერთი ასეთი წელი. რადგან ოდესღაც, როცა რომელღუსის სული მოეღვინა, აი, ამ გაძარს, ხალხს მოეჩვენა, რომ მზე თანდათან ჩაიშრია და ჩაქრა. ხოლო როცა ის კვლავ ჩაქრება იმავე ადგილას და იმავე დროს; როცა ყველა თანავარსკვლავედი და ყველა მნათობი ცის თაღზე კვლავ დაიჭერს უწინდელ ადგილს, სწორედ მაშინ გასრულდება „დაიდა წელი“.<sup>41</sup> მაგრამ იცოდე, რომ ჯერ ამ წლის მეოცდღესაც არ გაუვლია.

ამიტომ, თუ გადავიწყდა იმის იმედი, რომ კვლავ დაუბრუნდე ამ ადგილს, სადაც ყველაფერი დეაწლმოხილ და სახელგანთქმულ კაცთათვისაა განკუთვნილი, რადა ფასი აქვს მაშინ ადამიანურ დიდებას, რომელიც ძლივს თუ გასწვდება ერთი წლის უბადრუკ ნაწილს? თუ ვინდა მეუას მიაპყრო მხერა, რათა პირისპირ ჭერეგდე ამ მარადიულ საეანესა და საცხოვრისს, ყურს ნუ მიუგვებ ბრბოის მითქმა-მითქმას და ნურც კაცთაგან მონიჭებულ ჯილდოს მიიჩნევ შენი სასოების ხორცუმესხმად. დაე, თვით სიქველე თავისი ხიბლით გიძლოდეს წინ ჭეშმარიტი დიდებისაკენ. რასაც შენზე იგყვიან კაცნი, ეს მათი საქმეა; თქმით კი უსათუოდ იგყვიან. მაგრამ მთელი ეს მიეთ-მოეთი იმ მხარეთა ვიწრო ფარგლებითაა მღვარდადებული, აქედან რომ ხედავ, და ვერაეის ვერასდროს ვერ მოუხევეტ ხანგრძლივ დიდებას, რადგანაც ისევე უხანოა და უდღეური, როგორც თვით კაცთა სიცოცხლე, და უკვალოდ ქრება შთამომავლობის ხსოვნაში“.

ეს სიგყებები რომ წარმოთქვა, მე მიუეუე: „მართლაცადა, აფრიკელო, რაკიდა სამშობლოს წინაშე ვაღმობხილთათვის ხსნილია გზა, რომელსაც ცის კარად მიეყავართ, – მე, სიყრ-მითგანეე რომ მივდევი არა მარტო მამაჩემის, არამედ შენს კვალსაც, და არასოდეს შემობლალავს თქვენი დიდება, ახლა, როდესაც ესოდენ დიდი ჯილდო მეღის, კიდევ უფრო დაუმსხრალი ვიქნები ჩემი სწრაფვისას“. ხოლო მან მითხრა: „მაშ, მხნედ იყავ და გახსოვდე: შენ კი არა ხარ მოკვდავი, არამედ – შენი სხეული. ვინაიდან ის როდი ხარ, რასაც შენი გარეგნული იერი ავლენს, არამედ – სული; დაბ, სწორედ სულია ადამიანი, და არა მისი იერსახე, რაც სხეებს შეიძლება თითით უჩვენო. მაშ, იცოდე, რომ ღმერთი ხარ,

რადგანაც ღმერთი ისაა, ვინც ცოცხლობს, ვინც გრძნობს, ვისაც ახსოვს, ვინც წინასწარ ხედავს, განაგებს, მართავს და ისევე ამოძრავებს მისთვის ბოძებულ სხეულს, როგორც უმზნაესი ღმერთი ამოძრავებს მთელ სამყაროს. დიახ, როგორც ყოელისმძლე ღმერთი ამოძრავებს ამ უსასრულო და, გარკვეულწილად, მოკვდავ სამყაროს, ასევე ამოძრავებს ხრწნად სხეულსაც მარადი სული.

რადგან ის, რაც მარად მოძრაობს, წარუვალაია; ხოლო ის, რაც სხვას ანიჭებს მოძრაობას, რომელსაც, თავის მხრივ, სხვისაგან იღებს, მოძრაობის შეწყვეტისთანავე არსებობასაც წყვეტს. მხოლოდ თვითმოძრავი არასოდეს არ დალაგობს საკუთარ თავს. მეტიც, ყველა სხვა მოძრავი სხეულისთვისაც სწორედ ისაა მოძრაობის წყარო და საწყისი. თვით საწყისი კი დაუსაბამოა. ყველაფერი საწყისისიგან იღებს დასაბამს, ხოლო საკუთრივ საწყისი არაფრისგან არ იბადება, ვინაიდან, სხვა რამისგან რომ იბადებოდეს, საწყისიც აღარ იქნებოდა. მაგრამ თუ არაფრისგან არ იბადება, არც არასოდეს ქრება, რადგანაც საწყისი რომ ქრებოდეს, ვეღარც სხვა რამისგან დაიბადებოდა და ვეღარც სხვას მისცემდა დასაბამს, რაკილა აუცილებელია, რომ ყველაფერი საწყისის წყალობით ეზიარებოდეს არსებობას. მამასადამე, მოძრაობის დასაბამი არის ის, რაც თვითონ ამოძრავებს საკუთარ თავს, ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია იბადებოდეს და კედებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიდუებოდა მთელი ცა, მოძრაობას შეწყვეტდა მთელი ბუნება, და ისინი ვერასდღებით ვეღარ შეიძენდნენ ძალას, რომელიც შეძლებდა მოძრაობა მიენიჭებინა მათთვის.

ამრიგად, რაკი ამკარაა, რომ მარადიულია ის, რაც თავის თავს თვითონვე ანიჭებს მოძრაობას, ვინ შეძლებს იმის უარყოფას, რომ ეს თვისება ნიშნულია სულისთვის? ყოველივე ის, რაც გარეგანი ბიძვით მოძრაობს, უსულაა, მაშინ, როდესაც ყოველივე იმას, რაც სულდგმულია, შინაგანი და თავისთავადი ბიძვი ამოძრავებს. რადგანაც ასეთია საკუთარი ბუნება და ძალა სულისა. თუკი ყველა სხვა არსთა შორის ის ერთადერთია, თავისთავად რომ მოძრაობს, მამასადამე, არც შობილია და არც წარმავალი. ამიგომ შენც უკეთეს საქმებას კეთებას მოახმარე იგი. არ არსებობს უფრო კეთილშობილური საქმე, ვიდრე სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვაა. მასზე ზრუნვით შეძრული და მისთვისვე თავდადებული სული გაცილებით უფრო სწრაფად მიადწევს თავის ზეციურ სამკვიდროსა და საეანეს. და ეს მით უფრო მალე მოხდება, თუ, ჯერ კიდევ სხეულის გარსში გამომწყვდეული, მთელი არსებით მიიქცევა ზეციური სიწმინდის ჭერეგად, რათა, ამრიგად, თავი დააღწიოს ხორცის განცხრომას, მონური მორჩილებით რომ ემსახურებოდა ქვენა გრძნობებს, ქედს იხრიდა მათ წინაშე და ენებით აღძრული არღვევდა ღმერთთა და კაცთა კანონებს, სხეულს გაყრილი კვლავაც ღიბხანს, საუკუნეების მანძილზე, იფრთხილებს და იბორილებს მიწის გარშემო, ვიდრე დაუბრუნდებოდეს მეყის საეანეს<sup>42</sup>.

ამ სიგყვებით გაუჩინარდა და მეც გამომეღვიძა.

## შენიშვნები

\* ეს გრადიციული სათაური პირობითია, რადგანაც „სციპიონის სიმზარი“ დიდი რომაელი ორატორის, სახელმწიფო მოღვაწისა და მოაზროვნის მარკუს ტულიუს ციცირონის (106-43 ძვ.წ.ა.) დამოუკიდებელი თხზულება კი არ არის, არამედ მისი ერეული ფილოსოფიური გრაქტაგის – „რესპუბლიკის“ ბოლო – VI წიგნის დასკენით ნაწილი. „სციპიონის სიმზარი“, არსებითად, ალიგერაციებით მდიდარი რიტმული პროზაა, თავისი შინაგანი სტრუქტურით და ჰარმონიული ხმიერებით არცთუ იშვიათად რომ უახლოვდება პოეზიას. ციცირონის თხზულების მიხედვით დაიწერა იგაბიელი პოეტის პიეტრო მეტასტაგიოს (1698-1782 წ.) დრამატული კანტატა „სციპიონის სიმზარი“, რომელიც 16 წლის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტმა (1756-1791 წ.) საფუძვლად დაუდო თავის „დრამატულ სერენადას – „სციპიონის სიმზარი“ („Serenata drammatica“ Il sogno di Scipione“, მალტბურგი, 1792 წ.).

1. სციპიონი – იგულისხმება რომაელ პატრიციუსთა სახელოვანი საგვარეულოს – სციპიონების ერთ-ერთი ყველაზე თელასაინო წარმომადგენელი პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუსი (185-129 ძვ.წ.ა.), მეტასტაგლად აფრიკელი; კონსული, მესამე პუნიური ომის (149-146 ძვ.წ.ა.) გმირი, ვისი სარდლობითაც რომაელთა ღამქარამ საბოლოოდ გაანადგურა და მიწასთან გაასწორა რომის მთავარი მეტოქე კართაგენი, რითაც აღსრულდა მარკუს პორციუს ცენზორიუს კატონის (234-149 ძვ.წ.ა.) სანუკუარი სურვილი: „Censeo Carthaginem delendam esse“ („უფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს“).

2. მანიუს მანილიუსი – იგულისხმება ციცირონის მეგობარი, რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი მანიუს მანილიუს ნეპოტი – 149 წელს კონსული (ლუციუს მარციუს ცენზორი-

ნუსთან ერთად). თავისი ლაშქრითურთ ვარს რომ ადგა კართავენს, თუმცა წარუმატებელი ადყის ვაპო მალე გადააყენეს მთავარსარდლის პოსტიდან და პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუსით შეეცალეს.

3. სამხედრო გრიბუნები (tribuni militum) – ოფიცრები, ორი თვის განმავლობაში რიგ-რიგობით რომ მეთაურობდნენ ლეგიონს. თითოეულ ლეგიონში ექვსი სამხედრო გრიბუნე იყო.

4. მასინისა (240-149 ძვ.წ.ა.) – აღმოსავლეთ ნუმიდიის მეფე. მეორე პუნიკური ომის დროს (218-201 ძვ.წ.ა.) თავდაპირველად კართაგენის მოკავშირე იყო, მაგრამ 206 წელს რომაელებს მიემხრო და თავისი მხედრობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პუბლიუს კორნელიუს სციპიონის (უფროსის; იხ. ქვემოთ, მენ. 7) მიერ კართაგენელთა მხედართმთავრის პანინბალის (247-183 ძვ.წ.ა.) არმიის განადგურებაში (202 ძვ.წ.ა.), რითაც, ფაქტიურად, დამთავრდა მეორე პუნიკური ომი. რომაელ ისტორიკოსთა მოწმობით, მასინისმა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეინარჩუნა ერთგულება სციპიონთა სავეარეულოს მიმართ.

5. ამ დროს (149 ძვ.წ.ა.) მასინისა 90 წლისაა.

6. აქ მასინისა თავის სტუმარს და, იმედროულად, მის სენიას – სახელგანთქმულ რომაელ სახელმწიფო მოღვაწეს და მხედართმთავარს – პუბლიუს კორნელიუს სციპიონს (235-183 ძვ.წ.ა.) გულსხმობს, რომელიც მეორე პუნიკური ომის დროს თავდადებით იბრძოდა კართაგენელთა წინააღმდეგ ჯერ ესპანეთში, ხოლო 205 წლიდან (როცა კონსული გახდა) – აფრიკაში, სადაც თავისი 30000-იანი ლაშქრითა და მასინისას მხედრობით დაამარცხა ჰამბრუბალი და მისი მოკავშირე – დასავლეთ ნუმიდიის მეფე სიფაქსი, 202 წელს კი – იგალიიდან გამომხობილი პანინბალიც. მომდევნო 201 წელს კართაგენი იძულებული შეიქნა სამარცხვინო მავი დაეღო რომთან. სწორედ ამ გამარჯვების აღსანიშნავად ეწოდა მეგსახელად „აფრიკელი“. უფრო გვიან, სციპიონ ემილიანუსის – „უმცროსი აფრიკელისაგან“ განსხვავებით, მას „უფროსი აფრიკელი“ იხსენიებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუსი პუბლიუს კორნელიუს სციპიონის უფროსი ვაჟის შვილობილი იყო.

7. ივლენსებმა რომაელი პოეტი და ღრამატურტი ეინტუს ენიუსი (239-169 ძვ.წ.ა.), ავტორი 18 წიგნისაგან შემდგარი პირველი რომაული ნაყოინალური ეპოსისა „ანალები“ („Annales“), რომელმაც ფრაგმენტების სახით მოაღწია ჩვენს დრომდე (სულ დაახლ. 600 სტრიქონი). პოემაში გადმოცემული იყო რომის ისტორია, იგალიაში ენეასის ჩამოსვლიდან პოეტის დრომდე. ენიუსს მისაბამ ნიმუშად მიაჩნდა პომპროსის პეროიკული ეპოსი, თვით ევრსიფიკაციული თვალსაზრისითაც („ანალები“ დაქტილური პექსამეტრითაა დაწერილი). პოემის პროლოგში პომპროსი იუწყებოდა, რომ მისი სული ენიუსში გარდასხვეულა. ჩვენამდე მოაღწია რომაული პოეტის მრავალრიცხოვანი ღრამატული თხზულებების ფრაგმენტებმა. ენიუსის პოემაჲ საგრძნობი გავლენა მოახდინა ეერვილიუსსა და გოტუს ლიეუსზე.

8. ყველდ რომაელი პატრიციუსის სახლს ამკობდა წინაპართა გამოსახულებანი (imagines maiorum) – მარმარილოს სტატუეტო თუ ევილით ნაძერწი ფიგურები. რომაელებს ასეთი ანდამაჲ ჰქონდათ: „non habet imagines“, რაც ნიშნავდა – „წარჩინებული წინაპრები არა ჰყავს“, ე.ი. მდამდა, პლებეითაო... უფროსი სციპიონი ძვ.წ.ა. 183 წელს გარდაიცვალა, როცა უმცროსი მხოლოდ ორი წლისა იყო (დაიბ. 185 წ.) და ამ უკანასკნელს, ცხაღია, არ შეეძლო „მისი ნამდელი სახით“ ხსომებოდა იგი.

9. მიმართუა „სციპიონ“ იმას ნიშნავს, რომ ემილიანუსისთვის, როგორც სციპიონისათვის, უცხო უნდა ყოფილიყო შიმი.

10. მეორე პუნიკური ომის შემდეგ, რომელიც ბრწყინვალე გამარჯვებით დაავერიგვინა პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა, კართაგენში კელავ იმპლაურა სამხედრო პარგიაჲ.

11. როგორც ქვემოთ ენახავთ, ეს „ეარსკელავეებით მოქვდილი, ნათელი და სხვიმფინარე ადგილი“ გალაქტიკაჲ.

12. სამხედრო გრიბუნის თანამდებობა (იხ. მენ. 4) პუბლიუს კორნელიუს სციპიონს მეგისმეტად შეუფერებელი ეგებენა კართაგენის მომავალი დამქციეისათვის.

13. სციპიონ ემილიანუსი 38 წლისა გახდა კონსული (147 წელს), თუმცა, კანონის ძალით, კონსული 42 წლისა მანინ უნდა ყოფილიყო... ორ წელსაც არ გაეულო, რომ რომაელთა არმიამ, მისი სარდლობით, აიღო და მიწასთან გაასწორა კართაგენი.

14. ივლენსებმა „აფრიკელი“ (Africanus), რომელსაც საპატიო მეგსახელად ატარებდა პუბლიუს კორნელიუს სციპიონი, შემდეგ კი – სციპიონ ემილიანუსიც. როგორც უკვე ითქვა, ერთმანეთისაგან განსახვავებლად პირველ „უფროსად“, მეორეს კი „უმცროსად“ იხსენიებდნენ.

15. კართაგენის დამხობის შემდეგ სციპიონ ემილიანუსს (უმცროს „აფრიკელს“) გრიუმში მოუწყვეს რომში. გრიუმში იყო უმაღლესი სამხედრო პატივი, რომელსაც მადლიერი სამშობლო მიაგებდა ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებულ მხედართმთავარს. გრიუმეს სენატი უნიშნავდა გამარჯვებულს. დანიშნულ დღეს გრიუმეფორი „მარსის ეელიდან“ (Campus Martius) „გრიუმფალური ბჰის“ (Porta triumphalis) გავლით მიემართებოდა კაპიტოლიუმისაკენ. პროცესიას წინ მიუძღოდნენ სენატორები და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირნი, შემდეგ – მუსიკოსები, ქურუმები და თერთ გრიგანი ჭაბუკები, რომლებსაც თერთი ხარები მიჰყავდათ (ხარებს მსხვერპლად სწირავენდნ კაპიტოლიუმში). მათ ბორცილებს ჩხარუნით უკან მისდევდნენ წარჩინებული სამხედრო ტყეეები, რომლებსაც ხშირად სიკვდილით სჯიდნენ, როგორც კი გრიუმფალური პროცესია ფორუმს გაუსწორდუ



ბოდა. შემდეგ მოდიოდა გრიუმუაგორის კეადრიგა, რომელშიც ოთხი თეთრონი იყო შეხებული. ტრიუმუაგორი ფეხზე იდგა ოქროსკედით ნაქარგი ძოწისფერი ტუნიკითა (*tinica palmata*) და ძოწისფერივე ტოვით, რომელზეც სირმით ოქროსურად მოციმციმე ვარსკვლავები იყო ამოქარგული (*toxa picta*). ცალ ხელში სპილოს ძეღის კეერიოხი ფეხრა, მეორეში კი – პალმის რტო. გრიუმუაგორის კეადრიგას უკან მოჰყებოდნენ გამარჯვებული მსხვერპლები. მსულელთა მთავრდებოდა იეპიტიკურ კაპიტოლინუსის ტაძარში სამადარჯებელი მსხვერპლშეწირვით, ლოცვა-ვედრებითა და საყოველთაო საღღურ სასწაულო ღრეობით... ისტორიკოსთა მოწმობით, სციპიონის გრიუმუაგორი უფრო გრანდიოზული სამეომო სანახაობა რომს მანამდე არ ენახა.

16. პუბლიუს კორნელიუს სციპიონი აქ წინასწარ უცხადებს უფროს „აფრიკელს“ მის მომავალ ბედს: ისტორიული წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ის ცენზორი გახდა 142 წელს, ელჩად (*legatus*) იყო წარგზავნილი ეგვიპტეში, სირიასა და აზიაში, 134 წელს ხელმეორედ აიარაღეს კონსულად და იმავე წელს წარგზავნეს ესპანეთში ქალაქ ნუმანციის დასამორჩილებლად, რომლის აღებასაც მთელი 10 წლის მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ რომაელები. 133 წელს სციპიონმა 9 თვიანი ალყის შემდეგ იერიშით აიღო და მიწასთან გაასწორა ურჩი ქალაქი. გამარჯვებულ მხედართმთავარს კვლავ ტრიუმფით მოუწვევს რომში.

17. იგულისხმება პუბლიუს კორნელიუს სციპიონის ქალიშვილის – კორნელიას უფროსი ვაჟი გიბერიუს სემპრონიუს გრაკუსი (162-133 ძვ.წ.), სახალხო გრიბუნი, რომელიც შეეყვანა, ნობილიტეტის ინტერესების საშიანოდ, აგრარული რეფორმა გაეცარებინა რომში, რათა შეძლებისდაგვარად შეემსუბუქებინა წერილ მესაკუთრეთა, უმიწაწყლო გლეხობისა და მონების უკიდურესად მძიმე, უნეტევმო და გაუსაძლისი ყოფა. გრაკუსის მიზნებს ერთობლივად აძლევს წინ რომის მთელი ნობილიტეტი. 133 წელს სენატორებმა თავიანთი თავიკაცის – პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ნამიკა სერაპიონის (132 წ. კონსული, შემდეგ – ქურუმთუხუცესი – *pontifex maximus*) მეთაურობით კაპიტოლიუმში მუსრი გააუღეს გიბერიუს გრაკუსსა და მის თანამშრომლებს.

18. 7-სა და 8-ს უფროსი „აფრიკელის“ სიმამრული ლანდი „სრულ რიცხვად“ (*numerus plenus*) სახაეს (გერმინი პითაგორელებისაგან იღებს დასაბამს: *ἐξελειφθὲς ἄριθμός*). 7 „სრულია“ იმიტომ, რომ ნებისმიერ ორ შესაკრებად დაშლისას ერთი ყოველთვის კენგი იქნება, მეორე კი – ლეწი ( $6+1, 5+2, 4+3$ ). პითაგორელების მიხედვით, კენგი რიცხვი მამრული საწყისის სიმბოლოა, რადგანაც მას აქვს შინაგანი ღერძი, თავისი სიმტკიცის ენტერი ( $3=1+1+1, 5=2+1+2, 7=3+1+3$  და ა.შ.), ლეწი კი – მდედრული საწყისისა, რადგანაც მას ასეთი ღერძი არ გააჩნია... „როცა ეს ორი რიცხვი... თავისი ბუნებრივი სელით გაასრულებს ბედისწერის მიერ შენთვის დასამდერული წლების სათვალავს“: უმცროსი „აფრიკელი“ დაიბადა ძვ.წ. 185 წელს, მოკვლულ იქნა 129 წელს, როცა ის 56 წლისა იყო; 7X8=56.

19. გიბერიუს გრაკუსისა და მისი თანამომარებების პროპაგანდამ დიდი არეულობა და შინაშლილობა გამოიწვია რომში. სციპიონ ემილიანუსი ვადაქრით არ დაპირისპირებია მოსახლეობის დაბალი ფენების მლელეარებას, მაგრამ, თავისი უმარმაზარი ვაელებსა და აეგორიტიკის წყალობით, ყოველნაირად კი ცდილობდა როგორმე დაემომშინებინა აპურთებული ხალხი, რამაც უმარავე მტერი შესძინა მას. 129 წელს ის მედარი იპოეუს თავის საწოლში, იმ დღეს, როცა აპირებდა გიბერიუს გრაკუსის სასამართლო კანონის წინააღმდეგ სიკვეთი გამოსულიყო ხალხის წინაშე. სციპიონის სიკვდილში ადანამულებდნენ მის ცოლს სემპრონიას – გიბერიუს და გაიუს გრაკუსების დას, ამ სამი და-ძმის დედას – კორნელიას (სციპიონის სიდედრს), გრიუმეირებს მიწა-წყლის განაწილების დარგში (*triumvir agris dividendis*) – გაიუს პაპირუს კარბონს, მარკუს ფულვიუს ფლაკუსსა და გაიუს სემპრონიუს გრაკუსს (სციპიონის ცოლისძმას). ამ მხრივ, ისტორიული წყაროები ერთმანეთს არ ეთანხმებიან.

20. გაიუს ლელიუსი – უმცროსი სციპიონის მეგობარი და თანამებრძოლი, ისევე, როგორც მამამისი – გაიუს ლელიუსი (მამა-შვილი სხნები იყვნენ) – უფროსი აფრიკელისა. სციპიონებისა და ლელიუსების მეგობრობას ისიც განაპირობებდა, რომ ამ ღრმად განსწავლულსა და განათლებულ პიროვნებებს თვდაიწყებოდა უეჭვად რომელიღაცეა, ისე ბერძნული კულტურაც. ლელიუსის სახელი ეწოდება ციურეონის ერთ-ერთ ქმნილებას; ლელიუსია რომაული მოამბრონის პუბლი სხვა გრაკატკას, მათ შორის, „რესპუბლიკის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი (შეგახსენებთ, რომ „რესპუბლიკა“ „სციპიონის სიმშრით“ მთავრდება).

21. იხ. მენ. 20.

22. იგულისხმება პავლუს ემილიანუსი, რომელმაც, რომაელ პატრიციუსთა ოჯახების ძველი გრადიციისამებრ, თავისი შვილი პატარაობიდანვე მიაშვილა პუბლიუს კორნელიუს სციპიონის უფროს ეაეს.

23. ესაა სულის უკვდავების პითაგორული და, უწინარეს ყოვლისა, პლატონური კონცეფცია (ციურეონი პლატონიზმის ადამკი იყო). აქ მინდა მოვიგანო ერთი ფრაგმენტი ჩემი გამოკვლევებიდან „პლატონი და რუსთელი“ (იხ. წიგნი I – პლატონი, პარმენიდე, თბ. 2002, გვ. 376-377): „...განსხვავდება სულისათვის მეტაფიზიკური სინამდელიდან ფიზიკურ სამყაროში ვადასკლას ნიშნავს. ესაა ყველაზე უჩვეულო, უცნაური და გონებაშიუწვდომელი, სამყაროული არსებობის ყველაზე მისტიკური აქტი. მარად უცვლელი, წარუვადი, დროისა და სიერცის მიღმური სინამდელის მკვიდრი ყოველწამიერი ეკალებადობის, მსწრაფლწარმავლობის, ხრწნადობის, სიმწრისა და სიმწერის საუფლოს, დროისა და

სიერის ყოვლისგამსრეს მარწუხებში გათანგული ჩვენები და უაზრო მატერიის, გრძობად-კონკრეტული სამყაროს უწყო გყვედ იქეუვა. სხეული (ὄμα) მისთვის სხვა არა არის რა, თუ არა დილეგი („რომელშია მომწყვედულია, როგორც ლოკოინა თავის ნიჟარაში“, „ფედროსი“, 250 c), ან, უფრო სწორად, „საფლაგი“ (ὄμα, „გორგია“, 493 a). მაგრამ სწორედ ამ „დილეგისა“ თუ სულისავე წყალობით მოძრაი და მოარული „საფლაგის“ მემუეობით შეიღრდება იგი ცოდელი მიწაზე, სადაც თანდთანობით ექეუვა. ევეუბა და, ბოლოს, კიდევე თისსლხორეუბა მისთვის სრულიად უსწორ-მოს („ტიმოსი“, 44 bc), რათა წუთისოფლი დადრეობითმა მკეიდრმა შექებლისდაგეარად აღასრულოს თავისი დანიშნულება და მოხადოს თავისი ადამიანური ეალი, ვიდრე ეველავ საუკუნო სოფლად მიხმობდეს ვანეება თუ ყოვლისგამრეივე ღმერთი.

რა არის სული სხეულზე? წარუეალი – წარმეაღღში, ევედავი – მოკედაღში, ნათელი – ბნელში: სიყოფის სული ანიგებს უსწორ, უსახო და უსიყოფლო მატერიას, სული ისევე ანათებს მის სიბნელებს, როგორც სანთელი – წყედიადით მოყულ სახლს (და, პირიქით, მკედრის სამარეული ფერი იმის შედეგია, რომ სული გაეყარა სხეულს: სანთელი გაიგანეს და ეველავ ძეველებურად ჩაბნელდა სახლი)“.

ერთხელ კიდე მიეუბრუნდით გემით გაკერიტ მონიშნულ „ფედროსის“ მომხიბლავ პასაჟს (250 b-d), ესოდენ ცხლად რომ წარმოგვიჩენს სხეულის დილეგიდან თავდაღწეული სულის ნეგარებას გეგრძობად სინამდელიის უბრწუნელ წიაღში, სადაც არავითარი მოგონება, არავითარი ვნება, არავითარი სურვილი არ ამღერეს მის უმფოთველ ყოფას; სადაც ის პირისპირ ჭერეგს იღეალური სამყაროს მთელ სრულმწილებას, ღუთაებრივი სიბრძნის, სიყუთის, მმეენიერებისა და ჭეშმარიტების ნათელ საეენს: „მმეენიერება თვლისმომკრელი სხივოსნობით ბრწყინაედა მაშინ, როყა... ნეგართა დასსთან ერთად ექვერეღით ამ თვალწარმეაყ სანახაობას და, ამრიგად, ეემიარეობლით მისგერიათაგან, თამამად შეიღება ითეჟას, ეკებესსა და ეუნეარეს მისგერიას, რომელშია, უბიწონი და მომეაღღ ცხოერებაში ჩენს თავს მოწენად ბოროტებასთან წილყურენი, თაეად ეასრულებლით მარადიული ღმრთისმსახურების მისკიურ წესს. ჩვენ ევერეღლით უბრწუნელ, უმარტივეს, ურყეეს და წარუეად არსთ (იგელისსმება „იღეები“, – ბ. ბ.), და მათი წმინდა სხივოსნობის მჭერეგნი თაეად ეყეყით უმწიკლისი და ეუბაკონი, რადგან ნაგამალიყ კი არ გვეყსო იმ ბრწუნადი გარსისა, რომელსაყ ღღეს სხეულს ეეწოდებთ და რომელშიაყ მომწყვედეული ვართ, როგორც ლოკოინა – თავის ნიჟარაში“.

24. იბ. მენ. 23.

25. იგელისსმება გალაქტიკა (იბ. ქვემოთ) – პითაგორელთა და პლატონის მიხედვით, ნეგარი სულების საეანე.

26. პლატონს დაუეებლად მიანდა თეითმკედელობა, – იბ. „ფედროსი“, 67 cd. უფრო ადრე ამაეე აბრისა იყო პითაგორაყ. მღრ. ციყერონი, „სიბერისათვის“, 72: „პითაგორა კრძალავს იმპერეგორის, ესე იგი, ღუთების ბრძანების გარეშე მიეგეოვით გამავრებული პოსტი, ანუ სიყოფსულ“.

27. მღრ. ციყერონი, „მოეალეობათათვის“, I, 57: „...მაგრამ თუ ყველაფერს გონებისა და სულის თვალმარბისით შეეხედავთ, ყველა სამოგადღებრიე კაემირეტიეობობას მორის თითოეული ჩვენ-განისთვის ყველაზე ძვირფასია ჩენი კაემირი სახელმწიფოსთან. ძვირფასია ჩენთვის მშობლები, ძვირფასი არიან შეიღები, ნათესაეები, ახლობლები, მეგობრები, მაგრამ სამშობლო ერთადერთია, რომელიყ მოიყავს დადამიანთა მთელ სიყარულს. არ მეველება პეგიოსანი კაყი, ყყოყმანოდ რომ არ შეეყსოს თავის გაწირვა, თუკი ამითი იხსნის სამშობლოს. მით უფრო მეტი მიმლის ღირსისა იმითი გულმეყება, იენე ათასნაირი დანაშაულით ფლეთდა და აქეუმეებდა სამშობლოს და მის სრულ განადგურებას მიეღგვის ახლაც, ისეეე, როგორც მიეღგვოდა წუნისაყ“.

მღრ. აგრეთეე პლატონი, „კრიგონი“, 51 bc, სადაც სოკრატეს ამ სიგყეებით მიმართევენ მის მიერ პერსონიფიკირებული კანონები: „ნუთუ მთელი მენი სიბრძნის მიუხედაეად, ეერ გრძობა, რომ სამშობლო დღედაზე, მამაზე და ყველა სხვა წინაპარზე უფრო ძვირფასია, უფრო წმინდა, უფრო საყვარელი და, როგორც ღმერთის, ისე კაყის თვალშიყ, უფრო მეტი თაყეანისეყემის ღირსი? ჩენე ეველისსმობთ, რა თქმა უნდა, გონიერ კაყს, ამიგომ სამშობლოს მიმართ უფრო მეტი მოწიყება, მეტი მორჩილება გემართებს, ხოლო თუ გაევირისხდა, უფრო მეტად უნდა დაეუთმოთ და დაეყეყეყო, ვიდრე მშობელ მამას; ან უნდა გადაყარწმუნოთ იგი, ანდა ყყოყმანოდ შეეასრულოთ მისი ბრძანება, და თუ რაიმეს მოგეისყის, ეღრგენიველად შეეეეებოთ სასაყელს – ბორკილებს, გეემას, შეეეეესას, და ბრძოლის ეელზე – მის მიერ საომრად წარგმეავნილნი, – სასიყელილო ჭრილობებს და თეით სიყელილსაყ. ღიან, ყველაფერს უნდა გავუძლოთ, სწორედ ესაა სამართლიანობა; არ შეიძლება უკან დაეებე, თაყის არიღება და მწყობრში შენი ადგილის თეითნებურად მიგოყება. ომში იქნება, სამსაყაროში თუ სადაც გნებავთ, ყველგან უყოყმანოდ უნდა შეეასრულოთ სამშობლოსა თუ სახელმწიფოს ბრძანება, ანდა შეეავნებინოთ მას, რას ნიშნავს ჭეშმარიტი სამართლიანობა. ხოლო ძალაობა ღღის, მამის და, მით უმეტეს, მამულის მიმართ – მკრეხელობა“.

28. იგელისსმება მთვარე.

29. ეწ. „ეიურ სფეროთა“ კოსმოლოგიური კონეეყუია პითაგორასაგან (დაახლ. 570-500 ძე.წ.ა.) იღებს დასაბაშს. მაგრამ სამყაროს აგებულების მისეული, საყემაოდ პრიმიტიული მოდელი საგრძნობლად განსხევედება ბერტენ ასტრონომია უფრო გეიანდელი მოდელებისგან. თუმეა აქეე უნდა ითეჟას, რომ „ეიურ სფეროთა“ კონეეყია მთელი ოყი საუკუნის მანძილზე (თეით ნიკოლოზ

კოპერნიკამდე), ცალკეული მოდიფიკაციების მიუხედავად, უცვლელი დარჩა, ეინაიდან სწორედ მათი შემეოებით ხსნიდნენ პლანეტების ხილულ მოძრაობათა უცნაურობას: უძრავი ვარსკვლავებისაგან განსხვავებით (ასე იწოდებოდა იმიტომ, რომ ცის თაღის მოძრაობისას თანავარსკვლავედთა კონფიგურაციები უცვლელი რჩება), ზოგი პლანეტის ხილულ მოძრაობა საათის ქანქარის მოძრაობას მოგვაგონებს, მოვიდა კი, როგორც პლატონი იტყობდა, – „ცხენის ღუმას“, ანუ, რაი იგივეა, მარყუქს.

30. გეოცენტრიკული ცხრა პომპეცენტრული სფეროდან ყველაზე უკიდურესია ე.წ. „უძრავ ვარსკვლავთა“ სფერო, რომელიც დედამიწის ირველიე ბრუნავს დასაუღეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. შეიდი პლანეტის მგვირთველი დახარჩენი შეიდი სფერო კი საპირისპირო მიმართულებით, ე.ი. აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მოძრაობს. ეს სფეროებია: სატურნის, იუპიტერის, მარსის, მზის, ვენერას, მერკურისა და მთვარისა. ასეთია პომპეცენტრულ თაიური სფეროთა რიგი. ხოლო თუ ათვლას სამყაროს გეოცენტრული სისტემის ცენტრიდან, ე.ი. დედამიწიდან დაიწყებთ, მაშინ პლანეტების რიგი შემდეგნაირად წარმოგვიჩნდება: მთვარე, მერკური, ვენერა, მზე, მარსი, იუპიტერი, სატურნი და, ბოლოს, უძრავ ვარსკვლავთა ცა. ბერძენ და რომაელ ასტრონომთა ეს პლანეტარული სისტემა საუბუქლად დაედო სამყაროს ჯგოლთაიოსისუელ (დაახლ. 83 – დაახლ. 161 წ.) გეოცენტრულ მოდელს (მხოლოდ ძალზე გართულებული სახით).

31. პითაგორული გრადიციის თანახმად, გამჭვირვალე სფეროებზე მიმაგრებული ციური სხეულები (იხ. წინა შენიშვნა) ერთმანეთისაგან ვარკეველი შუალედებით არიან განმხოლოებულნი. ეს შუალედები ისე შეუფარდებიან ერთმანეთს, როგორც ოქტავის გონების ინტერვალები. ყოველი სწრაფად მოძრავი სხეული ვამოსიკემს ბგერას, რომლის სიმაღლე მოძრაობის სისწრაფეზე დამოკიდებულია. ამიტომ პლანეტებისა და მათი სფეროების მოძრაობა ე.წ. „კოსმიური პარმონის“ წყაროდ გვეუღინება. ციურ სფეროთა ეს პარმონია კიდეთ-კიდემდე განწონის მთელ სამყაროს, მაგრამ მას მხოლოდ იმიტომ ვერ აღიქვამს ადამიანის სმენა, რომ ის გამუღმებით, უწყველად ეღერს. ასევე ვერა ვგრძნობთ ჩვენ – პაერის, ხოლო თვემები – წყლის სიმკერეივს (და თუ სუიპიონი თაის გრძნულ სიმმარში მაინც ტკებდა ამ კოსმიური სიმფონით, ეს მხოლოდ მისი მღგომარეობის ექსტრაორდინალურობით უნდა აიხსნას).

32. იგულისხმება მერკურისა და ვენერას გრავეტიორიები.

33. ეს შეიდი ბგერა ძველი ბერძენი მუსიკოსის გერპანდრეს (VII ს. ძე.წ.ა.) შეღისმიანი საკრავის – პეტაქორღის ბგერებს შეესაბამება. ყოველი პლანეტა თითქოს გიგანტური კოსმიური ჰემუტაქორღის სიმისა თუ ღარის როლს ასრულებს.

34. ამრიგად, ციურონი მეციური ნეტარების კარს უხსნის არა მარტო სახელმწიფო მოღვაწეებს და მხედართმთავრებს, არამედ მომღერლებს და მუსიკოსებსაც. შღრ. კეინტილიანე, „ორატორის განსწავლა“, I, 10, 12 და მშღ.

35. ნილოსის ჰორომები. იხ. პეროდოტე. „ისტორია“, II, 17; პღინიუსი, „ბუნებითი ისტორია“, VI, 181.

36. დღეს ჩვენ მათ „განეღებს“ უწოდებთ. ჰერ კიდევ დღემბ ბერძენმა ასტრონომმა, გეოგრაფმა და ფილოლოგმა, ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკის მთავარმა ბიბლიოთეკარმა ვრავტონემ (დაახლ. 282-202 ძე.წ.ა.) გრმეღებად და განეღებად დაკყო დედამიწა, განეღება მან უწოდა „მონები“ (μόνοι), ანუ „სარგყელები“ (ლათ. cingula). ციურონი სრულყოფილად ფლობდა ბერძნულს (პომპროსისა და პლატონის ენაზე ლაპარაკობდა, წერდა, თარგმნიდა), მაგრამ აქ, რა თქმა უნდა, ლათინურ გერმინს იყენებს.

37. როგორც ეს პასაი გეიომწემებს, ციურონს ვარკეველი წარმოღგენა უნდა ჰქონოდა არქტოკასა და ანტარქტიდამზე.

38. ეს კი გროპიკული სარტყელი უნდა იყოს.

39. კავკასიონის ქედიცა და შღინარე განგიც ადამიანთა საცხოვრისის (οικισμένη) უკიდურეს აღმოსავლეთ მღერად იყო მიჩნეული.

40. შღრ. პლატონი, „ტიმოკრუსი“, 22 cd: „...ინ მოსთელის, რამდენჯერ დაღუქულა კაცთა მოღგმა და კიდევ რამდენჯერ და რამდენსაირად დაიღუქება იგი. ყველაზე სასიკიად ადამიანებს მუსრს აუღებად ცეხხილ და წყალი, მღერებით უფრო ნაკლებ – ათასი სხეა უბედურება. სწორედ აქედან იღებს დასაბამს თქვენი თქმულება (ამას ვეიპატელი ქერუმი ეუბნება დიდ ათენელ კანონმღებელს სოლონს, პლატონის შორეულ ნათესავს, – ბ. ბ.) ფავგონზე, პელოსის ძემზე, რომელიც ერთხელ ვითომ ვამბაღისის ეტღმი ჩამჯღარა, მაგრამ ვერ მოუხერხებია პელოსის გმით წარემართა იგი, ამიტომაც გადაუბუგავს ყველაფერი დედამიწამზე და, ეღვი დავურფილი, თეთონაე დაღუქულა. ეს თქმულება მითის მოვეავგონებს, მაგრამ ის სიმართლესაც შეიყავს: მართლაცადა, ცის თაღზე დედამიწის ირველიე მბრუნავი სხეულები თაეიანთი ჩეველი გვიდან ვაღაიხრებიან ხოლმე, ასე რომ, ღროის ხანგრძლიე შუალედებს შორის, დედამიწამზე ყველაფერი აბობოქრებულ ხანმარში ინთქმება და იღუქება. ამ ღროს მთების, მენგნისა თუ უწყლო ადგილებსი მეკიდრინი გაუღებებით უფრო მეტნი იხოუებიან, ეღრე მღვისა თუ შღინარეთა ნაპირებზე მობინდარენი... ხოლო როღესაც ღმერთები, დედამიწის განწმენღის მიმნით, წარღენას მოუღენენ მას, თაეის ვადარენის იმედი შეიძლება ჰქონღეთ მხოლოდ მწყემსებსა და მეჯოგებს, მთის კალთებზე რომ აბოუებენ ნახირს“. კოსმიური კატაკლიზმებისა და მათი დამანგრეველი გემოქმედების შეღვებად არა მარტო დედამიწის, თეთ სამყაროს ჰემ

რიოდელი დადუქისა და გადაგების შესახებ დაწერილებით იხ. ჩემი გამოკვლევა „მაგრამ თუ ერთხელ სოფელს უნდა ბოლო მოეღოს“. – ჟურნ. „მნათობი“, 2003, № 3-4, გვ. 115-134.

41. გადმოიყვით, ქალაქ რომის ლევენდარული დამაარსებელი და მისი პირველი მუფე რომულუსი ძე წ.ა. 716 წელს. მშის სრული დაბნელებისას, ზეცად იქნა ატაყებული, რამაც დასაბამი დაუღო მის გაღმერთებას. სეიპიონ ემილიანუსი თავის მაგიურ სიმზარს ხეღავს ძე.წ.ა. 149 წელს. 716-149=567. თუ ეს რიყები, ციყერონის თანახმად, „ღიადი წლის“ მეოყედსაყ არ შეადგენს, მაშინ „ღიადი წელი“, სულ მცირე, 11340 წელს უნდა მოიყავღეს (567X20=11340)... ზოგიერთი რელიგიური სისტემისა თუ ძველი ფილოსოფიური ღოქტრინის თანახმად, მზარდმღენი ღრო უკუზოუქცეულად კი არ მიეღინება იღუ-მალეებით მოყული მოზაელიღან სამუღამოდ უცეღელი წარსულისაყენ (თანამეღროყე ქრონოლოგიური კონსეყციით, ღროის ღინება ღიამეღრალურად საპირისპიროა: ის წარსულიღან მოზაელისყენ მიეღინება), არამედ ციკლურობით ხასიათღება: ყოყელი ციკლის ხანგროღლიეობა „ღიადი წლით“ განისამღერება, რომღის დასასრულსაყ სამყარო კოსმიური კატაკლიზმზების შეღეგად იღუქება, რათა შემღეგ კულაე დაიზადოს. „ეს სამყარო, ერთი და იგიყე ყველა არსისთეის, – ამზობს პერაკლიტე ეფესელი, – არაეის არ შეუქმნია, არე ღმერთთაგანს და არე კაყთაგანს, არამედ ყოყელთეის იყო, არის და კულაე იყნება, როგორე მზარად ცოყხალი, რომელიყ – თანაზარზომიერად – ხან იყეთეებს, ხან იზრიტება (Diels, fragm., 30 b)... „ღიადი წლის“ ხანგროღლიეობა სხეადასხეაა. თეით პერაკლიტე ეფესელი მას 10800 წლით განსამღერავს, პლაგონის მიხეღეით კი ის უზარმაზარი ღროული პერიოღის მომყეღლია: 12960000 წელი. დაწერილებით იხ. ჩემი გამოკვლევა, რომელიყ ზემოთ 41-ე მენიზენის ბოლოსაა დასახელებული.

42. შღრ. პლაგონი, „ფეღონი“, 81 c-e.

*თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ*

# ბაიუს სალუსტიუს კრისპუსი

(ძვ.წ. 86-35)

სალუსტიუსი დაბადებულია იტალიის პატარა ქალაქ ამირტენუმში, პლემურის წარმომობის ოჯახში. დაწყებითი განათლება მომავალმა მწერალმა იქვე მიიღო, გაიწაფა რა ბერძნულ ლიტერატურაში და გადასახლდა რომში რიგორიკსა და ფილოსოფიაში დასახელოვნებად. პლატონის ფილოსოფიასთან ერთად სალუსტიუსმა სტოიკური მოძღვრებაც ღრმად შეისწავლა, გატაცებული იყო თუკიდიდის ნაშრომებით.

სალუსტიუსმა პოლიტიკურ სარბიელზე სცადა ბედი. როგორც პოპულარების მხარდამჭერი, ციცერონს და მის დაჯგუფებას დაუპირისპირდა. მოიპოვა რა იულიუს კეისრის კეთილგანწყობა, ძვ.წ. 52 წელს მიიღო სახალხო ტრიბუნის თანამდებობა, თუმცა ორი წლის შემდეგ იგი სენატიდან ვარიცხეს ცხოვრების უღირსი წესის გამო. ამ წარუმატებლობამ სალუსტიუსი კალაპოტიდან არ ამოავდო, მან კვლავ ისარგებლა კეისრის მფარველობით და მალევე მიაშურა სენატს. მოგვიანებით იგი გაიგზავნა პროკონსულად ნუმიდიაში, საიდანაც სალუსტიუსი რომს საოცრად გამდიდრებული დაუბრუნდა, აღმოსავლური ფუფუნებით აავო სასახლე, გააშენა უბრწყინვალესი ბაღები. მართალია, ამის გამო მას სასამართლოში უჩივლეს, მაგრამ სალუსტიუსს აქაც კეისრის მხარდამჭერა მიემყვლა.

კეისრის სიკვდილის შემდეგ სალუსტიუსმა თავი დაანება პოლიტიკურ სარბიელს და სამწერლოს დაუბრუნდა.

მის პირველ ნაწარმოებში „კატილინას შეთქმულება“ აღწერილია ისტორია ლუკიუს სერგიუს კატილინას შეთქმულებისა, რომელიც, მწერლის აზრით, მორალურად დაცემული ეპოქის პირმშოს წარმოადგენდა.

ამის მიუხედავად, სალუსტიუსის თქმით, კატილინას პიროვნული ღირსებებიც კჭონდა, რამაც მას ბევრი მომხრე და მხარდამჭერი შესძინა. სალუსტიუსი ცდილობს ვაერკვეს შეთქმულების მიზნებსა და დამარცხების მიზეზებში, მაქსიმალურად ბუსტად აღწეროს ისტორიული ფაქტები, გააანალიზოს მოვლენები.

მის კალამს ეკუთვნის ასევე „ომი იუგურთასთან“ და „ისტორია“, რომლის მხოლოდ ცალკეულმა მონაკეობებმა მოაღწია ჩვენამდე.

„ომი იუგურთასთან“, რომელშიც რომსა და ნუმიდის მეფე იუგურთას (113-104) შორის გამართულ ომზეა მოთხრობილი, სალუსტიუსმა 42-41 წლებში დაწერა.

მწერალი დაწერილებით გადმოგვცემს ომის დაწყების მიზეზებს და მისი, როგორც ისტორიოგრაფოსის ამ თემით დაინტერესების გარემოებებს. თხზულება სულ 114 თავისგან შედგება და მასში ომის ყველა ეპიზოდი გაშუქებული. ამასთან, მწერალი რომის და ნუმიდის ურთიერთობათა ისტორიას, იუგურთას წარმომავლობას, ჩრდილოეთ აფრიკის გეოგრაფიულ აღწერილობასაც მისთვის ჩვეული ზედმიწევნილობით გადმოგვცემს.

ანთოლოგიაში სალუსტიუსის ეს ნაწარმოები სრულადაა მოტანილი.

„ისტორიები“, რომელმაც ჩვენამდე ნაწყვეტების სახით მოაღწია. სალუსტიუსმა „იუგურთას ომის“ შემდეგ დაწერა. მასში აღწერილია მომხდარი ამბები სულას სიკვდილიდან – (ძვ.წ. 78) თორმეტი წლის განმავლობაში.

ანთოლოგიაში ამ ნაწყვეტებიდან ყველაა მოცემული.

სალუსტიუსის მნიშვნელოვან თხზულებას წარმოადგენს აგრეთვე „წერილები იულიუს კეისარს სახელმწიფო მოწყობის შესახებ“. ესაა სალუსტიუსის წერილები, რომლებიც მან იულიუს კეისარს მისწერა. თუმცა არსებობდა თვალსაზრისი ამ წერილების არააეთნოგურობის შესახებ (ვ. იორდანი, თ. მომზენი, ე. შვარცი), ღლესდლობით მეცნიერთა შორის ბაგონობს აზრი ამ წერილების სალუსტიუსათვის მიკუთვნების შესახებ.

წერილები საყურადღებოა როგორც სალუსტიუსის პოლიტიკური მრწამსის, ისე კეისრისადმი მისი დამოკიდებულების შეფასების თვალსაზრისით.

სალესტიუსის სტილისთვის ნიშანდობლივია თხრობის ემოციური დამუხტულობა, აფორისტული და ლაკონური ფრაზები, ენის საგანგებო არქაიზაცია.

#### თარგმანი:

გაიუს სალესტიუსი, კაგილინას მეთქმულება. თარგმნა და შენიშვნები დაურთო ალა გრაპაიძემ.

გაიუს სალესტიუსი, თხზულებები, კაგილინას მეთქმულება. ომი იუვერთასთან. ნაწყვეტები „ისტორიებიდან“. წერილები იულიუს კესარის სახელმწიფოს მოწყობის შესახებ. ინექტივა მარკუს ტულიუს ციკერონის წინააღმდეგ (მიწერილება სალესტიუსს). თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ვიორგი ქაჯაიამ, ლოვოსი, თბილისი, 2008.

## კატილინას მეთქმულება

### I

თუ კაცი სხვა ცოცხალ არსებათაგან გამორჩეულობას ლამობს, მთელი ძალისხმევა იქეთ უნდა მიმართოს, რომ ცხოვრება პირუტყვივით პირში წყალჩაგუბებულმა არ განელოს. პირუტყვი ბუნებამ ქედმოდრეკილ და მუცლისმონა არსებად შექმნა, ჩვენ კი, ადამიანებს გვაქვს ძალა, რომელიც ჩვენსავე სულსა და სხეულშია. სული მბრძანებელია, სხეული კი – უფრო ბრძანების აღმსრულებელი. ერთით ღმერთთან გვაქვს ერთობა, მეორე კი ცხოველთან გვაახლოებს. ამიგომ უფრო სწორად მიჩნს, კაცი ღიღებს უმაღლეს ნიჭის და არა კაცური ძალის იმედად ეძიებდეს. რახან სიცოცხლე, რომლითაც ვცკებებით, თავისთავად მეტად ხანმოკლეა. სახელი უნდა დაეგოვით რაც შეიძლება ხანგრძლივ მოსაგონარი. სიმდიდრითა და გარეგნული მშვენიერებით მოხევეკილი სახელი ხომ სწრაფწარმავალი და არამყარია, სიამაყე კი ღიღებული რამაა და მარადისობას განეკუთვნება.

ოღითგანვე ცხარედ დაობენ მოკვდაენი, ომის დროს რა უფრო მნიშვნელოვანია – სხეულის სიმტკიცე თუ სულის მხნეობა. მაგრამ, რახან საქმის შედგომამდე მისი გააზრება ხაზს, გააზრების შემდეგ კი – მსწრაფლ აღსრულება, ამიგომ ცხადია, რომ ცალ-ცალკე არც ერთია თვითმკარი და არც მეორე; ისინი ერთმანეთს ავსებენ.

### II

თავდაპირველად მეუფნი (ასე ერქვათ პირველ მმართველებს მთელი დედამიწის მურგზე) ერთმანეთისგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ ნაწილი ნიჭს ავარჯიშებდა, ნაწილი კი სხეულს იკაებდა. იმ დროს ადამიანთა ცხოვრებას ჯერ კიდევ არ მართავედა სისხარბე: ყველა იმას სჯერდებოდა, რაც ებადა. მაგრამ შემდგომ, როცა ამიაში კიროსმა<sup>1</sup>, ხოლო საბერძნეთში ლაკედემონელებმა და ათენელებმა ქალაქებისა და ხალხების დამონება იწყეს, როცა სხვაზე გაბატონების მიზნით ომის გაჩაღების წადილი გაჩნდა, როცა მისვდნენ, რომ უმაღლესი ღიღება განუსაზღვრელ ძალაუფლებას მოაქვს, სწორედ მაშინ, მრავალ საფრთხეთა და სიძნელეთა გადალახვის შემდეგ, ნათელი გახდა, რომ ომის ბედის სადავეები უმეტესწილად ნიჭს უყვრია ხელთ.

მეუფნი და მბრძანებელნი მშვიდობიანობის ეამსაც ისეთივე სულით მტკიცენი რომ იყვნენ, როგორც ომის დროს, ჩვენი საქმე უკეთ იქნებოდა, უფრო მშვიდად და რყევების გარეშე ვიცხოვრებდით, ვეღარც ერთმანეთზე გაწვევ-გამოწვევას ვიხილავდით და ვეღარც ღიდ არეულობებს. განა ძალაუფლებას იმავე ხერხებით უფრო იოლად არ შეინარჩუნებ, რითაც მოიპოვე? ხოლო როცა შრომასა და გარჯას უქნარობა შეენაცვლება, თავდაპირილობასა და სიმშვიდეს კი – გახელება და სიყოფოჩე, მაშინ ჩვეუების ცვლას ბედის დალაგაც მოსდევს. ეს კი ხელისუფლების მუდმივი გაუმჯობესების საუფუძველი ხდება.

ყოველი ადამიანი, რომელიც ხნავს, მღვაოსნობს, თუ აშენებს, კეთილ საქმეს კმსახურებს, მაგრამ მოკვდაეთა უმეტესობა მუცელსა და ძილს არის გადაყოლილი, ხეპრე და გაუნათლებელია და ცხოვრებას ისე ატარებს, თითქოს უცხო ადგილებში მოგზაურობდეს. ცხადია, რომ მათ, ბუნების კანონთა წინააღმდეგ, სხეული ღიდ განცხრომამი ჰყავთ, სულისთვის კი მძიმე გვირთი აუკიდებიათ. ჩემი აზრით, მათ სიკ-

ვილი-სიოცხლეს ერთი ფასი აქვს, ვინაიდან სიოცხლემიუ მკედრებივით მდუმარებენ. ვგონებ, სინამდვილეში სიოცხლით მხოლოდ ის ადამიანი გკებება და მხოლოდ ის ადამიანი ხარობს სულით, ვინც სახელს რაიმე უღიადეს ქმედებაში ეძიებს, ანდა ამ მიზნით დაუცხრომლად იღვწის რომელიმე კეთიშობილური ხელობის სფეროში.

### III

მაგრამ ბუნება ურიცხვ საღვაწთა შორის ყოველ კაცს თავთავის გზას მიუჩენს ხოლმე. დიდებული რამ არის საზოგადო საქმეების კეთილად წარმართვა, მაგრამ არც მიგნებული საუბარია ურიცხო საქმე. მამ, თავის გამოჩენა მშვიდობიანობის ეამსაუ ისევე შეიძლება, როგორც ომის დროს. ბევრი ვინმე გმირული საქციელისთვის გამხდარა სანაქებო, ბევრიც კი – სხვათა გმირობის აღწერისათვის. მართალია, ის სახელ-დიდება, რაც მისიგორიეობას მოსდევს, გმირულ ქმედებას ვერ გაუგოლდება, მაგრამ ეს ხელობა მე მაინც ურთულეს საქმეთა შორის მეგულების. უპირველესად იმიგომ, რომ მისიგორიის თხრობა მომხდარ ამბებს არ უნდა შორდებოდეს; გარდა ამისა, რაღაც შეცდომების განსჯას რომ იწყებ, უმრავლესობა ამას ავ განმრახულობად და შურიტ ნათქვამად ვითელის; ხოლო როცა ღირსეულ პირთა დიდი სიმამაცისა და დიდების ამბავს იხსენებ, მავანი გულგრილი რჩება, თუ წარმოიდგენს, რომ ამის გაკეთება არც მას გაუჭირდებოდა, მავრამ, თუ ეს საქციელი მის ძალებს აღემატება, მამინ ისე იღებს, როგორც რაღაც მონაჩმახსსა და სიყრუეს.

თავიდან, ყმაწვილკაცობაში, მრავალთა მსგავსად, მეუ მთელი სულითა და გულიტ ჩაეები სახელმწიფო საქმიანობაში, მაგრამ იქვე მრავალ წინააღმდეგობას გადაეაწყვიდი, ვინაიდან უბიწოების, უანგარობისა და თავდაღებულობის ნაცულად უტიფრობა, მექროთამოდა და სიხარბე ჰყვაროდა. მართალია, ბილწ ცდუნებებში ვაუწაფავი ჩემი სული მათ იოლად ივარებოდა, მაგრამ ამდენ მანკიერებათა ვარემოცებაში ჩემი უმწიფარი სიყმაწვილე გამოდრღნა პატივმოყვარეობის ჰიამ. და იმ დროს, როცა სხეებს ვამუნათებდი ამ მანკიერებების გამო, პატივისკენ ლგოლვამ მეუ მათმე არანაკლები ჰორისა და ზიზღის კორიანტელში გამხვია.

### IV

და ახლა, როცა მრავალი უბედურებისა და ხიფათისგან თავდახსნილმა ჩემმა სულმა როგორც იქნა მოისვენა და მეუ მტკიულად გადაეწყვიტიე, რომ მთელი დარჩენილი წლები სახელმწიფო მოღვაწეობისგან რაც შეიძლება შორს გამეგარებინა, სისულელე იქნებოდა მოცალეობის ძვირფასი ეამი დაუდევრად და უქმად გამეფლანგა; არც ის ივარებდა, რომ დარჩენილი ცხოვრების მანძილმე მონური მოეალეობები მეტიერთა და მიწის დამუშაეებასა და ნადირობას გადაეგებოდი. არამე და არამე. მიეუბრუნდი ჩემს ძველ საქმიანობას. რომელსაც სულ თავიდან მიეყავი ხელი და რომელსაც ჩემმავე ცულმედილობამ მომწყვიტა: გადაეწყვიტიე რომაელი ხალხის ისტორია აღმეწერა ცალკეულ მონაკეეებთად; კერძოდ, ის მონაკეეებები შემერჩია, რომლებიც უფრო ღირსსახსოვარად მეჩენებოდა. მით უფრო, რომ ჩემს სულს უკეე აღარაფერი ბოჭაუდა: აღარც არაფერს მოელოდა სახელმწიფოებრივ სარბიელმე, აღარც არაფრისა ემინოდა და არც რომელიმე პოლიტიკურად დაპირისპირებული ჯგუფისადმი მიეკრძოება ამოძრავებდა.

მამ, მოკლედ და რაც შეიძლება სანლოდ მოვითხრობტ კატილინას შეთქმულების ამბავს. სწორედ ამ დანაშაულს ვფავსებ როგორც უპირველესად გასახსენებელს, ვინაიდან მას რაღაც ახლებური სიყვარავე და ახლებური ხიფათი ახლდა. მაგრამ ვიდრე თხრობას შეუდგებოდე, რამდენიმე სიგყვიტ ამ კაცის ბუნება უნდა გადაგიშალოთ.

### V

ლუციუს კატილინა ჩამომავლობით წარჩინებულ გვარს ეკუთვნოდა და სულითაცა და სხეულითაც დიდი ძალის პაგრონი გახლდატ, მაგრამ ბუნება ჰქონდა ყოვლად ბილწი და უმნეო. სიყრმიდანვე იტაცებდა მეხლა-შემოხლა, ხოცევა-უღეგება, ძარცევა-გლეჯეა, საზოგადოებრივი აყალ-მაყალი, რამიც ჰბატეობისას გვარიანად გამოიწროთ თავი. მისი

სხელი დაუჯერებელ მიმძილს, სიციყესა და უძილობას იგანდა. ეს იყო სულით უტიფარი, ვერატი და მუხთალი კაცი, ნებისმიერ საქმეში თვალთმაქცი და ფარისეველი, სხვისის წამ-გლეჯი და საკუთარის გამზიანებელი, ვნებადაუოკებელი, საკმაოდ სიგყვებასარი, ვონიერე-ბით კი – დიდი ვერაფერი. მისი უძლები სული მუდამ რაღაც უზომოს, დაუჯერებელს, თვალმიუწედენ სიმაღლეებს ელგვოდა. ლუციუს სულას<sup>2</sup> ერთმმართველობის დამყარების შემდეგ სახელმწიფო ძალაუფლების მიტაცების დაუოკებელმა ეინმა შეიპყრო. ოლონდ ძალაუფლება ეგდო ხელთ და მისთვის სულერთი იყო, რა გზით მოახერხებდა ამას. კატილ-ინას უტიფრობა დლითი-დლე იკრებდა ძალას, რასაც ბიძგს აძლევდა მისიეე უსახსრობა და ბოროტმმრახველობა. სწორედ ამ ორმა რამემ შეუწყო ხელი მასში გემოხსენებულ მანკიერ თვისებათა ჩამოყალიბებას. თუმცა საამისოდ მას კარგ ფონს უქმნიდა სამოგადოებრივი მნედაცემულობაც, რასაც, თავის მხრივ, აცხოველებდა ორი ურთიერთგანსხვავებული და ერთმანეთზე უარესი ბოროტება – ფუფუნებისმოყვარეობა და სიხარბე.

რახან სიგყვამ მოიგანა და სამოგადოებრივი მნეობა ვახსენეთ, როგორც ჩანს, თეით საქმე მოითხოვს, უკან მივისედოთ და ორიოდ სიგყვით წინაპართა სამინაო და სამხედრო წეს-ჩვეულებებს შეეცხოთ, თუ როგორ მართავდნენ ისინი სახელმწიფოს და რა მდგო-მარეობაში გადასცეს იგი შთამომავლობას; აეხსნათ, როგორ მოხდა, რომ ამ უმშ-ვენიერესმა და საუკეთესოთა შორის საუკეთესო ქვეყანამ თანდათანობით ისე იყვალა სახე, რომ ყველაზე უარეს და სამარცხვინოთა შორის ყველაზე სამარცხვინო ქვეყნად იქცა.

VI

რამდენადაც მე ვიცი, ქალაქი რომი გროვლებმა დააარსეს და სწორედ ისინი ფლობდნენ თაიდან. სამშობლოდან ენეასის წინამძღოლობით გამოქეული გროვლნი ამ მიდამოებში დღხანს დაბორიკალობდნენ უაბროდ. მათთან ერთად მომთაბარეობდნენ ადგილობრივი მკვიდრნიც – ადამიანთა ველური მოდგმა, რომელსაც არც კანონები ბოჭავდა და არც სახ-ელმწიფო ხელისუფლება გააჩნდა, იყო ასე თავისუფალი და ნებაზე მიშევეული. მოგვიანე-ბით ამ ორმა სრულიად სხვადასხვა წარმომავლობის, სხვადასხვა ენის, სხვადასხვა მნე-ჩვეულებების მქონე ხალხმა ერთი კელევი შემოიფლო. ისინი წარმოუდგენლად იოლად შეეწყვნენ ერთმანეთს. ამრიგად, მოკლე დროში ეს ჭრელი და აღმა-დაღმა მოხეტიალე ბრბო ურთიერთმეთანხმებულობამ სახელმწიფოდ აქცია. მაგრამ მოგვიანებით, როცა ისინი უკვე მკვიდრ მობინადრეებად იქნნენ, მნე-ჩვეულებანი დაეხეწათ და სახნაე-სათესი გაუმ-რავლდათ, რითაც მათი თემი ძალმედ წარმატებული და ძალმოსილი გამოჩნდა, მათმა კეთილდღეობამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სხევებში შური აღძრა. და აი, მემობელმა მუყეებმა და ხალხებმა მათთან ომის გამართეაც კი სცადეს. მეგობართაგან ცოგა დაუდგა ამ დროს მათ მხარში, ვინაიდან უმეტესობა ისე იყო შიშისგან შეძრწუნებული, რომ ხი-ფათისთვის თავის არიდება არჩია. რომაელები კი, ომი იყო თუ მშეიდობა, მთელი ძალით მუდამ წინ მიიწევდნენ და საბრძოლველად იყვნენ შემართულნი; ერთმანეთს ამხნევებდნენ და მგერს ეგებებოდნენ, იარაღასხმულნი თავისუფლებას, სამშობლოს და მშობლებს იყედ-ნენ. ხოლო შემდგომ, როცა სიმამაცე ხიფათს უკუაგებდა, მოკაემირეებსა და მეგობრებს მიხედავდნენ ხოლმე. სხევებთან სამეგობრო კაემირს რომ აბამდნენ, წესად ჰქონდათ, წყა-ლობა უფრო გაეყათ, ვიდრე – მიედოთ.

ჰქონდათ კანონებით მოწესრიგებული სახელმწიფო მმართველობა, რომელსაც „სამეფო ხელისუფლება“ ეწოდებოდა. სახელმწიფო სათათბიროში შედიოდნენ არჩეული პირები, რომლთა სხეული წლებს კი დაეუსტგებინა, მაგრამ სიბრძნეს შთაებერა მათთვის ძლიერი სული. ასაკისა თუ საბრუნეათა სიჭარბის გამო მათ „მამებად“ უხმობდნენ. შემდგომ და შემდგომ, როცა სამეფო ძალაუფლებამ, რომელიც თავიდან მოწოდებული იყო, შეენარჩუნე-ბინა თავისუფლება და გაეძლიერებინა სახელმწიფო, სახე იყვალა და ჩაეფლო აღეო-რახსნილ მპყრობელობაში, რომაელებმა სახელმწიფო წყობილება შეიცვალეს და ყოველ-წლიურად ახალი ხელისუფლებისა და ორ-ორი ხელისუფლის არჩევა შემოიღეს. ფიქრობდნენ, რომ ამ შემთხვევაში ადამიანის სული ძალაუფლების პყრობით გადიდგულე-ბას უერ მოასწრებდა.



## VII

იმ დროისთვის ყველამ თავის გამოღება და საკუთარი ნიჭისა და უნარის უფრო მეტად წარმოჩენა იწყო. ვასაგებია, მეფეებს ყოველთვის აფრთხობო სხვისი ღირსეულობა და უარესთ უფრო წყალობენ, ვიდრე უკეთესთ. ასეა თუ ისე, სახელმწიფო, რომელსაც ღიღების წყურვილი ახრჩობდა, თავისუფლების მოპოვების შემდეგ წარმოუდგენლად მოკლე დროში გაიფურჩქნა. ასალმედერებული ყმაწვილები, მიაღწეოდნენ თუ არა საბრძოლო ასაკს, ბანაკებში გადადიოდნენ და სამხედრო წერთნას იწყებდნენ. იარაღისა და საბრძოლო ბედაურების მშენიერებას უფრო ეგანებოდნენ. ვიდრე ქალებსა და ღრეობებს. ხოლო ასე აღზრდილი მამაკაცებისთვის არ იყო საქმე, რაშიც გამოუყდლები იქნებოდნენ, არ იყო ადგილი, რისი მიღწევაც გაუჭირდებოდათ და რომელსაც ვერ მიუღებოდნენ, არ იყო მტერი, რავინდარა შეიარაღებული, რომელსაც შეუძინდებოდნენ: სიმამაცის წინაშე მუხლს იყრიდა ყოველი.

ყველაზე მეტად სახელ-ღიღების მოპოვებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს: თითოეული მათგანი ცდილობდა სხვებისთვის დაესწრო და მტერი პირველს თვითონ განეგმირა, ან კელელზე თვითონ ასულიყო პირველი, ოღონდ ისე, რომ მისი გმირობა შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო. ეს იყო მათთვის სიმდიდრეც, სახელიც, ღიღგვაროვნებაც. ქებას ეხარბებოდნენ, ფულს კი არად აგდებდნენ. სახელ-ღიღება ეწადათ განუზომელი, ქონება კი – პატიოსანი გმით შექენილი. შემიძლია გავისხენო ადგილები, სადაც რომაელებს მცირე ძალით მგრის ურიცხვი ლაშქარი უოგებიათ, შემიძლია გავისხენო ქალაქის ბუნებრივი ბლდე-გალანები, რომლებიც ბრძოლით აულიათ; მაგრამ ვმიძობ, ამ ამბებმა არ შეგვიყოლიოს და არ დაგვაშროს მთავარ სათქმელს.

## VIII

რასაკეირველია, ყველაფერს ბედი განაგებს: რასაც უნდა, ცაში აიყვანს და რასაც უნდა, დააქეცსენლებს; თანაც, უმაღ საკუთარი ახირებისდა შესაბამისად, ვიდრე სამართლიანად. ჩემი აზრით, ათენელთა საგმირო საქმენი საკმაოდ მნიშვნელოვანი და ღიღებული იყო, მაგრამ რამდენადმე მაინც ჩამოუვარდებოდა იმ სახელს, რაც მათ გაუეარდათ. იქაურ მწერალთა გამორჩეულმა ნიჭიერებამ ათენელთა გმირობის ამბები ერთობ გამზიადებულად მოჰფინა ქვეყნიერებას. ასე რომ, ათენელთა სიმამაცემ ის სიმაღლე დაიმკვიდრა, რაზეც გენიალური მწერლების სიგყებმა შეძლეს მისი აგყორცნა. რომაელებს კი ყოველთვის აქლდათ ასეთი მწერლები, ვინაიდან ყოველი ღრმადგანსწაელული რომაელი თაეადაც უზომოდ საქმიანი ადამიანი იყო. არ იყო კაცი, რომელიც მხოლოდ გონებას იეარჯიშებდა და მასთან ერთად სხეულსაც არ იკაეებდა. ნებისმიერ საუკეთესო რომაელს სიგყაზე მეტად საქმე ემარჯეებოდა და ერჩია საკუთარი გმირული საქიულის გამო დაემსახურებინა სხვისი ქება, ვიდრე თაეად ყოფილიყო სხვათა გმირობების მოამბე.

## IX

მამ, მშვიდობა იქნებოდა თუ ომი, რომაელები კერპად მნეკეთილობას სახაედნენ. ძირითადად თანხმობით ცხოვრობდნენ, სიხარბე იშვიათად თუ გაიელებდა მათ შორის. ბუნებით მომადლებული სამართლიანობა და სიკეთე უფრო ზეიმობდა მათთან, ვიდრე – კანონ-მორჩილებით შექენილი. ლანძღვა-გინებას, უთანხმობებას, ქიშას მგრებს მიაგებებდნენ, ერთმანეთს კი სიქეულში ეჯიბრებოდნენ. მსხვერპლმეწირვისას ხელგაშლილნი იყვნენ, შინ – მომჭირნენი, მეგობრებთან კი – უღალატონი. ომის დროს სიმამაცე და მშვიდობიანობის ეამს სამართლიანობა – ეს იყო ის ორი რამ, რითაც რომაელები თავსაც პაგრონობდნენ და სახელმწიფოსაც. აი, რა შემიძლია მოვიგანო ამის საუკეთესო საბუთად: ომის დროს იმ მეომრებს უფრო ხშირად სჯიდნენ, ვინც უკან გამობზობისას სწრაფად არ გაეცლებოდა ბრძოლის ველს, ვიდრე იმათ, ვინც ვახებდა და მწყობრს მიაგოვებდა, ან თავისი განწესების ადგილიდან გაიქეუოდა. მშვიდობიანობის ეამს კი ქვეყანას ქველმოქმედებით უფრო მართაედნენ, ვიდრე დამინებით. ხოლო თუ მათ მოექეუოდა ვინმე უმართებულოდ, ამ შემთხვევაში ადაჯის სურვილზე მეტად მეწყნარების სურვილი ამოძრაეებდათ.

## X

მაგრამ როგორც კი სახელმწიფომ დიდი გარჯითა და სამართლიანობით ძალა მოიკრიბა, ომით დაიმორჩილა დიდმეფენი<sup>3</sup>, იარაღის ძალით დაიპყრო ველური გომებიცა და ძღვეამოსილი ხალხებიც, სრულიად ამოძირკვა იმპერიის მეტოქე – კართაგენი<sup>4</sup> და გზა გაეხსნა ყველა ზღვისა და ყველა ხმელეთისკენ, ბედმა სწორედ მაშინ იწყო გაწყრომა და ყველაფრის თავდაყირა დაყენება. ხალხს, რომელიც დიდ ჯაფას, მრავალ განსაცდელს, ხიფათებსა და სირთულეებს იოლად იგანდა, სხვა შემთხვევაში დიდად სასურველი მოცალეობა და სიმდიდრე ვაებად და გვირგვინად ექცა. მათში ჯერ ფულის, მერე კი ძალაუფლების ვახელებულმა წყურვილმა იმძლავრა და ეს ორი ლგოლვა მათი ყველა შემდგომი უბედურების ერთგვარი საშენი მასალა გახდა. მართლაც, სიხარბემ ბოლო მოუღო ერთგულებას, პატიოსნებას და სხვა კეთილშობილურ თვისებებს; სამაგიეროდ ქედმძლავრობა, სისასტიკე, ღმერთების აბუჩად აგდება და ყველაფრით ვაჭრობა შეასწავლა. პატივმოყვარეობამ ბევრი ვინმე ცრუკაცად აქცია, აიძულა, გულში ერთი სდებოდა, ღიად კი სხვა ელაპარაკა; მგრობა და მეგობრობა საქმის რეალური არსის შესაბამისად კი არ შეეფასებინა, არამედ იმისდა მიხედვით, თუ რა იყო მისთვის სასიერო; უფრო მეტად გარეგნულ იერ-სახეზე ებრუნა, ვიდრე სულის მშვენიერებაზე. ეს სენი თავიდან ნელ-ნელა იკრებდა ძალას, მიგადამივ წინააღმდეგობებსაც აწყდებოდა, მაგრამ შემდეგ, როცა ჭირივით მოედო მთელ ქვეყანას, ხალხმა უფრო იცვალა და ეს ყველაზე სამართლიანი და სანაქებო რომაული ხელისუფლებაც სასტიკი და უმოწყალო ხელისუფლებად იქცა.

## XI

თავიდან ადამიანებს პატივმოყვარეობა უფრო უმღერევედა სულს, ვიდრე სიხარბე, რადგან პატივმოყვარეობა, თუმც მანკიერებაა, გარკვეულწილად მაინც კეთილშობილებას ენათესავენ. განა ვერა არაა? დიდება, პატივი და ძალაუფლება ღირსეულსაც და უღირსსაც ერთნაირად სწავლია. მაგრამ საქმე ისაა, რომ მიზნის მისაღწევად ერთი სწორ გზას ადგება, მეორე კი, რაკილა კეთილშობილური თვისებები არ გააჩნია, უამრავი მზაკვრობითა და გაიძევრობით მიიწევს წინ. აი, სიხარბეს კი ფულის მოპოვების ვინი ახლავს. გონიერი კაცი არასოდეს იქნება ფულის მოგროვიალე, ვინაიდან ეს მანკიერება ისე აძაბუნებს ვაქციას სულსა და სხეულს, როგორც საშინელი მხამით გაქვნილი რამ. სიხარბეს არა აქვს სამღვარი და მარად გაუმაძღარია. მის ალვირახსნილობას ვერც ქონება თოკავს და ვერც გაჭირვება.

როცა ლუციუს სულამ სახელმწიფო ხელისუფლება დაიპყრო და შესანიშნავ დასაწყისს ავი ბოლო მისცა, ყველამ ძარცვა-გლეჯას მიპყო ხელი, ვისაც ვისი სახლი და ვისაც ვისი მიწა ეწადა. გამარჯვებულებმა აღარც მომა-წონა იყოღნენ, აღარც ნამუსი აწუხებდათ. მოქალაქეებს შვე ღღეს აწუღნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ ლ. სულას თავისი ლაშქარი, წინაპართა ჩვევების სრული უგულბელყოფით, დიდ ფუფუნებაში და მეგისმეტად თავაშეუბული ჰყავდა, რითაც მოიგო კიდევ მათი გულები. ამ ლაშქარს მან აზია მოაგარა. იმ ადგილების მშვენიერებამ და ზედ დართულმა დიდმა მოცალეობამ კი ჯარისკაცთა მკაცრი მეომარული სული იოლად გააფაქიმა. რომაელთა ლაშქარს იქ პირველად წაუცდა ხელი გარყვნილებისკენ, მემთურალობისკენ, ქანდაკებებით, სურათებითა და ჭედური ლარნაკებით მოხიბვისა და კერძო პირთაგან თუ სამოგადოებრივი დაწესებულებებიდან მათი წარგაცებისკენ, გაძარბა ძარცვისკენ, ყველაფრის – ღვთიურისა თუ ადამიანურის წაბილწვისკენ. ასე რომ, ეს მეომრები გამარჯვების შემდეგ დამარცხებულთ გყავს აპრობდნენ. ვაჰ რომ წარმატება ბევრ ბრძენკაცსაც კი უმღერევს სულს და, აბა, ისინი როგორღა გაუძლებდნენ გამარჯვების თანხმლებ ცდუნებებს?

## XII

მას შემდეგ, რაც სიმდიდრე, რომელსაც თან ახლდა დიდება, ძალაუფლება და ძღვეამოსილება, თანდათანობით დიდად საპატიო საქმედ იქცა, ამის კვალდაკვალ ასევე თანდათანობით გაფერმკრთალდა სიმამაცე, სამარცხვინო საქმედ შეირაცხა სიღარიბე, ხოლო პატიოსნება ავისმოსურნეობად წარმოიდგინეს. ამრიგად, სიმდიდრემ ახალგაზრდობა

თავებობასთან გადაჯაჭვული სიხარბისა და ფუფუნების მონად აქცია: სხეას ვლევდენ და თავისას ფლანგავდენ, საკუთარს არ სჯერდებოდენ და სხვისას ეხარბებოდენ, ადამიანთა მიმართ თუ ლეთის წინაშე გამოჩენილ რიდასა და კრძალვას აბუჩად ივლებდენ, არც არაფრის პატივისცემა გააჩნდათ და არც არაფრის წინაშე შეიკაებდენ თავს. გარჯად ღირს, ერთი მათი სახლები და ქალაქურ ყაიდაზე მორთულ-მოკაბშული ვილები დაათვალიერო და მერე იმ ტაძრებში შეიხედო, რომლებიც ჩვენმა უაღრესად ლეთისმოსავმა წინაპრებმა აღუმართეს ღმერთებს.

მართლაცდა, ჩვენი წინაპრები საღვთო ტაძრებს უდიდესი მოწიწებით ამკობდენ, საკუთარ სახლებს კი – მხოლოდ სახელ-ღიღებით, ხოლო ძლეულთ არაფერს ართმევდენ, გარდა მათ მიმართ უსამართლოდ მოქცევის უფლებისა. ესენი კი, ეს სულმდაბალი კაცუნები, მთელ თავის სიაყკაცეს ავლენდენ და მოკაემირეებს ყველაფერს სტაცებენ, რაც ჩვენმა გამარჯვებულმა წინაპრებმა – იმ უმამაყესმა ვაჟაკებმა არ წაართვეს მათ თავის ღრობე. თითქოსდა ძალაუფლების ფლობა მხოლოდ და მხოლოდ უსამართლოდ მოქცევის გულისხმობდეს.

### შენიშვნები

- <sup>1</sup> კიროს უფროსი (ძვ. წ. VI ს.) – სპარსეთის სახელმწიფოს დამაარსებელი.
- <sup>2</sup> ლუციუს კორნელიუს სულა – რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც არისტოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. ძვ. წ. 82 წ. მან დაამარცხა პოპულარების ბელადი – ვაიუს მარნიუსი და მუღმიე დიქტატორად გამოცხადდა. ფაქტიურად რომის შეუზღუდავი მმართველი გახდა.
- <sup>3</sup> ივ.: პიროსი – ეპირის მეფე (რომაელებმა გაანადგურეს ძვ. წ. 275 წელს), ანგიოქოსი – სირიის მეფე (გაანადგურეს ძვ. წ. 188 წელს), პერსეესი – მაკედონიის მეფე (გაანადგურეს ძვ. წ. 168 წელს), მითრიდატე – პონტოს მეფე (გაანადგურეს ძვ. წ. 68 წელს).
- <sup>4</sup> კართაგენი რომაელებმა ძვ. წ. 146 წელს მოსრეს.
- <sup>5</sup> „შესანიშნავ დასაწყისში“ იგულისხმება ძვ. წ. 107 წელს ლ. სულას წარმატება ნუმიდიის მეფე იგურტას წინააღმდეგ წარმოებულ ომში. „აე ბოლოში“ იგულისხმება მის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების განმეორებით დაპყრობა ძვ. წ. 82 წელს და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ მასიური რეპრესიების გატარება.

*თარგმნა ალა ტრაპაიძე*

## კატილინას შთქმელება

[გაიუს იულიუს კეისრისა და მარკუს პორციუს კატონის მიერ წარმოთქმული სიგყეები სენატში]

51. /1/ „მამა-სენატორებო! ყველა ადამიანს, რომელიც საეჭვო საქმეს განსჯის, მართებს. თავი შორს დაიჭიროს სიძულვილის, მეგობრობის, რისხვისა და გულმოწყალებისაგან. /2/ სული ადვილად ვერ ჭერებს ჭეშმარიტებას, როდესაც ამაში ეს გრძნობები უშლის ხელს, არც ვინმე მიჰყოლია ერთსა და იმავე ღროს სასურველს და სასარგებლოს. /3/ თავისუფალი გონება საღად განსჯის, მაგრამ თუ გულისთქმა დაგეუფლა, ის გაბატონდება, სული კი უძღურდება. /4/ შემებლო გამეხსენებინა მრავალი შემთხვევა, მამა-სენატორებო, როდესაც მეფეებმა და ხალხებმა რისხვისა თუ სიბრაულის კარნახით არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ ამას სჯობს, მოგახსენოთ ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი გულისთქმის საპირისპიროდ მართებულად და წესისამებრ მოიმოქმედეს.

/5/ მაკედონიის ომის ღროს, რომელსაც მეფე პერსესთან<sup>1</sup> ვაწარმოებდით, დიდი და მდიდარი როდოსის სახელმწიფო, რომაელთა ძალისხმევით რომ აღგვედა, ჩვენს მიმართ უნდობლად და მტრულადაც კი განეწყო. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც როდოსელთა საკითხი გადაწყდა, ჩვენმა წინაპრებმა, რომ არავის ეთქვა, ომის დაწყების მიზეზი უფრო გამდიდრება იყო, ვიდრე როდოსელების მიერ ჩადენილი უსამართლობაო, ისინი არ დასაჯეს<sup>2</sup>. /6/ ასევე, ყველა პუნიკური ომის განმავლობაში, როგორც მშვიდობის, ისე ზავის ღროს, კართაგენელები ხშირად ჩადიდდენ მრავალ

უღირს ქმედებას. ჩვენს წინაპრებს, შემთხვევაც რომ მისცემოდათ, არასოდეს გაუკეთებიათ იგივე. ისინი იმას უფრო დაეძებნენ, ღირსეულნი ყოფილიყვნენ, ვიდრე დამნაშავეთათვის სამართლიანად მიეზღოთ. /7/ ეს თქვენც უნდა გაითვალისწინოთ, მამა-სენაგორებო, რომ ჰუბლიუს ლენგულუსის და სხვათა დანაშაული თქვენს ღირსებას არ უნდა აღემატოს. ნუ მესწირავთ რისხვას თქვენ კეთილ სახელს. /8/ თუ მოიძებნება მათი ნამოქმედარის შესაფერისი სასჯელი, ამ უმაგალითო გადაწყვეტილებას გაეპართლებ, ხოლო თუ დანაშაულის სიმძიმე ყოველგვარ ზღვარს აჭარბებს, მიმაჩნია. რომ მათ უნდა დაეღოთ ის სასჯელი, რომელიც კანონით არის დადგენილი.

/9/ ჩემზე აღრე გამოსულ სენაგორთა უმრავლესობა ოსტატურად აგებულ და მშვენიერ სიტყვებში დასტიროდა კრახს, რომელიც რესპუბლიკამ განიცადა. ჩამოთვალეს, თუ რა მოაქვს ომის სისასტიკეს, რა აგყდება თავს დამარცხებულს – ქალიშვილებისა და ყმაწვილების მოგაყება, მშობლის მკლავებიდან შეიღების გამოგლეჯა, ოჯახის დედების მიერ ყველა იმ უპატიურობის მოთმენა, რაც გამარჯვებულებებს მოეგუენებათ, ტაძრებისა და სახლების ძარცვა, ხოცვა-ყლევა, ხანძრები, ბოლოს კი ყველაფერი იარაღით, გვამებით, სისხლითა და გლოვით ივსება. /10/ მაგრამ უკვდავი ღმერთების სახელით, საით მიყავართ ასეთ ლაპარაკს? იქნებ იქითკენ, რომ თქვენ მტრულად განგაწყონ შეთქმულების მიმართ? რა თქმა უნდა, ვინც ასეთმა სამინიღებამ და სისასტიკემ ვერ ააღებდა, იმას სიტყვა აანთებს. /11/ ასე არ არის! არცერთ მოკვდავს მცირედ არ ეჩვენება მის მიმართ ჩადენილი უსამართლობა. მრავალნი კიდევ უფრო აზვიადებენ მას, ვიდრე სინამდვილემია. /12/ მაგრამ ზოგისთვის ერთია ნებადართული, ზოგისთვის – მეორე, მამა-სენაგორებო. თუ დაბალი წარმომობის ჩრდილში მყოფმა ადამიანმა სიფიცხით რაიმე დანაშაული ჩაიდინა, ცოტამ თუ იცის ამის შესახებ, რადგან მასზე მითქმა-მოთქმა მისი მდგომარეობის შესაფერისია. ვინც დიდი ძალაუფლებით არის აღჭურვილი და მაღალი მდგომარეობა უკაეია, მისი ნამოქმედარი საქვეყნოდ ხდება ცნობილი. /13/ ამრიგად, უდიდესი მდგომარეობა უმცირესის ნებას იძლევა. არა მიეკრძობება, არა სიძულვილი და ყველაზე ნაკლებად კი მრისხანება, აი, რა არის საჭირო. /14/ რაც სხვებში სიფიცხედ იწოდება, ის ძალაუფლების მქონეთათვის ქედმაღლობა და სისასტიკეა. /15/ რასაკვირველია, მე ვფიქრობ, მამა-სენაგორებო, რომ მათი დანაშაულის გამოსყიდვა არანაირ განჯევას არ შეუძლია. მაგრამ მოკვდავთა უმრავლესობას ის ახსოვს, რაც ბოლოს იყო. ისინი იფიწყებენ უკეთური ადამიანების მიერ ჩადენილ დანაშაულს და მხოლოდ იმაზე მსჯელობენ, იყო თუ არა მათი სასჯელი ზომაზე მეტად მკაცრი.

/16/ დარწმუნებული ვარ, დეკიმუს სილანუსმა, ამ მამაცმა და ურყევმა კაცმა რაც თქვა, რესპუბლიკისთვის თაედადებამ ათქმევინა და ასეთ მნიშვნელოვან საქმეს არც კეთილგანწყობით მიუღდა და არც მტრულად. ჩემთვის კარგად არის ცნობილი მისი ხასიათი და თაემუკაეების უნარი. /17/ მაგრამ მისი აზრი მე მეჩვენება არა სასტიკად (მართლაც, რა შეიძლება ასეთ ადამიანებთან მიმართებაში იყოს სასტიკი), არამედ უესოდ ჩვენი რესპუბლიკისთვის. /18/ ნამდვილად საფრთხემ ან მათმა უკანონობამ გაიძულა შენ, სილანუს, არჩეულ კონსულს, ჯერაც გაუგონარი სასჯელი დაეეღვინა მათთვის. /19/ ზედმეტია, აქ ვილაპარაკოთ სამიმროებაზე, რადგან კონსულის, ამ უბრწყინვალესი კაცის განსაკუთრებული მონღომების წყალობით, იარაღასხმულია მრავალრიცხოვანი დაცევა. /20/ სასჯელის შესახებ დანამდვილებით შემძლია ვითხრათ ის, რაც საქმის არსიდან გამომდინარეობს: დარდასა და უბედურებაში სიკვდილი ურეათაგან დასვენებაა და არა განჯევა. ის ყველა მოკვდავს ბოროტებისაგან ათავისუფლებს. მის მიღმა არც წუხილი არსებობს და არც სიხარული. /21/ მაგრამ უკვდავი ღმერთების სახელით, რატომ არ დაამატე შენს წინადადებას, რომ სიკვდილამდე ისინი გაერთობათ? /22/ იქნებ იმიტომ, რომ პორციუსის კანონი კრძალავს ამას? მაგრამ სხვა კანონებიც ბრძანებენ ასევე, რომ მსჯავრდებულ მოქალაქეებს სული კი არ ამორათვან<sup>4</sup>, არამედ ქვეყნიდან განდევნონ. /23/ იქნებ იმიტომ, რომ გარომგვა უფრო მძიმეა, ვიდრე სიკვდილი? მაგრამ რა შეიძლება იყოს სასტიკი ან მეტისმეტად სამძიმო იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ასეთ ბოროტმოქმედებაში არიან მხილებულნი? /24/ ხოლო

თუ სასჯელი უფრო მსუბუქია, ვინ იქნება თანახმა, რომ უმნიშვნელო საქმეში კანონის გვემინოდეს, ხოლო მნიშვნელოვანში ის უგულებელყოფით?

/25/ მაგრამ, ალბათ მკითხაუო, ვინ გაკიცხავს იმას, რაც სახელმწიფოს პარიციდებს დაუდგინეს? გარემოება, დრო, ფორტუნა, რომელიც თავის ნებაზე ატარებს ხალხებს. ამ აღამიანებს რაც მოუვათ, ახი იქნება მათზე. /26/ მაგრამ თქვენ, მამა-სენაგორებო, განსაჯეთ, რას გადაუწყვეტთ სხვებს. /27/ ყველა ბოროტ საქმეს კეთილი წანამძღვარი ჰქონდა, მაგრამ როდესაც ძალაუფლებას უცოდინარი ან ნაკლებად პატიოსანი მოიპოვებს, იმ აღამიანისთვის განკუთვნილ სასჯელის ახალ ზომას, ვინც ამის ღირსია და იმსახურებს, ხშირად მიმართავს იმ აღამიანის დასასჯელად, ვინც ამის ღირსი არ არის და არც იმსახურებს. /28/ დამარცხებულ ათენელებს ლაქედემონელებმა სახელმწიფოს სამართაოდ ოცდაათი კაცი დაუდგინეს<sup>5</sup> /29/ ისინი თავიდან ყველაზე უარეს და ყველასათვის საძულველ დამნაშავეებს გაუსამართლებლად ხოცავდნენ. ამან ხალხი გაახარა, ამბობდნენ, რომ ისინი ამას იმსახურებდნენ. /30/ შემდეგ, როდესაც განუკითხაობა თანდათან გაიზარდა, დანარჩენების დასაშინებლად ბოროტსა და კეთილს განურჩევლად უსწორდებოდნენ. /31/ ამგვარად, მონობით დათრგუნულ სამოგადოებას ძვირად დაუჯდა თავისი უგუნური სიხარული. /32/ ჩვენ შევესწარით იმას, თუ როგორ ბრძანა გამარჯვებულმა სულამ, ყელი გამოეჭრათ დამასიპუსისა<sup>6</sup> და მისი მსგავსებისთვის, რომლებმაც რესპუბლიკის უბედურებაზე მოითბეს ხელი. ვინ არ შეაქო სულას ნამოქმედარი? ამბობდნენ, რომ დამნაშავე და ძალაუფლების-მოყვარე აღამიანები, რომლებიც რესპუბლიკას ამბოხებებით არ ასვენებდნენ, სამართლიანად დაისჯნენ. /33/ მაგრამ ეს გახდა სწორედ დიდი უბედურების დასაწყისი. ვინაიდან მოინდომებდა თუ არა ვინმე სხვის სახლსა თუ აგარაკს, ან თუნდაც საოჯახო ნივთებსა თუ განსაყმელს, ცდილობდა იგი პროსკრიპირებულთა სიაში შეეყვანა. /34/ ასე რომ, ცოცხლის შემდეგ თავად მას იჭერდნენ, ვინც დამასიპუსის სიკვდილმა გაახარა და არ ჰქონდა ხოცვა-კლევას დასასრული, სანამ სულამ ყველა თავისიანი სიმდიდრით არ აავსო. /35/ მე არც მარკუს ტულიუსის და არც ლევენდელი ღღის მემინია. ჩვენ დიდ სამოქალაქო საზოგადოებაში მრავალი და განსხვავებული ამრია. /36/ სხვა დროს, სხვა კონსულის მმართველობის ეამს, რომლის განკარგულებაშიც იქნება ჯარი, შესაძლოა, კაცმა სიცრუე ჭეშმარიტებად მიიღოს. როდესაც ლევენდელ მაგალითს გაითვალისწინებს და სენაგის დადგენილებით კონსული მახვილს იმიშვლებს, ვინ დაუდგენს მას სამანს ან ვინ შეაკაეებს?

/37/ ჩვენს წინაპრებს, მამა-სენაგორებო, არასოდეს აკლდათ სიბრძნე და სიმამაცე. მათ არც სიამაყე უშლიდათ ხელს, რომ მიეხატათ უცხო წეს-ჩვეულებებისთვის, თუკი ისინი მისაბაძნი იყვნენ. /38/ თავდაუციოთ და შეტევითი იარაღის უმრავლესობა სამნიგებისაგან<sup>7</sup>, ხოლო მაგისტრატებისათვის განმასხვავებელი ნიშნები ეტრუსკებისაგან<sup>8</sup> გადმოიღეს. ერთი სიტყვით, რასაც და სადაც მოკავშირესთან თუ მტერთან გამოსადეგად მიიჩნევდნენ, უდიდესი მონდომებით ნერვავდნენ სამშობლოში. მათ ერჩიათ კარგისთვის მიეხატათ, ვიდრე შემურებოდათ მისი. /39/ ამავე დროს ბერძენთა ჩვეულებისამებრ მათრახის ცემით სჯიდნენ მოქალაქეებს, მსჯავრდებულის მიმართ კი სასჯელის უმაღლეს ზომას იყენებდნენ<sup>9</sup>. /40/ მას შემდეგ, რაც რესპუბლიკა გაიზარდა და მოქალაქეთა სიმრავლემ დაჯგუფებათა გაძლიერება გამოიწვია, დაიწყეს უდანაშაულოთა დევნა და მსგავსი ქმედებები. მამინ მიიღეს პორციუსის და სხვათა კანონები, რომელთა მიხედვითაც მსჯავრდებულს მხოლოდ სამშობლოდან აძევებდნენ. /41/ ჩემი ამრით, ესაა მთავარი მიზეზი, მამა-სენაგორებო, რათა განსხვავებული გადაწყვეტილება არ მივიღოთ. /42/ რა თქმა უნდა, სიქველ და სიბრძნე მათში უფრო მეტი იყო, რომლებმაც მცირე ძალეებით აშხელა სახელმწიფო შექმნეს, ვიდრე ჩვენში, რომლებიც მათ მიერ დაირსულად მოიპოვებულს ძლივს ვინარჩუნებთ.

/43/ მამ, ხომ არ გავათავისუფლოთ ისინი, რათა კატილინას ჯარს შეუერთდნენ? სულაც არა! ჩემი ამრი ასეთია: ხაზინის სასარგებლოდ ჩამოერთვათ ქონება, თავად კი ბოროტად დადებულნი ვამყოფოთ მუნიციპიუმში, სადაც ისინი ყველაზე უკეთ იქნებიან დაცულნი. შემდგომში არც სენაგს მოხსენოს მათ შესახებ და არც ხალხს. ვინც სხვაგვარად მოიქცევა, სენაგმა ის რესპუბლიკისა და საყოველთაო კეთილდღეობის მგრად გამოაყხადოს<sup>10</sup>.

52. /1/ მას შემდეგ, რაც კეისარმა ლაპარაკი დაასრულა, სხვები მოკლედ დაუთანხმნენ მანამდე გამოიქმულ განსხვავებულ შეხედულებებს. ხოლო როდესაც მარკუს პორციუს კატონს სთხოვეს აზრი გამოეთქვა, მან დაახლოებით ამგვარი სიტყვა წარმოთქვა:

/2/ „სრულიად განსხვავებულია ჩემი აზრი, მამა-სენატორებო, როდესაც წარმოვიდგენ ჩვენ სახიფათო მდგომარეობას, როდესაც ჩაუუფიქრლები ზოგიერთის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს. /3/ ისინი, როგორც ვხედავ, მსჯელობენ იმათი სასჯელზე, ვინც თავიანთ სამშობლოს, მშობლებს, საკურთხეველებს და ოჯახურ კერებს ომი გამოუცხადა. გარეგნობა კი უფრო იმას გვაიძულებს, თავი დავიცვათ მათგან, ვიდრე ის განვსაჯოთ, რა გადაწყვეტილება მივიღოთ მათ შესახებ. /4/ სხვა ბოროტმოქმედებები მათი ჩადენის შემდეგ ისჯება, ხოლო რაც შეეხება ამას, წინასწარ თუ არ აღკვეთი, შემდეგ უკვე ამაოდ მოგიწევს, ეძიო მართლმსაჯულება. როდესაც ქალაქი უკვე აღებულია, დამარცხებულებს აღარაფერი რჩებათ. /5/ მაგრამ უკვდავი ღმერთების სახელით მოგიწოდებთ თქვენ, ვინც მუდამ საკუთარ სახლებს, აგარაკებს, ქანდაკებებს, სურათებს უფრო მაღლა აყენებდით, ვიდრე რესპუბლიკის ინტერესებს. თუ გინდათ შეინარჩუნოთ ეს ყველაფერი, და რასაც ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ, თუ გსურთ ისიამოვნოთ მოცალეობის ვაშს, ბოლოსდაბოლოს გამოიღვიძეთ და მიხედეთ რესპუბლიკას. /6/ აქ საქმე უკვე აღარ ეხება არც ხარკს და არც მოკავშირეთა უსამართლობას. ჩვენი თავისუფლება და არსებობაც კი ეჭვქვეშაა. /7/ მამა-სენატორებო, მრავალგზის წარმომითქვამს გრძელი სიტყვა თქვენი წოდების წინაშე. ხშირად მიჩივლია ჩვენი მოქალაქეების გარყვნილებასა და სიხარბეზე. ამის გამო ბევრი მოწინააღმდეგე მყავს. /8/ მე, რომელიც არასოდეს წაესულვარ საკუთარ სინდისთან გარიგებაზე, არც სხვას ვპატიობდი აღვილად ქვენა გრძნობებით ჩადენილ უკეთურ საქმეებს. /9/ მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ყოველივე ამას ნაკლებად აფასებდით, რესპუბლიკა ძლიერი იყო და მისი კეთილდღეობა თქვენ გულგრილობას იგანდა. /10/ მაგრამ ახლა საქმე ის კი არ არის, ჩვენი ცხოვრება მნეობრივია თუ უმნეო, ან რამდენად დიადი და ღირებულია რომელი ხალხის იმპერია, არამედ ის, რომ, როგორც არ უნდა ჩანდეს იგი. ან ჩვენთან დარჩება ან ჩვენი ჩათვლით მგერი დაისაკუთრებს. /11/ აქ მე კიდევ ღმობიერებასა და გულმოწყალებაზე მელაპარაკებთან! ჩვენ, მართლაც, დიდი ხანია საგნებს თავის ჭეშმარიტ სახელებს აღარ ვარქმევთ, რადგან სხვისი ქონების უხეად გაყება ხელგამლილობად იწოდება<sup>11</sup>, გამბედაობა საძრახის საქმეში – სიმამაცედ. ამიგომ არის რესპუბლიკა დაღუპვის პირას მისული. /12/ დაე, იყოს ასე, რადგან ასეთია მათი ცხოვრების წესი: იყვნენ ხელგამლილნი – მოკავშირეთა ქონებით, გულმოწყალენი – ხაზინის ქურდების მიმართ, ოღონდ ჩვენ სისხლს ნუ გასცემენ და მცირერიცხოვან დამნაშავეთა დაზოგვით ყველა პატიოსან ადამიანს ნუ დაღუპავენ.

/13/ ეს-ესაა მოხდენილად და ოსტატურად იმსჯელა სიკვდილ-სიცოცხლეზე ვაიუს კეისარმა თქვენი წოდების წინაშე. ვფიქრობ, გამონათგონად მიაჩნია ის, რასაც ჰყევიან ქვესქელის შესახებ, კერძოდ, რომ ცუდი ადამიანები კარგი ადამიანებისაგან შორს, საზომღარ, ველურ, ამამრგენ და შიმისმომგერულ ადგილებში იმყოფებიან. /14/ მისი აზრით, შეთქმულებს უნდა ჩამოერთვათ ქონება და თავად ისინი კი მუნიციპალებში მოათავსონ გუმავთა მეთვალყურეობის ქვეშ. ცხადია, შიმობს, რომ რომში მათ ძალით გაათავისუფლებენ<sup>12</sup> შეთქმულების მონაწილენი თუ მოსყიდული ბრბო. /15/ თითქოს უკეთურნი და ბოროტმოქმედნი მხოლოდ რომში არიან და არა მთელ იტალიაში ანდა იქ უფრო არ მძლავრობდეს კადნიერება, სადაც წინ ნაკლები ძალა აღუდგება? /16/ ამიგომ, თუ საფრთხეს ელის მათგან, უსარგებლოა, რასაც ის გვთავაზობს; ხოლო თუ ასეთი საყოველთაო შიმის დროს მხოლოდ მას არ ეშინია, მით უფრო მაქვს საფუძველი, ვმიშობდე ჩემს გამოც და თქვენს გამოც<sup>13</sup>. /17/ ამიგომ, როდესაც პუბლიუს ლენგულუსსა და დანარჩენებს გამოუგანთ განაჩენს, დარწმუნებული იყავით, იმავდროულად კატლინას ჯარისა და ყველა შეთქმულის ბელსაც გადაწყვეტთ. /18/ ამას რაც უფრო შეუპოვრად გააკეთებთ, მით უფრო დაეცემიან ისინი სულით; ოდნავი სისუსტე თუ მაინც შეგაჩინიეს, იცოდეთ, ყველა კადნიერი კარს შემოგიმტვრევთ.

/19/ ნუ გგონიათ, რომ ჩვენმა წინაპრებმა პაგარა ქვეყანა დიდად იარაღის დახმარებით აქციეს. /20/ ასე რომ იყოს, ის ბევრად უფრო მშვენიერი იქნებოდა, რადგან მოკავშირეებით და მოქალაქეებით, ასევე, იარაღითა და ცხენებით ჩვენს წინაპრებს აღევამაგებთ. /21/ მაგრამ მათ ჰქონდათ ჩვენგან განსხვავებული სხვა თვისებები, რომლებიც დიდად აქცევდათ: მინ – შრომისმოყვარეობა, გარეთ – სამართლიანი ძალაუფლება, თათბირისთვის – თავისუფალი სული, რომელიც არ ემონებოდა არც ჩადენილ აუკაცობებს, არც გულისთქმას. /22/ ამის სანაცვლოდ ჩვენ გვაქვს გარყვნილება და სიხარბე, სახელმწიფოში – სიდაგაკე, პირად ცხოვრებაში – ფუფუნება. ვაქებთ სიმდიდრეს, ვართ უქნარები, არ არსებობს განსხვავება კარგსა და ცუდ ადამიანებს შორის. სიქველის ყველა ჯილდოს პატივმოყვარეობა ისაკუთრებს. /23/ არცაა გასაკვირი, რადგან თითოეული თქვენგანი ცალკე-ცალკე მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, რადგან მინ სიამებს, აქ კი ან ფულს, ან გავლენიან პირებს ემონებით. ამიგომ არის, რომ რესპუბლიკას, რომელიც დაუცველია, თავს ესხმიან.

მაგრამ ამას თავი დაეანებოთ. /24/ შეთქმულება უწარჩინებულებსა მოქალაქეებმა მოაწყვეს, რათა სამშობლო ცეცხლისთვის მიეცათ. ბრძოლაში მხარდასაჭერად მოუხმობენ გალების მოდგმას, რომელიც ყველაზე უფრო მგრულად არის განწყობილი იმის მიმართ, რაც კი რომაულად იწოდება<sup>14</sup>. მგრის წინამძღოლი ჯართან ერთად კარს მოგვედგომა. /25/ ხოლო თქვენ ახლაც კი აყოვნებთ და ვერ გადაგიწყვევით, როგორ მოექცეთ გლავნის მიგნით შეპყრობილ მტერს! /26/ შეიწყალეთ, დაე ასე იყოს, პატივმოყვარეობის გამო შესიოდეს ახალგაზრდა ადამიანებმა, ვაათავისუფლეთ ისინი იარაღით ხელში. /27/ ოღონდ ეგ თქვენი ღმობიერება და გულმოწყალება, თუ ისინი იარაღს აიღებენ, უბედურებად არ მოგიბრუნდეთ. /28/ თავად მდგომარეობა. ცხადია, სერიოზულია, მაგრამ იქნებ თქვენ ეს არ გამინებთ? არა, ძალიანაც გამინებთ, მაგრამ თქვენივე უნიათობისა და უნებისყოფობის გამო ერთმანეთის შემყურენი აყოვნებთ. როგორც ჩანს, უკედავი ღმერთების იმედზე ხართ, რომლებმაც არაერთხელ იხსნეს რესპუბლიკა უდიდესი საფრთხისაგან. /29/ არც ალექსანდრის დადება, არც ქალური ეედრება არ მოგვიპოვებს ღმერთების თანადგომას. სიფხიზლე, მოქმედება, გონიერული გადაწყვეტილებები – აი, ის, რასაც ყველაფერში წარმატება მოაქვს. როდესაც უმრუნველობასა და უქმობას ეძლევი, ამაოა ღმერთებისადმი ეედრება. ისინი განრისხებულნი და მგრულად განწყობილნი არიან.

/30/ ოდესღაც ალიუს მანლიუს გორკეატუსმა გალებთან ომის დროს საკუთარი ვაჟიშვილის მოკვლა ბრძანა, რადგან მიუხედავად აკრძალვისა, იგი მტერს ეკვთა<sup>15</sup>. /31/ ეს შესანიშნავი ახალგაზრდა, უზომო სიმაჟაის გამო სიკვდილით დაისაჯა. /32/ თქვენ კი აყოვნებთ, განაჩენი გამოუგანოთ უსასტიკეს მამისმკვლელებს? /33/ ჩანს, მათი განვლილი ცხოვრება გვიმლის ხელს, ისინი დაუადანამაულოთ. მაშინ უნდა დაგეზოვით ლენტულუსის წარჩინებულობა, თუ თავად დაზოგავდა თავის ღირსებას, კეთილ სახელს; თუკი ოდესმე დაინდობდა რომელიმეს ღმერთებსა თუ ადამიანებს შორის. მიუტყვეთ კეთევუს მისი ახალგაზრდობის გამო, მან ხომ უკვე მეორედ აიღო იარაღი<sup>16</sup> სამშობლის წინააღმდეგ. /34/ რა ეთქვა გაბინუსზე, სტატილუსზე, კეპარიუსზე. მათთვის ოდესმე რაიმე რომ ჰქონოდა მნიშვნელობა, ამას არ განიზრახავდნენ რესპუბლიკის წინააღმდეგ.

/35/ და ბოლოს, მამა-სენატორებო, შეცდომის დაშვების დრო რომ გვექონდეს – ვფიცავ პერკულუსს – ხალხით დაეთანხმდებოდი, თავად შემთხვევას ესწაელებინა თქვენთვის ჭკუა, რადგან სიგყეებს არაფრად ავლებთ. მაგრამ ყველა მხრიდან გარემომორტყმულნი ვართ. კატილინა თავის ჯარით ყელში გვიჭერს ხელს, სხვა მტრები გლავნის მიგნით და თვით ქალაქის შუაგულშიც გყავს. საიდუმლოდ ვერც ვერაფერს მოვაგმადებთ და ვერც ვერაფერს ვითათბირებთ. მით უფრო გვმართებს აჩქარება.

/36/ ამიგომ, აი, როგორია ჩემი აზრი: რამდენადაც დამნაშავე მოქალაქეების უკეთური განზრახვით რესპუბლიკას უდიდესი საფრთხე შეექმნა და მათ, გიგუს ვოლტურციუსისა და ალობროგების ელჩების მიერ მხილებულებმა აღიარეს, რომ განზრახული ჰქონდათ მოქალაქეებისა და სამშობლოს წინააღმდეგ ხოცვა-ჟლეტა, ხანძრების მოწყობა თუ სხვა საძაგელი და სასტიკი ბოროტმოქმედებები, როგორც დანაშაულის ადგილას შეპყრობილთ წინაპართა ჩვეულებისამებრ უნდა მივბლოთ.“

53. 1/ კატონი რომ დაჯდა, ყველა კონსულარმა და სენატორთა უმრავლესობამ მისი ამრი მოიწონა, მისი შემართება ცამდე აკყავდათ, ერთმანეთს კიცხავდნენ და მხდალებს უწოდებდნენ, ხოლო კატონი აღიარეს როგორც ბრწყინვალე და ღიადი<sup>17</sup>. სენატმა მისი წინადადების შესაბამისი დადგენილება გამოიგანა.

2/ მე ბევრი წამიკითხავს და მსმენია რომაელი ხალხის გმირობათა შესახებ შინ თუ ლაშქრობისას, მღვასა თუ ხმელეთზე და დიდი სურვილი გამიჩნდა, გამერკვია, ყველაზე მეტად რა უწყობდა ხელს ასეთ ღიად საქმეებს. 3/ ვიცი, რომ ხშირად მცირე ლაშქრით რომაელები მგრის მრავალრიცხოვან ლეგიონებს<sup>18</sup> შერკინებია. გამიგია, რომ რომაელთა ერთი მუკა მეომრები ძლევაში მღვებდნენ. ამასთან, ხშირად აუტანიათ ბედის სიმუხთლე; თუმცა მკვერმეგყველების ხელოვნებით რომაელებზე მაღლა ბერძნები იდგნენ<sup>19</sup>, ხოლო ომის დიდებით – ვალეებზე<sup>20</sup>. 4/ ბევრი ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ ყოველივე ეს რამდენიმე ადაშიანის საარაკო სიქველით აღსრულდა. სწორედ მათი წყალობითაა, რომ სილაგაკემ სიმდიდრეს აჯობა, სიმცირემ – მრავალრიცხოვნებას. 5/ მას შემდეგ კი რაც სამოქალაქო სამოგადობა ფუფუნებამ და უსაქმურობამ გახრწნა, რესპუბლიკა თავისი სიღიადის წყალობით ჯერ კიდევ იგანდა მთავარსარდლებისა და მაგისტრატების მანკიერებებს. რომმა, თითქოს ხშირი მშობიარობით გამოფიგულმა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ დაბადა ქველი ადაშიანი. 6/ თუმცა ჩემს დროშიც იყო გამორჩეული სიქველით შემკული ორი საპირისპირო ხასიათის მქონე პიროვნება – მარკუს კატონი და გაიუს კეისარი. რადგან სიგყვამ მოიგანა, გადაეწყვიტე, მათთვის დუმილით არ ამეველო გვერდი და რამდენადაც შემწყვეს ამისი უნარი, აღმეწერა თითოეული მათგანის ბუნება და მწე.

54. 1/ ამრიგად, წარმოშობით, ასაკით, მკვერმეგყველების ნიჭით თითქმის თანასწორნი იყვნენ<sup>21</sup>, სულის სიღიადით, ისევე როგორც სახელით – ერთმანეთის მსგავსნი, მაგრამ თითოეული თავისებურად. 2/ კეისარს მისი სიკეთისა და სიუხვის გამო მიიჩნევდნენ ღიადად, კატონს კი – ცხოვრების უმწიკელო წესის. პირველი ლმობიერებითა და გულმონწყალებით იყო სახელგანთქმული, მეორეს სიმკაცრე მაგებდა ღირსებას. 3/ კეისარმა გაცემით, დახმარებით, მეწყალებით მიადწია ღიდეებას, კატონმა – თავისი შეუეალობით. პირველი უბედურთა ნათესაყუდელი იყო, მეორე – ბოროტთა რისხვა. პირველს შემწყნარებლობას უქებდნენ, მეორეს – სიმტკიცეს. 4/ და ბოლოს, კეისარს წესად ჰქონდა ეშრომა, ეფხიზლა, მეგობართა საქმეებზე მრუნვაში საკუთარი დაევიწყებინა, არაფერზე ეთქვა უარი, რისი გაჩუქებაც შეიძლებოდა. თავად უმაღლესი სარდლობა, ჯარი, ახალი ომი სწადა, სადაც მისი სიქველე გაიბრწყინებდა. 5/ კატონი კი მომიერებას, მწეობრივ სიმალლეს ესწრაფოდა, მაგრამ ყველაზე მეტად სიმკაცრით გამოირჩეოდა. 6/ არ ეგოქებოდა მდიდარს სიმდიდრით, ძალაუფლებისმოყვარეს – ძალაუფლებით; ის მამაცს ეჯიბრებოდა გამბედაობაში, თავმდაბალს – სინდისიერებაში, უანგაროს – თავშეკავებაში. თავის გამოჩენას ერჩია სინამდვილეში ყოფილიყო კარგი. ამგვარად, რაც უფრო ნაკლებად ესწრაფოდა ღიდეებას, ღიდება მით უფრო სდეება მას.

## მენიშვნები

<sup>1</sup> მფე პერსეთან. – მესამე ომი მაკედონიასთან (171-168) რომაელთა გამარჯვებითა და მფე პერსეთის დაგყვეებით დასრულდა.

<sup>2</sup> ისინი არ დასაჯეს. – როდოსელები დაეხმარნენ რომაელებს მფე ანტიოქუს III-თან (192-190) წარმოებულ ომში და ამ სამსახურისთვის რომაელებისაგან მიიღეს ღიკია და კარიის ნაწილი. მესამე მაკედონიური ომის დროს კი მათ უარი ეთხრეს რომაელებს დახმარებაზე და ნაჩუქარი ოლქები დაკარგეს.

<sup>3</sup> პორციუსის კანონი კრძალავს ამას? – ცნობილია პორციუსის სამი კანონი (198, 195, 194 წლები) de tergo civium ან provocacione. ერთ-ერთი მათგანი მიეწერება პორციუს ღეკას (პუბლიუს პორციუს ღეკა, პრეგორი 195 წელს ან მარკუს პორციუს ღეკა, პღებსის გრიბუნი 198 წელს).

<sup>4</sup> სული კი არ ამოართვან. – შესაძლოა აქ იგულისხმება კონსულ მარკუს ვალერიუს კორეას (300 წ.) კანონი პროკოკაიუსის შესახებ (პროკოკაიუსა – აპელაიკა ცენტურიონელთა კომიციებში). სემპრონიუსის კანონის გამოცემის შემდეგ (123 წ.) სამოქალაქო საქმეთა იურისდიქცია გადაეცა მუღმიე სასამართლოებს. სასჯელის უმაღლეს ზომას დაშნაშავეთა ქვეყნიდან გაძეება წარმოადგენდა. კე-



სარი თავის სიგყვამი ხაზს უსვამს, რომ ეს „მსაჯურდებულ მოქალაქეებს“ ეხება. კატილინას მომხრეები კი მსაჯურდებულები არ ყოფილან.

<sup>5</sup> სახელმწიფოს სამართავად ოცდაათი კაცი დაუდგინეს. — ოცდაათი ოლიგარქის გირანია პელოპონესის ომის შემდეგ.

<sup>6</sup> ყელი გამოეჭრა და მასიპუსისათვის... — ლუკიუს იუნუს დამასიპუსი, ქალაქის პრეტორი 82 წელს, მარუსის თანამშრომელი, სიკვდილით დასაჯა სულას რამდენიმე მომხრე და თვითონაც სულას მიერ იქნა სიკვდილით დასჯილი.

<sup>7</sup> სამნიტებისაგან. — სამნიტებისაგან რომაელებმა ისესხეს დიდი ოთხკუთხა ფარი და ხელშეხი რკინის დაბოლოებით.

<sup>8</sup> ეტრუსკებისაგან. — ეტრუსკებისაგან გადმოიღეს კურულური სავარძელი, გოგა წითელი ქობით და ლიქტორების ინსტიტუტი.

<sup>9</sup> მთრახვის ცემით სჯიდნენ მოქალაქეებს... — სასჯელის უმაღლეს მომას იყენებდნენ. — გარომგვა და სიკვდილით დასაჯა რომაული წარმომადგომლობისა, მაგრამ რადგან XII დაფის კანონები ბერძნულ გაუღუნას განიღვის, კეისრის აზრით, ეს სასჯელი ბერძნული წარმომადგომლობისაა.

<sup>10</sup> კეთილდღეობის მტრად გამოაცხადოს. — არსებობს სხვა ვერსია (აპიანე, II, 6 და პლუტარქე, ციკლონი, 21,6): კატილინას თანამშრომლებს მასთან ომის დასრულების შემდეგ გაასამართლებენ ცენტურიონელთა კომიციები.

<sup>11</sup> სხვისი ქონების უხედავად გაცემა ხელგამლიობად იწოდება. — იგულისხმება ხალხისათვის იმ ფულის დარიცხვა, რომელიც ამოღებული იყო პროინციებიდან, ან სამხედრო ნადავლს წარმოადგენდა.

<sup>12</sup> რომში მათ ძალით გაათავისუფლებენ. — მენიციპიებში პატივები უფრო უკეთესად იყენებდნენ, ვიდრე რომში, სადაც მათ ბევრი მომხრე და კლიენტი ჰყავდათ.

<sup>13</sup> ემიშობდე ჩემს გამოც და თქვენს გამოც. — მინიშნებაა კატილინას შეთქმულებაში კეისრის შესაძლო მონაწილეობაზე.

<sup>14</sup> რაც კი რომაულად იწოდება. — შესაძლოა, აქ იგულისხმება ბრენას თავდასხმა (390 წ.). ცოცხალი იყო მოგონებები აგრეთვე კომპრებისა და ტეტონების შემოსევაზე (II ს. ბოლო), რომლებიც რომაელთა წარმოდგენით გალთა მოდგმას განეკუთვნებოდნენ.

<sup>15</sup> იგი მტრის ეკეთა. — 340 წელს ლათინელებთან ომის დროს გიგუს მანლიუს გორკეატუსმა სიკვდილით დასაჯა მელი, რომელმაც ნებართვის გარეშე ორთაბრძოლაში გამოიწვია მტრის წინააღმდეგ. ხოლო მედროდმა გორკეატუსი მან მიიღო გალბთან ომის დროს, მას შემდეგ, რაც დამარცხებულ მოწინააღმდეგე მხედართმთავარს მოქსოვილი ფარული (torques) მოხსნა.

<sup>16</sup> მან ხომ უკვე შეორედ აიღო იარაღი. — შესაძლოა კეთევუსი მონაწილეობდა იმ ე.წ. პირველ შეთქმულებაში.

<sup>17</sup> კატონი აღიარეს როგორც ბრწყინვალე და დიადი. — სენაგის სხდომის დასრულების შემდეგ ბევრმა სენატორმა პატივისცემის ნიშნად კატონი სახლამდე მიაცილა.

<sup>18</sup> მტრის მრავალრიცხოვან ლეგიონებს. — სალუსტიუსი მტრის ძალებთან დაკავშირებით იყენებს რომაულ ტერმინს.

<sup>19</sup> მჭევრმეტყველების ხელოვნებით რომაელებზე მაღლა ბერძნები იდგნენ. — ამ აზრის არის ევრიკლუსი (ენეიდა, VI, 847).

<sup>20</sup> ომის დიდებით—გალები. — თუმცა კეისარმა არაერთხელ დაამარცხა გალები.

<sup>21</sup> თითქმის თანასწორნი იყვნენ. — კატონი დაიბადა 95 წელს, კეისარი 102 წელს. მაგრამ პორციუსები შთამომავლობით პლებები იყვნენ, ხოლო იულიუსები — პატრიციები და თავიანთ წინაპრად ენეასის ვაჟს იულა-ასკანიუსს თვლიდნენ.

*თარგმნა გიორგი ქაჯაიამ*

## ომი იუგურთასთან

[ლუკიუს სულას მისვლა მარიუსის ლაშქარში]

95. /1/ როცა ეს ამბები ხდებოდა, ბანაკში მოვიდა კვესტორი ლუკიუს სულა<sup>1</sup> ცხენოსანთა დიდი ძალებით, რომლებიც ლაგინში მოკავშირეთაგან მოეგროვებინა. სწორედ ამიტომ იყო ის დატოვებული რომში. /2/ რაკი სიგყვა ჩამოვარდა ასეთ დიდ ვაჟკაცზე, საჭიროდ მიამჩნია, ცოტა რამ ვთქვა სულას ბუნებასა და ცხოვრების წესზე, რადგან მის საქმეებს სხვა ადგილას აღარ შეეხებით. ხოლო ლუკიუს სისენა, რომელმაც ეს საქმეები ყველაზე უკეთ და გულდასმით აღწერა, თავის მსჯელობაში სულას შესახებ მთლად მიუკერძოებელი არ უნდა იყოს<sup>2</sup>.

/3/ ამრიგად, სულა იყო წარჩინებული პატრიციების შთამომავალი<sup>3</sup> იმ განმტოვებიდან, რომელიც თითქმის ჩაიფერულა მისი წინაპრების უმოქმედობის გამო. ის ერთნაირად კარგად იყო გაწაფული ბერძნულ და ლათინურ მწიგნობრობაში, უაღრესად დიდი გონებრივი

მესაძლებლობები ჰქონდა და ტკობისმოყვარეს იღებდა კიდევ უფრო მეტად იზიდავდა. მოცალობისას განცხრომას მიეცემოდა ხოლმე, მაგრამ ხორციელ სიამოვნებებს სოეალობის აღსრულებაში მისთვის ხელი არასოდეს შეუშლია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შექძლო ცოლს უფრო ღირსეულად მოჰყრობოდა. მკვერმეტყველი და ჰკეიანი ადელილად ახერხებდა მეგობრების შექნას. წარმოდგენილი ოსტატობით ნილბაედა თავის ჩანაფიქრს და დაუნანებლად შექძლო ბევრის გაცემა, განსაკუთრებით კი ფულის. /4/ სამოქალაქო ომში გამარჯვებამდე ყველაზე უფრო ილბლიან კაცად ითვლებოდა, თუმცა, მისი ილბალი მის გულმოდგინებას არასოდეს აჭარბებდა და ბევრს უჭირდა თქმა, მამაცი უფრო იყო თუ ილბლიანი<sup>4</sup>. ხოლო, რაყ მან შემდგომში გააკეთა, არ ვიცი, ამამე ლაპარაკი უფრო შემრსხეება, თუ დამამწხრებს<sup>5</sup>.

96. /1/ ამრიგად, სულა, როგორც მეგობთ ითქეა, მას შემდეგ, რაყ ცხენოსანთა რამმთან ერთად აფრიკაში მარიუსის ბანაკში მივიდა, მანამდე უწერთნელი და ომის უცოლინარი, მოკლე ხანში საუკეთესოდ გაიწაფა. /2/ ამასთან, ჯარისკაცებს ყოველთვის გულითადად მიმართავდა, ბერ მათგანს მათი თხოვნით და ზოგიერთს თხოვნის გარეშე უწედა საშახურს, თვითონ კი არეთუ ისე დიდი სურვილით იღებდა სხვის დახმარებას და იმამე უფრო მეტად ცდილობდა მალე გადაეხნა სამაგიერო, ვიდრე ზოგიერთი ვალს ისტუმრებს. ის თავად არაეისგან არაფერს თხოულობდა, პირიქით, უფრო იმას ესწრაფოდა, რაყ შეიძლება მეტი ჰყოლოდა ვალში. ხუმრობით თუ სერიოზულად ესაუბრებოდა მდაბიოებს. /3/ შრომამი, მსელულობისას, გეშავობის დროს ხშირად იყო მათთან, მაგრამ არასოდეს ცდილობდა შეეღახა კონსულისა თუ სხვა გამოჩენილი ადამიანების სახელი, როგორც ამას ხშირად აკეთებენ ავადმყოფური პატიმყოყვარეობის გამო. ოლონდ იმას კი ცდილობდა, თათბირის დროს თუ საქმეში ვინმე თავისზე წინ არ გაეშევა და, მართლაც, უმრავლესობას ჯაბნიდა. /4/ ასეთი ხასიათის გამო მარიუსმა და ჯარისკაცებმა ის მალე შეიყვარეს.

97. /1/ ხოლო იუგურთამ, მას შემდეგ რაყ დაკარგა კაფსა და სხვა მისთვის საჭირო გამაგრებული ადგილები, ისევე, როგორც დიდი რაოდენობის ფული, ბოკქუსს მაცნეების სამუალებით შეუთვალა, რაყ შეიძლება მალე წამოეყვანა თავისი ჯარები ნუმიდიაში, რადგან ბრძოლა კარს იყო მომდგარი. /2/ მაგრამ ამ დროს შეიგყო, რომ ბოკქუსი აყოვნებდა და ვერ გადაწყვიტავდა, მშვიდობა აერჩია თუ ომი, ამიგომ მან კიდევ ერთხელ მოქრთამა შეფის ახლობლები და თავად მავრს ნუმიდიის მესამელს შეჰპირდა, თუ რომაელებს აფრიკიდან განდევნიდნენ, ანდა თუ ომი მისი გერიგორიების სრული შენარჩუნებით დასრულდებოდა. /3/ ამ ჯილდომ აცდუნა ბოკქუსი და დიდძალ ჯართან ერთად იუგურთას შეუერთდა.

ორივე, გაერთიანებული ჯართი, დღის მეთათელი ნაწილი<sup>6</sup> ძლიეს რომ იყო დარჩენილი, უკვე მიმართის სადგომებში<sup>7</sup> მიმავალ მარიუსს დაესხა თავს. ისინი ფიქრობდნენ, რომ მოახლოებული დამე დამარცხების შემთხვევაში დაიცავდა, ხოლო თუ გაიმარჯვებდნენ, არ დააბრკოლებდა, რადგან ადგილმდებარეობა მათთვის ნაცნობი იყო, რომაელებს კი, პირიქით, სიბნელე ორივე შემთხვევაში უფრო გაურთულებდა საქმეს. /4/ ის-ის იყო მარიუსმა მრავალი მშვერავისაგან მტრის მოახლოება შეიგყო, რომ თავად მტერიც გამოჩნდა. სანამ ჯარი მწყობრში ჩადგომასა და ბარგის მოგროვებას, ან თუნდაც რაიმე ნიშნის თუ ბრძანების მიღებას მოასწრებდა, გეტული ცხენოსნები და მავრები, არა მწყობრად, არც რაიმე საბრძოლო წესისამებრ, არამედ ჯგუფებად, როგორც შემთხვევამ შეჰყარა, ჩევენებს თავს დაესხნენ.

/5/ რომაელები შედრენენ უეცარი საფრთხისაგან, მაგრამ მინც გაიხსენეს თავიანთი სიმამაცე. ისინი ან იარაღს იღებდნენ, ან სხეებს იყავდნენ იარაღის აღებისას. ნაწილი ცხენებზე ჯდებოდა და მტერს უტედა. შეტაკება უფრო ყაჩაღების თავდასხმას ჰგავდა, ვიდრე ბრძოლას. აღმებისა და მწყობრის გარეშე ცხენოსნები და ქვეითები ერთმანეთში არეულნი ან უკან იხევდნენ, ან ილუკებოდნენ. ბევრს, თავგანწირვით მებრძოლს, ზურგიდან ესხმოდნენ თავს. ვერც სიმამაცე, ვერც იარაღი საკმარისად ვერ იფარავდა მათ, რადგან უფრო მრავალრიცხოვანი მტრის მიერ ყოველი მხრიდან ალყაში იყვნენ მოქეუენი. ბოლოს რომაელებმა, როგორც ახალბედა ჯარისკაცებმა, ისევე გამოცდილმა

ვეტერანებმა, სადაც ადგილი და მდგომარეობა საშუალებას აძლევდათ, წრე შეერეს და ყოველი მხრიდან დაეულები, მწყობრში მდგარი მგრის ძალას ამგვარად იგერიებდნენ.

98. /1/ არც ასეთ მძიმე ვითარებაში შემდრკალა მარიუსი, არც აღრინდელზე მეტად დაიყრუა სულით, პირიქით, თავისი გურმით<sup>8</sup>, რომელიც უმამაცი ეაქცეებისაგან უფრო შედგებოდა, ვიდრე მისი უახლოესი მეგობრებისაგან, განუწყვეტლივ მოძრაობდა. ხან გაჭირვებაში ჩავარდნილ თავისიანებს ეხმარებოდა, ხან მგერს უტევდა იქ, სადაც ყველაზე მეტად იყო მოძალებული. ჯარისკაცებს ხელით ანიშნებდა, რადგან საყოველთაო ღრიახელში ბრძანების გასმე არ შეეძლო. /2/ დღე უკვე მიიღია, თუმცა ბარბაროსები სულაც არ ანელებდნენ ბრძოლას, როგორც მეფეებმა წინასწარ დაარიგეს. ღამეს მათთვის ხელისმემწყობად თელიდნენ და უფრო მედგრად უტევდნენ. /3/ მამინ მარიუსმა, მდგომარეობიდან გამოშდინარემ მიიღო გადაწყვეტილება და, რათა მისიანებს უკან დასახევი ადგილი ჰქონოდათ, ორი ერთმანეთთან ახლომდებარე ბორცვი დაიკაუა. მათგან ერთ-ერთი, წყაროს წყლით მდიდარი, თავისი სიმცირის გამო დასახანაკებლად არ გამოდგებოდა, მეორე კი ბანაკის მოსაწყობად უფრო მოხერხებული იყო, რადგან მისი დიდი ნაწილი, ამაღლებული და დამრეცი, უმნიშვნელოდ საჭიროებდა გამაგრებას. /4/ ის სულას უბრძანებს, ცხენოსნებთან ერთად ღამე წყაროსთან გაატაროს, თვითონ კი თანდათან თავს უკრის გაუანგულ ჯარისკაცებს (ამ დროს მგრებიც არანაკლებ აირიენენ), შემდეგ ყველა აჩქარებული ნაბიჯით ბორცვზე აჰყავს. /5/ ამგვარად, მეფეები ადგილის მიუდგომლობის გამო ბრძოლას წყვეტენ, თუმცა თავისიანებს შორს წასვლის ნებას არ აძლევენ. ისინი ორივე ბორცვს თავიანთი მრავალრიცხოვანი ღამქართით გარს ერტყმიან და ყოველგვარი წესრიგის გარეშე ბანაკდებიან.

/6/ შემდეგ კოცონები დაანთეს და ღამის უდიდესი ნაწილი ბარბაროსთა ჩვეულუბისამებრ ღაღობდნენ, მხიარულობდნენ, ხმაურობდნენ. ასევე იტყუოდნენ თავად წინამძღოლებიც, გაყოყობებულებს იმით, რომ ბრძოლის დროს არ გაიქცევენ, თავი გამარჯვებულად მიაჩნდათ. /7/ ყოველივე ამას რომაელები კარგად ხედავდნენ ბნელი და ამაღლებული ადგილებიდან, რაც დიდად ამხნეებდათ.

99. /1/ მგრების უტუნურებით შეგულიანებული მარიუსი კი ბრძანებს, რაც შეიძლება მეტად დაიყვან სიჩუმე, არც საყვირებს ჩაჰებრონ ჩვეულებისამებრ ღამის გუშაგების<sup>9</sup> გამოცულის დროს. გარიერაზე, როდესაც დაქანულ მგრებს ის-ის იყო ჩაეძინათ, უეცრად უბრძანა როგორც ღამის გუშაგებს, ისე კოპორგების, გურმებისა და ლეგიონების<sup>10</sup> მებუკეებს, რომ ერთად მიეცათ ნიშანი, ჯარისკაცებს კი აეტეხათ ყვირილი და კარიბჭიდან გაჭრილიყვნენ. /2/ მაერებს და გეტულებს, რომლებიც უეცრად გააღვიბა უნაურმა და სამინელმა ხმამ, არ შეეძლოთ არც გაქცევა, არც საერთოდ რაიმეს გაკეთება თუ გაამრება. /3/ ამრიგად, ხმაურის, ყვირილის, უმწყობის, ჩენიანების შეტევის, არეულობის, უღლისა თუ სამინელების გამო ყველა თითქოს სიციქემ მოიყუა. მოკლედ, ყველანი გაიფანტნენ და გაიქცნენ. ჩენებმა მრავლად ჩაიგდეს ხელში იარაღი და საბრძოლო აღმები. ამ ბრძოლაში უფრო მეტი დაიხოცა, ვიდრე მანამდე მომხდარ ყველა სხვა შეტაკებაში, რადგან ძილი და უჩვეულო მიმი ხელს უშლის გაქცევას.

100. /1/ ამის შემდეგ მარიუსი გმას აგრძელებს ზამთრის სადგომებისკენ, როგორც ეს თავიდან განიზრახა, ვინაიდან სანოეავით ჯარის უკეთესი მომარაგებისთვის ზამთრის გატარება ზღვისპირა ქალაქებში ჰქონდა გადაწყვეტილი. გამარჯვების გამო ის, არც უმრუნველი, არც მედმეტად თავდაჯერებული არ გამხდარა, პირიქით, თითქოს მგერი უთვალთვალეებსო, ჯარი კარეს წყობით მიემართებოდა<sup>11</sup>. /2/ სულა თავისი ცხენოსნებით მარჯვენა მხარეს იყავდა, მარცხენას კი - აელუს მანლიუსი მეურდულეებთან, მოისრებებთან და ასევე ლიგურიელთა კოპორგებთან ერთად. პირველ და ბოლო რიგებში მიმავალ მსუბუქად შეიარაღებულ მანიპულებს გრიბუნები ხელმძღვანელობდნენ. /3/ მოწინააღმდეგის ბანაკთან გამოქცეულები, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად აფასებდნენ და რომლებიც ყველაზე უკეთ იცნობდნენ მდებარეობას, მგრის გადაადგილებას თვალს ადევნებდნენ. ამ დროს კონსული, თითქოს არ ჰყავდა დამხმარე, ყველაფერს ითვალისწინებდა, ყველას გვერდით ედგა, აქებდა თუ კიცხავდა დამსახურებისამებრ. /4/ თავად შეიარაღებული და ფხიზლად მყოფი, ამასვე აიძულებდა ჯარისკაცებსაც. ბანაკის გამაგრების დროსაც ისეთივე

სიღრთხილეს იჩენდა, როგორც მსველელობისას, ლეგიონების კოპორატებს საგუშაგოდ კარიბჭესთან აყენებდა, დამხმარე ცხენოსნებს კი ბანაკის წინ, ამას გარდა სხვებს მიწაყრილებზე არსებულ გამაგრებებში ათავსებდა. ის თავად ჩამოუვლიდა ხოლმე საგუშაგოებს არა იმიტომ, რომ თავისი ბრძანებების შესრულებაში ეჭვი ეპარებოდა, არამედ იმიტომ, რომ ჯარისკაცები უფრო ხალისით გადაიგანდნენ იმ სიძნელეებს, რომელთაც მათთან ერთად მათი მთავარსარდლი იზიარებდა. /5/ და, მართლაც, მარიუსი მაშინაც, ისევე როგორც იუგურტასთან მთელი ომის განმავლობაში, ჯარისკაცებში წესრიგს უფრო სინდისის გრძობის გავლიებით ამყარებდა, ვიდრე სასჯელის შიშით. ბევრი ამბობდა, რომ ის ამით ხალხის სიყვარულის მოპოვებას ცდილობდა, ზოგი კი თვლიდა, რომ ბავშვობიდან სიძნელეს ნაჩვევი, სიამოვნებით იგანდა იმას, რაც სხვებისათვის სამძიმო იყო. ასეა თუ ისე, რესპუბლიკას იბდენად კარგად და ღირსეულად ემსახურა, რამდენადაც ეს უსასტიკესი ძალაუფლების პირობებში იქნებოდა შესაძლებელი.

101. /1/ ბოლოს, მეოთხე დღეს, როდესაც არც ისე შორს იყვნენ ქალაქ კირგასაგან, ერთდროულად ყოველი მხრიდან გამოჩნდნენ მვერავები, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მგერი ახლოს იყო. /2/ სხვადასხვა ადგილებიდან მოსულნი ერთსა და იმავეს ამბობდნენ. კონსულს ვერ გადაეწყვიტა, რომელი საბრძოლო განლაგება აერჩია, ამიტომ წყობას არ ცელის<sup>2</sup> და თავდასხმისათვის მზადყოფი იქვე იყდის. /3/ ამგეარად, იუგურტას იმედი გაუქრულდა. მას ლაშქარი ოთხ მხარეს გაენაწილებინა და ფიქრობდა, რომ თუ მგერს ყოველი მხრიდან დაესხმოდა თავს, მისი რომელიმე ნაწილი მაინც მოექცეოდა რომაელების ზურგში. /4/ ამასობაში სულა, რომელსაც პირველს მისწვდა მგერი, თავისიანებს ამხნეუებს და რაც შეიძლება, მკიდროდ დაწყობილი გურმებით სხვეთან ერთად თავს ესხმის მავრებს. დანარჩენები, რომლებიც ადგილზე რჩებიან, შორიდან ნაგყორცი შუბებისაგან სხეულებს იცავენ, ხოლო ვინც მათთან ხელჩართულ ბრძოლაში უმბება, კლავენ. /5/ სანამ ცხენოსნები ამგეარად იბრძვიან, ბოქუსი ქვეითებთან ერთად, რომლებიც მის ვაიშვილს, ვოლუქსს, მოეყვანა და რომლებიც გზაში შეყოვნების გამო წინა ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ, რომაელთა ბოლო რიგს ესხმის თავს. /6/ ამ დროს მარიუსი პირველ რიგებში გრიალებდა, რადგან იუგურტა თავისი ძირითადი ძალებით იქ იმყოფებოდა. როდესაც ნუმიდიელმა შეიგყო ბოქუსის მოსვლა მზღებლებთან ერთად, მცირერიცხოვანი რაზმით შეუმჩინებლად გაემართა ჩვენი ფეხოსნებისაკენ. იქ ლათინურად (რადგან ენა ნუმანგიაში ჰქონდა ნასწავლი) დაიყვირა, რომ რომაელები გყვილად იბრძვიან, რადგან ცოცხა ხნის წინ მარიუსი საკუთარი ხელით მოკლა. თან აჩვენებდა სისხლით მოსერილ ხმალს, რომელზედაც ბრძოლაში გმირულად დაღუპული ერთერთი ჩვენი ქვეითის სისხლი ეცხო. /7/ ეს რომ ჯარისკაცებმა გაიგეს, თავმზარი დაეუსათ, თუმცა არა იმიტომ, რომ ცნობა დაიჯერეს, არამედ ისინი თავად ამ ამბის წარმოდგენამ მზარა. ბარბაროსებს უმალ გული მიეცათ და შემდრკად რომაელებს უფრო მედგად შეუგვის. /8/ ჩვენები ის-ის იყო გაქცევას აპირებდნენ, როდესაც სულა, რომელსაც უკვე გაეფანგა თავისი მოწინააღმდეგენი, მობრუნდა და მავრებს გვერდიდან შეუგია. /9/ ბოქუსმა მამნივე უკან დაახევინა ჯარს, ხოლო იუგურტას, სანამ ცდილობს თავისიანები შეაჩეროს და თითქმის უკვე მოპოვებული გამარჯვება შეინარჩუნოს, ცხენოსნები ალყაში აქცევენ. მის მარჯვნივ თუ მარცხნივ ყველას ხოცავენ. მარგოდ დარჩენილი თავიდან ირიდებს მგრის შუბებს და მათ შორის გვას იკაფავს. /10/ ამასობაში, ცხენოსანთა გაუანგვის შემდეგ მარიუსი თავისიანების დასახმარებლად მოდის, რომელთა მარცხის შესახებაც უკვე გაეგო. /11/ ბოლოს მგერი ყველგან აოგეს. გრიალ მინდვრებზე შემზარავი სანახაობა გადაიშალა: დევნა, ლგოლევა, კელა, დაგყვეება, დაცემული ცხენები და აღამიანები. ბევრ დაჭრილს არც გაქცევა შეეძლო და ვერც სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მაგრამ როგორც კი შეეცდებოდა წამოდგომას, უმალ უკედოდა. მოკლედ, საღამდუე კი მგერა წვდებოდა, სისხლით გაეღნთილი მიწა ისრებით, იარაღითა და ვეამებით იყო მოფენილი.

102. /1/ ამის შემდეგ კონსული, უკვე ამკარად გამარჯვებული, ქალაქ კირგაში ჩავიდა, სადაც თავიდანვე მიემართებოდა. /2/ ბარბაროსებზე მეორე გამარჯვებიდან ხუთი დღის შემდეგ აქ მოდიან ბოქუსის ელჩები, რათა მარიუსს მეფის სახელით სთხოვონ მათთან ორი ყველაზე სანდო პირის წარგზავნა ბოქუსისა და რომაელი ხალხის ინტერესებზე მო-

სალაპარაკებლად. მარიუსი მამინევე უბრძანებს წასვლას ლუკიუს სულას და აელუს მანლიუსს. /3/ თუმცა ისინი თავად მეფის მიერ იყენენ მიხმობილნი, მაინც გადაწყვიტეს მისთვის სიგყეთ მიემართათ, რათა თუ საპირისპიროდ იყო განწყობილი, აზრი შეეცვლეინებინათ, ხოლო თუ მშვიდობა სწადა, უფრო ძლიერ ანთოთ მისი გული. /4/ და აი, სულა, რომელსაც მანლიუსმა არა ასაკის, არამედ მჭვერემტყველების უნარის გამო უფლება მისცა ელაპარაკა, მოკლე სიგყვას წარმოთქვამს:

/5/ „მეფე ბოკუსს, ჩვენთვის დიდად სასიხარულოა, რომ შენ, ასეთი დიდებული ადამიანი, ღმერთების შთაგონებით ბოლოსდაბოლოს ომს მშვიდობას ამჯობინებ და რომ შენ, საუკეთესო, ყველაზე უარესთან, იუგურტასთან, კავშირით თავს აღარ ირყხენ. ამავდროულად ჩვენ გვათავისუფლებ სასტიკი ვალდებულებისაგან, ისევე მოგაკურათ შენ, შეცდომაში შეყვანილს, როგორც მას – ყველაზე დიდ დამნაშავეს. /6/ იმასაც დაეძენ, რომ რომაელი ხალხი ჯერ კიდევ თავისი მმართველობის დასაწყისიდან ცდილობდა, ეძებნა მეგობარი და არა მონა. ფიქრობდნენ, რომ უფრო უსაფრთხოა, მართო კეთილი ნებით, ვიდრე იძულებით. /7/ შენთვის, მართლაც, არავისთან მეგობრობა არ არის ისე ხელსაყრელი, როგორც ჩვენთან: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ შენგან შორს ვართ, რაც თითქმის გამორიცხავს ჩვენს მგრობას შენდამი, ხოლო წყალობა კი ისეთივე იქნება, შენთან ახლოსაც რომ ცყოფილიყავით; მეორეც იმიტომ, რომ ჩვენ საკმარისზე მეტი ქვეშევრდომი გყავს, ხოლო მეგობრები, არც ჩვენთვის და არც არავისთვის არასოდეს ყოფილა საკმარისი. /8/ ნეტავ შენ თავიდანვე ასე ყოფილიყავი განწყობილი! აქამდე რომაელი ხალხისაგან გაცილებით მეტ სიკეთეს მიიღებდი, ვიდრე იმ უსიამოვნებებს, რაც დაითმინე. /9/ მაგრამ ადამიანთა საქმეებს უპირატესად იღბალი განაგებს, რომელსაც, როგორც ჩანს, სურდა, რომ აქამდე ჩვენი ძალა და ახლა წყალობაც საკუთარ თავზე გამოგეყადა, ამიგომ იჩქარე და როგორც დაიწყე, ისე განაგრძე. /10/ ახლა შენ შესაძლებლობა გაქვს შენი სამსახურით ადვილად გამოისყიდო შეცდომები. /11/ დაბოლოს, კარგად დაიმხსოვრე, რომაელი ხალხისთვის არასოდეს უჯობნიათ სიკეთის კეთებაში, ხოლო ომში მათი ძლიერება საკუთარ ზურგზე იწვნიე“.

## შენიშვნები

<sup>1</sup> კეესგორი ლუკიუს სულა. – მომავალი დიქტატორი ლუკიუს კორნელიუს სულა. კეესგორი 108 წელს. 107 წელს მარიუსმა იგი თავის პროკეესგორად დანიშნა.

<sup>2</sup> მთლად მიუკერძოებელი არ უნდა იყოს. – ლუკიუს კორნელიუს სისენამ აღწერა სულასა და მარიუსის ბრძოლის ისტორია. სალუსტუსს მიაჩნია, რომ ავტორი თავის თხზულებაში მეტისმეტად კეთილად არის განწყობილი სულას მიმართ.

<sup>3</sup> სულა იყო წარჩინებული პატრიციების შთამომავალი. – არსებობდა კორნელიუსების გვარის პლებური განშტოება. სიგყვა nobilis (წარჩინებული) ნიშნავდა, რომ გვარის რომელიმე შტოს წარმომადგენელი კურულერი მაგისტრი იყო. კორნელიუსმა, რომელმაც პირველმა მიიღო ზედწოდება „სულა“, მხოლოდ პრეტურას მიაღწია.

<sup>4</sup> იღბლიანი. – იგულისხმება სულას ზედწოდება ფელიქსი (რაც იღბლიანს ნიშნავს), რომელიც სულამ თავის სახელს მიამატა სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ.

<sup>5</sup> უფრო შემრყხება, თუ უფრო დამამწხვრებს. – იგულისხმება სულას დიქტატურა და. კერძოდ, 82 წლის პროსკრიპციები, რომელმაც უამრავი ხალხი შეიწირა.

<sup>6</sup> დღის მეთაული ნაწილი. – ანუ დაბნელებაზე საათზე ცოტა მეტი.

<sup>7</sup> მამთრის სადგომებში. – ანუ პროუინციაში (იგულისხმება 105-106 წლის მამთარი).

<sup>8</sup> თავისი ტურმით. – იგულისხმება პირადი დაცვის რაზმი.

<sup>9</sup> დამის გუშაგების. – დამე მორიგეობდა ოთხი გუშაგი, თითოეული სამ-სამ საათს. ისინი საყვირის ხმაზე იყვლებოდნენ.

<sup>10</sup> კომორტების, ტურმებისა და ლეგიონების. – პირველი ორი მოკავშირეთა დამხმარე არმიას შეეხება, მესამე – რომაულ ჯარს.

<sup>11</sup> ჯარი კარეს წყობით მიემართებოდა. – ცხენოსანთა რაზმს და მსუბუქად შეიარაღებულ ქვეითებს ოთხივე მხარეს იყავდნენ მძიმედ შეიარაღებულ ჯარისკაცთა კოლონები.

<sup>12</sup> წყობას არ ცვლის. – მარიუსს შეეძლო ყოველი მხრიდან მოეგვრიებინა მტერი.

თარგმნა გიორგი ქაჯაიაძე

# ნაწყვეტები „ისტორიებიდან“

## მითრიდატეს წერილი მეფე არშაკს

მეფე მითრიდატე მოვესალმები მეფე არშაკს<sup>1</sup>. /1/ ყველას, ვისაც ბედი უღიმის, საომარ მოკავშირეობას რომ სთხოვენ, ჯერ დაფიქრება მართებს, უფრო მიზანშეწონილი ხომ არ იქნება ამ დროს მშვიდობის შენარჩუნება? ამის შემდეგ კი უნდა განსაჯოს, არის თუ არა ეს მოთხოვნა საკმარისად სამართლიანი, უსაფრთხო, ღიადობისმოგზავნი, ან იქნებ სულაც უმართებულო. /2/ თუ მენ შეგიძლია დატკბე მარადიული მშვიდობით, თუ არ დგას შენს სამღვრებთან მგერთაგან უბოროტესი, თუ რომაელთა შემუსვრა არ მოგიტანს ბრწყინვალე სახელს, ვერც მე გაგებდავ მოგთხოვო საომარი მოკავშირეობა და ამაოდ ვიქონიო იმედი, რომ ჩემს უბედურებას შენს კეთილდღეობას დაუკავშირებ.

/3/ თუ მენ სწორად შეაფასებ მოვლენებს, იმ მიზეზებმა, რომლებიც, როგორც ჩანს, გაფერხებენ, პირიქით, უნდა გაგამხნეონ. მე ვგულისხმობ გიგრანის თავზე დატეხილ რომაელთა რისხევას<sup>2</sup> და ჩემს არცთუ სახარბიელო მდგომარეობას. /4/ გიგრანი ახლა შენს განკარგულებაშია და შენი ნებისამებრ გაგიწევს მოკავშირეობას. ბედმა, რომელმაც მე ბევრი რამ წარმტაცა, კარგი რჩევების მოცემის გამოყლილება შემძინა. მართალია, უბედურესი აღარა ვარ, მაგრამ ჩემს მავალითზე (რაც გამოადგება აყვავებული სახელმწიფოს მმართველს) შეგიძლია უკეთესად წარმართო შენი საქმეები.

/5/ რომაელებს ხომ მთელს ერებთან, ხალხებთან ბრძოლისათვის ერთი და იგივე ძველი მიზეზი აქვთ – ძალაუფლებისა და სიმდიდრისაკენ უმომო სწრაფვა. აი, რისთვის აიღეს მათ თავიდანვე იარაღი ფილიპეს, მაკედონის მეფის წინააღმდეგ<sup>3</sup>. სანამ მათ კართაგენელები ავიწროებდნენ<sup>4</sup>, ფილიპეს თავი ისე მოაჩვენეს, თითქოს მისდამი მეგობრულად იყვნენ განწყობილი. /6/ ამიამი საკუთარი ინტერესების დათმობის ფასად მეფეს მუსანათურად ჩამოამორეს მის დასახმარებლად მიმავალი ანგიოქუსი. თუმცა კი მალე, ფილიპეს დაბლობის შემდეგ ანგიოქუსს გავროსის აქვთ მდებარე მთელი გერიგორია და ათი ათასი გალანგი ჩამოერთვა<sup>5</sup>. /7/ მრავალრიცხოვანი ომების შემდეგ, რომლებიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, რომაელებმა ფილიპეს შვილი პერსესი სამოთრაკელთა ღმერთების წინაშე თავიანთი მფარველობის ქვეშ აიყვანეს და უფლისწულს დაჰპირდნენ, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ. ბოლოს ამ მშაკერებმა და ვერაგული სრიკების გამოზონებლებმა, ეს უკანასკნელი უძილობით გამოასალმეს სიცოცხლეს<sup>6</sup>. /8/ ევმენესი, რომელთან მეგობრობითაც ქედმაღლურად გრაბახობდნენ, თავიდან ანგიოქუსს გადასცეს მშვიდობის საზღაურად. შემდეგ კი ეს მეფე, რომელსაც დაჰყრობილი გერიგორიების მეთაულყოფილება ჰქონდა ჩაბარებული, გამოძალავითა და დაჰყრობით საცოდავ მონად აქციეს<sup>7</sup>. მისი შვილი, არისტონიკუსი კი, რომელიც დაჰყრობით მოითხოვდა ყალბი და დანაშაულებრივი ანდერძით წართმეულ<sup>8</sup> მამისეულ სამეფოს, როგორც მგერი, გრიუმფის დროს ჩამოატარეს. ამია დაიყრეს /9/ და ბოლოს, ნიკომედეს სიკედილის შემდეგ მთელი ბითონია გაძარცვეს, თუმცა მას ნისასაგან, რომელსაც დედოფლის გიტული მინაჩიჰა<sup>9</sup>, ჰყავდა ვაჟიშვილი და მისი კანონიერება ეჭვს არ იწვევდა.

/10/ განა საჭიროა, საკუთარი თავიც დაეიმოწმო? მიუხედავად იმისა, რომ მათი სახელმწიფოსაგან ყოველი მხრიდან გამიჯნული ვიყავი სამეფოებითა და გეტრარქებით, რადგან მათთვის ცნობილი გახდა, რომ მე მდიდარი და დაუმონებელი ვარ, ნიკომედეს დახმარებით ომი წამოიწყეს ჩემს წინააღმდეგ<sup>10</sup>, და მე, რომელმაც კარგად ვიცოდი მათი დანაშაულებრივი ჩანაფიქრი, პირველად ვამცნე იმ დროისათვის ერთადერთ თავისუფალ ხალხს, კრეტელებს და მეფე პგოლემედიოსს<sup>11</sup> იმის შესახებ, რაც შემდგომში მოხდა. /11/ შურისმაძიებელმა უსამართლობისათვის ნიკომედე ბითონიიდან განვლევნე, ამია, მეფე ანგიოქუსის ნადავლი, უკან დავიბრუნე და საბერძნეთი მიმიღე მონობას გამოვევლიჯე. /12/ ის, რაც ასე კარგად დაეიწყე, მონათგან უკანასკნელმა, არქელაოსმა ჩამიშალა. მან უღალატა ჩემს ჯარს<sup>12</sup>; ხოლო ისინი, ვინც ლაჩრობის ან სიბეცის გამო ბრძოლისგან თავს იკავებდნენ, რათა თავიანთი უსაფრთხოება ჩემი თავგანწირვის ფასად მოეპოვებინათ, უმძიმეს სასჯელს იხდიან. პგოლემედიოსი მხოლოდ ფულით ახერხებს გადაავადოს ომი. კრეტელები,

რომლებზეც ერთხელ უკვე მიიგანეს იერიში<sup>13</sup>, ბრძოლის დასასრულს მხოლოდ თავიანთ დაცემასთან ერთად ნახავენ.

/13/ მე კი ვიცი, რომ რომაელებმა მხოლოდ მინაგანი უთანხმოების გამო<sup>14</sup> გადადეს ლაშქრობა და ეს არ იყო ნამდვილი მშვიდობა. მაშინ, როდესაც გიგრანმა, რომელმაც მეგისმეტად გვიან აღიარა ჩემი ნათქვამის სიმართლე, უარი მითხრა დახმარებაზე, შენ შორს იყავი და ყველა დანარჩენი სამეფო მათ ემორჩილებოდა, მე კვლავ განვაახლე ბრძოლა<sup>15</sup>. ხმელეთზე, ქალაქდონთან ახლოს, რომაელთა წინამძღოლს, მარკუს კოტას ვძლიე, ზღვაზე კი შესანიშნავი ფლოტი წარვგაყე. /14/ კისიკუსთან დიდი ჯარით ხანგრძლივ ალყაში მოქექულს, პური შემომაკლდა. გარშემო მყოფთაგან არაერთი ამომიღვა მხარში, ამავე დროს უამინდობამ ზღვა გადამიკეტა. ამის გამო და არა მტრისაგან უკუქექული, შევეცადე მშობლიურ სამეფოში დაბრუნებას, მაგრამ პარიუმთან და ქერაკლესთან მორიგი საზღვაო კატასტროფის გამო ფლოტთან ერთად ჩემი საუკეთესო ჯარისკაცებიც დაეკარგა. /15/ მას შემდეგ, რაც კაბირასთან ჯარი კვლავ ფეხზე დაეყენე და ცვალებადი უპირატესობით რამდენჯერმე შეეებრძოლე ლეკულს<sup>16</sup>, ორივეს ისევ მიმძლი დაგვატყდა თავს. მან დაიხმარა არიობარმანესის სამეფო<sup>17</sup>, რომელსაც ომი არ შეხებოდა, მე კი, რომლის გარშემოც ყველაფერი იავარქმნილი იყო, იძულებული გახდი უკან დამეხია და სომხეთისათვის შემეფარებინა თავი. რომაელები მე კი არ გამომყენენ, არამედ თავიანთ ჩვეულებას – დაამხონ ყველა სამეფო. მათ გიგრანის მრავალრიცხოვან ჯარს ვიწრობებში ბრძოლის საშუალება არ მისცეს და გიგრანის უგუნურებით, როგორც საკუთარი გამარჯვებით, ისე გრაბახობენ.

/16/ ახლა გთხოვ, განსაჯო: თუ რომაელები ჩვენ დაგვამარცხებენ, განა ამით უფრო განიმტკიცებ შენს ძლიერებას, რომ მათ წინ აღუდგე? თუ ფიქრობ, რომ ომი ამით დამთავრდება? დანამდვილებით ვიცი, რომ მათ შენს განკარგულებაშია დიდძალი მეომარი, იარაღი და ოქრო. ჩვენ ამას მოკავშირეობისთვის ვითხოვთ, მათთვის კი ეს ნადავლია. თუმცა გადავწყვიტე, რადგან გიგრანის სამეფოს ომი არ შეხებია, ჩემი ჯარისკაცები კი ბრძოლაში გამორწორობილი არიან, შენი სამშობლოდან შორს, შენგან დიდი ჯაფის გაუწველად ჩემი უმუშალო მონაწილეობით დაეასრულოთ ომი. მაგრამ ამ ომში ჩვენ არ შეგვიძლია არც გამარჯვება, არც დამარცხება ისე, რომ შენ არ შეგიქმნათ საფრთხე. /17/ განა არ იცი, რომ რომაელებმა, მას შემდეგ რაც მათ წინსვლას დასავლეთისაკენ ოკეანემ დაულო ზღვარი, იარაღი აქვთ შემოაბრუნეს? მათ ხომ, დასაბამიდან მოყოლებული, რაც გააჩნდათ, ძარცვით მოიპოვეს, სახლები, ცოლები, მიწები, ძალაუფლება. მოვიდნენ ოდესღაც უსამშობლონი და უთვისგომონი, რათა თავიანთი არსებობით მთელი ქვეყნისთვის უბედურება მოეგანათ. მათ არც ადამიანური და არც ღვთაებრივი კანონები არ აბრკოლებთ, რომ არ ძარცვონ, არ გაანადგურონ მოკავშირეები, მეგობრები, შორეულნი თუ ახლობელნი, უძღურნი თუ ძლიერნი; მტრად არ ჩათვალონ ყველა, ვინც დაუმონებელია, განსაკუთრებით კი სამეფოები.

/18/ ვინაიდან ცოტანი არიან ისეთი ერები, რომლებიც თავისუფლებისაკენ ისწრაფიან, უმეტესობას კანონიერი პატრონი სურს. ჩვენ რომაელები ეჭვის თვალთ გვიყურებენ. როგორც ამეამინდელ მეტოქეებს და მომავალ შურისმაძიებლებს. /19/ შენ კი, რომელიც ფლობ უდიდეს ქალაქ სელეუკიას და სიმდიდრით სახელგანთქმულ სპარსეთის სამეფოს, რას მოეღი მათგან, თუ არა ვერაგობას დღეს და ამკარა ომს – ხეალ?

/20/ რომაელები იარაღს ნებისმიერის წინააღმდეგ აღმართავენ. ყველაზე მეტი სიმშავით ებრძვიან იმათ, ვისი დამარცხებაც ყველაზე მეტ ნადავლს მოუტანო. გამბედაობით, სიყრუითა და მოგებული ომებით, მათი გერიგორიები გაფართოვდა. ამ გზით ისინი დააუძღურებენ, ან სულაც გაანადგურებენ ყველას. /21/ მათ ადიდლად დაეამხობთ, თუ შენ შესაძლებელია, ან ხოლო ჩვენ სომხეთიდან ალყაში მოვაქექეთ ხორბლისა და მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ რომაულ ჯარს, აქამდე უვნებელს ბედისა თუ ჩემი შეცდომების წყალობით. /22/ შენ კი სახელს მოიხვეჭ, თუ დახმარებას გაუწე დიდ მეუფებს ხალხთა მძარცველი ყაჩაღების დათრგუნვაში. /23/ ისე მოიქეცი, როგორც ვირჩევ და მოგიწოდებ. ჩემი დალუქვით შენი დალუქვის გადავადებას ჩვენიან მოკავშირეობით გამარჯვება გერჩიოს.

## შენიშვნები

<sup>1</sup> მეფე მითრიდატე მოგესალმები მეფე არმასკ. – მიმართვის ფორმა მიღებული რომაელთა შორის. პართიის მეფის სრული სახელია არმაქ XII, ფრააგ III. არშაკილების დინასტიის დაარსების დღიდან (256 წ.) ამ პირველ სახელს ატარებდა პართიის ყველა მეფე.

<sup>2</sup> გივრანის თავზე დაგვიხილ რომაელთა რისხვას. – გივრანმა ხელახლა დაიკავა სომხეთის ის ნაწილი, რომელიც ადრე პართებს დაუთმო.

<sup>3</sup> ფილიპეს, მაკედონიის მეფის წინააღმდეგ – 200-197 წლები.

<sup>4</sup> სანამ მათ კართაგენელები ავიწროებდნენ. – II პუნიკური ომის პერიოდი.

<sup>5</sup> ანტიოქუსს ტავროსის აქეთ მღებარე მთელი გერიტორია და ათი ათასი ტალანტი ჩამოერთვა. – მეფე ანტიოქუს III რომაელებთან დამარცხდა 189 წელს მაგნეზიასთან (სიპილის მთასთან).

<sup>6</sup> უბილობით გამოასალმეს სიოცხლეს. – მაკედონიის მეფე პერსესმა, რომელიც 168 წელს პიდნასთან დაამარცხა კონსულმა ლუკიუს ემილიუს პაულუსმა, თავი შეაფარა ტაძარს სამოთრეაელების კენძელზე. სხვა ვერსიით მან შიმშილით მოიკლა თავი.

<sup>7</sup> დამყრებით საყოფაე მონად აქციეს. – პერგამონის მეფე ევმენეს II (197-159). ანტიოქუსთან კავშირის შეკერის შემდეგ რომაელებმა ევმენესს გადასცეს ფრიჯია, მისია, ლიკონია და ლიდია. დამყრებით – იგულისხმება ის ფაქტი, რომ ევმენესს ეკრძალებოდა რომში შესვლა.

<sup>8</sup> დანაშაულებრივი ანდერძით წართმეულ. – 133 წელს ევმენეს II-ის ძემ ატალ III-მ თავისი სამეფო რომს უანდერძა. ევმენესის უკანონო ვაჟიმილმა არ ცნო ეს ანდერძი და მონები რომის წინააღმდეგ აჯანყა (132-130). ამბოხებულებმა დაამარცხეს კონსული პუბლიუს ლიკინიუს კრასუსი, რომელიც შეტაკების დროს დაიღუპა. მისმა მონაყულემ კრასუსს პერპერენამ სტრატონიკთან ჩაახშო ეს აჯანყება 129 წელს, ხოლო არისტონიკუსი რომში ჩამოიყვანეს და სიკვდილით დასაჯეს.

<sup>9</sup> დელოფის გიგული მიანჭვა. – ბითინიის მეფე ნიკომედ III ფილოპატოსმა, რომელიც 74 წელს ეარდაიყვანა, თავისი სამეფო რომს უანდერძა. მაშინ როდესაც ნისასთესის დელოფლის გიგულის მინიჭებით მათმა ვაჟიმილმა მეფის უფლებები მოიპოვა.

<sup>10</sup> ომი წამოიწყეს ჩემს წინააღმდეგ – იგულისხმება რომაელთა პირველი ომი (89-84) მითრიდატეს წინააღმდეგ.

<sup>11</sup> მეფე პტოლემეაოსს. – იგულისხმება კეიპროსის მეფე პტოლემეაოსი ან პტოლემეაოს VII სოგერი (გარდა 81 წელს).

<sup>12</sup> მან უღალატა ჩემს ჯარს. – ამ ბრალდება ამოძულა არქელაოსი რომაელებთან შეეფარებინა თავი.

<sup>13</sup> ერთხელ უკეე მიიგანეს იერიში. – იგულისხმება საომარი მოქმედებები კრეტელთა წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერდნენ მეკობრეებს. 74 წელს მარკუს ანტონიუს უფროსი უმედეგოდ ებრძოდა კრეტელებს. ამ ბრძოლაში წარუმატებლობისათვის მას დაეცინეთ „კრეტელი“ უწოდეს. კრეტე დაიპყრო კეინტუს კეილიუს მეტელუსმა, რომელმაც ტრიუმფის შემდეგ მიიღო მედწოდება „კრეტელი“.

<sup>14</sup> შინაგანი უთანხმოების გამო. – იგულისხმება ომი მარიუსსა და სულას შორის.

<sup>15</sup> კელაე განვაახლე ბრძოლა. – იგულისხმება მესამე ომი რომსა და მითრიდატეს შორის (74-64). 74 წელს რომის კონსული იყო აერელიუს კოტა.

<sup>16</sup> ლუკულუსს. – ლუკიუს ლიკინიუს ლუკულუსი, კონსული 74 წელს.

<sup>17</sup> არიობარმანესის სამეფო. – კაპადოკია. მითრიდატემ არიობარმანესი თავისი სამფლობელოდან განდევნა, მაგრამ მოგვიანებით 84 წელს, სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე, კელაე აღადგინა სამეფო ტახტზე.

*თარგმნა გიორგი ქაჯაიამ*

## წერილები იულიუს კეისარს სახელმწიფო მოწყობის შესახებ

### წერილი მეორე

12. /1/ მხედართმთავარო, წერილის წაკითხვის შემდეგ შეიძლება მოისურვო, გაიგო ჩემი აზრი სენატორთა რაოდენობის, აგრეთვე, მრავალ და სხვადასხვა მოვალეობათა განაწილების შესახებ. ამდენად, მე მიმაჩნია, რომ მართლმსაჯულება უნდა ეანდოთ ყველა პირველი თანრიგის მოქალაქეს, ისინი დაადგენენ, როგორ უნდა განაწილდეს საქმეები და რამდენი მოსამართლე უნდა დაინიშნოს თითოეულ სასამართლოში. /2/ ჩემთვის ძნელი არ იყო, ეს ყველაფერი დაწერილებით აღმეწერა, მაგრამ ვაპოვებინე, ჯერ გამცნო ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევები და შემდეგ კი მათი მართებულობა დაგიმტკიცო. თუ ამ გზას დაადგები, დანარჩენი შენთვის ცხადი გახდება. /3/ მეც მსურს, რომ ჩემი რჩევა ბრძნული და



სასარგებლო იყოს. ვინაიდან, შენი წარმატების შემთხვევაში მეც კეთილად მომიხსენიებენ. /4/ მაგრამ მე უფრო იმის სურვილი მამოძრავებს, რომ რამენაირად და თან, რაც შეიძლება მალე, მივეშველო რესპუბლიკას. /5/ თავისუფლება დიდებაზე უფრო ძვირფასად მიმაჩნია, ამიტომ გვედრები და მოვიწოდებ, უბრწყინვალესო მხედართმთავარო, გალთა მოდგმის დამორჩილების შემდეგ<sup>2</sup> ნუ დაუშვებ, რომ რომელი ხალხის უმაღლესი და დაუმარცხებელი ძალაუფლება სიძველისაგან დაიმრიგოს და მინაგანი უთანხმოების გამო დაქუცმაცდეს. /6/ თუ ეს მოხდება, რა თქმა უნდა, შენ სულს არც დღისით და არც ღამით ექნება მოსვენება, ვინაიდან უძილობით დაქანცული, გამშაგებული, უგონოდ მყოფი და სიგიჟით შეპყრობილი აქეთ-იქით მიაწყდები. /7/ ჩემთვის ამკარაა, რომ ყველა მოკვდავის სიცოცხლე ღვთაების თვალწინ არის გადამლილი, რომელიც მის ნებისმიერ – კარგ თუ ცუდ საქციელს აფასებს. მაგრამ ბუნებისაგან კარგები და ცუდები განსხვავებულ ჯილდოს იღებენ. /8/ თუ ზოგჯერ ეს დაგვიანებით ხდება, სული მაინც ყველას სინდისის მიხედვით აძლეუს იმელს.

13. /1/ სამშობლოსა და წინაპრებს შენთან დალაპარაკება რომ შესძლებოდათ, უეჭველად ამას გეტყვოდნენ: „ო კეისარო, ჩვენ, უმათაცესმა ეპაკაეებმა გმობთ შენ ქალაქთაგან საუკეთესოში, რათა ჩვენთვის სიამაყე და ბურჯი ყოფილიყავი, ხოლო მგერთათვის – რისხვა. /2/ ის, რაც მრავალი შრომითა და ხიფათით მოვიპოვეთ, შენი ამ ქვეყნად მოვლენისას სიცოცხლესთან ერთად გადმოგვცით: დედამიწის ბურგზე ყველაზე უღიადესი სამშობლო, სამშობლოში კი – უბრწყინვალესი სახლი და საგვარეულო, ამას გარდა, კეთილშობილური ცხოვრების წესი და პატიოსნად მოპოვებული სიმდიდრე. ერთი სიგყვით, მშვიდობის ყველა სამშენისი და ომის ჯილდო. /3/ ამ უღიდესი სიკეთის სანაცულოდ შენგან არ მოვითხოვთ სამარცხენო და მდაბალ საქციელს, არამედ მხოლოდ დამხობილი თავისუფლების აღდგენას. /4/ რისი აღსრულების შემდეგაც შენი სიქველის ამბავი მთელ ხალხებს შორის საარაკო გახდება. /5/ ვინაიდან ამ დროისათვის, მართალია, მინ თუ ლაშქრობისას ბრწყინვალე საქმენი აღასრულე, მაინც შენი დიდება ბევრი მამაცი ვაჟაკის დიდების თანაბარია. მაგრამ თუ ქალაქს, ახლა უკვე დაღუპის პირას მდგარს, თავისი უბრწყინვალესი სახელითა და სწორუპოვარი ძალაუფლებით აღადგენ, დედამიწის ბურგზე ვინ იქნება შენზე სახელგანთქმული და უღიადესი? /6/ ვინაიდან თუ სნეულებით<sup>3</sup> ან ბედისწერით ამ ძალაუფლებას უბედურება შეემთხვევა, ვის ეპარება ეჭვი, რომ მთელ დედამიწას გაპარგახება, ბრძოლები, ხოცვა-ჟლეტა მოიყავს? რადგან თუ შენი კეთილი სურვილი იქნება მაღლიერება გამოხატო სამშობლოსა და წინაპრების მიმართ, როგორც ქვეყნის მსხნელი, მომავალში დიდებით ყველა მოკვდავს აღმატები და ერთადერთი იქნები, ვინც სიკვდილის შემდეგ უფრო იბრწყინებ, ვიდრე სიცოცხლეში. /7/ ცოცხლებს ხშირად ბედისწერა, ან შური სდევნით. ხოლო როდესაც სული ბუნების წინაშე ქედს მოიხრის და შურით გამოწვეულ მგრობას თავს დააღწევს<sup>4</sup>, სიქველე თავის თავს უფრო და უფრო განადიდებს“.

/8/ რაც შეიძლება მოკლედ მოვწერე, რაც სასარგებლოდ მეჩვენა, და რაც, ჩემი აზრით, გამოგადგება. ახლა კი გაფიქვებ უკედავ ღმერთებს, როგორც არ უნდა იმოქმედო, დაე, ეს შენთვის და რესპუბლიკისთვის სასიკეთო აღმოჩნდეს.

## შენიშვნები

<sup>1</sup> რამდენი მოსამართლე უნდა დაინიშნოს თითოეულ სასამართლოში. – აერელიუსის 70 წლის კანონის საფუძველზე რომში არსებობდა მოსამართლეთა სამი დეკურია: სენატორების, რომაელი მხედრებისა და ხაზინის ტრიბუნების. თითოეულ დეკურიაში 300 კაცი ირიცხებოდა. ქალაქის პრეტორი, რომელიც წარმართავდა სასამართლო ხელისუფლებას, ყველა ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს შემადგენლობას მოსამართლეთა ამ სიების მიხედვით ადგენდა.

<sup>2</sup> გალთა მოდგმის დამორჩილების შემდეგ – ეს მიმართავა ალასკურებს, რომ წერილი დაწერილია 51 ან 50 წლებში.

<sup>3</sup> სნეულებით. – შესაძლოა, სალუსტიუსი აქ კეისრის ეპილეუსიაზე მინიშნებს.

<sup>4</sup> სული – შური გამოწვეულ მგრობას თავს დააღწევს. – მღრ. დემოსთენე, „სიგყვა გვირგვინის შესახებ“, 315. მგრობისა და შურისაგან თავისუფლება მხოლოდ მიცვალებული.

# ბაიუს იულიუს კეისარი

(ძვ.წ. 100/102 – ახ.წ. 44 წწ.)

იულიუს კეისარი, რომის სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე, მთავარსარდალი და მწერალი, დაიბადა ცნობილ არისტოკრატიულ ოჯახში.

იულიუსების ძირძველი საგვარეულოს გრადიციების დაცევით, კეისარმა ბრწყინვალე ლიტერატორული, ორაგორული და ფილოსოფიური განათლება მიიღო.

სულ ახალგაზრდამ, 18 წლისამ, პოლიტიკური მიზნით იქორწინა სულას ოპონენგის, კინას ასულზე. სულასგან შევიწროებული, როდოსზე გაემგზავრა, სადაც ცნობილ მჭევრმეტყველს, აპოლონიოს მოლოსს დაემოწაფა.

სულას გარდაცვალების შემდეგ რომში დაბრუნებული კეისარი პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა. იყო კესტორი, ედილი, პონტიფექსი. მართალია, იგი კატილინას მხარდაჭერაში დაადანაშაულებს, მაგრამ კეისარმა, საკუთარი მჭევრმეტყველებით და ციკერონის თანადგომის წყალობით, თავის გამართლება შეძლო.

ძვ.წ. 64 წელს იგი პრეტორი ხდება და სამართაუად გადაეცემა ესპანეთის პროვინცია. რომში დაბრუნებული დაუახლოვდა კრასუსს და პომპეუსს, შეკრა მათთან საიდუმლო სამთა კავშირი (გრიუშვირაგი) არსებული წყობის დასამხობად.

ძვ.წ. 59 წელს კეისარმა კონსულის თანამდებობა მიიღო და გალიაში გაემგზავრა. ათი წლის განმავლობაში გალიაში ყოფნისას კეისარმა განუწყვეტელი ომებით რომაული პროვინციის საზღვრები ნელ-ნელა გააფართოვა.

ძვ.წ. 53 წელს გრიუშვირაგი დაიშალა (კრასუსი გარდაიცვალა) და ყოფილი თანამზრახველები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. კეისარი გალიიდან დაიძრა, გადალახა ისგორიაში სამუდამოდ დამკვიდრებული მდინარე რუბიკონი, რომელიც იტალიას გალიისაგან მიჯნავდა და თავისი ლეგიონებით რომს მიადგა. პომპეუსი, სენატისაგან „ერთპიროვნულ მმართველად“ არჩეული, საბერძნეთში გაიქცა.

გადამწყვეტი ბრძოლა პომპეუსსა და კეისარს შორის ძვ.წ. 48 წელს ქალაქ ფარსალუსთან გაიმართა. პომპეუსი სასტიკად დამარცხდა და ეგვიპტეს შეაფარა თავი. ეგვიპტელებმა იგი ალექსანდრიაში მოკლეს და მისი თავი კეისარს მიართვეს. აქ შეხვდნენ ერთმანეთს პირველად კეისარი და ოცი წლის კლეოპატრა, რომელიც კეისარმა ეგვიპტის ერთპიროვნულ მმართველად თავად დაამტკიცა. მოგვიანებით კლეოპატრას კეისარისგან ვაჟი – კესარიონი შეეძინა.

სენატის რესპუბლიკურ-კონსერვატიული პარტია მუდმივად მგრობდა კეისარს, რომელსაც ძვ.წ. 44 წელს შეთქმულება მოუწყო და სიცოცხლეს გამოასალმა კიდეც.

კეისარს, პლეგარქოსის და სეგონიუსის ცნობით, დაუწერია პოემები, პამფლეტები, გრამატიკული თხზულებები, წერილები და ისგორიული ნაშრომები. აქედან ჩვენამდე მოაღწიეს მხოლოდ ისგორიული სახის ჩანაწერებმა „გალიის ომზე“ და „სამოქალაქო ომზე“.

პირველი მათგანი კეისარმა გალიაში ყოფნისას შექმნა და მიუძღვნა იქ წარმოებულ ომებს. ციკერონი, როდესაც ვაენო კეისარის ამ თხზულებას, აღფრთოვანება ვერ დამალა – „ამ წიგნის წამკითხველი კალამს ვეღარ აიღებ კაცი ხელშიო“. მართლაც, კეისარი მკითხველს ხიბლავს დახვეწილი სტილით, მისი თხზულების ენა სადაა, ნეოლოგიზმებისა და არქაიზმებისაგან დაკლილი.

ანთოლოგიაში ამ ნაწარმოების I წიგნის თარგმანია მოცემული.

## თარგმანი:

იულიუს კეისარი, ჩანაწერები გალიის ომზე, წიგნი პირველი, თარგმნა და კომენტარები დაურთო რუსულად ცანავამ.

# კომენტარები ბალებთან ომის შესახებ

## I წიგნი<sup>1</sup>

1. მთელი გალია<sup>2</sup> სამად იყოფა. ერთ ნაწილში ცხოვრობენ ბელგები, მეორეში – აკეიგანელები, მესამეში – გომები, რომლებიც თავიანთ ენაზე კელტებად ჩვენებურად კი ვალებად იწოდებიან. ისინი ერთმანეთისაგან განირჩევიან ენით, ადათებით, კანონებით. ვალებს აკეიგანელებისგან მდინარე გარუმნა<sup>3</sup> გამოყოფს, ბელგებისგან კი – მაგრონა და სეკვანა. ამ გომთაგან ყველაზე ძლიერი არიან ბელგები, რადგან საკმაოდ შორს ცხოვრობენ განეითარებული და კულტურული პროვინციიდან. მათთან ვაჭრებიც იმეიათად მიდი-მოდიან; არც ისეთი ნივთები შეაქვთ, რომლებიც სულის გასაფაქიშებლად საჭირო. გარდა ამისა, ძალიან ახლოს, რენუსის გადაღმა, ცხოვრობენ გერმანელები, რომლებთანაც ბელგები განუწყვეტლივ ომობენ. ამავე მიზეზით პელეგებიც ალემანებისგან სხვა ვალებს სიმამაცით; ისინი თითქმის ყოველდღე ებრძვიან გერმანელებს: ან მათ შემოგვევს ივერიებენ, ან თავად ივრიებიან გერმანელთა მიწაზე.

ის ნაწილი, რომელმაც, როგორც ეთქვი, ვალები ცხოვრობენ, ერთი მხრით იწყება მდინარე როდანუსით, გრძელდება მდინარე გარუმნითა და ოკეანით, ემიჯნება ბელგების მიწებს. სეკვანებისა და პელეგების მხარეს საზღვარი ვადის მდინარე რენუსზე და ჩრდილოეთამდე აღწევს. ბელგების ტერიტორია იწყება ვადის უკიდურესი საზღვრებიდან, გადაჭიმულია ჩრდილო-დასავლეთით მდინარე რენუსის ქვემოწელამდე. აკეიგანია მოიცავს ტერიტორიას მდინარე გარუმნადან პირენეის მთებამდე და იმ ოკეანის ნაპირებამდე, რომელიც ესპანეთს ეკურს. აკეიგანია ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

2. პელეგებს შორის ყველაზე წარჩინებული და მდიდარი იყო ორგეტორიქსი. მას ვამეფების სურვილი აღებრა და წარჩინებულთა მეთქმულება მოაწყო. ეს მოხდა მარკუს მე-სალასა და მარკუს პიზოს კონსულისას.<sup>5</sup> ორგეტორიქსმა თვისგომნი დაყოლია, აყრილიყვნენ და დაეგოებინათ თავიანთი მიწები. პელეგები ძალიან ადვილად შეძლებდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მთელ გალიაში, რადგან სიმამაცით ყველას ალემანებოდნენ. ამაში მათი დარწმუნება ორგეტორიქსს იმიტომაც არ გაუჭირდა, რომ პელეგები ყოველი მხრიდან ბუნებრივი ბლუდეებით იფარგლებოდნენ: ძალიან ღრმა და ფართო მდინარე რენუსი პელეგების მიწებს გერმანელებისგან გამოყოფს; იურას მალაღი მთა მათ სეკვანებისგან მიჯნავს. ჩვენს პროვინციასა და პელეგებს შორის კი ლემანის ტბა და მდინარე როდანუსია. სწორედ ამიტომ პელეგებს ვასაქანი არ ჰქონდათ და ძნელად ახსუნებდნენ მემობელთა დალაშქვრას. ბრძოლის ეინთი შეწყურობდა ადამიანებს ეს ძალიან აწუხებდათ. საკუთარი მრავალრიცხოვნობის გამო და ომებში გამოჩენილი სიმამაცის ვათვალისწინებით, პელეგებს საკუთარი ტერიტორია ევიწროებოდათ. მათი სამღერები სიგრძით 240 მილი<sup>6</sup> იყო, სიგანით – 180.

3. ამ მოსაზრებებისა და ორგეტორიქსის ავტორიტეტის გავლენით [პელეგებმა] დაადგინეს, შედგომოდნენ სამზადის ვასამგზავრებლად. გადაწყვიტეს, შეესყიდათ რაც შეიძლება მეტი ტვირთმზიდავი საქონელი და ურმები. რაც შეიძლება მეტი დაეთესათ, რათა ვამში ხორბლის საკმარისი მარაგი ჰქონოდათ; მემობელ გომებთან ზავი და მეგობრობა განემტკიცებინათ. ფიქრობდნენ, ამ საქმეების მოსაგვარებლად ორი წელი ეყოფოდათ. დააკანონეს, რომ მესამე წელს ვამგზავრებოდნენ. აღმსრულებლად ორგეტორიქსი აირჩიეს. მემობლებთან ელჩობა ორგეტორიქსმა თავად იკისრა. მან წააქემა სეკვანელი კასტიკო – კატამანგალედის ვაჟი – თავის ქვეყანაში მამის გახტი დაებრუნებინა. მამამისი დიდხანს მეფობდა, სენატი მას რომაელი ხალხის მეგობარს<sup>7</sup> უწოდებდა. მან დაარწმუნა ელუელი ღუმნორიქსი, დივიტიაკუსის ძმა, რომელიც იმ დროს თავის გომში თავიკაცობდა<sup>8</sup> და პლებსისთვისაც მისაღები იყო, რომ იგივე გაეკეთებინა; მას ცოლად შერთო თავისი ასული. ღუმნორიქსმა მათ დაუსაბუთა, რომ ამ ჩანაფიქრის ასრულება ძალიან ადვილია. იგი თავადაც აპირებდა თავის გომში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. უეჭველია, რომ პელეგები ვალებს შორის ყველაზე ძლიერები არიან. ორგეტორიქსი თავისი ძალებითა და ჯარით კასტიკოსა და ღუმნორიქსს მეფობას მოაპოვებინებდა. ამ სიგყებით წაქეზებული ერთ-

მანეთს ფიცს აძლევენ და იმედოვნებენ, რომ გამეფების შემდეგ სამი უძლიერესი და უმამაცესი ხალხის მეშვეობით მთელ ვალიას დაიპყრობენ.

4. მაგრამ პელეგებმა ეს ჩანაწერი გამეცემისგან გაიგეს. მათ აიძულეს ორგეგორიქსი, ბორკილდადებული წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე. ამას მოითხოვდა პელეგეტა ადათი. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ორგეგორიქსს კოცონზე დაწვა ემუქრებოდა. დანიშნულ დღეს ბრალდებულმა სასამართლოში შეყარა თავისი ათი ათასამდე გლეხი. აგრეთვე ყველა კლინგი და მოვალე, რომლებიც ბლომად ჰყავდა. მათი დახმარებით სასამართლო პროცესის გარეშე დაიძვინა თავი. როდესაც ამ ფაქტით აღშფოთებული მოსახლეობა თავად შეიარაღდა და სამართლის აღსრულებას შეეცადა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაიწყეს სოფლებიდან ბლომად ხალხის შეკრება, ორგეგორიქსი გარდაცვლილი დახვდათ. პელეგების ამრით, ორგეგორიქსმა უკვეცვლად თავი მოიკლა.

5. პელეგები ორგეგორიქსის სიკვდილის შემდეგაც, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, განაგრძობდნენ მზადებას მშობლიური ქვეყნის დასაგოვებლად. როდესაც მიიჩნიეს, რომ ყველაფერი მზადაა, გადაწყვეს თავიანთი თორმეტამდე ქალაქი, ოთხასამდე სოფელი, სხვა [კერძო პირების კუთვნილი] ნაგებობები; დაწყეს პურიც, დაიგოვეს იმდენი, რამდენიც თან უნდა წაეღოთ, რათა მინ დაბრუნების იმედი აღარ ჰქონოდათ და მზად ყოფილიყვნენ ყველანაირი გასაჭირისთვის. ნაბრძანები ჰქონდათ თან წამოეღოთ სამი თვის სამყოფი სურსათი. დაიყოლიეს მემობლებიც: რაურიკები, გულინგები და ლატოვიკები, მათთვის მიუბაძათ, გადაეწვათ თავიანთი ქალაქები, სოფლები და ერთად დაძრულიყვნენ. შეიკედლეს და მოკაემირებოდ მიიღეს ბოებიც<sup>9</sup>, რომლებიც ადრე რენუსს გაღალმა ცხოვრობდნენ, შემდეგ ნორიკების მხარეში მივიდნენ და ქალაქ ნორეას ალყა შემოარტყეს.

6. პელეგებიდან გამოსულა მხოლოდ ორი გზით შეიძლებოდა: ერთი სეკვანიის გავლით; ეს ვიწრო და ძნელი გზა იყო. იგი იურას მაღალ მთასა და მდინარე როდანუსს შორის გადიოდა. მასზე ურმები მხოლოდ მჭკრივად თუ გაივლიდნენ. მაღალ მთებში კი მცირე დაბრკოლებასაც იოლად შეეძლო გზის გაადლობვა. მეორე გზა ჩვენს პროვინციაზე გადიოდა. იგი ბევრად უფრო მოსახერხებელი და იოლი იყო, რადგანაც როდანუსი, რომელიც პელეგებისა და რომაელების მიერ ცოგა ხნის წინათ დამორჩილებულ ალობროგებს<sup>10</sup> შორის მოედინება, ზოგიერთ ადგილას ფონს ქმნის. ალობროგების ყველაზე შორეული ქალაქი, გენავა, ძალიან ახლოსაა პელეგების საზღვართან. ამ ქვეყნებს შორის მდინარეზე გადებულია ხიდი. პელეგები ფიქრობდნენ, რომ ალობროგებს, რომლებიც არ ამქდაუნებდნენ სიმპათიებს რომაელთა მიმართ, დაარწმუნებდნენ ან აიძულებდნენ გაეგარებინათ პელეგები თავიანთ გერგორიაზე. როდესაც გასამგზავრებლად ყველაფერი მოამზადეს, დათქვეს თავშეყრის დღე. ყველანი როდანუსის ნაპირთან უნდა შეკრებილიყვნენ. ეს იყო მეხუთე დღე აპრილის კალენდებამდე<sup>11</sup>, ლუციუს პიზოსა და აელუს გაბინიუსის კონსულობისას.<sup>12</sup>

7. როდესაც კეისარმა შეიგყო, რომ პელეგებს ჩვენს პროვინციაზე გავლა სურდათ, სწრაფად დაიძრა რომიდან. შეძლებისდაგვარად ჩქარა გაემურა შორეულ ვალიაში და გენავასთან მივიდა. მან ბრძანა, რაც შეიძლება მეტი ჯარისკაცი შეეკრიბათ მთელ პროვინციაში (შორეულ ვალიაში სულ ერთი ლეგიონი იყო), გენავასთან დამაკემირებელი ხიდი დაენგრიათ. როდესაც პელეგებმა კეისრის მოსულა შეიგყვეს, მასთან ელჩებად გაგზავნეს უწარჩინებულესი მოქალაქეები. ამ ელჩობას ხელმძღვანელობდნენ ნამუსი და ვერუკლეტუსი. მათ უნდა ეთქვათ, რომ პელეგებს სურთ ყოველგვარი ავი მრახვის გარეშე გზად გაიარონ პროვინციაზე, რადგან სხვა გამოსავალი არა აქვთ. უნდა ეთხოვათ, რომ კეისარი დათანხმებულიყო და გზა ეგია. კეისარს ახსოვდა, რომ პელეგებმა მოკლეს კონსული ლუციუს კასიუსი და დამარცხებული ჯარი უღელქვემ გაატარეს,<sup>13</sup> ამიტომ დათანხმებას არ აპირებდა. ამასთან, პროვინციაზე გავლის ნებართვის მიღების შემთხვევაში მგრულად განწყობილი ადამიანები თავს არ შეიკავებდნენ ავკაცობისა და ძალადობისაგან. მაინც, დროის მოსაგებად, ვიდრე, ადრე გაემული ბრძანებისამებრ, ჯარი შეიკრიბებოდა, ელჩებს უპასუხა, რომ იფიქრებდა. თუ სურდათ, აპრილის იდებისათვის მოსულიყვნენ.

8. ამასობაში კეისარმა თანმზღები ლეგიონისა და პროვინციიდან შეკრებილი ჯარისკაცების დახმარებით ლემანის გზიდან (რომელიც როდანუსში ჩაედინება) იურას მთამდე (რომელიც სეკვანების სამღვრებს პელევეებისგან გამოყოფს) გააყვანინა 19 მილის სიგრძის თხრილი და აღმართა 16 ფუგის სიმაღლის ზღუდე. ამ საქმის დასრულების შემდეგ საგუშაგოები განალაგა, სანგრები გაამაგრა, რადგან თუ პელევეები კეისრის უნებურად შეეცდებოდნენ დაძვრას, ადვილად შეძლებოდა წინ აღდგომა. როდესაც დათქმულ დღეს [კეისარს] ელჩები ეახლნენ, უარი უთხრა: რომელი ხალხის ჩვეულებებისა და გამოცდილებიდან გამომდინარე, პროვინციაზე გაელის უფლებას ვერავის მისცემდა; თუ ძალას იხმარდნენ, მათ შეჩერებას შეძლებდა. გაწილებული პელევეები ხან დღისით, უმეტესად კი ღამით ცდილობდნენ გაეღწიათ: ნაწილობრივ ერთმანეთზე გადაბმული ნაეებისაგან გაკეთებული ხილითა და გივებით, რომლებიც ბლომად დაემშაღებინათ, ნაწილობრივ – როდანუსის ფონით. მაგრამ [რომაელთა] კარგად გამაგრებულმა ნაგებობებმა, ჯარისკაცთა იერიშებმა და მარჯვედ კეთებამ ეს მცდელობები ჩამალა.

9. რჩებოდა ერთადერთი გზა სეკვანიის გავლით, მაგრამ იმაზეც, სეკვანების თანხმობის გარეშე და გზის სივიწროვის გამოც, სულა არ შეიძლებოდა. რაკი პელევეებმა თავად მათი დაყოლიება ვერ შეძლეს, ელჩები გაგზავნეს ედუელ ღუმნორიქსთან, რათა მას გამოეთხოვა ნებართვა სეკვანებისგან. ღუმნორიქს თავისი ხასიათისა და გულუხვობის გამო სეკვანებს შორის დიდი წონა ჰქონდა; პელევეებთანაც მეგობრობდა; მათი გომიდან ხომ ორგეგორიქსის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად. რადგანაც მას სახელმწიფო გადაგრიანების მოწყობა და გამეფება სურდა, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ხალხი ჰყოლოდა დაეალებული თავისი ქველმოქმედებით. ასე რომ, ეს საქმე თავის თავზე აიღო და სეკვანები დაითანხმა, პელევეები თავიანთ მიწაზე გაეტარებინათ. ერთმანეთში მძეულები გააცვლევინა იმ პირობით, რომ სეკვანები წინ არ აღუდგებოდნენ პელევეების გადაადგილებას, პელევეები კი ძალადობისა და უსიამოვნებების გარეშე გაივლიდნენ.

10. კეისარს აცნობეს, რომ პელევეებს სურდათ სეკვანებისა და ედუების მიწების გავლით მიეღწიათ სანგონების<sup>14</sup> ტერიტორიისთვის, რომელიც არც თუ ისე შორსაა გოლოსატების<sup>15</sup> სამღვრებისგან. ეს დასახლება კი შედის რომის პროვინციაში.<sup>16</sup> კეისარი ფიქრობდა, რომ თუ ასე მოხდებოდა, მომავალში პროვინციას დიდი საფრთხე ელოდა, რადგან შემოზღად ეყოლებოდა გაშლილ და უხემოსავლიან ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანები, რომლებიც რომაელთა მიმართ მგრულად იყვნენ განწყობილი და მებრძოლი სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ. ამიგომ, ახლახან აგებული გამაგრების გამგებლად დანიშნა ლევაგი გიგუს ლაბინუსი;<sup>17</sup> თავად სასწრაფოდ გაემურა იგალიამი და იქ ორი ლეგიონი შეავროვა. აქვილემიდან კი ზამთრის სადგომებში დაბანაკებული სამი ლეგიონი წამოიყვანა. ამ ხუთი ლეგიონით უმოკლესი ვით (ალპების გავლით) დაიძრა შორეული გალიისაკენ. იქ კეუგრონებმა, გრაიოკელებმა და კატურიგებმა<sup>18</sup> დაიკავეს მალღობები და ჯარისთვის ვზის გადაღობვა სცადეს. მათი მრავალრიცხოვანი შეტევები ჩვენებმა მოიგერიეს და მუშვიდე დღეს მახლობელი პროვინციის ყველაზე დამორებული ადგილიდან – ოკლემიდან ვოკონგების მხარეში მივიდნენ, რომელიც შორეულ პროვინციაშია. აქედან კეისარმა ჯარი ალობროგებისკენ წაიყვანა, ალობროგებისგან კი სეკვანებისკენ. ეს უკანასკნელი პირველი გომია პროვინციის ფარგლებს გარეთ როდანუსის გადაღმა.

11. ამასობაში პელევეებმა ვიწროებიც გაიარეს და სეკვანების მიწებიც. მიუახლოვდნენ ედუების სამღვრებს და მათი მინდერების ძარცვა დაიწყეს. ედუებს მათთან გამკლავება არ შეეძლოთ, ამიგომ ელჩები გაგზავნეს კეისართან დახმარების სათხოვნელად. მათ (ელჩებმა) უთხრეს: ედუებს არასოდეს დაუმოგავთ თავი რომაელთათვის<sup>19</sup> და ახლა რომაული არმიის თვალწინ ედუელთა სავარგულების აოსრება, (ედუელთა) ბავშვების მონებად ვარეკვა, ქალაქების აკლება არ ევების. იმავდროულად ედუების ახლობელმა და მონათესავე ამბარებმაც შეაგყობინეს კეისარს, რომ მათი მინდერები გაიძარცვა და ძალიან უჭირთ ქალაქების დასვა მგრის ძალმომრეობისაგან. კეისარს ეახლნენ ის ალობროგებიც, რომ-

ლებსაც როდანუსს გადალმა პქონდათ სოფლები და სავარგულები. მათ უთხრეს, რომ მომიშვებული მიწების გარდა აღარაფერი დარჩათ. ამ ვითარებამ კეისარს გადააწყვეტინა, აღარ დაეკადა, ვიდრე პელევეები მოკავშირეთა მთელ ქონებას გაანიავებდნენ და სანგონებადმე მოვიდოდნენ.

12. მდინარე არარი, რომელიც ედუებისა და სეკვანების ტერიტორიაზე გადის და როდანუსს ერთვის, ისეთი მდორეა, რომ შეუძლებელია თვალით განსაჯო, რომელ მხარეს მიედინება. არარზე პელევეები ერთმანეთზე გადაბმული გივებითა და ნაევებით გადავიდნენ. როდესაც კეისარმა მვერაეებისგან შეიგყო, რომ პელევეების სამი მეოთხედი ნაწილი ამ მდინარეზე უკვე გადავიდა, დაახლოებით მეოთხედი ნაწილი კი მდინარის აქეთა მხარეს დარჩა, მესამე დაკეისას<sup>20</sup> ლევიონებით გაემართა ბანაკიდან და გამოდმა დარჩენილ პელევეებადმე მიიდა. ისინი მძიმედ იყენენ დაგვირთული და არც თავდასხმას ელოდნენ, ამიტომ ორთაბრძოლაში უმეტესობა დაიღუპა. გადარჩენილები გაიქცნენ და მახლობელ გყეებში მიიშალნენ. ესენი გიგურინებად იწოდებოდნენ. პელევეები სულ ოთხ პაგად<sup>21</sup> იყოფიან. წინაპართა გადმოცემით, გიგურინებმა პირველებმა დატოვეს თავიანთი სახლები, მოკლეს კონსული ლუციუს კასიუსი და მისი ჯარი უღელქვეშ გააგარეს. ამგვარად, შემთხვევით თუ უკვდავი ღმერთების სურვილით, პირველად პელევეი მოსახლეობის სწორედ იმ ნაწილს მიეზლო საკადრისი, რომელმაც რომაელ ხალხს მნიშვნელოვანი ზარალი მიაციენა. ამით კეისარმა შური იძია არა მარტო სახელმწიფოს, არამედ პირადი წყენისათვის, რადგან ხსენებულ ბრძოლაში გიგურინებმა კასიუსთან ერთად მოკლეს ლევაგი ლუციუს პიბოცი, კეისრის სიმამრის პაპა.

13. ამ ბრძოლის შემდეგ კეისარმა გასცა განკარგულება, არარზე აეგოთ ხიდი ჯარის გადასაყვანად, რათა დანარჩენ პელევეებს დაწეოდა. მან ერთ დღეში შეძლო მდინარეზე გადასვლა, პელევეები კი ამას ოცი დღე მოუნდნენ. კეისრის მოულოდნელი მიახლოებით შემფოთებულებმა, მასთან ელჩები გაგზავნეს. ამ ელჩობას მეთაურობდა დივიციაკუსი, რომელიც პელევეების წინამძღოლი იყო კასიანუსთან ბრძოლის დროს. მან კეისარს უთხრა: თუ რომაელ ხალხს პელევეებთან ზავი სურს, აუწყოს მათ და მიუთითოს, საით წავიდნენ დასახლებულად. მაგრამ თუ ბრძოლას დაიციენებს, მოიგონოს რომაელი ხალხის ძველი ხელმოკარგები და პელევეთა გამარჯვებები. ის, რომ მოულოდნელად დაესხა თავს ერთ პავს (რომელსაც ვერ დაეზმარნენ მდინარის მეორე ნაპირზე გადასულები) კეისარმა ეაკაკობად არ მიითვალოს და ნურც პელევეებს დახედავს ქედმადლურად. პელევეებმა მამა-პაპათან ისწავლეს, ეაკაკურად შეერკიონ მგერს და არა ეშმაკობითა და ჩასაფრებით. ამიგომ კეისარი ნუ მიიყენას საქმეს იქამდე, რომ ის ადგილი, სადაც ახლა დგანან, რომაელი ხალხის უბედურების, ჯარის ამოკლეგის ადგილად იქნას სახელდებული და ასე გადაეყოს მთამომავლობას.

14. კეისარმა უპასუხა: მან კარვად უწყის ის ამბავი, რაც პელევეთა ელჩებმა შეახსენეს და დარწმუნებულა, რომ რომაელი ხალხი ამას არ იმსახურებდა. ეს უფრო ამძიმებს ვითარებას. რომაელებს რამეში თავი დაშნაშევედ რომ ეგრძნოთ, უთუოდ გაერიდებოდნენ. მაგრამ, ამ უკანასკნელთ [რომაელებს] სწორედ რომ თავიანთი ნამოქმედარი არ აძლევათ შიშის საფუძველს. უმომომოდ კი რაგომ უნდა შინებოდათ. ძველი შეურაცხყოფა რომც დაივიწყოს, ნუთუ შეიძლება ამკამინდელ უკანონობათა პატიება?! კერძოდ, კეისრის უნებურად ძალით რომ შეეცადნენ პროინციაზე გაევილოთ, რითაც ედუები, ამბარები და ალობროგები შეაწუხეს. მოპოებული გამარჯვებით ასეთი გოროზი სიამაყე და ის გაკვირება, რომ ჩადენილ დანაშაულთა გამო ამდენ ხანს არ დაისაჯენ, ზემოთ აღნიშნულს ერთვის. მაგრამ ხომ სჩვევიათ უკვდავ ღმერთებს კეთილდღეობა მიანიჭონ და დიდი ხნის განმავლობაში არ დასაჯონ ის აღამიანები, რომლებმუდაც შურისძიებას განიზრახავენ მათ მიერ ჩადენილი ბოროტებისათვის, რათა უფრო მწარედ მიეგოთ მდგომარეობის შეცვლის შემდეგ მიუხედავად ამისა, თუ პელევეები მას მძევლებს მისცემენ იმის დასტურად, რომ მზად არიან შეასრულონ დანაპირები, თუ აუნაზღაურებენ ზარალს ედუებსა და მათ მოკავშირეებს, თან ალობროგებსაც დააკმაყოფილებენ, კეისარი თანახმაა მათთან ღამავე

ბაზე. დივიგიაკუსმა უპასუხა: ჰელევეტებმა წინაპრებისგან ისწავლეს, რომ მძევლები კი არ უნდა მისყენ, არამედ – აიყვანონ. ამის მოწმეა რომაელი ხალხი. ამ პასუხით გაშორდა.

15. მეორე დღეს ჰელევეტებმა იმ ადგილიდან ბანაკი აშალეს. კეისარმა იგივე გააკეთა და მთელი ცხენოსანი ჯარი – ოთხი ათასამდე მხედარი – წინ გაგზავნა, რათა ენახათ, თუ რომელ მხარეს გაემართებოდა მგერი. ეს მხედრობა კეისარმა მთელი პროვინციიდან, ელუელთა და მათ მოკავშირეთაგან შეკრიბა. ისინი, რომლებიც არიერგარდის ღვენამ გაიტაცა, მოუხერხებელ ადგილას შეეხვედნენ ჰელევეტების ცხენოსნებს და რამდენიმე ჩვენიანი დაიღუპა. როდესაც ბრძოლა დამთავრდა, ჰელევეტები, რომლებმაც ხუთასი მხედრით ჩვენი ცხენოსნების ასეთი სიმრავლე აოგეს, გაყოფილდნენ და მათმა არიერგარდმა დროდადრო ჩვენების ომში გამოწვევა დაიწყო. კეისარი თავისიანებს ბრძოლაში მონაწილეობის უფლებას არ აძლევდა; ამჯერად საკმარისად მიიჩნედა, რომ მგრისათვის ძარცვა-გლეჯა არ დაენებებინა. ამგვარად, დაახლოებით თხუთმეტი დღე ისე მიდიოდნენ, რომ მგრის არიერგარდს ჩვენი ავანგარდისგან არა უმეტეს ხუთი ან ექვსი მილი ამოვრებდა.

16. ამასობაში კეისარი ელუებს ყოველდღე დაჟინებით სთხოვდა პურს, რომელსაც ისინი ოფიციალურად დაჰპირდნენ. როგორც ადრე ვთქვით, გალია ჩრდილოეთით მდებარეობს და ცივი კლიმატის გამო არათუ პური არ დამწიფდა მინდორში, არამედ პირუტყვისთვისაც არ იყო საკმარისი საკვები. იმ პურით, რომლითაც გემები იყო დატვირთული მდინარე არარზე, თითქმის ვერ სარგებლობდა იმიტომ, რომ ჰელევეტებმა არარიდან გადაუხვიეს. მათი მხედველობიდან დაკარგვა კი კეისარს არ სურდა. ელუები დღიდან დღემდე აჯანჯლებდნენ; ეუბნებოდნენ, რომ პურს იღებენ, ემიღებინ, ადგილზე აგროვებენ. როდესაც მიხედა, რომ მას დიდი ხანია აგყუებენ და ჯარისკაცებისათვის პურის განაწილების დღე მოახლოვდა, ელუელთა წინამძღოლები იხმო, რომლებიც ბლომად ჰყავდა ბანაკში. მათ შორის იყვნენ დივიგიაკუსი და ლისკუსი. ამ უკანასკნელს უშაღლესი თანამდებობა ეკავა; ელუების ენაზე ამ პოსტს ვერგობრეტუმ<sup>22</sup> ჰქვია. ვერგობრეტუმად ირჩევდნენ ერთი წლით და მას თვისგანმთა შორის სიკვილი-სიციოცხლის განჩინების უფლება ჰქონდა. კეისარმა ისინი ძალიან დაადანაშაულა იმაში, რომ მაშინ, როდესაც პურის არც ყიდვა, არც მინდერებიდან აღება არ შეიძლებოდა, ასეთ მიმზე დროს, მგერთან ასეთი სიახლოვისას, ელუები კეისარს არ ეხმარებოდნენ. მიუ უმეტეს, რომ ეს ომი მათი თხოვნით დაიწყო. უფრო მეტად კი იმას ჩიოდა, რომ მოაგყუს.

17. კეისარის სიგყვით აღელვებულმა ლისკუსმა მხოლოდ ახლად თქვა: არიან ზოგიერთნი, რომელთაც განუმომელი ავგორიგეტი აქვთ პლებსში და პოპულარობით თვით მაგისტრატებს აღემატებიან. ისინი აგულაინებენ და ამინებენ ხალხს; უკრძალავენ დროულად შეაგროვონ პური. ამბობენ: თუ ელუებს არ შეუძლიათ პირველობა გალიაში, რომაელებზე მეტად გალების უფროსობას შეეგუებიან. და თუ რომაელები ჰელევეტებს დაამარცხებენ, უჭველია, დანარჩენი გალების მსგავსად. ელუების თავისუფლებასაც აღკვეთენ. სწორედ ისინი აცნობებენ მგერს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ბანაკში ვლგებულობთ. მათი ალაგმვა ლისკუსს არ შეუძლია. ლისკუსმა საკმაოდ დიდ საფრთხეში ჩაივდო თავი ამის განცხადებით, მაგრამ იძულებული გახდა კეისარისათვის გაეგებინებინა, რისი თქმაც ევალებოდა. სწორედ ამ მიზეზით დუმდა, სანამ შეეძლო.

18. კეისარი ხედებოდა, რომ ლისკუსი დივიგიაკუსის ძმას, ღუმნორიქსს, გულისხმობდა. მაგრამ, რაკი დამსწრეებთან ერთად ამ საქმეების განხილვა არ სურდა, საბჭო სწრაფად დაითხოვა, ლისკუსი კი დააყოვნა. მარტო რომ დარჩნენ, გამოჰკითხა იმის შესახებ, რაც საბჭოზე თქვა. ლისკუსი უფრო თავისუფლად და გაბედულად ალაპარაკდა. იგივე ამბავი კეისარმა საიდუმლოდ სხვებისგანაც შეიტყო. იგი დარწმუნდა, რომ ინფორმაცია მართალია. ეს სწორედ ის უმამაცესი ღუმნორიქსია, რომელიც დიდი გულუხეობის გამო ერთხელ პოპულარულია ხალხში და სახელმწიფო გადაგრიალება სურს. მას მრავალი წლის განმავლობაში საკმაოდ დაბალ ფასად იჯარით ჰქონდა აღებული საბაჟო და ელუელთა სხვა ყველა საბაჟო გადასახადი. საჯარო ვაჭრობისას ღუმნორიქსის თანდასწრებით ვერაიენ ბედავდა მასზე მეტი თანხის შეთავაზებას. ამით

გამდიდრდა, დიდი ქონება დაავროვა. იგი საკუთარი ხარჯით ინახავს მრავალრიცხოვან ცხენოსნებს, რომლებსაც გვერდიდან არ იშორებს. დიდად სახელგანთქმულია არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მეზობელ ხალხებშიც. თავისი გაელენის გასაძლიერებლად დედა ბიგურიების უწარჩინებულეს და უძლიერეს კაცს მიათხოვა; თავად ჰელეტი ქალი შეირთო. და – დედის მხრიდან – და თავისი ნათესაები სხვადასხვა გომელებზე ვაითოვა. ამ ნათესაობის გამო ჰელეტიებისადმი კეთილად იყო განწყობილი და მათი წარმატება სურდა. ამასთან, პირადი სიძულვილი ამოძრავებდა კეისრისა და რომაელებისადმი, რადგანაც მათმა მოსელამ დაამცრო ღუმნორიქსის მშარდი ძლიერება. მის ძმას – დიეგიაკუსს – კი ძველი პატივი და მღვთმარეობა დაუბრუნა. რომაელების დამარცხების შემთხვევაში ჰელეტიების დახმარებით ფიქრობდა მეფობის მოპოვებას. რომაელთა ზეობა კი არა მარტო გამეფების იმედს აკარგინებდა, არამედ იმ მღვთმარეობასაც, რაც ჰქონდა. გამოკითხვით კეისარმა ისიც გაიგო, რომ ცხენოსანთა შეტაკებისას, რომელიც რამდენიმე დღის წინათ მოხდა, პირველნი ღუმნორიქსი და მისი მხედრები უკუიქნენ (სწორედ ღუმნორიქსი მეთაურობდა კავალერიას, რომელიც ელუებმა გაგზავნეს კეისრის დასახმარებლად). მათმა გაქცევამ დანარჩენ მხედრობაში პანიკა გამოიწვია.

19. ეს ინფორმაციები საკმარისი იყო იმისთვის, რომ კეისარს ღუმნორიქსი ან თავად დაესაჯა, ან ედუელთა სასამართლოსთვის გადაეცა. მით უმეტეს, რომ ამ ეჭვებს უტყუარი ფაქტები დაემატა: სწორედ ღუმნორიქსმა გაატარა ჰელეტიები სეკენების მიწაზე, მათ შორის მძევლების გაცვლაც მოაწყო; თანაც მან ეს გააკეთა არა მხოლოდ კეისრისა და თავისი ხალხის უნებურად, არამედ მათგან [თავისიანებისგან] ფარულად. დაბოლოს, ამ ქმედებებში მას ედუელთა უმაღლესი მაგისტრატი, ლისკუსი, სდებდა ბრალს. მაგრამ იყო ერთი საჩოთირო რამ. საქმე ის იყო, რომ ღუმნორიქსის ძმა, დიეგიაკუსი, რომელიც ხალხისადმი საოცარი კეთილგანწყობითა და კეისრის ერთგულებით გამოირჩეოდა. იგი იყო ძალიან სანდო, სამართლიანი და გაწონასწორებული კაცი. სწორედ მისი წყენინება არ უნდოდა კეისარს ღუმნორიქსის დასჯით. ასე რომ, სანამ რამე მომებს მიიღებდა, მან დიეგიაკუსის ხმობა ბრძანა. თარჯინები დაითხოვა და თავისი შვილების, ვალიის პროვინციის დიდებულის – გაიუს ვალერიუს პროკლუსის თანხლებით ესაუბრა, რომელსაც სრულიად ენდობოდა. მან მოაგონა დიეგიაკუსს, რაც მისი თანდასწრებით ითქვა საბჭოზე ღუმნორიქსის შესახებ. ისიც უამბო, რაც კეისარს საიდუმლოდ აუწყეს კერძო საუბრებში. ამასთან, დიეგიაკუსს დაბეჯითებით სთხოვა, რომ მისგან შეურაცხყოფად არ მიეღო, თუ საქმის გამოძიების შემდეგ ან თავად გაასამართლებდა ღუმნორიქსს, ან ედუებს დაავალებდა განჩინების გამოგანას.

20. აქვითინებული დიეგიაკუსი კეისარს მუხლებზე მოეხვია და დაუწყო მუდარა, მის ძმას ძალიან მკაცრად არ მოქეცოდა. თავადაც იცის, რომ ეს ყველაფერი მართალია და არაეინ წუხს მასზე მეტად. დიეგიაკუსს დიდი ავგორიგეტი ჰქონდა თავისიანებში და სხვა ვალებს მორისაც; ყმაწვილ ღუმნორიქსს კი – მინიმალური. იგი სწორედ დიეგიაკუსის წყალობით წარმოჩნდა. ღუმნორიქსმა მთელი ძალები და სამუალებები გამოიყენა დიეგიაკუსის ღირსების არა მხოლოდ დასამდაბლებლად, არამედ ლამის ძმის დასაღუქადაც. მიუხედავად ამისა, ძმისადმი სიყვარულის გარდა, ხალხის ამრიც ალექებს. თუ კეისარი ღუმნორიქსს მკაცრად დასჯის, არაეინ დაიჯერებს, რომ ეს დიეგიაკუსის უნებურად მოხდა, რადგანაც მას კეისართან ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვს. ამის გამო მას მთელი გალია შეაქცევს ზურგს. ასე ევედრებოდა ცრემლმორეული დიეგიაკუსი. კეისარმა მის მარჯვენას მოკიდა ხელი, სთხოვა დაშვებულყოფილად და უთხრა: იმდენად დიდია დიეგიაკუსის დამსახურება, რომ მზადაა გაითვალისწინოს მისი შუამდგომლობა, შეუნდოს ღუმნორიქსს რესპუბლიკის დასაჯად და პირადად კეისრისათვის მიყენებული უსიამოვნებანი. შემდეგ ღუმნორიქსი იხმო და ძმის თანდასწრებით აუწყა, რისთვისაც კიცხავდა, რაც თავად იყოდა მის შესახებ და რის გამო უჩიოდნენ თანამოძმენი. ურჩია, რომ მომავალში



ყოველგვარი ეჭვი აერიდებინა. წარსულს კი ძმის, დივიგიაკუსის, ხათრით პატიობდა. დემონორიქს მსტოვრები მიუჩინა, რათა სკოდნოდა რას იზამდა და ვისთან ილა-პარაკებდა.

21. იმავე დღეს მშვერავებმა კეისარს ამცნეს, რომ მგრები განლაგდნენ მთის ძირას, მათი ბანაკიდან რეა მილის დამორებით<sup>23</sup>. მან გაგზავნა ხალხი მთის შემოგარენისა და ბილიკების შესასწავლად. მოახსენეს, რომ ასვლა იოლად შეიძლებოდა. მესამე დარაჯობისას პრეტორის უფლებებით აღჭურვილ ლეგატს – გიგუს ლაბინუსს – უბრძანა ორი ლეგიონით და იმ ბილიკების მცოდნე მეგზურებით მთის მწვერვალი დაეკაებინა. მას თავისი გეგმა გააცნო. თავად მეოთხე დარაჯობისას იმ გზით დაიძრა, რომლითაც მტერი მიემართებოდა და მთელი კავალერია წინ გაიძლოდა. მშვერავებთან ერთად გაგზავნა პ. კონსიდიუსი; იგი საომარი საქმის მცოდნედ ითვლებოდა. პ. კონსიდიუსი ჯერ ლ. სკლას ჯარში მსახურობდა, მოგვიანებით კი მ. კრასუსთან.<sup>24</sup>

22. გამთენიისას ლაბინუსმა მთის მწვერვალი დაიკავა. თავად კეისარი კი მგრის ბანაკიდან არა უმეტეს ერთ-ნახევარზე<sup>25</sup> მილით იყო დამორებული. შემდგომ გყვეთავან შეიგყო, რომ პელეგებს არც კეისრის, არც ლაბინუსის მისვლა არ გაუგიათ. ამ დროს მასთან ჭენებით მიიჭრა კონსიდიუსი და უთხრა, რომ მთა, რომლის დაკავებაც ლაბინუსს ჰქონდა ნაბრძანები, მტერს ეუყრა. იგი ამას გალების საჭურელისა და სამშენისების<sup>26</sup> მიხედვით მიხედვად იყნო. კეისარმა თავისი ჯარი ბორცვთან მიიყვანა და საბრძოლო წესით განლაგა. მას ლაბინუსი გაურთხილებული ჰყავდა, მანამ არ დაეწყო ბრძოლა, სანამ მგრის ბანაკის პირისპირ არ აღმოჩნდებოდა. ლაბინუსი მთაზე განლაგდა და ჩვენების მოლოდინში ბრძოლისაგან თავს იკავებდა, რათა მგრეზე ერთდროულად მიეგანათ იერიში. დღის ბოლოს კეისარმა მშვერავებისგან შეიგყო, რომ მთა რომაელებს აქვე დაკავებული და პელეგებმა ბანაკი აყარეს. შემინებულმა კონსიდიუსმა კი აუწყა, თითქოს მან ნახა ის, რაც სინამდვილეში არ უნახავს. იმ დღეს კეისარი აღრინდელი ინტერეალის დაკეთვით გაჰყვა მტერს და პელეგებისაგან სამი მილის დამორებით დასცა ბანაკი.

23. ჯარისკაცებისათვის სურის განაწილებამდე სულ ორი დღეა რჩებოდა. და რადგანაც ბიბრაქსიდან – ელუების ყველაზე დიდი და მდიდარი ქალაქიდან – არა უმეტეს თერამეტი მილით იყვნენ დამორებული, კეისარმა გადაწყვიტა, საკეებზე ემბრუნა. პელეგებისგან პირი იბრუნა და ბიბრაქსის გზას დაადგა. ეს გალების ცხენოსანთა ათეულის უფროსის, ლ. ემილიუსისაგან, ლგოლელებმა აუწყეს მტერს. შეიძლება პელეგებმა იფიქრეს, რომ შიშით მარდაცემული რომაელები მათ განერიდნენ; მით უმეტეს, რომ წინა დღეს რომაელები, რომლებმაც მალლობი ადგილები დაიკავეს, ბრძოლაში არ ჩაებნენ; ან, შეიძლება, მათ რომაელებისთვის სურის გზის მოჭრის იმედი ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, პელეგებმა შეცვალეს თავიანთი გეგმა; უკან მობრუნდნენ და ჩვენი არიერგარდის გაღმინება დაიწყეს.

24. ეს რომ შეამჩნია, კეისარმა თავისი ჯარი უახლოეს ბორცვზე აიყვანა და ცხენოსნები წინ გაგზავნა, რათა მგრის თავდასხმები მოეგერიებინათ. ფურდობის შუაში ძველი ოთხი ლეგიონი სამ რიგად დააწყო. მათ შემოთ კი მთის წვერზე ის ორი ლეგიონი დააყენა, რომელიც ბოლო ხანს შეკრიბა მახლობელ ვალიამი. სხვა დამხმარე რაზმებიც განლაგა და მთელი მთა აღამიანებით აავსო. ამასთან, ბარგი ერთ ადგილას დააგროვებინა და ყველაზე ზემო რიგებში მდგომთ უბრძანა ამ ავლადილების დასვის უბრუნელებოდა. პელეგები მთელი თავიანთი ურმებით დაედევნენ, ალაღი ერთ ადგილას დააბინავეს. მათ შემჭიდროებული რიგებით უკუაგდეს ჩვენი ცხენოსნები და ფალანგად დაწყობილებმა პირველ მჭკრიეს შემოუგეს.

25. კეისარმა ბრძანა, რომ მჭკრიესთან უპირველესად მისი, შემდგომ კი ყველა სხვა მეთაურის ცხენები, რათა საფრთხე ყველასთვის თანაბარი ყოფილიყო და გაქცევის იმედი აღეკვეათ. შემდგომ გაამხნევა თავისი ჯარისკაცები და ბრძოლა დაიწყო. ჯარისკაცებმა მალლობებიდან სკორინეს მუბები და ადვილად გაარღვიეს მგრის ფალანგა. შემდგომ მახვილებით დაერივნენ გაფანტულებს. გალებისათვის ბრძოლისას დიდ დაბრკოლებად იქცა ის, რომ რომაელები მათ ფარებს ხშირად მუბის ერთი გყ-

ორცნით კვეთდნენ და ერთმანეთს ალურსმზავდნენ. როდესაც შუბების რკინის წვეკები ფარში იღუნებოდა, უკან ვეღარ იღებდნენ. და რადგანაც მარცხენა ხელი დაკავებული ჰქონდათ, სათანადოდ ვეღარ იბრძოდნენ. ამიგომ ბევრი მათგანი, დიდხანს ხელის ქნევის შემდეგ, ამჯობინებდა ფარი გადაეგლო და ისე ებრძოლა. ბოლოს, ჭრილობებით დასერილებმა, უკან, მახლობელი მთისაკენ, დაიხიეს, რომელიც დაახლოებით ერთი მილით იყო დაშორებული. იქ უნდოდათ თავის შეფარება. როდესაც პელევეტებმა მთა დაიკავეს, ჩვენები ქვემოდან მიუახლოვდნენ. ამ დროს ბოებისა და ტულინგების გომის თხუთმეტი ათასამდე კაცმა, რომლებიც მგრის არიერგარდს ეტყავდნენ და ამავერებდნენ, დაუკველი მარჯვენა ფლანგიდან შემოგვიარა და შემოგვიცია. ეს რომ ნახეს, მთაზე უკუქეული პელევეტები კელავე შემობრუნდნენ და ბრძოლა განაახლეს. საპასუხოდ რომაელებმა ორი მხრით შეუტყეს: პირველი და მეორე მწკრივი დამარცხებულ და გაქეულ პელევეტებს დაუპირისპირდა, მესამე კი – ახლახან მოსულებს.

26. დიდხანს და სასტიკად იბრძოდნენ ორ ფრონტზე. ბოლოს, როცა ჩვენი შეტევების მოგერიება ვერ შეძლეს, მოწინააღმდეგეთა ნაწილი ადრევე დაკავებულ მთაზე დაბანაკდა, ნაწილი თავის ბარგთან და ურმებთან მიბრუნდა. ამ ომისას, რომელიც შეიდი საათიდან საღამომდე გაგრძელდა, არც ერთ მგერს მურვი არ უჩვენებია. გვიან ღამემდე გავრძელდა ბრძოლა ფრონტებთანაც, რადგანაც მტრებმა მიწაყრილების მაგიერად ურმები ჩახერგეს და ჩვენს შეტევებს ხელოვნურად ამაღლებული ადგილებიდან იგერიებდნენ. ზოგნი კი ურმებსა და ბორბლებს შორის დაიმალნენ. ისინი ხელმუბებთა და ღველიანი ოროლებით ჭრიდნენ ჩვენებს. ბოლოს, დიდი ბრძოლის შემდეგ, ფრონტიცა და ბანაკებიც ჩვენებმა ჩაიგდეს. ტყვედ აიყვანეს ორგეტგორიქისის ქალიშვილი და ერთ-ერთი ვაჟი. ამ ბრძოლას პელევეტთაგან დაახლოებით 130 ათასი ადამიანი გადაურჩა. ისინი მთელი ღამის განმავლობაში შეუჩერებლად მიდიოდნენ. არც დღისით ყოვნდებოდნენ საღამე, არც ღამით. მეოთხე დღეს ლინგონუსების სამღვართან მივიდნენ. ჩვენები კი მთელი საღამე დღე დაბრკოლდნენ დაჭრილი მებრძოლებისა და დახოცილების დაკრძალვის გამო. ამიგომაც პელევეტებს ვეღარ მისდიეს. კეისარმა ლინგონუსებს წერილები და მიკრიკები გაუგზავნა; უბრძანა, რომ არ დახმარებოდნენ პელევეტებს არც პურით, არც სხვა რამით. ვინც დაეხმარებოდა, იმგერადვე მოქეყოლდა, როგორც პელევეტებს. თავად საღამე დღის შემდეგ მთელი ჯარით დაიძრა მათკენ.

27. უმძიმეს ვითარებაში აღმოჩენილმა პელევეტებმა კეისართან ელჩები გაგზავნეს მეწყალბების სათხოვნელად. ელჩები კეისარს გზაში შეხედნენ და ფეხებში ჩაუყვივდნენ. თავდადრეკილები ქეითინით უმორჩილესად ევედრებოდნენ მავს. კეისარმა უბრძანა იქ დალოდებოდნენ, სადაც იმეამად იყვნენ. ისინი დამორჩილდნენ. როდესაც კეისარი მივიდა, მოითხოვა მძეველები, იარაღი და რომაელთაგან გაქეული მონები. სანამ ამ ყველაფერს ეტებდნენ და ერთ ადგილას აგროვებდნენ, დაღამდა. ეერბიგენუსების პაგიდან დაახლოებით ექვსი ათასმა კაცმა დაღამებისთანავე დაგოვა პელევეტების ბანაკი და გაემართა მდინარე რენუსისაკენ გერმანელებთან. მათ ეს გააკეთეს ან შიშით დაზაფრულებმა, რომ განიარაღების შემდეგ მკაცრად დაისჯებოდნენ, ან მონობისაგან თავის დახსნის მიზნით; იმ იმედით, იქნებ, დანებებულთა ასეთ მრავალრიცხოვნებაში მათი გაპარვა არ გამეღვენდებოდა, ან შეუმჩნეველი დარჩენოდათ.

28. როდესაც კეისარმა ეს შეიგყო, იმ გომებს, რომელთა ტერიტორიებზეც ვერბიგენუსები გადიოდნენ, უბრძანა: თუ სურდათ თავის გამართლება კეისარის წინაშე, მოეძებნათ და უკან დაებრუნებინათ გაქეულები. დაბრუნებულებს სასტიკად გაუსწორდა. დანარჩენები კი მძევეების, იარაღისა და გაქეული მონების გადმოცემის შემდეგ შეიწყნარა. პელევეტებს, ტულინგებს, ლაგოვიკებს უბრძანა იმავე მიწებზე დაბრუნებულყვენენ, საიდანაც აიბარგნენ. რაკი მთელი ჭირნახული გაანადგურეს და შინ აღარაფერი ჰქონდათ, რომ არ დამშეულიყვენენ, ალობროგებს დაავალა მათთვის პური მიეყათ. პელევეტებს თავიანთი გადამწყვარი ქალაქებისა და სოფლების აღდგენა უბრძანა. ეს იმიგომ გააკეთა, რომ არ სურდა მათი ტერიტორიები დაცარიელებულიყო.

ხომ შეიძლებოდა პელეგების ნაყოფიერ სავარგულებს დახარბებულ რენუსგადაღმელ გერმანელებს თავიანთი მხარე დაეგოვებინათ და მათ მიწამე დასახლებულიყვნენ. ამგვარად, გერმანელები გალიის პროვინციისა და ალობროგების შემობლები გახდებოდნენ. კეისარმა შეიწყინარა ელუელთა თხოვნა – მათთან დასახლებულიყო საოცარი სიმამაციით ცნობილი ბოების გომი. ბოებს გამოუყვეს მიწები. შემდგომ კი ისეთივე უფლებები მისცეს, როგორც თავად ელუებს ჰქონდათ.

29. პელეგების ბანაკში იპოვეს ბერძნული ასოებით დაწერილი სიები და კეისარს მოახსენეს. ამ სიებში სახელდებით იყო აღრიცხული ყველა, ვინც მშობლიური მიწა დატოვა. ცალკე იყო მითითებული იმათი რაოდენობა, ვისაც იარაღის გარება შეეძლო, ცალკე – ბავშვების, მოხუცებისა და ქალებისა. აღმოჩნდა, რომ პელეგები სულ ორას სამოცდასამი ათასი ყოფილან, გულინგები – ოცდათექვსმეტი ათასი, ლაგოვიკები – თოთხმეტი ათასი, რაურიკები – ოცდასამი ათასი, ბოები – ოცდათორმეტი ათასი. ამათგან იარაღის გარება შეეძლო ოთხმოცდათორმეც ათასს. საერთო ჯამში შეადგენდა დაახლოებით სამას სამოცდარვა ათასს. კეისარს ბრძანებით ჩატარებული აღრიცხვის მიხედვით, შინ დაბრუნდა ასი ათასი.

30. პელეგებთან ბრძოლის დამთავრების შემდეგ, კეისართან მისალოცად შეიკრიბნენ თითქმის მთელი გალიიდან სხვადასხვა გომების წარმომადგენელი თავადები. ისინი ასე მსჯელობდნენ: მართალია, კეისარმა პელეგებთან რომაელების ძველი ანგარიშები გაასწორა, მაგრამ მათი ძლევით არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა გალებისთვისაც. პელეგებმა ხომ თავიანთი სახლები იმიგომ მიაგოვეს, რომ მთელი გალია დაეპყროთ, თუშეძალა ნაყოფიერ მხარეში ცხოვრობდნენ. მათ სურდათ ხელთ ეგდოთ ძალაუფლება, შემდგომ დაპყრობილი გერიგორიებიდან აერჩიათ ყველაზე ვარგისი და ნაყოფიერი ადგილები; დანარჩენი მოსახლეობა კი დაეხვედრათ. თავადებმა ითხოვეს, მისთვის ხელსაყრელ რომელიმე დღეს კეისარს მთელი გალიის წარმომადგენელთა შეკრების ნება დაერთო, რათა მოვიერთი ერთობლივად გადასაწყვეტი საკითხი განესაჯათ. ამ თათბირის შემდგომ კი კეისარს თხოვნით მიმართავდნენ. დასტურის მიღების შემდეგ მათ დათქვეს შეკრების დღე და ერთმანეთს შეჰყივეს, რომ კონსტანიუმის ნდობით აღჭურვილი პირების გარდა, არავისთვის ეცნობებინათ კრების დადგენილებები.

31. ამ შეკრების დამლის შემდეგ, კეისართან დაბრუნდნენ იმ გომების თავკაცები, რომლებიც ადრეც იყვნენ და სთხოვეს, მოლაპარაკებოდა მათ არა მხოლოდ პირადულ, არამედ ყველასთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. თანხმობა რომ მიიღეს, თვალყრემლიანები კეისარს ფეხებში ჩაუყვივდნენ. თავადებმა თქვეს, რომ მათი ნათქვამი არაფრით არ უნდა გამეღაენებელიყო, თხოვნა კი უეჭველად უნდა აღსრულებულიყო. ამ ამბის გაჟონვის შემთხვევაში სამინელი განსაუდელი ელოდათ. ბოლოს მათი სახელით ელუელი დივიგიაუსი ალაპარაკდა: მთელი გალია ორ დაჯგუფებად იყოფა, რომელთაგან ერთს თავკაცობენ ელუები, მეორეს – არეერნები. ისინი მრავალი წელი ებრძოდნენ ერთმანეთს ძალაუფლებისთვის. საქმე იქამდე მივიდა, რომ არეერნებმა და სეკვანებმა გერმანელების დაქირავებული ჯარი მოიწვიეს. თავიდან დაახლოებით თხუთმეტი ათასმა გერმანელმა გადმოლახა რენუსი, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ გაუთლელ ველურებს გალების სავარგულები, ცხოვრების წესი და დოვლათი მოეწონათ, უფრო მეტნი გადმოვიდნენ. ამჟამად გალიაში დაახლოებით ასოცი ათასი გერმანელია. ელუები და მათი კლიენგები არაერთგმის შეეხნენ მათ, მაგრამ ბოლოს სასტიკად დამარცხდნენ და დაკარგეს ყველაფერი – დიდებულები, სენატი, მხედრობა. ვაეკაცობით, რომელი ხალხისადმი მეგობრობითა და სტუმართმოყვარეობით მთელ გალიაში ადრე ცნობილი ელუები ამ გამანადგურებელი ბრძოლებით დასუსტდნენ და იძულებულნი გახდნენ სეკვანებისთვის მძევლად მიეყათ უწარჩინებულესი მოქალაქენი. ხალხი კი იძულებით დააფიცეს, რომ არც მძევლების დაბრუნება ეთხოვათ მათგან, არც რომაელებისთვის მიემართათ დასახმარებლად; არასოდეს დაპირისპირებოდნენ და მუდამ სრულ მორჩილებაში ყოფილიყვნენ. დივი-

გიაკუსი იყო ერთადერთი ელუბს შორის, რომელსაც ვერ დააფიცეს, არც შეიღებო მიუცია მძევლად. რაკი ერთადერთი იყო, რომელიც არც ფიცით იყო შეკრული, არც მძევლები ჰყავდა მიცემული, თავისი ქვეყნიდან გაიქცა და რომის სენატში მივიდა დახმარების სათხოვნელად. გამარჯვებულ სექვანებს უფრო უარესი ღლე დაადგათ, ვიდრე დამარცხებულ ელუბს. არიოვისგმა, გერმანელების მეფემ, სექვანების მიწების მესამედი – საუკეთესო მთელ გალიაში – თავის ტერიტორიებს შეუერთა და ახლა კიდევ ერთი მესამედის განთავისუფლება უბრძანა, რადგან რამდენიმე თვის წინ არიოვისგს ოცდაოთხი ათასი პარულელი შეემატა და მათთვის სამოსახლო ადგილი უნდა მოეპოვებინა. ალბათ, რამდენიმე წელიწადში გალების ყველა გომს განდევნიან სამშობლოდან, გერმანელები კი გადმოლახავენ რენუსს. ხომ ცხადია, რომ არც გალებისა და გერმანელების მიწების შედარება შეიძლება, არც მათი ცხოვრების წესისა. მაგეტობრიგასთან გალების დამარცხების შემდეგ არიოვისგის უფრო თავხედურად და მკაცრად მბრძანებლობს. მძევლებად ითხოვს ყველაზე ცნობილი მოქალაქეების შეიღებს და თუ რამე მისი ნება-სურვილის გარეშე გაკეთდება, ამ მძევლებს სამავალითოდ მკაცრად სჯის. იგი ველური ადამიანია, ფიცხი და თავქარიანი. გალებს მისი დესპოტიზმის ატანა მეტად აღარ შეუძლიათ. თუ ისინი კეისრისა და რომაელი ხალხისაგან დახმარებას არ მიიღებენ, ყველა გალს მოუწევს, მიჰბადონ პლევებს. კერძოდ, დაგოონ სახლ-კარი და სხვა ადგილას გადაბარგდნენ, შორს გერმანელებისგან. ჩიოლნენ, რომ იძულებული იყვნენ ყველაფერი აეტანათ, რაც ბედმა არგუნა.

თუ არიოვისგის ამას გაიგებს, უეჭველია, ყველა მძევალს უმკაცრესად დასჯის. მხოლოდ კეისარს შეუძლია ან თავისი ავტორიტეტით, ან ჯარით, ან ბოლოდროინდელი გამარჯვებით, ან რომაელი ხალხის სახელით დაამინოს, რათა გერმანელების ახალმა გალამ აღარ გადმოლახოს რენუსი და დაიყვას გალია არიოვისგის ძალმორეობისაგან.

32. დივიტიაკუსის სიგყვის შემდეგ შეკრების ყველა მონაწილე ქვითინით ევედრებოდა კეისარს დახმარებას. კეისარმა შენიშნა, რომ მხოლოდ სექვანები არ იქცოდნენ სხეებით, თუმცა მწუხარედ თავჩაქინდრულები მიწას დასცქეროდნენ. გაკვირვებულმა კეისარმა ამის მიზეზი ჰკითხა. სექვანებმა არაფერი უპასუხეს, ძველებურად იდგნენ მწუხარე მღვმარებით. კეისარმა რამდენჯერმე გაიმეორა შეკითხვა, მაგრამ რაკი მათგან ვერაფერი შეიგყო, ისევ ელუებმა დივიტიაკუსმა თქვა: სხვა გალებთან შედარებით სექვანთა მღვმარეობა იმდენად მძიმე და საეაღალაოა, რომ ისინი მალულადაც კი ვერ ითხოვენ შემწეობას. დაუსწრებლადაც ისე ეშინიათ არიოვისგის სისასტიკის, თითქოს მის წინაშე ღვანან. ეშინიათ, რადგან დანარჩენებს შესაძლებლობა აქვთ, გაერიდონ. სექვანებს კი მრავალი უბედურების ატანა მოუწევთ, რადგან მთელი მათი მხარე და ყველა ქალაქი არიოვისგს ემორჩილება.

33. ამ ამბების გაგების შემდეგ, კეისარმა გალები გაამხნევა და დაჰპირდა, რომ თავად იბრუნებდა ყველაფერზე. მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ არიოვისგისადმი გაწეული სიკეთისა და მისი ავტორიტეტის გავლენით ეს უკანასკნელი შეწყვეტდა ძალმომრეობას. ამ დაპირებით კრება დაითხოვა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კეისარს სხვა მრავალი გარემოება აფიქრებინებდა ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის: პირველ რიგში, ის, რომ ელუები, რომლებიც ხშირად რომაელების სისხლისმიერ ძმებად იწოდებოდნენ<sup>27</sup>, გერმანელების მონობასა და მორჩილებაში იყვნენ. მათი მძევლები არიოვისგსა და სექვანებს ჰყავდათ. ამას კი, რომაელი ხალხის ძლიერების ასეთი ბეობის ეამს, თავისთვისაც და რესპუბლიკისთვისაც სამარცხვინოდ მიიჩნედა. ამასთან, ფიქრობდა, რომაელთათვის საშიში იყო, თუ გერმანელები მიეჩვეოდნენ რენუსის გადალახვას და გალების ტერიტორიების ექსპანსიას. მთელი გალიის დაპყრობის შემდეგ, ეს ველური და ბარბაროსი ადამიანები კიმბრებისა და გეტონების მსგავსად თავს არ შეიკავებდნენ პროვინციაში გადმოსვლისაგან. იქიდან კი იგალიისკენ აიღებდნენ გემს. მით უმეტეს, რომ სექვანებს ჩვენი პროვინციისგან მხოლოდ მდინარე როდანუსი გამოყოფს. კეისარი ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი უსწრაფ-

ესად უნდა აღეკეთა. თავად არიოვისტიც ისე გაამაყდა და გაყოყობდა, რომ მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა.

34 ამიგომ კეისარმა გადაწყვიტა არიოვისტთან ელჩები გაეგზავნა; შეუთვალა, რომ ერთმანეთს მოსალაპარაკებლად შეხვედროდნენ ორივე მხარისგან თანაბრად დამორებულ ადგილას. აუწყა, რომ სურდა სახელმწიფოს საქმეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარი. ამ ელჩობას არიოვისტმა ასე უპასუხა: მას რომ კეისართან საქმე ჰქონოდა, თავად ეახლებოდა. თუ კეისარს რამე სურს არიოვისტისგან, თვითონ უნდა მივიდეს. გარდა ამისა, ჯარის გარეშე იგი ვერ გაბედავს გალიის იმ ნაწილში მისვლას, სადაც კეისარია. არც ის შეუძლია, რომ სერიოზული სამზადისისა და მარაგის გარეშე დაძრას არმია. არიოვისტს უკვირს, რა ესაქმება კეისარს ან რომაელ ხალხს გალიის იმ ნაწილთან, რომელიც მან ბრძოლით დაიმორჩილა.

35. როდესაც კეისარს ეს პასუხი მოახსენეს, ხელმეორედ გაგზავნა ელჩები არიოვისტთან და შეუთვალა: კეისარმა და რომაელმა ხალხმა დიდი კეთილგანწყობა გამოამჟღავნეს არიოვისტისადმი. სწორედ კეისარის კონსულობისას დაასახელა იგი სენატმა მეფედ და მოკავშირედ. არიოვისტმა კი კეისარსაც და რომაელ ხალხსაც მაღლიერების პასუხად მოსალაპარაკებლად მიპატიებებამეც უარი განუცხადა; მას ისიც არ სურს, რომ ორივესთვის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილონ. ამიგომ კეისარი ითხოვს: არიოვისტმა აღარ დაუშვას ხალხის მასობრივი გადმოსახლება რენის გაღმიდან გალიაში. გარდა ამისა, მძევლები, რომლებიც ელჩებისგან აიყვანა, უკან დაუბრუნოს; სექიანებს კი ნება დართონ, დაუბრუნონ ელჩებს მძევლები. არ შეაწუხოს ელჩები, არ აღმართოს მახვილი ელჩებისა და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ თუ არიოვისტი ყოველივეს აღასრულებს, სამუდამოდ შეინარჩუნებს კეისარისა და რომაელი ხალხის კეთილ, მეგობრულ განწყობას, მაგრამ თუ ამ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, მაშინ იგი უყურადღებოდ არ დატოვებს ელჩებს, რადგან მარკუს მესალას და მარკუს პიზოს კონსულობისას სენატმა დაადგინა, რომ გალიის პროვინციის ყოველმა მმართველმა, რესპუბლიკის ინტერესების შესაბამისად, უნდა დაიყვას ელჩები და რომაელი ხალხის სხვა მეგობრები.

36. ამაზე არიოვისტმა უპასუხა: ომის კანონი გამარჯვებულს უფლებას აძლევს დამარცხებულს ისე მოექცეს, როგორც მას სურს. გამარჯვებული რომაელებიც სხვათა კარნახით კი არ მოქმედებენ, არამედ, როგორც წესი, საკუთარი შეხედულებების შესაბამისად. თუ არიოვისტი არ მიუთითებს რომაელ ხალხს როგორ მოიქცნენ, არც რომაელებმა უნდა შეუშალონ მას ხელი თავისი კანონიერი უფლებების განხორციელებაში. ელჩები გერმანელების მოხარკენი იმიგომ გახდნენ, რომ ომში ბედის გამოცდა სცადეს, მაგრამ დამარცხდნენ. კეისარი დიდ უსამართლობას ჩადის იმით, რომ თავისი მოსვლით არიოვისტის შემოსავალი შეამცირა. იგი (არიოვისტი) ელჩებს მძევლებს არ დაუბრუნებს; ამასთან, არც ელჩების და არც მათი მოკავშირეების წინააღმდეგ არ დაიწყებს ბრძოლას უსაფუძვლოდ, თუ ისინი პატიოსნად შეასრულებენ იმას, რამაც შეთანხმდნენ და ყოველწლიურად გადაიხდიან ხარკს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ვერ უშველით რომაელი ხალხის ძმის ტიტული. მართალია, კეისარი მას აუწყებს, რომ ელჩებისთვის მიყენებულ უსამართლობას უყურადღებოდ არ დატოვებს, მაგრამ იცოდეს, ვინც არიოვისტს შეება, ყველა სასტიკად დამარცხდა. თუ კეისარს სურს, წამოვიდეს. მაშინ იგი დარწმუნდება, როგორი ძალა აქვს ომში გამოწრთობილი უძლეველი გერმანელების ვაჟაკობას, რომელთაც ბოლო თოთხმეტი წელია, საერთოდ არ უცხოვრიათ ჰერქვემ.

37. სწორედ მაშინ, როცა კეისარმა ეს პასუხი შეიგყო, მოვიდნენ ელჩებისა და გრევერუბის ელჩები. ელჩები ჩიოდნენ, რომ პარულები, რომლებიც ახლახან შემოვიდნენ გალიაში, მათ მიწებს აჩანაგებდნენ. არიოვისტს მძევლები კი მისცეს, მაგრამ მისგან მშვიდობის ყიდვა ვერ შეძლეს. გრევერუბი კი წუხდნენ, რომ სეებების ასი პატი რენუსს მოადგა. ისინი მდინარის გადმოლახვას ცდილობენ. სეებებს წინამძღოლობენ ძმები – ნასუაში და კიმბერიუმი. ამ ამბავმა კეისარი ძალიან ააღელვა და საჭიროდ ჩათვალა, დაუყოვნებლივ მიეღო გადაბჰრევი მომები, რათა სეებების ახალი რაზმები არიოვისტის ჯარს არ შეერთებოდნენ. მა-

მინ მათთან დაპირისპირება უფრო გაძნელებულია. ამიგომ, შეძლებისდაგვარად სწრაფად მოაწესრიგა სურსათის საქმე და დაუყოვნებლივ გაემართა არიოვისგისკენ.

38. სამი დღის სიარულის შემდეგ კეისარს აუწყეს, რომ არიოვისგი სამი დღის წინ მთელი ძალებით დაიძრა თავისი სამღვრებიდან სექციანების უმთავრესი ქალაქის, ვესონგიონის, დასაპყრობად. კეისარი ფიქრობდა, რომ ეს ქალაქი არაფრით არ უნდა დაენებებინა, რადგან იქ ადვილი იყო ომისთვის საჭირო მარაგის მოპოვება. ამასთან, ქალაქს ისეთი ბუნებრივი ადგილმდებარეობა ეჭირა, რომ იოლად შეიძლებოდა ომის გაჭიანურება. ვესონგიონს თითქმის მთლიანად ფარგლავს მდინარე ღუბისი. რჩება ათას ექვსასამდე ფუტის მონაკვეთი, რომელზეც მაღალი მთაა აშლილი. ამასთან, ამ მთის ძირი ორივე მხრივ მდინარის ნაპირებს ემიჯნება. კედელი, რომელიც გარს უვლის მთას, მას ციხესიმაგრედ აქცევს და ქალაქთან აერთებს. კეისარმა დღე და ღამე გაასწორა, უსწრაფესად გაემართა იქით. ქალაქი დაიკავა და ვარნიზონი ჩააყენა.

39. კეისარი რამდენიმე დღით ვესონგიონში დაყოვნდა პურისა და სხვა მარაგის საქმის მოსაგვარებლად. ამასობაში ჩვენები ინფორმაციას აგროვებდნენ გერმანელების, ვალების და ვაჭრების შესახებ. შეიგყვეს, რომ გერმანელები გამოირჩევიან ბრგე აღნაგობით, არნახული ვაეკაობით და ვაწაფული არიან იარაღის ხმარებაში (მიუხედავად მათთან ხშირი შეტაკებებისა, ვალები მაინც ვერ ახერხებდნენ აღეწერათ ვალების სახის გამომეტყველება და გამგოლი მგერა). მოულოდნელად მთელ ჯარს ისეთი შიში დაეუფლა, რომ ყველას სული და გონება უზომოდ ააფორიაქა. თავდაპირველად ეს შიში გამქვადენდა სამხედრო გრიბუნებს, რამბების მეთაურებსა და იმ ადამიანებში, რომლებიც რომიდან კეისართან მეგობრობის გამო წამოვიდნენ და საბრძოლო საქმეში დიდი გამოცდილება არ ჰქონდათ. ისინი სხვადასხვა მიზეზს ასახელებდნენ და ცდილობდნენ დაესაბუთებინათ თავიანთი გამგზავრების აუცილებლობა. ითხოვდნენ, რომ კეისარს მათთვის წასვლის ნება დაერთო. ზოგიერთი მხოლოდ იმიგომ რჩებოდა, რომ მათ ვაეკაობაში არ დაეჭვებულებიყვნენ. მათ ვერც სახის გამომეტყველების შეეკლა შეძლეს; ხანდახან ცრემლების შეკაევებასაც ვერ ახერხებდნენ. კარებში განმარტოებულნი ან თავიანთ ბელზე ჩიოდნენ, ან მეგობრებთან ერთად საერთო საშიშროებაზე ვალალებდნენ. ყველგან, მთელ ბანაკში ანდერძებს; ადგენდნენ. მათი მიზნარევი ზენემა თანდღათან იმათზეც ახლენდა ვაეულენას, რომლებსაც ბრძოლების დიდი გამოცდილება ჰქონდათ. ცენგურიონის მეომრები და ცენოსანთა მეთაურებიც აფორიაქდნენ. ისინი, რომლებსაც არ უნდოდათ მხალალებად ჩათვალათ, ამბობდნენ, რომ მგრის კი არ ემინიათ, არამედ ვიწრო გზის და უღრანი გყეებისა, რომლებიც მათსა და არიოვისგს შორის იყო. ან ამბობდნენ, რომ ამჟოთებთ საკეებით მომარაგების საკითხი. ზოგიერთმა კეისარს ისიც უთხრა, რომ შემინებული ჯარისკაცები არ დაემორჩილებოდნენ, თუ იგი ბანაკის აყრას და სალაშქროდ წასვლას ბრძანებდა.

40. ეს რომ შენიშნა, კეისარმა კრება მოიწვია; იხმო ყველა რანგის ცენგურიონი და მკაცრად მიმართა: რა მებრძოლების საქმეა გამოიკითხონ და იფიქრონ, თუ სად და რა მიზნით მიჰყავთ ისინი?! კეისარს კონსულობისას არიოვისგი ძალიან ესწრაფოდა რომაელი ხალხის მეგობრობას. რაგომ ჰგონია ვინმეს, რომ იგი ახლა უსაფუძვლოდ აარიდებს თავს თავის ვალდებულებას? ყოველ შემთხვევაში, კეისარი ფიქრობს, როდესაც არიოვისგი გაეუნონა მის მოთხოვნებს და დარწმუნდება მათ სამართლიანობაში, უგუნურად არ მოეკიდება კეისარისა და რომაელების კეთილგანწყობას. მაგრამ თუ, სიმშავითა და სიბრიყვით გონდაკარგული, ომს წამოიწყებს, ბოლოს და ბოლოს, რისი უნდა გეეშინოდეს? რაგომ შეაქვთ მეომრებს ეჭვი ან საკუთარ ან კეისარის სიქველემი? ეს მოწინააღმდეგე ხომ გამოცადეს ბრძოლებში ჯერ კიდევ ჩენი მამების დროს, როდესაც გაიუს მარიუსმა კიმბრები და გეეგონები დაამარცხა. მაშინ მეომრებმა წინამძღოლზე ნაკლები ქება როდი დაიმსასურეს. ამას წინათ იგალიამიც შეებნენ ერთმანეთს მონათა აჯანყებისას;<sup>28</sup> იქ გამოჩნდა, რომ რომაელთაგან გადაღებულმა წვრთნის წესებმა და დისციპლინამ მათ გარკვეული სარგებლობა მოუგანა. აქედან შეიძლება დავასკენათ, თუ რა ძალა აქვს სიმკიცეს. თუმცა ერთხანს, გარკვეული დროის განმავლობაში, უმიზეზოდ ეშინოდათ მათი მამინაც კი, როცა ეს უკანასკნელნი ცულად იყენენ შეიარაღებული. რომაელებმა მაინც სძლიეს. დაბოლოს, ეს

სწორედ ის ხალხია, რომელსაც ხშირად ამარცხებდნენ ქელვეტები როგორც საკუთარ, ისე მტრისავე ტერიტორიაზე. ქელვეტებს კი ჩვენთან გატოლებაც არასდროს შეეძლოთ. თუ ვინმე გალების წარუმატებლობისა და უკუქცევის გამო ღელავს, საკითხის გაანალიზების შემდგომ მიხედვით, რომ გალები ხანგრძლივი ომებით იყენებდნენ დალილები. არიოვისტი კი რამდენიმე თვის განმავლობაში არ გამოსულა ჭაობში განლაგებული თავისი ბანაკიდან. არ აძლევდა მათ შერკინების საშუალებას. როდესაც გალებს მასთან ბრძოლის იმედი უკვე გადაეწურათ და გაიფანტნენ, სწორედ მაშინ მოულოდნელად დაესხა არიოვისტი თავს და გაიმარჯვა არა იმდენად ვაქეაქობით, რამდენადაც ცბიერებით. მაგრამ თუ ამგვარი გათვლა უპირიანი იყო ბარბაროსი და გამოუცდელი ადამიანების წინააღმდეგ, თავად არიოვისტსაც არა აქვს იმედი, რომ ასევე გააცურებს ჩვენს ჯარს. ისინი კი, რომლებიც ვითომც სურსათის მარაგის გამო წუხილს და გმის სიეიწროვეს იმიზეზებენ, ღიდ თავხედობას იჩენენ, რომ ჭეჭეჭემ აყენებენ მხედართმთავრის ერთგულებას თავისი მოვალეობისადმი, ან სურთ მიუთითონ მთავარსარდალს. ამაზე კეისარი იბრუნებს. პურს სეკვანები, ლევეკები, ლინგონები მიუტანენ, თანაც ხორბალი მინდორშიც დამწიფდა. გმის მდგომარეობის შესახებ კი მალე თვითონვე გაიგებენ ყველაფერს. რაც შეეხება იმას, თითქოს ჯარისკაცები არ დაემორჩილებიან და მტერს არ შეებრძოლებიან, ეს კეისარს არ ალევეებს. მან იცის, რომ ჯარი იმათ არ უჯერებს, ვისაც ხელმძღვანელობა არ შეუძლია. ასეთებს არც ბედი წყალობით. ან კიდევ მანკიერი თვისებები აქვთ, მხილებულნი არიან ამკარა სიხარბეში. კეისარის უანგარობა კი დადასტურებულია მისი ცხოვრების წესით, იბლიანობა – ქელვეტებზე გამარჯვებით. ამიგომ მან გადაწყვიტა დაუყოვნებლივ განეხორციელებინა ის, რის გაკეთებასაც უფრო მოგვიანებით აპირებდა. კერძოდ, მალევე ღამით, მეოთხე დარაჯობისას, აყარა ბანაკი, რათა მალევე დარწმუნებულიყვნენ, რა უფრო ძლიერია მათში – მოვალეობისა და ღირსების გრძნობა, თუ სიმბდალუ კიდევაც რომ არავინ გაქვევს, კეისარი გაემართება მხოლოდ მეთათე ლეგიონით, რომელშიც ეჭვი არ ეპარება. ეს იქნება მისი პრეტორული კოჰორტა.<sup>29</sup> ამ ლეგიონის მიმართ კეისარი ყოველთვის გამოსხატავდა განსაკუთრებულ კეთილგანწყობას და ძალიან ენდობოდა სიმამაცის გამო.

41. ამ სიტყვამ საოცრად შეცვალა მებრძოლთა განწყობა; თითოეულს უდიდესი სიმხნევე და ალტყინება შთაბერა. უპირველესად, მეთათე ლეგიონმა კეისარს სამხედრო გრიბუნების პირით მადლობა შეუთვალა შესანიშნავი დახასიათების გამო და ბრძოლისათვის მზადყოფნა განუხცადა. შემდგომ დანარჩენმა ლეგიონებმა სთხოვეს თავიანთ სამხედრო გრიბუნებსა და პირველი რანგის ცენტურიონებს, მათი სახელით მოებოდიშებინათ კეისართან და ეთქვათ, რომ მათ არასდროს უყოყმანიათ, არც შემინებულან; ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ ომის წარმოება მათი საქმე კი არ არის, არამედ მხედართმთავრისა. მათი ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ, კეისარმა გალესს შორის ერთგულებით გამორჩეულ დიეტიაკუსს ჰკითხა, რომელი გზა სჯობდა. კეისარმა ისეთი გზა აირჩია, რომელიც ჯარისთვის იოლად საეალი, ფართო იყო, თუმცა ორმოცდაათზე მეტი მილის შემოვლა უწევდა. ბოლოს, დაპირებისამებრ, მეოთხე დარაჯობისას გზას გაუღდა. შეიღდიანი შეუსვენებელი სიარულის შემდეგ, მმეერავეთაგან შეიგყო, რომ არიოვისტის ჯარი ჩვენგან ოცდაოთხი მილით იყო დამორებული.

42. კეისარის მოსვლა რომ შეიგყო, არიოვისტმა მასთან ელჩები გაგზავნა: ადრე კეისარი მოითხოვდა მოლაპარაკებას, ახლა არიოვისტს აღარაფერი აქვს საწინააღმდეგო, ვინაიდან კეისარი უფრო მიუახლოვდა და არიოვისტს უშიშრად შეუძლია შეხედეს. კეისარმა შეთავაზება მიიღო. ფიქრობდა, რომ არიოვისტი უკვე გონს მოეგო, რადგან ახლა თავად სთავაზობდა იმას, რაზეც ადრე არ დათანხმდა. ღიდი იმედიც გაუჩნდა, რომ არიოვისტი აწონ-დაწონდა წაყუნებულ მოთხოვნებს, გაითვალისწინებდა კეისრისა და რომაელი ხალხისგან მიღებულ მრავალ სიკეთეს და შეწყვეტდა ურჩობას. მოლაპარაკება მესუთე დღეს დაინიშნა. ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთთან ხშირად გზავნიდნენ ელჩებს. არიოვისტი მოითხოვდა, რომ შეხვედრამე კეისარს ფეხოსანი ჯარი არ წამოეყვანა, რადგან ემინოდა, ვერაგულად არ მოექცია ხაფანგში. ორივე მხარე ცხენოსნებით უნდა გამოცხადებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში,

არიოვისტი არ მოვიდოდა. რაკი კეისარს არ სურდა, რაიმე მიზეზის გამო მოლაპარაკება ჩამოეშალა, ამასთან, არც ის სურდა, რომ თავისი სიცოცხლე გაღების კავალერიისთვის მიენდო, ყველაზე ჭკვიანურად მიიჩნია, ჩამოეჭყეითებინა გაღების ცხენოსნები და მათ ცხენებზე აემხედრებინა თავისი მათე ლეგიონი, რომელსაც განსაკუთრებით ენდობოდა, რათა საჭიროების შემთხვევაში თან ჰყოლოდა ყველაზე საიმედო დაცვა. ამასთან დაკავშირებით მათე ლეგიონის ერთმა ჯარისკაცმა საკმაოდ მახვილგონიერულად თქვა: კეისარი იმაზე მეტს აკეთებს, რასაც დაგეპირდა. შეგეპირდა, რომ მათე ლეგიონს საპრეტორო კოპორტად აქცევდა, ცხენოსნების წოდება კი მოგეპყრებოდა.

43. ერთ დიდ ვაკეზე საკმაოდ მოზრდილი მიწაყრილი იყო. ეს ადგილი დაახლოებით თანაბარი მანძილით იყო დამორებული არიოვისტისა და კეისრის ბანაკებისგან. ადრე შეთანხმდნენ, რომ მოსალაპარაკებლად იქ მივიდოდნენ. ამხედრებული ლეგიონი კეისარმა იმ ბორცვთან ორას ნაბიჯზე დააყენა. არიოვისტის ცხენოსნებიც იმავე ინტერვალზე გაჩერდნენ. არიოვისტმა მოითხოვა, რომ მოლაპარაკება ცხენებიდან ჩამოუჭყეითებლად ეწარმოებინათ და თითოეულს ათ-ათი ცხენოსანი ხლებოდა. როდესაც შეხვდნენ, კეისარმა საუბრის დაწყებისას არიოვისტს მოაგონა თავად კეისრისა და სენატისაგან მისთვის მინიჭებული პატივი. შეახსენა, რომ სენატის მიერ მეფედ და მეგობრად იწოდებოდა და გამორჩეულ საქურებს ღებულობდა. აღნიშნა, რომ ამგვარი პატივი ცოცხალს თუ ხვდება წილად და მხოლოდ ძალიან დიდი დამსახურებისათვის მიენიჭებათ ხოლმე. მართალია, არიოვისტს არც საამისო საბაბი ჰქონია, არც კანონიერი საფუძველი, მაგრამ მაინც განსაკუთრებით გამოირჩა კეისრისა და სენატის გულუხეობისა და გულითადობის წყალობით. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რომაელთა ახლო კავშირი ელეებთან ძველისძეულია და კანონით დამტკიცებული. ხშირად შეუდგენიათ რომის სენატში ელეებისადმი პირმოთხე გამონათქვამებით გააყრებული დადგენილებები. ელეები ხომ მანამდე თავაკაცობდნენ მთელ გალიაში, სანამ რომთან სამეგობრო კავშირს დაამყარებდნენ. რომაელ ხალხს წესად აქვს იბრუნოს, რომ მოკავშირეებმა და მეგობრებმა არა თუ თავიანთი კუთვნილი არ დაკარგონ, არამედ, პირიქით, განაერყონ გაელენა, მოიპოვონ პატივისცემა და კეთილდღეობა. ვინ მოითმენს, რომ მათ ისიც წაართვან, რაც რომაელ ხალხთან მეგობრობამდე ჰქონდათ? ბოლოს კეისარმა არიოვისტს მოსთხოვა ის, რაც ადრე ელჩების პირით შეუთვალა: არ დაელაშქრა ელეები, არც მათი მოკავშირეები; დაებრუნებინა მძევლები. დაბოლოს, თუ არ შეუძლია გერმანელების ნაწილი შინ დააბრუნოს, ის მაინც არ დაუშვას, რომ სხეებმა გადმოლახონ რენუსი.

44. არიოვისტმა კეისრის მოთხოვნებს მოკლედ უსასუხა, საკუთარ ღირსებებზე კი ბევრი ილაპარაკა: იგი რენუსზე თავისი სურვილით კი არ გადმოსულა, არამედ გაღების თხოვნითა და მოწვევით. დიდი იმედი ჰქონდა, რომ მნიშვნელოვან მოგებას ნახავდა, ამიგომაც დაგოვა სხელი და ნათესავეები. გერიგორიები გაღებმა თვითონ დაუთმეს, მძევლებიც თავიანთი სურვილით მისცეს. ომის კანონის შესაბამისად, გაღებისგან იმდენ ხარკს იღებს, რამდენსაც, ჩვეულებრივ, უწესებენ გამარჯვებულები დამარცხებულებს. გაღებთან ომი არიოვისტმა კი არ დაიწყო, არამედ გაღებმა – მასთან. გაღების ყველა გომი ადღვა და მუშგად შეიკრა მის წინააღმდეგ, მაგრამ არიოვისტმა ისინი ერთ ბრძოლაში დაამარცხა. თუ სურთ ხელმეორედ სცადონ ბედი, იგი მზადაა კვლავ შეებრძოლოს. თუ ზაეი სურთ, უსამართლობა იქნება უარი თქვან ხარკზე, რომელსაც აქამდე თავიანთი ნებით იხდიდნენ. რომაელ ხალხთან მეგობრობა არიოვისტს სამშენისად და საფარად უნდა გამოადგეს და არა საზიანოდ. სწორედ ამიგომ ესწრაფოდა იგი ამ მეგობრობას. თუ რომაელი ხალხის წყალობით შეწყდება ხარკის გადახდა, დამორჩილებულებს კი წაართმევენ, ისეთივე ხალხისთ უარყოფს რომაელ ხალხთან მეგობრობას, როგორითაც ილგვოდა ამისკენ. გერმანელები თავის დასაცავად გადმოჰყავს და არა გალიის დასაპყრობად. ამას ისიც ამაღლებურებს, რომ გაღების თხოვნით მოვიდა და თავდასხმით ომს კი არ აწარმოებს, არამედ – თავდაცვისთ. იგი უფრო ადრე მივიდა გალიაში, ვიდრე რომაელები. ამ დრომდე რომაელთა ჯარი არასოდეს გამოსულა გალიის პროვინციის საზღვრებიდან. რა სურს კეისარს? რატომ იჭრება



არიოვისტის სამფლობელოში? გალიის ეს ნაწილი მისი პროვინციაა, ის კი – რომაელებისა. არც არიოვისტს ეკადრება რომაელთა საზღვრების ხელყოფა, და რომაელებისგანაც უსამართლობა იქნება, ჩაერიონ არიოვისტის საქმეებში. მართალია, კეისარმა თქვა, რომ ელუებს სენატმა რომაელი ხალხის ძმები უწოდა, მაგრამ არიოვისტი არც ისეთი გამოუჩორკნელი და უბირია, არ იცოდეს, რომ არც ალობროვებთან გამართულ ბოლო ომში დახმარებიან ელუები რომაელებს, არც რომაელები დახმარებიან იმ ორთაბრძოლაში, რომელიც ელუებს ჰქონდათ გერმანელებთან და სეკვანებთან. არიოვისტი იძულებულია იეჭვოს, რომ ელუებთან მეგობრობა მიმზეზია. სინამდვილეში ჯარი, რომელიც კეისარს გალიაში ჰყავს, არიოვისტის გასანადგურებლად უნდა. ამიგომ, თუ კეისარი არ გაერიდება და ჯარს არ წაიყვანს არიოვისტის რეგიონებიდან, იგი კეისარს მეგობრად კი არა მგრადა მიიჩნევს. თუ კეისარს მოკლავს, ამით ბევრ წარჩინებულ და ცნობილ რომაელს ასიაბოვნებს. ეს არიოვისტს თვით რომაელთა შიკრიკებმა აუწყეს. კეისარის მოკვლით ყველა მათგანის წყალობასა და მეგობრობას მოიპოვებს. თუ კეისარი წაეა და არიოვისტს საშუალებას მისცემს, თავის ნებაზე მართოს გალია, იგი [არიოვისტი], თავის მხრივ, დიდ სამსახურს გაუწევს და ყველა ბრძოლას, რომელსაც კეისარი წამოიწყებს, [კეისარის მხრიდან] ყოველგვარი გარჯისა და დანაკარგის გარეშე დააგვირგვინებს.

45. კეისარმა ბერი ილაპარაკა იმაზე, თუ რატომ არ შეეძლო ამ საქმეზე ხელის აღება: არც მას, არც რომაელ ხალხს ჩვევად არა აქვთ, მიაგოვონ ღირსეული მოკავშირეები. ამასთან, არ მიაჩნია, რომ გალია არიოვისტის უფროა, ვიდრე რომაელებისა. კეინტუს ფაბიუს მაქსიმუსმა ბრძოლაში დაამარცხა არეერნები და რუტენები; რომაელმა ხალხმა მათ აპაგია – არც პროვინციად აქცია, არც გადასახალი დააკისრა. ამრიგად, თუ სიძველის მიხედვით ვიმსჯელებთ, გალიაში რომაელი ხალხის ძალაუფლება უფრო კანონიერია. თუ სენატის ამრს გაეთვალისწინებთ, გალია თავისუფალი უნდა იყოს. მართალია, ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ თვითმმართველობის უფლება დარჩა.

46. ამ მოლაპარაკების დროს კეისარს შეაგებინეს, რომ არიოვისტის ცხენოსნები ბორცვს უახლოვდებოდნენ. ისინი ქეებისა და შუბების სროლით მოიწვედნენ ჩვენებზე. კეისარმა შეწყვიტა მოლაპარაკება, თავისიანებთან დაბრუნდა და უბრძანა, რომ არ ეპასუხათ სროლაზე. მართალია, რჩეული ლეგიონისთვის არაფერს ნიშნავდა კეილერი-ასთან შერკინება, მაგრამ კეისარს არ სურდა ვინმეს ეფიქრა, თითქოს მან მოლაპარაკებისას ვერაგულად მოაგყუა მგერი და თავს დაესხა. მალე რიგითმა ჯარიკაცებმა გაიგეს, თუ როგორ ქედმაღლურად აუკრძალა არიოვისტმა რომაელებს გალიაში ყოფნა, როგორ დაესხნენ თავს მისი ცხენოსნები ჩვენებს, რის გამოც მოლაპარაკება შეწყდა. ყოველივე ამან დიდად ააბაღლა ჯარისკაცთა საბრძოლო სული და განწყობა.

47. მეორე დღეს არიოვისტმა კეისართან ელჩები გაგზავნა; მას სურდა დაესრულებინათ დაწყებული საუბარი. შეუთვალა ან ხელმეორედ დაენიშნა მოლაპარაკების დღე, ან თუ ეს არ სურდა, თავისიანებთან ვინმე გაეგზავნა ელჩად არიოვისტთან. კეისარი ვერ ხედავდა ამის აუცილებლობას. მით უმეტეს, რომ წინა დღეს შეტევაზე გადმოსული გერმანელები ვერაფრით შეაჩერეს. ისინი გააღმასებით უტევენ ჩვენებს. კეისარი ფიქრობდა, რომ თავისიანის გაგზავნა იმ ველურ ადამიანებთან დესპანის სიციცხლეს დიდ საფრთხეს უქადდა. ყველაზე მიმანშეწონილად მიიჩნია გ. ვალერიუსის, კაბურუსის ვაჟის, გაიუს ვალერიუს პროკილუსის გაგზავნა. იგი ძალიან მამაცი და განსწავლული ახალგაზრდა იყო. მამამისმა გაიუს ვალერიუს ფლაკუსისაგან მიიღო რომის მოქალაქეობა. კეისარი მას ენდობოდა, თანაც ამ ყმაწვილმა ვალეების ენაც იცოდა. არიოვისტი ამ ენაზე თავისუფლად ლაპარაკობდა ვალეებთან ხანგრძლივი ურთიერთობის წყალობით. ამასთან, გერმანელებს არ ჰქონდათ მიზეზი გ. ვალერიუსს პროკილუსს შეურაცხყოფისათვის. მასთან ერთად გაგზავნა მარკუს მეტეუსი, რომელსაც არიოვისტთან სტუმარმასპინძლობა აკავშირებდა. მათ დაავალა, რომ გაეცოთ, რას იტყოდა არიოვისტი და მისი დანაბარები მოეგანათ. როდესაც არიოვისტმა ისინი თავის ბანაკში იხილა, ჯარის თანდასწრებით შეუყვირა: რატომ მოხვედით? სათვალთვალოდ? ლაპარაკის საშუალება არ მისცა და ბორკილები დაადო.

48. იმავე დღეს არიოვისგმა ჯარი დაძრა და კეისრის ბანაკიდან ექვსი მილის დაშორებით მთის ქვეშ დასცა კარები. მეორე დღეს კი თავისი ჯარი კეისრის ბანაკის ახლოს ჩაატარა და რომაელთა განლაგების მურგში ორი მილის ინტერვალით შედგა იმ განზრახვით, რომ კეისრისათვის სურსა და მომარაგების გზა მოიჭრა. სეკენანებსა და ელუებს სურსათი უნდა მოეგანათ. ხუთი დღის განმავლობაში კეისარს თავისი ჯარი ბანაკის წინ გამოჰყავდა და საბრძოლო მწყობრში ამყოფებდა, რათა თუ არიოვისტი ისურვებდა ბრძოლის დაწყებას, შეებოდა. ამ დღეების განმავლობაში არიოვისგს ჯარი ბანაკში ჰყავდა, მხოლოდ კავალერიით მიჰქონდა ყოველდღიური იერიშები. ეს იმ გიპის ბრძოლები იყო, რომლებშიც გერმანელები დახელონებულები იყვნენ. მათ ჰყავდათ ექვსი ათასი ცხენოსანი, ამდენივე უსწრაფესი და უმამაკესი ქვეითი. თითოეულ მხედარს არჩეული ჰყავდა თითო ფეხოსანი პირადი დაცვისთვის; ეს ქვეითები ბრძოლებში თან ახლდნენ თავიანთ მხედრებს, თუ ვითარება გართულებოდა, მხედრები მათთან უკუიქცეოდნენ; ბრძოლაში ებმებოდნენ ქვეითები. თუ ვინმე დაიჭრებოდა და ცხენიდან ჩამოვარდებოდა, ქვეითები გარს შემოეხვეოდნენ. თუ სწრაფად წინ გაჭრა ან უკან დახევა იყო საჭირო, ქვეითები ჩააფრინდებოდნენ ცხენის ფაფარს და სირბილით მიჰყვებოდნენ მხედრებს.

49. როდესაც კეისარი მიხვდა, რომ არიოვისტი თავის ბანაკს არ გოვებდა, პროდუქციით მომარაგება დიდხანს რომ არ შეუფერხებელიყო, სამ რიგად დაწყობილი ჯარით დაიძრა წინასწარ არჩეული მოხერხებული ადგილისაკენ. ეს ადგილი გერმანელების ბანაკის გადაღმა მხარეს მდებარეობდა და მათგან დაახლოებით 600 ნაბიჯით იყო დაშორებული. პირველი და მეორე რიგი საბრძოლო მზადყოფნაში იყო, მესამეს ნაბრძანები ჰქონდა ბანაკის საფარის აგება. როგორც ითქვა, ეს ადგილი მგრისგან დაახლოებით ექვსას ნაბიჯზე იყო. არიოვისგმა თექვსმეტ ათასამდე ფეხოსანი გაგზავნა ცხენოსნებითურთ, რათა ჩვენებისთვის მიმის მარი დაეცათ და მშენებლობა დაეგრძელებინათ. კეისარმა მით უმეტეს არ შეეცალა ბრძანება. ორ რიგს მგრის მოგერიება უბრძანა, მესამეს კი – საქმის დასრულება. გაამაგრა ბანაკი, იქ ორი ლეგიონი და დამხმარეთა ნაწილი დაგოვა, ოთხი დანარჩენი კი მთავარ ბანაკში წაიყვანა.

50. მეორე დღეს კეისარმა ისევ გამოიყვანა ჯარები ორივე ბანაკიდან და თავისი მთავარი სადგომიდან მწყობრად ცოგათი წინ წაიწია. მგერს შებრძოლების სამუალება მისცა. როდესაც შენიშნა, რომ ისინი არ გამოვიდნენ, შუადღისთვის ჯარი ბანაკში დააბრუნა. არიოვისგმა მხოლოდ მამინ დაძრა თავისი არმიის ნაწილი რომაელთა მცირე ბანაკის დასაპყრობად. სასტიკი ორთაბრძოლა შებინდებამდე გაგრძელდა შესვენების გარეშე. მის ჩასვლისას არიოვისგმა თავისი მებრძოლები ბანაკში დააბრუნა, ორივე მხარეს ბევრი დაჭრილი იყო. კეისარმა დაიწყო გყვეთა გამოკითხვა; დაინგერესდა, რაგომ არიდებდა არიოვისტი თავს გადამწყვეტ ბრძოლას. მიმზეცი გაიგო: გერმანელების ჩვეულებისამებრ, ოჯახის დედები მისნობითა და მხიზაობით იგებდნენ უპრიანია თუ არა ომის წარმოება. ქალები კი ამბობდნენ: ღმერთების ნებით, გერმანელები ვერ გაიმარჯვებდნენ გადამწყვეტ ბრძოლაში ახალი მთავარის ამოსელამდე.

51. მეორე დღეს კეისარმა ორივე ბანაკის თავდაცვისათვის საკმარისი გამაგრებები დაგოვა და მთელი დამხმარე რამშები მგრის დასანახად მცირე ბანაკის წინ განალაგა. ეს მან განზრახ გააკეთა, რადგან ლეგიონური ჯარისკაცები გერმანელებთან შედარებით ნაკლები ჰყავდა. ჯარი სამ რიგად დააწყო და მგრის ბანაკამდე მივიდა. გერმანელები იძულებული გახდნენ თავიანთი ჯარები ბანაკიდან გამოეყვანათ. ისინი განლაგდნენ თანაბარი ინტერვალით გომების მიხედვით. აქ იყვნენ პარულები, მარკომანები, ტრიბოკები, ეანგიონები, ნემეგები, სელუსიები, სეებები. თითოეულმა გომმა თავის გარშემო ეგლები და ურმები ჩახერგა, რათა გაქცევის იმედი აღეკვეათ. ამ ურმებზე ქალები მოათავსეს, რომლებიც ომში მიბაელებს ხელაპყრობით გირილით ეშუდარებოდნენ, რომაელთა გყვეობაში არ ჩაეგდოთ.

52. კეისარმა თითოეულ ლეგიონს თითო ლეგატი და კვესტორი უწინამძღვრა, რათა მათი სახით ჯარისკაცებს თავიანთი ეაქსაცობის მოწმენი ჰყოლოდათ. თავად კი მარჯვენა ფლანგზე დაიწყო ბრძოლა, რადგან შეამჩნია, რომ სწორედ ეს იყო მგრის ყველაზე სუსტი ადგილი. ნიშნის მიუყვანთანავე ჩვენები გერმანელებს ისე სასტიკად ეკვეთინენ, მგერიც ისე

გააღმასხებთ და სწორაფად დაიძრა წინ, რომ მოწინააღმდეგეთ დრო არ მიეცათ შუბების სატყორცნად. შუბები დაყარეს და ხმლებით დაიწყეს ბრძოლა. გერმანელები, თავიანთი ჩვეულებისამებრ, უსწრაფესად მოეწყენენ ფალანგად და რომაელთა შეტევას დაუხვდნენ. ჩვენ მეომართა შორის ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომლებიც ფალანგას ახტებოდნენ, ფარებს ხელებით ამორიშორებდნენ ერთმანეთისგან და გემოდან ჭრიდნენ მოწინააღმდეგეს. მაშინ როდესაც მარცხენა ფლანგზე მტერი მოიგერიეს და გააქციეს, მარჯვენა მხრიდან რაოდენობით ბევრად აღმატებულმა გერმანელებმა ჩვენი რიგები ძალიან შეაფრთხვეს. ეს შენიშნა ცხენოსანთა მეთაურმა ახალგამრდა კუბლიუს კრასუსმა, რომელიც, სხვებისგან განსხვავებით, ხელჩართულ ბრძოლაში არ მონაწილეობდა. მან გაჭირვებაში ჩაცეცნილ ჩვენს მეომრებს მესამე რიგის მებრძოლები მიაშველა.

53. ასე რომ, ბრძოლა განახლდა, მტერი გაიქცა და მდინარე რენუსამდე ირბინა. მდინარე ამ ადგილიდან დაახლოებით ხუთი ათასი ნაბიჯით იყო დამორებული. ცოტამ თუ მოახერხა ეშველა თავისთავის მდინარეზე გადაყურებით. ზოგმა მხარულით გასურა, ზოგმა – ნაპოინი ნაგებობით, მათ შორის იყო არიოვისტიც, მან შემთხვევით იპოვა მდინარესთან პატარა ნაეი და იმით გააღწია სამშვიდობოს. დანარჩენებს ჩვენი ცხენოსნები დაეღვენენ და დახოყეს. არიოვისტს ჰყავდა ორი ცოლი; ერთი – ეროვნებით სეები, რომელიც თან წამოიყვანა შინიდან, მეორე ნორიელი მეფის, ეოკიონოსის და. ეოკიონოსმა იგი ვალიაში გაუგზავნა არიოვისტს. ამ დევნისას ორივე დაიღუპა. მას ჰყავდა ორი ქალიშვილი, რომელთაგან ერთი დაიღუპა, მეორე – დაატყვევეს. როდესაც კეისარი თავისი ცხენოსნებით მტერს მისდევდა, შემთხვევით გადააწყდა გაიუს ვალერიუს პროკილუსს; იგი სამშავი ბორკილით შეკრული მიჰყავდათ მცეელებს. ამ ფაქტმა კეისარი არანაკლებ გაახარა, ვიდრე თავად გამარჯვებამ. რადგანაც მტერს ხელიდან დაუსხლგა და კეისარს დაუბრუნდა ნამდვილი მეგობარი, ვალიის პროვინციაში გამორჩეული, ღირსეული პიროვნება, კარგი მასპინძელი. როგორც ჩანს, ბედის წყალობა იყო, რომ ჭ ვალერიუს პროკილუსის ვადარჩენის წყალობით არ დაკნინდა გამარჯვების დიდი ზემოთ. პროკილუსმა უამწო, რომ მისი თანდასწრებით სამჯერ ყარეს წილი: რა ექნათ – დაუყოვნებლივ დაეწვათ კოყონზე, თუ სხვა ღრისთვის გადაეღოთ დასჯა. მკითხაობა კ პროკილუსისათვის ბედნიერი გამოდგა, უვნებელი გადაარჩა. ამგვარადვე იპოვეს მარკუს მეტიუსი და კეისარს მიჰგვარეს.

54. როდესაც ამ ბრძოლის შესახებ რენუსს ვადაღმა შეიგყვეს, მდინარის ნაპირებთან მოახლოებული სეებები შინისკენ გაბრუნდნენ. დაშინებულ, გაქცეულ სეებებს თავს დაესხნენ უბიები, რომლებიც რენუსთან ძალიან ახლოს ცხოვრობდნენ და ბევრიც დახოყეს. კეისარმა ერთ მაფხულს ორი დიდი ომი გადაიხადა, ამიგომ რამდენადმე ნაადრევად, ვიდრე წელიწადის დრო ითხოვდა, ჯარი სეკვანებთან წაიყვანა სამამთრო სადგომში; უფროსად ლაბინუსი დააყენა. თავად მახლობელ ვალიაში გაემართა გემების მშენებლო-ბის დასაწყებად.

## კომენტარები

<sup>1</sup> გაიუს იულიუს კეისარის „კომენტარები ვალებთან ომის შესახებ“ 8 წიგნს მოიყავს. I წიგნში ასახულია ვალებთან ომის პირველი წლის მოვლენები – ძვ.წ.ის 58წ.

<sup>2</sup> „ვალია“ კეისართან ორი მნიშვნელობით გვხვდება: ფართო გაგებით ვალიაში ივულისხმება ტერიტორია, რომელიც მოიყავს დღევანდელ საფრანგეთს, პოლანდიის, ბელგიის, გერმანიის და ნაწილობრივ, შეეყარის ტერიტორიებს. აქ არ შედიოდა საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც რომაელებმა 121 წელს დაიპყრეს და თავიანთ პროვინციად აქციეს. ვიწრო გაგებით ვალიაში კეისარი ვულისხმობს აღნიშნული ტერიტორიის მხოლოდ ნაწილს, რომელზეც ცხოვრობდნენ ელტები ანუ ვალები. ტექსტის მოყვამულ მონაკვეთში ვალია სწორედ ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული.

<sup>3</sup> ტექსტში დასახელებული მდინარეების თანამედროვე შესატყვისებია: ვარუნა – ვარონა, მაგრონა – მარნა, სეკვანა – სენა, როდანუსი – რონა, არარი – სონა; ლემანის გზა ენევაშია.

<sup>4</sup> კეისარი ბელგებს, აკვიტანელებს, ელტებს სხვადასხვა ხალხებად მიიჩნევს. სინამდვილეში ბელგებიც ელტური მოდგმის გომია. მათ შორის მხოლოდ პოლიტიკური დაპირისპირება იყო. რაც შეეხება აკვიტანელებს, ისინი განსხვავდებიან ბელგებისა და ვალებისაგან გომობრივი თვალსაზრისით. აკვიტანელები იბერიული მოდგმის გომია; ისინი ბასკების წინაპრებად ითვლებიან.

<sup>5</sup> რომაელები დროის განსასაზღვრად კონსულების მმართველობის პერიოდებს ასახელებდნენ. მარკუს მესალა და მარკუს პიპო კონსულები იყვნენ ძვ. წ. 61წ.

<sup>6</sup> რომაელები მანძილს ნაბიჯით მომაუდნენ. თავის მხრივ, სამომ ერთეულ „ნაბიჯად“ ითვლებოდა ორი ნაბიჯი. გამოანგარიშების მიხედვით, 1000 ნაბიჯი (რომაული მილი) = 1478,7 მეტრს, 1,5 კილომეტრს. მეტი სიზუსტისათვის თარგმნისას უფრო მართებულად მიიჩნევა გამოვიყენოთ გერმინი „მილი“ და არა „ნაბიჯი“ (როგორც ორიგინალშია), ან „ნაბიჯი“ გადავიყვანოთ მეტრებსა და კილომეტრებში. ასე რომ, პელეგების ტერიტორია სიგრძით იყო 355კმ, სიგანით – 266კმ. სულ 9445 კვადრატული კილომეტრი. (საერთოდ, გეოგრაფიული განზომილებები კეისართან სიზუსტით არ გამოირჩევა).

<sup>7</sup> Amicus – „რომაელი ხალხის მეგობარი“ იყო საპატიო წოდება, რომელსაც რომის სენატი აძლევდა უცხოელ თავადებს გარკვეული დამსახურებებისთვის; მათი უკეთ გადმობიერებისა და მიმხრობის მიზნით.

<sup>8</sup> ღუმროიქსი იყო თავადი – princeps. Princeps იყო არა თანამდებობრივი მდგომარეობა. არამედ კერძო პირის სტატუსი, რომელიც ქონებრივ მდგომარეობას აღნიშნავდა. ამ წოდების აღმამიანები ხშირად ექიმებოდნენ ერთმანეთს პირველობისათვის. ტექსტის მიხედვით, ერთმანეთს დაპირისპირდა ორი მძა; ღუმროიქსი იყო ნაციონალური იდეოლოგიის დამყველი და წინააღმდეგობა რომის პოლიტიკას; დიეტიკაუსი – პირიქით. ელევში იყო აგრეთვე „მხედრების“ წოდება, რომლის ნაწილი შედიოდა principes-ში, ნაწილი კი ჩვეულებრივი „მხედრები“ იყვნენ. ეს უკანასკნელი ქონებრივი მდგომარეობით უფრო პლებს ეკუთვნოდნენ.

ელეები იყვნენ ვალები, ცხოვრობდნენ მდ. ლიგერსა (ლუარა) და არარს შორის. ელეები, სეკანებისგან განსხვავებით, პრორომაული ორიენტაციის იყვნენ.

<sup>9</sup> ბოები თავდაპირველად ცხოვრობდნენ ღვევანდელი ჩხეთისა და მორაიის (ან ბოქემის, რამაც სახელდება მითითებს) ტერიტორიაზე. შემდგომ გეტებმა და ვერმანელებმა განდევნეს და დიდი ნაწილი გაანადგურეს. გადარჩენილები 63-60 წლებში ნორიკისკენ დაიძრნენ. იქ დამკვიდრების ფუძე მდებარეობის შემდეგ პელეგებს შეეხიზნენ.

<sup>10</sup> ალბროგების აჯანყება ჩაახშო პეტიორმა გ. პომპიუსმა ძვ. წ. 61წ.

<sup>11</sup> ყველა თვის ჰქონდა სამი მთავარი დღე: კალენდა – თვის I დღე, ნონები – მე-5 ან მე-7 დღე, იდეები – თვის მე-13 ან მე-15 დღე. სხვა დღეებს (ამ ინტერვალებს შორის) შესაბამის წინდებულებს ურთავდნენ „მდე“, „მემდგომ“.

<sup>12</sup> ეს არის ძვ. წ-ის 58წ. 28 მარტი.

<sup>13</sup> უელექემ გატარება იყო ძალიან სამარცხეინო სასჯელი დამარცხებულებისთვის. „უელეს“ აკეთებდნენ 3 მუხისგან: ორს მიწაში არჭობდნენ, მესამეს კი ამათზე გადავდნენ. დამარცხებული მტერი ამ „უელექემ“ უიარაღო და წელმეფით მიშველი გადიოდა.

<sup>14</sup> სანგონები – კელტური გალიის ზღვისპირა ტომი.

<sup>15</sup> ხალოსაგები –ქალაქ კოლოსის (დღევანდელი ტულუზა) მკედრნი.

<sup>16</sup> პროინციაში იგულისხმება გრანსალაპური გალია (ეს სახელდება შემოინახა ფრანგულ ენაში – Provence). რომაელები გამოყოფდნენ ახლო და შორეულ გალიას. ახლო გალიად ან პროინციად იწოდებოდა რომაელების მიერ უკვე დაპყრობილი ტერიტორიები – ნარბონის პროინცია და პროინცია ცისალპური გალია – რომლებიც კეისარმა სამართავად მიიღო კონსულობის შემდეგ.

<sup>17</sup> ტექსტში გამოყენებული საკუთარი სახელების შემოკლებები: ა. – აელუსი, გ. – გაიუსი, ვ. – ვნუსი, დ. – დეიუმუსი, ლ. – ლუციუსი, მ. – მარკუსი, მ. – მანიუსი, პ. – პუბლიუსი, ტ. – ტიტუსი.

ტიტუს ატიუს ლაბიენუსი იყო კეისრის ერთ-ერთი საუკეთესო მხედართმთავარი, რომელიც მოკვინანით მოშუშის მხარეზე გადავიდა.

<sup>18</sup> კუეტროები, გრაიოკელები და კატურიები პროინციაში მცხოვრები გალური მოდგმის ტომები.

<sup>19</sup> ელევბა ძვ. წ. 121 წ., პირველბა გრანსალაპიელ ვალებს შორის, მიიღეს „რომაელი ხალხის მეგობრის“ საპატიო წოდება.

<sup>20</sup> რომელ ბანაკში დამის განმავლობაში დარაჯები 4-ჯერ იცვლებოდნენ: ორი ცვლა შედარებულ, ორი – შემდგომ. იენისში მესამე დარაჯობის დრო უწვედა 12 და 2 საათებს შორის.

<sup>21</sup> ოლქი, რაიონი, სოფლის თემი.

<sup>22</sup> „ვერგობრეტუმ“ კელტური სიტყვაა, რაც „მართლმსაჯულების აღმსრულებელს“ ნიშნავს.

<sup>23</sup> დაახლოებით 11,8 კმ.

<sup>24</sup> სულა გარდაიცვალა ძვ.წ. 78წ. კრასუსი დაიღუპა ძვ.წ. 53წ.

<sup>25</sup> 22 კმ.

<sup>26</sup> რომაული არმიის ბირთვი იყო მძიმედ შეიარაღებული ფეხოსანი ჯარი – ლეგიონი, რომელშიც, ჩვეულებრივ, შედიოდა 6 000 მეომარი. ლეგიონი იყოფოდა 10 კოჰორტად, თითოეულში იყო 3 მანიპული; მანიპულში – 2 ენტურის. ყველა მანიპულს ჰქონდა „ნიშანი“ (signum). ეს იყო გარშემო დამაგრებული ვერცხლის სხვადასხვა გამოსახულებები. მოგვიერ ამ გამოსახულებებთან ერთად გარშემო მავრდებოდა მატერიალ. წინამძღოლის ალაშს წითელი ნაჭერი ეკეთა. მთელი ლეგიონის ნიშანი კი იყო არწივი.

გალებს საომარ მუჩებზე ქქონდათ დამაგრებული სხედასხეა „სამშენისები“ (insignia); უფრო ხშირად ირმის რქები (რომაელებს – ბუმბულები).

<sup>27</sup> საპატიო ტიტულს *Fratres consanguinesque* რომაელები აძლევდნენ გამორჩეულ მოკავშირეებს; მაგრამ აქ *consanguines*-ში („ერთი სისხლისა“), როგორც ჩანს, იგულისხმება რომაელთა და ელეულთა წარმომავლობა ერთი წინაპრისგან კერძოდ, ტროელებისგან.

<sup>28</sup> იგულისხმება მონათა აჯანყება სპარტაკის მეთაურობით (73-71წწ. ძვ. წ.).

<sup>29</sup> ანუ მისი ლეიბ-გუარდია.

<sup>30</sup> 296 მეტრი.

*თარგმნა რუსუდან ცანაუამ*

# კლასიკური პერიოდი

(ძვ. წ. I ს – ახ. წ. I ს 10-იანი წლები)



## სექსტუს პროპერციუსი

(ძვ.წ. 50 – ახ.წ. 15)

პროპერციუსი უმცირესი ქალაქ ასაზუსში დაიბადა, წარმოშობით მდაბიო, მაგრამ სიძველედ გადასულ ოჯახში.

პროპერციუსი პილე რომს მიამურა. სადაც მეცენატის წრეს დაუახლოვდა. პოეტს ელედების მარჯვლი წიგნი დაახლოებით ძვ.წ. 29 წელს გამოუქვეყნებია. ბოლო, მეოთხე წიგნი მან ძვ.წ. 18 წელს დაასრულა და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა კიდევ.

პროპერციუსის პოეტური კრებული რომელშიც სალექსო საზომად მხოლოდ ელეგიური ლექსები გამოყენებული საგრძობს ეძღვნება, რომელსაც პოეტი „კინთიას“ უწოდებს. აქუ ლექსი „აპოლოგიაში“ მიუთითებს, რომ სინამდვილეში პოეტის მიჯნურს პოსტია რქმევია.

კინთია როგორც ცნობილია, არგემისისა და მისი გყუპისცალის, აპოლონის დაბადების ადგილის კინთოსის მოას მიხედვით ღმერთქალის ეპითეტს წარმოადგენდა. ამ ადგილს ანტიკურობაში მუჩათა სავანედ მიიჩნევენდნენ.

პროპერციუსის კინთია, როგორც ეს მისი ელეგიებიდან ჩანს, ეურგიზანი ქალი იყო, ძალზე წივიერი და პოეზიაში განსწავლული.

პროპერციუსის ლირიკას ალექსანდრიული პოემიის გავლენა ეგყობა, თუმცა პოეტის ელექსოვანი გემპერამებტი მის ლექსებს ორიგინალურ შეფერილობას ანიჭებს. პროპერციუსი ხმურაიანი ქალაქის მოგრფიალეა, ოპტიმიზმითა და ხმამაღალი პათოსით სავსე. მისი ზიჭიერებით მოხიბლულ მეცენატს პოეტისთვის საგანგებო დავალებაც კი მიუცია – შეექმნა რაციონალური ეპოსი (ეს დავალება შემდეგში ვერგილიუსმა შეასრულა და „ენეიდა“ მოიხრა). საკუთარ ძალებში ნაკლებად დარწმუნებულ პროპერციუსს, მიუხედავად მეცენატის მიმართ ღრმა პატივისცემისა, მორიდებული უარი უთქვამს.

### თარგმანი:

პროპერციუსი, ელეგიები, თარგმნა და შენიშვნები დაურთო იამშე ვაგუამ.

### I, 5

- |   |    |
|---|----|
| მე არ მსურს, მაგრამ თუ, კინთია, რომს მაინც ტოვებ,<br>კარგია, სოფლად იცხოვრებ მარტო. | 1  |
| მინდორში ჭაბუკს ვერ იპოვი, რომ შეგაცდინოს<br>და შეგაწუხოს ქათინაურით.               |    |
| ჩხუბი-გნასი არ ატყდება შენი სარკმლის წინ,<br>ძილს არ დაგიფრთხობს ვინმეს ძახილი.     | 5  |
| ეულად იელი და დატყები მთების მშენებით,<br>ჯოგს თვალს მოაულებ, ყანებს ღარიბთა.       |    |
| სანახაობას ნურას ელი, ვერ გაერთობი,<br>არც ტამრებია, არც სხუა საცდური.              | 10 |

იქ მხოლოდ ხარებს დაინახავ. გუთანში შებმულთ და სხვლას ვაზისას ბასრი ნამგალით.	
სოფლის ბომონთან მიიტან შენც უბრალო საკურთხს, სადაც სწირავენ გლეხები ბატკანს და ფეხშიშველი გაერევი ქალთა ქოროში.	15
ოღონდ იქ კაცი არ უნდა იყოს. მე სანადიროდ ვივლი, ვენუსს არ ვუღებ აღთქმას, აწი დიანას ვემსახურები.	
დაედევენები მხეცებს. ირმებს მიეუსეე მწევერებს და ჩამოეკიდებ იმათ რქებს ნამეზე.	20
მაგრამ შმაგ ლომთან შერკინებას მე ვერ გაებედავ. ვერც მძვინვარე ტახს გამოუღებები.	
ისიც მეყოფა. თუ მხდალ კურდღელს დავიჭერ ანდა წამახულ ისრებს დაეუშენ ჩიტებს.	
სადაც მდინარე კლიტუმნუსი <sup>1</sup> ამშვენებს ჭალებს, თეთრი ხარების ჯოგს უკლის ირგვლივ.	25
შენ რას აპირებ, ჩემო კარგო, არ ვიცი, მაგრამ იცოდე, მალე გაეჩნდები შენთან.	
ვერ შემაკაეებს უსიერი ტყე, ვერც მდინარე დაქანებული მთის ქედებიდან.	30
გამუღმებით რომ შენს სახელს არ ვიმეორებდე, ვინმემ არ მიმტროს, შენგან შორს რომ ვარ.	

### შენიშვნები:

<sup>1</sup> კლიტუმნუსი, მდინარე უმბრიამი. გადმოცემის თანახმად, მისი წყალი საქონელს ბეწეს უთუთრებდა.

### IV, 10

ახლა გაამბობ ფერეტრიუს <sup>1</sup> იუპიტერზე და სამი სარდლის სამ საჭურველზე.	1
ძნელი გზა მელის, მაგრამ სახელს მოვიხვეჭ ამით, გორაკზე ასვლით გვირგვინს ვინ მომცემს.	
შენგან ვისწავლეთ, რომულუსო, ნი შნად დიდების ძლეულ მტრისათვის საჭურველის აყრა.	5
როცა კენინელ აკრონს მარდად ამგერე შუბი, ცხენიც, მხედარიც აკაფე ერთად.	
შიშის ზარს სცემდა რომს ოდესღაც მაღალ კოშკიდან ღმერთ ჰერკულესის მოდგმა და თესლი.	10
სცადა წაერთვა იარაღი კვირინუსისთვის, თავადვე დათმო ძლეულმა თვისი.	
ხედავს რომულუს მტერს კოშკის წინ აღმართულ შუბით, და შეაჩერებს ამგვარი აღთქმით:	
„იუპიტერო, შენი მსხვერპლი გახდება აკრონ.“ <sup>2</sup>	15
ღმერთმაც ისმინა, დაეცა მტერი. რომაელთ მამა გამარჯვებას ჩეუული იყო. და ყინულივით კარვებში ძლებდა.	

ემარჯვებოდა ერთნაირად ხენაც და ჯირითიც შეენოდა ლომის მას მუზარადი.	20
ფარიც ხელთ ეყვრა მრგვალი, არა ოქროთნაფერი, სამხრედ კი ფარი უბრალო ტყაეის.	
შემდეგ კოსუსი <sup>3</sup> მოდის, ვინაც ძლია ტოლუმნუსს, მოუხელთებელ მტერებს – ვეიელებს.	
ომის ხმა ოდენ ტიბრს სწვდებოდა, რომს მორჩილებდა ჯერ მხოლოდ კარა და ნომენტუმი.	25
ვეიის მიწავ. შენც ოდესღაც ქვეყანა გერქვა და ოქროს ტახტი გედგა ფორუმზე, ახლა კი მწყემსის სალამური ატკბობს შენს კედლებს, აქ შთენილ ძვლებზე ბიბინებს ყანა.	30
მაღალ ციხეზე გადმომდგარი სარდალი შენი ომში უხმობდა მტერს გამომწყვეად.	
სანამ უტევდა სპილენძის რქით კედლებს ტარანი, მას იფარავდა გრძელი ვინეა.	
კოსუსმა რიხით მტერს გასძახა: „ბრძოლა ხამს ველზე“ და შეერკინნენ მყისვე ერთმანეთს, ღმერთების ნებით კოლუმნუსის სისხლის ნაკადმა წითლად შეღება რომაელთ რაშნი.	35
კლავდიუსმა <sup>4</sup> კი შეაჩერა მტერი რენუსთან და ბელგიური ფარი წაჰკვარა	40
ვირდომარს, ვინაც თელიდა რენუსს თავის წინაპრად, ეტლიდან შუბის უბადლო მტყორცნულს.	
როცა იბრძოდა ფართო შარვლით, <sup>5</sup> შეტორტმანდა და მოჭრილ კისრიდან დაჰკარგა ჯაჭვი.	
ტაძარში სამი ნადავლია: ფერეტრის ჰქვია, სარდალს სარდალზე მიაქვს მახვილი.	45
რადგან მოჰქონდათ საჭურველი დამარცხებულთა, ფერეტრიუსი ეწოდა ტაძარს.	

### შენიშვნები:

<sup>1</sup> ფერეტრიუსი, იუპიტერის ეპითეტი, Feretrius ნიშნავს „გამარჯვების (ნადავლის) მოზგანს. გამარჯვებული სარდალები მხართმეოდნენ საუკეთესო ნადავლს იუპიტერს.

<sup>2</sup> აკრონი, პერკულუსის მთამომავალი, კენინის მეფე, იგი დაამარცხა რომულუსმა.

<sup>3</sup> კოსუსი, რომის კონსული, რომელმაც დაამარცხა კოლუმნუსი, ვეიელების მეფე ძვ.წ. 428წ.

<sup>4</sup> კლავდიუსი, რომის კონსული, რომელმაც სძლია ვალესს, მათ სარდალს ვირდომარს ძვ.წ. 222 წ.

<sup>5</sup> ვალები განიერ მარჯვებს აგარებდნენ.

*თარგმნა იამშუ გავუამ*



# ალბიუს ტიბულუსი

(ძე.წ. 55 – ახ.წ. 19 წწ)

ტიბულუსის ბიოგრაფიიდან ცოგაა ცნობილი. იგი მხედართა წოდებას ეკუთვნოდა და მის ოჯახს ქალაქ პედუმთან დიდი მამულები ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ კონფისკაციის კანონი (ეგეერანთა ჩასასახლებლად მიწების გათავისუფლება) მის ოჯახსაც შეეხო, რომში გადაბარგებული ტიბულუსი ხელმოკლედ არ ცხოვრობდა.

ახალგაზრდა ალბიუსი მალე შეუერთდა ცნობილი მხედართმთავრის, მესალას ლიგურატორულ წრეს, ძე.წ. 30 წელს იგი მესალას აკვიგანის ლაშქრობაშიც კი გაჰყვა, მაგრამ თავი შეუძლოდ იგრძნო და რომში დაბრუნდა.

ტიბულუსის სახელით ჩვენამდე მოაღწია კრებულმა, რომელიც ოთხი წიგნისაგან შედგება – Corpus Tibullianum, თუმცა მათგან პოეტს მხოლოდ პირველი ორი ეკუთვნის.

ტიბულუსის ლექსების პირველი წიგნის ადრესატი ვინმე „დელიაა“, რომელიც, აკულეუსის თქმით, ვინმე პლანია ყოფილა. იგი გათხოვილი ქალია, თუმცა რიგ შემთხვევაში კურგიზანივით იქცევა, რაც გარკვეულ შეუსაბამობას ქმნის მის მთლიან ხასიათთან.

მეორე წიგნში დელიას ნაცულად ნემესისი (ბერძნ. „შურისძიება“) ფიგურირებს, რომელიც ფულზე დახარბებული კურგიზანი ქალია.

თუმცა, მეორე წიგნის ბოლო სამი ელეგია ექვსიდან განსხეავებულ თემებსაც ეხება – სოფლურ გარემოს, მეგობრის დაბადების დღეს და სხვა. ტიბულუსი, განსხეავებით პროპერციუსისაგან, წყნარ, განმარტოებულ ცხოვრებას ელგვის, ემიჯნება ომს და ფუფუნებას. მისი იდეალია მითოლოგიური „ოქროს ხანა“, მშვიდობა, სოფლის სიმყდროვე და სიყვარული. მისი ლექსები გამოირჩევა სისადავით, დახვეწილობით და სინამბით.

შუა საუკუნეებში მივიწყებული პროპერციუსი, რომლის პოეტურ ღირსებებს გულწრფელად განადიდებდა ოვიდიუსი, აღორძინების ეპოქაში „ხელახლა იშვა“. მისი ლექსების მოტივებზე არაერთი პოეტური ნაწარმოები შეიქმნა. მის ქმნილებებს ბაძაედნენ გოეთე და პუშკინი.

## თარგმანი:

ტიბულუსი, ელეგიები, თარგმნა და შენიშვნები დაურთო იამზე გაგუამ.

## I, 5

- ვამბობდი მკაცრად, განშორებას ავიტან-მეთქი,  
მაგრამ სად გაქრა ჩემი ქაღილი.
- ახლა ეწრიალებ ვით ბზრიალა, ანცი ბიჭი რომ  
დაატრიალებს სწრაფად მიწაზე.
- აწამე, ტანჯვე უღმობელი, რომ ქედმაღლური  
ზვაობა თვისი მოინანიოს.
- შემინდე, ნუთუ საიდუმლო ტრფობა არ გახსოვს,  
აღერსით თავს რომ მკერდზე მაყრდნობდი.
- მე ის ვარ, ვინც შენ გამოგისხნა მძიმე სენისგან  
მხურვალე ლოცვით (ეს ყველამ იცის).
- გოგირდს ვაკმევედი შენს საწოლთან, როს დედაბერი  
გრძნეულ შელოცვებს გიბუტბუტებდა.
- კოშმარს რომ ძილი არ დაეფრთხო, სამკვერ ოთახში  
მიმოვაფრქვიე მე წმინდა ფხენილი.

თავზე წავიკარ. შევიხსენი ტუნიკა, ალთქმა ცხრაგზის დაუდე ქეკატეს ღამით.	15
რა არ ვიღონე, გადარჩენილს ჩემი ვედრებით სხვა ეტრფის ახლა, ნეტარებს მისით.	
მოიკეთებდი, ვიცხოვრებდით ერთად, მეგონა, არ იყო ალბათ ნება ღმერთისა.	20
სოფელს მივხედავ, ეთქვი, დელიას ხილის ბაღს ვანდობ, მზის გულზე კალოს ადევნოს თვალი და ყურძნის ჭყლეტას საწნახელში ქათქათა ფეხით, იქიდან მაჭრის გადმოღინებას.	
ჯოგის თვლას მალე მიეჩვევა და გაერთობა მონის ჩვილი ყრმის ტიკტიკ-ალერსით.	25
ზოგ ღმერთს თავთავს, ზოგს მტევნებს უძღვნის, ზოგსაც უხვ ნადიმს ყანისთვის, ზურისთვის, მსუქან ჯოგისთვის.	
დაე, ყველაფერს ის გაუძღვეს, სიამოვნებით გადაეაბარებ მას ყველა საქმეს.	30
როცა მესალა შინ მეწვევა, ბაღში დაკრეფილ ვაშლებს დელია მიაართმევს სტუმარს, სადილს თაყაღვე დაამზადებს, მხეველს უბრძანებს რომ დიდებული სუფრა გაშალოს.	
ენატრობდი ასე, ეს ოცნება ქარმა წაიღო სურნელოვანი არმენიისკენ. <sup>1</sup>	35
ხშირად მიცდია ღვინით ჯანღის გაფანტვა, მაგრამ აქცევდა ცრემლად სასმელი სევდას.	
როგორც კი სხვა ქალს ჩავეკვროდი, გამახსენებდა სატრფოს სახელს და მტოვებდა ვენუს.	40
გარბოდა ქალი ჩემგან როგორც შეპყრობილისგან, იმახდა: ვიცი, ვინც შეშალაო.	
არა შელოცვამ, მისმა სახემ, ნაზმა მხრებმა და ოქროს დაღალმა მომნუსხეს ძლიერ.	
ღამაში იყო თეტისივით, როცა დელფინი მიაქროლებდა მას პელეგისისკენ.	45
დაემარცხდი მაშინ, როს გიპოვა მდიდარმა მეტრფემ, მე მაჭანკალმა ფლიდმა დამღუპა.	
სისხლიან ნადიმს დაეწაფოს და პირმოთხვრილმა ნადველით საცხე სამსალა შესვას.	50
მის ირგვლივ ძრწოდნენ აჩრდილები, წყველიდნენ თვის ბედს, ჭერიდან ჭოტი ჩამოჰკიდეს.	
შიმშილს ბალახით იოკებდეს საფლავებს შორის, ღრღნიდეს ნარჩენებს მგლის ულუფიდან.	
შიშველ-ტიტველი წანწალებდეს ქალაქს წკმუტუნით, უკან დასდევდეს ხროვა ძაღლების.	55
ასე მოხდება, ღმერთს ასე სურს, ის იცავს მეტრფეს, ხოლო მის კანონს ვინც არღვევს, დასჯის.	
შენ კი იცოდე, ყურს ნუ უგდებ მაჭანკლის ბოდვას, გახსოვდეს, აჭკნობს სიყვარულს ძღვენი.	60
ღარიბი მუდამ შენთან არის, დილით პირველი მოირბენს შენთან, ნაზად ჩაგეკვრის.	

იგი დაგიცავს საიმედოდ ბრბოში ჯგლეთისგან, ხელს გამოგიწვდის, გზას გაგიკაფავს.	
ღარიბი ჩუმაღ შეგახვედრებს სხვა მეგობრებსაც და თავად შეგხსნის ზონრებს ფეხებზე.	65
ამაოდ დაეშერი . . . კარს სიტყვებით როგორ გავაღებ, საესე ხელები სჭირდება ამას.	
შენ კი, რაყიფო, ჩემი ხეიღრი არ გერგოს, ფრთხილად, ტრიალებს ბედის ბორბალი სწრაფად.	70
ვიღაცამ ზღურბლთან გაიღეღა, მიმოიხეღა და ისეე საღღაც გაუჩინარღა.	
ვითომ შევიღა სახლში, მაგრამ დაბრუნღა მალე, დაღღა კარებთან და ჩაახეღღა.	
არ ვიცი ტრფობა რას გვიმზადებს. ღროს ნუ დაკარგავ. შენი ხომალღი ზღვას შეაცურე.	75

### შენიშენები:

<sup>1</sup> სირია, არმენია და არაბეთი ცნობილი იყო კეთილსურნელოვანი სანებლებით.

### I, 10

ვინ მოიგონა საჭურველი ნეტაე პირველად, ალბათ ველურმა, შმაგმა, სასტიკმა.	1
მაშინ შეიცნო ხალხთა მოღგამომი, მკვლელობა, გზა უმოკლესი ბნელ სიკვდილისკენ.	
იქნებ უბედურს ბრალი არც აქვს, მახვილი მოგვცა მხეცთა და არა კაცთა ჟღეტისთვის.	5
რა იწვევებს მტრობას? რა და ოქრო. საღ იყო ომი როს ხის თასები ეწყო ტაბლაზე.	
არც ციხე-ბურჯნი, არც სანგრები არ იყო, ფარას უკლიღა მშვიღღად მთველმარე მწყემსი.	10
რა საამურად ვიცხოვრებღი იმ სანატრელ ღროს, არ შემაკრობღა მაშინ ბუკის ხმა.	
ახლა კი ომში მიმათრევენ, საღაც მტრის შუბით ფერღგანგმირული მოკვღღები ალბათ.	
უნღა ღამიცვათ, მშობლიურო პენატნო, განა თქვენ არ გამზარღეთ? თქვენს ფერხთ წინ ერბოღი.	15
მერე რა, რომ ხართ ძირძველი ხის ამონაზარღნი, ჩვენს წინაპართა აღავს დაშკეიღრღით.	
მაშინ ხომ რწმენა უფრო კქონღათ, როს ხის ქანღაკი ღმერთის უბრალო ტაძარში იღღა.	20
არ თაკილობღა იგი მწიფე მტვენებს შესაწირს, თავთავის გვირგვინს თმის შესამკობად.	
ზოგი უძღენიღა ნაზუქს ნატვრის ახღენისათვის, ზოგი გოგონა კი – თაფლის ფიჭას.	
მაშ. ამარიღეთ მე, ღარებო, შუბი ბრინჯაოს . . . გამოვრეკ მსუქან გოჭებს სამსხვერპლოღ,	25
თეთრად მოსიღი და შემკული მირტის გვირგვინით, მირტისეე წწული კაღათით ხელში.	

თავს მოვიწონებ ამით . . . ომზე კი სხვამ იფიქროს და შეერკინოს მტრებს მამაცურად . . .	30
მე მსურს, რომ ომზე მიაბობდეს მებრძოლი ლხინში, ღვინით ხაზავდეს ბანაკს სუფრაზე. რა სიიფეა, მიახლო შავ სიკვდილს ომში, როცა ის თავად მოდის უჩუქრად.	
სულეთში ყანას ვერ ნახავ და ვერც ვაზს, იქ მხოლოდ კერბურია და მენავე სტიქისის.	35
დაბორიალობს მრუმე ტბასთან ფერმკრთალი იქ ბრბო, თმებშეტრუსული, დაწვედაკაწრული. მაშ, ვაქოთ ქოხი უბრალო და ტკბილი სიბერე, შვილიშვილებით დამშვენებული.	40
როს დაჰფოფინებს ცხვარს მოხუცი, შვილი კი – ბატკნებს, ან როცა დაღლილს წყალს უთბობს ცოლი. ასეთ სიბერეს მეც ვინატრებ, თმაშვეერცხლილი რომ ვიგონებდე გარდასულ დღეთა.	
ახლა მშვიდობა სუფევს მინდვრად, ნათელმოსილი, ვინც გლებს ასწავლა ხენა ხარ-კამეჩით. მშვიდობა კეებავს ვაზს, წურავს მტევენებს, მამაჰაპურ ქვევრს აავსებს ღვინით, მშვიდობა ღესავს თოხს და სახნისს, ჟანგს მოუკიდებს ხმალს მივიწყებულს სადღაც კუნჭულში.	45
	50

\*\*\*

აი, გლებს ნასვამს ცოლ-შვილი და მთელი ნაგრამი ჭალიდან მიჰყავს შინისკენ ურმით. გაჩაღდა უცებ ტრფობის ომი . . . და ნაღვლობს ქალი დაგლეჯილ თმებს და შეღეწილ კარებს. ტირის, დაწვები ჩაულურჯდა, გამარჯვებულიც	55
ტირის, უხეშად იმძლეავრა ქალზე. ამური სიტყვებს ჩასწურწულებს მოჩხუბართ, უშვერს, თავად კი ტკება სანახაობით. რკინის გული აქვს და ქვის, ვინაც ქალს სცემს ამგეარად, ის ჩამოაგდებს ციდან ღმერთსაც კი.	60
განა არ კმარა ჩამოფხრეწა ნაზი სამოსის, თავსამკაულის მოგლეჯა თმიდან ან აცრემლება? ნაზ გოგოს ვინაც აატირებს რისხვით, ის ოთხგზის ბედნიერია. ვინც ქალის ცემას აპირებს, სჯობს დაწვედეს იარაღს, იმას ვენუსთან რა ესაქმება.	65
ზავო კეთილო, მოგვეახლე თავთავით ხელში, აქ დაიბერტყე ხილუხვი კალთა.	

*თარგმნა იამზე გაგუამ*

# კუბლიუს ვერგილიუს მარო

(ძვ.წ. 70 – ძვ.წ. 19)

ვერგილიუსი ჩრდილოეთ იტალიაში, მანტუას მახლობლად ანდესში დაიბადა წერილი მიწათმფლობელის ოჯახში.

დაწყებითი განათლება ვერგილიუსმა ჯერ კრემონაში, შემდეგ მედიოლანუმში (თანამედრ. მილანი) მიიღო. 50-იანი წლების ბოლოს ვერგილიუსმა რომს მიაშურა ფილოსოფიისა და მჭევრმეტყველების შესასწავლად.

ვერგილიუსი ლექსებს ჭაბუკობიდანვე თხზავდა და მის ლიგურატურულ ორიენტირს „ნეოტერაქოსები“ წარმოადგენდნენ.

ძვ.წ. 42-39 წლებში მან დაასრულა „ბუკოლიკები“ – სამწყემსო სიმღერები, რომლებიც 10 ელეგიისაგან შედგებოდა. ამ ნაწარმოებით ვერგილიუსმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. განსაკუთრებულმა ნიჭმა მალე სახელი გაუთქვა ახალგაზრდა პოეტს, იგი მეცენატის ლიგურატურულ წრეს შეუერთდა და აეგუსტუსს დაუახლოვდა. სწორედ ამ უკანასკნელს უძღვნა ვერგილიუსმა მომდევნო პოემა „გეორგიკები“ („მიწათმოქმედებზე“), რომელიც ოთხი წიგნისაგან შედგებოდა. ეს დიდაქტიკური თხზულება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს შეეხებოდა. ეს კონკრეტული აბსტრაქტიზებულია მითოლოგიური ჩანართებით, შეიცავს მეცენატისა და აეგუსტუსის განმადიდებელ სტრიქონებსაც.

პოემის გასრულების შემდეგ ვერგილიუსმა მეცენატისაგან სანაგებო დაეალება მიიღო, შეეთხზა ეპოსი რომის დიდებულ წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

ვერგილიუსი, ბუნებით მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი, დიდხანს მერყეობდა, თუმცა, განსხვავებით პროპერტიუსისგან, თავის მფარველს და კეთილისმყოფელს უარი ვერ შეებუდა. მუშაობასაც მისთვის ჩვეული მუყაითობით შეუდგა.

ვერგილიუსმა გადაწყვიტა შეექმნა პოემა „ენეიდა“, რომელიც გროელ გმირს, ენეასს ეძღვნებოდა. ენეასის, რომაელთა ლეგენდარული წინაპრის განდიდებით ვერგილიუსმა უმღერა იმპერიის წარსულს, აწმყოს და მომავალს. თხზულება ხოგბას ასხამდა რომს როგორც განახლებულ გროას. ვინაიდან იულების ვგარი თავის წარმომავლობას ენეასის ეაქს, ასკანიუსს – იულუსს უკავშირებდა. „ენეიდა“ აეგუსტუსის წინაპართა სადიდებელიც იყო.

ნაწარმოები პოემა ძვ.წ. 19 წელს დაასრულა, თუმცა მის სრულყოფას მომდევნო სამი წლის მანძილზე გეგმავდა. ამ შიშნით ვერგილიუსმა განიზრახა მოენახულებინა საბერძნეთი და მცირე აზია, რათა გასცნობოდა ეპოსის სამოქმედო გარემოს. მოგზაურობისას ვერგილიუსი ავად გახდა და 21 სექტემბერს ბრუნდისიუმში (თანამ. ბრინდიზი) მოულოდნელად გარდაიცვალა.

სიკვდილის წინ პოემა არ ისურვა, რომ მისი აღსასრულის შემდეგ პოემა გამოქვეყნებულიყო, რადგან ნაწარმოებს დაუსრულებლად მიიჩნევდა.

ამის მიუხედავად, აეგუსტუსმა მაინც ბრძანა, რომ „ენეიდა“ გამოეცათ, ხოლო დაუმთავრებელი ჰექსამეტრული ტაქები ხელუხლებლად დაეგოეებინათ.

თორმეტი წიგნისაგან შემდგარი „ენეიდა“ ასახავს გროელი გმირის, ენეასის მოგზაურობას და მის ბრძოლებს იტალიაში. პირველი ექვსი წიგნი ვენუსის ეაქის ხეგიალს ეძღვნება, ბოლო ექვსი კი – მის ომს იტალიკურ ტომებთან.

ამით ვერგილიუსი შეეცადა ერთ პოემაში პომპროსის ორი ეპოსის – „ილიადასა“ და „ოდისეას“ თემები გაეერთიანებინა.

ანთოლოგიაში მოცემულია ნაწყვეტები „ენეიდას“ სხვადასხვა წიგნებიდან, სადაც წარმოდგენილია ნაწარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი პასაჟები.

## თარგმანი:

ვერგილიუსი, ენეიდა, თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო რომან მიმინოშვილმა, თბილისი, 1976.

## ენეიდა

### წიგნი პირველი

- ეუმღერი ბრძოლებს ეაჟეაცისა, ვინაც პირველად  
ბედმა ტროიდან გადმოხვეწა იტალიაში.  
მოვლო მრავალი მიწა-წყალი ღმერთების ნებით  
რისხვასაყოლილ მძლე იუნოს სიმკაცრის გამო.
- 5 ბერიც იომა, ვიდრე ქალაქს მისცემდა ფუძეს,  
კერპებს – ლაციუმს, სად დამკვიდრდა ტომი ლათინთა,  
ალბელთ მამანი და გოდოლნი ამაყი რომის.
- 10 მუზაჲ, მიზეზი გეამცნე ღმერთის შურაცხების,  
ღმერთთა დედოფლის მრისხანების, რომ ეგოდენი  
არგუნა ეაჟეაცს ქველს და სათნოს შრომა მტანჯველი!  
ზეციერთ სული ნუთუ ასე უღმობელია?  
ძველი ქალაქი იყო ერთი, ტვირთელთ სამკვიდრო,  
იტალიის წინ, კართაგენი, შორს – ტიბრის წყლიდან,  
ბედკეთილი და მეომარი, სიუხვით სავსე.
- 15 ის ერთი, თურმე, თვით იუნოს ერჩია ყველას,  
კუნძულ სამოსსაც: საჭურველს და ეტლს იქა ფლობდა.  
ქალღმერთი ქალაქს იზრახავდა ტვირელთ სამეფოდ,  
თუ ბედისწერა ინებებდა ამ მოწყალებას.  
მას გაეგონა, რომ ტროელთა შთამომავალი
- 20 ოდესმე ტვირელთ ამაყ კოშკებს იავარყოფდა,  
ძლიერი ხალხი დათრგუნავდა ლიბიის მზარეს:  
პარკებს ჰქონიათ მისი ბედი გადაწყვეტილი.  
ამას შიშობდა სატურნია: ახსოვდა, ძლევა  
ძვირფას არგიველთ რომ არგუნა ტროის ციხესთან.
- 25 ჯერაც არ დაცხრა მრისხანების მიზეზი სულში,  
რადგან მშვენება დაუწუნა პარისმა ქალღმერთს.  
არ გაუნელდა სიძულვილი ტროელთა მოდგმის,  
და მოტაცებულ განიმედეს პატივი შურდა.  
სწორედ ამიტომ ზღვის სივრცეზე მოხეტიალეს –
- 30 დანაეს მოდგმას, აქილევის რისხვას აცდენილს,  
გზა გადაუჭრა ლაციუმში. მრავალი წელი  
წილად ხედა დევნილთ ზღვად ყიალი და უგზობობა.  
ო, მძიმე იყო დაბადება რომაელ ხალხის!  
ის იყო, ძველი სიცილია თეალს მიეფარა,
- 35 აფრა გაშალეს, მლაშე ქაფი მხნედ გაჭრეს რვალით,  
რომ გაიფიქრა მძლე იუნომ გულდასერილმა:  
„ნუთუ კვლავადაც უნდა დავშთე მათგან ძლეული,  
ვერ განვაშორო იტალიას ტევკრთა ბელადი,  
რაკი მიკრძალავს ბედისწერა? მარტო პალადას
- 40 შეეძლო განა არგიველთა ფლოტის მოსპობა,  
ოილევის მის აიაქსის სიგიჟის გამო?..  
იუპიტერის ელვა სტყორცნა შავ ღრუბლებიდან,  
გემნი მიფანტა, ზღვაში შთანთქა ქარიშხლის ქროლვით.  
მკერდგაპობილი დამნაშავე, აღმოდებული,
- 45 გრიგალის ძალით აიტაცა, ბასრ კლდეს მიაკრა.

დედოფალიც ვარ, მეუღლეც ვარ იუპიტერის,  
დაცა ვარ მისი, მაინც ვებრძვი რამდენი წელი  
ერთ ხალხსა ოდენ! ტაძარს ჩემსას ამიერიდან  
ვინღა სცემს თაყვანს, ზორვად მდგომი საკურთხეველთან?"

50

ასე ფიქრობდა აალებულ გულში ქალღმერთი,  
ეწვია მამულს ტაროსისა, სად წივის ავსტრი, –  
ეოლიაში. იქ მღვიმეში მეფე ეოლუს  
შხუილა ქარებს, მოგუგუნე გრიგალსა თრგუნავს,  
ჯაჭვებით აბამს და ჯურღმულში კეტავს შებორკილს.

55

განრისხებულნი აღიძვრიან ხოლმე გრუხუნით,  
ქარაფებს ირგვლივ აწყდებიან, ხოლო ეოლუს,  
კვერთხის მპყრობელი, მწვერვალიდან მათ რისხვას აცხრობს.

ასე რომ არა, ზღვას და მიწას და ცის კამარას

პაერში მიფანტ-მოფანტავდნენ ზეატაცებულთ!

60

მძლეთამძლე მამამ ამის შიშით შავ ჯურღმულებში  
ჩაკეტა ქარნი, ზედ დაამხო მთანი მაღალნი.  
შემდგომ ხელმწიფეც განუწესა, რომელს სადავით  
შეეძლო მათი ახსნაცა და დამორჩილებაც.

იუნო მასთან გამოცხადდა, მიმართა თხოვნით:

65

„ეოლუს, შენ ხომ ღმერთმა მამამ და კაცთ უფალმა  
მოგცა შეძლება ქარით აღძრა მრისხანე ზვირთნი!  
ტირენის ზღვიდან იტალიას მიილტვის ტომი,  
დამარცხებული ილიონი და პენატები.

ქარი შხალს მიეც ძალა თვისი, შთანთქას ხომალდნი,

70

ზღვაზე გაფანტოს და გვაძევი აატივიტივოს!  
მყავს ორჯერ შვიდი ტანკენარი, ლამაზი ნიძფა,  
უტურფესია იმათ შორის დეიოპეა,

მას ქორწინების ხუნდით შეეკრავ, მოგეახლება,

რომ შენთან იყოს დღემუდამამ სანატრელ ჯილდოდ

75

და მშენიერი მოღვმის მშობელ მამად გაქციოს!“  
მაშინ მიუგო ეოლუსმა: „ო, დედოფალო,  
ნება შენია, მე კი მმართველს დამორჩილება!

შენით ვფლობ კვერთხსა და სამეფოს, შენა მრთავ ნებას,

რომ მეც ვილხენდე ღვთაებათა ნეტარ ნაღიშზე.

80

წარღვნა-ქარიშხლის განრიგების უფლებით მმოსავ“.  
ეს თქვა თუ არა შუბი დაკრა და გაანგრია  
მთის ფერდი. თითქოს ბრბო უძლევი მოაწყდა კარებს,  
მძვინვარე სუნთქვა დააფრქვია მიწას გრიგალმა.

ზღვა შემოსალტა, ყოველივე ძირის ძირამდე

85

აღძრა ნოტუსმა და ეერუსმა, მძლე აფრიკუსმა  
ქუხილით ხმელეთს შეახეთქა ზეირთი მრისხანე.  
გაისმა გმინვა საზარელი, ბავირთ ჭკრიალი,  
დღეცა და ზეცა მიიტაცა ქუფრმა ღრუბელმა  
ტევერთა თვალთაგან, ზღვაზე გაწვა პირქუში ღამე.

90

ქუხდა ცის კიდე, ციმციმებდა ცეცხლით ეთერი,  
აშკარა სიკედლის უქადოდა რჩეულ ვაჟაკებს.  
ყინვამ დაშალა ენეასის მძლავრი სახსრები,  
ამოიგმინა, ხელაყპრობით შესძახა მთიებს:

- 95 „სამგზის და ოთხგზის ის ყოფილა უნეტარესი,  
ვინც მამათ თვალწინ ილიონის მაღალ თალბქვეშ  
სიკვილის ეღირსა! ტიღვესის ძვე, დანაელთ დასში  
უმამაცესო. ხომ შეგეძლო ტროის ველეზე  
მოგესპე, სული ამოგერთვა მძლავრი მარჯვენით, –  
იქ, სად ჰექტორი ეაკიდის განგმირა შუბმა,
- 100 სად წვეს დიადი სარპედონი, სადაც სიმოისს  
აბჯარ-ბექთარი და მეომართ გვაძებნი მიაქვს!“  
ასე გოდებდა. აქვილონის აღძრულმა ქროლვამ  
აფრა მოგლიჯა და ტალღები ცად ააშხეფა.  
დაცაილენა ხოფნი, გემი გვერდზე მობრუნდა,
- 105 ფერდს ტალდა ეცა, წყლის მთა მოდგა, ქიმს დაეკიდა  
მრიხხანე ზვირთი, მერმე იგი შუა გაიპო.  
ტალდათა შორის მიწა ჩანდა, ქუხდა ხმელეთი.  
სამი ხომალდი მიახეთქა ნოტუსმა ქარაფს,  
იტალთ ენაზე „არასი“ თუ სამსხვერპლო ჰქვია
- 110 იმ ქედს ხელთუქმნელს, ზღვის ტალღებზე ხარბად ამორჩილს.  
ევრუსმაც სამი მიაღენა მერჩეზე, ვაგლახ, –  
ნაფოტად იქცენ და ქვიშაზე გაფანტა ტალღამ!..  
ლიკიელთა და უერთგულეს ორონტეს ხომალდს  
ბელადის თვალწინ აეშალა დიდი მორევი,
- 115 ეძგერა კიჩოს, თავდაყირა მოწყდა მესაჭე,  
გემი კი სამგზის დატრიალდა იქვე, ადგილზე  
და ზღვის ჯურღმულმა შთანთქა იგიც გაუძლომელმა.  
ბობოქარ ზღვაზე ტივტივებდა მირყილ-მორყილი  
ფიცრების გროვა, საჭურველი და ტროის განძი.
- 120 ილიონევის მძლავრი გემი და აქატესი,  
ხომალდი, რომელს ალეტე და აბანტი წააყვა,  
ქარმა დაგლიჯა საშინელმა, დამღუპველ ტალღას  
დაფლეთილ ფერდში ატარებდნენ ხომალდნი უხეად.  
მაშინვე იგრძნო ნებტუნუსმა, რომ აღდგა ზვირთი,
- 125 მკაცრად გერგვინავდა ქარიშხალი და უკუიქცნენ  
ფსკერზე ნაკადნი ტალღებისა. შეძრწუნებულმა  
ზღვის ზედაპირზე გასახედად ამოჰყო თავი.  
თვალნი მიაპყრო ენეასის გაფანტულ გემებს,  
წყლით დამძიმებულთ და დაღუპულთ ცის ჩამოსკდომით.
- 130 ქალღმერთ იუნოს განრისხება ძმამ იგრძნო წამსვე.  
მოუხზო ევრუსს და ზეფირუსს, ასე მიმართა:  
„ნუთუ ესოდენ იმედი გაქვთ თქვენი ძალისა,  
რომ ცა და მიწა, ქარიშხალნი, ჩემ უნებურად  
გსურთ შეანივთოთ და ტალღათა აშალოთ მთები?  
მე თქვენ გიჩვენებთ!.. გირჩენიათ დააცხროთ დელვა!  
კვლავ თუ გაბედავთ, უკვე კვლარ გადამირჩებით!  
უკუიქცით, მოახსენეთ მბრძანებელს თქვენსას:  
იგი როდი ფლობს ზღვის სამეფოს, სამკბილა ფიწალს,  
ბედმა მე მომცა. მას არგუნა სალი კლდეები –
- 140 საფარი თქვენი. ევრუს, ლაღად გრძნობდეს ეოლუს  
თავს მხოლოდ იქა! ჯურღმულებში ჩაახშოს ქარი“.



- ეს თქვა თუ არა. ზღვის ტორტმანი დააცხრო ღმერთმა,  
 მიფანტ-მოფანტა მყის ღრუბლები, მზეს გზა გაუხსნა.  
 ტრიტონთან ერთად კიმოთოემ კლდეს მოაშორა
- 145 ტეეკრთა ხომალდი. თვით სამკბილა ფიწლით შველოდა,  
 მეჩერებს წმენდდა, აწყნარებდა ზღვას აღელვებულს,  
 ტალღების ზემოთ დაცურავდა მსუბუქ ბორბლებზე.  
 ეს იმას ჰგავდა, ხშირად ბრბოს რომ ჯანყი შეიპყრობს  
 და მდაბიოთა აღელდება სული მძვინვარე.
- 150 ცვივა ქეები და ნაკვერცხლები, ხმაღს მართავს რისხვა...  
 ამ დროს შემთხვევით მორჭმულ მოყმეს თუ მოკრეს თვალი,  
 ყურებს დაცქვეტენ, შედგებიან, გაყურდებიან.  
 სიტყვა დააცხრობს გულს, გონებას დააშოშმინებს.  
 ასე გადაწვდა თვალწედენელ ზღვის კიდევანსა
- 155 მეუფე, ოდეს ცისქვეშეთში, სწრაფმაეალ ეტლში  
 ლაღად მიუშვა მძლავრ მერანთა სადავეები.  
 ამ დროს მაშვრალნი ენეანნი ეძებდნენ ნაპირს,  
 მოისწრაფოდნენ ლიბიისკენ ქანცდალეულნი. <...>
- 220 <...> მამა ენეასს გულში მძიმე ოხვრა აღმოხდა  
 ამიკუსისა და გულადი ორენტეს გამო,  
 სწუხდა ლიკუსის, კლოანთუსის, გიასის ხვედრზე.  
 მაშინდა დაცხრა, როს ეთერში იუპიტერმა
- 225 აფრით მოფენილ ზღვას გახედა, ხმელეთს და ქვეყნებს,  
 ნაპირებს, ხალხით დასახლებულს, ცის კაბადონზე  
 დადგა, ლიბიის სამეფოსკენ მიაპყრო მზერა.
- როს ღმერთის გულში ესოდენი ზრუნვა სუფევდა:  
 ეახლა ვენუს სევდიანი, თვალეში ცრემლი  
 უციმციმებდა. ასე უთხრა: „ო, მეუფეო
- 230 ღმერთთა და კაცთა, მარადისო, ელვით საზარო!  
 განა შენ ჩემმა ენეასმა რა დაგიშავა,  
 ან ტროელებმა, მათ წინაშე რკალი ქვეყნისა  
 მთლად რომ შეკრულა იტალიის მისადგომებთან?
- 235 აღთქმა ხომ დადე, რომ ოდესმე ტეეკრთა სისხლისგან  
 გაჩნდებიანო რომაელი წინამძღოლები,  
 მთელს ქვეყანაზე, ზღვა და ხმელზე გამეფებულნი.  
 რაღამ შეცვალა ნეტაე, მამაე, განზრახვა შენი?  
 დაცემულ ტროის ნანგრევებში მეყო ნუგეშად,  
 აღთქმა ღვთიური, კეთილ ბოლოს რომ გეპირდებოდა.
- 240 დღეს ბედისწერა მრავალნაცად მამაცებს ღვენის...  
 საღ უღებს საზღვარს მათს სატანჯველს, დიდო მეუფეე?  
 ხომ განერიდა ანტენორი აქაველთ ლაშქარს,  
 თაეშესაფარი ილირიკის ყურეში ჰპოვა –  
 ლიბურნელთ შორის და წიაღელო ტიმავის წყალიც,
- 245 მაღალ მთიდან რომ მოჩუხჩუხებს ცხრა სათავითა,  
 ველებს გააღლობს და ესწრაფვის ზღვას შესართაეად!  
 ტეეკრთა სავანედ დააარსა ჰატავიუმი,  
 სახელი მისცა ხალხს და ტროის აბჯარ-ბექთარი

- შემოიტანა. აწ მშვიდობით მუნ განისვენებს...
- 250 ჩვენ, შეილნი შენნი, ვის აღუთქვი ზეცის გუმბათი,  
ქალღმერთის რისხვით, – ვაი ჩვენს თავს, – ზომალდებს ვკარგავთ.  
ერთს ბედს ქვეშ ვართ იტალიას განშორებულნი.  
ეგ არის ჯილდო თაყვანების? კვერთხს ეგრე გვაძლევ?“
- 255 კაცთა და ღმერთთა მამამ ჰირმშოს შეხედა მაშინ  
ღიმილით. ცას და ბუნებას რომ ჰყენს ნათელ სხივებს.  
ასულის ბაგეს ეამბორა და ტკბილად უთხრა:  
„ნუ შიშობ, ჩემო კითერეა, არ უღალატებს  
260 ბედი შენს რჩეულთ, კედლებს ნახავ ლავინიუმის,  
ქალაქს მიიღებ, ვარსკვლავიან ცაში აიყვან  
სათნო ენეასს, არ გარდავალ მე აღთქმას ჩემსას.  
გეტყვი, რადგანაც შენ დაგტანჯა ამ საზრუნავმა,  
გაგანდობ ბედის საიდუმლოს: დიდ ომს გადიხდის,  
იტალიაში როცა შევა. დათრგუნავს ტომებს,  
265 ქალაქის ზღუდეს და კაცთა ზნეს მისცემს საფუძველს.  
მესამე წელი ლაციუმში იხილავს მეფედ.  
სამიჯ გაივლის რუტულეების დათრგუნვის შემდეგ.  
ყრმა ასკანიუს, ამჟამად რომ იულუს ჰქვია  
(სანამდის იდგა ტროა, იგი იყო ილუსი).  
მთვარის ოცდაათ მოქცევაში ძალაუფლებას  
270 თვისას აჩვენებს, სახელმწიფოს ლავინიიდან  
სხვაგან გადითანს, გაამაგრებს ვრცელ ალბას ციხეს.  
სამასი წელი იქ იმეფებს ჰექტორის მოდგმა,  
სანამ ილია დედოფალი მუცლად არ იღებს  
მარსისგან ნაყოფს და არა შობს ტყუპ შთამომავალს.  
275 ძუ მგლის წაბლისფერ საფარველით ნუგეშტემული  
ხალხს წარუძღვება რომულუსი და მარსის კედლებს  
ალაგებს, შემდგომ თავის სახელს მისცემს რომაელთ.  
მე არ განვსაზღვრავ დროს და საზღვარს ხელმწიფებისა  
ბოლო არა აქვს მათს მეფობას! თვითონ იუნო,  
280 დღეს რომ ზღვა, ზეცა და ქვეყანა შიშით შეუძრავს,  
ჩემთანვე ერთად რომაელთა შემწე იქნება –  
მთელი სამყაროს მფლობელების, ტოგით მოსილთა.  
მე ასე მინდა! წელთა სრბოლას მოჰყვება ყამი,  
ოდეს ფთიას და ლამაზ მიკენს ასარაკუსის  
285 დათრგუნავს მოდგმა და არგოსში გაბატონდება.  
დაიბადება კეისარი ტროელთ სისხლიდან,  
ძალით მოიცავს ოკეანეს, დიდებით – მთიებს,  
იულიუსი იულუსის მიიღებს სახელს.  
აღმოსავლური საგანბურით სავსეს წაიყვან  
290 ოდესმე ზეცად და ილოცვენ მოკვდავნი მისდა.  
შემდეგ დაცხრება ყამთ სიავე. ჭაღარა რწმენა  
და ეესტა მოვა. რემუსი და ძმა ქვირინუსი  
ხალხს დაუდგენენ კანონს. რკინის კლიტე დაახშობს  
ომის კარიბჭეს. შიგ სიცოფე დაუოკველი,  
295 იარაღებზე მჯდომი, ასი სპილენძის ჯაჭვით

მტკიცედ შეკრული, კბილს დაახრჭენს პირსისხლიანი".  
ასე თქვა. თხემით გარდმოგზავნა მაიას პირში,  
რომ ქვეყანა და კართაგენის ახალი თაღი  
300 ტევკრთა საფარად გახსნილიყო, ბედის არმცოდნე  
დიდი რომ ლტოლვილთ არ დასხმოდა. სწრაფმა ფრთოსანმა  
ვრცელი ჰაერი გადალახა, გაჩნდა ლიბიას.  
იქ აღასრულა მან ბრძანება. გულში ჩამარხეს  
ღვთის განჩინება. დედოფალმა თავდაპირველად  
ტევკრთ სათნო სული და კეთილი ზრუნვა აჩვენა. <...>

<...> შემდეგ ვენუსმა მშვიდი ძილი ასკანიუსის  
სხეულს შთაბერა და ქალღმერთმა ატატებული  
იდალიუმის ტყეში დასვა, სად ყრმას ჰფარავდა  
მაიორანის ყვავილები ტკბილი ჩრდილებით.  
695 დედის მორჩილი კუპიდონი მეფური ძღვენით  
ტვირელთ ქალაქში მიჰყვებოდა აქატეს ლაღად.  
როცა მივიდა, დედოფალი ძვირფას ხალეზზე  
სასახლის შუა იჯდა ოქროს მოფარდაგულში,  
მამა ენეას და ტროელი ახალგაზრდობა  
700 დაბლა დაგებულ მოწეულზე დაშვებულყო.  
წყალი მიართვეს მსახურებმა ხელის საბანად,  
კალათით – პური, ხელსახოცი გაკრეჭილ შალის.  
ევალებოდა ორმოცდაათ მშვენიერ მხეველს  
სუფრის გაწყობა. პენატებთან ცეცხლის დანთება.  
705 ასიც კიდევ სხვა. მათი ტოლი მსახური, სუფრას  
ნუგბარს კმატებდა, მაგიდაზე ფიალებს დგამდა.  
ზღურბლს მოზეიმეს ტვირელებიც მოადგენ უხვად,  
წვეულნი დასხდნენ ხალიჩებზე, გაოცებულნი  
ენეასით და იულუსის სახის მშვენებით,  
710 მგზნებარე ღმერთით, შემპარავი სიტყვებით მისით,  
ყვითელ აკანთით მოოჭვილი საბურველითაც.  
საბრალო ქალი! განწირული მომავალ დარდით,  
ვერ იყურებდა გრძნობას დიდო, სახმილი წვაედა,  
ძვირფასი ძღვენი აღელვებდა, უცხო ყმაწვილი.

715 ყელს მოეხვია კუპიდონი სათნო ენეასს,  
თითქოსდა მამის სიყვარულის გზნება დააცხრო.  
შემდეგ მიიღო დედოფალმა. მკერდში ჩაიკრა,  
ეფერებოდა წრფელი გულით, როდი იცოდა,  
რა ღმერთს კოცნიდა!.. გაახსენდა კუპიდონს დედა –  
720 აკიდალია, ნელა მოსპო სიქეცისის სახე,  
სცადა ცხოველი სიყვარულით მიეპყრა სული,  
დამშვიდებული. ენებათღელვას გადაჩვეული.

როცა ნადიმზე ჩამოვარდა ოდნავ სიწყნარე,  
სუფრას შეკმატეს ფიალები შუშხუნა ღვინით  
725 კვლავ დარბაზებში მხიარული ატყდა ხმაური,  
ოქროს ჭერიდან ჩამოცურდა მყისვე შანდლები

- და მრუმე ღამე დაამარცხეს ნათელ სხივებით.  
დიდომ ითხოვა მოოჭვილი თასი ოქროსი,  
აავსო ღვინით, ამით სვამდა ხოლმე ბელუსი,  
730 ბელუსის მოდგმაც. კვლავ სიჩუმე ჩამოდგა სახლში.  
„იუპიტერო, შენ სტუმრების ქომაგად გთვლიან,  
ნეტავ აჩუქო ეს დღე გმირებს, ტროიდან მოსულთ,  
შვება უბოძო სასახელოდ ჩვენი მოდგმისა!  
გვატკობოდეს ბახუს – ღვინის მამა და მძლე იუნო!  
735 მაშ, იზეიმეთ თქვენც, ტვირელნო, ჩვენი შეხვედრა!“  
ეს თქვა და სუფრას დაასხურა კამკამა ღვინო,  
მანამ კი ნაზად თასს შეეხო ბაგეთა კილით.  
ბიტიასს უხმო, გულმოდგინედ დააცლევინა  
740 შუშუნა ღვინო, შემდეგ თასი სხვებმაც დააშრეს.  
თმებაქოჩრილი იოპასი ნაზ კითარაზე  
ატლანტისაგან ნასწავლ ქანგებს ტკბილად მღეროდა,  
ამკობდა მზესა და მთოვარის მოქცევას ცაზე,  
კაცთა გაჩენას, ცეცხლს და ამინდს ხოტბას ასხამდა,  
745 დიად არკტურუსს, ჰიადებს და ორსავე ტრიონს...  
ოკეანეში რად ჩქარობსო ზამთრის მნათობი  
ჩაგვებას, ზარმაც ზამთრის ღამეს რად აყოვნებსო...  
ტვირელნი ხშირად ტაშსა სცემდნენ, მათთან ტროელნიც,  
საბრალო დიდოც საუბარში ათევედა ღამეს  
და სიყვარულით ინთებოდა თანდათანობით.  
750 სურდა გაეგო პრიაზე, ბევრიც – ჰექტორზე,  
რა იარაღი ჰქონდა ხოლმე აერორას ვაჟსა,  
როგორი იყო აქილეუსი, ან დიომედეს  
ფიცხი ცხენები, ასე ითხოვედა: „გვითხარო დაჯრით,  
ჩვენო სტუმარო, დანაელთა ყველა ოინი,  
755 ტროის ამბავი... უკვე შვიდი წელი წაიღო  
თქვენმა სილტოლემ და მრავალი გიხილავთ მზარე...“

### წიგნი მეორე

- ყველა გაყურდა, ყურადღებით მიაპყრეს თვალი,  
ტახტზე ჩამოჯდა ენეასი, თხრობა დაიწყო:  
„ენით უთქმელმა გაიღვიძა დარდმა ჩემს გულში,  
5 ო, დედოფალო, რაკი ბრძანე – გიამბო, ტროა  
თუ ვით დაამხეს დანაელთა. მეც, მეომარი  
რას არ მოვესწარ... ალბათ ცრემლებს ვერ შეიკავებს  
ვერცა დოლოპი, ვერც მებრძოლი მირმილონელი,  
ანდა ულიქსეს თანამგზავრი, ეს რომ იცოდეს.  
10 ღამე დაგვიდგა, ძილი მოაქვთ მწუხრის ვარსკვლავებს,  
მაგრამ ესოდენ რაკი გნებავთ ჩვენი ვარამის  
და ილიონის ბოლო დღეთა ამბის მოსმენა,  
თუმც გული მიკრთის, მოგონების ბაღღამს გაურბის,  
მანინ დავიწყებ... ომით, ბედით დაღლილ დანაელთ  
და მათს ბელადებს, როს გავიდა მრავალი წელი,  
15 მთასავით ცხენი აუგიათ ქალწულ პალადას  
ზეშთაგონებით. აუწყვიათ ნაძვის ძელისგან.“

ზმა გაავრცელეს: დაბრუნების აღთქმა დავეთო.  
წილისყრით ჩასხეს ცხენის ფერდში რჩეულნი გმირნი.  
ღრუ გამოივსეს უსაშველო და უკუნეთი –  
რაშის სხეულში მეომარნი იმალებოდნენ.

20

ჩვენს წინ მოჩანდა ტენედოსი, კუნძული ქველი,  
ოდესღაც უხვი (სანამ იდგა ტროის სამეფო),  
ახლა იქ მხოლოდ არტუ სანდო ნავსადგომია,  
იქით გასწიეს და ყრუ ნაპირს ამოეფარნენ.  
ჩვენ კი გვეგონა, შორს, მიქენში გადაიხვეწნენ,  
და ამის გამო გლოვა შეწყდა მთელს ტვეკრიაში.  
განიხვნა ბჭენი, მტრის ბანაკში გასვლა გვატკობდა,  
მისი ნაშთის და უკაცრიელ ნაპირის ხილვა.  
იქ დოლობთ წყობა, აქ პელიდის მხედრობა იდგა,  
ხომალდნი – იქა, აქ კი ხშირად იბრძოდნენ მწყობრად...

25

30

ზოგს აუბედითი აოცებდა მინერვას ჯილდო,  
ცხენის სიდიდე, თიმეტემ თქვა თავდაპირველად  
გალავნის შიგნით ციხე-კოშკში შევიტანოთო.

35

ღალატი სურდა, თუ ეწერა ტროას ეს ბედი?  
მხოლოდ კაპისი, და ვინც იყო ჭკუადაძვლარი,  
დანაელთ მახეს, საეჭვო ძღვენს, ზღვაში ჩაძირვას  
ანდა კოცონზე უქადოდა აგიზგიზებას,

40

ან ღრუს გახვრეტას და გასინჯვას სიცარიელის.  
გაიყო ხალხი განსხვავებულ ფიქრით და ენებით.  
სხვაზე პირველად წამოენთო ლაოკოონი,  
მაღალ კოშკიდან ჩამორბოდა და მოსძახოდა:

45

„მოქალაქენო უბედურნო, რა სიგიჟეა!  
ნუთუ გჯერათ, რომ მტერი გარბის, რომ დანაელებს  
თუნდ ძღვენი ძალუძთ უვნებელი? ასე გიცენიათ  
ულიქსე განა? აქაველნი შიგ ჩამალულან,  
ან გალავნების დასაქცევად შექმნეს ეს მახე,  
რომ გვითვალთვალონ და ქალაქში შემოგვეპარონ.  
ნუ მიენდობით, ტვეკრნო, ამ ცხენს; რაც უნდა იყოს,  
ძღვენიც მოქჟონდეს, მზარავს შიშით მე დანაელი!“

50

ესე თქვა, შემდეგ დიდი ძალით ვეება შუბი  
ურჩხულს გვერდში ჰკრა, ამობერილ მუცელში ჩასცა.  
შეიძრა ცხენი მისი დარტყმით, სიცარიელემ  
დაიგუგუნა და აკენესდა მუცლის ღრუ ბნელი.

55

ღვთის ბედისწერას და გონებას რომ არ ემტყუნა,  
ჩვენ არგოლიკურ საფარს რკინის ხმლით ავჩუხავდით!  
გადარჩებოდა ტროაცა და პრიამეს კოშკიც.

ამ ღროს ყიყინით მოათრევდნენ მწყემსები ჭაბუკს,  
ზურგს უკან მტკიცედ შებორკილი მეფეს მოჰკვარეს.  
თავისი ნებით ჩაეარდნია შემხვლურებს იგი,  
საქმეს აწყობდა, რომ აქაველთ აელოთ ტროა.  
სჯეროდა თვისი სიმამაცის, მზად იყო კიდეც  
ან ვერაგობით გაემარჯვა, ან მომკვდარიყო.

60

- მის შესახებ დრად ყრმა ტროელნი შეგროვილიყვენ,  
ერთურთს ასწრებდნენ ტყვის გაქირდავს და განქიქებას.
- 65 აწ დანაელთა ვერაგობა ისმინე, ერთში  
შეიცან ყველა!  
იღვა ჩვენს წინა შემკრთალი და უიარადო,  
თვალი მოავლო ფრიგიელთა ჯარს და შესძახა:  
„ვაგლახმე! ახლა რომელ ზღვას და მიწას ვეწვიო?”
- 70 რა დამრჩენია მე უბედურს, ჩემთვის ხომ უკვე  
დანაელთ შორის აღარ არის ადგილი, აქ კი  
ჩემი დასჯა და სისხლი უნდათ მრისხანე ტროელთ“.  
მისმა გოდებამ ხალხი მყისვე დააშოშმინა.  
კეითხეთ, რომელი მოდგმის იყო, რომელი სისხლის,  
75 რას გვიპირდებოდა, რის იმედი რჩებოდა ტყვექმნის?  
შიში დაძლია და მოგვიგო ბოლოს პასუხად:  
„სიმართლეს გეტყვი, ო, მეფეო, რაც უნდ მელოდეს:  
როდი დაემალავ, რომ გახლავარ არგოლიკელი.  
თუმცა ფორტუნამ უბედური გახადა სინონ,  
80 მზაკერად, ვერაგად ის წყეული მაინც ვერ აქცევს.  
გაგიგონია პალამედეს სახელი ეგებ,  
ბელუსის ვაჟის განდიდება ქვეყნის კიდემდე?  
დასწამეს, თითქოს მტერთან ბრძოლას გაურბოდაო,  
ვით მოღალატე. პელაზგებმა სიკედილით დასცეს  
85 დასმენას ენდნენ. დასტირიან ახლა კი მოკლულს.  
ომის პირველ წელს გამაგზავნა ბედკრულმა მამამ  
მასთან, ვით სისხლით ნათესავთან, თანამოლაშქრედ.  
თავს მტკიცედ გრძნობდა სამეფოში, მეფეთა დასში  
თვისი ხმა აქონდა, ჩვენც პატივი არ მოგვეკლებია.  
90 როცა ულიქსეს ცბიერებით გასცილდა ზესკენელს, –  
მე ხომ ვიამბობთ, რაც საქვეყნოდ არის ცნობილი, –  
წყვდიადს დავენბდი დარდს და ვარამს დამონებული.  
გული მწვროდა ალალ-მართალ მეგობრის ხვედრით.  
და მე, უგნური, არ გაეჩერდი: თუ მიწერიია  
95 მშობლიურ არგოსს დაბრუნება ძღვევა-დიდებათ,  
შურს ვიძიებ-თქო, სიმულვილი აღვანთე სიტყვით.  
ეს იყო წყარო ავბედობის: ულიქსე მიწვივ  
მემუქრებოდა, ჩემს შესახებ ხალხში თესავდა  
ბნელ ხმებს და, თვითონ დამნაშავე, საბაბს ეძებდა.  
100 ვერ შეუძელ მისი დაწყენარება, სანამ კალქანტამა...  
თუმც რად ვიგონებ ამ კრულ ამბავს, რაღას ვაყოვნებ?  
თუ აქაველნი თქვენთვის მართლაც ყველა ერთია,  
საკმარისია, რაც ვიამბეთ, ახლა დამსაჯეთ!  
ამით აამბეთ ითაკელს და ატრევსის ძეთაც“.
- 105 სურვილმა გეძლია, რომ გაგვეგო ლტოლვის მიზეზი,  
ვერ ვცანით პელაზგთ ცბიერება, სიმუხთლე მათი.  
გულში სიცრუე ჩაემარხა, თრთოლვით ამბობდა:  
„ხშირად დანაელთ დატოვება სურდათ ტროისა  
და წინაუკმო ლტოლვა, ხანგრძლივ ომით გატანჯულთ.  
110 ნეტამც კი ექმნათ! მათ მრისხანე ზღვის ქარი შხალი

- გზას უღობავდა, აესტრის შიში ღტოლვას უშლიდა.  
და მაშინ უფრო, როს ააგეს ხის მორებისგან  
ეს ცხენი, რისხვით აგუგუნდა ჰაერში ქარი.  
შიშმა შეგვიპყრო და ვაფრინეთ ფეხუხის მოგვთან
- 115 მყის ევრიპილე. სამწუხარო ამბით დაბრუნდა:  
„ქალწულის სისხლით, დანაელნო, დააცხრეთ ქარი,  
როს ილიონის სანაპიროს მიეახლენით,  
ახლაც ზვარაკად ხამს შეწირვა არგოლიკელის!“  
როცა ამ ცნობამ მოაღწია ხალხის ყურამდე.
- 120 სული შეზარა, ცივმა ყინვამ დააზრო ძვლები:  
ვინ ისურვაო მსხვერპლად ბედმა და აპოლონმა?  
ხმაურით მისწვდა ითაკელი ჩვენს მისანს კალქანტს,  
გამოათრია და უბრძანა ემცნო ღვთის ნება.  
მე მაშინ ბევრი მიქალოდა ავბედით სიკვდილს.
- 125 ამ ცბიერისგან; სეირს ჩუმად ელოდა ყველა.  
ორჯერ ხუთი დღე გულთმისანი ხმას არ იღებდა,  
რომ არ გაეცა სასიკვდილოდ ვინმე ჩვენგანი.  
ბოლოს კი გატყდა ითაკელის ძალდატანებით,  
ზვარაკად გამცა იმ ვერაგის თანამოაზრემ.
- 130 ხალხი დაწყნარდა, ყოველ მათგანს რაც მოელოდა,  
რაკი წილად ზედა მხოლოდ ერთ კაცს, მსხვერპლად განწირულს.  
დადგა დღე ძნელი, საზვარაკოდ უკვე მზად იყო  
ფქვილი, მარილი, ხილაბანდი ზორვად მდგომისთვის...  
გაეხსენ ხუნდები, ვალიარებ, სიკვდილს გავექეც.
- 135 ჭაობის პირად ლელიანში ვიმალებოდი,  
სანამ იალქანს აუშვებდნენ სპანი ღტოლვილნი...  
არ დამრჩენია ჩემი ძველი სამშობლო მზარის,  
ძვირფასი მამის და შვილების ნახვის იმედი!  
იქნებ სასჯელით სცადონ ჩემი დანაშაული
- 140 მათ აზღვევინონ და სიკვდილი არგუნონ ბედშავთ?  
ღმერთებს გავედრებ, სიმართლეს რომ მარადქამს სცნობენ,  
თუკი მოკვდავებს ის დაუცავთ პატიოსნებით,  
გებრალეობდეს მსხვერპლი დიდი უბედურების,  
სული ბედკრული შეიწყალე, პატივაყრილი!“ <-->
- 195 <--> და ჩვენც ვირწმუნეთ სიცრუენი ცბიერ სინონის,  
გზა აგვიბნია ნატყუარამა მისმა ცრემლებმა,  
თუმც ვერც ტილიდმა გეძლია, ვერცა გემმა ათასმა,  
ვერც ლარისელმა აქილეესმა, ვერც ათმა წელმა.
- 200 ამ დროს ჩვენს თვალებს წარმოუდგა საშინელება,  
საზარი რამე, შეაძრწუნა გული ანაზღად.  
მოგეს ნეპტუნუსის, ლაოკონის. წილით არჩეულს,  
კერპთან მიჰყავდა საზვარაკო მოზვერი დიდი,  
ამ დროს, – თქმისაც კი მეშინია, – ტენედოსიდან  
ორი ურჩხული, აგორგლილი დიდრონ რკალებად
- 205 ზვირთზე გაწვა და ნაპირისკენ მოისწრაფოდა.  
მკერდით ტალღებში ირწეოდნენ, სისხლიან ჯაგარს

- ზემთ აჩენდნენ, სხვა დანარჩენ ხერხემაღს ტალღა  
 რკალად ახვევდა უზარმაზარს. ზვირთი აქაფდა  
 ანახდელულად მოგუგუნე. ველთან მოცურდნენ.
- 210 ცეცხლით და სისხლით სავსე თვალნი რისხვით ელავდნენ.  
 მთრთოლვარე ენით ილოკავდნენ დახრჭენილ ხახას.  
 ფერწასულები გავიფანტეთ, ურჩხულნი მტკიცედ  
 ლაოკონთან ისწრაფოდნენ. მაშინ ვიზილეთ,  
 ორ ბედ შავ ყმაწვილს თუ გველები ვით ეხვეოდნენ,
- 215 როგორა კბენდნენი უძღურსა და უბედურ სახსრებს.  
 ბოლოს თვით მამა, იარაღით მოსული შემწედ,  
 შეიპყრეს. შეკრეს საზარელი რკალები ირგვლით,  
 გარშემო ორგზის მოესალტნენ, ჯაგრიან ზურგით  
 ყელს მოენასკენენ და წამოყვეს თავები მაღლა.
- 220 ხელით ცდილობდა ავბედიითი ნასკეების გახსნას,  
 საწამლავით და ლორწოთი სველ რკალებს ებრძოდა,  
 თან ვარსკვლავამდე აღავლენდა საზარ გოდებას.  
 ასევე ღმუის ხარი, როცა საკურთხეველთან  
 ზურგში შეიგრძნობს უნიათოდ ჩაცემულ ნაჯახს...
- 225 ბოლოს გაცურდნენ დრაკონები ტაძრის თაღისკენ  
 და ესწრაფოდნენ უსასტიკეს ტრიტონიას კოშკს,  
 რომ მის ფეხებთან, მრგვალ ფარის ქვეშ ეპოვათ ბინა.  
 საზარი შიში შეეპარა ხალხის მთრთოლავ გულს.  
 ამბობდნენ, თვისი ცოდვა ზღაო ლაოკონმა,  
 230 რამეთუ შუბით განგმირაო ქანდაკი წმიდა.  
 შეურაცხყო. ოდეს რკინა ჩაარჭო ფერდში.  
 ცხენი ქალღმერთის საეანეში შევიყვანოთო,  
 შეგვეწიოსო ტრიტონია.  
 გალაენის გახსნას შეეუდექით, ბურჯებს ვანგრევედით.
- 235 ყველა შრომობდა. მივაცურეთ ცხენთან ბორბლები  
 გასაგორებლად. ქედზე თოკით მოვაბით მერანს  
 მტრებით აღვსილი. ავბედიითი მიადგა ციხეს.  
 გაუთხოვარი გოგონები და ჭაბუკები  
 ჰიმნს უგალობდნენ, აამებდათ თოკზე შეხება.
- 240 მორზე ხოხავდა და მუქარით ბრბოს შერეოდა.  
 ვაგლახ, მამულო, ღმერთთა სახლო და ილიონო,  
 დარდანელთ ციხე!.. ოთხჯერ შედგა გალაენის ზღურბლთან  
 და მუცლის ღრუში იარაღის ჩქამი გაისმა.  
 ჩვენ კი ყოველი დავგავიწყა ბრმა მისწრაფებამ  
 და წმიდა კოშკში შეეიტანეთ ავი ურჩხული.
- 245 კასანდრამ გვამცნო მომავალი, თუმც ღვთის სურვილით,  
 ტექკრებს ქალწულის არასოდეს არა სჯეროდათ.  
 ბედკრულთ, თუმც ეს დღე დაგვრჩენოდა უკანასკნელი,  
 ქალაქში მოვრთეთ ყვავილებით ღმერთთა ტაძარნი.
- 250 ზეცა მობრუნდა, ღამე მოდგა ოკეანიდან,  
 ჩრდილით დაფარა დედამიწა და ვერაგობა  
 მირმიდონელთა. გალაენში გაფანტულ ტექკრთა  
 დაღლილ სხეულებს დაეუფლა მშვიდობის ძილი.  
 ამ დროს არგიველთ სპამ ხომალდთა ერდო აავსო.



- 255 ტენედოსიდან თან გამოჰყვა მთვარის ჩრდილს მყუდროს.  
ნაპირს მოადგა დარდანელთა, გემის კიჩოდან  
ცეცხლით ანიშნეს და სინონმა ღმერთთა თანხმობით  
კარი გაუღო დანაელებს, ცხენში დამალულთ,  
ურდული მოხსნა... გამოყარა მებრძოლნი გარეთ  
260 ცხენის ქანდაკმა. მზიარულად ზეს გაეცალნენ  
თესანდრუსი და სთენელუსი, ავი ულიქსე,  
ბაგირს ჩამოჰყენენ აკამანტი, მასთან თოანტი,  
ნეოპტოლუმუს პელიდის ძე, თუ მაქაონი,  
მენელაოსი, ეპეოსი – მახის დამგები.
- 265 ქალაქს მოედევნენ, ღვინითა და ძილით ძლეულნი  
დასცეს გუშაგნი, კარი გახსნეს და შემოუშვეს  
ამხანაგები, შეუერთდნენ თანამზრახველებს. <...>

- <...> მაშინ სასახლე აირია ავბედით გლოვით,  
სიღრმეში დიდი დარბაზები წამსვე აკენესდა  
ქალის გოდებით, ცად აღწევდა კივილის ხმები.  
შემრწუნებულნი პალატებში კრთოდნენ დედები,  
490 ძელებს ეკეროდნენ და ალბობდნენ მზურვალე კოცნით.  
იძალა მკლავმა პირუსისა, ვერ აკავებდნენ  
კლიტე და მცველნი, შეტორტმანდა კარები მუხის,  
ანჯამებიდან ჩამოცვივდა რკინის კაეები.  
მზეს გზა გაეხსნა, დაანგრეს შემოსასვლელი,  
495 შემხედურნი დასცეს და სასახლე აივსო ლაშქრით.  
აქაფებული ასე ჯებირს ვერ გადალახავს,  
ლოდებს ვერ დაძრავს მთის მდინარე თვისი ზვირთებით,  
როგორც მოვარდა გმირი მაშინ, მიფანტ-მოფანტა  
ხალხი, ვით ჯოგი. თვით ვიხილე განრისხებული  
500 ნეოპტოლუმუს, ზღურბლთან იდგა ორივე ატრიდი.  
ვნახე ჰეკუბა, ასი რძალიც, პრიამეს სისხლიც  
თუ ვით შეესხა ბომონებთან წმიდა ჩირადნებს.  
ორმოცდაათი სანთიობოც, შვილთა შვილების  
იმედი, უცხო ოქროთი და ნადავლით სავსე,  
505 დაიმსხვრა. მტერმა ხელთ ჩაიგდო, რაც ცეცხლს გადურჩა.  
იქნებ პრიამეს ხვედრიც გინდა გაიგო ახლა?  
ოდეს ქალაქი დატყვევნილი იხილა, კარი  
შემონგრეული, დარბაზებში შეჭრილი მტერი,  
მხცოვანმა მხრები, მძიმე ბექთარს გადაჩვეული,  
510 წელთა სრბოლისგან მოცახცახე, კვლავ აღიჭურვა,  
ხრმალი აღილო, სიკვდილისკენ მიისწრაფოდა.  
შიგ სასახლეში ზეცის ღია თალის ქვეშ იყო  
საკურთხეველი, ძველი დაფნაც. იქ შემოვიდა,  
ბომონთან დადგა და პენატებს ჩრდილი აფარა.  
515 ქალ-რძლებთან ერთად იქ ჰეკუბა შეყუქულიყო.  
თითქოს ქარიშხალს გაექცნენო მტრედის ხუნდები,  
ერთურთს ეკეროდნენ და ღვთის კერპებს ეხუტებოდნენ.  
როს ჭაბუკურად აღჭურვილი პრიამე ნახა –  
„ბედშავო ქმარო, – თქვა ჰეკუბამ, – რა განიზრახე,

520 ეს იარაღი რად აგისხამს, რას მიესწრაფვი?  
ვერ გვიხსნის შენი დახმარება, ვეღარ გვიშველის  
ჩემი პექტორიც, აქ რომ იყოს! მოგვიახლოვდი,  
ყველას დაგვიცავს ეს ბომონი, ან მოვეკვდეთ ერთად!..."  
ასე ევედრა ქმარს ჰეკუბა, მოიახლოვა

525 მოხუცი თვისკენ და ჩამოსვა წმიდა ადგილთან.  
ვნახე პოლიტე, გაქცეოდა პირუსის მახვილს,  
პრიაშეს შვილი გაურბოდა მტრების იარაღს,  
ყრუ დარბაზებში ბარბაცებდა მძიმედ დაჭრილი.  
მისდევდა პირუს ანთებული, მოკვლას უქადადა.

530 ღამის ოროლის ჩასაცემად მისწვდა მღევარი.  
ძლივს ბარბაცებდა, დაენახა სანუკვარ მშობლებს,  
პირქვე დაეცა და სისხლს სული ამოაყოლა.

მაშინ პრიაშემ, თუმც სიკვდილის სალტეში იყო,  
ვეღარ გაუძლო, არ დააკლო სიტყვა მრისხანე:

535 „ღე, ეს სიავე, თავზელობა წრესგადასული,  
ღმერთებმა, თუკი მოწყალება იციან ზეცად,  
უხეად მოგიზღან, როგორც საქმით დაიმსახურე!  
იძულებულ-მყავ აღსასრული მენახა შეილის,  
პირმშოს მკვლელობით აამღვრიე მამის თეალები.

540 აქილეუსიც კი, რომლისაცა შეილობას ცრუობ,  
ასე ვით მტრობდა პრიაშესა, მან პატივი სცა  
მამის უფლებას, მავადრებელს მომცა იმედი –  
პექტორის გვაში სამშობლოში გამომატანა!"  
ეს თქვა თუ არა, შუბი სტყორცნა ძალაგაცილილი,

545 ეერც მოიქნია, უკუვარდა ყრუ სპილენძისგან  
და ფარის კუზზე უენებელად ჩარჩა ოროლი.  
პირუსმა უთხრა: „მაშ გადასცემ ამ სიტყვას მამას,  
მაცნედ შენ წახვალ, მოუყევი ჩემს ბოროტ საქმეს,  
ნეოპტოლემუს შენ არ გგავს-თქო... ახლა კი მოკვდი!"

550 ეს თქვა თუ არა, შეილის სისხლში განრთხმული მამა  
სამხსვერპლოსაკენ წაათრია ათრთოლებული.  
თმები მარცხენით ჩაიბლუჯა, მარჯვენით იძრო  
ელეარე რკინა, სატეარი ვადამდე ჩასცა.  
ასე ეწერა აღსასრული პრიაშეს თურმე,

555 რომ ტროის ხანძარს მოსწრებოდა და პერგამოსის!  
ოდესლაც ხალხის და ქვეყნების სიმრავლით ამაყს  
მთელი აზია ეპყრა. ახლა სანაპიროზე  
აგდია გვაში უსახელო და თავწაცლილი. <...>

<...> მოვისხი ხმალი. ცაციაზე მოვირგე ფარი  
და მოვეშზადე სასახლიდან გამოსასვლელად.  
მაგრამ კარებთან მომეხვია მუხლებზე ცოლი,  
მეკეროდა, ჩემსკენ თან იწვიდია ყმაწვილ იულუსს:  
675 „თუ სასიკვდილოდ მიხვალ, მაშინ ჩვენც წაგვიყვანე!  
თუ იმედი გაქვს იარაღის მრავალნაცადის,  
ჯერ ჩვენ დაგვიცავ! ვის უტოვებ პირმშოს, იულუსს?

- მამაშენს ვისლა? ან ქალს, ვისაც მეუღლე ერქვა?"  
 ასე წარმოთქვა და გოდება მოჰფინა დარბაზს.
- 680 ამ დროს ანაზღად, – სათქმელადაც სასწაულია, –  
 მშობლების ხელთა და მწუხარე სახეთა შორის  
 მსუბუქი ცეცხლი იულუსის თავს მოეფინა,  
 შუქი გამოსცა, უენებელად ლოკავდა ალი  
 ბიჭის საფეთქლებს და რბილ კულულებს ნაზი ლიცილით.
- 685 შიშით ავთრთოლდით, აღმოდებულ თმას ეუფერთხავდით,  
 წყალს ვასხურებდით ჩასაქრობად ღვთაებრივ ხანძარს.  
 ამ დროს ვარსკვლავებს მხიარულად მამა ანქიზემ  
 მიიპყრო თვალი, შეჰღაღადა ხელაპყრობილმა:  
 „მძლე იუპიტერ, თუ ისმინე ვედრება ჩვენი,  
 690 მოგვაპყარ თვალი, მოკრძალებით ეუცდით შენს ნიშანს,  
 გვაშენს მყოფადი, ღირს გვეყვ, მამავ, და დაგვიმტკიცე“.  
 ეს თქვა თუ არა, წამსვე მარცხნივ იქუხა ზეცამ  
 და სიბნელეში მოწყვეტილმა ვარსკვლავმა შუქი  
 თან გაიყოლა, მოელეკარე სხივით გაქანდა.
- 695 იგი გაცურდა სახლის ჭერის მიმართულებით  
 და იდას ტევერში დაიმალა. ენახეთ – აღნიშნა  
 შუქით გზა თვისი, ნაკვალევი შორს ციმციმებდა,  
 იბოლქვებოდა კიდევანნი გოგირდის კეამლით.  
 მაშინ დაგვინებდა მამაჩემი, მყისვე წამოდგა,  
 700 მიმართა ღმერთებს, შეჰღაღადა წმიდა ვარსკვლავებს:  
 „აწ რაღა გვიშლის: მეც წამოვალ, სადაც წამიყვანთ.  
 ღმერთნო, შეინდეთ მამეული სახლი, შვილის ძე,  
 ეს სასწაული თქვენგან მოდის, ტროას თქვენ იცავთ!  
 ვთმობ, შეილო ჩემო, მე მზადა ვარ ყველგან წამოგყევით!“
- 705 ეს თქვა თუ არა, გაძლიერდა გუგუნით ხანძრის  
 ციხე-ქალაქში, მცხუნეარება მოგვიახლოვდა.  
 „მამავ ძვირფასო, უნდა მხრებზე შეგისვა ახლავ,  
 ძირს დავიხრები, რომ ეს შრომა გაგვიადვილო,  
 რაც უნდა იყოს, ჩვენ საერთო ხიფათი გველის,  
 710 ხსნაც გვაქვს საერთო. დე, გამიძღვეს ყრმა იულუსი,  
 მეგზური ჩვენი, ხოლო ცოლი გამოპყვეს კვალსა!  
 თქვენ კი, მსახურნო, დაიხსომეთ, რაც მე გიბრძანოთ:  
 ქალაქის ბოლოს არის სერი, მივიწყებული  
 ცერერას კოშკი, ძველისძველი დგას კვიპაროსი,  
 715 ჩვენთა წინაპართ რომ დაუცავთ ღვთის მოშიშებით.  
 სხვადასხვა მხრიდან მოვგროვდებით იმა ადგილას.  
 მამავ, აიღე ჰენატები მამა-პაპური,  
 მე, ბრძოლიდან და სისხლისღვრიდან ახლად გამოსულს,  
 არ მმართებს ხელით მათ შევეხო, სანამ ნაკადში  
 720 განვიბანები“.
- ეს ვთქვი თუ არა, დაქანებულ ფართო ბეჭებზე  
 წამოსასხამი შემოვისხი და ლომის ტყავი,  
 აეწიე ტვირთი, იულუსმა ხელი მომკიდა,  
 მტკიცედ წამომყვა, თუმც ყმაწვილი ფეხს არ მიწყობდა.  
 725 ცოლი მომსდევდა, ღამის წყვილიაღს მივეცით თავი.

- არასდროს შიში არ მქონია საჭურელის ტყორცნის,  
 არცა ბერძენთა მხედრობისა, მაგრამ იმ ღამეს  
 სიოს ყოველი ჩამიჩუმი, ყოველი ბგერა  
 მაკრთობდა ძვირფას ტვირთისა და მეგზურთა ვაგომ.
- 730 უკვე კარიბჭეს მივადექი, როცა მეგონა –  
 გზა დაილია. მაგრამ ამ დროს ნაბიჯთა ჩქამი  
 მომესმა, ბნელში მოთვალთვალე მშობელმა მითხრა:  
 „შვილო, გაიქეც, მტრის ლაშქარი გვიანლოვდება,  
 ვხედავ ფარების ელვარებას, სპილენძის ბზინვას“.
- 735 არ ვიცი, მაშინ ღმერთთა შორის რომელს მოვძუდღი,  
 ჭკუა ამემღვრა, გავიქეცი და უნებურად  
 გზასაგაყარზე ნაცნობ გზიდან გადავუხვიე.  
 ვაიძი! ბედმა გამომტაცა ცოლი – კრეუზა,  
 გზა თუ აებნა, ან დაღლილმა ჩამოისვენა? –
- 740 არ ვიცი... შემდეგ ჩვენთან აღარ გამოჩენილა.  
 არც მომაგონდა, თვალში მანამ არ დამკლებია,  
 სანამდის სერზე არ ავედი, ცერერას ტაძარს  
 არ მივადექი. მხოლოდ ერთი აკლდა ჩვენს კრებულს –  
 ვინც მოატყუა მეგობრები, ქმარი და პირმშო.
- 745 მოკვდავთ თუ ღმერთებს, უბედურმა, ვის არ ვაბრალებ.  
 დამწვარ ქალაქში რა ვიგებე ამაზე მწარე?  
 მამა ანქიზე, ასკანიუს და პენატები  
 მეგობრებს ვანდე, საიმედოდ დავმალე ხევში,  
 თვით ქალაქს წავედ, წელზე მერტყა ხმალი ელვარე.
- 750 მსურდა ხიფათის განახლება, ტროის შემოვლა,  
 საბედისწერო გასაჭირის გამოცდა კვლავაც.  
 ბნელ ბჭეს მივადექი, კვლავ გალავანს მივეუახლოვდი,  
 უკან გავყვივი ჩემსავე კვალს, აქა თუ იქა  
 ვხვერავედი ადგილს, ბნელ ღამეში თვალს ვაცეცებდი.
- 755 შიშმა გამსჭვალა სული, ზარსა მცემდა სიჩრუმიც.  
 იქნებ შებრუნდა-მეთქი, სახლში, იქით წავედი.  
 ენახე, დანაელთ დაერბიათ სასახლე მთელი,  
 ქარბუქს ხანძარი აყოლოდა მაღალ ჭერამდე,  
 ალი ღვიოდა, ბული იდგა, ცასა წვდებოდა.
- 760 მივეუახლოვდი, შევყურებდი პრიამეს კოშკებს.  
 იქ უკაცრიელ პალატებს და იუნოს საყდარს  
 მტკიცედ იცავდნენ ფენიქსი და ავი ულიქსე.  
 უხვი ნადავლი, ტროის მთელი განძეულობა,  
 დაფერფლილ ტაძრებს რომ მოსტაცეს, ღმერთთა ტახტები,
- 765 ბაჯადლო ოქროს ფიალები და სამოსელი  
 იქვე ეყარა. ბიჭები და მფრთხალი ღვინები  
 გრძელ მწკრივად იდგნენ.  
 ღამის ბნელეთში დაძახება გაებდენ ცოლის,  
 ხმა გზას მოვფინე, ნაღვლიანი კრეუზას დიდხანს
- 770 ამაო ოხვრით კვლავ და კვლავაც მოეუწოდებდი.

ოდეს ვეძებდი უნუგეშოდ მოხეტიალე,  
 გამომეტხადა თვით კრეუზას მკრთალი აჩრდილი.

- 775 სახება მისი ჩვეულებრივს ოდნავ ჭარბობდა.  
გავუშე შიშის, თმები ყალბად დადგა. ენა ჩამიწყდა.  
ხმა გამოიღო, საზრუნავი დამიცხრო სიტყვით:  
„რა ბედენაა, საყვარელო მეუღლე ჩემო,  
უგნური გლოვა? ყოველივე ღვთის ნებით ხდება,  
შენ არ გეწერა ბედად ჩემი თანვე წაყვანა,  
ეს არა სურდა თვით ოლიმპოს მაღალ მეუფეს.  
780 დიდხანს მოგიწევს ხეტიალი, ზღვის გადალახვა,  
ქესპერიაში მიხვალ ბოლოს, სად მოჩუხჩუხებს  
უხვნაყოფიან ველ-მინდვრებზე წყალი თიბრისის.  
იქ მზად დაგხვდება მყუდრო ბინა და დედოფალი,  
შენი სამეფოც, ნუღარ გლოვობ სატრფო კრეუზას.  
785 მე არ ვიზილაე მირმიდონელთ, დოლიპთა მხარეს,  
ბერძენთა ქალებს ტყვედ და მხველად არ ვეახლები  
მე, დარდანისი, ქალ-ღვთაების ვენუსის რძალი!  
ღმერთების დედა აქა მტოვებს. იყავ მშვიდობით  
და ჩვენი შვილის სიყვარული გქონდეს მარადის!“  
790 ეს თქვა. გამცილდა მოქვითინე, მასთან საუბრის  
მარადის მსურველს და თხელ ჰაერს კელაე შეერია.  
საგზის ვეცადე მის მშვენიერ ყელს მოვხვეოდი,  
მოხვევნას ჩემსას გაეცალა აჩრდილი სამგზის,  
მჩატე, ვით სიო და ფრთოსანი სიზმრის სადარი.
- 795 ის ღამე ასე გავატარე, შემდეგ დაებრუნდი,  
გაოცებულმა შევამჩნიე ახალ მეგზურთა  
დიდძალი რიცხვი, მოსულიყვნენ ქალნი, კაცები,  
ლტოლვილნი ყრმანი, სავალალო ბრბო უბედურთა.  
800 გარს მომესალტნენ, მოიკრიბეს ძალა სულსა,  
რომ ჩემს არჩეულ გზას საზღვაოს გამოჰყოლოდნენ.  
ამოანათა ლუციფერმა იდას მწვერვალზე,  
ღლე მოჰყვა, ზღურბლნი დაიკავეს დანაელებმა  
კარიბჭეების, დახმარების იმედი გაქრა,  
უკუვდექ, მამას დაეწვიდი ისევ და მთისკენ წაყედ.

### წიგნი მეოთხე

- დედოფლის გული საზრუნავმა დასერა მწკვევმ,  
ძარღვებს მოედო, იღუმალი სახშილით წვადა.  
ვაჟის გმირობამ და დიადი მოდგმის დიდებამ  
5 გამსჭვალა სული, მკერდს მოედო გმირის სიტყვები  
და გამოხედა, დიაცს დარდი არ ასვენებდა.  
ფებუსის ცეცხლით გააშუქა მიწა ავრორამ,  
ცერიანი ჩრდილი ჰოლუსიდან შორს გადასწია.  
ამ დროს, ვით ხელმა, საყვარელ დას მიმართა დიდომ:  
„ანა, დაიკო, ზმანება და ფიქრი მაშინებს...  
10 უცხო სტუმარი რომ ეწვია სასახლეს ჩვენსას,  
ო, რა სახე აქვს, მტკიცე გული და საჭურველი!  
ვგონებ, არ ვცდები, ღვთის ნაშობად რომ მიმარჩია!  
მდაბიოთ სულებს შიში ამხელს, მას კი, ვაიმე! –

- ბელმა რა უყო, რა საშინელ ამბებს ჰყვებოდა!
- 15 ჩემს სულს განზრახვა ურყეველი რომ არ ჰქონოდა, კაცთან კავშირი რომ არ მძულდეს, მას შემდეგ, ოდეს მწარე სიკვდილით მომატყუა პირველმა ტრფობამ, რომ არა მძულდეს სარეცელი და სანათური, ამ ერთ სისუსტეს, მე მგონია, მივეცემოდი!..
- 20 გამოგიტყდები, რომ სიქევის სიკვდილის შემდეგ, როს დაესხურა ნათესავის სისხლი პენატებს, მხოლოდ მან შეძლო ჩემი გრძნობის შემობრუნება. სულის აღზნება. პირველყოფილ კვალსა ვგრძნობ ცეცხლის. დე, მიწამ მიყოს პირი უმაღ და ყოვლის შემძლე
- 25 მამამ დამლახვროს აჩრდილებთან ელვა-ქუხილით, მკრთალ აჩრდილებთან ერებუსის, ვიდრე დაეარღვევ, კდემავ, შენს კანონს, ზურგს შეეპქევე დალატიანი! ვინც შემეუღლა პირველადე, მან წარიტანა ვნებანი ჩემნი, დე, დაიცვას ბნელ სამარეში".
- 30 ასე ამბობდა და ფიქალ მკერდს ცრემლებით რწყავდა. ანამ მიუგო: „დაე უდესო, უსაყვარლესო, გსურს დაჭკნეს სიყრმე უქორწინოდ, მიეცე სევდას? არც ბალღნი გინდა, არც ვენუსის სიამე გწყურის? ან იქნებ ფიქრობ, ნეშტს დაკრძალულს მით შეაშფოთებ?
- 35 ვერ დაგითანხმეს საქმროებმა გულდასერილი ვერც ლიბიაში, ვერც ტვიროსში უფრო უადრეს. იარბას დათმე, სხვანიც, ძენი აფრიკისანი... შენთვის სანუკვარ ტრფობას გინდა ებრძოლო განა? არ მოგდის აზრად, ვის კელებზე დაფუძნებულხარ?
- 40 გეტულთ ქალაქნი არის აქა, ხალხი მებრძოლი, ღრჯუ ნუმიდები და სირტები სტუმართმოდულე, სხვა მხრიდან უწყლო უდაბნოა და ბარკელები. რალა ვთქვა ომზე, ტვიროსში რომ აიხანძრება, ანდა ღვიძლი ძმის მუქარაზე?
- 45 ვგონებ, ღმერთების და იუნოს სურვილით ქარმა აქ მოუძევა ილიონის ხომალდებს ბინა. რა სამეფოს და ქალაქს ნახავ, დაო, აგებულს გმირთან ქორწილით! დაცვა ძალუქს ტევეკრთა საჭურველს და პუნიკური ძლიერების კვლავ ამადლება!
- 50 ღმერთებს ევედრე მოწყალება, უძღვენ ზვარაკი და მასპინძლობით სტუმრებს წასვლა დაუგვიანე. კვლავ ორიონი წვიმს და ზღვაზე ქუხს ქარიშხალი. გემნი დაიმსხვრენ, ცა ხომ ჯერ არ დაწყნარებულა!" თქვა და აღუნთო სული, ტრფობის ცეცხლით გზნებული.
- 55 გულში იმედი ჩაუსახა, კდემა დათრგუნა.

ტადრებს მიადგნენ, კერპებს თხოვნენ ღმობიერებას. ადათისაებრ რჩეულ ვერძებს ყელს ჭრიდა მოგვი ლიევის მამის, ფებუსის და ცერერასათვის, იუნოსათვის, ქორწინების ზღურბლს რომ მფარველობს.

- 60 მარჯვენით თასი უტურფესმა დიდომ ასწია  
 და რქების შუა თეთრ დეკულს გადმოსხურა.  
 ბომონთა შორის საკურთხეველს მიუხლოვდა,  
 დღე წმიდა გახდა მისი ძღვენით, დაკულ ცხოველებს  
 თვალი დაადგა მკერდზე, მკრმე თბილ შიგნულზე.
- 65 მისნებმა არა იციან რა! ხელქმნილის აღთქმით  
 ბომონს რა შეეღა შეუძლია! ძვლებს კვლავ მოედო  
 ტრფობის აღმური, კვლავ გაცოცხლდა მუნჯი იარა.  
 იწვოდა ქალი და ქალაქში ილტვოდა ისე  
 გახელებული, როგორც შეელი, ჭდეული ისრით,
- 70 კრეტის ტყეში რომ მწყემსმა დაჭრა მოულოდნელად,  
 სღია უმეცარს და მფრინავი რკინა ესროლა.  
 ტყისკენ გაიქცა, დიქტუს ჭალას მიადგა შეელი,  
 ფერღში სიკვდილის მომტან ლერწამს თან მიართევდა...
- 75 ქალმა ენეასს გალაქანი აჩვენა ციხის  
 და ქონგურები სიღონური, განძეულობა.  
 რამეს ეტყოდა, უცაბედად ხმა უწყდებოდა.  
 შემდეგ, საღამოს მიმწუხრის ჟამს, ლხინი გამართა,  
 კვლავ ილიონის საზარ ამბის მოსმენა სურდა,  
 მთხრობელის ბაგეთ ესწრაფოდა დაუოკველად.
- 80 ერთურთს დასცილდნენ, მთვარეს შუქი ოდეს მოაკლდა,  
 ძილი მოქქონდათ ჩამქრალ ვარსკვლავთ, მარტოკა დარჩა.  
 დაწვა საწოლზე ენეასის, თვალმოუკრავად  
 ხედავდა, გრძნობდა შორეულ გმირს, ვითომც კოცნიდა  
 ასკანიუსსაც, გასაოცრად რომ ჰგავდა მამას.
- 85 თითქოს შეეძლო მოტყუება უსაზღვრო ტრფობის.  
 შეწყდა შენება კოშკებისა, აღარც მოყმენი  
 ეუფლებოდნენ იარაღსა, აღარ აგებდნენ  
 ნავთ მისადგომს და ომის საფარს, დადუმდა საქმე,  
 ღუმდნენ კედლები ცად მიმსწრაფი ქონგურებითა.
- 90 იუპიტერის სათნო ცოლმა წამება ქალის  
 შენიშნა, მიხვდა, რომ ჭორიც კი არ აცხრობს ვენებას.  
 ვენუსს მიმართა სატურნიამ ასეთი სიტყვით:  
 „დიდებას იმკით, ჭეშმარიტად, სრული ნადავლით  
 შენ და ძე შენი, ო, ქალღმერთო, ძღვეთ საესეო,
- 95 ორმა ღვთაებამ ერთი ქალი როგორ დაძლიეთ!  
 მე კარგად ვიცი, გეშინია ჩვენი გალაქნის,  
 ეჭვებს აღგიძრავს კართაგენის კოშკი მაღალი.  
 როდის მორჩება, ან სანამდე მიგიყვანს შუღლი?  
 მარადი ზავი რად არ დავდოთ და ქორწინებით
- 100 არ განვამტკიცოთ? მიადწიე, რაც გულით გსურდა:  
 ვნება წეავს დიდოს და სიგიჟე ძვლებამდე ატანს.  
 მოდი, თანაბრად დავეუფლოთ ამ ხალხს საერთოს.  
 დე, ემსახუროს დედოფალი ფრიგიელ ვაჟკაცს  
 და, ვით მზითვეი, ტვირელები დაგიმორჩილოს“.

- 105 მიხვდა იუნოს თვალთმაქცობას: დედოფალს სურდა, ეხსნა ლიბია იტალიის ძალადობისგან. ამიტომ უთხრა მას კენუსმა: „ვის უნდა უგნურს, შენთან არჩიოს შეჯიბრება ქიშპით და ომით? ნეტავ შეუწყოს ბედმა ხელი შენს ნათქვამ საქმეს.
- 110 არ ვიცი, ბედი რას გვიქადის, ისურვებს განა იუპიტერი ტვირელთ მხარე დაუთმოს ტროელს? ერთად შეჰყაროს ტომნი, მტკიცე კავშირით შეკრას? შენ ვით მიუღლებ, გამოსცადე და შეევედრე, მეც თან მოგყვები“. დედოფალმა იუნომ უთხრა:
- 115 „ეგ მე მომანდე, ყურადღებით მისმინე ახლა, მოკლედ აგისხნი, თუ ეს საქმე ვით მოვაგვაროთ. ნადირობის დროს ენეასი, საბრალო დიდოც ჭალაში შევლენ, ოდეს დილის სისხამზე მიწას ახლად ამდგარი ტიტანუსი სხივებს მოაფრქვევს.
- 120 როს რაზმი ჭალას მოედება ორივე მხრიდან, დაუშენ ღვართქაფს ბინდის მომტანს, სეტყვაგარეულს და მთელი ზეცა შეიძვრება ჭექა-ქუხილით. მხლებლებს გაეფანტავ და დაეფარავ ღამის წყვილიაღში. ერთ მღვიმეს შევლენ დედოფალიც, ტროელთ ბელადიც.
- 125 მეც იქ ვიქნები, ასე მესმის სურვილი შენი.
- 127 იქ იყოს მათი ჰიმენეა!“ თხოვნა მიიღო, თან აცინებდა კითხვას ცრუ დაპირება.
- ამ დროს დატოვა ოკეანე ტურფა ავრორამ.
- 130 ქველი მოყმენი სისხამ დილით გასცდნენ კარიბჭეს. მსხვილნი ბადენი, ოროლები ეჭირათ ხელში, მხნედ ამხედრებულ მასილელებს ახლდათ ძაღლები. სანთიობოში შეყოვნებულ დიდოს ელოდნენ დიდებულები კარის ზღურბლთან. ელოდა რაში
- 135 ოქრო-ძოწებით აკაზმული. მძვინვარედ ზრავდა ქაფიან ალვირს. დიდ ამაღლას წარუძღვა დიდო. ქლამიდი ჰქონდა სიდონური, ოქროს აშია, ოქროს კაპარჭი, დალალებშიც ოქრო ჩაწნული და ოქროს კავი ძოწის კაბის შესაკავებლად.
- 140 არცთუ ფრიგიელთ დაუყოვნდათ და ლად იულუსს. ყველას სჯობნიდა სილამაზით გმირი ენეას, დასს შეუერთდა სათნო მოყმე ტროელთა რაზმით. ასეთი არის აპოლონიც, როს ცივ ლიკიას და ქსანთუსს ტოვებს, დედისეულ დელოსისაკენ
- 145 ფერხულს მიუძღვის, ბომონებთან დგას ყრიაშული კრეტელების და დრიოპების, აგათირსების; კინთუსის სერზე აბრმანდება, მოქნილ შტოებით თავს დაიმშვენებს და შეიკრავს ოქროს სამაგრით. მხრებზე ისრები ზრიალებენ... სწორედ მას ჰკავდა
- 150 ციურ სიტურფით მოზეიმე სათნო ენეას.



- მიუახლოვდნენ მთის მწვერვალებს და ყრუ ნაპრალებს,  
 მაღალ მწვერვალებს ჯიხეთა ჯოგი მოწყდა ანაზღად,  
 მეორე მხრიდან კი ირმები ქორბუდიანნი  
 155 ეელზე მიქროდნენ, მტვრის აუარდა კორიანტელი,  
 სურდათ გასცლოდნენ მეყსეულად საშიშ გორაკებს.  
 ასკანიუსი, ფიცხი ცხენით ატაცებული,  
 ეელზე მიქროდა, თან ნატრობდა მინდორზე მსრბოლი,  
 რომ ამდენ წყნარ და მშვიდობიან ცხოველთა შორის  
 ტახს გადაყროდა პირქაფიანს, ან ლომს მძვინვარეს.
- 160 ამ დროს ცა უცხად ახშიანდა, წამოუშინა  
 კოკისპირულმა, გაერია სეტყვის მარცვლები.  
 ტვირელთ ბელადნი, ტროელთ ყრმანი შემოიფანტნენ,  
 შეშინებული შეილიშვილიც ქალღმერთ ეენუსის...  
 საფარს ეძებდნენ. ნიაღვარი მოსკდა მთებიდან.
- 165 მღვიმე იაფრეს მყის დიდომ და ტროელთ ბელადმა,  
 მიწა-ტელუსმა და იუნომ – ქორწილის ღმერთმა  
 ნიშანი მისცეს. აელვარდა ცეცხლით ეთერი –  
 ქორწილის მოწმე, ახმაურდნენ მთებში ნიმფები.  
 დღე იგი იყო სიკედილის და უბედურების.
- 170 აღარ აკრთობდა აწ დედოფალს ჳორი და კდმა,  
 არცა მალული სიყვარული: მას ქორწინების  
 სახელს არქმევდა, თითქოს ამით ცოდვას ფარავდა.
- ლიბიის ქალაქთ მყის მოედო მაშინ ხმა – ფამა,  
 ხმა უფრო სხარტი, ეიდრე ყველა დანაშაული...  
 175 ძალა შემატა მოძრაობამ, გზაზე გაივსო,  
 ჯერ შიშით კრთოდა, მაგრამ მალე პაერს შეერთო,  
 ბნელეთი განვლო და ღრუბლებში გაუჩინარდა.  
 ღმერთებზე მწყარალმა, ნათქვამია, მიწამ-ღმერთქალმა  
 დად უშვა იგი კეუსსა და ენკელადუსსა,
- 180 თანაც აღჭურვა ფეხმარდობით და მალი ფრთებით,  
 საზარელ ურჩხულს ტანთ იმდენი ბუმბული ესხა,  
 რამდენიც თვალი, – სათქმელადაც საოცარია, –  
 ენაც იმდენი, იმდენივე ბაგე და ყური!  
 დამით ცასა და მიწას შუა დაქროდა ბნელში,
- 185 დამაშვრალ თვალებს ტკბილი ძილით არ ასვენებდა.  
 დღისით გუშაგად სახლის სხეენზე, მაღალ ქონგურზე  
 დასკუპდებოდა და ქალაქებს შიშის ზარს სცემდა.  
 ემარჯეებოდა სიცრუეც და ჳეშმარიტებაც.  
 ახლაც ადავსო ნიმფამ ხალხი ათასი სიტყვით,
- 190 ხალისით ერთურთს გაურია ცრუ და მართალი:  
 ტროელთა მოდგმის ენეასთან, ვით მამაკაცთან,  
 უხარიაო ლამაზ დიდოს დაკავშირება,  
 ზამთარს კვლავ ერთად ნეტარებით გაატარებენ,  
 სამეფო დათმეს, აეხორც ვნებას მისცესო თავი...
- 195 საზარმა ნიმფამ ყველა ბაგე ჳორით ადავსო.

- შემდეგ წავიდა და აანთო რისხვით იარბას,  
რომელიც კამონს შეეძინა, როს მოიტაცეს  
გარამანტელი ნიმფა. მეფეს ვრცელ სამეფოში  
ასი ტაძარი აუგია იუპიტერის,
- 200 ასი ბომონი აღუმართავს, ცეცხლი უშრეტეი, –  
ღმერთთა დარაჯი მარადისი, ზვარაკთა სისხლით  
საკვსე სამსხვერპლო, ყვევილებით მორთული ზღურბლნი.  
სული აენთო გაშმაგებით, საზარი ჭორით,  
კერპებს, ამბობენ, ყოვლის შემძლე ღმერთებს მიმართა,  
205 ევედრებოდა იუპიტერს ხელაყრობილი:  
„ყოვლად ძლიერო! შენთვის მაერნი, ჭრელ ხალიჩებზე  
მონადიმენი, ასხურებენ ზვარაკს ზედაშეს.  
ხომ ხელავ ამას?.. როცა ელვას გეტყორცნი, მამაო,  
ეძრწით და ღრუბლებში ავარდნილი ბრმა ნაკვერცხლები  
210 სულს გვიშფოთებენ... განა გრგვინვა ამაოდ ისმის?  
ღიაცი, ვინაც ჩვენს საზღვრებში იძენდა ქალაქს,  
რომელსაც ერგო სანაპირო ხოდაბუნები,  
მეფობაც მივეც, დღეს ცოლობას უარყოფს ჩემსას,  
ენეასს იღებს, ვით მბრძანებელს სამეფოისა!..  
215 პარისი იგი, ქალაჩუნა ბრბო რომ თან ახლავს,  
მეონიური ქუდით თმები რომ დაუფარავს,  
მიპარეია და ეუფლება... ვაგლახ, ამაოდ  
გიძღვნიტ ტაძრებში ზვარაკს შენდა მსასოველნი“.
- საკურთხეველთან ძირს განრთხმულის ლოცვა ესმოდა  
220 მძლე იუპიტერს. სასახლეს და მიჯნურთ შეხედა,  
ტრფობაზე მეტი დიდება რომ არც უნატრიათ.  
მერკურიუსი წარავლინა ღმერთთა მეუფემ:  
„შვილო, ზეფირუს მოიხმე და ფრთები აისხი,  
დარდანთა ბელადს, კართაგენში რომ დარჩენილა,  
225 დავიწყებია ქალაქები ბედით აღთქმული,  
ცით მოველინე და უთხარი დანაბარევი:  
განა ასეთად შვა მშობელმა ჰირმშეენიერმა,  
ბერძენთა ხმლისგან განა ორჯერ მისთვის დაიხსნა,  
რომ არ ეუფლოს იტალიას ომით დატანჯულს?  
230 ტეკერთა ძველ სისხლით მართებს მოდგმის აღორძინება,  
დამორჩილება სამყაროსი თვისი კანონით!  
თუკი დიდება არ აღელვებს ამა საქმეთა,  
სასიქადულო შრომისათვის თვით არ აღიძვრის,  
განა შურს მამას რომის კოშკი იულიუსისთვის?  
235 რას სჩადის, ან რა იმედით დგას მტრულ ტომთა შორის?  
არ ახსოვს ავზონთ მოდგმა, ველნი ლავინიუმის?  
წავიდეს! ამას ვიტყვი ბოლოს! ამ სიტყვას სდიოს“.
- ასე თქვა. საქმეს მყის შეუდგა მერკურიუსი,  
უმალ მოირგო ღმერთმა ოქროს ფრთამალი ქოში,  
240 რომელიც ფრთებით ზღვებისა და ხმელეთის ზემოთ  
ქარივით სწრაფად გააფრენდა. კვერთხი აიღო,

- რომლითაც იგი მკრთალ ანრდილებს მოუწოდებდა  
 ბნელ ორკუსიდან, სხვებს ქვესკნელში კვლა ჩაამზობდა,  
 მოკვდავთ რულს ჰკვირდა, მიცვალებულთ თვალებს უხელდა.
- 245 იმ კვერთხის ძალით გაჭრა ქარი და ღრუბლებს გასცდა,  
 ფრენის დროს ნახა მწვერვალები, ციცაბო მთები  
 მტკიცე ატლანტის, მწვერვალით რომ ცას შებჯენია.  
 ატლანტის თხემი გახლართულა ღრუბლის ფთილებში,  
 ფიჭვით დაფარულს ქარი ურტყამს და ნიაღვარი,
- 250 თოვლი ჰფენია მხრებზე, ხოლო წვერს ნაკადები  
 ჩამოსდენია და ყინვაში გაშეშებია.  
 აქვე შეჩერდა ჯერ ფრთოსანი კილენიუსი,  
 მთელი სხეულით ტალღებისკენ დაქანდა შემდეგ.  
 როგორც ფრინველი თევზით სავსე ზღვის ნაპირებთან
- 255 ირაროსა ჰკრავს, დაბლა იწვეს წყლის ჭავლებამდე, –  
 ისე მიფრინავს და მიაპობს ქარს ქვიშიანი  
 ლიბიის პირას კილენეზე შობილი იგი,  
 იქ, სად დედული ჰქონდა, პაპა სადაცა ჰყავდა.
- მფრინავი ქოშით როს შეეხო ქობთა სახურავს,  
 260 კპოვა ენეას, კოშკს აგებდა ტროელი გმირი.  
 მახვილი ერტყა მოოჭვილი ყვითელ აკანთით,  
 მძლავრი მხრებიდან ეშვებოდა ტოგა, ელვარე  
 ტვიროსულ ძოწით, დედოფლისგან მიეღო ჯილდოდ  
 მისივე ნაკერი, ოქროს ძაფით ამოქსოვილი.
- 265 მაშინვე უთხრა: „კართაგენის საფუძველსა ჰყრი,  
 აამებ ქალს და ულამაზეს ქალაქს აშენებ?  
 ეპ, დაგვიწყნია სამეფო და საქმენი შენნი!  
 შენთან მოფრინდი ოლიმპოდან, უკვდავთ მეუფის,  
 ზეცის და მიწის მიმომძკრელის მკაცრი ბრძანებით.
- 270 თვითონვე მითხრა, მაიძულა შენთვისაც მეთქვა:  
 – რას სჩადი, უქმად რას უდგახარ ლიბიის მხარეს?  
 272 თუ დიად საქმეს შენი სული არ აღუგზნია,  
 274 ყრმა ასკანიუს გაიხსენე და იმედები  
 275 მემკვიდრეობის. იგი მეფედ უნდა გაუხდეს  
 იტალიას და რომის მიწას“. კილენუსმა  
 ასე უთხრა და მყის მოკვდავის სახე გაუქრა,  
 თვალებს მოშორდა და ბრწყინვალე ეთერს შეერთო.
- თავზარი დასცა ამ ზმანებამ მამა ენეასს,  
 280 თმა ყალყზე დადგა, ხოლო ხორხში სიტყვა გაუწყდა.  
 ლტოლვას ესწრაფა და საამო ქვეყნის დათმობას,  
 ღმერთების ნებით და ბრძანებით გოაცებული.  
 რაღა ეღონა, დედოფლისთვის ვით გაებულა  
 მძიმე სათქმელი? სადღა იყო გამოსავალი?!
- 285 ბორგავდა გმირი ენეასის მკვირცხლი გონება  
 სხვადასხვა გზის და ამოცანის გადასაწყვეტად.  
 ბოლოს ეს აზრი მოეჩვენა საუკეთესოდ:  
 მნესთევსს მოუხბო, სერგესტუსს და მამაც სერენტუსს.

- 290 გემთა მოწყობა დაავალა, მეგზურთ თავ შეყრა და საჭურვლისა, ხეაშიადის გულში ჩამარხვა. სანამდის ეჭვი არა კქონდა მშვენიერ დიდოს მოყმის ღალატის, სანამ ტრფობის ბზარს არ ელოდა, მზადება იწყო ენეასმა, მსწრაფლ ირჯებოდა, ხელქეითები დაარიგა, ყველამ სიამით
- 295 მიიღო მისი ბრძანება და საქმეს შეუდგა.
- დიდომ სიცრუე, – სატრფოს ვინ რას გამოაპარებს, – პირველმა იგრძნო, სამზადისიც და განსაცდელი... მაგრამ უფრთხოდა სინამდვილეს. უზნეო ჭორმა უთხრა მრისხანეს, გასაქცევად დგანანო გემნი.
- 300 ციხე-ქალაქში დედოფალი უმწეო სულით ილტვოდა შმაგად, ასე თიასს საკურთხეველთან აცოფებს ხოლმე ორგიები მძლე ბახუსისა და მოუწოდებს კითერონის გამოძახილი.
- 305 ბოლოს ენეასს დედოფალმა მიმართა სიტყვით: „განა შეგეძლო, მოღალატეე, მაგ ბოროტების ჩემგან დამალეა, დატოვება კართაგენისა? ნუთუ ვერც ტრფობა, ვერც მარჯვენა მოწოდებული, დიდოც, მოსურნე სიკედლისა, ვერ შეგაკაეებს? ზამთრის ცის პირზე, ო, სასტიკო, გემებს ამზადებ,
- 310 ზღვით მიისწრაფვი, აქვილონის ქროლვას მიჰყვები... სხუათა ქვეყანა და უცნობი სასახლეები რომ არ გეძებნა, კვლავ მდგარიყო ამაყი ტროა, მღელვარე ზღვაში გაჰყვებოდი ახალ ილიონს? გამირბი განა? ო, გაფიცებ ცრემლით მარჯვენას, –
- 315 ბედკრულს ნუგეშად რად არ შემრჩა სხვა არაფერი, – ჩვენს მჭიდრო კაეშირს, ჰიმენეას, ტკბილად დაწყებულს, თუ რამ სიკეთე გახსოეს ჩემგან, თუ რამ გიყვარდა, გებრალეობდე, გეაჯები, სახლს ნუ დამინგრეე, თუ გულში ჩემთვის შეგრჩა კუთხე, დათმე ეგ აზრი!
- 320 განა შენ გამო არა ვძულეარ ლიბიის ხალხსა, ნუმიდთა ტირანს და ტვირელებს? შენ შემოგწირე სირცხვილ-ნამუსი და სახელი ვარსკვლავთ სადარი! დღეს კი, სტუმარო, სასიკედლოდ ვისთანა მტოვებ? ნუთუ აწ შენგან მრჩება მხოლოდ სახელი ქმრისა?
- 325 რაღას ველოდო? დამაქციოს ჰიგმალიონმა, ტყვედ წამიყვანოს იარბასმა, გეტულთა მეფემ? განშორებამდე ჩამსახოდა ნეტაეი ბაეშვი, ჩემს სასახლეში ეთამაშა ყმაწვილ ენეასს, და შენი სახე მისგან მაინც მომგონებოდა,
- 330 თაეს არ ჩაეთელიდი დაგმობილად, გაწბილებულად“.
- რაკი ანსოვდა გაფრთხილება იუპიტერის, ქალს თვალს არ სწყვეტდა, გულში დარდი ძალით ჩაიხშო. მოკლედ მიუგო: „დედოფალო, მე ვერ უარყვოთ შენს მადლს, რომელიც შეგიძლია ჩამომითვალო.

- 335 გწამდეს, ყოველთვის მოვიგონებ ელისას ტკბილად.  
სანამ თავს ხსოვნა შერჩენია და სული – სხეულს.  
მოკლედ აგიხსნი: არ გეგონოს, იმედი მქონდა  
უნრემრად ლტოლვის, საქორწინო შანდალს ვესწრაფე,  
ანდა მოვედი აქ ამ ტკბილი კავშირისათვის.
- 340 ბედმა რომ მომცეს ჩემი აზრით ცხოვრების ნება,  
ჩემთა საქმეთა სასურველი შემობრუნება,  
მაშინ ძვირფასი ტროისათვის მე ვიზრუნებდი  
და ვისურვებდი, რომ მდგარიყო პრიაშეს სახლნი  
და დამარცხებულთ კვლავ პერგამოსს დაეფუფუნებდი.
- 345 იტალიაში აპოლონმა წასვლა მიბრძანა,  
იტალიაში ლიკიუსის მომიხმობს მოგვი.  
იქ მელის ტრფობა და მამული, შენ, ფინიკიელს,  
თუ კართაგენი და ლიბიის ქალაქი გზლუდავს,  
რად გშურს ტევეკრთაგან ავზონიის დასაკუთრება?
- 350 სხვათა სამეფოს მოპოვება გვიბრძანა ღმერთმა.  
მამა ანქიზე, ოდეს ღამე დაფარავს მიწას,  
ცაზე მთიებნი დასხდებიან მანათობელნი,  
მომევლინება, შემაშფოთებს ხოლმე ზმანებით.  
ასკანიუსსა, პირმშოს ძვირფასს, ხომ დაეუკარგავ
- 355 სანუკვარ ველებს და სამეფოს ქესპერიისა!  
იუპიტერის მოგზავნილმა ღმერთების მაცნემ,  
ჩემსა და შენს თავს გეფიცები – მსწრაფლ ეთერიდან  
გადმომცა ღმერთის განჩინება, ნათლად ვიხილე  
გადმოსვლა ღვთისა და მესმოდა სიტყვები ცხადლივ.
- 360 თავს ნუ აღიგზნებ, მეც ნუ დამწეავ შენი სახმილით,  
მე ჩემი ნებით როდი მივალ იტალიაში!“

ცერად გახედა მოსაუბრეს გამწყრალმა ქალმა  
თავით ფეხამდე, გამსჭვალაევი, მდუმარე მზერით  
და შემდეგ რისხვით ანთებულმა ასე მიუგო:

- 365 „არა ქალღმერთმა გაგაჩინა, არცა ღარდანუს  
გყავდა წინაპრად, მოლალატეც! გშობა კლდოვანმა  
კავკასიონმა, პირკანელი ვეფხეების ძუძუ  
თუ გიწოვია?! აწ უარესს რას ვნახავ კიდევ?  
ჩემს გოდებაზე თვალიც კი არ დაახამხამა,  
370 ცრემლი არ ღვარა, სატრფო თვისი არ შეიბრალა!  
რადას ველოდე? არც იუნო, არც ღმერთთა მამა  
წყალობის თვალთ არ შეხედავს აქ მომხდარ ამბავს.  
კაცი ვერავის ვერ ენდობა! გამევეებული  
მე შევიფარე, უგუნურმა, ჩემს სამეფოში,  
375 დავიხსენ გემნი და მხლებელნი სიკედლისაგან!  
ო, მწეავს ფურია! აპოლონმა მისანმა გითხრა,  
იუპიტერმა მოგივლინა ლიკიის მოგენი,  
ღმერთების მაცნემ მოგიტანა მკაცრი ბრძანება?  
უზრუნველ ღმერთებს შენზე ზრუნვა აღარ ასვენებს!  
380 მე არ გააკავებ, არც შენს სიტყვას ვეპაექრები,  
გასწი, ეძიე იტალიას სამეფო შენი!

მჯერა, რაც ძალუძს ღვთაებათა მართლმსაჯულებას,  
შენ გიზღავეს იგი კლდეთა შორის და დიდოს სახელს  
ხშირად ახსენებ. შენკენ ვილტვი შავი მაშხალით,  
385 და როს სიკვდილი განაშორებს შენს სულს ხორცისგან,  
მოგვევლინები ვით აჩრდილი, ვერაგო, დასჯილს!  
ო, მე გავიგებ, ჩამოაღწევს სულეთში ცნობა!"

სიტყვა შეწყვიტა, გაეცალა, ზურგი აქცია,  
თვალს მიეფარა. მოყმე დარჩა გაოგნებული...  
390 თან რიდი ჰქონდა, თან სათქმელიც ბევრი რამ დარჩა.  
მხეველებმა ხელში აიტაცეს, ღუნე სახსრები  
მარმარილოვან სანთიობოს ფარდაგზე დადეს.  
სათნო ენეასს ლმობიერი სიტყვებით სურდა,  
რომ გაეფანტა მწუხარება საბრალო ქალის.  
395 ხშირად ოხრავდა, სიყვარულით სულით ძირიან  
აღბორებული, მაინც ღმერთის ბრძანებას გაჰყვა. <...>

<...> ტრფობავ, მოკვდავთა გულებს რას არ ჩაადენინებ!  
კვლავ აიძულებ შეევედროს თვალცრემლიანი,  
თვისი ამაყი სული ვნებას დაუმორჩილოს,  
415 არა დარჩეს რა განუცდელი აღსასრულამდე!  
„ნა, ხომ ხედავ, ზღვის ნაპირზე როგორ ჩქარობენ,  
ყოვლგნით მოგროვდნენ, იალქნები ქარს მოელიან,  
მეზღვაურებმა გვირგვინებით შეამკეს კიჩო...  
420 მე რომ წინასწარ განსაცდელი მეგრძნო საზარი,  
ხომ გაუძლებდი კიდეც, დაო! მაგრამ უბედურს  
ერთი თხოვნადა შემისრულე. ის მოღალატე  
შენ პატივს გცემდა და გიმხელდა გულის ხეაშიადს.  
ნაზი მოპყრობა და შერჩევა იცოდი დროის.  
დაო, ეახლე ჩვენს ამაყ მტერს შესავედრებლად,  
425 დანაულთათვის არ აღმითქვამს ავლიდს ტროელთა  
მოდგმის მოსპობა, პერგამოსში გემთა გაგზავნა,  
მე არ შემიძრავს მისი მამის ანქიზუს სული.  
მაშ რად არ უნდა ჩემი სიტყვა ისმინოს გმირმა?  
სად გარბის? სატრფოს მით აამოს უკანასკნელად,  
430 რომ დაელოდოს ზურგქარსა და ჟამსაც ხელსაყრელს.  
არ მოვაგონებ წარსულ ტრფობას, მისგან დათმობილს,  
არ ვთხოვ მშვენიერ ლაციუმის სამეფო დათმოს.  
ცოტა შეყოვნდეს, რომ სიგიჟე განშორებისა  
დაცხრეს და ბედმა მიმაჩვიოს ძლეული დარდსა!  
435 ამ მოწყალებას გვევედრები, დას შეეწიე  
და სიკვდილამდე მადლიერი გიზღავ სანაცვლოს".  
ასე ევედრა, უბედურ დას მისი ნათქვამი  
მიჰქონდა გმირთან, მაგრამ თხოვნამ ვეღარ მოაღბო  
და არ დანებდა ენეასი სატრფოს ვედრებას. <...>

<...> კვლავაც ახალი ბრწყინვალეობით მოფინა მიწა,  
285 დათმო ტითონის სარეცელი ტურფა აერორამ.

- კოშკიდან ნახა დედოფალმა, როცა ინათა,  
რომ გაეშალათ იალქნები ლტოლვილ ზომალდებს,  
იგრძნო ნაპირი უკაცურად და ნავსადგომი...  
სამგზის, თუ ოთხგზის ლამაზ მკერდზე მჯიღი დაიცა
- 590 და ოქროსფერი თმა გაშალა: „ო, იუპიტერ!  
წავიდა უცხო, სამეფოს შემგინებელი, –  
ასე თქვა, – განა კვლავ გაეუშვებ, რომ საჭურველით  
ხელში ჩაიგდონ სხვა ქალაქი და ზომალდები?!
- 595 ჩქარა აისხით იარაღი, დასცხეთ ზოფები! –  
რას ვამბობ! სად ვარ? რა სიგიჟე გიმღერევენ გონებას,  
ბედკრულო დიდო, ახლა გიკვირს მისი სიმუხთლე?  
კვერთხს რომ აძლევდი, რას ფიქრობდი? თურმე რას ნიშნავს  
მისი მარჯვენა, ერთგულება, ვისაც მშობელი  
მხრებზე შეუსვამს, კერპთან ერთად წაუყვანია.
- 600 მე ხომ შემძლო ამეკუწა მისი სხეული  
და გამეფანტა ზღვის ტალღებზე? ასკანიუსი  
მომეკლა, მამის კერპში შეიღის ხორცი ჩამედო?  
იქნებ საეჭვო ყოფილიყო ბრძოლის სასწორი,  
მაგრამ სიკვდილთან მიახლებულს რა შემარტობდა?
- 605 ბანაკს და გემბანს ცეცხლს მიეცემდი, შეიღსა და მამას  
მთელს ტომთან ერთად რომ მოესპობდი, მეც მოეკვდებოდი!  
მზეო, მიწიურ ყველა საქმის მანათობელო,  
იუნო, მოწმევე, გასაჭირში შუა მდგომელო,  
პეკატევე, ღამის თემშარაზე რომ შეგყმუიან,
- 610 მზღველო ღირებო, მომაკვდავი ელისას ღმერთნო!  
რამე იღონეთ, რაც ეკუთვნის ამ ჩემს ვაებას,  
ისმინეთ ჩემი ღაღადისი! თუ ის ბოროტი  
კაცი ნავსადგურს, იტალიას უნდა მიაღგეს,  
თუ ამას ითხოვს განჩინება იუპიტერის,
- 615 მაინც ეწამოს და ებრძოლოს ხალხს უმამაცესს,  
საზღვრით ილტვოდეს, იულუსის ხვეენასაც მოსწყედეს,  
ღმერთს შექლადლოს და იხილოს თავისიანთა  
საზარი ბოლო. როს მშვიდობას კვლავ ეღირსება,  
ვერ დატკბეს ნანატრ სამეფოთი, სიცოცხლით ტკბილით,
- 620 უწინამც მოკვდეს ქვიშროვანში დაუკრძალავად!  
ამ ლოცვას ვიტყვი უკანასკნელს, სისხლდანთხეული...  
ტვირელნო, ფესვი და მყოფადი მოდგმა ტროელთა  
გძულდეთ მყოვარეჟამ. მით ახარეთ აწ ფერფლი ჩემი!  
ნურც სიყვარული, ნურც კაცშირი ნუღარ შეიკვრის!..
- 625 ჩვენი ძვლებიდან წარმოიშვას შურისმგებელი,  
დარდანთ ახალშენს რომ ამოყრის ცეცხლით და რკინით,  
ახლა თუ შემდეგ, დრო რომ გაუა, ძალაც გაჩნდება:  
ხმელეთი – ხმელეთს, ზვირთნი – ზვირთებს, ბექთარი – ბაქთარს!  
გაფიცებთ: ბრძოლად კვლავ ჩაებას შთამომავლობა!“
- 630 ასე ამბობდა, როს ტანჯული სული ბორგავდა,  
სურდა სიცოცხლე საქულეელი მსწრაფლ შეეწყვიტა.  
მოკლედ პრქვა ბარკეს, ქმრის, სიქვესის, მოხუც ვადიას

- (თავისი ძიძის შავი ნეშტი მამულში დარჩა):  
 „ანას მოუხმე, ჩემს დაიკოს, ძიძავ ძვირფასო,  
 635 მალე სხეული განიბანოს მდინარის წყლითა,  
 რომ განსაწმენდად წამოასხას ცხოველთ ზეარაკი,  
 მოვიდეს. და შენც მოიხვიე წმიდა მანდილი,  
 მსურს იუპიტერს, სტიქის მფლობელთ წმიდა ადათით  
 მსხვერპლი შევწირო, ვემზადები, როგორც წესია.  
 640 ამით ცეცხლს მიეცემ ჩემს სატანჯველს, თავს დარდანელის“.  
 ასე თქვა. ბებრულ ნაბიჯს დგამდა მოწადინებით  
 მოხუცი ძიძა... გააშმაგა დიდო ფიქრებმა,  
 თვალს სისხლი ადგა და უთრთოდა ლაწეები ტურფა,  
 ფორაჯდაყრილი და სიკვდილის ლოდინით მკრთალი.  
 645 შმაგად შეიჭრა საეანეში, ანაზღუელად  
 მიადგა კოცონს და სატეეარს დასწვდა დარდანულს,  
 ჯილდოს, რომელიც ამისათვის არ მისცემია.  
 თვალი რომ მოჰკრა ილიონურ სამოსელს ქალმა,  
 ნაცნობ სარეცელს, შეაყოვნა ფიქრმა და ცრემლმა,  
 650 საწოლს დაეცა და ესდა თქვა უკანასკნელაფ:  
 „ო, სამოსელო, სანამ ნებას მოგვეცემენ ღმერთნი,  
 მიილე სული, შეაყოვნე ხვედრი საზარი!  
 რაც ბედმა მომცა განჩინება, მას ვემონები  
 და პირქუშ ქვესკნელს ვეახლები ფერმკრთალ აჩრდილად.  
 655 მე დაეაფუძნე უტურფესი ქალაქის ზღუდე,  
 შური ვიძიე ქმრისთვის, ჩემი ძმა კი დაესაჯე,  
 ო, ბედნიერიც ვიქნებოდი, რომ ჩვენს ნაპირებს  
 არ მოსდგომოდა დარდანელთა გემი არასდროს!“  
 თავით ჩაემზო სარეცელში და კვლავ განაგრძო:  
 660 „მურს ვერ ვიძიებ, მაგრამ კვედები... ესეც ტკიბილია!  
 დაე, კოცონი ზღვის სივრცეში ნახოს სასტიკმა  
 დარდანმა და თან წაიყოლოს სიკვდილის ხატი!“  
 ესდა თქვა: მხევალთ ნახეს, რკინას ვით წამოეგო,  
 სისხლმა დაფარა სატეეარი, შეღება ხელი,  
 665 გლოვა მოედო დედოფლის მაღალ დარბაზებს,  
 და მოეფინა ხმა მთელს ქალაქს შეძრწუნებულსა.  
 ააკანკალა სასახლენი ქალთა კვილმა,  
 კენესით. გოდებით აგუგუნდა ირგვლივ ჰაერი,  
 თითქოს განერთხო კართაგენი მტერთა წინაშე.  
 670 ძველი ტვიროსი, ხოლო ცეცხლმა გადაურბინა  
 სახლთა სართულებს, მაღალ ტაძრებს და ღმერთთა თალებს.

- დამ გაიგონა, შიშით, სრბოლით სულ შეგუბულმა  
 დაწვნი ფრჩხილებით, ძუძუები მჯილით აიწვა,  
 ბრბოში შევარდა და ჰკიოდა დედოფლის სახელს:  
 675 „თურმე რა გსურდა!.. მატყუებდი, დაიკო, განა?  
 ამას ნიშნავდა კოცონი და საკურთხეველი?  
 სიკვდილის მსურველს ხვედრი დისა არად მიგაჩნდა?  
 მეც რად არ მიხმე ბედთან? ერთად გაგვაქროლებდა  
 იმავე სატეერის სატკივარი, ჟამიც იგივე!..



- 680 მე თვით აღვაგე სამსხვერპლო და ხმამაღლივ ვუხმე  
მშობლიურ ღმერთებს... მომიშორე, როცა გიჭირდა!..  
თავი დაღუპე, მე დამღუპე, მთელი სამეფოც,  
სიდონელებიც... ო, მიმიშვით, წყლით გადავუბან  
ჭრილობებს და თუ სუნთქვა ბორგავს უკანასკნელი,  
685 დავეკონები ბაგეებით!" საფეხურებზე  
ნახევრად ცოცხალს მოეხვია, მკერდზე მიითბო,  
ტანსაცმლით წმენდდა ჩაშავებულს სისხლსა მტირალი.  
სცადა აღეხვნა თვალნი დიდომ, მაგრამ მისუსტდა,  
მკერდის არეში აშიშინდა იარა მწველი.
- 690 სამჯერ დაეყრდნო იდაყვზე და ადგომა სცადა,  
სამჯერ დაეცა სარეცელზე, ცაში ეძებდა  
სინათლეს თვალით და კენესოდა, რომ მიაგნებდა.  
ძნელი სიკვდილი არ უნდოდა იუნოს მისი  
და მოაეღინა ოლიმპოდან ირისი უმალ,
- 695 რომ დაერღვია სულისა და ხორცის კავშირი.  
გინდ ბედით იყოს, გინდა ნებით მისი დაღუპვა,  
მაინც ცოდოა, ანთებული უეცარ ვნებით!..  
ნათელ კულულებს არა ხსნიდა ჯერ პროზერპინა,  
ორკუსს, სტიქის წყლით მორწყულს, მის თავს არ ანებებდა.
- 700 ცვარნაპკურები, ცით მოსული აღისფერ ფრთებით,  
მზის სხივებისგან ათასფერად მოთინათინე  
თავთან დაუდგა მას ირისი: „ღისის ზეარაკად  
თამ მიმაქვს, ამით ვაცილებო სულს სხეულისგან!"  
ასე წარმოთქვა, კულულები მოსჭრა, მაშინვე  
705 სულ გაქრა სითბო და სიცოცხლე გაფრინდა ქარში.

### წიგნი მეექვსე

ასე თქვა თვალეცრემლიანმა, გემი მიუშვა,  
ეების კუმეს სანაპიროს მიუახლოვდა.

ჭვინტით ზღვისაკენ შემობრუნდნენ, კბილი ჩაასო  
ღუზამ ნაპირთან, მორკალული კიჩო მიადგა.

- 5 ხმელეთს. გავიდა ჰესპერიის ველზე ტროელთა  
ახალგაზრდობა. დაეძებდნენ თესლს კოკონისა,  
კაჟში დამალულს, სხვანი ბუნჩებს შემოესივნენ –  
ნადირთა საფარს და მიაგნეს წყაროს ანკარას.  
სათნო ენეას აპოლონის ბორცვზე ავიდა.

- 10 მყუდრო მხარეში ის მიადგა სიბილას მღვიმეს,  
შემადრწუნებელს, სად მომავალს ამცნობს ღვთაება,  
სულს და გონებას დელოსელი ადაგზნებს ხოლმე.  
ტრიეიას ჭვალს და ოქროს ზღურბლს მიადგნენ ტექერნი.  
როს დედალუსი მინოსის სახლს გასცილებია

- 15 და გაუბედავს მარდი ფრთებით ზეცად ნავარდი,  
მიცურებულა ყინულოვან არკტოსთან თურმე,  
ბოლოს მწვერვალზე ქალკიდისა დამდგარა მოყმე.  
კვლავ დაბრუნებულს, ფებუს, შენტვის მას მიუძღვნია  
ფრთოსანი ხოფი, აღუმართავს დიდი ტაძრები.

- 20 კარზე სიკვდილი დაუხატავს ანდროვენოსის,

- კერპიდაგან მსხვერპლ შეწირვა შეიდი ქალ-ვაჟის.  
 ყოველწლიური. იქვე ურნა წილის საყრელი.  
 მის წინ, ზღვის ზემოთ მან აღმართა გნოსიის მიწა,  
 ასახა ენება ბუღასადმი. პაზიფეს საწოლს
- 25    ორსახიანი, აღრეული მოდგმა რომ მოჰყვა,  
 მინოტავრუსი, აკრძალული ტრფობის ნაყოფი,  
 სახლი, შრომა და უთავბოლო სახეტილო;  
 დედოფლის დიდი ტრფობის რიღით სცნა დედალუსმა  
 სიცრუე და გზა ნაგებობის ძაფით აჩვენა.
- 30    შენ მისი შრომის წილს, იკარუს, მიიკუთვნებდი,  
 რომ დარდს მიეცა ამის ნება. ოქროზე ძერწვა  
 ორჯერა სცადა შენი ბედის, ორჯერ უძლურად  
 ხელი დაუშვა... ალბათ სურათს თვალს არ მოსწყვეტდნენ,  
 ამ დროს ერთგული აქატე რომ არ მოსულიყო.
- 35    ახლდა ფებუსის და ტრიეიას ქურუმი ქალი –  
 გლავკუსის წული დეიფობე. მან მეფეს უთხრა:  
 „ახლა დრო არ გაქვთ დატებეთ ამო სანახაობით,  
 ხამს ხელუხლებელ ჯოგში მყოფი შეიდი მოზვერი  
 და იმდენივე ვერძი დაკლათ ურჩეულების“.
- 40    უთხრა ენეასს. წმიდა ნებას დაჰყენენ მოყმენი.  
 ქურუმმა ქალმა ყველა ტევკრი მოიხზო ტაძრად.  
 ევბეის ქიმი უზარმაზარ მღვიმით გაჭრილა,  
 ასი კარი აქვს და ასი აქვს მისადგომელი,  
 შიგნით სიბილას იმდენივე პასუხი ისმის.
- 45    ზღურბლს რომ მიაღწენ, ქალწულმა თქვა: „დრო არის ბედი  
 ვიკითხოთ. ღმერთი, აჰა, ღმერთი!“ მას, მოღალადეს  
 ზღურბლთან არც სახე, არცა ფერი, არც ვარცხნილობა  
 არ ეტყობოდა, მხოლოდ შერჩა მძლე გულისძგერა  
 და სულს უმღერევდა მძვინვარება დაუოკველი,
- 50    უკვდავი ბგერა მოისმოდა, ახლო მოსული  
 ღვთის ძალა იგრძნო. – „აღთქმასა და ლოცვას აყოვნებ, –  
 თქვა, – ენეასო, რას უდგახარ! არ გაიხსნება  
 უმისოდ სახლი შთაგონების!“ ასე უთხრა და  
 ისეე დადუმდა. ციემა თრთოლვამ შეიპყრო ძვლები
- 55    ტევკრი გმირების. მეფემ ლოცვა აღმოუტევა:  
 „ფებუს! ბედკრული ტროელების სათნომყოფელი,  
 პარისის ხელით რომ მიმართე დარდანთ ისარი  
 ეაკიდისკენ, რამდენ ზღვაში შენი იმედით  
 მე გამივლია; მასილების შორეულ მხარეს,
- 60    თვისი ველები სირტებით რომ შემოუსალტავს...  
 ბოლოს გაქცეულ იტალიის ნაპირს ვეწვიეთ.  
 ნეტავ აგვიცოდეს ტროის ბედი ამიერიდან!  
 დროა ტროელთა ტომს შეუნდოთ, ღმერთნო, ქალღმერთნო,  
 რომ ხელს ვიშლიდათ ილიონი, ქვეყნის დიდება!
- 65    მყობადის მცოდნევე, ო. მისანო, ყოვლად წმიდაო,  
 სამეფოს არ გთხოვ ბედისაგან ჩემად წილხედლომილს.  
 მხოლოდ მიეცი ლაციუმში თავშესაფარი  
 ტევკრებს, ბომონებს და ღვთაებებს მოხეტილეთ.

- 70 ტრივიასა და ფებუსის თაღს მარმარილოსგან  
 მაშინ აღეაგებ. ზეიმს ფებუსს მე დაუწესებ.  
 გელოდებიან ჩვენს მხარეში წმიდა ტაძარნი,  
 მე იქ გავიგებ საიდუმლო მისნობას შენსას,  
 სიტყვებს აეაწყობ, რჩეულ კაცებს, ო. მოწყალო,  
 ვაუწყებ ყოველს. ფურცლებზე კი არ იმკითხაო,
- 75 მქროლავ ქარების სათამაშოდ რომ არ გაფრიდენ.  
 თავად იმღერე, გევედრები“. ასე თქვა მეფემ.  
 მაგრამ მღვიმეში კვლავ კელური ფებუსის ურჩი  
 შფოთავდა ქალი და მკერდიდან ვერ ამოედო  
 დიადი ღმერთი. იგი უფრო გულს უღელვებდა,  
 80 იმორჩილებდა ქალ-ქურუმსა გაველურებულს.  
 გაიხსნა ასი კარი ტაძრის, უზარმაზარი,  
 და მოეფინა ორაკულის პასუხი პაერს:  
 „ზღვის საშინელი შეტევისგან გადარჩენილნი  
 ახალ მიწაზე ლაინუმის მხარეში მივლენ  
 85 დარდანიდები, ნულარ წუხან ახლა ამაზე.  
 მაგრამ იქ მისვლას ინანებენ: ომს, საშინელ ომს  
 ეხედავ და თიბრისს აქაფებულს დიდძალი სისხლით!  
 კპოებ სიმოისს, ქსანთუსსაც და ღორიელთ ბანაკს.  
 სხვა აქილევსი დაიბადა უკვე ლაციუმს,  
 90 ისიც ქალღმერთის ნაშობია, ტროელთ იუნო  
 არ მოეშება. იტალიის ყველა ტომსა და  
 ყველა ქალაქსაც შევლას მოსთხოვ მავედრებელი.  
 ჭირის მიზეზი ისევე ქალი. ტეკკრათავის უცხო  
 და ქორწინება კვლავ იქნება!
- 95 ნუ დანებდები ავბედობას, გულადად დადექ,  
 არ გიღალატებს ბედისწერა, ხოლო გზა ხსნიისა,  
 რომ არ მოელი, ისე მოვა ბერძნების მხრიდან“.  
 ასე უთხრა და კვლავ განაგრძო სიბილამ ტაძრად  
 შმაგი სიმღერა, კვლავ მოუხმო გამოქვაბულში.
- 100 სიმართლეს ბნელი შეერია და აპოლონი  
 ქურუმს უჭერდა სადავეებს, მკერდს უღელვებდა.  
 როს გაიარა რისხვამ, შეწყდა ბაგეთ სიცოფე,  
 მიუგო გმირმა ენეასმა: „ახალი შრომა  
 მოულოდნელი, ო, ქალწულო, აღარ იქნება.  
 105 გულში განსაზღვრე ყოველივე წინასწარ უკვე.  
 მხოლოდ ერთსა გთხოვ: თუ ქვეშეთის მხარეში არის  
 აქ შესასვლელი, აქერონტის შავი ჭაობი,  
 შემადლებინე მამის ნახვა, მოსმენა მისი,  
 გზად დამაყენე და გახსენი წმიდა კარები!
- 110 მე იგი ვიხსენ ალისაგან, მდევართ ისრისგან  
 და ჩემი მხრებით მტრის დასიდან გამოვიტაცე,  
 მან, მონაწილემ ჩემი გზისა, ზღვა ჩემთან ერთად,  
 ზვირთთა შეტევა და ზეცისა სრულად უძღურმა,  
 სიბერით სუსტმა, მაინც მტკიცედ ვადაიტანა!
- 115 მან მიანდერძა მოვსულიყავ შენს საეანესთან,  
 ძე – მამის გამო. ო, კეთილო, მავედრებელი

- გთხოვ შეიბრალო. ყოვლის შემძლე, განა ამაოდ  
გადაგაბარა თვით ჰეკატემ ტყე ავერნუსის?  
ხომ შეძლება ცოლის ჩრდილი გამოეთხოვა
- 120 კითარის კეთილზმოვანებით განთქმულ ორფევსსაც!  
პოლუქსმა შეძლო გაეცვალა სიკვდილი ძმისთვის  
მრავალგზის ვლიდა წინ და უკან. ანდა თეზევსი,  
გინა ალკიდე? მეც ვარ მოდგმა იუპიტერის!"  
ასე ევედრა და შეეხო საკურთხეველსაც.
- 125 ხოლო მისანამ უპასუხა: „ღვთაებრივ მოდგმის  
ანქიზიადი ავერნუსთან იოლად ჩავა.  
ღამით და ღლისით ღია არის დისის კარიბჭე,  
მაგრამ ძნელია მაღალ ჰაერს გადასცდე ბიჯით.  
ბევრმა, ვინც უყვარს იუპიტერს მართლისმოყვარეს,  
130 ვინც სიმამაცემ აღიყვანა მაღალ ცათამდე, –  
ღვთის ნაშიერმა, ეს ვერ შეძლო. ყველგან ტყე აკრავს  
და კოკიტოსი სალტავს ადგილს შავად მდინარე.  
თუ ასეთი გაქვს მისწრაფება და სიყვარული,  
რომ გადაცურო ორგზის სტიქსი, ორგზის იხილო  
135 შავი ტარტარი, და უგნური საქმე გალაღებს,  
მაშინ მისმინე. ხის ქვეშ ერთი ოქროს ძელია,  
ხშირი ფოთლებით დაფარული და მოქნილ შტოით,  
ქალღმერთ იუნოს წილხვდომილი, მიწისქვეშელის.  
მას ფარავს ტყერი და პირქუში ჩრდილი ველისა.  
140 მაგრამ მანამდე ვერ ჩაწვდები იღუმალებას,  
სანამ ოქროვანს არ მოსტაცებ ნაყოფს იმ ხეხილს,  
საჩუქრად იგი პროზერპინას დაუდგენია.  
ერთს როცა მოწყვეტ, კვლავ მეორე შტო ოქროისა  
აღმოცენდება ახუნძლული იმავე ლითონით.  
145 წვეროს ახედე, როს იპოვნი, რაცა გჭირდება,  
უმაღ მოწყვიტე, დაგნებდება ნაყოფი თვითონ,  
თუ გწყალობს ბედი და თუ არა, ვერ დაძლეე ძალით,  
ვერც მტკიცე რკინით მოერევი მას მოსაკეთად. <...>
- <...> პირქუშ აჩრდილთა შორის ელიდნენ წყვილიად ღამეში,  
დისის უკაცურ და უდაბურ სამფლობელოში.
- 270 მიბნედილ მთვარის ცბიერ შუქსაც ასე ჩვევია  
ტყეში გზის პოვნა, რაკი ჩრდილით იუპიტერი  
ცას ფარავს, ღამე მოქუფრული ფერს ართმევს საგნებს.  
მისადგომებთან და ორკუსის მღვიმის კარებთან  
შურისმგებელნი ზრუნვის ღმერთნი გლოვას მართავდნენ.
- 275 შიგ დაცულიყო სნეულება, სიბერის მწუხრი,  
ავი მრჩეველი შიმშილი და შიში საზარი,  
მათთანვე შრომა მტანჯველი და სიკვდილი მკაცრი,  
მისივ მოდგმისა ძილი, გულის ავი ზრახვანი,  
ოძი – სიკვდილის შემომტანი, – ზედ რკინის ზღურბლთან.
- 280 ევმენიდების საზარელი შუღლიანობა...  
თმები-გველები სისწლიანი ბაფთით შეეკრათ.  
იქ გაეშალა მარადისი ტოტნი, ვით ხელნი

- პირქუშ ხეს, მაცდურ ოცნებათა მყუდრო საეანეს.  
 ამბობენ, სულნი ფოთლებს ქვემოთ მშვიდად ფრენენო.
- 285 გარდა ამისა მრავლად იყო აქ ურჩხულთ წყება,  
 კენტატარუსები თუ სკილები ორსახიანნი,  
 ასხელიანი ბრიარევისი, მის გვერდით ლერნა,  
 ეკლით მოსილი, ცეცხლს აფრქვევდა იქვე ქიშერა,  
 გორგონები და ჰარპიები თუ აჩრდილები...
- 290 შიშმა შეიპყრო ენეასი, ხმაღს სტაცა ხელი  
 და წამახულ წვერს ჯიქურ საზარ მომხედურთ უშვერდა,  
 რომ მისან მხლებელს დროით გონზე არ მოეყვანა,  
 არ ეთქვა, რომ აქ უსხეულო სულნი ფრენენო,  
 თავს დაესხმოდა, გააპობდა აჩრდილებს რკინით.
- 295 შემდეგ წავიდა აქერონტის ტალღებისაკენ,  
 ჩანდა მორევი ამღვრეული ბინძურ ტალახით.  
 მოშხაპუნებდა, მიაფრქვევდა კოკიტუსს ქვიშას.  
 ამ მდინარეებს ღრჯუ მეთივე ჰყავდა გუშაგად,  
 მურდალი ქარონ, დაფარვოდა მთელი ნიკაპი
- 300 ჭაღარა წვერით. უბრწყინავდა თვალი სიავით,  
 ჩამოფენოდა ჭუჭყიანი სამოსი მხრიდან,  
 ტივს ორთავყვით მიათრევდა, აფრით მართავდა,  
 შავი ბორანით გადაჰყავდა სულები ქარონს.  
 თუმცა მოხუცდა, მტკიცე იყო სიბერე ღმერთის.
- 305 აჩრდილთა დასი მიილტვოდა ნაპირისაკენ,  
 ქალნი და კაცნი, გმირთა სულნი უსიცოცხლონი,  
 იქვე ჭაბუკნი, ქალწულები უქორწინონი,  
 მამათა თვალწინ კოცონებზე დამწვარნი შვილნი.  
 ვით შემოდგომის სუსხში ხიდან ჩამოცვივდება
- 310 ფოთოლთ სიმრავლე, ან მიწიდან ზღვად გაღვივიან  
 ფრინველთ გუნდები, როს ზამთარი ყინულოვანი  
 მიერეკება ზღვათა გავლით თბილ ქვეყნებისკენ,  
 ასე მრავალნი იყვნენ, ქარონს ევედრებოდნენ,  
 მიესწრაფოდნენ გაღმა გასვლას ხელაყრობილნი.
- 315 ხოლო მეთივე ზოგს დასევამდა პირლამიანი,  
 სხეებს ნაპირიდან განღვენიდა. მაშინ გაოცდა  
 მამა ენეას და წარმოთქვა შემძწუნებულმა:  
 „ქალწულო, მითხარ, ამ ნაკადთან ბრბო რად გროვდება?  
 რას თხოვენ სულნი? ან რის გამო დენიან ზოგსა,
- 320 ხოლო ზოგნი კი მთარღვევენ ამღვრეულ ტალღებს?“  
 მოკლედ მიუგო მას წლოვანმა ქურუმმა ქალმა:  
 „ანქი ზეს ძეო, ჭეშმარიტო შვილო ღმერთისა!  
 შენ კოკიტუსის ჭოჭსა ხედავ და სტიქსის ჭაობს,  
 რომელთ სახელი ძრწოლასა ჰგერის თვითონ ღმერთებსაც.
- 325 შენ ახლა ხედავ ბრბოს ბედშავთა, დაუკრძალავთ!  
 ეს ქარონია... წყალზე გავა, ვინც საფლავშია:  
 არ შეიძლება ტალღებს გაჰყვნენ და გადავიდნენ  
 სულები მანამ, სანამ მათს ძვლებს არ დაკრძალავენ,  
 აქეთ ნაპირას ასი წელი ეხეტებთან
- 330 და მხოლოდ შემდეგ მიუშვებენ ნანატრ ჭაობთან“. <...>

<...> ისევ განაგრძეს გზა, მიაღწენ პირქუშ მდინარეს,  
 385 სტიქის მორეუში შეაშრნია მყისვე მეტივემ,  
 რომ ჭალაკიდან ნაპირისკენ გზა მიემართათ,  
 თავდაპირველად საყვედური უთხრა შორიდან:  
 „ვინც უნდა იყო, იარაღით რომ გვეახლები,  
 390 შორიდან მითხარ, რად მოდიხარ, მანდვე დადექი!  
 აქ სავანაა სულთა, ნატერის, ძილისმგვრელ ღამის.  
 ცოცხალ სხეულთა გადატანა არ შევალება.  
 შევბას არ მგვრიდა არც ალკიდეს მოგზაურობა,  
 არც თეხევისისა და არცა თუ პირითოესი,  
 395 თუმც ღვთისნაშობნი იყვნენ გმირნი და უძლეველნი.  
 ტარტარის მცველი ბორკილებში თვითონ ჩაჭყდა  
 და სამეფო ტახტს მოაშორა. იმ ორს კი სურდა  
 ღისის მუღლუ მოეტაცათ სანთიობოდან“.  
 მოკლედ მიუგო მას ქურუმმა ამფრიზიელმა:  
 „აქ საამისო არა არის და შენ ნუ ღელავ,  
 არც იარაღით იმუქრება, დაე, შეკარემ  
 მარადი ყეფით შეაშინოს უსულო ჩრდილნი,  
 და დროზე ბინა პროზერპინამ დაიკვას ბიძის!  
 ეს ხომ ტროელი სათნო გმირი ენეასია,  
 405 თავის მშობელთან ერეპუსის ქვეშეთში მიდის.  
 თუ არ გაღლეებს სათნოება მამაშვილური,  
 მაშინ შტო, – და შტო დამალული გამოუჩინა, –  
 იცან საშენოდ!“ დაცხრა ავი მეტივის გული.  
 სიტყვა არ დაძრა. შესციცინა მშვენიერ ჯილდოს,  
 საბედისწერო შტოს, დიდხანს რომ აღარ უნახავს.  
 410 ცისფერი ტივი მოაქცია ნაპირისაკენ.  
 ნაპირზე მსხდომნი სხვა სულები მყისვე განდევნა,  
 კიჩო გაწმინდა. ენეასი მიიღო ნავში  
 და სიმძიმის ქვეშ დაიკენესა ძველმა ბორანმა.  
 დახეთქილ ძირში შეიწოვა ბლომად ჭაობი.  
 415 ნაკადის გაღმა ენეასი და ქალ-ქურუმი  
 გადმოსვა ღამში. მონაცრისფრო ლერწმების ტვერში.  
 აქ კერბერუსის ხაფი ყეფა ისმოდა ირგვლივ.  
 მღვიმის პირდაპირ შესავალთან დაწოლილიყო.  
 როცა მის ყელზე ყალფზე მდგარი გველები ნახა,  
 420 ძილის მომგვრელი მორგვი სტყორცნა ქურუმმა ქალმა, –  
 თაფლით ნახავი. სამი ხახით იგდო მშვიერმა  
 ეს საჩუქარი, დაუსუსტდა მყისვე სხეული  
 და მღვიმის პირად გაიშოტა უზარმაზარი.  
 კარებს მიაღვა ენეასი, გასცდა შეკარეს,  
 425 ნაპირს საზარელს, ტალღას უკან მოუბრუნებელს.  
 წაშვე მოესმა ხმამაღალი გოდება მამაცს,  
 ზღურბლთან ბავშვების სულთა გლოვა, რომელთ წაართვა  
 ტბილი სიცოცხლე და მშობლიურ მკერდს გამოსტაცა  
 დღემ ავებდითმა და მწუხარე სამარეს მისცა.  
 430 ცრუ ბრალდებებით დასჯილებიც იქავე იყვნენ,

- მაგრამ წილისყრით შეხვედრით მათ ეს საეანეც.  
 მსაჯი მინოსი დგამდა ურნას, მდუმარე დასის  
 ცოდვას იკვლევდა და სწავლობდა გზას ცხოვრებისა.
- 435 იქვე მწუხარე სულნიც იყვნენ. თავიანთ ნებით  
 მინებდნენ სიკვდილს, მათს სხეულებს სინათლე სძულდათ  
 და სულს განშორდნენ. ო, ზესკნელში ახლა ცხოვრება,  
 როგორ უნდოდათ, სიღარიბის, შრომის სიმძიმეც!  
 წერამ შებორკა და ტალღებში მტრული ტალახი  
 მიეკრა სულებს და თვით სტიქსი, ცხრაგზის მსროლოელი,
- 440 ახლოვე ჩანდა, განფენილი ოთხსავე მხარეს –  
 ველი დარდისა (ასე ჰქვია კიდეც სახელი!).  
 ვინც სიყვარულმა დაუნდობელ შხამით შემუსრა,  
 მყუდრო ბილიკით მიჩქმალულა, მირტის რტოებით,  
 განმარტოებით, დარდმა აქაც არ მოასვენა...
- 445 ფედრას და პროკრისს და მწუხარე ერაფილესაც,  
 ძისგან მიღებულ ჭრილობებით მკაცრად დასერილს,  
 ევადნესა და პაზიფაეს, ლაოღამიას  
 ხედავდა გმირი, – კენეუსსაც, ოდესღაც ჭაბუკს,  
 ახლა კვლავ ქალსა, რაიც იყო, იმადვე ქცეულს.
- 450 აქ იყო ღიდოც სიდონელი, ახლად დაჭრილი,  
 ჭალად ვიდოდა, ოდეს დადგა ტროელი გმირი  
 წინაშე მისა, იცნო სატრფო ჩრდილით მოცული.  
 ახალ მთოვარეს შუქს რომ მოჰკრავს კაცი, ჰგონია,  
 მნათობი ნახა წამომდგარი ღრუბლის ქულიდან.
- 455 ცრემლი მოადგა, სიყვარულით და ტკბილად უთხრა:  
 „საბრალო ღიდო, ჩანს მაცნობა მართალმა მაცნემ  
 სიკვდილი შენი, აღსასრული ვერაგი რკინით?  
 ეაგლახ, მიზეზი განა მე ვარ? მაღალ ვარსკვლავებს,  
 ზეცას და ღმერთებს, თუ ქვეშეთში არის სიმართლე, –
- 460 ვფიცავ, ნაპირი მე დაეცოვე ჩემს უნებურად,  
 ღმერთის ბრძანებით, ვინც ამეამად აჩრდილთა შორის  
 ეკლოვან გზებზე მაიძულებს ღამით სიარულს.  
 ძალით გამაგდეს, არ შემეძლო აზრად მქონოდა,  
 რომ ჩემი წასვლით მოგიტანდი უბედურებას!
- 465 შესდექ, ნუ მიხვალ, ო, ჩვენს თვალებს ნუ ეფარები,  
 ვის გაურბიხარ? უკანასკნელ საუბარს ისმენ!“  
 ასე უნდოდა, რომ ენეასს განარისხებული  
 სული მოეღბო, მოეტაცნა ცხარე ცრემლები.  
 ქალს კი თვალები დაღვრემილი ძირს დაეხარა
- 470 და ვაჟის სიტყვით სახე აღარ ათრთოლებია,  
 თითქოს კაჟი ან მარპეზიის კლდე ყოფილიყო.  
 ბოლოს გაიქცა და ჩრდილოვან ჭალაში მტრულად  
 გაუჩინარდა, სად პირველი ქმარი სიქვესი  
 ზრუნავდა მასზე, შერჩენოდა კვლავ სიყვარული.  
 სათნო ენეას შეაძრწუნა სასტიკმა ხვედრმა.  
 შორით გახედა მტირალმა და შეურევბულმა. <...>

- <...> მიმოიხედა ენეასმა და მარცხნივ, კლდის ქვეშ  
 კოშკი იპოვა, სამმაგ კედლით გამაგრებული.
- 550 სწრაფი ნაკადი ცეცხლოვანი გარს ევლებოდა,  
 თვით ფლეგეთონი ტარტარისა ღორღს მოარღვევდა.  
 აღმართულიყო ბჭემაღალი, ძმლავრი სვეტები.  
 ვერც კაცთა ძალა, ვერც ზეციერთ ძალუმი ბრძოლა  
 ვერ შეარყევდა. აწვდილიყო რკინის ქონგური,
- 555 ზედ ტიზიფონე დამჯღარიყო სისხლიან კაბით,  
 ძილის არმცოდნე, ღლით და ღამით კარიბჭის მცველი.  
 ისმა გოდება, საშინელი დარტყმის გუგუნი,  
 ჟღარუნი მძიმე რკინისა და ბორკილებისა.  
 შეჩერდა გმირი და ისმენდა ზარდამცემ ხმაურს:
- 560 „რა ბოროტება აქ ტრიალებს, მითხარ, ქალწულო,  
 რა სასჯელია, რა ხმაური მოდის ჩვენამდე?“  
 მაშინ ქურუმმა უბასუხა: „ტევკრთა ბელადო,  
 ბოროტების ზღურბლს აქ ვერავინ დაიმორჩილებს.  
 როს მე მანდობდა თვით ჰეკატე ავერნის ჭალებს,
- 565 მაშინ მასწავლა ღვთის სასჯელი, მამცნო ყოველი.  
 ამ სასტიკ მხარეს ფლობს გნოსელი რადამანთუსი,  
 იგი ბჭობს, სჯის და აიძულებს ხუნდის მიღებას,  
 ვინც სააქაოს ნეტარებად ამაოებით,  
 შორს გადაუგდო მათ ცოდვათა შემსუბუქება.
- 570 მძიმე მათრახით მივარდება შურისმგებელი  
 ტიზიფონე და ცოდვილთ ურტყამს, როს გველს ცაცით  
 აისხლეტს, თანაც მოუწოდებს ღებს შემზარავად.  
 როს განიხვნება მოგუგუნე ანჯამებიდან
- 575 ჭრილით ბჭენი, ნახავ გუშაგს შეუბრალებელს  
 და საზარელ მცველს კარიბჭისა, ურჩხულის სახით.  
 ორმოცდაათი ხახით იცდის ვეება ჰიდრა  
 ავისმორბედი. შიგნით კიდევ თვით ტარტარუსი  
 ორად იყოფა და ჯურღმულში იმოდენაა,  
 რამხედაც არის ოლიმპოს მთა ზეცად მიმსწრაფი.
- 580 აქ მიწის ძველი მოდგმა არის ტიტანუსისა,  
 რომელიც ელვით ძირს დანთქმულა ქვესკნელის ფსკერზე.  
 მე იქ ვიხილე ბუმბერაზი ალოიდები,  
 რომელთაც სურდათ გაეხერიტათ ხელებით ზეცა  
 და სამეფოდან ჩამოეგდოთ იუპიტერი.
- 585 მინახავს, სასჯელს ვით იხდიდა სალმონეუსი,  
 რადგან მიჰბაძა ელვა-ქუხილს იუპიტერის.  
 ის ოთხცხენიან ეტლში მჯდარა, აქნევდა ლამპარს  
 ბერმენტა შორის და ქალაქში შუა ელიდის.  
 ზემით მსრბოლი ღმრთის შესაფერ თაყვანს ითხოვდა,
- 590 იგი, უგნური! სურდა მეხი, ელვა უბადლო  
 წარმოესახა სპილენძით და ცხენთა დგრილით.  
 ყოვლისმძლე მამამ ღრუბლებიდან ისარი ტყორცნა,  
 არა სანთლის და კვამლიანი კვარის მაგვარი,  
 და მყესეულად შთანთქა იგი საზარ ქვესკნელში.



- 595 ტიტოს ენახე ყოვლისმშობელ მიწის აღზრდილი,  
 თუ ვით განერთხო მისი გეამი და საუკუნოდ  
 სასტიკი ორბი უკორტნიდა საზარ ნისკარტით  
 უკედავ ღვიძლსა და ტანჯვისათვის გაჩენილ შიგანს,  
 შიგ კოთქოთებდა და მაღალ მკერდს გადაუფრენდა.
- 600 ველარ ეღირსა განსვენება მის ტანჯულ სხეულს.  
 ლაპითებზე ვთქვა, პირითუსზე, თუ იქსიონზე?  
 მათ ხომ საცაა დაეცემა ტინი პირქუში,  
 სულ ჩამოსკდომით ემუქრება. მაღლა ბრწყინავენ  
 ოქროს ფეხები სარეცლისა, პირთან ნუგბარი
- 605 სულ ახლოსა აქეთ, მაგრამ იქვე ფურია უწევთ  
 და უშლის ტანჯულთ, რომ ამ სუფრას ხელი შეახონ.  
 ჩირაღდანს ასწევს და საზარელ ყიფინას ატეხს.  
 ვის სიცოცხლეში სძულდა ძმები და თავის მამას  
 შეურაცხყოფდა, ვინც სიცრუით კლიენტს აცდენდა,
- 610 ვინც განძი ჰპოვა, თავისიანს არ უწილადა,  
 არამზადების ბრბო ასეთი, თუ გარყვნილების,  
 შემდეგ მოკლულნი, სამარცხენო ომში ჩაბმულნი,  
 ბილწნი, ორგულნი, ბატონების ფიცის გამტეხნი  
 ელიან სასჯელს დამწყვედეულნი. ნუ გსურს გაგება  
 მათი სასჯელის საშინელის და მათი ხვედრის.
- 615 ზოგი აგორებს ვეება ლოდს, ზოგი ბორბლებზე  
 არის გაკრული... აქვე რჩება სამარადისოდ  
 ბედკრული თეზეეს. ფლეგიასი საწყალობელი,  
 აჩრდილთა შორის მაღალი ხმით მარად მყვიანი:
- 620 „ჩემგან ისწავლეთ, ძრწოდეთ, ღმერთის უარმყოფელნი!“  
 მაგან გაჰყიდა სამშობლო და ძლიერი მტერი  
 შემოიყვანა. ფულზე ცვლიდა წმიდა კანონებს,  
 აკრძალულ ვნებით სარეცელი დაგმო ასულის.  
 ყველას ვერ ვიტყვი. ვინც ბოროტი საქმე გაბედა,  
 625 ასი რომ მებას ენა, ასი პირიც რომ მქონდეს  
 და ბგერა – რკინის. ბოროტების სრულად ჩამოთვლას  
 და მათ სასჯელთა სრულ აღნუსხვას როდი შეეძლებდი“.   
 სათქმელს რომ მორჩა, ასე ბრძანა ფებუსის მოგება:  
 „განაგრძე კელავ გზა, დაწყებული საქმე, ენეას,  
 630 უნდა დასრულდეს! კიკლოპების ქურებში მოჩანს  
 უკვე კედლები და ახლობელ თაღში – კარები,  
 რომელთაც უნდა დაეუტოვოთ აღთქმული ძღვენი“.   
 ბრძანა და განელეს კედლის გვერდით გზა ჩრდილოვანი,  
 ფრთხილი ნაბიჯით კარიბჭესაც მიუახლოვდნენ.
- 635 ზღურბლს როს მიადგა ენეასი. ცინცხალი წყალი  
 მყის შეისხურა და აღთქმული შტო დაამაგრა.  
 როს შეასრულეს ქალღეთაების თაყვანისცემა,  
 ნეტართა მხარეს მიაღწიეს, საამო მდელოს,  
 რომ გაშლილიყო სანეტარო საცხოვრისამდე.
- 640 უფრო ვრცელია აქ ეთერი, ველს შუქი უელის,  
 საკუთარია აქ მთიებნი და მზე ელვარე.  
 ზოგი ვარჯი შობს აყვავებულ მწვანე ბალახში,

- ზოგნი კი ყვითელ ასპარეზზე ეჯიბრებიან.  
 ნაწილი ფერხულს შედგომია ტკბილი სიმღერით.
- 645 იქ თრაკიელი მოგვი დგას და ტკბილად აუღერებს  
 შეიღლარიანსა თავის ღირას, ხან თითს ამოკრავს,  
 ხან კი სპილოს ძელის წკირით უკრავს საამო ჰანგებს.  
 აქ სუფევს მოდგმა ტვეკრუსისა, ქებული ტომი,  
 სულით ძლიერი ბელადები, კარგ დროს შობილნი.
- 650 ილუს, დარდანუს, ასარაკუს, ტროის ამგებნი,  
 გმირს გაუკვირდა, ცარიელი ეტლნი რომ ნახა,  
 შუბნი, მიწაში ჩარჭობილნი, ხოლო ცხენები  
 ბალახს რომ მოვდნენ არხეინად. რაც სიცოცხლის ჟამს  
 უყვარდათ ეტლი, იარაღი, იმდენად უფრო
- 655 მიწაში ჩაფლულთ ცხენთა მოვლა ეამებოდათ.  
 მარჯვნივ თუ მარცხნივ მოლზე მსხდომნი ვაჟკაცნი ნახა,  
 ესმა პეანი მხიარული დაფნის ჭალებში  
 მომღერალ გუნდის; ხოლო მთიდან მოჩხრიალებდა  
 ტვერში ნაკაჟი უხვწყლიანი ერიდანუსის.
- 660 აქ სამშობლოსთვის დაჭრილ გმირთა საეანე იყო  
 და სიცოცხლის ჟამს უბიწოთა, წმიდა ქურუმთა,  
 აქვე ფეხუსის ღირსეულნი მისანნი იყვნენ  
 და ვინც შეამკო ხელოვნებით ცხოვრება თვისი,  
 ვინც დაუტოვა ხალხს სიქველით კეთილი ხსოვნა.
- 665 მათ შუბლს უმშვენებს მშვენიერი თეთრი თავსაკრი.  
 გარს შემოკრებილთ ასე უთხრა მოგვმა სიბილამ, –  
 ჯერ კი მუზეუსს, აღმატებულს მძლავრი მხარბეჭით,  
 სხვები რომ რიღით შეკყურებდნენ ქვემოდან ზევით:  
 „ნეტართა სულნო, ღირსეულო მისანო, მამცნეთ
- 670 სად არის მხარე ანქიზუსი, მისთვის მოვედით  
 და გადავცურეთ ერებუსის დიადი წყლები“.  
 სახელოვანმა მუზეუსმა მოკლედ მოუჭრა:  
 „არ გვაქვს ადგილი მონიშნული, ჩვენ ტყეში ვსუფევთ.  
 სანაპიროზე, მდინარეთა მორწყულ ველებზე.
- 675 მაგრამ თუ თქვენს გულს მისი ნახვა მოსურვებია,  
 გარდავლეთ ქედი. დაგაყენებთ იოლ ბილიკზე“.  
 თქვა, წინ წაჰიდა და ზემოდან ნათელი ველი  
 ხელით აჩვენა. მყის დატოვეს სერი მალალი.  
 მამა ანქიზე ამ დროს მწვანე ველის სიღრმეში
- 680 შემწყვდეულ სულებს, ქვეყნის შუქის მიწვდომის მსურველთ  
 აკვირდებოდა და არჩევდა თავისიანებს,  
 ტკბილ და სანუკეარ შვილიშვილებს, ბედნიერ მყოფადს,  
 მამაცთა ხვედრს და მათი ხელით ჩადენილ საქმეთ.  
 როს დაინახა ენეასი, მის შესახვედრად
- 685 ველზე მოსული, ორივე ხელი მიაპყრო მისკენ.  
 დაწვებ ცრემლები ჩამოსდინდა, ბავიდან – სიტყვა:  
 „ბოლოს მოხვედი, სიყვარულმა შეგამღებინა  
 ძნელი გზის გავლა. კვლავ მეღირსა შენი დანახვა,  
 შეილო, ო, ვისმენ შენს სანატრულ და ნაცნობ ბგერას!
- 690 ასეც ეციოდი, მომავალზე ვფიქრობდი მუდამ,

დღეებს ვითვლიდი და იმედი არ გამიცრუვდა.  
რამდენი მიწის, ზღვის დამლახავს გიყურებ, შვილო,  
ო, რაოდენი გასაჭირი გამოგიცდია!

- 695 როგორ ვშიშობდი, როს იყავი ლიბიის მხარეს!"  
შვილმა მიუგო: „შენი, მამაე, მწუხარე სახე  
მეწვია ძილში და ამ მხარეს მოსვლა მიბრძანა.  
ტირენის ზღვაში მიღვას გემნი. მომეც მარჯვენა,  
და ჩემს მოხვეენას, მამაე, ნულარ განერიდები!“  
თქვა და სახეზე დაედინა ცრემლთა ნაკადი.
- 700 სამგზის ეცადა მოეხვია მამისთვის ხელი,  
სამგზის აჩრდილი გაუცურდა სწრაფად ხელიდან,  
მსუბუქი ქარის, ფრთაშესხმული ძილის სადარი.  
გაფურჩქენილიყო გაშლილ ველზე განმარტოებით  
მუქი ბუნქნარი მოშრიალე, ლეთევსის წყარო
- 705 ნეტართა მყუდრო სავანესთან მორაკრაკებდა.  
მოგროვილიყო უთვალავი ტომი და ხალხი,  
ფუტკრებსა ჰგავდნენ მინდორ-ველზე ნათელ ზაფხულში  
ყვავილზე მსხდომთა, ჩაკრობილთა სპეტაკ შროშანებს, –  
მათი ფუსფუსით გუგუნებდა ველი გაშლილი.
- 710 უცბად შეაკრთო ენეასი სანახაობამ:  
მდინარის გაღმა რა ხდებოა, იკითხა გმირმა.  
რა ხალხიაო, სანაპირო რომ დაუფარავთ?  
ანქიზემ უთხრა: „სულეებია, რომელთაც ბედი  
ახალ გვამს მისცემს; დღეს ლეთევსის ნაკადულებში
- 715 ეწაფებიან ანკარა წყალს, დროს რომ აეიწყებს.  
დიდიხანია მსურდა, შენ ეს დასი გენახა,  
შთამომავლობა რომ გამეცნო შენთვის. მით უფრო  
გაიხარებდი იტალიის ნაპირის ჰოვნით“.  
„მამაე! – მიმართა, – ნუთუ მართლა აქედან ცაზე
- 720 უნდა აფრინდეს ვისმე სული, რომ დაუბრუნდეს  
კვლავ ღუნე სხეულს? დღის სინათლეს რად ესწრაფვიან?“  
„გიაშობო, შვილო, გაგიფანტაე ეჭვებს უმაღვე“, –  
უთხრა ანქიზემ და მემკვიდრეს დაჯრით აუხსნა:  
„თავდაპირველად ცას და მიწას, თუ წყლიან ვაკეს,
- 725 მთვარის ელვარე გლობუსს, თუნდაც ტიტანის მნათობს,  
სული უდვას და ჩაღვრილი აქეს გონების ძალა,  
რაც ამოძრავებს სიდიადით, ტანთან შერთული.  
აქედან არის კაცთა მოდგმა, მხეცთა, ფრთოსანთა,  
გინა ურჩხულთა, მარმარილოს ზვირთებში მსრბოლთა.
- 730 თესლს ზეციური, ცეცხლოვანი ძალა თან ახლავს,  
თუ მას სხეული არ აწამებს ავისმორბედი  
და არ აჩლუნგებს მიწა მხერელი, მოკვდავთა გვამი.  
ამის შიში აქეთ, მწუხარებენ და უხარიათ,  
ცას არ ზედავენ ბრმა ჯურღმულში ჩაკეტილები.
- 735 ამიტომ, როცა მათ სიცოცხლის სინათლე ტოვებს,  
განილტვის არა ყველა ჭირი სხეულებრივი,  
არამედ იგი, რაც დიდიხნით მასთან შეზრდილა  
საოცარი გზით, კიდევ დიდხანს დარჩება სულში.

740 ამიტომ ძველი ბოროტების გამო სატანჯველს დიდხანს ითმენენ. უნაყოფო ქარში გაშლილან, ისე მიქრიან. ხოლო ზოგი მტანჯველი ცოდვის მოსაშორებლად ცეცხლზე იწვის და განსაბანად. როგორც მანები, ვითმენთ. შემდეგ ელიზიუმის გავლით ამ ნათელ ველ-მინდვრებში ცოტანი ვსუფევთ.

745 სანამდის ვრცელი დღე და დროის რკალი შეკრული არ მოაცილებს შეზრდილ ლაქას და სუფთა სახით ეთეროვან აზრს არ დატოვებს და ცეცხლსა მარტივს. ხოლო როდესაც დროის რკალი ათას წელს შეკრავს, მათ კვლავ ლეთევსის მდინარესთან მიიყვანს ღმერთი, რომ უხსოვარი კვლავ იხილონ ცის კაბადონი და მოისურვონ დაუბრუნდნენ მიწიერ სხეულთ“.

750 ასე წარმოთქვა ანკიზემ და შეილიც, სიბილაც პირდაპირ ბრბოსკენ წაიყვანა, ავიდა სერზე, რომ შემძლებოდა სიმაღლიდან ყველას ჩამოთვლა და გამოეცნო სახით ახლო მოსული სული:

755 „ისმინე, სახელს ვით მოიხვეჭს დარდანთა ტომი, რა შთამომავლებს ხამს ელოდე ტროის მოდგმისა, სცან წმიდა სულნი, სახელს ჩვენგან რომ მიიღებენ, მოკლედ გაუწყებ შენ მომავალ ზვედრს და საქმეებს. <...>

<...> თვალნი მოაპყარ, აქ შეხედე შენს რომაელებს!  
 პა, კეისარი, იულუსის მოდგმა დიადი.

790 მუდამ მზად მყოფი ცის თალის ქვეშ კვლავ გასასვლელად. აქარის იგი ასე ხშირად შენთვის ნაქები – ავგუსტუს ცეზარ, ღვთაების ძე, რომელიც ოქროს ხანას მოუტანს კვლავ ლაციუმს, სადაც მეფობდა თვით სატურნუსი, იხელმწიფებს გარამანტებზე.

795 ინდოელებზე. მათი მიწა მზის წელიწადულ გზის იქითა ძვეს. იქ ატლანტი ზეცის დამჭერი მხრით ამოძრავებს ღერძს, ელვარე ვარსკვლავთ საამოს. იმის მოსვლამდე უკვე ახლაც კასპიის მხარე და მეოტია თრთის ღვთაებრივ მისნობის გამო,

800 შიშით ცახცახებს ვრცელ ნილოსის შვიდი სათავე. თვით ალკიდევ კი არ გასულა ამდენ მხარეში, როცა განგმირა მარდი შველი, სპილენძისფეხა, ლერნა დააფრთხო, ტყე დააცხრო ერიმანთუსის. არცა აღვირით ეტლს მართავდა ასე ლიბერი,

805 მწვერვალებიდან ნიზას სასტიკ ვეფხის მღევარი. განა გვაჩვენებს სიმამაცის კვლავ განმტკიცება, ან შიში გვიშლის ავზონიის მხარეს რომ დავრჩეთ? <...>

850 <...> ცხოველი რკინა, დაე, სხვებმა გაჭედონ ხოლმე, მარმარილოდან გამოკვეთონ ცოცხალი სახე; ქმნან ხელოვნება, გამოსახონ ცის მოძრაობა, წკირით მოხაზონ და მნათობთა მოსვლა გვაუწყონ... შენ, რომაელო, გმართებს ხალხთა მართვა უფლებით,

ეს არის შენი ხელოვნება! – მშვიდობის დაცვა.  
ამაყთ დათრგუნენა და მორჩილთა მოწყალეობა!“ <...>

### წიგნი მერვე

- დროშა აღმართა ლავრენტუმის კოშკზე ტურნუსმა,  
ბრძოლის ნალარამ ხრინწიანი ხმა გამოიღო;  
ხელი მიჰმართა იარაღს და ალაგზნო ცხენნი,  
გულიც ატოკდა, ლაციუმში ფიცს დებს ჯანყისთვის,  
5 მძვინვარე მოყმეთ მღელვარებაჲმ დარია ხელი.  
ჯარს თავს უყრიან ყოველ მხრიდან პირველსარდალნი:  
მესაპუს, უფენს, მეზენციუს ღმერთთა მოძულე.  
გაუდაბურდა ველ-მინდვრები თვალუწვდენელი.  
დიომედესთან აგზავნიან კენულუსს, რათა  
10 შემწედ მოუხმოს და შემოსვლა აუწყოს ტეკერთა:  
ზღვით მოსულს თვისი პენატები მოუყვანია,  
თუ ბედმა მისცა. ენეასი მეფობას ჩემობს,  
მრავალი ხალხი შეუდგაო დარდანელ ეაქაცს.  
მთელს ლაციუმში გაერცელდაო სახელი მისი.  
15 რა განუზრახავს, ბრძოლის რა გზა უსურვებია,  
ბედს თუ ეწია. დიომედე ხომ ხედავს ამას  
მეფე ტურნუსზე და ლატინუს მეფეზე უკეთ.  
აი რა ხდება ლაციუმში. ლაომედონტელს  
ესეც სცოდნია. მოემატა გმირს საზრუნავი.  
20 სხარტი გონებით ხან ერთ გეგმას, ხან სხვას ირჩევდა  
და ყოველი მხრივ საფიქრალი აწონ-დაწონა.  
ეს იმას ჰგავდა, როს სპილენძის წყლიან თუნგებში  
აირეკლება შუქი მზისა, ნათელ მთვარისა  
და თინათინი ყოველ მხარეს მოეფინება.  
25 სახლის მაღალ ჭერს მიაღგება ციაგი სხვიის... <...>
- <...> მაღალი მთიდან კარგად ჩანდა, მთელი ლაშქარი  
605 რომ გაშლილიყო მინდორ-ველზე. მამა ენეასს,  
მტერთან საომრად შეყრილ მოყმეთ დრო მოუნახაეთ  
მაშვრალ სხეულზე საზრუნველად. ცხენთ მოსავლელად.  
იმხანად კენუსს პირმშენიერს ზეცის ღრუბლებში  
მღვენი მოჰქონდა, როცა თვისი პირმშო იხილა  
610 განმარტობით ველზე. ცივი მდინარის პირას,  
გამოეცხადა მყის ღმერთქალი და ასე უთხრა:  
„აჰა, აღთქმული საჩუქრები, ჩემი ქმრის ხელით  
ნახელოვნები! ნუ შედრკები, გამოიწვიე  
მძიმე ბრძოლაში ლავრენტელნი ან მძლე ტურნუსი“.  
615 თქვა კითერეამ, მოეხვია შვილს და მზრუნველად  
მისი ელვარე საჭურველი მუხის ქვეშ დადო.  
ქალღმერთის მღვენით და ასეთი დიდი პატივით  
გახარებულ გმირს არ შეეძლო თვალის მოწყვეტა  
მძლე საჭურველიდან. მყისვე დასწვდა გაოცებული  
620 ჯილიან ჩაჩქანს, მოელვარეს ცეცხლის ალივით,

ხმალს სისხლის მომტანს, სპილენძიან ჯავშანს სისხლისფერს,  
 ვით ლაჟვარდოვან ცაში ღრუბელს, მზით გასხივებულს,  
 მაღალ შორეთში მოელვარეს. ნახა მსუბუქი  
 საბარკულები ოქროყრილი, ელვარე შუბი,  
 625 ფარი, უცხო რამ სურათებით ამოძერწილი;  
 იტალთ მეფენი, რომაელთა გამარჯვებანი,  
 არც უმეცარმა მომავალთა საუკუნეთა  
 ცეცხლთამძლემ ფარზე გამოსახა, მოდგმაც მყოფადი  
 ასკანიუსის და ომების რიგი უწყვეტი:  
 630 მარსას მღვიმეში შობით მწოლი ძუ მგელიც ჩანდა,  
 მკერდზე მიჰკეროდა ორი ჩვილი და მის ძუძუებს  
 დათამაშებდა, თან უშიშრად ლოკავდა დედას.  
 მასაც კისერი დაუხრია და ეფერება,  
 ხან ერთს ულოკავს ტანს ალერსით, ხან კი მეორეს. <...>

<...> ადელეკებული ზღვის სურათი არის შუაში,  
 ცისფერი მკერდი რუხი ტალღით აქაფებია.  
 ვერცხლად მბზინავი დელფინები დათამაშებენ,  
 675 კუღს ახეთქებენ ზღვის ზედაპირს, ტალღებს აპობენ.  
 ზღვაში ხომალდნი დაუხატავს რვალით მორთულნი,  
 ომში ჩაბმული აკტიუმი, ლეკვატის კონცხი  
 და ზღვის ზვირთები ბობოქარი, ოქროცურვილი.  
 ბრძოლებში გააყავს იტალები აეგუსტუს ცეზარს  
 სენატით, ხალხით, ღმერთებით და პენატებითურთ.  
 680 შვებით ანთებულს მშობლიური ზეცა დაჰნათის.  
 იქით აგრიპას ზურგქარის და ღვთის დახმარებით  
 ბრძოლით ნაცადი ჯარი მოჰყავს, საფეთქლებს შვენიის  
 მოპოვებული ზღვადგვირგვინი ნისკარტიანი.  
 685 ველურთ ლაშქარი მოჰყოლია აქ ანტონიუსს  
 აღმოსავლეთში გამარჯვებულს მეწამულ ზღვასთან,  
 სხვადასხვა ტომი მოსდევს ლაშქრად ეგვიპტიდანაც,  
 შეუპოვარნი მეომარნი აღმოსავლეთის  
 და შორეული ბაქტრიისა... ვაი, სირცხვილო! –  
 690 ცოლიც მოჰყვება ეგვიპტელი... მისი გემები  
 სწრაფად გაქროლდნენ. ქაფიანი ზღვა ატორტმანდა  
 სამქიმიანი გემთა ჭვინტით, გეგონებოდა  
 ზღვაზე ცურავენ კიკლადები, ან მთა მთას მისდევს,  
 ისე დიდია გმირთა დასი გემის კიჩოზე.  
 695 ტყორცნიან ისრებს და ანთებულ მაშხალებს ხელით,  
 მკელელობის კვალი ნებტუნიას წითლად დააჩნდა.  
 რაზმებს ალაგზნებს დედოფალი მამის სისტრუმით,  
 ზურგს უკან ორ გველს ვეღარ ამჩნევს. ყველა ურჩხული  
 და ანუბისი ძაღლისთავა შეიარაღდა,  
 700 ვენუს, მინერვას, ნებტუნუსის სამტროდ, საცილოდ.  
 მძინეარებს მარსი აღჭურვილი რკინის ჯავშანში,  
 მჭმუნეარე დირებს აუესიათ ირგვლივ ჰაერი,  
 დაღის დაწეწილ მოსასხამში შუღლის ქალღმერთი,  
 მოსდევს ბელონა, სისხლიანი მათრაზის მქონე,

- 705 აპოლონ დასცქერს აკტიუმის ტაძრიდან ყოველს,  
მოზიდავს მშვილდსა. მისი შიშით უკუილტვიან  
ინდო-არაბნი, საბინელნი თუ ეგვიპტელნი.  
თვით დედოფალი მეგზურ ქარებს მოუხმობს თრთოლივით,  
აფრებს გაშლის და გრძელ ბაგირებს ბოლომდე უშვებს.  
აღსასრულის ჟამს ფერმიხდილი გამოუსახავს
- 710 ცეცხლთამძლეს იგი. ქარს და ტალღებს მოჰყვა სიკვდილი  
პირდაპირ მოჩანს ტანვეება, მჭვუნვარე ნილოს,  
მოსასხამის ქვეშ რომ მოუხმობს დამარცხებულებს,  
კლაკნილ ნაკადის ლაქვარდოვან წიაღში შთენილთ.  
სამმაგ ტრიუმფით კეისარი შემოდის რომში,
- 715 ალაკლენს უკვდავ ალექმას იტალთ ღმერთა წინაშე.  
სამას მშვენიერ, დიად ტაძარს აგებს ქალაქში,  
ქუჩა გაივსო შვებით, ტაშით, თამაშის ხმებით.  
ყველა ტაძარში – დედათ გუნდი, ყველგან – ბომონნი...  
ბომონთ წინაშე – ძირს გართხმული დაკლული ხარი...
- 720 თეთრი თოვლივით თეთრ ზღურბლზე ზის თვით კეისარი,  
ათვლიერებს ხალხის მოძღვნილ ძღვენს, წინ ილაგებს.  
მწკრივად გაივლის მის წინაშე ძლეული ხალხი.  
განსხვავებულნი იარაღით, სამოსით, ენით.  
ჩანს ნომადთ ტომი: აფრიკელნი ლამაზ სამოსით,
- 725 აქვე ლელეგნი, კარიელნი და გელონები,  
მშვიდი ევფრატი, მორინელნი, შორეთის მკვიდრნი.  
რენუსი ორი შენაკადით, მკაცრი დაჰები.  
შმაგი არაქსი, ხიდ-ბონდებით დაუთრგუნავი.  
გმირს ეულკანუსის მოხატული ფარი აოცებს.
- 730 მან როდი იცის, დედის ძღვენზე რაც ასახულა...  
ხატით ტყვექმნილი მხრებზე ისხამს შვილთა დიდებას.

### წიგნი მეათე

- <...> 760 აქეთ ვენუსი, იქით ზედავს ბრძოლას იუნო,  
ათასთა შორის ტიზიფონე დაძრწის ფერმკრთალი.  
აკერ შუბს იქნევს მეზენციუსს გულანთებული  
და შეიჭრება ბრძოლის ველზე, ვით ორიონი.  
ფეხით გაუდგა ორიონი ნერეკისს მორეკს,
- 765 ტალღა მხრებამდე ძლივს წვდებოდა: როცა მას მთიდან  
თელა მოჰქონდა ძველთაძველი, ფეხი ძირს ედგა,  
ხოლო თავი კი შეემალა ღრუბლის ფთილემში.  
სწორედ მას ჰგავდა ახოვნებით მეზენციუსი.  
მტრის შუაგულში ენეასმა შენიშნა იგი
- 770 და შესახვედრად გაეშურა. მტერს ძალგულოვანს  
მოქიშპეც შეხვდა გოლიათურ ძალის იმედით.  
შუბის სატყორცნად მან გაზომა თვალით მანძილი:  
„ჩემმა მარჯვენამ – ჩემმა ღმერთმა და შუბმა ჩემმა  
ძლევა მარგუნოს! შვილო ლავსუს, გპირდები ნადავლს –  
775 ენეასს მოეკლავ, ამ ავაზაკს ავხსნი საჭურველს  
და მის აბჯარში გამოგაწყობ!“ – თქვა და შორიდან

- 780 ესროლა შუბი მოზუზუნე, მაგრამ ოროლი  
 ფარმა იხსლიტა. ჰერკულესის მეგზურ ანტორეს  
 მოხვდა მკერდსა და მუცელს შუა. არგოსის მხრიდან  
 მოსულა იგი, ევანდერთან დასახლებულა.  
 ჭრილობა სხვისთვის განკუთვნილი მას ხვდა უბედურს,  
 ტკბილი არგოსი მოაგონდა აღსასრულის ეამს.  
 ოროლი სტყორცნა ენეასმაც, ფარი გააპო,  
 სამმაგი რვალით მოჭედილი, ხარის სამმაგ ტყავს,  
 785 ქსოვილს გასცილდა, საზარდულში ღრმად ჩაჭედილმა  
 ძალაც დაკარგა. გაიხარა ენეას – გმირმა,  
 ტირენელს სისხლი რომ შენიშნა, იშიშვლა ხმალი,  
 ფიცხლად გასდია დაჭრილსა და აცახცახებულს.  
 როგორც კი ნახა ეს ლავსუსმა, კენესა აღმოხდა,  
 790 ცრემლი მოადგა მამის ბედზე გულშეშფოთებულს.  
 მე საშინელი იმ სიკვდილის ამბავსაც ვიტყვი.  
 შენს სიგულვანეს არ დავმალავ. ძველმა დროებამ  
 შემოგვინახა შენი საქმე, ხამს მოგიგონოთ!  
 მეზენციუსი მიილტვოდა, თან მიჰყვებოდა  
 795 მის ფარს მტრის შუბი წახდენილი. ამ დროს ყმაწვილი  
 ანაზდელუად გამოეარდა, ხელთ ეპყრა ხრმალი,  
 სათნო ენეასს ხმალ შემართულს წინ გადაუდგა  
 და შეაჩერა მისი დარტყმა. ამხანაგები  
 შემოეშველნენ მას ყიჟინით, იმ დროს, როდესაც  
 800 მამა გასცილდა შვილის ფარით მტრისგან დაცული.  
 ისრებით ტყორცნით დააყოვნეს შორიდან მტერი.  
 აღშფოთებული ენეასი ფარს იფარებდა.  
 ეს იმას ჰგავდა, ღრუბელი რომ მოიქუფრება  
 და ჩამოსკდება დაფანტული სეტყვის მარცვლებად,  
 805 ყანიდან გარბის მიწისმუშა, მოგზაური კი  
 ეძებს შესაფარს კლდის თაღებქვეშ, მდინარის პირას,  
 გამოდარების შემდეგ რომ კვლავ საქმეს მიხედოს.  
 ასევე დახვდა ენეასი ისრების სეტყვას.  
 იციღდა, სანამ დაცხრებოდა ომის ტაროსი.  
 810 ბოლოს იქუხა და მუქარით მიმართა ლავსუსს:  
 „სიკვილის რად ეძებ? რაც შენს ძალას აღემატება,  
 რად ელტვი? მამის ნაზ სიყვარულს შეუცდენიხარ!“  
 ყრმა მასზე ნაკლებ როდი იყო გახელებული.  
 დარღანელ ბელადს მოთმინება უკვე აევსო,  
 815 პარკები ქსოვდნენ ლავსუსისთვის ძაფს უკანასკნელს:  
 უკვე ჩააჭდო ენეასმა მძლავრი მახვილი  
 სხეულში, გაჭრა მჩატე ფარი, დედისმიერი  
 ნაზი ტუნიკა, მოქსოვილი ოქროს ძაფისგან.  
 სისხლმა აავსო მოყმის მკერდი. სიცოცხლე სევდით  
 820 გასცილდა სხეულს და გაფრინდა სულთა საკანეს.  
 როს მომაკვდავის სახე ნახა ანქიზეს წულმა,  
 მისი ნაკვთები, ასე უცბად ფერდაკარგული.  
 ამოიოხრა სიბრალულით, ხელი აშველა  
 და მამაშვილურ სიყვარულის ძალას დანებდა.



- 825 „ყრმავე, სიბრაღულის ღირსო, შენი სიმტკიცის ფასი  
რა უნდა მოგცეს ენეასმა? შეგრჩეს ფარ-ხმალი,  
რითაც ხარობდი. მიგაბარებ მკვდართა აჩრდილებს,  
ფერფლს წინაპართა, თუკი რამეს ნიშნავს ეს ზრუნვა...  
ბედკრულო, სიკვდილს მართო ის თუ შეგიმსუბუქებს,  
რომ დაგცა მხოლოდ ენეასის მძღაერმა მარჯვენამ!“  
830 მოუხმო მოყმის ამხანაგებს, თვითონ ასწია,  
გაშლილი თმები ყმაწვილს სისხლით შეწებებოდა.
- მამა კი ამ დროს მდინარესთან წყლით იშუშებდა  
იარას, სხეულს იმაგრებდა კუნძზე დამჯდარი.  
835 ხის ტოტზე ჰქონდა მუზარადი, ველზე – ფარ-ხმალი.  
გარს ეხვეოდნენ მეომრები, დასუსტებული  
მძიმედ სუნთქავდა, მაშერალი და ქედღადრეკილი.  
მკერდზე ეფინა გრძელი წვერი, ხშირ-ხშირად ღავსუსს  
840 მოიკითხავდა, აგზავნიდა მალ-მალე მაცნეთ,  
რომ მოეყვანათ დამწუზრებულ მამის ბრძანებით.  
მოგვარეს მამას მოქეთთინე ამხანაგებმა  
საზარ ჭრილობით განგმირული შეილის სხეული.  
გული უთქვამდა ცუდს და გლოვაც შორიდან იცნო,  
ჭადარა თმებზე მიიყარა მიწა და მტკერი,  
845 ცას შეჰღაღადა და მოსხლტით დაეცა ცხედარს.  
„ნუთუ სიცოცხლე ისე მსურდა, რომ ჩემი პირმშო  
მტერს ხელთ ჩაუგვდე ჩემს მაგიერად? განა მიშველა  
შენმა ჭრილობამ და სიკვდილმა მაცოცხლა შენმა?!”  
ვაი ჩემს თავსა! ახლა ვიგრძენ დევნილის ხედერი,  
850 ახლა გავიგე საშინელი ჭრილობის ძალაც!  
მე ჩირქი მოეცხე, შვილო, ჩემო, შენს ალალ სახელს,  
ყველას შეეძულდი სამშოლოდან გაძევებული,  
პასუხი უნდა მეგო ჩემი ტომის წინაშე  
და სიკვდილისთვის დამნაშავე სული დამეთმო!  
855 მე კი არ ვტოვებ სიცოცხლეს და სინათლეს ღლისას!  
ო, არა, დავთმობ!“ – თქვა, წამოდგა, თუმც ხელს უშლიდა  
მწვავე ჭრილობა, ეყო სიმხნე, ცხენი ითხოვა,  
მუდამ ღიღებას და სიხარულს იხვეჭდა ხოლმე  
და იმარჯვებდა ამ მერანზე ამხედრებული.  
860 მჭვუნვარე რაში გაამხნევა ასეთი სიტყვით:  
„რებუს, თუ რამეს მოკვდავთათვის ნიშნავს დრო-ჟამი,  
ჩვენ ქვეყნად ბევრი გვიცხოვრია, გამარჯვებული  
აწ წამოიღებ ენეასის თავს და სისხლიან  
საჭურველს მისას, ღავსუსისთვის შურისმგებელი,  
865 ან თუ ვერ გაჭრის ჩვენი ღონე, ჩემთან მოკვდები,  
რადგან, ფეხმარლო, ვერ გაუძლებ ტეკერთა მონობას!“  
ასე თქვა, ქედზე ხელი ჰკიდა, ზედ შემოეველო  
ნაცადი გმირი, ორთავე ხელში იპყრა შუბები,  
ზუჩი ელავედა სპილენძისა, ჯიდა უთრთოდა  
870 რაშის ფაფრისგან გაწყობილი. მტერს შეერია.  
გულში სირცხვილი, სიგიჟე და სევდა უღუღდა.

- სიყვარულს ბოლმა ამძაფრებდა, გმირობის რწმენა.  
სამგზის ხმაძალიე შემოსძახა გმირმა ენეასს.  
იმანაც იცნო და ხალისით გაუქასუხა:
- 875 „ნეტაე მოგიხმონ აპოლონმა და ღმერთთა მამამ  
ხელჩართულ ომში!“  
ეს თქვა და შუბი მოუღერა. მან კი მიუგო:  
„უსასტკესო, რითღა გინდა, რომ შემაშინო  
მას შემდეგ, შვილი რაც მომტაცე? ჩემი მოსპობა
- 880 ამით შეგეძლო! არც დალუპვის, არც ღვთის შიში მაქვს,  
სიკედლის თვით ვეძებ! ხმა გაკმინდე! ჯერ ეს მიიღე  
ჩემგან სანუქრად!“ ესა თქვა და ოროლი სტყორცნა,  
კიდევ და კიდევ, მაგრამ ფარის ოქროს სიმრგვალებ  
ყველა უვნებლად აისხლიტა. მეზენციუსმა
- 885 მტერს მოუარა სამგზის მარცხნივ, ისრებს ტყორცნიდა.  
ტროელი გმირი ისრების ტყეს, რვალზე ამოსულს,  
გარშემო მარჯვედ იფარებდა. უკვე მობეზრდა  
ფარიდან ისართ ამოგლეჯა, დროის დაკარგვა,  
ტირენ მხედართან ორთაბრძოლა უთანასწორო.
- 890 დიდხანს ეძებდა გამოსაყალს; ცხენს სტყორცნა შუბი,  
შუა გაუპო საფეთქლები მეომარ მერანს.  
წამოიძართა ყალყზე, ფლოქეთით გაჭრა ქაერი,  
ძირს დაენარცხა, თან მხედარი გადმოიყოლა.  
თაეი დააყრდნო დაჭრილის მხარს. ზეცას შვერთო
- 895 ტროელების და ლათინების მძლავრი ყიჟინა.  
ხმალშემართული ენეასი ფიცხლად მიეჭრა:  
„სად არის შმაგი მეზენციუს, სადღაა ძალა  
ველურ სულისა?“ – ტირენელმა ზეცას ახედა,  
მძიმედ ქაერი შეისუნთქა და გონს მოეგო.
- 900 „უწყალო მტერო, კელავ სიკედლით რად მემუქრები?  
იგი არ არის უღვთობა? განა იმედი  
მქონდა სხვა რამის, ჩემმა ძემაც განა ეს გთხოვა?  
მხოლოდ თუ ძლეულს თანაგრძნობა ერგება შენგან,  
ნება მიეცი, რომ დამმარხონ: გარს მახვევია
- 905 ჩემიანების სიძულელილი... ო, განმაშორე  
რისხვა, გამხადე მოზიარე შვილის სამარის!..“  
თქვა და მყის იგრძნო ყელში დარტყმა, ელოდა კიდევ,  
სიცოცხლე ხმალზე აშხეფებულ სისხლს გააყოლა... <-->

#### წიგნი მეთორმეტე

- <--> რა ყური მოკრა ენეასმა ტურნუსის სახელს,  
მყის დათმო ციხე-ქალაქი და მტრის ქონგურები.  
არად ჩააგდო არა საქმე და საზრუნავი,
- 700 ხალისით მოქრის, აჟღარუნებს საზარ იარაღს,  
ერიქსი იყოს თითქოს მძლავრი, ანდა ათონი,  
ანდა თეთრშუბლა და ამაყი, მაღალხმოვანი,  
ცად აზიდული აპენინუს სახელგანთქმული.  
მყის რუტულებმა, ტროელებმა და იტალებმა

- 705 თვალნი მიაპყრეს: მათაც, ვინც კი მალალ კოშკიდან ქალაქს იცავდა, ან ვინც ველზე იბრძოდა მედგრად. მოიხსნეს ხმლები, თვით ლატინუს მეფეც გაოცდა, როს ნახა დასი სულ სხვადასხვა ქვეყნის მკვიდრ გმირთა, დავის გადაჭრას ერთ ერთზე ბრძოლით რომ ცდიდა.
- 710 სხვა მეომრები თავისუფალ ველზე გავიდნენ. უკვე შორიდან მოუღერეს შუბი ერთმანეთს, მარსის აღმძვრელნი მძიმე ფარებს აჟღერებდნენ. აკენესდა მიწა, იყო მძლავრი ჩეხვა მახვილით, ერთურთს შეერწყა გმირობა და შემთხვევითობა.
- 715 როგორც სილაში, ტაბურნუსის სერზე შემდგარნი იბრძვიან ხარნი, ფართო შუბლნი მიუშვერიათ, შეძრწუნებულნი შორდებიან მებრძოლთ მწყემსები, უხმოდ დგას ჯოგი, არ იციან დეკეულებმა, თუ ვინ იქნება მეთაური, ტყეთა მეუფე,
- 720 მძვინვარე ძალით მორკინალნი ერთურთს ებრძვიან, რქებს მიაბჯენენ, უხვი სისხლით ირწყვებენ კისერს და რქებს გაღესილს, ჭალას ავსებენ მათი ღმუილი. ასე ტროელი და რუტულთა მძვინვარე გმირი ფარს აჯახებდნენ, რკინის ზარი კვეთავდა ჰაერს.
- 725 იუპიტერმა გაასწორა სასწორი მაშინ და ფიალებზე მორკინალთა წილხვედრი დასდო, გასინჯა, ომში ვისი ბედი გადაწონიდა. ჯიქურ მიეჭრა ტურნუსი და მთელი სხეულით მხნედ ამართულმა მოიქნია მძიმე მახვილი,
- 730 გმინვა აღმოხდა ტროელებს და რუტულებს შიშით, თვალნი მიაპყრეს, მაგრამ გატყდა ანაზღად ხმალი, სახტად დატოვა შემართული მოიერიშე. იმედი დარჩა მხოლოდ ლტოლვის, ევრუსზე სწრაფად განიელტო, ოღეს უძლურ ხელში შემორჩა ვადა.
- 735 ამბობენ, როცა ისწრაფოდა ამხედრებული, დაავიწყდაო მას მშობელი დავნუსის რკინა და სიჩქარეში მეტისკუსის ხმალი აიღო. ოტებულ ტეკერთა წინააღმდეგ ბევრჯერ წაადგა, მაგრამ როგორც კი ვულკანუსის საჭურველს მოხვდა,
- 740 მყის ყინულივით გადაემსხვრა სუსტი მახვილი, მხოლოდ ქვიშაზე ელვარებდა ნატეხი მისი. შმაგი ტურნუსი მეყსეულად გაიქცა მაშინ, უსწორმასწორო წრეზე მსრბოლი აქეთ და იქით. მას ორი მხრიდან ზღუდედ ედგნენ ტეკერთა რაზმები, აქეთ – ჭაობი, ხოლო სხვა მხრით – კედლები ციხის. მიჰყვა ენეას, თუმც უშლიდა შმაგი ისარი, მუხლი უთრთოდა, ვეღარ სდევდა კვლავინდებურად, მაინც ფეხდაფეხ გაჰყვა, კვალში კვალი ჩაუდგა, ასე შეელს მისდევს მდინარესთან ხოლმე მწვევარი, მეწამული და მოცახცახე ფრთებით შიშნულს, მყეფარ მწვევართ თავგზას უბნევს ცბიერი მტერი...

- 755 მაშინ რომ მახეს და მდინარეს თავი არიდოს,  
გამოცდის ათას გზას და ბილიც, მაგრამ უმბრელი,  
საცაა თითქმის დაეწევა და თითქოს უკვე  
ხელთ ჩაიგდო, ყბას ამაოდ დაატკაცუნებს...
- 760 ენით უთქმელი ჟრამული ისმოდა ირგვლივ,  
მებრძოლთ ყივინა, მთელი ზეცა აფორიაქდა.  
იგი გარბოდა, თან რუტულებს მოუწოდებდა –  
ყველას – სახელით, ხმლის მოტანას ევედრებოდა.  
მაგრამ ენეას ახლოს მომსვლელს მკაცრი სიკვდილით  
ემუქრებოდა, აშინებდა შემერთალ მეომრებს.  
ციხის დანგრევას უქადოდა, კვლავ მტერს მისდევდა.  
ხუთი წრე განვლეს, კვლავ იმდენიც შემოირბინეს.  
განა გმირები ერთურთს ჯილდოს ეცილებოდნენ?  
765 სიკვდილ-სიცოცხლის საქმეს წყვეტდნენ მოყმე ტურნუსის.
- 770 ფაენუსის წმიდა ზეთისხილი მწარე ფოთლებით  
აქ იდგა წინათ, მეზღვაურთა ხე სათაყვანო.  
თუ ზღვის ქარიშხალს ასცდებოდნენ, ზედ აჭედებდნენ  
ლაკრენტუმელთა ღმერთებისთვის მიძღვნილ საჩუქრებს.  
ტროელთ არა სცეს ამ წმიდა ხეს სულაც პატივი,  
გადაჭრეს იგი, ომში ხელი რომ არ შეშლოდათ.  
სწორედ იქამდე მიფრინდა და გაჩერდა შუბი  
ენეასისა, ფესვში ჩარჩა ღრმად ჩაჭედილი.  
775 დააწეა გმირი, ხელით სწადდა რკინის აგლეჯა,  
ოროლით სცადა დასწეოდა, თუ მტერს სირბილით  
ვერ მიწვდებოდა, მყის რუტულმა შიშით აღვისილმა:  
„ფაენუს! გენუკვი, წმიდა მიწავ, – წამოიძახა, –  
მიხსენ, მტრის შუბი შეაჩერე, მე პატივს გცემდი,  
ხოლო ტეკერებმა ომით დასცეს საკურთხეველნი!“  
780 მღაღადებულმა ღმერთს მოუხმო მზურვალე ლოცვით.  
ბერი შრომა, მაგრამ შუბი ხის მოხვევისგან  
დაკავებული ვერ მოგლიჯა გმირმა ძლიერმა.
- 785 სანამდის იგი შუბს ამაოდ ეჭიდებოდა,  
მეეტლის სახით იუტურნა, დავნუსის ქალი.  
მოიჭრა და ძმას დარჩენილი მახვილი მისცა.  
ვენუსმა ნიმფას თავხედობად ეს ჩაუთვალა,  
თვითონ მივიდა, ააგლიჯა ფესვიდან შუბი.  
იარაღასხმულთ სიმამაცე კვლავ შეემატათ,  
ერთს ხმლის იმედი ჰქონდა, ხოლო მეორეს შუბის.  
790 პირისპირ იდგნენ მარსის შუღლით აღგზნებულები.
- 795 ამ დროს მიმართა მძლე იუნოს ოლიმპოს მეფემ,  
როს ღრუბლებიდან გადახედა ბრძოლის ასპარეზს:  
„სადღაა ბოლო, ჩემო ცოლო, აწ რაღა დარჩა?  
ხომ ვერ უარყოფ, რომ ღმერთია ამ ადგილისა  
სათნო ენეას, ცით ცათამდე უნდა ამაღლდეს!  
რა განვიზრახავს, ცივ ღრუბლებში რად იყინები?

- განა მოკვდავმა უნდა დაჭრას ღმერთი უკვდავი?  
 უშენოდ ხომ ვერ გაბედავდა მაშ იუტურნა,  
 რომ დამარცხებულს დაუბრუნა ძალა და ხმალი?
- 800 ბოლოს და ბოლოს დაჰყევ, ცოლო, ჩემს ნება-სურვილს,  
 ნუ დაგრგლნის სევდა დაღუშებულს, ამიერიდან  
 კმარა, არ ვნახო აბეზარი თხოვნა-ვედრება!  
 ბოლომდე მიდის საქმე უკვე, ზღვაზე, მიწაზე,  
 სძლიე დარდანნი, გააჩაღე ბრძოლა ულევო.
- 805 ქორწილი ცრემლებს შეურიე – ლათინთა სახლში,  
 კმარა, გიკრძალავ!“ ამ სიტყვებზე მორჩილი სახით  
 მეუფეს უთხრა სატრუნიამ, ტურფა ქალღმერთმა:  
 „ღმერთო დიადო! მე ხომ ვიცი სურვილი შენი,  
 ჩემ უნებურად მისთვის ვტოვებ მიწას და ტურნუსს,
- 810 თორემ მართო არც ვიქნებოდი ცის სასახლეში,  
 ავის და კარგის მოსათმენად ლაშქრად მნახავდი.  
 აღმოდებული ვიქნებოდი ტევეკრთ დასანთქმელად.  
 მე ჩავაგონე იუტურნას, რომ ძმას უბედურს  
 დახმარებოდა და ყოველი მიეცედი ნება,
- 815 გარდა გაჭიმულ მძლე მშვილდიდან ისრის სროლისა.  
 სტიქსის ნაკადი უღმობელი დამემოწმება, –  
 უკვდავ ღმერთების ერთადერთი დასაფიცარი.  
 ყველაფერს დაეთმობ, სევდიანი დავეტოვებ ბრძოლას,  
 მხოლოდ ერთსა გთხოვ, ბედისწერის გარდუვალ საქმეს.
- 820 გაფიცებ წმიდა ლაციუმს და ჩვენს მოდემას დიადს:  
 ჰქონდეთ კავშირი, ქორწინება სეკბედნიერი,  
 მაგრამ ერთურთში აღირიოს ადათ-წესები,  
 ადგილობრივნი თვის ძველ სახელს ნუ დაკარგავენ.  
 ნუ აიძულებ ტროელებად ჩათვალონ თავი,
- 825 ენა დაკარგონ, მშობლიური სამოსი დათმონ.  
 აღბელთ სამეფო, ლაციუმი მარადჟამს იყოს,  
 იტალთა სიმხნემ რომაელთა მოდგმა ამრავლოს.  
 ტროთა გამქრალა, მაშ სახელიც განქარდეს ტროის!“  
 ღიმილით უთხრა საგანთა და კაცთა შემქმნელმა:
- 830 „იუპიტერის დაო, შეილო სატურნუსისა,  
 რისხვის მორევი ახლაც გულში გიდულს, ქალღმერთო!  
 მაგრამ დაიცხრე მძვინვარება, მეუღლე ჩემო,  
 სიამოვნებით გითმობ მძლეველს, აგისდენ წადილს.  
 ავზონნი ენას და ძველ ადათს არ დაკარგავენ,
- 835 არცა თუ სახელს, მხოლოდ სისხლი მათ შეერევათ,  
 ტევეკრნი იტალებს შემატებენ ღვთისმსახურებას.  
 ერთგვაროვანნი იქნებიან მარად ლათინნი.  
 ავზონთ შერეულ სისხლისაგან გაჩენილ მოდემას  
 ჰპოვებ კაცთა და უკვდავებზე უსათნოესად,
- 840 ვერ ნახავ ხალხს, რომ მათზე მეტად შენ განგადიდოს!“  
 მყისვე ხალისით მძლე იუნომ შეცვალა აზრი,  
 ზეცით დაეშვა, დათმო უმაღ ღრუბელი მრუმე.  
 ამ დროს კი გულში სხვას ფიქრობდა იუპიტერი:  
 სურდა ბრძოლიდან იუტურნა გამოეყვანა.

- 845 ამბობენ, არის საზარელი ორი ფურია,  
პირქუშმა ღამემ მეგერასთან ერთად რომ შობა,  
შემდეგ შეუშკო საზარელი გველის გრაგნილით  
სამივეს თავი, მყის მფრინავი ფრთებიც მოაბა.  
იუპიტერის ტახტთან, მძლავრი მეუფის ზღურბლთან
- 850 გამოჩნდებიან. ენება მოაქვთ ბედშავ კაცთათვის,  
უკვდავთ მეუფეს თუ ჭირი და იავარყოფა  
სურს მოუვლინოს, ან დასაჯოს ლაშქრით ქალაქნი.  
მაღლა ზეციდან წარმოგზავნა იუპიტერმა  
მათ შორის ერთი რისხვის ნიშნად იუტურნასთან.
- 855 მიწისკენ სწრაფად გამოქანდა, ვით ქარიშხალი,  
თითქოს ცით რკინა გადატყეცილ მკშილდს მოსხლეტილი,  
შხამით პოხილი, სასიკვდილო, ჰართელმა მძლავრმა,  
გინა კიღონმა მძვინვარებით მტერს გასტყორცნაო,  
სტვენით განვლოო უჩინარი, მრუმე ღრუბლები...
- 860 ასე მოქროდა მიწისაკენ ღამით შობილიც.  
როს ნახა რაზმი ტურნუსის და ილიონისა,  
მყის მცირე ჩიტად გადაიქცა ავი ქალღმერთი,  
მაღალ ბორცვებზე და უდაბურ კლდეებზე ხშირად  
რომ ჩამოჯდება და უმღერის წყვედიადს ღამისას.
- 865 ასეთი სახით ზედ ტურნუსის წინ გაიქროლა,  
ფრთების ფართხუნით ფარს შეეხო ზიზღის მომგვრელი.  
გმირს უცაბედმა უძღურებამ სახსრები დახსნა.  
თმა ყალყზე ადგა, შიმშა მყისეუ ხმა ჩაუწყვიტა.  
შორითვე იცნო საზიზღარი სტვენით და ფრთებით,
- 870 თმები იხოკა უბედურმა დამ იუტურნამ,  
ღაწვები ფრჩხილით დაისერა და მკერდი ნაზი.  
„უაიშე, რა ექნა, რით გიშველო, ტურნუს, ო, ძმაო!  
რა დამრჩენია, რაღა ხერხით მე შენს სიცოცხლეს  
კვლავ გაავარძელებ? განა ამ მხეტს წინ აღუდგები?  
875 არა, ომს ეტოვებ... ნუ მაშინებთ, ო, ნუ მაშინებთ!  
მესმის საზარი ფრინველების ფრთების ტკაცუნნი  
და ხმა სამარის... ვგრძნობ ბრძანებას იუპიტერის:  
აი, რა მომცა ქალწულობის სანაცვლოდ ღმერთმა!  
განა რად მინდა უკვდავება, რისთვის წამართვეს  
880 აღამიანთა მძიმე ხვედრი? დარდს ხომ ჩაკვლავლი  
და წავეყვბოდი არჩდილებთან ჩემს ძმას უბედურს!  
მე განა რამე მუამება უშენოდ, ძმაო,  
თუნდ უკვდავება? ო, რაოდენ ღრმა მღვიმე უნდა  
გადაიშალოს, რომ მანებთან გაჩნდეს ქალღმერთი!“  
885 თქვა და ზეწარი ვადიფარა ლაქვარდოვანი,  
მაღლიე გოლებდა. ღრმა ნაკადში გაქრა ქალღმერთი.

მტერს შეეგება ენეასი ელვარე შუბით.  
მძვინვარე მკერდმა ამოხეთქა ხმა ბობოქარი:  
„რაღა გაბრკოლებს, სადღა უნდა გამექცე ახლა?  
არა სირბილით, იარაღით ხამს შევარკინოთ.

- მაგრამ, თუ გინდა, შენებურად გაექეც სიკვდილს,  
მფრთხალი სული და ოსტატობა როგორც გავწვდება,  
ზეცად გაფრინდი, ან ჩაეშვი ქვეშეთის მღვიმეს!“
- 895 „არ მაშინებსო შენი სიტყვა, – მიუგო მტერმა, –  
ღმერთნი მაკრთობენ და განდგომა იუპიტერის!“  
ეს თქვა თუ არა, თვალი ჰკიდა გმირმა დიდ ლოდსა,  
ლოდს ძველთაძველსა, შემთხვევითსა, ველზე დაგდებულს,  
ყანის სასაზღვროს, მინდვრის შუღლის გამაყურებელს.  
ორჯერ ექვს ვაჟკაცს, რომელსაც დღეს შობს მიწა ჩენი,
- 900 ძლივს თუ შეეძლო თუნდაც დაძვრა ამ მძიმე ლოდის.  
ის კი ხელით წვდა, დაუმიზნა მამაც ენეასს,  
მაღლა ეჭირა და სირბილით აღიგზნო გმირი,  
მაგრამ ველარ ცნო თავი თვისი ვერცე შემტევად.  
ვერცა ლტოლვილად. აღმართული ქვა როს მიჰქონდა,
- 905 მუხლნი უთრთოდა, შიშით სისხლი შედედდა თითქოს  
და ლოდმაც, მისგან გატყორცნილმა მაღლა ჰაერში.  
ვერ გაჭრა სივრცე და დარტყმისგან ხმა არ გაიღო.  
ძილში, როდესაც დადლილ თვალებს ცივი სიმშვიდე  
დახუჭავს ღამით, ხშირად გეინდა ხოლმე გაქცევა,
- 910 ამაოდ ვცდილობთ და შემდეგ კი ანაზღაურად  
ვეცემით, მაშინ არც ენა გვაქვს, არც ძალა გვეოფნის,  
და მისუსტებულთ აღარ გვეძერის სიტყვა ხორხიდან.  
ასე ტურნუსმაც, რა არ სცადა გამარჯვებისთვის,  
მაგრამ ფურია ხელს უშლიდა. გულში აღიძრა
- 915 ათასი აზრი. კვლავ შეხედა ქალაქს, რუტულებს,  
შუბი იხილა შემართული, შიშმა შეიპყრო,  
ვით გაქცეოდა მტერს, ან როგორ შებრძოლებოდა?..  
არც ეტლი ჩანდა, არც შეეტლე – და იუტურნა.  
მხოლოდ ენეასს შეეძართა შუბი ბედითი!
- 920 თვალით მოზომა წამი, ტანით წამოიწია,  
შორიდან სტყორცნა, მძლე შურდულით ნასროლი ლოდო  
ასე როდი სტვენს, არცა მეხი გამოსცემს ცაში  
ქუხილს ამის დარს, მიჰქრის როგორც შავი გრიგალი  
შუბი, მომტანი სიკვდილისა. გაფლითა ფარფლი
- 925 სამმაგი ჯაე შნის, შეიდფენოვან ფარს გაუარა,  
სტვენით ჩაეჭლო ვაჟკაცს ფერდში, მოშლით დაეცა  
გმირი ტურნუსი განგმირული, მუხლმოდრეკილი.  
რუტულებს კვენესა აღმოხდათ და ერთბაშაჟ მთელი  
მთა ახმაურდა, მაღალ ჭალებს გადაწვდა ოხვრა.
- 930 იგი მორჩილად შეევედრა თვალაპყრობილი:  
„დავიმსახურე, ვაღიარებ... ბედს არ ვემდური...  
იხარე... მაგრამ თუ მოგილობს გულს მოხუც მამის  
უბედურება, – შენც ხომ გყავდა მოხუცი მამა, –  
გნუკე, სიბერე შეიბრაღე, გმირო, დაენუსის!
- 935 ან მე, ან გვამი, მოწყვეტილი საქვეყნო ნათელს,  
დაუთმე... მძლიე, აეზონებმა იხილეს ტურნუს  
ხელეგანართხმული... ლაეინია გერგო ქალწული  
უარეს ნუ იქმს!“ ზედ ხმლით ადგა გმირი ენეას,

- 940 თვალით გაზომა და მარჯვენა დააცხრო წამით, უფრო და უფრო შეებრაღა. საწყალობელმა სიტყვამ მოაღბო, მაგრამ უცბად ტანზე შენიშნა ქამარი. თვალწინ ელვარებდა ნაცნობი ბალთა ჭაბუკ პალანტის, ის ხომ მოკლა მძებნივარე დარტყმით ტურნუსმა და მყის საჭურველი ახადა მძიმე!..
- 945 როს დარდანელმა დარდის ნიშანს დიდხანს უყურა, ფურიამ გული აუფეთქა საშინელ რისხვით, შესძახა: „როგორ! ჩემს ბექთარში მყოფი გავიშვა? არა! პალანტი, ამ ჭრილობით გლუპავს პალანტი და შურს იძიებს, დამნაშავეს სისხლსაც აიღებს!“
- 950 ეს თქვა თუ არა, მკერდში ჩასცა გმირმა მახვილი. გაისმა კენესა, დაეშალა სიცივით ძელები, გაფრინდა სული აჩრდილებთან გაოგნებული...

კომენტარები

წიგნი პირველი

1. „ენეიდას“ წინ უძღვის ოთხი ტაქტი, რომელთა ავტორ-კუთვნილების საკითხი არ არის ვარჯ-ვეული. ფიქრობენ, რომ ისინი ვერგილიუსს არ უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა ზოგ გამოცემაში ეს ტა-ქტი განსხვავებული შრიფტით მაინც შეაქვთ ძირითად ტექსტში. ამ ტაქტიებში ლაპარაკი უნდა იყოს ვერგილიუსის ადრინდელ ნაწარმოებებზე („ბუკოლიკებზე“ და „გეორგიკაზე“) და ამიგომაჟ ეს ამკა-რა ინტერპოლატაჟი ყურადღებით სარგებლობს გამომცემელთა შორის. აქვე გადმოგცემთ ამ ტაქტიების თარგმანს:

ოდესღაც ნარნარ საღამურზე სიმღერა მითქვამს.  
 ჭალა და გვერი, მუშობელი მინდორ-ველები  
 მიწისმოქმედის ხარბ მარჯვენას დაეუმორჩილე  
 ამო პანგებით. დღეს კი მარსის სასტიკ ხმებს ევალბო!

ეს სტრიქონები ვერგილიუსს რომე ეკუთვნოდეს, დაუჯერებელია ამით იწყებოდეს „ენეიდა“. საგ-მირი ეპოსში კომპროსის დროიდანვე დამკვიდრებული იყო პოემის დაწყება მუშისადმი მიმართვით და არა პოეტის ძველ დამსახურებამე ლაპარაკით. „ილიადა“, მაგალითად, ასე იწყება: Μῆνιν ἄειδε, θεέ, Πηληϊάδεω Ἀχιλῆϊ... („რისხვა მიმღერე, ღმერთქალო, პელიდი აქილევსის“); მსგავსადე იწყება „ოდესაჟ“: Ἄσπερα μοι ἔβρατε, Μοῦσα, πλοῦστον... („მრავალჭირნახულ ეაქკაცმე გეიამბე, მუშაჟ...“). ვერგილიუსი, მართალია, პოემის დასაწყისშივე არ მიმართავს მუშას, მაგრამ პოემას იწყებს პირ-დაპირ თემის დასახულებით, ისევე როგორც კომპროსი ასახულებდა დასაწყისშივე პოემის თემს („აქილევსის რისხვა“ ან „ამბაჟი მრავალჭირნახული, მოხეტიალე ეაქკაისა“): *Arma virumque cano, Troiae qui primus ab oris* და ა.შ.

1-2. იგულისხმება ენეასი, ანქიმეს და ქალღმერთ ვენუსის შვილი. გადმოცემით, იგი ტროელთა ნაწილთან ერთად გადარჩა ტროის დანგრევის დროს და დიდი ხეგიალის შემდეგ მოხედა იტალიაში, სადაჟ მის მიერ დაარსებულ ქალაქს უწოდა მეორე ცოლის (ადგილობრივი მკვიდრის) ლავინიის სახ-ელი. მისმა ვაჟიშვილმა ასკანიუსმა ანუ იულუსმა იქვე დააარსა ქალაქი ალბა-ლონგა (ერყელი ალბა).

6. ენეასმა ლაციუმში წამოიღო ღმერთთა კერპები, კერის ღვთაებანი, ანუ პენატები. „ტომი ლათინთა...“ არასწორი ფორმაჟ, სამწუხაროდ, ისე მტკიცედ დამკვიდრებული, რომ ჩვენს იძულე-ბულნი ეართ გრადიციას გაეუწოთ ანგარიში. უნდა იყოს „ლატინთა ტომი“, „ლატინი“ (Latinus).

7. ალბელთ მამანი – იგულისხმება რომაელთ მითიური წინაპრები: ასკანიუსი (ენეასის ვაჟი), რო-მელმაჟ დააარსა ქ. ალბა-ლონგა (ერყელი ალბა), ამავე ქალაქში მეფობდა ნუმპიორი, რომის დამაარსებლის რომულუსის პაპა. ესენი არიან ალბელთა მამები – რომაელთა წინაპრები. დედნის მიხედვით უფრო სწორი იქნებოდა „ალბანთ მამანი“ (Albanique patres), მაგრამ ამ ფორმას თავი აუარიდეთ, რათა არ მომხდარიყო აღრევა „ალბანელებთან“ ან „ალბანეთთან“, რომელიც სულ სხვა ეთნიკურ და გეოგრაფიულ ცნებას გულისხმობდა წინათაჟ და ახლაც.

26. პარისი იუნომ (კერამ), ვენუსმა (აფროდიტემ) და მინერვამ (ათენამ) მსაჯულად აირჩიეს, რომ გადაწყვიტა, თუ რომელი იყო ქალღმერთთა შორის უტურფესი. ვენუსის დაპირებით მოხიბლულმა პარისმა (სილამამის ქალღმერთი ღმვენიერესი ქალის – ელენეს გრფოხას დაპირდა), უღამამესად იგი მიიჩნია. ამიგომ იყო იუნო განრისხებული პარისზე და მის ხალხზე.



33. გადმოცემით, რომელი ხალხი მცირე აზიიდან გადმოხვეწილი ენასის რამზისა და ძეული ლათინების აღრევის შედეგად შეიქმნა. მაგრამ ამ გომთა შეკაემირებას აფერხებდა იუნო.

35. „მხნედ ვაჭრეს რვალით“ – რომაელთა სომალდების ძირი მოჭედილი იყო სანიღნძით.

38. გადმოცემით, კრეტიდან გადმოსახლებულმა გვეკრემ პირველად დააუქნა გროამი ახალმენი, ამოგოამე ტროლებს მოგჯერ გვეკრემსაყ უწოდებდნენ, მოგჯერ გვეკრეს მემკედლის სახელის მიხედვით – დარდანიდებს. ტროლები მათ ეწოდათ დარდანეს შეილიმეილის სახელის მიხედვით.

41. აიაქს ოილევის ძემ (ოილიაძმა) გროის აღების შემდეგ პალადას (ათენას) გაძარნი გააუ-ჰაგიურა გროის მეფის პრიაამეს ქალიშვილი კასანდრა. განრისხებულმა ქალმერთმა მასზე შერი იძია.

67. გირენები, გირსენები, ტუსკები ანუ ეტრუსკები უძველესი გომია, მლიდარი ცივილიზაციის მქონე. ისინი მოსახლებდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში; ენათესაებოდნენ თანამედროვე სა-ბერძნეთის გეორგორიაზე მცხოვრებ პელაგურ გომებს. ეტრუსკები შემდგომში გაითქვიფნენ ლათინურ გომებში და ლათინურ ენაში დატოვეს არაინდოეოროპული სუბსტრატის სახით ცალკეული სიტყვები თუ სუფიქსები. ეტრუსკების არქიტექტურამ, რომლის სათავეს მეკლეერები მცირე აზიაში პოლობენ, დიდი გავლენა მოახდინა რომაულ ხუროთმოძღვრებაზე. ეტრუსკების ენა დღემდე მუესწავლელია სათანადოდ, თუმცა ჩვენამდე მოაღწია ათი ათასზე მაგმა ეტრუსკულმა წარწერამ. მხოლოდ მოგი რამ არის ამ წარწერებში უცყარად გამოიჭული, ისიც არა ბოლომდე მაგალითად, აღმოჩენილი იქნა კამათლის ქვაზე წერტილების ნაყვლად წარწერები: „ყა“, „სა“, „პეთ“ და სხვა, სულ ექვსი სიტყვა, რომელნიც ციფრებს უნდა აღნიშნავენდნენ ერთიან ექვსამდე, მაგრამ რომელი – რომელს, ეს დაუდგენელია (თუმცა მათი ფონეტიკური მსგავსება იბერიულ-კავკასიურ რიცხვით სახ-ელეებთან ჩანს). მოგიერთი სუფიქსისა და ბრუნვის ნიშნის მნიშვნელობაყ ვარკვეულია. მაგალითად, სიტყვაში „კლენ-არ-ისა“ „კლენ“ ანუ „კლან“ ნიშნაყ ვაყს, „არ“ მრავლობითის მაწარმოებელია, ხოლო „ისა“ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. ეს და მსგავსი მოვლენები მეკლეერებს აფიქრებინებს, რომ ეტრუსკული ნათესაურ კავშირში უნდა იყოს იბერიულ-კავკასიურ ენებთან, მაგრამ ჯერჯერო-ბით ვერყ ამ ენათა მომეღიებით ხერხდება ეტრუსკული წარწერების უცყარი გამოიფრა.

68. პენატებს რომაელები უწოდებდნენ დეთაებათა კერაკებს, რომელნიც ოყახებში ჰქონდათ. მათ კერის მფარელებად თელიდნენ.

109. Ares კართაგენის წინ მღებარე ჰაგარა, კლოენი კუნძულებია. ლათინურად ara სამსხვერ-პლოს ნიშნაყს, ავტორი მიანიშნებს ამ კუნძულთა უდაბურობასა და სამიშრობაზე.

242. ანტენორი გროის დაცემის შემდეგ ილირიაში გადასახლდა, შემდეგ ლიბურნიაში, ბოლოს კი დასახლდა ვენეციის მხარეში.

285. არგოსი – იგულისხმება საბერძნეთი.

286. იგულისხმება ვერგილიუსის თანამედროვე ოქტავიანე აგუსტუსი, რომის იმპერატორი.

288. დედის მხრიდან ოქტავიანე იულიუს კეისარს ენათესაებოდა.

294. ომის კარიბჭე – იანუსის გაძრის კარები, რომელთაყ კვატადნენ მმეილობიანობის დროს. იანუსი ძველ ლათინთა დეთაება იყო, მას ორი სახე ჰქონდა.

297. ფინიკიური სიტყვა Borsა (ცხენ-სიმატრე) გავებულია როგორც ბერძნული მსრეა (წმიდა გყაყი). თქმულებით, დიდიმ აღცილობრივი მეუბისაგან შეიძინა იმღენი მიწა, რამდენსაყ მოსამომლად ეყოფოდა ხარის გყაყი. მან ეს გყაყი ისე წერილ დეებდად დაჭრა, რომ ხელთ ჩაიგდო დიძალი მიწა.

702. დედამში პურის აღსანიშნავად გვხვდება ცერერა – სატურნუსის ქალიშვილი, იუპიტერის და, მიწათმოქმედების მფარეული ქალმერთი. აყ იგულისხმება ცერერას საჩუქრები – ნაყოფით დახუნ-ძლული კალათები. ბერძნულ პანთეონში მას ცელის დემეტრე, მევისი და, პერსეფონეს (ლათ. პროზერპინის) დედა.

### წიგნი მეორე

76. ეს ტაეპი ემთხვევა III წიგნის 612 ტაეუს და აყ იგი მოგ გამომცემელს ინტერპოლაყად მიაჩ-ნია. რადგან არ არის მთლად ნათელი, სად უნდა იყოს მისი ადგილი, მით უეგეს, რომ იქაყ და აქაყ შინაარსს კარგად ეხაძება, ჩვენ ეს ტაეპი ორივეგან დეტოვეთ. ვითულისწინებთ იმასაყ, რომ ეპი-კური ტრადიციით განმეორება სრულიადაყ არ არის უჩვეული რამ.

84. პელაგებზე – ობ. მენ. I, 624. აყ ეს სიტყვა ვერგილიუსს უხმარია ბერძნეთა მთელი მხედრობის აღსანიშნავად.

100. ეს არ არის ნაკლული ტაეპი. სინონი აყ იყენებს რიტორულ ხერხს, წყვეტს ფრამას, რათა უფრო დაინტერესოს მსმენელი.

116-118. ვერმიიღე მოაგონებს ბერძნებს, რომ მათ გროამი ვალამქრებისას მსხვერპლად შესწირეს დმერთებს აგამემონონის ასული იფიგენია.

133. ხილაბანდს უკეთებდნენ მუარაკსაყ, ქურუმებსაყ და დეთაებათა კერაკებს.

198. ლარისა – თესალისის ქალაქი. ეს ერთ-ერთი იმ გეოგრაფიულ სახელთაგანია, რომელიც ბერძნულ ტოპონიმიკაში მიაჩნიათ წინაბერძნული, პელაგური ენის გადმონამთად.

„ეერყ ათმა წელმა“ – იგულისხმება ის, რომ ბერძნებმა ათი წლის მანძილზე ვერაფერი ვერ მოუხერხეს გროასს.

246. კასანდრა – ტროელთა მისანი, პრიამუს ასული. ტროის ალების შემდეგ იგი ავამემნონის ტყვე გახდა და კლიტემნესტრამ, ავამემნონის ცოლმა, თავისი კუროს ევისთეს დახმარებით მოკლა მიკენში. აპოლონმა მას მისნობის ნიჭი მისცა, მაგრამ შემდგომ, მასზე განაწყენებულმა, ქალს მიუსჯა, რომ მისი წინასწარმეტყველება არავის დაეჯერებინა.

264. სწორედ ეპოსმა აავო ხის ცხენი (მღრ. ჰომეროსის „ოდისეა“, VII, 493).

217. საკურთხეველს შეუფარებული ადამიანი, რომელიც ბომონს ეხებოდა, ხელმეუხებლად ითვლებოდა.

#### წიგნი მეოთხე

94. „შენ და ძე შენი“ – იგულისხმება არა ენეასი, არამედ სხვა ძე ეენუსისა – ღმერთი ამური, რომელმაც აღავნო დიდოს გულში ტროება.

106. „ესხნა ლიბია იგალიის ძალადობისგან...“ – იუნო ცდილობს ჩამალოს ენეასის იგალიაში გამგზავრება დიდოსთან მისი დაქორწინებით.

126. *Conubio iungam stibili propriamque dicabo* – ნასესხებია I წიგნიდან (გ. 73). ამიგომ საუკეთესო გამოცემებში ეს ტაქტი გამოყოფილია.

127. პიმენეა – ქორწინება.

129. „ამ დროს დატოვა ოქეანე ტურფა აერორამ“ – ეპიკური ფორმულა, მხატვრული ხერხი, რომლითაც ატორი გვაუწყებს გათენებას, ახალი დღის დადგომას.

137. ქლამიდი – ბერძნული და რომაული მოსახლამი ნაში შალის ქსოვილისა.

215. „პარისი იგი“ – განრისხებული მეტოქე ენეასს ადარებს პარისს, რომელმაც ოდესღაც ელენე მოგაყა.

273. *Nec super ipse tua moliris laude lasborem* – ნასესხებია 233 ტაქტიდან და საუკეთესო ნუსხებში არ ვხვდებარ. ჩვენც არ გვითარგმნია.

303. კითორნი – მთა ბეოტიაში, ვანთქმულია ბახუსისადმი მიძღვნილი დღესასწაულებით.

585. „დათმო გითონის სარეული ტურფა აერორამ“ – ეპიკური ფორმულა, დამახასიათებელი ანტიკური ეპოსისათვის. ე.ი. აერორამ გაიღვიძა, წამოდგა, მამსასადამე, გათენდა.

625-629. იგულისხმება პუნეური ომები რომსა და კართაგენს შორის.

#### წიგნი მეექვსე

1-2. მოგ გამოცემაში გადატანილია მეხუთე წიგნის ბოლოს. ამას, თითქოს, მოითხოვს შინაარსი. მაგრამ არც შესაბამის ტაქტით ივარგებს მეექვსე წიგნის დაწყება. საერთოდ ეს ორი წიგნი მექანიკურად არის გამოყოფილი ერთმანეთისაგან. ამრიგად ყველა შემთხვევაში წყდება, ამიგომ ჩვენ ვარჩიით ხელნაწერთა გრადიუალზე დაყრდნობა.

57-58. „პარისის ხელით რომ მიმართე დარდანი ისარი ეაკიდისკენ...“ – იგულისხმება ტროელი უფლისწული პარისის მიერ აქილეუსის მოკლა.

82. ორაკული – ღმერთთა ნება, მისნის პირით გამოცხადებული.

417. ეფდრუსი – სულთა სამეფოს გუმაგი, სამთავიანი ძაღლი.

445. ფედრას დანაშაულებრივი სიყვარულით მეუყვარდა გერი, თემესის შვილი პიპოლიტე. მაგრამ ევამე უარყო მისი სიყვარული. შურისძიების მიზნით ფედრამ ქმართან დაასმინა გერი: ჩემი მურაყსყოფა განიზრახაო. თემესსმა დაწყველა შვილი და შეევედრა ზღვის ღმერთს პოსეიდონს (ნეპტუნუსს), რომ მოეკლა იგი. ღმერთმა სანაპიროზე ეგლით მიმავალ პიპოლიტეს მიუგვანა უზარმაზარი ხარი, რომელმაც დააფრთხო ცხენები, პიპოლიტე გადმოუარდა და გაეციებულმა ცხენებმა იგი ნაფლუთებად აქციეს. ამ თემამე დიდ ბერძენ ტრაგიკოსს ეერიპიდეს (480 – 406) დაწერილი აქვს გრაგელია „იპოლიტე“.

პროკრისი – ათენის მეუღის ერექტოესის ასული. იგი მისმა ქმარმა შემთხვევით მოკლა ნადირობის დროს, როცა ვჭვიანი ქალი მას მალულად თვალყურს ადევნებდა.

ეროფილე – ერიფილე მოკლა საკურთხამ ევამე იმის გამო, რომ ქალმა გასცა მეუღლე, რომელიც თებს წინააღმდეგ ბრძოლას თავს არიდებდა.

585. გაამაყებულმა საღმონესმა თავი იუპიტერის ტოლად წარმოადგინა და სცადა მიეხატა მისი ჭეპაქუხილისათვის სპილენძის ეგლით სპილენძისავე ხიდზე ქროლევით და ჩირადღნების ტყორცნით. იუპიტერმა იგი მებით გაანადგურა და ქვესკნელში შთანთქა.

657. პეანი – საგმირო სიმღერა.

724-751. ანქიმე გადმოსცემს პითაგორელთა მოძღვრებას მეტემფსიქოსზე (სულთა გადასახლებაზე).

725-727. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მისაღები ადგილი ქრისტიანული მოძღვრებისათვის. სწორედ ამიგომაც ფრანგი ლეთისმეტყველი და პოეტი აბელიარი (1079-1142) ურჩევდა ქრისტიანებს ეკითხათ ვერგილიუსს, რომელიც – „მსოფლიო სულს აყენებს ყველა შექმნილზე მაღლა“.

789. და შემდ. ლაპარაკია ვერგილიუსის თანამედროვე რომის იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსზე.

#### წიგნი მერვე

1. რომაელთა ომის გამოცხადების დროს წესად აქონდათ კაპიტოლიუმზე აღმართათ დროშები, ცხენოსანი ჯარისთვის – წითელი, ხოლო ქვეითთათვის – ლურჯი.

წიგნი მეათე

773-774. „ღმერთთა მოძულე“ მეგენციუსი ვედრებით მიმართავს არა ღმერთებს, არამედ თავის მარჯვენას და მუხს.

წიგნი მეთორმეტე

725-726. იუპიტერი (ზეესი) ბედის სასწორით ხელში გეხელება კომეროსის „ილიადაში“ (VIII, 69-74; XXIII, 209-213). ეს მოტივი ფართოდ გავრცელდა ბერძნულ და რომაულ პოეზიაში.

753. უმბრელი – ლაპარაკია მონადირე ძაღლებზე. მონადირე ძაღლებით განთქმული იყო უმბრია.

862-864. იგულისხმება ბუ.

*თარგმნა რომან მიმინოშვილმა*

# კვინტუს კორაციუს ფლავუსი

(ძვ.წ. 65-8 წწ.)

კორაციუსი დაიბადა იტალიის სამხრეთში, პატარა ქალაქ ვენუზიუმში, წერილი მიწათმფლობელის ოჯახში. მამამ ჰაბუკი კორაციუსი რომში წაიყვანა სასწავლებლად, ხოლო შემდეგ, ოცი წლის ასაკში კვინტუსი ათენს მიემხრება რიგორიკასა და ფილოსოფიაში ცოდნის გასაღრმავებლად. ამ დროს კეისრის მკვლელობის შემდეგ დაწყებულმა სამოქალაქო ომმა იფეთქა. კორაციუსი საომარ მოქმედებებში ჩაერთო და ბრუტუსის ჯარში იბრძოდა ლეგიონის უფროსად. ძვ.წ. 42 წელს რესპუბლიკელების ფილიპესთან დამარცხების შემდეგ კორაციუსი ბრუნდება რომში. უსახსროდ დარჩენილმა პოეტმა (მას მამული კონფისკაციით ჩამოერთვა) კეესტორთა კოლეგიაში ვადამწერად დაიწყო მუშაობა. ამადროულად ახალგაზრდა კვინტუსმა მწერლობისაუ მოჰკიდა ხელი.

მისი პირველი თხზულებაა „ეპოდები“, 17 ლექსისაგან შემდგარი კრებული, რომელიც კორაციუსმა სგროფულ სამომზე ააგო. მომდევნო ნაწარმოებმა – „სატირები“ კორაციუსი ძალზე პოპულარული გახადა და ვერგილიუსმა ნიჭიერი პოეტი მეცენატს წარუდგინა. აქ დაედო სათავე კორაციუსის და მეცენატის განუყრელ მეგობრობას. მართალია, კორაციუსმა თავი დააღწია ხელმოკლეობას, აეგუსტუსის თანხმობით მან მეცენატისგან პატარა მამული მიიღო საბინთა მხარეში, მაგრამ სანაცლოდ პრინკეპსისაგან მუდმივად მითითებების მიღება და შესრულება უწევდა. კორაციუსი ცდილობდა აეგუსტუსის სიახლოვეს გარიდებოდა. მაგალითად, მიუხედავად პრინკეპსის უკმაყოფილებისა, მან პოეტმა მიიღო შეთავაზება გამხდარიყო მისი პირადი მდივანი (სევეტონიუსი, კორაციუსის ცხოვრება, 5), თუმცა იმპერატორის ქებას არც „სატირებში“ და არც „ოლებში“ არ გაურბოდა.

„სიმღერები“, რომლებსაც მოგვიანებით „ოლები“ ეწოდა, ოთხი წიგნისაგან შედგება. თითოეული ოდა კონკრეტულ ადრესატს გულისხმობს, თუმცა კრებული მთლიანობაში მეცენატს ეძღვნება, რომელსაც არაერთი ოდა მიემართება.

კრებულში პოეტი აყალიბებს ადამიანის ბედნიერებისა და ცხოვრების სწორი წესის ფორმულას – ესაა ბედნიერებით ტკობა, ზომიერება, სულიერი წონასწორობის შენარჩუნება – ერთგარი „ოქროს შუალედი“ (10,5).

ძვ.წ. 17 წელს იმპერატორის მიერ მოწყობილ საყოველთაო დღესასწაულს, 110 წელიწადში ერთხელ რომ იმართებოდა „სიბილას წიგნების“ თანახმად, კორაციუსი „საიუბილეო ჰიმნით“ გამოეხმაურა.

ძვ.წ. 20 წ. კორაციუსმა ორ წიგნად შესრულებული „წერილები“ გამოაქვეყნა, რომელშიც სულ 23 წერილია წარმოდგენილი. წერილების ადრესატები არიან როგორც ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი, ისე პოეტის ნაცნობ-მეგობრები.

საყურადღებოა მეორე წიგნის ბოლო, „მესამე წერილი“, რომელიც „პისონებს“ მიემართება. ეს წერილი „პოეტური ხელოვნების“ სახელწოდებითაა ცნობილი და მასში ლიტერატურულ საკითხებზეა მსჯელობა.

კორაციუსის პოემიას გამოარჩევს ენის ხატოვანება, ლექსის სინატიფე, რიტმის მრავალფეროვნება, ლექსის კომპოზიციური სრულყოფილება.

მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ანტიკური ხანის მწერლობაზე, არამედ შუა საუკუნეების, რენესანსისა და კლასიციზმის პერიოდის ლიტერატურაზე.

კორაციუსის გავლენითაა შექმნილი ბუალოს ცნობილი ტრაქტატი „პოეტური ხელოვნება“, სადაც კლასიციზმის ესთეტიკური პრინციპებია განხილული. მის ოლებს და სატირებს ეგალონად იყენებდნენ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა ხანაში.

ანთოლოგიაში მოგვყავს როგორც „პოეტური ხელოვნებისათვის“ (სრული თარგმანი), ისე ოლებისა და სატირების ცალკეული ნიმუშები.

**თარგმანები:**

1. კეინგუს პორაიუს ფლაკუსი, პოეტური ხელოვნებისათვის, თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო აკ. ურუშაძემ, თბილისი, 1981;
2. პორაიუსი, ოდები, თარგმნა მ. იმნაძემ, თბილისი, 1982;
3. პორაიუსი, საგირა II, თარგმნა ი. გაგუამ წიგნში: ი. გაგუა, ლათინური ენის სტილისტიკა, თბილისი, 2006, გვ. 109.

**ოლეპი**

**წიგნი პირველი**

1

**მეცენატს**

ჩემო მეცენატო, ტკბილო სამკაულო,  
ო, ბურჯო, მემკვიდრეე უძველეს მეფეთა!  
ოლიმპურ მინდორზე ავარდნილ მტერისაგან  
იხარებს მავანი და მეტას დაუელის,

5           თუ ოდეს ღვთიური პალმის რტო მოიმკო,  
ღმერთების სწორფერად აღმაღლდა მოკედავი:  
ვიეთთა ნეტარი სიაშე მოიცავს,  
სამმაგი პატივით ბრბო თუ განადიდებს!

10           ზოგი კი ნატრულობს პირსავეს ბელღებში  
ლიბიის კალოთა ხეაქსა და ბარაქას;  
განძი ატალუსის რომ მისცე მუშაკაცს,  
არ დათმობს საკუთარ მამულში ხენა-თესვას;

15           მხდალ მეზღვაურივით ის არ მიენდობა  
მირტოუმის ზღვას კვიპროსულ ხომალდით.  
დიდებულ დიდვაჭარს ტალღების ტყლაშუნით  
შიშნაჭამს, ნატერად აქეს ხმელეთის საეანე;

20           გადარჩება და კვლავ ხომალდს ანახლებს,  
რამეთუ ვერ კგუობს ღარიბულ ლუკმაპურს;  
ზოგი მასიკურით აღსავეს ფიალას  
ყველაფერს ანაცვლებს და ყოველ ცისმარე

ან გაშოტილია გაფოთლილ თალარში,  
ან წმინდა წყაროსთან ისვენებს განცხრომით.  
ვიეთთა საბრძოლო ძახილი ახარებს,  
ბუკი და ნალარა, გმირული კვეთება.

25           მაენი კი მწყაზარ მეუღლეს დააგდებს,  
თუ სადმე ძაღლებმა ირემი ააგდეს,  
ან ტახის ნაკვალევს დალანდავს ფშანებში.  
მე, სურომ სწაულულთა შუბლების წილხვედრმა

30 უმაღლეს ღმერთების კრებულში გამრია,  
ცივს ჭალას ნიშნათ და სატირთა გუნდებთან  
ციურ ფერხისაიმ ბრბოს ჩამომამორა,  
ოღონდ სალამური ეეტერპემ მიბოძოს.

35 დე, პოლიქიმნია მ არ მითხრას უარი,  
დე, ლესბოსური ჩანგი მომაწოდოს;  
თუ შენც, მეცენატო, მგოსანთ მიმარიცხავე,  
მაშინ თავს აღერილ ვარსკვლავებს მივაწვდენ!

#### 4

##### ჟამი განახლებისა

გაღღვა ყინული ზამთრის და გაზაფხულის ზეფირი ნანაობს,  
მანქანა ზღვაში აცურებს ხომალდებს.  
რადას დაგიდევთ უკვე პირუტყვი სადგომს, ცეცხლისპირს – მეგუთნე,  
თუ რთვილით აღარ ირთება მინდორი.

5 მთვარიან ღამეს სხივებს ნათლისას მოსდევს ვენუსის მარაქა,  
გრაციათა და ნიშნათა კრებული,  
და ფერხისაის არ უჩნს სამანი, ოდეს კიკლოპთ სამჭედურში  
აღს გააჩალებს ცხელი ვულკანუსი.

10 ახლა კიდევაც შეგფერთ მშვენიერ თმებში ჩაბნევა ტვიათა,  
ან შვებულ მიწის ნაბოძებ ყვავილთა,  
შეგფერთ ჩრდილიან ალაგს ფაუენსს გულუხუჯად მიაგოთ ზვარაკი,  
მისი სანდომი კრავი ან თიკანი.

15 სიკვდილის ფერხთა ჩქამი სწორფერ ეზრახვის მეფეთა დარბაზებს,  
და ქოხს ღარიბის, ნეტარო სესტუსო,  
ჩენი ზანმოკლე ჟამი უწყალოდ გვიკვეცს იმედის სამანებს,  
მოგელის უკვე პლუტონის სადგომი,  
მარადის მრუმე ღამე, განსრულდე საცა ზენათა სურვილით,  
შემდგომად ვერღა წარუძღვე ნადიმთა,  
ვერ მოიხიბლო მეტად, შენ უმრწემესთა ეგზომ სასურველის  
ნაზი ლიკიდას მშვენიერებით.

#### 9

##### თალიარხეს

გადაპენტილა სორაკტეს მწვერვალი  
და გაჭირვებით უძლებენ ტყეები  
ხევერიელ ნათოვს, წყაროს ტანი კი  
შეუბოჭაეს გასიპულ ყინულს.

5 თოში გააღღვე კეთილო თალიარხეც,  
კერაზე მრავლად დაყარე ფიჩხი,

ჩამოასხი საბინური  
სუფთა ზედაშე სოკელი დოქით.

10 სხვა ყოველივე მიანდე ღმერთებს,  
რომელთა ისე მოთოკეს ქარები,  
რომ კიპარისი აღარ დელაეს  
და აღარც ძველი თელა ჭრიალებს.

15 ნუღარ ეძიებ: „ხვალე რა იქნება“,  
დაემორჩილე განგებას ბედისას,  
ნუ განუდგები სასიამო  
სიყვარულს მეტრფის. ჭაბუკო ჩემო!

ვიდრე მხნეობა გეაშორებს ჭალარას,  
საასპარეზო დროულად მოძებნე,  
მოიმკე დაფნა, შენი ჯუფთი,  
შენი სწორფერი იპოვე სატრფო.

იგემე მეტრფის ჩურჩული ღამეში.  
მიმალულ გოგოს უტკბესი კისკისი.  
შენაც წარსტაცე საწინდარი  
ჩამოთლილ თითებს სასურველისას.

## 11

### ლევკონოეს

შენ ნუ ეძიებ. ო. ლევკონოე, მკრეხელობაა ცოდნა,  
ნუ სცდი განჭვრიტო ცხოვრების ბოლო. დაჰყევ ზეციურ ნებას;  
ამაოდ ჩხრეკავ იდუმალებას ბაბილონური რიცხვის.  
იქნება მრავალ ზამთარს მოვესწროთ. ჟამმა გეიწია იქნებ.

5 მკაცრი ზამთარით ხედავ ტინებზე ტყდება ტირენის ტალღა  
ჭკუა იხმარე. თასი გააკვსე განზაეებული ღვინით:  
ფრთები მოკვეცე შორეულ იმედს. წამიერია ყოფა:  
იხელთე ჟამი. ეს დღე შეირგე. მცირედ იწამე ხვალის.

## 15

### პარისის ბედისწერა

ოდეს წარიტაცა მწყაზარი ელენე,  
მწყემსმა მუხანათმა ტროული ზომალდით,  
ნერეესმა ქარები მოთოკა და მერმე  
მას მწარე უმისნა ბელი:

5 დიაცი შენს სახლში ცუდ ფეხზე შემოვა.  
და ფიცით შეკრული მხედრობა ბერძენთა  
შემუსრავს ავბედით ქორწილს. პრიაძუსის  
უძველეს სამეფო მამულს.

10 და გაიხვითებება რაშიც და ვაუკაციც.  
ტროაში მოკლულთა დადგება გორებში;  
პალასი მრისხანებს და უკვე ამზადებს  
მუზარადს, ფარს, ეტლს და რისხვას.

15 კელარ დაგიფარავს კენუსის წყალობა,  
ამაოდ იეარცხნი მშვენიერ კულულებს;  
ამაოდ, კითარით უტკიბილეს სიმღერებს  
უმღერებ დიატა მხიბლავთ!

უმძიმეს ჰოროლთა და კნოსურ ისართა,  
მადევარ აიაქსს ვითარ გაექცევი?  
თავს ვერ შეაფარებ დედათა ოთახში,  
ველარ გაექცევი სიკვდილს!

ვერ უჭვრეტ მოქცეულს შენსკენ ძეს ლაერტის,  
უბადლო მეომარ სთენელუსს, ან კიდევ  
ტევკრ სალამინელს და ნესტორ პილოსელს,  
შემმუსვრელთ მამულთა შენთა?

25 ვერ უჭვრეტ ტიდიდე რაც უფრო მეტს გეძებს,  
უფროვე შმაგდება?! აჰა, მერიონეც!  
რომელ ერთს გაექცე, შენ სუნთქვაშეკრული  
ხვედრს შენსას განუდგე საით?!

30 თავზარდაცემული ვით დაიმალები?!  
დამფრთხალი ირემი მგლის სუნს რომ დაიკრავს,  
არარად დაგიდევთ ნოციერ ბალახთა;  
ეს აღთქმა დაუღე რჩეულს?

35 რისხვა აქილეესის ოდნავ გადაუღებს  
შემმუსვრას ილიონს, დალუპვას დიაცებს;  
ორიოდ ზამთარი გავა და პერგამუმს  
შთანთქავს აქაველთა ცეცხლი!

23

ქლოეს

ო, ქლოე, გამირბი, ვით ნუკრი ირემის,  
რომელიც ფურირემს ჭიუხში დაემებს,  
და შიშნეული უფრთხის  
ტყეში მოჩურჩულე სიოს.

5 ან აცახცახებულს მუხლი ეკვეთება,  
თუკი გაზაფხულმა კვირტი შეატოკა,  
ან მწვანე ხელიკი ცქაფად  
შევარდა მაყვალის ბურქში.



- 10 დამიდექ, არ გელტვი ლომ-ვეფხისებურად,  
მწადს მხოლოდ დედის კვალს დროულად დაეხსნა,  
ნდომით გავსილხარ ქმრისთვის,  
მწიფობის დაგიდგა ხანი.

25

ლიდიას

- ველარა ვხედავ ძელებერ ურცხვ აშიკთა,  
დახშულ დარაბებს ხმაურით გიმტვრევდნენ,  
გეზრახებიან უფრორე ნაკლებად:  
„გძინავს ლიდიავ?“
- 5 თვინიერ შენდა ვკვეც თეთრად ღამეთა.“  
ბჭეც განუყრელი შეიქმნა ზღურბლისგან,  
უწინ მრავალგზის ჭრიალით გახსნილი,  
დღეს ძილს არ გიფრთხობს.
- 10 დრო მოვა ზაკვას კადნიერ სატროფთა  
გამოიტირებ ყველასგან მალულად.  
ახალ მთვარეზე, როს ჩრდილოეთიდან  
დაბერავს ქარი.
- 15 ოდეს დადგება ჟამი ენებათღელვის,  
ჭაკს რომ აცოფებს და თავს აწვევტინებს,  
ნადველს აგიდულებს, ენება ატეხილი  
წუწუნს მოჰყვები.
- რომ უმრწემესნი გალაღდნენ უაღრეს,  
მწვანე სუროთი და ტვიით მოსილნი  
დაუნანებლად ქარაშოტს ატანენ  
ჩამომჭკნარ ფოთლებს.

37

კლეოპატრას აღსასრული

- მოყვასნო, ჩენი თრობის დრო დამდგარა,  
აწ ფერხისაი შეგეფერის გაბმული;  
დრო დადგა ღმერთებს სალიური  
ლხინის სუფრები გადაეუშალოი.
- 5 ეეკრძალეზოდით მარნებში უძველეს  
ცეკუბურის სმას, ვიდრე დედუფალი  
უგუნურებით კაპიტოლიუმს  
და იმპერიას ემუქრებოდა.

- 10 გააყებული ბრბოს მოიძედე.  
გულს მოცემული, სიშმაგით დამთვრალი  
მყის გაწბილდა, ვერარა შეძლო:  
დაუცხრა ლტოლვა, როს ხანძრისაგან
- 15 მარტოოდენ ერთი ხომალდი დარჩა.  
და როს კეისარმა თავისი დევნით  
იტალიით უკუქცეული,  
ღვინონასმური, ისე აოტა.
- ვითარც მტრედს აოტებს ქორის დაცემა,  
ანდა მონადირე – კურდღელს;  
კეისარს მხეცის შეპყრობა სურდა,  
რათა ბორკილი ებოძა მისთვის.
- გარნა შეაკროთ ცივმა მახვილმა,  
არც უჩინარი ნაპირი ეძება,  
კეთილშობილური არჩია სიკვდილი  
და გამბედავმა მისთვის დაკარგულს
- 25 მზერა ესროლა ტახტს გამქირდავი.  
მერმე კი გველთა თამამად მიეჭრა,  
რათა სხეულით შეესრუტა  
შავი შხამი და ცივი სიკვდილი.
- 30 გარდუვალ ბოლოს გულმაგრად ხედებოდა,  
არა ინდომა, მდაბალ დიაცივით  
მტრული ხომალდებით ტყვედ წაეგვარათ  
ზვიად ტრიუმფში გასატარებლად.

### წიგნი მეორე

#### 3

#### დელიუსს

დელიუსს, სა შიშარ საქმეს წასულმა,  
ანდა სალხინოს, ჭკუით იარე,  
განცხრომით მყოფი განურიდე  
კადნიერ ზედმეტ მხიარულებას.

- 5 უცილოდ გვიწვევს სიკვდილი ყოველთა,  
თუნდაც ცხოვრება ნაღველში გალიო,  
თუნდ ბედნიერი დღესასწაულს  
ღვინით აღვსილი თასებით შეხედე.

- 10 რად გვიჩრდილავენ გაშლილი რტოებით  
თეთრი თელა და მაღალი ფიჭვი?

რად მოჩუხჩუხებს საამურად  
ნაკადულებში ანკარა წყალი?

15 ბრძანე, ღვინო და ნელსაცხებლები,  
ნაირფერადი ყვავილნი მოგეართვან,  
სანამდის ჟამი და სამი დის  
შაეი გორგალი გვაძლევს უფლებას!

20 ბოლოს დააგდებ მშობლიურ მთა-გორებს,  
სახლს და ტიბერით დაღობილ მამულებს,  
წახვალ მემკვიდრეს გაამდიდრებ,  
შენგან დაგროვილ უხვი საჭურჭლით.

25 გინდ იყო გლახა, მდაბიურ ჯილაგის,  
გინდ იყო მდიდარ ინაქეს მემკვიდრე,  
ვინ განასხვავს აღსასრული  
შეუბრალებელ ორკუსის მსხვერპლთა.

ბოლოყამს ყველა სწორფერად შეეგროვდეთ,  
საცა სულდგმულთა იღბალი ტრიალებს,  
ადრე თუ გვიან გვიწერია  
იქ სამუდამო სასუფეველი.

#### 4

#### ქსანთიას

ნუ გერცხვინება მონა ქალის ტრფობა,  
ქსანთიავ, გახსოვს, თუ როგორ აენთო  
თოვლივით თეთრი მხეველის სურვილით  
თვით აქილევსი.

5 დიდ აიაქსსაც თავრეტი დაასხა  
ტყვედ წამოყვანილ ტეკმესას მშენებამ;  
შუა ტრიუმფის დროს ატრიდიც მონა ქალს  
გაუმიჯნურდა.

10 როს აქილევსმა იმარჯვა ბრძოლაში  
ბარბაროსების ლაშქარი გაწყვიტა  
და დაცემულმა ჰექტორმა როს ტროა  
ბერძნებს დაუთმო.

15 ოქროსფერთმიან ფილისის მშობლები  
დაგამშენებენ, თუ არა, ვერ განჭვრეტ;  
ის კი მისტირის მეტად მკაცრ პენატებს  
და სამეფო გვარს.

გწამდეს, რომ შენთვის ესოდენ ძვირფასი,  
არ არის მოდგმა მდაბიო ოჯახის,

გწამდეს, რომ ესოდენ სათნოს ვერ შობდა  
უღირსი ღედა.

ამიტომ ვაქებ მის მწყაზარ მშვენებას,  
ჩამოქნილ წვივებს და თეთრზე თეთრ მკლავებს;  
მერვე ხუთწეულს სულ მალე მივაღწევ,  
ნუ მიმზერ ეჭვით!

7

პომპეიუს ვარუსისადმი

ო, პომპეუსო, ჩემო მეგობარო,  
ბრუტუსის ომში სიკვდილს გამოვლილო,  
ვინ დაუბრუნა შენი თავი  
რომსა და ღმერთებს, იტალიის ცას?

5 მოყვასო ჩემო, უგრძესი ღლეები  
ჩვენ არაერთგზის მოვკვეცეთ ღვინოში  
და სირიული მალობათროს  
გვირგვინი გვიმოკობდა ბრწყინვალე თმებს.

10 ფილიპის ბრძოლაც ხომ ერთად ვიწვინიეთ,  
და ოტებულნიც მხარდამხარ გაერბოდით,  
რა გატყდა ჩვენი მამაცობა  
და სხვებმაც მიწა მოხნეს ნიკაპით.

15 მერკურიუსი გამიძღვა უსწრაფეს  
და უსიერი ბურუსი ვიფარე;  
სისხლის მორევემა გაგიტაცა –  
შენ ხელმეორედ მიიქეც ბრძოლად.

20 ხამს იუპიტერს მიაგო ნადიმი,  
და მოიშუშო იარა ბრძოლების,  
ვინ იმუქაფე უმეტესად,  
მო, შეეფარე დაფნათა ჩემთა.

აწ მასიკურის ღოქები გეჭირდება,  
დარდს დაგვაეიწყებს, გავეასოთ თასები,  
ნელსაცხებელით ვინებვიერთ,  
თქვი, ვინ მოგვიწნავს გვირგვინებს ლამაზს?

25 სუფრის გამრიგედ – ეენუსის რჩეული!  
არა ვარ ქეიფში ელონთა ნაკლები,  
მე მსიამოვნებს გახელება  
მეგობრის ნახვით გამოწვეული.

## ლიცინიუს მურენას

(ზომიერება ანუ ოქროს შუალედი)

შენ, ლიცინიუს, ჭეშმარიტი აირჩიე გზა:  
ზღვასა შინა ნუ მიელტვი სიღრმესა დიდსა,  
ნურც ქარაშოტის მოშიშარი მიეახლები  
არამყარ ნაპირს.

5 ვინც ცხოვრებაში აირჩია ზომიერება,  
თავისი თავი დამძალ ჭერქვეშ არ დაიტანჯა,  
არცა დიდებულ სრა-სასახლეთ წაეპოტინა,  
ტკბილად იცხოვრა.

10 უზარმაზარ ეულ ფიჭვსაც მოდრიკავს ქარი,  
დაეცემა უმძიმესი დაცემით ციხეც,  
თვით უმაღლეს მთის მწვეკრვალთა ხვედრია მუდამ  
ელვა და მეხი.

15 ვინაც ჩაწვდა ბედისწერის ცვალებადობას,  
ჭირსა შიგან ხსნას მოელის და ფრთხილობს ღზინში;  
განაგებს ზამთრის მიმოქცევას იუპიტერი –  
იცვლება დროიც.

რაიც არს ცუდად, მერმის ასე აღარ იქნება:  
დაკრავს ყამი, აპოლონი მშვილდს მიატოვებს  
და კითარის საამო ხმით ალაგზნებს იგი  
მუზას მღუმარეს.

ძნელბედობამ გამოსცადოს მხნეობა სულის,  
ნუ შედრკები ჭირსაშიგან, დარჩი მამაცი,  
ნურც ლალ იალქნებს მიანებებ ბედნიერ ზურგქარს,  
ჭკუა იხმარე!

14

## გარდუვალთა ბედისწერა

ვაი, პოსტუმუს, წლები ვით გარბიან,  
ისე დავჭკნებით, კარს მომდგარ სიბერეს  
და ვერცა სიკვდილი აულაგმავს  
ღვთის მოკრძალებით ვერ შევაცოვნებთ.

5 ჩემო მოყვასო, სიკვდიმდე ყოველდღე,  
სამას-სამასი ხარიც რომ შესწირო  
პლუტონს, ვინც მწუხარე ტალღებით,  
გერიონს და ტიტოსს აკავებს.

10 მაინც მოგვიწევს იმ წყალზე გადასვლა,  
ჩემო პოსტუმუს, სულიერს ყოველს,  
ვისაც კი კვებავს დედამიწა,  
გინდა მეფე ქნა და გინდა გლეხი.

15 ამაოდ რაღაც გავექცეთ სისხლისღვრას  
ომში. ან მორევს ჰადრიას ტალღების,  
რად შევეუშინდეთ შემოდგომით  
კაცის მავნებელ აესტერის ქარებს,

თუ მაინც ეიხილავთ უმრუმეს კოციტუსს,  
სახელგატეხილ ჯილაგს დანაოსის,  
ან გამწესებულს კირთებისათვის  
ტანჯვას სიზიფე ეოლიდისას.

წავალთ, დაეგდებთ სადგომს და მამულებს,  
საყვარელ ცოლს და ჩვენს მოვლილ ნარგავებს,  
არ წამოგვეყვება არცერთი ხე  
გარდა საძულველ კვიპაროსისა.

25 შენი მემკვიდრე გამოცლის ცეკუბურს,  
შენგან უამრავ ურდულით ჩაკეტილს  
და ქურუმების სანადიმო  
ღვინის უმჯობესს, უსაზღვროდ დაღვრის.

## 16

### პომპეიუს გროსფუსისადმი

ოდეს ღრუბლებმა დაბინდონ მთვარე,  
და აციმციმდნენ ვარსკვლავნი საავდროდ,  
ეგეოსის ზღვას გასული მენავე  
ითხოვს სიმშვიდეს.

5 სიმშვიდე უნდა ნაომარ თრაკიას,  
ისარ-კაპარჭით აღჭურვილ მიდიელს,  
რასაც თელეებით და ოქრო-მოწყულით  
ვერ მოიპოვებ.

10 განძი და კონსულის მხლები ლიქტორი,  
ვერც ჭერნი სრა-სახლთა, მოჭადრაკულნი,  
ვერ ააცდენენ თავიდან ვერავის  
შფოთსა და დარდებს.

15 პატარა კაცი თუ ცხოვრობს სიმშვიდით,  
ძილს არ დაუფრთხობს შიში და სიხარბე,  
მას სამარილე უმშვენებს მაგიდას  
მამისეული.

20 უმოკლეს დროში დიდსა რას მიველტვით,  
რას ვაქნევთ სხვათა მზით გამთბარ მამულთა,  
ვინც განიკვეთა მშობლიურ ქვეყნიდან  
თავს ვერ განუდგა!

ვაგლახ, საზრუნავს იტვირთვენ ხომალდნიც,  
უმისოდ ვერცა მხედართა იგელეონ,  
ვერსით განუდგენ ევრუსზე უსწრაფესს,  
ირემზე ფეხმალს.

25 ლალი ხარები საზრუნავს გვიკვეცავს,  
სიმწარეც უნდა სიცილით შერბილდეს,  
უკეთუ ვერაჲინ იპოვის ყოველმხრივ  
ბედნიერ სულდგმულს.

30 ბედმა აქილევსს სიცოცხლე წარსტაცა,  
უსაზღვრო სიბერემ დააჭკნო ტითონი,  
ვინ იცის, ყამი იქნებ მე მარგუნებს  
შენთვის მიუწვდომს.

35 ას სიცილიურ ნახირს განაგებ,  
ეტლს შესაბამი რაშებიც დაგიდის,  
აფრიკულ მურით ორგზის შეღებილი  
სამოსიც გმოსავს.

40 ალალმა ბედმა მცირედი მამული,  
წყალობა მუზის უნაზეს სულის და  
შურიანი ბრბოს ზიზღის უნარი  
მომავო ხვედრად.

## 18

### სიღარიბე და სიმდიდრე

არცა რა სპილოს ძვალი,  
არცა ოქროთი ნაჭედი გუმბათი,  
არცა პიმეტეს მორით  
შეკრული სვეტები ამკობენ ჩემს სახლს.

5 არ ვარ მემკვიდრე უცხო,  
მე ატალუსის გაშლილ დარბაზთა,  
არცა მსახური მაწედის  
მეწამულ სამოსელს ლაკედემონიურს.

10 მარტო უტკბესი ჩანგის,  
მგზნებარე ნიჭის გახლაყართ მფლობელი,  
ეს განძი იზიდავს მდიდართ.  
არც ღმერთთ ვაწუხებთ და არცა მეგობარს

- 15 წყალობისათვის, რადგან  
კმაყოფილი ვარ ჩემი საბინუმით.  
დღე კი მიჰყვება დღეებს,  
ახალი მთვარეც უკუ მიიქცევა.
- 20 შენ კი სჭრი მარმარის ლოდებს,  
მოწეულ სიკვდილს ივიწყებ სრულიად  
და საფლავის ქვის ნაცვლად  
ამშვენებ დიდშენ დარბაზთა ჩუქურთმით.
- განძის წყურვილით ილტვი,  
რომ ცოფმორეული ზღვის სივრცეს გასცდეს,  
რაც შეიძლება მეტად,  
ცხელი ბაიას სანაპირონი.
- 25 ანდა არაფრად გიჩანს  
შენს მომიჯნავე ყანების სამანი  
და დახარბებულს გინდა,  
შემოიერთო მეზობლის მამული:
- 30 განიძეება შენგან  
ღმერთთა მოყვარე წვრილშვილი ოჯახი!  
ბოლოყამს მდიდარ კაცსაც  
მაინც ორკუსის საგანე მოელის.
- 35 რას ელტვი ამის შემდეგ?  
მიწა ჰირს უყოფს ღარიბს და მეფესაც!  
ორკუსის ფხიზელ მსახურს  
ვერც პრომეთესი დაუძვრა მოსყიდვით.
- 40 შებორკა ორკუსმა მძლემ  
ამაყი ტანტალუსი თავისი მოღვმით.  
ნანატრია თუ არა,  
ღარიბ კაცს ამ სოფლის ტვირთს დახსნის სიკვდილი!

20

### პოეტის ბედი

- უმძლავრეს ფრთებით ცად აღვმადლდები  
გაორმაგებულ ბუნების მგოსანი,  
დავტოვებ მიწას და ქალაქებს,  
განვეშორები შურს მიწიერთა!
- 5 თუმც მიჩქეფს სისხლი მდაბიო მშობლების,  
ვისაც თავისკენ მიხმობ, მეცენატო,  
არ მივეცემი მსახერალ სიკვდილს,  
ვერ შემბოჭავენ სტიქისის ტალღები.



10 ფერისცვალება დამეწყო, ვიგრძენი  
და შეემოსა მხარ-მკლავი ბუმბულით,  
წვივებს ეცლება უხეში კანი,  
გარდავიქცევი ზეციურ ფრთოსნად.

15 მე იკარუსზე უფრორე უშიშრად  
მოვინახულებ ბოსფორის ნაპირებს,  
ლაღად გადვუფრენ გეტულთა სირტს,  
ტრიალ მინდორ-ველს ჰიპერბორელთა.

20 შემეცნობს კოლხი და შორი გელონი,  
მარსელთა რაზმით ნირშეცვლილი დაკი,  
მისწავლის ბრძენი იბერიელი  
და როდანუსის წყალდალეული!

არ წამაყოლოთ მწუხარე გალობა,  
უაზრო მოთქმა და ზარიც გამშორდეს!  
გლოვა-პატივით განარიდე  
ცხედარისაგან ცარიელ საფლავს!

წიგნი მესამე

1

მოკრძალება

მე განვერიდე უწმინდურს მდაბალ ბრბოს,  
მომაპყარით ყურნი, მუზების ქურუმი  
სიმღერას ვიტყვი ჯერაც უთქმელს,  
ქალი შეილთა და ყრმათა გასაგონს.

5 ოდითგან მეფე მბრძანებლობს მდაბიოთ,  
იუპიტერი – განაგებს მეფეთა,  
ტრიუმფით მძლევი გიგანტების  
წარბის აწევით აღმძრავი არსთა.

10 ზღება – მავანი უკეთ რგავს ნარგავებს,  
ვინმე უფრორე კეთილშობილი  
ბარად ჩამოვა, მარსის ველზე  
მაღალ ღირსების მამიებელი,

15 სხვა სახელით და ჩვევებით პაექრობს;  
ოდეს ლარნაკში ერთად წილს იყრიან:  
დაელოდება გარდუეალი  
ბოლო გლაზაკს და დიდებულს ტოლად!

ბიწიერ უღვთოს, რომლის თავზედაც  
გაშიშვლებული მახვილი ჰკიდია,

- 20 ვით მოხიბლავენ ნადიმები  
მადისაღმძვრელნი სურნელებით.
- უშფოთველ სიზმრებს ვერ მოგვრის შემცოდეს  
ვერცა სირთა და კითარის გალობა,  
ტკბილ ძილს გლახაკთა ქოხი უყვარს  
და ჩრდილიანი სანაპირონი.
- 25 ვინც დაყაბულდა მისთვის ღეთის მოძებულს,  
მას არ აღელვებს ზღვაზე ქარიშხალი,  
აღარც ჰედუსის გამოჩენა,  
ანდა მკაცრ არქტურუსის ხილვა,
- 30 აღარც დასეტყვილ ვენახებს დასტირის,  
აღარც მინდორზე ხეს, მზაკერულად ამოსულს;  
არც წყალდიდობას, აღარც გვალვას,  
არც ზამთარს მიწის გამაბერწებელს.
- 35 ლაღად ზღვას შიგან თევზიც ვერ დაცურავს,  
ეხლება დიდშენ ლოდების ვიწროებს.  
რომელთაც მიწის მბრძანებელი  
მონებთან ერთად აცურებს ზღვაში.
- 40 ესრეთ შიში და საზარი მუქარა  
თან დასდევს კაცთა; და მძიმე ნაღველი  
მხედრებს ზურგს უკან ჩამოუჯდება,  
არც ხომალდს ტოვებს სპილენძმოჭედილს.
- წამებულს თუ ვერც ფრიგიის მარმარილო,  
ვერც მეწამული – ვარსკვლავზე მბრწყინავი,  
აქემენური ფუფუნება  
და თუ ზედაშეც კელარ უშველის.
- 45 რაღად აღვმართო ახალი ხერხებით  
ატრიუმი და კარიბჭე საშური,  
რად შეველიო საბინურ ველს  
საზრუნავს მომცემ საჭურჭლის ფასად?

### ფაენუსის ზეიმი

ფაენუსო, მფრთხალი ნიმფების ტრფიალო,  
ოდეს ჩაივლი მზით გამთბარ ჩემს მამულს,  
შენი მოწყალე თვალი გადაავლე  
ჩემს მცირე ნახირს.

- 5 რამეთუ თიკანს დაგიკლავთ ზეარაკად,  
ვენუსის ჯამსაც ზომ ღვინო აგივსებთ,  
და აბოლდება საამო სურნელით  
საკურთხეველი.
- 10 როს მოიქცევა დეკემბრის ნონები,  
კუნტრუმობს ფარა მინდორზე გაშლილი.  
ხარებთან ერთად ისვენებს მდელოზე  
მთელი სოფელი.  
მგელიც ფარაში უშიშრად ძუნძულებს,  
ტყე ვიფენს ველებზე საამო სიმწვანეს,  
15 სამგზის ფებს ურტყამს საქულველ მიწაზე  
და ხარობს მხენელი.

## 21

### სველი ხელადა

- ჩემო ხელადავ, მანლიუსის დროს  
ამა ქვეყანას ერთად მოვევლინეთ.  
სულ ერთი არის, შენ რას იტყე,  
ხუმრობას, ტრფობას, ლალ სიზმრებს, თუ დარდს.
- 5 როდენ შორსაც არ უნდა დავმალონ,  
ფაქიზ მასიკურს დღე ელის რჩეული!  
კორვინუსმა ბრძანა, ხელადავ,  
რომ უძველესი ღვინო მოგვართვა.
- 10 თუმც ეზიარა სოკრატეს მოძღვრებას,  
შენზე უარის თქმას არაა ჩეუული;  
უბნობენ, თითქოს თვით კატონის  
სიქველევ სშირად თბებოდა ღვინით.
- 15 მკაცრი გონებაც შეიცნობს სმურების  
ძალდატანებით საამო მოწოლას,  
გარეთ გამოგაქვს ყოველივე,  
ბრძენკაცთა განსჯა და ჩუმი ხვედრი.
- 20 სასოწარკვეთილს შენ იმედს აღუძრავ,  
გლახას ამხნევებ და აკადნიერებ,  
აღარ უფრთხიან ნასმურები  
აღარც მეფეს და აღარც სპარაზენს.
- გაზღდეს ლიბერი და ლალი ვენუსი,  
ჩაკონებული ნაზი გრაციები  
და ჩირადღანიც მანამდე გვენთოს,  
სანამ ფებუსი გაფანტავს ვარსკვლავთ!

## მეცენატს

შთამომავალ ტირენელ მეფეთა.  
 შენთვის ვინახავ უძველეს ზედაშეს,  
 აბრიალებულ ვარდის რტოებს,  
 თმისთვის და წნეხილ რტოს სურნელოვანს.

- 5      ო, მეცენატო, განიხსენ საბელი  
 მიჯნურობის და ნუ ეტრფიალები  
 ეფულას მინდვრებს, ნურცა ტიბურს,  
 ნურც მამის მკელელი ტელეგონეს ქედს.
- 10     ზიზლით დააგდე სიმღიდრე ურიცხვი,  
 ცად ატყორცნილი დატოვე სასახლე,  
 გეყოფა ტკბობა კვამლით, განძით  
 და ჟრიამულით ბედნიერ რომის.
- 15     ცვალებადობა მდიდარ ხალხს ახარებს,  
 მოკრძალებული ღარიბის სადილი,  
 ფარჩეულის და ძოწის თეინიერ,  
 გაგისხნის ნაოჭს დაღარულ შუბლზე.
- 20     მამა ცად აღიგზნო ანდრომედასი,  
 შემზარავ ლომის ვარსკვლავი ბრდღვიალებს,  
 ცეცხლს ყრის მრისხანე პროკიონი,  
 მზეს კი მცხუნვარე ღღეები მოაქვს.
- მღორედ მიმავალ ფარას წინ მიუძღვის  
 მწყემსი ჩრდილის და წყაროს ძებნაში,  
 სილვანუსის ტყეს და წყლის ნაპირს  
 ნიავეც კი არ ელამუნება.
- 25     შენ კი კვალდაკვალ სამეფოს საქმეთა  
 ბჭობ და გაღელვებს რომის ბედ-იღბალი,  
 თუ რას უპირებენ მას სერნი,  
 ტანაისი და ან კიდეუ ბაქტრია.
- 30     რომელსაც უწინ კიროსი მართავდა.  
 წინგამხედავი ღმერთი ბნელ ბურუსით  
 ფარავს მომავალს და იცინის,  
 თუ კაცი მას იქმს, რაც არ უნდა ქმნას!
- 35     გახსოვდეს, აწმყოს უნდა მოუარო,  
 რამეთუ სხვათა წაღეკავს მდინარე,  
 ხან რომ დამცხრალი მოღუღუნებს  
 და შეერთება ზღვასა ეტრუსკულს;

40 ხან კი მორღვეულ ლოდების გორებით  
ხეასტაგს და მორებს მორეუში ჩახერგავს.  
წალეკავს სახლებს და ღრიალით  
აყრუებს მთებში შეხიზნულ ტყეებს.

როს წყალუხვობა დაურღვევს სიმშვიდეს  
და მის წყნარ დინებებს ააბობოქრებს.  
დღევანდელი დღით კმაყოფილი  
თუ არის კაცი, მას ძალუმს გვითხრას:

45 „ვიცხოვრე! ხეაღე, გინდ, შაემა ღრუბელმა,  
გინდ, ნათელმა მზემ დაფაროს ცარგვალი  
ვერ წაიშალოს ის, რაც იყო,  
რაც წარიტაცა სრბოლამ ჟამისა!“

50 ბედი ხელს ურევს საშინელ საქმეთა.  
ეხედავ ხარებულს უცნაურ თამაშით,  
მიწყვიტ ანაცკლებს წარმავალ პატივს  
ხან ჩემთვის, ხანაც სხვისთვის განკუთვნილს.

55 სანამ ჩემთან არს, ეუმღერი აზმანთა,  
თუ გაფრინდება, წარიღოს ყოველი;  
კვლავ სიმამაცით აღვიჭურვო,  
პატიოსანი ლუკმა ვეძიო.

60 მე არც შემფერის მუხლი დავიტყაო,  
რომ ქარბორბალა ანძას მიეხლება  
და ლოცვა იმად აღვაკლინო,  
რომ ზღვამ ხეასტაგი არ წარიტაცოს.

ოდეს თვინიერს განგება მიფარავს.  
შორს დამრჩეს საფრთხე ორნიჩბა ნავში მჯდომს;  
წამიღებს ზღვასა ეგეოსის  
ნავი და ესრეთ ტყუპი პოლუქსი.

### 30

#### ძეგლი

უმტკიცეს რვალისა აღვიგე მე ძეგლი,  
არს იგი უმაღლეს მეფურ პირამიდთა,  
ო, მისი დანგრევა არც წვიმას საშინელს,  
არც წელთა სიავეს და სრბოლას ჟამისას,

5 არც შმაგად მქროლვარე აქვილონს არ ძალუძთ.  
აწ ველარ მომიცვას სიკვდილმა ერთიან,  
მეტწილ განვარიდე თავი ლიბიტინას;  
მერმისში აღვდგები მე ხოტბაშესხმული

10 მარადეამს, ვიდრემდის კი კაპიტოლიუმს  
ქურუმში, მდუმარე ქალწულით აივლის,  
მე მომიხსენებენ: – საღ მოჰქუხს ავფიდუს,  
სად მიწისმხენელებზე დაენუსმა იმეფა,

15 მდაბიოდ ნაშობი განდიდა უადრეს  
პირველმა გარდავქმენ ეოლელთ სიმღერა  
რომაულ კილოზე, ღირს მყავ მელჰომენევ,  
და თავი დელფოსური დაფნით შემიმკე!

### წიგნი მეოთხე

#### 1

### ვენუსო, დამინდე

ვენუსო, ნუთუ კვლავ გინდა,  
რომ ისევ განახლდეს დამცხრალი ბრძოლები,  
ოდეს მბრძანებლად მყავდა  
ტურფა კინარა; ის არ ვარ, დამინდე!

5 შეწყვიტე, ენებათა დედავ,  
ცდუნება ხუთ ათწლედს მიღწეულ მამრისა:  
განვედი ჩემგან და ყური  
მიუგდე, სით გიხმობს ჭაბუკთა ვედრება.

გედებმა მეწამული ფრთებით  
გიჯობს პაულუსის სახლად წარგიტაცონ,  
თუ გაქვს სურვილი მწველი,  
რომ გულს ენებით საესეს ცეცხლი შეუნთო.

15 რამეთუ ლამაზი მოყმე,  
კეთილშობილი და განმკითხავი შემცოდეთ,  
ასი ხელოვნების მცოდნე  
შორს ააფრიალებს საბრძოლო შენს დროშას.

20 ოდეს აღზევდება იგი  
ხელგაშლით საჩუქრების მფანტავ მეტოქეზე,  
მაშინ აღბანუსის ტბასთან  
ლიმონის რტოებს ქვეშ ქანდაკს ადგიმართავს.

საკეველს ისუნთქავ მიწყვი,  
გაგართობს გალობა შენ აყოლებული  
ბერეკინთულ ფლეიტაზე,  
სალამურისა და ტკბილ ჩანგის ხმებზე.

25 დიდების შენის მეხოტბე  
ჭაბუკები, მწყაზარ ქალწულებთან ერთად,

სალიებივით დღეში ორჯერ  
სამგზისად თეთრ ფეხებს ურტყამენ მიწაზე

30 აღარ მსურს არც ყრმა, არც ქალი,  
აღარც სულის ზიარს მიველტივი სიყვარულს,  
არც შუმი მახარებს ღვინო,  
აღარც საფეთქელთა შემკობა გვირგვინით.

35 მაგრამ, ო. ლიგურინუსო,  
ხანდახან ღაწვებს ცრემლი რად მისეულებს?  
ანდა მჭევრმეტყველი ენა  
რისთვის მინებდება დუმილს უსახელოს?

40 ღამეულ სიზმრებში ტკბილად  
გებევევი, ან ეგზომ ჯიუტსა და ფეხმარდს  
მიგდევე მწვანე კელზე მარსის,  
ან კიდევ უსწრაფეს მდინარის ზვირთებში.

7

გაფრთხილება

გაღღვა, წავიდა თოვლი, კვლავ დაუბრუნდნენ ხეებს ფოთლები  
და ბალახები მინდვრებს,  
სახე იცვალა მიწამ და მდინარეთა შმაგი დიდროა  
ჯიქურ ეხლება ნაპირს.

5 ნიმფებთან ერთად ძველებერ, ტანშემოძარცველი ნაზი გრაციები  
წინ მიუძღვებიან ქოროს,  
იმრა ყოველი ირგვლივ, და უკვდავება ნუ გჯერა, რადგან  
ჟამი წარიტანს დღეებს.

10 მკაცრ სუსხს ზეფირი ალღობს და გაზაფხულსაც მოსდევს ზაფხული,  
რა გასრულდება ივიც,  
დაგვიზამთრდება ჩქარა, როს შემოდგომა ნაყოფიერი  
დაცლის ხეაიან კალთას.

თუმც სწრაფად ცვლადი თვენი მუდამ აკსებენ დანაკლისს ციურს,  
ერთი ბოლო გვაქვს ყველას,  
მორჭმულ ტულუსს და ანკუსს, მამა ენეასს მივეახლებით  
ქმნილნი ჩრდილად და ფერფლად.

იქნებ განგების ძალით ხვალინდელი დღე არ გაგვითენდეს,  
ვინ უწყის ღმერთთა ნება?  
ლაღობით განვლე დღენი, ის რაც ძალგვიძდა, გულით მიგვეძღვნა,  
გულხარბ მემკვიდრეს დარჩა.

როს ბედისწერა გვიწევს, დაკრავს მინოსთან განკითხვის ჯერი,  
ო. ტორკვატუსო, მაშინ

ვერც შთამომავლობა, ვერც მოკრძალება და ენამჭკვერობა  
ვერ აღგადგენენ მკედრეთით:

- 25 რამეთუ აღარ ძალუძს, თვით დიანასაც სულთა სამეფოდან  
ჰიპოლიტუსი იხსნას;  
რამეთუ თვითონ თეზეუსს არ შესწევს ძალა, რომ პირითოუსი  
წარტაცოს ლეთეს ბორკილს.

10

### ლიგურიუსს

ჯერჯერობით უკარებავ. შენ ვენუსის ძღვენით საესევე,  
როს ანაზღად ნორჩი ღინღლი სიამაყეს დაგიორგუნავს.  
დაგცივდება ახლა მხრებზე დაფენილი გრძელი თმები,  
შევეცვლება ღაწვისთავეს მოდებული ვარდისფერი.

- 5 როცა სახეს დაგიფარავს გაბურღული წვერულვაში,  
იტყვი მაშინ, რამდენჯერაც თავს სარკეში დაინახავ:  
რასაც ვფიქრობ, რატომ ძველად არ ვფიქრობდი ყმაწვილკაცი,  
ანდა რად არ მობრუნდება ოდინდელი სიჭაბუკე?

12

### ვერგილიუსს

ჰა, გაზაფხულის თანმხლები ქარები  
დააცხრობს ზღვათა და დაჰბერავს იალქანს,  
აღარ ჩანს ყინულით დამზრალი მინდორი,  
მდინარეს დაეხსნა თოვლი.

- 5 იშენებს საბუდარს საბრალო ჩიტუნა,  
დასტირის იტიის და გარდუვალ შერცხვენას  
კეკროპსის სახლის, ვისი მეფისაც დათრგუნა  
ვნებანი შურისძიებით.

- 10 მინდორში სალამურს უტკბესად აკვნესებს  
მწყემსი და ამოვებს ცხვრის ფარას ნასუქარს,  
უმღერის ღმერთს, რომელს ათნევს არკადიის  
მთა-გორზე გაშლილი ფარა.

- 15 ვერგილიუსო, ამ დროს მოყვა წყურვილი  
თუ შენ, სათაყვანოს კეთილშობილ ჭაბუკთა,  
გსურს ღვინო მოგართვან კალენურ ვენახის,  
მოგცემ ნარდის ზეთის ფასად.

- 20 ზეთის მცირე ქილა დოქს გამოიტყუებს  
სულპიციუსის სარდაფში შენახულს  
და ახალ იმედებს გულუხვად მოგაგებს,  
დარდთაგან განბანს საზრუნავს.



თუ შენ მოგიზიდავს ეს მხიარულება,  
შენივე საქონლით მოიქეც იჩქითად,  
აზრდაც არა მაქვს, გასვა უსასყიდლოდ,  
ვითარცა მდიდარმა ვინმემ!

- 25 ნულარ შეყოვნდები, ნუ გწადს სარგებელი,  
ჭკუას შეუზავე სიბრიყვით სილალე  
და სიბრძნე დატკობით განდევნე, მუდამუამს  
გახსოვდეს სიკვდილის ცეცხლი!

14

### ავგუსტუსს

სენატორებმა ვითარ იმუქაფონ,  
ან რომის მკვიდრთა, ო, დიდო ავგუსტუს,  
რომ ქვათა ზედა ამოიჭრას  
სადიდებელი შენი სწორფერი.

- 5 სად აღმოხდების მზე მსასოობელი,  
უპირველესი იმთავრებ ყოველგან!  
შენგან ძლეული ვინდელიკები  
დაემორჩილნენ ლათინურ კანონებს.

- 10 შენი მძლეთა-მძლე ლაშქრით შემუსრა  
ფეხმალი ბრეენები მამაცმა დრუზუსმა,  
სძლია ველური გენაენები  
და დააქცია ალპებს ციხენი.

- 15 მერმე, სულ მალე უფროსმა ნერონმა,  
კეთილი ნიშნებით აღფრთოვანებულმა,  
ბრძოლები გამართა უძმაფრესი  
და მთლად შემუსრა კელური რეტნი.

გვენახა, ნეტავ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში  
თავისუფლებისთვის თავის გამწირველს  
ვით მუსრავდა მტერს უწყალოდ!  
ვითარცა ზენა ქარის ამოჭრა

გააპობს დრულებს და ტალღა იშხუველებს,  
ისე მოუდღელად მტრის რაზმით კვეთავდა,  
გზას იკაფავდა შეუსვენებლად  
ცეცხლის შუაგულში შეჭრილი რაშით.

- 25 როგორც აეფიდუს – მძვინვარე დიდროა  
ჩამოედინება დაენუსის სამეფოს  
და ემუქრება წასალეკად  
ვრცელ აპულიის ნახნავ ნათესებს,

- 30 ესრეთ მტრის რაზმი ჯიქური თავდასხმით  
ველზე გაშალა და ისე ჩახოცა  
გმირმა სპასხეტმა კლავდიუსმა  
და გამარჯვების გზებზე ვიღოდა
- 35 შენი ღმერთების და ჯარის შეწყვენით!  
სწორედ ამ დღის სწორს შენს წინ ქედმოხრილი  
ალექსანდრიის განიხვნა ბჭე  
და დარბაზები პატრონს გელოდა.
- 40 თხუთმეტი წელი როცა განსრულდა,  
კეთილმა ფორტუნამ ომის მოგებით  
ყველა ბრძანება აღგისრულა  
და ნანატრი ნათელით შეამკო.
- თაყვანს გცემს მიდია და მიწა ინდოთა,  
კანტაბრიელი, სკიითი მომთაბარე,  
ოი, ამა დღეთა, მძლე ქომაგო,  
იტალიის და მბრძანებელ რომის!
- 45 ქედს გიხრის პისტერი და სწრაფი ტიგროსი,  
ნილოსი, რომელიც სათავეს გვიმაღლავს,  
ზღვათაზღვა სავესე ურჩხულებით,  
ბრიტანთა ნაპირს შეჭიდებული:
- 50 თაყვანს გცემს გალია შეუდრეკელი,  
და პიბერიის პირქუში ქვეყანა,  
და მეომარი სიგამბრებიც  
შენს წინ მორჩილად განიარაღდნენ!

საიუბილეო ჰიმნი

ანუ

ჰიმნი საუკუნო

- ფებევ და ტყეთა მუფე დიანაე,  
შემამკობელნო ნათელნო ზეცისა,  
თაყვანს გცემთ მარად, გვიბომეთ, რასაც ვთხოვთ  
ამ უწმინდეს დღეს!
- 5 სიბილა ლექსად გამართულ მისნობით  
ბრძანებს ქალწულებმა, ნარჩევმა ვაჟებმა,  
დღეს შვიდი ბორცვის მფარვედი ღმერთების  
თქვენ საგალობელი.
- 10 მბრწყინაეი ეტლით, მზევ მსაზრდოებელო,  
დღეს ხან წაგვკვრი და ხან ისევ გვიბრუნებ

- ამოსვლა ჩასვლისას; დე, ნურც გენახოს  
რომზე დიადი!
- 15 ო, ილითიავ, შენ მიეც დედათა  
შეება ნაყოფის დროულად შობაში,  
ვითარც გნებაეს შენ, გინდ გერქეას ლუკინა,  
გინდ გენიტალისი!
- 20 შენ შეეწიე, ღმერთქალო, მამათა  
გადაწყვეტილებას გასათხოვ ქალებზე,  
დე, ქორწინების კანონით გამრავლდეს  
ნორჩი თაობა!
- ათჯერ თერთმეტი წლის უკუმეცევეით  
დაბრუნდეს ზეიმი და ჰიმნთა გალობა  
სამჯერ ნათელ დღეს და ამდენივეჯერ  
საამო ღამეს.
- 25 და თქვენ, პარკებო, სიმართლის მეტყველნო,  
დე, ის სიკეთე, რაც ბედმა განსაზღვრა,  
დაცული იქნეს თქვენი შემწეობით  
სამომავლოდ.
- 30 მიწამ აგვაესოს ხეავით და საქონლით,  
კერესს დაუწნას თაეთავის გვირგვინი,  
დე, იუპიტემა წყლით და ნიავეთ  
კვებოს ნაყოფი!
- ო, აპოლონო, მშვილდი შეიხსენ და  
ყრმათა ვედრება მშვიდად შეისმინე!  
35 მთვარის რკალიანო, ვარსკვლავთ დედოფალო,  
უსმინე ქალწულთ!
- რაკი ეს რომ თქვენი შექმნილია,  
როს კეთილ ლტოლვეთ ილიონის მოდგამ  
დატოვა ძველი ფუძე და უწია  
40 ეტრუსკთა მხარეს
- და უკან მიჰყვა უბიწო ენეასს,  
ვინც მოდგმას ტროას ხანძრიდან უჩვენა  
სწორი საეალი, მისცა დაკარგულზე  
უფრორე მეტი.
- 45 ახალგაზრდობას – კეთილი ზნე-ჩვევა,  
ჭარმაგთ – სიმშვიდე და დინჯი სიბერე  
რომულუსის ტომს – ყოველი სიკეთე  
მოეცთ ღმერთებო!

50 დე. ვენუსის და ანჟიზუს სისხლისას  
თეთრი ხარების თქვენთვის შემწირველს  
მორჩილ მტრის შემწყვალეს და სხვათა დამთრგუნველს  
მოეცო, რაც გთხოვთ!

55 მძლავრი ხელით და ალბური მახვილით  
ძრწის მიდიელი ზღვასა და ხმელეთზე:  
ერთ დროს დიდგულა სკვითი და ინლოც  
წყალობას ითხოვს.

60 მშვიდობა, რწმენა და პატიოსნება,  
ძველი რიდი და სიქველე დაბრუნდა;  
აი, გამოჩნდა ნეტარი სიუხვე  
ხვათის სავსე რქით.

65 ცხრა მუზის სატრფო, მბრწყინავი ფეხუსიც  
დამამშვენებელ მშვილდ-იხრით, მისანი,  
კინც ხელოვნებით მუდამქამს მკურნალობს  
ჯაფით დაქანცულთ.

70 ის წლიდან წლამდე გააბედნიერებს  
და გააძლიერებს რომს და ლაციუმს,  
კეთილ თვალს დაადგამს საკურთხეველს  
პალატიუმისას.

75 დე. ყური მიახყროს ავენტინუმის  
და ალგიდუსის მეუფე დიანამ  
ლოცვა-ვედრებას თხუთმეტი ვაჟკაცის  
და ჭაბუკთ აღთქმებს.

80 სახლებში მიგვაქვს რწმენა და იმედი,  
რომ იუპიტერმა და ღმერთთა კრებულთა  
85 ასმინეს ლოცვა ფეხებს და დიანას  
რომ აღვეუვლინეთ!

## შენიშვნები

### წაგნი I

!

გაიუს ცილნუსი შეყენავი (ბ.წ. 70 - 8). ვისაც ეს ოდა ეძღვნება, რომის სახელმწიფოს თავკაცის - პრეტორის - ოქტავიანუს ავგუსტუსის უახლოესი თანამდგომი პირი და მრჩეველი იყო. ავგუსტუსის კარზე იგი თავს უკრიდა და მფარველობდა პრინციპისა და რომის სახელმწიფოს ერთგულ, მებოტე პოეტებს. ამ პოეტთა შორის იყვნენ: ვერგილიუსი, პირაიუსი, პროპერციუსი და სხვ.

ძველანახვავარია ადამიანის მიდრეკილება და მისწრაფება: მოგი ღოდში გამარჯვებას ედგვის, ზოგი ხალხის გულის მოგებასა და თანამდებობის მოპოვებას ედგის, ზოგი პურით ბედლის ავსებას, ზოგ კანს საკუთარ მამულს ვერ მოსწყვეტ, ზოგს ეაჭრობით სურს გამდიდრდეს, ზოგი ცხოვრებას დეინათ სავსე თასთან განცხრომაში აგარებს. მოგიერთთა მისწრაფება კი ომსა და ნადირობაშია.

ლექსის აგგორი იდეალი პოეზიაა. უმაღლესი ბედსიერება პოეტის ადიაარებაა, ასეთთა ამ ლექსის უბთაურეთი აზრია.

4 მტკა - კონუსისებრი სასგარგო და საფინიშო სვეტი, რომელიც შვიდგზას უნდა შემოეწერათ დოდის მონაწილეებს.

8. სამშაგი პატივი – მძალად თანამდებობათა სამი საფეხური ძველ რომში: ელიტიზმი. პრეტურა, კონსულატუსი.

11. ლიბია – რომის პროვინცია ჩრდ. აფრიკაში; მარცხეული მდიდარი მხარე, რომელიც რომს პურული ამარაგებდა.

12. ატალუს III – პერგამონის (მე. აზიაში) უმდიდრესი მეფე, რომელმაც ძვ.წ. 133 წელს თავისი მხარე რომს უანდერძა.

16. მიტროპოლის მღვა – ეგეოსის ზღვის სამხრეთ მონაკვეთი.

19. მასიკური ღვინო – საუკეთესო ღვინო, რომელსაც კამპანიის მხარეში ამზადებდნენ.

32. ვეტერანე – ლირიკული პოეზიის მუშა.

33. პოლიპინია – საგუნდო-საფერხულო პოეზიის მუშა.

4

პოეტი აღწერს გამაფხულის დაბრუნებას და გვიჩვენებს დატკბობის სიციხით, რაკი სიციხილი გარდუვალია.

7-8. ეულანუსი (ბერძ. პეფესტო) ცეცხლისა და მკვლელობის ღვთაება, რომელსაც ცალთულა კოლიათები – კიკლოები ემსახურებოდნენ სამკვლელოში.

11. ფანუსი – ტყუთა და ჭაღათა ღვთაება.

14. ლიციუს სესტუს კვირინუსი – პორაციუსის მეგობარი; ძვ.წ. 23 წელს იყო კონსული.

9

პოეტი აღწერს მამთარს და მეგობარს განცხრომისაკენ მოუწოდებს.

1. სორაკე – რომის ჩრდილოეთით მდებარე მთა.

11

ეს ლექსი ეპიკურელის მოძღვრებად მიიჩნევა. პოეტი ურჩევს მორწმუნე გოგონას ლეკონოს, დაემორჩილოს ბედს და დღეიანდელი ღღის სიამით დატკბეს. „ხელემ იბრუნოს ხეალისა!“ ესაა ამ ლექსის უმთავრესი აბრი.

15

ოდა პომპროსისეულ ეოსს ეყრდნობა. დამშვიდებულ ამინდში პარისს, რომელსაც მშვენიერი ელენე ხომალდით მიჰყავს ტროაში, ზღვის მისანი ნერვესი ავ აღსასრულს უმისნებს.

2. მუხანათი მწყემსი – პარისი.

21. ლაერტის ძე – ლაერტიადე – ული(ქ)სე (ოლისესი).

35. პერგამეში – ილიონის ანუ ტროას ციხესიმაგრე.

23

ლექსი ანაკრეონტისებურია.

25

ლექსი ეძღვნება ლიდიას, რომელიც სიბერის გამო პეტრეების რიგს გამოაკლდა.

37

ძვ.წ. 30 წელს ოქტავიანუს ავგუსტუსმა დაამარცხა ანტონიუსი და კლეოპატრა და აიღო ალექსანდრია. ანტონიუსმა თავი მოკლა. ეგვიპტის ღვთაება – კლეოპატრამ, გადმოცემის თანახმად, გველებს დააკბენინა თავი და ამ გზით აღასრულა სიციხლე, რათა გყვედ არ წაეყვანათ და რომაელთა წესით ტრიუმფში (გამარჯვებულის საზეიმო პროცესიაში) არ გაეტარებინათ.

ავგუსტუსის გამარჯვებამ მის მომხრეთა აღფრთოვანება გამოიწვია, მათ შორის იყო, ცხადია, პორაციუსიც. ამ ოდაში პორაციუსი ჰაბაძავს მელიკოს პოეტ ალექსოს, რომელსაც მისი პოლიტიკური მტრის სიციხილზე უთქვამს: „ახლა საჭიროა გამოეთერეთ და სხვასაც მოუწოდოთ დალიონ, რადგან ჩაძაღვდა მირსილე“ (ალექსო, ფრგ – 39).

3. სალიური ლხინი – მარსის ქურუმების სალიების ზეიმი.

6. დედუფალი – ეგვიპტის ღვთაება კლეოპატრა, იულიუს კეისრისა და მერე ანტონიუსის სატრფო (ძვ.წ. 69 – 30).

17. მდრ. პომპროსი, ილიადა, XII, 129:

„ვითარცა ქორი დაესხმის თავს მძალად მტრედს“.

წიგნი II

3

კეინტუს დელიუსი, რომელსაც პოეტი ურჩევს ამქვეყნიური ცხოვრებით დატკბობას, პოლიტიკურად მერყევი პიროვნება იყო. ბოლოს ავგუსტუსის მხარეზე დადგა.

15. სამი და – ბელისწერის სამი ღმერთქალი (რომ. პარკები, ბერძნ. მოირები), რომლებიც ადა-  
მიანის ბელის ძაფს ართავენ.

22. ინაქე – არგოსის მითური მეფე, იოს მამა.

24. ორკესი – საიქიოს ღმერთი (პლუტონი). მის სამეფოში მიცვალებულთა სულები ნაეთი გადა-  
კაყავდა მდინარე სტიქსზე ქარონს.

4

პოეტი ურჩევს ქანთიას, ნუ ერცხენება მსახური ასულის ტრფობა. ვინ იცის, ეგებ კეთილშობილი  
წარმოშობისაყ იყოს? ამის მავალითი ხომ ბუერია წარსულში!

4. იგულისხმება ტყვე ქალი – ბრისეისი, რომლის გამოც წაეკიდნენ ერთმანეთს აქაველთა წი-  
ნამბლოლი ავამემნონი და ფეხმარდი აქილევსი.

7. აგრიღმა ავამემნონმა ხასად წაიყვანა ტროას მეფის მისანი ასული კასანდრა.

25. პენატები – კერის ღმერთები.

23-24. აქედან ჩანს, პორაიუსს ეს ოდა ძე.წ. 25 წელს შეუთხზავს (პოეტი დაიბადა ძე.წ. 65 წელს).

7

ამ ოდაში პორაიუსი თავისი ძველი მეგობრის, პომპეუს ვარუსის, ღბრუნებით გამოწვეულ სიხ-  
არულს ამელაენებს.

პომპეუს ვარუსი რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი იყო და რომში დიქტატურის  
დამყარებას ებრძოდა.

რომში დაბრუნდა ოქტავიანუსის ამნისკით (ძე.წ. 29 წელს).

7. სირიული მალობათრონი – ერთგვარი მცენარე.

9. ძე.წ. 42 წელს ოქტავიანუსმა და ანტონიუსმა ფილიპთან ბრძოლაში დაამარცხეს ბრუტუსისა და  
კასიუსის მხედრობა, ბრუტუსის მხარეზე მამინ პორაიუსიც იბრძოდა პომპეუს ვარუსთან ერთად და  
ძლეულმა ფარც კი დაკარგა (ბრძოლაში ფარის დაკარგვის მოტივი ცნობილია ანტიკურ პოეზიაში.)  
პირველად იგი ძე.წ. VII ს-ის ბერძენი იამბოგრაფოსის არქილოტე პაროსელის ლექსში გვხვდება.

26. ელონები – თრაკიელები.

10

ეს ცნობილი ოდა პორაიუსმა მიუძღვნა მეგობარს, ძე.წ. 23 წელს კონსულად მყოფ ლუციუს  
ლიცინიუს მურენას, რომელიც ძე.წ. 22 წელს სიკვდილით დასაჯა ავგუსტუსის წინააღმდეგ მიმართულ  
შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

ოდაში პოეტი ადრესატს მოუწოდებს, ყოველ საქმეში, ბელსა თუ უბედობაში, დაიყვას მომიერება  
ანუ ოქროს მუალედი (აურეა მედეოურიტას).

14

ცხოვრება ხანმოკლეა, სიკვდილი – გარდუვალი. პოსტუმუსი, ეგყობა, კონკრეტული პირი კი არ  
არის, არამედ განზოგადებული სახეა კაცისა, რომელიც ქონების დაგროვებას გაუტაცნია და ვერ  
შეუვინა ამაოება ამა ქვეყნისა.

7. მწუხარების გაღლა – მწუხარების მდინარე, საიქიოს სტიქსი.

8. გერონი – სამფაშვიანი ურჩხული, რომელსაც ჰერკულესმა (პერაკლემ) ხარები მოსტაცა. გი-  
გიონი – საიქიოში შებორკილი ურჩხული, რომელმაც ღმერთქალი ლეტოზე (ლატონაზე) ძალა იხმარა  
და რომელიც აპოლონმა და არტემიდემ მოკლეს.

14. პალრია – ადრიატიკის ზღვა.

17. კოკიტუსი – კოკიგოსი – საიქიოს სამეფოს მდინარე. სხვა აქაური მდინარეებია: სტიქსი,  
აქრონტი, პერილევეტონი და ლეთე („დავიწყების წყალი“).

18. დანაოსის ჟილაგი – გეგიაპის მეფის დანაოსის ასულები, რომლებიც ქმრების დახოცვის გამო  
დაისაჯნენ.

24. კეიპაროსი – მიცვალებულის სახე.

16

პოეტი ხოგბას ასხამს მომიერებას, სიმშვიდესა და პოემიის მადლს. პომპეუს გროსფუსი, ვისაც  
ოდა ეძღვნება, მხედართა წოდების უმდიდრესი მემამულე იყო სიცილიაში.

15. ვერცხლისა თუ სპილენძის სამარილე გრადიციულ სამეპევიდრო ნითად ითილებოდა ყოველ  
ოჯახში.

18

პოეტი ბედნიერა იმით, რომ მოზომილი ცხოვრებით ცხოვრობს. საბრალთა სიმდიდრისაკენ  
მტკოლეული კაცი, რომელსაც აუიწყდება სიკვდილის მსახურალი ხელი.

4. პიმეცე (პიმეტოსი) – მთა აგიაპი, სამენი ხის მასალით სახელგანთქმული.

12. აქ მცენარე იგულისხმება.

14. საბინუმი – მეცენატისაგან ნაბოძები მამული ჰორაციუსისა.
24. ბაია – მდიდარ რომაელთა საკურორტო ადგილი კამპანიამი.
35. ორკუსი – ქალაქი. მისი მსახურია საიქიოს მენაეე ქარონი.

20

ჰორაციუსი წინასწარ ჰერეგს თავისი პოეტური შემოქმედების უკვდავებას.

1. ორმაგ ბუნებაში, არისტოტელეს თანახმად, იგულისხმება პოეტი, რომელიც სიკვდილის შემდეგ აღმზინის სულის მენარჩუნებით ფრთოსან გულად გარდაისახება.

13. იკარუსი – დედალუსის ძე, რომელიც მამასთან ერთად ხელოვნური ფრთებით კრეტის ლაბირინთიდან გაფრინდა და გზად დაიღუპა.

15. გეტულები – ტომი ჩრდ. აფრიკაში.

17. პიქერბორეები – უკიდურეს ჩრდილოეთში მოსახლე ტომი.

18. კოლხი და კოლხეთი არცთუ იმეათად ფიგურირებს ჰორაციუსის თხზულებებში.

19. იბერიელი – ესპანეთის მკვიდრი.

20. როდანუსი – მდინარე გალიაში (რონა).

### წიგნი III

1

პოეტის ამრით, სულიერი სიმშვიდისა და ბედნიერების წყაროა მოძიერება, მოკრძალება და არა სიმდიდრე და ფუფუნება.

27. ჰელუსი – ქარიშხლის მომასწავებელი თანაერსკელაეი.

28. არქტურუსი – უამინდობის ვარსკელაეი.

33-34. იგულისხმება ჯებიროთა მშენებლობა.

41. ფრიგიის მარმარილო – მეწამული ფერის ძვირფასი ქვა.

43. აქემენური ფუფუნება – სპარსული ფუფუნება.

46. აგრიუმი – ღარბამი.

18

ლექსი ეძღვნება ფაენუსის (ტყეთა და ჭალათა და აგრეთვე მწყემსთა მფარველი ღმერთის ფაენუსის ღლეობას ფაენალიას).

9. ნონები – თვის 7 რიცხვი მარტში, მაისში, ივნისსა და ოქტომბერში, ხოლო დანარჩენ თვეებში 5 რიცხვი. ფაენალია იმართებოდა 5 დეკემბერს.

13. ფაენუსი (გაიგივებული ლეთაება პანთან) მგლისგან საქონლის დამყველიცაა (ლუპერკუსია).

21

1-2. ჰორაციუსი მიმართავს მისი დაბადების დღიდან (ძე.წ. 65 წ.) გადანახულ დღინით სახეე ჰურ-ჰელს.

ძე.წ. 65 წელს რომის კონსულები იყვნენ: ლუციუს მანლიუს გორკეაგუსი და ლუციუს აერელიუს კოტა.

7. მარკუს ვალერიუს მესალა კორეინუსი (ძე.წ. 64 – ახ.წ. 9) – პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, ჰორაციუსის მეგობარი.

24. ფებუსი – აპოლონი, ღმერთი, რომელიც მზის ეგლით დაქრის ცის კამარაზე და განთიადზე ვარსკელაეებს აქრობს.

29

ჰორაციუსი მეცენატისადმი მიძღვნილ ამ ოდამი კელაუდაკელაე აუთიარებს აზრს იმის თაობაზე, რომ „ხეალინდელ დღეზე ხეალინდელმა დღემ უნდა იმრუნოს“. კაცი უნდა დაელოდოს საღამოს, რათა თქვას, რომ დღე კარგად განვლო; „მოკელავეს სეებედნიერი არ ეწოდების, ეიდრე უნაღვლოდ არ მიადწეეს ცხოერების აღსასრულს“ (სოფოკლე, „ოიდიპოს მეფე“ 1528-1530).

1. გირენელი – ეტრუსკული წარმომავლობისა.

7. ეფულა – ლაციუმის პატარა ქალაქი.

8. ტელეგონეს ქედი – ტელეგონუსი, ტუსკულუმი – პატარა ქალაქი რომთან ახლოს მდებარე, რომლის დაარსებას თქმულება მიაწერს ოდისეუსისა და კოლხთა მეფის, აიგის, დის კირკეს ვაჟს ტელეგონეს, ვინც მამა მოკლა.

10. მეცენატს ესკივილის ბორცვზე ედვა სასახლე, საიდანაც რომსა და მის მიმდებარე არემარეს გადასცქეროდა.

17. ანდრომედას მამა – ეფეუსი. მისი ასული ანდრომედა მღვის ურჩხულისაგან დაიხსნა პერსეუსმა. ეფეუსი ფინიკიაში მეფობდა. სიკვდილის შემდეგ ვარსკელაეთ მთარიცხეს.

კეფეუსის, ლომისა და პროკონის ანუ ძაღლის (სირიუსის) თანაერსკელაეთა გამოჩენა იელისის ხეაგს მოასწავებს.

23. სილვანუსი – ტყე-ეელთა და მდინარეთა სანაპიროების ლეთაება.

27-28. სერნი შორეული აღმოსავლეთის გომი; ბაქტრა – სპარსთა სასატრაპოს ბაქტრიის ქალაქი; განაისი – ღონი.

65. გყეკი პოლქსი – იველისხმება „ღიოსკურების“ თანაეარსკელაედეი.

30

თაეის ოდების პირველ გამოეემას (ძეწ. 23 წელს) პორაეეუსმა სწორედ ეს ლექსი დაურთო ები-ლოვად, რომელშიც დამსახურებული სიამაეეით შეაფასა საეკუთარი პოეტური მოღვაწეობა.

5. აქეილონი – ჩრდილოეთის ძლიერი ქარი.

7. ლიბიგინა – მიეეალეებულთა რომაული ლეთაება.

11. აეფიდუსი – მდინარე პორაეეუსის მშობლიურ აპულიაში.

12. დაენუსი – იხ. შენ. I, 22, 14.

15. მელპომენე – იხ. შენ. I, 24, 4.

#### წიგნი IV

1

პოეგი ეეედრება სეეეარულის ღმერთქალ ვენუსს, რათა დაეხსნას მას, შეახანს მიღწეული კას, რომელსაც ტრფობის ეამი ვარდასელია.

4. კინარა – პორაეეუსის ყრმობის ეამინდელი სატრფო ვოვონა, რომელიც აღრე ვარდაეეეალა.

10. პაულუს ფიბიუს მაქსიმუსი – კონსულად მყოფი ძეწ. 11 წელს აეგესტუსის ეერთველესი თანამდგომი. ეეეეობა, ოდის შეთხზეის ეამს, პაულუსი ახალგაზრდა კაცი იყო და ლად ცხოერებას ეწეოდა.

19. ალბანუსის გბა – გბა რომის მახლობლად.

26-27. იველისხმება ქერუმ სალიების ფერხული.

33. ლეგერინუსი – ჭაბუკი ეინმე.

7

ბუნებაში ყველაფერი ცვალებადია: ზამთარს გამაფხული ენაცელება, გამაფხულს მაფხული და მაფხულს შემოდგომა, მერმე ეკლავ დაევიზამთრდება და ა.შ. სწრაფ ეამთა სრბოლაში ბუნება დანაკლის აღიდგენს ხოლმე. მაგრამ ჩენ, მოკედაეებს, სეეედილის შემდეგ ეეეარაეეთარი ძალა ეეეარ აღეეადგენს მეკერეთით, რადგან „მევეერი და ჩრდილი“ ვართ: (პულეის ეგ უმბრა სუმუს) ამ მეღანქოლიური ხასიათის ოდს პორაეეუსი უძღენის თაეის ერთ-ერთ მეეობარს – მანდიუს გორე-ეაეუსს.

5. ერაეეეიბი – გამაფხულის მშეენების სამი და (იხ. I, 4, 6; III, 19, 16).

15. გულუს პოსტილუსი რომის მესამე მეფე იყო, ანეუს მარციუსი – მეოთხე.

26. კიპოლიგუსი (კიპოლიგე) – თეგეესის ეაეი, რომელმაც უარყო ღედინაცელის ფედრას სეეეა-რული.

27. პირითოუსი (პირითუსი) – ლაპითების მეფე, რომელმაც თესეესთან ერთად საიქიოდან პერსე-ფონეს (პრომერპინას) ვაგაეეება მოინდომა. საიქიოს ღმერთმა, პერსეფონეს მეულეე პლუტონმა, იგი საიქიომეეე შებორკა. თესეესი პერაკლემ დაიხსნა.

28. ლეთე – საიქიოს სამეფოს მდინარე, რომლისგანაც დაეეეეების წყალს სეამდენ მიეეალე-ბულთა სულნი.

10

ოდა ეძღენება ეინმე ყრმა ლეგერინუსს: ყრმობის დროინდელი სილამაზე წარმაეალია და ასაკი ჭაბუკური მვიადობის დამთრგუნეელი.

12

ეს ოდა, ისევე როგორც სხვა ლექსეიბი, ვაეღენთილია პორაეეუსისეული ებიკურეიმბით. ოდის ადრესაგი დიდი პოეგი ეერგილიუსი კი არ არის (ამ ოდის შეთხზეის დროს იგი ცოცხალი აღარ იყო), არამედ სხვა პიროენება. არის ეარაული, რომ ეს ვერგილიუსი იყო გიბერიუსისა და დრუმუს ნერ-ონების კარის ეეეიმი, რომელიც თურმე ნარდის მეენარის ძეირად ღირებული ნელსაცხებლით ეაჭ-რობდა. ასეთი საქმიანობით ეს ვერგილიუსი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ახალგაზრდა რომაელებში.

5-8. თრაეიის მეფე ტერეესს ცოლად ესვა ათენის ლეგენდარული დამფუძნებლის კეკროფისის ბადიმის პანდიონის ასული პროკნე, რომლისგანაც ჰყავდა ეაეი იგისი. ტერეესმა ძალადობა იხმარა ცოდისდამე ფილომელამე. დებმა შურისძიების მიზნით მოკლეს იგისი. ტერეესმა დების დახოეეა ინ-ლომა, მაგრამ საბეეენი ფრთოსნებად ვარდაეეემენ: ტერეესი ოფოფად იქეა, პროკნე – მერცხლად, ფილომელა – ბელბულად (იხ. ოეიდიუსი, მეგამორფობეი: „ფილომელა და პროკნე“ გვ. 161-167).

14

ეს ოდა, როგორც ვადმოგეეემენ, აეეესტუსის მეეეეთითაა შეთხზული მისი ვერების დრუმუსისა და გიბერიუსის ვამარეეების აღსანიშნეად (იხ. შენ. IV, 4).



ძე.წ. 15 წლის პირველ აგვისტოს კლაედიუს დრუმუს ნერონმა და კლაედიუს გიბერიუს ნერონმა დაამარცხეს კელტური მოდემის ვინდელიკები და მათი მოკავშირე გენანები და ბრენები, თხუთმეტი წლით ადრე, ძე.წ. 30 წელს, სწორედ პირველ აგვისტოს ოქტავიანუს ავგუსტუსმა აღექსანდრია დაიმორჩილა.

პორაიუსი ფაქტიურად ავგუსტუსს ასხამს ხოგბას.

13. უფროსი ნერონი – გიბერიუსი, რომელიც შემდეგ იმპერატორი გახდა.

25-26. აეფიდუსი, დაენუსი აპულიის ჩრდ. ნაწილი. სახელი შეერქვა მითური მუზის დაენუსის სახელისაგან. მდინარე პორაიუსის მშობლიურ აპულიაში.

50. სიბერია – ესპანეთი.

51. სიგამბრები – იხ. შენ. IV, 2, 35.

საიუბილეო ანუ საუკუნო ჰიმნი

საიუბილეო – საუკუნო ანუ სექულარული ჰიმნი (Carmen saeculare) პორაიუსმა ავგუსტუსის დაკვეთით შეთხზა რომში დიდ ღღესასწაულზე (ludi saeculares – სექულარულ გართობა-თამაშობებზე) შესასრულებლად.

პორაიუსის ეს ჰიმნი ძე.წ. 17 წელს გამართული მეომის მესამე ღღეს შესარულა 27 ჭაბუკისა და 27 ქალწულისაგან შემდგარმა გუნდმა პალატიუმის გორაკზე ავებული აპოლონის ტაძრის წინ და მერე კაპიტოლიუმზე ჰიმნს გუნდი შენაცვლებით მღეროდა.

პორაიუსის ამ ჰიმნის თაობაზე ცნობები მოიპოვება ბერძენი მწერლების ფლეკონტ გრალელის (ახ.წ. II ს.) და მოსიმეს (ახ.წ. V ს.) თხზულებებში. მეტად საყურადღებო ცნობა დაუკლია აგრეთვე 1890 წელს რომში აღმოჩენილ დიდ ეპიგრაფიკულ ძეგლში – ოთხწახნაგოვან მარმარილოს სვეტზე ამოკვეთილ ვრცელ წარწერაში, რომელიც წარმოადგენს საიუბილეო – სექულარული ღღეობების ოფიციალურ ანგარიშს (commentarium ludorum saecularium). აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ „ჰიმნი შეთხზა კეინტუს პორაიუსს ფლაკუსმა“.

თარგმნა მანანა იმნაძე

## სატირა II,6

- 1 ჩემი ოცნება იყო მიწის მცირე ნაკვეთი,  
ბაღი წალკოტი, სახლთან ახლოს ჩუხჩუხა წყარო.  
და ამას გარდა, ტყის კორომი სადმე პატარა,  
ყოველივე მაქვს ღმერთთა ნებით, მეტს არც რას ვითხოვ.
- 5 მერკურიუსო, შემარჩინე ეს საჩუქარი.  
ქონების გაზრდა არ მიცდია უნამუსობით,  
არც მინატრია ზოგი ხარბი, პრიყვი კაცივით:  
„კარგი იქნება, მივიერთო მიწის ის გოჯიც,  
ნეტავი ქილას გადავაწყდე, საესეს ვერცხლითა,
- 10 ხნულში რომ კპოვა მოქირაენე გლეხმა ანაზდად.  
მფლობელი გახდა იმავ მიწის, სხვას რომ უხნავდა“.  
ჰერკულეს, რაკი ჩემი ბედით კმაყოფილი ვარ,  
მიმრავლე ჯოგი მსუქანი და ღოვლათი მომეც,  
ჭკუაც მახვილი: მუდამ ჩემი იყავი შემწე.
- 15 რომს გამოვექეც, შევეფარე მთას, ციხე-ქალაქს.  
უბრალო ლექსით, სატირებით ვით გიძღვნა ქება?  
ამპარტავნება არ მაწუხებს. არც ქარიშხალი.  
არც შემოდგომა, მრავალ სენთა, სიკედლის წყარო.  
მამავ ცისკრისა! იანუსო! გიწოდებ ასე.
- 20 შენით იწყებენ ღმერთთა ნებით კაცები გარჯას  
სისხამ დილაზე. დაე, ლექსიც დაიწყოს შენით.  
რომში როცა ვარ, სულ მაჩქარებ; სხვამ არ დაგასწროს,  
ქომაგის როლი გაკისრია, იყოჩაღეო.

- წაუსვლელია არ იქნება, გინდ ქარიშხალი  
 25 ასკლებოდეს, ანგრევედეს მიწას, გინდ ზამთრის დილა,  
 სუსხიანი თოშავდეს სხეულს. როგორც კი საქმეს  
 დავასრულებ, ნათლად წარმოეთქვამ სიტყვას მოზომილს,  
 ბრბო მოყაყანე მეღობება, ძლივს მივაბიჯებ:  
 „აქ რას აკეთებ, უგუნურო?“ ან: „აქ რა გინდა?“  
 30 თავს მესხმის ბილწი: „მუჯღუგუნებით სად მიიწევე,  
 შენს მეცენატთან მაღლიერმა რომ მიირბინო?“  
 გეტყვი: ეს ლანძღვა ჩემთვის თაფლზე უტკბესი არის.  
 ავალ თუ არა ესკვილინზე, ათასი ფიქრი  
 და საზრუნავი თავს წამოყოფს, მაწვება ტვირთად.  
 35 როსციუსი მთხოვს პუტეალთან მისვლას ფორუმზე,  
 გადამწერებს სურთ წამოიწყონ ახალი საქმე.  
 შემახსენებენ, რათა დღესვე მათ შევეუარო,  
 ერთს მეცენატის ბეჭედი სურს რაღაც საბუთზე.  
 „ენახოთ“ – ვასახვობ. „უნდა შეძლო“ – მთხოვს დაჟინებით,  
 40 შვიდი თვე გახდა, რაც მეცენატს დაეუახლოვდი,  
 გზად მიმავალმა ერთხელ თავის ეტლში ჩამისვია,  
 დაინტერესდა, რა დრო იყო, მერე – ვინ მომწონს:  
 გლადიატორი სირუსი სჯობს თუ თრაკიელი,  
 და სხვა ამგვარი მასლაათი გააბა ჩემთან.  
 45 ისიც მირჩია, რომ დილის სუსხს მოვრიდებოდი,  
 ასეთ საუბარს ყბედთანაც კი გაბედავს კაცი,  
 და ეს ჩემს მიმართ მზარდი შურის მიზეზი გახდა.  
 ეთქვათ და თეატრში თვალი მომკრეს მე მეცენატთან,  
 ან მარსის ველზე. „ბედი წყალობს“ – გაიძახიან.  
 50 თუ რაღაც ჭკორი საშინელი აგორდა ხალხში,  
 ვინც კი შემხვდება, მეკითხება: „გეტკოლინება  
 შენ სიმათლეთ, რადგან ღმერთები მეგობრად გთვლიან“.  
 „დაკებზე რამე თუ გაიგე?“ – „მე? არაფერი“.  
 – „კარგი, ნუ ხუმრობ“. – „შემრისხოს ღმერთმა, თუკი...“  
 55 მაშ, ის გვითხარი: კეისარი იტალიაში  
 ურიგებს მიწებს მეომრებს თუ სიცილიაში?“  
 რას არ ვიფიქრებ, რომ არ ვიცი მე არაფერი.  
 უკვირთ, ფიქრობენ, საიდუმლოს გათქმა არ მიეყარს.  
 ასე უაზროდ დღე თავდება. სულ ნატვრაში ვარ:  
 60 როდის ვიხილავ სოფელს, როდის გადავშლი წიგნებს,  
 როდის იქნება, უდარდელად ძილს მივცე თავი,  
 მშვიდად შევიგრძნო ნეტარება ამქვეყნიური.  
 როცა სუფრაზე დალაგდება შაშხი მსუქანი,  
 ლორთქო მწვანელი, პითაგორას ცნობილი ცერცვი,  
 65 ღამის ნადიმი, დიდებული, ღმერთთა საკადრი.  
 საკუთარ ჭერ-ქვეშ დროსტარება ჩემიანებთან,  
 მსახურებიც რომ მოილხენენ სუფრის ნარჩენით,  
 ვისაც როგორ სურს, მხიარულობს: დაეწაფება  
 ზოგი ღვინოს სვამს ხარბად ისე, სასმისს არ ირჩევს,  
 70 ზოგი ეცემა დიდ ჯამს, ზოგიც ყელს გაისველებს.  
 სხვის სახლებზე და სხვის ვილებზე ჩვენ არ ვჭორაობთ,

- და არც იმაზე, როგორ მოგვწონს ლეპოსის ცეკვა,  
ჩვენ ვმსჯელობთ მასზე, რისი ცოდნა საჭირო არის:  
75 „ბედნიერებას სიმდიდრით თუ სიქველით ვპოვებთ?“  
„საჭიროება თუ სიწირფელე ქმნის მეგობრობას?“  
„რაა სიკეთე? სრულად რაში ვლინდება იგი?“  
კერვიუსი კი, მეზობელი, გვართობს არაკით:  
ვთქვათ, ვინმე აქებს არელუსის ზღაპრულ ქონებას,  
არ სურს გაიგოს, რა წყალებით აქვს ნაგროვები,  
80 სათქმელს არაკით გვამცნობს მაშინ ჩვენ კერვიუსი.  
მინდვრის თავუნამ მიიწვია თავის სოროში  
ქალაქელი და თუმც უჭირდა მას სარჩოს პოვნა,  
სტუმარს გულღიად შეეგება, არ დაიშურა  
გადანახული საგანგებოდ ცერცვი და შვრია,  
85 მიუცუნცულა ჩამიჩიც და ნაჭრები შაშხის,  
სურდა ეგემა რამე მაინც წუნია სტუმარს,  
ნაირნაირი მირთმეული ნუგბარი მისგან:  
აწვდიდა რჩეულს, სანაქებოს, თავად კი, ბზეზე  
წამოსკუპული, გამხმარ თავთავს წიწკნიდა მხოლოდ.  
90 „აქ როგორ ცხოვრობ, მეგობარო. უსიერ ტყეში.  
ვერც შევადარებ ხალხით საესე ქალაქს შენს სოფელს,  
წამოდი ჩემთან“ – ქალაქელმა მიმართა სოფელელს –  
„ნახავ, მოკვდავნი იქ სიამით როგორ ცხოვრობენ.  
სიკვდილს ვერავეინ გაექცევა – დიდი, პატარა,  
95 მაშ, სანამ დროა, ჩემო კარგო, დატკბი ცხოვრებით,  
რადგან, ძვირფასო, მოგაგონებ, მოკლე გვაქვს დღენი“.  
ამ შეგონებას დაუჯერა სოფელელმა თავმა,  
დატოვა სორო. მხიარული მგზავრები ღამის  
ქალაქისაკენ გზას გაუყენენ, მიადგნენ ზღუდეს.  
100 ღამემ ცის თალი ბინდისფრად თითქმის შეღება,  
როს შეცუნცულდნენ სასახლეში. დატოვეს კვალი  
პაწია ფეხთა. თვალს ახარებდა სარეცლები  
სპილოს ძვლისაგან. ფარდაგები მეწაშულ ფერის,  
პირამდე ეწყო მიმოფანტულ კალათ-წნულებში  
105 წინანდელ ღამის უხვი სუფრის ნაალაფარი.  
სოფლის წრუწუნა ქალაქელმა პატივით ჩაფლა  
ძოწის სამოსში. გაუმასპინძლდა მას გულუხვად.  
როგორც მსახური, აქეთ-იქით ისე დაჰქროდა  
და ყოველ საჭმელს უსინჯაჲდა გემოს თავადაც.  
110 სტუმარს ახარებს ბედის უცებ წაღმა ტრიალი  
და სიამოვნებს მეგობართან ტკბილი ბაასი.  
მაგრამ მეგობრებს ზაფრა ეცათ ურდულის ხმაზე  
და კისრისტეხით გაირბინეს მთელი სასახლე.  
კინაღამ სული განუტევეს შიშით, როდესაც  
115 შეესმათ ყეფა ქოფაკების, მაშინ სოფელელმა  
ქალაქელ თავკს დაუკრა თავი: „შენნაირ ყოფას  
მირჩვენია ცერცვილის წიწკნა უშიშრად ტყეში“.

## შენიშვნები

- 5 მერკურიუსი – შიკრიკი ღმერთი.  
19 იანუსი – უძველესი იტალიური ღმერთი, ორსახოვანი ღმერთი.  
33 ესკილინი – ერთ-ერთი შეიღ ბორცუთაგან, რომელმედაც იყო გაშენებული რომი.  
35 პუტალი – ადგილი ფორუმზე.  
43 სირუსი – მამაკაცის სახელი.  
49 მარსი – ომის ღმერთი.  
52 დაკები – დაკიაში მცხოვრები ტომები.  
64 პითაგორელებს თითქოს ეკრძალებოდათ ცერცვის ჭამა.  
73 ლეპოსი – სახელი.  
77 კერეუსი – მამაკაცის სახელი.  
78 არელუსი – მამაკაცის სახელი.

*თარგმნა იამზე გაგუამ*

## პოეტური ხელოვნება

1. მხატვარმა რომ ადამიანის თავს ცხენის კისერი გამოაბას, ყოველგნით შეკრებილი ასო-ნაწილი ნაირგვარად შეუბუბულოს, მერმე კი ლამაზი ღიაცის გამოსახვით დაწყებული ეს ნახატი საზარლად დაასრულოს შავი თევზის კედით, სახილველად მიხმობილინ, შეიკავებდით თავს სიცილისაგან, ჩემო მეგობრებო?

6. მენდეთ, პიზონებო,<sup>1</sup> სწორედ ასეთ სურათს დაემსგავსება წიგნი, რომელშიც სიცილით გათანგული ავადმყოფის სიმშრისებურად აისახება საოცარზე საოცარი ხატები, სადაც არც თავი და არც ფეხი ერთი მთლიანი იერის შესაბამისი არ იქნება.<sup>2</sup> მართალია, მხატვრებსაც და პოეტებსაც იმთავითვე თანაბრად აქვთ მინიჭებული უფლება, გაბედონ, რაც ნებათ, – ეს მე კარგად ვეუწყი და ამ წყალობას თავადაც მოვითხოვ და სხვასაც ვერ ავუკრძალავ; ოღონდ ეს უფლება იმად როდი გვეძლევა, მშვიდი მძეინეარეს შევეურთოთ, გველი – ნიბლია ჩიგს, ვეფხვი კი – ბაკანს!

14. მნიშვნელოვანი განმრახვით წამოწყებულ ქმნილებას, რომელიც ბევრსა და რადაც ღიადს გვიპირდება, მეგად რომ ვაბრწყინდეს, ხშირად ძოწისფერ ნაკერებს დაადებენ აქა-იქ ან ღიანას<sup>3</sup> ჭალასა და საკუთრხეველს აღწერენ, ან მჩქეფარე ნაკადულის ლალ ღინებას თვალწარმტაც მდელოზე, ანდა მდინარე რენუსსა<sup>4</sup> და წვიმის მაუწყებელ ცისარტყელას; – და ეს მაშინ, როცა არც ერთი ამათაგანის ადგილი არ გახლდათ აქ! შენ ეგებ კვიპაროსის ხის დახატვა ხელგეწიფების, მაგრამ რის მაქნისია კვიპაროსი, როცა ჩაძირული ხომალდიდან ცურვით ძლივს გამოღწეული, უკვე იმედდაკარგული კაცი უნდა დაიხატოს, როგორც კი გაიღებს გასამრჯელოს?<sup>5</sup> ეთქვათ, ამფორის გაკეთება შეგიკევეთ, როს ბორბალი დაგრიოაღა,<sup>6</sup> რაგომ გამოგივიდა ცალყურა ღოქი?

საქმე ისაა, რასაც ქმნი, იყოს მარტივი და მთლიანი!<sup>7</sup>

24. მგოსანთა დიდ ნაწილს, მამავ და ღირსეული მამის შეილებო, ხშირად გვაძუნებს უკეთესისაკენ მისწრაფება: როცა ვცდილობ, მაგალითად, გრძელი სიგყვა მოკლედ ეთქვა, გაუგებარი და ბნელი ვხდები, სიმსუბუქისაკენ მლგოლველს კი ნერვები და ძალა ადარა მყოფნის; ხშირად ამაოდ იჭაჭება, ვაი-უშველებელს ეინე გვირდებოდა, ხოლო ის, ვისაც ქარიშხლის მეტისმეტად ეშინია, მიწაზე დაბობდავს თავის გადასარჩენად; ზოგიც ცდილობს, უბრალო და მარტივი რამე ნაირნაირად და სსწაულებრივ წარმოგვისახოს, ამიგომ დელფინს ტყეში გვიხატავს, გარეულ ღორს კი – მდეღვარე ტალღებში.

შეცდომისაგან თავდაღწევის სურვილი, ხშირად შეცდომისაკენ მიაქანებს მას, ვისაც აკლია ხელოვნება!

32. ემილიუსის სკოლის ნებისმიერ ოსტაგს შეუძლია ბრინჯაოსაგან ფრჩხილებიც გამოსახოს და რბილი თმებიც, მაგრამ საბოლოო შედეგით მაინც ხელმოცარული რჩება ოსტაგი იგი, რამეთუ მთლიანის შექმნა არ ძალუძს.<sup>8</sup> მე რომ რაღაცის შეთხზვა მოვიწადინო,

სრულიად არ ვისურვებდი, დაემსგავსებოდი ხსენებულ ოსტაგს, როგორც არ ვისურვებდი, შავი თვალებისა და შავი თმის პაგრონს მრულე ცხვირი მქონდეს საჭკრეგელად.

38. დასამუშავებელი მასალა, მწერლებო, ყოველთვის თქვენ ძალთა შესაბამისად შეარჩიეთ და ხანდაზმით დაუკვირდით, რის აწევას შეძლებენ თქვენი ბუკები და რის დაძვრამე იგყვიან უარს. ვინც თაყვის შესაძლებლობისდა მიხედვით აირჩევს საგანს, მას არც ენაბჭევრობა დააკლდება და არც ნათელი სიმწყობრე. ამ სიმწყობრის სიკეთე და მშვენიერება, თუ არ ეცდები, ის გახლავთ, რომ ახლა ითქვას მხოლოდ ის, რაც სწორედ ახლაა სათქმელი, ბევრს კი გვერდი უნდა აეელოს და სხვა დროისათვის გადაიდოს.

45. დათქმული ლექსის წინადახედული და ფრთხილი მთხვეული როს სიგყვით შეწენას შეუდგება, ზოგს სიყვარულით და მოწიწებით მოეკიდება, ზოგს კი მიზლით მოიცილებს თავიდან.

თუ საყოველთაოდ ცნობილ სიგყვას მარჯვე შეხამება ახალ ელფურს აძლევს, ნათქვამი ჩინებული და სხარტი გამოგივა.

ზოგჯერ, შემთხვევის გამო, აუცილებელია იღუმალ ამბავთა გამჟღავნება ახლებური გადმოცემით; ეს სრულიად დასაშვებია და თუ ეს თავისუფლება გონიერულადაა გამოყენებული, დაკვირვებით გამოკეთილი ახალი სიგყვა, ძირძველი ცეთეგვებისათვის თუნდაც აქამდე გაუგონარი, უთუოდ კეთილ სამსახურს გასწევს.<sup>9</sup>

52. ახლადშექმნილი სიგყვა მეტ ნდობას მოიპოვებს, თუ ბერძნულ წყაროს ეყრდნობა და სიფრთხილითაა იქიდან გადმოღებული. და მართლაც: რაგომ აღუკვეთს რომელი მოქალაქე ვერგილიუსსა და ვარიუსს იმის უფლებას, რომელსაც ცეცილიუსსა და პლაეტუსს უყოყმანოდ უბოძებს?<sup>10</sup> თუ ამ საქმეში მცირეოდენი წელილის გაღება მეც ძალმის, ამისათვის რაგომ უნდა შემრისხონ? კატონის და ენიუსის ენა ახალ სახელთა შემოგანით განა არ ამღიარებდა ჩვენს მშობლიურ მეტყველებას?<sup>11</sup> ყოველთვის იყო და კვლავაც ნუბადართული იქნება სიგყვის გამოკვეთა აწმყოს დამლით!

60. ვით გყე მოისხამს წელთა სროლაში ნორჩ ფოთლებს ძველთა ცვენის შემდეგ, ისე ენა შეიმოსება ხოლმე ახლადშობილი და ღონიერი სიგყვებით, როს მოძველებულთა გაუღით ყავლი. სიკვდილს ეერც ჩვენ ავცდებით და ეერც ის გადაურჩება, რაც ჩვენეულია! ეთქვით და მეფური საქმე აღეასრულეთ – ჩრდილოეთის ქართავან ხომალდთ კრებულის დასაყავად ზღვის უბე შეეჭვით ხმელეთში, ანდა ხანგრძლივი დროის მანძილზე უნაყოფო და მხოლოდ ნიჩბით მისაწვდომი ჰაობი გუთნით გადაეხანით მეზობლად მდებარე ქალაქთა გამოსაკვებად, ან კიდევ ჩვენი მოსაელისათვის მდინარის სამიანო დინებას უკეთესი და ახალი მიმართულება მიეცით – მაინც წარმაეალნი და მოკვდავნი არიან საქმენი ჩვენნი!

ცხადია, არც ჩვენს მეტყველებას ძალუბს შეინარჩუნოს ოდინდელი პაგივი და მოხდენილობა. ბევრი გარდასული სიგყვა კვლავ აღდგება ხოლმე, ხოლო ის სიგყვა-თქმანი, ახლა რომ დირსება-პაგიეშია, დაეიწყებას მიეემა, თუ ეს მოისურვა ჩვეულებამ, რომლის ხელთაა ძალა, სამართალი და მეტყველების წესი და რივი.

73. თუ რა საზომით უნდა აღიწეროს მეფეთა და გმირთა მიერ აღსრულებული საქმენი, ეს პომპროსმა გვიჩვენა,<sup>12</sup> ხოლო არათანაბარ კარელთა<sup>13</sup> დაკავშირებით თავდაპირველად ჩივილი გამოხატეს, მერმე კი სასურველი რჩევა-დარიგებანიც ჩართეს შიგ იმის თაობაზე, თუ ვინ შექმნა ეს სგრიქონმცირე ელევიები, გრამაგიკოსები ცხარედ დაეობენ და დაეაჯერაც გადაუწყვეტელია. გამკილავი იამბით არქილოქე რისხვამ და წყრომამ შეაიარადა.<sup>14</sup> ეს გერფი შემდგომ შეითვისეს სოკუსებმა და მალაღმა კოთურნუსებმა,<sup>15</sup> რამეთუ მეტად მარჯვეა იგი კითხვა-მიგებაში, ადვილად ახშობს ბრბოს გუგუნის და საერთოდ სასცენო მოქმედებისთვისაა გაჩენილი.<sup>16</sup>

83. ღეთაებათა და ღმერთთა ნამიერების, კრივმი გამარჯვებულისა და ღოღმი უპირეულესი რამის, ასევე ჰაბუკთა ოცნებებისა და ლალი ღვინის პანგებით შემეკობა მუზამ ჩანგის სიმებს მიანდო.<sup>17</sup>

86. რაგომ უნდა მერქვას პოეგის სახელი, თუ არ ძალმის და არ ვიცი უკვე მოწესრიგებულ ხერხთა, თხზულებისათვის ეგომო საჭირო ფერთა მერჩევა-გამოყენება? განა სწავლა მრულე უეიყოზამე სამარცხინოა?

89. კომიკურ ამბავს როდი მოუხდება, გრაველიის ენით გადმოიყეს; ასევე აუტანელია, თქმულმა თიხტეს ნაღიმზე<sup>18</sup> კომედისათვის განკუთვნილი ლაღი ლექსით აღიწეროს; – თითოეულმა საგანმა მუღამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს! თუმცა, ხანდახან, კომედიაჲ იმაღლებს ხმას და რისხვაჲმორეული ხრემესი<sup>19</sup> ზომამე მეტად გაბერილი სიგყვით ილანძლებს; გრაველიაჲ კი სამშობლოდან გამოძევებული და გადატაკებული ტელეფუსი და პელეესი საკმაოდ ხშირად უკუაგდებენ ხოლმე მაღალფარდოვანსა და გამზიადებულ სიგყვას და უბრალო სათქმელით გოდებენ, რამეთუ მათი ჩივილი მხოლოდ და მხოლოდ მაჲყრებელთა გულების შემძვრას ლამობს.<sup>20</sup>

99. პოეტური ქმნილებისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი გარეგნული პეწი და სიღამამე, იგი უთუოდ ტკბილი და საამოც უნდა იყოს, რათა მსმენელის სული და გული, საითაც სურს, იქით წარიტაცოს.

101. ადამიანის სახე მოცინარს ღმილით უპასუხებს, მგლოვიარეს კი – ცრემლით. ამიგომ, თუ გსურთ, მეც ამაგიროთ, უწინარეს ყოელისა, თავად გმართებთ ვლოვა-გირილი, ჩემო ტელეფუს ანდა პელეესო; მხოლოდ მაშინ შემძრავს მე თქვენი უბედურება! თუ ამ მონღობილ საქმეს ეუღად უპასუხებთ, ან ძილს მიეცემ თავს, ანდა სიცილს აგტებ. მწუხარე სახეს წუხილის სიგყვა შეჭფერის, განრისხებულს – მექარით საესე, მზიარულს – გაღაღებული, ხოლო დაღინჯებულს – დარბაისლური. ბუნება ხომ ბედის ყოველი ცვალებადობის კეალობაჲ მაშინვე ცელის ჩვენს შინაგან სამყაროს: გვახარებს ან რისხვას მოგვრევს, ანდა მძიმე განჯვით მეგძრავს და მიწაზე დაგვეცემს; ხოლო ჩვენი სულის მოძრაობა ამის შემდეგ გაესადლება სიგყვის შემეუობით.<sup>21</sup> თუ მოქმედი პირის სიგყვა ამ პირის ბედთან შეუსაბამოდ აედრდა, რომაელები – შეედრებიცა და ქვეითებიც<sup>22</sup> სიცილ-ხარხარს ატებენ. მეტად მზინენლოვანი, ვინ გამოგყავს სალაპარაკოდ: ღთთაება თუ გმირი, სიბერეჲი შესული კაცი, თუ ჯერხნობით ყვავილობაჲში მყოფი მგზნებარე ახალგაზრდა, მამულის მფლობელი ქალბატონი თუ ერთგული ძიძა, მოხეტიალე ვაჭარი თუ აბიზინებულ მიწის ნაკეთიშე მზრუნველი მურენე, კოლხი თუ ასირიელი, თებესა თუ არგოსში გამოზრდილი მოქალაქე<sup>23</sup> ასეთ შემთხვევაში ან დამკვიდრებულ გადმოცემას უნდა მიჰყვე, ან ცხოვრებისეულ ჭემმარიგებას უნდა დაეყრდნო.

120. მწერალო, თუ ჰომეროსისეული აქილევსის კვლავ გამოსახვას განიზრახავ, დაე, იყოს იგი დაუცხრომელი, მრისხანე, უღმობელი და სასტიკი, ვინც კანონ-სამართალს ყურად არ იღებს და ყველაფერს იარაღს ანღობს. დაე, იყოს მეღეა მძვინვარე და შეუპოვარი, ინო – მგლოვიარე, იქსიონი – ვერაგი, იო – მოხეტიალე, ხოლო ორესტე – მწუხარებით აღსავსე.<sup>24</sup>

125. თუ სცენაზე მანამდე უცნობი ამბავი გამოგაქვს და კისრულობ, გმირის ახალი სახე შექმნა, დაე, ბოლომდე ისეთივე იყოს, როგორიც დასაწყისში წარმოგვიდგა და თავისი თავის ერთგული დარჩეს. საყოველთაოდ ცნობილი საგნის დაპატრონება საკუთარი ახალი თქმით მეტისმეტად ძნელი საქმეა! უფრო სწორი იქნება, „ილიადა“ სამოქმედო ნაწილებად დაყო, ვიდრე მასში რაღაც უცნობი და მანამდე უთქმელი შეიტანო. საჯაროდ გავრცელებული მასალის დასაკუთრების უფლებას მოიპოვებ, თუ იაფფასიან და ყველასათვის მისაწვდომ გაცეეთილ წრეში არ იწრიალებ, თუ არ ეცდები, სიგყვა-სიგყვით თარგმნო და ვითომ ერთგულად გაიმეორო, სანიმუშოდ რაც აგიღია და ვით უბრალო მიმბაძველი არ ჩახტები ისეთ ვიწრობში, საიდანაც ფეხის გამოყოფას სირცხვილის გრძნობაც კრძალავს და პოეტური თხზულების აგების წესი.

136. არამც და არამც არ დაიწყო თხზულება ისე, ვით კიკლიკოსმა პოეტმა<sup>25</sup> დაიწყო ოღესდაჲ: „პრიამუსის ბედს უგალობებ და სახელოვან ომსო“. ასე ფართოდ პირდაღებული ეს აღთქმის დამტეხი ვითომ იქმს ღირსეულ საქმეს? სამშობლოარო კვივილებით ეწამებიან მთები, დაიბადება კი სასაცილო თაგუნა! ის, ვინც შეუფერებელს არ იკადრებდა, რაოდენ უკეთ ბრძანებს<sup>26</sup> „მუზაჲ, მიაძმე ვაჲკატე, რომელმაც ტროას დატყვევნის შემდეგ მრავალი გომის ქალაქნი ნახა და მზენი შეიგყო“. როდი ცდილობს, პოეტი იგი, ნაპერწყლიდან დააგუბოს კვამლი, პირიქით – კვამლიდან გამოჰყავს ნათელი სხივი, რათა მერმე მშვენიერი სასწაული გაგვიცხადოს, გვიჩვენოს – ანტიფაგე და სკოლა, კიკლოპი და მასთან ერ-

თად ქარიბდისი:<sup>27</sup> არ იწყებს იგი ღიომედეს დაბრუნების ამბავს მელეაგრეს დალუპის ღლიდან და თხრობას გროას ომზე გყუპი კერესიდან.<sup>28</sup> მუდამ პირდაპირ მისწრაფის მელეგისაკენ და მსმენელი მამინეუ მისთვის ცნობილ ამბავთა მუაგულში შეჰყავს; რის ნათლად წარმოსახვის იმედი არა აქვს, იმას განზე გოვებს; თან ისე ცრობს და მოგონილს ჭემმარიტში ისე შეურევს, რომ დასაწყისსა და მუანაწილს შორის, ისევე როგორც მუანაწილსა და დასასრულს შორის, თანხმობა არ ირღვევა.

153. ახლა მისმინე რა მსურს მე და რა სურს ჩემთან ერთად ხალხს: მაყურებლები რომ ბოლომდე შეგრჩეს და ადგილებზე მანამდე ისხდნენ, სანამ კანგორი იგყოფეს, „დასცხეთო გამი“;<sup>29</sup> გმართებს, ყოველი ასაკი თავისი მნეჩეულებით გამოხატო, განსხვავებულ ხასიათებსა და ხანიერებას შესაბამისი მიუსადაგო:

158. აი, ბიჭუნა. რომელიც უკვე გიგინებს და მიწაზეც ფეხს მტკიუედ ადგამს, გოლებთანაც თამაშობს იგი და უმიზეზოდ ანჩხლობს კიდეეაც; მერმე კელაე მშვიდება და, საერთოდ, მალ-მალე იცულის მნეს და ხასიათს.

161. პირტიგველ ჭაბუკს, რომელმაც მელამხედველს სულ ახლახან დააღწია თავი, სიხარულის ფრთებს ასხამენ ჯიშინი ცხენები, ძაღლები და მშით გაბრწყინებული მწვანე მინდორი.<sup>30</sup> სანთელივით ადვილად იღრიკება იგი მანკიერების წინაშე, ჭკუის დამრიგებელთ უხეშად ექცევა, გვიან-გვიან წდება სიკეთის არსს, ფულს უაზროდ ფლანგავს, მეგისმეტად პატივმოყვარეა და საყვარელი არსებაც შეუძლია მსწრაფულ მიაგოვოს.

166. მოწიფული ვაჟაკი, ვისაც ასაკმა მისწრაფებანი შეუცვალა, ბეჯითად ეტებს სიმღიდრესა და მეგობრებს, პატივ-დიდებას ელაყიება და ფრთხილობს, არ ჩაიღინოს ისეთი რამ, რის გამოსწორებაც შემდეგ გაუჭირდება.

169. სიბერეში შესულ კაცს ბევრი საბრუნავი აწყება გვირთად: ან იმიგომ, რომ ქონების ძიებითაა გართული და რომ მოიპოვებს, შიმობს საბრალო, საგულდაგულოდ გადანახული არ შემოხარჯოს; ანდა იმიგომ, რომ ყოველ საქმეს კრძალვით და ცივად ეკიდება იმედის ეჭვით შემყურე და მყობადის წინაშე დაშინებული. ანჩხლი და ჭირვეულია იგი; ქება-დიდებათ იხსენებს გარდასულ დროს, თავისი ჭაბუკობის ეამს და მკაყრი მსაჯულის თვალთ კიცხავს და აძაგებს იმას, რაც ახალმა დრომ მოიგანა.

175. მომავალ წლებს მრავალი სიკეთე მოაქვთ თან და წარმავალთ ასევე მრავალი მიაქვთ დაუბრუნებლად. გახსოვდეს: ახალგაზრდას არ დაეკისროს, ხანდამმულს რაც ევალება და ვაჟაკის სამოქმედო საქმე არ დაევალოს ყრმას. ვითარებათა და დროის შესაბამის ჩარჩოში უნდა ვგრიალბედეთ მუდამ!

179. ამბები შეიძლება სცენიური თამაშებითაც წარმოვადგინოთ და თხრობითაც ვადმოვეთ. მაგრამ ყურით გავონილი სულსა და გულს ისე ვერ იპყრობს, ვით საიმედოდ თვალთ ნახული და მნახველის ხსოვნაში აღბეჭდილი. ოღონდ ესაა: ყოველი საქმე, რაც მივით ხდება, სცენაზე არ უნდა გამოიგანო; მაყურებლის თვალს უნდა მოაყილო ბევრი რამ, რაც მერმე, ჯობს, დამსწრე მაცნემ გადმოსცეს დახეეწილი მჭერმეგყველებით. დაე, ნუ დახოცავს მედეა თავის ბალებს ხალხის თვალწინ და უწყალო აგრევის ნუ მოხარძავს ამკარად ადამიანის მიგნულს;<sup>31</sup> პროკნეც ნუ გარდაიქცევა ფრთოსნად და კადმუსი გველეშაქად.<sup>32</sup> თუ მაინცდამაინც მაჩვენებ მსგავსს რასმე, არ დავიჯერებ და მიზლით შევჭკეუვ გურგს!

189. თუ დრამატულ თხზულებას მიზნად დაუსახავს, მაყურებელი ჰყავდეს და კელაე და კელაე დაიდგას, იგი ხუთ მოქმედებაზე არც მეტი და არც ნაკლები არ უნდა იყოს.<sup>33</sup> არამც და არამც ღმერთი არ უნდა ჩაერიოს მოქმედებაში, თუ, რა თქმა უნდა, კენაძის გამოსახსნელად არ დარჩა საჭირო მისი ღირსების მოშველიება.<sup>34</sup> მოსაუბრე პირი ოთხი არ უნდა იყოს. მეოთხე მოქმედ პირს გუნდი შეენაცულოს და მისი წილი ადგილი მან დაიკავოს; ოღონდ მოქმედებათა შორის არაფერი იმდეროს ისეთი, რაც სამოქმედოდ წარმოდგენილ ამბავს ხელს არ უწყობს და მარჯვედ არ ესადაგება.<sup>35</sup> გუნდი უნდა დაეხმაროს კეთილთ და მეგობრულად დაარტგოს; რისხეამორეულნი სწორ გზაზე უნდა დააყენოს და აღგზნებულნი დაამოშინოს; დაე, ქებით შეამკოს მან მოკრძალებული სალბინო სუფრა, ჯანსაღი კანონ-სამართალი და ღია ჭიშკრის ეამს არსებული მშვიდობა;<sup>36</sup> ხოლო მინდობილი საიდუმლო

გულდაგულ შეინახოს და ღმერთებს შეევედროს, რათა ბედი ეწვიოს მხოლოდ საბრალთ და ვასცილდეს თავადერილ ამპარგავანთ.

202. ფლიეტა აწინდელით როდი იყო სპილენძის საყვირსა და ბუკთან შეტოქებული. იგი იყო ნაბი, მარტივი, მცირეხერულიანი და გუნდსაც კარგად ეხმატებილებოდა და შეელოდა.<sup>37</sup> მეტისმეტად მაღალი ხმა მას არც სჭირდებოდა, რამეთუ მაყურებელთა ადგილები ჯერ კიდევ არ იყო გადაჭედილი. მცირეოდენი ხალხი, რომელიც აქ თავს იყრიდა, ადვილად დაითვლებოდა და გახლდათ მოკრძალებული, ღვთისმომში და წესრიგის მოყვარული. როცა ძღვევამოსილმა ქვეყანამ სამფლობელო გაიფართოა, ხოლო ქალაქებს უფრო განიერი გაღვენები შემოავლეს, მფარველი ღვთაების პატივისცემა ღმრსასწაულების ჯამს შეუმღუდავად დაიწყეს ღვინით და რიცხვმეზომილ მეტყველებასა და პანგებსაც მეტი სილალე მიენიჭათ.<sup>38</sup> საზეიმო ღვებში ჯაფისაგან თავისუფალი სოფლის უვიცი მოსახლეობა და მდაბითა ფენა გონიერული გართობისათვის სწორედ მაშინ შეერია მოქალაქეთა ღირსებით შემოხილ ნაწილს. ფლიეტაზე დამკვრელმა ძველ ხელოვნებას მოძრაობა და საზეიმო ელფერი დაუმატა და ახლა იგი თავის წამოსასახამს ფართოდ აფრიალებდა სცენაზე. საკრავების სიმთა მკაცრი ჟღერადობა ახალი და მრავალრიცხოვანი ხმებით შეიცვალა, მიუჩეველი მეტყველება კი მკვეთრმა ენამჭევრობამ აღამაღლა, რომელიც სასარგებლო საქმეთა წვდომით და მყოფადის თაობაზე ღვთაებრივი რჩევადრიგებებით დელფოს ბრძულ მისნობათაგან როდილა განსხეაელებოდა.

220. ვინც გრაგიკული სიმღერით ერთი საყოდავი თხის გულისათვის შეჯიბრში ჩაება, მან სულ მალე გამომვლებული ველური სატირები გამოიყვანა სცენაზე და დარბაისურ სახილველს ოხუნჯობა დაუმატა.<sup>39</sup> ასეთი სიახლის წყალობით ცდილობდა, მიმზიდველი გამხდარიყო და წმინდა მსხვერპლის შეწირვით გართული შემარსომებული და თავაწყვეტილი მაყურებელი დაეკაეებინა.

225. ოხუნჯობის შემთხვევლს მართებს, სამოქმედო საქმე ისე მიანდოს სუმარა სატირებს და დარბაისური მოქმედება ისე შეეცალოს გართობა-თამაშით, რომ ახლახან სამეფო ოქრო-ძოწუელით შემოსილი რომელიმე ღმერთი ან გმირი მდაბიური მეტყველებით ბნელ ღუქანში არ გადასახლდეს, ანდა მიწისაგან თავდაღწევის სურვილით ღრუბლებსა და სიყარიღვეში არ აფათურებდეს ხელებს.

231. გრაგვლდის ღირსება მოაკლდება, თუ იგი მსუბუქ ლექსთ დაეყრდნობა; ეს იმას დაემსგავსებოდა, კეთილშობილი მანდილოსანი რომ აიძულონ, დღესასწაული ჯამს მოკრძალებით იროინოს გიქმაე სატირთა შორის.

234. მე რომ სატირულ დრამებს ეწერდე, ჩემო პიომონებო, მხოლოდ შეუმკობელი და საყოველთაოდ ხმარებული სიგყვა-გამოთქმებით როდი დავკმაყოფილდებოდი; როდი ვეცდებოდი, გრაგვლის იერსახეს დავმორებოდი, რათა კაცს ვერ გაერჩია, თუ ვინ საუბრობს ნაწარმოებში: დაუესი, თავხელი პითიასი, ვინც სიმონს მთელი გალანგი დასცინულა, თუ ჯერ კიდევ ნორჩი ღვთაების გამღელი და მსახური სილენუსი.<sup>40</sup> ცნობილ გამოთქმათაგან ისეთ სალექსო თხზულებას ჩამოვექნიდი. ყოველს ჰგონებოდა: „ასეთს ხომ მეუ შეთხზავდიო“; და თუ მართლა გაბედავდა შეთხზეას, ბევრ ოფულს დაიდენდა, მაგრამ ამოდ გაირჯებოდა. აი, რა პატიეს აღწეეს ის, რაც სამუალოსა და ჩვეულებრივისაგან მომდინარეობს!

244. მე რომ მსაჯული ვიყო, გყიდან გამოყვანილი ფაენუსები,<sup>41</sup> ვით გზაჯვარედინებსა და საბარო მოედნების ხშირი სტუმრები, ვერასოდეს ვერ გაბედავდნენ ვერც მეტისმეტად ყმაწილობანას თამამს ვითომე ნაბი ლექსებით და ვერც უკადრისი და უწმაწური გამოთქმებით ყიამყარლობას. ისინი ხომ შეურაცხყოფენ ცხენით, მამა-პაპითა და საკუთრებით დამშვენებულ პირთ,<sup>42</sup> რომლებიც ხმელი ცერცვისა და კაკლის მყიდველივით,<sup>43</sup> როდი იკადრებენ შეაქონ ხსენებული ტაკიმასხარები, სულითა და გულით მოუსმინონ მათ და გვირგვინი მიართუან.

251. გერფს, რომელმც გრძელი მარცვალი მოკლეს მოსდევს, იამბი ეწოდება. იგი სწრაფი გერფია. მისგან წარმოდგა სახელი იამბური ტრიმეტრისა, რომელსაც ექესი იქესი აქეს. უწინ ამ საზომში ყველა გერფი ერთმანეთის მსგავსი იყო, მაგრამ შემდეგ, მოსასმენად



უფრო დაყოვნებული და დინჯი რომ გამხდარიყო, თავის ბუნებრივ და კანონიერ შედეგნილობაში მარჯვედ და ასატანად შეითვისა მყარი სპონდეები, ოღონდ ისე, რომ მეორესა და მეოთხე გერუბში მათ ადვილი არ დაუთმო.<sup>44</sup> თუმცა ასეთი რამ აკიუსის<sup>45</sup> ცნობილ გრიმეტრებშიც იჩენს ხანდახან თავს და ენიუსიც ხშირად სცოდაედა სასცენოდ მეთხზულ თავის მძიმე ლექსებში: ან იმის გამო, რომ სახელდახელოდ და დაუხევეწაეად თხზაედა მათ, ანდა იმიტომ, რომ მისდა სამარცხინოდ ხელოვნებაში იყო გაუწაფაი.

263. ნებისმიერ მსაჯულს როდი ძალუძს შენიშნოს ლექსის არაკეთილხმოვანება; ასეთი ვითარება კი რომაელ პოეტებს შეუზღუდაე თავისუფლებას აძლევს. ამიტომ მეუ გამოვიჩინო დაუდევრობა და თვითნებურად ვწერო? ამ საქმეში არსებული განუკითხაობის იმედით ვიფიქრო: თუნდაე ყველამ იხილოს ჩემეული შეყოდებანი, მაინც შეუვალი დაერჩები და ვერაეინ ვერაფერს გამიბედაეს-მეთქი? ეთქვათ, ბრალის დადებას გადაეურჩი, ქებასაე ხომ ვერ დაეიმსახურებ?

268. მეგობრებო, დღისითაე და დამითად დაიჭირეთ ხელთ და იკითხეთ ბერძნული სანიმუშო ქმნილებანი!

270. თქვენი წინაპრები, მართალია, აქებდნენ პლაეგუსის ლექსსა და ოხუნჯობებს, მაგრამ, არ ვიგყვი – ბრიყუულად-მეთქი, ერთსაე და მეორესაე მეგისმეგი მოთმინებით და გაოცებით ეკიდებოდნენ; თუ, რა თქმა უნდა, მე და თქვენ უწმაწურობისაეგან მახეილსიგყავაობის გამორჩეეა ეიყთ და წესრიგე გამართული სალექსო სამომის თითეებით გამოთელა და სმენით აღქმა ძალგვიძს.

275. გრავიკული პოეზიის მანამდე უცნობი გვარი, ამბობენ, თესიდემა აღმოაჩინაო; იგი თურმე უფრონით დაატარებდა თეატრს, რომლის მსახიობნიე თხლით სახეგოთხუნულები გალობდნენ და მოქმედებდნენ.<sup>46</sup> შემდეგ მოლეაწობდა ესქლე, ვინე კეთილშობილ პირთა ნიღები და საგანგებო შესამოსელი შემოილო; მანეე დააგო მოზომილ ძელებე სუნა და მსახიობებს ხმამაღალი ლაპარაკი და კოთურნუსებე დგომა ასწაედა.

281. გრავიკულ პოეზიას მოჰყეა ძეელი კომედია, რომელმაც არეთუ მტირე ქება-დიდება დაიმსახურა; მაგრამ მისი თავისუფლება მანიკერებად მიიჩნიეს და კანონის საგამგებლო ძალით შეზღუდეს. შემოღებული კანონით გუნდს აეკრძალა ვინმესთვის ენების მიყენება და იგი სამარცხინოდ დადუმდა.<sup>47</sup>

285. ჩვენს პოეტებს შემოხსენებულთაეგან შეუსწაელელ-მოუსინჯაეი არაფერი დარჩენიათ, მაგრამ მეტი პატივი იმით მოიპოვეს, რომ გაბელულად გადაუხეეს ბერძნულ გმას და ზოგმა პრეტექსტებში, ზოგმაც გოგატებში საშინაო ამბები წარმოაჩინეს.<sup>48</sup>

289. ჩვენი ლაციუმი რომ ენითაე არანაკლებ ძლიერი იყოს, ვიდრე მამაეობითა და სახელოვანი იარაღით არის, ეერე ერთ აქაურ პოეტს ვერ დააფრთხობდა თხზულების დასახეეწად საჭირო შრომა და დრო.

291. თქვენ, პომპილიუსის სისხლთაეგან,<sup>49</sup> დაგმეთ ის ლექსი, რომელიე ხანგრძლიემა გამალამინებამ მრავალ დღეს არ შეაყოვნა და ათგმისმა ბეჯითად დახეეწამ ფრჩხილე ბამდე არ დაწმინდა.

295. თანდაყოლილ ნიჭს დემოკრიე უფრო დიდ ბედნიერებად თელის, ვიდრე საბრალო ნასწაულ ხელოვნებას და მეგისმეტად ჰკუდაამჯდარ პოეტებს ჰელიკონიდან აძეეებს.<sup>50</sup> სწორედ ამის გამო ჩვენი პოეტების საემაოდ დიდი ნაწილი ფრჩხილებს აღარ იჭრის. წვეერს არ იპარსაეს, განმარტოებულ ადგილებს ეგანება და აბანოს გაურბის. ასეთი ვინმე, რაკი სამი ანტიკურათი<sup>51</sup> განუეურნაეი თაეი არასოდეს მიუნდეია ლიცინიუს დალაქისათვის, დაე ეწიოს ჯილდოსა და პოეტის სახელს! მე კი რა სულელი ვარ, ყოეელი გამაფხულის პირს რომ ნაღველისა და ბოლმისაეგან ვიწმინდები! ჩემეე უეეთ ხომ ვერაეინ მეთხზაედა ლექსებს? მაგრამ ჩემთვის არ ყოფილა გაჩენილი ეგ საქმე. ჯობს შეეასრულო მოეალეობა სალესი ქვისა, რომელიე სიბასრეს აძლევს რკინას, თეით კი ვერაფერს ჰეეეთს: მე თაეად არაფერს დაეწერ, სხეას კი ვასწაელი პოეტის საქმესა და ვალდებულებას; იმას, – თუ საიდან მოდის ძალა შემოქმედებისა, რა ეეებაეს და აყალიბებს პოეტს; რა შეფერის და რა – არა; სად არს სათნოება და საით წარგეეეეებს შეელომა. სწორი და დაეკვირეებული ამროენება – აი, რა არის შემოქმედების საფუძეელი, მისი წყაროსთეალი. საამისოდ საჭირო

მასალას თქვენ წარმოგიჩენენ სოკრატული თხზულებები,<sup>52</sup> კარგად განჭვრეტილ მასალას კი სიკვებოც ხალისიანად მოჰყვებიან.

312. ნებისმიერ მოქმედ პირს თავის შესაბამისს მიაგებს ის, ვინც შეისწავლა: რა ვალი აწევს სამშობლოსა და რა მეგობრების წინაშე; როგორი სიყვარულით უნდა უყვარდეს მამა, ძმა, ანდა სტუმარი; როგორია სამსახურებრივი მოვალეობა სენატორისა და როგორი მოსამართლისა; რა არის ამოცანა ომში გაგზავნილი სარდლისა. ყოველ განსწავლულ მიმბაძველს ეურჩევი, დაუკვირდეს ცხოვრებისეულ მაგალითს, ადათ-წესებს და მერმე ცოცხალი თქმებიც შემოიგანოს იქიდან.

319. ზოგჯერ საერთო სილაბამეს მოკლებული დრამატული თხზულება, რომელიც დიდი ოსტატობისა და ხელოვნების გარეშეა შექმნილი და მხოლოდ ადგილ-ადგილაა გამართული, იმის გამო რომ მუსტად ასახავს სინამდვილეს, ხალხს უფრო ხიბლავს და უფრო მყარია, ვიდრე შინაარსისაგან დაუღილი და მხოლოდ შიშველი ჰანგებით შექმობილი ნაწარმოები.<sup>53</sup>

323. შემოქმედების თანდაყოლილი ნიჭი და მწყობრი მეტყველების უნარი მუშამ უბოძა ბერძნებს, სწორედ ბერძნებს, რომლებიც არაფერს არ ესწრაფოდნენ ისე, როგორც ქება-დიდებას. სამაგიეროდ რომელი ბავშვები ხანგრძლივი დაკვირვებით სწავლობენ ანგარიშს, „ასისი“ დაყოფას ას ნაწილად,<sup>54</sup> აჯერ ალბინუსის ბიჭო! აბა, გვითხრას: ხუთ უნციას რომ ერთი უნცია გამოვაკლოთ, რა დაგვრჩება? „ასისი შესამედლო“, – მაშინვე გვიპასუხებს სხაპასხუბით. „ყოჩად ბიჭო; მენ შეძლებ საკუთარი ქონების შენახვას. ახლა ამაზე გვიპასუხე: ხსენებულ თანხას ერთი უნცია რომ დაუმატო, რას მივიღებთ?“ – „ნახევარს!“ აი, როცა ეს სიხარბე და ქონებაზე მრუნვა იმთავითვე დაეუფლება სულთ, იმედი ვიქონიოთ, რომ მათი პატრონები შეძლებენ ისეთი ლექსების შეთხზვას, რომელთაც კედლის ზეთს წასცხებენ და მსუბუქი კეიპაროსის ხის სკივრში შეინახავენ ხოლმე?

333. პოეტების სურვილია, ან სარგებლობა მოუგანონ მსმენელთ, ან გაართონ ისინი, ანდა ერთდროულად თქვან ის, რაც ცხოვრებისათვის მარჯვეა და საამო. თუ მსმენელს რჩევა-დარიგებას აძლევ, იყოს იგი მოკლე, რათა სწრაფად ნათქვამი შესათვისებლად აიტაცოს სულმა და ერთგულად შეინახოს (მედმეტად ნათქვამი კი სავსე გულიდან მაშინვე გადმოიღვრება).

338. გართობის მიზნით გამოგონილი ამბები ჭეშმარიტებასთან ახლოს უნდა იყოს. მლაპარი ნუ მოითხოვს, ყველაფერი დავიჯეროთ და ლამიას მიერ შეკმულ ბიჭს კვლავ ცოცხლად ნუ გამოიყვანს მისი სტომაქიდან.<sup>55</sup>

341. რაც სარგებლობასთან არ არის წილნაყარი, იმას სენიორთა ცენტურია უკუაგდებს, ამაყი რაზმები კი მოსაწყენ თხზულებას აუელიან გვერდს.<sup>56</sup> საერთო მოწონება იმან დაიმსახურა, ვინც სასარგებლო საამოს შეურია და მკითხველი თანაბრად კიდევ გაართო და კიდევ დაარიგა. ასეთი წიგნი სოსიუსებს<sup>57</sup> ფულს შესძენს, მღვასაც გადალახავს და მწერალსაც ხანგრძლივად შეუნახავს ცნობილი კაცის სახელს.

347. მეცდომათა შორის არის ისეთები, რომელთა მიგვევებაც სასურველია. სიმი, მაგალითად, ყოველთვის არ ეღერს ისე, ვით ჩვენს ხელსა და გონებას სურს: როცა დინჯ პანგს ვთხოვთ, სწორედ მაშინ გამოსცემს მკვეთრ ხმას; მშვილდი მუდამ როდი სტყორცნის ისარს მიიანში! თუ ლექსში ბევრი რამ ბრწყინავს, მცირეოდენი ლაქებისათვის, უყურადღებობით ან ადამიანური ბუნების მიზეზით რომ გაიპარა, რატომ უნდა შემოიპყროს წყრომამ? რა გამომდინარეობს აქედან? ის – რომ თუ მწერალი ცდება წიგნის გადამწეროვით, რომელიც მიუხედავად დარიგებისა მუდამ ერთსა და იმავე მეცდომას უშვებს, პატიება არ გეების. დაცინვას დაიმსახურებს ის კითარედუსი, რომელიც ერთსა და იმავე სიმზე გყაპუნით ყალბ ხმას გამოსცემს. როცა ქერილე,<sup>58</sup> ვინც საერთოდ ბევრს სცოდავს, ორ-სამ კარგ ადგილს გამოურევს თავის თხზულებაში, გაოცებას იწვევს ჩემში და მეცინება; ასევე – წყნით ვიესები, დიდებულ პომპროსს რომ ხანდახან ჩაეძინება. თუმცა გრძელ თხზულებაში ძილის შემოპარვა ცოლვად არ ითვლება!

361. ლექსი ნახატსა ჰგავს: არის სურათი, თუ ახლოს დაუღექ, ძალზე გაგიტაცებს; არის ისეთიც, რომელიც შორიდან მოგეწონება. ერთს ჩრდილი უყვარს, მეორეს კი სი-

ნათლე სჭირდება, რათა მსაჯულის მკაცრი შეფასების შიში არ ქჷონდეს. მოგი მხოლოდ ერთხელ მოგვეწონება, ზოგი კი, ათგმისაც რომ ვიხილოთ, მუღამ ერთ-ნაირად მოგვივა თეალში.

366. შენ, უფროსო ყმაწვილო,<sup>59</sup> მართალია მამისეული მოწოდებითაც და შენი საკუთარი გონიერებითაც ეგანები სისწორეს, მაინც ჩაიჭლე სსოენამი, რასაც ახლა გეგყვი:

368. ბეერია ისეთი რამ, სადაც საშუალო ღონე სრულიად დასამეებია და ასაგანი. ასე, მაგალითად, საშუალო შესაძლებლობის სამართლის მყოფნი, ანდა ეეჷილი ეინმე, მჭევრ-მეგყეელებამი შეიძლება ჩამოუვარდებოდეს მესალას და კასციეიუს აელუსსაც<sup>60</sup> ეერ გუგოლდეს ცოდნამი, მაგრამ მის საქმეს მაინც ფასი აქეს. პოეგებს კი საშუალო ღონემე ყოფნის უფლებას არც ღმერთები აძლევენ, არც ჩეულებრივი ადამიანები და არც წიგნით მოეაჭრენი! ვით საამო სუფრას ენებს შეუნმატკიილებელი პანგი, მეგისმეგად სქელი სალ-ბუნი და სარდულ თაფლში შერეული ყაყაჩო,<sup>61</sup> – ლხინი ამათ გარემეე კარგად წარიმართებოდა, – ისე სულის დასატკობად შექმნილ პოეგურ თხზულებას ენებს და აკინიებს სი-მალიდან ოდნავი გადაქანება.

379. ეინც თამამი არ იყის, თავს არიდებს საასპარემო იარაღს, გუწრთენელი ხელს არ ახლებს ბურთს, ბადროსა და რკინის რგოლს, რათა ვარსშემოჯარულმა ხალხმა სასაცილოდ არ აიგდოს. გაბედოს თუ არა ლექსის შეთხზვა მან, ვისაც ეს საქმე არ უსწავლია? რაგომაც არა! იგი ხომ თავისუფალთაგანია და კეთილშობილი, მხედართა წოდების ღირსე-ბით და ქონებით დამშენებული და ყოველი მანკისაგან განწმენდილი! შენ კი, ჩემო კარგო, ნურას იგყვი და ნურას იქმ მინერვას<sup>62</sup> ნების გარემე; მას დაუმორჩილე შენი განსჯა და ეონება! თუ ოდესმე რამეს დაეწერ, უთუოდ მოისმინოს იგი მეციუს მსაჯულის ყურმან;<sup>63</sup> მეე მარენე და მამასაც წაუკითხე; მერმე გყავის ბუღემი ჩაღე და ცხრა წელს ნუ გამოსცემ! ის, რაც არ გამოვაციო. ადვილად გასწორდება; ლაღად გამეებულმა სიგყვამ კი უკან დაბრუნება არ იყის!

391. ეელურნი გყის კაცნი ღმერთთა წმინდა მისანმა ორეეესმა განარიდა მეეეელობათ და შემადრწუნებულ სისხლიან საეეებს<sup>64</sup> აი, აქედან განდა თქმულება, თითქოს იგი ეეფხეებსა და მძვინვარე ლომებს ათვინიერებდა. ასეეეა ნათქვამი თებეს ქალაქის დამ-ფუძნებელ ამფიონმე; ჩანგის წკრაილით საგალაენო ლოდებს ამოდრავებდა და მომ-ჯადოებელი ეედრებით, სადაც სურდა, იქ ალაგებდაო.<sup>65</sup> ძეელისძეეეად არსებოდა სიბრძნე, რომლის წყალობითაც სამოგადოს ეერძოსაგან გამოყოფდნენ, საღეთოს – საეროსაგან; თავაწყეეეტილ მძუნაობას ლაგამს სდებდნენ და ქორწინებას სამართლებრიე სიმტკიცეს აძლეედნენ; ქალაქებს აგებდნენ და კანონებს ხემე ამოკეეთით წერდნენ. რაკი პოეგური შემოქმედება ამას ხელს უწყობდა, მგონებმა და მათ მიერ შეთხზულმა სიმღერებმა დიდი პატივი და ღეთაებრივი სახელი მოიპოვეს. ამის შემდეგ პოეგზიას მოეეღინა დიდებული პომეროსი და გირგეოსმაც მარსისეულ ომებში ლექსებით აღუნთო მამაცური სული მეომ-რებს.<sup>66</sup> ყოველი კაცისა და საქმის წილხეედრიე სიმღერებით გამოითქვა, ცხოერებისეული გზაც სიმღერთეეე იქნა ნაჩეენები და მეფეთა წყალობაც პიერიული პანგებით<sup>67</sup> აღნუსხეს. საგანგებოდ გამოგონილი ვართობა-თამამი და ხანგრძლივი შრომის სამღერად დაწესე-ბული უქმობაც ლექსსა და სიმღერას დაუკავშირეს.<sup>68</sup> აი, ამიგომ შენ არ უნდა გერცხვინე-ბოდეს ჩანგის ოსტაგი მუმისა და მგალობელი აპოლონის საქმე!

408. ხშირად ისმის კითხვა: ბუნება ქმნის უკეთესსა და შესაქმე პოეგურ ქმნილებას, თუ ხელოვნება?<sup>69</sup> მე არა მგონია, სისხლსავსე ძარღვის ვარემე მხოლოდ სწავლამ შეძლოს რაიმე, ანდა ბუნებრივმა ნიჭმა, რომელსაც თან წერთნა არ ახლავს. ერთი მეორის დახ-მარებას მოითხოვს და ასე ვთქვათ, ფიციით შეკრულ მეგობრულ თანხმობას.

412. ეინც ცდილობს ნანატრ სამღერას სრბოლით მიაღწიოს, ყრმობამი უნდა გადაიგანოს ბეერი და ბეერი იშრომოს, ოფლიე უნდა დაიდინოს და სიცივის სუსხიე იგრძნოს, გრფო-ბასაც და ღვინოსაც უნდა განერიდოს. ფლეიგამე დამეკრულმა, რომელიე პითიურ გეიმმე<sup>70</sup> გამარჯეებისთვის უკრავს, წინასწარ ბეერი ისწავლა, ივარჯიშა და ოსტაგის წინამეე ბეერი შიში გადაიგანა. არ არის საეკმარისი თქვა: „მე გასაიყარ თხზულებებს ექმნი! თუნ-

დაე ქეტი შეეყაროს მათ, მაინც არ შემერცხვება, რაც არ მისწავლია, ვალიარო: არ ეიყო მეთქი!”

419. ვით საგანგებო მანე მოუხმობს ხალხს საქონლის საყიდლად, ისე მოუხმობს მლიქვნელებს ხობის შემსხმელებად პოეტი, რომელიც მდიდარია მამულით და გირაოზე გაყეული თანხით; ვისაც მდიდრული სუფრის გაშლა ძალუძს; ვისაც შეუძლია თავებულ დაუდგეს საცოდავ დატაკს და კამათის ხელოვნებით სასჯელისაგან დაიხსნას ძნელ საქმეში გახლართული კაცი. მე ძალზე გამიკვირდებოდა, ასე გალადებულმა პოეტმა მასთან თავმოყრილ ხალხში ცრუ და ჭეშმარიტი მეგობარი რომ გაარჩიოს ერთმანეთისაგან.

426. შენ, ჩემო პიზონო, თუ ვინმეს საჩუქარი უბოძე, ანდა განზრახული გაქვს მისე, ნუ მიიწვევ ასეთ პირს ახლახან შეთხზული შენეული ლექსების კითხვისადმი მიძღვნილ სასიხარულო ზეიმზე. მიიწვევ და მაშინვე მორთავს ყვირილს: „მშენიერი! საუკეთესო! სწორზე სწორია!“ შეიძლება ფერც დაკარგოს და მადლიერი თვალებიდან ცრემლებიც დაღვაროს, ხტუნავ დაიწყოს და მიწაზე ფეხის ბრახუნიც, ვით დაქირავებული დამგირებელი მოთქეამს და გლოვობს მიცვალბულს უფრო მეტი მწუხარებით, ვიდრე სულით ნამდვილად დატანჯული, ისე ცბიერი ქილიცი უფრო მეტადაა ხოლმე თავგამოდებული პოეტური თხზულების ალაღმართალ მაქებარზე. ამბობენ, მეფენი ღვინით სავსე მრავალ თასს აძალბებდნენ იმ პირს, ვისი განჭვრეტაც სურდათ – იყო თუ არა იგი მათი მართლაც ღირსეული მეგობარი.<sup>71</sup>

436. თუ ლექსები შეთხმე, დაე, ნურასოდეს ნუ შეგაცდენენ შენ მელასავით გაიძვერა მლიქვნელები!

438. შენი თხზულება კვინტილიუსისათვის<sup>72</sup> რომ წაგეკითხა, იგი უთუოდ გეტყობა: „გაასწორე, გეთაყვა, აქ და აი, აქაქ!“ თუ მიუგებდი: „უკვე ორ-სამჯერ ამბოდ შევასწორე და ეგყობა ამაზე უკეთ არ გამომდისო“, იგი ვირჩევდა: „გაანადგურე, რაიც არ ვარგა და გამოუკეთეთაი ლექსი კვლავ გრდემლს დაუბრუნეო!“ თუ მოისურვებდი შეცდომათა დაყვას უფრო, ვიდრე გასწორებას, იგი ერთ სიგყვასაც აღარ გაიმეტებდა, ამბოდ აღარ გაირჯებოდა და შემგოქებლის გარეშე შენი თავისა და ქმნილების სიყვარულით ტკობის საშუალებას მოგეცემა.

445. კეთილშობილი და ჭკვიანი კაცი უღიმღამო ლექსებს მუდამ გაკიცხავს: უხეშად ნათქეამს ბრალს დასდებს, უსწორ-მასწოროს კალმის გადაბრუნებით შავ ნიშანს მიუსეამს, მელმეტ მორთულობას შეკეცს, მოითხოვს – ნაკლებად ნათელ ადგილებში მეტი შუქი იქნეს შეგანილი, ორამროვნებას დაიწუნებს, აღნიშნავს, რაც შესაცვლელია და, ერთი სიგყვით, იქმს იმას, რასაც არისგარქე<sup>73</sup> აკეთებდა. ასეთი კაცი არ იგყვის: „რაგომ ეაწყენინო მეგობარს წერილმანთა გამო?“ საქმე ის გახლავთ, რომ ასეთ წერილმანებს მეტად სავალალო შედეგი მოჰყვება, თუ თხზულების შემქმნელი ერთხელაც არის და სასაცილოდ აიგდეს და ცუდად მიიღეს.

453. როგორც შიმობენ ხოლმე, შეეხონ ქეციანსა და სურავანდით შეყრობილს,<sup>74</sup> ან გონებადრეულსა და დიანას რისხვით დააეადებულს,<sup>75</sup> ანდა ცოფიანს, ასევე ყველა, ვისაც ჭეუა აქვს, გაურბის თავქარიან პოეტს; მას მხოლოდ ბალღები დასდევენ უშიშრად.

457. ასეთი პოეტი მოგჯერ შაშვების მღვეარივით ალაყროს თავს ზეცისაკენ და მოჰყვება თავისი ლექსების ამონთხევას; თუ ამ დროს იგი ბარბაყის გამო ჭაში ან ორმომი ჩავარდა და ხმაშალაი ყვირილი მორთო: „არიქა, ხალხო, მიშველეთო!“ არავინ არ უნდა სყადოს მის ზემოთ ამოყვანა! თუ ვინმე ეცდება უშველოს და თოქს ჩაუშვებს, მაშინვე გეტყვი მას: „რა იცი, ეგ თავისი შრახვით არ ჩავარდა მანდ და არავითარი შეელა არ სურს?“ აქვე მოყვები ერთი სიცილიელი პოეტის დაღუპვის ამბავს: როცა ემპედოკლემ მოინდომა უკვდავ ღმერთად გარდაქეულიყო, არც აყივა, არც აყხელა და მიკრდაპირ გავარვარებულ ეგნაში ჩახტა.<sup>76</sup> დაე მიუეთ თავის დაღუპვის სრული უფლება პოეტებს! ვინც მათ ძალით აღმოუჩნეს შემწეობას, მკვლელს ემსგავსება! სიკვდილისათვის თავის მიცემას მხოლოდ ერთხელ როდი იზრახავს შერეილი პოეტი: ორმოდან ამოყვანილი კაცად მაინც არ გახდება და ისევე სახელოვან სიკვდილს მიესწრაფება სიყვარულით.

470. ვერა და ვერ გამოირკვა, რაგომ თხზავს იგი ლექსებს, რამ შერისხა: წინაპართა ფერული შებილწა შარდით, თუ ელვადაკრულ წმიდა ადვილს შეეხო უწმიდური? ეით გალიის დაცამლენული დათვი გამოვარდება გარეთ და ბოზოქრობს, ისე გივობს და აფრთხრობს სწაველულსა თუ უსწაველს თეისი ლექსების ვაი-შკითხველი პოეგი იგი. თუ ეინმე შეიპყრო, შეიკლავს ხელში კითხვით; არ დაეხსნება, ეით წურბელა არ დაეხსნება ანს, თუ სისხლით კარგად არ გაივსო.

## შენიშვნები

<sup>1</sup> პორაიუსის ამ ეპიგოლეს აღრესაგების ეინაობა მთლად ნათელი არ არის. ერთ-ერთი კომენტატორი ანტიკური ხანისა დიდი რომაელი პოეტის მიმართის ობიექტებად ასახელებს ძვ.წ. 15 წელს კონსულად მყოფ ლუციუს კალპურნიუს პიზონს და მის ორ ვაჟს. შესაძლოა, პორაიუსს მხედველობაში ჰყავს ძვ.წ. 23 წელს ასევე კონსულად ნამყოფი ვნეუს კალპურნიუს პიზონი, რომელთანაც ერთიად ბრუტუსის ლამქარში იმყოფებოდა. ასე თუ ისე, წერილის აღრესაგებს მკვიდრო კავშირი ჰქონიათ მწერლობასთან. უფრო ვაი, ეგყობა, დამწყები დრამატურგი იყო.

<sup>2</sup> პორაიუსი აქ გულისხმობს იმ პოეტთა თხზულებებს, რომლებიც ნაწარმოების მწყობრ კომპოზიციას ყურადღებას არ აქცევდნენ.

<sup>3</sup> ღმერთული დიანა – იუპიტერისა და ლატონას ასული, აპოლონ ღმერთის დაი (ბერძენთა არტემიდე).

<sup>4</sup> რენუსი – მდინარე რაინი.

<sup>5</sup> წესი იყო, დაღუპული ხომალდიდან ბედზე გადარჩენილს მღვის ღვთაების გაძრისათვის შეეწირა თავისი სეული განსაცემელი და სამადლობლო წარწერიანი ნახატი. ასეთი ნახატის მესრულებისათვის მას გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა [მღრ. ოღები I, 5 (14)].

<sup>6</sup> იგულისხმება მეთუნის ბორობალი.

<sup>7</sup> ძვ.წ. V საუკუნის ბერძნულ ხელოვნებაში ჩამოყალიბდა ანტიკური ესთეტიკის საფუძვლები: ერთიანობა, მთლიანობა, ქარმონიულობა, სიმწყობრე.

<sup>8</sup> რომის ცირკთან მდებარეობდა ლუციუს ემილიუს ლეპიდუსის საგლადიატორო სკოლა, რომელსაც ქვედა საართულზე ჰქონდა სახელოსნოები, მათ შორის – ბრინჯაოს სამსხმელო სახელოსნო.

<sup>9</sup> ეთოვუსი – მეტსახელი (კოვნიზმნი) კორნელიუსთა გვარში. სახელგანთქმული იყო მარკუს კორნელიუს ეთოვუსი – ძვ.წ. 213 წელს უმნავსი ქურუმი (პონტიფექს მაქსიმუსი), 211 წელს – პრეტორი, 204 წელს კონსული. ენიუსი და პორაიუსი უქებენ მჭევრმეტყველებას. ამ სახელის მრავლობითი რიყხვი – ეთოვუსები აღნიშნავდა ძველ. გამოზრმედილ რომაელებს.

პორაიუსი აქ ეკამათება არქაული მიმართულების პოეტებს, რომლებიც მოითხოვენ, ენობრივ საკითხებში ძველი რომაული მწერლებისათვის მიეხატათ.

<sup>10</sup> სტაიუსი ცეცილიუსი და გიგუსი პლაუტუსი – რომაელი კომედიოგრაფოსები; მოღვაწეობდნენ ძვ.წ. III – II სს-ში; მისაბად ნიშნულად იყენებდნენ ელინისტური ხანის ბერძნულ საყოფაცხოვრებო კომედიას (ე.წ. ახალ ატიკურ კომედიას); შემოიღეს კონტამინაციის ხერხი (რამდენიმე ბერძნული კომედიიდან აღგენდნენ ერთ რომაულს); ლათინურ ენაში ფართოდ შემოქმონდათ ბერძნული ნასესხობები.

ვერგილიუსი და ლუციუს ვარიუს რუფუსი – პორაიუსის მეგობარი პოეტები.

<sup>11</sup> მარკუს პორციუს კატონი (კატონ ცენზორი, უფროსი) – ძვ.წ. III-II სს-ის ორატორი, პროზაიკოსი მწერალი.

კეინტუს ენიუსი – კატონის თანამედროვე პოეტი და დრამატურგი; რომაული ეპოსის ფუძემდებელი; რომაულ პოეზიაში დაამკვიდრა ბერძენთა ეპიკური საზომი დაქტილური ჰექსამეტრი; მეთხზა პოემა „ანალიტი“ („ვაშთა აღწერა“), თარგმნა ბერძნული გრაველები.

<sup>12</sup> იგულისხმება ეპიკური მეტრული საზომი დაქტილური ჰექსამეტრი.

<sup>13</sup> იგულისხმება ანტიკური ლირიკის უძველესი ვანრის – ელეგიის საზომი, რომელიც ორ კარედს (დაქტილურ ჰექსამეტრსა და დაქტილურ პენტამეტრს) შეიცავდა. ეს იყო ე.წ. ელეგიური დისტიქი. პორაიუსის განმარტება, თითქოს თავდაპირველად ელეგიებით ჩივილს გამოხატავდნენ, მუსტი არ არის, უძველესი ელეგიის მთავარი მოტივი იყო საზრძოლო მოტივი (კალინე, ტირტუოსი); ელეგიამ შემდეგ შეიძინა სხვა მოტივები: პოლიტიკური (სოლონი), ფილოსოფიური, სატრფიალო (მიმნერმე). ჩივილის ანუ სეიდის მოტივი ელეგიის ერთ-ერთი მოტივი იყო.

<sup>14</sup> არქილოქე პაროსელი – ძვ.წ. VII ს-ის პოეტი იამბოგრაფოსი. იამბურ გერეებზე აგებული საზომით (იამბიკური ტრიმეტრით) თხზავდა პირადი მტრების დამკინავე ლექსებს.

<sup>15</sup> სოკრუსი – კომედიან. სახელი მომდინარეობს ბერძნული კომედიის მსახიობთა მაღალი ფესხამოსის (სოკოს) სახელისაგან.

კოთურნუსი – გრაველია. სახელი მომდინარეობს ბერძნული კომედიის მსახიობთა მაღალი ფეხსაბოისი (კოთორნოს) სახელისაგან.

<sup>16</sup> პორაიუსი მთლიანდ იზიარებს არისტოტელეს დებულებას იმის თაობაზე, რომ „იამბური საზომი ყველა მეტრზე მეტად შეჰყურის სასაბურო ენას“ („პოეტიკა“, IV).

<sup>17</sup> აქ იგულისხმება ბერძნული ლირიის ის ვანრი, რომელსაც ეწოდება მელოსი, კერძოდ – საგურო ლირია ანუ ქორია. მელოსმა ბოლომდე შეინარჩუნა მჭიდრო კავშირი მუსიკალურ აკომპანამენტთან.

<sup>18</sup> თიესტეს ნაღიში ანტიკური გრაველის ხშირი მითიური სიუჟეტია: პელოპისა და პიოდამას ძეი აგრესი და თიესტე ერთმანეთს მტრობდნენ. აგრესებმა თიესტეს შეილები დაუხოცა და მათი ხორცისაგან მომზადებული კერძი აჭამა მიკენში გამართულ ნაღიშზე.

<sup>19</sup> ბრევესი – რომაელი კომედიოგრაფოსის ტერენციუსის (195 – 159 ძვ.წ.) კომედიის „თაიის თაის დამსჯელი“ გმირთავანი, ჭირვეული, ანჩხლი და ძუნწი მოხუცი.

<sup>20</sup> ტელეუსი და ჰელეუსი – ეპიკური პერსონაჟები, სოფოკლესა და ევრიპიდეს გრაველების გმირები. ტელეუსი იყო მიმიის მეფე; დაჭრა აქილევსმა. მისი განკურნება მხოლოდ დამკრელის შუბითვე შეიძლებოდა. ჰელეუსი – აქილევსის მამა, სამშობლოდან გაძევებული, მრავალჭირგადახდილი გმირი.

<sup>21</sup> სწორედ ასეთი აზრი აქვს გამოთქმული არისტოტელეს: „...პოეტს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი გმირთა განცდები. ამა თუ იმ განცდის ვადმოცემისას ყველაზე დამაჯერებელისს, ვინც თვითონაც გულშემტრულია ამავე გრძნობით. ვეაღვლებს ის, ვინც თვითონაც ღელავს, ხოლო ჩვენს რისხვას იწვევს რისხვით გულანთებული“ („პოეტიკა“, XVII, თარგმანი ბ. ბრევეაძისა).

<sup>22</sup> მხედრები – ექვიტები – რომის საზოგადოების ერთ-ერთი (სამუალო) ფენა. ქვეითები – ამ სახელით პორაიუსი აქ რომის მოსახლეობის მრავალირიცხვან დაბაღ ფენას აღნიშნავს.

<sup>23</sup> მეტად საყურადღებოა ამ კონტექსტში „კოლხის“ მოხსენიება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კოლხეთისა და მისი მოსახლეობის ხედრითი წონა ანტიკური საზოგადოების ისტორიაში საქაოღ მნიშვნელოვანი იყო.

<sup>24</sup> ინო – კადმოსის ასული, ათამანგის მეუღლე; გონება დაუბნელა ღმერთქალმა ჰერამ; ამ დროს მოკლა საკუთარი ვაჟი ლეარქე.

იქსიონი – მითიური ლაპითების მეფე, რომელმაც ვერაგულად მოკლა სიმამრი. იო – ინაქეს ასული; მესის მიერ ძროხად გარდაქმნილ იოს სასტიკად ღვენიდა ღმერთქალი ჰერა (იხ. ესქილეს გრაველია „მიჯაჭველი პრომეთე“). ორესტე – აგამემონოსის ვაჟი, საკუთარი ღელის – კლიტემნესტრას მკვლელი.

<sup>25</sup> ეპიკური ციკლოსი შეიცავდა გენიალური პომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ შემავსებელ პომებს, რომელთაც აკლდათ კომპოზიციური მთლიანობა და გამოსახვის სიძლიერე.

<sup>26</sup> იგულისხმება პომეროსი. ციტირებულია მისი პომის „ოდისეას“ შესავალი კარულები.

<sup>27</sup> ანტიოაგე – ლესტრიგონების მეფე.

სკოლა – ურჩხული; კიკლოი – ოდისეისისაგან თვალგამოთხრილი პოლიფემე ძე პოსეიდონისა. ქარობისი – ყოელის მშთანთქმელი მღვის მორევი – ურჩხულად პერსონიფიციკებული.

<sup>28</sup> დომეღე – „ილიადას“ გმირი, რომლის ამბავი დაწერილებით იყო ვადმოცემული თიებეს ციკლის თქმულებებში.

მელაგრე იყო დომეღეს მაიის გიღელის ვერი – მბა.

ტყუი კვერცი – მესის მიერ ვედაღ ქვეულმა ღელამ დაღო ორი კვერცი, საიდანაც გამოიჩენენ: გროას ომის მიღები მშენიერი ელენე და მისი ძმები კასტორი და პოლიდეეკე.

<sup>29</sup> რომელ მაყურებელს შეძახილით vos plaudite („გამი დაუკარიო“) კომედიის დასრულებას აუწყებდა სექტატორის მონაწილე მომღერალი – მსახიობი (კანტორი).

<sup>30</sup> იგულისხმება მარსის ეელი, საღაც შეკიბრებები იმართებოდა.

<sup>31</sup> პორაიუსს აქ მხედველობაში აქვს სოფოკლეს გრაველია „აგრესი“ და ევრიპიდეს გრაველია „თიესტე“. ჩვენამღე ამ გრაველებს არ მოუღწევიათ. იხ. შენ 18.

<sup>32</sup> პროტე – პანდიონის ასული, ტრევესის მეუღლე, ფრთოსნად გარდასახული. მითი დამუშავებული კონდა სოფოკლეს გრაველიაში „აგრესი“. ეს გრაველია არაა მოღწეული.

ქომესი – თიებს ღვეწდარული დამაარსებელი (იხ. ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, III, 1-130).

<sup>33</sup> პორაიუსი ამ დრამის ელნისტურ თეორიას ვერღნობა. ელასიკურ ხანაში (ძვ.წ. V საუკუნე) დრამატული თხზულებების მოქმედებებად დაყოფა ჯერ კიღვე არ იყო დამკვიღრებული. მოქმედება აქ სხვაგვარ კომპოზიციაში ვითარდებოდა.

<sup>34</sup> აქ იგულისხმება ევრიპიდეს მიერ გრაველის ფინალური ნაწილისათვის დამკვიღრებული ხერხი ღელს ეუს მახინა (deus ex machina).

<sup>35</sup> ანტიკურ გრაველიაში სცენაზე მოქმედ პირთა (მსახიობთა) რაოდენობა მტკიცედ იყო განსაზღვრული. სოფოკლეს დროიდან სცენაზე ერთდროულად მხოლოდ სამი მსახიობის მოქმედება იყო ნებადართული. რაც შეეხება გუნდს, პორაიუსს აქ მხედველობაში აქვს მისი ფუნქცია

კლასიკურ ხანაში. როგორც ცნობილია, უკვე ვერიჰიდეს გრაველებში გუნდმა თანდათან დაკარგა თავისი მჭიდრო კავშირი მოქმედების მსეულელობასთან.

<sup>36</sup> მშვიდობიანობის დროს ანტიკური ხანის გალაკანმეოელებული ქალაქების ჭიმკრები, როგორც წესი, ღია იყო.

<sup>37</sup> ფლეიტა – ბერძ. „ავლოს“ (ლათ. „ტობია“) თავდაპირველად ორხერელიანი იყო, მერმე ხერელთა რაოდენობა მოემატა.

<sup>38</sup> აქ პორაიუსი უთუოდ გულისხმობს ბერძენთა საბოლოო გამარჯვებას სპარსებთან გამართულ ხანგრძლივ ომში (500 – 450 წწ. ძვ.წ.) ამის ანალოგიური იყო რომის გამარჯვება კართაგენზე.

<sup>39</sup> პორაიუსი აქ ვეთავაზობს გრაველის სახელის მნიშვნელობის არსებულ მართებულ ასხნას. „გრაველი“ ბერძნულად „თხის სიმღერას“ აღნიშნავდა, ოღონდ იმგვარ კი არა, რომ გრავიკულ აგონში (შეჯიბრში) გამარჯვებულ პოეტს იაფუასიანი თხით აჯილდოებდნენ, არამედ იმიტომ, რომ ღიონისეს კულტთან დაკავშირებულ რიტუალთა აღსრულების დროს ღვთაების სახობგბო სიმღერების შემსრულებელი გუნდის წევრები – სატირები თხის გყაეებით იყვნენ შემოსილნი (თხა ღიონისე ღმერთის წმიდა ცხოველად მიაჩნდათ).

არისტოტელეს დებულების თანახმად, როგორც გრაველია, ისე კომედია, წარმოიშვა იმპროვიზაციული საწყისიდან: გრაველია წარმოიშვა ღითირამბის დამწყებთაგან (ექსარქონტაჟან), ხოლო კომედია ფალიკური სიმღერების დამწყებთაგან („პოეტიკა“, IV).

სატირული დრამა ანუ „დარბაისლურ სახილველს დამატებული ოხენჯობა“ დრამატული წარმოდგენების – ტეტრალოგიების აუცილებელ ნაწილს წარმოადგენდა V საუკუნის ბერძნულ თეატრში. სატირული დრამა ერთგვარად გრილოგიას მეოთხე პიესის სახით. მასში მონაწილეობდა სატირთა გუნდი სილენოსის მეთაურობით. არისტოტელეს მოძღვრების თანახმად, სატირული დრამა უარესად მჭიდრო კავშირში იყო გრაველიასთან: „გრაველიამ შედარებით გვიან აიღო ხელი მოკლე მითების დამუშავებასა და თავისი პირველსაწყისის – სატირული პოემიისათვის დამახასიათებელ სახეშარო სტილზე, შედარებით გვიან მიადწია თავის აწინდელ სილიადეს, ხოლო მისი საღექსო სამომი ტეტრამეტრის ნაცულად იამბიკური ტრიმეტრი გახდა. გრაგიკოსები სწორედ ტეტრამეტრს იყენებდნენ თავდაპირველად, ეინაიდან თეთით პოეზია სატირული იყო და უფრო მეტად ეხამებოდა ცეკვას“ („პოეტიკა“, IV).

უახლესი გამოკვლევითა ავტორები უპირატეს შემთხვევაში, ფიქრობენ, რომ სატირული დრამა სერიოზული საკულტო თუ ეპიკური დრამატული შემოქმედების პარალელურად აღმოცენდა და განვითარდა.

<sup>40</sup> დაუსი, პითიასი – მონათა სახეები ახალ ატიკურ კომედიაში.

სიმონი – ტენწი მოხუცია ამავე კომედიაში.

სილენუსი (ბერძ. სილენოსი) – მერკურიუსის ან პანის ძე. უფროსი, მხიარული სატირი, ღიონისე – ბახუსის აღმზრდელი.

<sup>41</sup> ფანესები – რომაული ტყის ღვთაებები.

<sup>42</sup> იგულისხმებთან მედა ფენის რომაელები. პორაიუსი საერთოდ ორიენტაციას იღებს საზოგადოების მდიდარ, წარჩინებულ ფენაზე.

<sup>43</sup> იგულისხმება რომაული საზოგადოების მდაბიოთა წარმომადგენელი.

<sup>44</sup> აქ მოხსენიებულ საღექსო ტერფთა თაობაზე იხ. ა. ურუმაძე, ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები. თბილისი, 1980.

<sup>45</sup> ლუციუს აკიუსი – რომაული დრამატურგი, გრაგიკოსი (170 – 35 ძვ.წ.).

<sup>46</sup> თესპიდა – ბერძნული გრაველის მამამთავარი. მას მიეწერება გუნდიდან პირველი მსახიობის გამოყენა და ძვ.წ. 534 წელს პირველი გრაველის დადგმა ათენში ღიდი ღიონისეების დღესასწაულზე.

<sup>47</sup> პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც ძველ ატიკურ კომედიაში შეუმღვლევი იყო, პელოპონესის ომის შემდეგ (ძვ.წ. IV საუკუნიდან) თანდათანობით აიკრძალა.

<sup>48</sup> რომაულ ნაიცონალურ დრამას საუფძველი დაულო პოეტმა გნუს ნევეუსმა (დაახლ. 270 – 201 ძვ.წ.), რომელმაც დანერგა კონტამინაციის ხერხი: ორი ან სამი ბერძნული კომედიის შეერთებით ქმნიდა ერთ კომედიას, რომელშიც რომაული სინამდვილის ამსახველი მასალა შექმნიდა. ამ გზით შეიქმნა რომაული გრაველია „პრეტექსტატა“ (fabula praetextata) და რომაული კომედია „ტოგატა“ (fabula togata), რომელიც დაუპირისპირდა ბერძნული სინამდვილის ამსახველ კომედიას „პალიატას“ (პრეტექსტა და ტოგატ მსახიობთა რომაული შესამოსელია, პალიუმე კი – ბერძნული).

<sup>49</sup> პორაიუსის ეპისტოლეს დარესატი პიზონები აქ რომის მეფის ნუმა პომპილიუსის ჩამომავლებად არიან მინწული.

<sup>50</sup> დემოკრიტეს – ღიდ ბერძენ ფილოსოფოს-მატერიალისტს (460 – 370 ძვ.წ.) ციყრონი მიაწერს გამოთქმას: „არავინ შეიძლება იყოს ღიდი პოეტი ერთგვარი სიმზავის გარეშე“ (Cic. De divin. I, 38, 80). ეს აზრი არისტოტელესაც აქვს გამოთქმული: „პოეზია მდალნივიერი ან ღვთაებრივი

სიმშავით შეპყრობილ კაცთა საუფლოა, ეინაიდან პირველთ ვარდასახეის ძალი მესწევთ, ხოლო მეორეთ – ალტკინების, აღფრთოვანების“ („პოეტიკა“, XVII).

ჰელიკონი – მუმების სამკვიდრებელი მთა ბეოგიაში.

<sup>51</sup> ანტიკირა – სამი ქალაქის სახელი ძე. საბერძნეთში (თესალიის, ფოკიდისა და ლოკრიდის). ეს ქალაქები სახელგანთქმული იყვნენ სულით დააეადებულთა სამკურნალო ე.წ. შხამა ბალახით (Helleborus).

<sup>52</sup> ივლისხმება სოკრატეს ეთიკური სკოლა.

<sup>53</sup> აქედან ჩანს, პორაციუსი არსებით მნიშვნელობას პოეტურ შემოქმედებაში შინაარსს ანიჭებდა, თუმცა ფორმასაც არის გოგულეზე მეტ ყურადღებას აქყრობს.

<sup>54</sup> ასი – თორმეტი უნციის მემყეული ერთეული ფულისა.

<sup>55</sup> ლამა – რომაულ ფოლკლორში ბებერი ჯადოქარი, კელიანი ქალი, რომლის ხსენებითადა ბაემეებს აფრთხობდნენ.

<sup>56</sup> სენიორთა ცენტურია, ამაყი რამნები – წარჩინებული ხანში შესული და ახალგაზრდა რომაელები.

<sup>57</sup> სოსისები – ცნობილი წიგნით მოეაჭრენი ძევეს რომში.

<sup>58</sup> ქერილა – ელინისტური ხანის ეპიკოსი პოეტი, რომელსაც პორაციუსი სუსტ შემოქმედად თელიდა.

<sup>59</sup> აეტორი მიმართავს პიზონის უფროს ვაჟს, რომელიც ლიტერატურულ კარიერას იწყებდა.

<sup>60</sup> მარკუს ვალერიუს მესალა კორვინუსი – რომაელი ორატორი;

კასკელაუს აელუსი – ცნობილი რომაელი იურისტი, ძე.წ. 31 წელს კონსულად მყოფი.

<sup>61</sup> სარდული თაფლი – ეული გემოს მქონე თაფლი.

<sup>62</sup> მინერვა – სიბრძნისა და ხელოვნების მფარველი ღმერთქალი.

<sup>63</sup> სპურიუს მევიუს ტარპა – პორაციუსის თანამედროვე კრიტიკოსი, ავესტუსის კარის ცენზორი.

<sup>64</sup> ორფეუსი – თრაკიელი ლეგენდარული პოეტი – მომღერალი, გადმოცემით, ჩანგითა და სიმღერით ათეინიერებდა კლდეებსა და ფესვმავარ ხეებს.

<sup>65</sup> მესისა და ანგიოპუს ტენი ამფიონი და ძეთე თებეს ლეგენდარული გალაენის მშენებლობას მეთაურობდნენ.

<sup>66</sup> გირტოსი – ძე.წ. VII ს-ის ელეგიკოსი პოეტი. მისი ელეგიების უმთავრესი მოტივი საბრძოლო მოტივი იყო.

<sup>67</sup> პიერიული პანგები – მუშათა სამყოფელის პანგები.

<sup>68</sup> აქ ივლისხმება ბერძენ ტრაგიკოს პოეტთა ტეტრილოგიებით შეჯიბრის (აგონის) შემოღება.

<sup>69</sup> ბუნებრივი ნიჭის – ინგენიუმის (ingenium) და ხელოვნების (ars) ურთიერთობის საკითხი დიდი ყურადღებით განიხილებოდა ანტიკური ხანის არა მარტო პოეტიკის, არამედ სხვა დარგებში (განსაკუთრებით კი რიტორიკის ან ორატორული ხელოვნების თეორიაში).

<sup>70</sup> პითიური მემი – ერთ-ერთი პანელინური დღესასწაული, აპოლონ ღმერთისადმი მიძღვნილი.

<sup>71</sup> ასე იქვეოდაო, მაგალითად, აგათოკლე სირაკუმის გირანი ძე.წ. IV საუკუნეში.

<sup>72</sup> კეინგილუს ვარუსი – ეერგილიუსისა და პორაციუსის მეგობარი პოეტი, რომელიც ძე.წ. 23 წელს გარდაიცვალა და რომელსაც პორაციუსმა ერთ-ერთი ოდა მიუძღვნა (I, 24).

<sup>73</sup> არისტარქე – ელინისტური ანუ ალექსანდრიული ხანის ფილოლოგოსი (ძე.წ. 217 – 145), პომპროსის გექსტთა რედაქტორი.

<sup>74</sup> ივლისხმება სიყვითლის სენი.

<sup>75</sup> ივლისხმება სამეთარო სენი.

<sup>76</sup> ვმელოკლე – ბერძენი პოეტი-ფილოსოფოსი, აკრატანტელი (483 – 423 ძე.წ.).

*თარგმნა აკაკი ურუშაძემ*



## კუბლიუს ოვიდიუს ნაგო

(ძე.წ. 43 – ახ.წ. 18)

ოვიდიუსი დაიბადა ქალაქ სულმონში, მხედართა წოდების ოჯახში. მამამ იგი რომში გააგზავნა სასწავლებლად, სადაც პოეტი ეუფლებოდა რიგორიკას. რიგორთა სკოლის დასრულებისას ოვიდიუსმა, იმდროინდელი წესის თანახმად, საბერძნეთსა და მცირე აზიას მიამურა. იქ იგი ისმენდა ფილოსოფოსთა ლექციებს, ეცნობოდა კულტურის ძეგლებს. უკანდაბრუნებული პოეტი თავდაპირველად სახელმწიფო სამსახურში შევიდა, თუმცა შემდეგ არ ისურვა სახელმწიფო კარიერა და ლექსების თხზვას შეუდგა.

ოვიდიუსი მამინევე პოპულარული გახდა თავისი ბრწყინვალე სტროფებით – „ტროფობანი“, „პეროიდები“, „ტროფობის ხელოვნება“, „ტროფობისაგან განკურნება“, ტრაგედია „მედეა“, მკითხველთა დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

„ტროფობანი“, რომლიდანაც ცალკეული ამონარიდები ქვეყნდება ანთოლოგიაში, თავდაპირველად 5 წიგნისაგან შედგებოდა, შემდეგ თავად პოეტს შეუმცირებია იგი. ამ ნაწარმოების ლირიკული გმირი არის ეინმე კორინა, რომელსაც პოეტის სამიჯნურო თავგადასავლის არაერთი ეპიზოდი უკავშირდება.

საყურადღებო თხზულებას ოვიდიუსის პოემა „სიყვარულის ხელოვნება“ წარმოადგენს, რომელიც ფაქტობრივად იმ ხანად მეტად მოღური რიგორიკის სახელმძღვანელოების პაროდირებად გვევლინება. ოვიდიუსი მიჯნურებს ღიდაქტიკური ხასიათის რჩევებს აძლევს სატროფოთა გულის მოსანადირებლად.

ანთოლოგიაში ამ ნაწარმოებიდან ცალკეულ პასაჟებს ვთავაზობთ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ოვიდიუსის კრებული „პეროიდები“, რომელიც მითოლოგიური პერსონაჟების მიმოწერას ასახავს. ფიქტიური წერილების კანონში შეთხზული ეს ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს ძირითადად ქალთა გზავნილებს მამაკაცებისადმი, 21 წერილს აერთიანებს. ყველა მათგანი სამიჯნურო თემაზეა შექმნილი. ოვიდიუსის ამ თხზულებას დიდი აღიარება ხვდა წილად და მას მიმბაძველებიც კი გამოუჩნდნენ (პოეტი რაბინუსი პეროიდების სტილში წერს ე.წ. „საპასუხო წერილებს“).

მოგვიანებით ოვიდიუსი ქმნის პოემა „მეტამორფოზებს“ („გარდასახვანი“), სადაც 250-მდე ბერძნული, რომაული და იტალიური თქმულებაა დამუშავებული. ყოველი მითი სრულდება ადამიანის გარდასახვით ახალ სულიერ სხეულად ან უსულო საგნად. პოემაში მოცემულია სამყაროს პოეტური მოდელი, რომელიც მუდმივ ცვალებადობაზეა აგებული. ეს ნაწარმოები პოეტმა დაწვა მას შემდეგ, რაც შეიგყო ავეუსტუსის გადაწყვეტილება მისი გადასახლების შესახებ.

საყურადღებოა, რომ ოვიდიუსის გადასახლების მიზეზი დღესაც ბოლომდე ცნობილი არაა. თავად პოეტი დელიკატურ ღუმის ამჯობინებდა ამის შესახებ, თუმცა მიუთითებდა, რომ იგი დაღუპეს საკუთარმა ლექსებმა და თვალებმა.

გადასახლების პერიოდისათვის ოვიდიუსი „ფასტებზე“ მუშაობდა, რომლის მხოლოდ 6 წიგნი დაასრულა („ფასტებში“ მოცემულია რომაული სადღესასწაულო კალენდარი).

პოეტმა სიციოხლის დარჩენილი წლები შაიზმლისპირა ქალაქ ტომისში გაატარა, სადაც დაწერა „სევედანი“, „წერილები პონტოდან“, „იბისი“ და „მეთევზეობისათვის“.

ოვიდიუსის შემოქმედება სიციოხლეშივე გახდა მიბაძვის საგანი. „სიყვარულის მასწავლებელი“, – ასე უწოდებდნენ მას შუა საუკუნეებში, ხოლო რენესანსის ეპოქაში მეტი ყურადღება მიაპყრეს ოვიდიუსის „მეტამორფოზებს“.

ამ პოემამ XVII და XVIII საუკუნეებში არაერთ საოპერო და საბალეტო დადგმას მთაბერა სული.

ოვიდიუსის ლექსებისთვის ნიშანდობლივია სიფაქიზე, ფსიქოლოგიური სიზუსტე, მაღალმხატვრულობა, გამომსახველობითი ხატოვანება.

**თარგმანები:**

- 1) ოედიუსი, ტროზონი, თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. დარიბამ-ვილმა, თბილისი, 1987;
- 2) ოედიუსი, ტროზონი ხელოვნება, თარგმნა და შენიშვნები იამზე ვაგუასი;
- 3) ოედიუსი, პეროიდები, თარგმნა. წინასიტყვაობა, კომენტარები და საკუთარ სახელთა საძიებელი დაურთო იამზე ვაგუამ, ლოგოსი, თბილისი, 2008;
- 4) ოედიუსი, მეტამორფოზები, თარგმნეს ნ. მელაშვილმა, ნ. ტონიამ, ი. გარაყანიძემ, რელაქსია, შესავალი წერილი და კომენტარები აკ. ურუშაძის, თბილისი, 1980.

**ტრუობანი**

**წიგნი პირეული**

1

- მრისხანე ბრძოლებზე მსურდა დიადი სიმღერა მეთქვა,  
გმირთა ამბების თხრობა მწყობრი საზომით ეცაღე,  
თავიდან ორივე ბწყარი ჰქონია ამ საზომს ტოლი,  
მაგრამ ამურმა თურმე ერთ-ერთს მოჰკვეთა ტერფი.
5. „ამდენი უფლება ნეტა ვინ მოგცა, ბიჭუნავ, ლექსზე?  
ჩვენ პიერილებს ვმონებთ, შენ რა ხელი გაქვს ჩვენთან?  
ვენუსი იკადრებს განა, მინერვას წაართვას ხმალი?  
და ან მინერვა განა ლამპარს მოსტაცებს ვენუსს?  
მითხარი, ტყეების მეფედ კერესი თავისთავს ჩათვლის?
10. ანდა, დიანა რატომ დაისაკუთრებს ყანებს?  
ან თავში მოუვა ვინმეს, ხმლის ქნევა ასწავლოს ფებუსს?  
ან აონიურ ღირას ხელს რად შეახებს მარსი?  
რა ძალა გქონია, ბიჭო, რამხელა სამეფოს მართავ,  
სხვა რაღა გინდა ჩვენგან? რად არ იკმარებ პატივს?
15. იქნება, შენ მეფობ ყველგან? იქნება შენია ტემპეც?  
იქნებ ფებუსის ღირაც დღეს შენს ხელთაა უკვე?  
როგორც კი ვიღებლი კალამს და პირველ სტრიქონებს ვთხზავდი,  
მოიჭრებოდა ჩემთან და გამიქცევდა მუზას.  
მსუბუქი ლექსისთვის განა ოდესმე მქონია ქარგა?
20. მე არც ჭაბუკზე ვწერდი და არც მშვენიერ ქალზე.  
„დამეხსენ, კუპიდონ“, – ვთხოვდი, მან ყურად არ ილო თხოვნა,  
და დაუცდენელ ისრებს ჩემს დასალუჰად დასწვდა.  
გაღუნა ისრები მუხლით და მერე დაჭიმა მშვილდი,  
მითხრა: „დღეიდან ჩემთვის უნდა იმღერო მხოლოდ!“
25. ვეღარსად წაუვუკელ ამურს, ისრებით გამიპო გული,  
ცეცხლი მომედო გულზე, სულში გამეფდა ტრფობა.  
დღეიდან, ექვსმუხლა სტრიქონს ხუთმუხლა სტრიქონი მოჰყვეს,  
ვემშვიდობები ომებს და მათ შესაფერ ლექსებს;  
ოქროსფერთმიანი თავი მოირთე ზღვისპირა მირტით,  
ელეგიური ლექსით უნდა ვიმღეროთ, მუზავ!
- 30.

2

თავადაც არ ვიცი – რა მჭირს, რად მძვრება საბანი ნეტა?  
რა ხმელ საწოლზე ვწევარ, რად ვერ ვისვენებ, რა ექნა?  
ო, როგორ გაგრძელდა დამე, როდემდე ვიფხიზლო ასე?

- ო, როგორ მტკივა ძელები. თითქოს ტანშიაც მამტვრევს.
5. ეინმე რომ მიყვარდეს. მაშინ ვიტყოდი „მაწვალებს ტრფობა“. იქნებ, ამური ჩუმად შემომეპარა გულში? ასეა! ეტყობა დამჭრა ამურმა თავისი ისრით, მიეხვდი, საცოდავ ჩემს გულს შმაგი ამური ტანჯავს. დავნებდუ? ვებრძოლო? ბრძოლით უფრო არ გადავივდეს ცეცხლი.
10. ჯობს მოეუხარო თავი. იქნებ დამინდოს ცოტა. როდესაც ჩირაღდანს არხევ, ძლიერად გიზვიზებს ალი, და თუ არა და – ქრება, თავისით ქრება მალე. როდესაც ჯიუტობს ხარი და უღელს არ იღვამს ქედზე. ხშირად ურტყამენ სახრეს, დამჯერს – ნაკლები ხედება.
15. როდესაც თავნებობს ცხენი, ღონივრად უჭერენ ლავამს, ხელს არ ახლებენ მორჩილს, თავის ნებაზე დაქრის. ასეა ტრფიალის ღმერთიც, ის მხოლოდ ურჩებთან იბრძვის, მაგრამ არ ერჩის იმას, ვინც ქედს მოუხრის მდაბლად. კუბიდონ, მუხლს ვიდრეკ შენ წინ, გნებდები, მსხვერპლი ვარ შენი.
20. ფარხმალაყრილი ვდგავარ და დაზავება მინდა. მე ომი რას მარგებს შენთან, შეელას და მშვიდობას შეგთხოვ, უიარაღო კაცთან არც გეკადრება ბრძოლა. თმა მირტით მოირთე გიჯობს, და დედის ქედნები იხმე. ეტლს წესისამებრ გიძღვნის მამინაცვალი შენი. უღელი დაადგი ქედნებს, ამაყად იდექი ეტლში, „ტრიუმფატორი მოდის!“ – გზნებით შესძახებს ხალხი. ტყვეები შენს უკან ვივლით – ვაჟთა და ქალწულთა გუნდი, ო, რა ტრიუმფი გელის! რა დიდება და ეაშა! მეც, შენი ახალი მსხვერპლი, მორჩილად მოგყვები უკან.
30. ხელშებოკრილი, უტყვი, ტრფობის იარით მკერდზე. ზნეობის ქალღმერთთან ერთად სირცხვილიც თავს დახრის მორცხვად. ის, ვინც გებრძოდა ადრე, დღეს ქედს მოიხრის შენ წინ. სუყველას შეიპყრობს შიში, და გამოგიწვდიან ხელებს. ხალხი სიმღერით გეტყვის: „ოი, დიდება შენდა!“
35. კუბიდონ, შენს გვერდით ალბათ იქნება სიშმაგეც, ცოდაც. ეს მშვენიერი დასი სულ შენს კვალდაკვალ ივლის. ისეთი ჯარი გყავს, ლამის უძლეველ ღმერთებსაც სძლიო. მაგათ გარეშე საწყლად იტანტალებდი მარტო. ოლიმპოს მთიდან კი დედა ყვავილებს დაგაყრის თავზე.
40. და ძლევა მოსილ ვაჟკაცს შეგეგებება ტაშით. ლამაზ ფრთებს შეგიმკობს გემმა, გემმათი მოირთავ თმებსაც, ოქრო გეცმევა ტანზე, ოქროს ეტლებით იფრენ. მე გიცნობ, ტრფიალის ცეცხლით შენ გზაშიც სუყველას დაწვავ. ვინც კი ჩაგივლის გვერდზე, გულში დაასობ ისარს.
45. აღარც კი გისმენენ, ისე დაქრიან ისრები უკვე. შენი ჩირაღდანის ალიც ყველაფერს სწვდება ირგვლივ. შენსავით ძლიერი იყო ბახუსი – მეუფე განგის, შენ ქედნები გყავს ეტლში, ის კი ვეფხვებით ქროდა, რადგანაც აქა ვარ, შენთან, და შენი ტრიუმფით ვხარობ.
50. ჩემო მძლეველო, შენგან დღეს შეწყალებას ვითხოვ!

კეისარს მიბაძო. გირჩევ. დიდებულ ნათესავს შენსას,  
მტერს ჯერ ხელყოფდა. მერმე ხელს გაუწვდიდა ძლეულს.

4

- დღეს შენი მეუფე ალბათ შენს გვერდით იქნება ლხინში.  
ო. ეს ნადიმი მისთვის უკანასკნელი იყოს!  
მე უნდა სტუმრებში ვიჯდე და უნდა გიყურო შორით?  
ის უნდა იყოს შენთან, გეფერებოდეს ნაზად?
5. სხვას უნდა მიაღო თავი? სხვას უნდა ეკეროდე გზნებით?  
როცა ისურვებს, წელზე უნდა მოგხვიოს ხელი?  
ნუ გიკვირს, რატომღა მოხდა, რომ თეთრი ასულის გამო  
ველურ კენტავრებს შორის ატყვდა ჩხუბი და ბრძოლა.  
მე მგონი, არ ვცხოვრობ ტყეში, კენტავრიც არა ვარ მგონი,  
მაგრამ, როდესაც გხედავ, თავს ძლივს ვიმაგრებ მაინც.
10. ძვირფასო, დამიგდე ყური, იცოდე, სიტყვები ჩემი  
არ გაატანო ქარებს – შმაგ ნოტოსსა და ეერუსს.  
ქეიფში შენ მოდი ადრე, რას მარგებს ეგ შენი მოსვლა?  
ალბათ არაფერს, მაგრამ შენს კაცზე ადრე მოდი.
15. და მერე, ის როცა მოვა – უმანკო ღიმილით შეხვდი,  
მას მიუცუცქდი გვერდზე, თან მე შემახე ფეხი.  
თვალებით ბევრ რამეს გეტყვი, ხანდახან შემხედე ჩემად,  
რას გეუბნები – მიხვდი და მიპასუხე თვალით.
20. უენოდ ლაპარაკს შეეძლებო. წარბითაც განიშნებ სათქმელს,  
კალამს შეგვიცვლის თითი, სუფრა შეგვიცვლის ქაღალდს.  
თუ უცებ დაგიდგა თვალწინ სიამის დღეები ჩვენი,  
მაშინ ვარდისფერ ღაწვებს ხელი შეახე ნაზად.  
თუ უცებ გეწყინა რამე, გულში რომ არ ჩაგრჩეს წყენა,  
გთხოვ, მაშინათვე ჩემად ხელი მიიღო ყურთან.
25. ქცევით და საუბრით თუკი მოგხიბლუ, ლამაზო ჩემო,  
მაშინ ბეჭედი თითზე შემოიბრუნე მალევით.  
ვითარცა მლოცველმა ბომონს, მაგიდას შეახე ხელი,  
და მბრძანებელი შენი ჩემად დაწყევლე გულში.  
შენთვის რომ დაასხამს ღვინოს, არ შესვა, დალიოს თავად,
30. შენ კი მოახლე იხმე და სხვა სასმისი სთხოვე.  
შენს ჭიქას დაწველები ხარბად და დავეწაფები სასმელს,  
იმ ადგილიდან მოვსვამ, შენ რომ შეახე ბაგე.  
თუ იგი მოგაწვდის საჭმელს, რომელიც გასინჯა თავად,  
იმის ნაპირალს პირი არ დააკარო, ვბრძანებ.
35. გაფრთხილებ, არ მისცე ნება თეთრ ყელზე მოგხვიოს ხელი,  
საზიზღარ მკერდზე თავი შენც არ მიაღო ნაზად,  
ნუ მისცემ უფლებას, ხელით გისრისოს ლამაზი მკერდი,  
რაც მთავარია, კოცნა არ დაანებო, გესმის?!
40. კოცნა თუ დაუწყე, მოვალ, შემოგხვევ ხელებს და ვიტყვი,  
რომ ეგ ამბორი, ჩემო, დღეს მე მეკუთვნის მხოლოდ,  
ეკ. თუმცა ამბორზე ვდარდობ? კაბის ქვეშ რა ხდება, ვიცი?  
რასაც ვერ ვხედავ თვალით, ის უფრო მეტად მაკრთობს.  
თემოს ნუ მიაჭდობ თემოს და ნუ შეეხები მუხლით,  
ჩემო ლამაზო, შეგთხოვ, ფეხს ნუ მიაღებ ფეხზე.

45. ბევრი რამ მაშინებს, რადგან მეც ხშირად ვცოდავდი ადრე, და მაგალითი ჩემი შიშის ზარსა მცემს ახლა. ვინ მოთელის, სატრფოსთან ერთად რა ხშირად ვლადობდი ასე, ქალის კაბის ქვეშ, მახსოვს. ხშირად დაემტკარეარ ტრფობით. შენ, ვიცი, არ იზამ ამას, მაგრამ რომ გამოიქრეს ეჭვი,
50. უნდა მოიხსნა მაინც ეგ მოსასხამი მხრიდან. უთხარი, დალიოს ღვინო, არ მიუალერსო ოღონდ, მაგრამ დაუსხი უწყლოდ, რომ მაშინათვე დათვრეს, როდესაც დათვრება იგი და ჩაეძინება მაგრად, თვითონ მიეხვდებით, ალბათ, როგორ მოვიქცეთ მერე;
55. როგორც კი ისურვებ წასელას, ჩვენც წამოვიშლებით უმაღლ, ბრბოს შეერიე, გირჩევ, გაუჩინარდი ხალხში. მერე კი მიპოვე თვითონ, ანდა მაპოვინე თაეი, მოდი, სადაც კი შეძლებ, ყველგან შემავლე ხელი. ვაიმე, ჩემს სიტყვებს მალე სულ დაეკარგება ძალა,
60. მოვა ღამე და ბრძანებს, რომ ჩამოვეხსნა სატრფოს, მეუფე ჩაგკეტავს სახლში, დავრჩები თვალეზე ცრემლით, მე უფლება მაქვს მხოლოდ სახლის კარამდე გდიო. ღამით კი მოგტაცებს ამბორს და კიდევ სხვა რამეს ალბათ, რასაც მე მაძლეე მალვით, იმას თამამად მისცემ.
65. უგულოდ დანებდი ოღონდ, გულგრილად. უამოდ, ძალით, იყავ ტრფობისას ძუნწი, არ მიეფერო ნახად. ლოცვას თუ ძალა აქვს, მაშინ ვილოცებ. ვერ დატკბეს იგი, დატკბეს, ჯანდაბას, ოღონდ შენ ვერ დაგატკბოს ნეტა, იცოდე, რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა შეგემთხვას ღამით,
70. შენ დამარწმუნე მაინც, რომ არ ყოფილხარ სხვასთან!

5

- შუადღე დგებოდა უკვე, საოცრად ცხელოდა გარეთ, მეც მომადუნა სიცხემ და მივაშურე საწოლს. დარაბა დაეხშოთ ყველგან, ერთიღა დაეკლოთ ღიად, და როგორც უღრან ტყეში, ბინდ-ბუნდი იღვა აქაც.
5. ასეთი ბინდი დგას მაშინ, როცა მზე ღრუბლებში წვება, ან გარიერაჟზე, დილით, როცა დღე ებრძვის ღამეს. ამბობენ, ასეთი შუქი ქალწულებს იზიდავს მხოლოდ, რადგან სიბნელეს თითქოს თავს აფარებენ მორცხვად. კორინა მოვიდა ამ დროს, საკინძე შეხსნოდა მკერდზე.
10. მაღალ, თაფლისფერ ყელზე ჩამოეშალა თმები. ღამაზ სემირამისს ჰკავდა, კაცთან სამიჯნუროდ მოსულს. მამრთა მოყვარულ ლაისს, აეხორც ლაისსაც ჰკავდა. ქალს თხელი ტუნიკა ეცვა და ძლივს უფარავდა სხეულს. მე დავუპირე გახდა, მან გაიბრძოლა ვითომ.
15. თან ისე იბრძოდა, თითქოს მტრის ხელში ჩაეარდნა სურსო, თავს უღალატა თავად, მომაგებინა ბრძოლა. დამნებდა, გაშიშვლდა ჩემ წინ, ენახე და დამესხა თავბრუ. მის უღამაზეს სხეულს წუნს ვერ დასდებდა კაცი. რა ხელებს შევახე ხელი, რა მხრები ვიხილე თვალთ,
20. რა საალერსო მკერდი, რა ნატიფი და სავსე!

- ვიხილე მოქნილი ტანი, მუცელი მრგვალი და გლუვი,  
თლილი ფერდები გრძელი და თქობები მკერივი.  
ცალ-ცალკე რაღატომ ვთვალო? რაც ენახე, ღირსია ქების,  
დიდხანს ვეკროდი ვნებით მის უნატიფეს სხეულს.
25. ხომ ხვდებით, რაც მოხდა მერე... დაღლილებს მოგვინდა ძილი,  
ო, ასეთი დღე კიდევ თუ შეღირსება, ღმერთო!

6

- მისმინე, უღირსო მცველო, ძაღლივით მიბმულო კარზე,  
რაზა გასწიე, გახსენ ეგ საძულველი კარი.  
მთლიანად ნუ გახსნი, არ გთხოვ, ცოტათი შეაღე მხოლოდ,  
იქნებ გვერდულად მაინც შეეძლო შეძრომა კარში.
5. ხომ ხვდავ, რა მიყო ტრფობამ – ჩამოვხში, ვიქციე ლანდად,  
ისე საოცრად გავხდი, ხერულშიც გაეძერები მგონი.  
ამური მასწავლის გავლას უჩუმრად დარაჯებს შორის,  
ის დამაქროლებს ყველგან უზრუნველად და ლაღად.  
შიშს მგვერდინენ ლანდები წინათ, მაკრობდა უკუნი ღამე,
10. და მარცხვდა მუდამ ბნელში მავალი კაცი.  
– ნუ გიკვირს, – სიცილით მითხრეს ვენუსმა და მისმა ვაჟმა, –  
მაღე შენც იველი ბნელში, შენც გაგიქრება შიში.  
ავენთე ტრფობით და მართლაც, მაშინვე მამაცი გავხდი,  
აღარც ლანდები მაკრობს და არც უკუნი ღამე.
15. მხოლოდ შენ მაშინებ მცველო, შენ გელაქუცები მხოლოდ,  
შენ შევიძლია მომკლა, ხელში გიპყრია მები.  
შეხედე, დარაჯო, უკვე უგულო ურდულიც მოლბა,  
ნახე, ცრემლების ღვარმა სულ დაასველა კარი.  
არ გახსოვს, უგნურო? როცა გაწყველას უცდიდი შიშით,
20. შენს ქალბატონთან მაშინ მე შეგაწიე სიტყვა.  
მაშინ ხომ გიშველე, მცველო? მაღლობა მითხარი ახლა,  
ო, უმადურო, ნუთუ არ ვარ მაღლობის ღირსი!  
მაღლობის გადახდა გმართებს, შენ ჩემთან არ გარგებს ჩხუბი,  
ჩქარა, ილევა ღამე, კარებს ახსენი რაზა!
25. ახსენი, თუ გინდა თაეი ოდესმე დაიხსნა მონავ,  
და მონის მწარე ლუკმას აღარ ლოღნიდე ისევე,  
ეტყობა ამაოდ დაეშერი, შენ ჩემი არ გესმის მაინც,  
მუხის მაღალი კარიც ყრუდ აღმართულა ჩემ წინ!  
ომის დროს ქალაქებს ირგვლივ არტყამენ ბჭემადალ კედლებს,
30. ხომ მშვიდობაა ახლა? რად ჩაგირაზავს კარი?  
მტერს უნდა დაუხვდე ასე, მოყვარეს რად მიხშობ ჭიშკარს?  
ჩქარა, ილევა ღამე, რაზა ახსენი კარებს.  
მე უიარაოდ მოველ, არც ჯარი არ მიდვას გვერდით,  
მარტოდმარტო ვარ, მხოლოდ შმაგი ამური მახლავს.
35. რომც მსურდეს, ვერ შევძლებ ალბათ ამურის გარეშე ყოფნას,  
თავს ვუღალატებ უმალ, ვიდრე შფოთიან ამურს.  
ამური მძვინვარებს სულში, ჩემს სულში ბახუსიც ბორგავს,  
და სოველ თმებზე უკვე კედარ ვიჩერებ გვირგვინს.  
ვინ უფროთხის ჩემნაირ მებრძოლს? ვის შეეშინდა ჩემი?
40. ჩქარა, ილევა ღამე, კარებს ახსენი რაზა.

- გძინავს თუ დაყრუვდი? გძინავს? იძინე სიკვდილის ძილით!  
 ყურს რად არ მიგდებ მიჯნურს? ქარს რატომ ატან სიტყვებს?  
 მე მახსოვს, პირველად როცა მინდოდა დამალვა შენგან.  
 შენ მთელი დამე ფხიზლად მითვალთვალებდი მაშინ.
45. იქნება შენ გვერდით ახლა საყვარელს ნებიერად სძინავს,  
 ხედავ, გარგუნა ღმერთმა შენ უკეთესი ბედი!  
 შენსავეთ ქალთან რომ ვიწვე, მონობას ვარჩევდი ალბათ.  
 ჩქარა, ილევა დამე, კარებს ახსენი რაზა.  
 რა მოხდა? ჭრიალი მესმის, იქნება გაიღო კარი?
50. იმედს მიღვიძებს ეს ხმა, ეგებ მეშველოს რამე.  
 ვაიმე, მოვტყუვდი მგონი, ეს ქარი არხევედა კარებს,  
 ჩემი იმედიც გაქრა, თან გაიყოლა ქარმა!  
 ბორეას, მე მახსოვს, ერთხელ როგორ გაიტაცე სატრფო,  
 მოდი, დაჰბერე ახლაც, მოდი, მოგლიჯე კარი!
55. სიჩუმეს მოუტაცავს რომი და ირგვლივ ცვარ-ნამი ბრწყინავს,  
 ჩქარა, ილევა დამე, კარებს ახსენი რაზა.  
 თორემ მახვილით და ცეცხლით ახლავე წამოვალ თქვენიკენ.  
 და ამ ქედმაღალ კარებს თავს დავატყვებდი რისხვით.  
 საჩხუბრად მაქე ზებს მიჯნურს ამურიც, დამეც და ღვინოც.
60. უსირცხვილოა დამე, ტრფობამ არ იცის შიში.  
 მუქარით ვერაფერს გავხდი, თხოვნამაც ვერ გაჭრა შენთან,  
 შენი კარების მსგავსად ხისა ყოფილხარ, მცველო,  
 ვინ მოგცა უფლება ნეტა, იცავდე გოგონას ჭიშკარს?  
 შენ უნდა იდგე მცველად ბნელი ღილევის კართან.
65. ავრორაც გამოჩნდა უკვე თავისი ცერიანი ეტლით,  
 აი, მამლის ხმაც ისეე ხალხს სამუშაოდ უხმობს.  
 თავიდან მოვიგლეჯ გვირგვინს, დავაგდებ უღმობელ კართან,  
 ჩემო გვირგვინო, გტოვებ, აქ უნდა ეგლო მარტო.  
 როდესაც გოგონა დილით კარებთან დავდებულს გნახავს.
70. შენ მეყოლები მოწმედ, როგორ ვიტანჯე დამით.  
 მშვიდობით, დარაჯო, თუმცა არა ხარ მშვიდობის ღირსი,  
 სატრფოს კარებთან წეხნარ და შინ არ მიშვებ მიჯნურს,  
 მშვიდობით, უგულო ზღურბლო, მშვიდობით, უდრეკო ბჭუე,  
 და შენც მშვიდობით იყავ, მონის მშობილო კარო!

7

- დამადეთ ბორკილი ხელზე, ღირსი ვარ, დამსაჯეთ მკაცრად.  
 თუ სიკეთე გსურთ ჩემთვის, დამაშოშმინეთ დროზე.  
 გავცხარდი და უცებ ხელი გავართყვი საყვარელ სატრფოს,  
 ჩემი სიგიჟის მსხვერპლი ზის და ქვითინებს მწარედ,  
 ძვირფასი მშობლების ცემაც შემეძლო იმწუთას ალბათ,  
 ღმერთზეც შემეძლო მაშინ რომ აღმემართა ხელი.  
 არ გახსოვთ? შვიდეკეცა ფარის პატრონიც გაცხარდა ერთხელ  
 და ამოხოცა ეელზე თეთრი ძროხების ჯოგი.  
 ორესტეც გაშმაგდა, რადგან ღმერთები ფეხდაფეხ სდევდნენ.  
 დასწვდა უშიშრად მახვილს და მოუქნია მძლავრად.
10. და მე კი, თავხედმა, სატრფოს, ჩემს სატრფოს მოეწიწევა თმები,  
 თმა აეწიწა, მაგრამ უფრო მოუხდა, მგონი.

- მშენიერ სქენის ჰგავდა, რომელიც მშვილდ-ისრით ხელში შორს, არაკადის მთებში უშიშრად დასდევს ნადირს.
15. თმაგაშლილ კრეტელ ქალს ჰგავდა, რომელიც ტიროდა მწარედ, როცა მის მიჯნურს ზღვაში მიაქანებდა ქარი.  
კასანდრას ვამსგავსე, თუმცა მას თმები შეკრული ჰქონდა, როცა დაემხო პირქვე წმინდა მინერვას ტაძრად.  
სხვა ქალი ატეხდა კივილს, ან დამიძახებდა მტარვალს.
20. ის კი უჩემრად იჯდა, ენა დაუბა შიშმა.  
სიტყვაც კი არ უთქვამს, ღუმდა, სახეზე ეწერა წყენა, მისი ცრემლი რომ ვნახე, ჩემს დანაშაულს მივხვდი.  
ვიფიქრე, ახლავე, აქვე, მოვიჭრი ამ ოხერ ხელებს, დაე, უხელო ვიყო, ჯობს, სულ არ მქონდეს ხელი!
25. რატომ არ დაეინდე სატრფო? რატომ არ მოვთოკე თავი?  
ჰოდა, ახია ჩემზე, მეც ხომ გავმწარდი ბოლოს.  
ბოროტო ხელებო, ნეტა რაღაში მჭირდებით ახლა?  
უნდა გდიოდეთ სისხლი, ბორკილი უნდა გედოთ!  
ბოგანო მეცემა ვინმე – უთუოდ დამსჯიდნენ მკაცრად.
30. ვისზე ნაკლები იყო ჩემი საბრალო სატრფო?  
ტიდიდეს ეძახდნენ აკვაცს, რადგანაც ქალღმერთი დაჭრა,  
მან იეაჟკაცა ერთხელ, მე მეორე ვარ ეხლა.  
იმაზე ცოდვილი მე ვარ, მე სატრფოს ვეძგერე თმებში.  
დიომედემ კი ომში მტერზე აღმართა ხელი.
35. იხარე, მძლეველო, ვაშა! წინ დიდი ტრიუმფი გელის,  
თმები მოირთე დაფნით, მსხვერპლი შესწირე ღმერთებს,  
ბრბო დაგედვენება უკან და ეტლის კვალდაკვალ ველის,  
ერთხმად შესძახებს: „ოი! დიაცს ვაჟკაცმა სძლია!“  
ტყვეებში შენიშნავ სატრფოს თამაგაშლილს, მჭმუნვარეს, შემკრთალს.
40. სისხლს დაუნახავ დაწვზე, მის სიფითრეს რომ მაღავს,  
ბაგეზე მიმეჭლო ბაგე და მაგრად მეკოცნა ჯობდა,  
ან დამჩნეოდა ყელზე ჩემი კბილების კვალი.  
თუმც ძალზე გავცხარდი მაშინ, თუმც მაშინ დავეკარგე გონი,  
ჩემმა სიშმაგემ თუმცა სულ ამიბნია თავგზა.
45. არ უნდა გამერტყა მაინც, მე გგონი, კმაროდა სიტყვაც.  
რაღად მინდოდა ჩხუბი? თმებში რაღაზე ვეცი?  
კაბაში ვცემოდი ნეტა, კაბა დამეხია ჯობდა,  
იქნება კაბის ქამარს არც კი ჩავეშვი ქვევით.  
მე კიდევ ვითრიე თმებით, ვაგინე, გავარტყი ხელი,
50. გონარეულმა ბოლოს სულ დაუუკაწრე სახე.  
კრინტიც არ დაუძრავს, ღუმდა, სახეზე არ ედო ფერი,  
თეთრ ქანდაკებას ჰგავდა, პაროსულ ქვისგან ნაკეთოს,  
მერე კი მოეშვა უცებ და აუცახცახდა ტანი,  
აღვის ხეების თმებსაც ასე ათროთოლებს სიო,
55. ლერწმებიც ასეთი თრთოლვით ზედებიან ზეფირუსს დილით,  
თბილი ნოტოსიც ასე ეთამაშება ტალღებს.  
ჯერ თვალზე მოადგა ცრემლი, მერე კი გადმოსკდა ღვარად,  
ყინულს რომ გაჭრის წყალი და გადმოხეთქავს, ისე.  
პირველად ვიგრძენი მაშინ, რომ მართლაც ცოდვილი ვიყავ,  
60. ცხარე ცრემლები მისი – ეს სისხლი იყო ჩემი!



- მუხლებზე დავეცი სამჯერ და სამჯერ შენდობა ვთხოვე,  
სამჯერეუ ჩემი ხელი მან მოიშორა ცივად.  
თუ გინდა, დამთხარე თვალი, მწვდი თმაში, მეჩხუბე, მლანძღე,  
სუსტ და უღონო ხელებს ძალას შემატებს რისხვა...
65. ვაიმე, ძვირფასო! თმაზე არ დაგრჩეს ამ ჩხუბის კვალი!  
მაშ, უწინდელზე უკეთ უნდა დაიწყო თმები!

11

- შენ იცი აწეწილ თმების ლამაზად დაეარცხნა ნაპე!  
შენ ხომ ბადალი არ გყავს სხვა მოახლეებს შორის.  
მიჯნურებს გეახვედრებ ღამით, პაემანს გეინიშნავ ჩემად,  
მარჯვე შიკრიკო ჩვენო და სიყვარულის მაცნე!
5. მე მახსოვს, კორინა ბევრჯერ ეჭვობდა წამოსვლას ჩემთან.  
შენ კი ურჩევდი მოსვლას, ხშირად მყოლიხარ შემწედ.  
სატრფოსთან ტაბელებს გატან, რომლებიც დაქწერე დილით,  
ნუ შეყოვნდები, გასწი, გზაში იარე ფრთხილად!  
ვიცი, რომ არა ხარ გულქვა, გულცივიც არა ხარ, ვიცი,  
და არც ტუტია არ ხარ სხვა მსახურების დარად.
10. ამურს ხომ თავისი ისრით შენც დაუკოდიხარ ბევრჯერ,  
მე მემსახურე, ამით ხარკს გადაუხდი ამურს.  
თუ სატრფომ მიკითხა, უთხარ, რომ მხოლოდ იმედით ვცოცხლობ,  
სხვა დანარჩენს კი ალბათ ჩემი წერილი ეტყვის.
15. იჩქარე, მარტო თუ დაგხვდა, სასწრაფოდ მიეცი წიგნი,  
რომ წაიკითხოს მყისვე ჩემი უსტარი სატრფომ.  
გიბრძანებ, მის გვერდით იდგე და არ მოაშორო თვალი,  
ქალის სახეში უმაღ ამოიკითხავ პასუხს.  
უთხარი, მომწეროს ბეერი, უთხარი, დაწეროს მჭიდროდ,  
20. მინდა ძვირფასის ნაწერს დიდხანს ვეფურო თვალით,  
ო, არა, კალაში დიდხანს რად უნდა ეჭიროს ხელში?  
ხომ დაეღალა ხელი, მოკლედ მომწეროს – „მოდი!“  
ჩემს კეთილ შიკრიკებს – დაფებს – მაშინვე დაფნებით მოვრთავ,  
მორთულ ტაბელებს მერე ვენუსს მივართმევ ტაძრად.
25. მივაწერ: „ნაზონი თავის მსახურებს უგზავნის ვენუსს“,  
ხის ულაზათო ჯირკი გერქვათ დაფებო წინათ!

12

- ვაიმე, საბრალო თავო, ნეტა ვინ დამთარსა ასე?  
ეს რა წერილებს ვიღებ, სატრფო რად მითვლის უარს?  
რა ცუდად მენიშნა წელან, სახლიდან გასვლისას ნაპეს  
ფეხი დაუცდა უცებ, წაიფორხილა ზღურბლზე.
5. სხვა დროს რომ გაგგზავნი კიდევ, იცოდე, იყავი ფხიზლად,  
ზღურბლზე გადადი ფრთხილად, აღარ დაგიცდეს ფეხი.  
ბოროტო დაფებო, მძულხართ, მომშორდით, თავიდან მომწყდით,  
შენც გამეცალე ცვილო, ავი ამბების მაცნე!  
შხამიან ციკუტთა ბაღში შეგკრიბეს ფუტკრებმა ალბათ,
10. კორსიკულ თაფლთან ერთად ჩამოგიტანეს ჩვენთან.  
რა წითლად ბრდღვიალებო? რატომ? ეტყობა შეგღებეს წითლად,

- თუმც შედეგებზე უფრო სისხლში ამოსკრილს გავხარო.  
 ბოროტო დაფებო. ნეტა შარაზე დაგყარონ ობლად,  
 გადავიაროთ ეტლმა და ნაფოტებად იქცეთ!  
 15. იმ ოსტატს, რომელმაც შეგქმნათ, რომელმაც გაქციათ დაფად,  
 ბოროტი გული ქქონდა და უწმინდური ხელი.  
 იმ ხისგან გამოთლილს გავხარო, რომელზეც ბედშავეებს სჯიდნენ,  
 მასზე მრავალი კაცი ჩამოუხრჩვია ჯალათს.  
 მკივანი ჭოტებიც მუდამ საზიზღარ ხის ჩრდილში იხდნენ,  
 20. კვერცხს მის ტოტებში დებდნენ ბუკიოტი და ძერა.  
 მამ, რაღად გავბრწყინდი ასე? ასე რამ ამიბა თვალი?  
 ვის გაუხსენი გული? ვის მივაბარე ტრფობა?  
 ჯობდა, დაეწერა მსაჯულს სამართლის კანონი მათზე,  
 მას ხომ ვეჭილი მერე ჩაიკითხვდა ცივად.  
 25. დავთრებად ექციათ, ჯობდა, დავთრებად, რომელშიც ჩარჩი  
 თავის მონაგებს ითელის და ანგარიშობს ხარჯებს.  
 ორგული ბუნების გამო ორკეცი დაგერქვათ ალბათ,  
 თარსი რიცხვია ორი – კარგს რად ველოდი მისგან?  
 ასეთ დროს რა უნდა გითხრათ? რისხვისგან გონებას ვკარგავ,  
 30. ხავსი მოედოს დაფას, ცვილს მოეკიდოს ობი!

- რას მერჩი, რატომ მჭამ, ეჭვო? რა იყო? სიყრმის წლებს ვკარგავ?  
 განა ლექსების წერა დროის დაკარგვა არი?  
 დამეხსენ, მამათა მსგავსად არა ვარ მებრძოლი, რა ვქნა,  
 მე არ ვესწრაფი პატივს, ლაშქრულ დიდებას, ჯილდოს.  
 5. ფორუმზე არ ედგაყარ დღისით, ლაქლაქით არ ვიღლი ენას,  
 არცა ვქადაგებ კანონს და არც სიტყვებით ვვაჭრობ.  
 ყველაფერს გააქრობს ჟამი, მე უკვდავ საქმეებს ველტვი,  
 ჩემი სიმღერა მინდა საუკუნეებს გასწვდეს.  
 ჯომეროსს რა მოკლავს, სანამ არსებობს მაღალი იდე,  
 10. და სიმოისიც სანამ ზღვისკენ მიარღვევს ტალღებს.  
 ასკრელიც იცოცხლებს, ვიდრე ვაზი და ყურძენი ხარობს,  
 ვიდრე კერესის ცელით თიბავს მთიბავი ყანას,  
 და ბატიადესაც ჩვენში ხოტბას შეახსამენ მუდამ,  
 თუმც მის დახვეწილ ლექსებს ზოგჯერ აკლია ცეცხლი.  
 15. სოფოკლეს კოთურნასაც ალბათ ვერასდროს ვერ გაცევთ ჟამი;  
 და არატუსიც ცოცხლობს, ვიდრე მზე ათბობს მიწას.  
 მენანდრეც იცოცხლებს, ვიდრე არსებობს ცბიერი მონა,  
 ცრუ მაჭანკალი, სატრფო და უმოწყალო მამა.  
 ენიუსს ვერ მოსპობს ჟამი, ვერც იმის მოუქნელ ლექსებს,  
 20. ვერც აკციუსის ნაწერს ვერ მოერევა ხანი.  
 არ დაივიწყებენ ვარონს, არც იმის მშვენიერ ზომალდს,  
 სანატრელ ოქროს საწმისს და ესონიდეს სახელს.  
 სანამ ჩქეფს სიცოცხლე ქვეყნად და სანამ არსებობს მიწა,  
 ლუკრეციუსის წიგნიც ემახსოვრება ყველას.  
 25. ტიტირუსს და სოფლის ლექსებს, გმირი ენეასის ბრძოლებს,  
 ვინ დაივიწყებს, ვიდრე ქვეყნად ბატონობს რომი.  
 და სანამ უპყრია ხელში კუპიდონს ცეცხლი და მშვილდი,

- ტიბულუს! შენი ლექსიც არ დაძველდება მანამ!
30. ჩრდილოეთს, დასავლეთს, სამხრეთს გასწვდება გალუსის ლექსი და ლიკორისიც ალბათ ემახსოვრებათ დიდხანს.  
დრო-ჟამი სახნისსაც გაცვეთს და მაღალ კლდეებსაც დაშლის.  
ლექსს კი ვერ მოსპობს იგი, ლექსი იცოცხლებს მარად.  
ხელმწიფემ თავისი კვერთხით ადგილი დაუთმოს ლექსებს.  
ოქროს ტაგუსიც შედრკეს და დაიხიოს უკან.
35. ბრბო წვრილმან საზრუნავს ელტვის და მე კი აპოლონს შევთხოვ გამომიწოდოს თასი, კასტალიის წყლით საესე.  
შუბლს მინდა მიმოვბდე მუდამ სიცივით შემკრთალი მირტი,  
მსურს, წამიკითხოს გზნებით შეყვარებულმა ვაჟმა.  
დღემუდამ შური გვეღრღნის ცოცხლებს, მოკვედებით – ჩაცხრება ისიც.
40. სიკვდილის შემდეგ ყველას თავის წილ პატივს ვაგებთ.  
მე მჯერა, სიკვდილის ცეცხლი მთლიანად ვერასდროს დამწვავს და სანახევროდ მაინც გადაუურჩები სიკვდილს!

### წიგნი მეორე

#### 1

- ეს ლექსიც ნაზონმა შევთხზე, შობილმა პელიგნთა მხარეს,  
ჩემს თავქარიან ყოფას ვინც ვადიდებდი ლექსად.  
გულცივო ქალებო, წადით, ამურის ბრძანებით ვმდერი,  
ვიცი, ეს ჩემი ჰანგი თქვენ ვერ დაგიტკობთ სმენას.
5. დაე წამიკითხოს სასძლომ, გამთბარმა ტრფიალის ცეცხლით,  
ანდა ყმაწვილმა, ვისაც ჯერ არ უგრძენია ტრფობა.  
ჩემსავით ამურის ისრით დაჭრილმა ჭაბუკმა მნახოს,  
წამიკითხოს და ეცნოს ჩემი ტრფობა და ვნება.  
შემცხარი შეკვირებს ალბათ: „პოეტი ჩემ გულში იჯდა?  
10. რა ზუსტად ჰყვება იგი ჩემი ტრფიალის ამბავს!“  
ზეციურ ომებზე, მახსოვს, სიმღერას ვბედავდი წინათ,  
არ მელეოდა სიტყვა, ლექსებს გიესზეც ვთხზავდი,  
გვაზეც, რომელმაც ერთხელ საშინლად იძია შური  
და ოლიმპოზე დასცა პელიონი და ოსა.
15. დრუბლები ხელთ მეპყრა მაშინ და იუპიტერის კვერთხი,  
კვერთხი, რომლითაც იგი იცავდა თავის ზეცას.  
მიჯნურმა დამიხშო კარი, ხელიდან გავაგდე მეხი,  
იუპიტერიც მყისვე გადამავეიწყდა ბედკრულს.  
შემინდე, მე შენი მეხით, მეუფეე, ვერაფერს გავხედი,  
20. მაგრად ჩარაზულ კარებს ვერა დააკლო ელვამ.  
ჩემეულ იარაღს დავწედი – მომხიბლავ სიმღერებს ვენდე,  
ნაზი სიტყვების ძალით გულქვა კარებიც მოლბა.  
სიმღერებს ჩამოჰყავთ ციდან სისხლისფრად ელვარე მთვარე,  
მზე ჩამავეალი ძალუძთ, რომ მოაბრუნონ უკან.
25. შუაზე აპობენ გველებს და აკარგვინებენ ძალას,  
სათავისაკენ ძალუძთ შემოაბრუნონ წყარო.  
სიმღერებს მორჩილებს კარიც, ისინი აღებენ ურდულს,  
მუხის საკეტსაც სძლევენ, რაგინდ მაგარი იყოს.  
ნეტა რა სიკეთეს მომცემს, უუმღერო აქილექსს ფეხმარდს?

30. ანდა, რას ვაქნევ ნეტა, ორსაე უბადლო ატრიდს?  
 ან იმ კაცს, რომელმაც სიყრმე გალია ომსა და გზებზე,  
 ან ჰემონიურ რაშზე უკანგამობმულ ჰექტორს?  
 ჯობია, მომხიბლავ გოგოს ღამაში ლექსები ვუძღვნა,  
 ჯილდოდ თავს მიძღვნის იგი, თვითონვე მოვა ჩემთან.
35. მივიღებ მშვენიერ ჯილდოს, მშვიდობით, გმირებო, თქვენდა!  
 მე აღარაფრად მიღირს თქვენი წყალობა ახლა!  
 ღამაზო ქალებო მოდით, სიმღერებს დაუგდეთ ყური,  
 მათ მე ამური მითხრობს – წითლადმოსილი ღმერთი!

3

- ვაი რომ დიაცი არ ხარ, არც კაცი არა ხარ, მცველო,  
 შენ ვერასოდეს იგრძნობ ტრფობის ეშხსა და ძალას,  
 ო, ღმერთო, წყუღიმც იყოს, ვინც დაასახიჩრა კაცი  
 – საჭურისობის მომგონს იგივე ბედი ერგოს!
5. ხომ შემიბრალებდი მიჯნურს და ამისრულებდი თხოვნას,  
 რომ ერთხელ მაინც ტრფობით აგბგერებოდა გული.  
 ძარღვებში არ გიდულს სისხლი, არა ხარ შობილი მხედრად,  
 შენ არ შეგფერის ხმალი, ლაშქრობები და ომი.  
 ამაზე ოცნებაც არ ღირს, ეს არის კაცების საქმე.
10. შენი საქმეა მხოლოდ შენს ქალბატონზე ზრუნვა.  
 არც შენთვის იქნება ცუდი, რომ მისი ერთგული იყო,  
 მას თუ დაკარგავ, მცველო, შენც გეკარგება ფასი.  
 ტრფობისთვის მზად არის იგი – ღამაში, სიცოცხლით საესე,  
 ეს მშვენიერი ქალი რად უნდა დაჭკნეს უქმად?
15. შენ თუმცა დარაჯობ ფხიზლად – ის თვალებს ავბიამს მაინც,  
 ჩვენ გაგაბრიყვებთ ბოლოს, ერთ კაცს გაჯობებთ ორნი.  
 იქნება ჯერ თხოვნამ გაჭრას, დარაჯო, ისმინე ჩვენი,  
 თორემ მივხედავთ ჩვენს თავს, შენ აღარაფერს გკითხავთ!

5

- კუპიდონ, აღარ ღირს ტრფობა, გამშორდი მაგ შენი მშვიდლით,  
 სიკვილის მეტი უკვე აღარაფერი მინდა!  
 როცა კი შენს ღალატს ვიგებ, რადა ვარ ცოცხალი, ვფიქრობ,  
 ალბათ იმიტომ გავჩნდი, რომ სიკვილიამდე მტანჯო!
5. გგონია, ცოდვები შენი წერილით მაუწყეს ჩუმად?  
 ანდა ახალი ჭორით დამასაჩუქრა ვინმემ?  
 ნეტავი ბრალს გდებდე მხოლოდ, ნეტავი ვტყუოდე შენთან,  
 მაგრამ ვაი რომ ახლა სიმართლე ჩემკენ არი!  
 იმ ვაჟკაცს შევნატრი, ვისაც არასდროს შეარცხვენს სატრფო,  
 „უცოდველი ვარ“ – ვისაც თამამად ეტყვის ქალი.
10. იმ კაცს კი, რომელიც სატრფოს ცოდვების შეტყობას ცდილობს,  
 სიამესა ჰგერის ალბათ თავისი თავის ტანჯვა.  
 მე რა ვქნა საბრალომ, როცა ყველაფერს ვუყურე თვითონ,  
 შენ კი გეგონე მთვრალი და არშიყობდი სხვასთან.
15. ვხედავდი, შენს მიჯნურს როგორ ანიშნე წარბებით რაღაც,  
 თავის დაქნევით მანაც რაღაც პასუხად გამცნო.

- თვალეებით ბევრი რამ ითქვა, ღვინით კი სუფრაზე წერდით, ვნახე, თითებით მარჯვედ მუსაიფობდით დიდხანს.
20. ყველაფერს იოლად მივხვდი, თუმცა საუბრობდით უხმოდ, კარგად მესმოდა მინც თქვენი მუნჯური ენა. ქეიფი დასრულდა ბოლოს, სტუმრებმა ადგომა იწყეს, სულ რამდენიმე მთვრალი შემორჩენოდა სუფრას. და თქვენ კი, რა ვნახე ღმერთო! ერთმანეთს დაუწყეთ კოცნა, ბაგეს აჭლობდით ბაგეს, ენაც ეკეროდა ენას.
25. ეგ კოცნა არ ჰგავდა დამპურს, და ძმას არ აკოცებს ასე, ასეთი ენებით მხოლოდ მიჯნური კოცნის მიჯნურს, მითხარი, ფეხუსი განა დიანას აკოცებს ასე? ასე მშვენიერ ვენუსს მოეფერება მარსი.
30. „რას შერები? – ვიყვირე უცებ, – ვის აძლევ სიყვარულს ჩემსას? სხვას რა უფლებით კოცნი? შენი მეუფე მე ვარ! სიყვარულს სხვას რატომ უყოფ? ესაა სიმდიდრე ჩვენი, ამ სიმდიდრიდან წილი სხვას რატომ უნდა ერგოს?“ ეთქვი ეს და მომეშვა გულზე, და რისხვაც ჩამიცხრა თითქოს, დამნაშავეს კი უცებ წითლად აენთო სახე.
35. ტითონის მეუღლე ზეცას რიჟრაჟზე აწითლებს ასე, პირველი კოცნის დროსაც ასე წითლდება გოგო, ასევე ანათებს ვარდი მშვენიერ შროშანებს შორის, და ჯადომთვარეც, როცა ცხენთა მონუსხვას ლამობს, ასეთფრად ღებავენ თურმე სპილოძვალს ლიდიის მკვიდრნი,
40. რომ სილამაზე შერჩეს, არ გააყვითლოს ჟამმა. სატრფოსაც ასეთი ფერი დაედო სახეზე უცებ, ასე ლამაზი იგი მე არ მინახავს ჯერაც... მან მორცხვად დახარა თავი, მორცხვობა მოუხდა უფრო, სევედა ეფინა სახეს, ძალზე შეენოდა სევედაც.
45. მინდოდა მეთრია თმებით (ო ღმერთო, რა თმები ქქონდა!) ნაზი ღაწუვებიც მსურდა ჩამომეკაწრა მისთვის. შვევხედე უცებ და გაეშრი, ხელეზში წამერთუა ძალა, თავის სიტურფით ქაღმა ჩემგან დაიცვა თავი. გიჟს ვგავდი ცოტა ხნის წინათ და უცებ საოცრად მოვლბი.
50. სხვას რომ კოცნიდა, ვთხოვე, ისე ეკოცნა ჩემთვის. მაშინვე ჩამიკრა გულში და ცხელი ამბორით დამწვა. იუპიტერიც, ვფიცავ, კვერთხს გაავადებდა იმ დროს. ვაიმე, იქნება სხვამაც იგემა ეგ კოცნა მწველი, არა, არ მინდა ვინმე შენი ამბორით დატკეპს.
55. ეგ კოცნა იმ კოცნას სჯობდა, რომელიც გასწავლე უწინ, რაღაც ახალი ნასწავლს შემატებოდა, მივხვდი. ნეტა არ მეკოცნა შენთვის, ნეტა არ დაგეთურე ასე, შენც არ მიგეკრო ენებით ჩემი ენისთვის ენა. ეჰ, აღარ დავეძებ კოცნას, სხვა რამე მაწუხებს უფრო.
60. სხვა რამე მაწუხებს, მაგრამ თან ამბორზედაც ვდარდობ, ძვირფასო, ასეთი კოცნა საწოლში ისწავლე, არა?! თქვი, სწავლებაში მერე ვინ გამოგართვა ჯილდო?

- თუთიყუშს, მოლაყბე ფრინველს. ინდოთა ქვეყნიდან მოსულს, დღეს ჩვენ დავტირით მწარედ, გიხმობთ, ფრინველნო, გლოვად! კეთილო ფრთოსნებო, მოდით, გულმკერდს დაიშინეთ ფრთები, ბასრი ბრჭყალებით ყველამ ჩამოიხოკეთ სახე!
5. ბუმბული, ვითარცა თმები, სიმწრით დაიგლიჯეთ ყველამ, გლოვის დასძახეთ ზარი და ააკენესეთ ხმები! შენ ისევე ემღერი ტერეკს? და იმის სიავეს ჩივი? ჩუ, ფილომელა, განვლეს მაგ მწუხარების წლებმა, უბადლო ფრინველი მოკვდა, ცრემლები დაღვარე მისთვის,
10. ნულარ დასტირი იტისს, დრომ გაახუნა გლოვა! სუყველამ იგლოვეთ ერთხმად, ვინც მაღლა, ზეცაში, ლაღობთ, გერიტო, იტირე მწარედ შენი მეგობრის ბედი! თანხმობით ცხოვრობდით ერთად, ცხოვრება სიამით განვლეთ, მარად დარჩება, გერიტო, თქვენი ურყევი ძმობა!
15. არგოსელ ორესტეს მუდამ პილადეს იმედი ჰქონდა, შენც თუთიყუში მუდამ მხარს გიმაგრებდა ასე. ვაიმე, ერთგულო ჩიტო! სად გაქრა მშვენება შენი? შენი მოქნილი ენა და ხმა სად გაქრა ნეტა? როგორც კი მიგართვეს პატრონს – მაშინვე მოხიბლვე ისიც,
20. ფრინველთ დიდებავე ძველო! ახლა უსულოდ წევხარ! ქრებოდა ზურმუხტის ფერი მაგ შენი ბუმბულის გვერდით, შენი ნისკარტიც, მახსოვს, წითელ ზაფრანას ჰგავდა. ეკ, ხმების მიბაძვაც არვის შეეძლო, ძვირფასო, უკეთ, ჩახლენილი ხმით სიტყვებს მომაცოლებდი უკან.
25. მოშურნე იყავი, მაგრამ არასდროს გიყვარდა ჩხუბი, მხოლოდ ლაყბობდი შენთვის – უშფოთველად და ლაღად; შეხედე, მუდამდღე შულღში და ჩხუბში არიან მწყურები, ვინც ბოროტია, ნუთუ ის უფრო მეტხანს ცოცხლობს? ადვილად ძღებოდი, თუმცა ჭამისთვის გეცალა, ყბედო?
30. არ აჩერებდი ენას და ვერ ასწრებდი ჭამას. ხანდახან კუქნილი კაკალს, ხანდახან ხაშხაშსაც ჭამდი, მხოლოდ წყაროს წყალს სვამდი, იმით იკლავდი წყურვილს. ნავარდობს უძღები სვავი და დაქრის ზეცაში ძერა, ჭკაც ცოცხალია ისევე – მაუწყებელი წვიმის.
35. დღეგრძელობს ბოროტი ყვავი, ამბობენ – სამას წელს ცოცხლობს, სძულს ის მინერვას თურმე – იარაღასხმულ ღმერთქალს. მოლაყბე ჩიტი კი მოკვდა, ენა რომ უჭრიდა მარჯვედ. ქვეყნის კიდიდან გახლდათ ძღვნად მორთმული ჩვეთთვის. ასეა: მუხანათ სიკვდილს პირველად რჩეული მიჰყავს,
40. ცუდი ყოველთვის რჩება, დღე ხანგრძლივია მისი. თერსიტემ იცოცხლა დიდხანს, პროტესილაოსი მოკლეს, ჰექტორი ფერფლად იქცა – ძმები ცოცხლები დარჩნენ. როგორ ლოცულობდა, მახსოვს, შენთვის უბედური გოგო, ეკ, ის ლოცვები უკვე ზღვას გაატანა ქარმა.
45. შვიდმა დღემ ინათა მხოლოდ, მეშვიდეს არ მოჰყვა მერვე. ბედის დამრთველნი უქმად ედგნენ ცარიელ ჯარას. შენ ოდნავ გითრთოდა ბაგე, ცდილობდი, რაღაცა გეთქვა. „კორინა, კარგად იყავ!“ – ამოიკენესე ბოლოს.

50. ამბობენ, ქეამუხის ჭალა და მწვანე, ხასხასა მდელი  
გადაშლილია თურმე ელიზიუმის ბორცვთან.  
ღვთისმოსავ ფრინველებს სწორედ იმ ტყეში ჰქონიათ ბინა,  
მაგრამ უწმინდურ ჩიტებს მათთან არავინ უშეგებს.  
უმანკო გედებიც იქვე მდელიზე წიწკნიან ბალახს,  
უკვდავ ფრინველსაც ნახავთ – ფენიქსიც მანდვე ცხოვრობს,  
55. იქ არის იუნოს სირიცი – მათ გვერდით ნავარდობს ლაღად,  
თეთრი ქედანიც ქედანს შეჰდღღუნებს და კოცნის.  
თუთიყუშს, იმ წმინდა ტყეში თავისი ბუდე აქვს თურმე,  
იქაც ატყვევებს ყველას ლაქარდიანი ვნით,  
პატარა ბორცვის ქვეშ, ტყეში, სხეული მარხია მისი,  
60. ბორცვზე – პატარა ქვაა, ქვაზე – პატარა ლექსი.  
„ეს ჩემი საფლავი მოწმობს, რარიგად ეუყვარდი პატრონს,  
მე ყველა ფრინველს ვჯობდი – ვლაპარაკობდი ჩიტი!“

7

- სულ უნდა ვიტანჯო ასე? სულ შენთან პასუხი ვაგო?  
მომკლა ამდენმა ჩხუბმა, ამდენმა თავის დაცვამ.  
როდესაც თეატრში ვსხედვართ, თუკი გავიხედავ სადმე,  
უნდა ვიღაცა ქალზე აეჭვიანდეს უმაღ.  
5. ვინმე თუ მომაპყრობს მზერას – მაშინვე ფორიაქს იწყებ  
და გეჩვენება, თითქოს თვალთ მანიშნებს რაღაც.  
ვინმე თუ შეეკაქ – ბრაზობ. მაშინვე თმებში მწველ გინდა,  
თუკი გავლანძღე, ფიქრობ, რომ დანაშაულს ვმაღავ.  
თავს როცა კარგად ეგრძნობ – ღელავ, გულგრილი გახდილი, მწამებ.  
10. თუ ჩამომტირის სახე – მკლავს სიყვარული სხვისი.  
ენატრულობ, ნეტავი მართლაც ასეთი ცოდვილი ვიყო,  
დამსახურებულ სასჯელს უფრო იოლად იტან.  
და შენ კი ტყუილად მლანძღავ, ყურს უგდებ ათასგვარ ჭორებს,  
და ხშირი ჩხუბით რისხვას აუფასურებ შენვე;  
15. ხომ იცი, დიდყურა ვირი, როგორი ჯიუტი არის,  
არ აუჩქარებს ნაბიჯს, გინდაც მთელი დღე ურტყა.  
დღეს ცილი დამწამე ისევე, რომ ვიღაც მოახლე ქალთან  
კიპასიდასთან ერთად დროს ატარებო ხშირად.  
მაღალო ღმერთებო! თუკი საყვარლის გაჩენა მსურდა,  
20. ტეტია მხეველის გარდა ვერ ვიპოვიდი ვერეის?  
ამაყი ვაჟიკი განა მსახურთან დაწოლას შეძლებს?  
ან შოლტით ნაცემ ქალთან ვინ მოისურვებს ალერსს?  
ამასთან, მე ისიც ვიცი, რომ თავზე გველება იგი,  
მუდამ ფეხდაფეხ დაგდევს, თმებს ჩინებულად გვარცხნის,  
25. შენს მხეველს მოვთხოვდი რამეს? შენს ერთგულ, ყურმოჭრილ მონას?  
რათა უარი ეთქვა და დავესმინე კიდევ?  
მერწმუნე, მშვენიერ ვენუსს და ამურს მშვილდოსანს ვფიცავ,  
რომ არ მიმიძღვის ბრალი, რაშიც ცილს მწამებ ურცხვად!

8

ო, შენებრ ლამაზად ნეტა ვინ იცის დაწყობა თმების,  
შენ, კიპასიდა, ღმერთებს უნდა ვარცხნიდე მხოლოდ.

- ტრფობაშიც ბადალი არ გყავს, ასევე მარჯვე ხარ იქაც.  
შენს ქალბატონსაც უვლი და მეც არ მაკლებ ზრუნვას.
5. ვინ უთხრა კორინას ნეტა. ერთმანეთს ჩუმად რომ ვზვდებით?  
კორინა როგორ მიხვდა, ვის უზიარებ საწოლს?  
იქნება გაწვითლდი უცხად, ან რამე წამომცდა იქნებ?  
და უნებურად გავთქვი ჩვენი ფარული ტრფობა.  
„ვინ გიყი დაწვება ნეტა ტეტია მოახლის გვერდით?“ –
10. მის გასაგონად ხშირად ვიმეორებდი ამას.  
აქილევსს ტანჯავდა ტრფობა ლამაზი მხეველი ქალის,  
ტრფობა ფებუსის მხეველის სწევედა მიკენელ სარდალს,  
არ ვარ ტანტალიდზე მგონი და არც აქილევსზე მეტი.  
რად ვითაკილო, რაიც არ ითაკილეს მეფეთ?
15. როდესაც ბოროტი მზერა გესროლა პატრონმა ბრაზით,  
მე დავინახე, სახე როგორ აგენტო უცხად.  
არ გახსოვს? რამდენჯერ გზნებით ვფიცავდი ვენუსის სახელს,  
ვფიცავდი ღიად ვენუსს, რათა გამექრო ეჭვი.  
ღმერთქალო, უბრძანე ნოტოსს, წაიღოს შერყენილი ფიცი  
კარპათიუსის ზღვისკენ, მე უბიწო ვარ სულით!
20. სანაცვლოდ სიკეთეს ველი, გარჯისთვის მომავე მადლი,  
ო, კიპასიდა, მოდი, კვლავ ეისიამოთ ერთად!  
თავს აქნევ? არ გინდა მოსვლა? რა უმადური ხარ, ღმერთო!  
ორი ბატონის ყმობას, გიჯობს ყმა იყო ერთის!
25. სულელო, თუ მეტყვი უარს, გავამხელ წინანდელ ამბებს,  
თავს ვუღალატებ უმად და ჩემს ცოდვებსაც ვიტყვი,  
მოუუთხრობ ქალბატონს სად და რამდენჯერ ვიყავით ერთად.  
ო, კიპასიდა, როგორ და რანაირი გზნებით!

9

- რა გინდა, კუპიდონ ჩემგან? რას მერჩი? მაკმარე რისხვა!  
დაუკითხავად სულში ჩასახლებული ბიჭო!  
მეომარს, რომელსაც მუდამ თან დამაქვს ალაში შენი,  
რატომ მღვენი და მიტეე? ჩემსავ ბანაკში რად მკლავე?  
მეგობარს რატომ წევე ცეცხლით? მოყვარეს რად ესვრი ისრებს?  
მტერს შეეჭიდე, გიჯობს, მტერთან მოივე ბრძოლა.  
გახსოვს, აქილევსმა რა ქნა? ჯერ დაჭრა თავისი მოძმე.  
მერე დაჭრილთან დარჩა და უმკურნალა თეითონ.  
მწეუარი თავის მსხვერპლს მისდევს, კვალდაკვალ მიჰყვება ნადირს,
10. თუ დაიჭირა, ტოვებს და ეშურება ახალს.  
და მე კი, შენს ერთგულ მონას, მაგ ისრებს მესვრი და მესვრი,  
ხელს რად არ ახლებ შენს მტრებს? ახალ მსხვერპლს რად არ ეძებ?  
ჩემს ძვლებზე აფუჭებ ისრებს? შეხედე, მოუცვდათ პირი,  
ისე დამადნო ტრფობამ, მხოლოდ ძვლებიდა დავერჩი.
15. რამდენმა ქალმა და კაცმა არც იცის, რა არის ტრფობა,  
იმათ მიხედე, გიჯობს, იქ ისახელე თავი.  
რომს რომ არ დაეპყრო, ნეტა, მსოფლიო გმირული ბრძოლით,  
რა იქნებოდა ახლა? – ჩალისქობება დაბა.  
ნაომარ, დაქანცულ მებრძოლს აძლევენ პატარა ნაკვეთს,
20. და დოღის ცხენიც ბოლოს მშვიდად ბალახობს ველად.



ზღვიდან რომ ბრუნდება გემი ლიმენში ისვენებს მერმე,  
გლადიატორსაც ბოლოს ხმლის ნაცვლად ჯოხი რჩება.  
მსახურად ვედვექი დიდხანს ქალებს და მშვილდოსან ამურს,  
დროა, გამიშვან უკვე, მეც დასვენება მინდა!

9ა

- უკეთუ მიბრძანებს ღმერთი მიჯნურის გარეშე ყოფნას,  
ვეტყვი: „უზომოდ ტკბილი ბოროტებაა ქალი!“  
თუ ცოტა დამიცხრა ვნება და სულში მინელდა ცეცხლი,  
მყისვე ახალი ქალი სხვა აღტაცებით მაცესებს.
5. ამური თავს მესხმის მყისვე და ისევ მიმაფრენს საღდაც,  
როგორც მიაფრენს მხედარს გაშმაგებული ცხენი.  
უეცრად ამტყდარი ქარიც ასევე იტაცებს ზომალდს.  
მოკვლეჯს ანაზღად ნაპირს და მიაქანებს ზღვისკენ.  
მეც აღმა-დაღმა ვფრენ ასე, ამურის ხელში ვარ მუდამ.
10. წითლადმოსილი ღმერთი მიშენს და მიშენს ისრებს.  
მესროლე! იარაღს ვიხსნი, ეშიშვლდები, გნებდები, ღმერთო!  
აქ შენ მეუფებ ყველგან, შენი მარჯვენა მძლეობს.  
შენს სურვილს ისრებიც გრძნობენ – შიგ გულში მესობა ყველა,  
შემომეჩვიენენ ისე, როგორც საკუთარ ბუდეს.
15. არადა, სხვაგვარად არც მსურს, მე იმას ვუწოდებ ბედკრულს,  
ეინც ეულად წევს ღამით და უშფოთველად სძინავს.  
სულელო, რა არის ძილი, თუ არა სიკვდილის ჩრდილი?!
- მარადიული ძილი ისედაც გველის ყველას.  
ჩემს მაცდურ სატრფოსთან წოლა და მასთან ალერსი მინდა,
20. რომც გამაბრაზოს ხშირად, რომც მომატყუოს ზოგჯერ.  
ხანდახან მეფეროს ნაზად, ხანდახან მეჩხუბოს კიდეც,  
ხშირად მიმიღოს ტკბილად, ხშირად გამაგდოს გარეთ.  
მარსი რომ არ არის სანდო, კუპიღონ, შენ ვიძიეს ბრალი,  
შენი მიბაძვით იღებს ხმალს ქარქაშიდან იგი.
25. კუპიღონ, შენს ფრთებზე უფრო მჩატე და მსუბუქი ჩანხარ,  
ზოგჯერ სიამით გეკაცებ, ხან უმოწყალოდ გეტანჯავ.  
შენცა და ვენუსმაც იქნებ ისმინოთ ვედრება ჩემი,  
მინდა ჩემს გულში დარჩეთ და იბატონოთ მუდამ,  
ქალებზეც გამეფდეთ, მინდა, დაიპყროთ ქალების გულიც.
30. მაშინ ორივე სქესი გეთაყვანებათ ერთად!

10

გრეცინუს, მახსოვს, რომ მითხარ, ნადვილად შენ მითხარ, მახსოვს,  
არ იქნებაო ორი ერთად გიყვარდეს ერთჟამ.

შენს სიტყვებს ვერწმუნე, მაგრამ, ვაი, რომ მოვტყუედი მწარედ.  
ჩემდა სასირცხვოდ ორი ერთად, ერთჟამად მიყვარს.

5. ორივე ნატიფი არის, ორივე ღამაზად იცვამს,  
ვერ გამიგია დღემდე, ვინ უფრო მეტად მომწონს.  
პირველი მეორეს ჩრდილავს? თუ სჯობნის მეორე პირველს?  
არა, ეს უფრო მხიბლავს, არა, ის უფრო მხიბლავს.  
გულს ორი ტრფობა გლეჯს, როგორც შემხვედრი ქარები ხომალდს,

10. მიყრობს ორივე ტრფობა, გახლეჩილი ვარ ორად.  
რალატომ მიმრავლებ კვლავაც, ჩემო ერიცინავ, ვნებებს?  
განა არ კმარა ჩემთვის, მითხარ, ერთ ქალზე დარდი?  
ზღვას განა აკლია წყალი? ან უფსკრულს აკლია სიღრმე?  
ხეებს – ფოთლები, ანდა ვარსკვლავიან ცას – მნათნი?
15. და მაინც ასე ჯობს, მგონი, მიჯნურის გარეშე ყოფნას,  
უსიყვარულოდ ყოფნას მტერს თუ ვუსურვებ მხოლოდ.  
ვუსურვებ, არ ჰყავდეს სატრფო, ეულად ეძინოს ღამით,  
მსურს თავისუფლად იწვეს ქალის გარეშე, მარტო.  
და მე კი ვენუსმა დაე დამიფრთხოს უაზრო ძილი,
20. ჩემ გარდა ქალიც იყოს ჩემი საწოლის ტვირთი.  
ღამაზმა გოგონამ დაე დამქანცოს უზომო ვნებით,  
თუკი ვერ დამღლის ერთი, მაშინ ვიქნები ორთან.  
ტანსრული არა ვარ, მაგრამ მკერივი ვარ, ძალ-ღონით საესე,  
წონა აკლია სხეულს და არ აკლია ძალა.
25. კიდურებს სიმტკიცეს მატებს და უფრო ძლიერს ხდის ვნება,  
მე ამ საქმეში მარცხი არ განმიცდია ქალთან.  
ვინ მოთვლის, რამდენი ღამე მომიკლავს სატრფოსთან ერთად,  
მაგრამ შემძლო დილით საქმის კეთება ისე.  
ბედნიერს ვუწოდებ, ვისაც ვენუსის ბრძოლები მოკლავს,  
მეც ასეთ სიკვდილს ვნატრობ, დაე მისმინოს ღმერთმა.
30. მეომარს შეჰყურის ომში გმირულად იბრძოლოს მტერთან,  
არ დაიხიოს უკან და ბრძოლის ველზე მოკვდეს.  
ვაჭარს კი, რომელიც მუდამ განძსა და ქონებას იხევეს,  
ერთხელაც შუა ზღვაში ჩაეძირება გემი.
35. და მე კი ერთი რამ მინდა – ვენუსის ბრძოლებში მოკვდე,  
ჩემს საყვარელთან ვიწვე, ტრფობაში გამძერეს სული.  
და ვიღაც ქვითინით იტყვის, როდესაც დამაყრის მიწას,  
„როგორი კაციც იყავ – ისე კაცურად მოკვდი!“

დაფნებით შემიმკეთ თავი, დღეს მტერთან მოვიგე ბრძოლა,

აი, კორინას ვძლიე, ჩემს კლანჭებშია უკვე!

ო, როგორ იცავდა ყველა: დარაჯი, კარები, ქმარი.

რომ ეშმაკობით იგი არვის ჩაეგდო ხელში.

5. რა ბრძოლა მოვიგე, ნახეთ, ახლა ვარ ტრიუმფის ღირსი,  
მე ხომ უსისხლოდ შევემელ, რომ დამეძლია მტერი,  
რას ჰქვია გმირული ბრძოლა! ქალაქზე თავდასხმა, ომი.  
ლაშქრობები და ალყა! – მე დაეიპყარი ქალი!  
როდესაც ათი წლის შემდეგ დაეცა გმირული ტროა,
10. ამხელა ჯილდო მაშინ აბა, რომელ ძმას ერგო?  
დღეს ჩემი ტრიუმფი გახლავთ, ვერ შემეცილება ვერვინ,  
დღეს მე დამნათის მხოლოდ შარავანდელი თავზე.  
მე მთავარსარდლობაც მერგო, წილად მხელა მებძროლის ბედიც,  
მხედარ-მედროშეც ვიყავ, ქვეითიც ვიყავ ზოგჯერ.
15. ფორტუნა მწყალობდა ხშირად, კარგად მიმდიოდა საქმე,  
ჩემი შრომით და ბრძოლით ტრიუმფატორიც გავხდი.  
ვიბრძოდი დიაცის გამო: ეეროპა-აზიას შორის

- ქალის გულისთვის მოხდა უსასტიკესი ბრძოლა.  
 20. კენტავრნიც ლაპითებს ეცნენ ლამაზი ასულის გამო,  
 ჩხუბის მიზეზი იყო ისევდაისევ ქალი.  
 მეორე ომისკენ ქალმა უბიძგა ტროლეებს ისევ.  
 დიდო ლატინუს, შენთან მან გააჩაღა ომი.  
 ჯერ კიდევ ძალიან ადრე, რომს როცა სოფელი ერქვა,  
 სიძე-სიმამრთა ომი ქალის მიზეზით მოხდა.
25. ლამაზი საყვარლის გამო ხარებიც რჩოლავენ ერთურთს,  
 ფურიც იქვე დგას, მათთან, და გამარჯვებულს ელის.  
 მეც მიხზო ამურმა ლაშქრად, მიბრძანა უსისხლოდ ბრძოლა  
 და სამიჯნურო ომში მისი აღმების დაცვა!

- ბეჭედო, ჩემს სატრფოს გრუქნი, იბრწყინე საყვარლის თითზე,  
 შენ ძვირფასი ხარ, რადგან ხარ სიყვარულის მაცნე.  
 ეამოს დანახვა შენი, ხალისით ავესოს გული.  
 5. გნახოს, საჩუქრით დატკბეს და ჩამოგიცვას თითზე.  
 ისევე მოერგე სატრფოს, როგორც მე მომერგო იგი,  
 არკი ატკინო თითი, შემოეხეიე ნახად.  
 ბეჭედო, შეენატრი შენს ბედს, სატრფოსთან იქნები მუდამ.  
 ჩემი საჩუქრის მიმართ უცებ ავენთე შურიო!  
 მოხუცო პროტევესო, მოდი, ახლავე მაქციე ბეჭედად.
10. აიიას გრძნეულს ვთხოვ, მიჯადოქროს რამე!  
 ნეტავი ბეჭედი ვიყო, ადვილად შეეძლებდი მაშინ  
 მოვფერებოდი მკერდზე და ლამაზ მხრებზე სატრფოს.  
 გამოვუძვრებოდი ხოლმე საყვარელს თითიდან მარჯვედ  
 და გორვა-გორვით მკერდში ჩაეუხტებოდი ლამაზს.
15. შემძლო მებეჭდა კიდევ მისი წერილები ზოგჯერ,  
 რათა გამომშრალ ქვებზე არ მიკრულიყო ცვილი,  
 ხომ შეეხებოდი მაშინ საყვარლის უნაზეს ბაგეს!  
 (ჩემს საზიანოდ რამე არ დამეხებდა ოღონდ!)  
 თუ მოისურვებდა ზოგჯერ ჩავეგდე პატარა ყუთში,
20. ეერ მომიძრობდა, ისე მოეცვლობოდი თითზე.  
 ძვირფასო, მატარე მშვიდად, ნუ შიშობ, არ გატკენ თითებს,  
 მე არ მოგიჭერ თითზე, შენ მაგის დარდი ნუ გაქვს.  
 ტანს როცა დაიბან, კარგო, მაშინაც მამყოფე შენთან,  
 მეერ რა მოხდა, თუკი გემმას მოხვდება წყალი.
25. მე მგონი, შიშველს რომ გნახავ, შემიპყრობს სურვილი მძაფრი  
 და დავასრულებ საქმეს, როგორც შეჰფერის ვაჟაკს.  
 ოცნებით რამდენხანს დავტკბე? ბეჭედო, ეახლე სატრფოს,  
 იგრძნოს, ბეჭედთან ერთად ჩემს სიყვარულსაც ვუძღვნი!

შენი სიმღერებით უკვე მრისხანე აქილეესს მისწვდი,  
 და ფიცით შეკრულ მამრებს უკვე იარაღს ასხამ.  
 და მე კი, ძვირფასო მაკერ, განცხრომას ევძლევი ჩრდილში,  
 დიად ოცნებებს ჩემსას ნაზი ამური ამსხვრევს.

5. რამდენჯერ ვუთხარი სატრფოს: „შენ უნდა წახვიდე, დროა!“  
 ის კი ჯიუტობს უფრო, ჩემი კალთისკენ იწევს.  
 რამდენჯერ ვუთხარი: „კარგი გვეყოფა, მრცხვენია ხალხის!“  
 ის ტირილს იწყებს მყისვე: „სიყვარულისა შეგრცხვია?“  
 მოვა და ხელს მომხვევს მხრებზე, მოვა და მეხვევა ნახად.
10. დაუსრულებლად მკოცნის, მეც ევ ალერსი მღუპავს.  
 ემარცხლები, ვივიწყებ ბრძოლებს, სხვაგან ქრის გონება ჩემი,  
 შინაურ ომებს ვუმღერ, სახლის საგმირო ამბებს.  
 ერთხელაც ავიღე კეერთხი; ვიტვირთე დიადი საქმე  
 და ტრაგედიას თითქოს თავი მოვაბი კიდევ.
15. ამურმა დასცინა ხელად კოთურონს და მოსასხამს ჩემსას  
 და კეერთხს, რომელსაც მაშინ დაუფიქრებლად დაეწვდი.  
 თავისკენ მიმიხმომ სატრფომ, მაშინვე ლამაზთან გაეჩნდი,  
 მძლია ამურმა ასე კოთურნებიან მგოსანს.  
 და აი, ვქადაგებ ახლა ამურის მოძღვრებას ყველგან,
20. მაგრამ ვაი, რომ იგი ზოგჯერ მე თვითონ მღუპავს.  
 ულისეს ვუგზავნი ხოლმე ძვირფასი მეუღლის წერილს,  
 ან შენს ცრემლებზე ვყვები, მარტოდშენილო ფილის!  
 ყველაფერს მოგითხრობთ, რასაც მისწერენ მაყარევს, პარისს,  
 იასონს ურცხვს და მდაბალს, იპოლიტეს და თეზეუსს.
25. და რასაც საბრალო დიდო იტყოდა მახვილით ხელში  
 ან ლესბოსელი ქალი დაამღერებდა ჩანგზე.  
 საბინუს, მშვიდობა შენდა! შენ უკვე დაბრუნდი უკან?  
 ჩემს წერილებზე, ვხედავ, უკვე პასუხიც მოგაქვს!  
 მაშ ასე: ულისე ბოლოს შეიცნო თავისმა ცოლმა,  
 იპოლიტესგან იღებს დედინაცვალი წერილს.
30. გმირი ენეასი გზავნის საწყალ ელისესთან პასუხს,  
 თუკი ცოცხალი დაგვხვდა, ფილისიც ნახავს ბარათს.  
 უწერს იასონი უსტარს მშვენიერ თოანტის ასულს,  
 და ლესბოსელიც ფებუსს დანაპირებ ქნარს უძღვნის.
35. ომების მგოსანო მაკერ, ხელჩართულ ბრძოლათა ცეცხლშიც,  
 ოქროს ამური, ვხედავ, თავს არ განებებს მაინც.  
 პარისიც მანდ არის, მაკერ, და მისი ცოდვილი ცოლიც,  
 ლაოლამიაც, – ქალი, ვინც ქმარს პაღესში ჩაჰყვია.  
 მე გიცნობ მშვენიერად, მაკერ, შენც ომებს ტრფიალი გიჯობს,  
 საკუთარ ლაშქარს ტოვებ და ტყვედ ბარლები ამურს!

## წიგნი მესამე

### 1

- ოდითგან ბებერი ტყისთვის არავის უხლია ხელი,  
 როგორც ფიქრობენ, ტყეში თურმე ღეთაება ცხოვრობს.  
 ტყის გულში წყაროა წმინდა, წყაროსთან – კლდოვანი მღვიმე,  
 ირგვლივ გაისმის ჩიტთა ჩივილნარევი სტვენა.
5. ამ ტყეში დაეძრწოდი დიდხანს მაღალი ხეების ჩრდილქვეშ,  
 ვეკითხებოდი ჩემს თავს: „საით წამიყვანს მუზა?“  
 ვხედავ, ელეგია მოდის, სურნელიც ვიგრძენი თმების,  
 თუმც მშვენიერი იყო, მგონი, კოჭლობდა ოდნავ.

- მას ჰქონდა ნატიფი სახე და ნაზი ქათიბი ეცვა.
10. მოკლე ფეხები კი თითქოს უფრო მომხიბლავს ხდიდა, ფართო ნაბიჯებით მოდის ამ დროს ტრაგედია, ვხედავ, თმები აყრია შუბლზე, მიწას მანტია მოსთრევს. შეენიშნე, მარცხენა ხელში მას ეპყრა სამეფო კვერთხი. ფეხზე კოთურნი ეცვა, მოიჩქაროდა ჩემკენ. შემძახა: „მგოსანო, მითხარ, არ უნდა დაეხსნა ამურს? რაღას აყოვნებ, ბრიყვო, რად არ იმღერებ ჩემთვის? მაგ შენი მრუშობის ამბავს მთერალები ჰყვებიან ლხინში, გზის გასაყარზე, გზებზე. შენზე ლაყბობენ ყველგან. თითოთაჲ ანიშნებს ხალხი ერთმანეთს: „შეხედეთ, მოდის, აი ეს არის, ნახეთ, შმაგი ამურის მსხვერპლი“, ეერ ხედავ, პოეტო, უკვე მასხარად აგივლო ხალხმა, რადგან დგახარ და ურცხვად მაგ შენს ოინებს ჰყევი. თირსუსი შეგეხოს, დროა, უმღერე დიდებულ ამბებს, დროა, შეუდგე საქმეს, ნულარ აყოვნებ, კმარა!
25. არ ჩაკლა ეგ შენი ნიჭი, აღიდე ვაჟკაცთა ბრძოლა, ამბობ: „ტროფაზე წერა მეტი ღირსებით მმოსავს!“ გაჩუმდი, მაგ შენი ლექსით შენ მხოლოდ გოგონებს ართობ, რაც შეგფეროდა ჭაბუკს, აღარ გიხლება ახლა. დღეიდან იზრუნე ჩემთვის, სახელი გამითქვი ქვეყნად.
30. დღეიდან შენი ლექსით მე მექმსახურე მხოლოდ! ეს ბრძანა და დაჰკრა მიწას კოთურნით შემკული ფეხი, ხუჭუჭთმიანი თავიეც გადააქნია ბრაზით. მეორემ გახედა ცერად, სახეზე უკრთოდა ღიმი. მახსოვს, ეკავა ხელში მირტის პატარა ტოტი.
35. „ზვიადო, რას მერჩი? – კითხა, – რა მწარე სიტყვებით მიტყე? არ შეგიძლია იყო უფრო რბილი და სათნო? შენც ბევრჯერ გიცდია ადრე ამ კოჭლი საზომით წერა, ჩემივე საზომით გსურდა ჩემთვის მოგეგო ბრძოლა. სად შენი ბრწყინვალე ჰანგი, სად ჩემი მსუბუქი ლექსი,
40. სად სრა-სასალე შენი. სად ჩემი ისლის ქოხი! უნადვლო გახლავარ, მიყვარს ამურის მსუბუქი ქროლა, ჩემი სიმღერის თემაც შესაფერია ჩემთვის. გიჟმაჟი ამურის ღედაც უჩემოდ სინაზეს კარგავს. მის შუამავლად გაეჩნდი, თანამგზავრი ვარ მისი.
45. მე ჩემი ლაქარდა ენით ჩაკეტილ კარებსაც ვაღებ, შენ კი კოთურნით განა შეძლებ, გაალო კარი? ხშირად ვარ ძლიერი შენზე და შენზე მეტს ვიტან ხშირად, განა დაითმენს ამდენს შენი ამაყი სული? დარაჯის მოთაფელაც კარგად ისწავლა კორინამ ჩემგან,
50. გულქვა ბოქლომსაც მისწვდა, მასაც მოუღობ გული. კორინამ ისწავლა ჩემგან უჩემრად ადგომა ღამით. და ოთახების გავლა უხმაუროდ და ფრთხილად. საყვარლის უგულო კარზეც რამდენჯერ ვეწერე, მახსოვს, და არ მაკრთობდა ხალხის ცნობისმოყვარე მზერა.
55. ზომ გახსოვს, უბეშიც ბევრჯერ დამძალა მოახლე გოგომ, რომ არ მოეკრა თვალი ჩემთვის მრისხანე დარაჯს.

- ვიდაცას მიმართვი ერთხელ, საჩუქრად წამიღე ქალთან,  
 მან დამამსხვრია მყისვე და მომისროლა წყალში.  
 პირველად მე ვპოვე შენში, პოეტო, სიმღერის ნიჭი,  
 სხვა რატომ მართმევს შენს თავს? შენ მე ეკუთვნი მხოლოდ!  
 თქვა ეს და გაჩუმდა; მე კი შეევეირე: „ორივეს შეგთხოვთ,  
 ყური ათხოვეთ წამით ჩემს მოკრძალებულ სიტყვებს“.  
 პირველი მანიშნებს კვერთხზე და თავის კოთურნსაც მაწვდის,  
 ხმა ამითრთოლდა უკვე, მზად ვარ, ვიმღერო მისივეს.  
 მეორე მპირდება: „მენდე, შენს ტრფობას გაუთქვამ სახელს,  
 – მო, ელეგიაე ჩემთან, შენი საზომით ვწერო, –  
 და შენ კი მადროვე ცოტა, სიყვარულს არ უნდა ბეერი,  
 მალე ხელს მივეყოფ მხოლოდ ტრაგედებს წერას!  
 წაიღა, თანხმობა მომცა, ამურო, ისწრაფე ჩემკენ,  
 ვიდრე დრო არის, მალე აღარ მეცლება შენთვის!

3

- მოდო და იწამე ღმერთი! ღმერთს მეფიცებოდა სატრფო,  
 ფიცი გატეხა, მაგრამ ლამაზი არის მაინც!  
 მას ახლაც გრძელი აქვს თმები, უწინაც მაგსიგრძე ჰქონდა,  
 ფიცი გატეხა, მაგრამ ისევ გრძელი აქვს თმები.  
 5. თოვლივით თეთრ სახეს უწინ სიწითლე დაჰკრავდა ოდნავ,  
 ძველი სიწითლე ისევ შეენის თოვლისფერ სახეს.  
 ჩამოქნილ ფეხებსაც ისევ ძველი სილამაზე შერჩათ,  
 აღვას უგაგდა ტანი, აშოლტილია კვლავაც.  
 თვალებში უერთოდა ცეცხლი, ნაპერწკლებს აკვესებს დღესაც.  
 10. დაებრძავებულვარ ხშირად მისი თვალების ცეცხლით.  
 ფიციც რომ გატეხოს ქალმა, ღმერთები არ სჯიან მაინც,  
 მშენიერება იქნებ თავად ღმერთებსაც ნუსხავს?  
 ჩემს თვალებს ფიცავდა, მახსოვს, და მერე საკუთარ თვალებს,  
 მას უციმციმებს თვალი, მე კი თვალს მიწვავს ცრემლი.  
 15. მაღალო ღმერთებო, მარქვით, სატრფოს თუ არა სთხოვთ პასუხს,  
 მე რატომღა მსჯით მაშინ მისი ცოდვების გამო?  
 არ მიკვირს, ასევე გასურდათ კეფეისის ასულის დასჯაც.  
 თუმც გაგარისხათ ძლიერ მისმა ამაყმა დედამ.  
 არ კმარა, რომ ძლიერ ღმერთებს ტყუილზე გიფიცებთ ქალი?  
 20. რომ თქვენც აბუნად გიგდებთ და მეც დამცინის მწარედ?  
 მე უნდა ვიტანჯო კიდევ და მისი ცოდვები ვზიდო?  
 ნუთუ მე უნდა გავხდე ამ მუხანათის მსხვერპლი?  
 და თუკი ასეა, მაშინ არც ღმერთი ყოფილა ქვეყნად,  
 ფუჭი სიტყვაა ალბათ და ბრმა რწმენაა ხალხის.  
 25. იქნება არსებობს კიდევ და მხოლოდ ქალები უყვარს?  
 და ამიტომაც აძლევს იმათ ყველაფრის ნებას.  
 პირბასრი მახვილით გვებრძვის ვაჟკაცებს მრისხანე მარსი,  
 და თვით პალასიც მახვილს კაცებს გვიღერებს მხოლოდ,  
 კაცების შემუსვრა უნდა აპოლონს თავისი მშვილდით,  
 30. იუპიტერსაც მეხი ჩვენთვის მზადა აქვს მუდამ!  
 როდისმე ტუქსავენ განა ღმერთები მშენიერ ქალებს?  
 ნაზი ქალების წყენას ერიდებიან ძალზე.

- მაშ წმინდა საკმეველს ვილა დაუკმევს ტაძარში ღმერთებს?  
 დღეს. ვაჟკაცებო, ყველას მეტი მხნეობა გემართებს!  
 35. თვით იუპიტერიც ხშირად მეხს ატენს ტყეებს და კოშკებს,  
 მაგრამ მუხანათ ქალებს ის არ უმიზნებს ისარს.  
 თუმც ბევრი ქალია ღირსი, სემელე დაიწვა მხოლოდ,  
 სხვებს დაუჯერა ბრიყვმა და დაისაჯა მწარედ.  
 40. საბრალო ქალისთვის მიჯნურს არ უნდა დაეგდო ყური  
 და დედა შობდა მაშინ, მამის მაგივრად ბახუსს.  
 ეჰ, თუმცა რად ვჩივი ამდენს და ზეცას ყვედრებით ვიკლებ?  
 განა არა აქვთ ღმერთებს ჩვენებრ თვალი და გული?  
 მე თვითონ რომ ვიყო ღმერთი, ლამაზებს მიეცემდი ნებას,  
 რომ მოლიმარი სახით ტყუილი ეთქვათ ჩემთვის.  
 45. მე დავიფიცებდი თავად, რომ ქალი არასდროს ტყუის,  
 არ ვგონებოდი ქალებს ოლონდ პირქუში ღმერთი.  
 ღმერთების წყალობა, კარგო, ნუ გაგათამამებს ძლიერ,  
 და მეც დამინდო იქნებ, თვალზე შემაშრეს ცრემლი!

7

- ეს ცეცხლისმომდები ქალი ყოველთვის მიბნეული თავგზას.  
 ტანში ჟრუანტელს მგვრიდა და მერუოდა გონი.  
 მაშ რატომ მიმტყუნა ძალამ? სად გაქრა ის ჩემი ვნება?  
 მის გვერდით რატომ ვიდე, ვით უსარგებლო ნივთი?  
 5. ო, როგორ მინდოდა ტრფობა, და ქალსაც უნდოდა, ვგრძნობდი,  
 მაგრამ უღონოდ ეგდო ჩემი საბრალო ასო.  
 კისერზე მაჭდობდა ხელებს, ელავდნენ ხელები ბნელში,  
 მისი ხელები თეთრი, ვით სითონის თოელი.  
 მხურვალე ამბორით მწვავდა, ენითაც მიტევედა ზოგჯერ,  
 10. ვნებით მეკეროდა ტანზე, თემოს აბჯენდა თემოს,  
 სიტყვითაც ცდილობდა, ჩემში აენთო ტრფილის ცეცხლი,  
 „ო, მეუფეო ჩემო“, – ჩამრჩურჩულებდა თრთოლვით.  
 მკედარივით ვიწექი მაინც, თითქოსდა ციკუტას შხამი  
 ტანზე წაესვათ ჩემთვის, გამომლეოდა ძალა.  
 15. კუნძივით უძრავად ვეგდე, ვერ ვგრძნობდი საკუთარ სხეულს,  
 და კაცზე უფრო ალბათ ფერმკრთალ ჩვენებას ვგავდი.  
 ვაი, რა სიბერე მელის (თუ ღმერთმა არ მომკლა ადრე),  
 როს სიჭაბუკემ უკვე ასე მიმუხთლა ბედკრულს.  
 ო, როგორ მრცხვენია, ღმერთო! კაცი ვარ ჯან-ღონით სავესე,  
 20. მან ვერც კაცობა იგრძნო, ვერც სიჭაბუკე ჩემი!  
 ის ჩემგან წაივდა ისე, ვით ვესტას ქურუმი ქალი,  
 თითქოს და იყო ღვიძლი, ისე წაივდა ჩემგან.  
 ახლახანს ვიყავი ორჯერ მშვენიერ ქლიბესთან, მახსოვს,  
 სამჯერ ღიბასთან გახლდით, პითოს ვაამე სამჯერ.  
 25. ლამაზმა კორინამ ტრფობა მომთხოვა ღამეში ცხრაჯერ,  
 მეც შევესრულე თხოვნა და არ დავწყვიტე გული.  
 ეჰ, ჯადო-ბალახმა მავნო? ან ჩემი საბრალო ტანი  
 თესალიური შხამით მოწამლულია იქნებ?  
 ან ჩემი სახელი ეგებ გრძნეულმა დაფხაჭნა ცვილზე?  
 30. ცვილის ფიგურას ეგებ ღვიძლში ჩაასო ნემსი?

- შელოცვა აობრებს ყანას და ხორბალს ბალახად აქცევს, ჯადო-შელოცვებს თურმე წყაროს დაწრეტაც ძალუძთ, რკოს აყრევიანებენ მუხას, ვაზს აყრევიანებენ მტევენებს, მოჯადოებულ ხიდან მიწაზე ცვივა ხილი.
35. მეც იქნებ შელოცვამ მიყო, ღონე რომ დაეკარგე ასე? აი, რა მოხდა თურმე, რატომ დაემარცხდი ქალთან! ჩემს უბედურებას მგონი სირცხვილმაც შეუწყო ხელი. სირცხვილს ვერ ვძლიე მაშინ და ვერ მოვიგე ბრძოლა. რა ქალი ვიხილე, ღმერთო! რა სხეულს შევახე ხელი!
40. მხოლოდ შევახე, ასე კაბაც ეხება სხეულს. ამ ქალთან ტრფიალი ალბათ ჭაბუკად აქცევდა ნესტორს და ტითონოსსაც წამსვე დაუბრუნებდა ძალას. წილად მხედა ასეთი ქალი, იმას კი უმტყუნა ბედმა – მე ვერ ვივარგე კაცად, რაღა შევთხოვო ღმერთებს?
45. ფიქრობენ ღმერთები ჩემზე – არ იყო ამდენის ღირსი, დამასაჩუქრეს, მე კი წიხლი ვუკარი ძღვენზე. შეხვედრას ვნატრობდი – შემხვდა, მოვიდა, მომიჯდა გვერდით, არ იუარა კოცნა, ხელი მოვხვიე – დამყვა. ხელიდან გაეუშვი ბედი – რამხელა სიმდიდრე ვფლობდი! 50. ვერ მოვიხმარე განძი მუნწი სოედაგრის მსგავსად. საბრალო ტანტალუსს სწორედ ასეთი წამება ერგო: წყალში წყურვილით კვდება, ხელით ვერ სწვდება ნაყოფს. ასევე დატოვებს ალბათ მშვენიერ გოგონას ღილით, ის, ვინც აპირებს კრძალვით, ღმერთებს ეახლოს ტაძრად.
55. ო, როგორ მოცნიდა იგი, რა ვნებით მეკვროდა ტანზე, რა არ იღონა ქალმა ჩემს ასაგზნებად მაშინ. ასეთი ამბორი, მჯერა, რომ გააცოცხლებდა ქვასაც, და გააღლობდა რკინას მისი სხეულის ცეცხლი. მაშ რაღას უზამდა იგი ცოცხალ კაცს, ძალ-ღონით საეუსეს?
60. კაცს გადარევა, მაგრამ... მე რა, მეთქმოდა კაცი? რად უნდა თამირისის ფუნჯი? ან ნახატს რა თავში იხლის? ეპ, ფემიუსის ჰანგიც ყურს ვერ დაუტკობს სმენას. ვნატრობდი შეხვედრას მასთან, ოცნებით ვეტრფოდი უკვე, ტრფობის ათასი ხერხი მეხატებოდა თვალწინ.
65. ვნახე და წამერთვა ძალა, და როგორც დამჭკნარი ვარდი, ისე ეკიდა სხეულს ჩემი უძლური ასო. ახლა კი წამოდგა ზეზე, როდესაც წავიდა ქალი და დაჟინებით ითხოვს მისთვის დადგენილ საქმეს. წყევლო, რა გიყო ახლა? რა უცებ მოგეცა ღონე?
70. უკვე მიმტყუნე ერთხელ, აღარა მჯერა შენი! რა მწარედ მიმუხთლე, ურჩო, სირცხვილი მაჭაბე ქალთან. უიარაღო ვაჟკაცს როგორ მომეგო ბრძოლა? ხელიც კი მოგხვია ქალმა და შენთან აღერსი სცადა, ალბათ იმედი ჰქონდა, რომ გიშველიდა რამეს.
75. როდესაც დარწმუნდა ბოლოს – ამაოდ იღვწოდა თურმე. მნახა, მკედარივით ვგდივარ და ხელს არ ვანძრევ ბრიყვი, იყვირა: „მასხარად მიგდებ? სულელი გგონივარ იქნებ? თუ არ გინდოდა, ძალით ვინ მოგიყვანა ჩემთან?!



80. გეტყობა ყოფილხარ სხვაგან, სხვა ქალთან დალილხარ ასე, ან შეულოცავს შენთვის აიიას გრძნეულს".  
მითხრა და წამოხტა უმაღლესი, ტუნიკა მოიცვა ტანზე.  
არც კი ჩაიცვა ფეხზე, ისე გავარდა გარეთ.  
სახეზე შეისხა წყალი და შუბლიც მაშინვე გახსნა,  
რომ არ შეეტყო რამე მისთვის მოახლე გოგოს.

9

- მემნონს და აქილევსს თუკი მწარედ დასტიროდა დედა,  
თუკი სიკვდილმა შეძრა თვით ქალღმერთების გულიც,  
ჩემო ელეგია, ახლა შენ შეგფერს ზარი და გლოვა.  
დღეს ელეგიაც უკვე სამართლიანად გქვია.
5. შეხედე დიდებას შენსას – ტიბულუსს, შენს ერთგულ მგოსანს,  
ახლა კოცონზე იწვის და იფერფლება იგი.  
შეხედე, ეენუსის შვილმა კაპარჭი დააგლო ბრაზით,  
იქვე მიაგლო მშვილდიც, მისი ლამპარიც ჩაქრა.
10. დაეცა ლამაზი ფრთები, საბრალო, რა სახით დადის,  
რა გულსაკლავად ტირის და გულში იცემს ხელებს.  
თავს ველარ იკავებს, ნახე, ცრემლებში დაიხრჩოს ლამის,  
ო, როგორ უთრთის ბაგე, რა საცოდავად მოთქვამს.  
ლამაზო იულუს, თურმე ასევე მოთქვამდა იგი,  
როცა ენეასს, მის ძმას, მიასვენებდა ხალხი.
15. ეენუსიც დამწუხრდა ძლიერ, ასევე დამწუხრდა მაშინ,  
როცა მუცელი ჭაბუკს გამოუფატრა ტახმა.  
ამბობენ, პოეტი არის წმინდანი, მას იცავს ღმერთი,  
მხოლოდ პოეტში არის თურმე ღვთიური სული.
20. ეაი, რომ უღმობელ სიკვდილს არა აქვს არაფრის რიდი,  
გრძელი ხელებით იგი ირგვლივ ყველაფერს სწევდა.  
და განა ისმარელ ორფევსს დედ-მამამ უშველა რამე?  
ანდა სიმღერამ, რითიც ის ატყვევებდა მხეცებს?  
ან ლინოსს უშველა ვინმემ? (მათ ჰყავდათ საერთო მამა),  
ახლაც ლინოსზე ტყეში ტირის მწუხარე ლირა,
25. ანდა მეონიელ პოეტს, რომელსაც მგოსნები დიდმდე  
ეწაფებიან ხარბად, ვით დაუშრეტელ წყაროს.  
ვერც იგი გაეცა ბნელეთს, ისიც ხომ ავერნემ შთანთქა,  
მხოლოდ სიმღერებს ძალუძთ რომ გადაურჩნენ სიკვდილს.  
ლექსები ცოცხლობენ მარად, ტროაზეც დარჩება ლექსი,
30. ემახსოვრებათ მუდამ ის ვერაგული ღამეც,  
ნემესისს, დელიას, მჯერა, არ დაივიწყებენ ქვეყნად,  
რადგან ორივეს უძღვნა დიდმა პოეტმა ლექსი.  
რას გარგებთ სიწმინდის დაცვა? რას გარგებთ ეგვიპტის სისტრი?  
ანდა ეულად წოლა კარგს რას მოგიტანთ ნეტა?
35. ნამდვილად არსებობს ღმერთი? ეს ეჭვი მიჩნდება მუდამ,  
როცა საშინელ სიკვდილს ჩვენგან რჩეული მიჰყავს.  
მორწმუნეც რომ იყო, მაინც მოკვდები, ლოცულობ ტაძრად,  
იქაც მოგნახავს იგი, ვერსად წაუხეალ სიკვდილს.  
ლექსების იმედი გქონდეთ, სხეული მთლიანად გაქრა,
40. ერთი პატარა ურნა დიად ტიბულუსს იტევს.

- პოეტო, შენს წმინდა სხეულს შეეხო სასტიკი ცეცხლი?  
 არ შეეშინდა განა შენი სხეულის შთანთქმვა?  
 და თუკი ასეთი ცოდვა იტვირთა ბოროტმა ცეცხლმა,  
 ალბათ იმასაც შეძლებს – ოქროს ტაძრები დაწვას.
45. ამბობენ, ამ მძიმე წუთში ერიქსის ციხეთა მფლობელს  
 ჩაეკიდო თავი, ძლივს იკავებდა ცრემლებს.  
 და მაინც უბადრუკ სიკვდილს, ასეთი სიკვდილი მიჯობს,  
 არ მსურს მყაროს გულზე უცხო ფეაკთა მიწა.  
 მომაკვდავს, მშობელმა დედამ თვითონ დაუხუჭა თვალი
50. და მიიტანა ნეშტთან უკანასკნელი ძღვენი.  
 დაც იქვე მახლობლად იყო, მტირალს გაეშალა თმები,  
 თავში იშენდა ხელებს და თმებს იგლეჯდა იგი.  
 პოეტის ორივე სატრფო იდგა და მოთქვამდა მწარედ,  
 მკედარს უკოცნიდნენ ბაგებს, ვერ შორდებოდნენ კოცონს:
55. „ვიდრემდის ცოცხალი იყავ, ვიდრემდის მათობი ტრფობით,  
 თავს ბედნიერად ვგრძნობდი“, – უთხრა დელიამ ბოლოს.  
 „რას როშავ? – მეორემ ჰკითხა, – ვის მიჯნურს დასტირი ასე?  
 მომაკვდავიც კი ხელებს მე მიკოცნიდა თრთოლვით“.  
 თუ მართლაც სიკვდილის შემდეგ გრძელდება ცხოვრება სხვაგან,
60. პოეტს ექნება ბინა ელიზიუმის ველზე.  
 სწავლულ კატულუსს, მგოსანს დაუხვედი კალვუსთან ერთად,  
 თავი შეიმკე დაფნით და შეეგებე მოსულს.  
 შენც, გალუს, რომელსაც მომძის ღალატი დაგედო ბრალად  
 (თუმც სულს დალევდი მისთვის), შენც მიეგებე პოეტს.
65. ტიბულუს! აწრდილი შენი (თუკი აქვს აწრდილი სხეულს)  
 იმ ღვთისმოსავთა კრებულს შეუერთდება მალე!  
 პატარა ურნაში მშვიდად იძინონ პოეტის ძელებმა,  
 მისი ნეშტისთვის დაე მსუბუქი იყოს მიწა!

- მე იმას ვერასდროს გეტყვი: „ნუ მრუშობ, ლამაზო ქალო!“  
 ერთ რამესა გთხოვ ოღონდ – მე ნუ შევიტყობ ღალატს.  
 ვერ მოგთხოვ – იყავი წმინდა! ძვირფასო, მე მინდა მხოლოდ  
 ისე მოიქცე ჩემთან, თითქოს უბიწო იყო.
5. ვერავინ გიწოდებს ცოდვილს, ვიდრე არ გაამხელ ცოდვას.  
 თუ აღიარებ ცოდვას – უკვე ცოდვილი გქვია.  
 დაფარულ ტრფობაზე, მითხარ, ვინ გიჟი იყვირებს ხალხში?  
 ან შუქს ვინ მოჰფენს ნეტა ბნელ და ღამეულ ცოდვეებს?  
 მეძაივი, რომელიც ყველა გამველეთან თამამად წვება.
10. ჯერ კარს ჩაკეტავს მაგრად და მერე იწყებს საქმეს.  
 და შენ კი მთელი დღე ლაყბობ, ჭორაობ საკუთარ თავზე,  
 რა ქვეყანას ყრი? რატომ ააშკარაებ ცოდვას?  
 ჯობს თავი გეჭიროს ისე, ვითომდა უმწიკვლო იყო,  
 გინდაც არ იყოს ასე, მე დაეიჯერებ მაინც.
15. და როგორც სცოდავდი ადრე, ისევე შესცოდე ახლაც,  
 ოღონდ უარყავ ხალხში, სხვებთან გაწითლდი მორცხვად.  
 მიჯნურთან იყავი ურცხვი, იმასთან სიამით დატკბი,  
 ზურგი აქციე სირცხვილს, გული იჯერე ტრფობით.

20. გარეთ კი გამოდი მშვიდად, თვალებში ჩაიქრე ცეცხლი, ჯობს დაუტოვო საწოლს შენი გიჟური ვენბა. საწოლში რა უნდა სირცხვილს? ან ტანზე რა უნდა კაბას? ურცხვად გაშიშვლდი მასთან, თქმო მიაკარ თქმოს. მის ბაგეს შეეხე ენით, კოცნე და ეფერე მიჯნურს, იქ მოიგონე ტრფობის ათასნაირი ხერხი.
25. წუთითაც ნუ შეწყვეტ ალერსს, სიტყვებით ალაგზნე კაცი. თქვენნი ვენებისგან, დაე სარეცელიც კი თრთოდეს. როგორც კი ჩაიცმევ კაბას, მიიღე უმანკო სახე. მორცხვი ღიმილით შეძლებ კარგად დამალო ცოდვა. ტყუილი მითხარი ხშირად და ხალხსაც აუბი თვალი.
30. დაე მჯეროდეს შენი და მიხაროდეს სულელს. ჩემ თვალწინ ვის უწერ პასუხს? ჩემ თვალწინ რატომ ხსნი წერილს? შენი ლოგინიც ხშირად არეულია, რატომ? რატომ გაქვს ნაჭდევი ყელზე? რატომ გაქვს აშლილი თმები? თუკი გეძინა, ძილში ვინ აგიწეწა ასე?
35. რა ურცხვი ყოფილხარ, მალე ჩემ თვალწინ შესცოდავ ალბათ, მე გამიფრთხილდი, რაკი არ უფრთხილდები სახელს. როდესაც მაგ ცოდვებს მიმხელ, მე კეკედები, მერთმევა გონი. მთელი სხეული მითრთის და ცივი ოფლი მასხამს. მიყვარხარ და კიდეც მძულხარ, ბოლოს კი იმარჯვებს ტრფობა.
40. მერე სიკვდილსაც ენატრობ, მსურს შენთან ერთად მოეკედე. არ გინდა, ნურაფერს მეტყვი, თუ შეძლებ, დამალე ცოდვა. და ტყუილებით ხშირად დამასაჩუქრე ბეცი. იცოდე, ძვირფასო ჩემო, თავად რომ გიხილო სხვასთან, ჩემი თვალით რომ ვნახო, როგორ მეჭრება თავი,
45. მაინც არ ვირწმუნებ ღალატს და ჩემს თავს შევხედავ იჭვით, შენ დაგიჯერებ უმაღ. ვიდრე საკუთარ თვალებს. მე მგონი, არ არის მნელი, ჩემნაირ მეომარს სძლიო, არ დაგავიწყდეს ოღონდ, „უცოდველი ვარ!“ – მითხრა. ეს ორი სიტყვა თქვი მხოლოდ და უცებ მოიკებ საქმეს,
50. ასეთ ბრალდებულს, ხედავ, რა მოსამართლე შეგხვდის?!

- ტკბობის და სიამის დედავ, ახალი მგოსნები იხმე, აჰა, დასრულდა ჩემი ელევგიების სრბოლა! პელიგნთა ველების შეიღმა თამამად ვუმღერე ტრფობას, არ მიღალატა არსად ჩემმა გიჟმაჟმა ლექსმა.
5. მხედართა მოდემის ვარ, თუმცა არ მიყვარს ომი და ბრძოლა, მხედრის წოდება პოეტს წინაპრებიდან მომდგამს, მანტუა მარონით ხარობს, ვერონა ამაყობს დღემდე დიდო კატულუს შენით, ჩემით – პელიგნთა მხარე. პელიგნნი, რომლებიც მხნედ და უშიშრად იბრძოდნენ ომში,
10. როდესაც ძრწოდა რომი მოკავშირეთა შიშით. მე მჯერა, როცა კი მგზავრი ჩემს სულმონს პირველად ნახავს, ნახავს ამ ლამაზ, მაგრამ მუჭისოდენა მიწას. შესძახებს: „ძვირფასო მიწავ, იმხელა პოეტი შობე, თუმცა მცირე ხარ, მაგრამ მე დაგიძახებ დიადს!“

15. ეგ ოქროს ნიშნები თქვენი, მინდვრიდან წაიღეთ დროზე, ამათუსიაჲ, შენ და შენმა ნატიფმა ბიჭმა. რქიანი ლიევისი მიხმობს, თან თავის თირსუსსაც მიქნევს, უფრო ვრცელ ველზე მინდა გამოვაჭუნო ცხენი. მშვიდობით, გიჟმაჟო მუზაჲ და ტრფობის საამო ლექსო,
20. მე კი მოკვებები. მაგრამ ლექსი დარჩება ქვეყნად!

## კომენტარები

### წიგნი პირველი ელეგია I

ოვიდიუსი ლექსის დასაწყისში გვაგყობინებს, რომ მას სურდა საგმირო ამბებისა და ბრძოლების შესახებ მოეთხრო (ე.ი. ეპიკური ნაწარმოები შეექმნა), მაგრამ სიყვარულის ღვთაება ამორი, ანუ ამური მის სურვილს წინ აღუდგა. პირველივე ელეგიაში ნათლად იგრძნობა ის მსუბუქი ირონია და სახუმარო ტონი, რომლითაც ოვიდიუსის თითქმის ყველა სატრფიალო ელეგიაა დაწერილი.

2. იგულისხმება ჰექსამეტრი – საგმირო ეპოსისათვის განკუთვნილი საზომი.  
4. „მაგრამ ამურმა თურმე ერთ-ერთს მოჰკეთა ტერფი“. ამ სტრიქონით ავტორი გვეუბნება, რომ ეპიკური ეპოსისათვის განკუთვნილი საზომი – ჰექსამეტრი ამურმა ელეგიებისათვის განკუთვნილ საზომად გადააქცია – ერთი ტაეპი დაამოკლა (ერთ-ერთ ტაეპს ტერფი მოჰკეთა); ცნობილია, რომ ელეგიები იწერებოდა ელეგიური დისტიქით. საზომით, რომელიც ორი ტაეპისაგან შედგებოდა; პირველი მათგანი იყო დაქტილური ჰექსამეტრი, ხოლო მეორე – დაქტილური პენტამეტრი. იგი ჰექსამეტრთან შედარებით უფრო მოკლე საზომი იყო. აქ ავტორი ხატონად ამბობს, რომ სიყვარულის ღვთაება ამურმა სასიყვარულო ელეგიებისათვის განკუთვნილი საზომი – ელეგიური დისტიქი შექმნა.

6. პიერილები – მუმები.

7. მინერვა, იგივე იყო რომაელთათვის, რაც ბერძენთათვის ათენა პალასი. მინერვასაც, ათენას მსგავსად, ხშირად გამოსახავდნენ მახვილით ხელში.

9. კერესი – მიწათმოქმედებისა და მოსავლის ღმერთქალი.

10. დიანა – რომაული წარმომოების ღმერთქალი. თავდაპირველად იგი ითვლებოდა სინათლის ღმერთქალად; ამასთანავე მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა ნაყოფიერების მფარველად და მეთვალყურედ. მას თელიდნენ აგრეთვე მთეარის ქალღმერთად. შემდეგ დიანა დაუკავშირეს ბერძნულ არტემისს და იგი ვახდა მასავეთ გყვითა და მონადირეთა ღმერთქალი.

11. აპოლონი – იუპიტერისა და ლატონას ვაჟი. ღმერთი სინათლისა, ნათელმხიხველობისა, მშის, პოეზიისა და მელიციისა.

12. ელია – მხარე ბეოგიაში, აპოლონის თაყვანისცემის ცენტრი.

13. მარსი – რომაული ომის ღმერთი.

15. გემე – თესალაში მდებარე, მუმებისადმი მიძღვნილი წმინდა ველი.

16. ფებუსი – აპოლონის მთავარი ეპითეტი.

19. „მსუბუქ ლექსებში“ (numerus levioribus) იგულისხმება ელეგიები.

21. ეპიდიონი არის ეენუსის ვაჟი, იგივე ამური.

27. ე.ი. შეიქმნას ჰექსამეტრისა და პენტამეტრის შემავეებით ელეგიური დისტიქი.

28. პოეტი ემშვიდობება ეპოსს და იმ საზომს, რომლითაც იგი იწერებოდა, ე.ი. ჰექსამეტრს.

29. მირტი, ანუ მურტი (Μύρτος) აფროდიტესადმი (ეენუსისადმი) იყო მიძღვნილი და ითვლებოდა ღმერთქალის წმინდა მცენარედ. მირტის ფოთლებისაგან და გოგებისაგან წნაუნდნენ გვირგვინებს და თამამობებში გამარჯვებულებს ამ გვირგვინებით თავს უმკობდნენ.

მღვისპირა მირტი – მღვის ნაპირზე გაზრდილი მირტი.

### ელეგია II

23. აქაც ნახსენებია ეენუსის წმინდა მცენარე მირტი. „დედაში“, რა თქმა უნდა, ეენუსი იგულისხმება. ცნობილია, რომ ეენუსს ჰყავდა ეგლი, რომელსაც მტრელები ეწვიოდნენ.

24. „ამინიაცვალში“ მარსი იგულისხმება. სწორედ მარსი, რომელიც იყო ეენუსის საყვარელი და არა ელკანუსი (ჰეფესტო) – ეენუსის (აფროდიტეს) ქმრად წოდებული.

25-26. აქ ავტორი გვიხატავს გრიუმის სურათს რომში. როგორც ვივით, გამარჯვებული გრიუმ-ფაგორები რომში დიდი ზემოთ შედიოდნენ. ისინი ამაყად იდგნენ ეგლში და ხალხი მათ შეძახილებით მიიცილებდა. მათ უკან მიჰქონდათ ომში მოხვეჭილი სიმდიდრე და მიჰყავდათ ხელგაკრული გყვეები. ოვიდიუსი პათეტიკურად, მისი სცილისთვის დაშახსიანებელი ირონიით აღწერს ამურის გრიუმეაღურ სელას.

31. „სირცხვილი“ (Pudor) იგულისხმება სირცხვილის ქალღმერთი.

34. ოო სიხარულის შეძახილია. „იო“-ს ძახილით მიიცილებდა ხალხი რომის ქუჩებში გრიუმეაგორს.

47. ბახუსი (ბაკუსი) – ღვინის ღმერთი. განგი – მღინარე ინდოეთში. ცნობილია, რომ ბახუსმა (იგივე დიონისემ) იმოგზაურა ამიანში. იგი ინდოეთამდე მივიდა თავისი ეკლით, რომელშიც ეფუხებები ჰყავდა შებმული.

51. იულიუსების გვარის (genus Juliae) წარმომადგენელი, რომელთაც ეკეთებოდა ავგუსტუსი (მას მივუძღვრავ, რაც იგი კეისარმა იძვილა). ეუნუსს მიიჩნევენ თავიანთ წინაპრად. ამდენად, გასაკუბია, თუ რატომ უწოდებს ავტორი ეუნუსის შვილს – ამურს – იულიუს კეისრის ნათესავს.

#### ელეგია IV

1. „მენი მეუფე“-თი ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღენიშნოთ tuus vir, რაც სიყვარულით „შენს კაცს“ ნიშნავს. vir აქ შესაძლოა ნიშნავდეს არა ქმარს, არამედ ოფიციალურ საყვარელს, ვისთან ერთადაც ქალი სამოგალობებში და წვეულებებზე მორიდებულად ჩნდებოდა. tuus vir – ეს ის კაცია, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა ნადიმებში თავისი ქალის, ანუ ოფიციალური საყვარლის გუერდით ყოფილიყო.

5. საკვირია იმის გახსენება, რომ ძველ რომში და საბერძნეთში ნადიმების დროს მოქიფენი მაგიდის გარშემო კი არ ისხდნენ, არამედ თავის თანმხლებ ქალებთან ერთად მხარეთმძებ იყვნენ წამოწოლილი და ისე იღვინდნენ.

6. თუთრი ასული არის პიპოდამია – ელიდიის მეფის – ენომასოსის ქალიშვილი, რომლის ქორწილზეც ავგუსტო ლაპითებისა და კენტაურების ბრძოლა.

7. კენტაურები – გყის მითიური არსებანი. ისინი თითქოსდა თესალიის გყეში სახლობდნენ და იყვნენ ნახევრად ცხენის და ნახევრად ადამიანები.

8. ლაპითები – თესალიის მითიური ბინადარნი, რომლებმაც არაერთხელ იომეს კენტაურებთან.

20. რომაელებს ნადიმებზე ერთმანეთისათვის სასიყვარულო წერილების მიწერა რომ მოეუსურვებოდათ, ჩვეულებრივ, თითს ღვინოში დაისხელებდნენ და შემდეგ ამ თითით წერდნენ მაგიდის ფიკარზე.

#### ელეგია V

ამ ელეგიას ხშირად ადარებენ მეორე წიგნის მეთორმეტე ელეგიას. ორივე ელეგიაში ავტორი აღწერს თავის საგრფოსთან პირველ სასიყვარულო კავშირს. „ოვიდიანაში“ ვაერელებულია ამრი, რომ მეხუთე ელეგია მეთორმეტეზე აღრეა დაწერილი. ეარაულობენ, რომ ეს უკანასკნელი „გრფობანის“ პირველ გამოცემაში არ უნდა ყოფილიყო. იგი ავტორმა მოგვიანებით დაწერა და მეორე გამოცემაში შეიტანა. მეხუთე ელეგიაში ავტორი აღწერს კორინასთან სასიყვარულო შეხედრას, რომელიც ბუნებრივად, ძალდაუკანებლად მოხდა მფუხლის ერთ ცხელ დღეს. ხოლო მეთორმეტე ელეგიაში კი ვიციყება, თუ რა ეშმაკობითა და მოხერხებით ჩაიგდო კორინა ხელში, როგორ გაიმარჯვა მის ქმარზე და მკაცრ დარაჯზე, ეი. როგორ „გააყურა“ ისინი. ამ ელეგიაში პოეტი აღფრთოვანებულია თავისი საქმიელობით და ქება-დიდებას ასხამს საკუთარ თავს. ეს ორი ელეგია კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რამდენად არასწორია ოვიდიუსის ელეგიებში ავტობიოგრაფიული ფაქტების ძიება. მასთან საყვარული (უმეტესწილად) ლიგერატორული თემაა, რომელსაც ავტორი სხვადასხვა ელეგიაში სხვადასხვა კუთხით აშუქებს და ამუშავებს.

11. სემირამისი – მეფე ნინოსის მეუღლე, მომხიბლობით, ჭკუითა და სილამაზით განთქმული ავზორცი დელოფალი.

13. ლაისი იყო ცნობილი პეტერა, რომელიც დაახლოებით პელოპონესის ომის დროს ცხოვრობდა.

#### ელეგია VI

9. „წინათ“ – ეი. იმ დროს, როცა პოეტს ჯერ კიდევ არ მოხვედროდა გულში ამურის ისრები.

16. ეს სტრიქონი დაწერილია პოეტისათვის დამახასიათებელი, ჩვეული ირონიით. კარის მონადარაჯი შედარებულია მრისხანად და მძღაერ იუპიტერთან, რომელსაც ხელთ ელუა-მეხი უყრია.

24. ეს სტრიქონი ელეგიაში კიდევ ოთხჯერ მეორდება (იხ. სტრ. 32, 40, 48, 56). იგი რეფრენის სახით მიჰყვება ლექსს და აძლიერებს მოლოდინის განცდას, ამბაფრებს უამროდ მიმავალი დროის შეგრძნებას და მთელს ელეგიას ექსპრესიულს ხდის, რაც ოვიდიუსის ელეგიებისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი.

35-36. ამ სტრიქონებით კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული ამურის ყოელისშემძღვობა.

45-46. ამ სტრიქონების ამრი ასეთია: მართალია, მონა ხარ და ჩემზე დაბლა დგახარ, მაგრამ სინამდვილეში ჩემზე უფრო ბედნიერი ხარ, რადგან შენი საყვარლის გუერდით წეხარ, მე კი მარტო ვარ, საგრფოს გარეშე.

53. ბორეასი – ჩრდილოეთის ქარი. მითის მიხედვით, მან მოიგაყა ორითია, ათენის მეფის – ერ-ხთიევის ასული და ცოლად შეირთო.

65. აერორა არის განთიადის ღმერთქალი, განთიადის სინონიმი და სიმბოლო.

#### ელეგია VII

7. „შეიღვეყა ფარის პატრონი“ – იგულისხმება აიაქსი (აიანტი), სალამინის მეფის – გელამონის ვაჟიშვილი, ბერძენთა ჯარის ერთ-ერთი მეთაური გროას ომში. აქილესის სიყვდილის შემდეგ მისი

იარაღი სრულიად უსამართლოდ მიაკუთვნეს ცბიერ ოდისეებს და არა აიაქსს. გამზავებული აიაქსი დაერია ნახირსა და ფარას და სულ ამოხოცა, თითქოსდა ბერძნებს სჯიდა უსამართლო საქციელისთვის.

9. ორესგე არის აგამემნონისა და კლიტემნესტრას მეილი. მისმა ღებამ, კლიტემნესტრამ, მოკლა მამამისი ორესტემ მამისთვის შური იძია და საკუთარი ღება მოკლა. ამის შემდეგ, მას არ ასეუ ნებდნენ ერინიები – შურისძიების ქალღმერთი და ღელისმკველს ფეხდაფეხ სდევდნენ. მათ მოგერიებას ორესტე იარაღით ცდილობდა.

11. კომიკურ ელფერს აძლევს მთელ ელევიას პოეტის გამზავებული პარალელები გამზავებულ აიაქსთან და ღელისმკველ ორესტესთან.

13. სქენეისი – სქენეისის ასული, ანუ აგალანტა. მშენიერი ფეხმარდი მონადირე ქალი. მან მამამისს პირობა დაუდო, რომ იმას გააყვებოდა ცოლად. ვინც სრბოლაში გაასწრებდა. ხოლო ვისაც თვითონ გაუსწრებდა, მუბით განგმირაუდა. მილანიონს ეენუსმა ასწაუდა, როგორ უნდა მოეგო შეჯიბრება და მანაც ემშაობით აუობა აგალანტას. შეჯიბრების დროს იგი ოქროს ვაშლებს უყრიდა ფეხებთან ქალს, ქალიც ედუნებდა ვერ უძლებდა და მათ ასაკურფად იხრებოდა. ამის გამო, ძალაუნებურად, სირბილში ხელი ეშლებოდა.

15. თმავამილი კრეტელი ქალი არის არიადნა – მინოსისა და პასიფაეს ქალიშვილი. მას მინოტავრთან მესაბრძოლებლად კრეტაზე მისული თმევისი შეუყვარდება და გადაწყვეტს დაეხმაროს. თმევისი მოკლავს მინოტავრს და არიადნას ძაფის მეშვეობით ლაბირინთიდან გამოუა. იგი ცოლად შეირთავს არიადნას და თან წაიყვანს, მაგრამ დიონისეს მოთხოვნით, რომელსაც არიადნა უყვარს, თმევისი დატოვებს ქალს კუნძულ ნაქსოსზე და უნებურად შეიქნება periarus (ფისიგამტეხი), მიტოვებული არიადნა სამინელ განცდებშია და უნუგემო კრემლბს ღერის.

17. კასანდრა არის პეკუბესა და პრიამუსის ქალიშვილი, გროას მეფის მისანი ასული. როცა გროას ანგრევდნენ, ქალწული ცდილობდა, დამალულიყო ათენას ტაძარში საკუთრბეელის უკან. მაგრამ ლოკიდელმა ეანტამ იგი შენიშნა და შეაყვინა.

31. გილიდე ანუ დომედე – გიდევისი ვაჟი, არგოსის მეფე; გროას ომში ბერძენტთა ჯარის ერთ-ერთი მეთაური. ომში მან დაჭრა სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე. იგი ქალღმერთ ათენას მფარველობით იბრძოდა არესისა და აფროდიტეს წინააღმდეგ.

52. კუნბული პაროსი განთქმული იყო თეთრი ქვითა და მარმარილოთი.

55. მეფირესი – დასავლეთის ქარი.

## ელევია XI

ამ წიგნის მე-11 და მე-12 ელევები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. მე-11-ში დაწყებულ თემას აეგორი მომდელი ელევიაში ასრულებს. მაგრამ გეხვება ისეთი წყვილიც (მაგალითად მე-7, მე-8 ელევები), სადაც პირველში დაწყებულ თემას აეგორი მეორეში კი არ ასრულებს, არამედ ორივე ელევიაში ერთსა და იმავე თემას სხვადასხვა თელსაზრისით ამუშავებს.

7. ტაბელა – ხის პატარა დაფა, რომლის მდებარეც ცვილით იყო დაფარული. მას საწერად იყენებდნენ. ტაბელა დასაკეცი [ორკეცი] დაფა იყო, იგი წერილის მოვალეობასაც ასრულებდა.

23. დუნის ფოთლებით ამკობდნენ გამარჯვებულ მხედართმთავარს, რომელსაც რომში ძლევის ამაბეი უნდა ჩაეტანა.

## ელევია XII

9. ციკუა არის მხამიანი მცენარე.

10. კორსიკელი თაფლი ყბადადებულია თავისი ცული ხარისხის გამო.

20. ბუას (ბუკიოტს) რომაელები უბედურების მაცნელ თელიდნენ.

27. აქ ავტორს ვათამაშებული აქვს სიტყვა „duplex“, რაც „ორმაგს“, „ორკეცს“ და აგრეთვე „ორ-პირს“, „ორგულსაც“ ნიშნავს. duplex – უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს დაფის ფიმიკურ თვისებას. როგორც ეთქვით, რომაელთა დაფები ორად იკეებოდა. ამბგომ ეპითეტი duplex მათ სრულიად მეფეურება. მაგრამ გარდა ამისა, ეს სიტყვა ავტორს საშუალებას აძლევს გალანტლოს კიდევ დაფები, უწოდოს მათ ორპირი, ორგული.

## ელევია XV

ღენის ამრით, ეს ელევია დაწერილია ჩე.წ. აღ-მდე 19-10 წლებს შორის. პირველი არის ვერგილ-ისის და გიბულუსის გარდაცვალების წელი, ხოლო მეორე – პროპერციუსის გარდაცვალებისა. ვ. ღენცი დათარიღებას ახდენს იმ ძირითადი არგუმენტის საფუძველზე, რომ ღექსში გარდაცვლილ პოეტთა ჩამოთვლისას არც პროპერციუსი და არც პორაციუსი არ არიან ნახსენები. პოეტი მათ აღ-ბათ იმგომ არ ახსენებს, რომ ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, როცა ეს ელევია იწერებოდა. ეს ელევია ასრულებს ოვიდიუსის „ტროვანის“ პირველ წიგნს. აღსანიშნავია, რომ ავტორი წიგნს იწყებს და ამთავრებს ე.წ. საპროგრამო ღექსებით. ამ პრინციპს იგი მეორე და მესამე წიგნებშიც იყავს, ოღონდ მეორე წიგნში – მე-18 ელევია, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ პოეტის ლიტერატურული საქმიანობის შემაჯამებელი ელევიაა, ბოლოდან მეორე ადგილზეა მოთავსებული.

- 5-6. ამ სტრუქტურებში კარგად ჩანს ოვიდიუსის არასიმპათიური დამოკიდებულება რიგორიკისადმი. ცნობილია, რომ თავის დროზე იგი შესანიშნავ მოწაფედ ითვლებოდა რიგორიკის სკოლაში და მეუღლე, ვარკეველი წარმატებებისთვისაც მიეღწია. მაგრამ მან ეს არ მოინდომა.
10. სიმონი, მდინარე, რომელიც გროსს დაბლობზე მიედინება.
11. ასკელი – იგულისხმება პესიოდ, რომელიც წარმოშობით ბუოგიის ქალაქ ასკრადან იყო.
12. ამ სტრიქონით ავტორი მიგვანიშნებს პესიოდეს დიდაქტიკურ პოემაზე „სამუშაოები და ღვინო“.
13. ბაგიად – ბაგოსის შთამომავალი, იგულისხმება ცნობილი ალექსანდრიელი პოეტი კალიმაქე, რომელიც ცხოვრობდა ჩ.წ. აღმდე III-II საუკუნეებში. იგი იყო ე.წ. „მეცნიერული პოეზიის“ ერთ-ერთი შემქმნელი.
15. სოფოკლე – ცნობილი ბერძენი ტრაგიკოსი. კოთურნუსი (კოთურნი) სქელანინიანი ეუბსაემელი იყო, რომელსაც იყვამდნენ მსახიობები ტრაგედიის წარმოდგენის დროს, რაისა მალაქური გამოჩენილიყვნენ. სიტყვით „კოთურნუსი“ ხშირად აღნიშნავენდნენ საერთოდ ტრაგედიას. ამ შემთხვევაში „სოფოკლეს კოთურნუსი“ ნიშნავს სოფოკლეს ტრაგედიას.
16. არატუსი – ელინიზმის ხანის პოეტი და მეცნიერი (ცხოვრობდა ჩ.წ. აღმდე მე-3 საუკუნეში). იგი იყო ასტრონომიულ-დიდაქტიკური ეპოსის შემქმნელი. მისი ქმნილებები დიდი მოწონებით სარგებლობდნენ რომში.
17. მენანდრე – ახალი ატიკური კომედიის თეალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩ.წ. აღმდე IV-III საუკუნეებში.
- 17-19. ტიბერტი მონა, მაგუყარა მაჰანკალი, შკაყრი 17-19. – ახალი ატ. კომედიის ტიპური პერსონაჟებია.
19. ენიუსი – რომაული ეპოსის შემქმნელი, ავტორი პოემისა „ანალები“, რომელშიც მოთხრობილი იყო რომის ისტორია დიდდან მისი დაარსებისა პოეტის დრომდე.
20. აკურუსი – რომაელი დრამატურგი, იგი ცხოვრობდა ჩ.წ. აღმდე II-I საუკუნეებში, ითვლებოდა საუკეთესო რომაულ ტრაგიკოსად.
21. რესპუბლიკური დროის პოეტებიდან ოვიდიუსი ასახელებს მის დაბადებამდე რვა წლით აღრე გარდაცული პოეტს – პუბლიუს ტერენციუს ვარონს. იგი ცხოვრობდა ჩ.წ. აღმდე I ს-ში. ვარონი ამასთანავე გრამატიკოსი და ისტორიკოსი იყო. მან სახელი გაითქვა თავისი სატირებით. იმ დროისათვის ვარონის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები ყოფილა არგონავტების ეპოსი; ეს იყო აპოლონიოს როდოსელის პოემა „არგონავტიკის“ თარგმანი. იგი ეხებოდა იასონს – ესონის ვაჟს, რომელიც გაემგზაურა კოლხეთში ოქროს საწმისის წამოსაღებად.
22. ესონიდე – იგულისხმება იასონი, ესონის ვაჟი. ესონი იყო იოლკოსის ფუძემდებლისა და მეფის – გიროს ვაჟი.
23. ლკრეციუსი – პოეტი და ფილოსოფოსი. ავტორი პოემისა „სავანთა ბუნებისათვის“.
25. ამ სტრიქონში თითო სიტყვით არის მინიშნებული ცნობილი რომაელი პოეტის – ეერგილიუსის სამი ძირითადი ნაწარმოები. სიტყვით „ტიტირუსი“ ავტორი გვახსენებს ეერგილიუსის ცნობილ „ბუკოლიკებს“. ამ ნაწარმოების ერთ-ერთი ბუკოლიკის გმირია მწვემსი ტიტირუსი. შემდეგ იგულისხმება ეერგილიუსის ნაწარმოები „გეორგიკები“ და მისი ცნობილი ეპიკური პოემა „ენეიდა“.
28. ალბუს ტიბულუსი ოვიდიუსის წინამორბედი რომაელი ელეგიკოსი იყო. იგი ცხოვრობდა ჩ.წ. აღმდე I საუკუნეში.
29. გალუსი რომაული ეროტიკული ელეგიის შემქმნელად იწოდება. თავის სატრფიალო ელეგიებში იგი უმღეროდა სატრფო ლიკორისს. გალუსს ოქტავიანუს ავგუსტუსთან დიდი უსამოყენება მოუვიდა, რის გამოც სიყოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გალუსის ელეგიათა ოთხი წიგნიდან მხოლოდ ერთი სტრიქონიდა შემოგერჩა.
30. ლიკორისი – პოეტ გალუსის სატრფო. ამ ქალის ნამდვილი სახელი ლიკორისი არ ყოფილა. მას რქმევა კითერისი. გალუსი კი თავის სიმღერებში მას ლიკორისის ფსევდონიმით მოიხსენიებს.
34. გალუსი – მდინარე ესპანეთში. რომელიც ცნობილი იყო თავისი ოქროსქევიანი ნაპირებით.
- 35-36. კასტალია არის მუშების წმინდა წყარო პარნასის მთაზე, დელფოს სამისნოს მახლობლად. აპოლონის მიერ კასტალიის წყაროს წყლის მიწოდება პოეტად კურთხევას და საყოველთაო აღიარებას ნიშნავდა.
- 41-42. მღრ. პორაციუსის ცნობილ ოდას – III, 30.

## წიგნი მეორე

### ელეგია I

ეს ელეგია წარმოადგენს პოეტის საპროგრამო ლექსს. ამ ლექსში გამოთქმულია იგივე აზრი, რაც პირველი წიგნის პირველ ელეგიაში. კერძოდ, ოვიდიუსი აცხადებს, რომ ეპიკური, მნიშვნელოვანი თხზულებების შექმნას არ აპირებს, რომ ეპოსი მისი საქმე არ არის და იგი კვლავ ამერიისა და მისი სიმღერების ერთგული რჩება. ე.ი. კვლავ სატრფიალო ელეგიების წერა სურს.

1. როგორც ცნობილია, ოვიდიუსს ნაშონი წარმოშობით პელიგნთა მხარდანიყო. პელიგნები უმამაყეს ხალხად ითვლებოდნენ, ისინი რომაელთა მეგობლად ცხოვრობდნენ.

11-14. ეს სტრიქონები ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მათში პოეტი თვითონ გვაწვდის ინფორმაციას თავის დაქარგულ პოემაზე „ვიანგომაქია“. ირკვევა, რომ მას დაუწერია თხზულება ასხელან ვიანგთა ღმერთებთან შებრძოლების შესახებ. ამ პოემაში ავტორი მოვეითხრობდა, თუ

როგორ განგმირა თავისი ელვა-მეხით იუპიტერმა გიგანტები. ცნობილია, რომ პოემისათვის ოვიდიუსს ხელი მოუკიდა თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში, მაგრამ იგი ბოლომდე არ მიუყვანია „ვიგანტომაქია“. როგორც ვთქვი, ჩვენამდე მოღწეული არ არის.

12. ვეიცი იყო ასხელან გიგანტთაგან ერთ-ერთი. გიგანტები გეასა და ურანოსის შვილები იყვნენ.

13. გეას შვილებმა – გიგანტებმა ორი თესალიური მთა – ოსა და პელიონი ერთმანეთს დაადგეს, რათა ოლიმპოს მისწვდომოდნენ.

21. „ჩემეულ იარაღს დაეწევი, მომხიბლავ სიმღერებს ვენდე;“ – იგულისხმება სასიყვარულო ელევითი.

23-28. ამ სტრიქონებში პოეტი აიგივებს ლექსს შელოცებთან და ჯადოსნურ ფორმულებთან (ჯადოთქმებთან). აქ პოეტს იმის თქმა სურს, რომ ლექსს ისეთივე მაგიური ძალა აქვს, როგორც ჯადოქრის სიტყვებს. ხალხში გავრცელებული შეხედულებების მიხედვით, ჯადოქარს შეეძლო თავისი შელოცებებით წყაროს წყალი სათაისაკენ მიებრუნებინა, ამინდი შეეცვალა, კაცი მოეჯადოებინა და ა.შ. ამ ხალხურ გადმოცემებს ჯადოქრის შესახებ მოგვითხრობს ოვიდიუსი პირველი წიგნის მერვე ელევითაში. აქ კი იგი ამ მაგიურ ძალას ლექსებს მიაწერს.

29. „ნება რა სიკეთეს მომცემს, ეუმღერო აქილევს ფეხმარდს?“ „ფეხმარდი აქილევსით“ პოეტი მიგვანიშნებს პომპროსის უიკურ პოემაზე „ილიადა“. ამ სტრიქონით ავტორს სურს, გვაუწყოს, რომ მას უიკური ამბების თხრობა არ იმიდავს, არ ხიბლავს. აქ ოვიდიუსი აშკარად აშლავს თავის პომპროსს: მას არ უნდა უიკური ნაწარმოებების წერა. მისი საქმეა სასიყვარულო ელევითი, რომლებითაც იგი ღამამ ქალებს სმენას დაუტკობს.

30. იგულისხმება მიკენის მეფე აგამემნონი და მისი ძმა, სპარგის მეფე, მენელაოსი.

31. იგულისხმება ოდიუსისი, რომელიც ჯერ ტროას ომში ათ წელიწადს იბრძოდა, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ კიდევ ათ წელს იხეციალა, სანამ მინ დაბრუნდებოდა.

32. ჰემონია – ადგილი თესალიაში. მინიშნება „ილიადას“ ერთ-ერთ ეპიზოდზე. თესალიელი აქილევსი მოკლულ ჰექტორს თავის ეგლს გამოაბამს. ცხენები პატროკლეს ცხედრის გარშემო დაათრევენ ჰექტორის გემას.

### ელევია III

ელევია ეძღვნება საჭურის მცველს, რომელიც ქმარმა ცოლს მიუჩინა. პოეტს მოსწონს ეს ქალი და ცდილობს, საჭურისი ყველანაირად დააწმენოს, რომ არაფერი დამავლება, თუკი იგი კეთილსინდისიერად არ შეასრულებს თავის საქმეს, ანუ მკაცრად არ თვალთვალებს ქალბატონს. პირიქით, ეს კარგად იმოქმედებს ქალბატონისა და მცველის ურთიერთობაზე. ქალს თავისუფლებას თუ აჩუქებს, ამით მცველი მის კეთილგანწყობას დაემსახურებს, როგორც ვთქვი, ამ თემაზე ოვიდიუსს კიდევ რამდენიმე ელევია აქვს შექმნილი.

### ელევია V

ამ ელევიას ბევრი პარალელი დაეძებნება ოვიდიუსის სხვა რამდენიმე ელევიასთან. ლექსის პირველი თორმეტი სტრიქონის წაკითხვისას შეიძლება დავგრჩეს მთაბეჭდილება, რომ პოეტი გულწრფელ გულსტიკივლს გამოხატავს თავისი სატროს საქციელის გამო. საინტერესოა ამ ელევიის მედარეობა III წიგნის მე-14 ელევიათან. მე-14 ელევიაში პოეტი თავის სატროს დაღაგის ნებას რთავს, ოღონდ ეხევეება, ყოველი კარგად დამალოს. უღალატოს, მაგრამ ისე მოიქცეს, კაცი ვერ მიხედვს ამას. პოეტი მხოლოდ ერთ რამეს სთხოვს სატროს – მის თვალწინ არ შესცოდოს, რათა მან თავისი თვალთ არ უუეროს საყვარელი ქალის დაღაგს. მე-5 ელევიაში კი პოეტი აცხადებს, რომ სატროს დაღაგის ამაზე მისთვის ჩუმად არაფერს მიუწერია და არც რაიმე ჭორი გაუვია ამის შესახებ. სხვისი შემეგობით კი არ შეიკუ მან საყვარელი ქალის ცოდვები; თანამედ თავისი თვალთ ნახა ყველაფერი. საინტერესოა აგრეთვე მე-5 ელევიის მე-9, მე-10 სტრიქონებისა და მე-14 ელევიის 48-ე სტრიქონის ერთმანეთთან მედარეობა: „იმ ევაკაცს შევნატრი, ვისაც არასდროს შეარსებენ სატრო, „უყოღელი ვარ“, – ვისაც თამამად ვეყვის ქალი“ (5). „მე გვონი არ არის ძელი, ჩემნარი მომარს სძლიო, არ დავაიწყდეს ოღონდ „უყოღელი ვარ“ – მითხრა“ (14).

ამ ორ ელევიას შორის მსგავსება აშკარად არსებობს, ხოლო ისინი ერთმანეთისგან, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდებიან, რომ III წიგნის მე-14 ელევიაში პოეტი მეგნებულად ცდილობს წაშალოს შლეარი სერიოზულ გრძნობასა და მსუბუქ თამაშს შორის. მე-5 ელევიაში კი ასე არ არის. აქ, მუყამგე სტრიქონიდან უკვე ნათლად ჩანს, რომ პოეტი იწყებს ჩვეულ თამაშს; თავისი მანერის შესაბამისად, იგი მოჩვენებითი გრავიკულობით ავეიწერს საკუთარ სულიერ განცდებს, თუმცა ოვიდიუსისეული იუმორი ბოლომდე მიჰყვება გექსგს და აქ დაგრიალებული „გრაველია“ მითხეულში გულისტიკივლის ან თანატრძობის ნაყელად ღმილს იწვევს.

მე-5 ელევია აშკარად უსმინება აგრეთვე I წიგნის მე-4 ელევიას. მე-4 ელევიაში პოეტი თითონ აძლევს თავის სატროს რჩევებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, როგორ უნდა იემშაკოს ნადიმზე, როცა სუფრასთან მისი ქმარი და მისი მიჯნური იქნებიან. როგორ უნდა ებასოს მიჯნურს თვალბით, წარბებით და ხელბით. როგორ უნდა მოახერხოს მასთან არმიოზა და ბოლოს სიყვარულიც. მე-5 ელევიაში კი ავტორი თითონ არის გაბრიუებული ქმრის (ან ოფიციალური საყვარლის) როლში, რომელსაც ქალი სხვა კაცთან დაღაგოს. იგი დაწერილობით მოვეითხრობს, თუ როგორ მის ნადიმზე და საკუთარი თვალთ უუერებს ქალის დაღაგს. პოეტი აქაც ავეიწერს, როგორ ემშაკურად ებასება მისი ქალი სხვა კაცს (მიჯნურს) ხან თვალბით, ხან წარბებით და ხანაც ხელბით. ამ სტრიქონების წაკითხვისას მამინვე გვახსენდება მე-4 ელ-



გა და, კერძოდ, ის ადგილი, სადაც პოეტი და თავისი საგრო, ქმრისგან დამალულად იძაბეს სსაღიან – ასევე მარჯველ ეარმიყებიან ერთმანეთს.

ამ ელევების შედარებისას ერწმუნდებით, რომ ორივეგან პოეტის მიმანია ოსტატურად დაამუშაოს და ამოწუროს ერთ შემთხვევაში ერთი თემა (პოეტი მარჯველ ახერხებს არმიყობას თავის საგროსთან, ნაღიმზე, სადაც საგროს ქმარიც იყვება), ხოლო მეორე შემთხვევაში – მეორე (საბრალო პოეტი თავისი თვალთ უყურებს, თუ რა მარჯველ ეარმიყება მისი ცოლი (ან ოფიციალური საყვარელი) თავის მიწნურს და როგორ დალაგობს მას).

27. აპოლონი, ანუ ვებუსი და არტემისი, ანუ დიანა იყენებ დაძმანი. ღმერთქალ ლეტოსა (ლატონას) და მევისს (იუპიტერის) შვილები.

28. მითითება ენესის (აუროლიტეს) და მარსის (არესის) სიყვარულზე.

35. გითონოსის (გითონის) მეულე, ანუ განთიადის ქალღმერთი აერორა.

39. ლილია – ქვეყანა მცირე აზიაში.

55-62. ოვიდიუსის ერთ-ერთი მეკლევარი რ. ვიომინი მიუთითებს, რომ აქ დაენებთ გამოყენებული მზნა docere (სწავლება) იმავე მეტყველებს, რომ ოვიდიუსის საგროფილო ელევებში უკვე მოყებულია ის დიდაქტიკური თვალსაზრისი, რომელიც მერე უფრო განერყობილი და გამოკეთილია მის „სიყვარულის ხელოვნებაში“.

## ელევია VI

ენობილია კატელუსის პატარა ლექსი თავისი საგროს – ლესბიას ჩიგზე. კატელუსმა ეს ლექსი დაწერა ლესბიას საყვარელი ჩიგის სიკედილთან დაკავშირებით. ლექსში პოეტი გულისტკივილით აღწერს საგროს მწუხარებას. საგროს სასოწარკვეთილია, რადგან მას ეს ჩიგი ქვეყანას რჩია. კატელუსი ცდილობს, გაიზიაროს ლესბიას მწუხარება. იგი თვითონაც დასუფიანებულია, რადგან საყვარელ ქალს მკმუნვარეს ხედავს. ცხადია, კატელუსის მიზანბიუთ არის დაწერილი ოვიდიუსის ეს ელევიაყ. მაგრამ ოვიდიუსის ელევიაში გულწრფელობა უკვე ნაკლებად იგრძნობა. იგი ქმნის პაროდიას კატელუსის ლექსზე. ოვიდიუსის საგროსსაც მოუკლდა საყვარელი თუთიყუში. პოეტი ერყლად გვიამბობს „გარდაცედილი თუთიყუში“ ცხოვრებას, ასახელებს მის შეგობარ ფრინველებს, ახასიათებს მათ და მოჩვენებით გრაგიმბით გლოვობს დალუპალ თუთიყუშს. საყვარელ საგროსზე, რომლის მწუხარების აღწერაყ უნდა ყოფილიყო პოეტის ძირითადი მიზანი, ერთ-ორი სიტყვაა გაკერით თქმული. თუ კატელუსის ლექსი ექვსი სტროფისგან შედგება, ოვიდიუსი თავის თავს არც აქ დალაგობს და წერს გრმელ, სამოყდაორსტრიქონიან ელევიაყ. თავისი მანერის შესაბამისად იგი დასრულვლად გვიხატავს თუთიყუშის ცხოვრების სულ ახალ-ახალ ეპიზოდებს.

კატელუსის ლექსთან დაკავშირებით დაისუა საკითხი, პოეტი ლექსში მართლად საგროს მეკლარ ჩიგს გულისხმობს, თუ ხატონად სხვა რადღაზე მიგვიანიშნებს. ამაზე პასუხი არ არსებობს, მაგრამ ერთი რამე კი ცხადია, რომ კატელუსი ლექსში გულწრფელად მეწუხებული ჩანს, ხოლო ოვიდიუსის ელევიაში სიტყვის დახვეწილი ოსტატის არტისტული თამაში იგრძნობა.

7-8. აქ იგულისხმება ფილომელას, პროკნესა და გერევის შემადრწუნებელი ამბაყი. მითის თანახმად, პროკნე თრიაკის მეფე გერევის მეულეა. პროკნეს ჰყავს და – ფილომელა. გერევის გააუპატიურებს ფილომელას და დანაშაულის დამალვის მიზნით მას ენას ამოკლევს. მაგრამ ფილომელა კბანაზე ამოქარავს ამ საძინელ ამბავს და ამგვარად დასყველაფერს შეატკობინებს, ქმარზე ვანრისხებული პროკნე კლავს თავის ეავს – იგისს, და მის ხორცს მამამისის სალილად მიართმევს. გერევის აქ ამბავს შეიტყობს და დებს მოკლას დააპირებს, მაგრამ მეკსი პროკნეს ბუღბულად, ხოლო ფილომელას მერცხლად გადააყევს. მას შემდეგ, ფილომელა ჩივის და მოთქვამს იმ უბედურებაზე, რომელიც მისმა სიძემ თავს დაატეხა.

15. ორესტეს ჰყავდა ერთგული მეგობარი – ფოკიელი მევის ეავი პილადე, რომელიც მას გასაჰირის დროს მუდამ გვერდში ედგა. ორესტესა და პილადეს მეგობრობის ამბაყი ანდამად იყო ქვეული.

35. ოვიდიუსი თავის „შეგამორყოზმებში“ მოგვითხრობს, თუ როგორ დაიმსახურა ყვავება ქალღმერთ მინერვას (ათენას) სიძულელი. მანამდე კი იგი ღმერთქალის საყვარელი ფრინველი იყო.

41. თერსიტე იყო შესახედავად უნზო, რიგითი ბერძენი მეომარი, რომელიც გროას ომში იბრძოდა; პროტესილასი კი – თესალიელთა ერთ-ერთი გომის მეფე და თესალიელთა წინამძლოლი გროას ომში. წინასწარმეტყველების მიხედვით, ვინც პირველი დაადგამდა გროას მიწაზე ფეხს, უსათუოდ დაილუქებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პროტესილასმა ეს იცოდა, მაინც პირველი გაღახტა გემოდან და კიდევ დაილუქა. იგი მაშინვე მოკლა პეტრორმა. აქ ოვიდიუსი განზრახ ერთმანეთის გვერდით ასახელებს მდაბიო თერსიტეს, რომელმაც დიდხანს იცოცხლა და კეთილშობილ პროტესილასს, რომელიც ადრე მოკლდა. ეს მას იმისთვის სჭირდება, რომ მაგალითებით დაასაბუთოს მემოთ წარმოთქმული დებულება: „ასეა, მუხანათ სიკედილს პირველად რჩეული მიჰყავს (როგორც, მაგალითად, თუთიყუში), ცული ყოველთვის რჩება, დღე ხანგრძლივია მისი“ (39-40).

42. „ძმებში“ – იგულისხმება ატრეუსის ორი ეავი, ატრიდები: მიკენის მეფე ავამენონი და მისი უერონის ძმა, სპარტის მეფე მენელაოსი.

45. მხიბველ ავადმყოფობის ეამს მევიდეს დღეს ყველაზე კვიმატ-კრიტიკულ დღედ მიიჩნევდნენ.

50. ელიმიუმის ბორცვი ან ველი ნუგართა საშუაადმო საშყოფელად მიიჩნეოდა. გარდაცვალების შემდეგ იქ მხოლოდ რჩეული და ღრმად მორწმუნე ადამიანები ხედებოდნენ.

45. ფენიქსი – ლეკენდარული ფროსიანი, რომელიც 500 წლის სიცოცხლის შემდეგ ბუღეში თავს იწვეს და შემდგომ კვლავ აღდგება ფერფლიდან.

55. იუნოს სირი – ფარშეევანი.

### ელეგია VII

მე-7 და მე-8 ელეგიები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ამ ელეგიათა თემა ერთი და იგივეა: კაცი ორ ქალს შორის. მაგრამ განსხვავება ის გახლავთ, რომ მე-7 ელეგიაში პოეტი სხვა კუთხით ამუშავებს ამ თემას, ხოლო მე-8-ში კი სხვა თეატრალის ავითარებს. მე-7 ელეგიაში პოეტი არწმუნებს თავის სატროს, რომ მის გარდა არაინი უყვარს და ცდილობს, გაუქარწყლოს ის ეჭვები, რომლებიც სატროს (როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ) თავისი მოახლე კიპასიდან მიმართ აღძვრია. პოეტი ცდილობს, დაარწმუნოს სატრო, რომ მოახლე ქალის შეყვარებას და მასთან გრფიას კეთილმობილი რომელი არ იკადრებს, რომ მისთვის ეს ეჭვები შეურაცხყოფელია. მე-8 ელეგიაში კი პირიქით, პოეტი ყოველნაირად ცდილობს, დაარწმუნოს მოახლე კიპასიდა, რომ მის გარდა არაინი უყვარს. იგი მითოლოგიური მატალითების მომწოდებით უსაბუთებს კიპასიდას თავის სიყვარულს; პოეტი ახსენებს ქალს, რომ თვით მეფეებსა და გმირებს ჰყვარებიათ მოახლე ქალები და რა ვასაკერია, რომ მასაც შეყვარებოდა იგი. ორივე ელეგიაში პოეტი კონფლიქტს მარტივად წყვეტს. ის არც ერთ ქალს ხელიდან არ უშვებს და ორივეს გულის მონადირებას ცდილობს. ამ ელეგიებს გასდევს ოვიდიუსისათვის დამახასიათებელი მსუბუქი, ხალისიანი იუმორი.

3. ქალზე თეატრში მალა იხსენენ. ამიტომ გვერდზე რომ გაეხედა კაცს, ადვილად აეჭიანებდა თავის სატროს, რადგან ქალი მევიდან აღეხებდა თვალს კაცის მშერას და თავის მოძრობას.

27. ოვიდიუსს თავის სატროლო ელეგიებში გატარებული აქვს აზრი, რომ შეყვარებულებს ღმერთთა რისხვისაგან იყავს ეუნსი. ამიტომ მიჯნურმა გყუილი ფიცუც რომ თქვას, მისთვის ეს სამიში არ არის. აქედან გამომდინარე, მისი ფიცუც აქ არასერიომულად აღიქმება.

### ელეგია VIII

9-14 სტრიქონები შდრ. მე-7 ელეგიის 19-22 სტრიქონებს.

12. ფებუსის მხევალი არის კასანდრა, ხოლო მიქენელი სარალი – აგამემონი.

13. ტანგალიდი, ანუ ტანგალუსის შთამომავალი არის აგამემონი.

19-20. კარპათიუსის მღვა არის იგივე ეგეოსის მღვა. კუნძული კარპათუსი მდებარეობს ეგეოსის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კრეგასა და როდოს შორის. ლენცი შენიშნავს, რომ აქ პოეტი ნოტოსს (სამხრეთის ქარს) სთხოვს წაიღოს შერყენილი ფიცუ. ლენცის აზრით, თუ მკაცრად ეიმსკლებთ, სამხრეთის ქარი აქ შესაფერისი არ არის, აჯობებდა დასავლეთის ქარი. ასეთი სიმუსტეების დაცვას პოეტი ხშირად ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

24. ეგეობა, „ორ ბატონში“ ოვიდიუსი გულისხმობს ჯერ ქალბატონს, რომელიც მოახლე ქალის უშუალო მბრძანებელი იყო და მერე – თავის თავს. როგორც ჩანს, იგი ღროდადრო მფარველობას უწედა მოახლე გოგოს: მოჯერე ქალბატონის რისხვისაგან იყავდა, როცა უჯაერდებოდნენ – გამოეკომავებოდა (რა თქმა უნდა, როცა მოახლე გოგო „თავისი საქციელით“ ამას იმსახურებდა).

### ელეგია IX

ოვიდიუსის მკვლევართა შორის მე-9 და მე-9 ელეგიათა შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ვერ დადგინდა, ერთ ლექსთან გეაქვს საქმე, თუ ორთან.

7-8. მინიშნება აქილევსის ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდზე. აქილევსი ტროას ომის წინ მის მიერ მახილით დაჭრილ მიმიის მეფე ტელეფუსს თავისი (აქილევსის) მახილის წვერიდან აფხეკილი განგით უშკერნალებს.

19. ეეტრანებს უბრუნელოფდნენ მიწის პატარა ნაკეთებით.

22. ხანდაშეულ გლადიატორს აკუთვნებდნენ ხის მახილს, ან ხის ხმალს, ნიშნად იმისა, რომ მან დიხანს იმსახურა და ბეერჯერ გადაურჩა სამკედრო-სასიციოცხო ბრძოლებს.

23. ამური აქ აღნიშნავს სიყვარულის ღმერთსაც და ამავე დროს იმ ენებას, რომელსაც იგი პოეტში აღძრავს.

### ელეგია IX<sup>a</sup>

49(25). პროპერციუსთანაც გვხვდება აღნიშვნა, რომ ამურს მსუბუქი ფრთები აქვს (პროპერციუსი 2, 12, 5).

52(28). „მინდა ჩემს გულში დარჩეთ და იბატონოთ მუდამ“ (მიმართავს ამურსა და ეენუსს აეტროს).

შდრ. II, 9, 2: „დაუკითხავად სულში ჩასახლებული ბიჭო!“ (ამურზეა საუბარი).

### ელეგია X

გრეციუნსი იყო ოვიდიუსის მეგობარი. ოვიდიუსს გრეციუნსისადმი მიძღვნილი აქვს სამი წერილი („Epistulae ex Pontico“ 1, 6; 2, 6; 4, 9). შესაძლებელია, რომ „ნაღვლიან ელეგიებშიც“ მოგიერთი წერილი გრეციუნსს ეკუთვნოდეს, მაგრამ ჩვენ ამის დადგენა არ შეგვიძლია. ამ წერილებიდან გამოსჰვივის

სითბო და სიყვარული; ელევგის თემა: „კაცს უყვარს ორი ქალი“ – ეროტიკული პოემის საერთო ადგილს – გაერყელებულ „ტოპოსს“ (topos) წარმოადგენს. მას ჩვენ ვხვდებით ანთოლოგიის ეპიგრამებში და ეროტიკულ ლექსებში. თითონ ოვიდიუსს თაის სიყვარულის სამკურნალო სამუალებში“ ამ სიტუაციას დაწერილებით ავეიწერს. აქ იგი ორი ქალის მიმართ სიყვარულს განიხილავს როგორც მარგებელ „წაბაღს“, რომელსაც შეუძლია კაცი განკურნოს ერთ-ერთი ქალის არასასურველი სიყვარულისაგან; იმ შემთხვევაში, თუ კაცს ეს სწავია. მე-10 ელევგიაში კი იგი ამ ამრისაგან შორსაა. ძნელი სათქმელია, „ტოპოსი“ აღძრავს ავტორში ამ თემაზე მსჯელობის სურვილს, თუ ავტორს თავისი პირადი გამოცდილება მისი სამუალებით აქვს გადმოცემული. ოვიდიუსის თეისება – „ტოპოსის“ მიღმა დაფაროს საკუთარი განცდა, თანამედროვე მკითხველისთვის ხშირად გაუგებარს ხდის მის საკუთარ, დულწრფელ განწყობილებას და პოზიციას.

11. ირიცინა ეენუსის ეითეგია.

29. ეენუსის ბრძოლები ნიშნავს სიყვარულის ენებათაღელვას, ქალთან გატარებულ უძილო დამეებს და ა.შ.

31-36. ამ სტრიქონებში ავტორი გამოთქვამს თავის მოსაზრებას იმის შესახებ, თუ ვის როგორი სიკვდილი შეეფერება (მებრძოლს – ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპა; ვაჭარს – მოგზაურობის დროს მღვაში დახრჩობა).

ავტორს მიაჩნია, რომ მას, როგორც სიყვარულის მომღერალ პოეტს, საყვარლის მკლავებში სიკვდილი შეჰყურის.

## ელევგია XII

ამ ელევგიაში მთავარი დაბრკოლება დაძლეულია. ეს დაბრკოლებაა კაცი (vir), ამ შემთხვევაში კორინთს ოფიციალური საყვარელი (ან ქმარი), რომელსაც პოეტის სატრფომე გარკვეული უფლებები აქვს (1, 4); ელევგიაში პოეტი სიამაყით მოგვითხრობს, როგორ აჯობა სატრფოს ქმარს და მკაცრ დარაჯს და როგორ ჩაიგდო ქალი ხელში. ამ ელევგიას ხშირად ადარებენ პირველი წიგნის მეხუთე ელევგიას. ორივეში აღწერილია პოეტის პირველი სასიყვარულო კავშირი სატრფოსთან. ეს ელევგიები ცხადყოფენ, თუ რაოდენ უჭიკა მათ მიხედვით პოეტის ბიოგრაფიულ ფაქტებზე მსჯელობა. თითოეულ ელევგიაში პოეტს სხვადასხვანაირად აქვს აღწერილი თავისი პირველი სასიყვარულო კავშირი სატრფოსთან. სრულიად დასაშვებია, რომ ეს ორი ელევგია ერთდროულად არ იყოს დაწერილი. ვარაუდობენ, რომ ერთ-ერთი (ეკემოდ 1, 5) ძველ გამოცემას ეკუთვნის, ხოლო მეორე (II, 12) უფრო გვიან, მეორე გამოცემისთვის არის დაწერილი. II, 12 ელევგიაში პოეტი გამოხატავს ქალზე გამარჯვებით გამოწვეულ აღტყინებას და სიხარულს, რომელსაც იგი მილიანად მოუყავს, ხოლო ეროტიკული სუნები იქ არ გვხვდება, რასაც ეერ ვიკყოლით 1,5 ელევგის შესახებ. ამ ელევგიაში პოეტი წარმოგივლიდგენს თავის სასიყვარულო კავშირს კორინთსთან, მაგრამ აქ არ ისმის მოზიემე, გამარჯვებული მიჯნურის ხმა. ეს კავშირი, თითქოს, პოეტის განსაკუთრებული შინაგანი მონაწილეობის გარეშე კი ხდება, ხდება ბუნებრივად და თავისთავად. ამიგომ პოეტი არ არის ამ ფაქტით ძალზე აღლევებული და თავის სასიყვარულო კავშირს სატრფოსთან ავეიწერს, როგორც დამკვირვებელი, მედმიწვნით და გამოწვილივით. ამასთან 1,5-ში ლაპარაკია ორივე მონაწილის – ქალის და კაცის ქვეყანაზე. II, 12-ში კი ქალი ჩრდილშია დაყენებული. აქ ავტორს ძირითადი ყურადღება გადააქვს თავის თავზე – როგორც ტრიუმფატორზე, რომელმაც ახველა „ომი“ მოიგო. თითონ „ომი“ კი აღწერილი არ არის. იგი ძალზე აღფრთოვანებულია თავისი გონიერებითა და ეშმაკობით, რომელმაც ქალზე გამარჯვებინა.

9. ავამენონმა და მენელაოსმა, ეითარცა გამარჯვებულებს შეეფერებოდათ, სხვებთან ერთად გაინაწილეს დანგრეული გროას აელა-დიდება.

17-18. აქ, რა თქმა უნდა, საუბარია გროას ომზე, რომელიც მშენიერი ელენეს გამო დაიწყო.

19-20. აქ საუბარია პიპოლამიამე, რომლის ქორწილზე ატყდა კენჭაერებასა და ლაპითებს მორის სასტიკი ბრძოლა.

21. ვერგილიუსი თავის „ენეიდაში“ მოგვითხრობს ომის შესახებ, რომელიც გაჩაღდა რუტულეების მეფე ტურნუსსა და ლაიკუმის მეფე ლაგინუსს მორის, რადგანაც ლაგინუსმა, ტურნუსზე დანიშნული, თავისი ქალიშვილი – ლაინია, ენასს გაატანა.

23-24. ლაპარაკია საბინი ქალების მოგაყვებაზე. რომის დამაარსებელმა რომულუსმა და მისმა ამხანაგებმა მოიგაცეს შემობული გომის – საბინების ქალიშვილები და ცოლად შეირთეს. საბინი ქალების მამები აღმშობლები რომს მოადგნენ და ბრძოლა გამართეს. მაგრამ ქალიშვილებმა სიმეხიამარნი ერთმანეთს შეარიგეს.

25. პეტს ჯერ სამი მითოლოგიური მავალით მოჰყავს, ხოლო შემდეგ მათ ურთავს ხალხში გაერყელებულ შეხედულებას, რომელსაც ელევგოსები (ჩეულებისამებრ) გადმოცეკემენ როგორც პირად დაკვირვებას.

## ელევგია XV

ეს ლექსი მუა საუკუნეებში ძალზე პოპულარული იყო. ბევრ ხელნაწერში იგი ჩვენამდე მოღწეულია „De anulo“-ს („ბეჭდისათვის“) სათაურით. ეს პოპულარობა, ალბათ თვით ლექსის თემაზე განპირობა. ამ ელევგიაში ავტორი ნატრობს თავისი სატრფოს ბეჭდად იქეს, რათა მუდამ საყვარულ

ქალთან ერთად იყოს. როგორც ცნობილია, ადამიანს თავიდანვე ჰქონდა საოცარი სურვილი გარდასახვის საშუალებით თავისი აუხდენელი ოცნებები აესრულებინა. ამდენად, ვასაგებია, თუ რაგომ კითხვობდნენ ამ ლექსს ოვიდიუსის დროსაჲ და შემდეგაც განსაკუთრებული ინტერესითა და სიამოვნებით. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში დაწერილი ფიქციონარული პორნოგრაფიულ ლექს „De pulice“ („რწყილისათვის“), ოვიდიუსის ლექსის გაელენა გეყვია.

10. ათაის გრძელეულ უნდა ეიგულისხმოდ ქნძულ აიამე მტხოვერი გრძნული ქალი კირკე.

16. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმხანად საწერად იყენებდნენ ე.წ. ტაბულებს, ხის დაფებს, რომელთა ზედაპირი ეკალით იყო დაფარული.

27. ელევის დასარულს ავგორი იმავე ამრს ავითარებს, რომელიც ლექსის დასაწყისში აქვს მოცემული: „ბუკვლო, ვახლე სატროს და ამენე, რომ შე მენიან ერთად, მას ჩემს სიყვარულს უუძღვინ“. ამას ავგორი ალბათ იმიტომ აკეთებს, რომ ლექსი არ დაასრულოს ემოციით, რომელიც ხორციელ სწრაფვას გულისხმობს (25, 26 სტრიქონები), 27-28 სტრიქონებით იგი ისევე მაღალ სულიერ სფეროს უბრუნდება და ელევის პირვანდელი განწყობა შემოაქვს ლექსში.

## ელეგია XVIII

ჩვენდა ვასაოცრად, II წიგნის ბოლო ელეგია არის არა მე-18, არამედ მე-19; მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსით მე-18 ელეგია (და არა მე-19) წარმოადგენს წიგნის დამასრულებელ ლექსს – ოვიდიუსის ლიტერატურული მოდელწიგნის ერთგვარ ანგარიშს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XVIII ელეგიაში ოვიდიუსი ამკარად მიგვანიშნებს თავის სამ ნაწარმოებზე, ესენია: დაკარგული ტრაგედია „მედეა“, „პერიოდები“ და „სიყვარულის ხელოვნება“. აქვე გვება საკითხი ამ ნაწარმოებთა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების შესახებ. როგორც ცნობილია, „ტროზიანი“ იყო პოეტის პირველი ნაწარმოები, რომლითაც იგი წარდგა სამოგადლობის წინაშე „მედეა“, „პერიოდები“ და „სიყვარულის ხელოვნება“ ოვიდიუსის შემდეგში დაუწერია. შესაძლოა დაგეგმოდეს კითხვა, მამ როგორად ასახელებს ოვიდიუსი თავის პირველ ნაწარმოებში („ტროზიანი“) იმ ქმნილებას, რომელიც მას უფრო მოგვიანებითა აქვს დაწერილი. ამ კითხვაზე პასუხს აძეილად გავეცემთ, თუ გაეიხსენებთ, რომ არსებობდა „ტროზიანის“ ორი ვამოცემა და ავტორმა მეორე ვამოცემა განახორციელა პირველი ვამოცემიდან ათი, ოცი წლის შემდეგ. საფიქრებელია, რომ მე-18 ელეგია „ტროზიანის“ პირველ ვამოცემაში არ არსებობდა, იგი მხოლოდ მეორე ვამოცემისათვის უნდა დაწერილა ავგორს, იმ დროს, როცა უკვე ამ ელეგიაში დასახელებული სამი ნაწარმოები ან შექმნილი ჰქონდა, და ან ქმნიდა მათ. იმის დადგენა კი უფრო რთულია, თუ რა ქრონოლოგიური მიმართება აქვს ერთმანეთთან დასახელებულ სამ ნაწარმოებს. რადგან ის მონაცემები, პიპოთეზები და მოსაზრებები, რომლებიც ამ საკითხის გარშემო არსებობს, ძალზე განსხვავებულია ერთმანეთისგან და ხშირად ურთიერთგამომრიცხველიც.

3. მაკერი იყო ოვიდიუსის მეგობარი მწერალი. მას ოვიდიუსი ხშირად იხსენიებს თავის წერილებში. ოვიდიუსის II, 10 წერილიდან, რომელსაც იგი ვადასახლებიდან იწერება, ვივებთ, რომ მაკერი მას ახალგაზრდობაში თან ახლდა მეორე ამიასა და სიცილიაში მოგზაურობის დროს. ამავე წერილიში ოვიდიუსი მაკერის პოეტურ შემოქმედებას თავის ეროტიკულ ელეგიებს უპირისპირებს და აღნიშნავს, რომ მაკერმა შეაყოს პომპილიუსის მიერ დატოვებული ცარიელი ადგილები, რათა უთქმელი არ დარჩენილიყო ტროას ომის დასასრული.

ამ ელეგიაში კი, პირიქით, ოვიდიუსი ვაყენობებს, რომ მაკერმა თავის სიმღერებში მოგივთხო ტროას ომის წინაშე ამბები. მოგივთხო ელენეს მიერ დაწუნებული საქმროების შესახებ, საქმროებისა, რომლებმაც შეჰიციეს ერთმანეთს, რომ არა მარტო პატივი უნდა ეყათ ურთიერთის უფლებებისთვის, არამედ ერთმანეთს ვასაპირშიც უნდა დახმარებოდნენ. ოვიდიუსის თქმით, მაკერმა თავის სიმღერებში ვადმოსყა ტროას ომის პირველი წლების ამბები და მიეიდა აქილევსის რისხვამდე. ოვიდიუსი იფარვლება მხოლოდ მასალის ჩამოთვლით და არაფერს ამბობს ეპიკური ამბავთა ვადმოცემის მაკერისეულ მანერაზე. „ნაღელიან ელეგიებში“ („Tristia“ IV, 10, 44;) ოვიდიუსი მიგვანიშნებს მაკერის ამ ნაწარმოებებზე, რომლებსაც ელინი პოეტის – ნიკანდროსის ვაელენა გეყვია.

4. „დიად ოცნებებს ჩემსას ნაში ამერი ამხსერეეს“, – ამ სტრიქონით ავგორი გვეუბნება, რომ ამერი ხელს უშლის მას იმ სერიოზული, მნიშვნელოვანი ვეგმების განხორციელებაში, რომლებიც პოეტს დასახული ჰქონდა და არ აძლევს საშუალებას, შექმნას ეპიკური ნაწარმოებები.

12. „შინაური ომებს ეუმღერ, სახლის საგმირო ამბებს“, – ამ სტრიქონით პოეტს უნდა გეთხრას, რომ მაკერისავე განსხვავებით, რომელიც უმღერის ვაკეასთა ბრძოლებს და მათ საგმირო ამბებს, იგი უმღერის თავის პირად ამბებს, სატროფილო თავგადასავლებს; ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რაც სასიყვარულო ელეგიის სფეროს განეკუთვნება. „შინაური“ და „სახლის“ ამ ორი სიტყვის შემეყოებით ავგორი კარგად მიგვანიშნებს თავის პირად, ინტიმურ ურთიერთობებზე. „ომებისა და საგმირო ამბების“ სენებით კი იგი ვამიშნულად იწვევს ასოციაციას დიდებულ საგმირო ეპოსთან. ამ სიტყვებით ოვიდიუსი თითქოს ვამიშნულადვე უპირისპირება მოსახანე ომებს და დიდებულ გმირულ ბრძოლებს. „შინაურ ომებში და სახლის საგმირო ამბებში“, როგორც ჩანს, პოეტის თვითირონიაც ვეღვს.

13-14. ეს სტრიქონები იმავე მეტყველებენ, რომ ამ ელეგიის შექმნის დროს პოეტს ვრაველია „მედეა“ უკვე დაწერილი ჰქონდა, რადგან პოეტი აქ იგონებს, თუ როგორ შეუდგა ერთხელ ვრაველიანე მუშაობას, როგორ სყადა ზედი ამ ვანრში.

15. გრატიკოსი მსახიობის შემოსილობა. შტრ. III, 1, 12-13, 31;

17-18. ეს სტრიქონები უნდა ნიშნავდეს: „მე დაეანებე თავი გრაველიების წერას და ეკლავ ჩემს სატროს მიუებრუნდები“. სატროსთან დაბრუნება აქ უნდა გაეიაზროთ სატროფილო პოემისაკენ მიბრუნება. პოეტი ვეაკტობინება, რომ იგი მიუბრუნდა ეროტიკულ პოემიას. სატროფილო ელევგიების წერაში პოეტს არ შეიძლება სატროფი ხელი შეუშალოს, სატროფოსთან ურთიერთობა შეიძლება შეუთავსდეს სატროფილო ელევგიებზე მუშაობას. გარველიების წერაში კი ამერმა და სატროფი პოეტს ხელი შეუშალოს. „მძლია ამერმა ასე კოთურნებიან მგოსანს“ ნიშნავს: „მძლია ამერმა გრატიკოს პოეტს (გრაველიის ეანრში მომუშავე პოეტს) და ისე ეროტიკული ლექსების სამღერება მიმიზმო“.

19. „და აი ექაღებებ ეხლა ამერის მოძღვრებას ყველგან“ ამ სტრიქონით პოეტი მიგვიტოვებს თავის დიდაქტიკურ პოემაზე „სიყვარულის ხელოვნება“, რომელშიაც მოძღვრის გონით იგი მართლაც აძლევს შეფასებებს სასარგებლო რჩევა-დარიგებებს და ასწავლის მათ ამერის ამ ურთულეს ხელოვნებას. ეს სტრიქონი ამკარა მინიშნებაა სწორედ „სიყვარულის ხელოვნებაზე“ და არა „ტროფობანსზე“. „ტროფობანი“ არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს მოძღვრებას სიყვარულის შესახებ, ხოლო ისეთი დიდაქტიკური გონით დაწერილი ელევგიაა „ტროფობანსი“ 1, 4 და 8, არ შეიძლება მივიჩნიოთ მთელი კრებულისთვის გიპურ ელევგებზე. ამეგარად, ამ სტრიქონში მხოლოდ მისი დიდაქტიკური პოემა „სიყვარულის ხელოვნება“ უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც იმ დროს, როცა „ტროფობანსი“ მეორე გამოცემა განხორციელდა (შე-18 ელევგია, ჩვენი რეზენით, მხოლოდ „ტროფობანსი“ მეორე გამოცემაში ჩაამატა პოეტმა), ან უკვე გამოცემული იყო და ან მასზე მუშაობა ოფიდიუსს დაწყებული ჰქონდა.

20. შტრ. II, 19, 34.

21. მეორე ნაწარმოები („ტროფობანსი“ ვარდა), რომლის წერაშიც სატროფი ხელს არ უშლის პოეტს, არის „პეროიდები“. ამ ნაწარმოებში შეყვარებული ქალები წერენ წერილებს თავიანთ მიჯნურებს, ან ქმრებს. 21-ე სტრიქონში პოეტი „პეროიდების“ ერთ-ერთ წერილს ასახელებს. შემდეგ სტრიქონებში ავტორი ხშირად მიგვანიშნებს „პეროიდების“ გმირებზე, თუმცა ყველას არ ჩამოთვლის. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ეს არ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად დასრულებული იყო „პეროიდები“. როდესაც პოეტი ამ ლექსს წერდა, შესაძლოა, ავტორს უკვე დამთავრებული ჰქონდა იგი, მაგრამ აქ ყველა წერილის დასახელება საჭიროდ არ მიიჩნია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ელევგიაში ჯერ „სიყვარულის ხელოვნება“ დასახელებული და შემდეგ „პეროიდები“, თუმცა, როგორც ცნობილია, „პეროიდები“ უფრო ადრე შექმნილი, ვიდრე დიდაქტიკური პოემა. მაგრამ ასეთი უზუსტობანი ლექსში არ უნდა გავიყვირდეს. ჩვენ არა გვაქვს უფლება ლექსს მოეთხოვოთ ის სიმუსგები, რომლებიც ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს მოეთხოვება. რა თქმა უნდა, ელევგიაში მონაცე მები „პეროიდების“ შესახებ არ შეიძლება იყოს მუსგა და სრულყოფილი.

22. მინიშნება „პეროიდებზე“.

23-24. მინიშნება „პეროიდებზე“. პარისი: „პეროიდები“ 5; პარისმა ელენეს გამო ოინონა მიატოვა. მაკარესი: „პეროიდები“ 11; კანაკე სწერს სასიყვარულო წერილს აიოლოსის ვაჟს – მაკარესს. პიფ სიპოლე: „პეროიდები“ 6; მოგზაურობის დროს იასონი ხედება კუნძულ ლეზოსზე, იქ გაიწინა კუნძულის დელოზზე პიფსიპილეს, რომელსაც იასონი შეუყვარდება. ამ ადგილას იასონის დახასიათება, როგორც ურსები და მდებარე ადამიანისა, საშუალებას გვაძლევს ეს სტრიქონი დაუკავშიროთ მედეას წერილს („პეროიდები“ 12); მედეამ იასონი სასიკედილო საფრთხეს გადააოჩინა, ხოლო იასონმა კი უღირსი საქციელი ჩაიდინა, მიატოვა მედეა და სხვა ქალის ცოლად შერთვა ვანიზობა.

24. იოლიტეს (პიპოლოტუსის) მამა არის თემესი. იგი ღიონისეს ბრძანების თანახმად, გოეებს თავის სატროფო არიადანს, რომელიც მას დაეხმარა ლაბირინთიდან გამოსვლაში, კუნძულ ნაქსოსზე („პეროიდები“ 10).

იოლიტე შეუყვარდება თემესის ცოლს – ფედრას. იოლიტე დედინაყვალს სიყვარულზე არ უკახუებს. მაშინ ფედრა თემესისთან ცილს დასწამებს მას. ფაქტიურად, უდანაშაულო ეთი ფედრას ენის მსხვერპლი შეიქნება („პეროიდები“ 4).

25. კართაგენის დედოფალი დილო (დილონა) ენეასს სწერს წერილს. ენეასმა, ღმერთების ბრძანებით, უნდა მიატოვოს დილო და გასწიოს თავისი დიდი მისიის შესასრულებლად.

26. ამ სტრიქონის გარშემო დიდი დაჟაა. გექსტი ისეა დამახინჯებული, რომ რისი თქმა სურს ოფიდიუსს, ვერ არკვევენ. ერთადერთი, რაც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ის გახლავთ, რომ ლესბოსელ ქალში ფალონი დასაპო. რას ამბობს აქ ოფიდიუსი საპოუს შესახებ – მიგვანიშნებს საპოუს შეყვარებულ ფალონიზე თუ მხოლოდ პოეტის ხელოვნებას აქებს, – მხელი გასარკვევია იმ ხელნაწერების საფუძველზე, რომლებიც მოგვეპოვება.

27. საბინუსი არის ოფიდიუსის მეგობარი, რომელსაც თურმე ოფიდიუსის „ქალების“ წერილებზე მეუბნებას საპასუხო წერილები. ოფიდიუსს თავის „Epistulae ex Pontu“-ში („წერილები პონტოდან“) აქვს მოცემული პოეტთა კატალოგი, რომლიდანაც (4, 16, 16) ვიგებთ, რომ საბინუსი ადრე გარდაცვლილა. კატალოგში იგი საბინუსის მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შორის ამ წერილებს არ ასახელებს. აქედან ჩანს, რომ ოფიდიუსი საბინუსის წერილებს არასერიოზულად უყურებდა და დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ეს წერილები ჩვენამდე არც არის მოღწეული.

31. ელისე არის დილოს კართაგენული სახელი.

33. თონანგის ასული - იგულისხმება კუნძულ ლემნოსის დედოფალი ჰიუსიკილე. მეფე თონანგის ქალიშვილი.

34. „პეროიდები“ 15, 181. სააფო აღუთქვამს ფეხსს თავის ღირას, როგორც შესაწირავს თავისი სიყვარულის ბუნდურად შემობრუნების შემთხვევაში.

35. აქ მაკერი წარმოჩენილია არა მხოლოდ როგორც ეპიკოსი პოეტი, არამედ როგორც სატრფიალო ლექსების მგოსანი. მღრ. გიბულესი (2, 6, 1).

37. „პარისის ცოდილი ცოლი“ არის ელენე.

38. საუბარია ლაოდამონასა და მის ქმარ პროტესილასზე, როდესაც პროტესილასი დაიღუპა, ლაოდამონა შევედრა ღმერთებს, მისი ქმარი ცოგა ხნით გაეუცხლებინათ. ღმერთებმა პროტესილასი სამი საათით გააცუხლებს. დათქმული დრო რომ მიიწერა, ლაოდამონამ აღარ ისურვა სიცოცხლე და ქმარს საიქიომი გაჰყვა.

### წიგნი მესამე

#### ელეგია I

მესამე წიგნი საპროგრამო ლექსით იწყება. ამ ელეგიაში არ არის ასახული პოეტის სასიყვარულო თავგადასავალი. აქ ოიდიუსი თავისი შემოქმედების შესახებ გადმოგვცემს ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვან მხედველებს. ეს მოსაზრებანი გონებაშახილურ-სახუმარო ტონით არის გამოთქმული. ელეგიაში ავგორი თავის ამრებს ორ ქალს გამოათქმევინებს. ერთი მათგანი განასახიერებს ტრაგედის, ხოლო მეორე - ელეგიას. ისინი მთელი ლექსის მანძილზე უკირისპირდებიან და ეკამათებიან ერთმანეთს.

7-12. ტრაგედია და ელეგია აქ ორ ქალად არის წარმოსახული. მათ პოეტი ადამიანისთვის დამახასიათებელ ბევრ კონკრეტულ თვისებას მიაწერს (ეთქვათ, სანამ ავგორი ელეგიას დაინახავდა, გრძობს მისი თმების წამ სურნელს; ანდა, ესმის, როგორ მიანიჭებს მისკენ ტრაგედია, რა რისხია და ხმაურით უახლოვდება მას და ა.შ.). აქვე ეხედებით ალეგორიასაც, მაგალითად: ელეგია კოჭლობს, ე.ი. მას ერთი ფეხი (რომელიც განასახიერებს პენტამეტრს) მოკლე აქვს მეორეზე, ე.ი. კექსამეტრზე. მაგრამ ელეგიის ეს ნაკლი პოეტს არ აწუხებს, პირიქით თითქოს უფრო მომხიბვლელსაც კი ხდის ამ ქალს პოეტის თვალში. მღრ. „სიყვარულის ხელოვნება“, 3, 295 „in vitio decor est“ (ფიმიურ ნაკლს თავისი მომხიბლობაც აქვს); „ფსატები“ 3, 495 „vicio tibi gratior ipso est“ (მენი ნაკლით უფრო მეტად მომხიბლავი ხარ);

13. მღრ. II, 18, 13-14;

14. მღრ. II, 18, 15-16;

17. ამ სტრიქონით მინიშნებულია ის ფაქტი, რომ ეროტიკულ ელეგიებს რომაელები ხშირად ნადიმებზე და წვეულებებზე კითხულობდნენ.

17. მღრ. II, 1, 2;

22. აქ პოეტს ხახვასმული აქვს ის ფაქტი, რომ ელეგიკოსი პოეტები (და ამ შემთხვევაში თვითონ ოიდიუსიც, როგორც ელეგიკოსი) სასიყვარულო ელეგიებში დაწერილობით გადმოგვცემდნენ ტრფობით გამოწვეულ განუღებსა და ეროტიკულ თავგადასავლებს. რაც შეეხება ოიდიუსს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი სხვა ელეგიკოსებისგან განსხვავებით, ელეგიებში თავის ეროტიკულ აეტობიოგრაფიას თითქმის არ ეხება.

23. თირსუსი არის სურთითი შემოსილი კვერთხი. იგი დიონისეს (ბახუსის) ატრიბუტია. თირსუსი მთავანებდა არა მხოლოდ ტრაგიკოსებს, არამედ საერთოდ პოეტებს. „თირსუსი შეგვხოს დროა“, - აქ ნიშნავს - „დროა ტრაგედის წერას მოჰკიდო ხელი“. პოეტი ტრაგედიას ათქმევინებს, რომ დროა უკვე სერიოზულ, მნიშვნელოვან საქმეებს შეეჭილოს. მაგრამ ამ ელეგიაში ისიც ჩანს, რომ პოეტი „ტრაგედის“ მიერ წარმოთქმულ სიციყვებს დიდი სიხარულით არ ხვდება, აქ საერთოდ იგრძნობა ავგორის არასიმპათიური დამოკიდებულება „ქალბატონი ტრაგედიისადმი“ და აგრეთვე იმ მხედველებებისადმი, რომლებსაც იგი გამოთქვამს. საინტერესოა, რომ III წიგნის ბოლო ელეგიაში პოეტი ამჯერადაც ამრებს თავად გამოთქვამს და აქ უკვე გულწრფელად ემშვიდობება ეროტიკულ ელეგიას, რადგან თვლის, რომ მართლაც დროა, მნიშვნელოვან საქმეს მოჰკიდოს ხელი (მღრ. III, 15).

27. „მაგ მენი ლექსით“ - ანუ მენი ეროტიკული ელეგიებით.

34. მირტი - ვენუსის (აფროდიტეს) წმინდა მცენარე.

43. „აქამაი ამურის დედა“, - იგულისხმება ვენუსი. როდესაც აქ პოეტი ელეგიას ათქმევინებს, რომ ვენუსი ელეგიის გარეშე ისეთი კარგი ვერ იქნებოდა და ალბათ მომხიბლობასაც დაკარგავდა, ამით ავგორი ეხმარება თავის მხედველებს, რომელიც მან III წიგნის მე-12 ელეგიაში გამოთქვა. კერძოდ, აქ ოიდიუსი იმ ამრს ავითარებს, რომ პოეტები ის ხალხია, რომელიც თავად იგონებს გმირებისა და ღმერთების ცხოვრებას, მათ თავგადასავლებს და მდიდარი ფანტაზიის წყალობით სხვადასხვა თვისებით ამკობს მათ.

44. ამ სტრიქონში გამოთქმულია გონებაშახილური, მაგრამ პოლიტიკურად სახიფათო ამრი. ალბათ ავესტუსს, რომელიც ვენუსს - ენეასის დედას, თავისი გეარის დამამკვიდრებლად თვლიდა, მინდადამინებ არ ესიაშინებოდა იმ სტრიქონების წაქითხვა, რომლებშიაც პოეტი ვენუსსა და ეროტიკულ ელეგიას ერთად ახსენებს. უფრო მეტიც, ავგორი აქ ეროტიკულ ელეგიას ვენუსის შუამბუაღს, მის თანამგზავრს უწოდებს.

45. ეს ფრაზა შეგვიძლია ორნაირად გავიგოთ: „შენ შენი მძიმე, უხეში კოთურნუსით (კოთურნით) მაინც ვერ შეამტკრე კარს“ და „ტრაგიკული ლექსის მკაერი, უხეში ელვარაობა ვერ ეაშუება და ვერ მოაღბობს გულქუა კარებს“.

53. არსებობდა ასეთი ჩვეულება – სასიყვარულო ლექსებს შეყვარებულები თავიანთი სატრფოების კარებზე აკრავდნენ. ეს უაქტი დამოწმებულია პლატესთან.

63. შტრ. 13;

66. შტრ. 8;

68. ბოლომდე არ არის ნათელი, ეს ელვგია „ტრობანის“ რომელ გამოცემას მიეკუთვნება. ფიქრობენ, რომ იგი პირველ ხუთწიგნიან გამოცემაში უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასეა და თუ ოეილუსი ამ ელვგიაში გამოყვანილ „ქალბატონ ტრაგედიაში“ გულისხმობს კონკრეტულად ტრაგიკულ ენარს და არა საერთოდ დიად ეპიკურ ენარს (პათეტიკურ პოემიას), მაშინ საეარაულოა, რომ ფრაზაში „მალე ხელს მიეყოფო შოლოდ ტრაგედების წერას“, – ოეილუსი გულისხმობს თავის გეგმებს ტრაგედია „მედესათან“ დაკავშირებით. პირველი გამოცემის დროისათვის ან უკვე დაწყებული ჰქონდა, ან წერის დაწყებას მალე აპირებდა. მაგრამ თუ ეს ელვგია „ტრობანის“ მეორე გამოცემას მიეკუთვნება (რაც ნაკლებ საეარაულოა) და ამასთან, პოეტი „ტრაგედიაში“ არა შოლოდ ტრაგიკულ ენარს გულისხმობს, არამედ დიად ეპიკურ პოემიასაც, მაშინ შესაძლოა, რომ 68-ე სტრიქონში ოეილუსი თავის ორ დიდგანიან ეპიკურ ნაწარმოებზე მივანიშნებდეს („მეტამორფოზები“ და „ჟასტები“), რომელთა შექმნასაც იგი შემდგომში აპირებდა. ლენეს აზრით (რომელიც ჩვენი რწმენით ყველაზე მართებულია), არ უნდა დაეუბსკენათ, რომ ამ ელვგიაში მოთხრობილი ამბის საფუძველზე პოეტი მართლაც დაუჭვდა ღმერთების არსებობაში, თუმცა აეგორი მოჩვენებითი სერიოზულობით ცდილობს ამის დამკვიცებას. ელვგიაში გამოთქმული პოეტის გულისწყრომაც სერიოზულად მისაღები არ არის.

### ელვგია III

ის უაქტი, რომ შეყვარებულებს უფლება აქვთ, გყვილად დაიფიოს და ღმერთები არ სჯიან მათ ცრუ ფიქსათვის, ოეილუსს ხშირად აქვს აღნიშნული თავის ელვგებში. ამ თემას მან შოლიანად მიუძღვნა III წიგნის მე-3 ელვგია. ეს არის ეროტიკული პოემის ცნობილი „ტოპოსი“, რომელსაც სხვა ელვგეიკოსებში იყენებენ. რასაკვირველია, არ უნდა დაეუბსკენათ, რომ ამ ელვგიაში მოთხრობილი ამბის საფუძველზე პოეტი მართლაც დაუჭვდა ღმერთების არსებობაში, თუმცა აეგორი მოჩვენებითი სერიოზულობით ცდილობს ამის დამკვიცებას. ელვგიაში გამოთქმული პოეტის გულისწყრომაც სერიოზულად მისაღები არ არის.

17. მითის მიხედვით, ეთიოპიის მეფის კეფესისა და კასიოპეს ქალიშვილი ანდრომედა ძალზე ღამაში იყო. ამით გააშაყებულმა დედამისმა დაიგრაბაბა, ჩემი ქალიშვილი ნერეიდებზე მშვენიერი არისო. ნერეიდები განაწყენდნენ. ზღვის ღმერთი პოსეიდონი აღშოთებდა და ეთიოპიას სამინელი ურჩხული მოუვლინა, რომელმაც მუსკრი გააელო მთელ იმ მხარეს. მემუთებულმა ხალხმა სამისნოს მიმართა. სამინელი პასუხი მიიღეს – ურჩხული მაშინ დაეხსნებოდა ეთიოპიას, თუ მას შესაჭმელად ანდრომედას მისცემდნენ. პოსეიდონმა ეს ყველაფერი ანდრომედას აშარტავანი დედის დასასჯელად მოიმოქმედა. როდესაც აქ პოეტი ღმერთებს უსაყვედურებს, რომ ისინი უსამართლოდ მოიქნენ და ანდრომედას დედაზე განაწყენებულებმა უდანამაულო ანდრომედას დასჯა გადაწყვიტეს, ხოლო ამ მემთხვევაში კი მისი მუხანათი სატრფო (რომელმაც ღმერთები გყვილზე დაიფიო) დაუსჯელი დატოვეს; საჭიროა გაეისხნოთ „ტრობანის“ III წიგნის მე-12 ელვგია, რომელშიაც ოეილუსი აცხადებს, რომ ყველა მითი შოლოდ ჟოგტია ფანტაზიის ნაყოფია და მათ მიერაა მეთხმული. საკმარისია მე-12 ელვგია გაეისხნოთ, რომ მაშინვე მიხვდებით, თუ რამდენად სერიოზულადაა აღსაქმელი ეს სტრიქონი.

27-30. ამ სტრიქონებში ბევრჯერ არის გამოვრებული სიგყვა „აქები“, რათა ხაზი გაესვას მათ საყოლობას და იმ უაქტს, თუ რაოდენ უსამართლოდ ექსევიან მათ ღმერთები.

37-40. აქ აეგორი იხსენებს მითს სემელესა და ბეესის შესახებ. ბეესსა და სემელეს ძალზე უყვარდათ ერთმანეთი. ეს ამბავი ჰერამ ვერ აიგანა და მშაკერულად ურჩია სემელეს, ბეესისთვის ეთხოვა, თავისი ნამდელი სახით წარმდგარიყო მის წინაშე. სემელემ გულბერყვილი დაუჯერა ჰერას და ბეესს და სურვილის ასრულება მოსთხოვა. ბეესი მთელი თავისი დიდებულებით მოველინა სემელეს, საბრალი ქალი ამ სანახაობის მსხვერპლი შეიქნა. ბეესის ელვა-მებმა ფერულად აქცია სემელე. ბეესმა მოასწრო და დედის მუყლიდან ჩეილი დონისე ამოიყვანა, რომელიც ფერდში ჩაისვა, იქ დონისე მომავრდა და როცა დრომ უწია, მამის ფერლიდან ხელახლა დაიბადა.

47-48. შტრ. მე-14 ელვგია, რომელსაც ამ სტრიქონებით ეხმაურება აეგორი.

### ელვგია VII

ამ ლექსს ხშირად აღარებენ ფილოდემუს ვადარელის ერთ-ერთ ეპიგრაფას. იგი თავისი შინაარსით, მართლაც, ძალზე ეხმაურება ოეილუსის ამ ელვგიას. ფილოდემუსი თავის ეპიგრაფაში აცხადებს, რომ წინათ დამემი ხუთჯერ, მოგჯერ ცხრაჯერაც ასრულებდა ქალთან თავის კაყურ მოვალეობას, ახლა კი მთელი დამის განმავლობაში ამ მოვალეობის ერთხელ შესრულების ძალაც კი აღარ მესწევს. „ჩემი ასო უკვე ნახევრადმკვდარია, მწარედ დაეისაჯე, თერმეროს“, – მიმართავს აეგორი საბერძნეთის ცნობილ ყაჩაღს. თერმეროსი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მგზავრებს იჭერდა,

ხოცავდა და უამრავ ავ საქმეს ჩნადიოდა. თერმეროსის ბოროტება საბერძნეთში ანდაზად იყო ქვეული. ამით აფგორს იმის თქმა უნდა, რომ მისი სხეულის სწორედ ის ნაწილი დაისაჯა, რომელიც მას ხშირად ბოროტად გამოუყენებია. ეს მითითება უკვე ასე მუსტად აღარ გვხვდება ოვიდიუსის ელეგიაში, სხვა დანარჩენი კი მას ძალზე მედმიწვევითა აქვს გამეორებული. ფილოდემუსი თავის ეპიგრამას პათეტიკური ყმაბხილით ასრულებს: „ასაკო, ო ასაკო, რას მიზამ მერე, როცა მოხუცდები, თუკი ეხლავე, ყმაწვილკაცს ძალას მართმე“ ამ ეპიგრამის წაითხვისას ვხვდებით, რომ იგი დეტალურად აქვს გადატანილი ოვიდიუსს თავის ელეგიაში. ოვიდიუსი ლექსში ფილოდემუსის მსგავსად უჩივის ბედს, რადგან არ შეუძლია საყვარელ ქალთან ცხოვრება; თან იმასაც ამბობს, რომ ცოტა ხნის წინ ორჯერ ასიაშობნა მშვენიერი ქლიბი, სამჯერ შეასრულა თავისი კაცური მოვალეობა ლაბასთან და პითოსთან და ა.შ. მოკლედ, აქ ოვიდიუსი ჩამოთვლის ლამაზი პეტერების სახელებს, რომლებთანაც მას მანამდე ქაინია საქმე (სგრ. 23, 24, 25, 26); აფგორი დანანებით აცხადებს, რომ სამწუხაროდ ახლა, როცა საყვარელი ქალი გვერდით უწევს, იგი უძლურია, მას ქალთან გრფობა არ შეუძლია. ოვიდიუსი ფილოდემუსით საყვედურობს თავის ასაკს, თავის ყმაწვილკაცობას, რომელმაც ასე უმგყუნა და მიმით შესუქერის მომავალს, სიბერეს: „ეჰი, რა სიბერე მელის, თუ ღმერთმა არ მომელა ადრე, როს სიჭაბუკემ უკვე ასე მიმუხთლა, ვხედავ“, – აცხადებს ოვიდიუსი. ეს სტრიქონები თითქმის სრული გამეორებაა ფილოდემუსის ეპიგრამისა, რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე გაგვყანით. ოვიდიუსმა, თავისი მანერის შესაბამისად, ფილოდემუსის პატარა ეპიგრამის საფუძველზე შექმნა ოთხმოცდაათხსტრიქონიანი უკრძები ელეგია.

8. სითონის. ანუ თრაკიის თოელი. სითონია თრაკიის ერთ-ერთი ნახევარკუნძულია, რომელიც ეგეოსის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. თრაკია გამოირჩეოდა თავისი მკაცრი კლიმატით. აქ სითონის თოელი ალბათ ქათქათა თოელის ამრითაა ნახმარი და ამდენად მას არ უნდა მიენიჭოს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა.

13. ციკუგა მხამიანი მცენარეა. პლინიუსი თავის „ბუნების ისტორიაში“ 25, 151, მოგვითხრობს ციკუგას თესვებსა და ფოთლების გამოყენებას ძალის შესახებ. იგი იქვე დასძენს, რომ ციკუგას ფოთლები ადამიანს სქესობრივ ლგოლესაც უქრობენ.

20. აქედან ვასკენით, რომ აფგორი პირველად წევს ამ ქალის გვერდით.

21. „ვესტას ქურუმი ქალი“ მდრ. III, 6, 75.

28. თესალია ცნობილი იყო თავისი ჯადოქრებით.

29-30. იმ კაცის სახელს, რომლისთვისაც ჯადო უნდა გაეკეთებინათ, ამოჩხაპნიდნენ ხოლმე წითელი სანთლით გაგლესილ დაფაზე, მასმევე ამავრებდნენ პატარა სანთლის ფიგურას, რომელსაც ღვიძლის ადგილას ნემსს ურჭობდნენ. ითვლებოდა, რომ ღვიძლი იყო ის ადგილი, სადაც ადამიანის ყველა ტკივილი და ენება იყრიდა თავს.

32. მდრ. II, 1, 26;

39. მდრ. I, 5, 19;

41-42. პროპერციუსთანაც ნესტორი და გითონოსი ერთად არიან ნახსენები. პროპერციუსი თავის ელეგიაში (II, 25, 9) ამბობს: „შენდამი სიყვარულს ვერც წელთა სიჭარბე წამართმევს, გინდ ნესტორი და გინდ გითონოსი იყო“.

42. გითონოსი მდრ. I, 13, 1;

51. განტალუსი მდრ. II, 2, 43-44 და III, 12, 29;

53-54. როდესაც შორწმუნე დღის რელიგიური რიტუალისთვის ემზადებოდა, საჭირო იყო წინა ღამით სასიყვარულო კავშირზე უარი ეთქვა. ამას მოითხოვდა საკულტო წეს-ჩვეულებაც.

61. თამარისი მომღერალი იყო, რომელიც ისე გაყოყანდა, რომ მუგებთან შეჯიბრება მოინდომა. გაამაყებული მომღერალი მუგებმა მკაცრად დასაჯეს. მას თეალისჩინი წაართვეს.

62. ფემიუსი „ოდისეაში“ მოიხსენიება, როგორც კუნძულ ითაკეზე მცხოვრები მითიური მომღერალი.

79. „აიაიას გრძნეული“ – იგულისხმება კირკე.

### ელეგია IX

1. როგორც ვიეთი, მემონის დედა იყო განთიადის ქალღმერთი ეოსი, ანუ აერორა. ოვიდიუსი I, 13 ელეგიაში მოგვითხრობს აერორას შესახებ, და აღნიშნავს, რომ იგი მუდამდღე დასტირის თავის დღედაუღ შეიღს. აქედანვე ვიღვს, რომ იგი მღერის ქალღმერთი თეტისი, რომელმაც აგრეთვე მწარედ დაიჭირა თავისი ვაჟი.

4. ოვიდიუსისათვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო სიკცვა ელეგიის ერთ-ერთი ნაიური ეგო-მოლოგია, რომლის მიხედვითაც ἔ λγρυ – ნიშნავდა ვაის თქმას. ამიტომ ეუზნება ოვიდიუსი ელეგიას, რომ ახლა, როცა იგი თავის გიბულუსს დასტირის, მას ეს სახელი სამართლიანად ჰქვია.

10. სტრიქონი თითქმის სიკცვა-სიკცვით ემთხვევა III, 6, 58-ს;

13. იულუსი – ენეასის ვაჟია.

14. ენეასი აქაც მოხსენიებულია როგორც აფროდიტეს (ვენუსის) შეილი და ამურის ძმა. მდრ. გიბულუსი II, 5, 39; „Aeneas, volitantis frater Amorisi“ („ენეასი, მფრინავი ამურის ძმა“).

16. აფროდიტეს საყვარელი იყო ჭაბუკი აღონისი, რომელიც ნადირობისას გარეულმა გახმა დაგლიჯა.



21. ისმარელი (თრაქიელი) ორფეესი – აპოლონისა და მუზა კალიოპეს ვაჟი. შესანიშნავი მომღერალი ჭაბუკი, რომლის სიმღერაც გყვები მხეცებს აჯადოვებდა და უსულო საგნებს სიცოცხლეს მთაბერად და. საყვარელი მეუღლის სიკვდილის შემდეგ ორფეესი არც ერთ ქალს არ აქცევდა ყურადღებას, გაგულისხმებდა თრაქიელმა ბაქსელმა ქალებმა იგი ერთ-ერთი ორგის დროს ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯეს.

23-24. ლინოსი – უღამამესი ჭაბუკი, რომელიც ადრე დაიღუპა. მას ღიღბანს დასტიროდა ბუნებაც და აღამაინებოც. ლინოსს ხშირად ორფეესის მასწავლებლად და მის ძმადაც მიიჩნევენ. არგოსში, მისი კულის გაერკვლების ცენტრში, ლინოსი აპოლონისა და მუზის ქალიშვილის – ფსამათეს ეკად ითულებოდა. მითის მოტივითი ეერსიის მიხედვით, ლინოსი ძაღლებმა დაგლიჯეს. გვიანდელი მითების მიხედვით კი, იგი პერაკლემ მოკლა.

25. მეონიელი პოეტი – იგულისხმება პომეროსი.

27. ავერნე – ტბა, რომლის მახლობლადაც საიქიოს შესასული ეგულებოდათ.

29. მინინება პომეროსის „ილიადაზე“.

30. მინინება „ოდისეაზე“. როგორც ვიცი, პენელოპემ საქმრობეს დაუდო პირობა, რომ იქამდე არ გათხოვდებოდა, სანამ არ დაასრულებდა თავისი მამამთილისთვის, ლაერტისათვის სულარის ქსოვას. პენელოპე მთელი ღამის განმავლობაში ქსოვს მამამთილის სულარას და დილით ისევ არღვევს, რათა თავიდან აიცილოს ვათხოვება.

31. ნემესი იყო ტიბულუსის საყვარელი, რომელსაც პოეტი თავისი ლექსების მეორე წიგნში ახსენებს; უღვიბათა პირველი წიგნი კი ტიბულუსმა თავის პირველ შეყვარებულს – დელას მიუძღვნა.

33. სისტრი – არის „კასტანეტი“, რომელსაც ეგვიპტეში იმისის პატივსაცემად გამართული ღვთისმსახურების დროს ხმარობდნენ. „რას გარგებთ ეგვიპტის სისტრი“, – აქ აეგორს უნდა გვითხრას: რას გარგებთ ღვთისმსახურება და მორწმუნეობა.

34. საკულტო წესჩვეულება მოითხოვდა, რომ მორწმუნეს ღამით სიწმინდე დაეყვა.

მდრ. II, 19, 42;

40. ტიბულუსი, I, 3, 53. ტიბულუსმა თავისი საფლავისათვის თვითონ შეთხმა უკიგაფია: „Hic iacet inmiti consumptus morte Tibullus“ (სიკვებისკვიით: აქ განისვენებს უღმობელი სიკვდილით აღსრულებული ტიბულუსი).

45. მდრ. II, 10, 11;

48. ფუკთა ქვეყანა მდებარეობდა კუნძულ კერკირაზე, იქ მიიმეღ დააეაღდა ტიბულუსი.

49. ტიბულუსი I, 3, 5; „non hic mihi mater, quae legat in maestos ossa perusta sinus“ [იქ ჩემთან არ იყო დღეა, რომელიც დასაწეაღად გამზადებულ ძელებს (ნემგს) შწუხარედ გულში ჩაიკრავდა].

51. ტიბულუსი I, 3, 7; „Non soror, Assyrios cineri quae dedat odores et fleat effusis ante sepulcra comis“ (არც და უსაღმდა ასირიულ ნელსაცხებლებს გვამს (არ აპაიგოსნებდა გვამს) და ცხედრის წინ არ მოთქამდა თმაგაშლილი).

60. ტიბულუსი I, 3, 58. „ipsa Venus campos ducet in Elysios“ [„თაეღ ვენუსი მიუძღვის ელიზიუმის ველებსიკენ“].

62. კალესი – კატულუსის თანამედროვე და მისი მეგობარი. იგი იყო ორატორი და პოეტი.

63. ამ სტრიქონში ხამგასმულია ის გარემოება, რომ თავის დროზე უღანამაულო გალუსს ბრალად დასდეს მძიმე დანაშაული. ოვიდიუსი აქ გადაკრავს მეუენაგს, რომელმაც მამინ გალუსის წინააღმდეგ გაიღამქრა.

66. სიკვდილის შემდეგ ტიბულუსი ელიზიუმის ველზე ღვთისმოსაეთა ჯგუფს უერთდება. ამ ელევგის დასასრული უნებურად გეახსენებს მე-2 წიგნის მეექვსე ელევგის დასასრულს, სადაც თუოი-ყუმოც სიკვდილის შემდეგ ელიზიუმის ბორცუთან მდებარე ტყეში აღმორნდება. ავეგორი აქაც ასევე აღნიშნავს, რომ სიკვდილის შემდეგ იმ წმინდა გყეში მხოლოდ ღვთისმოსავი ფრინველები ხეღებიან.

#### ელევგია XIV

22. მდრ. III, 7, 10;

23. მდრ. III, 7, 9;

39. მიულერი და ეეაღდი განაცხადებენ, რომ ოვიდიუსი ამ სტრიქონით ლექსის „ხერხემლის გადატეხას“ ახღვენს. ამ სტრიქონიდან მოყოლებული უკვე ნათლად ჩანს, რომ ოვიდიუსისთვის სულ ერთია გვერთა მისი „გულწრფელი“ გრძნობებისა, თუ მის აღსარებას, როგორც არგისტულ თამამს. ისე აღვიქვამთ. ამას გარდა, ოვიდიუსი 39-ე სტრიქონით მიგვანიშნებს კატულუსის ერთ-ერთ ცნობილ გამონათქვამზე: „odi et amo“ (კატულუსი, 85) „მეღუხარ და მიყვარხარ“. თუმცა კატულუსის ეს შემახილი არგისტულად ნათქვამი ფრამა კი არა, ველიდან ამოხუთქილი სიგყევიბია.

40. ამ სტრიქონით ოვიდიუსი გამიზნულად მიგვანიშნებს პირველი წიგნის მე-3 ელევგის მე-17 და მე-18 სტრიქონებზე.

#### ელევგია XV

ამ წიგნის ბოლო ლექსი ამავე დროს მთელი კრებულის დამასრულებელ ლექსს წარმოადგენს.

აქ პოეტი გულწრფელად ეთხოვება სასიყვარულრ ელევგას, რასაც ვერ ვიგყოლით III წიგნის პირველ ელევგიაზე, რომელშიაც ამკარად იგრძნობა, როგორ არ სურს ოვიდიუსს ეროტიკულ ელევგიასთან განმორება, როგორ არ ეთმობა იგი. ამჯერად კი ნათლად ჩანს, რომ ოვიდიუსი ეროტიკულ

ელკვიასთან დამორებას მართებულად მიიჩნევს. იგი თვლის, რომ მან ეროტიკული ელევია ამოწურა და ახლა დროა, იმ მნიშვნელოვანი, დიდგანისანი ნაწარმოების შექმნაზე იმზუნოს, რომელიც მას მარადიულ სახელს დაუშვებდრებს.

7. რადგანაც პოეტი თავს ეერგილიუსისა და კატულუსის გვერდით აყენებს და აცხადებს, რომ მომავალში მასაც ასევე აღიარებენ; აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დაეასკვნათ, რომ ორივე პოეტი უკვე მკვდარია. ე.ი. ლექსი დაწერილია ჩე.წ. აღ-მდე 19 წლის შემდეგ [როგორც ცნობილია, ეერგილიუსი ჩე.წ. აღ-მდე 19 წელს გარდაიცვალა].

10. „როდესაც ძრწოდა რომი მოკავშირეთა მიმით“, – აქ ოვიდიუსი იხსენებს მოკავშირეთა ომს (ჩე.წ. აღ-მდე 91 – 88 წლები), რომლის დროსაც იტალიის ხალხი ცდილობდა რომის ძალაუფლებისაკენ გათავისუფლებას. რომელები იძულებული იყვნენ შეამზობეთათვის რომაელი მოქალაქის უფლება მიენიჭებინათ.

11-14. 4, 1, 63-64-ში პროპერციუსი გვეუბნება: „უმბრია უნდა ამავობდეს ჩემი წიგნებით და კიდევ იმით, რომ მან რომაელ კალიმაქეს აკეანი დაურწია“. ოვიდიუსი, პროპერციუსის მსგავსად, აცხადებს, რომ მისი მშობლიური ქალაქი სახელგანთქმული და საქებარი ვახდება ოვიდიუსის წყალობით.

15. სატრფიალო ელევიათა პოეტი ეენუსისა და ამურის ლამქრად მომსახურე ისეთივე ჯარისკაცია, როგორც ყველა სხვა შეყვარებული (მდრ. 1, 9, 1). როცა საეელე ნიშნები სხვაგან გადააქეთ, ეს ნიშნავს ბანაკის სხვა ადგილზე გადატანას. „ეე ოქროს ნიშნები თქვენი, მინდვრიდან წაიღეთ დროზე“, – ნიშნავს, თქვენი ბანაკი სხვაგან გადაიტანეთო. ასე მიმართავს წიგნის ბოლოს ავტორი ეენუსსა და ამურს და ამით იმას გამოხატავს, რომ აღად უნდა მათ ბანაკში ყოფნა და მათთან სამსახური. ლენცი შენიშნავს, რომ ოვიდიუსი მათ საეელე ნიშნებს ოქროსას უწოდებს, რადგანაც რომაელი ჯარისკაცების მსგავსად, მათაც ოქროს საეელე ნიშნები შეეფერებათ და არა ეერესხისა.

17. ლიეუსი (ბერძნ. ნიშნავს „ღამამშვიდებელი“, „ღარდების გამქარებელი“) ბახსისს ეკითხება.

18. „უფრო ვრცელ ველზე მინდა გამოვაჭუნო ცხენი“, – ამ სტრიქონით ავტორი ამქარად გვეუბნება, რომ ეროტიკულ ელევიას იგი არ თვლის „ერცულ ველად“ და ახლა სურს „უფრო ვრცელ ველზე“ გამოაჭუნოს ცხენი, ე.ი. უფრო მნიშვნელოვან და დიად საქმეს მოჰქიდოს ხელი. თუ იგი „ერცულ ველში“ თავის გრავედია „მედვას“ გულისხმობს, რომელმედაც სხვადასხვანაირად მიუთითებს „ტრფობანში“ (მაგალითად: II, 18, 13-14 და III, 1-ში), მაშინ შეგვიძლია ჩათვალეთ, რომ ეს ლექსი პირველი გამოცემის დამასრულებელი ყოფილა. მაგრამ იაკობი და მოგიერთი სხვა მკვლევარი თვლის, რომ სიგყვებით „ერცული ველი“ ოვიდიუსი მიუთითებს თავის ორ დიდ ნაწარმოებზე „მეგამორფობებზე“ და „ფასტებზე“, რომელთა შექმნასაც იგი აპირებდა დაახლოებით იმ დროისათვის, როცა „ტრფობანის“ მეორე გამოცემა განახორციელა.

20. მდრ. I, 15, 42-ს, პირველი წიგნის ბოლო სტრიქონს.

*თარგმნა მანანა ლარიბა შვილმა*

## ტრფობის ხელოვნება

### II წიგნი

დასჭექეთ „იო“. მდავგუნეთ კვლავაც „პეანი“

ჩემს ბადეშია ნადავლი უკვე.

ჰალმის ღირსად თელის ლალი მეტრფე უფრო ჩემს წიგნებს,

ვიდრე ასკრელის, მეონიელის.

ასე ხარობდა ჰარისი, როს აფრები ახსნა,

5

მეომარ სპარტებს მოსტაცა ქალი.

გამარჯვებული იყო ისიც, ჰიპოდამია,

უცხოურ ეტლით ვინც გაგაქროლა.

ჩქარობ, ჭაბუკო, გაშლილ ზღვაში ცურავ ხომალდით,

მაგრამ შორს არის ნაპირი შენი.

10

არ კმარა, ჩემი ხელოვნებით მოძებნო სატრფო,

რომ არ დაქარგო, ამას ვასწავლი.

ორივე საქმე ძნელი არის, ჩემს წესებს მიჰყევ,

ნანატრი ქალი დარჩება შენთან.

შენ გევედრები, კითერეა, და შენც, ერატო,

15

ვინაც ამურის ატარებ სახელს.

ახლა ვაპირებ, შეგასწავლო, ეთ არს შესაძლო, ფრთოსან ამურს რომ წააქო ხელი.	
მსუბუქი არის, ნაზად დაფრენს ანცი ყმაწვილი, ძნელია ფრთებში წაეპოტინო.	20
გაქცევის ყველა გზა მოუსპო მინოსმა სტუმარს, ცას მიაშურა ოსტატმა ფრთებით.	
როცა ჩაკეტა დედალოსმა ცოდვილი დედის მიერ ნაშობი მონსტრი ლაბირინთს, ევედრა მინოსს: „დამეხმარე, სამართლიანო, მსურს, დავიმარხო ჩემს სამშობლოში.	25
მას მომაშორა ბედისწერამ, თუ იქ ცხოვრების არ ვიყავ ღირსი, დაე, იქ მოვკვდე.	
თუკი მოხუცი არ გებრალვი, ყრმა დააბრუნე, ერთ-ერთი მაინც, მამა ან შვილი“.	30
რა არ ევედრა, რა არ უთხრა, მინოსმა მაინც მამა-შვილს წასვლის ნება არ დართო.	
როს ვერას გახდა, შეუძახა თავს დედალოსმა: „ახლა ვაჩვენებ, რა შემძლია.	
ზღვას და ხმელეთსაც ფლობს მინოსი, გასაქცევი გზა ყოველი მხრიდან ჩვენ მოჭრილი გვაქვს.	35
მხოლოდ ცა დამრჩა; უნდა ეცადოთ მას მივაშუროთ. იუპიტერო, შემინდე ცოდვა.	
არა, ვარსკვლავებს არ მიველტივი, კი არ ვთაეხედობ, ასე დაეაღწევ თავს მხოლოდ ბატონს.	40
ოლონდ გზა იყოს, გადავლახავ სტიქსსაც უშიშრად, ბუნების წესი შეეცვალო უნდა.	
ზოგჯერ გონებას გაგინათებს უბედურება, გჯერათ ჰაერში ფრენა კაცისა?“	
ასაფრენ ნიჩბებს ამზადებს და აწყობს ბუმბულებს, მერე კი ნაზი ძაფით ამაგრებს.	45
ცეცხლით დამდნარი ცვილით ბოლო ნაწილს კრავს ფრთების, ახალ ქმნილებას ასრულებს ამით.	
ყრმა კი ერთობა ცვილით, ფრთებით, არც კი იცის, რომ უნდა მოირგოს მალე ბეჭებზე.	50
„ეს ხომალდია“ – უხსნის მამა, „გავექცეთ მინოსს და ჩავალწიოთ ჩვენს სამშობლოში.	
მოგვისპო გზები, მაგრამ ჰაერს არ ფლობს მინოსი, ჩემი ქმნილებით ცად ავიჭრებით.	
მაგრამ, გახსოვდეს, არ შეხედო ქალწულ ტეგეასს, ბეოტის მეგზურს, ხმალს ორიონის.	55
მე შემომხედე, შენს წინ ვიელი, შენ კი მომყევი, თუ გსურს უსაფრთხოდ გადავიფრინოთ.	
იცოდე, მზესთან სიახლოვეს თუ იფრენ, მაშინ გალღვება ცვილი სიმხურვალისგან,	60
ხოლო თუ ახლოს დაეშევი ზღვასთან ძალიან, წყლის შხეფებისგან ფრთა დამძიმდება.	
მათ შორის ფრთხილად იფრინე და ქარსაც კრიდე, მიანდე ფრთები სასურველ ნიაკს“.	

- არიგებს მამა, ფრთებს უმაგრებს, ასწავლის ყმაწვილს  
ფრენას, როგორაც ჩიტი თავის ბარტყს. 65
- თავადაც მხრებზე ფრთებს მოირგებს, უცნობი გზისთვის  
ემზადება და ტანს აიძინებს.
- უკანასკნელად, გაფრენის წინ კონცის თავის ვაჟს  
და ცრემლი აწვიმს მოხუცს ღაწვებზე. 70
- ერთ გაშლილ ველზე საბრალონი გორაკს ავიდნენ  
და გასაქცევად იწყებს მზადება.
- აი, ფრთებს იქნევს ღელალოსი, ვაჟსაც უყურებს,  
თავის არჩეულ გეზს მიუყვება.
- მოსწონს იკაროსს გზა უჩვევი, განილტვო შიში 75  
და გაბედულად დაიწყო ფრენა.
- მათი ხილვისას აუთრთოლდა ხელში ანკესი  
მეთევზეს, თავი ანება საქმეს.
- აი, სამოსი, მარცხნივ დარჩა, ნაქსოს, პაროსი,  
აი, ღელოსიც, საეანე ღმერთთა. 80
- მარჯვნივ ღებინთოს და კალიმნე, ტყით დაფარული,  
ასტიპალეა, მდიდარი თევზით.
- ბიჭი, ყმაწვილებს ვით ჩევეია, ატაცებული  
მალღა აიჭრა, დაშორდა მამას.
- მზის სიახლოვეს ცვილი დადნა, ფრთა დაიშალა, 85  
ვერ გაარღვიეს ფრთებმა ჰაერი.
- შეშინებულმა ჩამოხედა მალღიდან ზეირთებს,  
თვალთ დაუბნელდა, გაფითრდა შიშით.
- სულ გაღრვა ცვილი, შიშველ მკლავებს იქნევს ამოდ,  
ფარფატებს და ვერ პოულობს საყრდენს. 90
- ძირს დაშვებული ყვირის: „მამა, მივდივარ ქვევით“,  
წყალმა აუესო შეტყველი ბაგე.
- მამა საბრალო (თუმც არ არის ის უკვე მამა)  
ეძახის: „სად ხარ, იკაროს, შვილო!“
- თვალს მოკრავს ბუმბულს წყალში . . . ტანი დაეშვა ფსკერზე.... 95  
ზღვას იკაროსის შერჩა სახელი.
- ვერ შეაჩერა ცად აფრენა მინოსმა კაცის,  
მე კი დაჭერა მსურს ფრთამალ ღმერთის.
- ცდება, ვისაც წამს ხელოვნება ჰემონიური  
და კვიცს შუბლიდან ააგლეჯს ხორცმეტს. 100
- მედვას ჯადო სიყვარულს ვერ შეგინარჩუნებს  
და მაგიური სიტყვების ძალა.
- კირკე ულისეს დაკარგავდა, კოლხი – მედვას,  
შელოცვით სატრფო რომ ბრუნდებოდეს?
- ჯადო-სასმელი ქალიშვილებს ფერს აკარგვინებს,  
სულს აზიანებს, მატებს სიშმაგეს. 105
- შორს ყველა ჯადო! გსურს უყვარდე? იყავი სათნო,  
არ კმარა მხოლოდ ლამაზი სახე.
- გინდ იყავ ნირვეს შენ, რჩეული ჰომეროსისა,  
ან ნაიაღთა ტყვე, ნაზი ჰილას. 110
- თუ გსურს, არ დაგთმოს გულისწორმა, მომხიბლველობას  
შენსას გარეგნულს დაურთე ჭკუაუც.

წარმავალია სილამაზე, ქრება ნელ-ნელა, აჭკნობს ასაკი, უკარგავს ძალას.	
ია, ლილიაც დიდხანს როდი პყვავის, ფურცლები ვარდსაც ცვივა და რჩება ეკლები.	115
შენც, მშვენიერო, გაგიჩნდება ჭადარა თმებში და დაგიღარავს სახეს ნაოჭი.	
მამ, სულს მიხედე, მშვენიერი რომ იყოს ისიც, მას ვერ დაფერულავს სამარხის ცეცხლი.	120
იზრუნე სულზე, გაიწაფე ხელოვნებებში და ორი ენა ისწაველე კარგად.	
ლამაზი არა, ენამჭკვერი იყო ულისე, მაინც ეტრფოდნენ წყლის ქალღმერთები	

### შენიშვნები:

1. იო, პეანი – შეძახილი აპოლონისა და ბაკქუსისადმი.
4. ასკრელი – პესიოდე
4. მონიელი – პომეროსი
7. პიოდამია – პირითოუსის ცოლი, რომელთა ქორწილში აცყდა ბრძოლა ლაპითებსა და კენგაურებს შორის.
15. კითერეა – ვენუსის ეპითეტი.
15. ვრატო – ღირიკული პომეზის მუზა.
21. მინოსი – კრეტის ლეგენდარული მეფე.
23. დედლოსი – ათენელი ხელოვანი, რომელმაც მინოსის დაკვეთით კრეტაზე ლაბირინთი ააშენა.
41. სტიქსი – ქვესკნელის სამეფოს მდინარე.
54. ტეგეას ქალწული – ნიმფა კალისტო, იუპიტერის სატრფო, რომელიც შემდეგ დათვის თანავარსკვლავედი გახდა.
55. ბეოტიის მეგმური, ორიონი, დედლოსი, ნაქსოსი, ლებინთოსი, კალიმნე, ასტიპალა – ეგეოსის ბლესი კუნძულები.
100. ახალდაბადებული კეიკის მუბლზე წამონაზარდი სიყვარულის თილისმად ითვლებოდა
109. ნირესი – ტროის ომის მონაწილე, ულამაზესი ჭაბუკი.
110. პილასი, ჰერკულესის მეგობარი, რომელიც ნაიაღებმა, წყლის ქალღმერთებმა გაიგაყეს.

*თარგმნა იამზე გაგუამ*

# ჰეროდები

## I

### ჰენელოპე ულისეს

- ჩემო ულისე, ჰენელოპე გიგზავნი წერილს, 1  
პასუხს არ ვითხოვ, დაბრუნდი მალე!  
ძირს არის ტროა პრიამოსის, დანაელ ქალთა  
ვაების ფასად ღირდა ეს ბრძოლა?
- ნეტავ მშფოთვარე ზღვას დაენთქა ის მექალთანე, 5  
ეერ ჩაეღწია ლაკონიამდე.  
არ ვიწუხებდი, რომ ვაგდივარ მარტო ცივ ტახტზე,  
დრო უსაშველოდ მიიზღაზნება.  
გრძელ დამეებში შესაქცევად თითისტარს ხელში  
არ ავიღებდი დროს გასაყვანად. 10
- მაშინებს საფრთხე ყოველგვარი - დიდცი, პატარაც,  
ზიფათი მუდამ თან სდევს სიყვარულს.  
მეზმანებოდა, რომ ტროელნი გიტევდნენ შმაგნი,  
ვკრთებოდი, ჰექტორს თუ ახსენებდნენ.  
დამზაფრა ცნობამ - ანტიოქე დაიღუპაო, 15  
პატროკლოს ბრძოლის ველზე დასცესო,  
სხვის იარაღში აღკაზმული. ავტირდი, ნუთუ  
ულისე ვერას ახერხებს-მეთქი.  
ახალი დარდის ტლეპოლემეც გახდა მიზეზი,  
ლიკიას შუბზე ანთხია სისხლი. 20
- ერთ მებრძოლს, თურმე, აქილევისს, გამოსჭრეს ყელი...  
ყინულად შექცა მყის მკერდში გული.  
სამართლიანად წყალობს ღმერთი ერთგულ სიყვარულს,  
ტროა დაემხო და შენც გადარჩი.  
დაბრუნდნენ უკან არგოსელნი უცხო ნადავლით, 25  
ღმერთებს პატივი მიაგეს ტაძრად.  
პატარძლებს ძღვენი მიაქეთ ქმრების გადარჩენისთვის,  
კაცები ტროის ამბებს ჰყვებიან.  
მოხუცებს უკვირთ მონათხრობნი, თრთიან ქალწულნი,  
ცოლები კი ქმრებს შესციცინებენ. 30
- გაშლილ სუფრაზე ვიდაც ბრძოლის სურათს აჩვენებს  
და ღვინის წვეთით ხატავს პერგამოსს.  
აი, აქ იყო სიმოისი, აქ კი - სიგეა,  
აქ პრიამოსის მაღალი ზღუდე.  
აქ აქილევისს, იქ ულისეს ბანაკი იდგა. 35  
ცხენი ათრევედა აქ ჰექტორის გვამს.  
მოხუც ნესტორმა ყოველივე მოუთხრო შენს ვაჟს,  
მე კი მიაბზო ტელემაქოსმა.  
მითხრა, მახეილით რომ დაეცნენ რეზუს და დოლონ,  
ის ძილში მოკლეს, ამას უმზაკერეს. 40
- რამ შეგიყვანა თრაკიელთა ბანაკში ღამით?  
შენიანები სულ დაგვივიწყე?

- მტრების საყლელად ერთი კაცი იახლე მხოლოდ,  
ეს სიფრთხილეა და ჩემზე ზრუნვა? 45
- როცა გავიგე, ისმარიულ ცხენებით ლაშქარს  
წინ მიუძღოდი გამარჯვებული,  
დავმშვიდდი, მაგრამ მე რა მარგო ტროის დაცემამ,  
რომ ტრიალ მინდვრად აქციეთ იგი?
- მე იგივე ვარ, რაც ეიყავი მის დანგრევამდე.  
მუდამდლე ძვირფას ქმრის მომლოდინე. 50
- დანგრეულია პერგამოსი (ჩემთვის ისევე დგას).  
მის ველს მშვიდად ხნავს ახლა იქ მტერი.  
იქ, სადაც ტროა იდგა, ახლა ბიბინებს ყანა,  
ფრიგიელთ სისხლით ნაპოხ მიწაზე.  
სახნისს ამოაქვს მიმოფანტულ მებრძოლთა ძვლები, 55
- ბალახი ფარავს სახლის ნანგრევებს.  
შენ კი სად ხარ, გამარჯვებული, რატომ შეყოვნდი,  
ვიცოდე მაინც, სად იმალები.  
როგორც კი უცხო გამონღდება ჩვენთან ხომალდით,  
ვთხოვ, ყველაფერი მიაბოს შენზე 60
- და წასაკვლელად გამზადებულს ბარათს თან ვატან,  
იქნებ შემთხვევით შეგხვდეს და მოგცეს.  
მოხუც ნესტორსაც გაეუგზავნე ერთი წერილი,  
კუნძულ პილოსზე, მაგრამ ამაოდ.  
შენი ამბავი არც სპარტაში იცოდა ვინმემ, 65
- რომელ მხარეში ხარ, სად შეჩერდი?  
ნეტავ მდგარიყო შეურყეველად ტროის კედლები,  
ეს რა წამომცდა, რა სისულელე!
- ნეტავ იბრძოდე, მეშინოდეს ომისა ახლაც;  
ვიწუწუნებდი მეც სხვებთან ერთად. 70
- ქვეცნობიერად მეშინია, რისი? არ ვიცი,  
ყველაფერს წვდება ჩემი ფიქრები.  
ხან წარმოვიდგენ, ზღვა გაბრკოლებს, ხანაც მგონია  
რომ საფრთხეში ხარ სადღაც, ხმელეთზე.  
იქნება ქალის ალერსით ხარ დატყვევებული 75
- (რატომ აქამდე არ მომაფიქრდა).  
ხომ არ უამბობ, რომ მდაბიო ქალი გყავს ცოლად,  
ხელგაწაფული მხოლოდ ქსოვაში.  
ნეტავ ვცდებოდე, ნიავს გაჰყვეს ჩემი ბრალდება  
და დაბრუნება შეძლო შინ მალე. 80
- „გეყო ლოდინი, სანამ უნდა გემინოს მარტო?“  
ბუზღუნებს მამა იკარიუსი.  
დე, იბუზღუნოს, მე მარადის შენი ვიქნები,  
მე, პენელოპე, ულისეს ცოლი.  
ჩემი ვედრებით, ერთგულებით გაოცებული, 85
- ჩუმდება მამა და ბრახს იოკებს.  
თავს მახეზრებენ სამოსელნი, დულიქიელნი  
და ზაკინთელი სასიძოვები.  
შემოესივნენ შენს სასახლეს, ხელს არეინ უშლის  
და ჩვენს ქონებას ანიაკებენ. 90

პისანდროსი და პოლიპოსი, გედონტესი და  
 ევრიმაქოსი და ანტინოუს,  
 შენს ნაამაგარს ამ თავხედებს ასმევ და აჭმევ.  
 შენი შორს ყოფნით მათ ათამამებ.  
 მელანტიუს და ირუს ჩვენს ჯოგს მათთვის მწყემსავენ, 95  
 და ემატება ზარალს სირცხვილიც.  
 შინ სამნი დავრჩით, უმწურონი: მე, სუსტი ქალი,  
 მოხუცი ლაერტ, ყრმა ტელემაქოს.  
 ძლივს გადაურჩა ამასწინათ მათ ვერაგობას,  
 პილოსზე წასვლა რომ დაიუინა. 100  
 ღმერთებს ვთხოვ, ჩვენი აღსასრული როცა დადგება,  
 მისი ხელებით დაეხუჭოთ თვალი.  
 ამას ნატრობენ: მეჯოგე და მოხუცი ძიძა  
 და ლაფიანი ღორების მწყემსი.  
 ლაერტესს უკვე აღარ ძალუმს მტერთან ჭიდილი,  
 რათა დაიცვას სამეფო თვისი. 105  
 ტელემაქოსს კი მამაცობის ჟამი მოუვა,  
 მას მამის ხელი სჭირდება ახლა.  
 ვერც მე განვდევნი მოძალადეთ, დაბრუნდი მალე  
 და უპატრონე სახლს, ბურჯო ჩვენო! 110  
 კარგად გიმყოფოს ღმერთმა ვაჟი, აღზრდა ხომ უნდა,  
 შენს ხელოვნებას რომ ეზიაროს.  
 ლაერტესსაც ხომ შენ სჭირდები, თვალს დაუხუჭავ,  
 საბრალო ელის თავის აღსასრულს.  
 მე კი, წასულის წინ რომ დამტოვე სრულიად ნორჩი,  
 ახლა მოწიფულ ქალად მიხილავ.

## შენიშვნები

ოვიდიუსი ამ წერილის წყაროდ იყენებს პომპროსის „ილიადას“. პენელოპე, ქმრის მომლოდინე, წერს ბარათს ოდისეუსს.

5. მექალთანე – პარისი

16. სხვის იარაღში – პატროლე, აქილეუსის იარაღში

52. ოვიდიუსი ელინებს მიაწერს რომაელთა ჩვეულებას, მათ მიერ დამარცხებულ ქალაქებში კოლონიების დაარსებისა.

## XII

### მედეა იასონს

მახსოვს, კოლხეთის მეფის ასულს შველას რომ მთხოვდი,  
 მყისვე მოუხმე ჯადო-თილისმას.  
 ბედის მრთველნი რომ ჩემს თითისტარს შემოსწყრომოდნენ  
 და გაეწყვიტათ სიცოცხლის ძაფი,  
 მაშინ მედეა ნეტარ სიკედილს ვედირსებოდი 5  
 და ამ სატანჯველს არ ვიზილავდი.  
 ნეტავ არასდროს შეეცურათ ჰელაზგებს ზღვაში  
 ხომალდი ფრიქსეს ოქროს ვერძისთვის  
 და არ ეხილათ კოლხებს არგო მაგნეტიდების,  
 ხოლო ელინებს – წყალი ფაზისის. 10



რად მოვიხიბლე ოქროს თმებით, შენი მშვენივრებით, ენამზეობით, იასონ, მაშინ?	
როცა ჩვენს ნაპირს უჩვეულო გემი მოადგა მამაც ჭაბუკთა, ნეტავი მაშინ	
უმეცარი წინ დადგომოდი მძინვარე ხარებს და მათი ცეცხლით დაფუფქულიყავ.	15
თესლი გეთესა, იმდენსავე მტერს გაიჩნდი, დაღუპულიყავ მხენელი ხნულშივე.	
გადავრჩებოდი მზაკერობას და შენს ვერაგობას, არ ჩაეიდენდი ცოდვას უამრავს.	20
როცა სიკეთეს დააყვერდი უმადურს, თითქოს რალაც შეებას გრძნობ, ეს სიხარული	
მაქვს ახლა შენგან. კოლხეთს გიბრძანეს წამოსვლა და მოხველ ჩემს ნეტარ სამფლობელოში,	
შენი საცოლურ რაც აქ არის, მეც იქ ის ვიყავ ასული მეფის აიეტისა.	25
ზღვიან ეფირეს თუ განაგებს აქ მისი მამა, მამაჩემს ეპყრა სკივითია ვრცელი.	
თოვლით მოცული. პატივით შეგხვდათ აიეტი და მოგასვენათ ოქროს ტახტებზე.	30
შემოგხედე და მყის ვიკითხე შენი ამბავი, ეს იყო ჩემი დიდი შეცდომა.	
დავკარგე გონი, უჩვეულო ცეცხლით ავენთე. როგორაც ფიჭვი საკურთხეველზე.	
შენმა მშვენივრებამ დამატყვევა, ბედისწერამაც. შენც შეამჩნიე, როგორ გამზერდი.	35
ვერაგო, იგრძენ, რომ მიჭირდა ვნების დაფარვა, ცეცხლს თავისივე ბუნება აველენს.	
ამასობაში დავალებაც გადმოგცეს მეფის: მარსის ხარების უღლით მოდრეკა.	40
შეგაშინებდათ ხილვა მათი მარტოდენ რქების, პირიდან საშიშ ცეცხლებს აფრქვევდნენ,	
ბრინჯაოს ჰქონდათ ჩლიქნი, ნესტოც, ჩამუქებული ამონაბოლქვი შავი კვამლისგან.	
გიბრძანეს უხვად მიმობნევა თესლის მინდორზე, ხნულიდან ლაშქრის ამოსაზრდელად.	45
ასეთ უცნაურ სამკალს როგორ გადურჩებოდი. მხენელს დაგიშენდნენ უმაღლე ისრებს.	
ფხიზელი მცველის დაძინება რალაც ხერხებით – ბოლო მოთხოვნა აიეტისა.	50
მეფის ბრძანებამ დაგამწუხრათ, წამოიშალნეთ, აიღეს ტაბლა და სავარძლები.	
შორს იყო ამ დროს კრეონტი და მისი სამეფო, კრეუსას, შენი საცოლის მზითვი.	
მძიმედ მიმავალს დაგადევნე ჩემი ცრემლები, „ნახვამდის“ – მეთქი, ჩემად წარმოეთქვი.	55
გულდაკოდილი შეელასლასდი საძინებელში, ძლივს გავათენე ღამე ცრემლებში.	

- წარმოვიდგინე: ხარები და მტრული ნათესი,  
დრაკონი, თვალს რომ არ ხუჭავს წაშით. 60
- ხან ტრფობა, ხანაც შიში მძლევედა, აჯობა ტრფობამ.  
დილით საწოლში და შემოვიდა,  
თმაუაჩეჩილი, დამხობილი ვეგდე სარეცელს.  
ცრემლების კვალი აჩნდა ყველაფერს.  
შემომავედრა მინიები, მთხოვა მეშველა 65
- ესონილისთვის და დამითანხმა.  
ხშირ ფიჭვნარსა და ფოთლოვანი მუხის ჭალაში,  
სადაც სხივები ძლივს წვდება მზისა,  
სამლოცველოა, იქ დიანას ოქროს ქანდაკიც  
დგას ბარბაროსთა ხელით შემკული. 70
- გახსოვს თუ ისიც დაივიწყე, ვით შენი ცოლი?  
ჭალას შესულმა მითხარ, ცბიერო:  
„ბედმა იწება სამართალი რომ შენ განსაჯო,  
გინდა მომკლავ და გინდა დამარჩენ,  
თუ ჩემს დაღუპვას მოისურვებ, არ არის ძნელი, 75
- ჩემი ხსნა სახელს შეგმატებს უფრო,  
გთხოვ, გვეედრები ჩემს გასაჭირს უშველე რამე.  
გაფიცებ პაპას შენს, ყოვლისმხედველს,  
მის ეაჟს, აიეტს, გზაჯვარედინთ მფარველ დიანას,  
თქვენს ღმერთებს, ყველას და სალოცავეებს. 80
- ნუ გაგვიმეტებ, ო, ქალწულო, უცხო ჭაბუკებს,  
გამხადე მარად შენი მსახური.  
თუკი მიკადრებ ქმრად და პელაზგს არ დამიწუნებ  
(თუ მიშველიან ჩემი ღმერთები). 85
- უმაღვე სული გამშორდეს და ღრუბელს შეერთოს,  
სხვა თუ შევიერთო შენ გარდა ვინმე.  
იუნო იყოს, ქორწინების მფარველი, მოწმე  
და ის ქალღმერთი, ვის ტაძარშიც ვართ.“  
შემძრა ქალწული მიაშიტი ამ სიტყვებმა და  
ხელზე შეხებამ სათუთად ხელის. 90
- ცრემლიც შევნიშნე, თვალთმაქცობდი იქნებ, რა ვიცი,  
უმაღ ვირწმუნე სიტყვები შენი.  
ასე რომ, ცეცხლმა არა გავნო, მოდრიკე ხარნი,  
კვალი გაავლე გუთნით ყამირზე  
და შხამიანი კბილნი თესლად მიმოაბნიე, 95
- წამოიმართა უმაღ ლაშქარი.  
თუმცა გიბოძე ჯადო, მაგრამ ფერდაკარგული  
ვუცქერდი ისრებს როგორ გიშენდნენ,  
მერე კი მტრულად დაერივნენ (ო, საოცრებაჲ!)  
მიწის შობილნი ძმები ერთმანეთს. 100
- აი, სისინებს, იგრაგნება, ქერცლს ატკაცუნებს  
ოქროს საწმისის მცველი ფხიზელი.  
მეფის ასული, მისი მზითვი, ანდა ისთმოსი,  
ზღვათა გამყოფი რით დაგეხმარა?  
მე ვიყავ იგი (ვისაც ცოდვილს უწოდებ ახლა,  
ბარბაროსსა და უპოვარს, გლახაკს), 105

- ჯადო-თილისმა ვინც შეჰყარა ცეცხლოვან თვალებს.  
საწმისი ხელში რომ ჩაგვარდნოდა.
- მამა გავწირე, სამეფო და სამშობლო ჩემი  
და სიხარულით გამოგედევნე. 110
- ნადაელად გიძღვენ სიქალწულე უცხოელ ყაჩაღს,  
ძვირფასი დედა, დაც მივატოვე,  
ოლონდ შენ, ძმაო, ვერ იქნა და ვერ შეგელიე.  
არა, ამის მეტს ვერაფერს ვიტყვი,  
რაც ჩავიდინე, ამის წერას ველარ გაუბედავ. 115
- ჩვენც ვინმეს ასე რომ ავეკუწეთ!  
არც კი შევმერთალვარ, მერე უფრო უშიში გავხდი.  
მივენდე ტალღებს ცოდვილი ქალი.  
ღმერთნი სად იყენენ, ზღვის ფსკერზე რომ ღრმად ჩაემარხეთ,  
შენ ფლიდობისთვის, მე კი – ნდობისთვის. 120
- ან სიმკლევადებს მოვესრისეთ, რომ ჩემი ძელები  
შენს ძელებთან ერთად ათქვეფილიყო,  
სკილას მივეგდეთ დასაგლეჯად ჩვენ ქოფაკებთან.  
ვერ იტანს იგი უმადურ კაცებს.  
ტრინაკრიის წყალს ჩავეყლაპეთ ნეტავ მორევში, 125
- უკანვე ისევ ამოვენთხიეთ.  
მხნე და ამაყი დაუბრუნდი შენ თესალიას  
და ღმერთებს უძღვენ ოქროს საწმისი.  
რად მოვიგონო, როგორ დაჰკლეს მოსიყვარულე  
ქალიშვილებმა მეფე პელიას. 130
- დე, გამამტყუნონ სხვებმა, შენგან ვარ ქების ღირსი,  
ცოდეა დავიდე შენ გამო ბევრჯერ.  
შენ კი გაბედე თქმა, გავცლოდი სახლს ესონიდის  
და უსამართლოდ მატკინე გული.  
გავშორდი შენს სახლს, შვილები თან გამოვიყოლე, 135
- შენდამი ტრფობაც (მუდამ თან დამდეგს).  
ერთხელ შინ ვიყავ და „ჰიმენე“ მოსწვდა ჩემს ყურებს,  
ანთებულ ლამპარს მოეკარი თვალი,  
ფლელიტა ყველგან საქორწინო ჰანგებს აბნედა,  
მე გლოვის ხმებად ჩამესმა იგი. 140
- შევშინდი, თუმცა არ ველოდი ასეთ სიმუხთლეს,  
მკერდში ყინული ჩამიდგა თითქოს.  
ხალხი „ჰიმენეს“ გაჰყვიროდა, რაც უფრო ახლოს  
ისმოდა ხმები, ცუდად ვხდებოდი.  
ტიროდნენ ჩუმაღ ზურგშექცევით ჩემგან მსახურნი, 145
- ვინ მოგახარებს უბედურებას?  
მეც წაუყურე, არ მინდოდა გამეგო რამე,  
თუმცა სიავეს მიგრძნობდა გული.  
ამ დროს უმცროსი ვაჟი კარის ზღურბლთან შეჩერდა,  
მოყიჟინე ბრბო რომ დაენახა. 150
- წადიო, მითხრა, მამა უძღვის მაყრიონს ცხენით,  
ოქროს სამოსში არის მორთული.  
ტანთ გავიძარცვე, დავიგლიჯე გულ-მკერდი ბრაზით,  
სახე ფრჩხილებით სულ დავიხოკე.

ბრბოში შევარდნა მოვინდომე, გვირგვინი თავზე რომ ამეგლიჯა მეტოქისათვის.	155
ძლიეს შევიკავე თაყი, თმებში რომ არ ვწვდენოდი, არ დამეყვირა: ჩემია-მეთქი.	
იხარეთ ყველამ: მამარემო, თქვენაც, კოლხებო, და ძმის აჩრდილო, მიიღეთ მსხვერპლი.	160
მან მიმატოვა, ერთადერთი ვინც იყო ჩემთვის, ვისთვისაც დაეთმე სამშობლო, სახლი.	
შმაგი ხარები და დრაკონი დავიმორჩილე, შენარჩუნება ვერ შევძელ ქმრისა.	
ჯადო-თილისმით გავანელე ალი გიზგიზა და ვერ ჩავიქრე მკერდში ხანძარი.	165
არც ჯადო მშველის, არც შელოცვა, არც ბალახები, ალარც ჰეკატეს საკურთხეველი.	
არც გათენება მახარებს და არც – დაღამება, მშვიდი სიზმრები სანატრელი მაქვს.	170
დრაკონს მოეგვარე რული, თავად ვერ შევძელ ძილი, სხვას ევხმარები, ჩემს თავს კი ვერა.	
ვინც დავიხსენი, ახლა იგი სხვის მკლავებშია, სხვა ტკბება ჩემი შრომის ნაყოფით.	
ვინ იცის, იქნებ სულელ ცოლთან თავს იწონებ და ცდილობ გაართო ჩემზე საუბრით.	175
ზნეს მიწუნებ და გარეგნობას, ცილს მწამებ იქნებ, რომ აკისკისო ჩემს ნაკლზე იგი.	
მეწამულ ტახტზე გაწოლილი იცინის გულით, იტირებს, დაწვავს კოცონი ჩემი,	180
ვიდრე მახვილი ხელთ მიპყრია, ცეცხლი და შხამი, თავს ვერ დააღწევს ჩემს რისხვას მტერი.	
ჩემი ვედრება თუ მოგილობობს მაგ ქვასავით გულს, მოკრძალებული ისმინე თხოვნა:	
მავედრებელი ახლა მე ვარ, როგორც შენ იყავ, მზად ვარ მუხლებზეც დავეცე შენ წინ.	185
მე თუ არაფრად მაგდებ, შვილებს რას ემართლები? ავ დედინაცვალს ჩაუგდებ ხელში?	
ალი და კვალი არის შენი ორივე ვაჟი, მათ შეხედვაზე ცრემლი მადგება.	190
გაფიცებ ღმერთებს, პაპაჩემის ცეცხლოვან სხივებს, ჩემს სიყვარულს და ჩვენს ვაჟიშვილებს, სარეტელს ვითხოვ ჩვენსას, რასაც შევწირე ყველა, დაიცავ ფიცი, შენც დამეხმარე.	
ბრძოლას ხარებთან არ გიბრძანებ, არც მეომრებთან და არც დრაკონის დამარცხებას გთხოვ.	195
შენი თავი მსურს, შენ მამა ხარ ჩემი ვაჟების, მოვიტხოვ, რაც მე დავიმსახურე.	
მზითვს ითხოვ? იგი იმ ველზეა, შენ რომ გიბრძანებს მოგეხნა ოქროს საწმისისათვის.	200
ვერძი ოქროსი, მოკაშკაშე, მზითვია ჩემი, რომც მოვისურვო, არც დამიბრუნებ.	

მზითვია ჩემი, შენ გიხსენი და ჭაბუკებიც.

მაშ, შეადარე სიზიფეს ოქროს.

შენ რომ ცოცხლობ და გყავს მდიდარი სიმაპრი, ცოლი, 205  
ჩემი წყალობით გაქვს ყველაფერი.

მე რას ვაპირებ, ჩემს სასჯელზე არაფერს ვიტყვი.

დიდი მუქარა მზადდება გულში,

მივყვები რისხვას, თუმცა იქნებ ვინანო ბოლოს,

ვწუხვარ, ვერაგ ქმარს რომ დავეხმარე.

210

ღმერთო, რა ცეცხლი მიტრიალებს, რა მემართება?

არ ვიცი ჯერაც, რას მოვიფიქრებ.

### შენიშვნები

ისევე როგორც VI წერილში, აქაც არგონავტების ცნობილი მითია დამუშავებული, იასონისაგან უარყოფილი მედეა, რომელმაც ორი ვაჟი უშვა ბერძენ გმირს, აყვედრის იასონს დახმარებას ოქროს საწმისის მოპოებაში. მას ჯერ არა აქვს მოფიქრებული სამინელო შურისძიება, რომლის მომზადებასაც აპირებს. ამ წერილში ამკარად იგრძნობა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკისა“ და ევრიპიდეს „მედეას“ გავლენა.

34 იგულისხმებიან პარკები, რომლებიც რთავენ ადამიანის სიციხის ძაფს.

13 „არგო“ უჩვეულო გემი იყო, რადგან მის ჭეიხვს მეგისის წმინდა მუხისგან გამოთლილი შორი ამშვენებდა, რომელიც თავად ათენამ დაამავრა. იგი მეტყველი იყო,

62 და, ქალკიოპე.

78 იგულისხმება პელიოსი.

115-116 საუბარია მედეას მიერ ძმის, აბსირტეს, მკვლელობაზე.

129-130 იგულისხმება მედეას მიერ იასონის ბიძის, პელიასის, დაღუპვა.

## XVI

### პარისი ელენეს

გისურვებ იყავ ბედნიერი, ლედას ასულო,

რომ მეც ვიხარო შენი სიკეთით.

რა გითხრა, ფიცი არ სჭირდება სიყვარულს ჩემსას,

ცნობილი არის იგი ყველასთვის.

ჯობდა იმ დრომდე დამეფარა, ვიდრე ამ გრძნობას 5

არ დარჩდილაჲდა ნალექელი მწარე.

მაგრამ ვერ ვშალავ მე ჩემს ხანძარს. ცეცხლი მყისიერ

თავს იჩენს ზოლმე თავისი შუქით.

თუ მაინც გინდა დავამტკიცო საქმე სიტყვებით,

„ვიწვი“ – ეს არის ჩემი პასუხი. 10

გთხოვ, მკაცრი სახით ნუ დაიწყებ კითხვას ბარათის,

პირმშვენიერი იყავ, როგორც ხარ.

ენეტარებ, როცა წარმოვიდგენ, იღებ ჩემს წერილს,

იმედს მისახავს ეს უკვე გულში.

ნეტავ ვენუსის დაპირება ამიხდეს მართლა, 15

გამაბედვინა მან ეს მგზავრობა.

ღვთაების ნებით მე მოვდივარ, იცოდე კარგად.

იგი ხელს უწყობს ჩემს მტკიცე სურვილს.

კითხრეასგან დაპირებულ დიდ ჯილდოს კელი,

ჩემს სარეცელთან გიხილავ მალე. 20

ფერეკლეს ზომალდს გამოყვევი ტროის ქვეყნიდან.

ძნელ გზას დაეადექ შორეულ ზღვაზე.

ქალღმერთ ვენუსმა დამადევნა ზურგქარი ნაზი,

ხელეწიფება მას, ზღვისგან შობილს,  
 დააცხროს გულის მხურვალეობა, ასევე ზღვისა, 25  
 და ჩამიყვანოს სასურველ მხარეს.

ძლიერი ვნება (რაც ვერ ეპოვე ჩემს სამშობლოში)  
 იყო მიზეზი შორეულ გზისა.  
 აქ ქარმა როდი შემომავლო, ანდა შეცდომამ,  
 მიეკროდი სპარტის ქვეყნისკენ გემით. 30  
 ფიქრობ, სავაჭროდ გადმოვლახე ეს ზღვა ხომალდით?  
 არა, ღმერთების ნებაა იგი.

არც სპარტის ნახვა მწადდა გულით, განთქმული არის  
 სამეფო ჩემი თავის სიმდიდრით.  
 შენი ხილვა მსურს, ხომ შემპირდა შენს თავს ვენუსი. 35  
 მიყვარდი მანამ, სანამ გნახავდი.

გონებით აღრე გაგიცანი, ვიდრე თვალებით,  
 მესმოდა ქება შენი მშვენიების.  
 ისარს, შორიდან ნატყორცნსაც კი დიდი ძალა აქვს.  
 გასაკვირვია, რომ შემიყვარდი? 40  
 ბედს ასე ნებავეს, ნუ ეცდები უარყო იგი,  
 გულით მიიღე ჩემი სიტყვები.

თავის საშოში მატარებდა ჯერ ისევ დედა,  
 დრო რომ მოვიდა ჩემი გაჩენის,  
 სიზმარში ნახა ჩირაღდანი უზარმაზარი, 45  
 თითქოს ეს ცეცხლი თავად დაბადა.

შიშით წამოხტა და დაუფრთხო ძილი პრიამოსს,  
 უხმეს ორაკულს, მან კი განმარტა:  
 ტროა-ილიონს გადაწვაესო ცეცხლი პარისის.  
 ეს ცეცხლი გულის ჩირაღდანია. 50  
 სილაღითა და სილაძაზით დიდებულს ვგავდი,  
 თუმცა მღაბიო ვეგონე ყველას.

იღის ჭალაში მივარდნილი მდელაო ერთი,  
 ფიჭვებისა და მუხის კორომი.  
 არ აძოვებენ იქ მშვიდ ცხვრებს და დრუნჩიან მოზერებს, 55  
 არც კლდეზე მცოცავ, მოუსვენარ თხებს.

მეც ამ მდელოზე ვისვენებდი, ხეს მიყრდნობილი,  
 გავცქერდი ქალაქს, ზღვასა და სახლებს.  
 აი, უცნაურ ნაბიჯებით შეირყა მიწა  
 (სიმართლეს გეტყვით, თუმცა გაუგონარს), 60  
 მოფრინდა ჩემთან სწრაფი ფრთებით დიდი ატლანტის  
 და პლეიონის შთამომავალი.

ნეტავ შემემლოს გადმოცემა, რაც მე ვიხილე.  
 ღმერთს ოქროს წყნელი ეჭირა ხელში,  
 სამი ქალღმერთი მოლზე იდგა ნაზი ფეხებით: 65  
 იუნო, ვენუს, ათენა პალას.

გავშეშდი, შიშით გავშრი, თმები დამიდგა ყალყზე.  
 „ნუ შიშობ“, მითხრა შიკრიკმა ღმერთმა,  
 ქალღმერთთა დავის გადაწყვეტა შენ ერთს მოგენდო,  
 ვინ არის სამში ულამაზესი. 70  
 დაეთანხმდი, რადგან იუპიტერს უბრძანებია.

გამშორდა ღმერთი, აფრინდა ცაში. უცებ გონება გამინათდა და გავთამამდი, აეხედ-დაეხედე ცალ-ცალკე ყველას, სამივე იყო გამარჯვების ღირსი, ამიტომ	75
მე მსაჯულობას მანდობდნენ დავის. ყველაზე მეტად სამ ქალღმერთში მომხიბლა ერთმა, ვინც ყველას ტრფობის ცეცხლით ალაგზნებს. გულით უნდოდათ გამარჯვება, ამის სანაცვლოდ ძალაუფლებით მხიბლავდა ცოლი	80
იუპიტერის, ათენა კი – საომარ ძალით, ვეჭვობ, მინდოდა მე სიმამაცე? ვენუსმა ტკბილად გამიღიმა: „პარის, რად გინდა ეს საჩუქრები, ხიფათით საესე.	
ლამაზი ლედას ასულს გიძღვნი, უმშვენიერესს, რომ შეიყვარო და მოეხვიო“.	85
მე ვამჯობინე საჩუქარი ტურფა ვენუსის, ის კმაყოფილი გაფრინდა ცისკენ. ამასობაში ბედი ჩემკენ შემოტრიალდა, მეფემ შემიცნო თავისი ვაჟი	90
და სიხარულით სასახლეში მიმიღეს მამის, ეს დღე ტროაში ზეიმად იქცა. ვეტრფოდი ქალწულთ, სასურველი მეც ვიყავ მათთვის, მარადი მხოლოდ შენთვის ვიქნები.	
მოეწონდი ასულთ, არა მარტო მეფის სარდლების, ნიმფათა ტრფობის საგანიც ვიყავ.	95
ენონის სახით მოვიხიბლე, მაგრამ ტროაში მე ვერსად ვპოვე შენი სადარი.	
დამალა ყველას ყურადღებამ, მერე გამოჩნდა იმედი შენი ცოლად შერთვისა.	100
ძილისგან დაღლილს რომ ჩამთვლემდა, მეღანდებოდი, დღისით და ღამით, სულ ჩემთან იყავ.	
რას იზამ, როცა მიხილავ? მე გეტრფოდი უცნობს, შორიდან მწკავე ცეცხლით ვიწვოდი.	
ველარ შეეძელი, რომ მეცხოვრა ხანგრძლივ იმედით, არ მენდო ზღვისთვის სურვილი ჩემი.	105
ფრიგიულ ცულით შეესიენენ ტროის ფიჭვნარებს (ამ ხის მერქანი უძღვებს ზღვის ტალღებს), გარგარის მთაზე სულ გაჩეხეს ტყის მასივები, უხვად დააწყვეს იდის მორები.	110
ხომალდებს ფსკერი გაუმაგრეს მტკიცე მუხებით, ამოაშენეს ფერდები მრუდე.	
გაჩნდა ქანდარაც, მოფრიალე აფრები ძელზე და გემის ჭვინტზე – ქანდაკნი ღმერთთა.	
ჩემს ხომალდზე კი მოხატული ქალღმერთი იდგა ყრმა კუპიდონით, ქომაგი ჩენი.	115
როცა დასრულდა საბოლოოდ აგება ფლოტის, ტალღა მიწვევდა სამოგზაუროდ, მაგრამ მშობლები წინ აღუდგნენ ამ ჩემს განზრახვას,	

- მიშლიდნენ წასვლას და მყოფებდნენ. 120
- როდესაც აფრებს ამზადებდნენ, და გამოვარდა ჩემი, კასანდრა გაშლილი თმებით: „საით მიიწეე?“ – მომაკივლა – „ხანძარს მოიტან, დიდ ცეცხლს გიმზადებს ეს ზღვის ტალღები“.
- სიმართლე ითქვა მისნის ბაგით, ვიპოვე ცეცხლი, გიჟური ვნება გულს მიდაგავდა. 125
- ნავსადგურიდან გამოსული ზურგქართ ნაპირს მოვადექე შენსას, ებალის ნიმფავ.
- შემომგებება შენი ქმარი დიდი პატივით, ღვთის ნება იყო ეს ყველაფერი. 130
- მან მომატარა მთელი სპარტა და ყველაფერი მიჩვენა, რასაც საჭიროდ თვლიდა.
- არ გამქცევია თვალი არსად, შენი ნაქები მშვენიერების ხილვას დანატრულს.
- როცა შეგხედე, გაეშრი, ვიგრძენ, ალტაცებისგან გული ამეესო უცნაურ გრძნობით. 135
- ქალღმერთის სახე გამახსენდა, როს კითერეა ჩემთან მოვიდა განაჩენისთვის.
- შენც რომ მწვეოდი მოპაექრედ ქალღმერთებისა, ვეჭვობ, რომ ჯილდო რგებოდა ეენუსს. 140
- შენს საარაკო სიტურფეზე რას არ ჰყვებოდნენ, შენს სილამაზეს იცნობდნენ ყველგან.
- აღმოსავლეთში ტოლს ვერ გიღებს მშვენიერებით ვერც ერთი ქალი, ვერც ფრიგიაში.
- ეგ სილამაზე ღირსი არის მეტი დიდების, 145
- შენ იმსახურებ ჭეშმარიტ ქებას.
- ვენუსმა გაქო, მე მერვენე ლამაზი უფრო, სიტურფემ შენზე ხოტბა დაწრიდა.
- ამ ხმების გამო იყო, თესეესს რომ შეუყვარდი, 150
- შენ მოტაცების ღირსად ჩავთვალა.
- როცა შიშველი ვარჯიშობდი, როგორც წესია, შიშველ ვაეებთან შენ პალესტრაზე.
- მოტაცებისთვის ვაქებ, მაგრამ რად დაგაბრუნა? ამ ძვირფას ნადავლს რად შეეეღია?
- ჩემ სარეცლიდან ვიდრე შენს თავს ეინმე წამართმევს, მიჯობს ჩემს კისერს მოშორდეს თავი. 155
- ანდა მე თვითონ ხელს გაგიშვებ, მოვითმენ ამას, ჩემს მკერდს ჩაკრული რომ წაგიყვანონ?
- ან თუ დაგთმობდი, რამეს მაინც დაეიტოვებდი, ხელს წამიკრავდა ვენუსიც ცოტას, 160
- ან ქალწულობას წაგართმევდი, ან მის სანაცვლოდ, ერთს ვნებიანად ჩაგეხვეოდი.
- ოღონდ მომენდე, ჩემს სიმტკიცეს გაიგებ მერე, ჩემს ცეცხლს სამარხის ცეცხლი ჩააქრობს.
- მე შენი თავი ვამჯობინე მეფურ დიდებას, 165
- იუპიტერის ცოლის საჩუქარს.
- დიდი სიქველეც დავიწუნე, ათენას ძღვენი,



რომ მოგზეოდი ველზე, ძვირფასო.	
არ ვნანობ, ბრძივეულს ჩემს არჩევანს თუ უწოდებენ,	
ურყევი არის ჩემი სურვილი.	170
ნუ დაუშვებ, რომ იმედს ჩემსას გაუჩნდეს ბზარი,	
შენს დასაპყრობად ღირს ტანჯვის თმენა.	
არ ვარ მდაბიო, ღირსეული მინდა მეუღლე,	
შენ არ შეგრცხვება ჩემი ცოლობის.	
პლეადა ჩემი მოდგმისაა, იუპიტერიც,	175
სხვა პაპებზე რომ არაფერი ვთქვა.	
მამის სამეფო ვრცელი არის, უკიდევანო	
და უმდიდრესი მთელს აზიაში.	
ურიცხვ ქალაქს და სასახლეებს ოქროსას ნახაე,	
იტყვი, ტაძრები არისო ღმერთთა.	180
იხილავ ტროას, მაღალ კოშკებს, უმტკიცეს ზღუდეს,	
ნაგებს ფებუსის ღირის ქანგებით.	
რა უნდა გითხრა მამაც ვაჟთა ურიცხვ ლაშქარზე,	
ამდენ ხალხს ძლივდა იტევს ეს მიწა.	
შემოგებხვევა ტროელ ქალთა გუნდი, ფრიგიელ	185
ქალწულთა დასი აავსებს დარბაზს.	
რამდენჯერ იტყვი: „აქაია რა ღარიბია,	
ქალაქში ერთ სახლს თუ ნახავ მდიდრულს“.	
მე არ ვიწუნებ შენს სპარტასაც, სადაც შობილხარ,	
ის მიწა ჩემთვის სანუკვარია.	190
მარამ შენს სახეს არ შეჰფერის ეს მწირი მხარე,	
შენ ფუფუნებით უნდა იცხოვრო.	
მაგ სილამაზეს მოუხდება კაბები ძოწის,	
ლხინი, გართობა, მხიარულება.	
როცა იხილავ მორთულობას ჩვენი კაცების,	195
იფიქრებ, ქალთა სამოსი არის.	
ოღონდ დამთანხმდი და მიიღე ქმრად ფრიგიელი,	
თერაპნის მხარეს დაბადებული.	
ის ფრიგიელიც ჩემი მოდგმის იყო, ვინც ახლა	
ღმერთებს ურიგებს ნექტარს, წყალნარევს,	200
ავრორას ქმარიც აქაური გახლდათ, ქალღმერთმა	
შუალამისას ცად აიყვანა.	
ანქიზეც იყო ჩვენი მხრიდან იყო, იღის მთის ძირას	
მას შეეუღლა ამურის დედა.	205
არც მენელაოსს დააყენებ ჩემზე წინ, ვფიქრობ,	
თუ შეადარებ ჩვენს წლებს და ასაკს.	
თუმცა ვერ გიძღვნი მამამთილად, ვინც განარიდა	
ბილწ სადილს სხივნი და სწრაფი ეტლი.	
არ აწევს სისხლი პრიამოსის მამას სიმამრის,	
დანაშაული მირტოის ზღვაზე.	210
ხელს არ იწვივდა ჩემი პაპა ვაშლის ტოტისკენ,	
წყურვილს სტიგიის წყლით ვერ იკლავდა,	
თუმც რად ვიხსენებ ამას, როცა იუპიტერი	
პაპაა შენი და მამამთილიც.	
ვაი, რას ვითმენ, ნეტარებით რამდენი ღამე	215

შენი უღირსი ქმარი გეხვევა.  
 უკანასკნელად თვალი მოგკარ გაშლილ სუფრასთან,  
 რა გულისტყენა ვიგრძენი მაშინ.  
 ჩვენს სტუმრებს, ალბათ, სიამოვნებთ ასეთი ლხინი.  
 მეც მომწონს ხშირად რომ მოაქვთ ღვინო. 220  
 მწყინს, როცა ჩემი თანდასწრებით, სტუმრის წინაშე  
 ეგ ხეპრე ურცხვად რომ გეფერება.  
 შურისგან გავესკდი... (იქნებ არ ვთქვა?) რომ შემოგხვია  
 მოსასხამი და გაგიტოო ტანი.  
 როცა ერთმანეთს ეამბორეთ უნაზეს კოცნით, 225  
 ავიღე თასი და წინ დავიდგი.  
 თვალი დაეხარე, როცა მაგრად ჩაგიკრა გულში,  
 ლუკმა კინაღამ ყელს გამეჩხირა.  
 ოხერა აღმომხდა ბეგრჯერ (ეს შენც შენიშნე, ვიცი).  
 ძლივს იკავებდი თავს სიცილისგან. 230  
 ვეცადე ღვინით რომ ჩამექრო ხანძარი გულის,  
 მაგრამ ცეცხლს ცეცხლი ემატებოდა.  
 შევატრიალე თავი, რომ არ მეცქირა თქვენთვის,  
 მაგრამ უხმობდი ჩემს თვალებს შორით.  
 რა კენა, არ ვიცი, შენი ცქერა ტკივილს მაყენებს,  
 უფრო მეტ დარდს კი – შენი არხილვა. 235  
 რაც შემიძლია ჩემს სიშმაგეს ვებრძვი და ვმალავ,  
 მაგრამ ფარული ენება თავს იჩენს.  
 არ ვიტყუები, ჩემს იარას თავადაც ხედავ.  
 ნეტავ მხოლოდ შენ ამჩნევდე ამას. 240  
 ოი, რამდენჯერ მოვაბრუნე თავი მტირალმა,  
 რომ არ ეხილათ ჩემი ცრემლები.  
 მთვრალს სხვის ტრფობაზე მიაძვნი, სინამდვილეში  
 ჩემს სიყვარულის ამბავს ვყვებოდი.  
 სხვისი სახელით გადმოვეცი ჩემი განცდები. 245  
 იგი მე ვიყავ... შეყვარებული.  
 ბეგრჯერ სიმთვრალეც მოვიგონე, რომ კადნიერად  
 და თავხედურად მელაპარაკა.  
 მახსოვს, ტუნიკა გეცვა ერთხელ, გულმოდებული,  
 მე ამ სიშიშვლემ მომტაცა მზერა. 250  
 ქათქათა იყო შენი მკერდი თოვლზე და რძეზე,  
 ლედან ჩახვეულ იუპიტერზეც.  
 სანახაობამ გამაოცა, მოულოდნელმა  
 და გამივარდა ხელიდან თასი.  
 როცა ქალიშვილს, ჰერმიონეს ეამბორები,  
 მის ნორჩ დაწვიდან ვიტაცებ კოცნას,  
 ახლახან ძველი ტრფობის ამბავს ვყვებოდი ლაღად  
 და ესაუბრობდი შენთან უსიტყვოდ.  
 გაუბედე და შენს ამხანაგებს: ეთრას, კლიმენეს  
 მიუუახლოვდი ტკბილი საუბრით. 260  
 სიტყვა არ უთქვამთ, შეშინდნენ კი და ჩემი თხოვნა  
 ყურად არ იღეს, გამშორდნენ ჩუმად.  
 ღმერთების ნებით, დაე, ჯილდო, აღქმული მერგოს.

ტურფა ელენე მიბოძონ მსაჯულს. ვით ჰიპოპენეს ბრძოლის შემდეგ ხედა ატალანტა, ჰიპოლამია ერგო ფრიგიელს,	265
რქა მოამტვრია აქელოუსს ალკიდესმა და მერე გასწია საცოლისაკენ. მეც რომ ამგვარად სითამამე გამომჩინა, მოგიპოვებდი დიდ შრომის ფასად.	270
მაგრამ მუხლებზე მოგეხვიო, ის დამრჩენია, თუ ნებას დამრთავ და შეგევედრო. შენ ტყუპი ძმების მშეენება ხარ, იუპიტერი ქმრად შეგფერს, მაგრამ შვილი ხარ მისი.	275
სიგეის ყურეს, ვით საცოლეს ჩემსას ჩაგიყვან, ან ტენარაში დაერჩები მძევლად. მსუბუქად როდი შეხებია ისრები ჩემს მკერდს, ძვლამდე დავიდა თითქმის ჭრილობა.	275
მახსოვს, მიმისნა დამ, კასანდრამ, რომ ღვთიურ ისრით დავიჭრებოდი, მართალი უთქვამს.	280
ხელს ნუ კრავ ბედის ძღვენს, ელენე, მიილე იგი, დე, შენს სურვილებს წყალობდნენ ღმერთნი. ბევრ რამეს ვფიქრობ, მაგრამ გეტყვი იდუმალ ღამეს, თუკი მიმიღებ შენს სარეცელში.	285
იქნებ გრცხვენია ქმრის ღალატის, ან გეშინია ცოლქმრულ სარეცლის შეურაცხყოფის?	285
გულუბრყვილო ხარ და სულელი, თუ იმას ფიქრობ, ცოდვას აიცდენ შენი მშეენებით. ან შეიცვალე სახე, ანდა ნუ ხარ სასტიკი, ასეთ სიტურფეს კდემა გაურბის.	290
ფარული ტრფობა მოსწონს ვენუსს, იუპიტერსაც, შენს მამად იქცა აკრძალულ ვნებით. უბიწოდ თავს ვერ შეინახავ, იმ მოდგმისა ხარ, იუპიტერის და ლედას შვილი.	295
წმინდა იქნები, თუ ტროაში დარჩები ჩემთან, დე, შენი ცოდვა მე ვიყო მხოლოდ. რასაც შეეცოდავთ, ქორწინებით გამოვისყიდით, თუ აღთქმულ სიტყვას ვენუს არ გასტეხს.	295
ხელს მიწყობს შენი ქმარი საქმით და არა – სიტყვით, რომ გაშეცალა სტუმარს დროულად.	300
საოცარია, აქამომდე დრო ვერ მოძებნა, კუნძულ კრეტაზე გასამგზავრებლად. წასვლის წინ ცოლი დაარიგა: აბა, შენ იცი, სტუმარს გიტოვებ, მიმიხედო.	305
ვხედავ, მეუღლის დავალებას რომ არ ასრულებ და შენს სტუმარზე სულაც არ ზრუნავ. მჯერა, უგულო შენი ქმარი ხვდება, რომ ასეთ დიდ საუნჯეს ფლობს, შენს სილამაზეს?	310
მან რომ იცოდეს შენი ფასი, რას ფიქრობ, უცხო სტუმარს ანდობდა თავის სიმდიდრეს? რაკილა სიტყვა, ვნება ჩემი შენ არ გადელევებს,	310

- თავს ვინუგე შებ შენი ხილვითაც.  
შენს სულელ ქმარზე ბევრად ბრიყვი ვიქნებით, თუკი  
არ ვისარგებლებთ ჩვენ ერთად ყოფნით.  
თავისი ნებით ჩაგაბარა შენს სატრფოს ქმარმა, 315  
გამოიყენე მისი სისუსტე.  
ეულად წევხარ, გრძელ ღამეებს ატარებ ასე,  
მეც მართო ვგდივარ ჩემს სარეცელზე.  
შეგვადუღაბოს, დე, საერთო ჩვენ ნეტარებაამ,  
ღამე იქნება ნათელი ღღეზე. 320  
ყველა ღვთაებას დავიფიცებ მე შენ წინაშე,  
შენს წმინდანებსაც შევევედრები.  
და თუ მტკიცეა ჩემი რწმენა, დაუყონებლივ  
გზას გაგიყენებ ჩემი ქვეყნისკენ.  
თუ გერიდება, არ თქვან, რომ მე გამომედევნე, 325  
ჩემს თავზე ვიღებ ამ დანაშაულს.  
რადგან მივბაძავ ეგვიდს და პოლუქსს და კასტორს,  
მათ ამბებს სხვაზე უკეთ შენ იცნობ.  
შენ მოგიტაცა თესვესმა, მათ – ლეეკიპიდები,  
მე კი მეოთხე მაგალითად მომიგონებენ. 330  
აქვეა ფლოტი, ტროელების, გმირებით საესე,  
სწრაფი ხოფებით ქარს გააყვებიან.  
ვით დედოფალი, ისე ჩახვალ დარდანელთ ქალაქს,  
ახალ ქალღმერთად მიგიჩნევს ხალხი.  
სადაც კი შეხვალ, აენთება დარიჩინის ხე, 335  
შეწირულ ცხოველს დასცემენ მიწას.  
ძღვენს მოგართმევენ: მამაჩემი, დედა, და-ძმანი,  
სხვა ქალწულებიც და მთელი ტროა.  
არა, ეს მხოლოდ ნაწილია საჩუქრებისა,  
ბევრად უფრო მეტს ნახავ, ვიდრე გწერ. 340  
ნუ შიშობ, რომ შენს მოტაცებას ომი მოჰყვება  
და დაგადევნებს ელადა გმირებს.  
გსმენია ბრძოლით დაბრუნება გატაცებულის?  
მენდე, ფუჭია ეგ შენი შიში. 345  
აკვილონს ჰყავდა ერიხთიდი მოტაცებული  
და არ ამტყდარა ომი ბისტონში.  
ესონიდს გაჰყვა ფაზისელი ახალ ხომალდით,  
კოლხნი ელადას არ შესევიან.  
გამტაცებელმა შენმა მინოსს წაჰკვარა ქალი,  
არ დაურაზმავს მეფეს კრეტელნი. 350  
შიში საფრთხეზე უფრო მეტად სახიფათოა,  
შერცხვება შემდეგ მხდალს თავის შიშის.  
და თუ დაუშვებ, რომ ატყდება ომი სასტიკი,  
ძალ-ღონე მერჩის და მახვილიც მაქვს.  
ტოლს არ დაუდებს აზიელთა ლაშქარი თქვენსას 355  
გმირთა სიმრავლით, მარდი ცხენებით.  
სიმამაცეში ვერ მაჯობებს მენელაოსი  
და ვერც საომარ ხელოვნებაში.  
ჯერ კიდევ ბავშვმა გამოვტაცე მტერს ჯოგი ჩემი.

- სახელიც ამის ნიშნად შემარქვეს. 360  
 ყმაწვილი ვიყავ, ჭაბუკთ შორის რომ გავიმარჯვე,  
 ეძლიე ღვიფობს და ილიონევს.  
 თუ ფიქრობ, ცდები, საშიში ვარ მხოლოდ პირისპირ,  
 ჩემი ისარი ზედება მიზანში.  
 ნუთუ შეძლებ, რომ სიჭაბუკე აქო მეუღლის, 365  
 ასწავლო ჩემი მას ხელოვნება?  
 ყველაფერი რომ მისცე, ძმა ხომ არ ჰყავს, ჰქექტორი,  
 ლაშქრის დიდება და ბრწყინვალება.  
 ვერც წარმოიდგენ, რა ძალას ვფლობ, რა შემძლია, 370  
 როგორი კაცის მეუღლე ხდები.  
 ან არ ატყდება ომი შენი დაბრუნებისთვის,  
 ან დორიელებს ძღვევს ჩემი ჯარი.  
 ასეთ ცოლისთვის ხმლის მოქნევა არ მერცხვინება,  
 მაღალი ჯილდოს მიღება ბრძოლით.  
 თუკი სამყარო შეიძრება შენი გულისთვის, 375  
 თაობებს სახელს გადასცემ შენსას.  
 მიენდე ღმერთებს და უშიშრად თან გამომყევი,  
 შეპირებული აღთქმა შესრულდეს.

## შენიშვნები

ამ წერილის მიხედვით, პარისი უკვე იცნობს ელენეს. იგი ცდილობს, მოხიბლოს მენელაოსის გურუა მეუღლე.

25 მითის ერთი ვერსიის მიხედვით, ენუსი (აფროდიტე) მღის ქაფისაგან იშვა.

39-142 სტრიქონები ბევრ ხელნაწერში არ არის, ფიქრობენ, იგი მოგვიანებით არის ჩამატებული.

68 იგულისხმება მერკურუსი.

90 პარისი, რომელიც ჩველი მოიშორეს მშობლებმა, რადგან ორაკულის მისწობით, იგი დაანერვდა მშობლიურ ქალაქს, იღის მთაზე იმრდებოდა, ერთხელ იგი მოხელა ილიონში (გროამი) სპორტულ ასპარეზობაზე, სადაც იცნეს კასანდრამ და პრიამოსმა.

200 იგულისხმება განიმედე, მშენიერი ყმაწვილი, რომელიც იღის მთიდან მოიტაცა არწივმა და აიყვანა ოლიმპოზე, სადაც ემსახურებოდა ღმერთებს ნადიმზე მერიქიფულად.

207 თიესტემ აცდუნა თავისი ძმის, აგრესის ცოლი, შეურაცხოფილმა აგრესმა დაუხოცა მას შვილები და მათი ხორცით გაუმასპინძლა მამას, რასაც თეალი აარიდა მზის ღმერთმა.

201 აფრორას ქმარი, კეფალუსი.

210-214 იგულისხმება განგალოსის განჯეა.

252 ქათათა... იუპიტერი, თეთრ გელად ქეუელი.

359-360 პარისმა იღის მთაზე მარჯედ მოიგერია ჯოვის გამგაცულები, ამიგომ ეწოდა მელსახელად „ალექსანდრე“, „მამაკაცთა მომგერიებელი“.

## XVII

### ელენე პარისს

- ჩემი თვალები შეურაცხყო შენმა წერილმა,  
 უთუოდ უნდა გაგცე ჰასუხი.  
 სტუმარ-მასპინძლის წმინდა ადათს შენ უღალატე,  
 ცოლქმრულ კავშირის სცადე დარღვევა.  
 განა ამიტომ გამოსტაცა ტენარის ყურემ 5  
 ბობოქარ ტალღებს შენი ხომალდი?  
 მიგილო უცხო ტომის შვილი სამეფომ ჩემმა,  
 არ დაუხშვია კარიბჭე შენთვის.  
 რა უსამართლო ჯილდო გვერგო ამ სიკეთისთვის!

მტრად მოხვედი თუ მოყვრულად, მითხარ!	10
ამ ჩემს საყვედურს, კარგად ვიცი, სოფლურს უწოდებ, რა გინდაც იყოს სამართლიანი.	
ვიყო სოფელი, მირჩენია, შეურცხვენელი, იყოს ცხოვრება ჩემი უზადო.	
არ მინდა ყალბი მეტყობოდეს სახეზე სევდა და ვიჯდე კუშტად კოპებშეკრული.	15
სახელიანი ვარ. უბიწო, და მექალთანე ვერც ერთი ჩემზე ვერ იქირქილებს.	
ერთი რამ მიკირს, ვით გაბედე, რა იმედი გაქვს ჩემი სარეცლის გაზიარების.	20
რადგან თესვესმა წამიყვანა ერთხელ მე ძალით, კვლავ მოტაცების რატომ ვარ ღირსი?	
დანაშაულად რად მეთვლება მომზიბლველობა, ჩემი ბრალია, რომ მომიტაცეს?	
მაგრამ ნაყოფი სასურველი არ უგემნია, დაებრუნდი უკან, ოღონდ შეეშინდი.	25
მხოლოდ ეს იყო, მოძალადემ მომტაცა კოცნა, სხვა არაფერი უკადრებია.	
შენ თავხედი ხარ და ამასაც არ დასჯერდები, მადლობა ღმერთებს, შენ ის არ გგავდა.	30
მან დამაბრუნა უბიწო და მოიხსნა ბრალი, ცხადია, ცოდვა მიეტყვება,	
შენ გინდა თესვესს მიბაძო და იგივე სცადო, რომ შემირცხვინო სახელი ქვეყნად.	
მინც არ ვჯავრობ (შეყვარებულს ვინ გაამტყუნებს?), თუ შენ რასაც გრძნობ, სიყვარულია.	35
ხან ვეჭვობ, არა იმიტომ, რომ მაკლია რწმენა, ან არ ვაფასებ ჩემს სილამაზეს,	
არა, ქალწულებს, ვიცი, ღუპავს მიაშიტობა, ამბობენ, ნდობა არ აქვს შენს სიტყვებს.	40
თუმც ბევრი შეცდა, წმინდა ქალი იშვიათია, რა, არ ვეკუთვნი იშვიათ ქალებს?	
შენ ფიქრობ, ჩემი მოტყუება ადვილი არის, გავიმეორებ დედის მაგალითს.	
გელად ქცეულმა შეაცდინა იუპიტერმა, მოსილმა რბილი, ფაფუკ ბუმბულით.	45
იქნება შევცდე უნებურად, დანაშაულს კი, მომხდარს შეცდომით, აღარ დაეფარავ.	
ლამაზ შეცდომას მოჰყვა ჩემი ქვეყნად გაჩენა, ბედნიერი ვარ ვითომ მე ამით?	50
სამეფო გვართ თავს იწონებ და შენი მოდგმით, ღირსება არც ჩემს სახლს არ აკლია.	
არ გავიხსენებ იუპიტერს, ქმრის დიდ პაპას და ტინდარეცს, პელოპსს და ტანტალიდეცს.	
გელად ქცეული შეიფარა კალთაში ლედამ იუპიტერი და მიძღვნა მამად.	55
მიდი ახლა და შეადარე ფრიგიის ძველ ტომს,	

ლაომედონტს და მეფე პრიამოსს. პათივს ვცემ ყველას, მაგრამ შენ ხარ მეხუთე მოდგმა იუპიტერის, მე კი – პირველი.	60
შენი სამშობლოს ძლიერება, ეფიქრობ, დიდია, არც ჩემი ქვეყნის არის მცირედი. თუმცა სიმდიდრით ვერ გაჯობებთ, ვაჟაკთ სიმრავლით, ბარბაროსული მხარე გაქვთ მაინც.	
შენი წერილით უამრავ ძღვენს მპირდები, მდიდრულს, შემძლებ ცდუნებას ქალღმერთებისაც.	65
მე რომ მნდომოდა გადალაზვა სირცხვილის ზღვარის, შენ იქნებოდი მიზეზი ამის.	
ან სპეტაკ სახელს საშუალოდ შევინარჩუნებ, ან როგორც ჯილდო თან გამოგყვები.	70
თუმც საჩუქრები არ მძულს, მაგრამ ძვირფასი მხოლოდ სასიამოვნო კაცის ძღვენია.	
უფრო მეტად კი ვაფასებ შენს თავგამოდებას, ზღვას შეჭიდებას, სიყვარულს, იმედს.	
გაშლილ სუფრასთან გაკვირდები, ვამჩნევ ყველაფერს და ვცდილობ თავი მოვიკატუნო.	75
როცა უტიფრად, დაჟინებით მომაჩერდები, შენს მზერას ჩემი თვალი ვერ უძლებს.	
ამოიოხრებ და დასწევდები ჩემს ახლოს სასმისს, დაეწაფები თასს, ჩემს ნაპირალს.	80
ვხედავ ფარულად საუბარი რომ გინდა ჩემთან, ხან თითებით და ხანაც წარბებით.	
გაეწითლებულვარ ბევრჯერ, ხშირად შემშინებია, არ დაენახა ქმარს ეს ნიშნები.	
რამდენჯერ ჩუმად ჩაგჩურჩულე, გულწრფელად გითხარ: „აქ ნურაფრის ნუ მოგერიდება“.	85
სუფრის კიდეზე წამიკითხავს სახელი ჩემი და – მიყვარხარო – ღვინით ნაწერი.	
თვალით განიშნე, არ მჯეროდა შენი ნათქვამი, მეც მივეჩვიე ასეთ საუბარს.	90
მაცდუნებელი იყო შენი ალერსი ტკბილი, შეგეძლო ჩემი გულის დაპყრობა.	
პირმშენიერი ხარ, არ ვმალაგ, და შენს მკლავებში მოქცევას ბევრი ქალი ისურვებს.	
სჯობს სხვა გახადო უცოდველად შენ ბედნიერი, ვიდრე დაეკარგო შენ გამო კდემა.	95
ისწავლე ჩემი მაგალითით – ერიდე ლამაზს, ნუ გაგიტაცებს სიამოვნება.	
იცი, გონიერ რამდენ ჭაბუკს სურდა, რაც შენ გსურს, თუ მხოლოდ შენ გაქვს თვალები, პარის?	100
ქარაფშუტა და თავხედი ხარ, გაკლია სიბრძნე, ენამჭვერი ხარ, მაგრამ უგულო.	
ნეტავი მაშინ მოსულიყავ სწრაფი ხომალდით, როცა საქმრონი ჩემს თავს ითხოვდნენ.	
მენახე მაშინ, ათას კაცში გამოგარჩევიდი,	105

- ჩემივე ნებით ჩაგბარდებოდი.  
დაგაგვიანდა ასრულება გულისნადების,  
ვინც შენ გსურს, ახლა იგი სხვისია.
- ნეტავ ტროელი ვყოფილიყავ და ცოლი შენი,  
ქმრად არ მყოლოდა მენელაოსი. 110
- გულს ნუ მიღონებ. გეუდრები, შენი საუბრით,  
და – მიყვარხარო – ნუ მეუბნები.
- ნუ მიშლი, რომ ჩემს ხვედრს დავეჯიღე და ნუ ისურვებ  
სიყვარულს ჩემი შერცხვენის ფასად.
- ვიცი, ვენუსმა წაგაქეზა. იღის მწვერვალზე 115  
სამი ქალღმერთი შენ მოგეახლა;
- ერთი სამეფოს გთავაზობდა, მეორე – ძალას,  
ხოლო მესამე – ტინდარიდის ცოლს.
- მიჭირს ვირწმუნო, მოპაექრე ქალღმერთნი როგორ  
დაემორჩილნენ შენს განჩინებას. 120
- იქნებ მართალიც არის, მაგრამ ჯილდოდ ელენეს  
შეთავაზება მოგონილია.
- ვერ დავიჯერებ, რომ ისეთი ლამაზი ვიყო,  
ქალღმერთი ვენუს ჩემს თავს შეგპირდა.
- ხალხს რომ მოეწონე, მსიამოვნებს, თვალს მაცოლებენ, 125  
მაგრამ ვენუსის ქება მაშინებს.
- ვერ ვიტყვი თითქოს არ ეუბნებდე ყურს მე შენს ზოტბას,  
რატომ დავმალე, რაც სურს გონებას?
- ნუ ცხარობ, შენი ნაკლებ მჯერა, ნდობა ნელ-ნელა  
გაჩნდება, თუ მას დაიმსახურებ. 130
- უპირველესად, მაშ, გისურვებ გწყალობდეს ვენუს,  
შემდეგ, რომ ჯილდო ვიყო მე შენთვის,  
რომ საჩუქრები იუნოს და არც ათენასი  
არ დააყენო ელენეზე წინ.
- მაშ, მე ვარ შენთვის სიქველევ და სამეფო მძლავრი, 135  
რკინის ზომ არ ვარ, რომ არ მიყვარდე.
- არა ვარ რკინის, მაგრამ ვიბრძვი ის არ მიყვარდეს,  
ვინც ალბათ ჩემი გახდება მაინც.
- რად ეჭვილები ქვიშას გუთნით, როცა სახნავად  
უვარგისია, რის იმედი მაქვს? 140
- ღმერთებს ვიმოწმებ, რომ ვენუსის ხლართებს არ ვიცნობ  
და არ მიცდია ქმრის გაცურება.
- ახლა კი წერილს საიდუმლოს ჩემს სათქმელს ვანდობ.  
ასეთ სამსახურს პირველად მიწვევს.
- ნეტავი მას, ვინც ამ საქმეში გაწაფულია, 145  
ვეჭვობ, ცოდვის გზა იოლი იყოს.
- შიში თან ახლავს ბოროტებას, დაბნეული ვარ,  
მგონია, ყველა მე მითვალთვალებს.
- მართლაც და მესმის გესლიანი ჩურჩული ხალხის  
და რაღაც ხმები მოდის ეთრასგან: 150
- 'თუკი არ გინდა უარის თქმა, მაშ, ითვალთმაქცი,  
ეს უკეთ ძალგომს, რად იტყვი უარს.  
გაერთე, მაგრამ ფრთხილად იყავ, მენელაოსი



სანამ არ არის; დრო არ გაქვს ბევრი.	
შორს გაემგზავრა უცაბედად საშურ საქმეზე'.	155
უდავოდ ჰქონდა წასვლის მიზეზი,	
მომეჩვენა, რომ ფეხს ითრედა, არ სურდა წასვლა,	
კუთხარი: სწრაფად დაბრუნდი-მეთქი.	
გახარებული მეამბოხა და დამიბარა,	
რომ სახლს მივხედო და ტროელ სტუმარს.	160
ძლივს შევიკავე თავი რომ არ გამღიშებოდა.	
„კეცდები“-მეთქი – ეს კუთხარ მხოლოდ.	
მან აფრა ახსნა და ზურგქართ გასწია კრეტას	
(ეს შენ არ გაძლევს ყველაფრის ნებას).	
მიცავს მეუღლე მე შორიდან, არ გაგივია?	165
ყველგან წედებაო ხელები მეფის.	
ჩემი მშვენება ტვირთად აწევს, რაც უფრო მაქვს,	
მით უფრო შიშობს იგი, ცხადია.	
დიდება ჩემი მომწონს, მაგრამ მამძიმებს კიდეც,	
ცუდი სახელი მქონოდა, ჯობდა.	170
ნუ გიკვირს, თუკი შორს წასულმა დამტოვა შენთან,	
ჩემს ზნეს, ხასიათს ის კარგად იცნობს.	
ჩემი სახის და სილამაზის გამო თუმც შიშობს,	
ენდობა ქცევას, ღირსებას ჩემსას.	
შენ მაიძულებ ვისარგებლოთ ჩემი მეუღლის	175
გულუბრყვილობით, დრო არ დავკარგოთ.	
ცდუნება მიპყრობს, მაგრამ ეშიშობ, მიჭირს მივენდო	
არნაცად გრძნობას, ყოყმანობს გული.	
ქმარი შორს არის ჩემი, შენ კი გძინაეს უცოლოდ,	
მე შენი სახე მხიბლაეს, შენ – ჩემი.	180
გრძელია დამე, საუბრებში იგი ილევა,	
ვაიმე ... შენთან ერთად ... ერთ სახლში.	
გადამიყოლებს ამ ცოდვისგან თავშეკავება,	
რადაცის შიშს ვგრძნობ. მაყოვნებს იგი.	
რატომ არ ძალგიძს დამარწმუნო, ან დამაძალო,	185
ამ ჩემს სიმორცხვეს ძალა თუ დასძლევს.	
უსამართლობის განცდა ზოგჯერ სასარგებლოა,	
გამზადე ძალით მეც ბედნიერი.	
სანამ სუსტია ვნება, მასთან ღირს შებრძოლება.	
ახალ ცეცხლს მცირე წყალიც ჩააქრობს,	190
სანდო არ არის უცხოელი, არც მისი ტრფობა,	
დაუჯერებ და მყის მიგატოვებს.	
მოწმეა ამის ჰიპსიბილე და არიადნაც,	
ორივე, ქმრისგან მიტოვებულნი.	
შენზეც ამბობენ, მოღალატე, რომ არ ინდომე	195
სატრფო ენონე მრავალ წლის შემდეგ.	
შენც აღიარებ. სხვაც ბევრი რამ მსმენია შენზე.	
(გამოვიკითხე, შენ არც კი იცი),	
რომ გსურს ერთგული იყო, მაგრამ არ შეგიძლია,	200
აფრებს უშვებენ ტროელნი უკვე.	
სანამ შენ ჩემთან საუბრობ და ატარებ ღამეს,	

- სამშობლოსაკენ გეძახის ქარი.  
გზას გაუყვები და დატოვებ ახალ სიხარულს,  
ქარს სიყვარული ჩენი გააკვება,  
ან გამოგყვები, როგორც შენ მთხოვ. ენახავ პერგამონს 205  
და ლაომედონტის რძალი გავხდები.  
ფრთოსანი ფამას ჭორები მძულს და არ დაეუშვებ,  
ჩემი შერცხვენა მოსდოს ქვეყანას.  
რას იტყვის სპარტა, აქაველნი, აზიელები,  
ან სხვა ტომები და შენი ტროაც? 210  
როგორ მიმიღებს პრიამოსი და მისი ცოლი,  
შენი ძმები და ტროელი ქალნი?  
თუ იმედოვნებ, რომ ერთგული დავრჩები შენი,  
პირად მაგალითს რომ გაიხსენებ?  
რამდენჯერაც კი უცხო კაცი მოვა ილიონს,  
შისის მიზეზი გახდება შენთვის. 215  
რამდენჯერაც კი წამომძახებ ბრაზით „მეძავო“,  
შენს დანაშაულს არ გაიხსენებ?  
შენვე გამკიცხავ იმ ცოდვისთვის, რაც მაიმულე?  
ნეტავი მიწა გასკდეს ჩემ თვალწინ! 220  
თუმცა დავტკბები სინატიფით, ტროის სიმდიდრით  
და დაპირებულ ძღვენსაც მივიღებ.  
არ მომაკლდება ძოწისფერი მოსასხამები  
და უამრავი მექნება ოქრო.  
გთხოვ მაპატიო, არად მიღირს ეს საჩუქრები, 225  
ჩემს ქვეყანაზე ვარ მიჯაჭვული.  
რომ გამიჭირდეს, რას მიშველის ფრიგიის მიწა,  
ან სად ვიპოვო მამა და ძმები?  
რას არ შეჰპირდა იასონი, ფლიდი მედეას,  
არ გააძევა მისი ქვეყნიდან? 230  
ვერც აიეტთან წავიღოდა მოტყუებული,  
ვერც დელასთან, ვერც – ქალკიოპესთან.  
მე შიში არ მაქვს... არც მედეას არ ეშინოდა  
(მისანსაც ხშირად ატყუებს ბედი).  
ნახე, რა მშვიდი არის ყურე მეზღვაურთათვის,  
ყველა ზომალდმა ზღვას მიაშურა... 235  
ცეცხლი მაშფოთებს, დედა შენმა შენს გარენამდე  
რომ ნახა სიზმრად – შვა ჩირაღდანი.  
ქურუმის სიტყვაც მაგონდება – აგიზგიზდება  
პელაზგურ ცეცხლით ილიონიო. 240  
ეშიშობ, უყვარხარ კითერეას, მან დაამარცხა  
დიდი ქალღმერთი შენი წყალობით.  
შენ თუ ამყობ ამით, ვფიქრობ, გაანაწყენე  
ორი ქალღმერთი მაგ განაჩენით.  
არ ვეჭვობ, შენ თუ გამოგყვები, ატყდება ომი, 245  
მახვილით დაცვა მოგვიწევს ტროფობის.  
თუ კენტავრებთან საბრძოლველად ჰიპოდამიამ  
მოუხბო ომში ჰემონიელებს,  
მენელაოსი, როგორ ფიქრობ, არ აინთება

- რისხვით, ან მამა, ან ძმები ჩემი? 250
- შენს სიქველზე ბევრს იკვებნი, მაგრამ გმირობის  
კვალი სახეზე არსად გეტყობა.
- შენ ტრფობისთვის ხარ გაჩენილი, არა – ომისთვის,  
სხვებმა იბრძოლონ, შენ კი გიყვარდეს.
- შენ ძვირფას პექტორს შენს მაგიერად უბრძანონ ბრძოლა, 255  
შენ ემსახურო უნდა სიყვარულს.
- მეც არ ვიტყვოდი შენზე უარს, რომ მქონდეს ჭკუა  
და სითამამე, დე, სხვისი იყავ.
- იქნებ გავიდე დრო, დავბრძენდე, კდემა დავძლიო,  
გამოგიწოდო ხელი მორჩილად. 260
- განმარტოებით რატომ ცდილობ საუბარს ჩემთან,  
ვიცი, რად მიხმობ სალაპარაკოდ.
- მაგრამ სულსწრაფობ, მოსავლის დრო ჯერ არ დამდგარა,  
ნატვრას აიხდენ სიღინჯით უფრო.
- საკმარისია, დამელალა თითები უკვე. 265  
ვწყვეტ საიდუმლო ბარათის წერას.
- სხვაზე ეთრასთან ვისაუბროთ და კლიმენესთან,  
ჩემს მრჩეველებთან და თანამგზავრებთან.

## შენიშვნები

წერილიდან ჩანს, რომ ელენე ჯერ თავს იკაეებს, გაიზიაროს პარისის სიყვარული, მაგრამ შემდეგ თანახმაა, გაჰყვეს მას გროამი.

64 ელენე ბარბაროსულ მხარეს უწოდებს გროას, რადგან, ჩვეულებრივ, ბერძნები ყველა არაბერძენს ბარბაროსს უწოდებდნენ.

206 ლაუმედონტი, პრიამოსის მამა.

242 ორი ქალღმერთი: ათენა და იუნო.

247 ჰიპოდამიასა და პირითოუსის (პირითოოსის) ქორწილში ლაპითება ამოხოცეს მთერალი კენ-გაერები, რომლებმაც მოინდომეს ჰიპოდამიასა და სხვა ქალების შეურაცხყოფა. თესალიაში (ჰემონიაში) მხოლოდ ბრძენი კენტაური, ქირონი დატოვეს.

249 ძმები: პოლუქსი და კასტორი.

*თარგმნა იამზე გაგუამ*

## მეტამორფოზები

### წიგნი I

#### დეკალიონი და პირა

- ფოკიისი მიჯნავს აონიელთ და აქტეს ყანებს,  
ბარაქიანი მიწა იყო ოდესღაც, მაგრამ
- 315 ეხლა ზღვად იქცა, მოხეთქილმა წყალმა დაფარა.  
ორი მწვერვალი მაღალ მთისა აქ ტატნობს შეცქერს –  
პარნასს უხმობენ მას, აჭარბებს ღრუბლებს სიმაღლით.  
მომცრო ხომალდში მჯდარი ცოლი დეკალიონმა  
აქ მოიყვანა, წყალს მიჰქონდა რადგან ყოველი.
- 320 მთის ღვთაებათა კორიკიელ ნიმფებს შეჰქედრა,  
თემისს, ბედომზილველს, ვინც ამ მხარეს სამისნოს ფლობდა.  
არავინ იყო უმჯობესი დეკალიონზე.

- ვერც ვერვინ პირას აჭარბებდა ღვთისმოშიშობით.  
დაჭაობება ხმელეთისა იუპიტერმა
- 325 და გადარჩენა ერთი კაცის ამდენ ათასში,  
ამდენ ათასში ერთი ქალის ოდეს იხილა,  
უცოდველების და ღმერთების მოთაყვანეთა,  
ნისლნი, ღრუბელნი აკვილონით გაფანტა უმალ  
და ზეცას მიწა დაანახვა, მიწებს – ეთერი.
- 330 არც ზღვას შემორჩა რისხვა; შუბი სამწვერიანი  
განზე გადასდო ზღვისმპყრობელმა; დააშოშმინა  
წყლები და ტრიტონს, მორევიდან რომ ამოყვინთა,  
მხრებნიჟარიანს და ლაჟვარდას უხმო, უბრძანა,  
სული ჩაჰბეროს მქედრ ნიჟარას, ნიშანი მისცეს,  
უკუმოიხმოს დინებები. მანაც აიღო  
ხვრელდაგრეხილი, ძირწვრილი და პირფართო ბუკი,  
რომელსაც ოდეს შუა ზღვაში ჰაერს ჩაჰბერავე,  
თანაბრად აესებს ხმა ორთავე ფეხუსის ნაპირს.
- 340 სველი წვერისგან ნამიანი ტუჩები ახლაც  
როს მიაკარა ღმერთმა, დაჰკრა უკანდახვევის;  
ზღვისა და მიწის დინებებმა ყველამ ისმინა,  
და აილაგმა ამ ხმის მსმენი ტალღა ყოველი.  
მდინარეები დაიწრიტნენ, ბორცვი გამოჩნდა:  
ზღვას ნაპირები დაეტყო და წყალს – კალაპოტი.
- 345 მიწა იწევა, ტალღა იხვეს, გამოჩნდა მშრალი  
და ხანგრძლივ დღეთა შემდგომ ტყეთა კენწეროები  
შიშვლები ჩანან, შეხმობიათ ტალახი ფოთლებს.  
აღდგა სამყარო; მაგრამ ოდეს იხილა იგი  
ღრმა სიჩუმეში ჩაძირული და ცარიელი
- 350 დევკალიონმა ცრემლიანმა მიმართა პირას:  
„დაო, მეუღლე, ერთადერთო ქალო ცოცხლებში,  
რომელიც ჩემთან სარეცელმა, ბიძაშვილობამ,  
ერთმა მოდგმამ და განსაცდელმა დაგაკავე შირა.  
აღმოსავლიდან დასავლამდე სახილველ მიწას
- 355 ორნილა შეერჩით, სხვა ყოველი ზღვებმა მოაშთო.  
ჩვენი სიცოცხლე საიმედო ვერ არის მაინც,  
რადგან ღრუბლები მიშფოთებენ ჯერაც გონებას.  
საბრალოვ, თუკი ბედისწერა გადაგარჩენდა,  
უჩემოდ, მართო, ვით შეძლებდი შიშის ატანას,
- 360 მწუხარებაში ნეტავ ვინლა განუგეშებდა?  
თუ ზღვა დაგნთქავდა, მეც შენსავით, მენდე, მეუღლე,  
ზღვავე დამნთქავდა, უმალ უკან გამოგყვებოდი.  
მამისეული ხელოვნებით შევიძლო ნეტავ  
მიწისგან ხალხის გაცოცხლება, სულის შთაბერვა!
- 365 ახლა მოკვდავთა მოდგმა ორში სულდგმულობს მხოლოდ:  
ცისიერთ ნებავთ, ჩვენდა ვიყოთ სახეზად ხალხთა...“  
თქვა და ატირდნენ; განიზრახეს წმინდა მისნობით,  
ცათა ღმერთების ღაღადებით ეძიონ შველა.  
კეფისოსის წყალს მიეახლნენ, ჯერ კიდევ მღვრიეს,

- 370 მაგრამ ნაცნობი კალაპოტით გადმომჩქეფარეს.  
 ოდეს იპკურეს წყალი თავზე და სამოსელზე,  
 ნაბიჯი წადგეს მათ ღმერთქალის წმინდა ტაძრისკენ,  
 რომელსაც ხავსით სახურავი გათეთრებოდა.  
 უცეცხლოდ იდგნენ იქაური სამსხვერპლოები.
- 375 როს ფეხი შედგეს ტაძრის კიბეს, განერთხნენ თრთოლვით  
 და ეამბორნენ ორთავენი გაყინულ ლოდებს.  
 თქვეს: „თუკი ღმერთნი მოლბებიან ლოცვა-ვედრებით,  
 თუკი მოდრკება ღმერთთა რისხვა, თემისო, მაშინ  
 გვარქვი, ვით ეიხსნათ დაღუპული მოკვდავთა მოდგმა,  
 მეოხეყავი, მოწყალეთ, ჩაძირულ საგანთ“.  
 შემდრეს ღმერთქალი, განჩინებას ამცნობს: „ტაძარი  
 დატოვეთ თავებშებურვილთა, ქამარმოხსნილთა  
 და დიდი დედის გადაყარეთ ძვლები ზურგს უკან“.  
 გახედნენ ერთხანს, დაარღვია ღუმილი პირამ,  
 არ სურს ღმერთქალის განჩინებას დაემორჩილოს.
- 385 მთრთოლვარე ბაგით შეწყნარებას თხოულობს, კრთება –  
 ძვლების გადაყრით დედისეულ ჩრდილს შეურაცხყოფს.  
 იმეორებენ გონებაში იდუმალ სიტყვებს,  
 ბნელითმოცული განჩინების გამო მსჯელობენ;
- 390 და პრომეთიდე ეპიმეთისს ამშვიდებს ნაზად,  
 „ან შეცდომაში შეგვიყვანა გამჭირიახობამ,  
 ან უკანონოდ არას გვიჩრქევს მისნობა ესე.  
 მიწა დიადი მშობელია, ქეები მის ტანზე  
 გადასაყრელად ნაბრძანები ძვლებია ალბათ“.
- 395 აფორიაქდა ტიტანია მეუღლის განსჯით,  
 იმედი ახლავს ახლა ეჭვებს; თუმც განჩინებას  
 არ ენდობიან, დააშაებებს ცლა განა რასმე?  
 თავშებურილნი მოშვებული ტუნიკით დგანან,  
 ბრძანებისამებრ გადაყარეს ზურგს უკან ქეები.
- 400 ვინ დაიჯერებს, სიმკველე რომ არ იყოს მოწმედ?  
 მაგარმაგარმა ძვლებმა დათმეს ძველი სიმკერივე,  
 თანდათანობით გარდისახნენ დარბილებულნი.  
 როს გაიზარდნენ, წილად ერგოთ რბილი ბუნება,  
 კაცის სახებას შეამჩნევდით, თუმცა ბუნდოვნად,
- 405 როგორც დაწყებულ ნაქანდაკარს მარმარილოსას,  
 მოუშთავრებელს ჯერ ნახელავს და მოუხეშავს.  
 ნაწილი ქვათა, რაც ტენისგან იყო სოველი  
 და მიწიანი, შესაქმნელად მოხმარდა სხეულს;  
 მოუდრეკელი და მტკიცე კი – ძვლებად გარდიქმნა;
- 410 რაც ძარღვი იყო, ძარღვად დარჩა უწინდებურად.  
 და მოკლე ხანში ცისიერთა ნებით ლოდები  
 კაცის ხელიდან გატყორცნილნი კაცად მოიქცნენ  
 და გარდისახნენ ქალად ქალის ნასროლი ქეები.  
 უდრეკელი ვართ ამიტომაც, ჭირთა დამთმენნი –
- 415 ჩვენვე ვამტკიცებთ, თუ როგორმა საწყისმა გეშობა.

- პირველად ფებუსს შეუყვარდა პენესის დაუნე  
 არა შემთხვევით – კუპიდონის რისხვამ უწია.  
 გველისმძლეველმა დელოსელმა როს თვალი ჰკიდა.
- 455 ვითარ მოზიდა იმან მშვილდი, მედიდურობით  
 უთხრა: „რას აქნევ ცელქო ბიჭო მამაცთ იარაღს?  
 ეგეთი ტვირთი ამ ჩვენს მკლავებს შეჰფერის მხოლოდ,  
 მხოლოდ ჩვენ ძალგვიძს მომხედურთა და მხეცთა დაკოდვა.
- 460 ურიცხვი ისრით სულ ეხლახანს მოვსპეთ პითონი,  
 ვინც მსხვილი ფაშვით აწეებოდა ბეერ იუგერუმს,  
 ისიც იკმარე, რომ ალაგზნებ შენი ჩირაღდნით  
 რაღაც სიყვარულს, ჩვენს დიდებას რაღას იჩემებ!“  
 „განგმირე ყველა“. – შეესიტყვა ენ-უსის ვაჟი. –
- 465 „ჩემი მშვილდი კი შენ დაგკოდავს, ფებუს, იცოდე  
 ვით ღმერთთან მხეცთა, თქვენი ძალაც ვერ მოვა ჩვენთან“.  
 უთხრა და მარდმა ფრთების დარტყმით გააპო სივრცე,  
 პარნასს აიჭრა, მის დაბურულ მწვერვალზე შედგა  
 და კაპარჭიდან ამოიღო ისარი ორი:
- 470 ერთი დევნის და მეორე კი – ალაგზნებს ტრფობას.  
 რაიც ალაგზნებს, ოქროსი აქვს მახვილი წვერი;  
 ბლაგვია, ლერწამტყვიანი – რაიცა დევნის.  
 პენესის ნიშნას სტყორცნა ერთი ისარი ღმერთმა,  
 ხოლო მეორით – აპოლონის გული განგმირა.
- 475 ერთს შეუყვარდა, მეორე კი სატრფოს სახელის  
 სმენასაც უფთრხის; გაუთხოვარ ფებუს მეტოქეს  
 მხეცთა ტყავები, ტყის ჩრდილები ახალისებდა  
 და აწეწილ თმებს თავსაფარით იკრავდა ნიშნა.  
 ბევრი ეტრფოდა მას, თუმცადა ელტვოდა მთხოვნელთ,  
 კაცთა მგმობელი უსიერ ტყევს ეფარებოდა:
- 480 ვინ ჰიმენე და ვინ ამური, ან ქორწინება...  
 ხშირად ეტყოდა მამა: „შვილო, სიძე შემფერის“.  
 ეტყოდა: „შვილო, შვილიშვილებს დამანატრულე“.  
 ქალს საქორწინო ჩირაღდნები ჭირივით სძულდა,  
 ლამაზ პირსახეს კდემის ალი მოედებოდა
- 485 და მამის კისერს შემოხვევდა ალერსით მკლავებს;  
 ეუბნებოდა: „მომეც ნება, მამავ, ძვირფასო,  
 ქალწული დავრჩე; ხომ დათანხმდა დიანას მამა“.  
 დაიყოლია, მაგრამ სურვილს თანხვდება განა  
 შენი ლაზათი, თავად სახე გითრგუნავს აღთქმას.
- 490 ფებუსი ეტრფის, დაუნე ნახა, შერთვა სწადია,  
 რადგან სწადია, იმედოვნებს; უმტყუნა ზრახვამ.  
 როგორც მსუბუქი ღერო იწვის თავთავგაცლილი,  
 როგორც ალდება ღობე, ოდეს მგზავრი ჩირაღდანს  
 მიუახლოვებს, ან დატოვებს დილის ბინდბუნდში,
- 495 ღმერთსაც ამგვარად შემოენთო აღმური; გული  
 ასევე ეწვის, ფუჭ სიყვარულს იმედით კვებავს.

ყელზე ჩამოშლილ აწეწილ თმას შეავლო თვალი,  
 თქვა: „დავარცხნილი რა იქნება?“ მოთინათინე  
 მნათობთა სადარ თვალთა უჭვრეტს, ტუნებსაც ხედავს,  
 500 რომელთა ცქერით ვერ გაძღები; აქებს თითებსაც,  
 ხელსაც, მკლავებსაც, უფრორიგად იდაყვებს შიშველს:  
 „რაც დაუფარავს, უკეთესი იქნება“, ფიქრობს.  
 ქარზე უსწრაფეს ელტვის ქალი, არ ისმენს ძახილს:  
 „პენევსის ნიმფავ, გთხოვ, დაიცა, სამტროდ არ მოგდევ;  
 505 ნიმფავ, დაიცა, მეელს ბატკანი, ირმები ლომებს,  
 ფრეთბმოცახტახე მტრედი არწივს გაურბის ასე;  
 მტრებს გაურბიან, მე კი ტრფობით გამოგედევნე-  
 ეაიმე, ფრთხილად, არ დაეცე, არა მოგწიო,  
 არ დაიკაწრო ჯაგნარებში ნაზი წვივები;  
 510 ღრანტეს ადგეხარ, შეანელე შენი სირბილი,  
 თაედაც უკან უფრო ნელა დაგედევნები.  
 გაიგე მაინც, ვის მოსწონხარ; არ ვარ მთიული,  
 არც ვინმე მწყემსი, ბანჯგვლიანი, იმ ადგილებში  
 საქონლისათვის მიჩენილი; თაეკარიანო,  
 515 არ უწყვი, არა, ვის გაურბი; დელფოსის მიწას,  
 კლაროსს, ტენედოსს და პატარის სასახლეს ემართავ,  
 იუპიტერმა მშობა. ეუწყვი, რაიც იქნება,  
 იყო და არის; მე ვუთანხმებ სიძღერებს სიმთა;  
 დაუცდენელი ისრები მაქვს, მაგრამ იმათზე  
 520 დაუცდენელმა ცარიელი გული გამიბო;  
 აღმოვაჩინე მედიცინა, მთელს სამყაროზე  
 მკურნალად მცნობენ და ბალახნი მემონებიან,  
 მაგრამ ვაგლახ, რომ ბალახები ვერ წამლობს ტრფობას,  
 უფალს ვერა რგებს ყოვლის მარგი ხელოვანება“.  
 525 შეშინებული გარბის უფრო პენევსის ქალი,  
 და ღმერთს საკუთარ, ამოუთქმელ სიტყვებთან ტოკებს;  
 წარმტაცი იყო ნიმფა – ქარმა გადაუშიშვლა  
 სხეული, სიომ სამოსელი აუფრიალა,  
 უკან უყრიდა თმებს მსუბუქი ნიავის ქროლა;  
 530 სირბილი უფრო ამშვენებდა, ალერსის ფანტვას  
 ველარ გაუძლო ახალგაზრდა ღმერთმა, რამეთუ  
 გახელებული იყო ტრფობით, ნაბიჯს უმატა.  
 ვით გალიური ძაღლი კურდღელს შეამჩნევს მინდვრად,  
 ძაღლი ნადავლს და კურდღელი კი – ხსნას ეძებს ფეხში;  
 535 ძაღლმა მოავლო თითქოს კბილი, იმედი ახლავს  
 და ნაფეხურებს გაშეერილი დრუნჩით ეხება,  
 კურდღელი ეჭვობს, დაიჭირეს თუ არა, გარბის,  
 ელტვის ნაკბენებს, ჩაელებული დრუნჩიდან სხლტება,  
 ღმერთიც ამგვარი რწმენით ჩქარობს, ქალწული – შიშით.  
 540 რადგანაც მღევარს სიყვარულმა შეასხა ფრთები,  
 სწრაფია უფრო, არ ისვენებს, ზურგს უკან მოსდევს  
 და უკვე სუნთქავს მის კისერზე ჩამოშლილ თმებში.  
 გაფითრდა ქალი, ქანცვაცლილი, დაღალა სრბოლამ  
 და როს პენევსის ტალღებს თვალი ჰკიდა, აღმოხდა:

- 545 „ღამიხსენ, მამავ, თუ რამ ძალა გაქვთ მდინარეთა  
547 სახე მიცვალეთ, მეტისმეტად რომ მოეწონა“.  
წართქვა ვედრება და სახსრებიც გახვედნენ უმაღლესს,  
და თხელმა ქერქმა დაუფარა რბილი გულმკერდი.
- 550 თმები – ფოთლებად, მკლავნი ტოტად გარდაისახნენ;  
მარდი ფეხები ზანტ ფესვებად ჩამოეკიდა;  
სახე კენწერომ შეუბურა – შნო შერჩა მხოლოდ.  
ამგვარიც უყვარს ფეხუსს, მკლავი მოაჭდო ტანზე,  
ნორჩი ქერქის ქვეშ გულის ფეთქვას შეიგრძნობს ჯერაც;
- 555 ვითარცა სხეულს, შემოხვია მკლავები ტოტებს,  
ეამბორება, მაგრამ კოცნას გაურბის შეშა...  
„რადგან არ ძალგიძს, ეტყვიის ღმერთი, ჩემი ცოლობა,  
შენ ხე იქნები ჩემი, შენით შევიმკობ მუდამ  
ღლიდან თმებსაც, კითარასაც, კაპარჭსაც, დაფნე;
- 560 თან ეახლები ლატიუმის ბელადთა, ოდეს  
ჭკვრეტად მოუხმობს ტრიუმფის ხმა კაპიტოლიუმს;  
ერთგულ დარაჯად აგვუსტუსის წირთხლზე წარდგები  
და უდარაჯებ შუაგულში ამოსულ მუხას.  
ვით ჭაბუკური მე მაქვს თავი, თმებ შეუკვეცი,  
565 შენც სამკაული ფოთლებისა ატარე მუდამ“.  
ბრძანა პენამა, დაეთანხმა ტოტებით დაფნე,  
თავის კენწერო მან თავივით გადააქნია.

### წიგნი III

#### ნარცისი. ექო

- 340 მთელს აონიის ქალაქებში სახელგანთქმული  
ამიერიდან ხალხს უზადო წინთქმას აძლევდა.  
პირველად ძალა მისნობისა შეიტყო მისგან  
ლაქეარდოვანმა ლირიოპემ, ვინც კეფისოსმა  
თავის ტალღებში ჩაითრია და მომწყვდეული  
ღამიორჩილა. ყრმა დაბადა წარმტაცმა ნიმფამ,
- 345 მჭკვრეტელთა მისთა იმთავითვე რომ აღაგზნებდა.  
ნარცისი მისცა მას სახელად. როს ჰკითხეს მასზე,  
თუ მიითვლისო მოხუცობის მრავალ წელიწადს,  
წართქვა მისანმა: „თუ სახება არ ნახა თვისი“.  
ღიდხანს ეგონათ, ფუჭიარ მისნობა ესე,
- 350 მაგრამ სიახლემ სიშმაგისა, სიკვდილის გვარმა  
ცხადყო, შესრულდა კეფისიუს როს თექვსმეტისა,  
მას სიყმაწვილევ ეთქმოდა და ყმაწვილკაცობაც,  
მრავლად მოხიბლა ჭაბუკთა და ქალწულთა გული,  
მაგრამ სინაზეს სიზვიადე ახლდა ისეთი,
- 355 რომ არც ჭაბუკებს, არც ქალწულთა არ იკარებდა.  
მახეს უკებდა ოდეს ირმებს, იხილა იგი  
წკრიალა ნიმფა ექომ, ვინაც ვერას მოგაგებს,  
ოდენ არეკვლა შეუძლია ყველა ხმაურთა.  
სხეულიც ჰქონდა ხმასთან ერთად იმხანად ექოს,  
360 ყბედს სასაუბროდ ენა ისე უჭრიდა ოლონდ –



მრავალ სიტყვათგან მხოლოდ ბოლოს იმეორებდა.  
 იუნოსაგან დაისაჯა, რადგანაც მუდამ  
 მთაზე ნიმფებში მონებივრე იუპიტერთან  
 მიმავალ ქალღმერთს აყოვნებდა გრძელი ყბედობით,  
 365 ხოლო ნიმფები თავს შველოდნენ ამასობაში.  
 ოდეს მიუხვდა სატურნია, წართქვა: „მაცდური  
 ემაგ სიტყვები და ეგ ენაც დაგიმოკლდება!“  
 მუქარას საქმეც მოაყოლა. მას აქეთ ნიმფა  
 370 ხმებს აორმაგებს და გაგონილს აბრუნებს სიტყვებს.  
 ჰოდა, როს თვალი ჰკიდა ნარცისს უდაბურ ველზე,  
 უმალ აღენტო და ქურდულად გამოედევნა.  
 რაც უფრო მისდევს, უფრო მეტად ედება ალი,  
 ზუსტად ისევე, როგორც გოგირდს ცეცხლის ენები,  
 ჩირაღდნის წვერზე მოსხმულს. უცებ შემოენტობა.  
 375 რამდენჯერ სურდა მიახლება ტკბილი სიტყვებით:  
 ნაზ მუდარასაც შეასმენდა! მაგრამ ბუნება  
 წინ აღდგომია, არ ანებებს სიტყვის დაწყებას.  
 ბგერებსლა ძალუძს დაელოდოს, მიუგოს მათზე.  
 ერთგულ თანხმლებთა გუნდს შესძახა შემთხვევით ბიჭმა:  
 380 „ვინა ხართ აქა?“ – „აქა“, გასცა ექომ პასუხი.  
 განცვიფრდა, მზერა იქით-აქეთ მიაველ-მოავლო:  
 „მოდი“ – მოუხმო და ნიმფამაც მოუხმო მხმობელს.  
 ისევ მობრუნდა, ვერვინ ნახა. „რატომ გამირბი?“  
 თქვა და უკანვე დაუბრუნდა სიტყვები ყველა.  
 385 შედგა ჭაბუკი, მოატყუა ხმათა გნიასმა,  
 „აქ შეეხვდეთ“ – წართქვა. ვერც ერთ ბგერას უფრო საამოდ  
 ვერ გამოსცემდა – „შეეხვდეთ“, – იყო ექოს პასუხიც.  
 მისსავე სიტყვებმა გაახარა: ტყიდან გამოდის,  
 390 სურს, რომ მკლავები შემოაჭდოს სანუკეარ ყელზე.  
 მოხვეულ მკლავებს გამოუსხლტა სირბილით ბიჭი,  
 წართქვა: „უწინამც დღე გამიქრეს, ვიდრე გერგები“.  
 „ვიდრე გერგები“. უპასუხა მხოლოდლა ნიმფამ,  
 ტყეს შეერია ზელნაკრავი, სახეს ალანძულს  
 ფოთლებში მალავს. დაემკვიდრა მღვიმეს მას მერე.  
 395 მაინც შემორჩა სიყვარული; დაწუნებისგან  
 იურვის, სხეულს უძილობა უსუსტებს ბედკრულს,  
 კანი დაუჭკნა, გამოსული სხეულით წვენი  
 ჰაერში ჟონავს – ხმალა შერჩა და ძელები. ბოლოს  
 ძელებიც გაქვავდა, ხმა დაშთაო უწინდებური.  
 400 ტყეს შეეყუჟა, აღარასდროს არ ჩნდება მთებზე;  
 ყველას აგონებს, ხმაა მხოლოდ, რაც ცოცხლობს მასში.  
 კიდევ მრავალი ტალღათა თუ მთათა ნიმფები  
 უკუუგდია, ვითარ უწინ კრებული კაცთა.  
 დაწუნებულმა ერთმა ეთერს აღაპყრო ხელი,  
 405 წართქვა: „ასევე შეიტრფოს და ვერ მიწედეს სატრფოს!“  
 ღალადს მართებულს დაეთანხმა მყის რამნუსია.  
 მოკამკამებდა ნაკადული ვერცხლისფერტალღა,  
 არ ეხებოდნენ მას მწყემსები, არც ჯოგი რამე.

- 410 არც თბა, საძოვრად გამოსული და არც ფრთოსანი,  
 არცა ნადირი არ ამღვრევედა, არც ტოტი ხისა.  
 ბალახი ვერტყა გარეშემო ტენით მკეპბავი,  
 ტყე რაიმეთუ უსიერი ჩრდილავდა მზისგან.  
 აქ წამოგორდა ხეატისა და ნადირობისგან  
 დაღლილი ბიჭი, მიიზიდა წყარო-მიდამომ.
- 415 და ვიდრე წყურვილს მოიკლავდა, სხვა რამ მოსწყურდა:  
 წყლის დაღვივისა დაატყვევა მისსავ მშვენებამ,  
 ჩრდილს უსხეულოს, არსხეულქმნილ ოცნებას ეტრფის.  
 თავი ანციფრებს თავისივე, გახევებული  
 დახრილა, ვითარ მარმარილოს ქვა პაროსისა.
- 420 მიწას გაკრული მნათობების მსგავს თვალთა ჩაცქერს  
 ბახუსისა და აპოლონის სადარ კულულებს,  
 დაწვთა სინორჩეს, ყელს სპილოსძეღის, წარმტაც სახეებას,  
 ვარდისფერობას თეთრთოვლობის ქათქათაში შერთულს.  
 და ყოველგვარი საოცარი აოცებს თვისი.
- 425 თვისი თავი სურს გადარეულს: აქებს ნაქები,  
 საწადელია და სწადია, სწევას და იწეება.  
 მაცდურ ნაკადულს ზედ დაადნა რამდენჯერ კოცნით!  
 რამდენჯერ კისრის შემოჭდობას ეცადა, წყალში  
 ხელები ჩაპყო, მაგრამ თავი ვერ დაიჭირა!
- 430 რას სჭვრეტს, არ უწყის, მაგრამ საჭვრეტს გადაუწყვია,  
 იგივე ახელებს, რა საცდურიც აცდუნებს თვალთა.  
 ფუჭად რად მისდევ, გულუბრყვილოვ, გაქცეულ ლანდებს?  
 რასაც მიელტვი, არსად არის; დათმე და ტრფობაც,  
 ეგ არეკილი სახის ჩრდილიც უმალ დაცხრება.
- 435 თავისთავადი არარა აქვს, შენ გახლავს მხოლოდ:  
 თუ განერიდე, შენთან ერთად ისიც გაქრება.  
 მაგრამ ვერც ძილის, ვერც ჭამადის სურვილმა ადგილს  
 ვერ ააგლიჯა; განრთხმულია მრუმე ბალახზე  
 გაუმაძღარი მზერით სახეს ჩაცქერის მაცდურს.
- 440 თვალები ღუპავს საკუთარი. წამოიწია,  
 გარს შემომდგარი ტყეებისკენ აღმართა ხელი,  
 წართქვა: „ტყეებო, ნუთუ ვინმე ეგოდენ მწარედ  
 შეყვარებულა? თქვენ ხომ უწყით, რამეთუ ბევრჯერ  
 მარჯვე საფარად გახდომიხართ შეყვარებულთა.
- 445 დამტკნარა ვინმე ნუთუ ასე, რაც თავი გახსოვთ?  
 მესათნობა; ჩავცქერ, მაგრამ რასაც ვჭვრეტ, მომწონს,  
 ვერ მიმიღია ვერარა გზით; ვეცდუნე მეტრფე.  
 რათა ვეწამო უფრორიგად, არც ზღვა გვაშორებს,  
 არც გზა, არც მთები, არც ზღუდენი საგდულდახშულნი;
- 450 წყალი გვაბრკოლებს პაწაწინა; სურს, რომ დამნებდეს,  
 რამეთუ ოდეს საკოცნელად წყლისკენ ვიწვევი,  
 ისიც ქვემოდან მოისწრაფის ჩემსკენ ტუჩებით.  
 აჰა, გგონია, შეეხები, არა გაბრკოლებს,  
 ამოდი, ვინ ხარ! რას მაცდუნებ წარმტაცო ბიჭო,
- 455 საით მიდიხარ, სასურველო? რით ვერ მოგხიბლევ.  
 რად გამირბიხარ, მე ხომ თავად ნიმფებს ეუყვარდი.

რა ვიცი, თითქოს სათნო სახე იმედს მინერგავს:  
 ოდეს გავიწვდენ შენსკენ მკლავებს, იგივეს სჩადი,  
 ვილიმი ოდეს, შენც მილიმი, მტირალმა ხშირად  
 460 ცრემლიც შეგნიშნე. ხშირად თავსაც დამიკრავ ხოლმე:  
 და როგორც ვხვდები, როს მშვენიერ ბაგეს გადახსნი.  
 სიტყვას მომაგებ. რაც ვერ აღწევს ჩემს ყურთასმენას...  
 ეს მე ვარ! ვიგრძენ. ვერ მაცდუნებს ჩემი სახება.  
 ჩემი ტრფობითვე ვიწვი. უნთებ და ვითმენ აღმურს.  
 465 რა ექნა, მთხოვოს, თუ თავად ვთხოვო, რა ვთხოვო განა?  
 მე მაქვს, რაც მინდა – სვიანობამ გამაღატაკა.  
 ნეტავ შემძლოს, განვერიდო საკუთარ სხეულს!  
 მსურდეს სხვა სატრფო, სხვა, რომელიც მე არ მებახვის!..  
 ძალი მერთმევა ურვაპყრობილს, არ მიწერია  
 470 დიდხანს სიცოცხლე. ვიღუპები საესეებით ნორჩი.  
 სიკვდილს არ ეუკრთი, მწუხარებას ჩამომაცილებს.  
 ვინც შევიყვარე, მსურს დღეგრძელი დაეტოვო ქვეყნად,  
 მაგრამ ერთ სულად ჩახლართულნი ვქრებით ერთად“.  
 წართქვა და ისევე მიუბრუნდა სახეს უგონოდ.  
 475 წყალში ცრემლები ჩააპკურა და წყლის ტალღებმა  
 წარხოცა სახე. როს იხილა მისი გაქრობა.  
 „ნუთუ გამირბი“?! – დაუყვირა. – „დარჩი უწყალო.  
 ნუ მიმატოვებ შეყვარებულს. მაყურებინე  
 რასაც ვერ ვწვდები. საზრდო მიეც სიშმაგეს ჩემსას!“  
 480 შემოიგლიჯა ტანსაცმელი მწუხარებისგან  
 და მარმარილოს ხელისგულებს მკერდში იცემდა.  
 დარტყმით იმგვარად შეეფაკლა შიშველი მკერდი,  
 როგორც ვაშლს, რომლის ცალი ლოყა ისევე თთურია,  
 ხოლო მეორე – იბრაწება. ან როგორც ყურძენს,  
 485 ჯერაც უმწიფარს შეერევა სიწითლე ერთგან.  
 როს თვალი ჰკიდა ამას ისევე მჭვირვალ ტალღებში,  
 მეტის დათმენა ველარ შეძლო: ისევე დადნა;  
 ისე დასუსტდა ტრფობისაგან, ვით თრთვილი მზეზე,  
 როგორც სანთელი მსუბუქ ალზე. იღუმალ ცეცხლში  
 490 თანდათანობით მიიფერფლა მისი სხეული.  
 არც ვარდისფრობა, თეთრთოვლობის ქათქათს შერთული,  
 არც სიჩაუქქე მომხიბვლელი, არც ძალი შერჩა,  
 აღარც ის ტანი, უწინ ექომ რომ შეიყვარა.  
 როს ნახა ექომ, თუმცა ბრაზი ახსოვდა ძველი,  
 495 მაინც შეწუხდა და რაგზისაც წარსცდება ბედშავს,  
 „ვაი!“ იმდენგზის იმეორებს „ვაი“-ს პასუხად.  
 და როს იცემდა გახელებით გულმკერდში ხელებს,  
 იგივე დარტყმებს არეკლავდა ბგერებით ნიშფა.  
 წყალზე გადახრილს სიტყვა წარსცდა უკანასკნელი:  
 500 „ამოდი ბიჭო!“ დაუბრუნდა უკან სიტყვები.  
 „მშვიდობით“, თქვა და „მშვიდობითო“, მიუგო ექომ.  
 ბიჭმა დაუშვა დაქანცული თავი ბალახზე,  
 მილულა თვალნი, სიღამაზით გაოცებულნი.  
 და მიწისქვეშა საბრძანებელს როს ჩაესვენა,

- 505 იმზირებოდა სტიქის წყლებში. ნაიაღები,  
 დები მოთქვამდნენ, შეიკვეცეს გლოვისგან თმები;  
 და დრიაღებიც აქვითინდნენ, ხმა მისცა ექომ.  
 საკაცე, ცეცხლი, ჩირაღდნები როს განამზადეს,  
 ვერ ნახეს გვაში. იმის ნაცვლად ოქროფერილი  
 510 ქათქათა ფურცლად გაფურჩქენილი ყვაავილი დახვდათ.

## წიგნი VI

### არაქნე

- ამგვარ მონათბრობს ტრიტონია ყურს მიაპყრობდა,  
 აქო აონიდთ სიმღერაც და რისხეაც მართალი,  
 გულში გაივლო: „მე რომ ვაქებ, მსურს, მეც შემაქონ,  
 მეც ხომ ვერ ვიტან დაუსჯელად შეურაცხყოფას“.  
 5 და წარმოუდგა მეონიელ არაქნეს ბედი,  
 ვიზეც შეიტყო, ხელსაქმეში მეჯიბრებაო.  
 ხელოვანებით მხოლოდ, არა გვარიშვილობით  
 ბრწყინავდა ქალი. მამა, იდმონ კოლოფონელი  
 ფოკისურ წითელ საღებავში ძაფს უღებავდა.  
 10 დედაც პლებსიდან ჰყავდა, მალე გარდაეცვალა.  
 თავად არაქნემ სიბეჯითით, გულმოდგინებით  
 ლიდიის ქალაქთ დაიმკვიდრა დიდი სახელი,  
 თუმცა ჰიპეპის ერთ პატარა ქოხმანში იშვა.  
 ხშირად მორბოდნენ პაქტოლიდი ნიმფები მასთან,  
 15 რომ დამტკბარიყვნენ საოცარი ხელსაქმის ცქერით.  
 ხშირად ღვინოუხვ ტიმოლუსსაც თმობდნენ ნიმფები.  
 მხოლოდ სრულქმნილი ნახელავით როდი ტკებებოდნენ,  
 ქსოვაც ხიბლავდათ. დიდი იყო ხელოვანება,  
 20 ოდეს უხვმ მატყლს ხევეა-ხვევით გორგლად აქცევდა,  
 ან თითს ახლებდა, დაართავდა, დაარბილებდა,  
 დამსგავსებდა უფაფუკეს ღრუბელთა ქულას,  
 ან მრგვალ თითისტარს აბრუნებდა მოქნილი ცერით,  
 ანდა ქარგავდა, ჩანდა, პალასს ესწავლებინა.  
 თუმცა წყრებოდა, უარყოფდა მის შვიგირდობას:  
 25 შემეჯიბროსო, თუ წავაგე, რა მაქვს სათქმელი.  
 პალას გარდიქცა დედაბერად და საფეთქლებზე  
 ყალბი ჭადარა გაირია, ჯოხზე დაეყრდნო,  
 ეტყვის: „სიბერეს ყოველივე როდი აქვს ცუდი.  
 გამოცდილება წელთა სრბოლის ნამუშაია.  
 30 ჩემს შეგონებას ნუ უარყოფ. მოკვდავთა შორის  
 აღმატებული ხელსაქმობით თუმც სახელს ეტრფი,  
 დაუთმე ღმერთქალს, უგუნურო, მკრეხელობისთვის  
 მომიტყევე-თქო, მავედრებელს შეგინდობს იგი“.  
 არაქნემ ქვეშქვეშ ამოხედა, შეწყვიტა ქსოვა,  
 35 ძლივს შეიკავა ხელი, სახეს რისხვა მოედო,  
 გადაცმულ პალასს ამდაგვარი სიტყვა აკადრა:  
 „ჭკუადარიბო ბებრუცანავ, რისთვის მოსულხარ?  
 დიდხანს სიცოცხლეს უწყენია. ეგ შეგონება

- წადი. ასმინე შენს ქალიშვილს, ანდა რძალს შენსას.  
40 მე შენი ჭკუა არ მჭირდება, ჩემიც ბევრი მაქვს  
და არ გეგონოს, შენს გონებას დავემორჩილო.  
თვით რად არ მოვა? შეჯიბრისა რად ეშინია?”  
მაშინ ღმერთქალმა, მოვედიო, თქვა, გარდისახა  
ისევ პალასად. თაყვანი სცეს უფალს ნიმფებმა,  
45 მიგდონიელმა პატარძლებმაც. არ კრთის ქალწული,  
მაგრამ სახეზე უნებლიეთ დაჰკრა სიწითლემ,  
ისევ გაუქრა: ვითარ ჰაერს, აბრიალებულს  
მეწამულფერად, როს პირველად ხედება ავრორა  
და მცირე ხანში მზის ამოსულა კვლავ გაათეთრებს.  
50 მაინც არ ცხრება, უბედობას ესწრაფვის თვისას.  
იუპიტერის ქალიშვილი არ ეურჩება,  
ალარც არიგებს, შეჯიბრებაც არ დაახანა.  
მალე ერთავე გაიმიჯნა, პირისპირ დადგნენ  
და ორ დაზგაზე სიფრიფანა ქსელი დაჭიმეს.  
55 ღერძზე ძაფები მიამაგრეს. დაჭიმულ ძაფებს  
შუა ძელი ჰყოფს, მისაქსელი ჩადეს მაქოში.  
თითებით ძაფი გამოართეს და საჩეჩელის  
კბილთა ნაჭდევი დარტყმით ქსოვილს ქსელავს თანდათან.  
ორთავე ჩქარობს, აუკეცავთ მკერდამდე კაბა,  
60 დაღლას ვერ გრძნობენ, იხმარებენ გაწაფულ თითებს.  
ტვიროსულ სპილენძს შერეული ჩნდა მეწამული,  
ძლივსდა ატყვია ქსოვილს მქრქალი ჩრდილის შეფენა.  
ვითარცა ცარგვალს ნაწვიმარზე, მზედასხივებულს  
ააფერადებს ცისარტყელას გრძელი რკალები;  
65 თუმცა ციალებს ათასგვარი სხედასხვა ფერი,  
თვალს მაინც უჭირს მათში ფერთა განცალკევება;  
აქაც, ქსოვილშიც უკიდურეს ფერს არჩევ მხოლოდ.  
ფაფუკ ძაფებზე გადმოღვრილა ოქროს ციალი,  
ძველი ამბები ქსოვილებზე გამოუსახავთ.  
70 ქარგავს პალასი მარსის მადლობს კეეროპისი ბურჯზე  
და ამ ადგილის სახელისთვის ატეხილ დავას;  
თორმეტ ცისიერს – მაღალ სკამზე, ხოლო მათ შუა –  
უფლებამორჭმულ იუპიტერს. ყოველ ღვთაებას  
სახე აქვს თვისი: იუპიტერს – მეფური მზერა,  
75 ზღვათა ღმერთს კლდისთვის ჩაუცია გრძელი სამკბილი  
და გაპობილი ნაპრალიდან ზღვა ამომსკდარა.  
ამ საწინდართ სწადს, რომ ადგილს მისცეს სახელი.  
თავისი თავიც გამოსახა ფართი და შუბით,  
გულმკერდს ეგისი აიფარა, თავს – მუზარადი.  
80 თავისი შუბით განგმირული მიწაც დაქარგა  
და რუხნაყოფა ზეთისხილიც, გაცდნენ ღმერთნი.  
ჰა, სამუშაოს დასასრული გამარჯვებაა.  
რათა არაქნე თვალხილულად დარწმუნდეს მარცხში,  
იგრძნოს, რა ელის ეგოდენი თავხედობისთვის.  
85 ელვარ ფერებში შეჯიბრება მოქარგა ოთხი.  
თუმც პატარაა სურათები, მაინც გაარკვეე:

- ერთგან როდოპე თრაკიელი და ჰემუსს ჩანან  
 ეხლა მყინვარნი, ოდესღაც კი მოკვდავთ სხეულნი,  
 ვინაც დაირქვეს სახელები უმაღლეს ღმერთთა.
- 90 აქ პიგმეების დედაუფლის ჩნდა ბედ შავობა.  
 მას, დამცირებულს იუნოსთან შეჯიბრებაში,  
 წეროქმნილს უნდა თვისტომებთან ჰქონოდა ომი.  
 და ანტიგონეც გამოსახა, ვინაც გაბედა  
 იუპიტერის მეუღლესთან გააუქრება.
- 95 იუნომ ფრთოსნად გარდასახა, ვერა უშეელეს  
 ვერც ილიონმა, ვერცა მამა ლაომედონმა,  
 რომე ყარყატად არ ქმნილიყო თავის ქებისგან.  
 ერთ-ერთ კუთხეში კინირასი დაობლებული  
 ტაძრის კიბეებს, ქალიშვილებს ზე დამზობია
- 100 და შვილთა ტანებს, ქვებს ცრემლებით იხუტებს გულში.  
 მშვიდობიანი ზეთისხილი მოავლო ქსოვილს –  
 ჩვეულებრივად საქმეს თავის ხით აგვირგვინებს.  
 ბეონიელმა ეეროპე და ხარი მოქარგა.  
 ნამდვილიაო, იფიქრებდით ზღვაცა და ხარიც.
- 105 ქალი თითქოსდა მიტოვებულ მიწებს გასცქერის,  
 თანმხლებთ მოუხმობს, დაუფრთხია ბობოქარ ტალღებს,  
 შეშინებული ზღვის ზათქისგან, ფეხებს იკეცავს,  
 არწივს შებმული ასტერიეც იქვე მოქარგა,  
 ლედაც, გედის ფრთით დაფარული. ამას დაურთო
- 110 იუპიტერმა შეფარულმა სატირის სახეს,  
 ვითარ აავსო ნიქტიისი ორი ნაყოფით.  
 ამფიტრიონად მოგველინა შენ, ტირინთია,  
 დანაეს – ოქროდ, ასოპისი ცეცხლით მოხიბლა;  
 მწყემსად ეჩვენა მნემოსინეს, გველად – დეიოსს.
- 115 შენ, ნებტუნუსო, დახატულო მძვინვარე ხარად,  
 ეოლუსის ქალს მოგათავსა, ენიპეცქმნილი  
 ბადებ ალოიდთ; ბასალტისი ეერმმა მოხიბლე;  
 შენ, უნაზესო, ყვითელთმება თათავთა დედა  
 ცხენმა შეგიგრძნო, ფრთოსანმა კი – ფრთოსანი რაშის
- 120 გველთმება დედა; მელანთოსთან დელფინად იქვეც.  
 ზუსტად დაქარგა სახეებიც და ხელიც ყველა.  
 ერთგან ფებუსი გამოსახა, ვითარ სოფლელი,  
 ხან ფრთებს ქორისას, ხან ლომის ტყავს რომ ატარებდა;  
 მაკარეისი ვით მოხიბლა ვითომდა მწყემსმა;
- 125 ლიბერმა ყურმნით ერიგონე ვითარ აცდუნა;  
 სატურნუს – ცხენმა ვით დაბადა ორსახა ქირონ.  
 ქსოვილის კიდეს დაუყოლა წვრილი არშია,  
 მასში ხავსის და ყვავილების კონა ჩააწნა.  
 არც შურს ძალუძდა და არც პალასს მისი გაკიცხვა!
- 130 ქერა ქალწული დაამწუხრა ამ წარმატებამ;  
 ღმერთთ ბრალდებებით მოქარგული ქსელი გაგლიჯა,  
 იდმონის ასულს შუბლში ჩასცხო არაქნეს მძლავრად  
 ის კიტორული მაქო, ხელში რომ ეყურა უწინ.  
 ვერ აიტანა უბედურმა და მამაცურად

- 135 ყელი მარყუჟში გაუყარა. შეპბრაღდა პალასს,  
დაიხსნა. ეტყვის: „იცოცხლე და ეკიდე. ურცხოვო,  
რათა იზრუნო მომავლისთვის, განაცხადებდე,  
რომ ასე დავსჯი მოდგმას შენსას, შენს შვილიშვილებს!“
- 140 მერმე ჰეკატეს ბალახების წვენი ასხურა  
და მაშინათვე, შეპკურებულს საზარი შხამით,  
დაცვივდა თმები. მასთან ცხვირიც, ყურიც გაუქრა:  
თაეიც, სხეულიც ერთნაირად დაუწიავდა:  
ფეხის სანაცვლოდ ხმელი კლანჭი კიღია გვერდზე;  
სხვა ყველაფერი გარდაექცა ობობას მუცლად,  
საიდანაც ქსელთ გამოართავს და ქსოვს ნიადავ.

*თარგმნა ნათელა მელა შვილმა*

## წიგნი X

### ორფეესი და ევრიდიკე

- ზაფრანისფერი სამოსელით ტანშებურვილი  
უსაზღვრო ეთერს მოარღვევს და კიკონთა ნაპირს  
უახლოვდება ჰიმენეოსი. ამაოდ უხმეს,  
მაინც მობრძანდა, თან არ ახლდა სახენაღვლიანს
- 5 არც საქორწინო სიმღერები, წინთქმა კეთილი,  
ხელთ ჩირაღდანი უხრჩოლავდა აბოლებული,  
ცეცხლს ვერ აგზნებდა ხმაჩამშრალი, ვერარა რხევით.  
უსაზარლესი იყო ბოლო – ნაიაღებთან
- 10 მობორილვე დედოფალი გარდაიცვალა,  
რამეთუ ქუსლი დაეგესლა გველის ნაკბენით.  
დიდხანს იგლოვდა როდოპელი უფალთა სმენად,  
ამაოდ დამშვრალს მოესურვა შაკეთის ხილვა  
და ტენარონით თვით სტიქსამდე გაბედა ჩასვლა,  
განგლო სულეთი, ჩაუარა აჩრდილთა დასებს,
- 15 იქ პერსეფონეს ეახლა და მას, ვინც განაგებს  
პირქუშ სამეფოს ლანდებისას, ჩამოქრა სიმებს,  
იწყო ვედრება: „ო, ღმერთებო, მიწისქვეშეთის,  
თქვენს საუფლოში აღმოვჩნდებით მოკვდავნი ბოლოს!  
უკუ მოვისვრი ბაგეთაგან ცრუ ორჭოფობას,
- 20 გთხოვთ, სიმართლის თქმის დამართოთ ნება; არ ჩამოვსულვარ,  
რათა პირქუში ტარტაროსი მიმომეხილა,  
ან მომეთოკა საოცრება სამთავიანი,  
ამ უჩვეულო გზის მიზეზი ევრიდიკეა,  
სათნო მეუღლე ჩემი, იგი გველმა დაგესლა.
- 25 ახალგაზრდულ წლებს განარიდა; მსურდა დათმენა,  
ეროსმა მძლია, ამ ღმერთს კარგად იცნობენ ქვეყნად  
და, ალბათ, აქაც, ასე ეფიქრობ. თუ მოტაცების  
ძველი ამბავი სიმართლეა და არა მითი,  
თქვენც ხომ ეროსმა შეგაუღლათ! შემზარავ ველებს,
- 30 უძირო ქაოსს და ღუმლის ვრცელ სამეუფოს  
გავედრებთ, ბედი ევრიდიკეს მსწრაფლ-გარდასული

- შეშობრუნეთ, რადგან მაინც თქვენი წერა ვართ,  
 ადრე თუ გვიან ამ სამეფოდ დავიდებით ბინას,  
 აქ არის ჩვენი საყუდარი, მოკვდავთა მოდგმის
- 35 უხანგრძლივესი სასუფეველის თქვენ ხართ უფალნი.  
 ოდეს მითვლის ევრიდიკე ბედით ხედომილ წლებს,  
 თქვენი გახდება, დამიბრუნეთ მხოლოდ დროებით.  
 თუ არ მოიღებთ მოწყალებას ჩემს მეუღლეზე,  
 მეც აქ დავჩრები, განიხარებთ ორის სიკვდილით!”
- 40 მღერით მოთქეამდა ორფეოსი, მოიცრემლოდნენ  
 უსისხლო სულნი, ტანტალუსიც შეეშვა ტალღას,  
 ზეცად მბრუნაეი იქსიონის ბორბალი შედგა,  
 არწიემა ღვიძლი მიატოვა, დანაიდებმაც
- 45 მიაგდეს ქვეერი, შენც შენს ლოდზე დაჯექ, სისიფუს,  
 მღერით მოხიბლულ ევმენიდებს, ასე ამბობენ  
 მაშინ პირველად დაენამათ ცრემლებით ღაწვნი.  
 სულეთის მეფე-დედოფალიც შეძრა ამ მოთქმამ,  
 გამოიწვიეს ევრიდიკე, ახალ აჩრდილებს
- 50 ნელი ნაბიჯით გამოეყო ფეხდაგესლილი.  
 სატრფო უბოძეს, გააფრთხილეს მკაცრად მგოსანი,  
 არ მოეხედა უკან, კიდრე მთლად არ განვლიდა  
 ავერნეს მინდორს, ანდა ძღვენი გაცუდდებოდა.  
 და ჰა, დაადგნენ ორთავე ვიწრო ბილიკს, იდუმალს,
- 55 წყვილიადით მოცულს, დაკლაკნილს და ნისლში გახვეულს.  
 მიწის პირამდე ცოტა დარჩა, ხომ მომყვებაო,  
 გაიფიქრა და ცოლის ხილვას მონატრებულმა  
 როს მოიხედა უკან, ძღვენი გაუჩინარდა.  
 მკლავებით სცადა მოხვეოდა, მხოლოდ ჰაერი
- 60 შერჩა უბედურს. საყვედური არ დასცდენია  
 კვლავ სასიკვდილოდ განწირულ ქალს, რა უნდა ეთქვა,  
 ქმარს ხომ უყვარდა? „მშვიდობითო“, ესლა აღმოხდა  
 ძლივს გასაგონად და სულეთში თვალს მიეფარა.  
 ოდეს გარდაცვლა ხელახალი შეიგრძნო ცოლის,
- 65 ისე გახვედა, ვით ის კაცი, ვინც თვალი ჰკიდა  
 შემზარავ ქოფაკს, სამთავიანს, კისერზე ჯაჭვით,  
 ასე ამბობენ, განელტვაო შიში იმ ბედკრულს,  
 ოდეს ბუნება შეეცვალა, ქვად გარდისახა!  
 ასე გახვედა ოლენოსიც, ვინაც თავს იღვა
- 70 სხვისი ცოდვა და, შენც, ლეთეავ, საბრალობელო,  
 შენივე მშვენების რომ გჯეროდა, შეერთებული  
 თქვენი მკერდებიც ქვად ქცეულან და ნესტიანი  
 გამაგრებთ იდე. ორფევსს სტიქსის კვლავ გადალახვა  
 მენაევმ აღარ დაანება, ძაძით მოსილი
- 75 იჯდა შვიდი დღე წყლის ნაპირთან მშიერ-მწყურვალი.  
 იკებებოდა სულის ღმობით, ცრემლით. ირწმუნა  
 როს ერებუსის ღვთაებათა უწყალოება,  
 კვლავ დაუბრუნდა როდოპს, ჰემუსს აქვილონიანს.  
 უკვე მესამე გაასრულა ტიტანმა ზღვათა  
 თევზების წელი. გაურბოდა ორფევსი ქალებს,



80 ალბათ იმიტომ, რომ ბედკრულად მიაჩნდა თავი,  
უფრო კი, იქნებ, ერთგულებას უფრთხილდებოდა?!  
ბევრი ილტვოდა მგოსნისადმი ტრფობის სურვილით,  
თუმცა ამაოდ. ჰოდა, ითქვა, თრაკიელებსაც  
მისგან მოსდგამთო ყრმათა ტრფობა და წარმავალი  
სიცოცხლის მოკლე გაზაფხულის ყვაილით ტკბობა.

## წიგნი X

### პიგმალიონი

პიგმალიონმა როს იხილა, ვითარ სცოდავენ  
ქალნი, რომელთაც უზნეობა ბუნებით მოსდგამთ,  
245 მათი ჯილაგი შეიძულა, მთელი ცხოვრება  
ეულად განვლო, დიდხანს აკლდა თანამეტახტე.  
იმხანად სპილოს ძვალსა თლიდა, სპეტაკს, საოცარს,  
მოაქანდაკა ქალი დიდი ხელოვანებით  
და ამ ქმნილების სიყვარულმა შეიპყრო უმალ.  
250 ქალწულის სახე ჭეშმარიტად ცოცხლობსო თითქოს,  
ტანს შეარხევდა, მოწიწებით რომ არ კრთებოდეს.  
თვით ხელოვნება ხელოვნებით იყო ძლეული!  
პიგმალიონი მისივე ქმნილი სხეულის ცეცხლით  
იწვის და უკვირს, ხელს შეავლებს დასარწმუნებლად  
255 სხეულია თუ სპილოს ძვალი? ძელად ვერ აღიქვამს,  
ეამბორება, პასუხსაც გრძნობს, ესაუბრება,  
ეხვევა, ქალიც, ეჩვენება ნებდება თითებს  
და შიშით კრთება, არ შერჩესო სილურჯე სხეულს.  
ხან ეფერება, ხან ქალწულთა სანუკვარ ნობათს  
260 სთავაზობს: კენჭებს მიართმევს მრგვალს და ზღვის ნიქარებს,  
პატარა ჩიტებს, ნაირფერად ყვაილებს, შროშნებს,  
დარახტულ ბურთებს, პელიადთა ხიდან ნაკრებ ცრემლს.  
სხეულს უმოსავს სამოსელით, თითებს – ბეჭდებით,  
ყელსაბამებით უმკობს კისერს, ბაბთებით გულ-მკერდს,  
265 ყურებს უმშვენებს საუცხოო საყურეებით,  
ისიც იმშვენებს, თუმც შიშველიც მშვენიერია.  
და სიდონიურ სარეცელზე როს მოათავსა,  
მეუღლესავით მიეფერა, რბილი ბალიში  
დაუდო თავქვეშ, ცოცხალივით მიუაღერსა.  
270 ვენუსის დღეებს ზეიმობდა უდიდებულესს  
მთელი კვიპროსი; დაგრეხილი, ოქროვანი რქით  
ქვეეზობოდა თეთრი მსხვერპლი, გამოღადრული  
და იკმეოდა საკმეველი. მეფემ ბომონთან  
გაიღო ძღვენი და აღმოხდა: „თუ ღვთაებანი  
ხართ ყოვლისშემძლე, ცოლს გენუკვით (სპილოს ძვლის ქალის  
დასახელება ვერ გაბედა), ჩემი ძვლის დარის!“  
ამ დღესასწაულს ესწრებოდა ოქროს ვენუსი,  
უმალ მიუხვდა მავედრებულს; კეთილგანწყობის  
ნიშნად სამგზისად ალაზევა ცეცხლი ჰაერში.

- 280 შინით ისწრაფა, მიეფერა თავის ქმნილებას,  
 ზედ დაიხარა, ეამბორა, სითბო შეიგრძნო,  
 კვლავ ეამბორა და თითებით მკერდზე შეეხო:  
 იგრძნო, დარბილდა სპილოსძვალი, სიმაგრე გაქრა,  
 თითებს მინებდა. ასე ლღვება ჰიმეტური
- 285 სანთელი მზეზე დაზელილი და მრავალ სახედ  
 გარდაიქმნება, ხელოვანი ოდეს ინებებს.  
 გაოგნებული კვლავ ორჭოფობს, ცდება თუ არა,  
 შიშით ეხება სანუკვარ ქალს შეყვარებული.  
 იგრძნო, გაცოცხლდა სხეული და აფეთქდნენ ძარღვნი!
- 290 და პა, აღმოხდა პაფოსელ გმირს ვენუსისადმი  
 მადლიერების გრძნობით სავსე წრფელი სიტყვები.  
 ეამბორება ცოცხალ ბაგეს, ამბორს ქალწულიც  
 გრძნობს და სიწითლეშუპარული თვალებს დარცხვენით  
 სინათლეს აპყრობს – ხედავს მიჯნურს და ზეცის ნათელს.
- 295 ღმერთქალი ქორწილს, მის მოწყობილს, თავად დაესწრო,  
 ოდეს მეცხრე წრე გაასრულა მთოვარემ რქებით,  
 იშვა პაფოსი და სახელიც მისი აქეს კუნძულს.

#### ორფევის ალსასრული

#### წიგნი XI

- წარიტაცებდა ოდეს მღერით ნადირთა სულებს,  
 ხეებს და კლდეებს თრაკიელი ჰანგთა მეუფე,  
 ბაკური ვნებით აღგზნებული მკერდით ღიაცნი  
 მოსილნი ველურ მხეცთა ტყავით, მთის მწვერვალიდან
- 5 თვალს ადევნებდნენ და ისმენდნენ, ვით იგალობდა.  
 ერთ მათგანს, თმას რომ უფანტავდა მსუბუქი სიო,  
 აღმოხდა – „აგერ, ჩვენი მგმობი!“ და აპოლონის  
 მომღერლის ხმიერ ბაგეთაქენ გატყორცნა კვერთხი:  
 კვალი დატოვა დაფოთლილმა ღმობის თვინიერ.
- 10 ქვა მოიმარჯვა სხვამ სატყორცნად. მას, დამიზნებულს  
 ჰაერში სძლია ჰარმონიამ ხმისა და ჩანგის,  
 თავხედობისთვის პატიების მწკეველი ეს ქვა  
 ორფევის ფერხთა ქვეშ ჩაუვარდა, თუმცა იმძლავრა  
 უგონო შუღლმა, ერინისმა დაისადგურა!
- 15 ნატყორცნ თირსოსებს ჰანგთა ჟღერა განირიდებდა.  
 მაგრამ საზარმა ღრიანცელმა, ბერეკინთული  
 რქების წივილმა, ტიმპანებმა, ბაკქურმა შფოთმა,  
 აურ-ზაურმა მუსიკობა ჩაახშო ჩანგის.  
 და მაშინ ქვები, მომღერლის ხმას რომ ვერ არჩევდნენ,  
 სისხლმა შეღება. ხოლო მგოსნის საამური ხმით  
 დატყვევებული ფრთოსანნი თუ ქვეწარმავალნი,  
 ნადირნი, ირგვლივ მიმოფანტეს ჯერ მენადებმა,  
 მერმე ისწრაფეს სისხლიანი ხელებით მისკენ;  
 გარს შემოერტყნენ, ვით ჩიტები, რომლებიც დღისით
- 25 წააწყდებიან ღამის ფრინველს; ან ქოფაკები,  
 თვალს რომ ჰკიდებენ არენაზე მოარულ ირემს.

- ბაკე ქალები მომღერლისკენ მიისწრაფვიან  
 მწვანე კვერთხებით, სხვა მიზნით რომ არის ნაკეთი,  
 ერთნი რიყის ქვებს, სხვანი ხეთა რტოებს ისერიან,  
 ბელტებსაც, სასრლოს რა გამოლევს ამ გავეშების!  
 ძლიერნი გლეხნი, მოსავლისთვის ოფლის დამღერელნი,  
 მისდევდნენ უკან და ბეჯითად ხნულს აბრუნებდნენ.  
 ბრბო რა იხილეს, დაიფანტნენ, მიწად მიაგდეს
- 35 ნაცოდვილარი წერაქვები, კაბლო-ფარცხები.  
 რაც მიტოვებულ მიწად დარჩა მიმოფანტული.  
 გავეშებულმა მენადებმა დაიტაცეს და  
 ოდეს ხარებიც გაირეკეს, კვლავ ეცნენ მგოსანს.  
 შეელას ითხოვდა, წარმოთქვამდა იგი პირველად
- 40 ამაოდ სიტყვებს, არ აღუძრავს ხმას სიბრაღული.  
 დაგლიჯეს. ღმერთო, იუპიტერ, იმ ბაგეთაგან,  
 ნადირებს, ტყეებს, კლდეებსაც რომ აჯადოებდა,  
 აღმოხდა სული, გაიტაცა ჰაერში ქარმა.  
 დამწუხრებულმა ფრინველებმა, მხეცებმა, ქვებმა
- 45 მგალობელს ხშირად რომ მოგსდევდნენ, ორფევსო, სმენად,  
 მთებმა, ხეებმა, განძარცეულან რომელნიც ფოთლით,  
 თმა შეიკვეცეს, დაგიტირეს; ამბობენ ცრემლით  
 აღიდებულან მდინარენიც, თმა გაუშლიათ  
 ნაიალებსაც, დრიალებსაც სამგლოვიაროდ.
- 50 ასონი მისნი განიფანტა. თავი და ჩანგი,  
 ჰებრუსის წყალო, შენ მიიღე! ო, საოცრებაჲ!  
 მიცურავს ჩანგი და ნაღვლიან ბგერებს გამოსცემს  
 და მოთქვამს ენაც ნაღვლიანად, ეხმაურება  
 ნაღვლიანი ხმით სანაპირო. ზღვაში შეცურეს.
- 55 დატოვეს ტალღა მშობლიური და მიაღ წიეს  
 მეთიმნეს ლესბოსს. უცხო ქეიშად გარიყულიყო  
 მძვინვარე გველი. დანამულ თმას მიუახლოვდა...  
 მაგრამ იქ უმალ აპოლონი აღიმართება,  
 კებნად შემართულს შეაჩერებს საზარელ ურჩხულს,
- 60 ხახადადებულს გააქეავეს სამარადისოდ.  
 ორფევსის სული მიწისქვეშეთს ეწვია, იცნო  
 უწინ ნანახი და ნეტართა მდელოდ მიაგნო  
 მონატრებულმა ევრიდიკეს, მიუალერსა.  
 მას შემდეგ ერთად სეირნობენ, ერთად დადიან,
- 65 ხან წინ გაუსწრებს, ჩამორჩება ხანაც მეუღლეს  
 და უმზერს იგი ევრიდიკეს შიშის თვინიერ.

### წიგნი XIII

#### აიაქსი

- დასხდნენ სარდალნი, გარს შემოდგა ბრბო, აიაქსი  
 შვიდპირი ფარის ხელთა მპყრობი წარდგა წინარე,  
 ვერ დაითმინა რისხვა, თვისი მრისხანე მზერა  
 მან სიგეუმთან განლაგებულ ზომალდთ მიაპყრო;  
 5 ალაპყრო ხელნი: „ზომალდებთან ვლაობთო – წართქვა, –

იუპიტერის წინ. ულისე მე მეცილება!  
 იგი ჰექტორის ცეცხლს განელტვა დაუხანებლად!  
 მე შევაკავე ალი, ხომალდთ კრებულს ვაშორე.  
 მაცდური სიტყვით პაექრობა ჯობია ალბათ  
 10 ხელჩართულ ბრძოლას! საუბარში მე არ ვარ მარჯვე,  
 იგი – საქმეში. მე მძვინვარე ბრძოლაში ვიძლეობ,  
 ჯარის დარაზმეა მეხერხება, მას კი – კამათი!  
 თქვენდა. პელასგნო, შეხსენება ჩემთა საქმეთა  
 არ ხამს. გიხილავთ, ვფიქრობ; თვისი გვამცნოს ულისემ,  
 15 რომელთა მოწმეც დამე იყო დამსწრეთ თვინიერ.  
 ველტი დიდ ჯილდოს, ვადიარებ, თუმცა პატივში  
 კერპი მეტოქე მეცილება: კადნიერებად  
 არ მიმანია დავა მასზე, რაც სურს ულისეს.  
 ეს პაექრობა მას პატივს დებს; თუკი დამარცხდა,  
 20 ასე იტყვიან, დაობდაო ის აიაქსთან.  
 ჩემს სიქველეში თუ რაიმე ეჭვს მიიტანენ,  
 გვარიშვილობით ვიძძლავებდი ძე ტელამონის,  
 ვინც ტროა დასცა პერკულესის წინამძღოლობით  
 და პაგასური ნავით კოლხურ ნაპირთ მიადგა;  
 25 ეაკუსია მამამისი, სულთა სამეფოს  
 მსაჯული, სადაც მძიმე ლოდი ტანჯავს სისიფუსს.  
 უზუნაესი ცნობს ეაკუსს: შევილად მიიჩნევს  
 იუპიტერი, აიაქსი მაშ – ბადიშია!  
 არას მარგებდა გვარტომობა, აქაველებო,  
 30 დიად აქილევსს მოყვასად რომ არ ვიგულეებდე:  
 ძმა იყო ჩემი, ძმისეული მსურს იარაღი.  
 მაშ, სისიფუსის მოდგმა, ზაკვით წინაპრის მსგავსი,  
 ეაკიდეთა შორის უცხო სახელებს რად ჩრის?  
 მე, ვინც პირველი აღვიჭურვე მოუწოდებლად,  
 35 უარს მეტყოდით იარაღზე? მას მიანიჭებთ,  
 უკანასკნელმა ვინც აისხა, ვინც თვალთმაქცური  
 სიგიჟით ბრძოლას გაურბოდა, ვიდრე არ ცხადყო  
 თავისდა ჭირად უმზაკვრესმა ნაეპლიადესმა  
 ჯაბანის ხრიკნი, ომში ძალით წამოათრია!  
 40 საუკეთესო მიიღოს, ვინც იმალებოდა?  
 მე პატივყარილს აღმეკვეთოს ძმის იარაღი,  
 პირველ ბრძოლათა საფრთხე რაკი გადავიტანე?!  
 ო, ნეტა გიჟი ყოფილიყო. ან გიჟად გეცნოთ,  
 რათა ფრიგიის ციხე-კოშკთან თან არ გეხლებოდა  
 45 ჩამგონებელი ბილწ საქმეთა! შენც, პეასის ძევე,  
 არ დარჩებოდი ლემნოსს ჩვენიც ცოდვასთან ერთად.  
 ასე ამბობენ, ტყის მღვიმეებს შეფარებული  
 კლდეთ თავს აცოდებ გმინვით, შესთხოვ, ლაერტესის ძეს  
 მიეზღოს; ღმერთნი არსებობენ თუკი. ეგ ნუკვაც  
 50 აღესრულება. სამწუხაროდ, ერთი სარდალი,  
 ვინც ჩვენთან ერთად დადო ფიცი, ვით მემომარმა,  
 მემკვიდრეობით პერკულესის ისართ მეუფე,  
 შიმშილით, ღმობით დაკრდომილი, ფრინველთ წყალობით

- 55 საზრდოობს; ფრთოსანთ უშენს ტროის ბედის გარდამწყვეტ  
 ისრებს, ის ცოცხლობს, თან არ გააყვა რადგან, ულისეს!  
 ამჯობინებდა თავგანწირვას პალამედესიც,  
 ან იცოცხლებდა, ან უბიწოდ აღსრულდებოდა!  
 ულისემ თვისი მოიგონა კვლავაც სიგიჟე  
 და პალამედესს დანაელთა ღალატს სწამებდა;
- 60 დაადასტურა იმ ოქროთი, თავად რომ ჩაფლო!  
 აქაველთ ძალებს აკნინებდა გმირთა დაგმობით,  
 მოსპობით, ო, რა სახიფათო არის ულისე!  
 დაე, ჯობნიდეს ერთგულ ნესტორს მჭევრმეტყველებით,  
 მე დანაშაულს ვერ დაეფარაე – ბოროტებად ვრაცხ
- 65 ულისეს ღალატს. ნესტორი რომ ევედრებოდა,  
 ცხენდაკოდილი და ასაკით დახანებული  
 შეეღას, ულისემ მიატოვა. ცოდვას როდი ვთხზაე!  
 ეს კარგად იცის ტიდევსმა, ვინც კიცხვა-მახილით
- 70 ძლივს შეაჩერა ამხანაგი შიშით ლტოლვილი.  
 სამართლიანი მზერით ჭერეტენ უკვდავნი მოკვდავთ!  
 და ითხოვს შეეღას, არ სჩვევია ვისაც სხეისი ხსნა,  
 მოყვასთ მშთენელი შეიქნები შთომილი სხვათგან:  
 თვით დაიდგინა მსჯავრი, ოდეს უხმობდა მშველელს  
 ათრთოლებული და სიკედილის პირისპირ მდგარი,
- 75 შეძრწუნებული შეეიფარე ფარქვეშ განრთხმული.  
 ვიხსენ (როდი ღირს ხოტბის შესხმად) ძაბუნი სული!  
 თუ დაეინებით ითხოვ შეჯიბრს, ის ადგილი და  
 იგივე მტერი დააბრუნე, ჭრილობა, შიში;  
 ფარს შეეფარე, შემეჯიბრე მიწად განრთხმული.
- 80 ვიხსენ თუ არა ღმობათაგან ძალამიხილი,  
 გაიქცა, ვეღარ დააბრკოლა ვერრა იარაგ.  
 მოდის ჰექტორი, ღვთაებანი მოჰყავს საომრად;  
 ულისე, მხოლოდ შენ კი არ გრძნობ შიშს მისი სრბოლით,  
 გულადნიც კრთიან, შემზარავი არის ესოდენ;
- 85 იგი, სისხლისღერის წარმატებით აღტაცებული,  
 ვეებერთელა ლოდით მიწას ქვე-დავანარცხე.  
 ოდეს ითხოვდა ერთი-ერთზე შებმას, მხოლოდ მე  
 აღვიმართე წინ: აქაველნო, ღმერთებს შესთხოვდით,  
 რომ მე მრგებოდა გამარჯვება: ლოცვა ისმინეს.
- 90 ამ ორთაბრძოლის დასასრულს თუ მკითხავთ – ვერ მძლია!  
 ოდეს ტროელნი ცეცხლითა და იუპიტერით  
 დანაელთ მოდგნენ, როგორ გაქრა მჭევრი ულისე?  
 მკერდით ვიცავდი ათას ხომალდს – შინ დაბრუნების  
 იმედს. მიბოძეთ იარაღი ხომალდთა ფასად!
- 95 და უნდა ითქვას, ჭეშმარიტად თავად იარაღს  
 ხედება პატივი, გვაქვს დიდება განუყოფელი:  
 არა აიაქსს, აიაქსი სჭირდება აბჯარს!  
 მოიგონებდეს რესუსს, ლაჩარ დოლონს ულისე,  
 მისან ჰელენუსს, დატყვევებულს პალასთან ერთად.
- 100 დიომედესის გარეშე თუ შებმია ვინმეს?  
 არ მახსენდება, და თუ მაინც უბოძებთ აბჯარს,

- დანაწილეთ: დიომედესს ერგება მეტი.  
 რას აქნევს ჯილდოს ითაკელი აბჯრის თვინიერ,  
 მალულად იბრძვის, ვერაგობით აცთუნებს მტერთა!  
 ეს მოელვარე მუზარადი, ოქროცურვილი,  
 მზირს განაცხადებს, ბრწყინვალეებით გათქვამს მიმალულს.  
 დულიეიელი აქილეესის მძიმე მუზარადს  
 ვერ ზიდავს თავით: სისხლისმღვრელ ომს მიუჩვეველ მკლავს  
 პელიონური შუბის ზიდავა გაუჭირდება.
- 110   სამყაროს ხატით მოოჭვილი ფარის ტარება  
 არ მართებს ლაჩრულ ზაკეთათვის შექმნილ მარცხენას.  
 ო, უბადრუკო, რად ითხოვ ძღვენს დამამდაბლებელს?  
 თუ გიბომბებენ აქაველნი უმეცარობით.  
 არა მტრის რისხვად, მტრის ნადავლად გარდაგექცევა!  
 115   ესოდენ მძიმე საზიადართ გაგიჭირდება  
 გაქცევა, რითიც სჯობნი ყოველს უძაბუნესო.  
 ყოველივეს კი დაუმატე ზელუხლებელი  
 ეგ შენი ფარი, ხოლო ჩემსას, ათასი შუბით  
 დაცხრილულს ომში, სხვა მემკვიდრე შეჰფერის კიდევ.
- 120   რას ეაქნევთ სიტყვათ, დაე, საქმე ეიხილოთ ბოლოს:  
 დიადი გმირის საჭურველი ჩააგდეთ მტრებში,  
 ვინც გამოიტანს, ის შეამკეთ გამოტანილით!“  
 როს დაასრულა თვისი სიტყვა ტელამონის ძემ,  
 ატყდა ჩოჩქოლი: ლაერტიდი წამოიმართა,  
 მიწას მიაპყრო მზერა, მერმე – წარჩინებულებს,  
 125   განახენა ბაგე მოსალოდნელ სიტყვათა წართქმად,  
 მჭევრმეტყველების მადლი რასაც უხვად ეფინა:  
 „ჩემი ლოცვა რომ სრულდებოდეს, თქვენიც, პელასგრო,  
 უდავოდ ერთი იქნებოდა აბჯრის მემკვიდრე;  
 130   ო, გიგულვებდით იარაღით ჩვენთან, აქილეეს!  
 ბედმა წაგვართვა მისი თავი უმართებულოდ  
 მე და თქვენ (ვითომ მოიწმინდა თვალთაგან ცრემლნი).  
 დიდ გმირს ვინ შეცვლის უფრო უკეთ, თუ არა იგი,  
 ვისი შეწვენით აქილეესი ჰყავდათ დანაელთ?  
 135   უგნურ აიაქსს უგნურობას ნუ მოუწონებთ.  
 მეც ნურას მანებს ჩემი ნიჭი – თქვენ გემსახურათ;  
 ენამჭვერობაც, აქაველნო, თქვენდა დამშვრალი,  
 დამჭირვებია ახლა ჩემთვის – ნუ შეგშურდებათ:  
 ყოველი ცდილობს, დაიტოვოს თვისი სიკეთე!  
 140   მოდგმას, წინაპართ, საქმეთ, რაც კი უჩემოდ მოხდა,  
 არ მივითვლიდი ჩემად, მაგრამ თუ აიაქსმა  
 იუპიტერის დაიქადნა ჩამომავლობა,  
 უზენაესის მეც ვარ მოდგმა იმავე რიგით:  
 მამა – ლაერტეს, მისი მამა – არკესიუსი,  
 145   იუპიტერის ძე, არც ერთი – მსჯავრდადებული,  
 ან განდევნილი. დედით გემატებს დიდგვაროვნებას  
 კილენიუსი. ღმერთები ჰყავთ მშობლებს წინაპრად.  
 არა იმიტომ, რომ დედით ვარ აღმატებული,  
 რომ მამაჩემი უბიწოა ძმისეულ სისხლში.

- 150 ვითხოვ საჭურველს; ღირსებისად განსაჯეთ საქმე!  
ტელამონი და პელეესი რომ ძმები არიან,  
მოდგმას – აიაქსს ნუ ჩაუთვლით დამსახურებად.  
იარაღისთვის ეძიებდეთ საკადრის პატივს.
- 155 უკეთუ მოყვასთ მიემართავდით, ვპოვებთ მემკვიდრეს:  
არის პელეესი, ძე – პირუსი; აიაქსისთვის  
არის ადგილი? გაიგზავნოს ფთიას ან სკირუსს  
ეგ საჭურველი. ბიძაშვილი აქილეუსისა  
ტევკრუსიც არის, რად არ ითხოვს იარაღს იგი?  
უკეთუ საქმე, მხოლოდ საქმე წარმოშობს დავას,
- 160 გეტყვით, მიქმნია უფრო მეტი, ვიდრე ექადაგებ,  
თუმცა ჯობია, აღსრულებულ საქმეთ მივდიოთ!  
წინასწარ ჭერეტდა ნერეისი ძის სიკვდილს, შობილს  
ქალის სამოსი ჩააცვა და აცთუნა ყველა,  
მათ შორის თავად აიაქსიც, მაცდური სახით.
- 165 მე, რათა მასში ვაჟკაცური სული აღმეგზნო,  
აღსაჭურველი შევაპარე ქალურად მოსილს;  
არ განეძარცვა სამოსი, როს ფარ-შუბის მპყრობელს  
ასე მივმართე: პერგამონი გელის ღვთის შვილო!  
ნულარ აყოვნებ, დიდი ტროა აღგავე მიწით!”
- 170 ხელი მოვხვიე, წაეაქეზე ვაჟკაცურ საქმედ  
ვაჟკაცი და მის ნამოღვაწარს ჩემად მივიჩნეე.  
შუბი ტელეფუსს მე ვაძგერე, მთხოვა – დაეხსენ.  
ჩემით დაეცა ლესბოსი და თებე და ქრისე,  
ტენედოს, კილაც – აპოლონის ქალაქნი, მენდეთ,
- 175 სკირუსიც მათთან. ეს უწყოდეთ, ჩემმა მარჯვენამ  
გაანადგურა ლირნესუსის ციხე-ბურჯები.  
სხვაზე ვიყურებ, თუმც მძვინვარე ჰექტორის ძლევაც  
ჩემი ღვაწლია: ჰო, ჰექტორი მე დაეამარცხე!  
იმაე საჭურველით. აქილეესი რომელმაც შექმნა,
- 180 გთხოვთ აღსაჭურველს. დამიბრუნეთ, რაც მივეც ცოცხალს!  
როს საზიარო გახდა ერთის დარდი ყველასთვის,  
ათასი ნავი როს მოადგა ევბოას ავლისს,  
არ ქროდა ქარი სასურველი, ანდა ხომალდებს  
უკუაქცევდა. აგამემნონს პირქუში ბედი
- 185 უხმობდა, მსხვერპლად შეეწირა წმინდა ასული  
განრისხებული დიანასთვის. თუმც უარი თქვა.  
ღმერთიც შერისხა მეფე – მამამ; მე მამის სული  
მოვალბე, ხალხის სასიკეთოდ განვაწყვე სიტყვით.  
ო, მომიტევოს ატრეესის ძემ აღიარება:
- 190 მკაცრი მსაჯულის დამარცხებით მოვიგე საქმე!  
სახალხო საქმემ, სკიპტრის ძალამ, ძმამ მინდობილი  
დაიყოლია დიდების წილ სისხლი მიეზღო.  
ღედასთან, რომლის დარწმუნებაც ამაო იყო,  
ხამდა მზაკერობა; მე გამგზავნეს აღსასრულებლად.
- 195 ტელამონის ძე წასულიყო – რჩებოდა აფრა  
ქართა თვინიერ! ილიონის ციხეზეც გახლდით,  
ტროას უძველეს სამსჯავროში შეესულვარ მჭევრი

- ხალხით მრავალი იყო ოდეს; ადვანსრულებდი  
 უშიშრად საქმეს, საბერძნეთმა მე რომ მომანდო.
- 200 ბრალს ვლებდი პარისს, მოვითხოვდი განძს და ელენეს;  
 სიტყვით შეეძრავდი პრიამუსს, მის მოყვას ანტენორს.  
 პარისმა ძმებით, მათ, ელენე ვინც წარიტაცეს,  
 ძლივს დაიოკეს ბილწი ხელნი (თავადაც უწყვი  
 მენელაუს); ეს განსაცდელთა იყო საწყისი.
- 205 დაგვახანებდა იმის თხრობა, რაც ვიმოქმედე  
 თქვენდა სიკეთედ რჩევა – საქმით ამ ხანგრძლივ ომში.  
 პირველ შებმათა მერმე მტერი თვისი ქალაქის  
 კედლებთან დიდხანს გვაფერხებდა; ვერ გაეაჩაღეთ  
 ბრძოლა ხელჩართვით; მეთუ წელს ვეკვეთეთ მტერთა.
- 210 შენ, ვისაც ბრძოლა ძალგის ვითომ, რისთვის იღვწოდი?  
 სიკეთე შენგან რა ვიხილეთ? ჩემს თუ იკითხავ,  
 გამცნობ: მოქიშპეს ეუსაფრდები, თხრილებს ვამაგრებ,  
 ვაწყენარებ მოყვასთ, მომქანცველი ომის დათმენას  
 ვურჩევ სიმშვიდით. ვასწავლი, ვით იშოვონ სარჩო,
- 215 ვით აღიკაზმონ, იქ ეარ მიწყვი, საცა საფრთხეა.  
 პა, იუპიტერს მინდობილი და ცთუნებული  
 ზმანებით მეფე ბრძანებს, შეწყედეს საქმენი ომის.  
 თვისი ნათქვამის დაცვა ძალუძს მრჩეველის სახელით.  
 ო, ვერ დაითმენს აიაქსი, მოითხოვს ტროას
- 220 განადგურებას? რაკი ძალუძს, დაე, იბრძოლოს!  
 რად არ აყოენებს წამსვლელთ? რად არ აღიჭურვება?  
 მერყევ ბრბოს რად არ წარუძღვება – მჭევრს ძალუძს ესე!  
 თავად გარბიხარ? შემრცხვა ოდეს უკუქცეული  
 ვიხილე: ვითარ შლიდი აფრას თავის საჯაყად!
- 225 არ დაეახანე, – „ძმანო, რას იქმთ, – ვთქვი – რა სიგიჟე  
 გაიძულებთ, რომ მიატოვოთ ტროა პყრობილი?  
 შინ რას წაიღებთ მეთუ წელს – პატივის აყრას?“  
 რა არ ეუთხარი, დარდი თავად მჭევრმეტყველებდა,  
 უკუქცეული მოვაბრუნე სპა და ხომალდნი.
- 230 უხმობს ატრიდი ლაშქარს შიშით გადაფითრებულს,  
 ხმა ვერ გაიღო ტელამონის მოდგმამ იმ ხანად;  
 დიდებულ მეფეთ თერსიტესი შეეპასუხა  
 ბილწი სიტყვებით: დაუსჯელი როდი დავტოვე!  
 წამოვიმართე და მღელვარე ბრბო საბრძოლველად
- 235 განეაწყვი – ვუხმე უკუგდებულ გულოვანებად.  
 ამ ხანიდან კი, რაც უქმნია მას, უკუქცეულს,  
 ჩემად მივიჩნეე, დაუბრუნე რადგან მე ბრძოლას.  
 დანაელთაგან ვინ გაფასებს, ხოტბას ვინ გასხამს?  
 დიომედესი მე მიმიჩნევს თანამზრახველად,  
 ყველა საქმეში მენდობა და პატივს მომაგებს.
- 240 რაღაცას ნიშნავს ტიდიდესი რომ გამოგარჩევს  
 ათას ბერძენში. წილუყრელად წაველ და საფრთხე  
 ღამითა და მტრით მოვლენილი, არად ჩავაგდე;  
 დოლონი მოეკალ ფრიგიელი, ჩვენებრ გულადი,  
 ეიდრე მოეკლაედი, ვაიძულე ყველა გაეთქვა.
- 245



- ეამბნა, თუ რას გვიქაღიდა ტროა მზაკვარი.  
 შევიტყე ოდეს ყველაფერი, რასაც ვეძებდი.  
 აღთქმული ძღვენით შინ მიქცევა ძალმიძდა უკვე;  
 250 ო, არ დაუჯერდი, გავემართე რესუსის კარვად.  
 მოვკალი მეფე მის ბანაკში, სპაც ამოვფლიტე.  
 აღმსრულებელი აღთქმისა და ნადავლის მქონე,  
 წარმატებებით აღგზნებული, ეტლით გაახლეთ.  
 მოდარაჯების წილ ვის ცხენსაც მტერი ითხოვდა,  
 255 მის აბჯარს მართმევთ – აიაქსი გაბედნიერდეს?  
 გითხრათ, ვით ვძლიე ლიკიელი მე სარბელონი  
 თავისი რაზმით? დავამარცხე დიდი სისხლისღვრით  
 თვით კერანოსი, ალასტორი და ქრომიუსი;  
 ალკანდერი და ჰალიუსი; ვძლიე ნომონს,  
 260 პრიტანისს, თოონს, მოვსპე მძლავრი ქერსიდამასი,  
 მათთან ქაროპსიტ, უბედური ენომიუსი  
 ნაკლებ ცნობილნი სხვებიც ჩემი ხელით დაეცნენ  
 ქალაქის ბჭესთან. საამაყო ნაიარევი  
 მეც მაქვს; ფუჭ სიტყვათ რომ არ ენდოთ, დარბაისელნო,  
 265 აჰა, იხილეთ (მოიხადა წამოსასხამი),  
 შეხედეთ ჩემს მკერდს, დღენიადაგ თქვენად რომ იღვწის,  
 ხოლო აიაქსს წვეთი სისხლიც არ დაუღვრია  
 მოყვასთა გამო, ნაიარევს ვერსად უპოვით.  
 ამბობს, პელასგთა ხომალდთათვის ტროელებზედაც.  
 თავად ზეესზედაც აღმიმართავს იარაღო.  
 270 ღიახ, ასეა. არ მჩვევია, შურით უარეყო  
 ღირსად საყოფი. ნუ იჩემებს საერთო საქმეთ;  
 დე, თქვენც პატივი საკადრისი გაგინაწილოთ!  
 ტროელებიც და მათი მცველიც ხომალდებიდან  
 უკუაქცია აქტორიდემ – მას აქილევისი  
 275 სახე ფარავდა. აიაქსმა ჰექტორთან ბრძოლის  
 ღირსად – ჰყო თავი, დამივიწყა მეფე, სარდალი!  
 მას, საქმით მეცხრეს, ბედისწერამ არგუნა ჯილოდ!  
 უმამაცესო, თქვენი შეხლა ვითარ გასრულდა?  
 ბრძოლამ ჰექტორს ვერ მიაყენა ვერარა ვნება!  
 280 ვაიმე, ბედკრულს! გაგახსენოთ უნდა ის წამი,  
 ოდეს დაეცა ბერძენთ ბურჯი, მძლე აქილევისი!  
 ვერცა ცრემლებმა, ვერცა გლოვამ, ვერცა თავზარმა  
 ვერ დამახანეს ამეტაცა მიწიდან გვამი,  
 აი, ამ მხრებით წამოვიღე გმირის სხეული.  
 285 ის საჭურველიც, რის ტარებად ვისწრაფვი ახლაც,  
 ძალოვანება საკადრისი მაქვს ამ საზიდრის,  
 სული ისეთი – დააფასებს მოგებულ პატივს.  
 ლაჟვარდოვანი დედა განა მისთვის იხევჭდა  
 პატივს ძისთვის, რომ ღვთაებრივი ძღვენი, ქმნილება  
 290 ესოდენ დიდი ხელოვნების ხელთ ჰქონდეს მებრძოლს  
 ტლანქსა და უცებს? რა გაეგება ამოტვიფრული  
 ოკეანოსის, დედამიწის, ზეცის, მთიების,  
 პლეიადების, ჰიადების, უწყლო არქტოსის,

- ქალაქების და ორიონის მნათი მახვილის.
- 295 სურს იარაღი, რომლის ფასის არა უწყის რა!  
მგმობს, გავექეცი თითქოს ომის ხვედრის სიმძიმეს,  
გვიან ჩავები წამოწყებულ საქმეში თითქოს.  
რა მოხდა! ვერც გრძნობს, ამით ჩრდილავს ღიად აქილეუსს!  
თუ მოჩვენება თავის არის დანაშაული,
- 300 ერთად შეეცოდეთ. დახანება? ადრეც მივედი.  
სათნო მშობელმა აქილეუსი, მე – სათნო ცოლმა  
დაგვაყოვნა. მათ მიუძღვენით დროის ნაწილი,  
თქვენ – დანარჩენი. ასეთ გმირთან რომ ვიზიარებ  
ბრალდებას, არრას ვშიშობ. უწყით, ვითარ მოხიბლა
- 305 იგი ულისემ. აიაქსმა მე ვერ მომხიბლა!  
უგნური ერთი რომ მიბედავს გმობას, არ გიკვირო?  
თქვენც სამარცხვინო ცილსა გწამებთ; პალამედესი  
ეამხილე თითქოს ცრუ ბრალდებით, ამას რომ იტყვიოს,  
თქვენი გაიცხება განა ხოტბას დაიმსახურებს?
- 310 ნავბლიადესმაც ვერ დაიცვა ესოდენ ცხადი  
დანაშაული. როდი იცით მარტო ჩემი თქმით;  
თქვენ თავად ნახეთ – განძში იყო მისი მხილება!  
თუ პეასის ძე ლემნოსზეა, არცა მისდამი  
მიმიძღვის ბრალი; ჩადენილზე აგეთ პასუხი!
- 315 (თქვენ ასე გსურდათ). ვაღიარებ, მე ვარწმუნებდი,  
ომისა და გზის ჯაფათაგან თავი დაეხსნა,  
მშვიდად ეცადა სასტიკ ლმობათ შემსუბუქება.  
დაგემორჩილდა და ცოცხლობს ახლაც! ასეთი რჩევა  
სანდო ჩანდა და საზრიანი. თუმც ისიც კმარა
- 320 სანდო რომ იყოს. ფილოქტეტესს რადგან უხმობდნენ  
მისნები ტროას დასარბევად, მე ნუ გამგზავნით,  
სჯობს აიაქსის წასვლა: ლმობით, რისხვით შეძრული  
მზაკერული ხრიკით ან მჭევრობით რომ ააღელვოს.  
იდე აღსდგება განძარცველი და სიმოისიც
- 325 უკუიქცევა, აქაიაც აღუთქვამს ტროას  
შეელას, თუ თქვენთა საქმეთათვის არრა ვიღვაწო,  
თუ აიაქსი დანაელებს გამოადგება!  
დაე, მტრად იქეც მოყვასთათვის, მეფისთვის, ჩემთვის,  
რისხვადქეველო, ფილოქტეტესს, დამგმე, დამწყველე
- 330 სამარადჟამოდ; დაე, გსურდეს ხელში ჩამიგდო  
გამწარებულმა, ჩემი სისხლით დაიცხრო სული,  
ვით მე ვეუფლე შენს სიკეთეს, შენ ჩემს უფლობდე!  
მე მაინც მოვალ, წამოყვანას ვეცდები შენსას,  
ბედი მწყალობდეს! შენს ისართაც მე მოვიპოვებ
- 335 მისანი როგორც მოვიპოვე დარდანიელი  
და განვაცხადე ღმერთთა ზრახვა და ტროას ხვედრი,  
და გამოვტაცი ფრიგიელი მინერვას ხატი  
ტაძრიდან მტერს და... აიაქსი მე მედარება?  
ბედმა არა ქმნა მათ გარეშე ტროას დამხობა!
- 340 მაშ, სად არის მძლე აიაქსი? მჭევრი სიტყვანი  
ღიადი გმირის? რად კრთი? რაზედ ბედავს ულისე

- მცველთაგან ილტვეს და მიანდოს თავი ბნელ ღამეს,  
 მძვინვარე მახვილთ დაუსხლტეს და ტროას ციხეში  
 345    თავად ღმერთქალი მოიტაცოს და მტრის ბანაკში  
     გამოატაროს? ეს რომ არა, ტელამონის ძე  
     შვიდი ხარის ტყავს სულ ამოდ მოიკიდებდა.  
     იმ ღამეს მე ვში გადმარჯვება, მე დავამარცხე  
 350    ტროა, რადგანაც ვაიძულე მას დამარცხება!  
     საყვედურით რომ ჩემს ტიდიდესს მიაპყრობ მზერას,  
     იკმარე დიახ, დიდ საქმეში მასაც აქვს წილი.  
     როს ფარი გეპყრა ხომალდების გადასარჩენად,  
     მარტო არ იყავ – ბრბო მოგდევდა, მე ერთი მერგო.  
 355    მას არ სცოდნოდა, რომ მებრძოლი ბრძენს ჩამორჩება,  
     რომ მძლე მარჯვენას არ ეკუთვნის ჯილდო, თავადაც  
     ითხოვდა ჯილდოს: მოითხოვდა სხვა აიაქსიც,  
     ეერიპილუსიც შმაგი, მასთან მეც ანდრემონის,  
     ილომენეესიც, მერიონიც, მისი თვისტომი.  
     დიდი ატრეესის ძმაც ითხოვდა იმაე საჩუქარს!  
 360    არ დაგიდებენ ტოლს ბრძოლაში ძალგულოვანნი:  
     მათ დაიხიეს უკან ჩემი სიბრძნის წინარე!  
     ომში მარჯვენით მძლეობ შენ, მე – სიბრძნით განვავებ;  
     ძალის უაზროდ გწამს, მყოფადზე ეზრუნავ ნიადაგ:  
     შენ ძალგიმს ბრძოლა, რომლისთვისაც დროს შესაბამის  
 365    ჩემის შეწევნით ცნობს ატრიდი. შენში სხეული  
     ხამს, ჩემში – სული. ვით მეხოფეს აღემატება  
     მესაჭე ნავის და უბრალო მებრძოლს – სარდალი,  
     მეც ასე გჯობნი! ჩემს სხეულში მარჯვენას სული  
     აღემატება, ძლიერება სულშია ჩემი.
- 370    დარბაისელნო, მაშ უბოძეთ ჯილდო თქვენს მფარველს,  
     იმ ჯაფათა წილ, თქვენს ზრუნვაში რომ დავითმინე,  
     დამსახურება სცანით ჩემი, ჯილდო მომაგეთ.  
     სულ მალე საქმეც გასრულდება, მე დაგიფარეთ  
     განსაცდელთაგან. პერგამონი დიდი დავამხე.
- 375    ერთობლივ რწმენას, ილიონის კედელთა რღვევას,  
     ღვთაებათ, მტერთ რომ გამოვტაცე თავად. გავედრებთ;  
     და თუ რამ დარჩა, რაც გონებით აღესრულების,  
     და თუ რამ დარჩა განსაცდელი ძალგულოვანის,  
     თუ თვლით, რომ ტროას ნატამალი შერჩა იმედის,  
 380    მომიგონებდეთ! და თუ აბჯარს არ მომაკუთვნებთ.  
     ამას უბოძეთ!" – მიუთითა მინერვას ხატზე.  
     დარბაისელნი ააღლეს. თუ რა ძალა აქვს  
     მჭვერობას, საქმემ ცხადყო – გმირის აღსაჭურველი  
     წარიღო მჭვერმა. ის, ვინც სძლედა ჰექტორს, ცეცხლს, მახვილს,  
 385    შერკინებია იუპიტერს, რისხვით აღენთო,  
     დარდმა დაჯაბნა უძლეველი მხოლოდ. სწავდა მახვილს:  
     „ეს ხომ ჩემია, თუ ულისე შემეცილება?  
     ჩემზე აღემართავ და ამ მახვილს ფრიგიელთ სისხლით  
     შედებოდა ახლა თვისი უფლის სისხლი შედებავს.

- 390 დე, აიაქსის გარდა ვერცინ სძლიოს აიაქსს!"  
წართქვა და თავის მკერდს, განწირულს განსაგმირავად,  
სად ატანს რკინა, სასიკვდილო დასცა მახვილი.  
ხელმა ვერ შეძლო, ამოაგდო სისხლმა ლახვარი.  
სისხლით მორწყულმა მიწამ ძოწისფერი ყვავილი.
- 395 ებალიუსის სისხლისაგან რომ იშვა უწინ,  
აღმოაცენა მწუხანე კორღზე, ფოთოლთა შუა  
მათ წანაწერიც ჰქონდათ მსგავსი: ერთი ყრმის ჩივილს,  
მეორე სახელს ვაჟკაცისას წარმოაჩენდა.

## შენიშვნები

### I წიგნისათვის

313. არნიელნი – ბეოგიელნი. ეგე თესალიის მთა (გამოცემებშია Acteis ab arvis გეოგრაფიული სიზუსტისათვის მხარი დაუჭირეთ კონიექტურას: Oetaeis ab arvis).
318. დეკალიონი – პროპეტუს ძე, ცოლად ჰყავდა ბიძამეილი – ეპიმეთეუსის ასული პირა.
320. კორიკიელი ნიმფები – პარნასის მღვიმის ნიმფები.
321. თემისი – მართლმსაჯულების ღმერთქალი, მის სახელზე იყო აგებული სამისნო ტაძარი, მდინარე კეფისოსის მახლობლად.
338. ფებუსი – აქ = „მზეს“; იველისხმება აღმომავალი და ჩამავალი მზე (აღმოსავლეთ-დასავლეთი).
452. ფებუსი – აპოლონ ღმერთი; პენეუსი – თესალიის მდინარე.
460. იუგურუმი – დაახ. 2500 კვ. მეტრ. სიერცის ფართობი.
475. დაფნე მონადირე ნიმფაა, ამიგომ ითელება იგი ნადირობის ღმერთქალის დიანას, ანუ ფებუს მეგობელს.
566. პეანი – აპოლონ ღმერთის ეპითეტი; მისდაში მიმართული ჰიმნი.

### III წიგნისათვის

406. რამუნსია – შურისძიების ღმერთქალი ნემესისი.

### VI წიგნისათვის

5. მუნია – ლიდია.
13. ჰიპეუ – ლიდის ქალაქი.
- 14-16. პაქტოლოსი – ლიდის მდინარე, რომლის სათავეც ტმოლუსის (ტიმოლუსის) მთაშია.
70. მარსის მალლობი – არეოპაგი ათენში.
- 71-82. იველისხმება დაეა ნეპტუნუსსა (პოსეიდონს) და მიწერვას (ათენა-პალასს) შორის. დაეა ღმერთქალის გამარჯვებით დამთავრდა და ქალაქს მისი სახელი დაერქვა.
87. როლოპე და პემუსი – შეყვარებული დამბა, რომელნიც თავიანთ თავს იუპიტერსა და იუნოს ეძახდნენ. ამის გამო ღმერთებმა ისინი მთებად აქციეს.
90. პიგმეები – თრაკიაში მოსახლე ჯუჯათა გომი. მათი დედა გერანე იუნომ წეროდ აქცია (მღრ. „ილიადა“ II, 3-7).
96. ილიონი – გროა.
98. კინრასი – ასირიის მეფე, რომლის ასულებიც ქედმაღლობისათვის იუნომ თავისი ტაძრის კიბის ხარხებად აქცია.
103. მუნიელი – ლიდიელი არაქნი.
108. ასტრიე – გიგანტ კოსის ასული, ვინც იუპიტერმა მისი გროფობის უარყოფის გამო მწყურად გარდასახა.
109. ლედა – იუპიტერის მიერ გედად გარდასახული სატროფო, მშვენიერი ელენესა და დიოსკურების – კასტორისა და პოლიდეკესის (პოლუქსის) დედა.
111. ნიქტეისი – ბეოგიის მეფის ნიქტეუსის ასული ანგიოპე, რომელმაც იუპიტერისაგან შვა ტყუილი ძმები ტეგე და ამფიონი – თებუს კელის აღმშენებელნი.
112. გორითია – ალკმენე, ვინც იუპიტერს უშვა პერკულუსი.
113. აოპისი – ევინა, ვაკოსის დედა.
114. დეიოსი – ღმერთქალი კერესი (დემეტრე), ვისგანაც იუპიტერმა პრომეტეოპინა (პერსეფონე) გააჩინა.
117. ალოლუბი – ოგოსი და ეფიალტესი, რომლებიც ნეპტუნუსმა იფიმიდიასთან კავშირით წარმოშვა. ბისალტესი – თრაკიის მეფის, ბისალტესის ასული თეოფანე.
- 118-119. ნეპტუნუსისაგან თავის დასაღწევად ღმერთქალი კერესი (დემეტრე) ჰაკ ცხენად გარდაიხსა. ნეპტუნუსი უღაყად იქცა და სურვილი აღისრულა.
120. გელთებუა დედა – მელუმა. მელანთო – დეკალიონის ასული.

124. მაკარეისი – ლესბოსელი მაკარეისის ასული.

#### X წიგნისათვის

2. კიკონები – თრაკიის გომი.

9. დედოფალი – როდოპელი მეგონის, ორფეის ცოლი ვერიდიკე.

13. გენარონი – საიჭიოს კარი ლაკონიაში.

27-28. იგულისხმება საიჭიოს ღმერთის, პლეგონის მიერ კერესის (დემეტრეს) ასულის, პროზერპინას (პერსეფონეს) მოტაცება.

52. აეერნეს მინდორი – სულთა სამეფოს ველი.

69. ოლენოსია და ლეთეას ამბავი მხოლოდ აქ მოიხსენიება.

73. მენაევ – მოხუცი ქარონი, ვისაც მიცულებულნი თავისი ნაეთი სტიქსზე გადაჰყავს.

79. თევების წელი – იგულისხმება თევების მოღიაქოს წელი.

#### XI წიგნისათვის

8. კერთხი (hasta) – აქ იგულისხმება ბახუსისა და ბაკქელი ქალების ეპით მეფოთლილი კერთხი ანუ თირსუსი (thyrsus).

16. ბერეკინთული რქა – ფრიგიული საღაპური.

22. მენადები – ბაქქესის ქურუმი ქალები (ბაკქელები).

51. პებრუსი – მდინარე თრაკიაში (აწინდელი მარიყა).

#### XIII წიგნისათვის

24. აიაქსის მამა გელამონი კოლხეთში მოლაშქრე არგონავტთა შორის იყო.

38. ნაეპლიადესი – ქალამედესი, ვინც ულისე (ოდისეისი) ტროას ომში წამოიყვანა.

45. ჰეასის ძე – ფილოქტეტესი, რომელიც გელმა დაკბინა და ულისეს (ოდისეისის) რჩევით ბერძნებმა კუნძულ ლემნოსზე დატოვეს.

58-122. გელამონის ძე აიაქსი, რომელიც აქილეესის იარაღს თხოულობს თავის საგმირო საქმეთა წილ, ჩამოთვლის ულისეს ეერაგულ მოქმედებათ და აცნინებს მის ღვაწლს ტროას ომში.

107. დულიქიელი – ულისე (ოდისეისი). დულიქია კუნძულია ითაკასთან.

110. სამყაროს ხაგით მოოქვილი ფარი – ეულკანუსის (პეფესტოს) მიერ ნაკეთები აქილეესის ფარი (იხ. „ილიადა“ XV III).

124. ლაერტიუსი – ლაერტესის ძე ულისე (ოდისეისი).

147. კილენუსი – მერკურიუსი, რომლის ძეც ატოლიკუსი ულისეს (ოდისეისის) დედის ანტიკლას მამა იყო.

162-169. ღმერთქალმა თეტიმმა (ნერეისმა), გროამი რომ არ წაეყვანათ, აქილეესს ქალის საშობი გადაეცა და კუნძულ სკიროსზე გადაშალა მუყე ლიკომედესთან. აქილეესი ულისემ მოძებნა, გამოამადაუნა და ომში წაიყვანა.

216. იხ. „ილიადა“ II, 48 შმდც.

274. აქტორიდე – აქილეესის მეგობარი პატროკლოსი.

335. დარდანიელი მისანი – პრიამუსის უფროსი ვაჟი, წინასწარმეტყველი ჯელნოსი.

395. ებალიუსი – პიაკინთუსი.

397-398. იგულისხმება: თითქოს პიაკინთუსის ფოთლებზე გამოსახულია ორი ასო – Ai (ჩვილის შორის-ღებული და აიაქსის სახელის დასაწყისი მარცხალი).

*თარგმნა ნანა ტონიამ*

## შასტები

### II წიგნი

(725 – 832)

- 725 ტარკინიუსი, უფლისწული მეგობრებს იწვევს, თავადვე არის თამადა სუფრის.  
„ხედავთ? გაგრძელდა. – ეუბნება – ომი არღვას, ღმერთებს ვერ ვწირავთ საჭურველს ჩვენსას. ნეტავ ვიცოდეთ, თუ ვახსოვართ ამ დროს ჩვენ ცოლებს, ვის ზედაც ფიქრი აქ არ გვასვენებს“.
- 730 ატყდა გნაისი. ყველამ ცოლის დაიწყო ქება.

- დვინომ გული და ენაც აუხსნა.  
წამოდგა ბოლოს კოლატინუს, სახელოვანი  
თქვა: „სიტყვით კი არ, საქმით დავრწმუნდეთ.
- 735 მოვასხდეთ ცხენებს და ცისკრისას ჩავაღწევთ ქალაქს“.  
შეთანხმდნენ უმაღლეს, შეკაზმეს რაშნი,  
სწრაფად გასწიეს, მიაშურეს მეფის სასახლეს.  
არ ჩანს კარებთან მცველი არაეინ.
- 740 აი, იხილეს მეფის რძალი დვინის ფიალით,  
ყელს უმშვენებდა მას ყვაილწნული.  
შემდეგ ეახლნენ ლუკრეციას, საწოლთან ედგა  
კალათი, სავსე მატყლის გორგლებით.  
მსახურნი ქალნი მიმქრალ შუქზე საქმიანობდნენ,  
ის კი ნაზი ხმით მათი ამხნევებდა:
- 745 „მაშ, დაუჩქარეთ, გოგოებო, ეს მოსასხამი  
ბატონს სასწრაფოდ რომ გაუეზზავნოთ.  
მითხარით, ომზე რა გსმენიათ, თქვენ ყურს მოკრავდით,  
გაგრძელდება თუ მორჩება მალე?  
დროა, არღა, უძლიერესს დანებდეს სუსტი,
- 750 მან დაგვაშორა ჩვენს მეუღლეებს.  
ოღონდ დაბრუნდნენ... ჩემი ქმარი ხმალოწვილილი,  
შლეგივით ყველა ფათერაკს ებრძვის.  
რომ წარმოვიდგენ ბრძოლის სურათს, ვგიჟდები, ვკვდები  
მკერდში ლოდივით ცივდება გული“.
- 755 თვალცრემლიანმა დაჭიმულ ძაფს ხელი გაუშვა  
და სახე ჩარგო მან ღრმად კალთაში.  
ესეც ამშვენებს, კდემამოსილს ცრემლებიც ამკობს  
და სახეც მის სულს ესადაგება.  
„ნუ შიშობ, აქ ვარ“ – ქმრის სიტყვები მოესმა უცხად.
- 760 ქალი გაცოცხლდა, ქმარს მოეხვია.  
ამის შემყურე მეფის შვილი გახელდა ვნებით.  
ტრფობამ გონება მთლად დაუბნელა,  
ქათქათა ტანი ხიბლავს, ქალის ოქროს დაღალნიც  
და ბუნებრივი მშვენიერება.
- 765 ხმა, საუბარიც... სილამაზე მიუწვდომელი,  
უიმედობა ადაგზნებს უფრო.  
იყივლა უკვე განთიადის მაუწყებელმა  
და ჭაბუკები დაბრუნდნენ ბანაკს.  
ქალის სახება ტარკინიუსს აღარ ასვენებს,
- 770 უფრო და უფრო ხელდება ვნებით.  
ხედავს მჯდომარეს, ხანაც ყელზე დალაღჩამოშლილს,  
ხანაც საქსოვთან, ხან კი – მოკაზმულს.  
ხან ქალის მზერა ელანდება, ტურფა სახე და  
ნაკეთები მწყობრი; მისი ხმაც ესმის,
- 775 როგორც ზღვის ტალღა გრიგალს ძლიერს გაუყურდება.  
მაგრამ ქარისგან კვლავ აზვირთდება,  
ასე იმპლავრა მასში ვნებამ, თუმცე ვედარ ხედავს  
იმ სილამაზეს, რამაც მოხიბლა.  
ვერ უმკლავდება უღირს გრძნობას, წმინდა სარეცლის

- 780 შებღალვის სურვილს გულში ჩაიდებს.  
„თუმც წარმატება მეეჭვება, გაზედავ, ვნახოთ,  
ბედი მიშველის თამამს ან ღმერთი.  
გაბედულებით დავლაშქრეთ გაბი“ – ეს წარმოთქვა  
და რაშს მოახტა ხმალშემორტყმული.
- 785 ბრინჯაოს ჭიშკარს კოლატია გაუღებს ჭაბუკს.  
მზე სადაცაა ჩაესვენება.  
კოლატინუსის სახლში მისულს, მტერს მოყვრის სახით,  
იღებენ თბილად, როგორც ახლობელს.  
უბედურებას ვერ გრძნობს ქალი, იოლად ცდება,
- 790 სადილს უმზადებს თავისსაკე მტერს.  
დასრულდა ღზინი და დრო დადგა მოსვენებისა,  
ღამე ჩამოწვა, ჩაქრა სანთლები.  
ღამის სტუმარი სათნო ქალის ოთახს შეაღებს  
და ხმალს დააძრობს, ოქროსვადიანს.
- 795 საწოლთან მიდის: „ლუკრეცია, შეხედე მახვილს,  
მეფისწული ვარ ტარკინიუსი“.  
ქალი, შემკრთალი ხმას ვერ იღებს, ძალა არა აქვს,  
არ იცის, რა ქნას, როგორ მოიქცეს,  
კანკალებს მხოლოდ ვით ბატკანი, მშვიერი მგლის წინ
- 800 მარტო, საძოვარს შემორჩენილი.  
რა ქნას? ებრძოლოს? დამარცხდება, ქალია რადგან,  
იყვიროს? ხმალი არ დაანებებს.  
გაიქცეს? უკვე შემოეჭლო ხელები მკერდზე,  
პირველად არის უცხო მკლავებში.
- 805 მტერი არ უშვებს, აღზნებული რას არ კპირდება,  
თხოვს, ემუქრება: ვერ შეძრა ქალი.  
„ამაოდ მებრძვი“ – უთხრა. „მოგკლავ, თანაც მრუშობას  
დაგწამებ ბრალად, მონას დაგაკლავ,  
წაგასწრეს ვითომ მასთან ერთად“. ამ ხერხმა გასჭრა,
- 810 დამფრთხალი ქალი მოეშვა უცებ:  
რა გიხარია გამარჯვება? იგი გიმსხვერპლებს.  
ეს ღამე მთელს შენს სამეფოს მოსპობს“.  
გათენდა უკვე, თმაგაწეწილი, როგორც დედა,  
შვილზე მტირალი და მგლოვიარე.
- 815 იხმობს ბრძენ მამას ბანაკიდან, ერთგულ მეუღლეს,  
არ დაახანეს, მოვიდნენ წამსვე.  
როცა იხილეს ასეთ დღეში, კკითხეს საბაბი  
მწუხარებისა, ვის გლოვობს ასე.  
ხმას არ იღებდა დიდხანს, სახეს შალავდა კრძალვით.
- 820 ნიაღვარივით დიოდა ცრემლი.  
კურცხალს უწმენდნენ – ხან მამა და ხანაც მეუღლე,  
ტირიან, შიშით კკითხავენ მიზეზს.  
სამჯერ ეცადა წამოეწყო და ვერ გაბედა,  
მეთხევერ კი თავჩაქინდრულმა
- 825 უთხრა: „გაგიმხელთ, თუ რა გმართებთ ტარკინიუსის,  
ჩემს შერცხვენაზე გიამბობთ თავად“.  
დაიწყო თხრობა, გაუჭირდა, ცრემლები წასკდა

და აეფაკლა სირცხვილით სახე,  
მამა და ქმარი ამშვიდებდნენ ძალადობის მსხვერპლს,  
830 მაგრამ ქალს არ სურს, თავს აპატიოს.  
მახვილს დააძრობს და დაიცემს ანაზღად მკერდში,  
მამის ფეხებთან ეცემა მკვდარი.

### შენიშვნები

- 725 გარკინიუსი (სექსტუსი) – რომის უკანასკნელი მეფის, გარკინიუსის შვილი.  
727 არდეა – რუგულების ქალაქი, რომის საზღვრით.  
728 რომაელები გამარჯვების შემდეგ ღმერთებს სწირავენ საჭურველს.  
733 კოლაგინუსი – ლუკრეციას ქმარი.  
783 ვაბი – ქალაქი ლაციუმში.  
785 კოლაგია – საბინების ქალაქი, რომის აღმოსავლეთით.

*თარგმნა იამზე გაგუამ*



# ტიტუს ლივიუსი

(ძვ.წ. 59 – ახ.წ. 17)

ლივიუსი ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ პატავიუმში (თან. პადოვა) ძვ.წ. 59 წელს დაიბადა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ რომს მიაშურა და მალევე დაუახლოვდა ოქტავიანუს ავგუსტუსს. ტიტუს ლივიუსს არასდროს მოჰკლებია პატივისცემა და თაყვანისცემა ავგუსტუსის შტრიდან, რომელმაც ტიტუსს მომავალი იმპერატორის, კლავდიუსის განსწავლა მიანდო.

ლივიუსი თავდაპირველად ფილოსოფიით იყო გატაცებული, მოგვიანებით იგი ისტორიით დაინტერესდა და დაახლოებით ოცდაათი წლის ასაკში შეუდგა „რომის ისტორიის“ თხზვას. ლივიუსის ნაშრომის მუსტი სათაური ცნობილი არაა, თეად ავტორი მას უწოდებს „ანალებს“, პლინიუს უფროსი – „ისტორიას“, ხოლო ჩვენამდე მოღწეული სხვა წყაროები (კეინტილიანუსი, ტაციტუსი) – „თხრობათა წიგნებს დასაბამითგან ქალაქისა“) ნაშრომი, როგორც გადმოგვცემენ, 142 წიგნს მოიცავდა. ჩვენს დრომდე შემორჩა მხოლოდ 1-10 და 21-45 წიგნები. ასევე ნაწყვეტები სხვა წიგნებიდან. თითოეული წიგნი 23-50 თავისაგან შედგება.

სხვა ნაწარმოებები, რომელთა შესახებაც წყაროები მიუთითებენ (ისტორიულ-ფილოსოფიური ხასიათის დიალოგები და სხვა ფილოსოფიური ნაშრომები), დღესდღეობით დაკარგულია. ლივიუსის ნაშრომის მიზანი რომის განდიდებაა, წინაპრების გმირობით და მაღალი მწეობით აღტაცება. ეს სულისკვეთება ზოგადად ავგუსტუსის პოლიტიკისთვის იყო ნიშანდობლივი.

ლივიუსი როგორც ისტორიოგრაფოსი მხატვრულ-დიდაქტიკური მიმართულების წარმომადგენელია. მისთვის ნაკლებადაა საინტერესო ფაქტების ისტორიული კვლევა (თუმცა ორიოდე შემთხვევაში ლივიუსი ცდილობს ლოგიკური მსჯელობით ჭეშმარიტებასთან მიახლოებას), ავტორი მეტ ყურადღებას უთმობს მოვლენათა მორალურ ღირებულებებს.

ლივიუსი არჩევს იმ ისტორიულ მომენტებს, რომელთაც აქვთ უფრო მეტი ემოციური და მხატვრული გამომსახელობა, დინამიზმი. ეს მის ნაშრომს აქეცს მღელვარებით აღსავსე თხრობად, რომელშიც მეტია ლეგენდა, ვიდრე ისტორიული ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული სინამდვილე ლივიუსს სუბიექტურად აქვს აღქმული, სწორედ ეს სძენს მის ნაშრომს მხატვრულ ღირებულებას.

ანთოლოგიაში მოგვყავს ნაწყვეტები ლივიუსის ისტორიის I წიგნიდან, რომელშიც მოთხრობილია რომის ისტორიის უძველესი პერიოდის – მეფეთა ეპოქის ამბები.

### თარგმანი:

ტიტუს ლივიუსი, ისტორია, I წიგნი. თარგმანი და კომენტარები ვიორჟი უკულაეასი.

## თხრობათა ნიშნები დასაბამითგან ქალაქისა

### შესავალი

მუსტად არ ვიცი, ღირსეულად აღვწერ თუ არა რომაელი ხალხის ისტორიას ქალაქის დაარსებიდან და რომე ვიყოლე, მაინც ვერ გაებედავი ამის თქმას, რადგან ვხედავ, რომ ეს უკვე ძველი და ჩვეულებად ქეული წამოწყებაა და ახალ მწერლებსაც სჯერათ, რომ შეძლებენ მოვლენების გადმოცემისას მიუახლოვდნენ ჭეშმარიტებას ანდაც წერის ხელოვნებით გადააჭარბონ წარსულის უხემ ქმნილებებს. ასე თუ ისე სასიხარულოა, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში გადმოვცე სამყაროში უძლიერესი ხალხის წარმატებები. ხოლო თუკი ამ მრავალრიცხოვან მწერალთა შორის ჩემი სახელი შეუმჩნეველი დარჩება, მე დამამშვიდებს მათი სიდიადე და დიდგვაროვნება, რომელთა ღვაწლიც ჩემსას აღემატა. გარდა ამისა, ეს საქმე უმარმაზარ შრომას მოითხოვს, რადგანაც შეიდას წელზე მეტი ხნის

ისტორიის დაწერილებით შესწავლას საჭიროებს. რომი, თავდაპირველად ძალიან მცირედან აღმოცენებული, ახლა საკუთარ სიდიადეზე მზუნავს.

უკველაა, რომ თხრობა ქალაქის დაარსებისა და მის შემდგომ ამბებზე ჩითხველთა უმრავლესობას ღიდ სიამოვნებას მოუტანს და აჯობებს კიდევ ამბებს ახალი დროისა, როდესაც უკვე ღიდი ხნის განმავლობაში ზედმეტად გაძლიერებული ძალები თავისთავისეე განადგურებას იწყებენ. მე კი პირიქით, იმას მივესწრაფი ჩემი შრომით, რომ თუნდაც ცოგა ხნით ვადაერთო წარსულში და აღარ მიეაქციო ყურადღება იმ უბედურებას, რომლის მოწმეე ამღენი წელი იყო ჩენი თაობა და გაეთავისუფლდე იმ საზრუნავთაგან, რომლებიც თუკი არ გადაახვეინებენ მწერალს ჭეშმარიტებიდან, მისი სულის სიმშვიდეს მანც დაარღვევენ. ქალაქის დაარსებამდე ან კიდევ უფრო ადრე მომხდარი ამბების გადმოცემა პოეტების საქმე უფროა, ვიდრე დაუმახინჯებელი ისტორიისა და მე არ ვაპირებ მოვლენუბის არც უარყოფას და არც დადასტურებას. ძველი ამბებისთვის ნებადართულია ღეთორისა და ადამიანურის აღრევა და ქალაქის დაარსებათა განღიდება. თუკი რომელიმე ხალხისთვის შესაძლებელია საკუთარი წარმომავლობის ღმერთებთან დაკავშირება, იღუნად ღიდი რომაელთა საომარი ღიდება, რომ საკუთარი დამაარსებლის მშობლად თვით მარსიც რომ დაასახელონ, ადამიანთა მოღგმა ამას ისეეე მოითმენს, როგორც მათ ბაგონობას იგანს. თუმცა, როგორც არ უნდა აქცევენენ ყურადღებას და განიხილავდენ ასეთ რაღაცებს, მე მათ ღიდ მნიშვნელობას მანც არ ვანიჭებ. უფრო მეტად მომწონებოდა, რომ თითოეული დაინტერესდეს როგორი იყო მაშინღელი ცხოვრება, წეს-ჩეეულები და როგორ ადამიანებსა და რა ქმედებებს ომისა თუ მშვიდობის დროს უნდა უმაღლოდეს იმპერია თავის წარმომობას და გაძლიერებას და თითოეულმა ყურადღება მიაქციოს, თუ როგორ შეირცა მნეობა და შეირყენა ისე, რომ ახლანღელ მღგომარეობამდე მივიღა, როდესაც ჩენი მანიერებებისგან განკურნება შეუძლებელია. წარსული ამბების გაცნობის დროს ყველაზე სასარგებლო და ნაყოფისმომგანი ის არის, რომ ჭკუის სასწაელებელ მგალითებს ჭერეგ. იქ მენც და მენი სახელმწიფოეე ნახაეთ, რას მიბაძოთ და რას თაეე აარიღოთ – სამიზღარი დასაწყისი და სამიზღარი დასასრული. ან ჩემ მიერ გვირთული საქმის სიყვარული თავგმას მიხნეეს ან კი მართლაც არ არსებულა ამაზე მეტად ღიდი და ქეელი მგალითებით აღსაესე სახელმწიფოე, სადაც სიხარბემ და ფუფუნებაშ ასე გვიან მოიკიდა ფეხი და სადაც ასე ხანგრძლივად აფასებდენ სიღარიბესა და უბრალოებას. რაც უფრო ნაკლები იყო ფუფუნება, კლებულობდა სიხარბეე. სულ ცოგა ხანია, რაც სიმღიდრემ თან მოიგანა სიამაყე, მოჭარბებულმა სიამოვნებებმა კი – მზადყოფნა იმისა, რომ ნებისმიერი დაღუპონ ენებების გამო. თუმცა არ ღირს შრომის დაწყება იმ რჩეებით, რომლებიც აუცილებლობის შემთხვეეამიც კი არასასიამოვნოა მოსასმენად. უმჯობესია, დაეიწყოთ კეთილი ნიშნებითა და აღთქმებით ან როგორც პოეტებს ჩეევიათ, ღმერთებისა და ქალღმერთებისაღმი მიმართოთ, რათა მათ მიავგონ დასაწყისის წარმატებული დასასრული.

## წიგნი I

(I) თაეიდანეე ყველასთვის საკმარისად კარგად ცნობიღია, რომ გროას<sup>1</sup> ალების შემდეგ დამარცხებულ გროელებს დაუნდობლად მოექნენ, მხოლოდ ორ მათგანს–ენასსა<sup>2</sup> და ანგენორს<sup>3</sup> არ გაუსწორდენ გამარჯვებული აქველები<sup>4</sup> ომის უმოწყალო კანონების მიხედვით და ღინდეს ისინი სტუმართმოყვარეობის უძველესი წესისა და იმის გამო, რომ ენეასიცა და ანგენორიც მუღამ ზაეისა და ელენეს<sup>5</sup> დაბრუნების მომხრენი იყენენ.

სხვადასხვა მიმებთა გამო ანგენორი წავიდა აღრიაგის ზღვის ყველაზე შიდა ყური-საკენ პაფლაგონიღან აჯანყებით გამოძეეებულ ენეგებთან<sup>7</sup> ერთად, რომლებმაც, ამასთან ერთად მეფე პილემენესი გროასთან დაკარგეს და ახლა ახალ საცხოვრებელ ადგილებს ეებდენ. განღენიღმა ენეგებმა და გროელებმა კი დაიკავეს ხმელთაშუა ზღვასა და აღკებს შორის მცხოვრები ევგანების მიწები. იმ ადგილს, სადაც პირველად გადავიდენენ ხმელეთზე და მთელ იმ მიღამოს, სახელად – გროა, მთელ გომს კი ენეგები ეწოდათ.

მსგავსი უბედურებითვე სამშობლოდან გაქცეული ენეასი კი ბედმა უფრო დაიღი საქმეუბის აღსასრულებლად წაიყვანა. თავდაპირველად იგი მაკედონიაში მივიდა, შემდეგ სიცილიაზე, სადაც ადგილს არჩევდა საცხოვრებლად, სიცილიიდან კი ფლოგიით ლაერენგიუმის<sup>8</sup> მიწისაკენ გაემურა და ამ ადგილსაც ასევე ტროა ეწოდა. იქ ხმელეთზე გადმოსულმა ტროელებმა, რომლებსაც დაუსრულებელი ხეგიალის გამო იარაღისა და ხომალდების მეტი თითქმის აღარაფერი დარჩენოდათ, ნადავლად საქონელი წაიყვანეს. მეფე ლაგინუსი, რომელსაც მამინ ეს მიწები ეყურა, და იქაური მცხოვრებლები ქალაქიდან გამოვიდნენ მტრის საკუთარი მიწებიდან იარაღის ძალით გასაძეებლად, შემდეგ კი მათ ამაზე ორნაირად ყვებიან: ერთნი გადმოგვეყვან, რომ ბრძოლაში დამარცხებულმა ლაგინუსმა ენეასთან ბავი დადო და დაუნათესავდა კიდევ, მეორენი კი ამბობენ, რომ როდესაც საომრად გამზადებული ჯარები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და ბრძოლის დაწყების ნიშანს ელოდნენ, მეფე ლაგინუსი გამოეყო სხვა დიდგვაროვნებს და მტრის წინამძღოლს სასაუბროდ მოუხმო. გამოჰკითხა, თუ ვინ იყენ, რა მიზეზით დაგოვეს სამშობლო და რა სურდათ ლაერენგიუმის მიწებში. ხოლო შემდგომ მოისმინა რა პასუხი, რომ ისინი ტროელები იყვნენ, მათი წინამძღოლი ენეასი, ანქისესა<sup>9</sup> და ენუსის<sup>10</sup> შვილი, სამშობლოს გადაწვამ სახლიდან გამოაქცია და ახლა ქალაქის დასაარსებლად ადგილს ეძებდნენ, განცივდნენ და ამ ხალხისა და მისი მეთაურის დიდებულებითა და სულის ძლიერებით, მზადყოფნით, როგორც ომის, ისევე მშვიდობისთვის და ლაგინუსმა ხელი მისცა ენეასს მომავალი მეგობრობის ნიშნად. ასე დაიდო წინამძღოლთა შორის კავშირი, რომელიც ლაგინუსმა ღმერთი-პენატების<sup>11</sup> წინაშე კიდევ უფრო გაამყარა, ცოლად მისცა ენეასს თავისი შვილი და ოჯახითაც დაუახლოვდა. ამ ამბავმა ტროელებს იმედი განუგმტყია, რომ მათ ხეგიალს ბოლო მოეღო და დააარსეს ქალაქი, რომელსაც ენეასმა ცოლის სახელის მიხედვით ლავინიუმი უწოდა. მალევე მათი ქორწინების შედეგად ვაჟი დაიბადა, რომელსაც მშობლებმა ასკანიუსი დაარქვეს.

(2) შემდეგ ტროელებსაც და იქაურ მოსახლეობასაც ომი დააგყდათ თავს. ტურნუსი, რუგულეთა<sup>12</sup> მეფე, ენეასის მოსვლამდე ლავინიაზე იყო დანიშნული. მან უცხოგომელის მასზე წინდაყენება წყენად მიიღო და ენეასსაც და ლაგინუსსაც ომი გამოუცხადა. არც ერთი მხარე ამ ბრძოლიდან გამარჯვებული არ გამოსულა. რუგულელები დამარცხდნენ, ხოლო გამარჯვებულმა ტროელებმა და ადგილობრივებმა კი მეთაური, მეფე ლაგინუსი დაკარგეს. დამარცხებული და სასოწარკვეთილი ტურნუსი და რუგულელები ვითარების გამოსასწორებლად ეტრუსკებთან<sup>13</sup> და მათ მეფე მეზენციუსთან გაიქნენ, რომელიც მამინ მდიდარ ქალაქ კერეს მართავდა და თავიდანვე უმეყოფილო იყო ახალი დასახლების წარმოშობით. მეზენციუსი მიიჩნევდა, რომ ტროელთა მდგომარეობა და გაუღენა იზრდებოდა იმაზე უფრო მეტად, ვიდრე საკმარისი იყო მეზობელთა უსაფრთხოებისთვის და რუგულელებთან სამხედრო კავშირი ბევრი ფიქრის გარეშე დაამყარა. მომავალი ომით შეუქრინებულმა ენეასმა ადგილობრივ მოსახლეობასთან კავშირის განსამტკიცებლად გადაწყვიტა, რომ ტროელებსაც და იგალიის ბინადართაც არა მარტო ერთიდაიგივე კანონები, არამედ საერთო სახელიც უქონოდათ და ორივე გომს ლათინები უწოდა. ამის შემდეგ ადგილობრივი ტროელებს არც ერთგულებითა და არც მუყაითობით არ ჩამორჩებოდნენ. ენეასმა გაართიანა რა ორი დიდი ხალხი, მეძლო ძალით ეტრუსკებთან გაგოლება, რომელთა სახელი ქუხდა მთელს იგალიაში, ალპებიდან სიცილიის სრუტემდევე როგორც ხმელეთსა, ასევე მღვამე. ენეასს შეეძლო ქალაქის კედლებში გამაგრება და მტრის მოგერიება, თუმცა ჯარი ღია ბრძოლაში გამოიყვანა და ეს ბრძოლა ლათინებისთვის წარმატებული გამოდგა. მაგრამ ეს მისი უკანასკნელი ადამიანური საქმე იყო. იგი (დაე, უწოდეთ მას, ენებათ ღმერთი და ენებათ ადამიანი) დაკრძალეს მდინარე ნუმიკუსის<sup>14</sup> ზემოთ და სახელად უბოზენ მას „მშობლიურ იუპიტერს“.

(3) ენეასის შვილი ასკანიუსი ჯერ მცირეწლოვანი იყო ძალაუფლების მისაღებად და მამა-პაპის ძალაუფლება ლავინიას მეშვეობით სრულიად ხელშეუხებელი დარჩა მის გამრდამდე. არ ვიკამათებ, ვინ ადასტურებს ასე ძველ ამბებს, იყო კი ეს ნამდვილად ასკანიუსი თუ მისი უფროსი ძმა, კრეუსას<sup>15</sup> ვაჟი, ჯერ კიდევ ილიონის<sup>16</sup> დანგრევამდე მო-

ბილი, რომელიც მამას თან გაჰყვა გაქცევის დროს? თუმცა მას იულიუსების<sup>17</sup> გვარი საკუთარი მოდგმის დამაარსებლად მიიჩნევს და სახელად იულიუსს უწოდებს. ამ ასკანიუსმა, სადაც და ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო დაბადებული (ჭეშმარიტად ვიცი მხოლოდ ის, რომ მამამისი ენეასი იყო), მოსახლეობის სიმრავლის გამო დატოვა მდიდარი და აყვავებული ქალაქი ლავინიუმი, მიატოვა დედა თუ დედინაცვალის და ალბანოს მთასთან ახალი ქალაქი დააარსა. ეს დასახლება მდებარეობდა მთის შემადგენლობაზე და მას წაგრძელებული ფორმის გამო ეწოდა ალბა-ლონგა. ლავინიუმის დაარსებასა და ასკანიუსის ალბა-ლონგაში წასვლას შორის დრო დაახლოებით 30 წელი იყო. ლათინები იმდენად გაძლიერდნენ ეტრუსკების დამარცხების შემდეგ, რომ მას მერეუკი, რაც ენეასი გარდაიცვალა და სანამ ბავშვი დედის მეურვეობით მართავდა ქვეყანას, არც მემენციუსსა და ეტრუსკებს და არც სხვა მემობლებს არ გაუბედავთ მათთან ომის დაწყება. ზავის პირობების მიხედვით, მდინარე ალბულა, რომელსაც ახლა ტიბერისი<sup>18</sup> ჰქვია, ლათინებსა და ეტრუსკებს შორის საზღვარი უნდა ყოფილიყო. ასკანიუსის შემდეგ მეფობდა მისი ვაჟი სილეიუსი – რაღაც შემთხვევითობით გყვმი დაბადებული. სილეიუსის შემდეგ გამეფდა მისი შვილი-ენეას სილეიუსი, შემდეგ კი ლაგინუს სილეიუსი, რომელმაც ალბა-ლონგაში ჩამოასახლა ძველ ლათინებად წოდებული კოლონისტები. მოგვიანებით სილეიუსების სახელი ეწოდა ყველას, ვინც ალბა-ლონგაში მეფობდა. ლაგინუსის მეფობას მოჰყვა ალბას მეფობა, ალბას – აგისის. აგისი – კაპისის, კაპისი – კაპეტუსის, ხოლო კაპეტუსის შვილი კი იყო მდინარე ალბულაზე გადასვლის დროს დამხრჩვეალი ტიბერინუსი, ვის მიხედვითაც დაერქვა მდინარეს მისი უკვე საყოველთაოდ ცნობილი სახელი. ტიბერინუსის შვილი იყო აგრიპა, ხოლო აგრიპამ მეფობა გადასცა თავის შვილ რომულუს სილეიუსს. რომულუს სილეიუსს მეხი დაეცა და იგი დაკრძალეს იმ ბორცვზე, რომელიც დღეს ქალაქ რომის ნაწილი არის და სახელიც მის მიხედვით დაერქვა. ამას მოჰყვა ავენტინუსის მეფობა, შემდეგ კი – პროკას, ვისი ვაჟები იყვნენ ნუმიტორუსი და ამულიუსი. სილეიუსების გომის მეფობა მამამ უფროს ვაჟს, ნუმიტორუსს უანდერძა, მაგრამ ამულიუსმა მამის სურვილსა და უფროსის პატივისცემაზე წინ ძალადობა დააყენა, გააძევა ძმა და თავად გამეფდა. შემდეგ კი ერთ დანაშაულს მეორე დაუმატა და ჯერ ძმის მამრობითი შთამომავლობა გაანადგურა, მისი ქალიშვილი რეა სილეია კი ვითომდაც საპატიო მიზეზით ვესტას<sup>19</sup> ქვრუმ ქალად აირჩია და სამუდამო ქალწულობის აღთქმით შეიღის დაბადების იმედი წაართვა.

(4) მაგრამ, როგორც ვფიქრობ, ბედმა განსაზღვრა იმ ქალაქის დაარსება, რომლის ძღვევამოსილებაც პირველობას მხოლოდ ღმერთების ძალაუფლებას დაუთმობდა. ვესტას ქვრუმ ქალზე ძალა იხმარეს და მან გყვმი ვაჟი გააჩინა. ქალმა დამნაშავედ ომის ღმერთი მარსი დაასახელა, ან თავად მართლაც ასე სწამდა და ან კი გადაწყვიტა, რომ ბავშვების მამად მარსის დასახელებით მისი საქციელი ნაკლებად უღირსი გამოჩნდებოდა. თუმცა ვერც ღმერთებმა და ვერც ადამიანებმა ვერ შეძლეს ვერც თავად მისი და ვერც მისი შთამომავლობის მეფის სისასტიკისგან დახსნა. მისანი ქალი შეიპყრეს და მცველებს გადასცეს, ხოლო მისი შვილები კი, მეფის ბრძანებით, მდინარეში უნდა ჩაეყარათ. ღვთის განცხადებით ტიბერისი აღიდა და ნაპირებიდან გადმოვიდა, ამდენად მდინარის ნაპირებთან დამდგარი წყლის გამო კი შეუძლებელი იყო ბავშვების ჩასაყრელად მდინარის კალაპოტთან მიასხლება. მათ, ვინც ბავშვები იქ მიიყვანეს, იმედი ჰქონდათ, რომ ისინი მღორე წყალშიც დაიხრჩობოდნენ. შეასრულეს მეფის ბრძანება და გყვები დატოვეს უახლოეს ყურეში, იქ სადაც ახლა რუმინალისის<sup>20</sup> ფიკუსი დგას, როგორც გადმოგვცემენ, უწინ ეს ხე რომულუსისად იწოდებოდა. მაშინ ეს ადგილები უდაბური და უკაცრიელი იყო. ამბობენ, რომ როდესაც წყალი დამრა, მოტივტივე ვარცლი, რომლებშიც ბავშვები ისხდნენ, ხმელეთზე გაჩერდა. იქვე მოხეტიალე, მწყურვალე ბუ მგელმა მათ გირილეს ყურადღება მიაქცია, მიუახლოვდა, მუშუ მოაწოვა და ენით ალოკა. სამეფო ჯოჯის მომვლელმა, რამდენადაც ვიცი მისი სახელი იყო ფაუსტულუსი, იპოვა ბავშვები და ისინი გასაზრდელად თავის ცოლ ლარენციას გადასცა. არიან ისეთებიც, ვინც ფიქრობს, რომ ლარენციას მწყემსები „ბუ მგელს“ ეძახდნენ, რადგანაც მას ბევრ კაცთან ჰქონდა კავშირი და აქედან დაედო სათავე ამ საოცარ ამბავს. გყვები ისე იზრდებოდნენ, რომ როგორც კი ასაკი მოემატათ, არ უკადრისობდნენ საძოვარზე და

საქონელში წასვლას, ნადირობდნენ გყეებში და სხეულითა და სულით იმდენად გაძლიერდნენ, რომ არამარტო გარეულ მხეცებს, არამედ ყაჩაღებსაც ესხმოდნენ თავს, ართმეედნენ მათ ნადავლს, რომელსაც შემდეგ მწყემსებთან ერთად ინაწილებდნენ. გყუპების რაგში დღითიდღე იმრდებოდა.

(5) როგორც ვადმოგვცემენ, პალაგინუმის ბორიყებე ჯერ კიდევ მამინ იმართებოდა ლუ პერკალიების<sup>21</sup> დღესასწაული, რომელიც ახლაც არსებობს. ბორიყეს კი სახელი ეწოდა არკადიული<sup>22</sup> ქალაქის პალანტეას მიხედვით და ეძახდნენ ჯერ პალანტიუმს, შემდეგ კი პალატიუმს. არკადიელმა ევანდროსმა, რომელსაც ეს ადგილები დიდი ხნით ადრე ეკავა, არკადიიდან ვადმოგანა და დაადგინა სადღესაწაულო წეს-ჩვეულებები, რომელთა მიხედვითაც მიმევლ ახალგაზრდებს ვართობითა და მხიარულებით უნდა მოეცოთ ლიკეუმელი პანის<sup>23</sup> გული, ვისაც შემდგომში რომაელები ინუსს უწოდებდნენ.

ეს თამაშები საყოველთაოდ იყო ცნობილი და გყუპებზე მონაწილეობდნენ მასში. ნადავლის დაკარგვით ვანრისხებული ყაჩაღები ჩავსაფრდნენ მოთამაშე ბიჭებს, რომულუსმა მოახერხა თავის დაცვა, რემუსი კი შეიპყრეს, მეფე ამულიუსს ვადასციეს და თვითონვე დასდეს ბრალი. მათი სიგყეებით, მისი დანაშაული ის იყო, რომ სხვა ახალგაზრდებთან ერთად თავს ესხმოდა ნუმიგორუსის მიწებს, მგრულად იქეოდა და იგაცებდა მის საქონელს, ამიგომაც იგი დასასჯელად ნუმიგორუსს ვადასციეს. ფაუსტულუსმა იყოდა რა მეფის ბრძანება ბავშვების თავიდან მოშორების შესახებ, იმ დროს, როდესაც მან იპოვა და თავისთან მიიყვანა ისინი, იმთავითვე ეჭვობდა, რომ მეფის შთამომავლობას ვრდიდა. თუმცა სურდა ამ ამბის შესაფერის დროს ვამეღანება, მხოლოდ შემთხვევის ანდაც აუცილებლობის ვამო და არა უფროს ადრე. შეიქმნა-რა შესაფერისი ვარემოება, შემინებულმა ყველაფერი რომულუსს ვაუმხილა. ნუმიგორუსმა შეიპყრობილ რემუსს დაცვა მიუჩინა, მან შემთხვევით შეიგყო გყუპი-ძმების შესახებ, დაუფიქრდა მათ ასაკსა და დაუმორჩილებელ, არამონურ ხასიათს და გულზე მოხედა მოგონება შეილიშვილებზე. ვამოიკვლია-რა მან ეს ამბები, შორს აღარ იყო იმ ამრისგან, რომ რემუსი შეილიშვილად ეცნო. და ასე მეფის ვარშემო ცბიერებით შეიკერნენ. რადგანაც ძალები თანაბარი არ იყო, რომულუსმა ერთიანად არ შეკრიბა თავისი რაგში, არამედ უბრძანა მწყემსებს მეფის სასახლესთან ცალცალკე შეგროვილიყენენ მუსგად დათქმულ დროს და ასე დაესხა მეფეს თავს. მამე დროს დაეხმარა მას ნუმიგორუსის სახლიდან წინასწარ მომზადებული ჯგუფით წამოსული რემუსი და ამგვარად მოკლეს მეფე ამულიუსი.

(6) ნუმიგორუსმა პირველივე არეულობის დროს შეიგყო მგრების ქალაქში შემოჭრისა და სასახლეზე თავდასხმის შესახებ. მან მამინეე მოუხმო ალბას ყველა მრდასრულ მოქალაქეს და შეიყვანა ციხე-სიმაგრეში, რათა იარალით დაეცათ ის. როცა დანახა, რომ სისხლისღერა დასრულდა, ვამარჯვებული ძმები მას მისალმებებით უახლოვდებოდნენ, სახელდახელოდ შეკრებილ ხალხს უყვებოდა მათი მისადმი დანაშაულებებისა და შეილიშვილების წარმოშობის ამბავს, თუ როგორ დაიბადნენ და ვამარდნენ და როგორ იყნეს ისინი. შემდეგ კი უთხრა მათ გირანის მკელელობის შესახებ. ბიჭები კი მოვიდნენ შეკრებაზე მთელი რაგმით და პაპას, როგორც მეფეს ისე მიესალმნენ. ხალხმაც ერთსულონდა აღიარა იგი მეფედ. ასე მიიღო ნუმიგორუსმა ალბანას მეფობა. რომულუსსა და რემუსს კი ვაუჩნდათ სურელი, რომ დაეარსებინათ ქალაქი იმ ადგილებში, სადაც ისინი ვადაავდეს, იპოვეს და ვამარდნენ. ალბანებსაც და ლათინებსაც ჰყავდათ ჰარბი მოსახლეობა და თუ ამას დაეუმაგებთ მწყემსებსაც, მამინ მარტივად მიხედვით, რომ დასაარსებელი ქალაქი ლაინიუმზეცა და ალბაზეც დიდი იქნებოდა. თუმცა ჩანაფიქრს ხელი შეუშალა მემკვიდრეობითმა ბოროტებამ და მეფობისადმი მისწრაფებამ და ამგვარად, სრულიად უმნიშვნელო მიზეზიდან აღმოცენდა ძმებს შორის ვანხეთქილება. ყმაწვილები გყუპები იყენენ და შესაბამისად არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ასაკში უპირატესობა. მამინ დმერთებმა ფრინეულთა მეშვეობით ამცნეს გყუპებს, თუ ვის უნდა ემართა ქალაქი და ვის რომელი ნაწილი შეხედებოდა. მისან-ჩიგებზე დაკვირვებით რომულუსმა აირჩია პალაგინუმი, რემუსმა კი – ავენტინუმი.

(7) რამდენადაც ვიცი, რემუსმა პირველმა მიიღო ფრინველთა მისნობა – ექვსი ძერა. ეს წინასწარმეტყველება უკვე გამოცხადებული იყო, როდესაც რომულუსმა ორჯერ უფრო მეტი რაოდენობის ძერა მიიღო მისნობად და ორივე მათგანი საკუთარმა მომხრეებმა მეფედ აღიარეს. ერთნი უპირატესობად რემუსის მისნობის უწინდრობას, მეორენი კი ძერების გაორმაგებულ რაოდენობას თვლიდნენ. განრისხებული ძმების კამათი სისხლისღერამდე მივიდა და არეულობის დროს რემუსმა სასიკედილო დარტყმა იგემა. უფრო გაერცლებულია ამბავი, რომლის მიხედვითაც რემუსი ძმის დასაყინად მის მიერ ახლადღაარებული ქალაქის მშენებარე კედელს გადაახტა. ბრამმორეულმა რომულუსმა კი მოკლა იგი შეძახილით: „ ასე მოკვდება ყოველი, ვინც ამ კედლებს გადალახავს“. ასე დარჩა რომულუსი მეფობის ერთადერთ მაძიებლად, ხოლო ქალაქს მისი დამაარსებლის მიხედვით ეწოდა სახელი. რომულუსმა პირველ რიგში გაამაგრა პალატინუმი, სადაც თვითონ იყო გამარდილი. სხვა ღმერთებს მსხვერპლი შესწირა ალბანური წესის მიხედვით, პერკულეს კი – ბერძნული ჩვეულების მიხედვით, როგორც დაადგინა ევანდრუსმა. შემორჩენილია თქმულება, რომლის მიხედვითაც პერკულესმა მოკლა რა გერიონი, წამოიყვანა მისი საოცარი ხარების ჯოგი ამ ადგილებში და ხარებთან ერთად მდინარის გადაკურვის შემდეგ დალილიმა იქვე გიბერისთან დაისვენა და დაასვენა ჯოგიც. მას შემდეგ, რაც ჭამა-სმის შემდეგ მიიძინა, ადგილობრივმა მწყემსმა კაკუსმა, მძინვარე და ძლიერმა კაცმა, მოიხიბლა რა ხარების მშენიერებით, მონიღომა მისთვის ჯოგის წართმევა. კაკუსმა ყველაზე ლამაზი ხარები გამოქვაბულში გადამალა და თანაც შეიყვანა ისინი იქ უკუსელით, რათა პატრონს ნაკვალევის მიხედვით არ ეპოვა. დილაადრიან გაღვიძებულმა პერკულესმა თვალი გადაავლო რა ჯოგს, შეამჩნია, რომ საქონელი აკლდა, მიაშურა უახლოეს გამოქვაბულს, რათა ენახა შემთხვევით ხომ არ შესულიყვნენ ხარები შიგნით.

როდესაც დაინახა, კვალი მხოლოდ შიგნიდან გარეთ გამოდიოდა, დაბნეულმა გადაწყვიტა ჯოგი ამ მიდამოდან წაეყვანა. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, როდესაც ძროხებმა დარჩენილ ხარებს შეუბღავეს, გამოქვაბულში დამალულებმაც ბღაველით უპასუხეს. პერკულესი ამ ხმაზე უკან შემობრუნდა, კაკუსი შეეცადა მის ძალით შეჩერებას, მაგრამ ზევის ძემ იგი ხელეკების დარტყვით სიცოცხლეს გამოასალმა, თუმცა სიკედილის წინ კაკუსმა მოასწრო სხვა, მისი ერთგული მწყემსებისთვის ეხმო დასახმარებლად.

(8) ღვთისმსახურების შემდეგ რომულუსმა შეკრიბა ხალხი და დაუდგინა საერთო კანონები, რადგანაც მათ გარეშე სხვა არაფრით შეეძლო ბრბოს გაერთიანება. იმისთვის, რომ ხალხი უფრო კანონმორჩილი ყოფილიყო და თავად მისადმი კი მოწინააღმდეგეობა აღმოეჩინა, რომულუსმა იახლა 12 ლიქტორი<sup>26</sup> და თავს უფრო აღმატებულად და მეფურად იჭრა. ზოგიერთები ლიქტორების რაოდენობას ფრინველთა იმ რიცხვს უკავშირებენ, რომელმაც რომულუსს მეფობა მოუტანა. მე კი უფრო დამაჯერებლად მეჩვენება აზრი, რომლის მიხედვითაც რომულუსმა ლიქტორების რაოდენობაც, მსახურების ეს წესიც, გრიუმფალური საფარბელიცა და გოგაც<sup>27</sup> შემობღელი ეგრუსეებიდან შემოიღო. ეს წესი კი ეგრუსეებს ჰქონდათ იმის გამო, რომ თითოეული თორმეტ ეგრუსეულ გომთაგან მეფის არჩევის შემდეგ მას ლიქტორს აახლებდა. ამასობაში რომიც იმრდებოდა და სულ ახალ-ახალ ადგილებს იკავებდა. ქალაქს კი ამაგრებდნენ უფრო რომის მომავალი მრავალრიცხოვნების იმედით, ვიდრე მამინდელი მდგომარეობის შესაფერისად. შემდეგ კი, რათა უზარმაზარი რომი ცარიელი არ ყოფილიყო, რომულუსმა ისარგებლა ქალაქის დამაარსებელთა ძველი გამოცდილებით და მოუხმო დაბალი წარმოშობის ხალხს ყველა მხრიდან, თითქოს ისინი ამ მიწის მკვიდრნი ყოფილიყვნენ, მისცა მათ თავშესაფარი ორ ჭაღას შორის მდებარე ადგილებში, რომლებიც დღესაც დასახლებულია. ბერი გადმოსახლდა რომში მეზობელი ხალხებიდან-თავისუფალიცა და მონაც, ყველა, ვინც ესწრაფოდა ცვლილებებს და ამით ჩაეყარა საფუძველი რომის მომავალ ძლიერებას. როდესაც რომი უკვე საკმარისად მომძლავრდა, რომულუსმა გადაწყვიტა ძალასთან ერთად სიბრძნეც არ დაეგოვებინა უფურადღებოდ და დააარსა სენატი. ამოარჩია ასი უხუცესი. მათი რაოდენობა საკმარისი იყო და მეგის შეკრებას ვერც შეძლებდა. „მამები“ – ასე ეწოდათ მათ პატივისცემის გამო, მათი შთამომავლობა კი მოიხსენიებოდა პატრიციუსებად. <->

<-> დაასრულა რა რომულუსმა თავისი უკვდავი საქმეები, ჯარი დასათვალისწინებლად კაპრის ჭაობთან მდებარე ველზე შეკრიბა. უეცრად ჭექა-ქუხილითა და ხმაურით ამოიარდა ქარიშხალი, რომელმაც მეფე ღრუბლით დაფარა გარშემომყოფთა თვალისგან და ამის შემდეგ რომულუსი აღარ იყო ამ ქვეყანაზე. როდესაც ქარიშხალი ჩადგა და დღის სინათლე დაბრუნდა, რომაელებმა დაინახეს მეფის ცარიელი საეარძელი და ირწმუნეს ახლოს მდგომი სენატორების ნათქვამი, რომ რომულუსი გრიგალმა ცაში აიგაყა.

სენატს უნდა გადაეწყვიტა თუ ვინ იქნებოდა რომში შემდეგი მეფე. იმ დროს სამართლიანობითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩეოდა საბინურ<sup>28</sup> ქალაქ კურას მკვიდრი ნუმა პომპილიუსი, ღვთიური და ადამიანური სამართლისა საუკეთესო მცოდნე. რომაელ სენატორებს მიაჩნდათ, რომ ნუმას გამეფებით უპირატესობა საბინებისკენ გადაიხრებოდა, თუმცა მაინც ვერ გაბედეს დაეპირისპირებინათ მისთვის რომელიმე თავისთავანი თუნდაც ვინმე მოქალაქეთაგანი და ერთხმად განიზრახეს ნუმა პომპილიუსის გამეფება.

ნუმამ გამეფების შემდეგ გადაწყვიტა იარაღისა და ძალადობის მეშვეობით დაარსებული ქალაქის ახლიდან; სამართალზე, კანონებსა და წეს-ჩვეულებებზე დაუფიქრებია.

ასე რომ, ორმა მეფემ, თითოეულმა თავისებურად, ერთმა ომითა და იარაღით, მეორემ კი – მშვიდობით, გააძლიერა და განაღდა რომი. რომულუსმა იმეფა 37 წელი, ნუმამ – 43. სახელმწიფო კი არამარტო ძლიერი, არამედ თანაბრად მმართველი იყო ომისა და მშვიდობისათვის.

ნუმა გარდაიცვალა და მის შემდეგ ხალხმა მეფედ აირჩია გულიუს პოსტილიუსი, იმ პოსტილიუსის შვილიშვილი, რომელმაც სახელი საბინებთან ომში გაითქვა. სენატორებმა დაამტკიცეს ეს გადაწყვეტილება. ახალი მეფე არაფრით ჰგავდა ნუმას, პირიქით, ომის წყურვილით რომულუსსაც კი აღემატებოდა.

როგორც გადმოგვცემენ, ერთხელ გულიუსმა ნუმასგან მეგვიდრეობით მიღებული მსხვერპლმეწირვის წესი შეცდომით დაასრულა და არათუ ვერაზიანი მისნობა ვერ მიიღო პასუხად, არამედ არასწორი მსხვერპლმეწირვით განრისხებულმა იუპიტერმა მუხით მოაკვდინა იგი. გულიუსმა იმეფა 37 წელი და თავისი მეფობის დროს უდიდესი საომარი ღიძება მოიხევეჭა.

გულიუს პოსტილიუსის სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება მთლიანად გადავიდა სენატის ხელში და დაიწყო მეფეთმორისი ეპოქა<sup>29</sup>. სახალხო კრებაზე კი ხალხმა მეფედ აირჩია ანკუს მარციუსი და სენატმაც მოიწონა ეს გადაწყვეტილება. ანკუს მარციუსი იყო ნუმას შვილიშვილი, მისი ქალიშვილის ვაჟი. <->

(34) ანკუსის მეფობის დროს ლუკუმონი – მეძლებული და დაულაღვი კაცი გარკვეინიდან<sup>30</sup> რომში გადასახლდა იმ იმედით, რომ იქ იმ პატივს მიაღწევდა, რასაც თავის ქალაქში ვერ მოიპოვებდა, რადგანაც იქ გადმოსახლებული მისი წინაპრები უცხოგომელები იყვნენ. იგი იყო კორინთოდან<sup>31</sup> შიდაუთანხმოების გამო გაქცეული და შემთხვევით გარკვეინიამი დასახლებული დემარატოსის შვილი. იქ ლუკუმონმა ცოლი მოიყვანა და შეეძინა ორი ვაჟი – ლუკუმონი და არუნსი. მთელი ქონების მეგვიდრე, უფროსი ვაჟი ლუკუმონი მოესწრო მამის სიკვდილს, არუნსი კი მამაზე აღრე გარდაიცვალა და ცოლი ფეხმძიმედ დატოვა. თუმცა მამამაც არკეთუ ღიძხანს იყოცხლა შვილის სიკვდილის შემდეგ და არ იყოდა რა, რომ მისი რძალი ფეხმძიმედ იყო, მომავალი შვილიშვილი ანდერძში არ მოიხსენია. ამგვარად, პაპის სიკვდილის შემდეგ დაბადებულ ბავშვს მისი სიმდიდრიდან არაფერი ერგო და სიღარიბისა და ვაჭირრების გამო სახელად ეგერიუსი ეწოდა. საპირისპიროდ, მთელი ქონების მეგვიდრე ლუკუმონი სიმდიდრემ კიდევ უფრო გააძლიერა. მან ცოლად მოიყვანა მასზე მაღალი წარმომავლობის მქონე განაკვილი, რომლისთვისაც ადვილი არ იყო შეგუება იმასთან, რომ გათხოვებამდე მისი მდგომარეობა უკეთესი იყო, ვიდრე გათხოვების შემდეგ. ეგრესკებს არ უყვარდათ უცხოგომელისა და გადამთიელის შვილი ლუკუმონი და რადგანაც განაკვილს არ შეეძლო ქმრის დამცივების აგანა, დაივიწყა ბუნებრივი სიყვარული სამშობლოსადმი და ოღონდაც კი საკუთარი ქმარი პატივში ენახა, გადაწყვიტა გარკვეინიდან გადასახლებულიყო. ამისთვის ყველაზე შესაფერისი ქალაქად მას რომი ეჩვენებოდა, რადგანაც ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოსა და ხალხში უნდა ყოფილიყო გამ-

რაც და საქმიანი კაცის ადგილი, სადაც მთელი არისტოკრატიული ფენა – ნობილები არცთუ დიდი ხნის წინ იყვნენ წარმომობილები და მათაც მაღალი მდგომარეობა, მხოლოდ დამხოლოდ, საკუთარი სიქველის გამო მიეღოთ.

განაკვილს ამაში უფრო მეტად ისიც არწმუნებდა, რომ რომს მართავდა საბანელი ტატიუსი, მეფობდა ნუმეჯ ქალაქ კურადან და თავად მეფე ანკუსსაც, საბინელი დედის შვილს, ერთადერთი სახელოვანი წინაპარი-ნუმა პომპილიუსი ჰყავდა. განაკვილმა ქმარიც ადვილად დაარწმუნა, თანაც ტარკინიუსი თავადაც მიესწრაფეოდა მაღალ მდგომარეობას და მას ტარკინია მხოლოდ დედის მხრიდან ეკუთვნოდა სამშობლოდ. ცოლ-ქმარმა შეაგროვა მთელი ქონება და რომისკენ გზას გაუდგა, როდესაც ისინი მივიდნენ შემთხვევით იანიკულუსისკა კარიბჭესთან, ამ დროს ციდან ნელა არწივი დაეშვა და ორთვალაზე ცოლთან ერთად მჯდომი ლუკუმონის ქელი გაიგატა. შემდეგ უკან ყივილით დაბრუნდა, წართმეული ქელი ლუკუმონს ისევ თავზე დაახურა და მაღლა ჰაერში გაუჩინარდა. განაკვილი, ისევე როგორც ზოგადად ყველა ეგრუსი, მისნობაში კარგად ერკვეოდა და ეს ყველაფერი კარგ წინასწარმეტყველებად მიიღო და დიდი იმედით აღივსო. განსაკუთრებით ბედნიერ მინიშნებად განაკვილმა ჩათვალა ის, თუ რა ფრინველი მოფრინდა, რომელი მხრიდან და რომელი ღმერთის მიერ გამოგზავნილი. არწივმა წაიღო რა ლუკუმონის ქელი, დააბრუნა ის უკან, როგორც ღვთიური ძღვენი. ისინი ასეთი იმედებითა და აზრებით აღვსილნი შევიდნენ და დასახლდნენ ქალაქში. ლუკუმონმა კი სახელად ლუციუს ტარკინიუსს პრისკუსი დაირქვა. ახალჩამოსულმა და მდიდარმა ლუციუს ტარკინიუსმა კეთილმოსურნეობითა და ქველმოქმედებით რომაელთა ყურადღება მაღლევი მიიპყრო. ეხმარებოდა ყველას, ვისაც კი შეეძლო და მისმა სახელმა მეფის კარამდეც მიაღწია. ტარკინიუსი დაუმეგობრდა მეფეს და, იგი სამართლიანად ითვლებოდა რა სამეფო ოჯახთან დაახლოებულ პირად, ესწრებოდა საზოგადო და პირადულ შეკრებებს, როგორც ომის, ისევე მშვიდობის დროს. რადგანაც ლუციუს ტარკინიუსი ყველა მნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობდა, მეფემ ანდერძით დანიშნა იგი საკუთარი შვილების მეურვედ.

(35) ოცდაოთხწლიანი მეფობის შემდეგ ანკუსი გარდაიცვალა. იგი დიდებითა და როგორც საომარი ხელოვნებით, ისევე მშვიდობის დროინდელი საქმიანობებით არც ერთ წინა მეფეს არ ჩამოუეარდებოდა. მეფე ანკუსის შვილები თითქმის უკვე გამრდილები იყვნენ, ამასობაში კი ანდერძით მათ მეურვედ დანიშნული ტარკინიუსი უფროლაუფრო დატინებით მოითხოვდა, რომ რაც შეიძლება ჩქარა ჩატარებულყო სახალხო კრება მეფის ასარჩევად. როდესაც სახალხო კრების დღე გამოცხადდა, მან მეფის შვილები სანადიროდ გაუშვა, თვითონ კი, როგორც ამბობენ, იყო პირველი, ვინც კომიციებზე<sup>33</sup> წინასწარ მომზადებული სიგყვით გამოვიდა და ასე შეეცადა იქ მყოფი პლების გულის მოგებასა და მეფობის მოპოვებას. ლუციუს ტარკინიუსმა თქვა, რომ იგი მეფობის სურვილით არ მიესწრაფეოდა აქამდე გაუგონარ საქმეს და იყო არა პირველი (რასაც შეეძლო ვინმე აღეშოთებინა ან გაეკვირვებინა), არამედ მესამე უცხოტომელი, ვინც რომში გამეფებას ცდილობდა. მაგალითად, არამხოლოდ უცხოელი, არამედ რომაელთათვის მტრული ხალხის მკვიდრი ტატიუსი მეფობდა ოდესღაც რომში და თავად ნუმეჯ სრულებით არ იცნობდა ქალაქს, როდესაც იგი მეფობისათვის მოიწვიეს. ის კი, ტარკინიუსი, მას შემდეგ, რაც შევიდა იმ ასაკში, რომ საკუთარი თავის განკარგვა შეეძლო, გადმოსახლდა რომში ცოლთან ერთად და მთელი თავისი ქონებაც ჩამოიგანა. და მრდასრულობის ის ნაწილი, როცა ადამიანები საზოგადო საქმეებს აღასრულებენ, მან რომში უფრო გააგარა, ვიდრე უწინდელ სამშობლოში. მან შინაც და სამხედრო სამსახურშიც უნაკლო წინამძღოლისგან, თავად მეფე ანკუსისგან ისწავლა რომაული კანონები და წეს-ჩვეულებანი, ხოლო თავად იგი, ლუციუს ტარკინიუსი, მეფის მორჩილებასა და პატივისცემაში – ნებისმიერს, ხოლო დიდსულოვნებასა და სიქველემი კი თავად მეფესაც გოლს არ უდებდა. ტარკინიუსი არ ცრუობდა და რომაელი ხალხიც ადვილად დათანხმდა მის გამეფებას.

ტარკინიუსს ის ღირსებები, რომლებიც მეფობის მოპოვების მცდელობის დროს წარმოაჩინა, არც გამეფების შემდეგ დაუკარგავს. სახელმწიფოს გაძლიერებაზე არანაკლებ ცდილობდა იგი საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას და ამ მიზნით სენატს დაუმატა



კიდევ ასი კაცი, რომლებიც იმ დროიდან „უმცროს თაობად“ იწოდებოდნენ. ეჭვი არაა, რომ ისინი მეფის მომხრენი იყვნენ და მას დიდ პატივს სცემდნენ, რადგანაც კურიაში სწორედ მისი წყალობით შევიდნენ.

თავდაპირველად გარკვეინუსმა ლათინებთან იომა და ქალაქი აპიოლი იარაღის ძალით აიღო. იქიდან იმაზე უფრო მეტი ნადავლით დაბრუნდა, ვიდრე ომის დაწყების წინ ვარაუდობდნენ. უკანდაბრუნებულმა მოაწყო წინა მეფეების მიერ ჩაგარებულთან შედარებით ბევრად მდიდრული და კეთილმოწყობილი თავმამები. მანვე პირველად აარჩია და მონიშნა ადგილი ცირკის ასაგებად, ეს ადგილი ახლა „უდიდესად“ იწოდება. მანვე გაანაწილა სენატორებისა და მხედრებისთვის ადგილები, რომლებიც მათ საკუთარი ძალით უნდა მოეწყოთ და გაეკეთებინათ, ეს ადგილები დაახლოებით 12 ფუხის ნაბიჯის სიგრძით იყო მიწიდან შემალლებული. მოკრიეები და ცხენოსნები ეგრერიიდან მოიწვია. ამის შემდეგ საციკო თავმამები ყოველწლიურად იმართებოდა და მას ეწოდებოდა „რომაული თავმამები“ ან სხვანაირად – „დიდი თავმამობები“. ამავე მეფის, ლუციუს გარკვეინუსის დროს გაანაწილეს ადგილები ფორუმის გარშემო კერძო მშენებლობებისთვის, რათა იქ საეპტრო ფარდულები და დახლები დაედგათ.

(36) გარკვეინუსი აპირებდა ქალაქისთვის ქვის კედლის გარშემორტყმას, თუმცა ეს წამოწყება საბინებთან ომის გამო შეწყვიტა. ომი იმდენად სწრაფად დაიწყო, რომ მგრებმა მდინარე ანიენსი<sup>34</sup> იმაზე უფრო სწრაფად გადალახეს, ვიდრე რომაელთა ჯარები მგრის შესახვედრად მისვლასა და წინააღმდეგობის გაწევას შეძლებდნენ. რომში პანიკა დაიწყო, პირველი ბრძოლა რომაელებსა და საბინებს შორის ბუნდოვანი შედეგით დასრულდა და ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ბრძოლის შემდეგ მგრის ჯარი ისევ უკან, საკუთარ ბანაკში დაბრუნდა და ამით რომაელებს დრო მიეცათ ახალი ომის დაწყებისთვის მოსამზადებლად. გარკვეინუსმა განსამდგრა, რომ ყველაზე მეტად ჯარში მხედრები აკლდა და ამიგომაც რომულუსის მიერ დადგნილ ცენტურიებს<sup>35</sup>, რამნესს, გიგიენსესს და ლუკერესს სხვებიც დაამატა და სურდა ამის ნიშნად ახალ ცენტურიებს მისი სახელი შემორჩენოდათ. მაგრამ, იმ დროისთვის სახელგანთქმული აეგური, ატიუს ნაიუსი შეეწინააღმდეგა გარკვეინუსის ამ წამოწყებას და რადგანაც, ცენტურიები რომულუსს წინასწარმეტყველების მიხედვით შემოელო, თუ ფრინველთმჩხობაობით ეს არ გადაწყდებოდა, არც ახლა შეიძლება ახლის დადგენა ან რაიმეს შეცვლა. როგორც ვიცი, ამან მეფე ძალიან გააბრაზა და მან აბუჩად აიგდო ფრინველთმკითხაობის ხელოვნება. გარკვეინუსმა უთხრა ატიუს ნაიუსს: „მოდი, ღვთიურო მისანო, მეხედე ჩიტებს, შეიძლება კი შესრულდეს, ის, რაც ახლა გონებაში მაქვს“, მისანმა უპასუხა, რომ ეს შესაძლებელი იყო. მაშინ მეფემ განაცხადა, რომ ფიტრობდა, ბასრი დანით ქვის გადასერეასა და გადაჭრას, მეფემ მიმართა მისანს: „ აიღე და შეასრულე, რასაც განვიმრახავდი.“ ამბობენ, რომ მაშინ ქურუმმა აიღო და დაუყოვნებლივ გაკეთა ქვა. შთამომავლობისთვის ამ საოცრების მოსაგონებლად, თავდაბურული ატიუსის ქანდაკება დგას მომხდარი სასწაულის ადგილზე, კომიციებში, საფეხურებზე, კურიიდან მხარმარცხნივ. აეგურებმა და წმინდა მკითხაობამ კი ამის შემდეგ ისეთი პატივისცემა დაიმსახურეს, რომ ამიერიდან არც ომისა და არც მშვიდობის საკითხი არ წყდებოდა ფრინველთმჩხობის გარეშე. ხალხის შეკრება, ჯარის მოხმობა და არცერთი სხვა საქვეყნო საქმე არ მოხდებოდა თუკი მისანი-ჩიტები არ დაუშვებდნენ ამას. მაშინ გარკვეინუსმა შეეცალა გადაწყვეტილება მხედართა ცენტურიების შესახებ და ამ ცენტურიებს დაუმატა მხედართა ისეთი რაოდენობა, რომ სამ ცენტურიაში ზუსტად 1800 მხედარი ყოფილიყო. „შთამომავლები“ ასე ეწოდებდნენ დამატებულ ცენტურიებს, ახლა კი ამ ცენტურიებს ეწოდებათ ნ ცენტურია, რადგან მათი რიცხვი გაორმაგებულია.

(37) გარკვეინუსმა მხედართა რაოდენობა გაზარდა და ისევ საბინებს შეებრძოლა. რიცხვობრივ ზრდასთან ერთად რომაელებმა ცბიერებაც მოიშველიეს: გაგზავნეს დიდი რაშმი, რომელმაც მდინარე ანიენსის ნაპირებზე მიმოფანტულ ხეებს ცეცხლი წაუკიდა და მდინარეში ჩაყარა. ძლიერმა ქარმა ცეცხლი უფრო მეტად გააჩაღა, მოგივივე ხეები კი ხიდის ხიმინჯებთან მოგროვდა და ხიდი დაწვა. ამან ძალიან შეაშინა საბინები და ხელი შეუშალა მათ გაქცევას, როდესაც ბრძოლის შემდეგ გაიფანტნენ. ბევრი დაიღუპა მგრისაგან

გაქცევის დროს, გადავარდნენ და დაიხრჩუნენ რა მდინარეში. მათი იარაღი დინებამ რომში ჩაიტანა, რაც გამარჯვების უტყუარი ნიშანი იყო. ასე, რომ რომაელებმა უფრო ადრე შეიგყვეს მათი წარმატება, ვიდრე ჯარიდან შეაგყობინებდნენ ამის შესახებ. ამ ბრძოლაში თავი ვანსაკუთრებულად მხედრებმა გამოიჩინეს, ისინი ფლანგებზე იდგნენ და როდესაც ცენტრში განლაგებული ქვეითები უკვე მარცხდებოდნენ, სწორედ მაშინ შეუტეეს გვერდებთან და რითაც არა მხოლოდ გააჩერეს საბინთა ლეგიონები, რომლებიც ავიწროვებდნენ უკანდახეულ ქვეითებს, არამედ საერთოდ გააქციეს კიდეც ისინი. გაქცეული საბინები ცდილობდნენ მთისთვის შეეფარებინათ თავი, მაგრამ ეს ცოტამ მოახერხა, დიდი ნაწილი კი, როგორც უკვე ვთქვით, მხედრებმა აიძულეს, რომ მდინარეში შესვლით ეშველათ თავისთვის. ტარკინიუსმა გადაწყვიტა შემინებული მტრის შევიწროება და ჯართან ერთად კიდეც უფრო ღრმად შეიჭრა საბინთა მიწებში. აყვანილი გყვეები და აღებული ნააღმარებელი მან რომში გაგზავნა, რათა ეულკანუსისადმი<sup>36</sup> მიცემული აღთქმის მიხედვით ცეცხლში დაეწვა. საბინები უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნენ, არც მომავალში შეიძლება პქონოდათ ამაზე უკეთესის იმედი, შექმნილი ვითარება მათ გააზრებული მოქმედებისთვისაც კი არ აძლევდა დროს, ამიტომაც საბინებმა სასწრაფოდ შეკრიბეს ჯარი და რომაელთა შესახვედრად გამოვიდნენ. თუმცა ისევ დამარცხდნენ, დაკარგეს თითქმის მთელი ქონება და ზაივი ითხოვეს.

კოლატიუმი და მთელი იქითა კოლატიის მხარე რომაელებმა საბინებს წაართვეს, ხოლო ეგერიუსი, მეფის ძმის შვილი, კოლატიუმის დასაცავად დატოვეს. კოლატინელები დანებდნენ და როგორც შევიგყვე, დანებება ასე მოხდა: მეფემ იკითხა, „ ხართ თქვენ კოლატინუმის ხალხის მიერ გამოგზავნილი ელჩები, რათა ჩაგვბარდეთ თქვენც და ჩაგვაბაროთ თქვენი ქვეყანა? "

- „ვართ.“

- „განკარგავს კი თქვენი ხალხი საკუთარ ქვეყანას? “

- „განკარგავს.“

- „გადმოგვეცემთ მე და რომაელ ხალხს კოლატინუმის ხალხს, ქალაქს, მიწას, წყალს, საზღვრებს, ტაძრებს, მეურნეობას და ყოველივეს ლეთისას და ადამიანისას?“

- „გადმოგვეცემთ“

- „და ჩვენც ვიღებთ“

დაასრულა რა საბინებთან ბრძოლა, ტარკინიუსი გრიუმით დაბრუნდა რომში და მეძღვე უკვე ძველ ლათინებთან იომა, თუმცა ამ ომში საქმე არ მისულა გადაწყვეტ მებრძოლებამდე, რომაელებმა ლათინთა ქალაქები ერთიმეორეს მიყოლებით, თითო-თითოდ აიღეს და ასე დაიპყრეს ყველაფერი, რაც ლათინებს ეკუთვნოდათ: კორნიკულუმი, ძველი ფიკელა, კამერია, კრესტერიუმი, ამერიოლა, მედიოლა, ნომენგუმი-ესაა რომაელთა მიერ აღებული ქალაქების ჩამონათვალი. ამის მერე დაზავდნენ ლათინებთან. ომების შემდგომ ტარკინიუსმა სამშვიდობო და აღმშენებლობით საქმიანობას მიჰყო ხელი, რათა ხალხი არ ყოფილიყო უფრო ნაკლებად გამრჯე და გულმოდგინე მშვიდობის დროს, ვიდრე იყო ომებში. ქვის კედელი, რომლის მშენებლობის დასრულებას საბინებთან ომმა შეუშალა ხელი, ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე მზად და ტარკინიუსმა ქალაქი გაამაგრა ჯერაც შემოუღლდავად ადგილებში. გიბრისიდან გაყვანილი არხების მეშვეობით ამოაშრო ფორუმის<sup>37</sup> გარშემო მდებარე დაბალი ადგილები. შეასრულა საბინებთან ომის წინ იუპიტერისადმი მიცემული აღთქმა და მონიშნა ადგილი კაპიტოლიუმზე იუპიტერის ტაძრის დასაარსებლად, წინასწარ გრძნობდა რა ამ ადგილის მომავალ სიდიადეს.

(39) იმხანად სამეფო კარზე დიდი სასწაული მოხდა. როგორც ვიცით, მძინარე ბიჭს, სერვიუს ტულიუსს, ძილის დროს თავზე ცეცხლი წაეკიდა. ამ სასწაულის გამო აგვიხილმა ხმაურმა მეფის ყურადღებაც მიიზიდა და როცა რომელიღაცამ ოჯახის წევრთაგან ცეცხლის ჩასაქრობად წყალი მოიგანა, ღედოფალმა განაკვიღლმა შეაჩერა იგი, ყველას დაწყნარება უბრძანა და აკრძალა ბიჭის შეწუხება იქამდე, სანამ თავად არ გამოიღვიძებდა. მალევე სიმბრძოლთან ერთად ცეცხლიც გაქრა. ამის შემხედვარე განაკვიღლმა ქმარი დაიმარტოვებულა და ჩუბად უთხრა: „ხომ ხედავ ამ ბიჭს, ვისაც ასე შეუფერებლად დაბავ ვანათლებას ვაძლევთ, ოდესმე მძიმე პერიოდში იგი იქნება დამცველი ჩვენი სამეფოსი და შეიძლება

იმის წინასწარ თქმა, რომ ის არის სახელმწიფოს დიდი მომავლის საწინდარი, ამიგომავ აღებარდოთ იგი მთელი სითბოთი და ყურადღებით“. ამ დროიდან ბიჭს შეიღვივთ ექუოდ-ნენ და შეაწაულეს ყველა ის ხელონება, რაც მას მომავალში დასჭირდებოდა. რადგანაც ღმერთი წყალობდა, სერვიუსს ტულიუსს ყველაფერი იოლად გამოსდიოდა, მან მალევე გამოავლინა ნამდვილი მეფური თვისებები და ეერე ერთი სხვა რომაელი ახალგამრდა ვერ შეედრებოდა მას რაიმე ხელონებაში და გარკინიუსმა სწორედ მას მიათხოვა თავისი შეილი. ის პატივი, ტულიუსს რაც ერგო, არ გვაძლევს სამუალებას ნამდვილად დაეიჯეროთ, რომ იგი მონისგან შობილი და თავადაც ბავშვობაში მონა იყო. უფრო მეტად იმ აბრს მიეეშრობოდი, რომ ქალაქ კორნიკულუსის<sup>38</sup> აღების დრის სერვიუს ტულიუსს, ქალაქის პირველ მოქალაქეს, სიკედილის შემდეგ კოლი უეხმძიმედ დარჩა. რამდენადაც ვიცი, გყველ-ჩაეარდნილი ქალი არაჩეულებრივი დიდებულების გამო რომაელთა დედოფალმა დანარ-ჩენ გყვეებში მამინვე გამოარჩია და გაათავისუფლა. გაათავისუფლებულმა ქალმა რომში, გარკინიუსს პრისკუსის სახლში იმშობიარა. ასეთმა დიდსულოვნებამ ქალები ძალიან დაახლოვა და ახალდაბადებული ბავშვი თაეიდანვე სასახლეში, შესაფერის პატივი იზრდებოდა. ალბათ სამშობლოდაკარგული და გყველჩაეარდნილი დედის ბედმა დამაჯერე-ბელი გახადა ამბავი სერვიუს ტულიუსის მონა ქალისგან შობის შესახებ.

(40) გარკინიუსის გამეფებიდან დაახლოებით 38 წლის შემდეგ, სერვიუს ტულიუსი არა მხოლოდ მეფესთან, არამედ სენატორებსა და პლებს შორისაც უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. ანკუსის ვაჟები, რომლებსაც აქამდეც არილევბდათ, რომ მამისეული ძალაუფლება მეურვემ მოგყუებით წაართვა და რომს მართავდა გადამთიელი, არა მე-ზობელი, არამედ იგალიკური გომებისთვისაც უცხო, კიდე უფრო შემოთდნენ, რადგან არც გარკინიუსის შემდეგ დაუბრუნდებოდათ მათ ძალაუფლება და თელიდნენ, რომ სერ-ვიუსის გამეფებით რომი მონის გამგებლობაში ჩაეარდებოდა და სულ რაღაც ასი წლის შემდეგ იმავე ქალაქში, სადაც მეფობდა რომულუსი, ღეთისგან შობილი და ამ ქვეყანაზე ყოფნის დროს თავადაც ღმერთი, ძალაუფლება აღმოჩნდებოდა მონისგან შობილი სერ-ვიუსის ხელში, რაც საერთოდ რომაელი ხალხისთვის, განსაკუთრებით კი მათი გვარისთვის სირცხვილი იქნებოდა, თუკი მეფე ანკუსის შთამომავლობის ცოცხლად ყოფნის შემთხვევაში რომში მეფობისკენ გზა გაეხსნებოდა უცხოგომელსა და მონას.

მამინ მათ შურისძიება გადაწყვიტეს. ანკუსის ვაჟები სერვიუსზე მეტად გარკინიუსზე იყენენ განაწყენებულები. მითუმეტეს, რომ თუ სერვიუსს მოკლავდნენ, ცოცხლადღარჩე-ნილი გარკინიუსი ჯერ მის გამო იძიება მურს, ხოლო შემდეგ კი სიძედ აირჩეულა ვინმე სხვას, ვინც გახდებოდა კიდეც ტახტის მემკვიდრე. ამ მიზეზთა გამო გადაწყვიტეს თავად მეფე გარკინიუსზე თავდასხმა. ანკუსის ვაჟებმა ამოარჩიეს ორი ყველაზე თავმებულადე-ბული მწყემსი, რომლებიც სამუშაო იარაღს აგარებდნენ. მწყემსებმა სასახლის შესასვლელში დიდი შოთითთა და არეულობით ყველას ყურადღება მიიპყრეს. დრი-ალეებდნენ და ყვირილით მეფეს უხმობდნენ, მათმა ხმამ მეფის ყურამდე მიაღწია და მან ორივენი თავისთან მიიხმო. იქაც, მეფესთან, ისინი ურთმანეთს ასწრებდნენ ყვირილს. როდესაც ლიკტორმა გააჩუმა ისინი და უბრძანა რიგ-რიგობით ელაპარაკათ, მამინ ერთ-ერთმა მითგანმა მეფეს წინასწარ მოფიქრებული სიტყვით მიმართა. ამით დაინტერესებული მეფე მთლიანად მისკენ მიტრიალდა, ამასობაში მორიგე მეფეს უკნიდან ნაჯახი თავში ჩაარტყა, იარაღი ჭრილობაშივე დატოვა და შემდეგ ორივენი დია კარებში გაუჩინარდნენ.

(41) მომაკედაც გარკინიუსს ვარსშემომყოფნი თავს დასტრიალებდნენ, გაქეული დამ-ნამავეები კი ლიქტორებმა შეიპყრეს. ხმაურსა და ყვირილზე გაეკივრებულმა ხალხმა მოიბრინა. განაკვილმა არეულობაში სასახლის დაკეგვა და იქ მყოფი უცხო პირების გან-დევნა ბრძანა. თითქოს მეფის გაღარჩენის იმედი ისეც იყო, დედოფალმა, რაც ჭრილობაზე მრუნვისთვის საჭირო იქნებოდა, ყველაფერი გულმოდგინედ მოამზადა, ხოლო ამავდროუ-ლად თუკი მეფის გაღარჩენის იმედს დაკარგავდა, სხვა ხერხიც მოიფიქრა: საჩქაროდ მოიხმო სერვიუსი, თითქმის უსიცოცხლო ქმარი აჩვენა, მარჯვენა ხელი დაუჭირა, დააფიცა და სთხოვა, რომ სიმამრის სიკედილი დაუსჯელად არ დაეგოუბინა, რათა ის, განაკვილი მტრის დასაყინი არ გამხდარიყო. ასე უთხრა: „თუ კაცი ხარ, სერვიუს, მეფობა შენ გე-

კუთნის და არა მათ, ვინც სხვისი ხელით უდიდესი ბოროტება ჩაიდინა. გამხნველი, დაე, წინ წარვიძღვნე ის ღმერთები, რომლებმაც ოდესღაც ღვთაებრივი ცეცხლით შენი დიადი მომავლის შესახებ იწინასწარმეტყველეს. დაე, ახლაც გაგამხნეონ ღმერთებმა. გახსოვდეს, ოდესღაც ჩვენც, გადამთილები ვაუმეფლით და იფიქრე იმაზე, თავად ვინ ხარ და არა ვისგან ხარ შობილი. თუკი ოდესმე მნიშვნელოვანი საქმეების დროს შენი გადაწყვეტილება უნარო იქნება, მაშინ ჩემს რჩევას მიჰყევი.“

იმ დროს მეფე იუპიტერის გაძარბთან ცხოვრობდა. სასახლესთან ბევრი ხალხი მოგროვდა და როდესაც მათი ყვირილისა და მღელვარების ატანა შეუძლებელი გახდა, განაკვილმა სასახლის ყველაზე მაღლა მდებარე ფანჯრიდან ხალხს მიმართა, უბრძანა მხნედ ყოფილიყვნენ, რადგან მეფემ უეცარი დარცმით მხოლოდ გონება დაკარგა, მისი ჭრილობა კი ღრმა არ აღმოჩნდა, იგი უკვე დაათვალიერეს, გაასუფთავეს და გარკვეინუსი მალევე მოვიდოდა გონზე. იქამდე კი, განაკვილის სიგყვებით, მეფემ ხალხს უბრძანა დამორჩილედ ბოდა სერვიუს ტულიუსს, რომელიც აღასრულებდა სამართალსა და სხვა სამეფო საქმეებს.

ამ დროს გრახბათი შემოსილი და სამეფო გახტვით მჯდომი სერვიუსი ლიქტორებთან ერთად გამოვიდა და ხალხს ნაწილი საქმეებისა იქვე გადაუწყვიტა, დანარჩენების შესახებ კი თავი მოაჩვენა, რომ მეფეს დაეკითხებოდა რჩევას. ამრიგად, მეფის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, სერვიუსმა დამალა გარკვეინუსის სიკვდილი და მისი მოვალეობის შესრულების მიზნით საკუთარი ძალაუფლება განამტკიცა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოცხადდა მეფის სიკვდილის ამბავი და სასახლეში ხმამაღალი გირილი გაისმა. და ასე, დიდი დაცვით გამაგრებულმა და დაცულმა სერვიუსმა, პირველმა ხალხის სურვილისა და არჩევის გარეშე, მხოლოდ საკუთარი სურვილით მეფობა დაიწყო. მეფე ანკუსის შეილებმა კი როცა შეიგყვეს, რომ მათი დამნაშავე მსახურები შეიპყრეს და მეფე ცოცხალია, ხოლო ძალაუფლება სერვიუს ტულიუსის ხელშია, სუესამ პომპიუსი<sup>39</sup> გაქცევით უშველეს თავს.

(42) სერვიუს ტულიუსი ყველა ხერხით ცდილობდა საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებას და სურდა, რომ გარკვეინუსის შვილები მისადმი ისე მტრულად არ ყოფილიყვნენ განწყობილნი, როგორც ანკუსის ვაჟები — გარკვეინუსისადმი. ამიგომაც მეფემ თავისი ორი ქალიშვილი გარკვეინუსის შვილებთან — ლუციუსთან და არუნსთან შეაუღლა. თუმცა სერვიუსი ადამიანური გადაწყვეტილებით ღვთაებრივ ბედისწერას წინ ვერ აღუდგა და მეფისადმი შური და მტრული განწყობა სასახლეში შინაურებსა და ოჯახის წევრებს შორის მაინც იგრძნობოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, იმდროინდელი მშვიდობიანი მდგომარეობა მალევე საომართი შეიცვალა და დაიწყო ბრძოლა ვეიელებთან და ეტრუსკთა სხვა გაერთიანებულ ხალხებთან, რომლებთანაც მავის ვადა უკვე ამოწურულიყო. ამ ომში გამობრწყინდა სერვიუს ტულიუსის სიქველე, მან დაამარცხა მტრის უმარამბარი ჯარი და თანაბრად დაიმსახურა რა პატრიციუსებისა და პლებების მოწონება, ყოველგვარი ეჭვის გარეშე მეფედ აღიარებული დაბრუნდა რომში. შემდეგ იგი, ღვთიური კანონების შემოქმედ ნუმას მსგავსად, შეუდგა ხანგრძლივი მშვიდობისათვის უდიდეს საქმესა და სამოქალაქო წესრიგისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების აღსრულებას. საზოგადოების ყველა ფენა შესაფერისი პატივის მიხედვით დაყო და გაანაწილა. მანვე დაადგინა ცენზი, რომლის მიხედვითაც როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს თითოეული მოქალაქის მდგომარეობა განისაზღვრებოდა მაგერიალური ღირებულებების და არა პიროვნული ღირსებების მიხედვით, როგორც მანამდე. იმ დროსვე განსამდგურა სწორედ ამ ცენზზე დაფუძნებული კლასები და ცენტურები.

(43) მათგან, ვისაც ქონებრივ ცენზად 100 ათასი ან უფრო მეტი ასი<sup>40</sup> ჰქონდა, სერვიუსმა შექმნა 80 ცენტურია, 40-40 ახალგაზრდებისა და უფროსებისათვის. მათ ყველას ეწოდათ პირველი კლასი. უფროსები ძირითადად ქალაქის შეუვალობაზე, ახალგაზრდები კი გარეშე მტრებთან ომის წარმოებაზე აგებდნენ პასუხს. სხეულის დასაყავად მათ მოეთხოვებოდათ ბრინჯაოს შემდეგი აღჭურვილობა: მრგვალი ფარი, აბჯარი, საწვიეურები და სამუხლები, მგერთან ხელჩართული ბრძოლისთვის კი — შუბი და მოკლე ხმალი. ამ კლასს ასევე დაემატა ხელოსნების ორი ცენტურია, რომლებიც იარაღის გარეშე მსახურობდნენ ჯარში და ევალებოდათ ომში საბრძოლო მანქანების გარება. მეორე კლასისთვის სერვიუსმა 100 დან

75 ათასამდე ცენზი დაადგინა და უფროსებიცა და ახალგაზრდებიც ოც ცენტურიაში გაანაწილა. ისინი აბჯრის გარდა მუსტად იმავე ალჭურვილობას აგარებდნენ. რასაც პირველი კლასი, ოღონდ მათი ფარები მრგვალის ნაცელად იყო წავრძელებული ფორმის. მესამე კლასისთვის 50 ათასიანი ცენზი განსაზღვრა და ცენტურებიც ისევე, ყველანაირი განსხვავების გარეშე გაანაწილა უფროსებსა და ახალგაზრდებს შორის. ისინი საწვიურების გარდა მსგავსი ალჭურვილობით იყენებდნენ შემოსილნი, როგორც პირველი და მეორე კლასი. მეოთხე კლასისთვის ცენზი შეადგენდა 20 ათას ასს და დაყოფილი იყო 20 ცენტურად. ისინი მცირე ალჭურვილობას აგარებდნენ და არაფერი ჰქონდათ მახვილებისა და მოკლე შუბების გარდა. მეხუთე კლასი სერვიუსმა გამარდა და გაყო 30 ცენტურად. მათ სასროლი ქვების ომში წაღება ევალებოდათ და აქვე მსახურობდნენ ორ ცენტურიაში განაწილებული ფლეიტისტები და მესაყვირები. ამ კლასის ცენზი იყო 11 ათასი ასსი. ხოლო მათგან, ვისაც უფრო ნაკლები ქონება ჰქონდა, შექმნა კიდევ ერთი, საომარი ვალდებულებებიდან თავისუფალი, ცენტურია. ასე ალჭურვა და გაანაწილა ქვეითი ჯარი. უპირველესი მოქალაქეებისაგან კი შექმნა მხედართა 12 ცენტურია, აგრეთვე დაადგინა ექვსი სხვა ცენტურია რომულუსის მიერ შექმნილი სამის ნაცელად. მხედრებს სახელმწიფო ხარჯიდან გამოეყოფოდათ ათი ათასი ასსი ცხენების გამოსაკვებად, ხოლო ცხენების მოვლა ეკისრებოდათ ქვრივებს, რომლებიც ყოველწლიურად ორო-ორ ათას ასს იხდიდნენ. ამგვარად, ამ ცვლილებების შემდეგ სახელმწიფო პასუხისმგებლობის მთელმა სიმძიმემ დარიბებიდან მდიდრებზე გადაინაცვლა, თუმცა, სანაცვლოდ ამ უკანასკნელთა პატივიც უფრო მეტი იყო. სხვა მეფეებმა შეინარჩუნეს რომულუსისგან დადგენილი, რომ საარჩევნო უფლება თითოეულ მოქალაქეს ერთნაირად ჰქონოდა, თუმცა, ამავდროულად ყველას საარჩევნო ხმა თანაბარი ძალის არ ყოფილიყო. მოქალაქეები ისე გაანაწილეს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველა მათგანს ჰქონოდა, აღმატებული ძალაუფლება კი წარჩინებულთა ხელში ყოფილიყო. სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტის დროს თავდაპირველად უხმობდნენ მხედრებს, შემდეგ – პირველი კლასის 80 ცენტურიას და თუ მათ შორის თანხმობა არ იქნებოდა, რაც ძალზე იშვიათად ხდებოდა, მაშინ მეორე კლასს ეკითხებოდნენ რჩევას და ასე ყველაზე დაბალ ფენამდე, თუმცა, თითქმის არასდროს ხდებოდა ისე, რომ საკითხის გადაწყვეტა ყველაზე დაბალ ფენაზე ყოფილიყო დამოკიდებული. არაა გასაკვირი, რომ დღევანდელი რაოდენობა გრიბებისა, 35, არ ემთხვევა სერვიუსის მიერ დადგენილს. სერვიუსმა ქალაქი ოთხ ნაწილად გაყო რეგიონებისა და ბორცვების მიხედვით. ხოლო ამ ნაწილებს გრიბები უწოდა, როგორც მე ვფიქრობ, სიტყვა „გრიბუსი“ მიხედვით. რაც გადასახადს ნიშნავს, რადგან გადასახადების აკრეფაც სერვიუსის დროიდან დაიწყო, მაშინდელ გრიბებს კი არაფერი ჰქონდათ ცენტურიებთან საერთო.

(44) დააწესა რა ცენზი, სერვიუსმა ბრძანა რომის ყველა მოქალაქის, მხედრისაც და ქვეითისაც მარსის ველზე დილაადრიან თავშეყრა, ხოლო განკარგულების არმემსრულებელთ სიკედილითა და პატივმრობით დაემუქრა. იქ მწყობრად დალაგებული ჯარი განწმინდა, მსხვერპლად შეწირა-რა ღორი, ხარი და ცხარი და განწმინდის ამ რიგულით ამოწურა ცვლილებები. ამბობენ, რომ რომში 80 ათასი მოქალაქე აღმოჩნდა, უძველესი ისტორიკოსის ფაბიუს პიქტორის მიხედვით კი, ქალაქში ამ რაოდენობის საბრძოლო საქმისთვის ვარგისი კაცი იყო.

რადგანაც მოიმატა მოსახლეობამ, საჭირო გახდა რომის გაფართოება. სერვიუსმა შემოუერთა ქალაქს ორი ბორცვი-კვირინალი და ვიმინალი და გამარდა ესკვილინუმი, სადაც თვითონაც დასახლდა, რათა ეს ადგილი უფრო პატივსაცემი და მნიშვნელოვანი გამხდარიყო. მანვე რომს გარს შემოარგვა კედელი, არხი და მიწაყრილი. <-->

(45) ქალაქის სიდიდის მრდასთან ერთად სახელმწიფოც ძლიერდებოდა. სამინაო საქმეების მოგვარების შემდეგ რომი მზად იყო ომისთვისაც და მშვილობისთვისაც. სერვიუსი არამარტო იარაღის ძალით, არამედ გონიერული გადაწყვეტილებებითაც ცდილობდა ძალაუფლების განმტკიცებასა და ქალაქის კიდევ უფრო ვალამაშებას. იმ დროს უკვე ცნობილი და სახელგანთქმული იყო ეფესოელი<sup>41</sup> დიანას<sup>42</sup> ტაძარი, რომელიც, როგორც ამბობენ, ამის სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლებმა ერთობლივად ააგეს. სერვიუსმა

ლათინთა უპირველეს მოქალაქეებთან საუბრის დროს, რომლებთანაც დიდი კეთილგანწყობა, პირადი მეგობრობა და სამოგადო საქმეები აკავშირებდა, ალტაცებით შეაქო ლეთისადმი საერთო ძალით მსახურება და თანხმობა. მეფე ხშირად უბრუნდებოდა ხოლმე ამავე საუბარს და მიადწია იმდენს, რომ რომაელებსა და ლათინებს ქალღმერთ დიანას გაძარი რომში ერთობლივად აევით და ეს კი ნიშნავდა რომაელთა უპირატესობის აღიარებას, რის მიღწევასაც ამდენი ხანი იარაღით ცდილობდნენ. მიუხედავად იმისა, ჩანდა, რომ წარუმატებლად და უიღბლოდ დასრულებული მცდელობების შემდეგ ლათინებს ბრძოლისა და შეიარაღებული წინააღმდეგობისთვის თავი უნდა დაენებებინათ, ერთ-ერთს საბინელთაგან მოეჩვენა, რომ მიეცა შესაძლებლობა ერთი კაცის ძალისხმევით ძალაუფლების ხელახლა აღდგენისა. იყო გადმოცემა, რომ საბინებში, რომელიდაცა უკახში, დაიბადა ზომითა და შესახედაობით გასაოცარი ძროხა, რომლის რქაც შემდგომში დიდი ხნის მანძილზე შემონახული იყო დიანას გაძრის შესასვლელში. ეს ამბავი სასწაულად მიიღეს და წინასწარმეტყველებმა გამოაცხადეს, ვისი მოქალაქეებიც ამ ძროხას დიანას მსხვერპლად შესწირავენ, იმ ქვეყანაში იქნებოდა ძლიერება და წარმატება. ეს წინასწარმეტყველება იყო და დიანას გაძრის ქურუმაც. საბინმა მსხვერპლმწიფრისთვის პირველივე ხელსაყრელ დღეს ეს ძროხა მიიყვანა რომში, დიანას გაძარში და სამსხვერპლოს უკან დააყენა. გაძრის რომაელმა ქურუმმა კი იცნო რა ზომით საოცარი ცხოველი, რომელმაც ამდენს ლაპარაკობდნენ და, რადგანაც წინასწარმეტყველება ახსოვდა, საბინელს ასე მიმართა: „ როგორ, უცხოელო, განუბანელი ამირებ მსხვერპლის მეწირვას? ნუთუ ჯერ არ განიწმინდები გიბერისის წყალში? ამ სიტყვებით შერცხვენილმა საბინმა გადაწყვიტა ყველა წესის და რიგის აღსრულება და დაეშვა მდინარისკენ. ამასობაში რომაელმა ძროხა დიანას მსხვერპლად შესწირა და ამით დიდად ასიამოვნა მეფესაც და თანამოქალაქეებსაც.

(46) ევსეგარეშეა, ამ დროისთვის სერეიუსი უკვე ფლობდა მყარ სამეფო ძალაუფლებას, თუმცა ახალგაზრდა გარკვინიუსი მაინც ავრცელებდა ბოროტ ხმებს, რომ იგი ხალხის თანხმობის გარეშე მეფობდა. მაშინ სერეიუსმა თავდაპირველად პლებსის გული მოიგო, გაუნაწილა რა მათ მგრისგან წართმეული მიწები, შემდეგ კი ხალხს მიანდო გადაწყვეტა იმისა, სურდათ თუ არა მისი მეფობა. იგი მეფედ გამოაცხადეს ისეთი ერთსულოვნებითა და თანხმობით, როგორიც არსი ჰქონია მანამდე არც ერთ მეფეს. თუმცა ამ ამბავმაც ვერ შეაბცინა გარკვინიუსის იმედი მეფედ გახდომისა, პირიქით — იყოდა რა, რომ პლებსისათვის მიწების დარიცხვა სენატორთა სურვილის საწინააღმდეგოდ მოხდა, უფრო გულმოდგინედ დაიწყო სენატორთა შორის სერეიუსის სახელის ვაგება და დადანაშაულება. ფიქრობდა, რომ მიეცემოდა შესაძლებლობა კურიაში<sup>3</sup> საკუთარი გავლენის გამრდისა, მითუმეტეს, რომ მას, ისედაც ახალგაზრდობის გამო ფიცხსა და გაუწონასწორებულს, კიდევ უფრო მეტად აქებებდა მისი ცოლი გულია. რომაელთა სამეფო კარი კი გახდა მაგალითი ტრაგიკული ბოროტმოქმედებისა, რომელმაც წარმოშვა ზიზღი მეფეებისადმი და მალევე ბოლო მოუღო დანაშაულზე დაფუძნებულ მმართველობას.

ამ ლუკიუს გარკვინიუსს, რომელიც ძნელი გასარკვევია გარკვინიუს პრისკუსის შვილი იყო თუ შვილიშვილი, ჰყავდა ბუნებით წყნარი და მშვიდი ძმა არუნს გარკვინიუსი და როგორც უკვე ვთქვით, ძმებს ცოლებად ესვათ მეფის ქალიშვილები—ორი გულია, ერთმანეთისგან ხასიათით დიდად განსხვავებულნი. ნაძალადევი ქორწინებები მტკიცე არ აღმოჩნდა. მჯერა, რომაელი ხალხი ბედისწერამ დაიფარა, რათა სერეიუსის მეფობა ყოფილიყო ისე ხანგრძლივი, სანამ სახელმწიფო კანონების დადგენასა და გამყარებას შეძლებდა. გულიამბინვარე შფოთავდა, რომ მის ქმარს არანაირი გამბედაობა, ძალაუფლებისაკენ სწრაფვა და სიმტკიცე არ გააჩნდა და მთლიანად მიმართული იყო თავისი დის ქმრის — მეორე გარკვინიუსისადმი, მისით ალტაცებული უწოდებდა მას ნამდვილ მამაკაცს, მეფური სისხლის მქონეს. საკუთარი და კი შეიძულა, რადგან თვლიდა, რომ იგი არ იყო ასეთი ქმრის ღირსი და არ შეეფერებოდა მას თავისი გაუბედაობით. სულიერმა მსგავსებამ ლუკიუს გარკვინიუსი და გულია სწრაფად დაახლოვა ერთმანეთს და როგორც ხდება ხოლმე, ბოროტებამ ბოროტება კიდევ უფრო გაამყარა, თუმცა არეულობის სათავედ ქალი შეიქმნა. იგი ჩუმად ესაუბრებოდა ხოლმე ლუკიუს გარკვინიუსს და ამ საუბრებში საკუთარ

ქმარს მისსავე ძმასთან, საკუთარ დას კი მისსავე ქმართან შეურაცხყოფელი სიციყებით ლანძღავდა. ამტკიცებდა, რომ უმჯობესი იქნებოდა გარკვეინუსი ყოფილიყო დაუქორწინებული, მისი და კი – ქერიეი, ვიდრე დაკავშირებოდა არათანაბარს და საკუთარი უმოქმედობით სხვაე არ დაეუძლურებინა. ხოლო თუკი ღმერთი მისცემდა მას ისეთ ქმარს, როგორის ღირსიე იყო, მამინ ის ძალაუფლება, რასაც ახლა მამამისის ხელში ხედავდა, მალევე მის სახლში აღმოჩნდებოდა. ქალმა საკუთარი უგუნურებით ახალგაზრდა გარკვეინუსი აღაესო და მალევე მათ ოჯახს ორი წვერი ზედიმედ გამოაკლდა. ლუკიუს გარკვეინუსი და გულია-უმეროსი დაქორწინდნენ, სერეიუსს არ მოსწონებია მათი შეუღლება, მაგრამ არც აუკრძალავს.

(47) ამის შემდეგ ღლითიღლე ძლიერდებოდა საფრთხე სერეიუსის სიბერესა და მის მეურ ქალაუფლებას რომ ემუქრებოდა. ქალი ერთი ბოროტმოქმედების შემდეგ უკვე მეორეს განიზრახავდა და არ ასვენებდა ქმარს არც ღლისითა და არც ღამით, რათა მათი წინა მკვლელობები ამაოდ არ დარჩენილიყო. ამბობდა, რომ მას ელგეოდა არა როგორც ქმარს და არა როგორც მეგობარს მონობაში, არამედ მას, ვინც თავისთავს მეფობის ღირსად მიიჩნევდა და ვისაც ეხსომებოდა, რომ გარკვეინუსს პრისკუსის შეილია და ვინც უფრო მეტად ისურვებდა მეფობას, ვიდრე ამ მეფობის იმედის ქონას: „თუკი შენ ის ხარ, ვინც მეგონე, ცოლად რომ მოგყვებოდ, მამინ მიგინეუ ნამძელი კაცად და მეუფედ, ხოლო თუ არა, – საქმე უარესობისკენ შეცვლიდა, რადგან მამინ მიუთხოვდი არა მარტო მხალს, არამედ ბოროტმოქმედსაც. რაგომ არ ემზადები? შენ ხომ მამაშენიეით არ ხარ იძულებული აიყარო მშობლიური კორინთოდან და გარკვეინიდან მეფობის მოსაპოვებლად. შენ ღმერთები, მამისეული პენატები, მამის სახე, მშობლიური სასახლე, მეფის გვირგვინი და გარკვეინუსის სახელი მოგიწოდებს მეფობისაკენ. თუ არ ხარ ამისთვის მზად, მამინ რაგომ აწვალე ამაოდ მოქალაქეებს? რაგომ აძლეე უფლებას, გიყურებდნენ, როგორც მეფის ვაჟს? დაბრუნდი კორინთოში ანდა გარკვეინიაში, საიდანაც წამოხვედი და მამინ იქნები უფრო მეტად შენი ძმის მსგავსი, ვიდრე მამისა.“ მსგავსი სიციყებით აქემზდა ახალგაზრდასაც და არც საკუთარ თავს ასვენებდა – თუკი განაკვიღმა, უცხოგომელმა ქალმა, შექლო იმდენი, რომ ჯერ ქმარი გაამეფა, შემდეგ კი – სიძე, რაგომ არ უნდა შეძლებოდა მას, მეფის ოჯახიდან წარმომობილს, მეფობის წართმევა ან ბოძება. მოუსვენარი ქალისგან წაქეზებულმა გარკვეინუსმა მოიარა სენატორები, განსაკუთრებით კი პატარა გეარებისა, ახსენებდა მათ მამის სიკეთებს და სთხოვდა დახმარებას. ახალგაზრდების მიმხრობას საჩუქრებით ცდილობდა, ყველგან აძლიერებდა თავის გავლენას, დაპირებებს ამეიადებდა. სერეიუსს კი ბრალს სდებდა. მოგვიანებით, როცა დაინახა, რომ მოქმედების დრო აღდგა, ფორუმზე შეიარაღებული რაზმით შეიჭრა. ყველა შემინდა, გარკვეინუსი დაჯდა სამეფო სავარძელში კურიის წინ და მანისი მეშვეობით ბრძანა კურიაში სენატორების მასთან – მეფესთან მოხმობა. სენატორები მამინეე მივიდნენ, ერთნი ამისთვის უკვე წინასწარ იყენენ მზად, სხვებმა კი შიშის გამო უარი არ თქვეს მისელაზე; სიახლით განკეიფრებულებმა იფიქრეს – რა, რომ სერეიუსი უკვე აღარ იყო ცოცხალი. იქ გარკვეინუსმა დაიწყო სერეიუსის ღანძღვა: თავდაცე მონა, მონისგანეე მობოლი, გამეფებული მისი მშობლის უეყარი სიკვდილის შემდეგ, არ გამოაყხადა მეფეთმორისი პერიოდი, როგორც ხდებოდა უწინ, არ შეკრიბა კომიციები და გამეფდა ხალხის არჩეეანისა და სენატის მოწონების გარეშე – მეფობა ქალისგან საჩუქრად მიიღო. ასე იშეა იგი და ასე შეიქმნა მეფედ, მფარეელი ყველაზე უფრო მდაბალი ხალხისა, რომლებისგანაც თვითონ იყო წარმომობილი, მურდა რა სხვისი კეთილდღეობის, წაართეა მიწები წარჩინებულებს და გაუყო უსამიზღრეს ადამიანებს. ხოლო პასუხისმგებლობის სიმძიმე, რაც ადრე საერთო იყო ყველასთვის, დააკისრა მხოლოდ უპირეელებს მოქალაქეებს, ცენზის დადგენით კი გზა გაუხსნა მურს შეძლებულთა ქონების მიმართ.

(48) ამ სიციყების დროს გამოჩნდა შემამეოთეული ამბით შეწუხებული სერეიუსი და კურიის შესასეულიდანეე ხმამალა შესძახა: „რა ხდება გარკვეინუს? იმდენად გათახებლდი, რომ მე ჯერ ცოცხალი ვარ, შენ კი ჩემს სავარძელში ზიხარ და სენატორებს უხ-

მოზ?!“ ტარკვინიუსმა უკმეხად უპასუხა, რომ დაიკავა მამამისის სავარძელი და იგი იყო მეფის შვილი და გახდის მემკვიდრე და არა მონა, რომელიც უკვე საკმაოდ დიდი ხანია აბუჩად ივლებდა ბატონებს. ორივე მხარის მომხრეები აყვირდნენ, კურიაში ხალხი შევარდა და ნათელი გახდა, რომ იმეფებდა ის, ვინც იქ გაიმარჯვებდა. ტარკვინიუსს ისლა დარჩენოდა, რომ უკიდურესი ნაბიჯი გადაეღა. იგი, სერვიუსზე ბევრად ასალგამრდა და ძლიერი, წედა სერვიუსს, გამოათრია კურიიდან და ჩამოაგდო კიბეებიდან, თვითონ კი კურიაში სენატთან შებრუნდა. მეფის თანმხლებლები და მსახურები გაიქცნენ, სისხლისგან დაცლილი და ძლივს მსუნთქავი სერვიუსი კი გამცილებლების გარეშე ცდილობდა სახლამდე მიღწევას, თუმცა გზაში იგი ტარკვინიუსის მიერ მიგზავნილმა მძევრებმა მოკლეს. ტულიას ბოროტმოქმედებზე საუბრის დროს სწამთ, რომ მან მამის მეკვლელობაშიც მიიღო მონაწილეობა. ის კი ნამდვილად ცნობილია, რომ იგი არ მოერიდა ფორუმზე მეკრებილ მამაკაცებს, მივიდა ეგლით იქ, გამოიხმო ქმარი კურიიდან და პირველმა უწოდა მას მეფე. ტარკვინიუსმა განარიდა იგი არეულობას და შინ გაგზავნა. გზაზე კიპრიუმის ქუჩის ყველაზე მაღალ ადგილას, სადაც ცოცხალი ხნის წინ დიანას გაძარი იდგა, როცა ეგლი უკვე მარჯვნივ უხვევდა ურბიას სიმაღლისკენ, რათა ასულიყო ესკვილანუმის ბორცვზე, მეეტლე უცებ შედგა, თავმარდაცემულმა შეაჩერა სადავეები და ქალბატონს დაჩეხილი სერვიუსის გვაში აჩვენა. იქ, როგორც ვაღმოგვეყვენ, სასტიკი და არაადამიანური დანაშაული აღსრულდა, რის ნიშნადაც ეს ადგილი წოდებულია „ბოროტმოქმედების ქუჩად“. დისა და ქმრის გამო შურისმაძიებელი ფურიებისგან აღგზნებულმა და გონებაარეულმა ტულიამ გადაატარა ეგლი მამის სხეულზე და თავადაც სისხლში მოსერილმა სისხლიანი ეგლით გასწია სახლისაკენ. ამან განარისხა მისი და მისი ქმრის პენატები და მეფობის ბოროტ დასაწყისს ცოცხალი ხანში ასეთივე დასასრული მოჰყვა. სერვიუსმა იმეფა 44 წელი, სიქველთა და მოწყალებით მასთან შედარება ნებისმიერს გაუჭირდებოდა. მისი სახელი კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან მისი მეფობა იყო კანონიერი და სამართლიანი და რამდენადაც ვიცით, იგი ამ მომიერი ძალაუფლების მოხსნასაც განიზრახავდა და მხოლოდ ოკაისის დანაშაულმა არ მისცა საშუალება შეესრულებინა გადაწყვეტილება – ერთმმართველობისგან გაეთავისუფლებინა სამშობლო.

(49) ამის შემდეგ დაიწყო ლუციუს ტარკვინიუსის მეფობა, რომელსაც საკუთარი საქმეების გამო „ამაყი“ უწოდეს. მან არ დაუშვა სიმაშრის დაკრძალვა – ამბობდა, რომ რომულუსი ასევე დაუკრძალავად გაუჩინარდა და დახოცა უპირველესი სენატორები, ვიძუც ფიქრობდა, რომ სერვიუსის საქმეებს იწონებდნენ. შემდგომ ხვდებოდა რა, რომ თვითონვე მისცა მავალითი ძალაუფლების ძალადობით ხელში ჩაგდებასა, რაც შეიძლება მის მგრებსაც გაემეორებინათ, აიყვანა შეიარაღებული დაცვა. მას ძალის გარდა არ ჰქონდა არანაირი უფლება მეფობაზე და მეფობდა ხალხის არჩევნისა და სენატის დამტკიცების გარეშე. ამას ემატებოდა ისიც, რომ ჩვეულებრივ, ვისაც არ აქვს იმედი თანამოქალაქეების პატივისცემისა და მხარდაჭერისა, ძალაუფლების შენარჩუნებასა და მის დაცვას შიშის დათესვით ცდილობს. რათა ბრალდებული რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო, ტარკვინიუსი სასამართლო საქმეებს მარტო, ყველანაირი რჩევის გარეშე წარმართავდა და ამგვარად მიადწია იმას, რომ შეეძლო სიკვდილით დასჯა, გადასახლება და ქონების წართმევა არამარტო იმათთვის, ვინც საეჭვო ან საძულეული იყო მისთვის, არამედ იმათთვისაც, ვისი სიკვდილითაც გარკვეულ სარგებელს ელოდა. განსაკუთრებით შემცირდა სენატორთა რიცხვი და ტარკვინიუსმა დაადგინა, რომ არავინ აერჩიათ სენატორად, რათა საკუთარი მცირერიცხოვნებით მათი წოდება უფრო დამდაბლებულიყო და ისინი ნაკლებად აღშფოთებულიყვნენ იმით, რომ ტარკვინიუსი ყველა საქმეს მათი გვერდის ავლით, ერთპიროვნულად წყვეტდა. ამით მან, პირველმა მეფეთა შორის, დაარღვია წინაპართაგან მიღებული წესი. თვითონ კი ხალხისა და სენატის თანხმობის გარეშე, როცა და ვისთან სურდა, ომობდა, უბაელებოდა, ამყარებდა და არღვევდა კავშირებსა და ხელშეკრულებებს. ყველაზე მეტად ტარკვინიუსი მიესწრაფვოდა ლათინების მიმხრობას, რათა უცხოგომელთა ძალით უსაფრთხოდ ყოფილიყო თანამოქალაქეთა შორის და ამიგომაც ლათინთა წარჩინებულ მოქალაქეებს არამარტო სტუმართმოყვარეობის, არამედ ნათესაობის ძალითაც უახლოედუ-



ბოდა. ოქტაიუს მამილიუს ტუსკულანუმს – დიდი ხნის განმავლობაში უპირველეს მოქალაქეს ლათინთა შორის, რომელიც თუ ჭორებს დაეუკერებო, ულისესა და ქალღმერთ კირკეს შთამომავალი იყო, ცოლად საკუთარი ქალიშვილი მისცა, რითაც გადაიბირა მამილიუსის უამრავი მეგობარი და ნათესავი.

(50) გარკინიუსს უკვე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა წარჩინებულ ლათინებს შორის და დანიშნა დღე ფერენგინუმის<sup>44</sup> კორომთან შესაკრებად, რათა ებჭოთ საერთო საქმეებზე დილიდანვე ბევრი ხალხი შეიკრიბა, თავად გარკინიუსი კი მივიდა იმავე დღეს, თუმცა ცოცხალი ადრე მშის ჩასვლამდე. მთელი დღის განმავლობაში იქ შეკრებილებმა დიდხანს ისაუბრეს, გურნუს პერდონიუსმა არიციუმთან<sup>45</sup> მწვავედ გაიკისხა იქ არმყოფი გარკინიუსი და თქვა, რომ საკვირველი არაა, მას რომში „ამაყს“ უწოდებდნენ – ყველა უკვე ჩუმად მას ამ მეტსახელით მოიხსენიებდა – მაგრამ მაინც სადამდე მიდის მისი სიამავე, რითაც იგი აბუჩად ივლებდა ლათინებს? უპირველესი მოქალაქეები დილიდან მოვიდნენ, თვითონ კი, ვინც ისინი მოიხბო, არ ჩანს, ალოდინებს და თუ ლათინები მოითმენენ და უღელს დაიღვამენ, მაშინ მათ ძალით დაიმორჩილებს. მოქალაქეებმა მას ანდეს ძალაუფლება, რათა მათსავე კეთილდღეობაზე ებრუნა, თუკი საერთოდ ანდეს და ხელში არ ჩაივლო სიმამრის მკვლელობით, ალბათ ლათინებიც მიენდობოდნენ მას, უცხოელი რომ არ ყოფილიყო. მაგრამ თუ მეფით საკუთარი მოქალაქეებიც კი უკმაყოფილონი არიან, რადგან ილუპებთან, გადასახლებაში მიდიან და ქონებას კარგავენ, მაშინ რაგომ უნდა ჰქონდეთ ლათინებს უკეთუისი იმედი. მოუწოდებდა მათ მოესმინათ მისთვის, წასულიყვნენ სახლებში და აღარ დალოდებოდნენ დადგენილ დღეს და არც მისი დამდგენისთვის დაეუკერებინათ. ამას და ბევრ სხვა ასეთს ლაპარაკობდა გურნუსი, შერთიანი და ბოროტგმრახველი კაცი, რომელიც მშობლიურ ქალაქში ძალადობით შეიჭრა და სხვა ძალმომრეობასაც არ ერიდებოდა. გასცხარებული საუბრის დროს მოვიდა გარკინიუსიც. ლაპარაკი მყისვე დასრულდა და ყველანი მისასალმებლად შეგრიდლდნენ. სიჩუმემ დაისადგურა, გარკინიუსმა კი ახლობლების რჩევით დაიწყო თავის მართლება, თქვა, რომ დაიგვიანა, რადგან არჩევა საქმეს მამა-შვილს შორის და შეყოვნდა, ცდილობდა რა მათ შერიგებას, ხოლო დადგენილ საქმეებზე მათთან შემდეგ დღეს იბჭობდა. როგორც გადმოგვყვენ, გურნუსმა ისევე ვერ შეძლო გაჩუმება და თქვა, რომ არაფერია იმაზე უფრო მარტივი, ვიდრე უთანხმოების ვარკვევა მამასა და შვილს შორის. რამდენიმე სიგყვითაც შეიძლება დაეის გადაწყვეტა: თუ არ დამორჩილები მამას, ცუდად წაგივა საქმე.

(51) მას შემდეგ რაც ამ სიგყვებით რომაელთა მეფე გაიკისხა, არიციუმელი შეკრებიდან წაეიდა. ამან გარკინიუსი იმაზე მეტად განარისხა, ვიდრე შეიმჩნია და განიზრახა გურნუსის მოკვლა, რათა ლათინებიც ისევე პყლოდა შიმის ქვეშ, როგორც თანამემამულეები. რადგან საკუთარი ძალაუფლებით გურნუსის ღიად მოკვდინება არ შეეძლო, მას ბრალი დასდო დანამაულში და სიკედლით დასაჯა. გარკინიუსმა რამდენიმე მისი მოწინააღმდეგე არკადიელის დახმარებით ოქროთი მოისყიდა არიციუმელის მსახურები და გურნუსის სამყოფელში დიდი რაოდენობის ხმლების ჩუმად შეტანა მოახერხა. შეასრულეს რა ეს ყველაფერი ერთ დღეში, გარკინიუსმა გათენებამდე ცოცხალი ადრე მოიხბო თავისთან დიდგვაროვანი ლათინები და უთხრა, თითქოს ახალი აჯანყება მზადდებოდა და გუმინდ ღვთაებრივმა წინასწარმეტყველებამ შეაყოვნა, რამაც ისინა თვითონ გარკინიუსიცა და ისინიც. ამბობდა, თითქოს გურნუსი მასაც და წარჩინებულ ლათინებსაც სიკედლის უპირებდა, რათა მარტოს ჩაეგდო ხელში ძალაუფლება ლათინებზე. თავდასხმა უნდა ყოფილიყო გუმინდელი დღის შეკრებაზე, თუმცა გადაადლო, რადგან შეკრების წამომწყები იქ არ იმყოფებოდა, ვისი მოკვლაც გურნუსს განსაკუთრებით სურდა. ამიგომაც კისხავდა გარკინიუსს არყოფნის გამო, რადგანაც მისი შეყოვნება გეგმებს უმსხვრევდა. ეჭვი არაა, რომ თუ ეს სიმართლეა, დილიდანვე მოვა გურნუსი შეკრებაზე შეიარაღებული, შეთქმულთა ჯგუფთან ერთად. გარკინიუსი ამბობდა, რომ მას უთხრეს, გურნუსთან დიდი რაოდენობის ხმლები იყო მიტანილი, ხოლო გყული იყო ეს თუ არა, მალევე ვაარკვევდა და სთხოვა მათ, ერთად მისულიყვნენ გურნუსთან. ეჭვს იწვევდა გურნუსის მძინვარე ხასიათიც, წინააღმდეგ მისი სიგყვით გამოსვლაცა და გარკინიუსის დავიანება, რის გამოც,

როგორც ჩანდა, შესაძლოა თავდასხმა გადადებულიყო. ლათინები მზად იყვნენ მისთვის დაეჯერებინათ, მაგრამ თუ ხმლები არ აღმოჩნდებოდა, მაშინ ბრალდებას ცარიელ სიგყეუბად მიიჩნევდნენ. ისინი მივიდნენ, გაღვიძებული ტურნუსის სახლს დაეცა გარსემომარტყეს და ის მონები, რომლებიც ბატონის პატივისცემით წინააღმდეგობის გაწევას აპირებდნენ, შეიპყრეს. სახლში ხმლები აღმოჩნდა. ჩანდა, დამამტკიცებელი საბუთი ჰქმნარიტი იყო. ტურნუსი შეკრეს ჯაჭვით და აღმუთებულებმა სასწრაფოდ ლათინების შეკრება მოიხმეს. შუამი ყველას დასანახად დადებულმა მახვილებმა დიდი რისხვა გამოიწვია და ტურნუსი უსასტიკესი სიკვდილით ისე დასაჯეს, რომ თავის გამართლების საშუალებაც კი არ მისცეს. იგი თავქვე ფერენგინუმის წყალში ჩააგდეს და გემოდან ქეები დააყარეს.

(52) შემდეგ ტარკინიუსმა ისევ შეკრიბა ლათინები და შეაქო აჯანყებისა და მკვლელობის მოსურნე ტურნუსის დამსახურებულად დასჯის გამო. ამასთან დასძინა, რომ მას შეეძლო დაყრდნობოდა ძველ კანონებს, რომლის მიხედვით ლათინებს – ხალხს, წარმომობილს ქალაქ ალბადან, რომთან პირობა აკაემირებს და ტულიუს პოსტილიუსის დროიდან მთელი ალბას მოსახლეობა მათი კოლონიებითურთ რომაელი ხალხის გამგებლობის ქვეშ იმყოფება. ტარკინიუსს დასამეუბად მიაჩნდა ამ პირობის განახლება, რაც ყველასთვის სასარგებლო იქნებოდა და მაშინ ლათინებსაც შეეძლებოდათ დამტკბარიყვნენ რომაელი ხალხის წარმატებული ბედით და ეს უკეთესი იქნებოდა, ვიდრე მათი მიწებისა და ქალაქების აოხრება, რაც თავდაპირველად ანკუსის, შემდეგ კი ტარკინიუს-მამის მეფობის დროიდან არ წყდებოდა. თუმცა ხელშეკრულებით უპირატესობა რომს ეძლეოდა, ლათინები მაინც მარტივად დასთანხმდნენ. ამასთან ერთად, როგორც ჩანდა, ლათინთა მეთაურები მეფის მხარეზე იდგნენ და თანაუგრძნობდნენ მას, მეფის მოწინააღმდეგეთათვის კი ტურნუსი უნდა ყოფილიყო ცოცხალი ნიშანი იმ საფრთხისა, რაც მათ დაემუქრებოდათ. ასე რომ, ხელშეკრულება განაახლეს და მისი პირობის მიხედვით ახალგაზრდა ლათინები იარაღითურთ დადგნენ და დასთანხმდნენ უნდა გამოცხადებულიყვნენ ფერენგინუმის გყესთან. იქ შეიკრიბნენ ყველა გომიდან რომაელთა მეფის ბრძანებით. მათ არ ჰყავდათ არც საკუთარი წინამძღოლი, არც რაიმე ბრძანება და არც თავისი საბრძოლო დრომები ჰქონდათ. შემდეგ ტარკინიუსმა შექმნა მერული საბრძოლო რაზმები, რომაელებისა და ლათინებისგან თანაბარი რაოდენობით შედგენილი ისე, რომ ერთი უწინდელი რაზმის ხალხი ორ რაზმად გაყო, ხოლო ორი უწინდელი ლათინური და რომაული ხალხის შემადგენლობა კი ერთ რაზმში გაანაწილა. ტარკინიუსმა გააორმაგა რა ამგვარად რაზმები, დაუნიშნა მათ ცენტრები.

(53) რამდენადაც უსამართლო იყო მეფე მშვიდობის დროს, იმდენადვე მანკიერი წინამძღოლი გახლდათ ომისას. მართალია, იგი საომარი ხელოვნებით არ ჩამოუვარდებოდა წინა მეფეებს, მაგრამ უზნეობით თვითონვე წინაღუდგებოდა საკუთარ დიდებას. პირველმა მან დაიწყო ვოლსკებთან<sup>46</sup> ომი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ კიდევ 200 წელი გაგრძელდა, თავს დაესხა და აიღო მათი ქალაქი სუეასამ პომეციუმი. იქაური ნადავლი გაყოიდა 40 ვერცხლის ტალანგად და განიზრახა იუპიტერის გაძრის გაფართოება და გამშენიერება, რათა იგი ღმერთებისა და ხალხის მეუფის, რომაული სახელმწიფოსა და ამ ადგილის სიდიადის შესაფერისი ყოფილიყო. ამრიგად, გადადეს ფული გაძრის ასაგებად. შემდეგ დაიწყო ომი ახლომდებარე ქალაქ გაბიუმთან, თუმცა, ომი უფრო რთულად წარიმართა, ვიდრე მეფე ელოდა. როცა ქალაქი ძალით ვერ აიღო და ქალაქის კედლებიდან უკუგდებულს ალყის შემორტყმის იმედიც აღარ ჰქონდა, ტარკინიუსმა რომაელთათვის არადამხასიათებელ ემშაკობასა და გყუილს მიმართა და ისე შეუგია. თავდაპირველად თავი მოაჩვენა, თითქოს ომზე ფიქრი გვერდზე გადადო და გაძრის მშენებლობითა და ქალაქის სხვა საქმეებით იყო გართული, შემდეგ მისი შვილი სექსტუსი, ყველაზე უმცროსი სამთავან, გაიქცა გაბიუმში – თითქოსდა ვერ აიტანა მამის შეუწყნარებელი სისასტიკე. იგი ჩიოდა, რომ ტარკინიუსმა სხეულისგან შინაურებზე მიმართა სიამაყე და უკვე საკუთარი შვილების რაოდენობა აწუხებს და კაცს, ვინც დააყარიელა მთელი ქვეყანა, ახლა საკუთარი ოჯახის დაყარილება სურს, რათა არ დარჩეს არც შთამომავალი და არც მეფობის მემკვიდრე. იგი, სექსტუსი, ძლივს გადაურჩა მამამისის მახვილს და ამის შემდეგ ვერსად

იგრძნობს თავს უსაფრთხოდ თუ არა ლეიკუს ტარკეინიუსის მტრებს შორის. დაე, ნუ მოგყვებდებიან გაბიუმში, ტარკეინიუსმა მხოლოდ მოიგონა ომის შეწყვეტა, რათა შემდეგ უეცრად თავს დაესხას ქალაქს. ხოლო, თუკი მას, სექსტუსს გაბიუმში არ შეიფარებენ, მაშინ იგი მოივლის მთელ ლაციუმს, მერე კი – ვოლსკებს, ეკეებსა და პერნიკოსებს, სანამ არ იპოვის თავშესაფარს და არ მივა მათთან, ვინც მამის სისასტიკისა და უსამართლობისგან შვილის დახსნას შეძლებენ და ალბათ, საღმე შეხვდება მას, ვინც მოისურებს დაუპირისპირდეს ყველაზე ამაყს მეფეთა შორის და ყველაზე მძინეარე ხალხს. ისე ჩანდა, თითქოს უარის შემთხვევაში განრისხებული სექსტუსი მართლა წაეიღოდა და გაბიუმელებმა იგი კეთილგანწყობით მიიღეს. არ იყო გასაკვირი, ტარკეინიუსი ისევე მოქცეოდა შვილებს, როგორც ეპყრობოდა თანამოქალაქეებსა და მოკავშირეებს. გაბიუმელები ამბობდნენ – ცოტა ხანში ალბათ საკუთარი თავის მიმართ გახდება დაუნდობელი, თუ გერდმე არაეინ ეყოლება. გაბიუმელებს ძალიან გაუზარდათ სექსტუსის მოსვლა და ღიჯერეს, რომ ცოტა ხანში მისი დახმარებით ბრძოლები გაბიუმის კარიბჭიდან რომის კედლებისკენ გადაინაცულებდა.

(54) ამის შემდეგ სექსტუსს სახელმწიფო საკითხების განხილვაზე კი იწვევენ. იქ იგი ნებისმიერ სხვა საქმეზე საუბრის დროს ძველ გაბიუმელებს ეთანხმებოდა და თანაუგრძნობდა, რომლებმაც უკეთესად იცოდნენ ეს ამბები, თავად დაეინებით სთავაზობდა ომის წამოწყებას და ამბობდა, რომ იგი ყველაზე კარგად ერკეოდა ამაში, რადგან იყო ორივე ამ ხალხის სამხედრო ძალა, რომელთათვის კი აუტანელი იყო მათი მეფის სიამაყე, რომელიც თავისივე შვილებმა ვერ მოითმინეს. ასე მოუწოდებდა სექსტუსი უწარჩინებულეს გაბიუმელებს ომის განახლებისაკენ, თვითონ კი ყველაზე უფრო თავგამოდებულ ახალგაზრდებთან ერთად ნადავლის მოსაპოვებლად დადიოდა და თავდასხმებს აწყობდა. ცრუ სიყვებითა და მოქმედებით იქამდე მრდიდა მისადმი ნდობას, სანამ მთავარსარდლად არ დაინიშნა. უმრავლესობამ არ იყო და, რას აპირებდა იგი. დაიწყო მცირე შეტაკებები რომაელებსა და გაბიუმელებს შორის, რომელთა უმრავლესობაშიც გაბიუმელებმა გაიმარჯვეს და მაშინ პლებსმაც და პატრიციუსებმაც იწამეს, რომ ღმერთმა აჩუქა მათ ასეთი წინამძღოლი. მეომრებს შორისაც სექსტუსი არანაკლები პატივისცემით სარგებლობდა, ინაწილებდა რა მათთან ერთად საფრთხესა და შრომას და უხვად ასაჩუქრებდა ნადავლით. როცა სექსტუსმა ისეთივე ღიღება მოიპოვა, როგორც მამამისმა რომში და მიჩინია, რომ ნებისმიერი წამოწყებისათვის საკმარისი ძალები ჰქონდა, ერთ-ერთი თავის კაცთაგან რომში გაგზავნა იმის გასაგებად თუ რის გაკეთებას ისურვებდა მისგან ტარკეინიუსი და ამცნო, რომ ღმერთებმა იგი პირველ კაცად აქციეს გაბიუმში. ვფიქრობ, რომ ნამდვილად ასე იყო: ტარკეინიუსმა მაცნეს ღიღად არაფერი უპასუხა, დესპანთან ერთად გავიდა სისახლის ეზოში და იქ, როგორც ჰყვებიან, თურმე მღუმარემ ჯოხით ყველაზე ღიღ ყაყაოებს თავები წააყალბა. კითხვითა და პასუხის მოლოდინით დაღლილმა მაცნემ გავიდა სისახრულელებად მიაგოვა და გაბიუმში დაბრუნდა, მოუთხორო ყველაფერი, რაც ნახა და თქვა, რომ რისხვის, შიშის ანდა სიამაყის გამო მეფემ მას არაფერი უპასუხა. თუმცა სექსტუსი მამას მღუმარებით ირიბულად ნათქვამს მიუხედა და შეიგყო, თუ რა სურდა მას – დალუპა გაბიუმის უპირველესი და უწარჩინებულესი მოქალაქეები. სექსტუსმა მოგს ბრალი დასლო ხალხის წინაშე, ზოგიც სიკვდილით დასაჯა, გამოიყენა ის გარემოება, რომ ისინი ხალხის სიძულვილით უკვე სარგებლობდნენ. მრავალნი ღიღად დალუპა, ხოლო ვის წინააღმდეგაც ბრალდების წაყენება ვერ შეძლო, ჩუმად მოკლა. მოგს გაქცივის საშუალება მისცა, მეორენი ვადასახლა, ხოლო სიკვდილმისჯილთა და ვადასახლებულთა ქონება კი ხალხში გაანაწილა. უხვი საჩუქრები და ფუფუნებით ცხოვრების შესაძლებლობა ადამიანს საზოგადო ბოროტების აღქმის გრძნობას უკარგავს, გაბიუმში, მოკლებული რჩევასა და დახმარებას, ყველანაირი წინააღმდეგობის გარეშე აღმოჩნდა რომაელთა ხელში.

(55) მას შემდეგ რაც გაბიუმი აიღო, ტარკეინიუსი ეგრესიუკებთან ერთად დაუზავდა ეკუელების გომს და ვანახლა მათთან ხელშეკრულება. ამის შემდეგ მიუბრუნდა ქალაქის საქმეებს, რომელთაგან უპირველესი იყო ტარკეინიუსის მთამე თავისი მეფობის მოსაგონრად ძეგლისა და იუპიტერის ტაძრის აღმართვა, რამიც ორივე მეფე ტარკეინიუსმა მიიღო

მონაწილეობა, მამამ პირობა დადო, ხოლო შეიღმა შეასრულა. რათა ეს ადვილი მთლიანად თავისუფალი ყოფილიყო სხვა ღმერთების სიწმინდეებისგან იუპიტერის ტაძრისა და მისი მშენებლობისთვის, გარკვეინუსმა დაადგინა, რომ ამ ადვილიდან მოემორებინათ სხვა ღმერთებისადმი განკუთვნილი სიწმინდეები, რომელიც მეფე ტატიუსმა მიუძღვნა მათ რომულუსთან ბრძოლის დროს დადებული აღთქმის თანახმად. ამბობენ, რომ მშენებლობის დაწყების დროს ღმერთებმა გამოხატეს თავისი ნება და იწინასწარმეტყველეს იმპერიის მომავალი ძლიერება. ფრინველთმჩხიბაობის მიხედვით უფლება მიეცათ, სხვა ღმერთების სიწმინდეები მოემორებინათ, მაგრამ მისნობამ ტერმინუსის<sup>47</sup> ტაძარზე იმავეს გაკეთების ნება არ ღართო. მისნობა ასე ასხნეს, რომ ღმერთთაგან ერთადერთი, ტერმინუსის მიერ უწინდელი სამყოფელის შენარჩუნება ნიშანი იყო სახელმწიფოს მომავალი სიმყარისა. ამას დაემატა კიდევ ერთი დიდი სასწაული, იმპერიის მარადიულობისა და რომის მომავალი სიდიადის უტყუარი ნიშანი. როგორც ჰყვებიან, ტაძრის საძირკვლის მთხრელებმა იპოვეს ადამიანის თავი, რომლის სახეც უცნებელი იყო. საოცრება მეტყველებდა, რომ ამ ადვილს იმპერიის ბურჯად და ყველა საქმეთა საფუძვლად გახდომა ეწერა – ასე ასხნეს ეს მოვლენა ქურუმებმა, მათაც, ვინც რომში იყვნენ და მათაც, ვინც ეგრერიიდან ამ ამბის განსახილველად მოიწვიეს. მეფე უფროდაუფრო უხვი ხდებოდა დანახარჯებში, რადგანაც პომპეციუმში მოპოვებული ნადავლი, რომელიც განსაზღვრული იყო ტაძრის ბოლომდე დასრულებისათვის, მხოლოდ მის საძირკველს ეყო. უფრო მეტად მჯერა ფაბიუსის, რომელიც ამბობს, რომ მშენებლობისთვის 40 ტალანტი<sup>48</sup> იყო, ვიდრე პომონის, ვინც წერს, რომ ამ საქმისთვის 40 ათასი წონის ვერცხლის ტალანტი იყო გადადებული. ჯერ ერთი, ფაბიუსი უფრო ძველი ავტორია და მეორეც, ამდენ ფულს ვერ მოიპოვებდნენ ვერც ერთი იმდროინდელი ქალაქის ალებით და ასეთი თანხა ტაძრის მამინდელ კი არა, ახლანდელ მდიდრულ მოწყობილობასაც ეყოფოდა.

(56) რადგანაც გარკვეინუსი ტაძრის დასრულებას მიესწრაფვოდა, მოიწვია ხელოსნები ეგრერიიდან. იგი არა მხოლოდ სახელმწიფო სახსრებს იყენებდა, არამედ პლენსის შრომითაც სარგებლობდა. თუმცა ჯარში სამსახური და ამას დამატებული მშენებლობაზე მუშაობა არ იყო მათთვის მცირე გარჯა. მაგრამ ხალხს ღმერთებისთვის ტაძრის აგება უფრო ნაკლებად ემძიმებოდა, ვიდრე შემდგომინდელი სამუშაოები – ცირკში მასურებელთათვის განკუთვნილი დასაჯდომი ადგილების გაკეთება და ქალაქის მთელი სიბინძურეების მიწაში გამგანი არხის გათხრა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე გარეგნულად უფრო მარტივი ჩანდა, ხალხი უფრო მეტად გააწვავდა და დატანჯა. გარკვეინუსის დროინდელ ამ ორ წამოწყებას დღევანდელი მდიდრული შენობებიც კი ვერ შეედრება. სანამ ხალხი დაკავებული იყო ამ სამუშაოებით, არ იგრძნობოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ საქმე და გამოყენება არ ექნებოდათ, ქალაქი მოსახლეობის სიმრავლის გამო გადაიგვირთებოდა, ამიგომაც გარკვეინუსმა მოისურვა იმპერიის საზღვრების გაფართოება და გადაასახლა კოლონისტები სიცილიუმში<sup>49</sup> და კირკუმში<sup>50</sup>, რათა რომი მომავალში დაცული ყოფილიყო ზღვიდანაც და ხმელეთიდანაც. ამ წამოწყებების დროს თავმარდამცემი სასწაული მოხდა: ხის ბოძიდან გველი გამოძვრა, ამით შეშინებული ხალხი სასახლისკენ გაიქცა, თვითონ მეფე კი უფრო მეტად შეწუხდა, ვიდრე შეშინდა. საზოგადო საოცრებების ასახსნელად ეგრესკ მისნებს იწვევდნენ ხოლმე, მაგრამ, რადგან ამჯერად ეს ამბავი ცუდის მომასწავებელი მხოლოდ სამეფო ოჯახისთვის იყო, გარკვეინუსმა გადაწყვიტა სამყაროში ყველაზე განთქმულ სამისნოში, დელფოში<sup>51</sup> გაეგზავნა თავისი შეილები, გიგუსი და არუნსი, ვერ მიანდო რა ვერავის სხვას პასუხის მოგანა, თუმცა კი მეფისწულები იმ დროისთვის უცნობ საბერძნეთში უნდა წასულიყვნენ, კიდევ უფრო ნაკლებად შესწავლილი ზღვებით. მათი თანხლები იყო გარკვეინას, მეფის დის, შვილი ლუკიუს იუნუს ბრუტუსი, ბევრად უფრო ჭკვიანი და ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი, ვიდრე ყველას თავს აჩვენებდა და გარეგნულად გამოხატავდა. როცა გაიგო, რომ სხვა წარჩინებულებთან ერთად მისი ძმაც ბიძის მიერ მოკლულ იქნა, გადაწყვიტა თავი ისე დაეჭირა, რომ მეფეს არც მისი ხასიათის შინებოდა და არც მისი ქონების ხელში ჩაგდების წადილი ჰქონოდა, რადგანაც როცა კანონი ვერ იცავდა მას, მხოლოდ მისადმი უყურადღებობის შემთხვევაში შეეძლო თავი მშვიდად ეგრძნო.

ბრუტუსი შეეცადა თავის მოსულელებას, საკუთარი თავი და ქონება მეფეს მიანდო და არ შეეწინააღმდეგა მეგსახელად „ბრუტუსი“<sup>52</sup> ეწოდებინათ, რათა ამ მეგსახელის ქვეშ შეფარული დალოდებოდა შესაფერის დროს რომელი ხალხის გასათავისუფლებლად. გარკვენიუსის შეილებამ იგი დელფოში უფრო მეტად გასართობად წაიყვანეს, ეიდრე თანმხლებლად. მან კი. როგორც ამბობენ, დელფოში აპოლონს ჩუმად ოქროს მონეტა შესწირა, რომელიც გარედან რქის იყო – კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანი მისი ნიჭიერების. როდესაც დელფოში მივიდნენ და შეასრულეს მამის დაება, ყმაწვილებს ძლიერ მოუნდათ გაეგოთ, თუ რომელი მათგანი გამეფდებოდა რომში. გადმოვცემენ, რომ სიღრმიდან პასუხად ხმა გაისმა: „უმაღლესი ძალაუფლება რომში ექნება მას, ვინც თქვენგან პირველი, ყმაწვილებო, აკოცებს დედას“. რათა რომში დარჩენილ სექსტუსს არ გაეგო პასუხი და არ ჩაეგდო ხელში ძალაუფლება, ყმაწვილებმა მოილაპარაკეს, მოსმენილი საიდუმლოდ შეენახათ და თვითონ კენჭისყრით გადაეწყვიტათ, თუ რომელი მათგანი აკოცებდა პირველი რომში დედას მინ დაბრუნების შემდეგ მათგან მხოლოდ ბრუტუსმა განსამდგრა, რომ პითიას სხვა რაღაცის თქმა სურდა, მუხლებზე დაეარდა და დედამიწას ემთხვია – ის ხომ ყველა მოკვდავს დედად ეკუთვნის. ამის შემდეგ ყველანი რომში დაბრუნდნენ, სადაც მთელი ძალით ემზადებოდნენ რუგულელებთან ომისათვის.

(57) რუგულელები ცხოვრობდნენ არდემში<sup>53</sup> და იმ დროისთვის და იმ რეგიონში ითვლებოდნენ ყველაზე მდიდარ ტომად. სწორედ ეს გახდა კიდევ ომის მიზეზი. რომაელთა მეფეს გამდიდრება სურდა, რადგან საჯარო მშენებლობების წარმოება ძვირი ჯდებოდა და გარკვენიუსი ცდილობდა ნადავლით ხალხის გულის მოგებას, მითუმეტეს, იგი ისედაც არ უყვართ მისი სიამაყის გამო. ხოლო რომაელები უფრო მეტად ღრგინებდნენ მას შემდეგ რაც მეფემ აიძულა ისინი, შეესრულებინათ მონური სამუშაოები. თავდაპირველად სცადეს, შესაძლებელი იყო თუ არა არდეას პირდაპირი შეტევით აღება, მაგრამ მცდელობა ამოცანად გამოდგა, შემდეგ გარსემოერტყენ ქალაქის კედლებს და დაიწყეს მგრის ალყით შევიწროება. საბრძოლო მოქმედებები ხანგრძლივად გაგრძელდა, თუმცა არა მწეაველ და სისხლიანად, ამიგომაც ბანაკში თავისუფალი მიმოსვლა იყო, განსაკუთრებით სარდლობისთვის. მეფის შეილებიც თავისუფლად აგარებდნენ დროს მეგობრებთან ერთად. ერთხელ, როცა ისინი სეამდნენ გარკვენიუსის ვაჟ სექსტუსთან და იქვე სადილობდა ევერიუსის ვაჟი, გარკვენიუს კოლაგინუსი, საუბარი შეეხო ცოლებს. თითოეული უზომოდ აქებდა საკუთარ მეუღლეს და როდესაც კამათი უკიდურესად გამწვავდა, გარკვენიუს კოლაგინუმელმა თქვა, რომ ამდენ ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა და სულ რამდენიმე საათში შეიძლებოდა იმის შეტყობა, თუ რამდენად აღემატებოდა სხვებს მისი ლუკრეცია, „ახალგაზრდები ვართ, მოვახტეთ ცხენებს და ახლავე ვნახოთ ჩვენი ცოლები, ქმრის მოულოდნელი მისვლა უკეთ წარმოაჩენს მათ“.

ყველანი შეზარხოშებულები იყვნენ, უპასუხეს: „წაველით“ და ჰვნებით გაემართნენ რომისაკენ. შებინდებისას ჩაივინდნენ რომში და შემდეგ გაემუხრნენ კოლაგინუმისკენ. მეფის რძალთაგან განსხვავებით, რომლებიც დროს თანაგოლებთან ერთად მდიდრულ ნადიმზე აგარებდნენ, ლუკრეცია ნახეს გვიან ღამით ოთახის შუაგულში მჯდომი, მოსამსახურეებს შორის მაგყს რომ ართავდა. გამარჯვება ლუკრეციას დარჩა. კოლაგინუსმა შეიპატივა სტუმრები, ლუკრეციამ ქმარი და გარკვენიუსის ვაჟები კეთილგანწყობით მიიღო. მაგრამ ქალის მშვიდური აღნაგობითა და კეთილშობილი გარეგნობით მოხიბლულმა სექსტუსს გარკვენიუსმა ბოროტი შრასეა ჩაიდო ეულში, თუმცა ჯერჯერობით არაუფერი შეიძინა და იმდამინდელი გართობის შემდეგ ახალგაზრდები დაბრუნდნენ ბანაკში.

(58) რამდენიმე დღის შემდეგ სექსტუსი ერთ თანმხლებთან ერთად კოლაგინუმში წაიდა ისე, რომ გარკვენიუსს კოლაგინუსმა ვერაუფერი გაიგო. იქ იგი კარგად მიიღეს, არაუფერი იცოდნენ რა მისი განზრახვის შესახებ. სადილის შემდეგ სექსტუსი შეიყვანეს სტუმართათვის განკუთვნილ მოსასვენებელში. ვნებით ანთებულმა მეფის ძემ როგორც კი ჩათვალა, რომ ყველას მშვიდად ეძინა, გამიმვლბული მახვილით ლუკრეციას საძინებელში შეეარდა, მარცხენა ხელი ქალს სგაყა და უთხრა: „ჩემად იყავი ლუკრეცია, მე სექსტუსს გარკვენიუსი ვარ, ხელში მახვილი მიჰყრია, მოკვდები, თუ ყვირილს დაიწყებ“. როდესაც შემინებული

ქალი გამოფხიზლდა, დაინახა, რომ არანაირი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა და სიკვდილი ცხადად ემუქრებოდა. სექსტუსი კი ქალს სიყვარულს უხსნიდა, სთხოვდა, ევედრებოდა, ემუქრებოდა, ყველა ხერხით ცდილობდა მისი გულის მოგებას – დაინახა რა, რომ ლუკრეცია შეურყეველი იყო სიკვდილის შიშის წინაშე კი, მაშინ დაემუქრა, რომ შეარყებოდა, უთხრა, რომ მოკლავდა მას და გვერდზე მოკლულ მიშველ მონას მიუწევინდა, რათა თქმულიყო, რომ ქალი სამარცხეინო ღალატის გამო მოკლეს. ამ მუქარით დაძლია ლუკრეციას გაუგებლობა და უმწიკელოება. ამგვარად გაიმარჯვა სექსტუსმა ქალზე თავისი სიმამით, რის შემდეგაც იქიდან წავიდა. ასეთი ბოროტებით შეურაცხყოფილმა და დადარღვიებულმა ლუკრეციამ მაცნეები გაგზავნა არღვამში ქმართან და რომში მამასთან და სთხოვა, მისულიყვნენ რამდენიმე ერთგულ მეგობართან ერთად: „იმდენად სამინელი რამ მოხდა, რომ საჭიროა თქვენი დახმარება“. სპურნიუს ლუკრეციუსი ვოლესიუსის ეპე ჰუბლიუს ვალერიუსთან, კოლაგინუსი კი ლუციუს იუნუს ბრუტუსთან ერთად მოვიდა, რომელთან ერთადაც შემთხვევით მიდიოდა რომში, როდესაც ცოლის მიერ გაგზავნილი მაცნე შეხვდა. როდესაც მივიდნენ, დამწუხრებული ლუკრეცია საძინებელში იჯდა და თავისიანების დანახვისას ერემლები წასკდა. ქმრის კითხვაზე: „კარგად ხარ?“, უპასუხა: „რა არის კარგი ქალისთვის, როდესაც იგი უბიწოებას კარგავს? უცხო კაცის კვალა შენს სარეცელზე, კოლაგინუს, თუმცა მხოლოდ სხეულია შეურაცხყოფილი, სული კი – უცოდველი. დაე, სიკვდილი იყოს ამის მოწმე. შეჰფიცეთ ერთმანეთს, რომ ეს ბოროტმოქმედება დაუსჯელი არ დარჩება. სექსტუს ტარკვინიუსი მოვიდა როგორც სტუმარი, მაგრამ დამით ჩემთვისაც და მისთვისაც, თუ თქვენ კაცები ხართ, სასიკვდილო ვნება დაიკმაყოფილა.“ ყველამ რიგრიგობით დაიფიცა და თან სასოწარკვეთილ ლუკრეციას აწყენარებდნენ, ეუბნებოდნენ, რომ ცხადია, დამნაშავე არა დამარალებული, არამედ მოძალადეა. ლუკრეციამ თქვა: „თქვენ განსაჯეთ, მე კი თუმცა ამ ცოდვის მოზიარე არ ვარ, მაინც არ ვიხსნი სასჯელისგან პასუხისმგებლობას. დაე, ლუკრეციას მაგალითად მოყვანა თავს ნუ ამართლებინებს ნურცერთ დამნაშავეს.“ ამ სიტყვებით განსაყმლის ქვეშ დამალული დანა გულში დაიცა და სული განუგვავა, სიკვდილის წინ კი ქმარსა და მამას უხმობდა.

(59) სანამ ისინი, ლუკრეციას სიკვდილის მხილველნი, მწუხარებას მოეცა, ბრუტუსმა ლუკრეციას ჭრილობიდან სისხლიანი დანა ამოიღო და წამოიძახა: „სექსტუსის დანა-მკალით შეურაცხყოფილ ამ სრულიად წმინდა და უბიწო სისხლს ვფიცავ და მოწმედ, თქვენ, დემურთებო, მოგისმობთ, რომ დღეიდან ცეცხლითა თუ მახვილით, ყველაფრით, რითაც შეიძლება არც ლუციუს ტარკვინიუსს ამაყს, მის ავაზაკს მეუღლეს და არც რომელიმეს მათი შვილებიდან და შთამომავლობიდან აღარ დაეუშვებ რომში მეფედ! შემდეგ მახვილი გადასცა მისი სულის აქამდე არნახული სიძლიერით გაოცებულ კოლაგინუსს, ლუკრეციუსსა და ვალერიუსს. მათაც გაიმეორეს ბრუტუსის ნათქვამი და ყველას მწუხარება რისხვად შეიცვალა. ბრუტუსი კი, რომელმაც მოუწოდა მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად, წინამძღოლი შეიქნა. ლუკრეციას ცხედარი გამოასვენეს სახლიდან მოედანზე, სადაც გროვედობდა დაუჯერებელი და აღმამფოთებელი ახალი ამბით განრისხებული ხალხი. თითოეული მათგანი კოხხვდა მეფის დანამაულებრივ ძალადობას. ყველანი აღელვებულები იყვნენ შეიღმკვდარი მამის მწუხარებითა და ბრუტუსის სიტყვებით, რომელმაც დარდის ნაცვლად კაცებს, ვითარცა ჰემმარიგ რომაელებს, იარაღის ხელში ალებისკენ მოუწოდა მათ წინააღმდეგ ეინს მტერივით მოიქცა. უმამაცესი ახალგაზრდები შეიარაღდნენ თავისი ნებით და გაყენენ ბრუტუსს, მათ შეუერთდნენ სხვებიც. ბრუტუსმა კოლაგინუმში შეიარაღებული რაზმი დატოვა და დაეცა დააყენა ქალაქის კარიბჭესთან, რათა აჯანყების ამბავი მეფისთვის არავის შეეცყოინებინა, დანარჩენებს კი რომისკენ გაუძღვა. როცა რომში ჩავიდნენ, იარაღიანმა ხალხმა იქ შიში და მღელვარება გამოიწვია. თუმცა როცა დაინახეს, რომ ხალხს წინ უწარჩინებულესი მოქალაქეები მოუძღოდნენ, ნათელი გახდა ვითარების სირთულე. სამინელმა დანამაულმა რომშიც არანაკლები მღელვარება გამოიწვია, ვიდრე კოლაგინუმში. ქალაქის ყველა ადგილიდან ხალხი ფორუმისკენ დაიძრა. როდესაც შეიკრიბნენ, მოუხმეს ტრიბუნთან, რომლის თანამდებობაც შემთხვევით სწორედ ბრუტუსს ეკავა. იქ ბრუტუსმა წარმოთქვა ჰქვიანური და გაბედული სიტყვა, ისეთი, როგორც აქამდე არა-

სოდეს ეთქვა. იგი ლაპარაკობდა სექსტუსის ძალმომრეობასა და გარყვნილებაზე, ლუკრეციას სამინუღ შეურაცხყოფასა და მის საბრალლო აღსასრულზე და ტრიციტიგინუსის<sup>1</sup> მამისეულ მწუხარებაზე, ვისთვისაც ამ სიკედილზე არანაკლებ თავმარდამეცემი, მისი გამომწვევი მიზეზი იყო. შემდეგ ამას დაურთო თავად მეფის სიამაყისა და უბრალო ხალხის არხებსა და მიწისქვეშეთში მძიმე მუშაობის ამბავი. რომაელები, ხალხი, ვინც დაამარცხა ყველა გარშემო მოსახლე გომი, მეომრებიდან შეეშინებოდა და ქვისმთლებეზად იქცა. ახსენა სერვიუს ტულიუსის დანაშაულებრივი სიკედილი და მისი ქალიშვილი. რომელმაც მამის სხეულზე ეტლი გადაატარა და მოუხმო წინაპართა ღმერთებს შურისმძიძიებლად მან გაიხსენა ეს სამინუღელები და ეუფირობ, რომ სხეებიც, არანაკლებ თავმარდამეცემებიც, რაც მრისხანების დროს მოაფიქრდა და მწერლისათვის რთული მისამატებელია. ბრუტუსის სიტყვებზე ხალხი კიდე უფრო აღაშფოთა და დაადგინეს, ლუციუს ტარკინიუსის ცოლთან და შვილებთან ერთად გატყევა. ბრუტუსმა კი ახალგაზრდებიდან ნებაყოფლობით მსურველები შეარჩია, შეაიარაღა და მათთან ერთად წავიდა არდასთან მღგარ ჯარში, რათა ისინიც აეჯანყებინა მეფის წინააღმდეგ რომში ძალაუფლება ბრუტუსმა დაუტოვა ლუკრეციუსს, რომელიც აქამდე თავად მეფის მიერ იყო დადგენილი. არეულობაზე ტულია გამოიარდა სახლიდან, თუმცა, სადაც არ უნდა გამოჩინილიყო, ქალებიცა და კაცებიც ლანძღავდნენ მას და მოუხმობდნენ შურისმძიძიებელ ღმერთებს

(60) როდესაც ეს შემთხვოთებელი ამბები ბანაკში მყოფმა მეფემ შეიგყო, რომისკენ აჯანყების ჩასაქრობად დაიძრა. ბრუტუსმა გაიგო მისი მიახლოების შესახებ და რათა არ შეხვედროდა, შემოვლითი სელით წავიდა. ასე, თითქმის ერთდროულად სხვადასხვა გზებით მივიდნენ ბრუტუსი – არდუამი და ტარკინიუსი – რომში. ტარკინიუსს არ გაუხსნეს ქალაქის კარიბჭე და გამოუცხადეს გატყეების შესახებ. რომის განმათავისუფლებელი ბრუტუსი ბანაკში სიხარულით მიიღეს, მეფის ვაჟები კი ბანაკიდან გააძევეს. ორი მათგანი მიჰყვა მამის კვალს და ჩავიდა კერუმ(550, ეგრუსკებთან. სექსტუსი კი გაემურა გაბიუმისაკენ, თითქოს თავის სამეფოში და იქ მოკლეს ძველმა მგრებმა, რომლებიც მკვლელობებითა და დასჯით თავადვე გადაიკიდა. ლუციუს ტარკინიუსს ამაყმა იმეფა 25 წელი. მეფეები მართავდნენ რომს დღიდან ქალაქის დაარსებისა 240 წლის განმავლობაში მის გათავისუფლებამდე. ცენტურიების კომიციამე ქალაქის პრეფექტმა სერვიუს ტულიუსის ჩანაწერების მიხედვით ორ კონსულად აირჩია ლუციუს იუნუს ბრუტუსი და ტარკინიუს კოლაგინუსი.

### კომენტარები

<sup>1</sup> ტროა – უძველესი ქალაქი მცირე აზიის სანაპიროზე, განადგურდა ძვ.წ 14-13 საუკუნეში  
<sup>2</sup> ენასი – მითიური ტროელი გმირი, ანქისისა და ქალღმერთ ენუსის ვაჟი. გადმოცემის მიხედვით რომის ფუძემდებელი.  
<sup>3</sup> ანტენორი – მითიური ტროელი გმირი, ქალაქ პაგაიუმის დამაარსებელი.  
<sup>4</sup> აქაელები – მიკენური ეპოქის ბერძნულ გომთა ვაერთიანება.  
<sup>5</sup> ელენე – მითიური გმირი. მუქისისა და ლედას ასული, რომლის მოტაცებაც ვახდა ტროას ომის დაწყების მიზეზი.  
<sup>6</sup> პაულაგონია – მცირეაზიული მხარე.  
<sup>7</sup> ენეტები – მცირეაზიული გომი.  
<sup>8</sup> ლაურენტიუმი – ლატიუმის ქალაქი.  
<sup>9</sup> ანქისესი – მითიური ტროელი გმირი.  
<sup>10</sup> ენუსი – სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი.  
<sup>11</sup> პენატები – ოჯახისა და სახელმწიფოს დამცველი ღმერთები.  
<sup>12</sup> რეტულელები – ლატიუმში მკვიდრი უძველესი ხალხი.  
<sup>13</sup> ეგრუსკები – უძველესი იტალიური მოსახლეობა.  
<sup>14</sup> ნუმბიუსი – ტირენიის მღუამი ჩამაყალი მდინარე.  
<sup>15</sup> კრეუსა – ენასის ტროაში დარჩენილი ცოლი.  
<sup>16</sup> ილიონი – ტროა.  
<sup>17</sup> იულუსები – უძველესი და უწარჩინებულესი რომაული გვარი, რომელმაც დასაბამი ენასისა და კრეუსას ვაჟ იულუსისგან აიღო.  
<sup>18</sup> ტიბრისი – მდინარე რომში.  
<sup>19</sup> ეესტას ქურუმები – სატურნუსის ქალიშვილ, ოჯახური სიმტკიცის მფარველი ქალღმერთ ეესტას ტაპარში მსახური ქურუმი ქალები, რომელთაც მამაკაცთან თანაცხოვრების უფლება არ ჰქონდათ.

- 20 რუმინალისი - რომაული ღვთაება, ჩვილ ბავშვთა მფარველი. მისი ტაძარი რომში იდგა იმ ადგილას. სადაც გადმოცემით ძუ მგელმა რომულუსი და რემუსი იპოვა.
- 21 ლუპერკალიები - ძველი იტალიური ღვთაება.
- 22 არკადია - საბერძნეთის მხარე.
- 23 ანი - ძველბერძნული ღვთაების ღმერთი.
- 24 პერკულუსი - ღვთაება და ალკმენეს ვაჟი. მითიური გმირი, რომელიც სიკედილის შემდეგ ღმერთად იქცა.
- 25 ვერიონი - ოკეანიდ კალიროუსა და ქრისაორის ვაჟი. იბერიის გარტყას მითიური მეფე-განთქმული თავისი ძროხებით, რომელთა წამოყვანაც პერკულუსის ერთ-ერთი გმირობა იყო.
- 26 ლიტორი - რომაული მეფეებისა და შემდგომ კონსულების თანმხლები დასეა.
- 27 ტოგა - რომაული სამოსი.
- 28 საბინები - უძველესი იტალიური მოსახლეობა.
- 29 მეფეთმორისი ეპოქა - მეფის სიკედილის შემდეგ, ახალი მეფის არჩევამდე ძალაუფლება გადადიოდა თავდაპირველად სენატის ხელში და სანამ სახალხო კრებაზე ახალ მეფეს დაამტკიცებდნენ, ცხადდებოდა მეფეთმორისი ეპოქა.
- 30 ტარკინია - ეტრუსკული ქალაქი.
- 31 კორინთო - ბერძნული ქალაქი.
- 32 იანიკულუსი - რომის ერთ-ერთი ბორცვი, რომლის მიხედვითაც ეწოდა კარიბჭეს სახელი.
- 33 კომიცია - სახალხო კრება, რომელიც ფორუმზე იმართებოდა.
- 34 ანიენსი - იგივე მდინარე ანიო, გიბრისის მენაკადი.
- 36 ვულკანუსი - იუპიტერისა და იუნოს შვილი. ცეცხლის ღმერთი.
- 37 ფორუმი - ცენტრალური მოედანი რომში.
- 38 კორნიკულუსი - ქალაქი ძველ ლატიუმში.
- 39 სუესამ პომეცია - ეოლსკების ქალაქი ლატიუმში.
- 40 ასი - რომაული ფულის ერთეული.
- 41 ფესო - იონიური ქალაქი მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე.
- 42 დიანა - ნადირობის ქალღმერთი. იუპიტერისა და ლეტოს ასული.
- 43 კურია - მენობა, რომელშიც ტარდებოდა სენატის სხდომები.
- 44 ფერენტიუსი - ადგილი ალბამას მთასთან, სადაც მდებარებოდა ქალღმერთ ფერენტინას კორომი.
- 45 არციუმეიქალაქი ლატიუმში, მდებარე აპიუსის ვაზზე.
- 46 ეოლსკები - ლატიუმის ძველი იტალიური მოსახლეობა. მცხოვრები გირენის მღვანთან.
- 47 ტერმინუსი - საზღვრების დამცველი რომაული ღმერთი.
- 48 ტალანტი - ფულის ერთეული.
- 49 სივინუმი - ქალაქი, სამხრეთ-დასავლეთით რომიდან.
- 50 ირეუმი - მდინარე ქალაქი ლატიუმში.
- 51 ლელფო - სახელგანთქმული სამისნო ფოკიდაში, პარნასოსის მთასთან.
- 52 ბრეტუსი - ნიშნავდა ლათინურად: „სულელს“.
- 53 არდეა - რეტულეთა მთავარი ქალაქი.
- 54 ტრიპიტიუსი - სპურიუს ლუკრეციუსის მეგსახელი.
- 55 კურე - ერთ-ერთი თორმეტ ქალაქთაგანი შემავალი ეტრუსკთა კავშირში.

*თარგმნა გიორგი უგულავამ*



# კეისრების ეპოქა

(ახ. წ. I ს. 10-იანი წლები – V ს.)



## მარკუს ანეუს ლუკანუსი

(ახ.წ. 29-65)

ლუკანუსი დაიბადა კორდობეში (ესპანეთი) 3 ნოემბერს, ახ.წ. 29 წელს. ახ.წ. 40 წელს იგი ოჯახთან ერთად რომში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც სტოიკოსთა სკოლაში განისწავლა. ცნობილია, რომ ლუკანუსმა ადრევე მიჰყო ხელი მწერლობას, ჩვენამდე მოაღწიეს მისმა ადრეულ ნაწარმოებთა სათაურებმა და ფრაგმენტებმა: „ილიაონი“, „კატახთონიონი“, „საგურნალია“, „მელეა“, ეპიგრამები და ა.შ.

განათლებული ყმაწვილი დაუახლოვდა პრინკეპსს. ნერონის წყალობით, ლუკანუსი იყო კეისტორი და ავეგურთა კოლეგიის წევრი.

თუმცა, „ფარსალიას“ გამოქვეყნების შემდეგ პრინკეპსის კეთილგანწყობა წყრომით შეცვალა. საფიქრებელია, რომ ამის მიზეზი პოემის რესპუბლიკური სულისკეთება იყო.

იმპერატორთან დაპირისპირების შემდეგ ლუკანუსი გაიუს კალპურნიუს პიზონის შეთქმულებას მიემხრო. შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ ლუკანუსმა თანამშრომელების მსგავსად სიციოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა 36 წლის ასაკში.

ლუკანუსის თხზულება „ფარსალია“ ან „სამოქალაქო ომის შესახებ“ ჩვენამდე სრულადაა მოღწეული. ნაწარმოები ეძღვნება კეისარსა და პომპეიუსს შორის გამართულ ბრძოლას ფარსალუსთან. პოემა ათი წიგნისაგან შედგება და დაუსრულებელია. მეათე წიგნი მოულოდნელად წყდება და სხვა დანარჩენზე საგრძნობლად მოკლეა.

„ფარსალია“ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. მის პოპულარობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ნაწარმოების კომენტარები ორ წიგნადაა შესრულებული და მთელ ევროპაში მოძიებულია მისი ოთხსაბამდე ხელნაწერი.

„ფარსალიით“ და მისი ავტორით აღფრთოვანებული იყო მარციალისი, ტაციტუსი, სტაციუსი, ფლორუსი.

ლუკანუსის თხზულების ენობრივი სტილი გამოირჩევა უხვსიტყვაობით და გარკვეული სიმბიმიით. იგი გადაგვირთულია სკრუპულოზური დეტალებით, რაც ნაწილობრივ ანელებს ნაწარმოების დინამიზმს.

ამჟღადროვლად, მაღალია ლუკანუსის როგორც ისტორიოგრაფოსის ღირსებები. იგი პედანტური სიზუსტით აღწერს თემასთან დაკავშირებულ ყველა წერილმანს, დოკუმენტური სიზუსტით განიხილავს ისტორიულ ფაქტებს.

### თარგმანი:

ლუკანუსი, ფარსალია, თარგმნა იამზე გავუამ.

## ფარსალია

### IV

დასცეს ბანაკი, შემოსაზღვრეს მიწაყრილებით,	168
მცირე მანძილი აშორებდა მტრებს ერთმანეთთან,	
თვალს არ უჭირდა სახეების გარჩევა მათი,	170
ცოტა ხნის შემდეგ იქით მხარეს ძმამ ძმა დალანდა,	
ძმამ ვაჟები, შვილებმა კი მამა შეიცნეს.	

<p>ხმის ამოღება ვერ გახდეს და საუბრობდნენ  მხოლოდ მუნჯურად, საღმის ნიშნად კი ხმლებს იქნევდნენ.  უცებ იმპლავრა სიყვარულმა, გადააბიჯეს  სამანს, კანონებს . . . და ჩაეკრა მებრძოლი მებრძოლს.  ნათესავს ეძებს ერთი, ნაცნობს უხმობს მეორე,  აგერ ბავშვობას იგონებენ თანატოლები,  ყველა ყველას ცნობს, თუკი არის ის რომაელი,  ცრემლებს აფრქვევენ იარაღზე, კოცნიან ოხვრით,  არ დაუღვრიათ სისხლი მოძმის, იმაზე ფიქრიც  კი აშინებთ, რას გადაურჩნენ. მჯიღს გულს რად იცემ,  რატომღა კენესი, ცრემლებს რად ღვრი, უგნურო, ფუჭად,  ვერ ხედები, რაგვარ ბოროტების ჩადენა გსურდა?  ვის უფრთხი, ვინაც შენ აქციე თავად საშიშად?  ღე, გიხმოს ბუკის ხმამ საომრად, ყურს ნუ დაუგდებ,  ნუ აიტაცებ დროშას, წადი . . . დაცხრება შუღლი,  შეუნდობს სიძეს კეისარი, შეურიგდება.  ღროზე გამოჩნდი, კონკორდიავე, ვინაც თანხმობით  აერთებ ყველას. შეშლილ მსოფლიოს შენ ხარ მხსნელი,  იმედი მთელი სამყაროსი. ჩვენი ეპოქა  მოძავალს დიდ საფრთხეს უტოვებს, გამჟღავნდა უკვე  ყველა ცოდვა. ავის მქნელ ხალხს კი არვინ შეუნდობს.  თავისიანი იცნო ყველამ. მუხთალი ბედის  სიმძიმეილი ცოტა ხნის შევებამ გააასკეცა.  ზავი დამყარდა. მეომრები ორივე მხრიდან  შეიყარნენ და მეგობრულად მწვანე კორდებზე  გაშალეს სუფრა, ღმერთი ბაკქუს აღიდეს ღვინით.  აავიზგიზეს კოცონი და სევდიანებმა  ომის ამბებით შეიქციეს თავი გრძელ ღამით.  მოიგონებენ, სად დაიწყო ბრძოლა პირველად,  ანდა საიდან გაიტყორცნა პირველად შუბი.  უკვირთ, რა სურდათ, რას ელოდნენ ამ ომისაგან.  საბრალოთ რწმენა დაუბრუნდათ და სიყვარული.  მაგრამ იხეთქა მტრობამ ისევ . . . როცა შეიტყო  პეტრუსმა<sup>1</sup>, შეკრესო ზავი, ნახა რომ იგი  გაიმეტეს, ბანაკიც მისი, თანამოლაშქრეთ  მოუწოდა წყველ ბრძოლისკენ, უიარაღო  აოტა მტერი, ხმლით გათიშა დაზავებულნი.  დაასამარა მშვიდობა და ჩაახშო სისხლში.  აენთო რისხვით, მოწოდება გაისმა ომის:  „რაკი მამული დაგვიწყნიათ, დროშები ჩვენი,  სენატის დაცვას, მეომრებო, ვეღარ გახედავთ,  ვერ ძლეეთ კეისარს, გამარჯვებას ვერ მოიპოვებთ.  სიკვილის ზომ შეძლებთ. მახვილს ენდეთ და მუხთალ ბედსაც,  კინემ სისხლისგან დაიცლებით ნაიარევი.  ბატონთან წახვალთ ქედმოხრილნი, დაითმენთ ამას?  შეევედრებით, კეისარმა მონად გაქციოთ?  ითხოვთ, თქვენს სარდლებს სიცოცხლე რომ შეუნარჩუნოს?  ხსნა არასოდეს გვიპოვია ღალატის ფასად.</p>	<p>175</p> <p>180</p> <p>185</p> <p>190</p> <p>195</p> <p>200</p> <p>205</p> <p>210</p> <p>215</p> <p>220</p>
---	---

ჩვენ რომ ვიცოცხლოთ, განა მისთვის დაიწყო ომი?  
 განა მშვიდობა უნდათ ჩვენთვის, რომ გვატყვევებენ?  
 მაშ, რად ეძებენ მიწის გულში ხალიბურ რკინას,  
 ანდა ქალაქებს მტკიცე ზღუდეს რად მოაველებენ?  
 რად დათქარუნობს შმაგად ცხენი ომებში. ანდა  
 საბრძოლო გემი ზღვის ტალღებში რატომ დაცურავს.  
 თუკი მშვიდობით მოვიპოვებთ თავისუფლებას.  
 ცხადია, ჩვენს მტრებს დაუდვიათ ფიცი მზაკერული.  
 მათდამი ნდობა თქვენთვის უფრო საზიანოა.  
 სამართლიანი საქმისათვის შეხვალთ ბრძოლაში,  
 თუმც შეწყალების საჭიროა იმედი მაინც.  
 ვაი, სირცხვილო! თუმც არ იცი. დიღო პომპეუს,  
 ბედი რას გაძლევს. ემზადები მაინც საომრად,  
 და შეაშფოთებ შორეული ქვეყნის მეფეების.  
 ამ დროს ჩვენ იქნებ ვითათბირეთ და გადაეწყვიტეთ  
 ხსნის ღირსი ხარ, დიღო სარდალო.“ განუმდა ყველა,  
 სიყვარული კი გაიძურწა სადღაც უჩუმრად.

225

230

235

<sup>1</sup> პეტრეუსი, პომპეუსის სარდალი.

*თარგმნა იამზე გაგუამ*

# ლუკიუს ანეუს სენეკა

(ტვ.წ. 4 – ახ.წ. 65)

სენეკა კორღებში (ესპანეთი) დაბადებული, ქალაქში, რომელიც სამოქალაქო ომში პომპეიუსს ემხრობოდა. სენეკას მამა, სენეკა – უფროსი, ცნობილი ორატორი, ძალზე შეძლებული იყო, რამაც მის შვილს საუკეთესო განათლების მიღების შესაძლებლობა მისცა. რომში გამგზავრებული ლუკიუსი განისწავლა რიტორიკასა და ფილოსოფიაში. ახ.წ. 26 წელს სენეკამ ეგვიპტეს მიაშურა, სადაც ბიძამისი პრეფექტად მსახურობდა. ხუთი წლის შემდეგ უკანდაბრუნებული მწერლობამ გაიგაყა. კალიგულასგან გამოგანილი სასიკვდილო განაჩენისაგან თავდახსნილი, იმპერატორ კლავდიუსის რისხვას ველარ დაუსხლტა – იგი დაადანაშაულეს გერმანიკუსის უმცროსი ქალიშვილსა და კალიგულას დასთან, იულია ლივილთან კავშირში.

სენეკა გადაასახლეს კორსიკაზე. აგრიპინამ, იმპერატორის მეორე ცოლმა კლავდიუსი აიძულა სენეკა უკან დაებრუნებინა. სენეკას აგრიპინას ვაჟის, ნერონის აღზრდა დაეწავლა. აგრიპინას დიდი ვაჟუნა პქონდა რომში და კლავდიუსის გარდაცვალების შემდეგ (54 წ.) ფაქტიურად მართავდა კიდევ იმპერიას. იმპერატორის სიკვდილის შემდეგ სენეკამ ნერონის ტახტზე ასვლაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამ პერიოდთან იგი უფრო მეტად უახლოვდება სამეფო კარს.

თავდაპირველად ნერონის მმართველობა სენატთან სრულ ჰარმონიაში წარიმართა, რამაც იმპერიას აშკარა სარგებლობა მოუტანა, თუმცა 59 წლის შემდეგ (ამ წელს ნერონმა საკუთარი დედა შეთქმულებაში დაადანაშაულა და მოაკლევინა) პოპეას ვაჟუნის ქვეშ მოქცეულმა პრინკესმა განირიდა სენეკა და მას ძველებურად აღარ ენდობოდა. გულდაწყვეტილი მასწავლებელი ფილოსოფიას დაუბრუნდა და რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები შექმნა

61 წელს ნერონმა სენეკას პიზონის მხარდაჭერა დააბრალა და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა – თვითმკვლელობა.

ჩვენამდე სენეკას დიდმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ მოაღწია, ესაა: ტრაგედიები, „წერილები მნეობის საკითხებზე ლუკილიუსისადმი მიმართული“, ღიალოგები, „სანუგემო წერილები“, სამეცნიერო წერილი, ფილოსოფიური ტრაქტატები.

ანთოლოგიაში მოცემულია მისი ტრაქტატი „სიცოცხლის სწრაფმავლობისათვის“, ტრაგედია „მედეა“ და რამდენიმე წერილი თხზულებიდან „წერილები მნეობის საკითხებზე ლუკილიუსისადმი მიმართული“.

ტრაქტატი „სიცოცხლის სწრაფმავლობისათვის“ წარმოაჩენს მწერლის ფილოსოფიურ ძიებათა შედეგს. სენეკას, როგორც სტოიკური სკოლის მიმდევარს, მიაჩნია, რომ სიცოცხლის არსს წარმოადგენს ადამიანის მიერ საკუთარი მნეობის სრულყოფა, ენებათა დაოკება, სიკვდილის უგულებელყოფა და სიმდიდრის სიძულვილი.

„წერილები ლუკილიუსისადმი“ წარმოადგენს სხვადასხვა მოცულობის მქონე წერილთა კრებულს, რომლის ადრესატი არის ვინმე ლუკილიუსი, ენერგიული და მიზანდასახული ახალგაზრდა, რომელმაც საკუთარი ძალისხმევით მიაღწია სხვადასხვა მაღალ თანამდებობას. ნაწარმოები, რომელიც 62-63 წლებშია შექმნილი, ფილოსოფიისა და ლიტერატურის უჩვეულო ნაბავად გვევლინება. სენეკა ამ თხზულებაში ლათინურენოვან ლიტერატურაში ახალ ვანრს ამკვიდრებს – ეპისტოლოგრაფიას. სენეკა ლუკილიუსს განუმარტავს ცხოვრების სწორ წესს, რომელიც სტოიკურ მსოფლალქმამება დაფუძნებული.

სენეკა თავისი შემოქმედებით რომაულ ლიტერატურაში ე.წ. „ახალი სტილის“ ფუძემდებლად ითვლება. ამ უკანასკნელს გამოარჩევს ემოციური დაძაბულობა, მეტაფორიზმი, ანტითემების და სენტენციების სიჭარბე. საუკუნეთა მანძილზე სენეკას არაერთი მიმბაძველი გამოუჩნდა და მისი თხზულებები ციტირების უმრეტ წყაროდ აქცია.

### თარგმანები:

1. ლუკუს ანეუს სენეკა, სიციუსის მსწრაფლმავლობისათვის, თარგმნა ნათელა სოხაძემ, ჟურნალი „საუჩუი“ 1991/2 (101);

2. ლუკუს ანეუს სენეკა, „წერილები ლუცილიუსისადმი“ (I-8 წერილი), თარგმნა ლალი კოჭლამაძემ, არილი, 2003/1 (187), 24 საათი, 2003/86 (29 მარტი).

## სიცოცხლის მსწრაფლმავლობისათვის

1<sup>1</sup> ადამიანთა უმრავლესობა, პავლინუს<sup>1</sup> უმოწყალობას ყვედრის ბუნებას, რადგან ოდენ წუთით მოვიდვართ ქვეყნად და ჩვენთვის დასაბღვრული დროის მონაკვეთი ისე სწრაფად, ისე მალეად წარხდება, რომ კაცთა უმრავლესობა სიციუსისათვის მზადებისას მიიცილება. ამ, როგორც ფიქრობენ, საყოველთაო ბოროტებას არა მხოლოდ უჩინონი და უმეყარნი განიციდნან, არამედ იგი სახელგანთქმულ კაცთა ღრგვინვასაც იწვევს. ამიგომ თქვა უდიდესმა ექიმთა შორის: „სიციუსლე ხანმოკლეა, ხელოვნება მარადიული“<sup>2</sup> ამის გამო დასყდენია არისგოგელეს ბრძენკაცისათვის სრულიად მეუფერებელი სამღერაეი ბუნების კელევისას: „მან ნადირთ იმოდენა სიციუსლე მიუბოძა, რომი ისინი ხუთ ან ათ თაობას მრდიან, ადამიანს კი, ეგმომ დიდსა და ესოდენ მრავალს, ასეთი ნაადრევი აღსასრული დაუდგინა“<sup>3</sup>

არ არის მცირე საჩენო ეამი, მაგრამ, ვაი, რომ ცუდებრადოდ და ამოდ ვფლანგავთ. სიციუსლე, თუ მას გონიერულად დავებანდებთ<sup>4</sup> საკმოდ გრძელია და საკმარისი დიად საქმეთა აღსასრულებლად. ჩვენ კი, როდესაც იგი ჩენი უმოგველობითა და უთაბოლობით მე მოგვადნება, როცა უკეთურ საქმეთათვის სრულიად გაცემთ, მაშინლა ვაშჩნეთ უკანასკნელი აუცილებლობით შეიწრებულნი მიქცევას მისას; ჩენს ხელთ რომ იყო. არ ეუფასებდით.

ასეა: მოკლე სიციუსლე კი არ მოგვენიჭა. მას ჩენ ვაკინებთ; უმოგველნი ვართ და არა დატაკუპოვარნი. უმარამაზარი და მეფური ქონება უგუნური პატრონის ხელში უმალ გაიფლანგება, მცირედ დაეღას კი მომჭირნე კაცი გააასკეცებს. წუთისოფელიც ასევეა – გონიერ მოკვდავს ბევრს სთავამობს.

2<sup>1</sup> მამ რად ეუჩივით ნება ბუნებას? იგი უხვია და მწყალობელი. სიციუსლე, თუკი მისი მოხმარება იცი, გრძელია. მაგრამ ერთი დაოუკებელ სიხარბეს მეუპყრია, მეორე – უსარგებლო საქმეებზე გულმოდგინე ფუსფუსს, მესამე მემთერალებობას, სხეას მყონარობით მიხდია ღონე, ზოგს პატივმოყვარეობის ჳია მესჩენია და მუდამ სხვათა ამრების გყვეა; ზოგსაც მოგების სურვილი და ვაჭრობის ჳინი ეზიდება უცხო ზღვებისა და ქვეყნებისაკენ, ხოლო ზოგიერთი სამხედრო სამსახურს ესწრაფვის და გამუდმებით ფიქრობს იმ განსაყდელზე, ხან სხეას რომ ემუქრება და ხანაც თაეად მას. არიან ისეთებიც, რომელთაც წარჩინებულთათვის ფუჭი თავდადება ნებაყოფლობით მონობაში ხდის სულს. მრავალს მოსენებას უკარგავს სხვათა ბედნიერება და საკუთარი სამზუნავი. ძალიან ბევრი სულაც უმიზნობითაა გაღმიანებული, მუდამ მერყეობს, ყოყმანობს და ახალ-ახალ საქმეებს ეძებს. ზოგს არარა პეკს მოსაწონი და საოცნებო, ამიგომ ბურანსა და ძილდეიძილმი ეგებება სიკედილს. ასე რომ, მე საეესებით ვეთანსმება; ერთი დიდი პოეგის<sup>5</sup> ნათქვამს, ქურუმივით რომ ილადადა ჳემმარიგება: სიციუსხლის მხოლოდ მცირე ნაწილს ვცხოვრობთ კაცნი. დანარჩენი ხანგრძლიობა ცხოვრება კი აღარ არის, უბრადოდ დროა.

ადამიანებს ყოველი მხრიდან გარს ეკერიან და აეიწროებენ მანკიერებანი, არ ანებებენ მათ თავის აღებასა და სიმართლისათვის თვალის გასწორებას, პირიქით, ქვე ეზიდებიან და უფრო ღრმად ფლავენ თავიანთ საწუხარში. კაცნი ვერასოდეს ვერ ახერხებენ საკუთარ თავთან დაბრუნებას<sup>6</sup> და თუ ოდესმე სიმშვიდის ეამი დაუდგებათ, მოჩენებითი იწნება ისიც: დია ზღვაში ხომ ქარიშხლის შემდეგაც ბობოქრობენ ჳერთები, არც ადამიანს მოასვენებს ოდესმე ვნება.

არ იფიქრო მხოლოდ მათზე ვლაპარაკობდე, ვისი მძიმე ხვედრიც უეჭველია. შეხედე იმათ, ბედნიერთ რომ უწოდებს ხალხი. მათ ხომ საკუთარი კეთილდღეობა ამთობთ. რამდენს ამძიმებს სიმდიდრე, რამდენ უმრობს სისხლს მჭვერმეყვეელებისა და სხვა უნართა

გასაწაფი ყოველდღიური ვარჯიში, რამდენი გასაყავებულა განუწყვეტელ სიამოვნებათა-  
გან, რამდენს დაუთმია თავისუფლება გარსმემოჯარულ კლიენტთა გამო. ერთი სიტყვით,  
ყველა ჩამოიარე – მდაბიორიდან უპირველეს მოქალაქემდე და დაინახავ, რომ ერთი დაბ-  
ცველს ეძებს, მეორე კი იცავს; ეს თუ მსჯავრდებულია, ის დამცველია, სხვა – მოსამართლე-  
საკუთარ თავს არაინ შეეწევა, ყველა სხვისთვის იღვწის. იმათ შესახებაც იკითხე, ვის სახ-  
ელებსაც შეპირად სწავლობენ. <sup>7</sup> ამ ხალხს ურთიერთისგან ისლა განასხვავებს, რომ ეს იმის  
შემწვა, ის ამისა და არაინ – საკუთარი თავისა.

ასეთ ვითარებაში მეგისმეტი სისულელეა მავანთა აღშფოთება, როცა ისინი უგულისყ-  
ურობას ყვედრიან წარჩინებულთ – ჩემს მისაღებად დრო არ ჰქონდაო. განა სასაცილო არ  
არის, რომ კაცი, რომელიც ვერასოდეს იცლის თავისთვის, სხვათა ქედმაღლობის გამო ბუ-  
დავდეს ჩივილს? დიდკაცმა შენ, რომელიც ყოველთვის შენ ხარ, მართალია, მედიდური  
მზერით, მაგრამ ერთხელ მაინც შემოგხედა, პატივი დაგლო მოესმინა შენთვის და ადგილიც  
მივიჩინა თავის გვერდით. შენ კი არასოდეს ჩაგითვლია საჭიროდ შეგეხება და მოგესმინა  
მენივ თავისთვის. ამიგომ არა გაქვს ამგვარი თავაზიანობის გაიკიხვის ნება და თუ მაინც  
ასერიგად მოიქცეოდი, ცხადყოფდი მხოლოდ, რომ სხვასთან ყოფნა კი არ გსურდა, საკუ-  
თარ თავთან არ შეგებლო მეგად დარჩენა.

37 ყველა საქვეყნოდ ცნობილ ბრძენკაცს ერთბაშად რომ მოსურვებოდა ერთ საკითხში  
ყოფილიყო ერთსულოვანი, მათ ყოველთვის გააოცებდა კაცთა გონების ესოდენი დაბინდვა  
და შემლუღულობა: ადამიანები ხომ საკუთარი მამულის ახლოს უცხოს არ გააჭაჭანებენ და  
თუ სამღერის გამო მცირე რამ დაეა წარმოიშვა, მამინვე ქვებისა და იარაღისკენ გაურბით  
ხელი. იმას კი არას დაგიდევნენ, მათ ცხოვრებაში თუ შეიჭრა ვინმე გარემუ; პირიქით, თა-  
ვადვე წამოუძღვებიან ხოლმე ერთადერთი ჭეშმარიტებად ღირებული საუნჯის მომავალ  
მფლობელთ. არაინაა ქვეყნად ისეთი, თავისი ფულის სხვებისათვის მიცემა რომ სურდეს,  
სიციცხლეს კი ყველა უმურველად უნაწილებს მგერს და მოყვარეს. ადამიანები მომჭირ-  
ნობენ, როცა ქონების დაგროვებას მოინდომებენ, ხოლო როდესაც დროის მოგვას ეხება  
საქმე, აქ მეგისმეგად ხელგამლიღნი არიან უკვე. არადა, ერთადერთი დროა, რომლის  
ხარჯისას სიძუნწე ღირსებად ითვლება.

მოდით, ხანდაზმულთა კრებულიდან ერთ-ერთი უხუცესი შევაჩეროთ და გავესაუბროთ:  
„როგორც ვხედავთ, ადამიანური ყოფის მღვრულ ასაკამდე მიწვენულხარ. ასი და კიდევ  
უფრო მეტი წელი გიმძიმებს სხეულს. პოდა, ახლა შეაჯამე შენი ცხოვრება. დაითვალე,  
შენთვის ბოძებული დროიდან რამდენი წაგართვა მევახშემ, საგრფომ, პატრონმა<sup>8</sup>  
კლიენტმა, რამდენი – ცოლთან კინკლაობამ, მონათა დასჯამ, ხანაც ქალაქში საქმეებზე  
უთაგბოლო სირბილმა; დაუმატე ამას მრავალი ავადმყოფობა, მუდამ ჩვენზე დაუდევრობით  
რომ გვჭირს ხოლმე,<sup>9</sup> ფუჭად გაულანგული დროც მიათვალე და დაინახავ, რომ იმდენი  
წელი არ გიცხოვრია, რამდენისაც ხარ.

გაისხენე, როდის დაგიყავს შენი გადაწყვეტილება ბოლომდე მტკიცედ ან რა ცოგა  
დღეები გაგიგარებია შენივ სურვილის თანახმად, როდის ჰქონია შენს სახეს ბუნებრივი  
იერი ან როდის ყოფილა შენი სული უშფოთიველი და აუმღვრეველი. ყველაფერი გაისხენე,  
რაც კი შენი ხანგრძლივი არსებობის დროს გიკეთებია. რა ბევრმა გაძარცვა შენი სიცი-  
ცხლე მენი, რომ არც კი შეგიძინეგია, თუ რას კარგავდი; რამდენი დრო წაგართვა ამო  
განუღამ, ბრიყულმა ალტაკებამ, დაუოკებელმა ვენებამ და მიმზიდელმა ნაცნობობამ. რა  
ცოგადა დაგრჩა კუთვნილიდან! გაისხენე ყველაფერი და მიხედები, რომ ნაადრევად  
კვლები“.

რაა ამგვარი ყოფის მიმეში? თქვენ ისე ცხოვრობთ, თითქოს სიკვდილს არ აპირებდეთ  
და ევლარ ამჩნევთ თქვენს წარმატლობას; ვერც იმას ხვდებით, რამდენი დღე ჩაბარდა წარ-  
სულს. თუ ბევრი დრო გაქვთ, ქარს აგანთ მაშინ, როდესაც, შესაძლოა, სწორედ ის დღე,  
ვიღაყს ან რაღაყს ასე მშვიდად რომ უძღვენით, უკანასკნელი აღმოჩნდეს თქვენთვის.  
ყოველივე ისე გამინებთ, ვითარცა მოკვდავთ, ყველაფერი კი უკვდავებით გსურთ.

ბევრისაგან გაიგონებ ამგვარ ნათქვამს: „ორმოცდაათი წლის შემდეგ მინდა მოღვაწეო-  
ბას განვერიდო. სამოცი წლისა ხომ ყოველგვარ ვალდებულებათაგან თავისუფალი ვიქნე-  
ბიო“.<sup>10</sup> კი მაგრამ, ვინ იქნება ასეთი ხანგრძლივი სიციცხლის თავდები? ყველაფერს შენი

სურვილისამებრ ქმნას ეინ დაგანებებს? არა გრცხენია, რომ მხოლოდ სიციხის დაბ-  
ლევს იგულებს სამენოდ და სწორედ ის დრო გინდა მოახმარო ფიქრსა და განსჯას<sup>11</sup> რო-  
მელიც ყოველივე სხვისათვის უსარგებლოა? რა გვიანაა ცხოვრების დაწყება მაშინ, როდეს-  
საც მიწურულია სიციხის ეამი. წარმავლობის რა უგუნური დავიწყებაა გონიერულ  
განზრახვათა ორმოცდაათი ან სამოცი წლისათვის გადადება და ცხოვრების დაწყების სურ-  
ვილი იმ ასაკში, რომელსაც ცოგამ თუ მიაღწია.

41 ცნობილია, რომ ძლიერნიც ამა სოფლისანი მოცალეობით ცხოვრების სურვილს გა-  
მოთქვამენ ზოგჯერ, ხოგბას ასხამენ და შექხარიან ამგვარი ყოფის ყველა სიკეთეს. ბერი  
მათგანი, თუ ეს უმტკივნეულოდ მოხერხდებოდა, სიამოვნებით დათმობდა კიდევ თავის  
მაღალ თანამდებობას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამგვარი ხალხის ბედნიერება, თუ მათ  
გარედან არ აღელებთ ან აწუხებთ რამე, ყალბია და მოჩვენებითია.

ღეთაღების ავეგუსტუსი, რომელსაც სხვაზე მეტი პატივი მიაგებ ღმერთებმა, ნიადაგ  
სიმშვიდეს იწწრაფოდ და სახელმწიფოს საქმეთაგან თავისუფალყოფას ნატრობდა. ყოველ  
საუბარში ეს, ბოლოს და ბოლოს, უბრუნდებოდა იმედიან აზრს, რომ ერთხელაც იქნებოდა  
და მოიცილდა. და ეს თუმც ფუჭი, მაგრამ მაინც გპილი ოცნება – ოდესმე მაინც ყოფილიყო  
თავის უფალი – მის მძიმე შრომას გასაძლისს ხდიდა. სენაგისადმი გაგზავნილ წერილში  
იგი რწმენას გამოთქვამდა, რომ მისი გადადგომა არ იქნებოდა ღირსებას მოკლებული და  
არც მის უწინდელ დიდებას მიაყენებდა ჩრდილს. სწორედ ამ წერილში ეპოვე მე ეს სიტყ-  
ვები: „ეგებ ყველაფერი უკეთ მოგვარდეს, ეიდრე განმმირახაეს, მაგრამ ჩემთვის ესოდენ  
სასურველი დროისკენ სწრაფვამ იქამდე მიმიყვანა, თანაც ამ საქმის აღსრულებით მოგ-  
ვრილი სიხარული ისე იგვიანებს, რომ აწ ოდენ სიტყვათა სიტკობებაც კი მანიჭებს  
მეიროდენ კმაყოფილებას“. იგი ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა მოცალეობას, რომ თუმც არ  
შეუძლო ასე ეცხოვრა, მაინც გონებით შექხაროდა წინასწარ. კაცი, რომელიც ადამიანებისა  
და ხალხების ბედ-იღბალს განაგებდა, უდიდესი სიხარულით ფიქრობდა ღღემე, როცა  
მაღალი თანამდებობისაგან თავის დაღწევას შესძლებდა.

მან კარგად უწყოდა, რაოდენი ოფლი მოითხოვა მისგან თითოეულმა წარმატებამ, რი-  
თაც ასერიგად გაიბრწყინა ბევრ ქვეყანაში, რაოდენ ფარულ მღელვარებას მაღაედა  
ყოველი მათგანი. ჯერ თანამოქალაქეთაგან, შემდეგ მოკაემირებისაგან და, ბოლოს,  
ნათესავეებისაგან იძულებულმა იარაღს მოჰკიდა ხელი და სისხლი ღვარა მღესა და  
ხმელზე;<sup>12</sup> ომით მოვლთ მაკედონია, სიცილია, ეგვიპტე, სირია, მეირე აზია, თითქმის ყველა  
ზღვისპირა ქვეყანა<sup>13</sup> და რომაელთა ხოციეთ დაღლილი ჯარები გარემოებისაკენ მიმართა.  
სანამ იგი ალაკებს აწყნარებდა და სახელმწიფოს სიმშვიდის დამრღვევ მტრებს იმორ-  
ჩილებდა, სანამ საზღვრებს აფართობდა რაინის, ეფრაგისა და ღუნაის გადაღმა,  
ღედაქალაქში მის წინააღმდეგ უკვე ხანჯლებს ლესაედნენ მურენა, ცუპიო, ლეპიდუსი, ეგნა-  
ტიუსი და სხვები. იგი ვერა და ვერა ვერ გაექცა მათ მზაკრობას. უკვე წლებისაგან  
მოხრილ მოხუცს შიმის მარს სემდნენ საკუთარი ქალიშვილი და მასთან კანონიერად თუ  
უკანონოდ დაკაემირებული წარჩინებული ყმაწვილკაცები<sup>14</sup> განსაკუთრებით კი ამ ქალისა  
და ანტონიუსის ურთიერთობა ამინებდა. ეს მუწუკები<sup>15</sup> მან თავისი სხეულის ნაწილებთან  
ერთად მოიკეთა, მაგრამ მათ აღვიღზე სხეები ამოდოდნენ, მსგავსად იმ სხეულისა, რო-  
მელსაც სისხლის სიჭარბის გამო ახლა სხვაგან ამოხეთქაეს ხოლმე ჩირქი. ამიტომ მიელგ-  
ვოდა იგი მოცალეობას, მასზე ფიქრსა და ოცნებაში ნელდებოდა მისი წუხილი. ასეთი იყო  
სურვილი კაცისა, რომელსაც სურვილების აღსრულების ძალა შესწევდა.

51 მარკუს ციცირონი, ღვენილი ნაწილობრივ ამკარა მგერთაგან, ნაწილობრივ საეჭვო  
მეგობართაგან, როგორებიც იყენენ კატილინა, კლოდიუსი, პომპეუსი ლა კრასუსი, მაშინ.  
როდესაც რესპუბლიკასთან ერთად საფრთხეში იყო და მისი ვადარჩენა სურდა, ბოლოს და  
ბოლოს, ბედნიერებისას მღელვარე და უბედურების ეერდამთენი განმე გადაგა, ხშირად  
წყველიდა სწორედ თავის კონსულაგს, ადრე არც თუ უსაფუძელოდ, მაგრამ უძომოდ რომ  
აქებდა. რა უნუგემო სიტყვებს ამბობს იგი ატიკუსისთვის მიწერილ წერილში, როცა პომ-  
პეუსი – მამა უკვე დამარცხებული იყო, ესპანეთში კი მისი შვილი ალაღვენდა განადგურე-  
ბულ სამხედრო ძლიერებას. „შენ მეკითხები“, ამბობს იგი, „თუ რას ეაკეთებ მე აქ? ეი-  
მყოფები ჩემს გუსკულანუმში ნახეერად თავისუფალი“. შემდეგ იგი სხვა ამბებსაც დაურ-

თავს – წუხს განვლილი ცხოვრების გამო, ჩივის ახლანდელზე და სასოწარკვეთილი ელის მომავალს.

ციცერონი თავის თავს ნახევრადთავისუფალს უწოდებს. პერკულეს ვფიცავ, ბრძენი ვერასოდეს დაირქმევს უფრო მოკრძალებულ სახელს, ვერასოდეს იქნება ნახევრად-თავისუფალი, ყოველთვის ხელშეუხებელი და სრული თავისუფლების მფლობელი, ლაღი, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და ყველა სხვაზე აღმატებული. რა შეიძლება იდგეს იმაზე მაღლა, ვინც ბედისწერაზე მაღლა დგას?

61 ლივიუს ღრუბუსი ენერგიული და ფიცხი კაცი იყო. როდესაც მან ახალი კანონები შემოიღო და გრაციუსის მავგარი მღელვარება გამოიწვია, იგალიის მთელმა მოსახლეობამ დაუჭირა მხარი, მაგრამ შემდეგ თავად ვეღარ შეძლო საქმეთა კეთილად დაგვირგვინება, რომელთაც, რაკი ერთხელ მიეცათ ბიძგი, უკვე ვეღარც დააჩქარებდა და ვეღარც შეაფერხებდა. ახლა ისღა რჩებოდა, თავისი დასაბამითვე შფოთიანი ცხოვრება დაეწყევა და ეღიარებინა, რომ არც თავისი ბავშვობისას ყოფილა მოცალე და თავისუფალი. ჯერ კიდევ არასრულწლოვანმა და პრეტექსტით<sup>16</sup> მოსილმა მოსამართლეთა წინაშე მსჯავრდებულის დაცვა გაბედა და სახელიც მოიხვეჭა ფორუმზე. თანაც ყოველივე ეს იმგვარი წარმატებით განახორციელა, რომ შემდეგში, როგორც ცნობილია, ზოგიერთი განაჩენის გამოტანისას მისი აზრი გადამწყვეტი იყო. რას უქადდა მას ეს ნაადრევი პატივმოყვარეობა? განა არ უნდა სყოფნოდა, რომ ამგვარი უმწიფარი გამბედაობა სამინელ უბედურებად ექცეოდა მას და სახელმწიფოსაც? სწორედ რომ ნაგვიანევი იყო უღრობის გამო შეჭირვება კაცისა, რომელიც ყმაწვილკაცობაშივე შფოთის ამგებად და გვირთად მოველინა ფორუმს. მისი აღსასრულის გამო ბევრს კამათობენ. ზოგი ამბობდა, თითქოს მას თავი მოეკლას. ამუსტაბლენ კიდევ – მუსელში მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალაო. სხვებს ეჭვი შექონდათ მის ნებაყოფლობით აღსასრულში, მაგრამ ყველას დროულად მიაჩნდა იგი.

აქ აღარ ჩამოვთვლი იმათ, სხვების თვალში ბედნიერნი რომ ჩანან, სინამდვილეში კი თავადვე სძულთ თავიანთი ნაღვაწი და ნამოქმედარი. მხოლოდ ჩივილით, ცხადია, მთვერც სხვასა და ვერც საკუთარ თავს ვერ უსამეველეს, რადგან საკმარისია გული მოიოხონ და ძველი ჩვევები კვლავინდებურად წამოჰყოფენ თავს.

ათასწლიანი სიცოცხლეც რომ გეძლეოდეთ, პერკულეს ვფიცავ, უმცირეს წამამდე შეამცირებდით. მანკიერებანი ხომ დაუნდობლად მთანთქავენ ასწლეულებს. თქვენი ბოძებული დრო, ბუნებრივი განვითარების საწინააღმდეგოდ, კიდევ რომ გაგვგრძელებინათ თქვენი გონებით, მაინც მალე გაგიფრინდებოდათ, რადგან არ ეჭიდებით მას, არ აფერხებთ და არც კი ცდილობთ დააყოვნოთ საგანთა შორის უსწრაფესი, პირიქით, ისე დაუდერად უშვებთ ხელიდან, თითქოს ზედმეტი ან ადვილად მოსახელთებელი რამ იყოს.

71 პირველ რიგში ეს იმათ ეხება, ვინც მხოლოდ ღვინის სმასა და ავხორცობაში ფლანგავს დროს. არავენაა მათზე მეტად მოყინებული. სხვები თუ ფუჭი ღიღების აზრით არიან შეპყრობილნი, მათ შეელომას ერთგვარი ბრწყინვალეობა მაინც ახლავს. შენ შეგიძლია დამისახელო ხარბნი, გულფიცხნი ან უსამართლო მუღლისა და ომების გამჩალებელნი, მაგრამ ისინი მაინც უფრო მამაკაცურად სყოფენ, ხოლო ვინც ნაყოფანებასა და მრუშობას ეძლევა – სამარცხინო სენით იგანჯება. თუ ერთხელ თვალს მიაღვენებ მათ ცხოვრებას, ნახავ, რამდენ ხანს ანდომებენ ისინი ანგარიშს, რამდენს – შხაკეობას, რამდენს – ძრწოლას, რამდენ ხანს ეპირფერებიან სხვებს ან თავად იფერებენ სხვათა ლიქნასა და პირმოთნეობას, რამდენ დროს არგავენ საკუთარ თუ სხვათა გასარჩევლად, რამდენ დროს უთმობენ ქეიფს, რომელიც უკვე თითქმის მოეალეობად ექცათ. დაუკვირდი ყოველივე ამას და მიხედვები, რომ მათ ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს არც დარდი და არც სიხარული.

საყოველთაოდ აღიარებული აზრია, რომ საქმეებში ჩაფლულ კაცს არაფრის გაკეთება არ შეუძლია წარმატებით. მჭევრმეცყველებაცა და თავისუფალი ხელოვნებანიც მიუღწეველია მისთვის, რადგანაც დაბნეული გონება ვერაფერს ითვისებს ღრმად და ყველაფერს განარჩევს, როგორც ძალად თავს მოხვეწებს რასმე. ყველაზე ნაკლებ კი საქმიან კაცს ცხოვრება ძალუძს. არა არის რა შესასწავლად უფრო საძნელო. სხვა ხელოვნებათა მასწავლებლები ყველგან მრავალადაა. ხშირად პატარა ბიჭებიც კი ისე გაწაფულნი არიან ზოგიერთ



მათგანში, რომ თივთონვე შეძლებდნენ სხვათა სწავლებას, ცხოვრება კი მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა ისწავლო და ალბათ, კიდევ მეტად გაგაკვირვებს ის, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა ისწავლო სიკვდილი.<sup>17</sup> მრავალი გამოჩენილი კაცი, მას შემდეგ, რაც გადალახავდა ყველა სიძნელესა და წინააღმდეგობას, უარს ამბობდა სიმდიდრეზე, თანამდებობაზე, სიამოვნებაზე და ღრმა სიბერემდე მხოლოდ იმის ცდაში იყო, როგორმე ცხოვრება შეეცნო მიუხედავად ამისა, ბევრ მათგანს სიკვდილის წინ უღიარებია, რომ არ ცნობია იგი. მით უფრო არაფერი გაეგებოდათ ცხოვრებისა სხვებს.

მერწმუნე, ღირსეული და ადამიანურ ენებებზე ამალბებული კაცი არასოდეს აძლევს სხვებს თავისი დროის ხელყოფის ნებას. მისი ცხოვრება სწორედ იმიტომა ხანგრძლივი, რომ ყოველი წუთი მხოლოდ მისთვის იხარჯებოდა. არც ერთი წამი არ რჩებოდა უსარგებლოდ და მოუხმარებლად, არც სხვაზე ყოფილა დამოკიდებული, რადგან არაფერი უპოვია ისეთი, თავის კუთვნილ დროზე გაცელის ღირსად რომ ჩათვლიდა, იმ დროზე, რომელსაც ყოველთვის მეტისმეტი გულმოდგინებით დარაჯობდა. ამიგომაც უკო იგი ყველაფრისათვის. იმისათვის კი, ვის სიცოცხლესაც სხვა ადამიანები ძარცვავენ, დრო არასოდეს იქნება საკმარისი.

არ იფიქრო, რომ ისინი ერთ მშვენიერ დღეს არ შეამჩნევენ თავიანთ დანაკარგს. ყოველ შემთხვევაში, წარმატების სიმძიმით ქედღადრეულითა უმეტესობა ხშირად წუწუნებს კლიენტების შორის, სასამართლო პროცესზე ან სხვა მნიშვნელოვან დაბრკოლებათა გადალახვისას და მათგან ზოგჯერ ამგვარ წამოძახილსაც მოისმენ – სიცოცხლის ნება არ მაქვს! კი მაგრამ, ვინ ართმევს მათ სიცოცხლის უფლებას? ყველა, ვინც ცდილობს დამცველად ავიყვანოს, იცოდე, მენს თავს გართმევს. დათვალე, რამდენი დრო წარგაკაყ ყოველმა მსჯავრდებულმა, რამდენი – თანამდებობის მაძიებელმა, რამდენი მთამომავალთა დამარხვით ქანცგაწყვეტილმა ღედაბერმა, რამდენი მან, ვინც თავს იაყადმყოფებს ხოლმე მემკვიდრეობის მოსურნეთა სიხარბის გასაღიმიანებლად, რამდენი იმ ყოვლის-შემძლე მეგობარმა, რომელიც უფრო თავის იარაღად გთვლის, ვიდრე მეგობრად. იანგარიშე, გადათვალე შენი ცხოვრების დღენი და დაინახე, რა ცოგა დაგრჩება თავად შენ – მხოლოდ ის, რაც გარემოთ არ დასჭირვებით.

როგორც კი ხელთ იგდებს მავანი სასურველ თანამდებობას, მამინე გადადგომამე იწყებს ოცნებას და ამბობს – როდის მიიწურება ეს წელიწადიო. მავანი თამამების მოწყობამე ბრუნავს და ბედნიერია, რომ სწორედ მას ხვდა წილად ეს დავალება, თანაც ბუმბუნებს – ნეტავ როდის ჩათაყდებაო ყველაფერი. მთელს ფორუმზე ძლივს მოიხელთებენ მავანს დამცველად. ისიც ყურე-კუნჭულს უმარამამარი ბრბოთი აესებს, რათა მისი მოსმენა შეძლონ, თანაც კითხულობს – ნეტავ როდის შევისვენებ სასამართლო საქმეთავანო. ყოველი მათგანი გამალებით მიაქანებს თავის ცხოვრებას, მომავლისკენ უჭირავს თვალი, აწმყო კი ემიზდება.

სამაგიეროდ ის, ვინც ყოველ წამს თავისი ეს საჭიროებისათვის იყენებს, ვინც ყოველ დღეს ისე ანაწილებს, თითქოს მისი ცხოვრება იყოს<sup>18</sup> არც ხვალინდელ დღეს შეპფოფინებს და ემინია მისი. იქნებ კიდევ ახალ სიამოვნებას მოგვანიჭებს მომავალში რომელიმე საათი? მაგრამ განა უკვე ყველაფერი ცნობილი არაა? ყველაფერი ხომ საკმაოდაა განცილილი! დაე, ბედისწერამ სურვილისამებრ განავოს დანარჩენი – სიცოცხლეს აღარაფერი ემუქრება. ასეთს შეიძლება დაუმატო კიდევ რაიმე, წართმევით კი ვეღარაფერს წართმევ. თანაც ისე დაუმატო, როგორც მაძლარს მყირედი ლუკმა. ისიც აიღებს, თუმე შექედლო აღარც აელო.

ჭალარა თმისა და ნაოკთა გამო ნუ იფიქრებ ვინმეზე – დიდხანს უცხოვრიარო. მას დიდხანს კი არ უცხოვრია, ის დიდხანს იყო. განა სისულელე არ იქნებოდა გეფიქრა, რომ მავანი შორეულ მოგზაურობაში იყო მამინ, როდესაც ჯერ კიდევ ნავსადგურში დააგყდა თავს მძინეარე ქარიშხალი; მრისხანე ქარებმა აქეთ-იქით მიახალეს მისი ხომალდი, მერე კი წრეში ატრიალეს იმავე გმებით ატარეს? მას ბევრი კი არ უმოგზაურია, არამედ ბევრი იხეტიალა.

81 მუდამ მაოცებს, როცა ვხვდავ, როგორ ითხოვს ერთი კაცი მეორისგან დროს და ის მეორეც უყოყმანოდ უძღენის მას მთხოვნელს. ასეთ შემთხვევაში მათი ყურადღება იმ საგანს დასტრიალებს, რამაც დრო მოითხოვა, საკუთარ თავს კი არც ერთი მათგანი არ უკვირდება – თითქოს არაფერს ითხოვდნენ, თითქოს არაფერს გასცემდნენ. ყველაზე ძვირ-

ფასი საგნით თამაშობენ, მაგრამ ვერ გრძობენ რას ჩადიან, რადგანაც უსხეულოა იგი და უხილაეი. აშიგომაც არად ავლებენ, ვითარცა რასმე ურგებს და უხმარს.

წლიურ გასამრჯელოსა და ფულად საჩუქრებს ადამიანები უდიდესი სიამოვნებით მითთელიან ხოლმე; გარჯას, ძალ-ღონეს და მონდომებას არ იმურებენ საამისოდ, დროს კი არ აფასებენ და ისე უდიერად ეკიდებიან, თითქოს სულაც არა ღირდეს რა. მაგრამ აბა ავადმყოფობის ეამს ინახულე ეს „ხელგამლილნი“, როცა კარს მიადგებათ სიკედილის საფრთხე. მაშინ ნახავ, როგორ ეხვევიან მუხლებზე ექიმებს, ანდა როგორ მიაქეთ მსხვერ-ქლად მთელი თავიანთი მონაგები სასიკვილო განაჩენით შეურვებულთ. ასე წინააღმდე-გობრივია მათი გრძობები.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო წარსულის მსგავსად ადამიანთა მომავალიც საცნაურ გვეყო, ალბათ, ძრწოლა შეიპყრობდა მათ, ვისაც მცირელი ექნებოდა წინ დარჩენილი. ო, რა მომჭირნულ დაიწყებდნენ მაშინ ცხოვრებას. როცა მუსტად იცი, თუ რამდენი წელი გაქვს კიდეე, ავლილა სხეებისთვისაც გაილო ცოგა, მაგრამ გადამეტებული გულისხმიერება ემართებს მაშინ, როცა არ იცი როდის დადგება აღსასრულის დღე.

ნუ იფიქრებ, თითქოს ამ ხალხმა არ იცოდეს, რა ძვირფას საგანთან აქვს საქმე. ძვირფას, საყვარულ ადამიანს ისინი სწორედ თავიანთი წლების ნაწილის ჩუქებას ჰპაირობებიან. უძღვნიან, მაგრამ არც კი უფიქრლებიან. იმგვარად გასცემენ, რომ საკუთარ თავს ძარცვავენ მხოლოდ, სხეებს კი ეერარას მატებენ. დაფარულიდან გასცემენ და მარალიც იმიგომაა გასაძლისი, რომ დანაკლისი უხილაეია.

ვერავინ გიბღავს დაკარგულ წლებს, ვერც საკუთარ თავს დაგიბრუნებს ვინმე. სიცოცხლე ისე გასრულდება, როგორც დაიწყო; არც მხარს იცვლის და არც სრობოლას შეანელებს; წაეა, უჩემრად გაიპარება. ვერც მეფის ბრძანებითა და ხალხის სურვილით გახანგრძლივდება. ისევე ირბენს, პირველსავე დღეს რომ მიბობოდა, არც გმას შემლის და არც შეყოვნდება. რა გელის? ახლა საქმეებით ხარ გართული, სიცოცხლე კი ჩქარობს. ამასობაში სიკედილიც გამოგეცხადება და მისთვის, გინდა თუ არა, აუცილებლად მოგიწევს მოცლა.

91 ეინ შეიძლება იყოს მასზე უფრო უგუნური, ვინც თავისი გამჭირახობით თავმომ-წონეობს?! მეტისმეტად მოუკლენი არიან ისინი და უკეთ ცხოვრების სურვილით სიცოცხლეს ანიაეებენ. სამომავლო საქნელ-საკეთებელს ბევრად ადრე გაიზრახავენ, სიცოცხლის ყველაზე დიდი წანაგები კი სწორედ საქმეთა გადადებაა, რაც თანისთანობით გეაულის ხელიდან დღეებს, აწინდელს წარგეტაცებს და მომავალს გეპირდება. ყველაზე დიდი დაბრკოლება ცხოვრებაში მოლოდინია, რომელიც შეფრფინეთი ელის ხეაღინდელ დღეს, დღეებანდელს კი ამაოდ ფლანგავს. შენ განაწესებ ბელისწერის განსაწესებელს, იმას კი, რაც ხელთ გიპყრია – ქარს აგან. საითაა მიმართული ეგ შენი მგერა, ანდა რადას ეყო-გინებთ? მთელი მომავალი ბუნდოვანია და გაურკვეველი, ჰოდა, ახლაე იცხოვრე!

აი, რას ამბობს ღმერთის<sup>19</sup> მიერ შთაგონებული დიდი პოეტი, ვითარ მღერის ღეთაებრივ ბაგით მაკურნებელ ჰანგს:

„სწორედ სიცოცხლის რჩეული დღენი  
გაურბით მოკედაეთ სხვაზე უადრეს...“

„რად აყოვნებ“, – გვეუბნება ამით, – „რად გვიანდება? სიცოცხლე გაგექცევა, მაგრად თუ არ მოეჭიდება“. თუმცა იგი მაინც წაეა, გაგიფრინდება, რაც არ უნდა ღონე იხმარო. ასე რომ, დროის სისწრაფეს შენც სისწრაფით უნდა ებრძოლო; მთის ჩქერალსაც ხომ მეყსეუ-ლად უნდა წარსტაცო წყალი, რადგან ცოგა ხანში, შესაძლოა, დენაც შეწყვიტოს. პოეტი ჩვენი ცხოვრების საუკეთესო დღეზე ლაპარაკობს და არა საუკეთესო ხანაზე. ამითაც გმობს იგი გაუთაებელ მოზინს და მლამენას. მამ, რად წარმოიდგენ ხოლმე ასერიგი უმყოთ-ველობით შენი სიცოცხლის წლებსა და თეეებს უსასრულო, გრძელზე გრძელ რიგად (დრო კი ისევე ისე მიქრის, მაინც მიფრინავს), ნუთუ ამით შენს სიხარბეს იკმაყოფილებ? გახსოედეს, პოეტი დღეზე გესაუბრება, მის მედინობასა და სიმარდებზე.

განა საეჭვოა, რომ ყოველთვის ადრეულ და საუკეთესო დღე გაურბის საბრალო მო-ედაეთ, განსაკუთრებით კი მეტისმეტად დასაქმებულებს? მათ სიბერეშიც ბაემეური მნე

აქით, რადგან წინასწარ არაფრისთვის უმრუხიათ, არაფრისთვის მომზადებულან. ისე უკრად დაბერდნენ, რომ უკან მოსულედაც ვერ მოასწრეს. სიბერე კი ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწვედა ყოველდღიურად და ვერ ამჩნევდნენ. როგორც საუბარი, კითხვა ან ღრმა ფიქრი შეიყოლიებს ხოლმე მოგზაურებს და მგზავრობის ბოლომდე ვერ ხედებიან, გვერდიგვერდ რომ უელიათ თურმე; ასევე ჩვენი ცხოვრების გზაც, რომელსაც ძილშიც და ღვიძილშიც გაბალებით მივეუყვებით, მეგისმეტად საქმიანი ხალხისათვის მხოლოდ მოგზაურობის დასასრულს გამოჩნდება.

10<sup>1</sup> მე რომ ჩემი მოსაზრება ცალკეულ პუნქტად და არგუმენტებად დამენაწერებინა. ბერი რამ ისეთი წარმოჩნდებოდა, რითაც აღვიღად დაეამტკიცებდი – ყველაზე ხანმოკლე ფრიად მეცადინე ხალხის ცხოვრებაა სწორედ. ფაბიანუსი, არა თანამედროვე „კათედრის ფილოსოფოსი“. არამედ ჭეშმარიტი და ძველთაგანი, მუდამ ღაღადებდა – ენებებს ძალა უნდა დაუპირისპირო და არა სიგყვათა სინაგიფეო, მსუბუქი ჭრილობებით კი არ უნდა გაეწვლო, მძაფრად უნდა შეუგორო. იგი კიცხავდა სოფისტურ ღვლარჭნილებს<sup>20</sup> რადგან არ ევების ენებათა გაღიზიანება, პირიქით, მათი ძირფესვიანად ამოკეცვა ხაზს. თუმცა ხალხიც უნდა განისწავლოს; ყველამ უნდა საცნაურ ყოს თავისი შეცდომა. უსარგებლოა მარტოდენ დრტვინვა.

ცხოვრება სამ დროდ განიყოფება: რაიე იყო, რაიე არის, რაიე იქნება. დრო, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, წამიერი; რომელიც წინ გველოდება – არაკეთილსაიმიედო. სარწმუნო და უტყუარი ისაა მხოლოდ, რაც გვიცხოვრია. მასზე მეუფების ნება ბედისწერასაც დაჰკარგვია და ვერა ძალა უკან ვეღარ შემოაქცევს. სწორედ ამ დროს უგულბელყოფენ ფუჭ საქმეთათვის თავდადებულნი, წარსულისკენ მისახედად ვერ მოუცლიათ, მაგრამ თუ მაინც მონახავენ საამისოდ დროს, მოგონება მათთვის მუდამ უსიამოა, რადგან თან სინა-ნულიც ახლავს ხოლმე ამ მოგონებას.

ამიგომ ისინი თავიანთ ფიქრებს გულნაკულად მიმართავენ ცხოვრების იმ მონაკვეთი-სკენ, რომელიც უკვად გაუგარებიათ; ვეღარ ბედავენ გაიხსენონ ის შეცდომები, წუთიერი სინაზრულით მოხიბლულებს რომ ვერ შეუტყვიათ და რომლებიც ასეთი სიხალდით წარმოჩნდებიან ხელახალი დაფიქრებისას. მარტოდენ იგი მიბრუნდება წარსულისკენ უდიდესი სიამოვნებით, ვინაც ყოველივე წესისამებრ განავო და საკუთარი – ყველაზე უტყუარი სამართლით განაჩინა.<sup>21</sup> მას კი, ვინც პატივმოყვარეობით შეპყრობილი ბევრს ესწრაფოდა, ვისაც ქედმაღალს – უკონოდ სძულდა, ვინც სისასტიკით იმარჯვებდა და ვერაგულად გამო-ძალავდა, ხარბად იგაცებდა და უთავებოლოდ ხარჯავდა, უნდა ემინოდეს თავისი მოგონებუ-ბისა. წარსული ჩვენი დროის ყველაზე წმინდა და კურთხეული ნაწილია. ყველა ადამიანურ შემთხვევითობაზე ამაღლებული და ბედისწერის განმავლობას ვანრიდებული. მას ვერ შეამფოთებს ვერც სიღუბეზირე, ვერც შიში, ვერც აუადმყოფობათა შემოტევაანი. შეუძლებე-ლია მისი აფორიაქება ან ვინმესთვის გამოგაკება. იგი მუდმივი და საიმედო საკუთრებაა. აწმყო თითოთროლაა დღისაგან შედგება, ისინიც მსწრაფლ განქარდებიან. წარსულის ნე-ბისმიერ დღეს კი, როცა მოისურვებ, მამინ მიუბრუნდები, რათა შენიც სურვილისამებრ დაუკვირდე და კვლავ განიცადო. საქმიან ხალხს საამისოდ ვერ მოუცლია.

აუმღვრეველ და მშვიდ გონებას ძალუქს თავისი ცხოვრების ნებისმიერი მონაკვეთი განჩხრიკოს და მიმოიხილოს. მოუცელთა აზრი კი, თითქოს მძიმე უღლის ქვეშ იყოს ქედ-დადრეკილი, უკან ვეღარ შემოიქცევა. ამიგომ მათი ცხოვრება უფსკრულს ემსგავსება და უპირო ჭურჭელსავით გამოუსადეგარია – ჩაყარე მასში რამდენიცა გსურს, შიგთავსს მაინც ვერ დაიჭერს, ვერ შეაკავებს. დროც ასევეა. თავმისადრეკს რომ ვერსად პოუვებს, მიილევა. ჩაიწრიგება. და განა სულერთი არ არის, რამდენი დრო აქვს ბოძებული მავანს, თუ არ ეცდება დროებით მაინც მის შეფერხებას? დაბნეული და დაუდევარი გონების წყალობით ინავლება დრო.

აწმყო მოკლევამიერი, მალემსროლი, იმდენად სწრაფი, რომ, მოგიერთის აზრით. არც კი არსებობს, რადგან მარად მდენია, სულ მოძრაობს, სულ სადღაც მიიქარის. ჯერ არ დამდგარა და უკვე იწურება; ისევე ვერ ითმენს შეყოვნებას, როგორც სამყარო ან ციურა სხეულები, რომლებიც თავიანთი მარადიული მოძრაობისას განუწყვეტელი იცლიან ადვილს საქმეებით გადატვირთულს მხოლოდ აწმყო ეკუთვნის. ისიც ისეთი მარდია, რომ ვერაკაცი

ვერ მოიხელთებს. აკი გაურბის კიდევ მათ, ვისი ყურადღებაც ბევრზე ბევრ საგანს წარუტაცია.

ამასობაში გრიკლინიუმის კარზე ლიკგორმა მოაკაკუნა და თეთრ სამოსში გახვეული ახალი თანამეინახე შემოვიდა მრავალრიცხოვანი აშალით. მისი სიდიადით გაოგნებულმა ვიფიქრე, რომ პრეტორი მობრძანდა, ვცადე წამომმდგარიყავი და მიშველი ფესები დაბლა ჩამოვიწიე. ჩემს ასეთ შეკრთობაზე აგამემონმა გაიციინა და მითხრა:

– გაჩერდი, სულელო. ეს ჰაბინასია, სევირი და თანაც ქვისმთლელი. როგორც ამბობენ, საუკეთესოდ აკეთებს საფლავის ძეგლებს.

ამ სიგყებით დამშვიდებული კვლავ წამოვიწიე ჩემს ადგილზე და განცვიფრებულმა მევათვალეირე ახლადმემოსული, რომელიც უკვე გვარიანად შეზარხოშებული ცოლს ეყრდნობოდა მხარზე, თავი რამდენიმე გვირგვინით ჰქონდა მემკული და მათგან ჩამოღვენთილი ნელსაცხებული შუბლიდან თვალებში ჩასდიოდა. ის პრეტორის ადგილზე წამოწვა და მაშინვე ღვინო და ცხელი წყალი მოითხოვა. მისი მზიარულებით ნასიამოვნებმა გრიმალქიომ თავადაც მოისურვა უფრო დიდი თასი და ჰკითხა, როგორ მოილხინა წინა სუფრაზე.

– არაფერი გვაკლდა მენ გარდა – თქვა მან, – თუმცა, სულითა და გულით აქ ვიყავი. ვფიცავ პერკულესს, მაინც კარგი იყო. სკისამ მდიდრული ცხრადლიანი მოსახსენებელი მოუწყო თავის საყოდავ მონას, რომელიც სიკვილის შემდეგ გაათავისუფლა. მე მგონი, ვიყვამიარული გადასახადების<sup>41</sup> ამკრეფებთან სკისას დიდი ხლაფორთი ექნება. მკვდარი ხომ ორმოცდათი ათასად შეუასდა. მაინც კარგად ვისიამოვნეთ, მიუხედავად იმისა, რომ იძულებულები ვიყავით ნახევარი სასმელი მის ძეგლებზე დაგვესხა.

[LXVI] – სადილად რა გქონდათ? – იკითხა გრიმალქიომ.

– გეგყვი, – უპასუხა მან – თუ შეეძელი, რადგან ისეთი კარგი მესხიერება მაქვს, ხშირად საკუთარი სახელიც მავიწყდება. თავიდან ღორის ხორცი შემოგვიტანეს, რომელსაც ზემო-

დან ეკუპატი ედო, ხოლო გარშემო სისხლის ძეხვები და საუკეთესოდ მომზადებული ფრინველის მიგნული პქონდა შემოწყობილი. აგრეთვე, რა თქმა უნდა, ჰარხალი და ცხვილი პური, რომელიც თეთრს მირჩენია, ვინაიდან ძალებს მზაგებს და მოსაქმების დროსაც არ ეგირი. მას მოაყოლეს ლანგარი ცივი სკრიბილგათი<sup>42</sup> და შესანიშნავი ესპანური ღვინო, რომელიც ცხელ თაფლზე იყო დასხმული. ნამცხვარს საქმარისად გვახელი და თაფლაბდეც ჩაეაღწიე. ამას გარდა, მუხუდო და ხანჭკოლა მოგვართვეს. კაკალი თავზე საყრელად იყო და თითოეულ სტუმარზე თითო ვაშლიც გვერგო. თუმცა მე მეორის აწანაჟ მოვახერხე. აი, ხელსახოცში მაქვს გამოკრული, რადგან, თუ ჩემ პაგარა მონა ბიჭს მოსაკითხს არ მიუვგან, გამიბრაზდება. კარგად გამახსენა ჩემმა ქალბატონმა, – დათვის ხორციც შემოიგანეს. წინდაუხედავმა სკინგილამ ცოგა გასინჯა და კინაღამ მთელი მიგნული ამოუბრუნდა. მე, პირიქით, ერთ გირვანქაზე მეტი ვჭამე, რადგან გემოთი ტახის ხორცს ჩამოპკაედა. ჩემი აზრით, თუ დათვი ადამიანს ჭამს, უფრო უპრიანი არ იქნება, ადამიანმა ჭამოს დათვი? ბოლოს მოგვართვეს გამდნარი ყველი და ბადაგი, თითოეულს თითო ლოკოინა, გულღიძლი, კვერცხი ცომში, თალგამი, მღოვი და დაქეილი ხორცი – ეს იყო და ეს! პო, კიდევ დამარილებული მეთისხილი ჩამოატარეს გობით, მოგმა უსირსხვილომ სამი მუჭა ამოიღო. ბარკალზე კი ყველამ უარი ეთქვიით.

[LXVII] მაგრამ მითხარი, გაიუს, ფორტუნაგა რაგომ არ არის სუფრასთან?

– არ იცი, რომ სანამ ვერცხლეულს არ მიაღაგებს და ნარჩენებს მონებს არ გაუნაწილებს, წყალს არ ჩაუშვებს პირში – მიუგო გრიმალქიომ.

– თუ ფორტუნაგა არ მოეა და სუფრასთან არ წამოწევა, მაშინ მე წავედი – მიუგო პაბინასმა და ისინი იყო წამოდგომას აპირებდა, რომ გრიმალქიოს ნიშანზე მთელმა სახლეულმა ფორტუნაგას ოთხჯერ დაუძახა.

ისიც შემოვიდა, სამოსზე მოყვითალო-მომწვანო სარკველი პქონდა შემოჭერილი, ისე რომ ქვემოდან ალუბლისფერი ტუნიკა მოუჩანდა, ფეხებზე დაწნული რგოლები ეკეთა და მოოქროვილი ფეკასიუმები<sup>43</sup> ეცეა. ხელები კისერზე ჩამოკიდებული ხელსახოცით შეიწმინდა და იქვე მოეწყო, სადაც პაბინასის ცოლი სკინგილა იყო წამოწოლილი. ტამი შემოპკრა, მას აკოცა და წამოიძახა:

– ამას ეის ვხედავ?

მოგვიანებით ფორტუნაგამ თავისი მსუქანი ხელებიდან სამკლავეები მოიხსნა და აღფრთოვანებული სკინგილას წინაშე მათით თავს იწონებდა. ცოგა ხანში ამას ფეხებიდან რგოლები, ხოლო თავიდან ოქროს ბადე მიაყოლა, რომელზეც ამტკიცებდა, ბაჯალლო ოქროსიო. ეს გრიმალქიომ შენიშნა და ბრძანა ყველა მისი ძვირფასეულობა მოეგანათ.

– შეხედეთ ამ ქალის ძეწკეებს – თქვა მან – აი როგორ გუძარცვავენ ჩვენ სულელებს! ექვსნახევარ გირვანქას უნდა იწონიდეს. ხოლო თავად მე ამაზე არაფრით ნაკლები ათგირვანქიანი სამკლაური მაქვს, მერკურიუსის მეთათსელისაგან დამზადებული<sup>44</sup>.

ბოლოს კი, თავისი სიმართლე რომ დაემტკიცებინა, ბრძანა სასწორო მოეგანათ და წონის შესამოწმებლად სუფრის გარშემო შემოატარებინა.

არც სკინგილა აღმოჩნდა უკეთესი. მან კისრიდან ოქროს მედალიონი ჩამოიხსნა, რომელსაც ილბიანს უწოდებდა, იქიდან ორი მარგალიტის საყურე ამოიღო და ფორტუნაგას სათითოდ მისცა დასათვალაუერებლად.

– ჩემი ბატონის წყალობით, – თქვა მან, – არავის არა აქვს უკეთესი.

– რა? – წამოიძახა პაბინასმა, – შენ ხომ სული ამომართვი, სანამ ევ შუმის მიზილ-პიპილები არ მაყიდინე. ქალიშვილი რომ მყოლოდა, ყურებს დაეპკრიდი. ქალები რომ არ იყვნენ, ყველაფერი ჩალის ფასად გვექნებოდა. ახლა კი იმაზე მეტს ვხარჯავთ, ვიდრე ეშოულობთ.

ამასობაში შემთვრალი ქალები კისკისებდნენ და ერთმანეთს კონინდნენ, ერთი თავისი, როგორც დიასახლისის, ხელმომჭირნობით გრაბახობდა, მეორე კი ქმრის ქარაფშეგობასა და დაუდევრობას უჩიოდა. სანამ ისინი ასე ერთობოდნენ, პაბინასი ფორტუნაგას ჩემად მიეპარა, ფეხებში სტაცა ხელი და ააყირავა.

- ვაი! ვაი! - დაიჭყვილა ფორტუნაგამ, რადგან ტუნიკა მუხლებს ზევით აუვიდა. შემდეგ თავი სკინტილას მკერდში ჩარგო და დამორცხვებულმა სახეზე ხელსახოცი აიფარა.

[LXVIII] ცოტა ხანში გრიმალქიომ ბრძანა, ჩაროზი მოერთმიათ. მონებმა ყველა მაგიდა გაიტანეს და ისინი ახლებით შეცვალეს. შემდეგ ძირს მიმოფანტეს შაფრანითა და სურინჯით შეფერილი ნახერხი, და, რაც მანამდე არასოდეს მენახა, დაფხვნილი ქარსის ქვა. მაშინ გრიმალქიომ განაცხადა:

- მართლაც, შემეძლო კმაყოფილი ვყოფილიყავი იმითი, რაც გვაქვს, რადგან ჩაროზი უკვე მოვართვეს. მაგრამ მაინც, თუ რაიმე განსაკუთრებით გემრიელი გვაქვს, შემოიგახე.

ამასობაში ალექსანდრიელმა ბიჭმა, რომელიც ცხელ წყალს დააგარებდა, ბუღბულს დაუწყო მიბაძვა, გრიმალქიომ მაშინვე შესძახა:

- შეევალე!

ამას მოჰყვა სხვა თავშესაქტევი. მონამ, რომელიც პაბინასის ფეხებთან იჯდა, ვფიქრობ, ბატონის ბრძანებით, უცებ ცივი ხმით წამოიწყო:

- ამასობაში ენასი შუაგულ ზღვაში თავის გემებით მიაპობს ცალღებს...

ამაზე უფრო გამყინავი ხმა არასოდეს მოუსმენია ჩემს ყურებს. კიდევ მეტიც, ბარბაროსული გამოთქმების ან ხმის არასწორი აწვევა-დაწვევის გარდა შიგადაშიგ ტექსტში აგელანის გაუკებსაც ურთავდა, რითაც ვერგილიუსიც კი შემაზარა. თუმცა როცა ბოლოს და ბოლოს დაიღალა და გაჩუმდა, პაბინასმა გამი დაუკრა და განაცხადა:

- არსად უსწავლია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბაზრის გამყიდვლებთან ვაგებანილი საწრთენვლად. ჯორების გამრეკაებისა და ბაზრის გამყიდვლების მიბაძვაში ბადალი არა პყავს. თან ნამდვილი ხელმარჯვე ოსტატია: მეწაღეც არის, მზარეულიც, მცხობელიც - ყველა მუშის მსახური. ორი ნაკლი რომ არ ჰქონდეს, სრულყოფილი იქნებოდა: წინადაცუთილია და ძილში ხერინავს. ელაში რომ არის, არაფრად ვაგდებ, ვენერასავით იყურება. ენაზე არაფერი ამავრდება და იშვიათად თუ მოხუჭავს თვალებს. სამას ღენარად ვიყიდე-

[LXIX] მას ლაპარაკი სკინტილამ გააწყვეტინა:

- შენ ამ უვარგისი მონის ყველა ღირსება არ ჩამოგიტოვია. მაჭანკალია, და იმას გამომრჩება, რომ დაღს დაასვენენ.

გრიმალქიომ გაიცინა და უთხრა:

- ეცნობ კაპადოკიელს: ის საკუთარ თავს უარს არაფერზე ეუბნება და, ვფიცავ პერკულესს, ამისთვის ვაქებ. ამას შენ საფულავში არავინ ჩაგატანს. ხოლო შენ, სკინტილა, ნუ იქნები ეჭვიანი. მერწმუნე, ქალებს კარგად გიცნობთ. როგორც მე ახლა ჯანმრთელს და უენებელს მხედავთ, ისე თავის ღრმზე მე ჩემს ქალბატონს ვხელნიდი. ჩემმა ბატონმა ეჭვი აიღო და სოფელში მიკრა თავი. მაგრამ დადუმდი ენავ და პურს მოგცემ.

უვარგისმა მონამ ეს სიტყვები შექებად მიიღო, უბიდან თიხის ლამპარი ამოიღო და ნახევარ საათზე მეტი მუბუკეს ბაძავდა, პაბინასიც აჰყვა და ქვედა ტურს თითებით ამობრაებდა. ბოლოს მონა შუა ოთახშიც კი გავიდა და ხან დახეთქილი ლერწმით ფლეიგისგს აჯავრებდა, ხან მოსასხამში გახვეული, ხელში მათრახით მეჯორეების ცხოვრების სცენებს ასახიერებდა. ბოლოს პაბინასმა თავისთან მიიხბო, აკოცა, სასმისი გაუწოდა და დასძინა:

- სულ უფრო და უფრო უკეთ გამოგდის, მასა, ფეხსაცმელებს გრეუქნი.

ამ წამებას დასასრული არ ექნებოდა, ჩაროზი რომ არ შემოეგანათ: ქიშმიშითა და ნიგვზით დაგნილი ცომისაგან დამზადებული შაშვები, რასაც მოჰყვა კომშები, რომლებიც ზღარების მსგავსად ეკლებით იყო დაფარული. ამას კიდევ აიგანდა კაცი, რომ არა სხვა კერძი, რომელიც იმდენად სამიზღარი იყო, რომ მის ჭამას შიშმილით სიკედილი გვერჩია. თავიდან ჩვენ ის მსუქანი ბაგი გვეგონა, რომელსაც გარშემო თევზები და სხვადასხვა სახის ფრინველი ჰქონდა შემოწყობილი.

- მეგობრობო, - თქვა გრიმალქიომ - რასაც აქ ხედავთ, ერთი მასალისაგან არის დამზადებული.

მე, როგორც ჩახედული ასეთ რამეებში, მაშინვე მივხედი რაც იყო და აგამემნონს მიეუბრუნდი:



– გამიკვირდებოდა ევ ყველაფერი ნების თუ არა, გალახისგან მინც რომ არ იყოს დამზადებული. რომში სატურნალიებზე მინახავს საჭმლის მსგავსი მიბაძვა.

[LXX] სიგყვა ჯერ კიდევ არ დამესრულებინა, როდესაც გრიმალქიომ თქვა:

– ისემე გაესივდე და არ გაემდიდრდე, თუ ევ ჩემ მზარეულს ღორის ხორცისგან არ გაეკეთებინოს. არაინაა მასზე ძვირფასი. მოისურვებ, ღორის სამოსაგან თევს გააკეთებს, ქონისგან – მგრედს, ბარკლისგან – ვერიგს, ღორისაგან – ქათამს. ამიგომაც, ჩემი ამრით, მშვენიერი სახელი, დედალუსი ჰქვია. გონება ასე კარგად რომ უჭრის, რომიდან მისთვის განსაკუთრებული საჩუქარი, ნორიკული რკინისაგან დამზადებული დანები ჩამოუგატანინე.

მან დაუყოვნებლივ ბრძანა ამ დანების მოგანა და მათით დიღხანს ტკებოდა. ჩეენც კი დავერთო ნება, რომ მათი ფხა ლოყაზე მოგვესინჯა.

უცებ ორი მონა შემოიჭრა, რომლებიც თითქოს წყალსაკეთთან წაჩხუბებულიყვნენ, ყოველ შემთხვევაში, მხარზე ჯერ კიდევ ამფორები ჰქონდათ შედგმული. გრიმალქიომ მათ მორიგებას შეეცადა, მაგრამ არცერთმა ყური არ ათხოვა და ერთმანეთს ჯოხით ამფორები დაუმსხვრიეს. მთურალების თაქედობით შეცხუბულები მოჩხუბრებს მივაჩერდით და შევნიშნეთ, რომ ამფორების სიღრმიდან ხამანწყები და ლოკოკინები გადმოიყვია. ისინი მონამ შეაგროვა და ჯამით ჩამოარიგა. ეს დახეწილი გამასპინძლება დაავიერგინა დახელოვნებულმა მზარეულმა, რომელმაც ვერცხლის გაფით შემწყარი ლოკოკინები შემოიგანა და თან საძაგელი ხმით კიკინებდა.

მრცხენია იმის მოყოლა, რაც შემდეგ მოხდა. რომელიდაც გაუგონარი ჩეეულების მიხედვით, გრძელთმიანმა ბიჭებმა ვერცხლის გამგით ნელსაცხებელი შემოიგანეს და წამოწოლილებს ფეხები დაუბილეს, მანამდე კი წვიებზე ქუსლებამდე ყვავილწული შემოაღეს. მორჩენილი ნელსაცხებელი ლეინიან ჭურჭელსა და ლამპარში ჩაასხეს. ფორტუნატას ეყვა მოუნდა, სკინტილა კი უკვე იმაზე მეტს უკარაფა გამს, ვიდრე ლამპარაკობდა. ამ დროს გრიმალქიომ განაცხადა:

– ფილარგირუს და კარიო, მართალია, მწვანეთა მხარდაჭერით<sup>45</sup> სახელი ვაქვთ გაგხილი, მაინც ნებას ვრთავთ წამოწვეთ სუფრასთან. ფილარგირუს, ასევე შენი თანამეცხელრე მენოპილეს წამოწვეს.

მეტი რაღა უნდა მომხდარიყო? მთელ ტრიკლინიუმს მონები ისე შემოესივნენ, ლამის ადგილებიდან გადაეყვარეს. ის მზარეული შევნიშნე, რომელმაც ღორის ხორციდან ბაგი დაამზადა. იგი ჩემ ზემოთ მოკალათებულიყო და მწილებისა და საკამების სუნად ყარდა. თუმცა სუფრაზე მიწვევით არ დაქამყოფილდა და გრაგიკული მსახიობის, ეფესუსის, მიბაძვა დაიწყო, ამის შემდეგ თავისი ბატონი გამოიწვია, მასთან სანაძლეო დაედო. რომ უახლოეს საციკო სანახაობებში მწვანეები გაიმარჯვებდნენ.

[LXXI] ამ კამათით გამხიარულებულმა გრიმალქიომ თქვა:

– მეგობრებო, მონებიც ადამიანები არიან და ჩვენსავით დედის რძით გამოზრდილნი, თუმცა ბოროტმა ბედმა ჩაწიხლა. ამიგომ, ისინი უკვე ჩემ ს სიციცხლეში იგემებენ თავისუფლების წყალს. ერთი სიგყვით, ანდერძით ყველა მათგანს ვათავისუფლებ. ფილარგირუსსაც ეუანდერძებ მამულს და მის მეუღლეს, კარიოს – სახლს, გამოსასყიდ მეოცეს, საწოლსა და ქვეშავებს. ჩემი მემკვიდრე ფორტუნატა იქნება და მის თავს ყველა ჩემ მეგობარს ეაბარებ. ამას საყოველთაოდ იმიგომ ეაცხადებ, რომ სახლეულს ახლაც ისე ეუყვარდე, როგორც სიკედილის შემდეგ შემეყვარებს.

ყველა მადლობას უხდიდა ბატონს წყალობისთვის. მან ოხუნჯობას თავი დაანება, ანდერძის ასლის შემოგანა ბრძანა და მთელი სახლეულის გოლები თანხლებით თავიდან ბოლომდე წაიკითხა. შემდეგ ჰაბინასს გადახედა და თქვა:

– რას იტყვი, ჩემო გულითადად მეგობარო? ხომ აღმიმართავ საფლავის ძეგლს, როგორც შეგიკვთე? ძალიან ვთხოვ, ჩემი ქანდაკების ფერხით მადლი გამოსახე, აგრეთვე, ვირგინები, ნელსაცხებლის ჭურჭელი, პეტრაიგისს ყველა ბრძოლა, რათა შენი წყალობით სიკედილის შემდეგაც გავაგრძელო სიციცხლე. თანაც ჩემი საფლავი სიგანით ასი გერფი უნდა იყოს, სიგრძით – ორასი. მინდა, რომ ჩემი ნემგის ვარშემო ყველა სახის ხეხილი და ვრცელი ვენახი გაშენდეს. რადგან დიდი შეცდომაა სიციცხლეში სახლები მოერ-

თოთ და არ ვიზრუნოთ მათზე, სადაც უფრო დიდი ხნით მოგვიწევს ცხოვრება. ამიგომ, პირველ რიგში, ვისურვებ, ანდერძს დაემატოს:

ეს კვლევი მემკვიდრეობით არ ბაღაუთება.

როგორც არ უნდა იყოს, ეს ჩემი საზრუნავია, ანდერძით წინასწარ მივიღო მომები, რათა სიკვდილის შემდეგ არავინ მაწყენინოს. ერთ-ერთ ამაგს ჩემი საფლავის მცველად დაეყენებ, რათა ხალხმა ჩემ საფლავზე მოსასაქმებლად არ ირბინოს. გთხოვ, მის ფასადზე ამოკვეთო გამლილი იალქნებით მიმავალი გემები, ხოლო მე გრიბუნაზე მჯდომი პრეტექსტის გოვით მოსილი, ხუთი ოქროს ბეჭდით ხელზე, ქისიდან ხალხში ფულს ვაპნევედ. ხომ გახსოვს, სახალხო გამასპინძლება რომ მოვაწყვე, თითო სულზე ორი ღენარი დამიჯდა. გამოსახე, თუ საჭიროდ მიიჩნევ, გრიკლინიუმი და ხალხი, რომელიც სიამოვნებით იქევეს თავს. ჩემს მარჯვნივ მოათავსე ჩემი ფორტუნატას ქანდაკება ხელში მგრედით და საბელზე გამობმული ძაღლით, ჩემი საყვარელი ბიჭუნა, აგრეთვე დიდი ამფორები, კარვად დაბეჭდილი, რომ ღვინო არ გადმოიღვაროს. შეგიძლია, აგრეთვე, გამოკვეთო დამსხვრეული ურნა და მასთან ატირებული ბიჭი. შუაში მშის საათი, ისე, რომ ვინც მას შეხედავს, ნებსით თუ უნებლიედ, ჩემი სახელი წაიკითხოს. წარწერა კი გულდასმით მოისმინე და მითხარი, რამდენად შესაფერისად მიგაჩნია:

ამ ბანისპინავს ბაიუს აოგაიუს ბრიმალქიო, მესუნაბის ამაბი.

მას ლუსნრაბლად მიანიჭოს სეპირაბი.

მართალია, მემკლო რომში ნაისმიერ ლეპურიამი ლაპაპეპინა ალბილი, მამრამ არ ისურვა.

ქველი, მამასი, ერთბული, ააბარა ალბინანი ალბეა და ოსლაათი მილიონი სესტარცია ლატოვა.

მას არაპართი ფილოსოფოსისთვის არ გოუსმენია.

მემკვიდრეობით, ბამეველო!

[LXXX] ეს რომ თქვა, გრიმალქიო ცხარე ცრემლით ატირდა. გიროდა ფორტუნატაც, გიროდა ჰაბინასი, საერთოდ მთელი სახლეული, ისე, თითქოს დაკრძალვაზე იმყოფებოდნენ. გოდებამ მთელი გრიკლინიუმი აავსო. მეც ის-ის იყო უკვე უნდა აეტირებულყავი, როდესაც გრიმალქიომ განაცხადა:

– რადგან ვიცი, რომ მოკედებით, ამიგომ არ უნდა ვიყოცხლოთ? დაე, ყველანი ბედნიერნი ვიყოთ, ახლა აბანოში გავემუროთ, თავს დავდებ, არ ინანებთ. ღუმელივით არის გახურებული.

– აბა რა! არაფერი მირჩენია იმას, რომ ერთი ღლე ორად ვაქციო – წამოიძახა პანიბასმა, მიშველი ფეხებით წამოხტა და გამხიარულებულ გრიმალქიოს გაეკიდა. მე ასკილგოს მიუებრუნდი და ვუთხარი:

– მენ რას ფიქრობ? მე ჩემდათავად აბანო რომ დავინახო, მამინევე მოკედლები.

– დავთანხმდეთ, – მითხრა მან, – და როდესაც ისინი აბანოსკენ გაემართებიან, არეულობაში გავიპაროთ.

ამაზე რომ შევთანხმდით, კოლონადის გავლით გასასვლელამდე გიგონი გავვიძღვა. მაგრამ ჯაჭვით დაბმული ძაღლი ისეთი გამბეზინვარებული ყფით დაგვესხა თავს, რომ ასკილგოსი წყალსაცავში ჩავარდა. მეც ასევე, რომელიც კარვად შემარხომებული ვიყავი და დახატული ძაღლისაც კი მეშინოდა, ასკილგოსის მიშველებისას თავად აღმოჩნდი წყალში. თუმცა ჩვენ სახლის მეთვალყურე გვიხსნა, რომელმაც ძაღლიც დაამოშმინა და ჩვენც, სიძვივით აცახცახებულები, წყლიდან ამოგვიყვანა. გიგონს კი უკვე მოენახა ძაღლისგან თავის გადარჩენის ეშმაკური ხერხი. რაც სადილის დროს ჩვენგან მიიღო, მყეფარს გადაუყარა, რომელიც ჭამაში გაერთო და დაწყნარდა. მაგრამ, როდესაც შეციებულებმა სახლის მეთვალყურეს ეთხოვეთ, გასასვლელიდან გავემვით, მან მოგვიგო:

– ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ იმ გზიდან გასვლას შეძლებთ, საიდანაც მოხვედით. არც ერთი სტუმარი არ გაუშვიათ ერთი და იმავე კარიდან, ერთიდან შემოდიან და მეორიდან გადიან.

[LXXIII] რას ეიზამდით. გასაცოდავებულებმა და ახალ ლაბირინთში მოხვედრილებმა, ჩვენი ნებით ეითხოვეთ აბანოში წაყვანა, მით უფრო, რომ ახლა ეს ნამდვილად გვეჭირდება. გაეიხადეთ განსაცემელი, რომელიც გიგონმა შესასვლელში გასაშრობად დაკიდა და ძალიან ვიწრო, ცივი წყლის საცაყის მსგავს აბანოში შევედით, სადაც გრიმალქიო წელში გამართული იდგა და იქაც არ წყვეტდა თავის მომბეზრებულ გრაბასს. ამბობდა, რომ არაფერი სჯობდა უშუოთველად ბანაობას და რომ იმ ადგილზე ოდესღაც საცხობი იყო. შემდეგ დაღლილი ჩამოვდა, აბანოს ექოთი წახალისებულმა მთერალი პირი თაღოვან ჰერამდე გააღო და მენეკრატის სიმღერების წვალება დაიწყო. ყოველ შემთხვევაში ასე ამბობდნენ ისინი, ეინც მისი სიკვების გარჩევა შეძლო. დანარჩენი სტუმრები ხელისხელ-ჩაკიდებულნი აუშის გარშემო დარბოდნენ და სიცილ-ხარხარით იქაურობას აყრუებდნენ. სხვები ქვის იატაკიდან შეკრული ხელებით ბეჭდის ალებას ცდილობდნენ ან მუხლებზე დამდგარნი თავს უკან წყედნენ და პირით ფეხის ცერის წვერს ეხებოდნენ. სანამ სხვები ასე ერთობოდნენ, ჩვენ იმ აბაზანაში ჩავედით, რომელიც გრიმალქიოსთვის თბებოდა.

უკვე გამოფხიზლებულები სხვა გრიკლინიუმში შეგვიყვანეს, სადაც ფორტუნატამ თავისი ავლადილება გაშალა. სანათურებს მემოთ დაეინახე [-] და ბრინჯაოსაგან გამოკეთილი მეთავეთა ფიგურები შევნიშნე, ასევე სუფთა ვერცხლისაგან დამზადებული მაგიდები, რომელზედაც მოოქროვილი თიხის თასები იყო შემოწყობილი; ჩვენ თვალწინ საწურავიდან ღვინო მოწანწკარებდა.

– მეგობრებო, – თქვა გრიმალქიომ – დღეს ერთმა ჩემმა მონამ პირველად მოიპარა წვერი, ის, თვალი არ ეცეს, პაგიოსანი და ხელმოჭვინე კაცია. ასე რომ, ჩაეიხრჩოთ ღვინოში და გათენებამდე ვიქეიფოთ.

[LXXIV] ეს რომ თქვა, მამალმა იყიელა. ამ ხმით შემკრთალმა გრიმალქიომ ბრძანა. ღვინო მაგიდის ქვეშ დაეღვარათ და სანათურისთვისაც გაუზავებელი ღვინო მიეკურებინათ. ბუქელიც კი გადაიგანა მარჯვენა ხელზე.

– უმიზგზოდ არ იძლევა ნიშანს ეგ შესაყვირე. რადგან ან ხანძარს უნდა ველოდოთ, ან ვინმე მოკედება სამეზობლოში. შორს ჩვენგან! ასე რომ, ვინც მას მომიყვანს, დავასაჩუქრებ.

ნათქვამი დასრულებული არ ჰქონდა, რომ მეზობლის მამალი მოიყვანეს. გრიმალქიომ ბრძანა, სპილენძის ქვაბში მოეხარმათ. ის აქნა და ქვაბში მოათავსა იმ განსწავლულმა მზარეულმა, რომელმაც ცოტა ხნის წინ ღორის ხორციით ფრინველები და თევზები დაამზადა. სანამ ღელაღუსი ნახარშს გემოს უსინჯაედა, ფორტუნატამ ბმის ხელსაფქევაში წიწაკა დააფქვა.

ამ ნუგბარის მირთმევის შემდეგ გრიმალქიო მონებს მიუბრუნდა:

– თქვენ რა, არ გისადილიათ? წადით და სხვები შეგენაცულებიან.

მომდევნო ცელაც მოვიდა. წამსილელები ყვიროდნენ:

– მშვიდობით, გაიუს.

ხოლო მომსვლელები:

– გამარჯობა, გაიუს.

ჩვენი მხიარულება პირველად მაშინ დაირღვა, როდესაც სხვა მსახურებთან ერთად ერთი საკმაოდ ლამაზი ბიჭი შემოვიდა, რომელსაც გრიმალქიო ეყა და ხანგრძლივი კონა დაუწყო. ფორტუნატამ, რათა თავისი სამართლიანი უფლება დაემტკიცებინა, გრიმალქიო ლანძღვით აიკლო, თავის ეინს აყოლილ ნაძირალასა და უსირცხვილოს უწოდებდა დასასრულ მიახალა:

– ძაღლო.

ამ შეურაცხყოფის საპასუხოდ გრიმალქიომ ფორტუნატას გინება დაუწყო და სახეში სასმისი ესროლა. მან, თითქოს თვალი ამოუგდესო, წამოიყვირა და აკანკალეული ხელები სახეზე აიფარა. შეშინებულმა სკინტილამ თავისი ათრთოლებული მეგობარი გულში ჩაიკრა. ხოლო ერთ-ერთმა თავაზიანმა ბიჭმა ცივი წყლით სავსე გოლჯა სახესთან მიუგანა. რო-

მელიე ფორტუნატამ დაშავებულ ადგილზე მიიღო და ცხარე ცრემლით აგირდა. ხოლო გრი-  
მალქიო არ ცხრებოდა:

– რა, მაგ ქუჩის მოცეკვავეს აღარ ახსოვს რას წარმოადგენს?! მონათა ბაზრიდან წა-  
მოვიყვანე, ადამიანად ვაქციე. ის კი ბაყაყივით გაიბერა, უკან არაფერზე დაიხეეს, ქალი კი  
არა, კუნძია. მაგრამ მას, ვინც ქობშია დაბადებული, სასახლეს ვერ შეიფერებს. ეგრემც ჩემი  
მფარველი სული შემეწიოს, როგორც მე მაგ გაუთულელ დედაკაცს მოვათვინიერებ. მე, რო-  
მელიე გრომად არ ვღირდი, შემეძლო ქორწინებით ათი მილიონი სესტერცია მემოვა. იყი,  
რომ არ გაცყუებ. ღიღი ხანი არ არის, რაც მენელსაცხებლე აგათომ გვერდზე გამიხმო და  
მიიხრა:

– გირჩევ, ნუ მოითმენ შენი ჯიშის გადაშენებას. მაგრამ მე რადგან წესიერი ვარ და არ  
მინდა ვინმეს ამჩატებული ვიქვენო, ქვა ავაგლე და თავი შევეშვირე. მამ კარგი, ისე  
მოგიწყობ საქმეს, რომ ჩემი თავი სანაგრელი გაგიხდეს. ახლა კი მისვლები, რაც ჩაიღინე.  
ჰაბინას, არ მსურს, რომ მისი ქანდაკება ჩემ საფლავზე დადგა, რათა სიკვდილის შემდეგაც  
არ ვიჩხუბოთ. უფრო მეტიც, დაე, იყოდეს, რომ მეც შემიძლია სამაგიეროს გადახდა: არ  
მსურს, მკედარს მაკოცოს.

[LXXV] ამ მებთაგების შემდეგ, ჰაბინასი შეეხვეწა, დაეცხრო რისხვა, და უთხრა:

– ვინ არის ჩვენ შორის უცოდელი? ადამიანები ვართ და არა ღმერთები.

ატირებულმა სკინტილამაც იგივე უთხრა, გაიუსით მიმართავდა და მისი მფარველი  
სულის სახელით სთხოვდა, მოწყალე ყოფილიყო.

გრიმალქიომ ცრემლები ველარ შეიკავა და თქვა:

– გთხოვ, ჰაბინას, ეგრემც შენი კეთილდღეობით გაიხარო, თუ რაიმე არასწორად  
გაეაკეთე, სახეში შემაფურთხე. კეთილგონიერ ბიჭს ვაკოცე, არა სილამაზის გამო, არამედ  
იმბოგმ, რომ ჰკვიანია: ათზე გაყოფა იყის, თავისუფლად კითხულობს და არა ჩათვლით,  
ღლიური ნაშრომით თრაკიული სამოსელი შეიძინა, თავისი ფულით სავარძელი და ორი  
თასი იყიდა. ნუთუ არ არის ჩემი ყურადღების ღირსი? მაგრამ თურმე ფორტუნატა ამას  
მიკრძალავს! მერედა ვინ გგონია შენი თავი, შე გაბლენილი? გირჩევ, შეირგო, რაც გაქვს,  
შე სვავო, და ნუ მალღიანებ, საყვარელო, თორემ გიჩვენებ სეირს. ბოლოსდაბოლოს გამი-  
ცანი, რასაც ერთხელ გადავწყვეტ, წყალი არ გაუვა. მაგრამ მოდი უფრო სასიამოვნო ამ-  
ბოგო გავიხსენოთ. გთხოვთ, მეგობრებო, არ მოიწყინოთ. ვინაიდან მეც ისეთი ვიყავი,  
როგორიც თქვენ ხართ, მაგრამ ჩემი ჰკუთნა ამას მივადღწიე. მხო უნდა გქონდეს, რომ კაყაღ  
იქვე სხვა ყველაფერი ამბოა. კარგად ვყიდულობ, კარგად ვყიდი, სხვამ შეიძლება სხვა  
რამე გითხრათ. ბარაქაში ვიხრჩობი. შენ კი, მხერინაეო, კიდევ გირი? ისე გიგამ, რომ შენ  
ბედს დასტიროდე. ჰო, როგორც უკვე გითხარით, ეს სიმდიდრე მე ჩემმა კეთილგონიერებამ  
მომიგანა.

ამიიდან რომ ჩამოვედი, ამ სასანთლის სიმაღლე ვიყავი. ყოველდღე მას ვეგოლებოდი  
და წვერი მალე რომ ამოშველოდა, გუჩებზე სანათურის მეთს ვისვამდი. თოთხმეტი წლისა  
ბაგონთან სარეცელს ვიყოფდი. სულაც არ არის სირცხვილი გააკეთო ის, რასაც ბაგონი  
გობრძანებს. მე ქალბაგონსაც ვაკმაყოფილებდი. იყით, რას გეტყვით, გავჩუმდები, რომ გრა-  
ბახში არ ჩამომართვათ.

[LXXVI] ასეა თუ ისე, ღმერთებმა ინებეს და მე სახლის პაგრონი გავხდი. ბაგონს ჩემს  
ჰკუაზე ვატარებდი. მეტი რაღა? მან მე კეისრის თანამემკვიდრე<sup>47</sup> გამხადა და სენატორის  
ქონება მივიღე. კაცის გული მაინც გაუმაძღარია. ვაჭრობა მეწადა. ბევრი რომ აღარ გა-  
ვავრძელო, ხუთი გემი აღვეკურვე, დავეგვირთე ღვინით – მაშინ ის ოქროს ფასი ღირდა – და  
რომში გავგზავნე. თითქოს ნაბრძანები ჰქონდათო, ყველა გემი ერთად დაიღუპა. არ  
ვიგონებ, ასე მოხდა. ნეპტუნუსმა ერთ დღემი ოყდაათი მილიონი სესტერცია გადამიყლაპა.  
გგონიათ ფარხმალი დაეყარე? არა, ვფიცავ პერკულესს, ამ ზარალმა მადა კიდევ უფრო  
გამიღვიძა, თითქოს არაფერი მომხდარაო. სხვა უფრო ღიღი, კარგი და ილბლიანი გემები  
აღვეკურვე, ვინმეს რომ არ ეთქვა ჩემზე, მარცხმა შეაშინაო. იყით, დიდ გემს სიმტიყეც  
ღიღი აქვს. ისინი კვლავ დავეგვირთე ღვინით, დამარბილებული ღორის ხორციით, მუხუდლოთი,  
ნელსაცხებელით, მონებით. ამ დროს ფორტუნატამ კეთილი საქმე გააკეთა: მთელი თავისი

ძვირფასეულობა, მთელი სამოსელი გაყიდა და ასი ოქრო ჩამითვალა. ამან ჩაუყარა საუფ-  
ველი ჩემს ქონებას. რაც ღმერთებს ნებათ, მალე სრულდება. ერთმა მოგზაურობამ სრული  
ათი მილიონი სესტერცია მომიტანა. უმაღლესად გამოიხილა მთელი მიწები, რომლებიც ოდეს-  
ღაც ჩემს ბატონს ეკუთვნოდა, ავაშენე სახლი, ვიყიდე მონები, პირუტყვი. რასაც ენებოდა,  
ფიჭასავე იზრდებოდა. როდესაც იმაზე მეტი გამიჩნდა, ვიდრე მთელ ჩემს ქალაქს ქონდა,  
წერტილი დავსვი, ვაჭრობაზე ხელი ავიღე და აზაგებზე ფულის ვაზნით გასესხება დავიწყე.  
მე თვითონაც არ მსურდა ვაჭრობა გამეგრძელებინა და ერთმა ასტროლოგმა, რომელიც  
მემთხვევით ჩვენ კოლონიაში შემოუხედა, იგივე მირჩია. ბერძენი იყო, სახელად სერაპა,  
ღმერთების მრჩეველი. მან მე ისიც მითხრა, რაც თვითონ უკვე დავიწყებული მქონდა. ყვე-  
ლაფერი დაწერილებით მიაშბო. ის მე გამჭოლ შეხედავდა. ისდა აკლდა, ეთქვა წინა დღით  
რა ეჭამე. იფიქრებდი, მთელი ცხოვრება ჩემს გვერდით გააგარაო.

[LXXVII] ჰაბინას, მე მგონი, მაშინ შენც იქ იყავი, როდესაც მითხრა: შენ ამა და ამ გზით  
შეირთე შენი ქალბატონი, ბელი არ გწყალობს მეგობრებში, არავინ გიხდის დამსახურებულ  
მადლობას, დიდ მიწებს ფლობ, გველს ითბობ უბნში. და – რაგომ არ უნდა გითხრაო –  
ასევე მიწინასწარმეგყველა, რომ დარჩენილი მაქვს ოცდაათი წლის, ოთხი თვის და ორი  
დღის სიცოცხლე. თანაც მალე მივიღებ მექვიდარეობას. ასეთია ჩემი ბედი. ხოლო თუ  
შეძლებს ააუღლებდე გავმარლო ჩემი მიწები, საქმარისად გამმართლებია ცხოვრებაში.  
ამასობაში, სანამ მერკურიუსი ფხიზლობდა, ეს სახლი ავაშენე. ხომ ვახსოვთ, პატარა ქო-  
მახი იყო – ახლა გაძარია. მასში ოთხი სასადილო ოთახი, ოცი საძინებელი და მარ-  
მარილოს ორი კოლონადაა. მეუთ კიდევ საცხოვრებელი ოთახებია, საძინებელი, სადაც  
თავად მე მძინავს, ამ გველგესლას სამყოფელი, ძალიან კარგი სადგომი მეკარისთვის და  
ოთახები სტუმრებისთვის.

მოკლედ, როდესაც სკაურუსი აქ ჩამოვიდა, ჩემს გამასპინძლებას არაფერი ერჩია, თუმცა  
აქვე ზღვის პირას აქვს მამისეული კარ-მიდამო. აქ კიდევ ბევრი რამ არის, რასაც ახლავე  
გაჩვენებთ. მერწმუნეთ, თუ გრომი გაქვს, გრომად ღირხარ, თუ გაქვს, გაფასებენ. ასეა  
თქვენი მეგობარიც, რომელიც ბაყაყი იყო და მეფედ იქცა. ახლა კი, სტიქუს, გამომიგანე  
სამოსი, რომლითაც მინდა, დავიმარხო. გამომიგანე ასევე ნელსახებელი და ცოგაოდენი  
ღვინო იმ ამფორიდან, საიდანაც ვბრძანებ, ჩემი ძელები განბანონ.

[LXXVIII] სტიქუსმა არ დააყოვნა და გრიკლინიუმში თეთრი სუღარა და პრეგექსი მე-  
მოიტანა. გრიმალქიომ აიღო თავისი დასამარხი შესამოსელი და ბრძანა ხელით მოგ-  
ვესინჯა, კარგი მაგყლისაგან იყო თუ არა დამზადებული. შემდეგ ღმილით თქვა:

– ხედავ, სტიქუს, არც თავგები და არც ჩრჩილები არ შეხებიან. კიდევ კარგი, თორემ  
ცოცხლად დაგწავდი. მე მინდა, რომ ღირსეულად დამმარხოვნ, რათა სიკვდილის შემდეგ  
ყველამ კეთილი სიგყვით მომიხსენიოს. ამ დროს გახსნა ნარდის პატარა ბოთლი, ყველა  
ჩვენგანს ააქურა და წარმოთქვა:

– იმედი მაქვს, მექედარსაც ისეთივე სიამოვნებას მომანიჭებს. როგორც ცოცხალს.

შემდეგ ბრძანა ღვინო ჭურჭელში ჩაესხათ და განაცხადა:

– წარმოიდგინეთ, რომ ჩემს დაკრძალვაზე ხართ.

ყველაფერი განსაკუთრებით ამამრბენი მას შემდეგ ვახდა, რაც უგონოდ მთვრალმა  
გრიმალქიომ ახალი გასართობი მოიგონა და მეზუკეების შემოყვანა ბრძანა. იგი ბალიმე-  
ბით დაფარულ ტახტზე გაიმოტა და გვითხრა:

– წარმოიდგინეთ, რომ მოვეკლი. თქვით რაიმე ლამაზი – თქვა მან. მეზუკეებმა სამ-  
გლოვიარო მუსიკა დასცხეს. განსაკუთრებული გულმოდგინება ყველაზე უფრო პატივცე-  
მული სტუმრის, დაკრძალვების მომწყობის ერთ-ერთმა მონამ გამოიჩინა. მან ისე  
მძლავრად ჩაჰბერა ბუკს, რომ მთელი სამეზობლო გააღვიძა.

ამ დროს მცველებმა, რომლებიც შემოგარენს დარაჯობდნენ, იფიქრეს, გრიმალქიოს  
სახლი იწვისო, უცბად კარი შემოამგერიეს და როგორც წესად აქვთ, წყლითა და ცულებით  
ყველაფერი თავდაყირა დააყენეს. ჩვენ ხელსაყრელი შემთხვევით ვისარგებლეთ, ავამემ-  
ნონს გაეძახეთ და თითქოს მართლა ხანძარიო, თავპირისმგერევეთ გამოვიქვეით.

## შენიშვნები

<sup>1</sup> გრიკლინიუმი. - გრიკლინიუმი, სასაღილო ოთახი, რომელშიც იღვა დიდი მაგიდა. მის ირგვლივ, პირით მაგიდისკენ წამოწოლილი იყვნენ სტუმრები. სტუმრებს მაგიდის გახსნილი მხრიდან აწვდიდნენ კერძებს.

<sup>2</sup> უფროხილი ძაღლა. - ასეთი მოზაიკური წარწერა პომპეის გათხრების დროს ბევრ სახლში აღმოჩნდა. ამგვარ, მუცნიერების აზრით, „სატირიკონის“ ვმირები, შესაძლოა, პომპეის მოქალაქეები იყვნენ.

<sup>3</sup> სამი ქალღმერთი ოქროს ძაფს ართაედა. - ბედის ქალღმერთები. ოქროს ძაფი კი მომავალ სიმღერებზე მიაზინებდა.

<sup>4</sup> ლარები. - სახლის მფარველი ღმერთები.

<sup>5</sup> პირველი წვერი. - პირველად მოპარსული წვერი ებღვენებოდა ღმერთებს.

<sup>6</sup> ავესტუსის სევირს. - სევირი, ექვსთა კოლეგიის წვერი. ავესტუსის სევირები რომის იგალოურ კოლონიებში იმპერატორთა კულტს განაგებდნენ.

<sup>7</sup> კორინთული ბრინჯაოს. - კორინთულ ბრინჯაოს ოქროს ფასი პქონდა.

<sup>8</sup> ოპიმიუსის ჩამოსხმა. - ოპიმიუსი, კონსული 120 წელს ჩვენ წ-მდე. იმ წელს ყურძნის განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოვიდა, როგორც ამას ციყერონი გვაშენობს თავის „პრუტუსში“.

<sup>9</sup> რეპოსიტორიუმზე. - რეპოსიტორიუმში, მაღალი ყუთი, რომელიც ერთმანეთზე დაწყობილი ლანგრების აგან შედგებოდა.

<sup>10</sup> სკრიბლიტა. - ნამეხუარი ყველით და თაფლით.

<sup>11</sup> ლამერაიციუმის მიმიდან - მიმი ლამერაიციუმით (ფისოვანი მცენარე, რომელსაც საკმაოდ იყენებდნენ) მოვაჭრეთა რეპერტუარიდან.

<sup>12</sup> ინკუბონს - ინკუბონი, ავი სული. დამალულ განძს იმას უჩვენებდა, ვინც ქელს მოსტყუებდა.

<sup>13</sup> ასეთად იცნობდით თქვენ ულისეს? - ლაოკონის შემახილი ევრგილიუსის „ენეიდადან“, რომელიც გამოთქმად იქცა.

<sup>14</sup> პიპარქესსა და არაგს. - ალექსანდრიული ეპოქის ცნობილი ასტრონომები.

<sup>15</sup> წებოვანი წნელებით. - პაგარა ჩიგების დასაჭერად წნელებს წებს უსეამდნენ.

<sup>16</sup> ბრომიუსად - ლიუსად და ეიუსად. - დიონისეს მღვწოლები.

<sup>17</sup> დიონისეს, იყუ თაისუფალი! - სიგყათა თამამი: ლიბერ (თაისუფალი), დიონისეს ერთ-ერთი მღვწოლებაა, ისევე როგორც ლიბერ პაგერ (მამა ლიბერი), რამედაც ცოგა ქვემოთ გრიმალქიო მოსწრებულად ამბობს, რომ მამა ჰყავს ლიბერი.

<sup>18</sup> ჩაჩი. - თეთონ ჩამოიყუა. - არსებობდა თექის მრგვალი ქელი, რომლის დახურეაც მონებს შეეძლოთ მათი გაყიდვის ან მათთვის თაისუფლების მიჩიჭების დროს.

<sup>19</sup> არ გაიხარონ უღილებმა. - უღილებს სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები და მათ შორის მოსახლეობის სურსათით მომარაგების რეგულირება ევალებოდათ.

<sup>20</sup> ყოველდღე სატურნალიებში. - სატურნალიები, ძველი იგალოური დღესასწაული. იმართებოდა გარკვეულ დღეებში (17 დეკემბრიდან „ოქროს ხანის“ (სატურნის) აღსანიშნეადა და განსაკუთრებული მზიარულებით გამოირჩეოდა.

<sup>21</sup> ლანისგის. - ლანისტი, გლადიატორთა პაგრონი და მასწაელებელი.

<sup>22</sup> ბესტიარიუსები. - ბესტიარიუსი, ცირკის არენაზე გარეულ მტეცებთან მებრძოლი.

<sup>23</sup> წითელი წიგნი. - იურიდიული მინაარსის წიგნები, რომელთა სათაურებიც წითელი საღებავით იყო შესრულებული.

<sup>24</sup> ნომენკლატორმა. - მონა, რომელიც ვალდებული იყო ცოდნოდა მოქალაქეთა და სახლში მყოფი ყველა მონის სახელი; მას ასევე უნდა გამოეცხადებინა სურნალები მირთმეული კერძები.

<sup>25</sup> პენთეუსის ჩახობხილსა. - პენთეუსი, ბაქუსის მითური მგერი, თებეს მეფე. ბაქსმა ქალებმა იგი ნაწილ-ნაწილ დაგლიჯეს, რის გამოც ერთ-ერთ კერძს პენთეუსის ჩახობხილი (რაგუ) ეწოდა.

<sup>26</sup> ერთურნიანი. - ურნა, მოყულობის სამომი ერთეული = 13, 13 ლ.

<sup>27</sup> კორდაკს. - კორდაკი, თვაამეებული, მგზნებარე ეკეა ძველგატიკურ კომედიაში.

<sup>28</sup> მსახიობ სირუსის. - პუბლილიუს სირუსი (I ს. ჩვენ წ-მდე) წარმოიქიელი, ყოფილი მონა. შესანიშნავი მსახიობი, იმპროვიზგატორი და პოეტი.

<sup>29</sup> აგელანა. - ხალხური კომედიის სახე, რომელიც რომში ქალაქ აგელიდან გავრეულდა.

<sup>30</sup> პუბლილიუსს. - იხ. შენიშვნა 28.

<sup>31</sup> პელაგითით - პელაგია, მარგალიტის სახეობა.

<sup>32</sup> ჩამონათვალის ერთი ნაწილი სიგყათა თამამზეა აგებული. ეს უფრო თეალსაჩინო რომ გახდეს, შემოგვაქეს ამ სიგყათა ლათინური ფორმები.

<sup>33</sup> შემოვლასა. - ცრურწმენის მიხედვით გარემო მომარდვა ქნიდა მაგიურ წრეს.

<sup>34</sup> მეოყედი. - გამოსასყიდი თანხის მეოყედი ნაწილი, რომელიც გათაისუფლებულ მონას ხამინამი შექონდა.

35 კომერისტებს. - კომერისტები, მსახიობთა ჯგუფი, რომლებიც გროას ომის მთიებიდან დაბრუნდნენ სეენებს.

36 ნელსაქსელის ალაბასტრები. - მხლის ფორმის პატარა ჭურჭელი სუნამოებისა და ნელსაქსე ბლებისთვის.

37 პრიაკუსის. - პრიაკუსი, ბაკუსისა და ვენერას ძე, ბალების, მინდურებისა და ნაყოფიერების ღმერთი.

38 მეხუთე მილის აღმნიშვნელ ბოძამდე. - ბოძი, რომლითაც აღინიშნებოდა თითოეული მილი = 1,48 კმ.

39 ქიოსურ ცხოვრებას. - ტკობითა და ფუფუნებით სავსე ცხოვრება.

40 ლოყა, ლოყა, რამდენი თითი მოგზედა? - საბავშვო თამაში, სადაც ერთ-ერთ მოთამაშეს თვალს უხევედნენ და ლოყაზე ურტყამდნენ. მას უნდა გამოეცნო, რამდენი თითი მოხედა.

41 ეიცემიმარული გადასახადების. - ეიცემიმარული, 56-იანი გადასახადი გათავისუფლებულ მონაშე.

42 სკრიბლიგათი. - ის. მენიშენა 9.

43 ფუქსიუმები. - ერთგვარი ფეხსაცმელი, თეთრი ფერის.

44 მერკურიუსის მეათასეღისაგან დაშვადებული. - მერკურიუსის მეათასედი, ანუ გრიმალქოს მთელი ოქროს მარაგის მეათასედი ნაწილი, რომელიც მერკურიუსს, თავის მფარველ ღვთაებას, აღუთქვა. ამ მინიშნებით იგი ათი ათას გირეანქა ოქროს ფლობს.

45 მწენეთა მხარდაჭერით. - იგულისხმება ცირკის მწენეთა პარტიის მხარდაჭერა.

46 ტექსტი აქ ნაკლულია.

47 კეისრის თანამემკვიდრე. - მდიდარი ადამიანები, რომლებიც იყავდნენ თავიანთ ახლობლებს იმპერატორის თავნებობისაგან; მას ანდერძად ქონების ნაწილს უგოვებდნენ.

*თარგმნა გიორგი ქაჯაიამ*

# პლინიუს კეკილიუს სეპულსი

(61/62 – 113/114)

პლინიუსი დაბადებულია კომუში, რომელშიც მან მოგვიანებით ააგო შესანიშნავი თერმები, ბიბლიოთეკა, დააფუძნა აზაგების და თავისუფალი ბავშვების დახმარების მდიდარი ფონდი.

კეკილიუსს მამა ადრე გარდაეცვალა და იგი იშვილა დედის ძმამ, პლინიუს უფროსმა, რომელმაც დისშვილი აღზარდა, მემკვიდრედ აქცია და მისცა სახელი – პლინიუსი.

პლინიუსმა ბიძამისის ზედმიწევნითი ყურადღების ქვეშ საუკეთესო განათლება მიიღო, გრამატიკულ სკოლაში განისწავლა, შეისწავლა ბერძნული ენა და ლიტერატურა და ბოლოს სარიტორო სკოლაში დაეუფლა მჭევრმეტყველებას.

პლინიუსმა ცხოვრების განმავლობაში არაერთ თანამდებობაზე იმუშავა: იყო სამხედრო ტრიბუნი სირიაში, ევესტორი (89 წ.), სახალხო ტრიბუნი (92 წ.), პრეტორი (93 წ.), ჯარის ხაზინის მცველი (94 ან 95 წ.), სატურნუსის ტაძრის სახელმწიფო ხაზინის მცველი (98 წ.), ტიბერისის ნაპირებისა და რომის კლოაკების ზედამხედველი, კონსული (100 წ.), ლეგატი (111-112 წწ.), ბითინიის მმართველი, ავეგური.

პლინიუსი ბითინიაშივე გარდაიცვალა.

პლინიუსის კალამს ეკუთვნოდა გრაგედია, ელეგიები, ლექსები, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოთქმული სიტყვები, თუმცა ჩვენამდე სრულად მხოლოდ ლიტერატურულმა წერილებმა მოაღწია.

ისინი ორი კორპუსისაგან შედგება: 1. თავად პლინიუსის მიერ შედგენილი და გამოცემული კერძო წერილები 9 წიგნად (247 წერილი) და 2. მე-10 წიგნი – მიმოწერა იმპერატორ ტრაიანუსთან (122 წერილი). ეს უკანასკნელი გამოიცა მწერლის სიკვდილის შემდეგ.

წერილები, რომელთა რამდენიმე ნიმუშია მოცემული ანთოლოგიაში, წარმოაჩენს ძვ.წ. I ს-ის რომაული სამოგადოების ცხოვრებას, რომელთა მნეს, აზრებს, ინტერესებს, სოციალურ ურთიერთობებს და ცხადია, თავად პლინიუსის პიროვნებას.

ნაწარმოები გამოირჩევა დახვეწილი ენით, კომპოზიციური გამართულობით და ორაგორულ სტილთა მონაცვლეობით.

## თარგმანი:

პლინიუსი უმცროსი, წერილები, თარგმანი და შენიშვნები დალი ქერიძისა.

## წერილები

I,1

ჩემო სეპტიციუს! პლინიუსი გესალმები.

მირჩევი გამორჩეული წერილებისთვის თავი მომეყარა და გამომექვეყნებინა. და აი, შევეკრიბე ქრონოლოგიური თანმიმდევრობა არ დამიყავს (მე ხომ ისტორიას არ ვწერდი). მთავარია, სანაწიველი არ გაგვიხდეს: მენ შენი რჩევა, მე კი – ჩემი დამყოლობა. უყურადღებოდ მიგდებულ წერილებსაც მოვიძიებ; ამიერიდან თუ რაიმეს დაწერ, აღარ დავმალავ.

კარგად იყავი.

I, 3

პლინიუსის სალაში კანინიუს რუფუსს!<sup>1</sup>

რასა იქმს კომო<sup>2</sup> ჩვენთვის, ორივესთვის, ტკბილი ადგილი, უმშვენიერესი აგარაკი ქალაქის ახლოს? პორტიკი,<sup>3</sup> სადაც მარადიული გამაფხულება? ჭადრებით დაჩრდილული ხეივანი? წყალუბვი არხი, გყის სიმწვანეს რომ ირეკლავს? ან გბა ქვემოთ? ჩვენს მოლოდინშია ალბათ! რბილად სავალი სასეირნო გზა ხეივანში, უკვე მკვიდრად ჩამუდარი?



აბანო, სადაც მთელი დღე მზე აცხენებს? სანადიმო დარბაზები, ხალხმრავალი წვეულებისთვის, თუ ვიწრო წრისთვის განკუთვნილი? დღისით მოსასვენებელი ოთახები, ან საძინებლები? ალბათ ყველა სათითაოდ მოიარე და ხან ერთგან ნებიერობ და ხან მეორეგან. თუ ასეა, მაშინ ბედნიერი კაცი ხარ. ხოლო თუ მხოლოდ სამეურნეო საქმეებით ხარ გართული? მაშინ შენც „ერთი მრავალთავანი“<sup>4</sup> ყოფილხარ; რაგომ სხვას არ დააკისრებ ამ წერილმან, მდარე საქმეებს (დროა უკვე), თავად კი მაგ უმფოთველ განმარტოებაში ლიგერატურულ საქმიანობას არ დაეწაფები? დაე, მხოლოდ ეს იყოს შენი საქმიანობა და მოცალეობა, შენი გარჯა და მოსვენება, შენი ძილი და ღვიძილი. შექმენ ის, რაც სამარადისოდ შენი იქნება, თორემ ეგ მამული არაერთგზის გამოიცილის პატრონს. ხოლო ლიგერატურულ საქმიანობას თუ მიჰყოფ ხელს, მას მარად შენი სახელი ერქმევა.

ვიცი, ამ შეგონებით რა სულისა და ნიჭის ადამიანს ვაგულიანებ. შენც შეეცადე, გაიგო საკუთარი თავის ფასი და თუ გაიგებ, მაშინ სხეებიც ისე დაგაფასებენ. კარგად იყავი.

## I 9.

ჩემო მინიკუს ფუნდანუს,<sup>1</sup> პლინიუსი გესალმები.

საოცარია, რომში ყოველდღიური საქმეებისგან კაცს მოცლა არ გაქვს; ყოველ შემთხვევაში, ასე გეჩვენება; მაგრამ განვიღო დღეებს მერე რომ გადახედო, აღმოაჩენ: სინამდვილეში არაფერი გიკეთებია.

ვისაც არ უნდა ჰკითხო, დღეს რას იქმოდო, ვიპასუხებს:

„ყმაწვილის სრულწლოვნად<sup>2</sup> კურთხევის რიგულს ვესწრებოდი“; „ნიშნობაზე ან ქორწილში ვიყავი“<sup>3</sup>; „ერთმა ანდერძის დამოწმება მთხოვა, მეორემ სასამართლოში აღვოკატად მიხმო, მესამემ თათბირზე მიმიწვია“. თუ დაუფიქრები, ყველა ეს საქმე, იმ დღეს ასე აუცილებელი რომ გეგონა, უაზრო ფუსფუსად მოგეჩვენება; განსაკუთრებით კი ქალაქს მოშორებული მიხედები, რამდენი დღე დაგიკარგავს ფუჭ საქმეებზე ზრუნვაში.

მეც ასე შემართება, როცა ჩემს მამულში, ლავრენტინუმში, განმარტოებული რაიძეს ვკითხულობ, ეწერ ან, სულაც, სხელს ვიკაებ. ესეც არანაკლებ ამხნეებს სულს; არც არავის ვუსმენ, არც თვითონ ვსაუბრობ და აღარც არაფერი მაქვს სანანებელი. ვერც ჩემთან იგყვის ვინმე სხვის აუგს და მეც მხოლოდ საკუთარ თავს თუ ვუსაყვედურებ სიზარმაცეს. არაფერი მიმღვრევს სულს: არც რისიზე იმედი, არც რისიზე შიში; არც რაიზე მითქმამოთქმა აღწევს ჩემს ყურამდე; საკუთარ თავს და წიგნებს თუ გავესაუბრები მხოლოდ.

ო, ალალო და უბრალო ცხოვრებაე, ო, ტკიბილ და საპატიო მოცალეობაე, ყოველგვარ მოუცლელობაზე უფრო ძვირფასო! მღვაო და მღვის სანაპიროე, მუშათა ჰემმარიგად მუდრო ტაძარო (μυστήριον), რამდენი რამ მასწავლეთ! რამდენი რამ მიკარნახეთ! მოდი, შენც მიაგოვე ეგ ორომგრიალი, უაზრო ლაყობა, ამაო ფუსფუსი და, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მოგეცება, ლიგერატურაში და უბრალოდ მოცალეობაში ჩაიძირე. ჩვენი ატილიუსის<sup>4</sup> ღრმამაზროვანი და მახვილგონიერული ნათქვამისა არ იყოს, ტყუილად შრომას უქმად ყოფნა სჯობია.

## II. 8

ჩემო კანინუს,<sup>1</sup> პლინიუსი გიძღვნის სალაშს!

წიგნებს ჩაჰკირკიკებ, თევზაობ თუ ნადირობ? ჩვენს ლარიუსსა და მის მიდამოებში ერთიე შესაძლებელია, მეორეც და მესამეც: ტბა თევზითაა საესე, ტყე კი – ნადირით; სრული განმარტოება და წიგნებში ჩაფლუაე შეიძლება. ამას ყველაფერს აკეთებ, თუ რომელიმე მათგანს, „მმურს“-თქო, რომ ეთქვა, ცოგაა, უფრო „ტანჯვა“ ითქმის ჩემს განცდამე: ამ სიამოვნებათა ნებას მე ვინ მომიცემს; არადა ისე მწყურია, როგორც ავადმყოფს ღვინო, წყაროს წყალი ან აბაზანა; გაეწყებე კი ოდესმე ამ ბორკილებს, თუ შეუძლებელია? ვუფიქრობ, ვერასდროს, ვინაიდან ძველ დაუმთავრებელ საქმეებს ახალ-ახალი ემაგება. ასე დღით-დღე მბორკავს დაუსრულებელ საქმეთა ვრძელი ჯაჭვი.

კარგად იყავი.

## II. 2

ჩემო პავლინუსს,<sup>1</sup> პლინიუსი გესალმები.

ებრამობ, თუმცა კარგად ვერ გავრკეველვარ, უნდა ებრამობდე თუ არა. მოგეხსენება, რა ახირებულია ხანდახან სიყვარული, მუდამ  $\mu\kappa\rho\alpha\iota\tau\omicron\varsigma$  წერილმანების ამყოლი, სამღვარი არ იყის. ესეც მნიშვნელოვანი მიზეზია, მაგრამ რამდენად სამართლიანია, ვერ გეტყვი. თუმცა ჩემთვის მნიშვნელოვანიცაა და სამართლიანიც. ის მახრამებს, ამდენი ხნის განმავლობაში ერთი სიტყვაც რომ არ მომწერე. მხოლოდ ერთი რამ მომიღობს გულს: თუ ახლა მაინც გამომიზავნი უგრძეს წერილებს, თან ხშირად. მხოლოდ ეს გაგამართლებს. სხვა ყველაფერი, ვითომ რომში არ ვიყავიო, მოცლა არ მქონდაო, გყუილია და გაგონებაც არ მინდა. (იმახ კი ღმერთები არ დაუშვებენ, რომ შეუძლოდ ყოფილიყავ). მე აგარაკზე ვარ და ხან ლიგურატურული საქმიანობით ვნეტარებ და ხან უქმად ყოფნით. ორივე მოცალეობის პირმშოა.

კარგად იყავი.

VI. 4 ჩემო კალპურნია,<sup>1</sup> პლინიუსი გესალმები.

არასდროს დამიჩივლია საქმეების სიმრავლეზე, მაგრამ სწორედაც რომ მათი მიზეზით ვერ გამოგყევი კამპანიაში, სადაც სამკურნალოდ გაემგზავრე და ვერც შემდეგ ჩამოგაყითხე. ახლა განსაკუთრებით მინდა შენთან ყოფნა, რომ საკუთარი თვალთა დაერწმუნდე, თუ მოღონიერდი და მოიმაგე, ბოლოსდაბოლოს, თუ შეირგე განმარტოების სიტკბოება და ამ მხარის საუცხოო ბარაქა და მადლი.<sup>2</sup>

ჯანმრთელადაც რომ იყო, მაინც ვიდარდებდი. ასეა, თუ კაცმა არაფერი იყის იმის შესახებ, ვინც ძლიერ უყვარს, შფოთავს და გულდამძიმებულია. ახლა კი, როცა ასე უღონოდ და სუსტად ხარ, ჩემს გვერდით არ მეგულები, ეჭვი მდრღნის და მალეღეებს. ყველაფერი მამონებს. რას არ წარმოვიდგენ. სწორედ იმას გავიფიქრებ, რასაც ყველაზე მეტად გაეურბივარ, როგორც მშფოთვარე ადამიანებს სჩეევიათ ხოლმე. გემუდარები, მიხსენი ამ შიშისგან: ერთი კი არა ორ-ორი წერილი გამომიგზავნე. მათი კითხვა მამშვიდებს, დაეამთავრებ თუ არა, კვლავ შიში მიპყრობს.

კარგად იყავი.

## VI 7.

ჩემო კალპურნია, პლინიუსი გესალმები.

მწერ, რომ უჩემოდ ძალიან მოიწყინე, შენი ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ ჩემი ნდომით ჩემს წიგნებს შენს გვერდით მიუჩინე ადგილი და მათ იკრავ გულში. მიხარია, რომ ასე გენატრები. მიხარია, რომ ეს სიმშვიდეს განიჭებს. მრავალგმის გადავიკითხავ ხოლმე შენს წერილებს და ყოველთვის ისე ვიღებ მათ ხელში, თითქოს იმ წუთას მიმეღოს. ისინი შენს სურვილსა და ნდომას მიძლიერებენ. წერილები რომ ასეთი სიამის მომგვრელია, რაოდენ საამური იქნება შენთან ბაასი. რაც შეიძლება, ხშირად მომწერე. დე ეს იყოს ჩემი სიტკბოცა და სიმწარეც. კარგად იყავი.

## VII. 5

ჩემო კალპურნია, პლინიუსი გესალმები.

ვერ წარმოიდგენ, რა სამინელი სევდა მაწევს გულზე. სიყვარულია ამის მიზეზი. ჩვენ ხომ განშორებას არ ვართ ჩვეულები. ღამეები თითქმის არ მძინავს, შენ სახეს ვხედავ. დღისით, იმ საათებში ჩვეულებისამებრ შენთან ერთად რომ ვატარებდი, ფეხებს, როგორც იცყვიან, თავისით მიეყავარ შენი მოსასვენებელი ოთახისკენ; უხალისო და დაღვრემილი ვგოვებ მის მღურბლს, როგორც უარყოფილი.

ამ გაჯავა-წამებისგან მხოლოდ იმ დროს ვთავისუფლდები, როცა ფორუმზე მეგობრების სასამართლო საქმეებით ვარ გართული. თავად განსაჯე, რა ხარ შენ ჩემი ცხოვრებისთვის: სიმშვიდე შრომის დროს და ნუგეში გაჭირვებისა და მღელვარების ჯამს.

კარგად იყავი.

ჩემო მაქსიმუს,<sup>1</sup> პლინიუსი მოგესალამები.

ნუგეშია და სიამოვნებაე ჩემთვის ლიგერატურულ საქმიანობაშია. იგი სიამოვნებას აძლიერებს და მწუხარებას ამსუბუქებს. ჩემი მეუღლის ავადმყოფობითა და ახლობლების დაღუპვით დამწუხრებული შეებას ლიგერატურულ საქმიანობაში ეპოულობ; მასწავლის, ჩაეწედე უბედურებას და მოთმინებით გადაეგანო იგი. ჩეულებად მაქვს, ჩემი ნაშრომი, სანამ საჯაროდ გამოვიგანდე, ჯერ მეგობრების სამსჯავროზე წარვაღვინო. პირველად მენ მოგმართაე. დაკვირვებით წაიკითხე წიგნი, რომელსაე წერილთან ერთად გვგზავნი. ემიშობ, მწუხარემ სათანადო გულისყურით ეერ ვიშუშაეე. მართალია, თავე ვებრძანე და წერა შეეძელი, მაგრამ ის ეერ შეეძელი, რომ ნაწერი ლაღი და მხიარული გამოსულიყო. როგორე ლიგერატურული მუშაობა განიჭეებს სიხარულს, ასეეე კარგი განწყობა გეხმარეეა უეეთესად მუშაობაში.

კარგად იყავი.

## VI. 16

ჩემო ტაიცეუს,<sup>1</sup> პლინიუსი გიძღვნის სალაშს.

მთხოვ, ბიძაჩემის სიკედილის ამბაეი მოგწერო, რომ მომეალ თაობებს მის შესახებ მუსგად მოუთხრო ყოველი. მაღლობას მოგახსენებ. ვიცი, თუ შენ აღწერ, ბიძაჩემის აღსასრული მარადიული ღიღებით შეიმოსება. იგი იმ საბედისწერო ღღეს დაღუეა, როცა ერთი უმშენიერესი მხარე თავისი ქალაქებითა და მაცხოვრებლებით სრულიად განადგურდა. ეს უბედური ამბაეეე შემოინახადა მის სახელს; მაგრამ შენი უეედაეე ქმნილებებით ისეე უეედაეეოფილი შეექნება (თუმეა თავადაე მრავალი ნაშრომის აეგორია). ბენიერად ვრაცხ იმ ადამიანებს, რომლებსაე ღმერთი აღწერის ღირს გმირობას ჩაადენინებს, ან ისეთ ნაწარმოებს შეაქმნევენებს, რომელსაე მკითხველი მუდამ ეყოლება. ხოლო ის, ვინე ღეთისგან ორიეე ნიჭითაა ცხებული, უბედნიერესი კაცია. ბიძაჩემი თავისი წიგნებისა და შენი წყალობით სწორედ ამ უბედნიერესთა შორის აღმოჩნდება. ამიგომ არა მარგო სიამოვნებით ვიღებ შემოთავაზებულ წინადადებას, არამედ გთხოვ კიდეე, დაეეეალო.

ბიძაჩემი მიზენში იმყოფებოდა. ფლოგს ხელმძღვანელობდა. ეს მოხდა სექტემბრის კალენდამდე 9 ღღით აღრე. დაახლოებით 7 საათზე ღედაეეემა ურეეელო ზომისა და ფორმის ღრუბელი დაანახა მას. ბიძაჩემს მმის აბამანის შემდეგ ცივი წყალი გადაეეეო განზე, ესაღილა და წამოწოღიღი წიგნს კითხულობდა. მან სანღღები მოითხოეა და ამ საოცრებას რომ კარგად დაკვირებოდა, სათეაღთეალო აღღიღი შეარჩია. ღრუბელი ფორმით უშარმაზარ ფიჭვის ხეს ჰეაეა (შორიღან არ ჩანდა, რომელი მთიღან მოეურაეა. გეიან გაირეეა, რომ ეს ეეშუეის მთა იყო). შეაგყორსნიღი უგრძესი ღერო ყეეაა მიმართულებით განგოგეიღიყო. ეფიქრობ, იგი ჰაერის გალღამ ამოგყორსნა, რომლის შესუსტების შემდეგ ღრუბელი საკუთარი სიძიძიით განში გაიშალა და დაიგოგა. ზოგან თეთრად ბრწყინაეა, ზოგან მიწისა და ფერფლის ჰუჭყყიანი ლაქები ახლდა. ბიძაჩემმა, ღიღად განსწავლეღმა კაცმა, ეს მოვლენა მეგად მნიშვნელოენად მიიჩნია და გადაწყეიგა, უფრო ახლო მანძიღიღან შეეხედა მისთვის. ამიგომ სწრაფმაეაღი მსუბუქი ხომალღის მომზადება ბრძანა. მეე შემომთავაზა გაეყოლოღი, მაგრამ შინ ღარჩენა და მეუღღინეობა ვარჩიე (ყოგა ხნის წინ თემა მომეა დასაწარად). სახლღდან გაღიღად, გასკუსის მეუღღის, რექტინას წერიღონ რომ მიიღო. საფრთხით თავებარდაეეშუღი რექტინა<sup>2</sup> შეეღას სთხოეა (მისი ვიღა ეეშუეის მთის ძირას მღებარებოდა და იქიღან თავის დაღწეეა მხოლოდ ხომალღით შეიძლებოდა). ბიძაჩემმა გეგმა შეეეაღა და კვადრირემების<sup>3</sup> მომზადება ბრძანა. ის, რაე მეენიერული ცნობისწაღღიღით წამოიწყო, ეეთიღშობიღერი გრძნობის კარნახით დაასრულა. თავად აეიღა ხომალღზე და გადაწყეიგა რექტინასაე და სხეებსაე მიხმარებოღა; ეს მშენიერი სანაპირო მჭიღროდ იყო დასახლებული. იგი მისწრაფოღა იქით, საიღანაე სხეები გამორბოღენ. გეგი პირდაპირ საფრთხისკენ აიღო. მიშის გრძნობა სრულიად გაქრობოღა და როგორე კი ამ სამინელ ღრუბელს ფორმის ცელას შენიშნაეა, ბრძანებღა, ჩაენიშნათ.

ხომალდებს უკვე ფერფლი ეფინებოდა, მით უფრო ცხელი და სქელი, რაც მეტად უახლოვდებოდნენ სანაპიროს. ცეცხლში გამომწვარი შავი ქვებისა და პემზის ნამსხვრევების წვიმა მოდიოდა.

მოულოდნელად მეჩვი წარმოიშვა, მთა ჩამოგვავდა და ნაპირთან მიდგომა შეუძლებელი გახდა. ბიძაჩემი შეყოყმანდა, მესაჭუქე უკანდაბრუნებას ურჩევდა, მაგრამ ასე მიუგო: „მამაკებს ბედი წყალობთ. წინ პომპონიანუსისკენ!“<sup>5</sup>. იგი სტაბიაში, ზღვის უბის მეორე ნაპირზე იმყოფებოდა (ხმელეთში შეჭრილი ზღვა ირკალეებოდა და მრუდე სანაპიროს ქმნიდა). იქ სამიმროება ჯერ არ იყო, მაგრამ, თუ გაძლიერდებოდა, ცხადია, იქაც მალე მიადწევდა. პომპონიანუსმა თავისი ბარგი ხომალდზე აიგანა, იმ იმედით, პირქარი ჩადგებოდა და სანაპიროს დაგოვებას შეძლებდა. ბიძაჩემი მიუახლოვდა (უკეთესს მხსნელს ვის ინაგრებდა), შემინებულს მოეხვია, ნუგეში სცა, გაამხნეა, თავისი უღარდელი ქუევით შიშს უქარწყლებდა. თავად აბანოში წასვლა მოისურვა და ბრძანება გასცა; ნაბანავეები გახტვე წამოწვა და გულარხინად შეექცა სადილს. მოჩვენებითი იყო თუ ნამდვილი ეს გულარხიანობა, თანაბრად დიდებული ეთქმოდა.

ამ დროს ვეზუვის მთას ცეცხლი მრავალ ადგილას მოედო და მაღლა ავარდნილი აღი აკამკამდა. ღამის წყვლიადმი იგი განსაკუთრებით ელვარე ჩანდა. ბიძაჩემი შემინებულ ხალხს ამშვილებდა, ალბათ სოფლებს არეულობისას ცეცხლი დარჩათ ჩაუქრობელი და უპატრონოდ მიტოვებულ ავარაკებს წაეკიდაო. წავიდა და გულმშვიდად დაიძინა. იგი ზორბა კაცი იყო და ისე ხვრინავდა, აუცილებლად გაიგონებდა, ვინც მის ოთახს ჩაუვლიდა. ოთახში შემავალი პატარა მოედანი პემზის ნაგებებით და ფერფლით იფარებოდა, საძინებლში წამით შეყოვნებული კაცი გარეთ ვეღარ გამოვიდოდა. გააღვიძეს ბიძაჩემი. პომპონიანუსს და სხვებს უკვე დიღიხანია ელვიძათ. ისილ მათ შეუერთდა. დაიწყეს ბჭობა: მენობაში დარჩენილიყვნენ, თუ გამლილ ადგილას გასულიყვნენ. ხშირი და ძლიერი ბიძგებისგან მენობები ისე ირყეოდა, თითქოს დადიოდნენ და მერე თავის ადგილს უბრუნდებოდნენ. მართალია, ღია ცის ქვეშ ყოფნაც საშიში იყო, სადაც მსუბუქი და ფორებიანი ქვების წვიმა მოდიოდა, მაგრამ მაინც ეს საფრთხე ამჯობინეს. ბიძაჩემს ხან ერთი აზრი გაუელვებდა თავში, ხან მეორე, სხვებს კი შიში შიშით ეცელებოდათ. ქვების წვიმისგან თავდასაცაყად პირსახოცით ბალიშებს იკრავდნენ თავზე.

სხვაგან უკვე დღე იყო, აქ კი, შავზე შავი, ლუსკუმი ღამე იდგა. თუმცა მრავალი ჩირაღდანი და კოცონი ენათო. ზღვის სანაპიროზე გასვლა და დათვალიერება გადაწყვიტეს, იქნებ ზღვაში ეპოვათ ხსნა. მაგრამ ზღვა უკვე ავისმომასწავებლად ბორგავდა. ბიძაჩემი ძირს დაფენილ აფრაზე დაწვა. ცივი წყალი რამდენჯერმე ზედიზედ მოითხოვა და სულმოუთქმელად გამოცალა. უცებ გოგირდის სუნი მოვარდა, რაც ცეცხლის მოახლოვებას მოასწავებდა. ხალხი გაიქცა. ბიძაჩემი ფეხზე წამოვარდა, გვერდით მდგომ მონებს დაეყრდნო, მაგრამ იქვე ჩაიკეცა. ვფიქრობ, ნამწეის სუნმა სუნთქვა შეუკრა და სასულე გადაუკეცა. მას სუსტი ფილგეები ჰქონდა და ხშირადაც აუადმყოფობდა. როცა დღის სინათლე გამოკრთა (ეს იყო მესამე დღე მას შემდეგ, რაც მან უკანასკნელად იხილა მშის სხივი), მისი სრულიად უვნებელი გვაში იპოვეს. უფრო მძინარეს ჰგავდა, ვიდრე მკვდარს.

ამ დროს მე და დედაჩემი მიბენში ვიყავით. მაგრამ ამას ისტორიასთან კავშირი უკვე აღარ აქვს; მენ მხოლოდ ბიძაჩემის სიკვდილის ამბავი გაინგურესებდა. ამიგომ თხრობას ეწყევტ. მხოლოდ ერთს დაეუმატებ: გაამბე ყველაფერი, რისი მოწმეც მე ვიყავი და რაც თვითმხილველებმა მიაბმეს. ალბათ მენ ამ ნაამბობიდან მთავარს აიღებ: წერილის დაწერა სხვა და იგორიისა – სხვა: წერილი მხოლოდ მეგობრისთვისაა, ისტორია კი ყველას ეკუთვნის.

კარგად იყავი.

## VI 20

ჩემო ტაყიგუს, პლინიუსი გიძღვნის სალამს.

ამბობ, რომ წერილმა, რომელშიც შენი თხოვნით ბიძაჩემის სიკვდილის ამბავი აღწერე, ამის ცნობისწადილიც აღვიძრა, გაგვეგო, მიბენში დარჩენილმა, რა შიში და უბედურება

გაღვიგანე (დავიწყე, მაგრამ შევწყვიტე თხრობა). „ყოველივე ამის გახსენება სულს მიძრწუნებს, მაგრამ მაინც ვიამბობ“!

ბიძაჩემის წასვლის შემდეგ დრო მეყადინებოდა გავაგარე (აკი ამისთვის დაერჩი). მერე: სწრაფი აბაზანა, სადილი, ხანმოკლე და მშოთიანი ძილი. კამპანიისთვის ჩვეული მცირე ბიძგები უკვე რამოდენიმე დღე იგრძნობოდა, მაგრამ იმ დამეს<sup>2</sup> მიწისძვრა გაძლიერდა, კაცი იფიქრებდა, ყველაფერი თითქოს მოძრაობს და თავდაყირა დგებაო. აედექი, დედაჩემის გაღვიძებას ეაპირებდი. ის ამ დროს თავად შემოიჭრა საძინებელში. სახლის წინ პატარა მოედანზე ჩამოვჯექით, რომელიც მღვას შენობებისგან გამოპყოფდა. მე გიგუს ლივიუსის წიგნი მოვითხოვე. მისი კითხვა და ადვოკატების ამოწერა დავიწყე არ ვიცი, ამ ჩემს საქციელს რა ვუწოდო, სულის სიმტკიცე თუ თავქარიანობა (მაშინ მეთურამეგე წელში ვიყავი). უცებ ბიძაჩემის ნაცნობი მოვიდა, იგი ესპანეთიდან იყო სტუმრად ჩამოსული. მე და დედაჩემი ასე ჩამომსხდრები რომ დავგინახა, თანაც მე წიგნს ვკითხულობდი, გვარიანად შეგვაშკო: დედა – წინდაუხედაობისთვის, მე კი – არხეინობისთვის. კიდევ უფრო უღარდეღად ჩაერგე წიგნში თავი. დღის პირველი საათი<sup>3</sup> იყო. ბინდ-ბუნდი იღვა. ირველივე სახლები ირყოდა. ღია და ეიწრო მოედანზე ყოფნა სამიში გახდა, საყაა შენობები ჩამოინგრეოდა. მაშინ კი გადავწყვიტეთ ქალაქის დატოვება. მარდაცემული ბრბო უკან მოგვეყვებოდა, შიშით დაზაფრულს განსჯის უნარი დაკარგვოდა და საკუთარ გადაწყვეტილებამე შეგად სხვის რჩევას მინდობილი მუჯღუგუნების კვრით, ჯგელეთა-ჭყლეტით მიიწვედნა წინ. ქალაქგარეთ გავედით და შეეჩერდით. რამდენი უცნაურობა ენახეთ და რამდენი სიმწარე გამოვიარეთ.

ოთხთვალეები, ჩვენი ბრძანებით რომ გამოვეყენენ, სრულიად ვაკე ადგილზე აქეთ-იქით ხტუნაობდნენ. საყრდენებად ქეები შევეყენეთ, მაგრამ მაინც ვერ გავაჩერეთ. ვხედავდით, მღვა უკან როგორ იხედა, მიწა ირყოდა და წყალს უკუაქევედა, ნაპირი წინ მიიწვედა, უამრავი მღვის ცხოველი მშრალ ქეიმაზე ეყარა. სხვა მხრიდან მავ, შემზარავ ღრუბელს ცეცხლის მიგმაგები სერაედა, აბრიალებული შოლები ელვას პგავდა, თითქოს ცას ფართოდ დაეღო პირი. სწორედ ამ დროს მე და დედაჩემს იმ ესპანელმა მეგობარმა მკაყრად და დაჯინებით მოგვმართა: „თუ თქვენი ძმა და ბიძა ცოცხალია, ალბათ სურს, თქვენც ცოცხლები გიხილოთ, და თუ დაიღუპა, თქვენს გადარჩენას ისურვებდა. რაგომ აყოენებთ? თავს რაგომ არ შევლით?“ ვუთხარით, თავის გადარჩენამე აბა როგორ გვეფიქრა, როცა ბიძაჩემის შესახებ არაფერი ეიცოდით. ის აღარ შეჩერებულა, გაიქცა, ხიფათს გაერიდა.

მაღე ღრუბელი მიწამე დაემვა, მღვას გადაეკრა, ვარს შემოვრგყა კაპრეას და მთლად დაფარა. დაფარა მიმენის კონსხიყ. დედა მევედრებოდა, მაქემებდა, მიბრძანებდა, გაექეკულიყავი და თავი გადამერჩინა, რადგან ძალიან ახალგაზრდა ვიყავი; თავად კი, უკვე წლებითა და სნეულებებით დამძიმებული, შეილის სიკვდილის მიმეში აღარ გახლებოდა და მშვიდად მოკვდებოდა. მაგრამ მე მხოლოდ მასთან ერთად მინდოდა გადარჩენა. ასეც ვეუბნებოდი. ხელი ჩავჭიდე და ვაიძულე, ნაბიჯები აეჩქარებინა. იგი ძალაუნებურად დამემორჩილა. თავს იწყველიდა, რომ მაბრკოლებდა.

ფერფლი იშვითათა, მაგრამ მაინც გვეყრებოდა. უკან რომ მოვიხედე დავინახე სქელი, მავი ნისლი ნაკადებად მოუფინა მიწას და ფეხდაფეხ მოგვეყვებოდა. „სანამ ვხედავთ, გვერდზე გადავუსხიოთ, თორემ, თუ გზამე წავექეცით, ხალხი გადავთელავს“, – ვუთხარი. მოხედვაც ვერ მოვასწარით ირველივე უკუნი სიბნელე ჩამოწვა. იგი არ პგავდა არც ღრუბლიან, არც უმთვარო დამეს. ასეთი წყვილადი მხოლოდ უსარკმელო, გამოკეცილ ოთახშია. ისმოდა ქალების მოთქმა, ბავშვების ღნავილი, მამაკაცების ყვირილი. მოგი მშობელს ექებდა, მოგი შეილებს და მეუღლეს. ცდილობდნენ, ერთმანეთი ხმით მიეკვლიათ. ვინ საკუთარ თავს გიროდა, ვინ ახლობელს, ვინ სიკვდილის შიშით სიკვდილსავე ნატრობდა. ერთნი ხელაპყრობილნი ღმერთებს შევლას ვევედრებოდნენ, მეორენი გაიძახოდნენ: არანაირი ჭმერთები არ არსებობენო. ეს დამე მათ სამყაროს უკანასკნელ, მარადიულ დამედ წარმოედგინათ. მოგიერთები ამ თვალხილულ უბედურებას გამოგონილსაც უმაგებდნენ: მიმენში რაღაც ჩამოინგრა, რაღაც იწვისო. ეს სიცრუე იყო, მაგრამ სჯეროდათ.

მუქი გამოკრთა, მაგრამ ეს იყო არ დღის სინათლე, არამედ მოახლოებული ცეცხლის ანარეკლი. ცეცხლი მოშორებით მეწყდა. კვლავ წყვილიად, კვლავ ფერფლი, სქელი და მძიმე. ყოველ წამს ედგებოდით და ვიბერტყავდით, თორემ დაგეფარავდა და გავგუქდავდა. უნდა დაეგრძობა, რომ მთელი ამ საშინელების მიუხედავად ერთი არ დამიწუწუნია, ერთადერთი ფიქრი მიგრიალებდა მხოლოდ: ვილუკებოდი ყველასთან ერთად და ყველაფერი – ჩემთან, უბაღრუკთან ერთად. ამ დროს წუთისოფლის წარმავლობაზე ფიქრი დიდი ნუგეში იყო.

სიბნელემ თითქოს ღრუბლისა და კვამლის სახე მიიღო და გაიფანტა. სწრაფად დადგა ნამდვილი დღე, მშვენიერ გამოკრთა, მაგრამ ისეთი მქრქალი, როგორც მშის დაბნელებისას. მიმით ათრთოლებული ხალხის თვალწინ სახემეცვლილი გარემო გადაიშალა: სქელ ფერფლს, როგორც თოვლს, ისე დაეფარა იქაურობა.

მიგნებში დაებრუნდით, მოეწესრიგდით. მშფოთვარე ღამე გაეფარეთ: ხან შიში აგვიტანდა, ხან იმედი მოგვეცემოდა. მაგრამ შიშმა გვძლია, რადგან მიწისძვრა კვლავ ვრძელდებოდა. ამდენი ზაფხით ბევრი ჭკუიდანაც გადადგა. საშინელებებს წინასწარმეტყველებდნენ: საერთო უბედურებით ერთობოდნენ. რამდენი ფათურაკი გამოვიარეთ, ისევ საშიშროებას ველოდით, მაგრამ წასვლა არც გვიფიქრია, სანამ ბიძაჩემის ამბავს არ გავიგებდით.

ჩემი ნაამბობი ისტორიაში მოხვედრას არ იმსახურებს, მაგრამ თუ არც მოსაწერად ღირდა, საკუთარ თავს დააბრალებ. ეს ამბავი შენი დაეინებულე თხოვნით მოგწერე.

კარგად იყავი.

## V. 8

პლინიუსის სალამი გიგინიუს კაპიტონუსს!

მირჩევ, ისტორიის დაწერას მიეყო ხელი. ამას მხოლოდ შენ არ მეუბნები, სხვებიც მაგულიანებენ და თავადაც ამის მოწადინე ვარ. იმიტომ კი არა, შეისტორიეობაზე ვლბედეთავს (სანამ არ გამოსციდი შენს შესაძლებლობებს, უგუნურებაა ასე იფიქრო), არამედ იმიტომ, რომ თავისთავად დიდებული რამ არის, როცა უკვალოდ არ ქრება იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც მარადიული ხსოვნის ღირსნი არიან. მათთან ერთად შენი სახელიც უკვდავიყოფა. ისე არაფერს ვეგრფი და ვესწრაფვი, როგორც მარადიულობას.

ამაზე ღირსეული საქმე რა შეიძლება იყოს ადამიანისათვის, მით უფრო, თუ არაერთი დანაშაულის შეგრძნება აქვს და არც შიში, რომ რაიმეს გაიხსენებს მასზე შთამომავლობა. დღე და ღამე ვფიქრობ: „რით შეეძლებ ავმაღლდე დედამიწიდან მარადიულობაში?<sup>22</sup> – მხოლოდ ამას ვესწრაფვი. ხოლო ეს – „აი ის, გამარჯვებული, მისი სახელი ყველას პირზე აკერია.“<sup>3</sup> – ჩემს სურვილს უკვე აღემატება; ისიც კმარა, ისტორია რასაც გვპირდება. ლექსსა და ორაგორულ სიტყვას, მჭევრმეტყველური სრულყოფილება თუ არ ახლავს, მაღლი აქლია, ისტორია კი ყველანაირი გიტაცებს, როგორადაც არ უნდა იყოს დაწერილი. ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა და შეუღამაზებელი ამბების გაცნობა, ლაყობისა და ზღაპრების მოყვარულთაც კი ხიბლავს. ბიძაჩემის (ჩემი მამობილის) მაგალითიც ამისკენ მიბიძგებს. მან ხომ დიდი კეთილსინდისიერებით შეთხზა ბევრი ისტორია. ბრძენკაცებიც გეასწავლიან, რომ ფრიად საპატიოა წინაპრთა ნაკვალევზე სიარული, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მართალ გზაზე იდგნენ. მაშ რატომღა ვეყოვნებ? მეტად მნიშვნელოვან და რთულ სასამართლო პროცესებს ეუძლებოდი და ამ სასამართლო სიტყვების გაჩაღება განვიმრახე. მართალია, მათზე დიდ იმედებს არ ვამყარებ, მაგრამ თუ ეს საქმე არ დავასრულე, მთელი ჩემი ნაღვაწი ჩემთან ერთად გაქრება. შთამომავლობის იმედად დაგოვებული დაუმთავრებელი საქმე ხომ იგივეა, თითქოს არც დაგეწყოს. მეტყვი, შეგიძლია, სიტყვებსაც გადახედო და ისტორიაც წერო. იღონდაც! მაგრამ საქმე ისაა, რომ ერთი ძნელია და მეორეც. ნეტავ ერთს ვაეართვა თავი. ცხრამეტი წლის ასაკიდან სიტყვას წარმოეთქვამ ფორუმზე და დღესაც ბუნდოვნად ვხედავ, რა ევალება მჭევრმეტყველს, რით უნდა გამოირჩოდეს იგი. და ამ გვირთს ახალი დაეუმატო? თუმცა ისტორიასა და მჭევრმეტყველებას ბევრი აქვთ საერთო, მაგრამ საერთო რომ გვონია, სწორედ იქაა მრავალი

განსხვავება. მოგითხრობს ერთი და მოგითხრობს მეორეც, მაგრამ – სხვადასხვაგვარად: სასამართლო სიტყვა ყოველრიდურ, მდაბალ, ბინძურ ამბებს ეხება, ისგორია კი შორეულს, ამაღლებულს, წმინდას. ერთი უფრო ძელებზე, კუნთებზე, ძარღვებზე საუბრობს, მეორე კი თითქოს რაღაც შემოსილზე, გამშვენებულზე. ერთი თავისი ძალით, სიმწკავეთ, გზებით გიზიდავს, მეორე კი – მშვიდი, ტკბილი თხრობით. დაბოლოს, განსხვავებული აქვთ სიტყვები, განსხვავებული აქვთ ხშიერება, განსხვავებული აქვთ აგებულება. და რაც მთავარია, თუკიდიდეს სიტყვებით რომ ვთქვათ, რა გაქვს ხელთ, „არქიმ“ შენაძენი“, თუ „არქიმის შეკობი“? პირველი ისგორიაა, მეორე კი ორატორული სიტყვა. ამის გამო ვარიდებ თავს ამ ორი საქმის ერთმანეთთან დაკავშირებას, ერთიმეორეში არეებს, საქმეებისა, რომლებიც თავიანთი არსით ერთმანეთისგან მეტად დამორეულნი და განსხვავებულნი არიან. ამ არე-დარეებით დაბნეულმა იქნებ ერთგან ის ვთქვა, რაც მეორეგან უნდა მეთქვა. აი, ამიტომ ნება მომეცი, როგორც ჩვენ, იურისტები ვიგყვიოთ, ვადავუალო ეს საქმე. მანამდე მოიფიქრე, ისტორიის რა პერიოდი ავირჩიო აღსაწერად. ძველი? ის სხვებმა უკვე აღწერეს, გამოიკვლიეს ყოველივე. მათი ურთიერთშეჯერება კი რთული საქმეა. ახალი, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი ეპოქა? ნაწყენიბევერი დამრჩება, მაღლიერი კი ცოცხა მეყოლება, რადგან ამ საყოველთაო უზნებობის ეპოს დასაგმობი მეტია, ვიდრე საქებარი. ქება-დიდება რომც არ ღაიშურო და სალანძღავე სიტყვა აქა-იქ გაურო, მაინც გეტყვიან, ტკბილი სიტყვა დავენანა და ლანძღვით აგვიკელიო. თუმცა ეს არ შემაჩერებს, მყოფის გამბედაობა სიმართლის სათქმელად. გთხოვ, იმ საქმისთვის, რასაც მიჩრევე, წინასწარ შემიმბალო ნიადავი და შემირჩიო მასალა, რათა, წერას რომ შევედებე, ხელი არაფერმა შემიმბალოს და არ დაებრკოლდე.

## შენიშვნები:

I.1

<sup>1</sup> სეპტიციუსი – პლინიუსის მეგობარი. პრეფექტი იმპერატორ ადრიანეს დროს.

I. 3

<sup>1</sup> კანინუს რუფუსი – მდიდარი მემამულე კომოს ვარეუბანში.

<sup>2</sup> Cornum – ქალაქი ციმბალიურ ვალიამი. ღარიუსის ტბის (Iacus Larus) დასავლეთ სანაპიროზე.

<sup>3</sup> პორტიკივადახურული ვალერია, კოლონადა.

<sup>4</sup> ციყრონი, Brut., 274

I. 9

<sup>1</sup> მინიციუს ფუნდანუსი – სავარაუდოდ პლინიუსის თანამემამულე

<sup>2</sup> ვაეის სრულწლოვანებას რომაელები სამეიმო რიტუალით აღნიშნავდნენ. 16-17 წლის რომაელი ყმაწვილი ოჯახის მფარველი ღვთაებების-ღარების სამსხვერპლოს წინ აღისფერარმან საყმაწვილო გოგას იხილდა; ყელიდან იხსნიდა ავი თვალისგან დამყავ აპულეგს და ღარების სამსხვერპლოზე დებდა. მამა ეავიშეილს გაგასყემდა თეთრ გოგას, რომლითაც რომაელი მამაკაეები იმოსებოდნენ. ეს რიტული ღვ-მამისა და ახლო მეგობრების თანდასწრებით ხდებოდა. შემდეგ ტაძრისკენ გაემართებოდნენ, ღმერთებს მსხვერპლს შესწირავდნენ, ღოყეებს აღავლენდნენ. რიტუალი ფორუმზე მთავრდებოდა, სადაც ყმაწვილს სახელმწიფოსა და სამოვადოების წინაშე წარადგენდნენ, რომლის წვერიც ხდებოდა იგი დლიდან და. სრულ სრულწლოვანებას 25 წლის ასაკში მოიპოვებდა.

<sup>3</sup> ქორწინება რამოდენიმე რიტუალის თანხლებით სრულდებოდა: ფრინველთა ქმედებით ღვთის ნების განჭვრეგის შემდეგ მსხვერპლმეწირვას აღასრულებდნენ, ქალი გოვებდა მამის კერას (traditio) და სამეიმო სელით მიემართებოდა სასიძოს სახლისკენ (deductio in manum mariti), სადაც ოჯახის კერასთან მსხვერპლმეწირვის, მადემის დაღვრის ღოყეების შემდეგ ტარდებოდა რელიგიური რიტუალი (pannis farreus) ათი მოწმისა და ქურუმის თანდასწრებით.

<sup>4</sup> ატილიუსი – პლინიუსის მეგობარი.

II. 2

<sup>1</sup> პაელინუსი – ნარბონის პროვინციის პროკურატორის ვაჟიშვილი.

VI. 4

<sup>1</sup> კალპურნია – პლინიუსის მეუღლე

<sup>2</sup> „ამ კუთხის საუცხოო ბარაქა და მადლი“- კამპანია მთელ იტალიას აწვილდა ხილის.

VIII. 19

<sup>1</sup> შექსიმუსი – პლინიუსს რამოდენიმე მეგობარი ჰყავდა ამ სახელით.

VI, 16

<sup>1</sup> პლინიუსი ამ წერილს ტაციტუსს სწერს

<sup>2</sup> რექტინა – პლინიუს უფროსის მეგობრის, ტაციტუსის, მეუღლე.

<sup>3</sup> კვადრიკუმი – დიდი ვეში მუხოფეთა ოთხი რიგით.

<sup>4</sup> პომპონიანუსი – პლინიუს უფროსის მეგობრისა და მფარველის, პომპონიუს სეკუნდუსის, ვაჟი.

<sup>5</sup> სტაბია – სანაპირო ქალაქი კამპანიაში. იგი 30 კილომეტრით იყო დაშორებული მიმენს. განადგურდა ვეზუვის ეულკანის ამოფრქვევის დროს. ახ.წ. I ს.

VI, 20

<sup>1</sup> „ყოველივე ამის გახსენება სულს მიძრწუნებს, მაგრამ მაინც გიაბობ“. ენეიდა 2, 12-13.

<sup>2</sup> იმ ღამეს 26 აგვისტოს ღამეს, როდესაც პლინიუს უფროსი სტაბიაში იმყოფებოდა.

<sup>3</sup> დღის პირველ ნახევარში-დაახლოებით დღის 6-7 საათი.

V.8

<sup>1</sup> ტიგინუსს კაიკონუსს მნიშვნელოვანი თანამდებობა ჰქონდა. იმპერიის ყველა პროვინციიდან მასთან მოდიოდა მოხსენებები, მოთხოვნები, შეკითხვები. ევალებოდა, რომის იმპერიის ყველა კუთხეში გაეგზავნა იმპერატორის განკარგულებები. იგი იყო აგრეთვე praefectum vigilum სახანძრო საქმეთა პრეფექტი გრაიანეს დროს.

<sup>2</sup> „რით შევძლებ ავმადლდე დედამიწიდან მარადიულობაში? – ვერგილიუსი „გეორგიკები“ 3,8

<sup>3</sup> „აი, ის, გამარჯვებული, ყველას პირზე აკერია.“ – ვერგილიუსი „ენეიდა 5,195.“

ასე აფასებს თუკიდიდე თავის ნაშრომს κτῆμα εἰς ἀείν „მარადისობის კუთვნილი“.

*თარგმნა დალი ქურიძემ*



## მარკუს ვალერიუს მარციუსის

(ახ.წ. 40 – 104)

მარციუსის (მარკიუსის) დაიბადა ესპანეთის ქალაქ ბილიზისში. აქ მას მიუღია დაწვებითი გრამატიკული და რიტორიკული განათლება. შემდეგ კი, 64 წელს, რომში გადასულა საცხოვრებლად, სადაც დაუმეგობრდა სენეკას და ლუკანუსს.

ორივე მათგანისგან განსხვავებით, მარციუსის რეპრესიები არ შეხებია, მაგრამ უსახსროდ დარჩენილი აღმოჩნდა. მომავალი პოეტი მდიდარ პატრონებს კლიენტად დაუდგა.

მარციუსისმა დომიციანუსის იმპერატორობის დროს დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. არც ფლავიუსების დინასტიის იმპერატორები არ აკლებდნენ მას წყალობას – გიგუსმა პოეტს „სამი შვილის“ პრივილეგია უბოძა, ხოლო დომიციანუსმა – მხედრის წოდება.

მარციუსის სენეკასა და ლუკანუსის გარდა ბევრ სხვა გამოჩენილ რომაელთან პქონია ურთიერთობა. მათ შორის: კეინტილიანუსთან, სილიუს იგალიკუსთან, იუვენალისთან და პლინიუს უმცროსთან.

ეპიგრამათა პირველ კრებულს სათაურით „სანახაობათა წიგნი“ მარციუსისი ოთხმოციან წლებში აქვეყნებს. შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით გამოდის კიდევ ორი წიგნი „ქსენიები“ და „პოფორეგები“, ხოლო 85-96 წლებში – ყოველწლიურად გამოდის ახალი კრებული.

იმპერატორ დომიციანუსის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, 98 წელს მარციუსისი ესპანეთში ბრუნდება.

სამშობლოში მყოფი მარციუსისი კიდევ ერთხელ აგმაენის რომში ეპიგრამების ახალ წიგნს. მარციუსისის ამ წიგნიდან ვიგებთ, რომ იქ მდიდარი მფარველი, ვინმე მარკელა გამოსჩენია, რომელსაც პოეტისთვის პატარა მამული უჩუქებია.

მარციუსისმა ეპიგრამების თხუთმეტი წიგნი შექმნა. ყველა მათგანი ეპიგრამების ჟანრს მიეკუთვნება.

მარციუსისის ეპიგრამების დიდი ნაწილი საცირული ხასიათისაა, პოეტი არც საჩოთირო და მდაბიო თემებს გაურბის, თუკი ეს ჟანრის სპეციფიკას ამართლებს.

მარციუსისი მეგრულადაც მრავალფეროვან გადაწყვეტას ირჩევს. გრადიკულ საზომთან ერთად (ელეგიური დისტიქი), პოეტი იყენებს პექსამეტრს, იამბურ გრიმეტრს, ფალუკოსის თერთმეტმარცელიანს, პოლიამბს.

მარციუსისის ეპიგრამებმა მას სიცოცხლეშივე დიდი აღიარება მოუპოვეს. მარციუსისი იცნობდნენ მთელ რომის იმპერიაში, მას ჰყავდა მიმბაძველები (აფსონიუსი (IV ს.), სილონიუს აპოლინარიუსი (V ს.).

XIV ს. ბოკაჩო აღმოაჩინა მისი ეპიგრამების ხელნაწერი და გამოაქვეყნა.

მარციუსისმა XVI-XVII საუკუნეების ეპიგრამის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ლესინგი მისი მიბაძვით ქმნის თავის თეორიას ეპიგრამების შესახებ. მარციუსისის ეპიგრამებს ნიშუმაღ იყენებდა პუშკინიც.

მარციუსისის პოეტური სტილისათვის დამახასიათებელია ბუნებრიობა, სისხარტე, მზავრული ოსტატობა.

ანთოლოგიაში მოცემულია ნაწყვეტები სხვადასხვა წიგნებიდან.

**თარგმანი:**

მარციუსისი, ეპიგრამები, თარგმნა და შენიშვნები დაურთო თამარ კალაგოშა

# ეპიგრამები

## I წიგნი

### VII

- ძალზე ხმამაღლა ვიტყვი სტელლას<sup>1</sup> საყვარელ მტრედზე  
მთელი ვერონის<sup>2</sup> გასაგონად, ჩემო მაქსიმუს,  
რომ კატულუსის ბელურაზე უკეთესია.  
შენს კატულუსზე ჩემი სტელლა ძალდა დგას ისე  
5. აღემატება ვით სიდიდით ბელურას მტრელი.

### XI

თუ კი ერთ მხედარს მიეცემა ეეტონი<sup>3</sup> ათი,  
სექსტილიანუს, შენ რადა სვამ ოცს მარტოდმარტო?  
არ ერგებოდათ ამ საცოდავ მიმტანებს მხოლოდ  
ეს ცხელი წყალი. შენ რომ სუფთა ღვინო<sup>4</sup> არ გესვა.

### XIII

როცა ხანჯალი გადულოცა პეტუსს არრია<sup>5</sup>  
ამოძრობილი საკუთარი ხელით მკერდიდან,  
უთხრა: "სრულიად არ მაწუხებს მე ეს ჭრილობა,  
მიყენებული ჩემს მიერვე, არამედ იგი  
მტკივა, რომელსაც, ჩემო პეტუს, შენ მიიყენებ".

### XVIII

- ტუკაკვ, სიხარულს რად განიჭებს ძველი ფალერნოს  
ღვინის შერევა ვატიკანურ კოკაში ჩასხმულ  
ახალ ღვინოსთან?  
რა სარგებელი მოგიტანა შენ ცუდმა ღვინომ?  
კეთილშობილმა ღვინოებმა რა დაგიშავეს?  
5. თუნდაც გამომჭრან ყელი, მაინც ვიტყვი, ფალერნოს  
ღვინის დაღუპვა ბოროტება გახლავთ, როდესაც  
შხამს უმატებენ თავანკარა კამჰანურ სითხეს.  
იმსახურებენ იქნებ კიდევ შენი სტუმრები  
სიკედლის უეჭველს,  
მაგრამ ამფორა, ჩინებული, არ უნდა მოკვდეს.

### XIX

ელლიუს, გქონდა დარჩენილი სულ ოთხი კბილი,  
გადმოაფურთხე ზველებიას მათ შორის ორი...  
მერე კვლავ ორი... აწი ძალგიძს ახველო მშვიდად.  
დასაკარგავი აღარ დაგრჩა აღარაფერი.

XX

რა სიგიჟეა... მოწვეული სტუმრების თვალწინ.  
ცეცილიანუს, მარტოდმარტო ნთქაე ქამა სოკოს?  
ლორობისათვის ღირსეული რაღა გისურვო?  
კლავდიუსივით<sup>6</sup> შეგრგებოდეს მაგ სოკოს ჭამა.

XXVII

5. მართლაც გითხარი წინა ღამით, თუმც როგორც მახსოვს,  
უკვე სასმისი ათიოდე მქონდა შესმული,  
რომ დღეს პროცილუს დამწვეოდი სადილზე უნდა.  
შენც დაიჯერე, რომ გულწრფელად მიგიაპატიე,  
დაიმახსოვრე სიმთვრალეში რაც წამოერო შე.  
უგვან თვისებად მიმჩნია და მძაგს პროცილუს,  
თანამესუფრე, ვინც სუამს, მაგრამ ფხიზელი რჩება.

XXVIII

ვინც თვლის, რომ თითქოს ქოთს აცერრა გუშინდელ ღვინით,  
ცდება, რადგანაც დილაძღე სუამს აცერრა მუღამ.

XXIX

ხმები დაირხა, ფიდენტინუს, რომ შენ ჩემს ლექსებს  
ხალხში კითხულობ ისე, თითქოს დაწერე თავად.  
სიმღერებს ჩემად აღიარებ? – მოგიძღვნი მუქთად  
და თუ კი შენად შეიძინე, გახდება შენი.

XXXIII

მარტო არ ტირის გელიუსი... ხედავთ მამობა  
დამთავრდა მისი, უცხოებთან ცრემლებს ღვრის მწარედ...  
სადაა დარდი, თუ გელიუს, ეძიებ ქებას...  
ნაღლი დარდი აქვს ვინც მოწმეთა გარეშე დარდობს...

XXXV

რომ არ ვწერ ძალზე მოკრძალებულ ლექსებს სრულებით,  
მათ არც სკოლაში წაუკითხავს ყმაწვილებს ვინმე,  
ამტკიცებ, ჩემო კორნელიუს, თუმც ეს წიგნები  
ვერ იქნებიან მოსაწონნი, გეტყვი ალაღად,  
5. იმ ცოლებისთვის დაკოდილი ვისაც ჰყავს ქმარი.  
თუ საქორწინო ჰქონს შემიკვეთ, იქნებ მირჩიო,  
უსიტყვოდ როგორ გამოვხატო ჩემი სათქმელი?  
დღესასწაულზე ვინ ჩააცმევს რაიმეს ფლორას  
ან თეთრ სუფრაზე ვინ მიიწვევს მქავეს პატივით?  
10. გასართობ ლექსებს მინიჭეს იმის უფლება:

რომ თუ არ ახლავთ უხამსობა, უამურია.  
ეკ პირქუ შობა განაგდე და დაინდე კიდეც  
ჩემი ცელქობა, ხუმრობათა მთელი მარილი,  
პოეტის ლექსთა დაკოდვასაც შეეშვი, რადგან  
არაფერია პრიაპოსი<sup>7</sup> გალუსის<sup>8</sup> როლში.

#### XLVII

უწინ ექიმო დიავლუსი – აწ შესაფლავე  
მასე იქმს, რასაც აკეთებდა ექიმობისას.

#### LVIII

- ვაჭარმა ბიჭში მოითხოვა ასიათასი  
მე გავიცინე, ფებუსმა კი გადაიხადა.  
შექწუხდი, რადგან აჩუჩუნდა ჩემში და უცებ  
ამ მრუშმა ასომ საყვედურით წამოყო თავი.  
ეკ, ჩემდა ჭირად ფებუსს უხეად ასხამენ ხოტბას.  
5. ფებუსს ხომ წილად აეხორცობამ არგუნა ორი  
მილიონი და თუ ამდენსევე მომცემ, ვიყიდი  
მას უფრო ძვირად.

#### LXIII

მთხოვ, რომ ხმამაღლა წავიკითხო ეპიგრამები.  
არა, ცელერუს, შენ კითხვა გსურს, მოსმენა არა.

#### LXV

როს ვამბობ "ფიკუს"<sup>9</sup>, შენ ხარხარებ ამ ბარბარიზმზე,  
ცეცილიანუს, თან მიბრძანებ ვთქვა სიტყვა "ფიკოს"<sup>10</sup>  
ვიტყვი იმაზე "ფიკუს"<sup>1</sup> რაიც იზრდება ხეზე,  
შენსაზე, ჩემო ცეცილიან, კი ვიტყვი "ფიკოს".

#### LXXIII

არ იყო კაცი მთელ ქალაქში, ვინც ისურვებდა  
მიგორებოდა შენს ცოლს მუქთად, ცეცილიანუს,  
მაგრამ დარაჯნი დაუყენე თუ არა, წამსვე  
ჯგრო შეიკრიბა კუროების – გენიოსი ხარ.

#### LXXXIX

- შენ მუდამ ყურში უჩურჩულებ სუყველას ცინნა,  
ჩურჩულებ მასზეც, რაზეც ბრბოში ყბედობენ ხშირად,  
ყურში იცინი, ჩივი, კენესი, ქვითინებ მწარედ,  
ყურში მღერიხარ, განსჯი, დუმხარ, ყურში იძახი...  
5. შენში იმდენად ღრმად აქვს ფესვი გადგმული ამ სენს,  
რომ, ჩემო ცინნა, კეისარსაც კი აქებ ყურში...

## CII

ვინ დაგიხატა, ლიკორინუს, შენ ეს ვენერა,  
ვეფქრობ, მხატვარი მინერვასი გახლდათ პირფერი.

## CV

თუ ღვინოს, ჩემო ოვიდიუს<sup>11</sup>, რომელიც მოდის  
ნომენტანუსში, დაეძველებთ ძალიან ღიბანს,  
სიძველე სრულად დაუკარგავს გემოს და სახელს;  
და მაშინ რაც გსურს, ის უწოდე ამ ძველ ამფორას.

## CVI

5. რუფუს, წყალს ისხამ ისე უხვად და იშვითად,  
მეინახეთა იძულებით და ხათრითა სეამ  
სულ წვეთ-წვეთობით განზაკებულ ფალერნოს ღვინოს.  
ნუთუ აგავსო საოცნებო დანაპირებით  
ნევიამ, რომ ის ნეტარების ღამეს გაჩუქებს?  
და გსურს ფხიზელი შეეგებო ამ ურცხვ სიყვარულს...  
მწუხარებ, დუმხარ, ზოგჯერ კენესი: უარი გითხრეს.  
ხშირ-ხშირად უნდა გამოსცალო საესე ფიალა,  
რათა ღვინოში ტკივილები ჩაიხშო მძიმე.  
რად უფრთხილდები შენს თავს, რუფუს? ხომ მაინც გძინავს...

## CX

დამცინი ველოქს, რომ გრძელი მაქვს ეპიგრამები  
თავად კი არც წერ... რა იქნება ამაზე მოკლე?

## CXI

შენი სახელი ეტოლება შენსავე სიბრძნეს,  
ღვთისმოსაობა და ტალანტიც არ უღებს მათ ტოლს,  
ვისაც არ ძალუძს ღირსებისებრ დაგასაჩუქროს,  
უკვირს, რეგულუს, მე რომ გჩუქნი წიგნებს და გუნდრუქს.

## CXII

ვიდრემდის კარგად გაგიცნობდი, გიხმობდი მეფედ,  
ხანაც მბრძანებლად, აწ შეგიცან, გახდი პრისკუსი.

## CXVII

5. ყოველთვის, როცა შემომხედები ხოლმე, ლუპერკუს,  
სულ მეუბნები: "გსურს, ბიჭუნას გამოგიგზავნი,  
გამოატანო რათა წიგნი ეპიგრამების,  
წაეკითხავ და დაგიბრუნებ მაშინვე სწრაფად?"  
არა, არა ღირს შეწუხება, ლუპერკუს, ბიჭის,  
რადგან პირამდე ძალიან შორს მოუწევს წასვლა,  
სამი მაღალი კიბე არის ჩემამდე კიდევ.

- რისი ნახვაც გსურს შეიძლება შენთანვე ახლოს.  
 არგილეთუმში ნამყოფი ხარ. ერთი ტავერნა  
 10. დგას კეისარის ფორუმის წინ მეორე მხარეს,  
 სად ყველა ტექსტი გადაწერილ-გადმოწერილი  
 დაგხვდება, სწრაფად გაეცნობი სუყველა პოეტს.  
 იქ მომიძიე. აღარ ჰკითხო ატრექტუსს რამე,  
 -ასე უხმობენ ამ ტავერნის პატრონს სახელად-:  
 15. პირველ თაროზე ან მეორე თაროზე ნახე  
 პემზით გახეხილს, მეწამული ყდით დამშვენებულს,  
 სულ ხუთ დინარად მოგართმევენ შენ მარციალისს.  
 "ამად არ ღირხარ" იტყვი? მართლაც, ჩემო ლუპერკუს,  
 გამოიცანი.

## II წიგნი

### VII

- ხარ ჩინებული ენამზე და საქმის გამრივე,  
 ატიკუს, შენ ხარ ჩინებული ისტორიისთვის,  
 ლექსების თხზვასაც ჩინებულად ახერხებ მუდამ,  
 მიმებს ქმნი უცხოოდ, ეპიგრამებს მშვენიერად აცხობ,  
 5. გრამატიკოსო ჩინებულ და ასტროლოგო,  
 მღერი და ცეკვავე ჩინებულად, ჩემო ატიკუს,  
 ლირას საამოდ ახმიანებ, ბურთს ლაღად ისვრი,  
 თუმცა რა ყრია საუცხოო მოქმედებებში,  
 ვითხრა ვინა ხარ? უსაქმური ხარ დიდზე დიდი.

### XIX

თვლი, რომ ამ ვახშმით ბედნიერ მყავ, ჩემო ზოილუს?  
 ბედნიერ მყავი თურმე ვახშმით და ისიც შენით?  
 არიცინის<sup>12</sup> მთა უყვარს იმას, რომელსაც იქნებ.  
 შენთან ვახშმობა ჩაეთვალა ბედნიერებად.

### XXI

პოსტუმუს, ზოგს თუ კოცნი, ზოგსაც მარჯვენას უწვდი,  
 მთხოვ ავირჩიო სასურველი, მარჯვენას ვირჩევ.

### XXX

- ოცი ათასი სესტერცია<sup>13</sup> შემთხვევით გთხოვე  
 სულაც არ იყო ალბათ მისი ჩუქებაც ძნელი.  
 მე ზომ ის ვალად ძველ და მდიდარ მეგობარს ვთხოვე,  
 ვისი ზანდუკიც სავესე გახლავთ მსგავსი სიმდიდრით.  
 5. მან მიპასუხა "ხარ მდიდარი, გახდები ძუნწიც".  
 გაიუს, მომე, რასაც ვითხოვ, რჩევას ზომ არ გთხოვ.

### III წიგნი

#### III

სახის მშენებას ფარავ შავი ნელსაცხებლებით.  
გონჯი სხეულით თავად წყალსაც აყენებ ზიანს,  
ჩემი ბაგენი ღალადებენ ქალღმერთის სათქმელს  
„ნუ ძალავ სახეს, ტუნიკაში კი იბანავე“.

#### VII

ახლა ას კეადრანტს<sup>14</sup> გაჭირვებულს გამოეთხოვე,  
მეწინაეებს, გადაღლილებს, წილი ეკუთვნით.  
უნაწილებდა რასაც ზოგჯერ მეაბანოე  
ოფლში გაღვრილი.

5. ახლა რას ფიქრობთ, რას უპირებთ მშიერ მეგობრებს?  
ამაყ მეფეთა მოწყალებას მოელო ბოლო.  
თავის დაძვრენას ნუ ეცდები, რადგანაც უნდა  
ბოლოს და ბოლოს მოგვცე მთელი ჩენი ხელფასი.

#### VIII

„კვინტუსი ცხოვრობს ტაისასთან?“ რომელთან? „ბრმასთან“.  
ტაისა ცალი თვალით ბრმაა, ის ორივეთი.

#### XXVIII

გიკვირს, რომ ნესტორ, ყური უყარს მარიას, ამის  
მიზეზი შენ ხარ, უჩურჩულებ მუღმივად ყურში.

#### LVI

ვენახის ქონას რავენაში მიჯობს ცისტერნა  
მქონდეს, რადგანაც წყლით ვაჭრობით მოვიგებ უფრო.

### IV წიგნი

#### XXVI

მთელი წელია დილით სახლში ვერ მოვისწარი,  
პოსტუმუს, თუ გსურს მოგახსენებ რამდენ ფულს ეკარგავ?  
ორჯერ ოცდაათს, არა, სამჯერ ოც სესტერციას.<sup>15</sup>  
ბოდიში, მაგრამ მცირე ტოგას მეტად ბევრს ეუხდი.

#### LI

5. ცეცილიანუს, თუმც არ გქონდა ექესი ათასი,  
დაგატარებდა ექესი კაცი ყველგან საკაცით,  
როს ბრმა ქალღმერთმა მილიონი მოგართვა ორი,  
როცა ფულებმა ჯიბეები ჩამოგახია,  
ფაქტია, უცებ გახდი ფეხით მოსიარულე.  
ღირსებების და გმირობისთვის რაღა გისურვო?  
ცეცილიანუს, დაგიბრუნონ საკაცეები.

LII

თუ კი წყვილი თხით სეირნობას არ მიატოვებ,  
პედელუს, მალე ბეკეკადან<sup>16</sup> თხად გადიქცევი.

LXXII

მუდამ მოითხოვ ამ ჩემს წიგნებს საჩუქრად კვინტუს.  
არ შაქვს. მათ წიგნის გამყიდველი ტრიფონი ყიდის.  
„ფულის გადაყრა უმნიშვნელო ლექსებში. ჭკვა გაქვს?  
გიჟი კი არ ვარ“ – იმეორებ. არც მე ვარ გიჟი.

LXXVI

გამომიგზავნე ექვსი ათასი, ვითხოვდი თორმეტს.  
რათა თორმეტი მოვიპოვო, ოცდაოთხს მოვთხოვ.

LXXIX

შენ ტიბერტინში, ჩემო მატონ, მსტუმრობდი ხშირად.  
ახლა ყიდულობ. მოგატყუე. შენს მამულს ვყიდი.<sup>17</sup>

V წიგნი

XLV

ბასსავ, ამბობ რომ ლამაზი ხარ, თანაც ქალწული.  
რაც არ არსებობს, სწორედ იმის თქმა უყვარს ბასსას.

LIX

რადგანაც არც ვერცხლს და არც ოქროს შენ არ გიგზავნი,  
ენაწყლიანო სტელლაე, ამის მიზეზი თვით ხარ.  
ვინც ბევრს აკეთებს, ელოდება უკანვე ბევრსაც,  
ამისგან გიხსნის შენ ჩვენივე ჭურჭელი თიხის.<sup>18</sup>

LXXIX

- სადილობისას შენ თერთმეტჯერ აღექ ზოილუს  
და თერთმეტჯერვე სამოსელი გამოიცვალე,  
რომ არ გაუჯდეს შენი ოფლი მშვენიერ სამოსს,  
სათუთი კანი ნიაემა რომ არ დაგიგრილოს.
5. ოფლს რად არ მასხამს, როს ვსადილობ, ზოილუს, შენთან?  
შენს ტანისამოსს მხოლოდ დიდი სიცივე მოაქვს.

LXXXI

თუ უნიფხო ხარ, უნიფხოდვე დარჩები მუდამ,  
ემილიანუს, სიმდიდრეს ზომ აძლევენ მდიდრებს.



## LXXXII

ორასი ათასს რად დამპირდი, გავრუს, როდესაც  
გავრუს, მოცემა არ შეგეძლო ათი ათასის?  
ძალგის და არ გსურს? ეს სიბილწედ არ მიგაჩნია?  
ჯანდაბა შენს თავს, გავრუს, მართლაც სულმოკლე კაცო!

## VI წიგნი

### XIV

შემიძლიაო მოხდენილი ლექსების წერა  
ტრაბახობ, მაგრამ ლაბერიუს, რატომღაც არ წერ?  
თუ ვინმეს ძალუძს მოხდენილი ლექსების წერა,  
უნდა დაწეროს, ლაბერიუს, ჩაეთელი ვაჟკაცად.

### XV

როს ჭიანჭველა ფაეტონის ხის<sup>19</sup>, ჩრდილში მოხვდა,  
წვეთი ქარვისა შემოეჭლო იმის წერილ სხეულს.  
ვინც ცოტა ხნის წინ, სიცოცხლეში, საზიზღრად უჩნდათ,  
უძვირფასესად გადაიქცა სიკვდილის შემდეგ.

### XIX

- არც ძალადობის, არც მკვლელობის და არც სამსალის  
გამო კი არა, ჩემი სამი თხისათვის ეჩივი,  
რადგან ისინი მეზობელმა მომპარა ჩუმად.  
მოსამართლე კი ითხოვს საქმის მტკიცებულებას.
5. შენ ამ დროს კანნას<sup>20</sup> და ბრძოლებზე მითრდატეხის  
და პუნიკელ უღმობელთა გამცემლობაზე,  
მარიუსებზე, სულეზსა და მუციუსებზე  
ხმამალა ყვირი ღრიალით და ხელების ქნევით.  
გეყოს, პოსტუმუს, ახლაც თქვი სამ თხაზე რამე.

### XX

ასი ათასი სესტერცია ვალად მოგთხოვე,  
ფებე<sup>21</sup>, მითხარი: „მცირედია, არაფერია,“  
მაგრამ იძიებ, ორჭოფობ და არ ჩქარობ მომცე,  
ათი დღე არის მეც მტანჯავ და შენს თავსაც, ფებე,  
გემუდარები, უარი თქვი...

## L

წესიერ წრეში მეგობართა როს ტრიალებდა,  
ეცვა ტოგულა<sup>22</sup> ტელეზინუსს ცივი, ბინძური.  
მას შემდეგ რაც ბილწ ცინელუსებს<sup>23</sup> ელაქუცება,  
იქნს მარტოდენ მხოლოდ მიწებს, სუფრებს, ვერცხლეულს.

შენც გსურს გამდიდრდე, ბითინიკუს? თანამზრახველი  
გახდი თახსირთა, არას მოგცემს სუფთა კოცნები.

## LXV

- „პეგზამეტრით წერ ეპიგრამებს“ – ვიცი, თქვა ტუკაკამ.  
ბუნებრივია, ტუკაკავ, მართლაც ამგვარად წერა.  
„ის ხომ გრძელია“, რა ვქნათ, ტუკაკავ, და მაინც წერენ,  
მაგრამ თუ მოკლე ლექსს აფასებ, მაშე დისტიქი  
5. გადაიკითხე და შეეთანხმდეთ, გრძელ ეპიგრამებს  
გადაახტები, ტუკაკავ, შე კი მათ კვლავაც ღაწურ.

## VII წიგნი

### III

პონტილიანუს, რად არ გჩუქნი ჩემს წიგნებს იცი?  
პონტილიანუს, შენი რომ არ გამომიგზავნო.

### XVI

სახლში არა მაქვს ერთი თეთრი, რეგულუს, მხოლოდ  
შემომრჩა შენი საჩუქრები; ვყიდი, იყიდი?

### XLI

ო, სემპრონიუს ტუკაკავ, თავს თვლი კოსმოპოლიტად,  
კოსმოსში, ჩემო სემპრონიუს, ალბათ იმდენი  
ბოროტებაა, რამოდენიც არის სიკეთე.

## LXXVII

მოითხოვ, ტუკაკავ, რომ გაჩუქო წიგნები ჩემი.  
არ ვიზამ. მათი გაყიდვა გსურს, განა წაიკითხვა.

## LXXXIX

ნეტარო ვარდო, დაე, ნახად შემოეხვიე  
თმებს ჩემი აპოლინარისას ყვავილწნულებად.  
მათ ჭადარასაც შემოევლე მოგვიანებით,  
გახსოვდეს იყავ ვენუსისთვის საამო მარად.

## VIII წიგნი

### XXII

ტახზე მპატიეებ თუმც, გალიკუს, მომართვი ღორი,  
გოჭი ვიქნები, თუ, გალიკუს, შენ მომადორებ.

## XXV

როს ავად გაეხდი, გამოცხადდი მაშინვე ჩემთან,  
ცუღს მოასწავებს, ოპიანუს, სტუმრობა შენი.

## LXXVI

- „მარკუს, გთხოვ, მითხრა ერთადერთი სიმართლე მხოლოდ,  
სიამოვნებით მე ხომ მხოლოდ სიმართლეს ვისმენ“  
– ასე მთხოვე მუდამ, როს ხმამაღლა მიკითხავ წიგნებს,  
მაშინაც, როცა აწარმოებ საქმეს კლიენტთან.
5. გალიკუს, მარტო კი არა მთხოვე. მემუდარები.  
მიმძიმს უარით გაპასუხო მაგ შენს თხოვნაზე!  
მაშ, მომისმინე, ერთადერთი სიმართლე გახლავს  
ის, რომ სიმართლეს უხალისოდ ისმენ, გალიკუს.

## IX წიგნი

### X

გსურს გაყვე პრისკუსს? მესმის არ ხარ უჭკუო, ჰაეღა,  
ის არ გთხოულობს? ხედავ, არც ის ყოფილა გიჟი.

### XV

ქმრების საფლავებს დააწერა შეიდჯერევე ქლოამ  
„იღვაწა ქლოამ“. გულწრფელია. მითხარით. იგი?

## LXX

- „ვაპ, ზნე! ვაპ, დრონი!“ ტულიუსმა წარმოთქვა კენესით,  
უკანონობა, მკრეხელობა აზავთდა როცა  
ნასაზრდოები კატელინას<sup>24</sup> შფოთიანობით,  
სიძე-სიმამრი შეერკინენ როცა ბრძოლებში,  
როს სისხლისაგან იცლებოდა ადამიანი,  
სამოქალაქო მკვლელობები როს მძევინვარებდა...  
5. შენ რაღად ამბობ ახლა „ვაპ, ზნე! ვაი, დროება!“  
ცეცილიანუს, რა არ მოსწონს ზნეობას შენსას?  
ალარსად ომი, შეპყრობილი არც ვინ სიგიჟით,  
წყნარი ცხოვრება. მხიარული, დამდგარა ირგვლივ,  
დღევანდელიობა ვერ მოიტანს იმ სიბინძურეს  
შენ დროს რომ ახლდა, ყოველივე ამის მიზეზი,  
ცეცილიანუს, მოიძიე შენს ზნეობაში.

## X წიგნი

### XXI

იმგვარი წერა მოდესტუსმა<sup>25</sup> რომ ვერ გაიგოს  
ან კლარანუსმა<sup>26</sup>, მითხარ სექსტუს<sup>27</sup>, რა ხეირია?  
მათი წაკითხვა თვით აპოლონს გაუჭირდება!  
თუ მართალი ხარ, მაშინ ცინაც ჯობია მარონს.

5. დაე. შენ გაქონ, სექსტუს, ხოლო ჩემი ლექსები მოსწონდეს ყველას – უმეტერებსაც, მეცნიერებსაც.

## CII

როგორ გავიგოთ ფაქტი იგი, რომ არ ჰქონია სექსი ფილინუსს და რომ მაინც გამხდარა მამა? ეს გადიტანუსს უნდა ჰკითხო, ჩემო ავიტუს, თუმც არაფერს წერს, მაგრამ მაინც პოეტი გახლავთ

## XI წიგნი

### XXIII

- ყოველივეზე თანახმაა სილა, ოღონდაც ცოლად გამომყვეს, მე კი არ მსურს ვითხოვო სილა, თუმც არ მეშეება, „ათ მილიონს მომცემ ოქროთი“ – მზითვად ვთხოვ, მეტი თავმდაბლობა რა უნდა ჩემგან?
5. „ქორწილის პირველ ღამესაც კი არ მოგეხვევი და არც საწოლში არ დავწევები არასდროს შენთან. ვიძინებ მხოლოდ საყვარელთან და ვერც დამიშლი, გიბრძანებ თავად გამოგზავნო მოახლე ჩემთან, ვისაც შენს თვალწინ ვნებიანი კოცნით ავაგსებ.“
10. რა მნიშვნელი აქვს ჩემია თუ შენი მოახლე. სადილობისას მიეუხსნდებით ჩვენ სუფრას ისე რომ ოღნავად არ გააკაურო სამოსი შენსას. თუ გაკოცნინებ იშვიათად, ნებართვით მხოლოდ, არა როგორც ცოლს, არა, როგორც ღირსეულ დედას.
15. ამის მოთმენას ნუთუ შეძლებ, ნუთუ გაუძლებ? სილავე, ნამდვილად გამოჩნდება ვინც ცოლად გითხოვს.“

### XXX

ამბობ ზოილუს, პირი უყვართ ვექილებს, პოეტთ, შენ კი რადგან წოე არანაკლებ სიმყრალეს აფრქვევ.

### XXXV

როცა სამას კაცს მიპატიჟებ ჩემთვის უცნობებს, რატომ გააკვირვებს შენთან სტუმრად რომ არ მოვდივარ? ნუ მამუნათებ და ნურც ბრაზობ ჩემო ფაბულუს<sup>28</sup>, შენ კარგად იცი სადილობა არ მიყვარს მარტოს.

### XLVIII

აქ სილიუსი იცავს საფლავს, მარონის<sup>29</sup> სახელს, მიწაც მისია, ციცერონი რომ ფლობდა უწინ, არ ისურვებდნენ სხვა უკეთეს მემკვიდრეს, პატრონს, საფლავის, ლართა, არც მარონი, არც ციცერონი.

## XXII წიგნი

### LXXIII

მიმტკიცებ, თურმე მემკვიდრე ვარ, კატულუს, შენი,  
ვიდრე ანდერძს არ წაეიკითხავ, ვერ დაგიჯერებ.

### LXXVI

შენ ხარ ნამდვილი გამყიდველი და მატრაბახი,  
დიდი თაღლითი, ამავე დროს გამოძმაკველიც,  
ჩხუბისთავი და გახრწნილიც ხარ, თუმცა მოიცებს,  
ვაცერუს, როგორ მოხდა ის, რომ არა გაქვს ფული.

### LXXX

სუყველას აქებს კალისტრატე ღირსეულთ გარდა,  
მაშ, თუ არავინ არის ცუდი, კარგი ვინღაა.

## XIII წიგნი

### XLV

თუკი პატრონი ვიქნებოდი ციცრის ან ხოხბის,  
გიფეშქაშებდი, მაგრამ არ მყავს, წიწილს მოგართმევ.

## შენიშვნები

1. ლუციუს არუსიუს სგელა – მარკიალისის მეგობარი, რომლის ლექსი "შგრელი" არაა შემორჩენილი.
2. ერონა – კატულუსის მშობლიური ქალაქი. პოეტმა კატულუსმა დაგვიგოვა ბელურასადმი მიძღვნილი მშენიერი ლექსი.
3. თეატრში შესვლისას მხედრებს ეძლეოდათ ევგონი, რათა უფასო საკმელზე გადაეცემათ.
4. სუთთა ღვინის სმა ლოთობად ითვლებოდა, ამიტომ თეატრებში ღვინოს ცხელ წყალში აზავებდნენ.
5. ცეციუსს პეტუსი – კლაუდიუსის საწინააღმდეგო აჯანყების მონაწილე. 42 წ. ქმ. მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. არრია – მისი მეუღლე.
6. ცნობილია, რომ იმპერატორი კლაუდიუსი ცოლმა – დელოფალმა აგრიპინამ სოკოთი მოწამლა.
7. პრიაპოსი – ბახუსისა და ვენერას ვაჟი, მინდვრებისა და ბალბოსტნების, აგრეთვე ნაყოფიერების ღმერთი, რომლის წითლად შეღებილ ქანდაკებას ქურდებისა და ჩიგების დასაფრთხობად აყენებდნენ ეუნახებში.
8. კიბელეს ქურუმი.
9. ლელი, კონდილომა.
10. წანამარდი, კორძი.
11. კეინტუს ოვიდიუსი – მარკიალისის მეზობელი და მეგობარი ნომენტანუსში.
12. არიკინის მთა – ამ მთაზე იყო მათხოვართა თავმჯდომარის ადგილი.
13. ოცი ათასი სესტერცია დაახლოებით 1000 მანეთის ტოლფასი ვახლდათ.
14. ასი კეადრანტი – დაახლოებით ოცდაათი თეთრის ტოლფასი, რომელსაც უხდიდნენ კლიენტს დილის მისალმების ან ფორუმზე პატრონის სიგყვით გამოსვლისას ატეხილი კეთილგანწყობილი მისალმების სამაგ-იეროდ.
15. წერილი ფული.
16. ფიუსუს - ლელის ხე; ცაპრიფიუსუს – გარეული ლელი; ამჯერად ეს სიგყვები თხის მნიშვნელობითაა ნახმარი.
17. იმდენად ხშირად სტუმრობდა, რომ თითქმის იქაურობის მეპატრონე იყო.
18. თიხის ღვინის ჭურჭელი – სახუმარო წარწერებით დაფარული.
19. იგულისხმება ალვის ხე.
20. კანნა – ამ სოფელთან დაამარცხა კანინალმა რომაელთა ლაშქარი.

21. ფებუსის ანუ აპოლონის და.
22. მცირე ტოვა იყო ღარიბ მოქალაქეთა მესამოსელი.
23. გარყვნილი ორიენტაციის მიმღევარნი.
24. კატილინა – 108 – 62 წ. ჩე. წ. აღ-მდე; შეთქმულების მოთავე, რომელიც გამოაშკარავებულ იქნა კონსულ ციკერონის მიერ 63 წ-ს ჩე. წ. აღ-მდე;
- 25-26. გრამატიკოსები.
27. რომაელი პოეტი, თავისი მძიმე ენით განთქმული.
28. კატულუსის მეგობარი.
29. ვერგილიუსის სახელი.

*თარგმნა თამარ კალატოზმა*

# პუბლიუს (ბაიუს) კორნელიუს ტაციტუსი

(დაახლ. 55 – 120 წწ.)

ტაციტუსი მხედართა წრეს ეკუთვნოდა. მან თავისი დროისათვის კარგი განათლება მიიღო.

სულ ახალგაზრდა პუბლიუსი ცნობილი მხედართმთავრის, აგრიკოლას ასულზე დაქორწინდა.

ტრაიანუსის დროს იყო პროვინცია ამიის პროკონსული. ეს არის თითქმის მთელი ინფორმაცია ცნობილი ისტორიოგრაფოსის შესახებ.

მისი თხზულებებიდან ჩვენამდე მოაღწიეს: „იულიუს აგრიკოლას ცხოვრების შესახებ“, „გერმანელთა წარმომობასა და ადგილმდებარეობის შესახებ“, „დიპლომატიკის შესახებ“, „ისტორიანი“, „ანალები“.

„ანალები“ და „ისტორიანი“ ფაქტობრივად ერთი მთლიანი ნაშრომია, რომელშიც ასახულია რომის ისტორია 14-დან 96 წლამდე. ზოგიერთი მოსაზრებით, ტაციტუსმა „ანალები“ ჩაიფიქრა როგორც ლივიუსის შრომის გაგრძელება. ამ თეალსაზრისს ის უჭერს მხარს, რომ ტაციტუსი იქ იწყებს თხრობას, სადაც ლივიუსი ასრულებს.

ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ტაციტუსის შრომებში შემონახული ინფორმაცია ამიერკავკასიისა და კერძოდ, საქართველოზე. ანთოლოგიამოც მოცემული ნაწყევლები „ანალებიდან“ და „ისტორიიდან“, სწორედ ამ ეპიზოდებს ასახავს.

ტაციტუსი აღწერს რომის და პართიის დაპირისპირების ამბავს. ამ კონფლიქტში ჩართული იყვნენ იბერია და სომხეთიც.

ქართველურ ტომებს (პენიოხებს) ტაციტუსი პირველად „ანალების“ II წიგნში იხსენიებს, IV წიგნში ავგორი იბერებსაც ასახელებს. თხზულების VI წიგნში არის ცნობა იბერთა მეფის, ფარსმანის ძმის – მითრიდატეს სომხეთში გამეფების მძლეობის შესახებ. მომდევნო წიგნებში ისტორიოგრაფოსი საუბრობს პართიის მეფე არტაბანის იბერიაში ლაშქრობაზე. აქვე ტაციტუსი მსჯელობს ქართველთა ეაქაკობაზე და კონკრეტულ შემთხვევებსაც განიხილავს. XII წიგნი ეთმობა სომეხ-იბერთა ომს. აქვე ეცნობით ქართველთა უფლისწულ რადამისგს და მის ბრძოლას სომხეთის გახტის დასაკაეებლად.

„ანალების“ VI წიგნში ტაციტუსი წარმოადგენს არგონავტების მითის იმ ვერსიას, რომლის თანახმადაც იბერიელები და ალბანელები თესალიელთა შთამომავლები არიან.

მიუხედავად დიდი პოპულარობისა, მეცნიერები აღნიშნავენ ტაციტუსის ნაშრომთა ცალკეულ ხარვეზებს. ჩანს, რომ „ანალების“ და „ისტორიების“ ავტორი კარგად ვერ ერკვევა იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში. ანალიზისას ტაციტუსი მოძველებულ აღქმას ეფუძნება. მწერალს გარკვეული გენდენციურობაც ახასიათებს.

თუმცა ტაციტუსის თხზულებებს ბევრი ღირსეული გააჩნია – თხრობა დინამიურადაა წარმართული, ყოველი წიგნი ერთიანი მხატვრული კომპოზიციითაა აგებული და დრამატიკაში გამოირჩევა. მწერალი ხატონად გადმოგვცემს ამა თუ იმ პერსონაჟის პორტრეტსაც, რომელსაც ახასიათებს დრმა ფსიქოლოგიში და გამომსახველობა.

ენობრივი თეალსაზრისით ტაციტუსი ყურადღებას იპყრობს დრამატული დაძაბულობით, ფრამის შეკუმშულობით, მედმეტი ორნამენტულობისთვის თავის არიდებით.

ტაციტუსის გამორჩეული სტილი მთააგონებდა მასთან დროში საქმაოდ დამორებულ შემოქმედებსაც (პიერ კორნელი, რასინი).

## თარგმანი:

აღ. გამყრელიძე, ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, მესაეალი ნარკვევითა და კომენტარებით, თბილისი, 1973.

55. ამასობაში გნეუს ჯიზონი,<sup>6</sup> რომელიც ჩქარობდა განზრახვლის განხორციელებას შესდგომოდა, მისი შმაგი შეჭრით დამფრთხალ ათენელთა სახელმწიფოს სასტიკი სიკვითი ლანძღავს, ხოლო ვადაკერით გერმანიკუსსაც კიცხავს, წინააღმდეგ რომის სახელის დიდებისა ნამეგანი ალერსით რომ პატივი სუა არა იმდენი უბედურებებით განადგურებულ ათენელებს, არამედ [სხვადასხვა] ხალხთაგან [შეყრილ] ამ ბინძური ნაძირალების ბრძის; ვინაიდან ხომ ესენი იყვნენ მითრიდატის მოკავშირენი სულას წინააღმდეგ, ანტონიუსის მოკავშირენი ლეთაებრივი ავგუსტუსის წინააღმდეგ.

–საქმეთა ეს ვითარება იყოღა გერმანიკუსმა,<sup>1</sup> მაგრამ მისი გადაუღებელი საზრუნავი იყო არმენიელებისათვის მიხედვა.

56. ამ ერს,<sup>2</sup> აღამიანთა ბუნებისა და ქვეყნების მდებარეობის მიხედვით, აღრიდანვე ორამროვანი (ორბუნებოვანი) ხასიათი ქქონდა, რადგან, მართალია, დიდ მანძილზე ეკერის ჩენი პროვინციების სამღვრებს, მიდიამი დიდ მანძილზე იჭრება. ასე რომ ისინი, ორ უზარმაზარ სახელმწიფოს შორის მოქცეულნი, რომლებთანაც, რაკი რომაელები ემიზღებათ, პართიელებისა კი შერთ, – ხშირად არიან მათთან უთანხმოებაში. იმ ხანად მეფე არ ჰყავდათ, ვონონის<sup>3</sup> მოშორების შემდეგ; მაგრამ ხალხის სურვილი პონტოს მეფის პოლემონის ძის ბენონისაკენ<sup>4</sup> იხრებოდა; რადგან ამ უფლისწულმა, აღრე ბავშვობიდანვე სომხური წესრიგისა და ჩაქმულობის მიმყოღმა, ერთნაირად მოინადირა მაღალი და დაბალი ფუნების გული ნადირობის, ქეიფისა და ბარბაროსთათვის სხვა საყვარელი დროსტარებებით. ამიგომ ქალაქ არგაქსაგამი,<sup>5</sup> წარჩინებულთა თანხმობით, დიდძალი ხალხის წინამუ გერმანიკუსმა თავს დაადგა სამეფო გვირგვინი. სხვებმა (ე.ი. არა რომაელებმა) თაყვანი სუეს და მიესალმნენ, როგორც არგაქსიას. ეს სახელი კი ქალაქის სახელის მიხედვით დაარქვეს.

60. –შემდეგ [გერმანიკუსმა] ნახა ძეელი თებეს<sup>6</sup> უზარმაზარი ნაშთები. ნანგრევებზე კიდე იყო შემორჩენილი ეგვიპტური წარწერექი (ასოები), რომელნიც ძეელი დიდების [ამბავს] შეიყავდა როცა ერთ მოხუც ქურუმს უბრძანეს, გაღმოეთარგმნა თავის მშობლიური ენიდან, მოუთხროთ, რომ ოდესმე ამ ქალაქში ბინადრობდა სამხედრო ასაკის შვიდასი ათასი კაცი და ამ ჯარით მეფე რამმესმა<sup>7</sup> დაიპყრო ლიბია, ეთიოპია, მიდიელები და სპარსელები, ბაქტრიელები და სკითები და ის ქვეყნები, სადაც სირიელები და არმენიელები და მათი მეზობელი კაპადოკიელები ცხოვრობდნენ და ეპყრა მთელი [ტერიტორია] იქით ბითინიის მღვიდან აქეთ ლიკიის მღვამდე,<sup>8</sup> კიდეც ამოიკითხებოდა ამ ხალხებისათვის განკუთვნილი ხარკის სიაც – ეერცხლისა და ოქროს რაოდენობა, იარაღისა და ცხენების რიცხვი. გამრებისათვის შესაწირავი სპილოს ძეალი და ნელსურნელებანი, აგრეთვე ხორბლეულისა და სხვა სახმარის რაოდენობა, რაც ყოველ ერს უნდა გადაეხადა – ხარკი არა ნაკლებ საგრძნობი, ვიდრე ის, რომელსაც ახლა იღებენ ძალით პართიელები ანდა რომაელთა ხელისუფლება.

68. ამ დროს ვონონმა,<sup>9</sup> რომლის წაყვანის ამბავი კილიკიაში უკვე მოვიხსენიე, მოისყიდა მცველები და სუაღა გაქცეულიყო არმენიაში, მერე ალბანებთან, ჰენიოხებთან და თავის ნათესავ სკითიის მეფესთან. სანადიროდ წასელის საბაბით დასტოვა სანაპირო, შევიდა დაბურულ ტყეში, მიწლო ცხენის სისწრაფეს და მიაშურა მდინარე პირამოსს, სადაც მისი გაქცევის ამბის შემგყობმა იქაურმა მცხოვრებლებმა ხილი ჩაშალეს, ფონით გასვლა კი არ შეეძლო. ამიგომ მდინარის ნაპირას იგი შეიპყრო მხედართა პრეფექტმა ვიბიუს ფრონტონმა. მერე რემიუსმა, რომელიც წინათ მეფის მცველთა უფროსად იყო, მახვილი გაუყარა, ვითომცდა გაბრამებულმა, რითაც უფრო მეტი სარწმუნო ხდება, რომ დანამაულის შეგნებისა და სასჯელის შიმით მოკლა მან ვონონი.<sup>10</sup>



5. 1. იგალიის ორივე მხარეს მღვას მიმენუშა და რავენაში მღვარი ორი ფლოგი, ხოლო გალიის უახლოეს სანაპიროს ცხვირებიანი ხომალდები იყადნენ, რომლებიც აქციუმის [ბრძოლებში] გამარჯვების შემდეგ ხელთ იგლო აევსტგუსმა და ქალაქ ფორუმეილიუმს გაგზავნა მძღაერი ეკიპაებითურთ. მაგრამ მთავარი ძალა, რვა ლეგიონი, რაინთან იღვა გერმანელებისა და გალებისაგან თანაბრად დასაყავად. ახლახან დამორჩილებული ესპანეთის<sup>11</sup> სამ [ლეგიონს] ეჭირა. მავრები მეფე იუბამ<sup>12</sup> მიიღო, როგორც რომაელი ხალხის ძღვენი. (2) დანარჩენ აფრიკას იყავდა ორი ლეგიონი და ამდენივე – გვიპტესაჲ; ამის შემდეგ ოთხი ლეგიონი იყავდა სირიიდან მოყოლებული მდინარე ეფრატამდე უმარმაზარ ტერიტორიაზე რაც ქვეყნებია მოქეუელი, მეზობლად იბერთა, ალბანთა და სხვა მეფეებისა, რომელნიც ჩვენი ძღვევამოსილებითა და დიდებით უმკლავდებიან უცხო ძალაუფლებას.<sup>13</sup> (3) თრაკია რემეტაკოსსა<sup>14</sup> და კოტისის შვილებს ეჭირათ, ხოლო დანუეუსის ნაპირი – ორ ლეგიონს პანონიაში, ორს კი მეზიაში.

წიგნი VI

31. გაიუს ცესტიუსისა და მარკუს-სერვილიუსის კონსულობის დროს<sup>15</sup> პართი დიდებულები მოვიდნენ ქალაქს მეფე არტაბანის<sup>16</sup> ნამძღაუად. მან, გერმანიკუსის შიშით ერთგულმა რომაელებისა და სამართლიანმა თავისიანებისადმი, მალე გამოიჩინა ამპარტავნობა ჩვენდამი და სისასტიკე ხალხის მიმართ, რადგან იგი გაააძაჲა მეზობელი ხალხების წინააღმდეგ წარმატებით ჩაგარებულმა ომებმა და გიბერიუსის, როგორც ომისათვის უძღურის მოხუცებულობამ; და ცდილობდა არმენიის დაპყრობას, რომლის გახტმეც, მეფე არტაქსიას<sup>17</sup> და სიკედილის შემდგომ, თავისი უფროსი ძე არმაკი<sup>18</sup> დასვა. ამას დაურთო შეურაცხოფაჲ და გაუგზავნა მოთხოვნა, დამიბრუნე ვონონის მიერ სირიასა და კილიკიაში დატოვებული განძი. ამასთანავე, ალაღვინე სპარსელთა და მაკედონელთა ძველი საზღვრე ბიო; თანაც თავხედურად იმუქრებოდა, შემოვიჭრები ჯერ კიროსისა და მერე ალექსანდრეს მიერ დაპყრობილ ადგილებშიო. მაგრამ საიდუმლო მოციქულთა გამოგზავნის ყველაზე უფრო თავებამოდებული მოწადინე პართებში იყო სინაკესი, წარჩინებული ოჯახიშვილი და მდიდარი, და მასთან უახლოესი – აბდუსი, კაცობას მოკლებული. ოღონდ ეს არ ითვლება სამარცხვინოდ ბარბაროსებში და უფრო მეტი ძალაჲ აქვთ. მათ სხვა წარჩინებულნიც მიიმხრეს და რადგან არ შეეძლოთ დაესვათ გახტმე არმეილების ეინმე ჩამომავალი. ვინაიდან უმრავლესობა არტაბანმა გაწყვიტა, სხუები კი უასაკონი იყვნენ, რომიდან ითხოვეს ფრაატი, მეფე ფრაატის<sup>19</sup> ძე; საჭიროა მხოლოდ სახელი დ ხელის შემწყობი, რათა კეისრის ნებით არმაკის შთამომავალი იხილონ ეფრაატის ნაპირმეო.

32. გიბერიუსსაც ეს უნდოდა: მოამზადა ფრაატი და დანიშნა მამისეულ გახტმე, ერთგულმა თავისი წესისა – უომრად, თათბირითა და ეშმაკობით, მოეცარებინა საგარეო საქმეები. ამასობაში, არტაბანმა შეიგყო მეთქმულების [ამბაჲი] და ხან შიშით იკაეებდა თავს, ხან კი შურისძიების წყურვილით იწვოდა. ბარბაროსებში ყოყმანი მონურ, ხოლო სწრაფად აღსრულება მეფურ ქეეჲდ ითვლება. მაგრამ მაინც იმდენად სძლია სარგებლიანობის ფიქრმა, რომ მეგობრობის ნიშნად აბდუსი ლხინმე მოიწვია და ნელა მოქმედი შხამით მოაწამლინა, სინაკესი კი დააბრკოლა თავის მოჩვენებით, საჩუქრებით და აგრეთვე საქმეებითაც. სირიაშიც ფრაატი, რომელმაც ამდენ წელს ნაჩევე რომაული ცხოვრების წესრიგს მოკლებულმა პართითა მნეჩეველებანი მიიღო. მშობლიურ ადათებს კი ვერ ატეძლო, აჲადმყოფობით გარდაიცვალა. მაგრამ გიბერიუსი არ მოემევა დაწყებულ საქმეს: არტაბანის მოქიშეად იმავე სისხლის შთამომავალ გირიდაგს<sup>20</sup> ირჩევს, ხოლო სომხეთის დასაბრუნებლად იბერიელ მთირიდაგს<sup>21</sup> და თანაც შეარჩევს ძმა ფარსმანთან, რაც აღმოსაელეთში ხდებოდა, გამგებლად ლუციუს ვიგელიუსი<sup>22</sup> დანიშნა. იმ კაცის შესახებ, მე ვიცი, ავი ხმა დადიოდა და ახსოვდათ ბევრი [მისი] ცუდი; თუმცა პროინციებში გამგებლობის დროს კი ძველებური სიქველით უძღვებოდა საქმეს. იქიდან დაბრუნების შემდეგ, გაიუს კეისრის შიშითა და კლავდიუსის მახლობლობით, იგი სამიზღარ მონად იქცა და შთამომავლობაში

პირმოთნეობის საბაველ ნიმუშად ითვლებოდა. პირველი ადგილი შემდეგდროინდელმა [მისმა საქმეებმა] დაიჭირა და კარგი ახალგაზრდობა სამარცხვინო მოხუცებულობამ წა-  
შალა.

33. უფლისწულთა შორის პირველად მითრიდაგემ წააქემა ფარსმანი, ხერხითა და ძალით ხელი შეუწყო მისი ცლისათვის და გამონახული მექროთამეები ბევრი ოქროთი არ-  
შაკის მსახურთ დაიყოლიებენ ბოროტმოქმედებაზე; ამასთანავე, იბერიელები დიდძალი  
ლაშქრით არმენიაში შეიჭრებიან და ქალაქ არგაქსაგას დაიპყრობენ. ეს რომ არგაბანმა  
შეიგყო, შურის საძიებლად ძეს, ოროდს ამზადებს: აძლევს პართთა ლაშქარს და გზანის  
[კაიკებს] დამხმარე ჯარის დასაქირაველად. საწინააღმდეგოდ, ფარსმანმა მოირთო ალ-  
ბანები, მოუწოდა სარმაგებს, რომელთა სკეპტუქოსები, იღებენ რა საჩუქრებს (სასყიდელს,  
ქირას?) ორივე მხრიდან, მამაპაპური ჩვეულების თანახმად, ორივე მხარეს ემხრობიან. მა-  
გრამ ადგილების მფლობელი იბერეკი კასპიის გზით<sup>23</sup> სასწრაფოდ შეუშევენ არ-  
მენიელების წინააღმდეგ სარმაგებს; ხოლო მათ, ვინც პართთებთან მიდიოდნენ, ადვილად  
აჩერებდნენ, რადგან სხვა გასასვლელები მგერმა ჩაექცა, ხოლო ერთადერთი დარჩენილი  
[გასასვლელი] ზღვასა და ალბანთა მთის კიდეს შორის<sup>24</sup> მათხულში გაუვალთა, ვინაიდან  
პასაგის ქარები წყლით ფარავენ [მეჩემოვან] ნაპირს, ხოლო მამთარში სამხრეთის ქარი  
უკან ერეკება ტალღებს და როცა წყალი დაიწვეს, სანაპიროს ვიწრო გასასვლელი  
მიმელდება.

34. ამასობაში, მოკაემირეებს მოკლებულ ოროდს დამხმარე ჯარით გაძლიერებული  
ფარსმანი საბრძოლველად იწვევს და რაკი იგი თავს იკავებს, თავს ესხმის: ამხედრებული  
მიადგება ბანაკს, არბებს საფურავე ადგილებს და ხშირად ალყის შემგავსად არგყამს სა-  
გუმავგოს, ვიდრე პართთებმა ველარ აიგანეს შეურაცხყოფა, შემოუხვივნენ მეფეს და  
მოითხოვეს ბრძოლა. მათი ერთადერთი ძალა მხედრობა იყო, ფარსმანი კი ძლიერი იყო  
ქვეითითაც, ვინაიდან იბერეკი და ალბანები, რაკი მთავორიან ადგილებში ცხოვრობენ,  
აგანასა და მოთმენას უფრო მეტად არიან შეჩვეულნი. ამბობენ, რომ თესალიელებისაგან  
არიან წარმომობილნი<sup>25</sup> იმ დროს, როცა იასონი მელესა წაყვანასა და მასთან შეილების  
გაჩენის შემდეგ დაბრუნდა უკან აიგის ცარიელ სასახლესა და თავისუფალ (უმეფო)  
კოლხებში. ბევრი მოგვაგონებს მის სახელსა და ფრიქსოსის ორაკულს;<sup>26</sup> არც ვინმე  
სწირავს ვერძს, რადგან სჯერათ, რომ მან ჩამოიყვანა ფრიქსოსი, იყო ის პირუტყვი თუ  
ხომალდის ნიშანი. როდესაც დასტები ორივე მხარეს საომრად განწყვენენ, პართთა ბევრი  
ილაპარაკა აღმოსავლეთზე მხრძანებლობასა და არშაკილების ბრწყინვალეობაზე; თანაც  
დაუპირისპირა მდებრი იბერიელს [მისი] როქის სპით, ფარსმანმა კი უთხრა თავისიანებს:  
პართთა ბაგონობა არ გვიწინევი და, რაც უფრო ვეცდებით, მით მეტს სახელს მოვიხვეჭთ  
გამარჯვებით; ხოლო თუ [მგერს] ზურგი ვუჩვენეთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩაყ-  
ვივლებითო. ამასთანავე, თავიანთ მრისხანე საომარ წყობასა და მიდიელების ოქროში და-  
კამულ რამებზე მიუთითა: აქ ვაკაკები არიან, იქ კი სამოვარიო.

35. მაგრამ სარმაგებში მარტო სარდლის სიგყვა არ [გაისმის], თვითონაც აქეზებენ ერთ-  
მანეთს, რომ მშვილდოსნებს ბრძოლა არ დაანებონ, არამედ დაასწრონ შეტევით და ხელ-  
ჩართული ბრძოლით. ამიგომ მებრძოლთა სხვადასხვა სახეობანი იყო: მაშინ, როდესაც  
პართთა, ერთნაირად ნაჩევემა ღვენას ანდა გაქცევას, გამალა მხედართა რამები და  
ეძიება შესაგვე სიერეს, სარმაგებმა თავი მიანებეს მშვილდს, რომლითანაც უფრო ახლო  
მანძილზე მძლავრობენ და შუბებითა და მახვილებით ეტყერნენ. ცხენოსანთა ბრძოლის წე-  
სის მიხედვით ხან პირდაპირ უტყვენენ, ანდა ზურგს უბრუნებდნენ, ხან კი შეკუფებული  
დასტები სხეულისა და იარაღის ძალით აწებოდნენ მგერს, ანდა მისგან განიციდდნენ მო-  
წოლას. უკვე ალბანებმა და იბერებმა დაუწყეს ხელის ტაცება და ჩამოყრა და საეჭვო  
გახადეს ბრძოლის [ბედი] მტრებისათვის, რომელთაც შემოდან მხედრები, უფრო ახლოს კი  
ქვეითები აყენებდნენ ჭრილობებს. ამასობაში ფარსმანი და ოროდი, რომელნიც მამაკებს  
აგულისხმებდნენ, ხოლო შემკრთალთ შეუწოდნენ, შესამჩნევი და ამით შეცნობილნი, ყო-  
ვინითა და შუბების [სროლით] ცხენდაცხენ მიაშურებენ ერთმანეთს, ოლონდ ფარსმანი  
უფრო ფიცხლად – რადგან ჩაჩქანი გაუხეთქა და დაჭრა [ოროდი]. ოლონდ დარტყმის

მონაცემები ელარ შეძლო, ვინაიდან ცხენმა გაიტაცა დაჭრილი და თანაც უმამაცესმა მხლებლებმა დაიფარეს. მაგრამ მოკელის შესახებ გავარდნილმა ყალბმა ხმამ, რომელიც ირწმუნეს, დააფრთხო პარტიები და დათმეს გამარჯვება.

36. მალე<sup>27</sup> არგაბანი მთელი სამეფოს ძალით წამოვიდა შურის საძიებლად. ადგილმდებარეობის ცოდნის წყალობით იბერები უკეთ იბრძოდნენ. [არგაბანი] მინც არ დაიხვედა უკან, რომ ვიგელიუსს თავი არ მოეყარა ლეგიონებისათვის და ხმა არ დაეგლო, მესოპოტამიაში შეჭრას ეპირებო, და [ამით არგაბანს] რომაელებთან ომის აგებისა არ შემინებოდა. მაშინ დაგოვეს არმენია და არგაბანის ბედი უკუღმა დაგრიალდა, ვინაიდან ვიგელიუსი ჩააგონებდა [მის ქვეშევრდომებს], მიგოუებინათ მშვიდობიანობის დროს სასტიკი და ომიანობის დროს [მათი] დამღუპელი უბედური მეფე. ამიგომ სინაკსმა, რომელიც როგორ წინათ მოვიხსენიე, განაწყენებული იყო, დალაგმი ჩაითრია მამა აბდაგემსი და სხვანი, რომელნიც [უწინ] მრახევის მალაუნდენ, ახლა კი, განწყვეტილი მარცხების შემდეგ, უფრო გათამამდნენ. ნელ-ნელა [მათ] შემოუერთდნენ ისინი, ვინც უფრო მეტად მიმით, ვიდრე კეთილი ნებით მორჩილებდნენ [მეფეს] და როცა წამქმებლები გამოჩნდნენ, [უფრო] მოიყეს გული, (გამხნევენ). არგაბანს აღარც აღარაეინ შემორჩა გარდა უცხოელი პირადი მცველებისა, თავიანთი სამშობლოდან გამოძევებულებისა, რომელთაც ვერც სიკეთე შეუგნიათ და არც ბოროტებას დაგიღვეენ, ქირით კი ხელს უწყობენ ბოროტმოქმედებს. წაიყვანა რა ესენი, სასწრაფოდ გაიქცა შორეულ, სკითიის მომიჯნავე [მხარეში], დახმარების [მოვნის] იმედით, ვინაიდან პირკინილებთან და კარმანიელებთან დანათესაებული იყო; ხოლო ამასობაში პარტიები, რომელნიც შორს მყოფ [ხელმწიფებს] იწყნარებენ, იქ მყოფთ კი აუხირდებიან ხოლმე, იქნებ მონანიებისკენ გადახრილიყვნენ.

37. მას შემდეგ რაც არგაბანი გაიქცა და ხალხის განწყობილება ახალი მეფისაკენ გადაიხარა, ვიგელიუსმა დაარწმუნა გირიდაგი, შემადებული [გახტი] დაეპყრო და ლეგიონებისა და მოკავშირეთა რჩეული ჯარი ევერაგის ნაპირს მიაყენა. მდინარის დასაწყისებამდე მსხვერპლის შეწირვის დროს, როცა ეს (ე.ი. ვიგელიუსი) რომაული ადამიანებისადმი ცხვარ-ლორ-ხარს წირავდა, ის (ე.ი. გირიდაგი) კი ცხენს უძღენიდა, იქაურებმა შეაგყობინეს, ევერაგმა სრულიად უწივრად თავისთავად მოიმაგა უმომოდო; ამასთანავე, თეთრი ქაფით დიადემისებურ წრეებს იკეთებს და [ეს მისი] წარმატებით გადალახვის ნიშანიო. მოვი უფრო ჭკვიანურად განმარტავდა, რომ პირველი ცდა წარმატებული და არც თუ ხანგრძლივი იქნება, ვინაიდან ის [ნიშნები], რომელთაც მიწა და მეცა ცვიწინასწარმეტყველებენ, უფრო სარწმუნონი არიან, მდინარეთა დაუდევარი (ცვალებადი) ბუნება კი გამოჩენისთანავე წარიტაკებს [კეთილ] ნიშნებსო, მაგრამ როცა ნაეების ხიდი გაშართეს და ჯარი გადაიყვანეს, პირველად ბანაკში ორნოსპადესი მოვიდა მრავალი ათასი მხედრითურთ. იგი ოდესღაც გადმოხვეწილი იყო, გიბერუსს დალმაგინის ომის დამთავრებაში წარმატებით მოეხმარა და მას რომის მოქალაქეობა ებოძა; შემდეგ მალე კვლავ მოიპოვა მეფის მეგობრობა, დიდი პატივი მის წინაშე და პრეფექტობა [იმ] ეელისა, რომელსაც სახელოვანი მდინარეები – ევერაგი და გიგრი ჩამოუღის აქეთ-იქიდან და სახელად მესოპოტამია ეწოდება. მცირე ხნის შემდეგ სინაკესი ამრავლებს ჯარს და პატრიის სევიტი აბდაგემსი სამეფო ხაზინასა და მოკამშულობას უმატებს. ვიგელიუსმა ჩათვალა რა საკმაოდ რომაული იარაღის წარმოჩენა, მოაგონა გირიდაგს და უპირველესთ – ამას (ე.ი. გირიდაგს) რათა მოეგონებინა პაპა ფრანკა და გამზრდელი კვისარი და რაც ორთავეს მშვენიერი [მოუპოვებოდათ], იმათ კი – შეენარჩუნებინათ მორჩილება მეფისადმი, პატივისცემა ჩვენდამი და თავიანთი სინდის-ნამუსი, ამის შემდეგ ლეგიონებიანად სირიაში დაბრუნდა.

## წიგნი XI

8. ამავე დროს მითრიდატი<sup>28</sup> რომელიც, როგორც მოვიხსენიე, არმენიაში მეფობდა და გაიუს კეისრის<sup>29</sup> [ბრძანებით] ბორკილდაებული იყო, კლავდიუსის ჩაგონებით სამეფოში დაბრუნდა, დაიმედებული ფარსმანის შემწეობაში. იბერთა ეს მეფე და თანაც ძმა მითრიდატს აცყობინებდა: პარტიებში არეულობაა, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება (ე.ი.

სამეფო ტახტი) ორჭოფულ [მდგომარეობაშია], მცირე საქმეები კი უყურადღებოდ არის დაყრილი. ვინაიდან გოგარმა სხვა მრავალ სისასტიკეთა შორის ძმის, არტაბანისა და მისი ცოლ-შვილის დახოცვაც ჩაიდინა, მიშმა შეიპყრო დანარჩენი [ხალხი] და ვარდანი მოიწვიეს. მან, როგორც ღიღ და სახიფათო საქმეებში ფიცხმა, ორ ღღეში სამი ათასი სტა-ლიონი გადალახა და გაოგნებული და დამფრთხალი გოგარში<sup>30</sup> განდევნა. დაუყოვნებლივ უახლოესი ოლქებზე ხელთ იგდო, ოღონდ მარგო სელევიკიელებმა უარჰყვეს მისი ბა-ტონობა. მათ, როგორც აგრეთვე მისი მამის წინააღმდეგ განდგომილებს, უფრო მეტად განურისხდა, ვიდრე ამჟამად საქმის ვითარება ითხოვდა და ჩაება ძლიერი, მდინარითა და გალანით გამაგრებული და სურსათიანი ქალაქის<sup>31</sup> წინააღმდეგ ალყაში. ამასობაში, გო-გარზე დაქებისა და პირკანების შემწეობით ომს ანახლებს და ვარდანი იძულებული ხდება სელევიკის თავი დაანებოს და ბაქტრიის ველზე დასცეს ბანაკი.

9. ახლა, ვინაიდან აღმოსავლეთის ძალები დაქსასული იყო და ბუნდოვანი ჩანდა, რომ-ელი მხარე გაიმარჯვებდა, მითრიდატეს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა არმენიის დასაყ-რობად – რომაელთა სამხედრო ძალით ხელთ იგდო მთის ციხე-სიმაგრეები, ხოლო იბერიელთა ჯარი კი ბარად დათარეშობდა; აღარც არმენიელებს გაუწევიათ წინააღმდე-გობა მას შემდეგ, რაც სარდალი დემონაქტი,<sup>32</sup> რომელმაც ხელის გამოღება გაბედა, ივლგო. ცოგაოღენი შეფერხება გამოიწვია მცირე არმენიის მეფე კოგისმა,<sup>33</sup> რომელსაც ზოგიერთი წარჩინებული მიუღდა. მერმე ისიც დაემორჩილა კეისრის<sup>34</sup> წერილს და მთელი [არმენია] მითრიდატის ხელთ გადაეცა, რომელიც უფრო სასტიკად იქცეოდა, ვიდრე ეს მის ახალ ხელისუფლებას შეეეწოდა. ამასობაში, პართთა ხელმწიფენი რომ საბრძოლველად ემზადე-ბოდნენ, ანამდად შერიგდებიან, როცა შეიგყობენ ხალხის შეთქმულების ამზავს, რომელიც გოგარმა აცნობა ძმას. ერთმანეთს რომ შეხედნენ, ჯერ ყოყმანით, მერმე კი უფრო მტკიცედ გაუწოდეს მარჯვენა ხელი ერთუთს და დმერთების საკუროთხველის წინაშე დაი-ფიცეს, დალაგისათვის შური ეძიათ მტრებზე და ერთმანეთში შეთანხმებულიყენენ. რაკი სამეფო ხელისუფლების შესანარჩუნებლად ვარდანი უფრო ძლიერ პიროვნებად იქნა მიჩ-ნეული, გოგარში, რათა ქიშობას გასცლოდა, მიდა პირკანიაში გაერიდა. ვარდანი რომ დაბრუნდა, განდგომის მეშვიდე წელს მას დაემორჩილა სელევიკია, პართთა სამარცხეინოდ, რომელთაც ერთი ქალაქი ამდენ ხანს მასხრად იგდებდა.

10. შემდეგ [ვარდანმა] უძლიერესი პრეფექტურები მოიარა; არმენიის ხელახლა დაყ-რობისაკენ ისწრაფოდა, ომის მექარით რომ არ დაებრკოლებინა ვიბიუს მარსუსს – სირიის ლეგატს. ამასობაში, გოგარზე თავს უყრის ლამქარს, რადგან ნანობს სამეფოს დათ-მობას, თანაც საომრად მოუწოდებენ წარჩინებულნი, რომელთაც მშვიდობიან დროს უფრო უმძიმთ მონური მორჩილება; მერე მდინარე ერინდესთან დახვდება. ეს მდინარე ვარდანმა ღიღ ბრძოლით გადალახა, წარმატებით გადახდილი ბრძოლების შედეგად დაიპყრო ხალხები, რომლებიც მდინარეებს – ერინდესა და სინდეს – შორის ცხოეობენ (სინდე და-ქებსა და არიელებს ჰყოფს ერთმანეთისაგან). იქ სამღვარი დაედო წარმატებებს, რადგან პართელები, გამარჯვებთა მიუხედავად, უარჰყოფდნენ ომს შორეულ მიწაზე ამრიგად, ძეგლები აღმართა რა თავისი ძლიერების დასტურად და იმის აღსანუსხავად, რომ ადრე არც ერთ არსაკიდს არ დაუხარკავს ის ტომები, [ვარდანი] უკან დაბრუნდა, ღიღებით მოსილი, ხოლო მით უფრო აღვირახსნილი და გაუსაძლისი ქვეშევრდომთათვის. იგი მოკ-ლეს ნაღირობით გატაცებული, ისე რომ არც კი შეუწუხებია ფიქრს მისთვის წინასწარ გან-მზადებული მზაკერულ საფრთხეზე. მოკლეს, თუმცაღა მთლად ჰბაუკი, მაინც ისეთი ბრწყინ-ვალე სახელი უნდა ჰქონოდა, როგორიც ცოგას ღირსებია მსცოვან მეფეთაგან, ისევე რომ ეძია თავისი ხალხის სიყვარული, როგორც ლამობდა მიშისმარის გაერცელებას მტრებში. ვარდანის მოკვლის შემდეგ<sup>35</sup> პართელებში არეულობა დაიწყო, ვერ გადაეწყვიტათ, ეისთ-ვის მიეცათ სამეფო ძალაუფლება; ბევრნი გოგარმესკენ იხრებოდნენ, ზოგნიც – ფრატეს მთამომავალ მეპერდატესკენ, – მძეულად რომ მოგვეს. ბოლოს გოგარმემ სძლია, მაგრამ სამეფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ თავისი აღვირახსნილობითა და მძეინვარე-ბით პართელები აიძულა ფარულად შეევერებოდნენ რომაელ პრინცეპსს, რომ ნება დაერთო მითრიდატესთვის მამისეული პატივისა და ღირსების მიღებისა.

15. როცა ძალაუფლების დაკარგვის<sup>36</sup> შემდეგ მყარ საფუძველს მოკლებულმა მითრიდატე ბოსფორელმა შეიგყო, რომ დიდიუსი<sup>37</sup> – რომაელი სარდალი – მთავარი ძალებითურთ წაეიდა, ხოლო ახალ სამეფოში დარჩნენ სიჭაბუკის გამო ჯერ გამოუცდელი კოტისი და მცირერიცხოვანი კოპორგები რომაელი მხედრის იულიუს აქელიას მეთაურობით, – არად შერაცხა ისინი, იწყო ხალხთა აღლევება და ლტოლვილთა გადმობირება. ბოლოს შეკრიბა ჯარი, დანდარილების მეფე განდევნა და ხელთ იგდო მისი სამფლობელო. მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი ცნობილი გახდა და უკვე საფიქრებელი იყო, რომ მითრიდატე შეიჭრებოდა, კოტისი და აქელია არ ენდნენ საკუთარ ძალებს და თაყაღ მათაც გარეთ ეძიეს შეელა იმის გამო, რომ სირაკების მეფე ზორსინემ განაახლა მგრული მოქმედება. ელჩები იქნენ გაგზავნილი ეენომესთან, რომელიც [ჯარის სათავეში მდგომი] აორსების გომმე ბატონობდა. არც გასჭირვებით მასთან კავშირის დამყარება, რაკი აჩვენეს რომის ძლიერება მეთამბოხე მითრიდატეს ძალთა საპირისპიროდ. ამრიგად, შეთანხმდნენ, რომ ეენონე ცხენოსანი ჯარით ჩაებმებოდა ბრძოლაში, ხოლო რომაელები ალყას შემოარტყამდნენ ქალაქებს.

16. მაშინ დაეწყო ლაშქარი და გაემართა; წინა ხაზზე და ზურგში აორსები იყვნენ, შუაში – კოპორგები და ჩვენნი [რომაელთა] იარაღით შეჭურვილი ბოსფორელები. ასე უკუაქციეს მგერი. მერე დანდარიკის ქალაქ სომას მიადწიეს, რომელიც მითრიდატემ დათმო მოქალაქეთა ცვალებადი განწყობილების გამო. განიზრახეს დაეპყროთ სომა და მიგ დაშეკული ჯარი დაეტოვებინათ. აქედან სირაკებისაკენ მიიწვიენ, გადალახავენ მდინარე პანდას და გარს შემოურტყამან ქალაქ უსაეს, რომელიც მალლობზე მდებარეობდა, თან გამაგრებული იყო კედლებითა და თხრილებით; მაგრამ ქვის კედლები კი არ ჰქონდათ ამოყვანილი, არამედ წნელებით ამოეწნათ და მიწით ამოევისოთ, – ამის გამო მომხედურთა წინაშე უძლური აღმოჩნდნენ ქალაქის კედლები; მათზე უფრო მაღლა აღმართული კოშკები შეგუბლებითა და შუბებით თავმარს სცემდნენ ალყაში მოქცეულებს. და დამე რომ არ შეეწყვიტა ბრძოლა, იმ დღით დაწყებული იერიში იმავე დღეს დამთავრდებოდა ქალაქის ალებით.

17. მეორე დღეს მოერიშეებს ელჩები გაუგზავნეს, რომლებმაც თაყისუფალ მოქალაქეთა შეწყალება ითხოვეს და ათი ათასი მონა შესთავაშეს. გამარჯვებულებმა უარჰყვეს ეს პირობები, რადგან დანებებულთა გაულებს მძაფრი მძინეარება იქნებოდა, ამდენის მოვლა და დარაჯობა კი სამიმო იყო; სჯობდა ომის წესით დაეუმუღიყვნენ და მოლაშქრეებს, რომლებმაც შიგ შეადწიეს კიბეების საშუალებით, ხოცვა-ულებს ნიშანი მიეცათ. უსაელთა მოსრვის გამო სხვები შიმის მარმა აიგანა, ადარაფერი არ ეგულებოდათ საიმედოდ, რაკი ვეღარ უძლებდნენ მგერს სიმაგრეები, იარაღი, მიუვალი ადგილები თუ სიმაღლენი, მდინარეები და ქალაქები. ზორსინემ, რომელიც დიდხანს ყოყმანობდა, არ იყოლა – მითრიდატეს გასაჭირზე ემზუნა თუ მამისეულ სამეფოზე; ბოლოს, თავისი საგვარგომოს კეთილდღეობა ამჯობინა, მძევლები გაიღო და ძირს განერთხა კეისრის გამოსახულების წინაშე, რითაც სახელი და დიდება ვანუშრაველა რომაელთა ჯარს; როგორც ცნობილი იყო, სისხლის დაუღერელად გამარჯვებული რომაელები მდინარე განაისიდან სამი დღის საუღლზე გაჩერდნენ. მაგრამ უკან დაბრუნებისას მათ სხვა ბუდი ეწვიათ: რამდენიმე ხომალდი (რასაკეირველია, მღელი ბრუნდებოდნენ უკან) გაერების სანაპიროებს მიადგა; რომაელებს გარს შემოურტყნენ ბარბაროსები, მოკლეს კოპორგის პრეფექტი, აგრეთვე მამველი ჯარის დიდი ნაწილი გაანადგურეს.

18. ამასობაში მითრიდატე, იარაღს რომ ვეღარ იგულებდა საყრდენად. ფიქრობდა – ვისი გულმონწყალება ეყადა. ოდესღაც გამეცმს, შემდეგ მგრად ქეულ მძას – კოტისს – უფრთხოდა; რომაელთაგანი არავინ ჩანდა იმდენად გავლენიანი, რომ მისი დაპირებები დიდად ანგარიშგასაწვეი ყოფილიყო. ბოლოს ეენონეს მიმართა, რომელსაც მისადმი პირადი სიძულვილი და მგრობა არ ჰქონდა, ამავე დროს გავლენა მოეპოვებინა ჩვენთან ახლად დამყარებული მეგობრული კავშირის წყალობით. და აი, თავისი მდგომარეობისდა

კვალად განსაკუთრებით მესაფერის სამოსელში გამოწყობილი, ასევე მესაფერისი გამოგეყვლებით შედის სასახლეში და, მეფის მუხლებთან დამხობილი, მიმართავს მას: „მითრიდატე, გვახელ ნებით. ეგზომ დიდხანს დევნილი რომაელთაგან ზღვასა და ხმელზე როგორც ინებებ, ისე მომქექე დიდი აქემენეს ნამიერს; ესღა დამრჩენია, რაიუ ვერ წამართვეს მგერთა“.

19. ევრონესაც შესძრავს და ააღლევეს ვაკეკის ბრწყინვალე სახელი, გარემოებათა ცვალება და კეთილშობილური ვედრება. წამოაყენებს მომუდარეს და მოუწონებს, რომ აორსების გომთან კავშირი და ევრონეს შემწეობა ირჩია მან, რათა ითხოვოს პატიება და შერიგება; მამინე უგზავნის კეისარს ელჩებს და ასეთ წერილს სწერს: „რომაელთა იმპერატორებსა და დიდ ხალხთა მეფეებს პირველად მეგობრობა აკავშირებს ერთნაირი ბედისა და მდგომარეობის გამო, თავად მას და კლავდიუსს კი გამარჯვებაც მოუპოვებიათ ერთად, ომის ბოლო შესანიშნავია, როცა შეწყნარებით სრულდება. აი, დამარცხებულ მორმინეს არაფერი წაართვეს. ხოლო მითრიდატესთვის, რაკი იგი უფრო მიმიე ხედრს იმსახურებს, [ევრონე] აღარც ძალაუფლებას თხოულობს, აღარც სამეფოს, არამედ იმასღა ევედრება, რომ ასლდეს მას გრიუმფატი და თავით არ გადაიხადოს სასჯელი“.

20. თუმცა კლავდიუსი ლმობიერი იყო უცხო წარჩინებულთა მიმართ, მაინც ვერ გადაეწყვიტა, რა უფრო სწორი იქნებოდა: დახსნის პირობით მიელო გყვე, თუ ისე იარაღით დაემორჩილებინა იგი; აქეთ უბიძგებდა ურვა შეურაცხყოფის გამო და შურისძიების მძაფრი სურვილი. მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ სხვა ამრიც უგრიალებდა თავში: უვალ ადგილას მოუხდებოდა ომი, – მღვაზე, სადაც არ ეგულებოდა ნავთსაყუდელი; თანაც მეფეები მამაცი იყვნენ, ხალხნი – მომთაბარენი, მიწა – უნაყოფო, დაყოენება სავალალო იქნებოდა, აჩქარებითაც მრავალ საფრთხეს უნდა გადაპყროდა, გამარჯვებულებს არც თუ ისე დიდ ქებას მიუძღვნიდნენ, ხოლო დიდი უპირატესობა ერგებოდათ დამარცხებულთ. რა მოხდებოდა, რომ მიელო, რასაც სთავაზობდნენ, და დაეცვა დევნილი; იგი, უმწეო, რაც უფრო დიდხანს იცოცხლებდა, მით მეტ წამებასა და დამცირებას გადაიტანდა. ამ გარემოებათა გამო ევრონეს მისწერა, რომ, მართალია, მითრიდატემ უაღრესად სამაგალითო სასჯელი დაიმსახურა და თავად მას, კლავდიუსს, შესაძლებლობა აქვს დასაჯოს იგი, მაგრამ ასე დაუწესებიათ წინაპრებს – რაოდენი მეუპოვრობაც საჭიროა მგრის წინააღმდეგ, იმდენადვე შემწყნარებლობა გვმართებს მავედრებულთა მიმართ, რადგან სატრიუმფო მსეულობის უფლებას იძლევა დიდი გამარჯვება ძლიერ ხალხთა და დაურღვეველ სამეფოთა მედა.

21. ამის შემდგომად მითრიდატე რომაელებს გადასცეს და იგი რომს ჩაიყვანა იუნიუს ცილონემ – პონტოს პროკურატორმა. როგორც ამბობდნენ, კეისრის წინაშე უფრო ქედმალურად ულაპარაკია, ვიდრე მის ხედრს შეფეროდა, ხალხში კი ამ სიგყვებით გავრცელდა მისი ნათქვამი: „მე არავის არ წარმოუგზავნივარ შენთან, თავად მოვედი. და, თუ არ გჯერა, გამიშვი და იძიე“. მერე უშფოთველი გამომეგყველება შეინარჩუნა, როცა დარაჯებით გარშემორტყმული გამოიყენეს როსტრამე, რათა ხალხისათვის ერვენებინათ. ცილონეს კონსულის სახელი და პატივი მიენიჭა, აქვილას კი – პრეტორისა.

44. ამავეჲ წელს არმენიელებსა და იბერებს შორის ამგყდარი ომი პართებსა და რომაელებს შორის სასტიკი განხეთქილების მიზეზიც გახდა. პართებზე ვოლოგეტი<sup>39</sup> ხელმწიფობდა, დელით ბერძენი ხარჭის შვილი, რომელსაც მეფობა ძმების თანხმობით ჰქონდა მიღებული. იბერებზე ფარსმანი მეფობდა ძველთაგანვე, არმენიელები მის ძმას მითრიდატეს ეყურა ჩენი შეწყენით. ფარსმანს ჰყავდა ძე, სახელად რადამისტი,<sup>40</sup> ლამაზი, წარმოსადეგი, შესანიშნავი ძალღონის პატრონი, მშობილურ ხელოვნებებში გაწერთილი, მეზობლებშიაც დიდი სახელის მქონე. იგი ისე გაცხარებით და ხშირად ლაპარაკობდა, მამის მოხუცებულობის წყალობით იბერია უმნიშვნელო სახელმწიფოდ რჩებაო, რომ გულის წადილის დაფარვას ვერ ახერხებდა. ამიგომ უკვე თავისი ხანშიშესულობით შეფიქრიანებულმა ფარსმანმა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე და ხალხის მხარდაჭერით შეგულიანებულ ჭაბუკს სხვა იმედი მთავაგონა და არმენიისაკენ მიუთითა, გაიხსენა რა პართების გაძევების შემდგომ თვით მანვე რომ მისცა იგი მითრიდატეს; ოღონდ [შვილს ურჩია], ძალის ხმარებისა-

გან თავი შეეცაგოთ, უფრო მზაკერობა გამოვიყენოთ, რათა უდარდელად მყოფი [მითრი-  
დაგი] ანაბდელი [თავდასხმით], დაეპარცხოთო. ამგვარად, რადამისტი, რომელსაც ვი-  
თომდა მამასთან უთანხმოება მოუვიდა, რადგან დედინაცულის სიძულვილს ვედარ გაუძლო,  
ბიძას მიაშურებს. მითრიდაგმა დიდი ალერსით მიიღო იგი, როგორც საკუთარი შვილი, აშან  
კი არმენიელთა წარჩინებულებს დაუწყო შეგულიანება სახელმწიფო გადაგრიანების  
მოსახდენად ისე, რომ მითრიდაგმა არათუ ვერაფერი შეაგყო, არამედ იგი კიდევ უფრო  
მეტი პატივითაც ეპყრობოდა.

45. ვითომდა შერიგება მიანლო, რადამისტი მამასთან დაბრუნდა და აცნობა; რაც  
მზაკერობით შეიძლებოდა გაკეთებულყო, გაკეთებულა, დანარჩენი იარალით უნდა აღს-  
რულდესო. ამასობაში ფარსმანმა ომის საბაბიც მოიგონა: ალბანთა მეფის წინააღმდეგ  
ბრძოლაში რომაელებს დასახმარებლად რომ მოეუწოდებდი, ძმამ წინააღმდეგობა გამოწინა  
და ამ წყენინებისათვის ვილაშქრებ მის დასარბევად, და ამასთან ერთად ეპიშვილს დიდი  
ლაშქარი მისცა. მისი ანაბდელი თავდასხმით შემინებულმა და დაბლობიდან გაძეგულმა  
მითრიდაგმა ციხე-სიმაგრე გორნეამში<sup>41</sup> შესწრო, ადგომდებარეობით უშიშარსა და მე-  
ციხოენე ჯარით დაყულში, რომელსაც პრეფექტი ცელიუს პოლიონი<sup>42</sup> და ცენტურიონი  
კასპერიუსი სარდლობდნენ. ისე უბირნი არაფერში არიან ბარბაროსები, როგორც მანქანე-  
ბის საქმესა და ციხე-სიმაგრეთა ოსტაგობაში, ამიგომ რადამისტი უუჭად და მარალიანად  
ციხე-სიმაგრის ალების ცდის შემდგომ, ალყას შეუდგა და რაკი ძალით ეერა გააწყო რა, ან-  
გარ პრეფექტს მოისყიდის, რომელსაც კასპერიუსი<sup>43</sup> ეხეუწებოდა, ნურც მოკავშირე მეფეს  
და ნურც მისთვის რომაელი ხალხისაგან მიწიჭებულ არმენიას ბოროტმოქმედებით ფულის  
გულისთვის ნუ დალუპავო. დაბოლოს, ეინაიდან პოლიონი მგრის მრავალრიცხოვნობას,  
ხოლო რადამისტი კი მამის ბრძანებას იმიზეზებდნენ, სირიის გამგებლის უმიდიუს კედრა-  
ტუსისათვის<sup>44</sup> მინც შეეგყობინებინა, რა მდგომარეობაში იყო არმენია.

46. ცენტურიონის წასელით თითქმის დარაჯისაგან გათავისუფლებულმა პრეფექტმა  
მითრიდაგს დარწმუნება დაუწყო, შავი დღეო. თან მოაგონებდა მათ ძმურ ნათესაობას,  
ფარსმანის ხნით უფროსობას და სხვა ნათესაურ კავშირებს მისი ასული რომ ცოლად  
ჰყავდა, აგვრთვე თეთროსაც რომ რადამისტის სიმაშრი იყო. იბერეიცი უარს არ ამბობენ  
შავზე, თუმცა ამეამად ისინი უფრო ძლიერები არიან; ხომ საკმაოდ იცი არმენიელთა გუ-  
ტანლობა და სხვა სახსარი ან თავმესაფარი რომ არ გავაჩნია ამ უსურსათო ციხე-  
სიმაგრის ვარდო; განა უსისხლოდ საქმის გარიგება არ გირჩეენია იარალის ძალით  
საქმით გადაწყვეტის საეჭვო ცდასა? მითრიდაგი ამაზე ყოყმანობდა და ეჭვით უკრებდა  
პრეფექტის რჩევას, ეინაიდან [პრეფექტმა] გააუპატიურა მეფის ხარჭა და ყოველნაირი ან-  
გარებიანი საქმისადმი დიდი მიდრეკილება ჰქონდა; ამასობაში კი კასპერიუსმა ფარს-  
მანამდე მიაღწია და მოსთხოვა, იბერიელებს ალყა მოეხსნათ. ფარსმანი საჯაროდ ბუნ-  
დოენად და უფრო ხშირად ალერსიანად უქასუხებს, საიდუმლო მიკრიკებით კი რადამისტს  
აქეგებს, ყოველის ღონისძიებით დააჩქარე შეგეეაო. სამარცხეირო საქმის საშლაური დიდ-  
დება და პოლიონი საიდუმლოდ მოისყიდის რა ჯარისკაცებს, აგულიანებს, რათა შავი  
მითითხოვონ და დაემუქრონ, ციხე-სიმაგრის დაევაბ ხელს ავილებთო. ამ [უკიდრეუსი] გა-  
საჭირით [იძულებული] მითრიდაგი ხელმეკრულების დაღების დღესა და ადგილს დათანხ-  
მდა და ციხე-სიმაგრიდან გამოვიდა.

47. პირველად რადამისტი, ვითომდა პატივისცემით, გულმზურვალედ მოეხვია მას – სი-  
მამრსა და მშობელს უწოდებდა; თან ფფიეებოდა, არც მახვილის, არც შხამის ძალას არ გა-  
მოვიყენებ მენს წინააღმდეგო. ამასთანავე, იქვე ახლო კორომში შეიგყუებს – ეუბნება, აქ  
შესაწირავი მსხვერპლია გამზადებული, რათა ღმერთების წინაშე დაეამტკიცოთ შავიო. მე-  
ფთა ჩვეულება გახლავთ ხელმეკრულების დაღების დროს ყოველთვის მარჯვენა ხელები  
და მათი ცერები ერთმანეთს მიადონ და მაგრად შეკრან კვანძით. მერმე როცა სისხლი  
ფრჩხილებში მოაწეებათ, მსუბუქი ჩხვლეგით სისხლს დაიდენენ და ერთმანეთს აულო-  
კავენ.<sup>45</sup> ასეთ კავშირს იღუმალი თვისება აქვს. თითქმის საერთო სისხლით არის განმტკიცე-  
ბული. მაგრამ მამინ კაცი, რომელიც უკრავდა [ხელებს], ვითომდა წაიქცა, მითრიდაგს  
ფხებებე მოეხვია და ისიც ძირს დასცა. მამინე მოციედა კიდევ ბევრი ხალხი და

ბორკილები დაადეს მას. მერმე იგი ფეხებზე დადებული ჯაჭვით წაათრიეს, რაც დიდ სირცხვილად ითვლებოდა ბარბაროსებში. მყის მდებრიო ხალხმა, რომელიც მძიმე პირობებში იყო მის ხელქვეით, ლანძღვა-გინება დაუწყო და ცემა დაუპირა. ოღონდ პირიქით, ისეთივე გამოერივნენ, რომელთაც ბედის ასეთი შეტრიალებისათვის იგი ებრალებოდათ. უკვე პატარა შვილებით [ვარშემორგყმული] მისი მეუღლე მისდევდა და იქაურობას გირილით იკლებდა. ისინი ცალ-ცალკე დახურულ ურმებში ჩასვეს, ვიდრე ფარსმანის ბრძანებას შეიგყობდნენ. ფარსმანს სამეფოს ხელში ჩაგდების წადილმა ძმა და ქალიშვილი [დაათობინა] და გულში უკვე მზად იყო ბოროტმოქმედების [ჩადენისათვის]. ის კი იყარაუდა, რომ ეს საქმე მის თეაღწინ არ მომხდარიყო და ისინი მის წინაშე არ დაეხოყათ. რადამისგმაც, აქოდა [დადებული] ფიცი მახსოვსო, [მართლაც] არც მახვილი და არც შხამი არ იხმარა დისა და ბიძის წინააღმდეგ, არამედ მიწაზე დააწვენიდა ისინი და ზემოდან მრავალი მძიმე სამოსის დაყრით მოაშთობინა. დახოყეს მითრიდაგის ვაჟიშვილებიც, რომლე-ბიც მშობლების დაღუპვას ხმამაღლა გიროდნენ.

48. ხოლო კვადრატესმა რომ შეიგყო, მითრიდაგეს უღალატეს და სამეფო ხელთ იგდეს მკველელებმაო, საბჭო მოიწვია, მოახსენა მომხდარი ამბები და რჩევა პკითხა, მური ვიძიოთ და დაესაჯოთ ისინი თუ არაო. სახელმწიფოს სახელი და პატივი ცოგას აწუხებდა, უმეტე-სობა მშვიდობის სასარგებლოდ მსჯელობდა: უცხოთა ყოველ ბოროტმოქმედებას სიხარუ-ლით უნდა შევეცებოთ. სიძულვილის თესლიც კი უნდა დაეთესოთ, როგორც ხმირად რომის ხელმწიფენი იმავე არმენიას უხვი წყალობის სახით ბარბაროსთა შორის შუღლის ჩამო-საგდებად გასცემდნენ ხოლმე. დაე რადამისგი შეძლებული, სახელგატეხილი ფლობდეს ბოროტად მოპოვებულ ხედრს; ეინაიდან ეს უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, ვიდრე ის, რომ მას სახელიანად და დიდებით ქჰონდეს მიღებული [ძალაუფლებაო]. ეს ამრი კიდევ მიიღეს. ოღონდ, რათა ამ ბოროტმოქმედების მოდასტურედ არ მიეჩნიათ ისინი, თანაც [იმ შემთხვევისათვის] თუ კეისარი სხვაგვარად გადაწყვეტდა [ამ საქმეს], ფარსმანს მო-ციქულები გაუგზავნეს, რომ იგი სომხეთიდან გასულიყო და შვილებიც თან წაყყენა.

49. კაპადოკიის პროკურატორად იულიუს პელიგნუსი იყო, სულით მდაბალი და სხეულის სიმახინჯითაც ასევე სამიზლარი, მაგრამ კლავდიუსის ძალიან ახლობელი, როცა [კლავდი-უსი] ტაკიმასხარებთან და მლიქვნელებთან ატარებდა უქმად დროს, იმ პელიგნუსმა პროვინციებში დამხმარე ლაშქარი შეკრიბა, ვითომცა არმენიის უკან დასაბრუნებლად, ოღონდ რაკი მოკავშირეებს უფრო არბედა, ვიდრე მტერს, თავისიანებმა მიაგოვეს და რაკი ბარბაროსთა თავდასხმებისაგანაც თავშესაფარი სჭირდებოდა, რადამისგთან მივიდა. [რადამისგის] საჩუქრებით მოსყიდული თვითონვე არწმუნებს მიიღოს სამეფო ნიშნები და ამ მიღების დროს თვითონაც ესწრება, როგორც ხელისშემწყობი და [საქმის] თანა-მონაწილე. როცა ამის შესახებ სამიზლარი ხმა გაეარდა რათა სხვა [რომაელებიც] პელიგ-ნუსის მსგავსად არ მიეჩნიათ, გაგზავნეს ლეგატი პელვიდიუს პრისკუსი ლეგიონითურთ, რათა ვითარების შესაბამისად მოეგვარებინა საქმე. ამიგომ სასწრაფოდ გადალახა რა გაეროსის მთა, უფრო მომიერი მოქმედებით, ვიდრე ძალით, უკვე ბევრი რამ გაარიგა, როცა უბრძანეს კვლავ სირიაში დაბრუნებულიყო, რათა პართების წინააღმდეგ ომი არ გამოეწვია.

50. ეინაიდან ვოლოგემმა მიიჩნია, რომ დადგა ხელსაყრელი შემთხვევა არმენიის დას-აპყრობად, რომელიც მის წინაპრებს ეკუთვნოდა, ახლა კი უპატიოსნოდ ჩაკელო ხელთ უცხო მეფეს, ამიგომ მან შეკრიბა ჯარი და ემზადებოდა ტახტზე თავისი ძმის გირიდაგის<sup>46</sup> დასასმელად, რათა მისი სახლის არც ერთი წვერი არ დარჩენილიყო სამეფოს გარემე. პართების შემოჭრის შემდგომ იბერები უბრძოლველად იქნენ განდევნილი და სომხეთის ქალაქები არგაქსატი და გიგრანოკერტაც დამორჩილდნენ. შემდეგ სასტიკმა ზამთარმა, სურსათის ნაკლებობამ და ორივე ამ მიზევის გამო მოდებულმა სენმა ვოლოგემი იძულე-ბული გახადა თავი დაენებებინა ახლა ამ საქმისათვის. დაყარიელებული არმენია კი კვლავ რადამისგმა დაიპყრო, კიდევ უფრო გამძვინვარებულმა [არმენიელებზე], როგორც განდგომილებზე, რომელთაც თუ [ხელსაყრელი] დრო დაუდგებოდათ, კვლავ აჯანყდებოდ-ნენ.



მართლაც არმენიელებს, თუმცა მონობას ძალიან ნაჩვევთ, მოთმინების ფილა აუესოთ და იარალით შემოერგყენერ გარს მეფის სასახლეს.

51. რადამისგის ცხენების სისწრაფის გარდა სხვა აღარაფერი უმეულიდა და ცოლითურთ კიდეუ გაიქტა. მაგრამ მისი ფეხმძიმე მეულე პირველად თუ მაინც ასე თუ ისე იგანდა ჭენებით სიარულს მგრის შიშით და ქმრის სიყვარულით, მერმე შესუენებელი სირბილის გამო გულმუცელი და შიგნეული რომ ენჯარეოდა, ევედრებოდა ქმარს, გყეობის სირხეილისაგან პაგიოსანი სიკელით დამისხენო. პირველად რადამისგი ეხეეოდა, იჭერდა და ამხნეებდა; ხან მის გულადობას კეირობდა, ხან შიშისაგან სასო ეკეეთებოდა, რომ დაეგოვო, სხვა ვინმეს არ ჩაუეარდეს ხელშიო. დაბოლოს, სიყვარულით გახელებულმა და ბოროტმოქმედებაში არსთუ გამოუდელმა, იძრო მახელიო და [დასქა ქალს] დაჭრილი არაქსის პირას მიათრია და მდინარეში ჩააგლო, რომ მისი გვამიუ წყალს წაელო. თვითონ თავქუდმოგლეჯით მიაშურებს იბერიას, მშობლიურ სამეფოს. ამასობაში მენობიას (ასე ერქვა ქალს) წყნარ ყურეში შეამჩნევენ მწყემსები. იგი ჯერ კიდეუ სუნთქედა და სიციცხლის აშკარა ნიშნებს ამქლავნებდა. მისი ღირსეული გარეგნობის მიხედვით იეზრადეს, უბრალი ვინმე არ უნდა იყოსო; შეუხეივს ჭრილობა, შინაურული წამლებით უწამლეს და როცა მისი ვინაობა და ამბავი შეიგყვეს, ქალაქ არტაქსაგს მიიყვანეს. იქიდან კი, ხელისუფალთა შრუნვით, გირიდაგს მიგვარეს, რომელმაც ალერსით მიიღო იგი, როგორც მის სამეფო ღირსებას შეეფერებოდა.

### წიგნი XIII<sup>47</sup>

6. წლის დამლევს მოვიდა შემამოთებელი ამბავი, რომ პართელები ეკლავ მეესიენენ არმენიას და მიიგატეს. განდენილ იქნა რადამისგი, რომელიც ხშირად იპყრობდა ხოლმე იქ სამეფო ძალაუფლებას და მერე გარბოდა; მამინაც მიეგოვებინა ომი და მითქმა-მოთქმის მოყვარულ ქალაქში ყველა ცდილობდა მიმხედარიყო – პრინცესა, რომელმაც ძლივს გადააბიჯა ჩვიდმეტ წელიწადს, როგორ შეძლებდა კისრად ელო ის მძიმე გვირთი და თავი გაერთმია, რა საშველი უნდა ეძიათ მასში, ვინც დიპის რჩევა-დარიგებას მისდედა, ან კიდეუ შესაძლებელი იყო თუ არა, რომ მოძღუართ<sup>48</sup> წარემართათ ბრძოლები, იერიშები ქალაქთა ასაღებად და ომთან დაკეპირებული სხვა საქმეები. მაგრამ მოგნი ასეთ ვითარებას უმჯობესად შერაცხავენ იმასთან შედარებით, სიბერისა და სულმოკლეობის გამო დაუძლურებული კლავიღუსი რომ მოიწეონ სამხედრო საქმეების საწარმოებლად და მონებისათვის ჩვეული ნებასურვილის დასამორჩილებლად; ხოლო ბურუსი და სენეკა ცნობილი არიან დიდი გამოცილებით. როგორ არ ეყოფა იმპერატორს სიმტკიცე, როცა თერამეგი წლის გნეიუს პომპეიუსმა და ცხრამეგი წლის ოქტავიანუს კეისარმა სამოქალაქო ომები გადაიხადეს? უმაღლესი წოდებისა და პაგივის პირობებში საქმეებს წარმართავენ უფრო ხშირად აუსპიციები<sup>49</sup> და განზრახვანი, ეიდრე შუები და ხელები. რაკი პრინცესა უგულვებელჰყოფს მოშურნეობას და სარდლად უმაღ შეარჩეეს შესანიშნავს, ეიდრე შეძლებულს, რომელსაც ძირს უმაგრებს მოსყიდვის ვმით მოპოვებული გაეუნება, – ცხადია, თავად დაამტკიცებს, პაგიოსანი მეგობრები ჰყავს, თუ პიროქით.

7. სანამ ასეთ ამბებს ავრცელებენ, ნერონი ბრძანებს – უახლოეს პროვინციებში მოიძიონ ახალგაზრდები და გაგზავნონ აღმოსავლეთის ლეგიონების შესავსებად, თვით ლეგიონები კი არმენიასთან უფრო ახლოს იქმნენ განლაგებულნი; ორ ნაცად მეფეს – ავრიასს და ანგიოქუსს – სალაშქროდ უნდა მოემზადებინათ ჯარები, რომლებითაც პართელთა სამღვრებში შეიჭრებოდნენ, ამავე დროს ხილები უნდა გადებულიყო მდინარე ეფერატგზე; მცირე არმენიას არისგობულუსს გადასცემს, სოფენეს ოლქს – სოპემუსს, თან სამეფო პატივს და ღირსებასაც ანიჭებს. დრომე გამოუჩნდა ვოლოგეტს მეგოქე – ძეგ ვარდანი; და განვიდნენ არმენიით პართელები, თითქოს ომი გადადესო.

8. ხოლო სენატში ყველაფერი მეტად გაზვიადებულ იქნა იმათი წინადადებების წყალობით, ვინც მოითხოვა პარაკლისები და იმ დღეებში – პრინცესის სატრიუმფოდ შემოსევა, რომ იგი მესულიყო ქალაქში ვითარცა ტრიუმფატორი, აგრეთვე მისი ქანდაკება, სილიით

– მურისმაძიებელი მარსის ქანდაკების სწორი, დადგათ მარსისავე ტაძარში. გარდა იმისა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი მლიქვნელობა, უხაროდათ კიდევაც, რომ ღომიციუს კორბულონი ჩაუყენა ჯარს სათავეში არმენიის შესანარჩუნებლად და, როგორც ჩანდა, გზა გაეხსნა ღირსებას. აღმოსავლეთის ჯარები იმგვარად გაანაწილეს, რომ მამველი ძალის ნაწილი, ასევე ორი ლეგიონი დარჩენილიყო სირიის პროვინციაში მის ლეგატ ქვადრაგუს უმიდიუსთან ერთად, კორბულონს ეყოლებოდათ თანაბარი რაოდენობის მოქალაქეები და მოკავშირენი, ამავე დროს კაპადოკიაში მომამთრე კოპორტები და სხვა ნაწილები. მოკავშირე მეფეებს ებრძანათ დაპყრობილებოდნენ მას, ვისი დაქვემდებარებაც მიზანშეწონილი იქნებოდა ომის პირობების მიხედვით, მაგრამ თავიანთი განწყობილებით ისინი უფრო კორბულონისკენ იხრებოდნენ. იგი გაემურა დიდების მოსაპოვებლად, რაც უძლიერესი იარაღია ახლად წამოწყებულ საქმეებში, და კილიკიის ქალაქ ეგესთან შეხება ქვადრაგუსს, რომელიც იქ ჩასულიყო, რათა კორბულონს, თუ ის [კორბულონი] სირიაში შევიდოდა ჯარების მისაღებად, საყოველთაო ყურადღება არ მიექცია, რადგან, განადგოლიათ, დიდებულ მჭერმტყვეულს, გამოცდილებასა და სიბრძნესთან ერთად გარეგნული ბრწყინვალეობით ზემოქმედების დიდი ძალაც ჰქონდა.

9. ორივე მოციქულები გაუგზავნა მეფე ეოლოგემს, რომ დაიყოლიონ – ზავი არჩიოს ომს, მძევლები გაიღოს და წინამორბედთა ჩვეულებისამებრ, პატივი არ მოუშალოს რომაელ ხალხს. ეოლოგემე [მძევლებად] გადასცემს მათ არსაკიდების გვარის უწარჩინებულეს პირებს, რათა ხელსაყრელ პირობებში მომზადებულიყო ომისათვის ან, შეიძლება, იმ მიზნით, რომ მეტოქეობაში ეჭვიგანილი თავიდან მოემორებიან ვითარცა მძევალნი. მათ ჩაიბარებს უმიდიუსისგან გამოგზავნილი ცენტურიონი ინსტიციუსი, რომელიც საამისოდ პირველი მიდის მეფესთან. როცა ეს კორბულონმა შეიგყო, უბრძანა კოპორტის პრეფექტს, არიუს ვარუსს წასულიყო და მძევლები წაერთმია. ამ მიზეზით პრეფექტსა და ცენტურიონს შორის აღძრული დავა უფრო დიდხანს რომ ამ გაცრძელებულიყო გარეშეთა დასანახად, საქმის გადაწყვეტა მიენდოთ მძევლებსა და ელჩებს, რომლებსაც ისინი მიჰყავდათ, და მათ წინ დააყენეს კორბულონი, ახლად შემოსილი დიდებით, როგორღაც მტრებსაც რომ იზიდავდა. აქედან წარმოიშვა უთანხმოება სარდლებს შორის: ერთი მხრივ, უმიდიუსი ებიებს წართმეულს, – იმას, რაც თავისი კეთილგონიერების წყალობით განუხორციელებია, მეორე მხრივ, კორბულონი ამტკიცებს, რომ მეფეს მანამდე არ უფიქრია მძევლების გაღება, სანამ თვით მხედართმთავრად არჩეულმა კორბულონმა იმედი ძრწოლად არ შეუცვალა. მოწინააღმდეგეთა დასაზავებლად ნერონმა ბრძანა გამოეცხადებინათ სახალხო, რომ ქვადრაგუსის და კორბულონის მიერ მოპოვებული გამარჯვებებისათვის საიმპერატორო ფასციებს დაუნაც ემატებოდა. აქ მე დავეურთე, რაც სხვა კონსულების პერიოდმდეც ვრცელდებოდა.<sup>30</sup>

34. არმენიაზე ბაგონობისათვის ღუნელ დაწყებული და მანამდე გაჭიანურებული ომი პართელებსა და რომაელებს შორის იმავე წლის დამდეგს გატხარდა, რადგან, ერთი მხრივ, ეოლოგემე ვერ დაუშვებდა, რომ მის ძმას – გირიდატს – ან დაეკარგა თავად ეოლოგემესგან მიღებული სამეფო, ან ჰქონოდა როგორც უცხო ხელისუფლების მიერ ბოძებული სამფლობელო, ხოლო, მეორე მხრივ, კორბულონს მიაჩნდა, რომ უნდა დაებრუნებინა ის, რაიც ოდესღაც ლუკულუსმა და პომპეუსმა მოიპოვეს<sup>31</sup> – ასე მოითხოვდა რომაელი ხალხის სიდიადე და ღირსება. ამავე დროს უნდობლად განწყობილი არმენიელები ორივე ძალას უხმობდნენ, თანაც პართელებთან უფრო ახლოს მდგომნი ადგილმდებარეობის, ზნე-ჩვეულებათა მსგავსებით, მათთანვე აღრეულნი ქორწინებათა წყალობით, სწორედ პართელებისადმი დამონებისაკენ უფრო იხრებოდნენ თავისუფლების შეუცნობლად.

35. მაგრამ კორბულონისათვის უფრო სამძიმო იყო მხედართა სულმოკლეობის წინააღმდეგ ბრძოლა, ვიდრე მგერთა ვერაგობის დაძლევა, რადგან სირიიდან გადაყვანილი ლეგიონები, მოღუნებული ხანგრძლივი ზავის შედეგად, მოვალეობას მეტად უხალისოდ ასრულებდნენ. ცნობილია, რომ იმ ლაშქარში საკმაოდ იყვნენ ვეტერანები, რომლებიც სადარაჯოზე არ მდგარან არც დღისით, არ ღამით; სანგარსა და თხრილს ისე უყურებდნენ

როგორც არნახულსა და საკვირველს; უმუზარადოდ, უაბჯროდ იხდიდნენ სამხედრო სამსახურს ქალაქებში, მოკოპწიავენი და ხარბები, კორბულონმა გაუშვა ისინი, რომლებიც სიბერის ან სნეულების გამო დაძაბუნებულიყვნენ და შეესება მოითხოვა. შეკრიბეს ჯარი გალაგისა და კაპადოკიაში, აგრეთვე გერმანიიდან გადასროლილ იქნა ლეგიონი<sup>2</sup> მეშველი ცხენოსანი და ქვეითი ჯარებითურთ. მთელი ლაშქარი [ტყავის] კარებში იდგა, თუმცა ასეთი მკაცრი ზამთარი იყო, რომ მიწაზე გადაკრული ყინულის აუყრელად ადვილი აღარსად ჩანდა კარებისათვის. ყინვისაგან ბევრს დამზრალი ჰქონდა სხეულის ასონი, ზოგიც სადარაჯოზე ღვომისას დაიხოცა. როგორც გაღმოცეკმენ, ერთ მეომარს, რომელსაც ფიჩხის კონა მიჰქონდა, ისე გაეთომა ხელები, რომ მკლავთაგან დასწყდა და გვირითან ერთად დასცივდა, ფიჩხზე დაკრული, თავად კორბულონი, მსუბუქად ჩაცმული, თავიმიშველი, მხედრებთან ერთად იყო ხშირად ომსა თუ შრომაში, თავგამოდებულ ქებას ეგყოდა, უძლურთ ნუგეშს მისცემდა და ყველას მაგალითს უჩვენებდა. შემდეგ მრისხანება პოეა წამლად, რადგან პავისა და სამხედრო სამსახურის პირობათა სიმკაცრის გამო ბევრნი არ ემორჩილებოდნენ და გარბოდნენ. სხვა მხედართმთავართაგან განსხვავებით, პირველად ჩადენილ შეცდომებსაც არ აპატიებდა ხოლმე; ბანაკიდან გაქცეული მეომარი მამინე თავით იხდიდა სასჯულს. ეს წესი სასარგებლო აღმოჩნდა და შემწყნარებლობაზე მეტად მოქმედებდა, რამდენადაც ამ სამხედრო ბანაკს უფრო ცოგანი გოეებდნენ, ვიდრე იმ ბანაკებს, რომლებშიც მეომრებს ეპატიებოდათ.

36. კორბულონს ლეგიონები ბანაკში ჰყავდა, სანამ გამაფხული ძალას შეიმატებდა; ამავ დროს მოხერხებულ ადგილებში განალაგებს მამულ ძალთა კოპორტებს და აფრთხილებს, არ გაბედონ, რომ პირველებმა დაიწყონ ბრძოლა. ამ დამცველი ჯარების მეთაურობას მიანდობს პაქციუს ორფიტიუსს, უფროსი ცენტურიონის პატივის მქონეს. პაქციუსი სწერს, რომ ბარბაროსები არ ფრთხილობენი და აბით შემთხვევა ეძლევათ წარმატებით აწარმოონ ბრძოლა, მაგრამ იღებს ბრძანებას დარჩეს გამაგრებულ სადარაჯო პოსტებზე და უფრო მნიშვნელოვან ძალებს დაელოდოს. ბრძანება მიიწი დარღვეულ იქნა: როცა პაქციუს ორფიტიუსთან მცირერიცხოვანი ცხენოსანი რაზმები მოვიდნენ უახლოესი სიმაგრეებიდან და გამოუცდელიობის გამო ბრძოლა მოითხოვეს, იგი შეება მტერს და დამარცხდა; მისი ზარალით თავმარდაცემული რაზმები, რომლებსაც დახმარების გაწევა ჰქონდათ დაეაღუბული, შემოთოებით გარბოდნენ და თაუ-თაიანთ ბანაკებში უკუიქცნენ. მძიმე იყო კორბულონისათვის ამის გაგება; ბრძანა გაკიცხული პაქციუსი, პრეფექტნი და მეომრები სანგრებს გარეთ დაბანაკებულყვნენ. ამგვარად შეურაცხოვნილებმა მხოლოდ მთელი ჯარის ვეღვების შედეგად დაადწინეს თავი იმ დამცირებას.

37. გირიდაგეს მისმა ძმამ ეოლოგემმა დაუკირა მხარი, იმათ გარდა, ვისაც თავად მფარეულობდა. [გირიდაგე] უკვე არა მალულად, არამედ ამკარად ესმოდა თავს არმენიას და მოსვენებას არ აძლევდა; ვისაც კი იგულებდა ჩვენდამი ერთგულად – სპობდა, თუ ჯარები წარემართებოდნენ მის წინააღმდეგ, გაურობდა მეყრას, ხან ერთი მხრიდან წამოუქროლებდა, ხან – მეორიდან და დარხეული ხმები უფრო თავმარდამეკში იყო, ვიდრე ბრძოლა, ასე რომ კორბულონი დიდხანს ცდილობდა პირისპირ შეებას, მაგრამ ამაოდ, ხოლო, როცა იძულებული შეიქნა ყველა მიმართულებით განევითარეხინა საომარი მოქმედება, მტრების მაგალითისამებრ, – ძალები იმგვარად გაანაწილა, რომ ლევატები და პრეფექტები ერთდროულად შეკრიდიყვნენ სხვადასხვა მხარეში; ამასთან, მეფე ანგიოქუსს ჩააგონა ხელთ ეგდო ის პრეფექტურები, რომლებიც ახლოს იყვნენ მის სამფლობელოსთან. ფარასმანემ ხომ მოკლა ძეა რადამისტი,<sup>3</sup> გამეკში ვითომ, – რათა აბით დაედასტურებინა ჩვენდამი ერთგულება; მას შემდეგ უფრო ამწყვეებდა ძველითგან მომდინარე მგრობასა და სიძულვილს არმენიელების მიმართ. პირველად მაშინ ვადმოიბირეს მოსხები – ხალხი, რომელიც სხვებზე უმაღ ვეთვულ მოკავშირეობას უწყეს რომაელებს. მოსხები არმენიის უვალი მხარეებისაკენ გაემუზნენ. ასე რომ გირიდაგეს გეგმები ეფუშებოდა; წარაეღინა მოციქულები, რომლებიც თავად მისი და პართელების სახელით მოითხოვდნენ ახსნას, რაგომ უნდა წართმეოდა [ეოლოგემს] არმენიის ძველი სამფლობელო, როცა ცოგა ხნის წინათ გასცა მან მძევლები<sup>4</sup> და განაახლეს მათ მეგობრობა, რომელიც თითქოს ასპარემს

გადაუშლიდა ახალ სასიკეთო საქმეებს. თავად ვოლოგზეს აქამდე იმიტომ არ უმოქმედია, რომ მოლაპარაკება ერჩიით ძალის გამოყენებას. ხოლო თუ კორბულონი მაინც არ დაიშლიდა და ომში ჩაითრევადა, სიმამაყე ცყოფოდათ არსაკიდებს და ბედიც ნაცადი ჰქონდათ, რადგან უკვე მრავალგზის დაემარცხებინათ რომაელები. კორბულონმა კარგად იცის, რომ ვოლოგზეს პირიქით ჩამომორება აკაეებს და პასუხად გირიდაგეს არწმუნებს თხოვნით მიმართოს კეისარს: მას შეუძლია სამეფო ძალაუფლება მტკიცედ შეინარჩუნოს და სისხლის ღვრის გარეშე მოაგვაროს საქმე, თუ დაუთმობს შორეულ იმედს, რომელიც გვიანდა ვაუ მართლდება. და ეძიებს ნამდვილს, თანაც უმჯობესს.

38. ამის შემდეგ, რაკი მოციქულების მისვლა-მოსვლით ზაეის დადება არ ხერხდებოდა, გადაწყდა დაენიშნათ დრო და ადგილი, რათა თავად მათ მოულაპარაკათ. გირიდაგე აცხადებდა, რომ ათას ცხენოსანს იახლებდა მცველად; რამდენი მეომარი უნდა ჰხლებოდა კორბულონს და რომელი ჯარდიან, არ განუსაზღვრავს, ოღონდ ზაეის ნიშნად და დასტურად მუზარადმოხდილნი უაბჯროდ უნდა მოსულიყვნენ. ყოველი მოკვდავი, მით უმეტეს, გამოცილილი და წინდახედული სარდალი ვერავგობას ადვილად მიუხვდებოდა ბარბაროსებს; ვერავგობის მიზეზით იყო, რომ მეომართა რიცხვი ერთი მხარისათვის შეაკერად ისამღერებოდა, ხოლო მეორეს ნება ეძლეოდა მეტი მეომარი წაეყვანა, რათა მახე დაჰკებოდათ: თუ ისრის გყორენაში ნაცად მხედრებს წინ დაუდგებიან უიარაღო ჯარისკაცები, სიმრავლე მათ ვედარას უმეელის. კორბულონმა მაინც არ შეიმჩნია გულისხმაში ჩაეარდნა და უპასუხა, რომ უფრო სწორი იქნებოდა მთელი ჯარების თანდასწრებით განეხილათ ის, რამედან უნდა ემსჯელათ ვითარცა სახელმწიფო საქმეზე. შეარჩია ადგილი, რომლის ერთ მხარესაც აღმართულიყვნენ ბორცვები, კარგად დაეურდებულნი, ისე რომ ქვეითი ჯარი მოხერხებულად განლაგდებოდა, მეორე მხარეს კი ივაკება, ამდენად ეს ადგილი ხელსაყრელი იყო ცხენოსანი რაშმების გასამლეულად. დათქმულ დღეს კორბულონმა პირველმა დააწყო იქ ჯარები: ფრთებზე განალაგა მოკავშირეთა კოპორტები და მეფეების მამეელი ძალები, შუაში – მეექვსე ლეგიონი, რომელსაც შეუერთა დამით სხვა ბანაკებიდან გამოწეული სამი ათასი ჯარისკაცი მესამე ლეგიონისა, თანაც ერთი არწივით წარმოადგინა, თითქოს ერთი და იგივე ლეგიონი ყოფილიყოს. როცა უკვე საღამოედებოდა, მოვიდა გირიდაგე და იმ სიმორმე გაჩერდა, რომელიც სარდალი გირიდაგეს არ შეხვედრია, ისე უბრძანა ჯარებს უკან დაბრუნებულიყვნენ თავ-თავიანთ ბანაკებში.

39. მეფეს ან ვჭვი ჰქონდა თვალთმაქცობაზე, რადგან ჯარი ერთსა და იმავე დროს სხედასხვა მხარეს მიემართებოდა, ან იმ მიზნით წაეიდა სწრაფად, რომ გზა გადაეკეცა ჩენი სურსათისათვის, რომელსაც ვლებულობდით პონტოს მღვით და ქალაქ ტრაპეზუნტიდან. მაგრამ ვერც სურსათის შესაწყვეტად იღონა რაიმე, რადგან ჩენი ჯარების მიერ დაკავებულ მთებზე გადმოდიოდნენ და ისე მოჰქონდათ; კორბულონმა კი, რათა უჭვი ომი აღარ გაეჭიანურებინა და არმენიელები იძულებული გაეხადა თავდაცვაზე გადასულიყვნენ, ციხე-სიმაგრეთა განადგურება განიზრახა; თავად იმ პრეექტურაში ყველაზე ძლიერ სიმაგრეს იზრეეს, ვოლანდუმად წოდებულს, ნაკლებად მნიშვნელოვან ციხეებს კი ანდობს ლეგატ კორნელიუს ფლაკუსს და ბანაკის პრეექტს ინსტეიუს კაიგონს. როცა ყოველმხრივ დაათვალიერებს სიმაგრეებს და წინასწარ აწონ-დაწონის ყველაფერს, რაც საჭიროა იერიშის მისაგანად, მოუწოდებს მეომრებს განდევნონ იმ ადგილებიდან მტერი, რომელიც მერყევი და მოუმზადებელი როგორც ზაეისთვის, ისე ბრძოლისთვის, ხოლო ვაქციეით აამკარავეებს თავის მშაკერობას და სულმოკლეობას, – ამასთან, ერთნაირად უნდა იბრუნონ დიდებისა და ნადავლისათვის. მაშინ ლამქარს ოთხად ჰყოფს, მეომართა კუსებრი წყობით მიჯრილ რიგებს სანგრების გადასათხრელად წარმართავს, ზოგს კედლებთან კიბეების მიმიღვას უბრძანებს, დიდ ნაწილს კი ავალებს მუკუმლები და მუბები დააყრონ მეგრის სატყორცნი იარაღების საშუალებით. ადგილი მიუჩინა ქვისმსროლელთა და მემურდულეებს, რომ შორით ეწარმოებინათ სროლა, რათა რომელიმე ნაწილს დახმარება ვეღარ გაეწია ვაჭირვებაში მყოფთათვის, რაკი რომაელები ერთნაირად იმოქმედებდნენ ყოველი მხრიდან. მოლაქტენი, რომლებიც ერთმანეთს ეჯობებოდნენ, იმდენად იყენენ ადგმებული, რომ მესამელი დღის განმავლობაში კედლები ვაწმენდილ იქნა მცველთაგან, ჰიშკრე-

ბიდან გამოსასვლელი გზები დაუხშეს, მოახერხეს ასეა და ხელთ იგდეს სიმაგრენი; მოწი-  
ფული – ყველა დახოცეს, თავად არც ერთი მეომარი არ დაუკარგავთ, რამდენიმე დაიჭრა  
მხოლოდ. ვისაც ომში ვერ გამოიყენებდნენ, მიიხიბა გაყიდეს, დანარჩენი ნადავლი ვამარ-  
ჯებულებს ხვდათ. ასევე წარმატებით სარგებლობდნენ ლეგატი და პრეფექტი; მას შემდეგ,  
რაც ერთ ღღეში სამი ციხე-სიმაღე აიღეს, სხვები უკვე დათმობაზე მიდიოდნენ. რადგან  
მცხოვრებლებს ემინოდათ, დანარჩენი ციხე-სიმაგრენიც ხალხის სურვილის თანახმად კნებ-  
დებოდნენ. აქედან დაიბადა გაბედული მრახვა ამ ქვეყნის ღედაქალაქ არგაქსაგამე  
წასვლისა. უმოკლესი გზით მანც არ წაუყვანია სარდალს ლეგიონები; ხილით რომ გადაეყ-  
ვანა მდინარე არაქსზე, რომელიც ქალაქის კედლებს რეცხავდა, მგრის დარტყმას  
მიიღებდნენ; ამიგომ ძირს გავიდნენ და, სადაც მდინარე უფრო ფართო იყო, ფონით გადალ-  
ახეს იგი.

40. გირიდატეს სირცხილი აწუხებდა და ემინოდა, რომ, თუ მგრისაგან ალყის შემორტყ-  
მას დაუშვებდა, თავისი უძღურება არ ეჩვენებინა, ხოლო თუ წინააღმდეგობა გაუწევდა,  
თავად ცხენოსანი ჯარითურთ გაუქვდა ადგილებში არ გახლართულიყო; ბოლოსდაბოლოს  
გადაწყვიტა ლაშქარი გამოეყვანა და დანიშნულ ღღეს ბრძოლა დაეწყო ან, ვითომ ლგოლ-  
ვოლს, დრო ეხელთა მგრის ხიფათში გასაბმელად. და ასე უუერად გარს შემოერტყა რო-  
მაელთა ჯარს, თუმცა მოუმზადებელი არ დაჰხვედრია ჩენი მხედართმთავარი, რომელსაც  
სამგზავროდ და ამავე დროს ბრძოლისათვის დაეწყო ლაშქარი. მარჯვენა მხარეს მესამე  
ლეგიონი მიდიოდა, მარცხნივ – მეექვსე, შუაში – მეთუ ლეგიონის რჩეული ჯარისკაცები;  
მოლაშქრეთა რიგებს შორის ადალს ჰქონდა გზა მიცემული, მერგს კი ათასი ცხენოსანი  
იფარავდა, რომლებსაც ებრძანათ მომხედურთათვის ხელჩართული ბრძოლა გაემართათ,  
მაგრამ გაქცეულებს არ დასდევებოდნენ. ფრთებზე განლაგებულნი იყვნენ ქვეითად მავალი  
მშვილდოსნები და ცხენოსანთა დანარჩენი რამმები; მარცხენა ფრთა უფრო შორაბდე  
წილბოდა ბორცუების ძირას, რომ მგრის კეეთების შემთხვევაში ერთდროულად შეეგათ  
წინიდანაც და გვერდიდანაც. გირიდატე მიუხდებოდა ხოლმე მოწინააღმდეგეს, მხოლოდ  
იძენდა უახლოვებოდა, რომ ნატყორნი ისარი იქამდე ვერ მიაღწევდა, მაგრამ ხან ემუ-  
ქრებოდა, ხან თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ემინოდა, რათა შესაძლებლობა მისცემოდა  
დაერღვია რომაელთა რიგები და ნაწილ-ნაწილ ეოტებინა. როცა უკვე მჭუხრი ახლოვდე-  
ბოდა, გირიდატე წავიდა, რადგან რომაელები წინდაუხვდავობით არ მოღუწებულან და არც  
გაფანტულან; ცხენოსანთა დეკურიონის მეტს არავის წაუწევია წინ, ის კი, მეტად უმიმარი,  
ისრებით იქნა განგვირული და თავისი მაგალითით სხვებს მორჩილება განუტკიცა.

41. კორბულონმა იმ ადგილას გამალა ბანაკი, თან ფიქრობდა, ღამით ხომ არ წაეყვანა  
საბრძოლოდ მომზადებული ლეგიონები არგაქსაგამე და ალყაში ხომ არ მოექცია, რაკი,  
მისი აზრით, გირიდატე იქით წავიდა. შემდეგ, როცა მხვერაეებმა აცნობეს მეფის შორეული  
ლაშქრობის ამბავი, ხოლო მედიელებს ემუქრებოდა იგი თუ ალბანელებს, გაურკვეველი  
იყო, კორბულონი გათენებას დაელოდა, მერე კი წინასწარ გაგზავნა მსუბუქად შეიარაღე-  
ბული ჯარი, რომელიც კედლებს გარს შემოეველებოდა და შორიდან დაიწყებდა იერიშს.  
მაგრამ მოქალაქეებმა ჰიშკარი ნებით გაუღეს, თავად ჩაბარდნენ რომაელებს და თავიანთი  
ქონებაც მათვე გადასცეს, – ამან იხსნა ქალაქის მცხოვრენი; არგაქსაგა ცეცხლს მივეცი-  
თ. განადგურდა და მიწასთან იქნა გასწორებული, რადგან ძლიერი ჯარის ჩაუყენებლად, მა-  
შინ როდესაც სიმაგრეებს დიდი ადგილი ეკავათ, შეუძლებელი იყო ქალაქის შენარჩუნება,  
ხოლო ჩვენ ძალები არ გეყოფნიდა საიმისოდ, რომ გავვენაწილებინა დაცვის გასამავრე-  
ბლად და ომის საწარმოებლად, – თუ კიდევ მეცხოვრებოდა გარემო ხელუხლებლად დაე-  
ტოვებდით არგაქსაგას, ვერავითარ სარგებლობას ვერ ენახავდით და ვერც იღიდებას  
მოვიხვეჭდით იმით, რომ ხელთ ვივლეთ ქალაქი. ამას მე დღე დავართო თითქოს ღმერთების  
ნებით მოვლენილი სასწაული: არგაქსაგის კედლებს გარეთ ყველაფერი განათებული იყო  
მშით, ხოლო ზღუდემომოვლებული ადგილი უუერად ისე დაიფარა დრუბლით და გამოეყო  
აელვარებულ სიერეს, რომ იწამეს, თითქოს ღმერთების მტრული განწყობის გამო ქალაქი  
დასაღუპად იყო განწირული.

ყოველივე ამის წყალობით აღიარებულ იქნა იმპერატორი ნერონი, რომელსაც მიუ-სალმა ჯარი; სენატის დადგენილებით, სუპლიკაციები მოეწყო, აღმართეს ქანდაკებანი და თალი, პრინცესის კონსულობა ელოდა, დღესასწაულად უნდა შეერაცხათ ის დღე, როცა გა-მარჯვება მოიპოვეს, აგრეთვე – რა დღითაც ამენეს და რა დღითაც გამოცხადდა მის შეს-ახებ; სხვა ამგვარი გადაწყვეტილებებიც იქნა მიღებული და ისინი იმდენად სცილდებოდნენ ზომიერების ფარგლებს, რომ გაიუს კასიუსმა, რომელიც დანარჩენ პატივთა მიმღებამე თანახმა იყო, აღნიშნა: თუ ბედის წყალობისათვის ღმერთებს შესწირავენ მადლს, მთელი წელიწადიცი კი არ ეყოფოდათ სუპლიკაციებისათვის, რის გამოც უნდა განესხეაუებინათ საუქმო და სადაგი დღეები, როცა ღეთისმსახურებას აღასრულებდნენ და ადამიანურ საქმეებშიც ხელი არ შეეშლებოდათ.

#### წიგნი XIV

23. მას შემდეგ, რაც არტაქსატა განადგურებულ იქნა,<sup>55</sup> კორბულონმა გადაწყვიტა ესარგებლა შიმის ზარით, რომელმაც ახლად მოიყვა მოწინააღმდეგე, და დაეპყრო გი-გრანოკერტა; მისი მოსრევითა და განადგურებით მტრებს კიდევ უფრო შეაძრწუნებდა ან, დანდობის შემთხვევაში, გულმონწყალე მბრძანებლის სახელს განიგდებდა. იქით მიიწვეს ისე, რომ თავდასხმებს არ აწყობს, რათა შეწყნარების იმედი არ წაერთვათ, მაგრამ არც სიფხიბლეს კარგავს, რადგან იცნობს ამ ხალხს, რომელსაც ორპირობა სჩვევია და იმდენადე მძიმეა საფრთხეში, რამდენადაც გაუგანელი – ბელკეთილობის ეპოს. ბარბაროსთაგან, თავთავიანთი ხასიათის და მნეჩვეულებების შესაბამისად, ზოგნი ვედრებით მიმართავენ, ზოგნიც გოვებებს სოფლებს და უდაბური ადგილებისაკენ მიიღგვიან; იყენენ ისეთებიც, რომლებმაც უჭირფასესი ნივთები თან წაიღეს და გამოქვაბულებს შეაფარეს თავი. ამდენად, რომელი სარდალიც სხვადასხვა ხერხს ხმარობდა: შემწყნარებელი იყო მავედრე-ბელთა მიმართ, სწრაფად აოგებდა დევნილთ, უღმობლად უსწორდებოდა მათ, ვინც თავმესაფრებში ჩაიკეცებოდნენ: გამოქვაბულთა შესასვლელ-გამოსასვლელს ფიჩხით ამოაუსებდა ხოლმე და ცეცხლში დანთქამდა. ხოლო მარდთა საზღვრების ახლოს რომ მიე-მართებოდა, მას თავს დაესხნენ თარეშსა და რბევამი გაწვრთნილი მარდები, რომლებსაც მთები იცავდნენ შემოსევისაგან; კორბულონმა იბერები მიუშვა მათ წინააღმდეგე გააცამგვერა მტერი და მის სითამამემე უცხო სისხლით იძია შური.

24. თუმცა თავად მას და ლაშქარს არაერთარი ზიანი არ განუცდიათ ბრძოლისაგან, მაინც ილაჯი გაუწყლათ გაჭირებისა და დიდი სიძნელეების გამო, იძულებულნი იყენენ მარტოდენ ხორციტ მოეკლათ შიმშილი; ამასთან უწყლობა, მათხულის ხეაგი, შორი გმე-ბის გადალახვა – უმსუბუქდებოდათ მხოლოდ სარდლის მოთმინების წყალობით, – სარდ-ლისა, რომელიც უბრალო ჯარისკაცის გასაჭირს და კიდევ მეტსაც ითმენდა. შემდეგ დას-ახლებულ მხარეს მიადგნენ და მოსაველი აიღეს. ორი ციხე-სიმაგრიდან, სადაც არ-მენიელებს შეეფარებინათ თავი, ერთმე იერიში მიიგანეს და ხელთ იგდეს; ისინი, რომლებ-მაც პირველი მეტევა მოიგერიეს, ალყაში იქნენ მომწყვედულნი. აქედან ტავრანიგების ქვეყანაში გადასული კორბულონი მოულოდნელ საფრთხეს გადაურჩა: მისი კარვის ახლოს ნახეს შუბოსანი ბარბაროსი, წარჩინებულნი გვარისა, და წამებით გაამეღავებინეს ბარ-ბაროსიების მიერ მოწყობილი მზაკეობა, მან იკისრა შეთქმულების მოთავეუბა და მო-კავშირეებიც გასცა. მხილებულ იქნენ და დაისაჯნენ მახის დამგებნი, რომლებსაც მეგო-ბრობის ნიღაბი ჰქონდათ აფარებული. მცირე ხნის შემდეგ გიგრანოკერტიდან გამოგმა-ვილი ელჩები აუწყებენ, რომ ციხე-ქალაქის კარები გახსნილია და მოქალაქენი მზად არიან ბრძანებათა შესასრულებლად. ამასთან, ელჩებმა ოქროს გვირგვინი მოართვეს ვითარცა სამასპინძლო ძღვენი. პატივისცემით მიიღო კორბულონმა, არც რაიმე ზიანი მიუყენებია ქალაქისათვის, რათა უენებლად დაუკულ მოქალაქეებს მით უფრო ერთგულად შეენახათ მორჩილების გრძნობა.

25. ლეგერდის ციხე-სიმაგრე, რომელშიც ჩაიკეცა შეუპოვარი ახალგაზრდობა, უბრ-ძოლველად არ აულიათ; მეციხოვნეებმა ციხის კედლების წინ შებმაც გაბედეს და, სიმაგრეში

უკუქეულთ, მაშინდა დაყარეს იარაღი, როცა მოლაშქრენი შიგ შეიჭრნენ და შეუგვის; ეს კი შედარებით ადვილად მოხერხდა იმის გამო, რომ პართელები პირკანებთან ომში იყვნენ ჩაბმულნი. პირკანებმა მოციქულები გაუგზავნეს რომაელ პრინციუსს მოკავშირეობის სათხოვნელად, თან უთითებდნენ, რომ თავად ისინი [პირკანები] მეგობრობის საწინდრად აკავებდნენ ეოლოგებეს. უკან მიმავალ მოციქულებს კორბულონმა მცველები აახლა, რომლებმაც წითელი ზღვის ნაპირებამდე ჩაიყვანეს, რათა ეფრატის გადალახვის შემდეგ მტრის მოდარაჯე რამზებს არ შეეპყროთ. მერე კი, თავი დააღწიეს რა პართელთა სამღვრებს, მშობლიურ ადგილსამყოფელს დაუბრუნდნენ.

26. როცა გირიდაგე მეღების მიწაწყლის გაელით არმენიის მოსაზღვრე მხარეებში შეიჭრა, წინასწარ გაგზავნილ იქნა ლეგატი ვერულანუსი მამულ ქარებთან ერთად, თავად კორბულონიც გაემურა ლეგიონებითურთ და აიძულა გირიდაგე შორს გასცლოდა, ომის იმედგაწყვეტილი. ვისზედაც კი შეიგყო, რომ მტრულად იყო განწყობილი ჩვენდამი, [კორბულონმა] ყველანი ცეცხლითა და მახვილით ალგავა პირისაგან მიწისა და არმენიის სამფლობელო ხელთ ეპყრა, როცა მოვიდა გიგრანი, ნერონისაგან გამორჩეული – ძალაუფლების დასაპყრობად, კაპადოკიელ წარჩინებულთაგანი, მუჟე არქელაუსის შთამომავალი, მაგრამ დიდხანს მძევლად ნამყოფი რომში და ამის გამო დამდაბლებული მონურ ქედმონილობამდე. ერთპირობით არ მიუღიათ იგი, რადგან ზოგი კვლავ დიდად თანაუგრძნობდა არსაკიდებს, ხოლო უმეტესთ, მოძულეებს პართელთა მზავობრობისა, რომელებსაგან გამოგზავნილი მუჟე ერჩიათ. აახლეს მცველებიც – ათასი ლეგიონერი, მოკავშირეთა სამი კოჰორტა და ორი ცხენოსანი რამში, რომელიც ლეგიონის ფრთებს დაიფარაედა. ამასთან, გიგრანს რომ უფრო ადვილად შეენარჩუნებინა ახლად მიღებული სამეფო ტახტი, ნაბრძანები იყო არმენიის გარკვეული ნაწილები დამორჩილებოდნენ ფარასმანეს, პოლემონს, არისგობულუსს და ანგიოქუსს იმის მიხედვით, თუ ვის სამფლობელოს ესამღვრებოდნენ. კორბულონი წაივდა სირიაში, რომელიც ლეგატ უბიდიუსის სიკედილის შემდეგ უგამგებლოდ დარჩა და მას ჩააბარეს.

27. იმავე წელს ამიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქალაქი ლაოდიკეა მიწისძვრის შედეგად განადგურდა და ჩვენგან სრულიად დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით აღდგა.

## ისტორია

### წიგნი I

2. 1. ვიწყებ თხზულებას, აღსავსეს უბედური ამბებით, შემადრწუნებელი ბრძოლებით, მურიგებელი განხეთქილებებით, როცა თვით მშვიდობიანი დროც კი საზარელა იყო. ოთხი ხელმწიფე<sup>64</sup> მახვილით დაიხოცა; სამი სამოქალაქო, უფრო მეტი საგარეო და მრავალი მერუელი ომი მოხდა: წარმატებანი მოვიპოვეთ აღმოსავლეთში და მარცხი განვიცადეთ დასავლეთში: აჯანყდა ილირია; შეირყა გალია; დამორჩილებულ და მყის განთავისუფლებულ იქნა ბრიტანეთი; აღდგნენ ჩვენზე სარმატთა და სეებთა გომები: დაკიამ სახელი გაითქვა საერთო [ჩვენი და მათი] დამარცხებებით; კინალამ პართელებიც აღიძრნენ საომრად ერუ-ნერონის ხრიკების წყალობით.

6, 2. ვალბას შესვლა ქალაქში ამდენი ათასი უიარაღო ჯარისკაცის გატეგის შემდგომ ბედითი ნიშანი იყო და თვით მათთვისაც. ვინც ჯარისკაცები დახოცა, თავზარდამცემი. რაკი ესპანეთის ლეგიონი იქნა შემოყვანილი და ის ლეგიონიც იქვე რჩებოდა, რომელიც ნერონმა მოკრიბა ფლოგში, ქალაქი უჩვეულო ჯარით იყო სავსე. ამათ ერთვოდა ვერმანიიდან, ბრიტანეთიდან და ილირიიდან ჩამოყვანილი ბევრი რამში, რომლებიც იმავე ნერონმა შეარჩია და კასპიის ბჭებთან გაგზავნა იმ ომისათვის, რომელსაც ალანთა წინააღმდეგ ამზადებდა,<sup>65</sup> მაგრამ ვინდექსის მიერ წამოწყებული ამბოხების ჩასაქრობად გამოიწვია უკან. გადატრიალებისათვის დიდი მიზეზი არსებობდა, ოღონდ ერთ რომელიმესკენ კი არ იხრებოდა ჯარისკაცთა კეთილგანწყობილება, არამედ მზად იყო ვინმე გამბედავს მისდგომოდა.

79. ყველას გონება სამოქალაქო ომისაკენ იყო მიპყრობილი და ნაკლებად ფიქრობდნენ ვარემე ომებისაგან მოსალოდნელ სარფთხებზე. ამით გათამამებული როქსოლანების გომი, სარმატები, რომლებმაც გასულ მამთარს ორი კოპორტი გაყლიტეს, დიდი იმედით შეიჭრნენ მეზიაში 9 ათასამდე ცხენოსნით. ეს იერიში და თავგასულობა უფრო ნადავლის მოპოვების სურვილით იყო გამოწვეული, ვიდრე ბრძოლის. ასე უდარდელად, უმიზნოდ მოხეტიალეებს უსაბედოდ შესამე ლეგიონი დაესხა თავს დამხმარე ძალით.<sup>66</sup> რომაელები მშად იყვნენ ბრძოლისათვის. სარმატები კი მიმოფანტული იყვნენ ნადავლის ძებნაში. ზოგიც საბარგო გვირგვინით იყო დამძიმებული, ცხენები ციყაბო კლდეებზე ძლივს მიბობდავდნენ, და ისინი თვითონ თითქოსდა ხელ-ფეხმებორკილები იყვნენ, ისე ეცემოდნენ მგრის მახვილისაგან. საოცარია, მაგრამ სარმატების სიზამაცე თვით მათზე არ იყო დამოკიდებული. ქვეით ბრძოლაში ისინი მოუქნელნი იყვნენ, მაგრამ მათ 30 კაციან ცხენოსანთა რაზმს ვერაინ გაუწვედა წინააღმდეგობას. მაგრამ იმ დღეს, ნისლი იდგა, დნებოდა თოვლი და სარმატებს არ შეეძლოთ არც შუბების, არც გრძელი მახვილების გამოყენება, რომლებიც მათ ორივე ხელით უჭირავთ, მათი ცხენები ეცემოდნენ და თვითონაც ჯავშნები ამძიმებდათ. ეს ჯავშნები, რომლებსაც მეთაურები და წარჩინებულები ატარებდნენ, გაკეთებული იყო რკინის ფირფიტებისა და მაგარი გყავისაგან. ის იერიშის დროს გამოსადეგი იყო, რადგან მასში მგრის იარაღი ვერ აღწევდა. მაგრამ თავდასხმისას ასეთი ჯავშნით წაქცეულებს წამოდგომა აღარ შეეძლოთ. ამასთანავე, მათი ცხენები ფაფუკ და ღრმა თოვლში ეფლობოდნენ. რომაელი ჯარისკაცები კი, მსუბუქი აბჯრით იყვნენ დაცულნი. ისინი ოროლებითა და შუბებით ესხმოდნენ მგერს თავს და როცა საჭირო ხდებოდა, ხელჩართულ ბრძოლაში მოკლე მახვილებითაც ანადგურებდნენ შეუიარაღებელ სარმატებს (რომლებიც, თავისი ჩვეულების გამო, არც ფარით იყვნენ დაცული), სანამ სულ მცირე, რომლებიც ბრძოლას გადაურჩნენ, ჭაობებში არ დაიმალნენ, სადაც მათ მამთარმა და ჭრილობებმა მოულო ბოლო. როდესაც ამ ცნობამ რომამდე მიადწია, მარკუს აპონიუსი, მეზიის მფლობელი, გრი-უშფალური ქანდაკებით დაჯილდოვდა,<sup>67</sup> ხოლო ფულეიუს ავრელიუსი, იულიანუს ტეტციუსი და ნუმისიუს ლუპუსი – ლეგიონის ელჩები – საკონსულო ნიშნებით.<sup>68</sup> გახარებული ოგონი ამ დიდებას თავის თავს მიაწერდა, თითქოს ბრძოლაში ბედმა გაუღიმა მას და მისი ლამქრისა და მისი სარდლობის წყალობით რესპუბლიკამ სახელი მოიხვეჭა.

### წიგნი III

47. არც სხვა ერები იყვნენ წყნარად. ანაზღად იარაღი აღმართა პონტოში ბარბაროსმა მონამ, რომელიც ოდესმე სამეფო ფლოტის მეთაური იყო ის გახლდათ ანიკეტოსი,<sup>69</sup> კოლუმონის აზატი, ოდესღაც ფრიად ძლევამოსილი, ხოლო მას შემდეგ რაც პროვინციად იქცა სამეფო, ცვლილებას ვერ ითმენდა. ამიგომ ეეგელიუსის სახელით მოიძხრო გომები, რომლებიც პონტოსთან [შავი ზღვასთან] ცხოვრობენ, აგრეთვე ძარცვის იმედით აყთუნა ულატაკენი, არა მცირე რაზმს ჩაუდგა სათავეში და ანაზღად შეიჭრა გრაპემუნგში, ძველთაგანვე სახელგანთქმულ ქალაქში, რომელიც ბერძნებისაგან არის დაარსებული შავი ზღვის უკიდურეს სანაპიროზე. იქ ამოკლიტა კოპორტი, რომელიც ოდესღაც სამეფო დამხმარე ჯარი იყო. შემდეგ მათ რომის მოქალაქეობა და ჩვენებური ღრმეები და იარაღი მიანიჭეს, მაგრამ ბერძნების სიზარმაცე და თავნებობა კი შერჩათ. ფლოტსაც ცეცხლი წაუკიდა და აბუჩად აიგლო ცარიელი ზღვა, ვინაიდან რჩეული ლიბურნული ხომალდები და მთელი ჯარი მუციანუსმა ბიზანტიონს წაიყვანა. ამიგომაც ბარბაროსები თავხედურად დაძრწოდნენ სახელდახელოდ გაკეთებული ნაევით. [მათ] კამარებს უწოდებენ,<sup>70</sup> [აქეთ] დაბალი გვერდები, განიერი მუცლები; შეკრულნი არიან ბრინჯაოს ანდა რკინის სამაგრების გარემე და როცა ზღვა დელავს, ტალღების სიმაღლისა-და მიხედვით, ნაევებსაც სიმაღლეს უმაგებენ ფიყრებით, ვიდრე [სახლის] სახურავივით არ გადაიხურება. ასე დალივლივებენ ტალღებში, აქეთ რა ორივე მხარეს ერთნაირი ცხვირები და ერთნაირი მოსასმელი ნიჩბები, ისე რომ ორივე ცხვირით თანაბრად და უვნებლად [შეუძლიათ] ნაპირს მიაღწენ.



48. ამ საქმემ იმდენადაც [მოიქცია] ექსპანიანეს ყურადღება, რომ ლეგიონებიდან გამობრძმედილი სათადარიგო ჯარისკაცები და ომში გამოცდილი სარდალი ვირდიუს გემონუსი ამოირჩია. იგი თავს დაესხა გაბნეულ და ალაფობის წადილით გაფანტულ მტერს და ხომალდებზე შერევა; [მერმე] მსწრაფლ ააგო ლიბურნული ხომალდები<sup>71</sup> და ანიკეგოსს მდინარე ხობის<sup>72</sup> შესართავში დაეწია, სადაც იგი უშიშრად იყო სელოხელების<sup>73</sup> მეფის შემწეობით, რომელიც მოკავშირეობაზე ფულითა და საჩუქრებით დაითანხმა. პირველად მეფე შექარითა და იარაღით იცადა კიდევ [შეფარებულ] მავედრებულს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლალაგისათვის ჯილდო, თუ არადა ომი შესთავაზეს, ბარბაროსების ჩეულებისამებრ რწმენამერყევი, დათანხმდა ანიკეგოსის დალუქვას და ლგოლელებიც გასცა. ასე მოვიღო ბოლო მონათა ომს.

## შენიშვნები

\* გნეუს კალპურნიუს ჰიზონი – კონსული ძე. 7 წ, სირიის პროკონსული ახ.წ. 17 წ. გერმანიკუსის მტერი.

1. გერმანიკუსი (ძე.წ. 15 – ახ.წ. 19) – იგულისხმება შვედართმთავარი იულიუს კისარი გერმანიკუსი – დრემუს უფროსის ძე, იმპერატორ ტიბერიუსის ძმისწული. გერმანელთა წინააღმდეგ რამდენიმეჯერ წარმატებით ილაშქრა.

2. აქ ცაიკუსი უბრუნდება არმენიის ამბებს, რომელიც ამავე წიგნის მე-4 თავშია მოთხრობილი.

3. ეონონი – მეფე ფრაგ IV-ის ძე, მძევლად მიყვებული ავსტრუსისათვის, თითო ფრაგ IV პართიელთა მეფე იყო არშაკიდების გეარასი ძე. I ს. II ნახევარში.

4. მენონი – პონტოს მეფის პოლემონ I-ის ძე, რომელიც სომხეთის გახტვებ დასევა გერმანიკუსმა და სომხებში არგაქსიას სახელით იყო ცნობილი.

5. არგაქსაგა ანუ არგამაგი – ე.წ. დიდი არმენიის დედაქალაქი, რომელიც მდ. არაქსის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარეობდა.

6. აქ იგულისხმება ევკიპის ძეული ქალაქი თებე, რომელიც მარკუს სილანუსისა და ლუციუს ნობინის კონსულობის დროს, ე.ი. ახ.წ. 19 წელს დაუთვალაიერებია გერმანიკუსს.

7. ევკიპის ფარაონის რამზესის (რამზეს II, მეფობდა დაახლ. ძე.წ. 1307-1240 წწ. იგი აგრეთვე სესოსტროსის სახელითაც არის ცნობილი) ლაშქრობის შესახებ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ სკიითიასა და კაეკასიამში, მოგვითხრობენ პეროლოგე (II, 103), იუსტინუსი (I, I, 4) და პლინუს უფროსი (XXXIII, 52).

8. ბითინიისა და ლიკიის მღებები უნდა იგულისხმებოდეს შავი და ხმელთაშუა მღებების ის ნაწილები, რომლებიც სწორედ ბითინიისა და ლიკიის სანაპიროებს ეკუთვნის.

9. ეონონი სკიითიის მეფის ნათესავად იმ აზრით არის ნახსენები, რომ არშაკიდების დინასტია, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, თავის წარმოშობას უკავშირებდა არშაკ I-ს, სკიითების გომის – დაბის – ბუღალს.

10. აქედან ჩანს, რომ ეონონის ერთი მიტოვებული მისი გაქცევის ხელისშემწყობთაგანაც უფილდა და რათა თავისი ბოროტგმოქმედება დაეფარა, იმეგობრე მოუღია ბოლო ლგოლელები უფლისწულისათვის.

11. ესპანეთის დამორჩილება ახ.წ. 19 წელს იგულისხმება, როცა რომაელებმა ომი დაამთავრეს კანტაბრებისა და ასტურების გომებთან.

12. აქ იგულისხმება იუბა II, ძე ნუმიდიის მეფე იუბასი, რომელიც ძე.წ. 40 წელს დაამარცხა იულიუს კისარმა თავსასთან.

13. იბერიის მეფეთა ასეთ კონტექსტში მოხსენიება სრულიად უთანხმება სხვა წყაროებს, მათ შორის უფრო გვიანი ხანის ექსპანიანუსის მცხეთურ წარწერას, რომლის მიხედვითაც იბერია რომის მიმართ მეგობრულ დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყნად ითვლებოდა, რაც გარკვეულ ვადლებულებსაც აკისრებდა ორივე მხარეს, განსაკუთრებით გარეზე ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებში.

14. რემეტალკოსი, რესკაპორიდის ძე, მეფობდა თრაკიის ნაწილში ახ.წ. 19 წლიდან ამის შესახებ იხ. აგრეთვე ანალები II, 62 და III, 38.

15. გაიუს ცესტიუსისა და მარკუს სერვილიუსის კონსულობა უწევს ახ.წ. 35 წ.

16. არგაბან III – პართიელთა მეფე არშაკიდების დინასტიიდან, რომელიც კასპიისკადაღმა მხარის დასავლეთი ალიმარდა და ახ.წ. 16 წ. შემოსუნივლად ეონონს წაართვია სამეფო ტახტი ამ პიროვნების შესახებ ლაპარაკია კიდევ ამავე თხზულების წინა ნაწილშიც (II, 3).

17. არგაქსიას სახელით, როგორც ითქვა, ახ.წ. 18-35 წლებში სომხეთში მეფობდა პონტოს მეფის პოლემონის ძე მენონი, რომელიც სწორედ გერმანიკუსმა დასევა ტახტზე. მღრ. აგრეთვე, სტრაბონი XII, 3, 29.

18. ეს არშაკი მეორეა, არშაკ I-ად მიჩნეული საერთოდ პირველი არშაკი, რომელიც უთითო არგაქსია I-მდე მეფობდა, ისტორიულ პირად არ ითვლება. არშაკი მეორე სომხეთიდან მალევე გააძევა მითრიდატე იბერიელმა, ფარმან I-ის ძმამ, რის შესახებაც იხილეთ აქვე, VI, 33.

19. მეფე ფრაგმაი აქ იგულისხმება ფრაგ IV, რომელიც ძვ.წ. 37-2 წლებში მეფობდა და რომელმაც რომს გაგზავნა თავისი ოთხი ვაჟიშვილი, მათ შორის აქ მოხსენიებული ფრაგაცი (მღრ. აგრეთვე, ანაღ. II, 1).

20. გირადგი – ფრაგ IV-ის შეილიშვილი, რომელმაც რომაელთა ჯარის შემწევობით სცადა ახ.წ. 35 წ. პართიის სამეფოს ხელში ჩაგდება, მაგრამ მარცხი განიცადა. იხ. აქვე, VI, 41.

21. მითრიდატე იბერიელი – ძმა იბერიის ანუ ქართლის მეფე ფარსმან I-ისა. სომხეთის ტახტზე იჯდა ახ.წ. 35-37 და 45-51 წლებში, შუალედი ხანა კი რომის იმპერატორის კარზე იმყოფებოდა. მღრ. აგრეთვე, დიონ კასიოსი, VIII, 26, 3, 4.

22. ეს ლუციუს ვიტელიუსი, იმპერატორ გიბერიუსის ლევაგი სირიამი, არის მომავალ იმპერატორ ვიტელიუსის მამა, რომელსაც ტაყიგუსი ძალიან უღელ ფერებში ხატავს, როგორც პირმოთნე და საძაველ პიროვნებას.

23. აქ, რასაკვირველია, იმდენად მკაფიოდ არის აღწერილი ეს გზა, რომ ძალიან მცირე ადგილი რჩება ევკოსათვის, რასაც B/III-ის კომენტატორი იჩენს (იხ. სენეხული ეურნ., 1949, №3 (29, გვ. 211)). აქ სწორედ დარიალის ხეობაზე უნდა იყოს ლაპარაკი, რომელსაც პლინიუსი „კავკასიის კარს“ (VI, 30), ხოლო პტოლემიოსი (გეოგრაფ. V, 8, 11), „სარმატთა კარს“ უწოდებს. ამასთანავე ნიშანდობლივია, რომ პლინიუსი დასტენს კიდევ, ზოგი მწერალი ამ კარს შედგომით კასპიის კარს უწოდებსო. თვით ტაყიგუსი კი მეორე გასასვლელს, ახლანდელ დარუბანდის მიდამოებში რომ ივარაუდებოდა, ცალკე ახსენებს, ძნელი დასაჯერებელი ჩანს აქ ის გასასვლელი იგულისხმებოდეს, რომელიც სტრაბონის მიხედვით (XI, 8, 9) ეთიომდა დასაელეთ საქართველოდან არმენიაში არსებობდა კასპიის მთებში.

24. „გასასვლელი მდებარეა და ალბანთა მიის კიდეს შორის“ დარუბანდის გასასვლელს უნდა გულისხმობდეს და პლინიუს უფროსი სწორედ ამას უწოდებს კიდევ კასპიის კარს (VI, 40).

25. არგონატთა მითის ეს ეურსია, რომლის მიხედვითაც, ეთომ იასონი შემდგომში კვლავ დაბრუნდა კოლხეთის მეფის საშფლოტლოში და დაეპატრონა მის საბრძანებელს, სხვადასხვა სახით სხვა მწერლებსაც აქვთ მოთხრობილი. მაგ, სტრაბონს (XI, 4, 8) და პლინიუს უფროსს (VI, 38), ზოლოდ, ეს უკანასკნელი იასონისაგან წარმოშობილად თვლის კავკასიის ალბანელებსაც.

26. კოლხიდაში ფრიქსოსის ორაკულისა და საკურთხეველის შესახებ, სადაც აკრძალული ყოფილა მსხვერპლად ეურძის მეწირვა, აგრეთვე ფრიქსოსის მიერ აგებული ლეექოთეას ტაძრის შესახებ მოთხრობილი აქვს სტრაბონს (XI, 2, 17).

27. ეს ამბავი ხდება ახ.წ. 47 წ.

28. მითრიდატეს შესახებ ლაპარაკია აგრეთვე „ანალები-“ წინა ნაწილშიაც – VI, 32 და სხვ.

29. როგორც ეცნობა, გაიუს კალიგულას მიერ მითრიდატეს ბორკილებში ჩასმა მოთხრობილი უნდა ყოფილიყო ანალების ამ დაკარგულ ნაწილში. ამ ამბავს ეხებიან აგრეთვე დიონ კასიოსი (X, 8) და სენეკა, თავის თხზულებაში – „სკლის სიმედიისათვის“ (XI, 12).

30. გოტარძი – პართიის მეფის არგაბან III-ის ძე, ძმა სხვა არგაბანისა და ვარდანისა, რომელიც ახ.წ. 40-51 წწ. მეფობდა პართიაში.

31. აქ იგულისხმება ქალაქი სელეკია, რომელიც მდ. ტიგროსზე მდებარეობდა. ერთ ხანს ითვლებოდა სელეკიების საგახგო ქალაქად და დაარსებულია სელეკოს ნიკატორის მიერ ძვ.წ. 301 წელს.

32. დემონაკტი მარტო ტაყიგუსის ამ ადგილიდან არის ცნობილი, როგორც პართელების შედარებითად ვარი არმენიაში.

33. კოგისი – იგულისხმება თრაქიის მეფის კოგისის ძე, რომელსაც იმპერატორმა გაიუს კალიგულამ ჩააბარა მეორე არმენია ახ.წ. 37 წ., დიონ კასიოსი, IX, 12.

34. იგულისხმება იმპერატორი კლავდიუსი.

35. იგულისხმება ახ.წ. 45 წ.

36. ბოსფორის მეფის, მითრიდატე VII-ის ძალაუფლების დაკარგვისა და კოგისის გამეფების შესახებ ამბავი იყო „ანალების“ დაკარგულ ნაწილში. ახ.წ. 49 წლის ამბები კი უფრო წინ, ანალების XII, 15 და მშდ. თავებში არის მოთხრობილი.

37. აელუს დიდიუს გალუსი, ახ.წ. 40 წ. ყოფილა მიზის „ლევატუს პრო პრეტორი“. მას ჩამოუვლია ტახტიდან მითრიდატე და მის მაგიერ დაუსვაშს მისი ძმა, კოგისი. იგი წყაროებით ცნობილია, აგრეთვე, როგორც სიცილიისა და ამიის პროკონსული და ბრიტანეთის ლევატი.

38. იგულისხმება ახ.წ. 51 წ.

39. ეოლოგები, ანუ ელარმ I, კონონ II-ის ძე. პართიაში მეფობდა დაახლოებით ახ.წ. 51-77 წლებში. მის შესახებ იხ. აგრეთვე დიონ კასიოსი, XII, 19.

40. რადამისტი – ფარსმან იბერთა მეფის უფროსი ძე. მას მარტო ტაყიგუსი ახსენებს. მღრ. აგრეთვე, დიონ კასიოსი, XI, 6 და სადაც, იბერიაში მომხდარ იმდროინდელ ამბებზეა კიდევ ლაპარაკი.

41. გორნეა – ციხე-სიმაგრე, რომელსაც თანამედროვე გარნიტონან აიგივებენ. იგი მდ. ვარნი-ჩაის ხეობაში მდებარეობს და არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ რომაული ხანის საინტერესო ნაგებობების ნაშთი მიკვლევლი. ჩანს, ბუნებრივი მდებარეობითაც მაგარ ციხე-ქალაქს წარმოადგენდა.

42. პოლენონი ამ სახელით დიონ კასიოსიუ ახსენებს (XI, 6, 6).

43. კასპურიუსი მარტო ტაყიგუსის თხზულებიდან არის ცნობილი ისტორიაში.

44. უმიდიუს ღერმიუს კვადრატუსი რომის იმპერატორის ლევატად არის ცნობილი ისტორიაში.

45. ხელშეკრულებათა დადების დროს სისხლის დროს სისხლის გამოშვებისა და ხელშეკრულების დამღებ მხარეთა წარმომადგენლების მიერ მათი შერევის ადათის შესახებ პეროლოგეც ლაპარაკობს (IV, 70) ოლონდ სკიტიებთან კავშირში.

46. ეს გირიდაგი მხოლოდ 66 წელს იქნა დამტკიცებული არმენიის გახგმე ნერონის დროს. შდრ. აგრეთვე, დიონ კასიოსი, XIII, 5, 2.

47. ამ წიგნში მოყეულია 54-58 წლების ამბები.

48. 49 წელს ნერონის აღმმრდელად დაინიშნა სენეკა, რომელიც დაბრუნდა მამინ გადასახლებიდან.

49. აქ – ღმერთების კეთილგანწყობა იმპერატორის, როგორც მდედართმთავრის მიმართ.

50. ე.ი. მომდევნო, 55 წლის კონსულოსის პერიოდზე.

51. მითრიდაგე ექპატორთან III ომის დროს (ძეწ. 74-65 წწ-ში).

52. XII ლეგიონი, რომელიც ადრე სირიაში იყო, შემდეგ მონაწილეობდა ბრიტანეთის ექსპედიციაში, ხლო ბოლოს შდ. რაინის ნაპირებზე იყო დაბანაკებული.

53. არადამისტის მოკლეეინება, როგორც ჩანს, რომელიც სარდლის, კორბულონის მიერ პართელებზე გალაშქრებაზე ადრე, ე.ი. ახ.წ. 58 წ-ზე უწინ უნდა მომდარიყო.

54. ამის შესახებ იხ. XIII წიგნის მეცხრე თავი.

55. 23 – 26 თავებში მოთხრობილია 59-60 წლების ამბავი.

64. ოთხ წელიწადში რომის ოთხი იმპერატორი იგულისხმება – გალბა, ოგონი, ვიგელიუსი და დომიციანუსი.

65. ნერონის ეს განმრახვა ახ.წ. 68 წელს უნდა ეკუთვნოდეს. კაეკასიის აღბანებზე გამოლაშქრებასთან ერთად მას, შესაძლოა, იბერიის დალაშქრავ ქჟონდა მიზნად, მაგრამ ნადრევაბ სიკვდილმა მოუსწრო.

66. ესაა მესამე. გალებისაგან შემდგარი ლეგიონი, რომელიც 68 წელს გამოიძახეს იგალიაში და მეზობე გაელისას შეებრძოლა სარმატებს.

67. იმპერატორთა ხანაში ბრწყინელე გამარჯვების მოშპოებელ მდედართმთავრებს გრომუს კი არ უმართავდნენ, არამედ ანიჭებდნენ გრომუსის აღსანიშნავად, მაგალითად, იმას, რომ ღვამდნენ მის ქანდაკებას, სადაც ის დაფნის გვირგვინით იყო შემკობილი და გრომუშატორის ტანისამოსით მორთული.

ამ დროს გრომუსი იმართებოდა მხოლოდ იმპერატორთა პატივისცემაზე.

68. ფელიუსი აერულიუსი იყო III ლეგიონის ლევაგი, ოულიანუს გეციუსი – VII ლეგიონის მდედართმთავარი, ნუმისიუს ლუპუსი – VIII ლეგიონის მდედართმთავარი. საკონსულო ნიშნები ეულისხმობდა – გოგას ფართო მოწეული მოლით კიღებზე და კურულის საეარძელს.

69. ანიეკის აჯანყების შესახებ ურელი ნაშრომი აქვს ა. ი. ბოლგუნოვას – Восстание Аникета, ВДИ, 1934, №2, стр. 59. აგრეთვე ს. ჯანაშიას, რომელსაც ეს ამბავი რომელეთა წინააღმდეგ ქართულ გომთა აჯანყების ერთ პირელ შემთხვევად მიაჩნია და რასაც ის მაშინდელ ქართულ სინამდელიუს უკავშირებს.

70. კამარების შესახებ სტრაბონიც ლაპარაკობს (XI, 2, 12), როგორც შვიმდელისპირეთის მცხოვრები ავაშაკი გომის აქეების კუთნილ ნაეებზე მოგი მკვლევარი თელის, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გომების კამარიგების სახელით მონათვლა დონისიოს პერიეგეტის მიერ (იხ. მისი თხზულების 721 სტრ.) სწორედ ამ ნაეების სახელით უნდა იყოს დაკავშირებული.

71. ლიბურნიული ხომალდები ლიბურნების, ილირიის სანაპიროს მცხოვრებლების კუთნილება იყო – მსუბუქ სანიჩბე ნაეებს წარმოადგენდნენ.

72. ხობოსის ლოკალიზაციის საკითხში საკმაოდ დიდი კამათი იყო ერთ ხანს. ჩვეულებრივ მას ახლანდელ მინარე ხობთან აიგიუებდნენ. იხ. აგრეთვე, ВДИ, 1938, №2, გვ. 315.

73. სელოხებები ტაციუსის ვარდა სხვას არაეის აქვს ნახსენები. კომენტატორებს სანებისა ან სენაკოლხების გომების ნაწილად მიაჩნიათ. უფრო საფიქრებელია, რომ აქ ტაციუსის გეგტი ძალიან დამახინჯებულია და ეს სიგევა ლამების რომელიდაცა მგოს შეიძლება გულისხმობდეს. ახ. ლათინური გეგტის შესაბამისი ადვილის ვარიანტები.

*თარგმნა ალექსანდრე გამყრელიძე*

# ლეკიფუს იენიუს იუვენალისი

(60 – 140 წწ.)

იუვენალისი დაიბადა ლაციუმის პატარა ქალაქ აკვინაში, ნერონის ეპოქაში. მამამისმა, ზოგიერთი ცნობით, გააზატებულმა მონამ, მომავალი პოეტის განათლებაზე ბევრითად იბრუნა და შეილი რომში გააგზავნა სასწავლებლად. იუვენალისი დედაქალაქში გრამატიკას და რიტორიკას ეუფლებოდა. სწავლის დასრულებისთანავე მომავალი პოეტი დეკლამაციუბის თხზვით ირჩენდა თავს.

საგირების წერა იუვენალისმა საკმაოდ მოწიფულ ასაკში, 36 წლისამ დაიწყო, თუმცა, პოეტს პოპულარობა მაშინვე ეწვია.

ჩვენამდე მოაღწია იუვენალისის 16 საგირამ, რომელიც პოემა ხუთ წიგნად გამოსცა 100-127 წლებში. მათი სამიზნე რომის ზნედაცემულობის მხილებაა. პოეტის რისხვას იწვევს ფარისეელობა, გარყვნილება, ქურდობა, დასმენა, მკვლელობა, რაც მის თანადროულ იმპერიამი ჩვეულებრივ საქმედ იყო ქცეული.

იუვენალისი ამ მანკიერებათა კრიტიკისას ძალზე ემოციურია, მისი ლექსი – დრამატული და შინაგანად დამუხტული. საგირების ენა – საკმაოდ თამამი, ადგილ-ადგილ ბილწისიგყვაობით შეზავებული.

საყურადღებოა, რომ იუვენალისი ბოროტებათა მხილებაში გარკვეულ უნივერსალიზმს აღწევს. მართალია, მისი რისხვა კონკრეტულ პიროვნებებს მიემართება, მაგრამ ანალოგია ბუნებრივად ვრცელდება ზოგადად მანკიერებებზე, რომელიც ყველა დროში მტკივნეულად აღიქმება.

იუვენალისი არა მხოლოდ ანტიკურობაში იყო პოპულარული, მის ციტირებას ახდენდნენ შუა საუკუნეებში, აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქაში. მის შემოქმედებას აღიარებდნენ ფრანსუა რაბლე, ვიქტორ ჰიუგო, ალექსანდრე პუშკინი.

ანთოლოგიაში მოყვებულია ნაწყვეტები იუვენალისის სხვადასხვა საგირებიდან.

თარგმანი:

იუვენალისი, საგირები, თარგმნა და კომენტარები დაურთო ეკატერინე კობახიძემ.

## სატირები

საგირა I

\* \* \*

- <...> როცა ცოლს ირთავს საჭურისი განაზებული,  
მკერდმოღელილი მევია კი ტახს შუბით გმირავს,  
პატრიციუსებს ქედმაღლურად ეპაექრება,  
25 ის, ვინც ოდესღაც ჭაბუკურ დინდლს მარჯვედ მპარსავდა  
და ნილოსელი ნაძირალა, კანოპას მკეიდრი  
მდაბიო მონა კრისპინუსი ტირულ მოსასხამს  
მხრების გაქნევით ტანზე ირგებს, თანაც გაოფლილ  
კოტიტა თითზე ოქროს ბეჭედს სულ იტრიალებს,  
30 თითქოს სიტყვაში გაუჭირდა გემმის ტარება,  
ო, რა ძნელია, სატირები არ წეროს კაცმა!  
ვინაა იგი, ვინც გულმშვიდად უმზერს ქალაქის  
უზნეობას და გააფთრება არ ეუფლება!  
აქ სადმე ვექილ მათოს ნახავს, ძლივს ჩაკვეტებულს

- 35      ლექტიკაში და იქვე – დამსმენს ახლო მეგობრის, ელვის სისწრაფით რომ წააგლეჯს წარჩინებულებს ბოლო ნარჩენებს <...>
- <...> განა სურვილი არ შეგიპყრობს გზაჯვარედინზე ცვილის დაფები მსწრაფლ შეავსო იმის აღწერით.
- 65      ღია კათედრით როგორ მოჰყავს ექვს კაცს კისრებით მეცენათივით გაპრანჭული ვიღაც ზონზრობა, წამოწოლილა ტახტრევეანზე ეს ყალბისმქმნელი, ცრუ ანდერძებით და ბეჭდებით გამდიდრებული <...>

### საგირა III

- <...> უმბრიკიუსმა დაიჩიულა: რაკი ვერ ნახავს რომში გასაქანს მუყაითი თავის ხელობით, თანაც ქონება ყოველდღისით ისე მცირდება, ეგებ ხვალ სულაც დაილიოს, უმჯობესია,
- 25      იქ გაეუშუროთ, სად დაკეცა ფრთა დელაუსმა ვიდრე სიბერე არ მოგეკაკეავს, თმას დაგეითოვლავს და ლაქეზისი არ მორჩება თავის ხელსაქმეს. სანამ ყავარჯენს არ ეყვრდნობი სიარულისას, დაეთმობ სამშობლოს. აქ კი დარჩნენ არტორიუსი
- 30      და კატულუსი, ვინც შავს თეთრად ლაღად ასაღებს. დაეპატრონნენ ტიბრისს, პორტებს, დამშრალ კლაკებს, ცხედრებს ისინი ამზადებენ კოცონისათვის, თავნება მონა შუბის ქვეშაც ბატონთან მიჰყავთ <...>
- <...> რომში რა მინდა? ვერ ვიტყუებ, არ შემიძლია უგვანი წიგნი განეადიდო და არც ვარსკვლავთა მჩხიბაობით მსურს შვილებს ვამცნო მამის სიკვდილი და არც ბაყაყის საშოში ვჭკერეტ ახლო მომავალს,
- 45      ვერც ცოლს მივართმევ ოღრაშივით კუროს ნაბოძვარს და არც გზავნილებს: სხვას მოჰკითხეთ – მე კი არასდროს დავხმარებებიარ ქურდს, ქალაქსაც ამიტომ ვტოვებ ვით უქონელი, ვისაც აღარც მარჯვენა ერჩის <...>
- <...> თუნდაც ისეთი მოწმე გყავდეს, თავის სიწმინდით იდას ღმერთქალის მასპინძელს ან ნუმან ემსგავსოს; მას, ვინც მინერვა აალებულ ტაძრიდან იხსნა,
- 140      პირველ ყოვლისა ცენზს ჰკითხავენ (ზნეობას – ბოლოს), რამდენი მონა აბადია, რა მამულები, სადილობისას რამდენ კერძს ნთქავს და რა ზომისას, რამდენი ფული მოაქუჩა თავის ზანდუქში. მეტი – მონეტა, მეტი – ნღობა. სამოთრაკიულ ანდა ჩვენებურ საკურთხეველს თუნდაც შეუფიცოს, რომში ჰგონიათ – დარიბს სძულსო ღმერთების ელვა და უკვდავებიც ამისათვის მას არ დასჯიან.

## სატირა X

- <...> ძალაუფლება ღუპავს მრავალთ – ღრმა შურს აღვიძებს  
პატივთ სიმრავლე მიაქანებს მფლობელს ფსკერისკენ,  
ბაგირს მიჰყვება ღიღბული ქანდაკებები,  
ძირს ენარცხება. ალესილი სეკირა უმსხვერვეს  
60 ორთვალას ბორბლებს და საბრალო ცხენებს – ფეხებსაც.  
გიზგიზებს ცეცხლი, ცხელ ღუმელში უკვე აღნობენ  
ხალხის ერთ რჩეულს – სეიანუსს ძლევამოსილსაც  
გუგუნე გააქვს. იმპერიის მეორე კაცის  
სახისგან ვიღებთ: კათხებს, ტაშტებს, ქვაბებს და ჯამებს.  
მოკაზმე სახლი, მიაშურე კაპიტოლიუმს  
65 კრეტული ხარით, იქ კავეებით გვამს მიათრევენ  
სეიანუსის. ბრბო ხორხოცებს: რა ტურები აქვს  
და რა სიფათი! „ღამიჯერე, ყოველთვის მძულდა,  
მაგრამ ნეტავი, რა იზრახა, რატომ მოაშთეს,  
70 ვინ დაასმინა, რა კვალა, მოწმე ვინ არის?“  
„არა, ეგ არა – წერილია ვრცელი მოსული  
კაპრიდან თურმე“. „ყველაფერი გასაგებია,  
მაგრამ ბრბოს რა სჭირს? რა ახარებს?“ „სწყალობს ბედნიერთ,  
სძულს დაცემულნი, თუმც ნორციას ეტრუსკისათვის  
75 რომ გაელიმა, ტიბერიუსს კი შეჰკვეცოდა  
ღალი სიბერე, იგივე ხალხი ტუსკს ავგუსტუსს  
დაუძახებდა“ <...>

## სატირა XIII

- 60 <...> ამჟამად თუკი მეგობარი შენს მიბარებულ  
თანხას უკლებლივ დაგიბრუნებს შენივე ქისით,  
ტუსკურ წიგნებში ჩაიწეროს მისი სახელი  
გვირგვინიანი კრავის მიძღვნის ყოფილა ღირსი!  
როცა ვეცნობი პატიოსან ვინმე რომაელს,  
65 მიკვირს, თითქოსდა ორტანიან ყმაწვილს ვუმზერდე,  
ანდა მაკე ჯორს, ან თევზს – ხნულში. ისე დაეფრთხები,  
ვითომდაც ქეები წვიმდეს ციდან ან მწიფე მტევენად  
ფუტკრის ნაყარი ეშვებოდეს ტაძრის წვეროდან,  
ან კი მდინარე აღმავალი, აჩქარებული  
ზღვას მიერთვოდეს, რძის მორევად გადაქცეული <...>

## სატირა XIV

- <...> უკადრის საქმეს ნუ ჩაიდენ, თუნდაც იმიტომ,  
რომ აუ საქციელს არ მიბაძონ შენმა შეილებმა.  
40 ცუდსა და აუგს უფრო კარგად ესწავლობთ, იცოდეთ.

- ყველგან მოძებნი კატილინას მსგავს ნაძირალას,  
 ყველა ქალაქში, ქვეყანაში, მაგრამ ბრუტუსი  
 და ბიძამისი, სამწუხაროდ, აღარსად გვხვდება!  
 სახილველად და მოსასმენად მიუღებელი,  
 დაე. გა შორდეს ზღურბლს სახლისა, სადაც ყრმანია!
- 45 შორს – შეძავები, პარასიტი ღამის სიმღერით!  
 ვაჟს ყურადღება არ მოაკლო და უვარგისი  
 საქციელი თუ განიზრახე. შეილი გახსოვდეს –  
 დანაშაული აგარიდოს პირმშოზე ზრუნვამ.
- 50 თუკი შემდგომში ვაჟი ისეთ რამეს ჩაიდენს,  
 რასაც კენსორი კრძალავს, იგი დაგმსკავსებია  
 შენ არა მხოლოდ გარეგნობით, ცუდო მშობელო,  
 არამედ სულით, პირველ რიგში შენი ზნეობით.  
 მერე უარესს ჩაიფიქრებს და, რა თქმა უნდა,  
 განურისხდები, გალანძღავ და ყვირილს დაუწყებ.
- 55 მემკვიდრეობის წართმევითაც დაემუქრები,  
 მაგრამ არც ნება და არც თავი აღარ გექნება  
 ცალტვინა მოხუცს, რომლის უკვე ცარიელ გოგრას  
 დიდი ხანია კოტოშების დაყრა შეჰფერის <...>

### კომენტარები

#### საგირა I

- 23 – მევია – საეარაულოდ, იგივე ქალი, რომელიც ნახსენებია II საგირის 49-ე სტრიქონში. იგი მონაწილეობდა გარეულ ცხოველებზე ნადირობებში, რომლებიც ეწყობოდა ცირკსა და ამფითეატრში.
- 24 – პატრიციუსები – რომის სენატის წევრები, წარჩინებულები.
- კანოპა – ქალაქი მდინარე ნილოსის დელტაში.
- 27 – კრისპინუსი – ლომიციანუსის ერთ-ერთი კარისკაცი.
- გირა – ფინიკიის სამღვაო ქალაქი, რომის იმპერიაში განთქმული ხელოსნობით და ქსოვილების სამღვაო საქმით.
- 28 – ოქროს ბეჭდის გარება იუვენალისის ხანის რომში ამორალობად, წრეგადასულ ფუფუნებად აღიქმებოდა. ამაზე ანტიკურობის არაერთი ავტორი მითითებს.
- 30 – გეზმა – ძვირფასი თვალი.
- 32 – ქალაქი – აქ: რომი.
- 34 – მათო – ისტორიული პიროვნება. ნახსენებია მარციალისთანაყ.
- 35 – ლექტიკა – ერთგვარი საკაყ.
- 63 – ცვილის დაფები – ხის დაფები, რომელთა შიდა შხარე იფარებოდა ცვილით და მასზე ბასრი ჩხირით – სტილით იწერებოდა.
- 66 – მეცენატი – გაიუს ცელნიუს მეცენასი (მეცენატი) (ბე.წ. 70 – ახ.წ. 8), ოქტავიანუს ავგუსტუსის მეგობარი, ცნობილი თავისი ქველმოქმედებით და შემოქმედოდა მჭარველობით.
- 67 – მეცენატივით გაპრანჭული – მეცენატი გამოირჩეოდა ფუფუნების სიყვარულით და საკუთარი თავის მღღმიწვენიით მოვლით (მღრ. საგ. XII, 139) – მეცენატის დახვეულ კულულებსა და გარეგნობის გამამშენიერებულ სხვა ხერხებზე მითითებენ სხვა ავტორებიც (ტაყიგუსი, „დალოგი ორატორობის შესახებ“, 26, 1). ცნობილია, რომ მეცობრის ამ თვისებას დასცინოდა ოქტავიანუსი, რომელიც მეცენატზე პაროდირებსაც კი წერდა (სევეტონიუსი, ოქტავიანუსი, 9, 62).

#### საგირა III

- 25 – დედალუსი (ბერძნ. დედალოსი) – ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, მზაგვარი და მშენებელ-გამომგონებელი. მინოსის გყეეობიდან საკუთარი ხელნაკეთი ფრთებით გაფრინდა და სიცოცხლის მიაშურა. გაღმოყეებით იგი ქალაქ კუმში დაემუა.
- 27 – ლაქემისი – ერთ-ერთი პარკა (ბერძნ. მოირა), რომელიც ადამიანის სიცოცხლის ძაფს ართავდა.
- 29-30 – არტორიუსი, კატელუსი – ლომიციანუსის ეპოქის საქმისწინები.
- 33 – შუბის ქვემ – გაქვეულ მონას აუქციონზე აყიდდნენ, აუქციონის ადგილს შუბით მონიშნავდნენ ხოლმე.

44 - მეიბნაობის სხედასხვა სახეობებით გატაცებას ძველ რომში იუვენალისი სხევაგანაც დასცინის. აქ, როგორც ჩანს, მოომანტიკის პაროდირებაა მოცემული.

138 - იდას ღმერთიქალი - რვა კიბულე

იდას ღმერთიქალის მასპინძელი - კორნელიუს სკიპიო ნაზიკა, რომელმაც ძე.წ. 204 წ. კიბულეს კერაი შინ „მოიწვია“.

ნუმა - ნუმა პომპილიუსი, რომის ლეგენდარული მეფე, განთქმული ღმერთი და ადამიანური კანონების ცოდნითა და პატიოსნებით.

139 - კეკილიუს მეტელუსმა ძე.წ. 241 წ. ვესტას ტაძარში გაჩენილი ხანძრისას გადაარჩინა შინერეას ქანდაკება, ხოლო თავად დაბრმავდა.

140 - ცენზი - რომის მოქალაქეთა ღმერთენიერება შემოსაელის მიხედვით, დაწესებული რომის ლეგენდარული მეფის, სერვიუს ტულიუსის მიერ.

144 - სამოთრაკიული - რომაელთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა სამოთრაკიული მისტერიები.

### საგირა X

61. სვიანუსი - ლეკიუს ელიუს სვიანუსი (ძე.წ. 20 - ახ.წ. 31) პრეტორიელთა გვარდიის უფროსი, გიბერიუსთან დაახლოებული და ძალზე გავლენიანი დიდებული. გიბერიუსის კუნძულ კაპრიზე ყოფნის წლებში სვიანუსი ფაქტიურად რომს მართავდა. იგი თავიდან იმორება ყველა შესაძლო კონკურენტს ტახტისათვის ბრძოლაში. 31 წელს კუნძულ კაპრიდან მოულოდნელად გამოგზავნილი წერილით იმპერატორმა მისი სიკვდილით დასჯა და გვამის საჯაროდ გიბრისში გადაგდება ბრძანა, სამშობლოსათვის ღალატის ბრალდებით.

65. კრეტული ხარი - ხარები კუნძულ კრეტიდან ცნობილი იყვნენ თავისი დიდი მოშითა და თეთრი მეფრილობით. მსხვერპლმეწიერისათვის, ჩვეულებრივ, მხოლოდ თეთრი ფერის საქონელი გამოიყენებოდა.

72. კაპრი - კუნძული, სადაც სიოტყხლის უკანასკნელი 10 წელი გაატარა იმპერატორმა გიბერიუსმა, რომელსაც იქ სასახლე აქონდა.

76. ნორცია (ნორცია) - ეგრესკული წარმომობით ქალღმერთი, გაიგივებული რომაულ ფორტუნასთან. იუვენალისი მას რომაულ ანალოგს, ვეიქრობთ, იმიტომ ამჯობინებს, რომ სურს მიუთითოს სვიანუსის ეგრესკულ წარმომავლობაზე.

### საგირა XII

62. ტუსკური წიგნები - აქ იგულისხმება ეგრესკული რიგუალური წიგნები, ე.წ. „დისციპლინა ეგრესკა“, რომელიც წინასწარმეტყველების სხედასხვა სახეობებს აერთიანებდა და, ამასთან, ანომალური მოვლენების აღწერას და მათ ინტერპრეტაციას შეიცავდა.

### საგირა XIV

42. ბრეტუსი - მარკუს იუნუსი (ძე.წ. 85-42 წწ.) ციკერონის პოლიტიკური მოკამეირე. პრეტორი. კეისრის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე. რესპუბლიკელი.

სტოიკოსი. სიოტყხლე დაასრულა თვითმკვლელობით.

43. ბიბაქისი - ბრეტუსის ბიბა მარკუს პორკუს კატო (ძე.წ. 95-46 წწ.). ციკერონის მომხრე. კატილინას მიერ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთი მამზილებელი. იულიუს კეისრის ოპონენტი. რესპუბლიკელი. კეისარმა მას, როგორც სამიმ მოწინააღმდეგეს, ორი პაშფლუცი კი უძღვნა. სიოტყხლის ბოლოს თავი მოიკლა.

50. კემსორი - (ყენზორი) რომაელი მაგისტრატი, რომელსაც ხუთ წელიწადში ერთხელ ირჩევენდენ 18 თვის ვადით. მის ფუნქციებში შედიოდა ცენზის და სენატორთა სიის რევიზია. კენსორი ამასთან მოქალაქეთა მწეობასაც აკონტროლებდა.

*თარგმნა ეკატერინე კობახიძემ*



## ბაიუს სემპონიუს ტრანკვილუსი

(დაახლ. 70 – 140 წწ.)

სევეტონიუსის ოჯახი მხედართა ფენას ეკუთვნოდა, მამამისი იმპერატორ ოთოს ლეგიონში გრიბუნად მსახურობდა. მომავალმა მწერალმა განათლება რომში მიიღო ჯერ გრამატიკოსთა, შემდეგ ორატორთა სკოლაში. განსწავლული ჭაბუკი პლინიუს უმცროსს დაუახლოვდა, რომელიც ათი წლით იყო მასზე უფროსი და სიცოცხლის ბოლომდე მფარველობდა ახალგაზრდა ვაიუსს.

პლინიუსის დახმარებითვე მიიღო სევეტონიუსმა ქურუმთა ორი კოლეგიის წევრობის უფლება, მისივე ხელშეწყობით შეიძინა მამული რომის მახლობლად, რათა მშვიდად მიეყო ხელი სამწერლო საქმიანობისათვის.

117 წელს რომში იმპერატორი ხდება ჰადრიანუსი, მეცნიერებისა და ხელოვნების დიდი ქომაგი. სევეტონიუსს იწვევენ საიმპერატორო კარზე და სამოგადობრივი ბიბლიოთეკების მეთვალყურე ნიშნავენ. ამასთან, მწერალი კორნელიუს ლეპიდუსის სურვილი იმპერატორის მთავარი მრჩეველი ხდება. ამ თანამდებობამ სევეტონიუსს საშუალება მისცა ესარგებლა სახელმწიფო არქივის მასალებით, რომელთა გამოყენებით მან შექმნა „სახელოვან კაცთა შესახებ“, და „თორმეტი კეისრის ცხოვრება“.

ეს უკანასკნელი სევეტონიუსმა უძღვნა სეპტიმიუს კლარუსს, პრეტორიანელთა არმიის მეთაურს, რომელიც პლინიუსის გარდაცვალების შემდეგ მფარველობას უწევდა ნიჭიერ მწერალს.

122 წელს სევეტონიუსის მფარველი პრეტორიანელიც და თავად სევეტონიუსიც საიმპერატორო კარიდან მოულოდნელად დაითხოვეს. ამის მიზეზი დღესაც ბოლომდე უცნობია. უცნობია ისიც, რა ბედი ეწია სევეტონიუსს ამ მოვლენის შემდეგ თუმცა სვიდას „ლექსიკონში“ ჩამოთვლილი ნაწარმოებების ნუსხა გვაუფიქრებინებს, რომ მწერალს კიდევ დიდახან უნდა ეუცხება.

სევეტონიუსის უმთავრეს თხზულებას „თორმეტი კეისრის ცხოვრება“ წარმოადგენს. აქ მოცემულია: იულიუს კეისრის, ავგუსტუსის, ტიბერიუსის, კალიგულას, კლავდიუსის, ნერონის, გალბას, ოთოს, ვიგელიუსის, ვესპასიანუსის, გიგუსისა და დომიტიანუსის ცხოვრებათა აღწერილობა.

მწერალი ცდილობს ობიექტურობის დაცვით წარმოაჩინოს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დაჯგუფებულ იმპერატორთა დაღებითი და უარყოფითი მხარეები, ყოველგვარი დიდაქტიკური წიაღსვლების გარეშე წარმართოს თხრობა და მკითხველის ინტერესი არ შეანელოს. სევეტონიუსთან არც ეპოქის ანალიზია მოცემული, რადგან მწერლის მიზანი არის მთავარი გმირის პორტრეტის, მისი თვისებების წარმოჩენა.

თხრობისას სევეტონიუსი კონკრეტულ სქემას იყენებს, რომელიც, ამა თუ იმ კეისრის მოდემიდან დაწყებული, მისი გარდაცვალების გარემოებების გამოკლევით დასრულებული, იმპერატორის ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტთა წარმოჩენას ემსახურება.

სევეტონიუსის თხზულების ენა, ერთი შეხედვით, ერთფეროვანია და მშრალი, თხრობა – სქემატური და ორნამენტულობას მოკლებული, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეიგრძნობს მწერლის ნატიფ სისადავეს და ნაწარმოების კონცეპტუალურ მთლიანობას.

სევეტონიუსმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი ეპოქების ბიოგრაფიული კრებულების ენასა და სტილზე. მისი მიზაძვით შეიქმნა ენჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება“. როგორც ისტორიულ წყაროს, მას ყურდნობდნენ ვიქტორ ავრელიუსი, დიო კასიუსი, ავსონიუსი, ჯეტარაკა და სხვები.

### თარგმანი:

ვაიუს სევეტონიუს ტრანკვილუსი, ნერონი, თარგმანი და შენიშვნები მარინა გიორგაძისა.

# თორემბი კეისრის სხომრება<sup>1</sup>

## ნერონი<sup>2</sup>

1. ღომიციუსების გვარში ორი შგო იყო სახელგანთქმული – კალვინიუსებისა და აპენობარბუსებისა.<sup>3</sup> აპენობარბუსები თავიანთი წარმომავლობისა და მეგსახელის ფუქემდებლად ლუციუს ღომიციუსს თელიდნენ. გაღმოსემით, ერთხელ, სოფლიდან რომ ბრუნდებოდა, მას ლეთაბრივი გარეგნობის გყუი ემაწველი<sup>4</sup> შემოხელა და უბრძანეს ლუციუსს, სენაგისა<sup>5</sup> და ხალხისათვის შეეგყობინებინა მათთვის ჯერ კიდეე უცრობი გამარჯვების ამბავი, ხოლო ლეთაბრიობის დასგურად დაწუმე ხელი მეახეს და შავი წვერი სპილენძისმაგვარ კლალად უქციეს. ეს ნიშანი ლუციუსის მთელ მთამომავლობას გამოჰყვა და მათი უწრაველსობა ეღალთმიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიდეჯერ კონსულის<sup>6</sup> მოვალეობას ასრულებდნენ, ორჯერ გრიუმფაგორები<sup>7</sup> და ცენზორებიც<sup>8</sup> იყენენ და პატრიციუსებიც<sup>9</sup> გახდნენ, ეს მეგსახელი მაინც ყველას შემორჩა. ამ გვარის წარმომადგენლები საკუთარ სახელთაგან მხოლოდ გნეუსს და ლუციუსს არქმევდნენ, თანაც ერთგვარი მონაცელოებით, ხან ერთი სახელი მეღიმედ სამ ადამიანს ერქვა, ხან კიდეე ამ სახელებს რიგრიგობით არქმევდნენ. მართლაც, პირველ სამ აპენობარბუსს ლუციუსი ერქვა, მომდევნო სამს – გნეუსი, ხოლო დანარჩენებს, მონაცელოებით, ზოგს – ლუციუსი, ზოგს კი – გნეუსი. ბევრი ადამიანი მინდა ვაგაცნოთ ამ ოჯახიდან, რათა თქვენთვის უფრო ნათელი გასდეს, რომ ნერონმა თავის წინაპართა ღირსებებთაგან ბევრი რამ დაკარგა, ხოლო მათგან მემკვიდრეობით მრავალი მანკიერება მიიღო.

2. მამ, ცოგა შორიდან დაეიწყებ. ნერონის პაპის პაპა, გნეუს ღომიციუსი, რომელიე გრობუნუსის<sup>10</sup> თანამდებობაზე პონტიფეუსებს<sup>11</sup> გაუნაწყენდა, რადგან მამამისას თანამდებობაზე მის ნაცულად სხვა აირჩიეს, მან ქურუმთა გადარჩევის უფლება კოლეგიუმებს ჩამოართვა და ხალხს გადასცა. ხოლო როდესაც მან უკვე კონსულის თანამდებობაზე დაამარცხა ალობროგები და არვერნები,<sup>12</sup> პროვინციები სპილოზე ამხედრებულმა შემოიარა, უკან კი ჯარისკაცთა რაშმები მისდეედნენ, როგორც ეს გრიუმფალური სვლის დროს ხდება ხოლმე. მის შესახებ თქვა რიგორმა ლიცინიუს კრასუსმა: რა გასაკვირია სპილენძის წვერი პქონდეს კაცს, რომელსაც ენა – რკინის, გული კი გყვიის აქვსო. მისი ვაეი, თანამდებობით პრეტორი,<sup>13</sup> მიიჩნევდა, რომ გაიუს კეისარი,<sup>14</sup> თავისი კონსულობის დროს კანონების და წინასწარმეგყეელებების მიმართ უპატივცემულობას ამქლავებდა და სენაგიც კი მოიწვია ამ საქმის გამოსაძიებლად; როგორც კი იგი თვითონ გახდა კონსული, შეეცადა მხედართმთავარ გაიუს კეისრისათვის ვალიის ჯარები ჩამოერთმია და მისი მემკვიდრეობის მიღების უფლებაც მოიპოვა. იგი სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე შეიპყრეს კორფინიუმთან,<sup>15</sup> საიდანაც გაიქცა, ალყით გაწამებულ მასილიელებს<sup>16</sup> მიეკელა და მათ ამხნეებდა, მაგრამ ისინიე მიაგოვა და ბოლოს ფარსალუსთან<sup>17</sup> დაიღუპა. იგი ბუნებით მერყევი და სასტიკი კაცი იყო, სასოწარკვეთილმა ერთხელ თავის მოკვლაც გადაწყვიტა, მაგრამ შემინდა და საწამლავი უკანვე ამოანთხია, ექიმს კი თავისუფლება უბოძა, რადგან ეს უკანასკნელი გამოცდილი და ჭკვიანი იყო და მას ნაკლებმომწამელელი შხამი დაალევიან. ხოლო როდესაც იგი გნეუს პომპეიუსის მრჩეველის თანამდებობას ადასრულებდა, მხოლოდ იგი მოუწოდებდა მტრად გამოეცხადებინათ ყველა, ვინც მერყეობდა და არყერთ დაჯგუფებას არ ემხრობოდა.

3. მას დარჩა ვაეი, მართლაც სამაგალითო მთელს საგვარეულოში. იგი, თუმცა უდანამაულო იყო, კეისარის მკვლევებთან ერთად პედიუსის<sup>18</sup> კანონით გაასამართლეს, რადგან თავის ახლო ნათესაეებს, კასიუსსა და ბრუტუსს<sup>19</sup> მიემხრო, რომელთა სიკედილის შემდეგ საზღვაო ძალები გააერთიანა და გააძლიერა და მხოლოდ პატრიციუსების სრული დამარცხების შემდეგ დანებდა მარკუს ანგონიუსს<sup>20</sup> ღირსეულად და ნებაყოფლობით. პედიუსის კანონით მსჯავრდალებულთაგან სამშობლოში მხოლოდ იგი დაბრუნდა და უმადლესი პატივიც ერგო. სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე კვლავ ანგონიუსის ლეგატუსი<sup>21</sup> გახდა. კლეოპატრას<sup>22</sup> მოწინააღმდეგეებმა მას უმადლესი ხელისუფლებაე კი შესთავაზეს, რაზეე

მოულოდნელი ავადმყოფობის გამო ვერც უარი თქვა და ვერც თანხმობა განაცხადა. ბოლოს ავგუსტუსს დაუჭირა მხარი, მაგრამ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. უსიამოვნო ჭორებით ჩირქი მასაც მოსცხეს: ანტონიუსი ამბობდა, თითქოს იგი თავისი საყვარლის, სერვილია ნაისის გრფობის გამო მიეზრო მას.

4. მისი ვაჟი ღომიციუსი, როგორც ეს შემდგომში გახდა ცნობილი, ავგუსტუსმა ანდერძით თავისი ოჯახისა და ქონების ემპგორად<sup>23</sup> გამოაცხადა. მან ახალგაზრდობისას სახელი მოიხვეჭა ეგლებით შეჯიბრში, ხოლო გერმანიის ომში გრიუშვალური აღკამპულობის მულობელიც კი გახდა. ეს ღომიციუსი მართლაც რომ თავზედი, მულანგველი და სასტიკი კაცი იყო. ედილისის<sup>24</sup> თანამდებობაზე მან ცენზორი ლუციუს პლანკუსი აიძულა მისთვის გზა დაეთმო. პრეგორის და კონსულის მოვალეობებს რომ ასრულებდა, რომელიც მხედრები და მაგრონები<sup>25</sup> მიმებმ<sup>26</sup> სყენაზე გამოჰყავდა. ცირკსა<sup>27</sup> და ქალაქის სხვადასხვა უბნებში აწყობდა გარეულ ცხოველთა ბრძოლებს და გლადიატორთა<sup>28</sup> უფასო შეჯიბრებებს. ეს სანახაობები იმდენად სასტიკი იყო, რომ ავგუსტუსი, – როცა პირაღმა გაფრთხილებებმა შედეგი არ გამოიღო, – იძულებული გახდა ღომიციუსი საგანგებო მითითებებით დაეოკებინა.

5. ანტონია უფროსთან ღომიციუსს შეეძინა ვაჟი, მომავალში ნერონის მამა, მთელი თავისი ცხოვრებით ბილწი კაცი. როცა ახალგაზრდა გაიუსი კეისარს ახლდა აღმოსავლეთში, მან მოკლა თავისი გააზაგებული მონა, რადგან მან არ ისურვა დაეღია იმდენი, რამდენსაც ღომიციუსი აძალუბდა. ამ ამბის გამო მეგობრებმა ეს უკანასკნელი თავისი წრიდან გააძევეს, თუმცა, ვერც ამან ასწავლა ღომიციუსს ჭკუა; აპიის გზამ<sup>29</sup> მდებარე ერთ სოფელში მან უცებ ცხენები გააჭენა და ბავშვი გადათელა, თითქოს ვერც შეაზნია; რომში ზედ შუა ფორუმზე<sup>30</sup> თვალი ამოთხარა ერთ რომაელ მხედარს, რომელიც მას საჯაროდ ლანძღავდა; საეგვრო გარიგებებშიაც უსინდისოდ იქცეოდა: როდესაც იგი პრეგორის თანამდებობას აღასრულებდა, გამარჯვებულ მზობლელებს გასამრჯელოს არ აძლევდა – ცნობილია, რომ ამის გამო მას საკუთარი დაე კი დასყინოდა – მხოლოდ ეგლების გაეგრონეთა მოთხოვნის შემდეგ დააწესა ღომიციუსმა, რომ მომავალში დაუყოვნებლივ გაეყავა ჯილდო. უმენაეს აეგორიგეტა შეურაცხყოფის, მრუმობისა და საკუთარ დასთან, ლეიდასთან, სისხლის აღრევის გამო პასუხისგებისაგან მხოლოდ გიბერიუსის<sup>31</sup> სიკედილმა და გარემოებათა შეცვლამ იხსნა. იგი პირვითან<sup>32</sup> წყალმანკით გარდაიცვალა. მას დარჩა ვაჟიშვილი ნერონი, რომელიც გერმანიკუსის<sup>33</sup> ასულთან აგრიპინასთან<sup>34</sup> შეეძინა.

6. ნერონი ანციუმში<sup>35</sup> დაიბადა იანერის კალენდებამდე<sup>36</sup> 18 დღით ადრე, გიბერიუსის სიკედილიდან ცხრა თვის შემდეგ, სისხამ დილაზე და მშის სხივები მას უფრო ადრე შეეხო. ვიდრე დედაშიწას. მისი ბედისწერის თაობაზე მამინე ბევრი შემზარავი რამ დაასკენეს. წინასწარმეტყველური გამოდგა მამამისის, ღომიციუსის, სიგყეებიც. მან არ ზიილო მეგობართა მილოცვები და თქვა: ჩემგან და აგრიპინასაგან მხოლოდ კაცთმოძულე და ხალხისათვის უბედურების მომგანი ვინმე თუ დაიბადებოდაო. ნერონის მომავალი ბედუკულმართობის ამკარა ნიშანი სახელის შერქმევის დღესაც<sup>37</sup> გამოჩნდა: როცა დამ ჰკითხა, თუ რა სახელის დარქმევას მოისურვებდა ჩვილისათვის, გაიუს კალიგულა მიაშგერდა ბიძას, კლავდიუსს – რომელიც მერე იმპერატორი გახდა და ნერონი იშვილა და ხუმრობით თქვა: მის სახელს ეარქმევო. უნდოდა აგრიპინა გაემწარებინა, კლავდიუსი ხომ მთელი სასახლის სამასხარაო იყო.

სამი წლისა იყო ნერონი, მამა რომ მოუკედა. მას მეგვიდრეობის მესამედი ერგო, მაგრამ სრულად ისიც არ მიუღია, მთელი ქონება გაიუსმა მიიგაყა, რომელიც ასევე ერთერთი მეგვიდრე იყო. მალე აგრიპინაც განდევნეს და ნერონი თითქმის სულმთლად ღარიბდატაკი მამილის, ლეიდას, ოჯახში იზრდებოდა ორი მსახურის, მოცეკუვისა და დალაქის ზედამხედველობით. როცა კლავდიუსი იმპერატორი გახდა, მან არა მარტო მამისეული ქონება დაუბარუნა ნერონს, არამედ მამინაყელის, კრისპუს პასიენუსის, მეგვიდრეობაც დაუბაგა. როცა აგრიპინამ კელაე აღიდგინა წინანდელი მდგომარეობა და ძალაუფლება, დედის წყალობით ნერონი იმდენად გაძლიერდა, რომ ხალხში ხმა გაერეკლდა, თითქოს კლავდიუსის ცოლმა, მესალინამ, შუადღისას ჩაძინებულ ნერონს მკელებელი მიუგზავნა,

მისი ვაჟის, ბრიგანიკუსის,<sup>38</sup> მოცილის გასაგუდავად. იმასაც ამბობდნენ, თითქოს მკვლელები ნერონის სასთუმალთან წამომართულმა უხსენებელმა შეამინა და გააქცია. ეს ხმა იმიტომ გავრცელდა, რომ ნერონის საწოლში, სასთუმალთან, გველის ტყავი იპოვეს, ეს ტყავი აგრძობის სურვილით მაშინვე ოქროს სამაჯურში მოათავსეს და ნერონი დიდხანს ატარებდა მას მარჯვენა ხელზე. მერე, როცა დღის ხსოვნა ნერონს ზიზღს გვრიდა, მან ეს სამაჯური გადააგდო და ამაოდ ეძებდა მას ბოლოს, განსაცდელის დღეებში.

7. ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილმა ნერონმა მონაწილეობა მიიღო გროულ<sup>39</sup> საციკო თამამობებში და წარმატებასაც მიაღწია. თერთმეტი წლის რომ გახდა, კლავდიუსმა იშვილა და სენატორ ანეუს სენეკას<sup>40</sup> მიაბარეს აღსაზრდელად. ამბობენ, სენეკამ იმ ღამესვე ნახა სიმზარი, თითქოს მისი აღსაზრდელი გაიუს კალიგულა<sup>41</sup> იყო. ნერონმა სულ მალე, პირველი შესაძლებლობისთანავე გამოამუღებინა თავისი სასტიკი ხასიათი და ეს სიმზარიც ახდა. ბრიგანიკუსი ნერონს კლავდიუსის მიერ მისი შეილობის შემდეგ კვლავაც აპნობარბუსს ეძახდა, ისევე, როგორც ადრე ჰქონდა ენა შეჩვეული. ამის გამო განაწყენებულმა ნერონმა ბრიგანიკუსს მამის წინაშე ცილი დასწამა და უკანონო შეილი უწოდა; ნერონი მოწმედ დაუდგა დედამისის და მამიდამისის, ლეპიდას წინააღმდეგ საჯაროდ ჩვენება მისცა, რითაც იგი შეურაცხყო.

სამოგალოებრივ მოღვაწეობას რომ შეუდგა, ნერონი ფორუმზე ხალხს წარუდგინეს. იგი ღარიბებს საბოძვარს და ჯარისკაცებს საჩუქრებს შეჰპირდა. ალღუმის დროს პრეტორიუსებს<sup>42</sup> თავისი ფარით წინ რომ მიუძღოდა, სწორედ მაშინ გამოუცხადა მათ ეს გადაწყვეტილება, ხოლო შემდეგ მამამისის პატივსაცემად სიგყვა წარმოთქვა სენატში; თავისი კონსულობის ეამს მიმართა ბონონიელებს<sup>43</sup> ლათინურად, ხოლო როდოსელებს<sup>44</sup> და ილიონელებს<sup>45</sup> კი – ბერძნულად. რომის პრეფექტუსის<sup>46</sup> თანამდებობაზე მან სასამართლო პროცესი წარმართა და ლაციუმელთა დღესასწაულის<sup>47</sup> დროს სიგყვით გამოვიდა. ამ პროცესზე სახელგანთქმული დამცველები ერთმანეთს ეცილებოდნენ და ჩვეულებრივი, უმნიშვნელო საქმეების ნაცვლად, კლავდიუსის აკრძალვის მიუხედავად მნიშვნელოვან საჩივრებს განიხილავდნენ. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და ნერონმა ცოლად შეირთო ოქტავია, ხოლო კლავდიუსის გამოჯანმრთელების აღსანიშნავად საციკო სანახაობები და გარეულ ცხოველთა ბრძოლები გამართა.

8. ნერონი მეჩვიდმეტე წელში რომ გადადგა, კლავდიუსის სიკვდილი მაშინ გახდა ცნობილი. ექვსი საათის შემდეგ<sup>48</sup> ნერონი მივიდა სასახლეში, მთელი იმ უბედურა დღის განმავლობაში მხოლოდ ეს დრო მიიჩინეს წინასწარმეტყველების შესაფერისად. სასახლის კიბეებზე ნერონს როგორც იმპერატორს,<sup>49</sup> ისე ესალმებოდნენ. გახტრეწილი წაიყვანეს სამხედრო ბანაკში, სადაც სახელდახელო სიგყვით მიმართა ჯარისკაცებს. იქიდან სენატში მიიყვანეს, საიდანაც მხოლოდ შებინდების ეამს გამოვიდა, უკვე უამრავი წოდების მფლობელი, რომელთაგან მხოლოდ „სამშობლოს მამის“<sup>50</sup> წოდება უარყო ასაკის გამო.

9. თავიდან ნერონმა ხალხს თავი კეთილმოსურნე კაცად მოაჩვენა, აღიღებდა და აღმერთებდა კლავდიუსს, მდიდრულად დამარხა იგი. მამამისის, დომიციუსის, ხსოვნასაც პატივი მიაგო. პირადით თუ სახელმწიფოებრივი საქმეების მართვა მთლიანად დედამისის გადააბარა. როგორც კი იმპერატორი გახდა, მცველების გრიბუნუსს შემდეგი პაროლი დაუწესა: „უსათნოსი დედა“. ნერონს ხშირად ხედავდნენ აგრძობისათან ერთად ერთ გახტრეწილში. ნერონმა ანციუმში შექმნა დასახლება, მას მიაწერა ყოფილი პრეტორიუსები და სასახურმოხდელი ცენტურიონებიც გადაიყვანა იქ საცხოვრებლად. იქვე ააგო ნავსადგური, რაც საკმაოდ ძვირი დაუჯდა.

10. საკუთარი უღაო ნიჭიერება რომ წარმოეჩინა, განაცხადა, აგვისტუსის ჩანაფიქრის მიბაძვით წარემართავ სახელმწიფო საქმეებსო. არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ყველასათვის ეჩვენებინა, თუ რა უხვი, ყურადღებიანი და თავმდაბალი იყო. შედარებით მძიმე გადასახადთაგან ზოგი შეამყირა, ზოგი კი – სულაც გააუქმა. პაპიუსის კანონის<sup>1</sup> დამრღვევთა მამხილებლების გასამრჯელო კი მეოთხედზე დაიყვანა. მდებრიოთაგან თითოეულს ოთხასი სესტერციუსი<sup>2</sup> დაურიგა; წარჩინებულ, მაგრამ გადატაკებულ სენატორებს კი წლიური ჯამაგირი დაუნიშნა, ზოგ მათგანს 500 სესტერციუსის ოდენობით. პრე-

გორიუსთა კოპორტებს<sup>53</sup> ერთი თვის მანძილზე უფასოდ აძლევდა პურს. ერთხელ, კანონის შესაბამისად, ეილაც დამნაშავეის დასჯაზე ხელის მოწერისას ინაგრა, ნეგაე, წერა სულ არ მეოღნოდაო. ყველა წოდების წარმომადგენელს შესხენების გარეშე მყისვე ესალმებოდა. ხალხს ნებას რთავდა ექვირათ მისი საწერთნელი ვარჯიშებისათვის. ხშირად სიგყვებით საჯაროდ გამოდიოდა და შინაც და თეაგრმიც ლექსებს მეპირად წარმოსთქვამდა. მისი გამოსვლები ხალხში იმდენად დიდ სიხარულს იწვევდა, რომ დაადგინეს, საყოველთაო ლოცვა დაწესებულიყო, ხოლო ნერონის წარმოთქმული ლექსები ოქროს ასოებით ამოეკეთათ და კაპიტოლიუმის იუპიტერისათვის<sup>54</sup> მიეძღვნათ.

11. ნერონი სხვადასხვა სანახაობას მართავდა: ჭაბუკთა შეჯიბრებებს, საციროკო თამაშობებს, სასცენო წარმოდგენებს, გლადიატორთა ასპარეზობებს. ამ გასართობებში ახალგაზრდებთან ერთად ასაკოვანი სენატორები და მაგრონებიც მონაწილეობდნენ. ნერონმა საციროკო სანახაობებზე სავანებო ადგილი გამოუყო მხედრებს და შეჯიბრებებში აქლემების ოთხეულიც გამოიყვანა. მან იმპერიის უკვდავებას მიუძღვნა „დიდი თამაშობები“. ამ წარმოდგენებში ორივე წოდებისა და სქესის ბევრი წარმომადგენელი მონაწილეობდა: ცნობილმა რომაელმა მხედარმა სპილოზე შემჯდარმა ბავირომ გაიარა; დადგეს აფრანიუსის<sup>55</sup> დრამა „ხანძარი“, სადაც მსახიობებს ნებას რთავდნენ ცეცხლმოდებულ სახლიდან საოჯახო ნივთები დაეგაცეხინათ; ხალხს ყოველდღე სხვადასხვა საჩუქრებს ურიგებდნენ: ათასობით ყველანაირი ჯიშის ფრინველს, ნაირნაირ სურათს; გუსერებს<sup>56</sup> პურის, ტანსაცმლის, ოქრო-ვერცხლის, თეალმარგალიტის, ნაგაფი სურათების, მონების, ცხენების, მომინაურებული გარეული ცხოველების, და აგრეთვე გემების, სახლების და ადგილ-მამულების შესაძენად.

12. თავად ნერონი კი პროსკენიუმის<sup>57</sup> სიმალიდან უყურებდა ამ სანახაობას. მარსის ეელის<sup>58</sup> მიდამოებში გლადიატორთა ბრძოლა მოაწყო ხის ამფითეატრუმში<sup>59</sup> რომელიც ერთი წელი შენდებოდა. თანაც ბრძანა, სანახაობებზე არავინ შემოეკლდომოდათ, მსჯავრდებულნიც კი. ბრძოლაში გამოიყვანა ოთხასი სენატორი და ექვსასი რომაელი მხედარი, უმწიკელო სახელისა და საპატიო წოდების შეძლებული ადამიანები. ამავე ფუნქციიდან დანიშნა გარეულ მხეცთა მომთინიერებლებიც და საციროკო სანახაობის სხვა მუშები. აგრეთვე ზღვის წყალში წყლის უცხო ცხოველთა ბრძოლა გაიმართა. მოაწყო ეფებუსთა სამხედრო ცეკვები<sup>60</sup> წარმოდგენის შემდეგ კი თითოეულ მათგანს რომაელი მოქალაქის სიგელი უბოძა. ერთი სამხედრო ცეკვის მიზნარსით უნდა აესახათ უმბოლის ხის ქანდაკებაში დამალული პასიფაეს<sup>61</sup> ხართან შეუღლება, რაც ბევრ მაყურებელს მართლაც საყროდა. სხვა ცეკვის დროს იკარუსი<sup>62</sup> პირველი აფრენისთანავე ჩამოვარდა, ნერონის საეარძელთან<sup>63</sup> დაეცა და იგი სისხლის მხეფებით მოსვარა. ნერონი თვითონ იმეფათად ხელმძღვანელობდა წარმოდგენებს და თავდაპირველად სხვებთან ერთად ვიწრო სარკმლებიდან, შემდეგ კი ღია პოდიუმიდან ადევნებდა თვალს წარმოდგენას.

რომში პირველმა მან მოაწყო ხუთ წელში ერთხელ ბერძნების ჩეულებისამებრ შეჯიბრებები მუსიკაში, განეარჯიშა და ცხენოსნობაში და ამ შეჯიბრებებს ნერონიები უწოდა. მან თერმები<sup>64</sup> და ვიმნასიუმები<sup>65</sup> ააშენა, სადაც სენატორებსა და ცხენოსნებს ზეთს ურიგებდა. ყველა შეჯიბრების მუდამხედველად კონსულებს კენჭისყრით ნიშნავდა – ისინი პრეგორების ადგილზე იხსდნენ. ნერონი შემდეგ სენატორების წინაშე ორქესგრაძემ<sup>66</sup> გამოვიდა და მათი თანხმობით ლათინური სიგყებისა და ლექსების წარმოთქმისათვის გვირგვინი მიიღო, რომლის მოსაპოვებლადაც სხვა კეთილშობილი პირებიც ასპარეზობდნენ. ხოლო როცა მსაჯებმა კითარაზე<sup>67</sup> დაკერისათვისაც მიაკუთვნეს გვირგვინი, მან განადიდა ღმერთები და ბრძანა ამ გვირგვინით აუგუსტუსის ქანდაკება შეეკოთ. შეიღ სახეობაში ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრი მოაწყო; მსხვერპლად შესწირა ხარი და პირველად მაშინ მოიკეცა წვერი, ოქროს ყუთში მოათავსა, ყუთი ძვირფასი მარგალიტებით მოჭვდა და კაპიტოლიუმის ტაძარს მიუძღვნა, ათლეგების შეჯიბრზე ქურუმი ქალებიც მოიწვია, ოლიმპიაშიც<sup>68</sup> ხომ ნებადართული იყო ცერერის<sup>69</sup> ქურუმ ქალებს ამგვარი სანახაობისათვის ექვირათ.

13. ნერონის მიერ მოწყობილ სანახაობათა შორის გირიდაგესის<sup>70</sup> რომში ჩამოსვლაც უნდა აღვნიშნოთ. არმენიის მეფე ნერონმა დიდი დაპირებებით მოთაფლა, სტუმრის ჩამოსვლის ელიქტუმით<sup>71</sup> გამოცხადებული დღე ცუდი ამინდის გამო უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადაიდო. ფორუმზე გაძრის ირგვლივ შეიარაღებული კოპორტები განლაგდნენ. თვითონ ნერონი კი ტრიუმფატორის ტანსაცმელში გამოწყობილი, სამხედრო ნიშნებსა და ალმებს შორის იჯდა საპატიო ადგილას, როსტრალურ ტრიბუნასთან.<sup>72</sup>

გირიდაგესმა თავდაპირველად ფიქარნავი აიარა და ნერონს მუხლებზე ემთხვია, მან კი მარჯვენა ხელით წამოაყენა და გადაკონა. შემდეგ მისივე თხოვნით არმენიის მეფეს გიარა<sup>73</sup> მოხსნა და ღიადგა<sup>74</sup> დაადგა, გირიდაგესის სამადლობელ სიციყებს ხალხს პრეტორიუსი უთარგმნია. შემდეგ არმენიის მეფე თეატრში წაიყვანეს, სადაც კვლავ ალაქინა ვედრებანი, ხოლო ნერონმა იგი ხელმარჯვნივ დაისვა. გირიდაგესს ესალმებოდნენ როგორც იმპერატორს. მან დაფნის გვირგვინი მიიტანა კაპიტოლიუმის ტაძარში და ორსახოვანი იანუსის ტაძრის კარები<sup>75</sup> ომის დამთავრების ნიშნად დახურა.

14. ნერონი ოთხჯერ იყო კონსული. პირველად – ორი თვის განმავლობაში, მეორედ და მეთხედ – ექვსი თვით, ხოლო მესამედ – ოთხი თვით. ორი შუა კონსულობა ზედმედ მიიღო, დანარჩენები კი თითო წლის შუალედით.

15. – მოსამართლის მოვალეობის შესრულებისას მომჩივანებს კარგად მოფიქრებულ პასუხს მხოლოდ მეორე დღეს და თანაც მხოლოდ წერილობით უგზავნიდა. საჩივრების განხილვის დროს იგი შემდეგ წესს იყავდა: ერთად კი არა, არამედ ცალცალკე სწავლობდა თითოეულ საქმეს. განაჩენის მოსაფიქრებლად ყოველთვის განცალკავდებოდა. საჩივარს საჯაროდ არ განიხილავდა, სხვათა წერილობით განაჩენებს სათითაოდ ფარულად კითხულობდა და რომელსაც მოიწონებდა, საბოლოოდ იმას გამოაცხადებდა ხოლმე, თითქოს უმრავლესობას ასე დაედგინოს.

კურიებში<sup>76</sup> დიდხანს არ ღებულობდა გაამატებულ მონათა შვილებს, ხოლო წინა მმართველების მიერ მიღებულებს არ ნიშნავდა თანამდებობებზე. თანამდებობების მაძიებლები, რომლებიც საკამოზე მეტი იყვნენ, მოცდენის სანაცვლოდ ლეგიონების მეთაურებად დანიშნა. კონსულებს ექვსი თვის ვადით ირჩევდნენ, როცა იანერის კალენდების წინ კონსულთაგან ერთი მოკვდა, მის შემცვლელად არაფინ დანიშნა, რადგანაც არ უნდოდა კანინუს რებილიუსის მაგალითი განმეორებულიყო, მხოლოდ ერთი დღე რომ იყო კონსულად. ნერონი ტრიუმფალურ ნიშნებს ურიგებდა კვესტორებსაც<sup>77</sup> და ზოგიერთ მხედარსაც, თანაც არა მარტო ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვებებისათვის. კვესტორთა თანამდებობას უგულვებელყოფდა და როცა სენატს

16. სხვადასხვა საკითხებზე მოხსენებებს უგზავნიდა, ამ მოხსენებებს კონსულს აკითხებდა. ნერონმა ნაგებობათა მშენებლობის ახალი გეგმა გამოიგონა. ცალკეული სახლებისათვის მისი საკუთარი ხარჯებით უნდა მიეშენებინათ პორტიკუსი,<sup>78</sup> პორტიკუსის გერასიდან ხანძარს ადვილად ჩააქრობდნენ. მან განიზრახა ოსტიაში<sup>79</sup> განევრცო ქალაქი და ამის შემდეგ ქალაქის ძველი ნაწილი არხით ზღვისათვის დაეკავშირებინა.

17. ნერონის მმართველობის დროს ბევრი შემლუღვა და მკაცრი ზედამხედველობა დაწესდა. სახალხო სადილები სპორტულათი<sup>80</sup> შეიყვალა, ღუქნებში ხორციული აღარ იყიდებოდა, აქ მხოლოდ ხილი და ბოსტნეული ჰქონდათ. აღრე კი ყველანაირი კერძის გაყიდვა ნებადართული იყო; სღვენიდნენ ქრისტიანების, ახალი და მანეხ რწმენის მიმდევრების სალოცავ შეკრებებს: აიკრძალა მეეტლეთა ძველად ნებადართული ვართობა, მათი აქეთოიქით ხეტიალი, ლამბანდარობა და ხალხის ძარცვა;

გაამევეს მოეკვავე მსახიობები და მათი ზედამხედველები; ყალბისმქნელთა საწინააღმდეგოდ პირველად მამინ დაადგინეს მხოლოდ გახვრეტილ და ძაფით სამმაგად შეკრულ საბუთებზე ბეჭდის დასმა. ყველაფერი საიმედოდ რომ ყოფილიყო და ანდერძის დამტოვების მსგავსად ვინმეს ხელი არ მოეწერა, ან ვინმეს რომ არ მიეთვისებინა ნაანდერძევი, საბუთის პირველ ორ გვერდს ეარიელს გოვებდნენ;<sup>81</sup> მოდავეები დადგენილ გასამრჯელოს უხდიდნენ დამცველებს, ხოლო სასამართლოზე სავარძლებისათვის არაფერს არ იხდიდნენ, ამ ხარჯებს ხაზინიდან ანაზღაურებდნენ. ხაზინის მიმართ აღძრული საქმეები

რეკიპერაგორებს<sup>82</sup> ეგზავნებოდათ ფორუმზე, მოსამართლეების მამხილებელ საჩივრებს კი სენატი განიხილავდა.

18. ნერონს სახელმწიფოს გამრღისა და სამღერების გაფართოების სურვილი სულაც არ ჰქონდა. საამისოდ არც არაფერი გაუკეთებია. ბრიგანიდიან<sup>83</sup> ჯარის გამოყენაც კი უნდოდა, მაგრამ სირსხიელის გამო გადაიფიქრა – მამის დიდებისათვის ჩრდილი რომ არ მიეყენებინა; პონტოს სამეფო მხოლოდ პოლემონის<sup>84</sup> თანხმობით, ხოლო ალპებისა – კოსტიუსის<sup>85</sup> სიკედილის შემდეგ გადააქცია პროვინციებად.

19. ნერონმა მხოლოდ ორჯერ განიზრახა მოგზაურობა: ალექსანდრიასა და აქაიაში,<sup>86</sup> მაგრამ სწორედ ალექსანდრიაში გამომგზავრების დღეს ცუდი და ამასთან საბიფათო წინასწარმეტყველებით შემოთვებულმა გადაწყვეტილება შეცვალა. სალოცაეები რომ მოიარა და ბოლოს ვესტას<sup>87</sup> ტაძარს ეწვია, საეარძლიდან წამომდგარმა ჯერ განისამოსი გამოსდო რალაყას, შემდეგ კი ისე დაუბნელდა თვალთ, რომ ვედარაფერს ხედავდა. აქაიაში ისთმოსის არხის გათხრა გადაწყვიტა და პრეგორიუსებიც დაითანხმა, რომ ახალი საქმე წამოეწყით. საყვირის ხმა რომ გაისმა, პირველმა ნიზბით მიწა მან ამოთხარა და საესე კალათი მხრით გამოიგანა. კასპიის კარების<sup>88</sup> დასალაქმარდაც ემზადებოდა, ამ მიზნით ექვსი ფუტი სიმაღლის იგალიელ ახალწეულთა ლევიონი შეადგინა, რომელსაც „ალექსანდრე დიდის ფალანგი“<sup>89</sup> უწოდა.

ეს საქმეები გაიციხეას კი არა, შესაძლოა, ქებასაც რომ იმსახურებენ, ერთიანად გამოგეყით, რათა ისინი ნერონის სამარცხეინო და ბოროტი ქმედებებთაგან გამემიჯნა. და ამაზე ქვემოთ მოგიტხრობთ.

20. ნერონმა სხვა საგნებთან ერთად მუსიკაც ყრმობის ასაკშივე შეისწავლა. როგორც კი იმპერატორი გახდა, მამინეე მოიწვია სახელგანთქმული კითარაზე დამკერული გერპუსი, მთელი დღე გერდით ეჯდა მას და სადილობიდან გვიან დამემდე ამღერებდა. თანდათან თეითონაც გაიფარჯიმა ხმა და სიმღერა დაიწყო. უყურადღებოდ არ დაუგოებია არც ერთი ხერხი, რასაც კი ამ საქმის ოსტატები მიმართავდნენ ხოლმე, ხმა რომ დაეცვათ და გაეძლიერებინათ: პირადმა მწოლიარე მკერდზე გყვიის ფირფიტას იფარებდა, კუჭის ამორეცხვებით და ლებინებით ისუფთავებდა ორგანიზმს, თავს იკავებდა იმ ხილისა და საკეებისაგან, რაც მას სიმღერაში ხელს შეუზღიდა. ნერონს მართლა სუსტად და უსიამოვნო ხმა ჰქონდა, თავისი მიღწევებით გათამამებულმა სეენაზე გამოსულაც მოინდომა, თან თავის ახლობლებს ბერძნულ ანდაბას შეასსენებდა ხოლმე; დაფარული ხელოვნება ყველასთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. პირველად სეენაზე იგი ნეაპოლისში გამოვიდა. უყურად თეატრი მოწიძგრამ შეარყია, ნერონი კი არ გაჩერებულა, სანამ სიმღერა არ დაასრულა. ხშირად მთელი დღეების განმავლობაში შეუსვენებლად მღეროდა. შემდეგ კი ცოტა ხნით შეისვენებდა, რათა ხმა აღედგინა, მაგრამ ერთხელაც ვერ მოითმინა და აბანოდან თეატრში გაიპარა. შუა ორქესტრაზე ხალხი შეკრიბა და სუფრა გაშალა, თან იქ მყოფთ ბერძნულ ენაზე მიმართა და შეჰპირდა, ცოტას დაეღეე და გიმღერებთო. ნერონს მოეწონა ალექსანდრიელების მომიერი გამისეება, ეს ალექსანდრიელები ახალ კოლონას ჩამოჰყენენ ნეაპოლში. ნერონმა სხეებიც მოიწვია ალექსანდრიიდან, დაუყოვნებლივ გამოარჩია ახალგამრდა მხედრებიდან და მდაბიო ხალხის წრიდან ხუთი ათასზე მეტი ძლიერი ახალგაზრდა, რომლებიც ჯგუფებად დაანაწილა და სხეადასხეავარი გამისეება შეასწავლა: „ბზილი“, „აგურები“, „კრამიტები“. როცა ნერონი მღეროდა, ჭაბუკები გულმოდგინედ ასრულებდნენ დაკისრებულ საქმეს, ისინი თვალში გეცემოდნენ ხშირი თმით, ბრწყინვალე ჩაცმულობით, მარცხენა ხელზე ბეჭდებს არ აგარებდნენ. მათი მეთაურები 400 000 სესტერციუსს იღებდნენ.

21. დიდ პატივად მიიჩნედა რომში გამოსულას. ნერონული შეჯიბრებები მან დანიშნულ დროზე ადრე გამართა. როცა ხალხმა დაჟინებით მოითხოვა მისი ლეთაებრივი ხმის მოსმენა, ბაღში მოგასმენინებთო, დაჰპირდა, მაგრამ მსურველებს დაცვაში მდგომი ჯარისკაცებიც რომ შეუერთდნენ, სიამოვნებით დათანხმდა დაუყოვნებლივ გამოსულიყო მათ წინამე. თავისი სახელი კითარაზე დამკერულთა სიამი მამინეე შეაგანინა, სხეებთან ერთად საარჩევნო ურნაში კენჭის საყრელი ფირფიტაც ჩაადლო და მისი ჯერი რომ დადგა, სეენაზე გამოვიდა. კითარა პრეგორიუსთა პრეფექტებს ეკავათ, უკან სამხედრო გრიბუნუსები

იღვანე, ხოლო გვერდით – უახლოესი მეგობრები. შესაეალი რომ დაასრულა, ყოფილი კონსულის, კლუვიუს რუფუსის პირით თვითშეპყრობილმა ხალხს შეაგყობინა „ნიობეს“<sup>90</sup> ვიზიტები და თითქმის მათე საათამდე ასრულებდა ამ სიმღერას. გვირგვინით დაჯილდოება და შეჯიბრის დარჩენილი ნაწილი მომდევნო წლისათვის გადაიგანა, რათა სცენაზე გამოსვლის შესაძლებლობა უფრო ხშირად მისცემოდა. ნერონმა განიმრახა სამსახიობო საქმეში ეყადა ბედი. აქ პრეტორების ჯილდოდ მილიონი სესტერციუსი იყო დაწესებული, იგი გრავედიებში მღეროდა. იმ ღმერთებისა და გმირების, ასეე იმ ქალღმერთებისა და გმირი ქალების ნიღბებით გამოდიოდა, რომლებიც გარეგნობით მას და მის საყვარლებს ჩამოჰგავდნენ. ნერონი ბევრ სიმღერას ასრულებდა: „კანაკეს“<sup>91</sup> მშობიარობას“, „დედის მკვლელ ორესტეს“<sup>92</sup>, „დაბრმავებულ ოიდიოსს“<sup>93</sup>, „მემლიდ პერკულესს“<sup>94</sup> ამ უკანასკნელი თემის თაობაზე იმასაც ამბობენ, რომ ერთი ახალგაზრდა მცეელი დატყვევებულის როლში ბორკილდადებულ ნერონთან დასახმარებლად მიიჭრაო.

22. ნერონს სიყრმიდანვე განსაკუთრებით უყვარდა ცხენოსნობა. შეჯიბრების შესახებ ხშირად ლაპარაკობდა, თუმცა, აღმზრდელისაგან ეს აკრძალული ჰქონდა. ერთხელ საციკო წარმოდგენას რომ ესწრებოდა, „მწვანების“<sup>95</sup> მეგვლე ცხენებმა გადათელეს, მეგობრებში მღგომმა ნერონმა ყვირილი ატეხა, აღმზრდელის შენიშვნაზე კი თავი იმართლა, ჰექტორის<sup>96</sup> შესახებ ვლაპარაკობდითო. იმპერატორი რომ გახდა, ყოველდღე დაჯაზე სპილოს ძეღის ეგლებით თამაშობდა. მყირე შეჯიბრებებსაც ესწრებოდა, ჯერ – მალულად, შემდეგ – აშკარად. ყველა იყოდა, რომ ნერონი დაესწრებოდა შეჯიბრს. იგი არც იმას ფარავდა, რომ სურდა თავისი დაფნის გვირგვინები გაემრავლებინა. შეჯიბრებებზე ახლა უფრო მეტ წრეს უვლიდნენ და ასპარეზობაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა. მეპატრონეები ეგლებს მხოლოდ მთელი დღით აქირავებდნენ. ნერონმა მალე თვითონაც მოისურვა ეგლი ემართა და საჯაროდ გამოსულიყო. პირველად ბაღში, მონებისა და მდაბიოების – ქალების წინაშე წარსდგა, შემდეგ კი – ყველას თეაღწინ დიდ ცირკში გამოვიდა, შეჯიბრების დაწყება ერთმა გაამატებულმა მონამ აღმით ანიშნა იმ ადგილიდან, სადაც, ჩვეულებრივ, მაგისტრატუსი იჯდა. თავისი ხელოვნების მხოლოდ რომში ჩვენებამ ვერ დააკმაყოფილა იმპერატორი და იგი აქაიაში გაემგზავრა. ამის მიზეზი, უმთავრესად, ის იყო, რომ იმ ქალაქების მცხოვრებლებმა, სადაც, ჩვეულებრივ, მუსიკალური შეჯიბრებები იმართებოდა, კითარაზე დამკვრელთა ყველა გვირგვინი მას გამოუგზავნეს. ნერონმა ეს ჯილდოები სიაშოვნებით მიიღო, ელჩებს კი დაუყოვნებლივ შეხედა და ისინი წვეულებაზე მიიპატიჟა. სადღიზე სტუმრებმა ნერონს სთხოვეს ემღერა. აღუღებულმა ნერონმა განაცხადა, რომ მხოლოდ ბერძნებს შეუძლიათ მოსმენა და მხოლოდ ისინი არიან ჩემი სიმღერის ღირსნი და გამგზავრება აღარ დააყოვნა, პირველად კასიოპემ<sup>97</sup> ჩავიდა და იუპიტერ კასიუსის საკუთრხველთან დაიწყო სიმღერა. შემდეგ ყველა შეჯიბრი ჩამოიარა.

23. სხვადასხვა დროს დანიშნული შეჯიბრებები ერთ წელიწადში გადმოიგანა. ზოგი მათგანი კი ოლიმპიაში განმეორებით დანიშნა, ტრადიციის საწინააღმდეგოდ მუსიკალური ასპარეზობაც კი მოაწყო. ნერონი ახლა მხოლოდ ამ საქმეებით იყო დაკავებული, სხვა ვეღარაფრისთვის იცლიდა. როცა გაამატებულმა მონამ, პელიუსმა, შეახსენა, რომ რომის სახელმწიფო საქმეები მის ღედაქალაქში დაბრუნებას საჭიროებდნენ, ნერონმა პასუხად მოსწერა: „მენ მირჩევ სასწრაფოდ დაებრუნდე, და ეს მაშინ, როცა ვალდებული ხარ დაპარწმუნო, ისე დაებრუნდე, როგორც ნერონს შეეფერება“.

როცა იგი მღეროდა, თეატრიდან გასვლა აკრძალული იყო, ამბობენ, ზოგჯერ ქალები შეჯიბრებებზე კიდევ მშობიარობდნენო. თურმე ბევრი თავგაბებრებული მსმენელი მალულად კედლიდან ხტებოდა, რადგანაც ქალაქში გასასვლელი კარები დაკეცილი იყო, ხანაც თავს მოიმკვდარებდნენ ხოლმე, რომ დასამარხავად მაინც გაეგანათ. ძნელია წარმოვიდგინოთ, როგორი მღელვარებით და შიშით გამოდიოდა ნერონი შეჯიბრებებში, როგორ შურდა მეგობრებისა და როგორ ეშინოდა შეფასებისა. იგი ისე აღვენებდა თეატრს შეჯიბრების სხვა მონაწილეებს, თითქოს თანაბარ მღგომარეობაში ყოფილიყვნენ, დასდევდა მათ, ჩუმად კიხხავდა, ზოგჯერ შეხვედრისას ლანძღვა-გინებითაც იკლებდა და თუ ვინმე მას ხელოვნებით აღემატებოდა, ჩამოიმორებდა კიდევ. ნერონი გამოსვლამდე მსაჯებს დიდი



მოწიწებით ეუბნებოდა, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, გავაკეთე, მაგრამ ყველაფერი ფორტუნას<sup>98</sup> ხელშია და ამიტომაც თქვენ, როგორც ბრძენი და გამოცდილი ხალხი, ვალდებულნი ხართ შემთხვევითობა გამოირიცხოთო. მსაჯების გამხმელება მას ბოლომდე მაინც არ ამშვიდებდა, ფიქრობდა, რომ მათი ღმერთი და თავშეკავებულობა სიმკაცრითა და ბოროტი განზრახვით იყო გამოწვეული და მათ ეჭვის თვალთ

24. უყურებდა შეჯიბრებაში მონაწილეობისას წესებს ყოველთვის იცადა. დახველებას ვერ ბედავდა, შუბლიდან ოფლს ხელით იწმენდა, ერთხელ, როცა გრაველიამ გამოსვლისას წაბორძიკა და კევრთხი გაუვარდა, შეშინდა, შეკლომის გამო შეჯიბრებიდან არ მომხსნანო; ვერც იმან დაამშვიდა, მეორე მსახიობმა რომ დაუფიცა თელთმაქცურად, ხმაურში და აურზაურში ხალხმა ვერაფერი შეამჩნიაო. თავის თავს გამარჯვებულად თვითონვე აცხადებდა, ამით გამომცხადებლესაც ვჯიბრებოდა. სადმე ვინმე სხვა გამარჯვებულის ხსოვნა და კვალი რომ არ დარჩენილიყო, რაც კი აბანოებში ქანდაკებები და გამარჯვებულთა გამოსახულებები იყო, ბრძანა, ჩამოეგლოთ, მარწუხებით გაეთრიათ და გადაეგლოთ. მან ეგლებით შეჯიბრებაში მონაწილეობა ბევრჯერ მიიღო, ოლიმპიაში ათცხენიანი ეგლითაც გამოვიდა – თუმცა, თვითონ ამის გამო ერთ სიმღერაში მითრიდაგე მეუღეს<sup>99</sup> კიცხავდა კიდევ – ნერონი ეგლიდან ჩამოეარდა; კვლავ ავიდა ეგლზე, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და შეჯიბრებას გამოეთიშა. მიუხედავად ამ მარცხისა, გამარჯვებულის გვირგვინი მას ხელა წილად. უკან დაბრუნებულმა მან მთელს პროვინციას თავისუფლება, მსაჯებს კი რომის მოქალაქეობა და ბერი ფული უბოძა. ეს წყალობა ისთმური<sup>100</sup> შეჯიბრებების დაწყების დღეს შუა მოედნიდან თვითონვე გამოაყხადა.

25. საბერძნეთიდან ნეაპოლისში დაბრუნდა, სადაც პირველად წარდა თავისი ხელოვნებით. ნერონი, როგორც გამარჯვებულის წესია, თეთრი ცხენებით შევიდა კელის გამონგრეულ ნაწილში, ანციუმში, ალბანუმში,<sup>101</sup> რომშიც ასევე მოიქცა. რომში გრიუმფაგორ აუგუსტუსის ეგლით შევიდა, მეწამულ სამოსსა და ოქროფერი ვარსკვლავებით მოხატულ მოსახლამში გამოწყობილი, თავზე ოლიმპიური გვირგვინი ედგა, მარჯვენა ხელში კი პითიური<sup>102</sup> გვირგვინი ეკავა. ნერონის წინ მიჰქონდათ სხვა გვირგვინებაც. წარწერებით, სადაც აღნიშნული იყო თუ სად, ვისთან, რა სასიძღვრო და სასცენო შეჯიბრებებში მოიპოვა გამარჯვება. ეგლს ტამის დამკვრელები ოვაციებით მიჰყებოდნენ და გაჰყვიროდნენ, აუგუსტუსის ჯარისკაცები ვართ და მის გრიუმფუსს ეგვიმობთო. შემდეგ ნერონმა ცირკის დიდი არენა დაარბია და ეელაბრუმის<sup>103</sup> და ფორუმის გავლით პალაციუმისა<sup>104</sup> და აპოლონის ტაძრებს მიაშურა. მას გზაზე ყველგან მსხვერპლს სწირავდნენ, წაბლს, უცხო ფრინველებს, ხილს. ლემსისკუსებს<sup>105</sup> და გრიუმფალურ ბაფთებს სჩუქნიდნენ. ღვთაებრივი გვირგვინები საძინებელში, საწოლის ახლოს მოათავსა. იქვე კითარაზე დამკვრელის სამოსში გამოწყობილი მისი ქანდაკებაც იდგა – ამგვარი გამოსახულებით მონეტაც მოჭრა. ნერონი, ხმა რომ შეენარჩუნებინა, კიდევ დიდხანს აგრძელებდა წვრთნას. ამის გამო ჯარისკაცებს თვითონ კი არ მიმართავდა, სათქმელს ყოველთვის სხვისი პირით აცნობებდა ხოლმე. საქმიანობდა თუ ერთობოდა, საგანგებოდ მოწვეული დეკლამაციის მასწავლებელი ყოველთვის მის გვერდით იყო და შეახსენებდა ხოლმე, რათა ვაფრთხილებოდა სასულეს და პირზე ცხვირსახოცი მიეფარებინა. ადამიანების მიმართ მისი მეგობრული ან მგრული განწყობა მათ მორჩილებასა და პირმოთნეობაზე იყო დამოკიდებული.

26. თავენტობა, ჭირვეულობა, ურჩობა, სიძუნწე და სისასტიკე ნერონს თავიდანვე ახასიათებდა, მაგრამ დასაწყისში ნაკლებად შესამჩნევი იყო ეს ახალგაზრდული შეუღლებები, არადა, მამინაც უკვი არავის ეპარებოდა, რომ ეს ნაკლოვანებები მის ბუნებას გამოხატავდა და ასაკზე ნაკლებად იყო დამოკიდებული: როგორც კი შეზინდებოდა, ნაბღის ქუდით ან ნიღბით ღუქნებში შედიოდა, ან ახლო-მახლო სოფლებში დაეხეტებოდა და ერთობოდა, ხანდახან მის ამგვარ გართობას მსხვერპლაც მოჰყვოდა. ნერონს ჩვევად ჰქონდა ღუქნებიდან გამოსული ხალხის ცემა-გყეპა და თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა, თავს ესხმოდა, დაჭრილს კი არხში გადააგდებდა ხოლმე. ღუქნებს შეამგვრებდა და ძარცვავდა. სასახლეში ბაშრობა მოაწყო, იქ ნადავლს ინაწილებდნენ და საჯარო ვაჭრობით ჰყიდნენ, შემოსავალს კი ერთად ხარჯავდნენ. ხშირად ასეთი შეგაკებების დროს საკუთარ

სიციცხლესაც საფრთხეში იგდებდა. რამდენჯერმე კინაღამ თვალებიც დათხარეს. ერთხელ ნერონი ერთმა სენატორმა, რომლის ცოლსაც იგი მოსვენებას არ აძლევდა, სასიკვდილოდ სცემა. ამის შემდეგ იგი გვიან დამით ხალხში ადარასოდეს გამოდიოდა იმ ტრიბუნუსების ვარშე. რომლებიც მას შორიასლოს მალულად მისდევდნენ. იგი დღისითაც კი თეატრში გახტრეწნით ფარულად მიჰყავდათ. ნერონი მროკავთა შეჯიბრებებს სცენის სიმაღლიდან დასცქეროდა და იქიდან ხელმძღვანელობდა,

27. როგორც კი ჩხუბი ატყდებოდა და ქვებისა და სავარძლების ნამსხერვეების სროლა დაიწყებოდა, თვითონაც ჩაებმებოდა ხოლმე ამ ბრძოლებში და ერთხელ ერთ პრეტორს თავიე კი გაუტყხა. რაც დრო გადიოდა, ნერონში მით უფრო მძლავრობდა მანკიერი თვისებები. იგი უკვე აღარ ხუმრობდა და არც ინიღბებოდა, ამკარად სულ უფრო და უფრო უსიამოვნო საქმეებსაც ჩადიოდა.

ნერონი ნადიმებს შუადღიდან შუადამებლე მართავდა, ხშირად იქვე მოწყობილ თბილ აუზში, ხოლო მაფხულში კი – ციე წყალში ბანაობდა. ზოგჯერ საჯაროდაც, სამღვაო შეჯიბრების ადგილზე, ან მარსის ველზე, ან დიდ ცირკში, რომის ყველა მეძავე და მოცეკვავე ქალების თანხლებით ქეიფობდა. როცა გიბერისით ოსტიისაკენ გავლა, ან ბაიეს<sup>106</sup> ყურის გადალახვა უწევდა, ზღვისა და მდინარის სანაპიროებზე დროებით დუქნებს უმართავდნენ, ეს დუქნები განთქმული იყო ღრეობებითა და მაგრონებით, რომლებიც ვაჭრობაში მიკიტნებს ჰბაძავდნენ და მას უხმობდნენ. ნერონი მეგობრებსაც ამართვინებდა წვეულებებს, რომელთაგანაც ერთი – თავსაკრავებით – ოთხი მილიონი სესტერციუსი დაუჯდა, მეორე კი, ვარდებით ნადიმი, ოდესღაც რომ გაიმართა – კიდეე უფრო მეტი.

